Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

27

იბეჭდება
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1950

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის ნაკეთილი
1952

ვ. ი. ლენინი

ტომი

27

1918 თებერვალი — ივლისი

წინასიტყვაობა

თხზულებათა ოცდამეშვიდე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთ, რომლებიც დაწერილია 1918 წლის 21 თებერვლიდან 27 ივლისამდე.

ტომში შედის მოხსენებები, სიტყვები და სტატიები, რომლებიც ასახავენ ლენინის მოღვაწეობას პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის დარგში იმ პერიოდში, როცა წარმოებდა ბრძოლა ზავისათვის, იმპერიალისტური ომიდან საბჭოთა რუსეთის რევოლუციური გამოსვლისათვის, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობის გაჩაღებისათვის შესვენების დღეებში, უშუალოდ ბრესტის ზავის დადების შემდეგ.

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დოკუმენტებს, რომლებიც მიმართულია ტროცკისა და «მემარცხენე კომუნისტების» პროვოკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის, რომელსაც არმია ჯერ კიდევ არ ჰყავდა, ომის თავზე მოხვევის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამას მიეკუთვნება სტატიები: «რევოლუციური ფრაზის შესახებ», «ზავი თუ ომი?», «მძიმე, მაგრამ აუცილებელი გაკვეთილი», «უცნაური და შემზარავი», «საქმიან ნიადაგზე», «სერიოზული გაკვეთილი და სერიოზული პასუხისმგებლობა», აგრეთვე მოხსენებები და საბოლოო სიტყვები ზავის საკითხზე პარტიის VII ყრილობაზე და საბჭოების საგანგებო IV ყრილობაზე

ნაშრომში ««მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ» შეჯამებულია ბრესტის ზავისა და საშინაო პოლიტიკის საკითხებში «მემარცხენე კომუნისტების» წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები, დახასიათებულია «მემარცხენე კომუნისტები», როგორც «გაცოფებული წვრილი ბურჟუას» ინტერესთა გამომხატველნი, როგორც «იმპერიალისტური პროვოკაციის იარაღი». მაშინ პარტიისთვის ცნობილი არ იყო, რომ ტროცკი, ბუხარინი და მათი თანამზრახველნი უკვე 1918 წელს მონაწილეობდნენ კონტრრევოლუციურ შეთქმულებაში, რომელიც მიზნად ისახავდა საზავო მოლაპარაკების ჩაშლას, გერმანელთა შემოტევის პროვოკაციულად გამოწვევას და გერმანელ იმპერიალისტთა ხიშტების დახმარებით საბჭოთა ხელისუფლების მოსპობას.

ტომში დიდი ადგილი უჭირავს იმ ნაწარმოებთ, რომლებიც მიძღვნილია სოციალისტური მშენებლობისადმი, საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაციისადმი, შრომის ნაყოფიერების გადიდებისადმი, სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისადმი, ახალი პროლეტარული დისციპლინის აღზრდისადმი. ამ ნაწარმოებთა შორის არის ლენინის განთქმული ნაშრომი — «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები». მასში ლენინი სახავს სოციალისტური მშენებლობის პროგრამას, გვიჩვენებს ახალი, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის შექმნას.

ტომის დოკუმენტების ჯგუფი: «შიმშილობის შესახებ. წვრილი პიტერის მუშებს», «მოხსენება შიმშილობასთან ბრძოლის შესახებ» სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე 4 ივნისს და სხვა ნაშრომები ასახავენ სოციალისტური რევოლუციის გაშლას სოფლად, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლას, სოფლის ღარიბობისადმი დახმარების ორგანიზაციას, სასურსათო დიქტატურის დამყარებას.

ლენინის მთელი რიგი სიტყვები და გამოსვლები მიძღვნილია საშინაო და საგარეო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის ორგანიზაციისადმი. ამ დოკუმენტების რიცხვში შედის: «სიტყვა მიტინგზე სოკოლნიკის კლუბში» 21 ივნისს, «სიტყვა მიტინგზე სიმონოვის ქვერაიონში» 28 ივნისს, «საუბარი სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიის» თანამშრომელთან «მემარცხენე» ესერების აჯანყების გამო», «მოხსენება საქარხნო კომიტეტების მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე» 23 ივლისს და სხვები.

ოცდამეშვიდე ტომში შეტანილია 17 ახალი დოკუმენტი, რომლებიც ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად იბეჭდება. ამ დოკუმენტების უმრავლესობა გვიხასიათებს ლენინის მოღვაწეობას რესპუბლიკის თავდაცვის ორგანიზაციის დარგში გერმანელ იმპერიალისტთა შემოტევის დღეებში, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის დასაწყისში. ასეთებია: დეკრეტი «სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!», «პროექტი ბრძანებისა დეპუტატთა ყველა საბჭოსადმი» გერმანელებთან საზავო მოლაპარაკების შესაძლო შეწყვეტასთან დაკავშირებით თავდაცვის აუცილებლობის შესახებ, «დირექტივები ვლადივოსტოკის საბჭოს» იაპონიის მიერ ვლადივოსტოკში დესანტის გადმოსხმის გამო.

ახალი დოკუმენტების ჯგუფს მიეკუთვნება: «დეპეშების გაცვლა-გამოცვლა ი. ბ. სტალინთან» გერმანიის ელჩის მირბახის მოკვლისა და «მემარცხენე»-ესერული ამბოხების გამო, «ლაპარაკი ი. ბ. სტალინთან პირდაპირი მავთულით» პეტროგრადისა და მოსკოვის მძიმე სასურსათო მდგომარეობის შესახებ, «ი. ბ. სტალინის დანიშვნა სასურსათო საქმის ხელმძღვანელად სამხრეთ რუსეთში» და «დეპეშა ი. ბ. სტალინს». ეს დოკუმენტები გვიჩვენებს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თანამეგობრობას, მათს ერთობლივ მოღვაწეობას საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის ორგანიზაციისათვის მისი არსებობის უძნელეს პერიოდში.

წერილში ზინოვიევისა, ლაშევიჩისა და სტასოვასადმი, აგრეთვე ჩანაწერში «პირდაპირი მავთულით. პეტროგრადი, სმოლნი, ზინოვიევს», რომლებიც თხზულებებში პირველად იბეჭდება, ლენინი ააშკარავებს დეზორგანიზატორულ, ანტი-სახელმწიფოებრივ მოქმედებას ზინოვიევისას, რომელიც აფერხებდა პეტროგრადის მუშათა ფრონტზე გაგზავნას და ამით ძირს უთხრიდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციას.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველადაა შეტანილი: ორი დოკუმენტი სოციალისტური აკადემიის დაარსების შესახებ; ორი დოკუმენტი რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ — «იუსტიციის კომისარიატის კოლეგიის წევრებს» და «სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი»; წერილი «რკპ ც. კ-ს», რომელშიც გამოთქმულია პროტესტი მექრთამეობისათვის გამოტანილი რბილი განაჩენის წინააღმდეგ; «სამეურნეო და განსაკუთრებით საბანკო პოლიტიკის ძირითადი დებულებანი»; «სასურსათო რაზმების შესახებ» — სიტყვა მოსკოვის მუშათა კრებებზე 20 ივნისს.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში ახლად შეტანილ ნაშრომთა შორის პირველად ქვეყნდება «პროტესტი გერმანიის მთავრობისადმი ყირიმის ოკუპაციის წინააღმდეგ», რომელიც დაწერილია 1918 წლის 11 მაისს.

ვ. ი. ლენინი
1918

რევოლუციური ფრაზის შესახებ[1]

როდესაც ერთ პარტიულ კრებაზე ვთქვი, რომ რევოლუციურ ფრაზას რევოლუციური ომის შესახებ შეუძლია დაღუპოს ჩვენი რევოლუცია-მეთქი, მე პოლემიკის სიმკაცრე მისაყვედურეს. მაგრამ არის მომენტები, რომლებიც გვაკალდებულებენ პირდაპირ დავაყენოთ საკითხი და საგნებს მათი ნამდვილი სახელი დავარქვათ, რათა გამოუსწორებელი ზიანი არ მივაყენოთ არც პარტიას და არც რევოლუციას.

რევოლუციური ფრაზა ყველაზე ხშირად რევოლუციური პარტიების სენია ისეთ გარემოებებში, როდესაც ეს პარტიები პირდაპირ თუ არაპირდაპირ ახორციელებენ პროლეტარული და წვრილბურჟუაზიული ელემენტების კავშირს, შეერთებას და გადაწვნას და როდესაც რევოლუციურ მოვლენათა მსვლელობა დიდ და სწრაფ ტეხილებს გვიჩვენებს. რევოლუციური ფრაზა არის რევოლუციური ლოზუნგების განმეორება იმ ობიექტურ გარემოებათა გაუთვალისწინებლად, რომელთაც ადგილი აქვს მოვლენათა ამა თუ იმ გარდატეხის დროს, საქმეთა ამა თუ იმ ვითარების დროს. ლოზუნგები საუცხოო, წარმტაცი, გამაბრუებელია, — ნიადაგი კი მათ არა აქვთ, — აი რევოლუციური ფრაზის არსი.

განვიხილოთ მოსაზრებათა თუნდაც მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ჯგუფები რევოლუციური ომის სასარგებლოდ რუსეთში ახლა, 1918 წლის იანვარ-თებერვალში, და ობიექტური სინამდვილის შეპირისპირება ამ ლოზუნგთან მოგვცემს პასუხს ჩვენს მიერ ნახმარი დახასიათების სისწორის საკითხზე.

1

ჩვენი პრესა ყოველთვის ლაპარაკობდა რევოლუციური ომის მზადების აუცილებლობაზე — ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და მეზობელ ქვეყნებში კაპიტალიზმის დარჩენის შემთხვევაში. ეს უდავოა.

კითხვა ისმის, როგორ წავიდა ნამდვილად ეს მზადება ჩვენი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ?

ეს მზადება ისე წავიდა, რომ ჩვენ მოგვიხდა არმიის დემობილიზაცია, ჩვენ იძულებული ვიყავით ეს გვექნა, იძულებული ვიყავით იმდენად თვალსაჩინო, საფუძვლიანი, გადაულახავი გარემოებებით, რომ პარტიაში არათუ არ წარმოშობილა «მიმდინარეობა» ან სულისკვეთება დემობილიზაციის წინააღმდეგ, არამედ საერთოდ ერთი ხმაც კი არ გაისმა დემობილიზაციის წინააღმდეგ. ვინც მოისურვებს ჩაუფიქრდეს ისეთი ორიგინალური მოვლენის კლასობრივ მიზეზებს, როგორიცაა არმიის დემობილიზაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიერ, რომელსაც არ დაუმთავრებია ომი მეზობელ იმპერიალისტურ სახელმწიფოსთან, — ის ადვილად აღმოაჩენს ამ მიზეზებს წვრილმანეულ ჩამორჩენილი ქვეყნის სოციალურ წყობილებაში, იმ ქვეყნისა, რომელიც უკიდურეს ნგრევამდე მივიდა სამი წლის ომის შემდეგ. მრავალმილიონიანი არმიის დემობილიზაცია და ნებაყოფლობითს საფუძველზე წითელი არმიის შექმნის დაწყება[2] — ასეთია ფაქტები.

შეუპირისპირეთ ამ ფაქტებს სიტყვები რევოლუციური ომის შესახებ 1918 წლის იანვარ-თებერვალში, და თქვენთვის ნათელი გახდება რევოლუციური ფრაზის დედაარსი.

ვთქვათ, პიტერისა და მოსკოვის ორგანიზაციის მიერ რევოლუციური ომის «დაცვა» ფრაზა რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ოქტომბრიდან იანვრამდე სხვაგვარ ფაქტებს დავინახავდით: ჩვენ დავინახავდით მათი მხრიდან გაბედულ ბრძოლას დემობილიზაციის წინააღმდეგ. ნამდვილად კი არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა.

ჩვენ დავინახავდით, რომ პიტერელები და მოსკოველები ათი ათასობით აგიტატორებსა და ჯარისკაცებს გაგზავნიდნენ ფრონტზე და იქიდან ყოველდღე მივიღებდით ამბებს მათი ბრძოლის შესახებ დემობილიზაციის წინააღმდეგ, ამ ბრძოლის წარმატების შესახებ, დემობილიზაციის შეჩერების შესახებ.

არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა.

ჩვენ მივიღებდით ასობით ცნობას იმ პოლკების შესახებ, რომელნიც ყალიბდებიან წითელ არმიად, ტერორისტულად აჩერებენ დემობილიზაციას, ანახლებენ დაცვას და გამაგრებას გერმანიის იმპერიალიზმის შესაძლო შემოტევის წინააღმდეგ.

არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. დემობილიზაცია სავსებით გაჩაღებულია. ძველი არმია აღარ არის. ახალი ესესაა ახლა იწყებს ჩასახვას.

ვისაც არ სურს თავი მოიტყუოს სიტყვებით, დეკლამაციით, წამოძახილებით, მას არ შეუძლია არ დაინახოს, რომ რევოლუციური ომის «ლოზუნგი» 1918 წლის თებერვალში წარმოადგენს სრულიად ცარიელ ფრაზას, რომელსაც არაფერი რეალური, ობიექტური არ ახლავს. გრძნობა, სურვილი, გულისწყრომა, აღშფოთება — აი ამ ლოზუნგის ერთადერთი შინაარსი ამჟამად. ხოლო ლოზუნგს, რომელსაც მხოლოდ ასეთი შინაარსი აქვს, სწორედ რევოლუციური ფრაზა ეწოდება.

ჩვენი საკუთარი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხელისუფლების საქმეებმა, პიტერელი და მოსკოველი ბოლშევიკების საქმეებმა გვიჩვენეს, რომ მოხალისეთაგან წითელი არმიის შექმნის პირველ ნაბიჯებს ჯერჯერობით ვერ გავშორებივართ. ამ არასასიამოვნო ფაქტისაგან, მაგრამ მაინც ფაქტისაგან დეკლამაციის საფარველქვეშ თავი შეაფაროთ და ამავე დროს არათუ წინააღმდეგობა არ გაუწიოთ დემობილიზაციას, არამედ სიტყვაც არ დასძრათ მის წინააღმდეგ, — ეს ნიშნავს სიტყვების ხმაურით გაიბრუოთ თავი.

ნათქვამის დამახასიათებელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ, მაგალითად, ჩვენი პარტიის ც. კ-ში სეპარატიული ზავის უაღრესად ცნობილ მოწინააღმდეგეთა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა მ ხმა მისცა რევოლუციური ომის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ხმა მისცა წინააღმდეგ იანვარშიც და თებერვალშიც*. რას ნიშნავს ეს ფაქტი? ის ნიშნავს იმას, რომ რევოლუციური ომის შეუძლებლობა საყოველთაოდ აღიარა ყველამ, ვისაც კი არ ეშინია სიმართლეს თვალი გაუსწოროს.

ასეთ შემთხვევებში სიმართლეს თავიდან იშორებენ ან ცდილობენ მოიშორონ იგი სხვადასხვა მომიზეზებით. გავარჩიოთ ეს მომიზეზებანი.

2

მომიზეზება პირველი. 1792 წლის საფრანგეთი არა ნაკლებ შეწუხებული იყო ნგრევით, მაგრამ რევოლუციურმა ომმა ყველა განკურნა, ყველანი აღაფრთოვანა, გამოიწვია ენთუზიაზმი, ყოველივე დასძლია. მხოლოდ იმათ, ვისაც რევოლუცია არა სწამს, მხოლოდ ოპორტუნისტებს შეუძლიათ ჩვენი უფრო ღრმა რევოლუციის დროს გაილაშქრონ რევოლუციური ომის წინააღმდეგო.

შევუპირისპიროთ ეს მომიზეზება ანუ ეს მოსაზრება ფაქტებს. ფაქტია ის, რომ XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთში ჯ ე რ წარმოების ახალი, უმაღლესი წესის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი საფუძველი შეიქმნა, და უკვე შედეგი, ზედნაშენი იყო ძლიერი რევოლუციური არმია. საფრანგეთმა სხვა ქვეყნებზე ადრე დაამხო ფეოდალიზმი, აღგავა იგი რ ა მ დ ე ნ ი მ ე წ ლ ი ს ძლევამოსილი რევოლუციის შ ე მ დ ე გ, ეკონომიურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილი მთელი რიგი ხალხების წინააღმდეგ ომში გაუძღვა იმ ხალხს, რომელიც არავითარი ომით არ იყო მოქანცული, რომელსაც მოპოვებული ჰქონდა თავისუფლება და მიწა და გამაგრებული იყო ფეოდალიზმის მოსპობით.

შეადარეთ ამ ფაქტს თანამედროვე რუსეთი. ომით გამოწვეული წარმოუდგენელი დაქანცულობა. ახალი ეკონომიური

წყობილება, უფრო მაღალი, ვიდრე ტექნიკურად ჩინებულად მოწყობილი გერმანიის ორგანიზებული სახელმწიფო კაპიტალიზმი, ჯ ე რ კ ი დ ე ვ არაა. მას მხოლოდ ეყრება საფუძველი. ჩვენს გლეხს აქვს მხოლოდ კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ[1], მაგრამ არ უნახავს არც ერთი წლის თავისუფალი (მემამულისაგან და ომით ტანჯვისაგან თავისუფალი) მუშაობა. ჩვენმა მუშამ დაიწყო კაპიტალისტის თავიდან მოშორება, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო მოეწესრიგებინა წარმოება, მოეგვარებინა პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა, პურის მომარაგება, ა ე მ ა ღ ლ ე ბ ი ნ ა შრომის ნაყოფიერება.

ჩვენ აქეთკენ წავედით, ამ გზას დავადექით, მაგრამ ცხადია, რომ ახალი, ეკონომიურად უფრო მაღალი, წყობილება ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ ა რ ი ს.

დამარცხებული ფეოდალიზმი, განმტკიცებული ბურჟუაზიული თავისუფლება, გამაძღარი გლეხი ფეოდალური ქვეყნების წინააღმდეგ, — აი სამხედრო დარგში 1792 — 1793 წლების «სასწაულთა» ეკონომიური საფუძველი.

წვრილ-გლეხური ქვეყანა, მშიერი და ომისაგან განაწამები, რომელმაც ეს-ესაა დაიწყო ომით მიყენებული ჭრილობების მკურნალობა, ტექნიკურად და ორგანიზაციულად უმაღლესი შრომის ნაყოფიერების წინააღმდეგ, — აი ობიექტური მდგომარეობა 1918 წლის დასაწყისში.

აი რატომაა, რომ 1792 წლის და სხვ. ყოველგვარი მოგონება — მხოლოდ რევოლუციურ ფრაზას წარმოადგენს. იმეორებენ ლოზუნგებს, სიტყვებს, საბრძოლო ძახილს. ხოლო ობიექტური სინამდვილის ანალიზის ეშინიათ.

3

მომიზეზება მეორე. გერმანია «ვერ შესძლებს შემოტევას», ნებას არ მისცემს მ ი ს ი მზარდი რევოლუციაო.

გერმანელები რომ «ვერ შესძლებენ შემოტევას», ამ მოსაზრებას მილიონჯერ იმეორებდნენ 1918 წლის იანვარსა და თებერვლის დასაწყისში სეპარატიული ზავის მოწინააღმდეგენი. ყველაზე ფრთხილნი მათ შორის განსაზღვრავდნენ —

დაახლოებით, რასაკვირველია, — იმ ვარაუდს, რომ გერმანელები ვერ შესძლებენ შემოტევას, 25 — 33%-ით.

ფაქტებმა გააბათილეს ეს ანგარიში. სეპარატიული ზავის მოწინააღმდეგენი აქაც ძალიან ხშირად ერიდებიან ფაქტებს, რადგან ეშინიათ მათი რკინისებური ლოგიკისა.

რა იყო იმ შეცდომის წყარო, რომელიც ნამდვილ რევოლუციონერებს (და არა გრძნობის რევოლუციონერებს) უნდა შეეძლოთ აღიარონ და რომელსაც ისინი უნდა ჩაუფიქრდნენ?

იყო ის, რომ ჩვენ საზოგადოდ მანევრირებას და აგიტაციას ვეწეოდით საზავო მოლაპარაკებასთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ? არა. არა ეს. მანევრირება და აგიტაცია საჭირო იყო. მაგრამ აგრეთვე საჭირო იყო განგვესაზღვრა «ჩვენი დრო» როგორც მანევრებისა და აგიტაციისათვის, — სანამ მანევრირება და აგიტაცია შესაძლებელი იყო, — ისე ყოველგვარი მანევრების შესაწყვეტად იმ დროს, როდესაც საკითხი პირდაპირ დაისვა.

შეცდომის წყარო ის იყო, რომ გერმანელ რევოლუციურ მუშებთან ჩვენი რევოლუციური თანამშრომლობა ფრაზად გადაიქცა. ყველაფრით, რითაც კი შეგვეძლო, ჩვენ ვეხმარებოდით გერმანელ რევოლუციურ მუშებს და ახლაც ვეხმარებით მათ — დაძმობილებით, აგიტაციით, საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებით და სხვ. ეს იყო დახმარება საქმით, საქმიანი დახმარება.

ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის განცხადება კი: «გერმანელები ვერ შესძლებენ შემოტევასო» — ფრაზა იყო. ჩვენ ეს-ესაა განვიცადეთ ჩვენში რევოლუცია. ჩვენ ყველამ ჩინებულად ვიცით, რატომ შეიძლებოდა უფრო ადვილად დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი ყ ო რევოლუცია რუსეთში, ვიდრე ევროპაში. ჩვენ ვნახეთ, რომ ჩვენ ვერ შევუშალეთ ხელი რუსეთის იმპერიალიზმის შეტევას 1917 წ. ივნისში, თუმცა ჩვენში უკვე გვქონდა რევოლუცია, რომელიც არა მარტო დაწყებული იყო, რომელმაც არა მარტო დაამხო მონარქია, არამედ ყველგან შექმნა

კიდეც საბჭოები. ჩვენ ვხედავდით, ჩვენ ვიცოდით, ჩვენ ვუხსნიდით მუშებს: ომებს მთავრობები აწარმოებენ. ბურჟუაზიული ომის შესაწყვეტად საჭიროა ბურჟუაზიული მთავრობის დამხობა.

ამიტომ განცხადება: «გერმანელები ვერ შესძლებენ შემოტევასო» — უდრიდა განცხადებას: «ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის მთავრობა უახლოეს კვირეებში იქნება დამხობილი». ნამდვილად კი ჩვენ ეს არ ვიცოდით და არც შეგვეძლო გვცოდნოდა, ამიტომაც განცხადება ფრაზას წარმოადგენდა.

ერთია — დარწმუნებული იყოთ გერმანიის რევოლუციის მომწიფებაში და სერიოზული დახმარება აღმოუჩინოთ ამ მომწიფებას, შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ მუშაობით, აგიტაციით, დაძმობილებით, — რითაც გნებავთ, მხოლოდ დაეხმაროთ ამ მომწიფებას მუშაობით. ამაში მდგომარეობს რევოლუციური პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

მეორეა — განაცხადოთ პირდაპირ ან არაპირდაპირ, აშკარად თუ ფარულად, რომ გერმანიის რევოლუცია უკვე მომწიფდა (თუმცა, აშკარაა, ეს ასე არ არის), და ამაზე დაამყაროთ საკუთარი ტაქტიკა. აქ არ არის რევოლუციურობის ნასახიც კი, აქ მარტო ფრაზიორობაა.

აი სადაა იმ შეცდომის წყარო, რომელიც შეიცავდა «ამაყ, ბრწყინვალე, ეფექტურ, მყვირალა» მტკიცებას: «გერმანელები ვერ შესძლებენ შემოტევასო».

4

იმავე ფრაზისტული უაზრობის მხოლოდ ვარიანტს წარმოადგენს მტკიცება: «როცა გერმანიის იმპერიალიზმს ვეწინააღმდეგებით, ჩვენ გერმანიის რევოლუციას ვეხმარებით, ჩვენ ამით ვაახლოებთ ლიბკნეხტის გამარჯვებას ვილჰელმზეო».

რა თქმა უნდა, ლიბკნეხტის გამარჯვება — შესაძლებელი და გარდუვალი მაშინ, როდესაც გერმანიის რევოლუცია მომწიფდება და გარდუვალი გახდება — გვიხსნის ჩვენ ყველა

საერთაშორისო სიძნელისაგან, გვიხსნის აგრეთვე რევოლუციური ომისგანაც. ლიბკნეხტის გამარჯვება გვიხსნის ყოველი ჩვენი სისულელის შედეგებისაგან. ნუთუ ეს — სისულელის გამართლებაა?

განა ყოველი «წინააღმდეგობა» გერმანიის იმპერიალიზმისადმი ეხმარება გერმანიის რევოლუციას? ვინც მოისურვებს ცოტა ჩაუფიქრდეს ან თუნდაც მოიგონოს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორია, ის ადვილად დაინახავს, რომ რევოლუციას სამსახურს უწევს მხოლოდ მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ი წინააღმდეგობა რეაქციისადმი. ჩვენ ვიცით და ნახევარი საუკუნის რევოლუციური მოძრაობის განმავლობაში რუსეთში ვნახეთ რეაქციისადმი მიზანშეუწონელი წინააღმდეგობის მრავალი მაგალითი. ჩვენ, მარქსისტები, ყოველთვის ვამაყობდით იმით, რომ მასობრივი ძალებისა და კლასობრივი ურთიერთდამოკიდებულების მკაცრი შეფასებით განვსაზღვრავდით ბრძოლის ამა თუ იმ ფორმის მიზანშეწონილობას. ჩვენ ვამბობდით: აჯანყება ყოველთვის როდია მიზანშეწონილი, განსაზღვრულ მასობრივ წანამძღვართა გარეშე იგი ავანტიურაა; ძალიან ხშირად ჩვენ ვგმობდით, როგორც მიზანშეუწონელსა და მავნებელს რევოლუციის თვალსაზრისით, ინდივიდუალური წინააღმდეგობის უაღრესად გმირულ ფორმებს. 1907 წ. ჩვენ, მწარე გამოცდილების საფუძველზე, უარვყავით, როგორც მიზანშეუწონელი, წინააღმდეგობა III სათათბიროში მონაწილეობისადმი და სხვ. და სხვ.

გერმანიის რევოლუციას რომ დავეხმაროთ, საჭიროა ან პროპაგანდით, აგიტაციით, დაძმობილებით დავკმაყოფილდეთ, ვიდრე ძალა არ შეგვწევს მტკიცე, სერიოზული, გადამწყვეტი დარტყმისათვის აშკარა სამხედრო თუ სააჯანყებო შეტაკების დროს, — ან წავიდეთ ასეთ შეტაკებაზე, როცა ვ ი ც ი თ, რომ ამით მტერს არ ვუწყობთ ხელს.

ცხადია ყველასათვის (გარდა ფრაზით სრულიად გაბრუებული ადამიანებისა), რომ სერიოზულ სააჯანყებო თუ სამხედრო შეტაკებაზე წასვლა მაშინ, როცა ძალები ა შ კ ა რ ა დ

არა გვყავს, არმია ა შ კ ა რ ა დ არა გვყავს, — არის ავანტიურა, რომელიც კი არ ეხმარება გერმანელ მუშებს, არამედ აძნელებს მათ ბრძოლას, აადვილებს მათი მტრისა და ჩვენი მტრის საქმეს.

5

აქ კიდევ მომიზეზებაა, რომელიც ისე ბავშვურად სასაცილოა, რომ არასოდეს არ დავიჯერებდი ასეთი არგუმენტის შესაძლებლობას, თვითონ საკუთარი ყურით რომ არ გამეგონა იგი.

«ჩვენ ოქტომბერშიც ხომ გვეუბნებოდნენ ოპორტუნისტები, რომ არა გვყავს ძალები, არა გვყავს ჯარი, არა გვაქვს ტყვიამფრქვევები, არა გვაქვს ტექნიკაო; ხოლო ყოველივე ეს გაჩნდა ბრძოლაში, როდესაც დაიწყო კლასის ბრძოლა კლასის წინააღმდეგ. გაჩნდება ყოველივე ეს რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლაშიც გერმანიის კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ, ჩვენ მოგვეშველება გერმანელი პროლეტარიო».

ოქტომბერში საქმე ისე იყო, რომ ჩვენ ზუსტად გავითვალისწინეთ სწორედ მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ძალები. ჩვენ არა მარტო ვფიქრობდით, არამედ მტკიცედ ვ ი ც ო დ ი თ, საბჭოების მ ა ს ო ბ რ ი ვ ი არჩევნების გამოცდილების საფუძველზე, რომ მუშებისა და ჯარისკაცების უდიდესი უმრავლესობა სექტემბერში და ოქტომბრის დამდეგს უ კ ვ ე გადმოვიდა ჩვენს მხარეზე. ჩვენ ვიცოდით თუნდაც კენჭისყრიდან დემოკრატიულ თათბირზე[5], რომ კოალიცია გლეხობაშიც ჩაშლილია — მაშასადამე, ჩვენმა საქმემ უ კ ვ ე გაიმარჯვა.

ასეთი იყო ოქტომბრის სააჯანყებო ბრძოლის ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი წანამძღვარნი:

1) ჯარისკაცებზე ჯოხი აღარ ბატონობს: იგი დაამხო 1917 წლის თებერვალმა (გერმანია ჯერ კიდევ არ მომწიფებულა «თავისი» თებერვლისათვის);

2) ჯარისკაცებმა, ისე როგორც მუშებმა, უკვე განიცადეს და დაასრულეს თავიანთი შეგნებული, მოფიქრებული, ნაგრძნობი ჩ ა მ ო შ ო რ ე ბ ა კოალიციისაგან.

აქედან, მხოლოდ აქედან გამომდინარეობდა «აჯანყების» ლოზუნგის სისწორე ოქტომბერში (ეს ლოზუნგი სწორი არ იქნებოდა ივლისში, როდესაც იგი არც წამოგვიყენებია).

ოქტომბრის ოპორტუნისტების[6] შეცდომა ის კი არაა, რომ ისინი «ზრუნავდნენ» ობიექტურ წანამძღვრებზე (მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ ასე იფიქრონ), არამედ ის, რომ მათ ფაქტები სწორად ვერ შეაფასეს, ყურადღებას აქცევდნენ წვრილმანებს, ვერ ხედავდნენ მთავარს: საბჭოების მობრუნებას შემთანხმებლობიდან ჩვენკენ.

შედარება გერმანიასთან (რომელსაც ჯერ არ განუცდია არც «თავისი» თებერვალი და არც თავისი «ივლისი», ოქტომბერზე რომ აღარაფერი ვთქვათ), მონარქიული ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური მთავრობის გერმანიასთან სამხედრო შეტაკებისა და ოქტომბერში საბჭოების მტრების წინააღმდეგ საჯანყებო ბრძოლისა, — იმ საბჭოების, რომელნიც მწიფდებოდნენ 1917 წლის თებერვლიდან და სავსებით მომწიფდნენ სექტემბერსა და ოქტომბერში, — ეს ისეთი ბავშვობაა, რომ საჭიროა მასზე მხოლოდ თითით უჩვენოთ. აი რა უაზრობამდე მიყავს ადამიანები ფრაზას!

6

მომიზეზება სხვაგვარი: «მაგრამ გერმანია დაგვახრჩობს ჩვენ ეკონომიურად სეპარატიული ზავის ხელშეკრულებით, წაგვართმევს ნახშირს, პურს, დაგვიმონებსო».

ფრიად ბრძნული მოსაზრებაა: უნდა წავიდეთ სამხედრო შეტაკებაზე, უარმიოდ, თუმცა ამ შეტაკებას აუცილებლად მოყვება არა მარტო დამონება, არამედ დახრჩობაც, პურის წართმევა, ყოველგვარი ეკვივალენტების გარეშე, სერბიისა და ბელგიის მდგომარეობა, — უნდა მივიღოთ ეს, ვინაიდან სხვანაირად არახელსაყრელი ხელშეკრულება იქნება, გერმანია წაიღებს ჩვენგან 6 თუ 12 მილიარდ ხარკს განსაზღვრულ ვადებში, პურს მანქანების საფასურადო და სხვ.

ო, რევოლუციური ფრაზის გმირები! იმპერიალიზმისადმი «დამონებას» რომ უარყოფენ, ისინი თ ა ვ მ დ ა ბ ლ ა დ სდუმან იმაზე, რომ დამონებისაგან სავსებით განსათავისუფლებლად საჭიროა იმპერიალიზმის დ ა მ ხ ო ბ ა.

ჩვენ ვიღებთ არახელსაყრელ ხელშეკრულებას და სეპარატიულ ზავს, რადგან ვიცით, რომ დ ღ ე ს ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ მზად რევოლუციური ომისათვის, რომ უნდა შეგვწევდეს უნარი ვიცადოთ (როგორც ვიცადეთ, როცა ვიტანდით კერენსკის კაბალას, როცა ვიტანდით ჩვენი ბურჟუაზიის კაბალას, ივლისიდან ოქტომბრამდე), ვიცადოთ, სანამ უფრო არ გავმაგრდებით. ამიტომ, თ უ შ ე ი ძ ლ ე ბ ა უაღრესად არახელსაყრელი სეპარატიული ზავის მიღება, უ ნ დ ა ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მ ი ვ ი ღ ო თ იგი სოციალისტური რევოლუციის ინტერესებისათვის, რომელიც ჯ ე რ კ ი დ ე ვ სუსტია (ვინაიდან ჩვენ, რუსებს, ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ მოგვშველებია გერმანიის რევოლუცია, რომელიც მწიფდება). მხოლოდ სეპარატიული ზავის ს რ უ ლ ი შეუძლებლობის დროს მოგვიხდება ბრძოლის მყისვე დაწყება — ა რ ა ი მ ი ტ ო მ, რ ო მ ე ს ი ქ ნ ე ბ ა ს წ ო რ ი ტ ა ქ ტ ი კ ა, ა რ ა მ ე დ ი მ ი ტ ო მ, რ ო მ ა რ ჩ ე ვ ა ნ ი ა რ გ ვ ე ქ ნ ე ბ ა. ასეთი შეუძლებლობის დროს არც კამათი იქნება შესაძლებელი ამა თუ იმ ტაქტიკაზე. იქნება მხოლოდ უაღრესად გააფთრებული წინააღმდეგობის აუცილებლობა. მაგრამ ვიდრე არის არჩევანი, უნდა ავირჩიოთ სეპარატიული ზავი და უაღრესად არახელსაყრელი ხელშეკრულება, ვინაიდან ეს მაინც ასჯერ უკეთესია ბელგიის მდგომარეობაზე.

ჩვენ ვმაგრდებით ყოველთვიურად, თუმცა ჯერ კიდევ სუსტნი ვართ დღეს. საერთაშორისო სოციალისტური რევოლუცია ევროპაში ყოველთვიურად მწიფდება, თუმცა იგი ჯერ კიდევ არ მომწიფებულა. ამიტომ... ამიტომ, — მსჯელობენ «რევოლუციონერები» (მიხსენით უბედურებისაგან...), — უნდა მივიღოთ ბრძოლა მაშინ, როდესაც ა შ კ ა რ ა დ ჩვენზე ძლიერია გერმანიის იმპერიალიზმი, რომელიც ს უ ს ტ დ ე ბ ა

ყოველთვიურად (გერმანიაში რევოლუციის ნელი, მაგრამ განუხრელი მომწიფების გამო).

დიდებულად მსჯელობენ გრძნობის «რევოლუციონერები», საუცხოოდ მსჯელობენ!

7

მომიზეზება უკანასკნელი და ყველაზე «მოხერხებული», ყველაზე გავრცელებული: «უხამსი ზავი — სამარცხვინოა, იგი გამცემლობაა ლატვიის, პოლონეთის, კურლანდიის, ლიტვის მიმართო».

განა საკვირველია, რომ სწორედ რუსეთის ბ ურ ჟ უ ე ბ ი (და მათი მაჩანჩალები — ნოვოლუჩელები[7], დელონაროდელები[8], ნოვოჟიზნელები[9]) — ყველაზე უფრო გულმოდგინედ ამუშავებენ ამ ვითომდა ინტერნაციონალისტურ მოსაზრებას?

არა, არ არის საკვირველი, ვინაიდან ეს მოსაზრება მახეა, რომელშიც ბურჟუაზია მიათრევს რუსეთის ბოლშევიკებს შეგნებულად, ხოლო ბოლშევიკების ერთი ნაწილი ვარდება შეუგნებლად, ფრაზის სიყვარულის გამო.

განვიხილოთ ეს მოსაზრება თეორიულად: რა უფრო მაღლა დგას — ერთა თვითგამორკვევის უფლება თუ სოციალიზმი?

სოციალიზმი უფრო მაღლა დგას.

შესაწყნარებელია თუ არა ერთა თვითგამორკვევის უფლების დარღვევის გულისათვის შესაჭმელად მივცეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, იმპერიალიზმის დარტყმები განვაცდევინოთ მას მაშინ, როდესაც იმპერიალიზმი აშკარად უფრო ძლიერია, საბჭოთა რესპუბლიკა აშკარად უფრო სუსტია?

არა. არ არის შესაწყნარებელი. ეს სოციალისტური კი არა, ეს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი პოლიტიკაა.

შემდეგ. ზავი «ჩვენთვის» პოლონეთის, ლიტვის, კურლანდიის დაბრუნების პირობით ნ ა კ ლ ე ბ სამარცხვინო, ნაკლებ ანექსიონისტური ზავი იქნებოდა?

რუსი ბურჟუას თვალსაზრისით, კ ი.

სოციალისტ-ინტერნაციონალისტის თვალსაზრისით, ა რ ა.

ვინაიდან, პოლონეთის განთავისუფლების (რაც ერთ დროს უნდოდა ზოგიერთ ბ უ რ ჟ უ ა ს გერმანიაში) შემდეგ გერმანიის იმპერიალიზმი კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ძ ლ ი ე რ ა დ დაუწყებდა დახრჩობას სერბიას, ბელგიას და სხვ.

რუსეთის ბურჟუაზია რომ ხმამაღლა მოთქვამს «ეხამსი» ზავის წინააღმდეგ, ეს — სწორი გამოხატულებაა მისი კლასობრივი ინტერესისა.

მაგრამ როდესაც (ფრაზის წყლულით დაავადებული) ზოგიერთი ბოლშევიკი იმეორებს ამ მოსაზრებას, — ეს მხოლოდ სევდის მომგვრელია.

შეხედეთ ფ ა ქ ტ ე ბ ს ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიის მოქმედების შესახებ. ის ყოველნაირად გვითრევს ახლა ომში გერმანიასთან, გვპირდება მილიონობით სიკეთეს, ჩექმებს, კარტოფილს, ყუმბარებს, ორთქლმავლებს (ნისიად... ეს «კაბალა» არაა, ნუ გეშინიათ! ეს «მხოლოდ» ნისიაა!). მას უნდა, რომ ჩვენ ა ხ ლ ა ვეომოთ გერმანიას.

გასაგებია, თუ რატომ უნდა სურდეს ეს მას: ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ჩვენკენ წამოვიდოდა გერმანიის ძალების ნაწილი. მეორე, იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე უფრო ადვილად დაიღუპებოდა გერმანიის იმპერიალიზმთან უდროო სამხედრო შეტაკებით.

ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია ჩვენ მახეს გვიგებს: წაბრძანდით, პატივცემულნო, და იომეთ ა ხ ლ ა, ჩვენ ამით დიდებულად მოვიგებთ. გერმანელები თქვენ გაგძარცვავენ, ისინი «შეიძენენ» აღმოსავლეთში, იაფად დათმობენ დასავლეთში, ამავე დროს კი, საბჭოთა ხელისუფლებაც გაქრება... იომეთ, პატივცემულო «მოკავშირე» ბოლშევიკებო, ჩვენ დაგეხმარებითო!

და «მემარცხენე» (მიხსენით უბედურებისაგან) ბოლშევიკები[10] მიძვრებიან მახეში უაღრესად რევოლუციური ფრაზების წარმოთქმით...

დიახ, დიახ, წვრილბურჟუაზიულობის კვალის ერთ-ერთი გამოხატულება სწორედ რევოლუციური ფრაზის აყოლაში

მდგომარეობს. ეს — ძველი ჭეშმარიტებაა, ძველი ისტორიაა, რომელიც ძალიან ხშირად იქცევა ხოლმე ახალ ამბად...

8

1907 წლის ზაფხულში ჩვენმა პარტიამაც განიცადა ერთგვარად რევოლუციური ფრაზის ანალოგიური ავადმყოფობა.

პიტერი და მოსკოვი, თითქმის ყველა ბოლშევიკი III სათათბიროს ბოიკოტს ემხრობოდნენ, ობიექტური ანალიზის ნაცვლად «გრძნობით» ხელმძღვანელობდნენ, მახეში მიძვრებოდნენ.

ავადმყოფობა განმეორდა.

დრო უფრო ძნელია. საკითხი მილიონჯერ უფრო მნიშვნელოვანია. ასეთ დროს დაავადმყოფება — ნიშნავს რევოლუცია დასაღუპავად გაიმეტო.

უნდა ვებრძოლოთ რევოლუციურ ფრაზას, იძულებული ვართ ვებრძოლოთ, აუცილებლად უნდა ვებრძოლოთ, რომ ჩვენზე როდისმე არა თქვან მწარე სიმართლე: «რევოლუციურმა ფრაზამ რევოლუციური ომის შესახებ დაღუპა რევოლუციაო».

«პრავდა» № 31, 1918 წ. 21 თებერვალი
ხელმოწერა: კ ა რ პ ო ვ ი

სრულიად რუსეთის
ცაკის «იზვესტია» № 43,
1918 წ. 8 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პრავდის» ტექსტის
მიხედვით, რომელიც შედარებულია
სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთ
«იზვესტიის» ტექსტთან

СОЦІАЛИСТИЧЕСКОЕ ОТЕЧЕСТВО ВЪ ОПАСНОСТИ!

Чтобъ спасти изнуренную, истерзанную страну отъ новыхъ военныхъ испытаній, мы пошли на величайшую жертву и объявили нѣмцамъ о нашемъ согласіи подписать ихъ условія мира.

Наши парламентеры 20 (7) февраля, вечеромъ, выѣхали изъ Рѣжицы въ Двинскъ и до сихъ поръ нѣтъ отвѣта.

Нѣмецкое правительство, очевидно, медлитъ отвѣтомъ. Оно явно и не хочетъ мира. Выполняя порученіе капиталистовъ всѣхъ странъ германскій милитаризмъ хочетъ задушить русскихъ и украинскихъ рабочихъ и крестьянъ, вернуть земли помѣщикамъ, фабрики и заводы — банкирамъ, власть монархіи.

Германскіе генералы хотятъ установить свой „порядокъ" въ Петроградѣ и въ Кіевѣ

Соціалистическая Республика Совѣтовъ находится въ величайшей опасности.

До того момента, какъ поднимется и побѣдитъ пролетаріатъ Германіи, священнымъ долгомъ рабочихъ и крестьянъ Россіи является беззавѣтная защита Республики Совѣтовъ противъ полчищъ буржуазно-имперіалистской Германіи.

Совѣтъ Народныхъ Комиссаровъ постановляетъ:

1) Всѣ силы и средства страны цѣликомъ предоставляются на дѣло революціонной обороны.

2) Всѣмъ Совѣтамъ и Революціоннымъ организаціямъ вмѣняется въ обязанность защищать занятую позицію до послѣдней капли крови.

3) Желѣзнодорожныя организаціи и связанные съ ними Совѣты обязаны всѣми силами воспрепятствовать врагу воспользоваться аппаратомъ путей сообщенія; при отступленіи уничтожать пути, взрывать и сжигать желѣзнодорожныя зданія; весь подвижной составъ — вагоны и паровозы, — немедленно направлять на востокъ въ глубь страны.

4) Всѣ хлѣбные, и вообще продовольственные запасы, а равно всякое цѣнное имущество, которымъ грозитъ опасность попасть въ руки врага, должны подвергаться безусловному уничтоженію; наблюденіе за этимъ возлагается на мѣстные Совѣты подъ личной отвѣтственностью ихъ предсѣдателей.

5) Рабочіе и крестьяне Петрограда, Кіева, всѣхъ городовъ, мѣстечекъ селъ и деревень по линіи новаго фронта, должны мобилизовать батальоны для рытья окоповъ подъ руководствомъ военныхъ спеціалистовъ.

6) Въ эти батальоны должны быть включены всѣ работоспособные члены буржуазнаго класса мужчины и женщины подъ надзоромъ красногвардейцевъ; сопротивляющихся разстрѣливать.

7) Всѣ изданія, противодѣйствующія дѣлу революціонной обороны и становящіеся на сторону нѣмецкой буржуазіи, а также стремящіеся использовать нашествіе имперіалистическихъ полчищъ въ цѣляхъ свержения Совѣтской власти, закрываются; работоспособные редакторы и сотрудники этихъ изданій мобилизуются для рытья окоповъ и другихъ оборонительныхъ работъ.

8) Непріятельскіе агенты, спекулянты, громилы, хулиганы, контръ-революціонные агитаторы, германскіе шпіоны разстрѣливаются на мѣстѣ преступленія.

Соціалистическое отечество въ опасности! Да здравствуетъ соціалистическое отечество! Да здравствуетъ Международная Соціалистическая революція!

Совѣтъ Народныхъ Комиссаровъ.

21-го февраля. Петроградъ.

დეკრეტი «სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია»,
დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ. — 1918 წ. 21 თებერვალი.

დასტარავებულია

სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია![11]

დაუძლურებული, განაწამები ქვეყნის გადასარჩენად ახალი სამხედრო განსაცდელისაგან, ჩვენ დავთანხმდით უდიდეს მსხვერპლს და გამოვუცხადეთ გერმანელებს, რომ თანახმა ვართ ხელი მოვაწეროთ მათ საზავო პირობებს[12]. ჩვენი პარლამენტიორები 20 (7) თებერვალს საღამოს რეჟიციდან დვინსკს გაემგზავრნენ, და აქამდე პასუხი არ არის. გერმანიის მთავრობა, ჩანს, აყოვნებს პასუხს. მას აშკარად არ უნდა ზავი. გერმანიის მილიტარიზმს, რომელიც ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა დავალებას ასრულებს, სწადია დაახრჩოს რუსი და უკრაინელი მუშები და გლეხები, დაუბრუნოს მიწები მემამულეებს, ფაბრიკები და ქარხნები — ბანკირებს, ძალაუფლება — მონარქიას. გერმანელ გენერლებს უნდათ თავიანთი «წესრიგი» დაამყარონ პეტროგრადსა და კიევში. საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა უდიდეს საფრთხეშია. იმ მომენტამდე, ვიდრე გერმანიის პროლეტარიატი ალსდგებოდეს და გაიმარჯვებდეს, რუსეთის მუშათა და გლეხთა წმიდათა წმიდა მოვალეობაა თავდადებით დაიცვან საბჭოების რესპუბლიკა ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური გერმანიის ურდოების შემოტევისაგან. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: 1) ქვეყნის მთელ ძალები და

საშუალებანი მთლიანად მოხმარდეს რევოლუციური თავდაცვის საქმეს. 2) ყველა საბჭოს და რევოლუციურ ორგანიზაციას ევალება უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას თვითეული პოზიცია. 3) რკინიგზის ორგანიზაციები და მათთან დაკავშირებული საბჭოები მოვალენი არიან მთელი ძალებით ხელი შეუშალონ მტერს გზათა მიმოსვლის აპარატის გამოყენებაში; უკანდახევისას მოსპონ გზები, ააფეთქონ და ცეცხლი წაუკიდონ რკინიგზის შენობებს; მთელი მოძრავი შემადგენლობა — ვაგონები და ორთქლმავლები — დაუყოვნებლივ გზავნონ ალმოსავლეთისაკენ ქვეყნის სიღრმეში. 4) პურისა და საერთოდ სურსათის მთელი მარაგი, აგრეთვე ყოველგვარი ძვირფასი ქონება, რომელსაც მტრის ხელში ჩავარდნის საფრთხე ემუქრება, უსათუოდ მოსპობილ უნდა იქნას; ამისთვის თვალყურის დევნება ეკისრებათ ადგილობრივ საბჭოებს მათი თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით. 5) პეტროგრადის, კიევის და ახალი ფრონტის ხაზზე მდებარე ყველა ქალაქის, დაბისა და სოფლის მუშებმა და გლეხებმა უნდა მოახდინონ ბატალიონების მობილიზაცია სანგრების სათხრელად სამხედრო სპეციალისტთა ხელმძღვანელობით. 6) ამ ბატალიონებში შეყვანილ უნდა იქნას ბურჟუაზიული კლასის ყველა შრომისუნარიანი წევრი, მამაკაცები და ქალები, წითელგვარდიელთა ზედამხედველობით; ვინც წინააღმდეგობას გასწევს — დახვრეტილ იქნას. 7) ყველა გამოცემა, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ რევოლუციური თავდაცვის საქმეს და გერმანიის ბურჟუაზიის მხარეზე დგებიან, აგრეთვე ცდილობენ იმპერიალისტური ურდოების შემოსევა გამოიყენონ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით, — დაიხუროს; ამ გამოცემათა შრომისუნარიანი რედაქტორები და თანამშრომლები გაწვეულ იქნან სანგრების სათხრელად და სხვა თავდაცვითი სამუშაოებისათვის. 8) მტრის აგენტები, სპეკულანტები,

დამრბევები, ხულიგნები, კონტრრევოლუციური აგიტატორები, გერმანიის ჯაშუშები დახვრეტილ იქნან დანაშაულის ადგილას.

სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია! გაუმარჯოს სოციალისტურ სამშობლოს! გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციას!

სახალხო კომისართა საბჭო

1918 წლის 21 თებერვალი.

პეტროგრადი.

«პრავდა» № 32, 1918 წ. 22 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

დამატება სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა: «სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!»

სახალხო კომისართა საბჭოს 21 თებერვლის დეკრეტის მართებული და დაუყოვნებლივი შესრულებისათვის წესდება:

(1) თვითეული მუშა, რომელმაც იმუშავა 8 საათი დღე-ღამეში, ვალდებულია ყოველდღე სამი საათი (ან 4 ½ საათი დღე-ღამეში მესამე დღის დასვენებით) იმუშაოს სამხედრო ან ადმინისტრაციულ დარგში.

(2) თვითეული, რომელიც ეკუთვნის მდიდართა კლასს ან შეძლებულ ჯგუფებს (შემოსავალი არა ნაკლებ 500 მან. თვეში, ან ხელთქონებული ფულადი მარაგი არა ნაკლებ 1 500 მან.), ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიძინოს მ უ შ ი ს წ ი გ ნ ა კ ი, სადაც ყოველკვირეულად აღინიშნება, შეასრულა თუ არა მან სამხედრო თუ ადმინისტრაციული მუშაობის სათანადო ნაწილი. აღნიშვნას აწარმოებს მუშათა პროფესიული კავშირი, მუშათა დეპუტატების საბჭო ან წითელი გვარდიის ადგილობრივი რაზმის შტაბი, კუთვნილებისამებრ.

შეძლებულები მუშის წიგნაკს ღებულობენ 50 მანეთად თითოს.

(3) არამუშები, რომელნიც შეძლებულ კლასებს არ ეკუთვნიან, ვალდებული არიან აგრეთვე იქონიონ მუშის წიგნაკი, რომელიც მათ ეთმობათ 5 მანეთად (ან 1 მანეთად, თვითღირებულების მიხედვით).

შეძლებულთა მუშის წიგნაკებში განსაკუთრებული გრაფებია მიჩნეული შემოსავლისა და გასავლის თანხების ყოველკვირეული რეგისტრაციისათვის.

მუშის წიგნაკის უქონლობა ან არასწორი (მით უფრო — ყალბი) ჩანაწერის წარმოება ისჯება სამხედრო დროის კანონების მიხედვით.

ყველამ, ვისაც იარაღი აქვს, უნდა მიიღოს ახალი ნებართვა (ა) თავისი ადგილობრივი სახლის კომიტეტისაგან; (ბ) § 2-ში აღნიშნული დაწესებულებებისაგან. იარაღის ქონა ორი ნებართვის გარეშე — აკრძალულია; ამ წესის დარღვევისათვის სასჯელია — დახვრეტა.

იგივე სასჯელია სურსათის მარაგის გადამალვისათვის.

სასურსათო საქმის წესიერად დაყენების მიზნით ყ ვ ე ლ ა მოქალაქე ვალდებულია გაერთიანდეს ს ა მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ლ ო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ე ბ შ ი, სახლ... *

დაწერილია 1918 წ. 21 ან
22 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1927 წ.
22 დეკემბერს
გაზეთ «პრავდაში» № 293

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

მღიერის შესახებ

მტანჯველი სენია — მღიერი. ხოლო როდესაც ადამიანებს რევოლუციური ფრაზის მღიერი ედება, უკვე მარტო ამ სენის დაკვირვება იწვევს აუტანელ ტანჯვას.

უბრალო, ნათელ, გასაგებ, მშრომელი მასის ყოველი წარმომადგენლისათვის თვალსაჩინო, სრულიად უდავო ჭეშმარიტებებს ამახინჯებენ ისინი, ვინც დაავადებულია მღიერის ამ სახესხვაობით. ხშირად ეს დამახინჯება ხდება საუკეთესო, უკეთილშობილესი, უმაღლესი განზრახვით, «პირდაპირ» განსაზღვრულ თეორიულ ჭეშმარიტებათა მოუნელებლობის ან მათი უადგილოდ ბავშვურ-უხეში, მოწაფურ-მონური განმეორების გამო (ადამიანებს არ ესმით, როგორც ამბობენ, «რა რისთვის»), მაგრამ ამით მღიერი მაინც ცუდ მღიერად რჩება.

მაგალითად, რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო უდავო და ნათელი, ვიდრე შემდეგი ჭეშმარიტება: მთავრობა, რომელმაც სამი წლის მძარცველური ომით გატანჯულ ხალხს საბჭოთა ხელისუფლება, მიწა, მუშათა კონტროლი და ზ ა ვ ი მისცა, უძლეველი იქნება? ზავი — უმთავრესია. თუ საერთო და სამართლიანი ზავის მიღებისათვის კ ე თ ი ლ ს ი ნ დ ი ს ი ე რ ღონისძიებათა შემდეგ აღმოჩნდა, ნამდვილად აღმოჩნდა, რომ მისი მიღება ა მ ჟ ა მ ა დ შეუძლებელია, ყოველი გლეხი მიხვდება, რომ უნდა მივიღოთ არა საერთო, არამედ სეპარატიული (ცალკეული) და უსამართლო ზავი. ყოველი გლეხი, ყველაზე გონებადახშული და უმეცარიც კი, მიხვდება ამას

და დ ა ა ფ ა ს ე ბ ს იმ მთავრობას, რომელმაც მას ასეთი ზავი მაინც მისცა.

ბოლშევიკები ფრაზის საზიზღარი მღიერით უნდა დაავადებულიყვნენ, რომ დაევიწყნათ ეს და გამოეწვიათ უკანონიერესი უკმაყოფილება გლეხების მხრივ, როდესაც ამ მღიერმა მიგვიყვანა მძარცველი გერმანიის ახალ ომამდე დაქანცული რუსეთის წინააღმდეგ! თუ რა სასაცილო და უბადრუკ «თეორიულ» ჩმახვასა და სოფიზმებში ეხვეოდა მღიერი, ეს მე გამოვააშკარავე სტატიაში: «რევოლუციური ფრაზის შესახებ» («პრავდა», 21 (8) თებერვალი) *. მე ამას არ გავიხსენებდი, დღეს რომ იგივე მღიერი სხვა ახალ ადგილზე არ გადასულიყო (მეტად გადამდები სენია!)[13].

იმის განსამარტავად, თუ როგორ მოხდა ეს, მოვიყვან ჯერ პატარა მაგალითს, რაც შეიძლება უბრალოს, აშკარას, «უთეორიოდ», — თუ მღიერი «თეორიად» საღდება, ეს აუტანელია, — ბრძნული სიტყვების გარეშე, მასისათვის გასაგებ მაგალითს.

ვთქვათ, კალიაევი[14] ტირანისა და მტარვალის მოსაკლავად რევოლვერს ვამოართმევს უკიდურეს არამზადას, გაიძვერას, ყაჩაღს და სამაგიეროდ ჰპირდება მას პურს, ფულს, არაყს.

შეიძლება კალიაევი გავკიცხოთ სასიკვდილო იარაღის შესაძენად «ყაჩაღთან გარიგებისათვის»? ყოველი საღი ადამიანი იტყვის: არ შეიძლება. თუ კალიაევი სხვანაირად ვერსად იშოვიდა რევოლვერს და თუ კალიაევის საქმე მართლა პატიოსანია (ტირანის მოკვლა, და არა მოკვლა გაძარცვის მიზნით), მაშინ კალიაევი კი არ უხდა გავკიცხოთ რევოლვერის ასეთი შეძენისათვის, არამედ უნდა მოვუწონოთ ეს.

ახლა, თუ ერთი ყაჩაღი გაძარცვის მიზნით მკვლელობის ჩასადენად მეორე ყაჩაღისაგან შოულობს რევოლვერს ფულით, არაყით, პურით, შეიძლება თუ არა ა ს ე თ ი «გარიგება ყაჩაღთან» შევადაროთ (გაიგივებაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ) კალიაევის გარიგებას?

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 1 — 14. რ ე დ.

არა. ყოველი ადამიანი, რომელიც ჭკუაზე არ შეშლილა და მღიერით არ დაავადებულა, დაგვეთანხმება, რომ არ შეიძლება. ყოველი გლეხი, მას რომ დაენახა «ინტელიგენტი», რომელიც ფრაზებით ცდილობს გააბიაბრუოს ასეთი აშკარა ჭეშმარიტება, იტყოდა: შენ, ბატონო, სახელმწიფო კი არ უნდა მართო, მოლაქლაქე კლოუნად უნდა ჩაეწერო, ანდა პირდაპირ აბანოში წახვიდე ოფლის მოსადენად და მღიერის მოსაშორებლადო.

თუ კერენსკი, ბურჟუაზიის, ე. ი. ექსპლოატატორთა გაბატონებული კლასის წარმომადგენელი, გარიგებას სდებს ინგლისელ-ფრანგ ექსპლოატატორებთან მათგან იარაღისა და კარტოფილის მიღების შესახებ და ამავე დროს უმალავს ხალხს ხელშეკრულებებს, რომლებიც (წარმატების შემთხვევაში) ერთ ყაჩაღს აღუთქვამს სომხეთს, გალიციას, კონსტანტინოპოლს, მეორეს — ბაღდადს, სირიას და სხვ., — განა ძნელია იმის გაგება, რომ ეს გარიგება მძარცველურია, თაღლითურია, საზიზღარია კერენსკისა და მისი მეგობრების მხრივ?

არა. ამის გაგება სრულიადაც არაა ძნელი. ამას ყოველი გლეხი გაიგებს, ყველაზე გონებადახშული და უმეცარიც კი.

მაგრამ, თუ ექსპლოატირებულთა, ჩაგრულთა კლასის წარმომადგენელს, მას შემდეგ, რაც ამ კლასმა დაამხო ექსპლოატატორები, გამოაქვეყნა და გააუქმა ყველა საიდუმლო და მძარცველური ხელშეკრულება, ყაჩაღურად თავს დაესხნენ გერმანიის იმპერიალისტები, შეიძლება თუ არა მისი გაკიცხვა ინგლისელ-ფრანგ «ყაჩაღებთან გარიგებისათვის», მათგან იარაღისა და კარტოფილის მიღებისათვის ფულით ან ხე-ტყით და სხვ.? შეიძლება თუ არა ასეთი გარიგება მივიჩნიოთ უპატიოსნო, სამარცხვინო, არაწმინდა გარიგებად?

არა, არ შეიძლება. ყოველი საღი ადამიანი გაიგებს ამას და, როგორც ლაზღანდარებს, სასაცილოდ აიგდებს მათ, ვინც მოინდომებს «კეთილშობილურად» და ვითომდა მეცნიერულად დაამტკიცოს ის, თითქოს «მასები ვერ მიხვდებიან» იმპერიალისტ კერენსკის ყაჩაღური ომის (და საერთო ნაძარცვ-

ნადავლის გაყოფის შესახებ ყაჩაღებთან მისი ბინძური გარიგებების) განსხვავებას ინგლისელ-ფრანგ ყაჩაღებთან ბოლშევიკური მთავრობის კ ა ლ ი ა ე ვ ი ს ე ბ უ რ ი გარიგებისაგან მათგან იარაღისა და კარტოფილის საშოვნელად გერმანელი ყაჩაღის მოგერიებისათვის.

ყოველი საღი ადამიანი იტყვის: იარაღის ყიდვა ყაჩაღისაგან ყაჩაღური მიზნით სისაძაგლე და საზიზღრობაა, ხოლო იარაღის ყიდვა იმავე ყაჩაღისაგან მოძალადესთან სამართლიანი ბრძოლის მიზნით სავსებით კანონიერია. ასეთ საქმეში რაიმე «უწმინდურის» დანახვა შეუძლიათ მხოლოდ კოპწია ქალიშვილებს და პრანჭია ვაჟებს, რომელთაც სადღაც «წიგნში წაუკითხავთ» და ამოუკითხავთ მარტო პრანჭვა-გრეხა. გარდა ამ ჯურის ხალხისა, კიდევ მღიერით დაავადებულთ თუ შეუძლიათ ჩაიდინონ ამგვარი «შეცდომა».

მერე, გაიგებს კი გერმანელი მუშა, რომ სულ სხვაა კერენსკის მიერ ინგლისელ-ფრანგი ყაჩაღებისაგან იარაღის ყიდვა თურქთათვის კონსტანტინოპოლის, ავსტრიისთვის — გალიციის, გერმანელებისთვის — აღმოსავლეთ პრუსიის წასართმევად, — ... და ბოლშევიკების მიერ იმავე ყაჩაღებისაგან იარაღის შეძენა ვილჰელმისადმი წინააღმდეგობის გასაწევად, როდესაც მან ჯარები დასძრა სოციალისტური რუსეთისაკენ, რომელმაც ყველას მიმართა პატიოსანი და სამართლიანი ზავის წინადადებით, რუსეთისაკენ, რომელმაც ომი დამთავრებულად გამოაცხადა?

უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანელი მუშა «გაიგებს» ამას, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ეს ჭკვიანი და განათლებული მუშაა; მეორე, იმიტომ, რომ ის მიჩვეულია ცხოვრებას კულტურასა და სისუფთავეში, მას არ აწუხებს არც რუსული მღიერი საზოგადოდ და არც რევოლუციური ფრაზის მღიერი კერძოდ.

არის თუ არა განსხვავება ძარცვის მიზნით მკვლელობასა და მოძალადის მკვლელობას შორის?

არის თუ არა განსხვავება ნადავლის გასაყოფად მტაცებელთა ორი ჯგუფის ურთიერთ ომსა და სამართლიან ომს

შორის, მტაცებლის თავდასხმისაგან იმ ხალხის განსათავისუფ-ლებლად, რომელმაც დაამხო მტაცებლები?

ნუთუ იმის შეფასება, კარგად ვიქცევი მე თუ ცუდად, როცა ყაჩაღისაგან იარაღს ვიძენ, დამოკიდებული არ არის ამ იარაღის მიზანსა და დანიშნულებაზე? მის გამოყენებაზე უპატიოსნო და საზიზღარ, თუ სამართლიან და პატიოსან ომში?

უჰ, რა საძაგელი სენია ეს მღიერი. და რა მძიმეა ხელობა იმ ადამიანისა, რომელსაც უხდება ოფლი ადენინოს აბანოში მღიერიანებს...

P. S. * ჩრდილო-ამერიკელები XVIII საუკუნის დამლევს თავიანთ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ინგლისის წინააღ-მდეგ სარგებლობდნენ კონკურენტის და ისეთივე, როგორიც ინგლისია, კოლონიური ყაჩაღის, ესპანეთისა და საფრანგეთის სახელმწიფოების დახმარებით. ამბობენ, გაჩენილან «მემარცხენე ბოლშევიკები», რომელნიც ჩაჯდომიან და წერენ «მეცნიერულ შრომას» ამ ამერიკელთა «არაწმინდა გარიგების» შესახებო...

დაწერილია 1918 წ. 22 თებერვალს

დაიბეჭდა 1918 წ. 22 თებერვალს
გაზეთ «პრავდის» № 33-ის
საღამოს გამოცემაში
ხელმოწერა: კარპოვ.

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

---

* — Postscriptum — ბინაწერი. რედ.

ზავი თუ ომი?

როგორც მკითხველები ხედავენ, გერმანელების პასუხი კიდევ უფრო მძიმე საზავო პირობებს გვიყენებს, ვიდრე ბრესტ-ლიტოვსკში წამოგვიყენეს [15]. და მიუხედავად ამისა, მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მხოლოდ რევოლუციური ფრაზით სრულ გაბრუებას შეუძლია უარი ათქმევინოს ზოგიერთებს ამ პირობების ხელისმოწერაზე. სწორედ იმიტომ დავიწყე მე «პრავდაში» გამოქვეყნებული სტატიებით (კარპოვის ხელმოწერით) «რევოლუციური ფრაზის» შესახებ და «მღიერის» შესახებ* დაუნდობელი ბრძოლა რევოლუციურ ფრაზასთან, რომ მასში ვხედავდი და ახლაც ვხედავ ყველაზე დიდ საშიშროებას ჩვენი პარტიისათვის (და, მაშასადამე, რევოლუციისთვისაც). რევოლუციური პარტიები, რომელნიც მკაცრად ატარებდნენ რევოლუციურ ლოზუნგებს, ისტორიაში უკვე მრავალჯერ დაავადებულან რევოლუციური ფრაზით და ამით იღუპებოდნენ კიდეც.

აქამდე მე ვცდილობდი ჩამეგონებინა პარტიისათვის — ებრძოლა რევოლუციური ფრაზის წინააღმდეგ. ახლა მე ეს აშკარად უნდა გავაკეთო. ვინაიდან, სამწუხაროდ, გამართლდა ჩემი ყველაზე უარესი ვარაუდი.

1918 წლის 8 იანვარს მე პიტერის დაახლოებით 60 უაღრესად გამოჩენილი პარტიული მუშაკის კრებაზე წავიკითხე ჩემი «თეზისები სეპარატიული და ანექსიონისტური ზავის

* იხ. ეს ტომი, გვ. 1 — 14; 22 — 26. რ ე დ.

დაუყოვნებლივ დადების საკითხზე» (17 თეზისი, რომლებიც ხვალვე დაიბეჭდება)[16]. ამ თეზისებში (§ 13) მე უკვე გამოვუცხადე ომი რევოლუციურ ფრაზას და ეს გავაკეთე მეტად ლმობიერი და ამხანაგური ფორმით (ახლა ძალიან ვგმობ ამ ჩემს ლმობიერებას). მე ვთქვი, რომ წამოყენებული ზავის უარყოფის პოლიტიკა, «შესაძლებელია, შეეფერებოდეს ლამაზისა, ეფექტურისა და ბრწყინვალესადმი ადამიანის მისწრაფების მოთხოვნილებას, მაგრამ იგი დაწყებული სოციალისტური რევოლუციის ახლანდელ მომენტში სრულიად არ გაუწევდა ანგარიშს კლასობრივ ძალთა და მატერიალურ ფაქტორთა ობიექტურ თანაფარდობას».

მე-17 თეზისში მე ვწერდი, რომ, თუ ჩვენ უარს ვიტყვით წამოყენებული ზავის ხელისმოწერაზე, მაშინ «ძლიერი დამარცხებანი აიძულებს რუსეთს დადოს კიდევ უფრო არახელსაყრელი სეპარატიული ზავი».

აღმოჩნდა კიდევ უარესი, ვინაიდან არმია, რომელიც უკან იხევს და დემობილიზაციას ახდენს, სრულიად უარს ამბობს ბრძოლაზე.

ასეთ პირობებში, ახლანდელ მომენტში მხოლოდ თავშეუკავებელ ფრაზას შეუძლია ჩააბას რუსეთი ომში, და მე პირადად, რაღა თქმა უნდა, ერთ წუთსაც აღარ დავრჩებოდი არც მთავრობაში და არც ჩვენი პარტიის ც. კ-ში, ფრაზის პოლიტიკამ რომ გაიმარჯვოს.

ახლა მწარე სინამდვილე ისეთი საშინელი სიცხადით გამოაშკარავდა, რომ არ შეიძლება ის არ დავინახოთ. მთელი ბურჟუაზია რუსეთში ხარობს და ზეიმობს გერმანელების მოსვლის გამო. მხოლოდ ბრმებს ანდა ფრაზით გაბრუებულებს შეუძლიათ არ დაინახონ ის, რომ რევოლუციური ომის პოლიტიკა (უ ა რ მ ი ო დ...) ჩვენი ბურჟუაზიის წისქვილზე წყლის დასხმაა. დვინსკში რუსი ოფიცრები უკვე სამხრეებით დადიან.

რეჟიცაში ბურჟუები ზეიმით შეხვდნენ გერმანელებს. პიტერში, ნევსკიზე, და ბურჟუაზიულ გაზეთებში («რეჩ»[17], «დელო ნაროდა», «ნოვი ლუჩ» და სხვ.) სიხარულისაგან ცას

ეწევიან გერმანელების მიერ საბჭოთა ხელისუფლების მოსალოდნელი დამხობის გამო.

დაე ყველამ იცოდეს: ვინც წინააღმდეგია დაუყოვნებლივი, თუნდაც არქიმძიმე ზავისა, ის ღუპავს საბჭოთა ხელისუფლებას.

ჩვენ იძულებული ვართ გავიაროთ ეს მძიმე ზავი. იგი ვერ შეაჩერებს რევოლუციას გერმანიასა და ევროპაში. ჩვენ შევუდგებით რევოლუციური არმიის მზადებას არა ფრაზებით და ყვირილით (როგორც მას ამზადებდნენ ისინი, ვისაც 7 იანვრიდან სრულიად არაფერი გაუკეთებია იმისთვისაც კი, რომ ცდილიყო შეეჩერებინა ჩვენი გამოქცეული ჯარები), ა რ ა მ ე დ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი მ უ შ ა ო ბ ი თ, საქმით, სერიოზული, საყოველთაო-სახალხო, ძლიერი არმიის შექმნით.

დაწერილია 1918 წ. 23 თებერვალს დილით
დაიბეჭდა 1918 წ. 23 თებერვალს გაზეთ «პრავდის» № 34-ის საღამოს გამოცემაში
ხელმოწერა: ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკის ბოლშევიკთა და «მემარცხენე» ესერთა ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წ. 23 თებერვალს[18]

საგაზეთო ანგარიში

ლენინი ლაპარაკობს გერმანელების წინადადებათა ხელისმოწერის დასაცავად. ის იწყებს იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება პირდაპირ უნდა უყურებდეს სიმართლეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა აღიაროს გერმანელებისადმი წინააღმდეგობის გაწევის სრული შეუძლებლობა. ის აღნიშნავს წინა ორატორების მითითებას, რომელნიც უარყოფენ ხელშეკრულების ხელისმოწერას, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოა ის, რომ ჩვენ შევძლებთ არმიის ორგანიზაციას უახლოეს ხანში; არმიას არ სურს იომოს, და არავის არ შეუძლია ის აიძულოს, ხოლო თუ ჩვენ შევუდგებით არმიის ორგანიზაციას, თუ ჩვენ შევკრებთ მცირეოდენ მამაც მებრძოლთ, რომელთაც პირში ჩავუგდებთ იმპერიალიზმს, ამით ჩვენ ჩამოვიშორებთ ენერგიულ და იდეურ მებრძოლთ, რომლებმაც თავისუფლება მოგვიპოვეს.

შემდეგ ლენინი ამბობს, რომ ჩვენს რუსეთის პროლეტარიატს სრულიად არ მიუძღვის ბრალი იმაში, რომ გერმანიის რევოლუციამ დაიგვიანა. ეს რევოლუცია მოვა, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის, და ჩვენთვის ყველაზე უკეთესი გამოსავალია დროის მოგება; თუ ჩვენ ახლანდელ მომენტში ხელს მოვაწერთ საზავო ხელშეკრულებას, ჩვენ შეგვიძლია შემდგომში, ენერგიული ორგანიზაციული მუშაობის გზით, რკინი-

გზების გაყვანით, სასურსათო საკითხის მოწესრიგების გზით, შევქმნათ მაგარი და მტკიცე არმია ჩვენი რევოლუციის დასაცავად, მანამდე კი სოციალისტური რევოლუცია გერმანიაში აუცილებლად მოგვისწრებს.

დაიბეჭდა 1918 წ. 24 თებერვალს
გაზეთში: ქ. მოსკოვისა და მოსკოვის
ოლქის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა
დეპუტატების საბჭოების
«იზვესტია» № 32

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

მოსსენება სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე 1918 წ. 23 თებერვალს[19]

ამხანაგებო, ის პირობები, რომლებიც ჩვენ წამოგვიყენეს გერმანიის იმპერიალიზმის წარმომადგენლებმა, გაუგონრად მძიმე, უზომოდ მჩაგვრელი, მტაცებლური პირობებია. გერმანელი იმპერიალისტები სარგებლობენ რუსეთის სისუსტით და მუხლს გვაჭერენ მკერდზე. და ასეთი მდგომარეობის დროს, რათა არ დაგიმალოთ მწარე სიმართლე, რომელიც ჩემი ღრმა რწმენაა, მე იძულებული ვარ გითხრათ, რომ სხვა გამოსავალი, თუ არა ამ პირობებზე ხელისმოწერა, ჩვენ არა გვაქვს. და რომ ყოველგვარი სხვა წინადადება ან ნებსითი ან უნებლიე გამოწვევაა კიდევ უარესი ბოროტებისა და საბჭოთა რესპუბლიკის სრული შემდგომი დამორჩილებისა (თუ შეიძლება აქ ხარისხზე ლაპარაკი), მისი დამონებისა გერმანიის იმპერიალიზმისადმი, — ანდა ეს სამწუხარო ცდაა სიტყვებით მოვარიდოთ თავი მრისხანე, უზომოდ მძიმე, მაგრამ უეჭველ სინამდვილეს. ამხანაგებო, თქვენ ყველამ მშვენივრად იცით, ბევრმა თქვენგანმა კი პირადი გამოცდილებითაც იცის, რომ რუსეთს, ყველასათვის გასაგები, უდავო მიზეზების გამო, თავს დაატყდა იმპერიალისტური ომის სიმძიმე, უფრო მრისხანე და საშინელი, ვიდრე სხვა ქვეყნებს; ამიტომ თქვენ იცით, რომ ჩვენი არმია ისე გატანჯული, განაწამები იყო ომით, როგორც არც ერთი სხვა არმია; რომ ყველა ის ცილისწამება, რომელთაც ჩვენს წინააღმდეგ ისროდნენ ბურჟუაზიული პრესა და მისი დამხმარე ან საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი პარტიები, თითქოს

ბოლშევიკები ხრწნიდნენ ჯარებს, — მიქარვაა. მე ერთხელ კიდევ მოგაგონებთ თქვენ იმ პროკლამაციას, რომელიც კრილენკომ, როცა ის ჯერ კიდევ პრაპორშჩიკი იყო კერენსკის დროს, დაუგზავნა ჯარებს პეტროგრადში წასვლისას, რომელიც გადაიბეჭდა «პრავდაში» და რომელშიც იგი შემდეგს ამბობდა: არავითარი ამბოხება, ჩვენ ამისაკენ არ მოგიწოდებთ, ჩვენ მოგიწოდებთ ორგანიზებული პოლიტიკური მოქმედებისაკენ, ეცადეთ იყოთ რაც შეიძლება უფრო ორგანიზებულნიო. აი როგორი იყო ბოლშევიკების ერთ-ერთი ყველაზე მგზნებარე და არმიასთან დაახლოებული წარმომადგენლის პროპაგანდა. ყოველივე, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა იმისათვის, რომ შეგვენარჩუნებინა ეს გაუგონრად, განუზომლად დაქანცული არმია, ყოველივე, რის გაკეთებაც კი შესაძლებელი იყო იმისათვის, რომ იგი უფრო ძლიერი გაგვეხადა, — გაკეთდა. და თუ ახლა ჩვენ ვხედავთ, ისე როგორც მაშინ, როცა, მაგალითად, უკანასკნელი თვის განმავლობაში მე სრულიად შევიკავე თავი ჩემი იმ შეხედულების გადმოცემისაგან, რომელიც შეიძლებოდა პესიმისტურად მიეჩნიათ, თუ ჩვენ დავინახეთ, რომ არმიის მიმართ ჩვენ უკანასკნელი თვის განმავლობაში ვამბობდით ყველაფერს, რისი თქმაც კი შეიძლებოდა, და ვაკეთებდით ყველაფერს, რისი გაკეთებაც კი შეიძლებოდა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, — სინამდვილემ დაგვანახა, რომ სამი წლის ომის შემდეგ ჩვენს არმიას არავითარ შემთხვევაში აღარ შეუძლია და არ სურს იომოს. აი ძირითადი მიზეზი, უბრალო, თვალსაჩინო, უაღრესად მწარე და მძიმე, მაგრამ სრულიად ნათელი მიზეზი იმისა, რომ, ვცხოვრობთ რა მტაცებელ-იმპერიალისტის გვერდით, ჩვენ იძულებული ვხდებით მოვაწეროთ ხელი ზავის პირობებს, როდესაც იგი მუხლს გვაჭერს მკერდზე. აი ამიტომ ვამბობ მე იმის სრული შეგნებით, თუ რა პასუხისმგებლობას ვკისრულობ, და ვიმეორებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს უფლება არა აქვს თავი აარიდოს ამ პასუხისმგებლობას. რა თქმა უნდა, სასიამოვნო და ადვილია ხოლმე ლაპარაკი მუშებსა, გლეხებსა და ჯარისკაცებთან, სასიამოვნო

და ადვილი იყო იმის დანახვა, თუ როგორ მიდიოდა რევოლუცია წინ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, ხოლო როცა იძულებული ვართ ვაღიაროთ მწარე, მძიმე, უდავო ჭეშმარიტება — რევოლუციური ომის შეუძლებლობა, — ახლა ამ პასუხისმგებლობისათვის თავის აღიდება მეუწყნარებელია და საჭიროა ეს პასუხისმგებლობა პირდაპირ ვიკისროთ. მე ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი, აუცილებლად ვთვლი შევასრულო ჩემი ვალი და პირდაპირ ვთქვა ის, რაც არის, ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის მშრომელი კლასი, რომელმაც იცის, თუ რა არის ომი, რა უღირდა იგი მშრომელებს, რა საშინლად მოქანცა და გამოფიტა მან ისინი, ამაში მე ერთ წამსაც კი ეჭვი არ მეპარება, მათ ჩვენთან ერთად შეგნებული აქვთ ამ საზავო პირობების მთელი გაუგონარი სიმძიმე, სიტლანქე, სისაძაგლე, და მიუხედავად ამისა ისინი ამართლებენ ჩვენს მოქმედებას. ისინი იტყვიან: თქვენ უნდა წამოგეყენებინათ, თქვენ იკისრეთ წამოგეყენებინათ დაუყოვნებლივი და სამართლიანი ზავის პირობები, თქვენ უნდა გამოგეყენებინათ ყოველივე, რაც კი შესაძლებელი იყო, ზავის გადასადებად, რათა გაგეგოთ, მოგვემხრობიან თუ არა სხვა ქვეყნები, დაგვეხმარება თუ არა ევროპის პროლეტარიატი, რომლის დაუხმარებლადაც ჩვენ მტკიცე სოციალისტურ გამარჯვებას ვერ მივაღწევთო. ჩვენ მოვიმოქმედეთ ყოველივე, რაც შესაძლებელია, იმისათვის, რომ გაგვეჭიანურებინა მოლაპარაკება, ჩვენ გავაკეთეთ მეტიც, ვიდრე შესაძლებელია, ჩვენ გავაკეთეთ ის, რომ ბრესტის მოლაპარაკების შემდეგ ომის მდგომარეობა შეწყვეტილად გამოვაცხადეთ, რადგან დარწმუნებული ვიყავით, ისე როგორც ბევრი ჩვენგანი იყო დარწმუნებული, რომ გერმანიის მდგომარეობა ნებას არ მისცემდა მას მხეცურად და ველურად შემოეტია რუსეთისათვის. ამჯერად ჩვენ განვიცადეთ მძიმე დამარცხება, და უნდა შეგვეძლოს დამარცხებას თვალი გავუსწოროთ. დიახ, რევოლუცია დღემდე აღმავალი ხაზით მიდიოდა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ; ახლა მან მძიმე დამარცხება განიცადა. გერმანიის მუშათა მოძრაობა, რომელიც ასე ჩქარა დაიწყო,

დროებით შეწყვეტილი აღმოჩნდა. ჩვენ ვიცით, რომ ამის ძირითადი მიზეზები არ მოსპობილა, ისინი იზრდებიან და აუცილებლად გაფართოვდებიან, იმიტომ რომ ჭიანურდება მტანჯველი ომი, იმიტომ რომ იმპერიალიზმის მხეცობა სულ უფრო და უფრო ღრმად და უტიფრად აშკარავდება და თვალს უხელს იმ მასებს, რომელთაც თითქოს ყველაზე უფრო ეუცხოვებათ პოლიტიკა ან არ ძალუძთ სოციალისტური პოლიტიკის გაგება. აი ამიტომ შეიქმნა ის საშინელი, ტრაგიკული მდგომარეობა, რომელიც გვაიძულებს ჩვენ ახლა მივიღოთ ზავი და აიძულებს მშრომელ მასებს სთქვან: დიახ, ისინი სწორად მოიქცნენ, მათ რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს, რათა წაეყენებინათ სამართლიანი ზავის წინადადება და გაეჭიანურებინათ მისი შეკვრა, მათ უნდა მიეღოთ უაღრესად მჩაგვრელი და უბედური ზავი, იმიტომ რომ ჩვენს ქვეყანას სხვა გამოსავალი არა აქვს. გერმანელების მდგომარეობა ისეთია, რომ ისინი იძულებული არიან სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოლონ საბჭოთა რესპუბლიკას; თუ ისინი დღეს ვეღარ ასრულებენ თავიანთ განზრახვას — წამოვიდნენ პეტროგრადსა და მოსკოვზე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შებორკილი არიან სისხლისმღვრელი და მძარცველური ომით ინგლისთან, რომ არის კიდევ შინაგანი კრიზისი. როდესაც მე მითითებენ იმაზე, რომ გერმანელ იმპერიალისტებს შეუძლიათ ხვალ, ზეგ კიდევ უფრო უარესი პირობები წარმოგვიდგინონო, მე ვამბობ, რომ ამისთვის ჩვენ მზად უნდა ვიყოთ; ბუნებრივია, რომ საბჭოთა რესპუბლიკა, როცა ის მხეცი მტაცებლების გვერდით ცხოვრობს, თავდასხმას უნდა მოელოდეს. თუ ჩვენ დღეს არ შეგვიძლია ომით ვუპასუხოთ, ეს იმიტომ. რომ ძალა არ შეგვწევს, იმიტომ, რომ ომის წარმოებაც მხოლოდ ხალხთან ერთად არის შესაძლებელი. თუ რევოლუციის წარმატებანი მრავალ ამხანაგს აიძულებს წინააღმდეგი ილაპარაკონ, ეს არ არის მასობრივი მოვლენა, ეს არ არის ნამდვილი მასების ნებისყოფისა და აზრის გამოხატულება; თუ თქვენ მიხვალთ ნამდვილ მშრომელ კლასთან, მუშებსა და გლეხებთან, დაინახავთ და გაიგონებთ ერთ პასუხს, რომ ჩვენ

არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ომის წარმოება, არ არის ფიზიკური ძალა, ჩვენ ვიხრჩობით სისხლში, როგორც ამბობდა ერთი ჯარისკაცი. ეს მასები გაგვიგებენ და გაგვამართლებენ, როდესაც ჩვენ ხელს მოვაწერთ ამ ნაძალადევსა და გაუგონრად სამძიმო ზავს. შეიძლება დასვენებას მასების ასაზვირთებლად ბევრი დრო დასჭირდეს, მაგრამ იმათ, ვისაც განუცდია რევოლუციური ბრძოლების გრძელი წლები რევოლუციის აღმავლობის ხანაში და ის ეპოქა, როცა რევოლუცია უფსკრულში ეშვებოდა, როცა რევოლუციური მოწოდებანი მასებისადმი ვერ ნახულობდა მათს გამოხმაურებას, — იმათ იციან, რომ რევოლუცია მაინც ყოველთვის ისევ იმართებოდა წელში; ამიტომ ჩვენ ვამბობთ: დიახ, ამჟამად მასებს არ ძალუძთ იომონ, ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების ყოველი წარმომადგენელი ვალდებულია პირში უთხრას მთელი მწარე სიმართლე ხალხს; გაივლის გაუგონარი სიმძიმის, სამი წლის ომისა და ცარიზმის უსაშინელესი ნგრევის დრო, და ხალხი იგრძნობს თავისთავში ძალასა და შესაძლებლობას წინააღმდეგობის გასაწევად. ახლა ჩვენს წინ დგას მჩაგვრელი; ჩაგვრაზე, რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთესია რევოლუციური ომით, აჯანყებით ვუპასუხოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიამ დაგვანახა, რომ ჩაგვრაზე ყოველთვის არ შეიძლება ვუპასუხოთ აჯანყებით. მაგრამ აჯანყებაზე უარისთქმა ჯერ კიდევ არ ნიშნავს რევოლუციაზე უარისთქმას; არ აჰყვეთ პროვოკაციას, რომელსაც ავრცელებენ ბურჟუაზიული გაზეთები, საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგენი; დიახ, მათ სხვა სიტყვა არა აქვთ, გარდა «უხამსი ზავისა» და ყვირილისა «სამარცხვინოა!» ამ ზავის შესახებ, ნამდვილად კი ეს ბურჟუაზია აღტაცებით ხვდება გერმანელ დამპყრობლებს. ისინი ამბობენ: «აი, ბოლოს, მოვლენ გერმანელები და დაგვიმყარებენ წესრიგსო», აი რას ესწრაფვიან ისინი, და შემოგვესევიან ყვირილით: «უხამსი ზავი, სამარცხვინო ზავიო». მათ უნდათ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გამართოს ბრძოლა, გაუგონარი ბრძოლა, როცა იცის, რომ ჩვენ ძალა არა გვაქვს; ისინი მიგვათრევენ გერმანელი იმპერიალისტებისადმი სავსებით

დასამონებლად, რათა მოაწყონ გარიგება გერმანელ პოლიციელებთან, მაგრამ ისინი მხოლოდ თავიანთ კლასობრივ ინტერესებს გამოხატავენ, რადგან იციან, რომ მაგრდება საბჭოთა ხელისუფლება. ეს ხმები, ეს ყვირილი ზავის წინააღმდეგ — ჩემს თვალში საუკეთესო დამამტკიცებელია იმისა, რომ ამ ზავის უარმყოფელნი არა მარტო თავს ინუგეშებდნენ გამოუსწორებელი ილუზიებით, ჰყვებოდნენ პროვოკაციას. არა, დამღუპველ ჭეშმარიტებას პირდაპირ უნდა გავუსწოროთ თვალი: ჩვენს წინაშეა მჩაგვრელი, რომელიც მუხლს გვაჭერს მკერდზე, და ჩვენც ვიბრძოლებთ რევოლუციური ბრძოლის ყველა საშუალებით. მაგრამ ამჟამად ჩვენ საშინლად მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით, ჩვენს მოკავშირეს არ შეუძლია გამოეშუროს დასახმარებლად, საერთაშორისო პროლეტარიატს არ შეუძლია მოვიდეს ახლა, მაგრამ ის მოვა. ეს რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც დღეს საშუალება არა აქვს სამხედრო წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს, ისევ მაღლა იწევს და ამ წინააღმდეგობას გაუწევს გვიან, მაგრამ გაუწევს აუცილებლად. (ტ ა შ ი).

მოკლე ანგარიში გამოქვეყნდა 1918 წ. 26 თებერვალს გაზეთ «პრავდაში» № 35

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1926 წ. ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის) თხზულებათა კრებულში, ტომი XX, ნაწილი II

იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით

რაშია შეცდომა?[20]

ბრესტის პირობებით სეპარატიული ზავის დადების უაღრესად გამოჩენილმა და ყველაზე პასუხისმგებელმა მოწინააღმდეგეებმა თავიანთ მოსაზრებათა დედაარსი შემდეგნაირად გადმოსცეს:



აქ წამოყენებულია ყველაზე უფრო მეტად კონცენტრირებული, უმნიშვნელოვანესი მოსაზრებანი, რომლებიც გადმოცემულია თითქმის რეზოლუციის სახით. მოსაზრებათა გარჩევის სიმარტივისათვის ჩვენ ხელახლა დავნომრეთ თვითეული ცალკე წინადადება.

ამ მოსაზრებათა განხილვისას ერთბაშად თვალში გეცემათ ავტორების ძირითადი შეცდომა. ისინი კრინტს არ სძრავენ რევოლუციური ომის კონკრეტულ პირობებზე ახლანდელ მომენტში. იმას, რაც ზავის მომხრეთათვის მთავარ და ძირითად მოსაზრებას წარმოადგენს, სახელდობრ ის, რომ **ამჟამად** ჩვენთვის შეუძლებელია ვიომოთ, სწორედ ამას გვერდს უვლიან. პასუხად — თუნდაც ჩემი თეზისების * პასუხად, რომლებიც ავტორებისთვის კარგადაა ცნობილი 8 იანვრიდან, — მოჰყავთ მხოლოდ და მხოლოდ ზ ო გ ა დ ი მოსაზრებანი

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 515 — 525. რ ე დ.

აბსტრაქციები, რომლებიც აუცილებლად იქცევა ფრაზად. ვინაიდან ყოველი ზოგადი ისტორიული მოსაზრება, გამოყენებული ცალკეული შემთხვევის მიმართ სწორედ ამ შემთხვევის პირობების საგანგებოდ განხილვის გარეშე, ფრაზად იქცევა.

აიღეთ პირველი დებულება. მთელი მისი «მარილი» — ეს არის საყვედური, წამოძახილი, დეკლამაცია, მოწინააღმდეგის «შენამუსებისადმი» მისწრაფება, გრძნობისადმი მიმართვა. აი, რა ბრიყვები ხართო: თქვენ გიტევენ იმპერიალისტები, რომლებიც თავიანთ მიზნად «აცხადებენ» პროლეტარული რევოლუციის ჩახშობას, თქვენ კი ზავის დადების თანხმობას აძლევთო! მაგრამ ჩვენი მოსაზრება ხომ ავტორებისათვის აშკარად იმაში მდგომარეობს, რომ მძიმე ზავზე უარისთქმით ჩვენ ს წ ო რ ე დ ვ უ ა დ ვ ი ლ ე ბ თ მტერს პროლეტარული რევოლუციის დათრგუნვას. და ჩვენი ეს მოსაზრება გამაგრებულია (მაგალითად, ჩემს თეზისებში) მთელი რიგი უაღრესად კონკრეტული მითითებებით არმიის მდგომარეობაზე, მის კლასობრივ შემადგენლობაზე და ა. შ.. ავტორებმა ყოველივე კონკრეტულს გვერდი აუარეს, და მათ ცარიელი ფრაზა გამოუვიდათ. ვინაიდან თუ მტერი თავის მიზნად რევოლუციის დათრგუნვას «აცხადებს», მაშინ ცუდია ის რევოლუციონერი, რომელიც წინააღმდეგობის გაწევის აშკარად შეუძლებელი ფორმის არჩევით სწორედ იმას აღწევს, რომ მოხდეს გადასვლა მტრის მიზნების «გამოცხადებიდან» მათს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა ზ ე.

მეორე მოსაზრება: «საყვედურები» მატულობს. თქვენ ზავს თანხმდებით მტრის პირველივე შემოტევისთანავეო... ნუთუ ავტორები სერიოზულად ფიქრობენ, რომ ეს შეიძლება დამაჯერებელი იყოს იმათთვის, ვინც იანვრიდან მოკიდებული, «შემოტევამდე» დიდი ხნით ადრე, ანალიზს უკეთებდა ძალთა თანაფარდობას და ომის კონკრეტულ პირობებს ახლანდელ მომენტში? განა ეს ფრაზა არ არის, როცა «საყვედური» ანალიზის საწინააღმდეგო მოსაზრებად მიაჩნიათ??

ახლანდელ პირობებში ზავზე დათანხმება, გვეუბნებიან ჩვენ, «წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარიატის მოწინავე რაზმის კაპიტულაციას საერთაშორისო ბურჟუაზიის წინაშე».

ისევ ფრაზა. საზოგადო ჭეშმარიტებებს ისე ბერავენ, რომ ისინი მცდარი ხდებიან და დეკლამაციად იქცევიან. გერმანიის ბურჟუაზია «საერთაშორისო» არ არის, რადგან ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტები მ ი ე ს ა ლ მ ე ბ ი ა ნ ჩვენს უარს ხელი მოვაწეროთ ზავს. «კაპიტულაცია», საზოგადოდ რომ ვთქვათ, ცუდი რამაა, მაგრამ ეს საპატიო ჭეშმარიტება არ უდგება ყოველ ცალკეულ ვითარებას, რადგან შეიძლება კაპიტულაცია ვუწოდოთ აგრეთვე ბრძოლაზე უარისთქმას აშკარად არახელსაყრელ პირობებში, ა ს ე თ ი კაპიტულაცია კი — სერიოზული რევოლუციონერის მოვალეობაა. კაპიტულაცია იყო, საზოგადოდ რომ ვთქვათ, III სათათბიროში მონაწილეობაზე თანხმობაც, სტოლიპინთან ზავზე ხელისმოწერა, როგორც მაშინ ამბობდნენ ხოლმე ჩვენი «მემარცხენე» დეკლამატორები.

ჩვენ მოწინავე რაზმი ვართ რევოლუციური თაოსნობის აზრით, ეს უდავოა, მაგრამ ჩვენ რომ მოწინავე რაზმი ვიყოთ მოწინავე იმპერიალიზმის ძალებთან სამხედრო შეტაკების აზრით, ეს... *

დაწერილია 1918 წ.
23 ან 24 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

უბედური ზავი

ტროცკი მართალი იყო, როცა თქვა: ზავი შეიძლება სამგზის უბედური იყოს, მაგრამ არ შეიძლება უხამსი, სამარცხვინო, არაწმინდა იყოს ის ზავი, რომელიც ამ ასგზის უხამს ომს ამთავრებსო.

წარმოუდგენლად, გაუგონრად მძიმეა ხელისმოწერა საუბედურო, უზომოდ მძიმე, დაუსრულებლად დამამცირებელი ზავისა, როცა ძლიერი მკერდზე ადგება სუსტს. მაგრამ შეუწყნარებელია სასოწარკვეთილებას მივეცეთ, დაუშვებელია დავივიწყოთ ის, რომ ისტორიამ იცის კიდევ უფრო დიდი დამცირების, ზავის კიდევ უფრო უბედური, მძიმე პირობების მაგალითები. და, მიუხედავად ამისა, ის ხალხები, რომლებიც გაუსრესიათ ხოლმე მხეცივით სასტიკ გამარჯვებულთ, მაინც ახერხებდნენ წელში გამართულიყვნენ და გამხნევებულიყვნენ.

ნაპოლეონ I-მა გასრისა და დაამცირა პრუსია შეუდარებლად უფრო ძლიერად, ვიდრე ვილჰელმი სრესს და ამცირებს ამჟამად რუსეთს. ნაპოლეონ I მრავალი წლის განმავლობაში სრულიად გაბატონებული იყო კონტინენტზე, მისი გამარჯვება პრუსიაზე გაცილებით უფრო გადამწყვეტი იყო, ვიდრე ვილჰელმის გამარჯვება რუსეთზე. ცოტა ხნის შემდეგ კი პრუსია წელში გაიმართა და განმათავისუფლებელ ომში დაამხო ნაპოლეონის ბატონობა იმ ყაჩაღური სახელმწიფოების დახმარებით, რომელნიც ნაპოლეონის წინააღმდეგ ეწეო-

დნენ სრულიადაც არა განმათავისუფლებელ, არამედ იმპერიალისტურ ომს.

ნაპოლეონის იმპერიალისტური ომები მრავალ წელს გაგრძელდა. მათ დაიკავეს მთელი ეპოქა, დაგვანახეს გადახლართულ იმპერიალისტურ * ურთიერთობათა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა უჩვეულოდ რთული ქსელი. და ამას ის მოყვა, რომ ისტორია, ომებითა და ტრაგედიებით (მთელ ხალხთა ტრაგედიებით) არაჩვეულებრივად მდიდარი მთელი ამ ეპოქით, წინ მიდიოდა ფეოდალიზმიდან — «თავისუფალი» კაპიტალიზმისაკენ.

ახლა ისტორია კიდევ უფრო სწრაფად მიაბიჯებს წინ, ტრაგედია მთელი ხალხებისა, რომლებიც იმპერიალისტური ომით ისრისებიან და გასრესილან, განუზომლად უფრო საშინელია. იმპერიალისტურ და ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მიმდინარეობათა, მოძრაობათა და მისწრაფებათა გადახლართვა დღესაც არსებობს, იმ უდიდესი განსხვავებით, რომ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაცილებით უფრო სუსტია, იმპერიალისტური — გაცილებით უფრო ძლიერი. მაგრამ ისტორია წინ მიდის განუხრელად, და ყველა მოწინავე ქვეყნის წიაღში მწიფდება — მიუხედავად ყოველივესი, მწიფდება — რევოლუცია სოციალისტური, რევოლუცია უსასრულოდ უფრო ღრმა, სახალხო, ძლიერი, ვიდრე წინანდელი ბურჟუაზიული რევოლუცია.

ამიტომ, ერთხელ კიდევ და კიდევ: ყველაზე უფრო დაუშვებელია სასოწარკვეთილება. აუტანლად მძიმეა ზავის პირობები. და მაინც ისტორია თავისას გაიტანს, ჩვენს დასახმარებლად მოვა, — თუნდაც არც ისე მალე, როგორც ეს ჩვენ ყველას გვინდა, — მოვა შეუჩერებლივ მწიფებადი სოციალისტური რევოლუცია სხვა ქვეყნებში.

ჩვენ ალყა შემოგვარტყა, დაგვთრგუნა და დაგვამცირა მტაცებელმა — ჩვენ შევძლებთ ყველა ამ სიმძიმის გადატანას. ჩვენ მარტონი არა ვართ მსოფლიოში. ჩვენ გვყავს მეგობრები,

* იმპერიალიზმს მე აქ ვუწოდებ საერთოდ უცხო ქვეყნების ძარცვას, იმპერიალისტურ ომს — მტაცებელთა ომს ასეთი ნადავლის გასაყოფად.

მომხრენი, უერთგულესი დამხმარენი. მათ დაიგვიანეს — მთელი რიგი, საკუთარი ნებასურვილისგან დამოუკიდებელი, პირობების გამო, — მაგრამ ისინი მოვლენ.

შევუდგეთ ორგანიზაციას, ორგანიზაციას და კიდევ ორგანიზაციას. მომავალი — მიუხედავად ყოველგვარი განსაცდელისა — ჩვენია.

«პრავდა» № 34,
1918 წ. 24 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

გამოსვლები რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე 1918 წ. 24 თებერვალს

საოქმო ჩანაწერი

1

ირჩევა საზაეო ხელშეკრულების ხელის მოსაწერად ბრესტში დელეგაციის გაგზავნის საკითხი.

ლენინი თვლის, რომ საჭიროა დავიცვათ თანამომდევნობა წინანდელ დელეგაციასთან, ხოლო რადგან მარტო ამხ. კარახანი არ კმარა, ძალიან სასურველია, რომ წავიდნენ ამხ. იოფე და ზინოვიევი.

2

ა. ა. იოფე კატეგორიულ უარს ამბობს წასვლაზე, აცხადებს, რომ «ზავის ხელისმოწერა — სიკვდილია მთელი ბრესტის პოლიტიკისა».

ლენინი ამბობს, რომ ის დაჟინებით არ მოითხოვს იოფეს წასვლას რწმუნებულად ხელშეკრულების ხელმოსაწერად, მაგრამ საჭიროდ თვლის ამხ. იოფეს წასვლას კონსულტანტად. უეჭველია, გერმანელებმა თავიანთი პასუხი გამოგზავნეს ულტიმატური ფორმით, რადგან ეშინიათ ოპოზიციისა ჩვენის მხრით, ხოლო, როცა დაინახავენ, რომ ჩვენ თანახმა ვართ ხელი მოვაწეროთ ზავს, მათ შეუძლიათ დათანხმდნენ მოლაპარაკებაზეც. სწორედ ამის გამოა საჭირო კონსულტანტი, რომელმაც იცის მთელი საქმის ვითარება. თუ აღმოჩნდება, რომ საჭიროა მხოლოდ ხელისმოწერა, მაშინ, რასაკვირველია, ლაპარაკიც ზედმეტი იქნება, და კონსულტანტი არც კი გამოჩნდება სხდომაზე.

3

ლენინი ამბობს, რომ რადეკი, რომელიც წინააღმდეგია ზავის დადებისა, მაინც თანახმა იყო წასულიყო, მაგრამ პოლონელებმა აუკრძალეს მას წასვლა.

4

შემდგომ კამათში ლ. დ. ტროცკი აცხადებს, რომ ბრესტში უნდა მოხდეს მხოლოდ ზავის ხელისმოწერა და ა. ა. იოფე იქ საჭირო არ იქნება, რადგან გერმანელების პასუხში უკვე არის მოცემული ფორმულირება უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ.

ლენინი თვლის, რომ ტროცკი მართალი არ არის, რადგან ხელშეკრულების ხელისმოწერის დროს უეჭველად საჭირონი არიან სპეციალისტები, ჩვენ კი ასეთები არა გვყავს, თუნდაც სავაჭრო ხელშეკრულების დარგში. შეეძლო წასულიყო კრასინს, მაგრამ ის რამდენიმე ხნით სტოკჰოლმს წავიდა. ჩვენ ხელშეკრულებას ხელს ვაწერთ კბილის კბილზე დაჭერით, რასაც დელეგაცია აცხადებს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით სიტუაცია, არ ვიცით, რა შეიძლება მოხდეს იმ დროისათვის, როცა დელეგაცია ბრესტში მივა, ამიტომ იოფე, როგორც კონსულტანტი, საჭიროა. საერთოდ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ დელეგაციას ვავალებთ დაიწყოს მოლაპარაკება, თუ კი ამის შესაძლებლობა იქნება.

5

საკითხის შემდგომი განხილვისას ასახელებენ გ. ე. ზინოვიევისა და გ. ი. სოკოლნიკოვის კანდიდატურებს. ეს უკანასკნელი წინადადებას იძლევა გაიგზავნოს ზინოვიევი, ხოლო ზინოვიევი — რომ გაიგზავნოს სოკოლნიკოვი.

ლენინი თვლის, რომ უნდა გაიგზავნოს ორივე, რომ თუ საკითხი მარტო ზავის ხელისმოწერაზე იქნება, ორივეს შეუძლია მაშინვე წამოვიდნენ, შეუთანხმდებიან რა შემდგომის შესახებ ჩიჩერინს.

6

გ. ი. სოკოლნიკოვი აცხადებს, რომ ის ბრესტში არ წავა და თუ დადგენილება იქნება გამოტანილი, — გადის ც. კ-იდან.

ლენინი სთხოვს ამხანაგებს არ ინერვიულონ და აღნიშნავს, რომ დელეგაციაში შეიძლება წავიდეს ამხ. პეტროვსკი, როგორც სახალხო კომისარი.

7

შემდეგ ც. კ. იხილავს ტროცკის განცხადებას საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტიდან წასვლის შესახებ.

ლენინი აღნიშნავს, რომ ეს მიუღებელია, რომ პოლიტიკის შეცვლა — ეს კრიზისია. რომ შეკითხვა პოლიტიკის შესახებ დაგზავნილია პროვინციაში[21] და რომ ცოტაოდენი პოლემიკა სულაც არ იქნება საზიანო.

მას შეაქვს პრაქტიკული წინადადება: ც. კ. სთხოვს ამხ. ტროცკის გადასდოს თავისი განცხადება ც. კ-ის შემდეგ სხდომამდე, სამშაბათამდე. (შესწორება — ბრესტიდან დელეგაციის დაბრუნებამდე).

8

ლენინი წინადადებას იძლევა კენჭი ეყაროს შემდეგ განცხადებას: ც. კ. შეუძლებლად თვლის ამჟამად ამხ. ტროცკის გადადგომის მიღებას და სთხოვს მას გადასდოს ეს თავისი გადაწყვეტილება ბრესტიდან დელეგაციის დაბრუნებამდე ან საქმის ფაქტიური ვითარების შეცვლამდე.

მიღებულია, 3 თავს იკავებს.

9

ამ წინადადების მიღების შემდეგ ლ. დ. ტროცკი აცხადებს, «რომ მან შეიტანა თავისი განცხადება, იგი არ იქნა მიღებული და ამიტომ ის იძულებულია აღარ გამოცხადდეს ოფიციალურ დაწესებულებებში».

ლენინი წინადადებას იძლევა კენჭი ეყაროს: მოისმინა რა ამხ. ტროცკის განცხადება, ც. კ. სავსებით ურიგდება ამხ.

ტროცკის დაუსწრებლობას სახალხო კომისართა საბჭოში საგარეო საქმეების შესახებ გადაწყვეტილებათა დროს და სთხოვს ამხ. ტროცკის — არ ჩამოშორდეს სხვა გადაწყვეტილებებს.

მიღებულია.

10

შემდეგ ც. კ. იხილავს გ. ი. ლომოვის, მ. ს. ურიცკის, ვ. მ. სმირნოვის, გ. პიატაკოვისა და სხვ. განცხადებას საპასუხისმგებლო პარტიული და საბჭოთა პოსტებიდან წასვლის შესახებ.

ლენინი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას: ც. კ. სთხოვს განცხადების შემომტან ამხანაგებს — გადასდონ თავიანთი გადაწყვეტილება ბრესტიდან დელეგაციის დაბრუნებამდე და განხილულ იქნას ც. კ-ის ეს გადაწყვეტილება ჯგუფში.

11

ლენინს შეაქვს 2 წინადადება:

1) აღიარებს რა კანონიერად ოთხეულის მოთხოვნას, ც. კ. სთხოვს მათ განიხილონ ც. კ-ის წინადადება და გადასდონ თავიანთი განცხადება როგორც ყრილობის მოახლოების, ისე პოლიტიკური ვითარების სირთულის გამო.

2) აძლევს რა გარანტიას ამხანაგებს, რომ მათი განცხადებები დაიბეჭდება «პრავდაში», ც. კ. სთხოვს მათ გადასინჯონ თავიანთი გადაწყვეტილება და განიხილონ, ხომ არ თვლიან ისინი შესაძლებლად დარჩნენ როგორც საპასუხისმგებლო პოსტებზე, ისე ც. კ-ში.

ლენინის წინადადებანი მიღებულია.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1928 წ. ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 2 (73)

იბეჭდება წიგნის — «რსდმპ ც. კ-ის ოქმები. აგვისტო 1917 — თებერვალი 1918», 1929, — ტექსტის მიხედვით

შენიშვნა ზავზე ხელისმოწერის აუცილებლობის შესახებ

ახლანდელ მომენტში რომ ზავს ხელი არ მოაწერო, ეს ნიშნავს გამოაცხადო შეიარაღებული აჯანყება ან რევოლუციური ომი გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს — ან ფრაზაა, ანდა პროვოკაციაა რუსეთის ბურჟუაზიის მხრივ, რომელსაც გერმანელთა მოსვლა სწყურია. ნამდვილად კი ჩვენ არ შეგვიძლია ამ წუთსვე ვიომოთ, რადგან არმია ომის წინააღმდეგია, არმიას ომის წარმოება არ შეუძლია. ერთი კვირის ომმა გერმანელთა წინააღმდეგ, რომელთა წინაშე ჩვენი ჯარები პირდაპირ გამორბოდნენ, 1918 წ. 18-დან 24 თებერვლამდე, სავსებით ცხადყო ეს. ჩვენ გერმანიის იმპერიალიზმის ტყვეობაში ვიმყოფებით. საჭიროა არა ფრაზა გერმანელთა წინააღმდეგ დაუყოვნებლივი შეიარაღებული აჯანყების შესახებ, არამედ სისტემატური, სერიოზული, განუხრელი მუშაობა რევოლუციური ომის მოსამზადებლად, დისციპლინის, არმიის შექმნა, რკინიგზებისა და სურსათის საქმის მოწესრიგება. ასეთ თვალსაზრისზე დგას ცაკის უმრავლესობა, მათ შორის ლენინი (და ბოლშევიკების ც. კ-ის უმრავლესობა) და სპირიდონოვა, მალკინი (მემარცხენე ესერების ც. კ-ის უმცირესობა).

დაწერილია 1918 წ. 24 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რსდმპ (ბოლშევიკების) ც. კ-ის პოზიცია სეპარატიული და ანექსიონისტური ზავის საკითხში[22]

ძვირფასო ამხანაგებო!

ც. კ.-ის საორგანიზაციო ბიურო საჭიროდ თვლის მოგმართოთ თქვენ იმ მოტივების განმარტებით, რომლებმაც აიძულეს ცენტრალური კომიტეტი დათანხმებულიყო გერმანიის მთავრობის მიერ წამოყენებულ საზავო პირობებზე. საორგანიზაციო ბიურო მოგმართავთ თქვენ, ამხანაგებო, ამ განმარტებით იმ მიზნით, რომ ფართოდ ეცნობოს პარტიის ყველა წევრს, თუ რა თვალსაზრისს ადგია ცენტრალური კომიტეტი, რომელიც მთელ პარტიას წარმოადგენს ყრილობიდან ყრილობამდე. საორგანიზაციო ბიურო საჭიროდ თვლის აღნიშნოს, რომ საზავო პირობების ხელისმოწერის საკითხის შესახებ ც. კ-ში ერთსულოვნება არ ყოფილა. მაგრამ ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას მთელმა პარტიამ უნდა დაუჭიროს მხარი. უახლოეს დღეებში შედგება პარტიული ყრილობა, და მხოლოდ ამ ყრილობაზე შეიძლება გადაიჭრას საკითხი, თუ რამდენად სწორად გამოხატავდა ცენტრალური კომიტეტი მთელი პარტიის ნამდვილ პოზიციას. ყრილობამდე პარტიის ყველა წევრი პარტიული მოვალეობის გულისთვის, ჩვენს საკუთარ რიგებში ერთიანობის შენარჩუნების გულისთვის ცხოვრებაში ატარებს თავისი ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს, პარტიის ც. კ-ის გადაწყვეტილებებს.

ახლანდელ მომენტში (1918 წ. 24 თებერვალი) გერმანიასთან დაპყრობითი, წარმოუდგენლად მძიმე ზავის ხელისმოწერის აუცილებელი საჭიროება უწინარეს ყოვლისა

გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ არა გვყავს არმია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია თავი დავიცვათ.

ყველამ იცის, თუ რატომ გავხდით 1917 წ. 25 ოქტომბრის შემდეგ, პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის გამარჯვების შემდეგ, ჩვენ ყველანი ობორონცები, რატომ ვართ მომხრენი სამშობლოს დაცვისა.

სამშობლოს დაცვის თვალსაზრისით შეუწყნარებელია თავი ჩაათრევინო ვისმე სამხედრო შეტაკებაში, როდესაც არა გყავს არმია, და როდესაც მტერი შეიარაღებულია თავით ფეხამდე, მომზადებულია საუცხოოდ.

არ შეიძლება საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ ომი აწარმოოს, როცა საბჭოების ამომრჩეველ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასების აშკარად უდიდესი უმრავლესობა ომის წინააღმდეგია. ეს იქნებოდა ავანტიურა. სხვა საქმეა, თუ ეს ომი დასრულდება თუნდაც არქიმძიმე ზავით, და გერმანიის იმპერიალიზმი შემდეგ ისევ მოისურვებს რუსეთის წინააღმდეგ შემოტევითი ომის წარმოებას. მაშინ საბჭოების უმრავლესობა უთუოდ ომის მომხრე იქნება.

ახლა ომის წარმოება ობიექტურად ნიშნავს რუსეთის ბურჟუაზიის პროვოკაციის აყოლას. მან მშვენიერად იცის, რომ რუსეთი ამჟამად უმწეოა და მას გაანადგურებენ გერმანელთა უმნიშვნელო ძალებიც კი, რომელთათვისაც საკმარისია გადაჭრან მთავარი სარკინიგზო ხაზები, რათა შიმშილით აიღონ პიტერი და მოსკოვი. ბურჟუაზიას უნდა ომი, ვინაიდან უნდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და გერმანიის ბურჟუაზიასთან შეთანხმება. ბურჟუების ტრიუმფი გერმანელების შესვლისას დვინსკსა და რეჟიცაში, ვენდენსა და გაპსალში, მინსკსა და დრისში — ცხადზე უცხადესად ამტკიცებს ამას.

რევოლუციური ომის დაცვა ახლანდელ მომენტში აუცილებლად იქცევა რევოლუციურ ფრაზად. ვინაიდან უარმიოდ, სერიოზული ეკონომიური მომზადების გარეშე, მოწინავე იმპერიალიზმის წინააღმდეგ თანამედროვე ომის წარმოება გაჩანაგებული გლეხური არმიისათვის — შეუძლებელი რამაა. წინააღ-

მდეგობის გაწევა გერმანიის იმპერიალიზმისადმი, რომელიც ტყვედ ჩაგვიგდებს და გაგვსრესს, — აუცილებლად საჭიროა. მაგრამ ცარიელი ფრაზა იქნებოდა მოთხოვნა: წინააღმდეგობა გაგვეწია სწორედ შეიარაღებული აჯანყების საშუალებით და სწორედ ამჟამად, როცა ასეთი წინააღმდეგობის გაწევა აშკარად უიმედოა ჩვენთვის, აშკარად ხელსაყრელია როგორც გერმანიის, ისე რუსეთის ბურჟუაზიისათვის.

ასეთივე ფრაზას წარმოადგენს დაუყოვნებლივი რევოლუციური ომის დაცვა საბუთებით საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის მხარდაჭერის შესახებ. თუ ჩვენ ბრძოლის უდროოდ მიღებით გავუადვილებთ გერმანიის იმპერიალიზმს საბჭოთა რესპუბლიკის განადგურებას, მაშინ კი არ დავეხმარებით, არამედ ზიანს მოვუტანთ გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობას და სოციალიზმის საქმეს. საჭიროა ყოველმხრივი, დაჟინებითი, სისტემატური მუშაობით ვეხმარებოდეთ მხოლოდ რევოლუციურ ინტერნაციონალისტებს ყველა ქვეყნის შიგნით, მაგრამ შეიარაღებული აჯანყების ავანტიურაზე წასვლა, როცა იგი აშკარად ავანტიურაა, მარქსისტს არ შეფერის.

თუ ლიბკნეხტმა 2—3 კვირაში გაიმარჯვა (ეს შესაძლებელია), ის, რა თქმა უნდა, გამოგვიყვანს ყველა სიძნელიდან. მაგრამ პირდაპირ სისულელე და ყველა ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობის დიადი ლოზუნგის აბუჩად აგდება იქნებოდა, რომ ჩვენ ფიქრად გაგვევლო და გვეთავდებებინა ხალხის წინაშე — ლიბკნეხტი აუცილებლად და უეჭველად გაიმარჯვებს უახლოეს კვირეებშიო. სწორედ ასეთი მსჯელობით აქცევენ ყოვლად უშინაარსო ფრაზად დიად ლოზუნგს: «ჩვენ იმედს მსოფლიო რევოლუციაზე ვამყარებდით».

საქმის ვითარება, ობიექტურად, ჰგავს 1907 წლის ზაფხულისას. მაშინ ჩვენ გაგვსრისა და დაგვატყვევა რუსმა მონარქისტმა სტოლიპინმა, ახლა — გერმანელმა იმპერიალისტმა. მაშინ დაუყოვნებლივ აჯანყების ლოზუნგი ცარიელი ფრაზა აღმოჩნდა, რომელიც, სამწუხაროდ, ესერების მთელ პარტიას მოედო. ახლა, ამ წუთში, რევოლუციური ომის ლოზუნგი

აშკარად ფრაზაა, რამაც გაიტაცა მემარცხენე ესერები, რომელნიც მემარჯვენე ესერების საბუთებს იმეორებენ. ჩვენ ტყვედ ვყავართ გერმანიის იმპერიალიზმს, ჩვენ მოგვეელის ძნელი და ხანგრძლივი ბრძოლა მსოფლიო იმპერიალიზმის ამ მოთავეს დასამხობად; ეს არის, აუცილებლად, უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა სოციალიზმისათვის, მაგრამ ახლანდელ მომენტში ამ ბრძოლის დაწყება შეიარაღებული აჯანყებით იმპერიალიზმის მოთავეს წინააღმდეგ — არის ავანტიურა, რომელზედაც არასოდეს არ წავლენ მარქსისტები.

სისტემატური, განუხრელი, ყოველმხრივი მომზადება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა, თვითდისციპლინისა ყველგან და ყოველგან, მძიმე დამარცხების გამოყენება დისციპლინის ასამაღლებლად ცხოვრების ყველა სფეროში, ქვეყნის ეკონომიური აღმავლობისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, — აი სადღეისო ამოცანა, აი რევოლუციური ომის მზადება საქმით, და არა სიტყვით.

დასასრულ, საორგანიზაციო ბიურო საჭიროდ თვლის აღნიშნოს, რომ, რამდენადაც დღემდე გერმანიის იმპერიალიზმის შემოტევა არ შეწყვეტილა, პარტიის ყველა წევრმა ერთსულოვანი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მას. თუ კი არ შეიძლება თუნდაც უკიდურესად მძიმე ზავის ხელისმოწერით მივიღოთ დრო ახალი ბრძოლებისათვის მოსამზადებლად, ჩვენმა პარტიამ უნდა აღიაროს მთელი ძალების დაძაბვის აუცილებლობა უაღრესად აშკარა წინააღმდეგობის გასაწევად.

თუ შეიძლება დრო მოვიგოთ, მივიღოთ თუნდაც ხანმოკლე შესვენება ორგანიზაციული მუშაობისათვის, ჩვენ ვალდებული ვართ ამას მივაღწიოთ. თუ ჩვენ დრო არ მოგვეცა, ჩვენმა პარტიამ უნდა მოუწოდოს მასებს ბრძოლისაკენ, უაღრესად ენერგიული თავდაცვისაკენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარტიის ყველა წევრი შეასრულებს თავის მოვალეობას პარტიის წინაშე, თავისი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე, ხალხისა და პროლეტარიატის წინაშე. საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებით ჩვენ ყველაზე უკეთეს, ყველაზე

ძლიერ დახმარებას ვუწევთ ყველა ქვეყნის პროლეტარიატს მის წარმოუდგენლად ძნელ, მძიმე ბრძოლაში საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. და დღეს სოციალიზმის საქმისათვის იმაზე მეტი ლახვარი, ვიდრე რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების მარცხი, არ არის და არც შეიძლება იყოს.

ამხანაგური სალამით

რსდმპ (ბოლშევიკების) ც. კ-ის
საორგანიზაციო ბიურო

დაწერილია 1918 წ. 24 თებერვალს

დაიბეჭდა 1918 წ. 26 თებერვალს
გაზეთ «პრავდაში» № 35

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

მეექვსე, მაგრამ აუცილებელი გაკვეთილი

ერთი კვირა 1918 წ. 18-დან 24 (11) თებერვლამდე რუსეთის — და საერთაშორისო — რევოლუციის ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული გარდატეხა.

1917 წ. 27 თებერვალს რუსეთის პროლეტარიატმა სამხედრო ამბების მსვლელობით გამოღვიძებულ გლეხობის ნაწილსა და ბურჟუაზიასთან ერთად დაამხო მონარქია. 1917 წ. 21 აპრილს მან დაამხო იმპერიალისტური ბურჟუაზიის ერთხელისუფლებიანობა და ძალაუფლება გადასცა ბურჟუაზიასთან წვრილბურჟუაზიულ შემთანხმებლებს. 3 ივლისს ქალაქის პროლეტარიატმა, რომელიც სტიქიურად აღსდგა სადემონსტრაციოდ, შეარყია შემთანხმებელთა მთავრობა. 25 ოქტომბერს მან დაამხო იგი და დაამყარა მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა.

საჭირო იყო ეს გამარჯვება დაგვეცვა სამოქალაქო ომში. ამას მოუნდა დაახლოებით სამი თვე, დაწყებული გატჩინასთან კერენსკიზე გამარჯვებით, განგრძობილი ბურჟუაზიაზე, იუნკრებზე, კონტრრევოლუციური კაზაკობის ნაწილზე გამარჯვებით მოსკოვში, ირკუტსკში, ორენბურგში, კიევში და გათავებული კალედინზე, კორნილოვსა და ალექსეევზე გამარჯვებით დონის როსტოვში.

პროლეტარული აჯანყების ხანძარმა იფეთქა ფინეთში. ცეცხლი გადავიდა რუმინეთში.

გამარჯვება შინაურ ფრონტზე შედარებით ადვილად მოვიპოვეთ, ვინაიდან მტერს არ გააჩნდა არავითარი უპირატე-

სობა არც ტექნიკის და არც ორგანიზაციის მხრივ, ამასთან არა ჰქონდა არავითარი ეკონომიური ბაზა ფეხქვეშ, არავითარი დასაყრდენი მოსახლეობის მასებში. გამარჯვებათა სიადვილეს არ შეეძლო თავბრუ არ დაესხა მრავალი ხელმძღვანელისთვის. ჩნდებოდა განწყობილება: «კუდით ქვას ვასროლინებთო».

არაფრად აგდებდნენ ფრონტიდან მიმავალი, სასწრაფოდ დემობილიზებული არმიის უდიდეს გახრწნას. გაბრუებული იყვნენ რევოლუციური ფრაზით. ეს ფრაზა გადაიტანეს მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე. რუსეთის დროებითი «თავისუფლება» იმპერიალიზმის შემოტევისაგან მიიჩნიეს რაღაც ნორმალურ მოვლენად, მაშინ როდესაც ნამდვილად ეს «თავისუფლება» აიხსნებოდა მხოლოდ გერმანიისა და ინგლის-საფრანგეთის მტაცებელთა შორის წარმოებული ომის დროებითი შეწყვეტით. ავსტრიასა და გერმანიაში მასობრივი გაფიცვების დაწყება მიიღეს რევოლუციად, რომელმაც ვითომ უკვე გაგვათავისუფლა ჩვენ სერიოზული საფრთხისაგან გერმანიის იმპერიალიზმის მხრით. ნაცვლად სერიოზული, საქმიანი, მტკიცე მუშაობისა გერმანიის რევოლუციის ხელშესაწყობად, რომელიც განსაკუთრებით მძიმე და ძნელი გზით იბადება, მარტო ხელების ქნევა იყო: «სად შეუძლიათ მათ, გერმანელ იმპერიალისტებს, — ჩვენ ლიბკნეხტთან ერთად უცბად ჩამოვაგდებთ მათო!»

1918 წლის 18 — 24 თებერვლის კვირა, დვინსკის აღებიდან (შემდეგ უკანვე დაბრუნებული) ფსკოვის აღებამდე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ იმპერიალისტური გერმანიის სამხედრო შემოტევის კვირა, იყო მწარე, საწყენი, მძიმე, მაგრამ აუცილებელი, სასარგებლო, კეთილმყოფელი გაკვეთილი. რა უსასრულოდ საგულისხმო იყო ერთმანეთთან შედარება იმ დეპეშების და სატელეფონო ცნობების ორი ჯგუფისა, რომლებიც ამ კვირის განმავლობაში შემოდიოდა მთავრობის ცენტრში! ერთი მხრით, თავშეუკავებელი თარეში «სარეზოლუციო» რევოლუციური ფრაზისა შტეინბერგისებური ფრაზისა, შეიძლებოდა გვეთქვა, თუ

მოვიგონებთ ამგვარი სტილის შედეგრს, «მემარცხენე» (ჰმ... ჰმ...) ესერ შტეინბერგის სიტყვას ცაკის შაბათის სხდომაზე [23]. მეორე მხრით, მტანჯველად სამარცხვინო ცნობები პოლკების მიერ პოზიციების შენარჩუნების უარისთქმაზე, თვით ნარვის ხაზის დაცვის უარისთქმაზე, უკანდახევის დროს ყველაფრის მოსპობის ბრძანების შეუსრულებლობაზე; უკვე აღარაფერს ვამბობთ გამოქცევაზე, ქაოსზე, უთაურობაზე, უმწეობაზე, დოყლაპიობაზე.

მწარე, საწყენი, მძიმე, — აუცილებელი, სასარგებლო, კეთილმყოფელი გაკვეთილი!

შეგნებული, მოაზროვნე მუშა ამ ისტორიული გაკვეთილიდან სამ დასკვნას გამოიყვანს: ჩვენს დამოკიდებულებაზე სამშობლოს დაცვისადმი, ჩვნი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისადმი, რევოლუციური, სოციალისტური ომისადმი; მსოფლიო იმპერიალიზმთან ჩვენი შეტაკების პირობებზე; საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობისადმი ჩვენი დამოკიდებულების საკითხის სწორ დაყენებაზე.

ჩვენ — ობორონცები ვართ ახლა, 1917 წ. 25 ოქტომბრიდან, ჩვენ—სამშობლოს დაცვის მომხრენი ვართ ამ დღიდან. ვინაიდან ჩვენ დავამტკიცეთ ს ა ქ მ ი თ, რომ ყოველგვარი კავშირი გავწყვიტეთ იმპერიალიზმთან. ჩვენ გავაუქმეთ და გამოვაქვეყნეთ ბინძური და სისხლიანი იმპერიალისტური ხელშეკრულება-შეთქმულებანი. ჩვენ დავამხეთ ჩ ვ ე ნ ი ბურჟუაზია. ჩვენ თავისუფლება მივანიჭეთ ჩ ვ ე ნ ს მ ი ე რ ჩაგრულ ხალხებს. ჩვენ მივეცით ხალხს მიწა და მუშათა კონტროლი. ჩვენ რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაცვის მომხრენი ვართ.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ სამშობლოს დაცვის მომხრენი ვართ, ჩვენ მოვითხოვთ ს ე რ ი ო ზ უ ლ დამოკიდებულებას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და საბრძოლო მომზადებისადმი. ჩვენ დაუნდობელ ომს ვუცხადებთ რევოლუციურ ფრაზას რევოლუციური ომის შესახებ. მისთვის უნდა ვემზადოთ ხანგრძლივად, სერიოზულად, უნდა დავიწყოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინებით, რკინიგზების მოგვარებით

(ვინაიდან უმათოდ თანამედროვე ომი ყოვლად უშინაარსო ფრაზაა), ყველგან და ყველაფერში უსასტიკესი რევოლუციური დისციპლინისა და თვითდისციპლინის აღდგენით.

სამშობლოს დაცვის თვალსაზრისით დანაშაულია სამხედრო შეტაკებაში ჩაბმა დაუსრულებლად უფრო ძლიერსა და მომზადებულ მტერთან, როცა აშკარად არა გყავს არმია. ჩვენ, სამშობლოს დაცვის თვალსაზრისით, ვალდებული ვართ ხელი მოვაწეროთ უმძიმეს, მჩაგვრელ, მხეცურ, სამარცხვინო ზავს — არა იმისათვის, რომ «კაპიტულაცია მოვახდინოთ» იმპერიალიზმის წინაშე, არამედ იმისათვის, რომ ვისწავლოთ და სერიოზულად, საქმიანად ვემზადოთ მასთან საომრად.

განვლილმა კვირამ რუსეთის რევოლუცია აიყვანა მსოფლიო-ისტორიული განვითარების განუზომლად უფრო მაღალ საფეხურზე. ისტორიამ ამ დღეებში წინ წაიწია ერთბაშად რამდენიმე საფეხურით მაღლა.

დღემდე ჩვენს წინაშე იდგნენ (მსოფლიო იმპერიალიზმის თვალსაზრისით) უმნიშვნელო, საზიზღარ-უბადრუკი მტრები, რომელიღაც რეგვენი რომანოვი, მკვეხარა კერენსკი, იუნკრებისა და ბურჟუების ბანდები. ახლა ჩვენს წინააღმდეგ აღსდგა კულტურული, ტექნიკურად პირველხარისხოვნად მოწყობილი, ორგანიზაციულად დიდებულად მოგვარებული მსოფლიო იმპერიალიზმის გიგანტი. მას უ ნ დ ა ვებრძოლოთ. მასთან ბრძოლა უნდა ვ ი ც ო დ ე თ. სამი წლის ომით გაუგონარ რღვევამდე მიყვანილი გლეხური ქვეყანა, რომელმაც სოციალისტური რევოლუცია დაიწყო, უნდა მოერიდოს სამხედრო შეტაკებას, — ვიდრე შესაძლებელია მისი მორიდება თუნდაც უმძიმესი მსხვერპლის გაღებით, — სწორედ იმისათვის, რომ შესაძლებლობა ექნეს სერიოზული რამ გააკეთოს იმ მომენტისთვის, როცა იფეთქებს «უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა».

ეს ბრძოლა მხოლოდ მაშინ იფეთქებს, როცა გაჩაღდება სოციალისტური რევოლუცია მოწინავე იმპერიალისტურ ქვეყნებში. ასეთი რევოლუცია, უეჭველია, მწიფდება და

მტკიცდება ყოველთვე, ყოველკვირა. ამ მწიფებად ძალას უ ნ დ ა დავეხმაროთ, უნდა ვ ი ც ო დ ე თ მისდამი დახმარება. მას კი არ დაეხმარებით, არამედ ავნებთ, თუ გასანადგურებლად მისცემთ მეზობელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ისეთ მომენტში, როცა მას აშკარად არა ჰყავს არმია.

არ უნდა გადავაქცეოთ ფრაზად დიადი ლოზუნგი: «ჩვენ იმედს ევროპაში სოციალიზმის გამარჯვებაზე ვამყარებთ». ეს— ჭეშმარიტებაა, თუ მხედველობაში გვაქვს სოციალიზმის ბოლომდე გამარჯვების ხანგრძლივი და ძნელი გზა. ეს — უცილობელი, ფილოსოფიურ-ისტორიული ჭეშმარიტებაა, თუ ავიღებთ მთელს «სოციალისტური რევოლუციის ერას» მის მთლიანობაში. მაგრამ ყოველი განყენებული ჭეშმარიტება ფრაზად იქცევა, თუ მას ყ ო ვ ე ლ კონკრეტულ მდგომარეობას შევუფარდებთ. უდავოა, რომ «თვითეულ გაფიცვაში იმალება სოციალური რევოლუციის ვეშაპი». სისულელეა, თითქოს თვითეული გაფიცვიდან ერთბაშად შეიძლებოდეს რევოლუციაზე გადასვლა. თუ ჩვენ «იმედს ევროპაში სოციალიზმის გამარჯვებაზე ვამყარებთ» იმ აზრით, რომ თავდებობას ვკისრულობთ ხალხის წინაშე, იმის თავდებობას, რომ ევროპის რევოლუცია აუცილებლად იფეთქებს და გაიმარჯვებს რამდენიმე უახლოეს კვირაში, უსათუოდ მანამდე, სანამ გერმანელები მოასწრებდნენ მოსვლას პიტერამდე, მოსკოვამდე, კიევამდე, სანამ «გაანადგურებდნენ» ჩვენს სარკინიგზო ტრანსპორტს, — მაშინ ჩვენ ვიქცევით არა როგორც სერიოზული რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტები, არამედ როგორც ავანტიურისტები.

თუ ლიბკნეხტი 2 — 3 კვირაში დაამარცხებს ბურჟუაზიას (ეს შეუძლებელი არაა), ის გვიხსნის ჩვენ ყველა სიძნელისაგან. ეს უდავოა. მაგრამ თუ ჩვენს დღევანდელ ტაქტიკას დღევანდელ იმპერიალიზმთან ბრძოლაში განვსაზღვრავთ იმის იმედით, რომ ლიბკნეხტმა უთუოდ უნდა გაიმარჯვოს სწორედ უახლოეს კვირეებშიო, მაშინ ჩვენ მხოლოდ დაცინვის ღირსი ვიქნებით. ჩვენ თანამედროვეობის უდიდეს რევოლუციურ ლოზუნგებს რევოლუციურ ფრაზად გადავაქცევთ.

ისწავლეთ რევოლუციის მძიმე, მაგრამ სასარგებლო გაკვეთილებით, ამხანაგო მუშებო! სერიოზულად, დაძაბულად, განუხრელად ემზადეთ სამშობლოს დასაცავად, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად!

«პრავდა» (საღამოს გამოცემა) № 35,
1918 წ. 25 თებერვალი
ხელმოწერა: ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

პროექტი
სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა მთავრობის ევაკუაციის შესახებ[24]

1) არჩეულ იქნას ადგილსამყოფელად მოსკოვი.

2) თვითეულმა უწყებამ მოახდინოს ცენტრალური ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელთა მხოლოდ მინიმალური რაოდენობის, არა უმეტეს 2—3 ათეული კაცის (პლუს ოჯახები) ევაკუაცია.

3) რადაც უნდა დაჯდეს და დაუყოვნებლივ გატანილ იქნას სახელმწიფო ბანკი, ოქრო და სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიცია.

4) დაწყებულ იქნას მოსკოვის ძვირფასეულობათა განტვირთვა.

დაწერილია 1918 წ. 26 თებერვალს

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

უცნაური და შემზარავი

1918 წ. 24 თებერვალს მიღებული რეზოლუციით ჩვენი პარტიის მოსკოვის საოლქო ბიურომ[25] უნდობლობა გამოუცხადა ცენტრალურ კომიტეტს, უარი სთქვა დაემორჩილოს მის იმ დადგენილებებს, «რომლებიც დაკავშირებული იქნება ავსტრია-გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პირობების განხორციელებასთან», და რეზოლუციის «განმარტებითს ტექსტში» განაცხადა, რომ «ფიქრობს, ძნელად თუ ასაცილებელია პარტიის გათიშვა უახლოეს დროში» *.

ყოველივე ამაში არათუ შემზარავი, უცნაურიც არა არის რა: სავსებით ბუნებრივია, რომ ის ამხანაგები, რომელნიც სრულიად არ ეთანხმებიან ც. კ-ს სეპარატიული ზავის საკითხში, მკაცრად ჰკიცხავენ ც. კ-ს და გამოთქვამენ გათიშვის აუცილებლობის რწმენას. ყოველივე ეს პარტიის წევრთა უაღრესად კანონიერი უფლებაა, ეს სავსებით გასაგებია.

მაგრამ აი რა არის უცნაური და შემზარავი. რეზოლუციას დართული აქვს «განმარტებითი ტექსტი». მოგვყავს იგი სრულად:

* აი რეზოლუციის სრული ტექსტი: «განიხილა რა ც. კ-ის მოქმედება, რსდმპ მოსკოვის საოლქო ბიურო უნდობლობას უცხადებს ც. კ-ს, მისი პოლიტიკური ხაზისა და შემადგენლობის გამო, და პირველი შესაძლებლობისთანავე დაჟინებით მოითხოვს მის გადარჩევას. გარდა ამისა, მოსკოვის საოლქო ბიურო თავისთავს არ თვლის ვალდებულად უსათუოდ დაემორჩილოს ც. კ-ის იმ დადგენილებებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება ავსტრია-გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების **პირობების** განხორციელებასთან». **რეზოლუცია მიღებულია ერთხმად.**

«მოსკოვის საოლქო ბიურო ფიქრობს, ძნელად თუ ასაცილებელია პარტიის გათიშვა უახლოეს დროში, ამასთან ის თავის ამოცანად ისახავს ეცადოს და გააერთიანოს ყველა თანმიმდევრული რევოლუციურ-კომუნისტური ელემენტი, რომელნიც ერთნაირად ებრძვიან როგორც სეპარატიული ზავის შეკვრის მომხრეთ, ისე პარტიის ყველა ზომიერ ოპორტუნისტულ ელემენტს. საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებისათვის ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია წავიდეთ საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვის შესაძლებლობაზე, იმ ხელისუფლებისა, რომელიც ახლა წმინდა ფორმალური ხდება. ჩვენს ძირითად ამოცანას წინანდებურად ვხედავთ იმაში, რომ სოციალისტური რევოლუციის იდეები გავავრცელოთ ყველა სხვა ქვეყანაში და მტკიცედ გავატაროთ მუშათა დიქტატურა, ულმობლად დავთრგუნოთ ბურჟუაზიული კონტრრევოლუცია რუსეთში».

აქ ჩვენს მიერ ხაზგასმულია ის სიტყვები, რომლებიც... უცნაური და შემზარავია.

ამ სიტყვებშია საკითხის დედაარსი.

ამ სიტყვებს რეზოლუციის ავტორების მთელი ხაზი აბსურდამდე მიჰყავთ. ეს სიტყვები არაჩვეულებრივი სიცხადით ააშკარავებენ მათი შეცდომის ფესვს.

«საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებისათვის მიზანშეწონილია წავიდეთ საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვის შესაძლებლობაზე»... ეს უცნაურია, ვინაიდან კავშირიც კი არ არსებობს წანამძღვრებსა და დასკვნას შორის. «საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებისათვის მიზანშეწონილია წავიდეთ საბჭოთა ხელისუფლების სამხედრო დამარცხებაზე» — ასეთი თეზისი იქნებოდა სწორი ან არასწორი, მაგრამ მას უცნაურს ვერ დავარქმევდით. ეს — პირველი.

მეორე: საბჭოთა ხელისუფლება «ახლა წმინდა ფორმალური ხდება». აი ეს უკვე არათუ უცნაური, პირდაპირ შემ-

ზარავია. ცხადია, ავტორები ძალიან გახლართულან დაბნეულობის ქსელში. საჭირო ხდება ამ ხლართის გახსნა.

პირველი საკითხის შესახებ, ავტორების აზრი, აშკარაა, იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებისათვის მიზანშეწონილია წავიდეთ ომში დამარცხების შესაძლებლობაზე, რაც იწვევს საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვას, ე. ი. ბურჟუაზიის გამარჯვებას რუსეთში. ამ აზრის გამოთქმით ავტორები არაპირდაპირ აღიარებენ იმის სისწორეს, რაც მე ვთქვი (1918 წ. 8 იანვრის) თეზისებში (დაიბეჭდა «პრავდაში» 1918 წ. 24 თებერვალს) *, სახელდობრ, რომ გერმანიის მიერ ჩვენდამი წამოყენებული საზავო პირობების მიუღებლობა გამოიწვევს რუსეთის დამარცხებას და საბჭოთა ხელისუფლების დამხობას.

ამრიგად, **la raison finit toujours par avoir raison** — სიმართლე ყოველთვის იმარჯვებს! ჩემს «უკიდურეს» მოწინააღმდეგეთ, მოსკოველებს, რომელნიც გათიშვით იმუქრებიან, — სწორედ იმიტომ, რომ აშკარად გამოთქვეს გათიშვის აზრი, — აგრეთვე ბოლომდე უნდა გამოეთქვათ თავიანთი კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი მოსაზრებანი, სწორედ ის მოსაზრებანი, რომელთა გვერდის ავლას ამჯობინებენ ადამიანები, რომელნიც კმაყოფილდებიან ზოგადი ფრაზებით რევოლუციური ომის შესახებ. ჩემი თეზისებისა და ჩემი მოსაზრებების მთელი დედაარსი (როგორც ამას დაინახავს ყველა, ვინც კი მოისურვებს ჩემი 1918 წ. 7 იანვრის თეზისების ყურადღებით წაკითხვას) იმაში მდგომარეობს, რომ იქ აღნიშნულია აუცილებელი საჭიროება — მივიღოთ ა ხ ლ ა ვ ე, ამ წუთში, არქიმძიმე ზავი და ამავე დროს სერიოზულად ვ ა მ ზ ა დ ო თ რევოლუციური ომი (აგრეთვე სწორედ ამ სერიოზული მზადების ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს თ ვ ი ს ა ც). ჩემს მოსაზრებათა მთელ დედაარსს გვერდს უვლიდნენ ან არ ამჩნევდნენ, არ უნდოდათ შეემჩნიათ მათ, ვინც კმაყოფილდებოდა ზოგადი ფრაზებით რევოლუციური ომის შესახებ. და აი ახლა მე

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 515 — 525. რ ე დ.

სულითა და გულით მადლობა უნდა გადავუხადო სწორედ ჩემს «უკიდურეს» მოწინააღმდეგეთ, მოსკოველებს, იმისათვის, რომ მათ დაარღვიეს «დუმილის შეთქმულება» ჩემს მოსაზრებათა დედაარსის გამო. პირველად მოსკოველებმა უპასუხეს ამ მოსაზრებებს.

და მერე როგორი იყო მათი პასუხი?

პასუხი შეიცავდა ჩემი კონკრეტული მოსაზრების სისწორის აღიარებას: დიახ, მოსკოველებმა აღიარეს, ჩვენ მართლაც მოგველის დამარცხება, თუ ახლა ჩავებმებით ბრძოლაში გერმანელებთან *. დიახ, ეს დამარცხება წამდვილად გამოიწვევდა საბჭოთა ხელისუფლების დაცემას.

კიდევ და კიდევ ერთხელ: სულითა და გულით მადლობელი ვარ ჩემი «უკიდურესი» მოწინააღმდეგეების, მოსკოველებისა, იმისათვის, რომ მათ დაარღვიეს «დუმილის შეთქმულება» ჩემს მოსაზრებათა დედაარსის წინააღმდეგ, ე. ი. სახელდობრ წინააღმდეგ ჩემი კონკრეტული მითითებისა ომის პირობებზე, თუ, ვინიცობაა, ჩვენ ომში ახლავე ჩავებმებით, აგრეთვე იმისათვის, რომ მათ უშიშრად აღიარეს ჩემი კონკრეტული მითითების სისწორე.

შემდეგ. რაში მდგომარეობს გაბათილება იმ ჩემი მოსაზრებებისა, რომელთა სისწორე არსებითად მოსკოველებს ძალაუნებურად უნდა ეღიარებინათ?

იმაში, რომ საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებისათვის უნდა წავიდეთ საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვაზეო.

რატომ მოითხოვს ამას საერთაშორისო რევოლუციის ინტერესები? აქ არის არგუმენტაციის დედაძარღვი, თვით

---

* იმ კონტრშეკამათებაზე, რომ ბრძოლის თავიდან აცილება სულერთია მაინც არ შეიძლებოდაო, პასუხი გაცემულია ფაქტებით: 8 იანვარს წავიკითხე ჩემი თეზისები; 15 იანვარს ჩვენ შეგვეძლო გვქონოდა ზავი. შესვენება უზრუნველყოფილი გვექნებოდა ნამდვილად (ჩვენთვის კი სულ მცირე შესვენებასაც უზარმაზარი — როგორც მატერიალური, ისე მორალური — მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან გერმანელს ახალი ომი უნდა გამოეცხადებინა), თუ არ... თუ არ რევოლუციური ფრაზა.

არსი იმათთვის, ვისაც უნდოდა ჩემი მოსაზრებების გაბათილება. და სწორედ ამ, ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი, ძირითადი, პუნქტის შესახებ ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი არც რეზოლუციაში და არც განმარტებითს ტექსტში. იმაზე მოსალაპარაკებლად, რაც საყოველთაოდ ცნობილი და უდავოა, რეზოლუციის შემდგენელთ დროც უშოვიათ და ადგილიც — «რუსეთში ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ულმობლად დათრგუნვაზედაც» (ისეთი პოლიტიკის საშუალებებითა და ხერხებით, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვისაკენ მივყავართ?) და პარტიის ყველა ზომიერი ოპორტუნისტული ელემენტის წინააღმდეგ ბრძოლაზედაც, — ხოლო იმაზე, რაც სწორედ სადავოა, იმაზე, რაც სწორედ ზავის მოწინააღმდეგეთა პოზიციის არსს ეხება, — კრინტიც არაა დაძრული!

უცნაურია. მეტისმეტად უცნაურია. იმიტომ ხომ არ მიაჩუმათეს ეს რეზოლუციის ავტორებმა, რომ ისინი ამ პუნქტში თავიანთ განსაკუთრებულ სისუსტეს გრძნობდნენ? ნათლად გამოთქმა იმისა, თუ რ ა ტ ო მ (მოითხოვს ამას საერთაშორისო რევოლუციის ინტერესები), თითქმის, საკუთარი თავის მხილება იქნებოდა...

ასეა თუ ისე, ჩვენ გვიხდება იმ საბუთების ძ ე ბ ნ ა, რომლებითაც შ ე ე ძ ლ ო თ ეხელმძღვანელნათ რეზოლუციის ავტორებს.

შეიძლება, ავტორები ფიქრობენ, რომ საერთაშორისო რევოლუციის ინტერესები გვიკრძალავს ყოველგვარ ზავს იმპერიალისტებთან? ასეთი აზრი გამოთქვა ზავის ზოგიერთმა მოწინააღმდეგემ ერთ თათბირზე პიტერში. მაგრამ მას მიემხრო სწორედ იმათი უმნიშვნელო უმცირესობა, ვინც ილაშქრებდა სეპარატიული ზავის წინააღმდეგ [26]. ცხადია, ეს აზრი იწვევს ბრესტის მოლაპარაკების მიზანშეწონილობის უარყოფას და ზავის უარყოფას პოლონეთის, ლატვიისა და კურლანდიის დაბრუნების პირობითაც «კი». ამგვარ შეხედულებათა (რომელთაც, მაგალითად, უარყოფს ზავის პიტერელ მოწინააღმდეგეთა უმრავლესობა) მცდარობა თვალში

ეცემა ადამიანს. იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის მოქცეული სოციალისტური რესპუბლიკა, ამგვარ შეხედულებათა თვალსაზრისით, ვერავითარი ეკონომიური ხელშეკრულების დადებას ვერ შესძლებდა, იგი ვერ იარსებებდა, თუ მთვარეზე არ გაფრინდებოდა.

შეიძლება, ავტორები ფიქრობენ, რომ საერთაშორისო რევოლუციის ინტერესები მოითხოვს მის წ ა ბ ი ძ გ ე ბ ა ს, ასეთი წაბიძგება კი იქნებოდა მხოლოდ ომი და სრულიადაც არა ზავი, რომელსაც შეუძლია მასებზე მოახდინოს იმპერიალიზმის «დაკანონების» მაგვარი შთაბეჭდილება? ასეთი «თეორია» სრულიად წინააღმდეგი იქნებოდა მარქსიზმისა, რომელიც ყოველთვის უარყოფდა რევოლუციების «წაბიძგებას», რევოლუციებისა, რომელნიც ვითარდებიან მათ წარმომშობ კლასობრივ წინააღმდეგობათა სიმწვავის მომწიფებისდა კვალად. ამგვარი თეორია შეეფერებოდა იმ შეხედულებას, თითქოს შეიარაღებული აჯანყება ბრძოლის ისეთი ფორმაა, რომელიც სავალდებულოა ყოველთვის და ყოველ პირობებში. ნამდვილად კი საერთაშორისო რევოლუციის ინტერესები მოითხოვს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც დაამხო ქვეყნის ბურჟუაზია, ე ხ მ ა რ ე ბ ო დ ე ს ამ რევოლუციას, მაგრამ დახმარების ფ ო რ მ ა ს ირჩევდეს თავისი ძალ-ღონის შესაბამისად. საერთაშორისო მასშტაბით სოციალისტური რევოლუციისადმი დახმარება და იმავე დროს მ ო ც ე მ უ ლ ქვეყანაში ამ რევოლუციის დამარცხების შესაძლებლობის მიღება, — ასეთი შეხედულება წაბიძგების თეორიიდანაც კი არ გამომდინარეობს.

შეიძლება, რევოლუციის ავტორები ფიქრობენ, რომ გერმანიაში რევოლუცია უკვე დაიწყო, რომ იქ მან უკვე მიაღწია აშკარა საერთო-ნაციონალურ სამოქალაქო ომს, რომ ამიტომ ჩვენი ძალები უნდა დავახმაროთ გერმანელ მუშებს, თვითონ უნდა დავიღუპოთ («საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვა»), რათა ვ ი ხ ს ნ ა თ გერმანიის რევოლუცია, რომელმაც უკვე დაიწყო თავისი გადამწყვეტი ბრძოლა და მძიმე განსაცდელში ჩავარდა? ამ თვალსაზრისით, ჩვენი დაღუპვით,

ჩვენ ჩამოვაცილებდით გერმანიის კონტრრევოლუციის ძალების ერთ ნაწილს და ამით ვიხსნიდით გერმანიის რევოლუციას.

სავსებით დასაშვებია, რომ ასეთი წანამძღვრების დროს არათუ «მიზანშეწონილი» (როგორც რეზოლუციის ავტორები ამბობენ), არამედ პირდაპირ ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ც იქნებოდა დამარცხების შესაძლებლობის და საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვის შესაძლებლობის მიღება. მაგრამ აშკარაა, რომ ეს წანამძღვრები არ არსებობს. გერმანიის რევოლუცია მწიფდება, მაგრამ, აშკარაა, ჯერ კიდევ არ მისულა აფეთქებამდე გერმანიაში, სამოქალაქო ომამდე გერმანიაში. გერმანიის რევოლუციის მომწიფებას ჩვენ კი არ დავეხმარებოდით, არამედ აშკარად შ ე ვ უ შ ლ ი დ ი თ ხ ე ლ ს «საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვის შესაძლებლობაზე წასვლით». ამით ჩვენ დავეხმარებოდით გერმანიის რეაქციას, მას შევუწყობდით ხელს, დავაბრკოლებდით სოციალისტურ მოძრაობას გერმანიაში, სოციალიზმს ჩამოვაშორებდით გერმანიის იმ პროლეტართა და ნახევრადპროლეტართა ფართო მასებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ მიმხრობიან სოციალიზმს და რომელთაც შეაშინებდა საბჭოთა რუსეთის განადგურება, როგორც შეაშინა ინგლისის მუშები კომუნის განადგურებამ 1871 წელს.

რაც უნდა ატრაბალოთ, ავტორის მსჯელობაში ლოგიკას ვერ იპოვით. გონივრული მოსაზრებანი იმის სასარგებლოდ, რომ «საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებისათვის მიზანშეწონილია წავიდეთ საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვის შესაძლებლობაზეო», არ არსებობენ.

«საბჭოთა ხელისუფლება ახლა წმინდა ფორმალური ხდება», — აი ის შემზარავი დებულება, რომლის გამოთქმამდეც, როგორც ვნახეთ, მივიდნენ მოსკოვის რეზოლუციის ავტორები.

აქაო-და, რაკი გერმანელი იმპერიალისტები ჩვენგან ხარკის აღებას დაიწყებენ, რაკი აგვიკრძალავენ პროპაგანდას და აგიტაციას გერმანიის წინააღმდეგ, ამიტომ საბჭოთა ხელის-

უფლებაც კარგავს მნიშვნელობას. «წმინდა ფორმალური ხდებაო», — ასეთია, ალბათ, რეზოლუციის ავტორების «აზრის» მსვლელობა. ვამბობთ: «ალბათ», ვინაიდან არაფერი ნათელი და ზუსტი განსახილველი თეზისის დასამტკიცებლად ავტორებს არ წარმოუდგენიათ.

ულრმესი, გამოუვალი პესიმიზმის სულისკვეთება, სრული სასოწარკვეთილების გრძნობა — აი რა შეადგენს იმ «თეორიის» შინაარსს, რომელიც აღიარებს საბჭოთა ხელისუფლების ვითომდა ფორმალურ მნიშვნელობას და ისეთი ტაქტიკის შესაწყნარებლობას, რომელიც ურიგდება საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვის შესაძლებლობას. სულერთია, ხსნა არ არის, დაე დაიღუპოს თვით საბჭოთა ხელისუფლებაცო, — ასეთია ის გრძნობა, რომლის კარნახიდაც დაწერილია შემზარავი რეზოლუცია. ვითომდა «ეკონომიური» საბუთები, რომლებითაც ხანდახან მოსავენ ამგვარ აზრებს, იმავე გამოუვალ პესიმიზმს შეიცავს: სადღაა აქ საბჭოთა რესპუბლიკა, თუ ასეთი, აი ასეთი და კიდევ ასეთი ხარკის გადახდევინება შეუძლიათო.

არაფერია, გარდა სასოწარკვეთილებისა: სულერთია ვიღუპებითო!

გრძნობა, გასაგები იმ არქიმძიმე მდგომარეობაში, რომელშიც რუსეთი იმყოფება. მაგრამ იგი «გასაგებია» არა შეგნებულ რევოლუციონერთა წრეში. დამახასიათებელია ის სწორედ, როგორც მოსკოველების შეხედულებათა აბსურდამდე მიყვანა. 1793 წლის ფრანგები არასოდეს არ იტყოდნენ, რომ მათი მონაპოვარი, რესპუბლიკა და დემოკრატიზმი, წმინდა ფორმალური ხდება, რომ საჭიროა რესპუბლიკის დაკარგვის შესაძლებლობაზე წავიდეთო. ისინი აღსავსენი იყვნენ არა სასოწარკვეთილებით, არამედ გამარჯვების რწმენით. ხოლო რევოლუციური ომისაკენ მოწოდება და ამავე დროს ოფიციალურ რეზოლუციაში ლაპარაკი: «საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვის შესაძლებლობაზე წასვლაო», — ნიშნავს ხაკუთარი თავის ბოლომდე გამოაშკარავებას.

XIX საუკუნის დამდეგს, ნაპოლეონის ომების დროს, პრუსია და მთელი რიგი სხვა ქვეყნები განიცდიდნენ დამპყრობლის მხრით დამარცხების, დაპყრობის, დამცირებისა და ჩაგვრის შეუდარებლად, განუზომლად უფრო მეტ სიძნელეებსა და სიმძიმეს, ვიდრე 1918 წლის რუსეთი. და, მიუხედავად ამისა, პრუსიის საუკეთესო ადამიანები, როცა ნაპოლეონი სამხედრო ჩექმის ქუსლით სრესდა მათ ასჯერ უფრო ძლიერად, ვიდრე ახლა შეუძლიათ გაგვსრისონ ჩვენ, — სასოწარკვეთილებაში არ ვარდებოდნენ, არ ლაპარაკობდნენ თავიანთ ნაციონალურ პოლიტიკურ დაწესებულებათა «წმინდა ფორმალური» მნიშვნელობის შესახებ. ისინი ხელს არ იქნევდნენ, არ ეძლეოდნენ გრძნობას: «სულერთია ვიღუპებითო». ისინი ხელს აწერდნენ განუზომლად უფრო მძიმე, მხეცურ, სამარცხვინო, მჩაგვრელ საზავო ხელშეკრულებებს, ვიდრე ბრესტის ხელშეკრულებაა, უნარი შესწევდათ კვლავ დაეცადათ, შეუდრეკლად იტანდნენ დამპყრობლის უღელს, ისევ ომობდნენ, ისევ ვარდებოდნენ დამპყრობლის მონობაში, ისევ აწერდნენ ხელს უხამსსა და უაღრესად უხამს საზავო ხელშეკრულებებს, ისევ მხედრდებოდნენ და ბ ო ლ ო ს დ ა ბ ო ლ ო ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ დ ნ ე ნ (ეს არ ხდებოდა უფრო ძლიერ კონკურენტ-დამპყრობთა შორის არსებული უთანხმოების გამოუყენებლად).

რატომ არ შეიძლება ესევე განმეორდეს ჩვენს ისტორიაში?

რატომ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას და ვწეროთ რეზოლუციები — ჭეშმარიტად, უფრო სამარცხვინონი, ვიდრე უაღრესად სამარცხვინო ზავია, — რეზოლუციები «საბჭოთა ხელისუფლებაზე, რომელიც წმინდა ფორმალური ხდება»?

რატომ არ შეიძლება თანამედროვე იმპერიალიზმის ბუმბერაზებთან ბრძოლაში უმძიმესმა სამხედრო დამარცხებებმა გამოაწრთონ ხალხის ხასიათი რუსეთშიც, გააძლიერონ თვითდისციპლინა, მოსპონ ტრაბახობა და ფრაზიორობა, ასწავლონ გამძლეობა, მიიყვანონ მასები ნაპოლეონის მიერ გასრესილი პრუსიელების სწორ ტაქტიკამდე: ხელი მოაწერე უაღრესად

სამარცხვინო საზავო ხელშეკრულებებს, როცა არა გაკავს არმია, მოიკრიბე ძალ-ღონე და შემდეგ წამოდექი ისევ და ისევ?

რატომ უნდა შეგვიპყროს სასოწარკვეთილებამ პირველივე გაუგონრად მძიმე საზავო ხელშეკრულების გამო, როცა სხვა ხალხებმა იცოდნენ მტკიცედ გადატანა უარესი უბედურებისაც კი?

რა შეესაბამება სასოწარკვეთილების ამ ტაქტიკას: სიმტკიცე პროლეტარისა, რომელმაც იცის, რომ უნდა დაემორჩილოს, რახან ძალა არა აქვს, და რომელსაც, მიუხედავად ამისა, უნარი შესწევს შემდეგ, რადაც უნდა დაუჯდეს, ისევ და ისევ აღდგეს, აგროვოს ძალები ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ პირობებში, — სიმტკიცე პროლეტარისა, თუ უნებისყოფობა წვრილი ბურჟუასი, რომელმაც ჩვენში, მემარცხენე ესერების პარტიის სახით, რევოლუციური ომის შესახებ ფრაზის რეკორდი დაამყარა?

არა, ძვირფასო ამხანაგებო «უკიდურეს» მოსკოველთაგან! განსაცდლის ყოველი დღე ჩამოგაშორებთ თქვენ სწორედ ყველაზე უფრო შეგნებულსა და გამობრძმედილ მუშებს. ისინი იტყვიან: საბჭოთა ხელისუფლება არ ხ დ ე ბ ა და არ გ ა ხ დ ე ბ ა წმინდა ფორმალური არა მარტო მაშინ, როცა დამპყრობელი ფსკოვში დგას და მიაქვს ჩვენგან 10 მილიარდი ხარკი პურით, მადნით, ფულად, არამედ მაშინაც კი, როცა მტერი აღმოჩნდება ნიჟნი-ნოვგოროდსა და დონის როსტოვში და წაიღებს ჩვენგან 20 მილიარდ ხარკს.

არასოდეს არავითარი უცხოური დაპყრობა არ გახდის «წმინდა ფორმალურს» სახალხო პოლიტიკურ დაწესებულებას (საბჭოთა ხელისუფლება კი ა რ ა მარტო პოლიტიკური დაწესებულებაა, რომელიც მრავალჯერ უფრო მაღლა დგას, ვიდრე ისტორიის მიერ ოდესმე ნახული დაწესებულება). პირიქით, უცხოური დაპყრობა მხოლოდ განამტკიცებს ხალხის სიმპათიებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი, უკეთუ... უკეთუ იგი ავანტიურას არ აჰყვება.

უარისთქმა უაღრესად უხამსი ზავის ხელმოწერაზე, როცა არმია არა გყავს, ავანტიურაა, რომლისთვისაც ხალხს შეუძლია ბრალი დასდოს ასეთ უარისმთქმელ ხელისუფლებას.

ბრესტის ზავზე გაცილებით უფრო მძიმე და სამარცხვინო ზავის ხელმოწერა ყოფილა ისტორიაში (მაგალითები ზემოთაა აღნიშნული) — და ეს არ იწვევდა ხელისუფლების პრესტიჟის დაკარგვას, არ ხდიდა მას ფორმალურს, არ ღუპავდა არც ხელისუფლებას, არც ხალხს, არამედ აწრთობდა ხალხს, ა ს წ ა ვ ლ ი დ ა ხალხს სერიოზული არმიის მზადების მძიმე და ძნელ მეცნიერებას საშინლად ძნელ მდგომარეობაშიც კი დამპყრობის ჩექმის ქუსლქვეშ.

რუსეთი მიდის ახალი და ნამდვილი სამამულო ომისაკენ, ომისაკენ საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. შესაძლოა, რომ სხვა ეპოქა — როგორიც იყო ნაპოლეონის ომების ეპოქა — იქნეს ეპოქა განმათავისუფლებელი ო მ ე ბ ი ს ა (სწორედ ომების და არა ერთი ომისა), რომელთაც დამპყრობნი თავს მოახვევენ საბჭოთა რუსეთს. ეს შესაძლებელია.

ამიტომ არმიის უყოლობით ნაკარნახევ ყოველ მძიმე და არქიმძიმე ზავზე უფრო სამარცხვინო, — ყოველგვარ სამარცხვინო ზავზე უფრო სამარცხვინოა — სამარცხვინო სასოწარკვეთილება. ჩვენ არ დავიღუპებით არც ათეული არქიმძიმე საზავო ხელშეკრულებით, თუ ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ მოვეპყრობით აჯანყებას და ომს. ჩვენ არ დავიღუპებით დამპყრობთაგან, თუ არ დავაღუპინებთ თავს სასოწარკვეთილებას და ფრაზას.

«პრავდა» № № 37 და 38;
1918 წ. 28 თებერვალი და 1 მარტი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი.

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

საქმიან ნიადაგზე

რევოლუციური აღმავლობა, რუსეთის რევოლუციაზე გერმანელ თეთრგვარდიელთა მუხანათური თავდასხმით გამოწვეული, უკვე არსებობს. ყოველი მხრიდან მოდის დეპეშები, რომ მზად არიან აღდგნენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად და იბრძოლონ უკანასკნელ კაცამდე. სხვანაირი დამოკიდებულება საკუთარი მუშურ-გლეხური ხელისუფლებისადმი არც შეიძლებოდა მოსალოდნელი ყოფილიყო.

მაგრამ მარტო ენთუზიაზმი არ კმარა ომის საწარმოებლად ისეთ მოწინააღმდეგესთან, როგორიც გერმანიის იმპერიალიზმია. უდიდესი გულუბრყვილობა, დანაშაულიც კი იქნებოდა ზერელე დამოკიდებულება ახლანდელი, ნ ა მ დ ვ ი ლ ი. შ ე უ პ ო ვ ა რ ი, ს ი ს ხ ლ ი ა ნ ი ომისადმი.

ომი უნდა ვაწარმოოთ ნამდვილად, ანდა სრულიად არ ვაწარმოოთ. შუათანა რამ აქ არ შეიძლება იყოს. რაკი ჩვენ გერმანელი იმპერიალისტები ომს გვახვევენ თავზე, ჩვენი წმიდათა წმიდა მოვალეობაა ფხიზლად შევაფასოთ ჩვენი მდგომარეობა, აღვრიცხოთ ძალები, შევამოწმოთ სამეურნეო მექანიზმი. ყველაფერი ეს უნდა კეთდებოდეს ომიანობის დროის სისწრაფით, ვინაიდან ყოველი დაყოვნება ჩვენს ახლანდელ მდგომარეობაში ჭეშმარიტად «სიკვდილს უდრის». ჰანიბალი კარს მოგვადგა, — ეს არ უნდა გვავიწყდებოდეს არც ერთ წუთს.

ომის ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ საწარმოებლად აუცილებელია მტკიცე ორგანიზებული ზურგი. ყველაზე უკეთეს არმიას, რევოლუ-

ციის საქმისადმი ყველაზე ერთგულ ადამიანებს დაუყოვნებლივ გაანადგურებს მოწინააღმდეგე, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილნი არ იქნებიან. ეს იმდენად ნათელია, რომ განმარტებას არ საჭიროებს.

რა მდგომარეობაშია ჩვენი რევოლუციური არმიის ზურგი? — უაღრესად სავალალო მდგომარეობაში, მეტი რომ არა ვთქვათ. წინა ომის გამო ჩვენი ტრანსპორტი საბოლოოდ მოშლილია, ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლა დარღვეულია, რის პირდაპირ და უშუალო შედეგს წარმოადგენს შიმშილი დიდ ქალაქებში.

მტრის შემოტევის პირობებში ჩვენი არმია ძირფესვიან გარდაქმნას ახდენს. ძველი არმია, რომელიც იცნობს ომის წარმოების პირობებს თანამედროვე პირობებში, აღარ არის. წინანდელი ომით საბოლოოდ გატანჯული, სამწელიწადნახევარს სანგრებში ჯდომით საშინლად მოქანცული, საბრძოლო თვალსაზრისით იგი ნულს წარმოადგენს. წითელი არმია — უთუოდ დიდებული საბრძოლო მასალაა, მაგრამ მასალა ნედლი, დაუმუშავებელი. იგი რომ გერმანიის ქვემეხთა საზარბაზნე ხორცი არ გახდეს, საჭიროა მისი გაწვრთნა და დისციპლინირება.

ჩვენს წინაშე უზარმაზარი სიძნელეებია. ყველა ადგილობრივმა საბჭომ, გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მზადყოფნის შესახებ გამოგზავნილ დეპეშასთან ერთად, დაუყოვნებლივ უნდა შეგვატყობინოს, რამდენი ვაგონი პურია გამოგზავნილი პეტროგრადში, რამდენი ჯარის გაგზავნა შეუძლიათ მათ ფრონტზე დაუყოვნებლივ, რამდენი წითელარმიელი იწვრთნება. აღრიცხულ უნდა იქნას მთელი იარაღი და ყუმბარები, დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს ახალი იარაღისა და ყუმბარების წარმოება. რკინიგზები უნდა განთავისუფლდნენ მეტომრეებისა და ხულიგნებისაგან. ყველგან აღდგენილ უნდა იქნას უსასტიკესი რევოლუციური დისციპლინა. მხოლოდ ყ ვ ე ლ ა ამ პირობის დაცვით შეიძლება ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ ვილაპარაკოთ ომის შესახებ. წინააღმდეგ

შემთხვევაში კი ყოველგვარი ლაპარაკი «ყველაზე რევოლუციურ ომზე» ფ რ ა ზ ა იქნება. ფრაზა კი მავნებელია ყოველთვის, დღევანდელ კრიზისულ მომენტში მას შეუძლია საბედისწერო როლი შეასრულოს.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი რევოლუცია თავს გაართმევს ახლანდელი მომენტის უზარმაზარ სიძნელეებს. მან უკვე ჩაატარა გრანდიოზული მუშაობა, მაგრამ ჩვენი საქმის წარმატებით დასამთავრებლად საჭიროა გავაძლიეროთ ენერგია ასჯერ.

მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ.

«პრავდა» № 38,
1918 წ. 1 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

პროექტი ბრძანებისა დეპუტატთა ყველა საბჭოსადმი[27]

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხვალ, 3/III, ხელმოწერილ იქნება ზავი, მაგრამ ჩვენი აგენტების ცნობები ყველა გარემოებასთან დაკავშირებით გვაიძულებენ მოველოდეთ, რომ გერმანელებში გაიმარჯვებს პარტია, რომელიც ემხრობა რუსეთთან ომს უახლოეს დღეებში. ამიტომ უცილობელი ბრძანებაა: წითელარმიელთა დემობილიზაცია გაჭიანურდეს; რკინიგზების, ხიდებისა და გზატკეცილების აფეთქების მომზადება გაძლიერდეს; რაზმები შეკრებილ და შეიარაღებულ იქნას; ევაკუაცია გაგრძელდეს დაჩქარებით; იარაღი გაზიდულ იქნას ქვეყნის სიღრმეში.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

დაწერილია 1918 წ. 2 მარტს
პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სერიოზული გაკვეთილი და სერიოზული პასუხისმგებლობა

ჩვენი ვაი-«მემარცხენენი», რომელნიც გუშინ საკუთარ გაზეთ «კომუნისტით»[18] (უნდა დაემატოს: მარქსის წინადროინდელი ეპოქის კომუნისტი) გამოვიდნენ, ცდილობენ თავი დააძვრინონ ისტორიის გაკვეთილსა და გაკვეთილებს, დაუძვრნენ თავიანთ პასუხისმგებლობას.

ამაო ცდაა. ისინი თავს ვერ დაიძვრენენ.

თავისდამძვრენნი ჭაპანწყვეტაში არიან, ერთიმეორეზე ახორავებენ უამრავ საგაზეთო სვეტებს, ოფლში იწურებიან, აღარ ზოგავენ სასტამბო საღებავსაც «კი» იმისათვის, რომ «შესვენების» «თეორია» უნიადაგო და ცუდ «თეორიად» წარმოადგინონ.

ვაგლახ! მათ ჭაპანწყვეტას არ ძალუძს ფაქტის გაბათილება. ფაქტები — ჯიუტი რამაა, როგორც ამბობს სამართლიანი ინგლისური ანდაზა. ფაქტი ისაა, რომ 3 მარტიდან, როცა დღის 1 საათზე გერმანელებმა შეწყვიტეს სამხედრო მოქმედება, და 5 მარტამდე, საღამოს 7 საათზე, როცა მე ამ სტრიქონებს ვწერ, ჩვენ შესვენება გვაქვს და ჩვენ უკვე ვისაუბრებლეთ ამ ორი დღით სოციალისტური სამშობლოს **საქმიანი** (არა ფრაზებით, არამედ საქმეებით დადასტურებული) დაცვისათვის. ეს — ფაქტია, რომელიც დღითი დღე სულ უფრო თვალსაჩინო გახდება მასისათვის. ეს — ფაქტია, რომ იმ მომენტში, როცა საფრონტო არმია, რომელსაც აღარ შეუძლია ბრძოლა, პანიკურად გამორბის, სტოვებს ზარბაზნებს და ხიდების აფეთქებას ვეღარ ასწრებს, — სამშობლოს

დაცვას და მისი თავდაცვისუნარიანობის ა მ ა ღ ლ ე ბ ა ს წარმოადგენს არა რევოლუციურ ომზე ლაყბობა (ლაყბობა — პირდაპირ სამარცხვინო არმიის ასეთი პანიკური გამოქცევის დროს, რომლის ვ ე რ ც ე რ თ ი რაზმი ვ ე რ შ ე ა ჩ ე რ ე ს რევოლუციური ომის მომხრეებმა), არამედ წესრიგით უკანდახევა არმიის ნაშთების გადასარჩენად, ამ მიზნით შესცენების ყოველი დღის გამოყენება.

ფაქტები — ჯიუტი რამაა.

ჩვენი ვაი-«მემარცხენენი», გაურბიან რა ფაქტებს, მათ გაკვეთილებს, პასუხისმგებლობის საკითხს, ცდილობენ დ ა უ მ ა ლ ო ნ მკითხველს ამასწინანდელი, სრულიად ახალი, ისტორიული მნიშვნელობის მქონე, წარსული და მ ი ჩ ქ მ ა ლ ო ნ იგი დიდი ხნის წარსულისა და არაარსებითის დამოწმების საშუალებით. მაგალითი: კ. რადეკი თავის სტატიაში იხსენებს, თუ როგორ წერდა ის დეკემბერში (დეკემბერში!), რომ აუცილებელია დავეხმაროთ არმიას გამაგრდეს, წერდა «მოხსენებითს ბარათში სახალხო კომისართა საბჭოსადმი». მე შესაძლებლობა არ მქონდა წამეკითხა ეს ბარათი, და ვეკითხები ჩემს თავს: რატომ არ ბეჭდავს მას მ თ ლ ი ა ნ ა დ კარლ რადეკი? რატომ არ განმარტავს ის ზუსტად და პირდაპირ, სახელდობრ რას გულისხმობდა ის მაშინ «კომპრომისულ ზავად»? რატომ არ იხსენებს ის უფრო ახლო წარსულს, როცა ის «პრავდაში» წერდა თავის (ყველაზე ცუდ) ილუზიაზე გერმანელ იმპერიალისტებთან ზავის შეკვრის შესაძლებლობის შესახებ პოლონეთის დაბრუნების პირობით?

რატომ?

იმიტომ, რომ ვაი-«მემარცხენენი» იძულებული არიან მიაფუჩეჩონ ფაქტები, რომელნიც ააშკარავებენ მ ა თ ი, «მემარცხენეების», პასუხისმგებლობას ისეთი ილუზიების ვავრცელებისათვის, რომლებმაც ნამდვილად ხ ე ლ ი შ ე უ წ ყ ვ ე ს გერმანელ იმპერიალისტებს და ხ ე ლ ი შ ე უ შ ა ლ ე ს რევოლუციის ზრდასა და განვითარებას გერმანიაში.

ნ. ბუხარინი ახლა ცდილობს უარყოს კიდეც ის ფაქტი, რომ იგი და მისი მეგობრები ამტკიცებდნენ, თითქოს გერმანელი ვერ შეძლებს შემოტევასო. მაგრამ ძალიან, ძალიან ბევრმა იცის, რომ ეს ფაქტია, რომ ბუხარინი და მისი მეგობრები ამტკიცებდნენ ამას, რომ ასეთი ილუზიის გავრცელებით მათ ხელი შეუწყვეს გერმანიის იმპერიალიზმს და ხელი შეუშალეს გერმანიის რევოლუციის ზრდას, რომელიც ახლა დასუსტებულია იმით, რომ ველიკოროსიის საბჭოთა რესპუბლიკას, გლეხური არმიის პანიკური გამოქცევის დროს, წაართვეს მრავალი ათასი ზარბაზანი, ასობით მილიონი სიმდიდრე. მე ეს ნათლად და ზუსტად ვიწინასწარმეტყველე 7 იანვრის თეზისებში *. თუ ახლა ნ. ბუხარინი იძულებულია «იუაროს», მით უარესი მისთვის. ყველა, ვისაც კი ახსოვს ბუხარინისა და მისი მეგობრების სიტყვები გერმანელების შემოტევის შეუძლებლობის შესახებ, მხრებს აიჩეჩს იმის გამო, რომ ნ. ბუხარინი იძულებული გახდა «უარი თქვას» თავის საკუთარ სიტყვებზე.

ხოლო მათთვის, ვისაც ეს სიტყვები არ ახსოვს, მათთვის, ვისაც ისინი არ გაუგონია, ჩვენ დავიმოწმებთ იმ საბუთს, რომელიც ცოტათი უფრო მნიშვნელოვანი, საინტერესო და საგულისხმოა ამჟამად, ვიდრე კ. რადეკის დეკემბრის ნაწერები. ეს საბუთი, რომელიც «მემარცხენეებმა», სამწუხაროდ, დაუმალეს თავიანთ მკითხველებს, არის შედეგი: (1) 1918 წ. 21 იანვრის კენჭისყრისა ჩვენი პარტიის ც. კ-ის თათბირზე ახლანდელ «მემარცხენე» ოპოზიციასთან; და (2) ც. კ-ის კენჭისყრისა 1918 წ. 17 თებერვალს.

1918 წ. 21 იანვარს იმ საკითხის სასარგებლოდ, დაუყოვნებლივ შეწყდეს თუ არა გერმანელებთან მოლაპარაკება, (ვაი-«მემარცხენე» «კომუნისტის» თანამშრომელთაგან) ხმა მისცა მარტო სტუკოვმა. წინააღმდეგ — ყველა დანარჩენმა.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 515 — 525. რ ე დ.

იმ საკითხზე, დასაშვებია თუ არა ანექსიონისტური ზავის ხელისმოწერა, თუ, ვინიცობაა, გერმანელებმა შეწყვიტეს მოლაპარაკება ან წარმოგვიდგინეს ულტიმატუმი, წინააღმდეგ მისცეს ხმა მხოლოდ ობოლენსკიმ (როდისღა დაიბეჭდება «მისი» თეზისები? რატომ სდუმს მათ შესახებ «კომუნისტი»?) და სტუკოვმა. სასარგებლოდ ხმა მისცა ყველა დანარჩენმა.

იმ საკითხზე, უნდა მოვაწეროთ თუ არა ამ შემთხვევაში ხელი წამოყენებულ ზავს, წინააღმდეგ ხმა მისცეს მხოლოდ ობოლენსკიმ, სტუკოვმა, დანარჩენმა «მემარცხენეებმა» თავი შეიკავეს!! ეს ფაქტია.

1918 წ. 17 თებერვალს იმ საკითხზე, თუ ვინ ემხრობა რევოლუციურ ომს, ბუხარინი და ლომოვი საკითხის «ამგვარად დაყენების გამო უარს ამბობენ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე». წინადადების მომხრე არავინაა. ეს ფაქტია!

იმ საკითხზე, საჭიროა თუ არა «დავიცადოთ საზავო მოლაპარაკების განახლების დაწყება მანამდე, სანამ საკმარისად (სწორედ ასე!) არ გამოაშკარავდება გერმანიის შემოტევა და სანამ არ გამომჟღავნდება მისი გავლენა გერმანიის მუშათა მოძრაობაზე», «მემარცხენე» გაზეთის ახლანდელ თანამშრომელთაგან სასარგებლოდ ხმას აძლევენ ბუხარინი, ლომოვი და ურიცკი.

იმ საკითხზე, «ვდებთ თუ არა ზავს, უკეთუ გერმანიის შემოტევა ფაქტი გახდება, ხოლო გერმანიასა და ავსტრიაში რევოლუციური აღმავლობა არ დაიწყება», **თავი შეიკავეს** ლომოვმა, ბუხარინმა და ურიცკიმ.

ფაქტები — ჯიუტი რამაა. ფაქტები კი იმას ამბობს, რომ ბუხარინი უარყოფდა გერმანიის შემოტევის შესაძლებლობას, თესავდა ილუზიებს, რომლებითაც ის საქმით, თავისი სურვილის მიუხედავად, ეხმარებოდა გერმანელ იმპერიალისტებს, ხელს უშლიდა გერმანიის რევოლუციის ზრდას. სწორედ ამაში მდგომარეობს **რევოლუციური ფრაზის** არსი. ერთს ამბობ, **მეორეს სჩადიხარ.**

ნ. ბუხარინი მისაყვედურებს იმას, რომ მე კონკრეტულად არ ვარჩევ ახლანდელი ზავის პირობებს. მაგრამ ადვილი გასაგებია, რომ ჩემი არგუმენტაციისათვის და არსებითადაც ამას არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა და არ მოითხოვს. საკმარისი იყო იმის დამტკიცება, რომ ნამდვილი, არაგამოგონილი დილემა ჩვენთვის ერთია: ან ისეთი პირობები, რაც იძლევა თუნდაც რამდენიმე დღის შესვენებას, ანდა ბელგიისა და სერბიის მდგომარეობა. და ეს ბუხარინმა ვერ გააბათილა თუნდაც პიტერისათვის. ეს აღიარა მისმა კოლეგა მ. ნ. პოკროვსკიმ.

ხოლო ახალი პირობები რომ ბრესტის ცუდ, მძიმე და დამამცირებელ პირობებზე უფრო უარესი, უფრო მძიმე, უფრო დამამცირებელია, ამაში ბრალი მიუძღვით, რუსეთის დიდი საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ, ჩვენს ვაი-«მემარცხენეებს» — ბუხარინს, ლომოვს, ურიცკის და კომპანიას. ეს ისტორიული ფაქტია, დამტკიცებული ზემომოყვანილი ხმისმიცემით. ამ ფაქტს ვერავითარი თავდაძვრენით ვერ გაექცევი. თქვენ გაძლევდნენ ბრესტის პირობებს. თქვენ კი უპასუხებდით ბაქიბუქობით და ტრაბახობით და მიგყავდათ საქმე უარეს პირობებამდე. ეს ფაქტია. და ამის პასუხისმგებლობას თქვენ ვერ მოიხსნით.

ჩემს 1918 წ. 7 იანვრის თეზისებში სრული სიცხადითაა ნაწინასწარმეტყველევი, რომ ჩვენი არმიის მდგომარეობის გამო (რომელიც არ შეიძლებოდა შეცვლილიყო დაქანცული გლეხური მასების «წინააღმდეგ» მიმართული ფრაზიორობით) რუსეთს უნდა დაედო უარესი სეპარატიული ზავი, თუ არ მიიღებდა ბრესტის ზავს.

«მემარცხენენი» გაებნენ რუსეთის ბურჟუაზიის მახეში, — ამ ბურჟუაზიისთვის კი საჭირო იყო ჩავეთრიეთ ჩვენთვის ყველაზე არახელსაყრელ ომში.

რომ «მემარცხენე ესერები», ემხრობოდნენ რა ომს ახლავე, აშკარად დაშორდნენ გლეხობას, ეს ფაქტია. და ეს ფაქტი ლაპარაკობს მემარცხენე ესერების პოლიტიკის

ა რ ა ს ე რ ი ო ზ უ ლ ო ბ ა ზ ე, ისე როგორც არასერიოზული იყო ყველა ესერის მოჩვენებითი «რევოლუციური» პოლიტიკა 1917 წლის ზაფხულში.

ყველაზე უფრო შეგნებული და მოწინავე მუშები რომ ჩქარა თავისუფლდებიან რევოლუციური ფრაზით გაბრუებისაგან, ამას მოწმობს პიტერის და მოსკოვის მაგალითი. პიტერში უკვე გამოფხიზლდნენ საუკეთესო მუშათა რაიონები: ვიბორგის და ვასილის კუნძულისა. პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭო არ ემხრობა ომს ა ხ ლ ა ვ ე, იგი მიხვდა მისი მ ზ ა დ ე ბ ი ს აუცილებლობას და ამზადებს მას[29]. მოსკოვში ბოლშევიკების საქალაქო კონფერენციაზე 1918 წლის 3 და 4 მარტს უკვე გაიმარჯვეს რევოლუციური ფრაზის მოწინააღმდეგეებმა[30].

თუ რა საშინელ თავის მოტყუებამდე მივიდნენ «მემარცხენენი», ჩანს პოკროვსკის სტატიის ერთი ფრაზიდან, სადაც ნათქვამია: «თუ ვიომებთ, უნდა ვიომოთ ა ხ ლ ა» (ხაზგასმა პოკროვსკისაა),... «როცა, — უსმინეთ! უსმინეთ! — როცა ჯერ კიდევ დემობილიზებული არ არის რუსეთის არმია გამოუკლებლივ ახლად შედგენილ ნაწილებამდე».

ხოლო ვინც ფაქტებს არ ემალება, იმან იცის, რომ უდიდეს დაბრკოლებას გერმანელებისადმი წინააღმდეგობის გასაწევად ველიკოროსიაშიც, უკრაინაშიც და ფინეთშიც 1918 წ. თებერვალში წარმოადგენდა ჩ ვ ე ნ ი ა რ ა დ ე მ ო ბ ი ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ა რ მ ი ა. ეს ფაქტია. ვინაიდან მას არ შეეძლო პანიკურად არ გამოქცეულიყო და არ გამოეყოლებინა წითელარმიელთა რაზმებიც.

ვისაც სურს ისტორიის გაკვეთილები ისწავლოს, არ დაემალოს მათთვის პასუხისმგებლობას, არ მოერიდოს მათ, ის გაიხსენებს თუნდაც ნაპოლეონ I-ის ომებს გერმანიასთან.

პრუსიამ და გერმანიამ ბევრჯერ შეკრეს დამპყრობთან (ჩვენსაზე) ა თ ჯ ე რ უფრო მძიმე და დამამცირებელი საზავო ხელშეკრულებანი, თვით უცხოეთის პოლიციის აღიარებამდე,

თვით საკუთარი ჯარების გამოყვანის ვალდებულებამდე ნაპოლეონ I-ის დაპყრობითი ლაშქრობების დასახმარებლად. პრუსიასთან დადებულ თავის ხელშეკრულებებში ნაპოლეონ I ჩაგრავდა და აქუცმაცებდა გერმანიას ათჯერ უფრო მეტად, ვიდრე ჰინდენბურგმა და ვილჰელმმა გაგვთელეს ჩვენ ახლა. და მიუხედავად ამისა, პრუსიაში იყვნენ ადამიანები, რომელნიც კი არ ბაქიბუქობდნენ, არამედ ხელს აწერდნენ არქი-«სამარცხვინო» საზავო ხელშეკრულებებს, ხელს აწერდნენ მათ, რადგან არ ჰყავდათ არმია, ხელს აწერდნენ ათჯერ უფრო მჩაგვრელ და დამამცირებელ პირობებს, ხოლო შემდეგ **მაინც** იწყებდნენ აჯანყებას და ომს. ასე იყო არა ერთხელ, არამედ მრავალჯერ. ისტორიამ იცის რამდენიმე ასეთი საზავო ხელშეკრულება და რამდენიმე ომი. შესვენების რამდენიმე შემთხვევა. ომის რამდენიმე ახალი გამოცხადება დამპყრობლის მიერ. რამდენიმე შემთხვევა ჩ ა გ რ უ ლ ი ერის კავშირისა მჩაგვრელ ერთან, რომელიც დამპყრობლის კონკურენტი და ისეთივე დამპყრობელი იყო (იმპერიალისტებისაგან დახმარების მ ი უ ღ ე ბ ლ ა დ «რევოლუციური ომის» მომხრეთა საყურადღებოდ!).

ასე მიდიოდა ისტორია.

ასე იყო. ასე იქნება. ჩვენ შევედით მ თ ე ლ ი რ ი გ ი ომების ეპოქაში. ჩვენ მივდივართ ახალი ს ა მ ა მ უ ლ ო ომისაკენ. ჩვენ მივალთ მასთან მზარდი სოციალისტური რევოლუციის პირობებში. და ამ მძიმე გზაზე რუსეთის პროლეტარიატი და რუსეთის რევოლუცია შეძლებენ განიკურნონ ბაქიბუქობისაგან, რევოლუციური ფრაზისაგან, შეძლებენ მიიღონ არქიმძიმე საზავო ხელშეკრულებანიც, შეძლებენ ხელახლა აღსდგნენ საბრძოლველად.

ჩვენ დავდევით **ტილზიტის ზავი.** ჩვენ მივაღწევთ ჩვენს გამარჯვებასაც, ჩვენს განთავისუფლებას, როგორც გერმანელებმა 1807 წლის ტილზიტის ზავის შემდეგ მიაღწიეს ნაპოლეონისაგან განთავისუფლებას 1813 და 1814 წლებში.

ძანძილი, რომელიც ჩვენს ტილზიტის ზავს ჰყოფს ჩვენი განთავისუფლებისაგან, ალბათ, უფრო ნაკლები იქნება, ვინაიდან ისტორია უფრო ჩქარა მიაბიჯებს წინ.

ძირს ბაქიბუქობა! სერიოზული მუშაობისათვის, დისციპლინისა და ორგანიზაციისათვის!

დაწერილია 1918 წ. 5 მარტს

დაიბეჭდა 1918 წ. 6 მარტს
გაზეთ «პრავდაში» № 42
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რკპ(ბ) მეშვიდე ყრილობა[31]

1918 წ. 6—8 მარტი

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1923 წ. წიგნში: «რუსეთის კომუნისტური პარტიის მეშვიდე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში. 1918 წლის 6 — 8 მარტი»

იბეჭდება

წიგნის — «სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ყრილობებისა და კონფერენციების ოქმები. — მეშვიდე ყრილობა. 1918 წლის მარტი». 1928, — ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან და 1923 წ. გამოცემული წიგნის ტექსტთან

1

მოხსენება ომისა და ზავის შესახებ 7 მარტს

პოლიტიკური ანგარიში შეიძლებოდა შემდგარი ყოფილიყო ც. კ-ის ღონისძიებათა ჩამოთვლისაგან, მაგრამ ახლანდელი მომენტისათვის არსებითია არა ასეთი ანგარიში, არამედ მიმოხილვა ჩვენი რევოლუციისა მთლიანად; მხოლოდ მას შეუძლია მისცეს ერთადერთი მარქსისტული დასაბუთება ყველა ჩვენს გადაწყვეტილებას. ჩვენ უნდა განვიხილოთ რევოლუციის განვითარების მთელი წინანდელი მსვლელობა და გამოვარკვიოთ, რატომ შეიცვალა მისი შემდგომი განვითარება. ჩვენს რევოლუციაში ჩვენ გვაქვს ისეთი გარდატეხები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ექნებათ საერთაშორისო რევოლუციისათვის, სახელდობრ — ოქტომბრის რევოლუცია.

თებერვლის რევოლუციის პირველი წარმატებანი განპირობებული იყო იმით, რომ პროლეტარიატს მიჰყვებოდა არა მარტო სოფლის მასა, არამედ ბურჟუაზიაც. აქედან წარმოსდგება სიადვილე ცარიზმზე გამარჯვებისა, რასაც ვერ მივაღწიეთ ჩვენ 1905 წელს. თებერვლის რევოლუციაში მუშათა დეპუტატების საბჭოების თვითნებურმა, სტიქიურმა შექმნამ განიმეორა 1905 წლის გამოცდილება — ჩვენ მოგვიხდა საბჭოთა ხელისუფლების პრინციპის გამოცხადება. მასები რევოლუციის ამოცანებს სწავლობდნენ ბრძოლის საკუთარი გამოცდილებიდან. 20—21 აპრილის ამბები — დემონსტრაციის და რაღაც შეიარაღებული აჯანყების მაგვარის თავისებური

შეხამებაა. ეს საკმარისი იყო ბურჟუაზიული მთავრობის დაცემის-თვის. იწყება ხანგრძლივი შემთანხმებლური პოლიტიკა, რომელიც გამომდინარეობს ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი წვრილბურჟუაზიული მთავრობის თვით არსიდან. ივლისის ამბებს ჯერ კიდევ არ შეეძლოთ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება—მასები ჯერ კიდევ არ იყვნენ მომზადებული. ამიტომ არც ერთი პასუხისმგებელი ორგანიზაცია არც მოუწოდებდა მათ ამისაკენ. მაგრამ მტრების ბანაკის დაზვერვის აზრით ივლისის ამბებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. კორნილოვშჩინამ და შემდგომმა ამბებმა, როგორც პრაქტიკულმა გაკვეთილებმა, შესაძლებელი გახადეს ოქტომბრის გამარჯვება. იმათი შეცდომა, ვისაც ოქტომბერშიც უნდოდა ხელისუფლების გაზიარება [22], ისაა, რომ მათ ოქტომბრის გამარჯვება ვერ დაუკავშირეს ივლისის დღეებს, შეტევას, კორნილოვშჩინას და სხვ. და სხვ., რამაც მრავალმილიონიანი მასები მიიყვანა იმ შეგნებამდე, რომ საბჭოთა ხელისუფლება აუცილებელი გახდა. შემდეგ ამას მოსდევს მთელ რუსეთში ჩვენი ტრიუმფალური მსვლელობა, რომელსაც თან ახლდა საყოველთაო მისწრაფება ზავისადმი. ჩვენ ვიცით, რომ ომზე ცალმხრივი უარისთქმით ჩვენ ზავს ვერ მივიღებთ; ეს ჩვენ აღვნიშნეთ ჯერ კიდევ აპრილის კონფერენციაზე *. ჯარისკაცებმა მეტად ნათლად შეიგნეს აპრილიდან ოქტომბრამდე განვლილ ეპოქაში, რომ შემთანხმებლური პოლიტიკა ისევ აჭიანურებს ომს, იწვევს იმპერიალისტების ველურ, უაზრო ცდებს — აწარმოონ შეტევა, კიდევ უფრო მეტად გაიხლართონ ომში, რომელიც წლობით გაგრძელდება. აი ამ ნიადაგზე აუცილებელი იყო, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, რაც შეიძლება მალე გადავსულიყავით ზავის აქტიურ პოლიტიკაზე, აუცილებელი იყო საბჭოებს აეღოთ ძალაუფლება, სავსებით აღეგავათ მემამულური მიწათმფლობელობა. თქვენ იცით, მას მხარს უჭერდა არა მარტო კერენსკი, არამედ ავქსენტიევიც, რომელიც იქამდეც კი მივიდა,

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 24, გვ. 307 — 309. რ ე დ.

რომ აპატიმრებდა საადგილმამულო კომიტეტების წევრებს. და აი ამ პოლიტიკამ, ამ ლოზუნგმა: «ძალაუფლება საბჭოებს», რომელსაც ჩვენ ვნერგავდით ხალხის უფართოესი მასების შეგნებაში, შესაძლებლობა მოგვცა ასე ადვილად გაგვემარჯვნა ოქტომბერს პეტერბურგში და რუსეთის რევოლუციის უკანასკნელი თვეები გადააქცია ერთ მთლიან ტრიუმფალურ მსვლელობად.

სამოქალაქო ომი ფაქტი გახდა. ის, რასაც ჩვენ ვწინასწარმეტყველებდით რევოლუციის დასაწყისში და ომის დასაწყისშიც კი, და რასაც მაშინ სოციალისტური წრეების საგრძნობი ნაწილი უნდობლად ან დაცინვითაც კი ხვდებოდა, სახელდობრ, იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად, 1917 წლის 25 ოქტომბერს ფაქტი გახდა ომის მონაწილე ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნისათვის. ამ სამოქალაქო ომში მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ჩვენს მხარეზე აღმოჩნდა, და ამის გამო არაჩვეულებრივად ადვილად ვიმარჯვებდით.

ფრონტიდან მიმავალ ჯარებს ყველგან, სადაც კი ისინი მივიდოდნენ, თან მიჰქონდათ უდიდესი რევოლუციური სიმტკიცე შემთანხმებლობისათვის ბოლოს მოსაღებად, და შემთანხმებელ ელემენტებს, თეთრ გვარდიას, მემამულეთა შვილებს ყოველგვარი დასაყრდენი გამოეცალათ მოსახლეობაში. მათთან ომი თანდათანობით, იმისდა მიხედვით, რაც ბოლშევიკების მხარეზე გადმოდიოდნენ ფართო მასები და ჩვენს წინააღმდეგ მომავალი ჯარის ნაწილები, გადაიქცა რევოლუციის ძლევამოსილ ტრიუმფალურ მსვლელობად. ეს ჩვენ ვნახეთ პიტერში, გატჩინის ფრონტზე, სადაც კაზაკები, რომელთა წამოყვანას ცდილობდნენ კერენსკი და კრასნოვი წითელი დედაქალაქის წინააღმდეგ, შეყოყმანდნენ; ეს ჩვენ შემდეგ ვნახეთ მოსკოვში, ორენბურგში, უკრაინაში. მთელ რუსეთში აზვირთდა სამოქალაქო ომის ტალღა, და ჩვენ ყველგან უჩვეულო სიადვილით ვიმარჯვებდით სწორედ იმიტომ, რომ ნაყოფი მომწიფდა, იმიტომ, რომ მასებმა უკვე

გაიარეს მთელი გამოცდილება ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობისა. ჩვენი ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს», რომელიც მასებმა პრაქტიკულად შეამოწმეს ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით, მათ სისხლად და ხორცად იქცა.

აი რატომ იყო განუწყვეტელი ტრიუმფალური მსვლელობა რუსეთის რევოლუციის პირველი თვეები 1917 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ. ამ განუწყვეტელი ტრიუმფალური მსვლელობის გამო ივიწყებდნენ, მეორე რიგში აყენებდნენ იმ სიძნელეებს, რომლებსაც სოციალისტური რევოლუცია უცებ წააწყდა და არც შეეძლო არ წაწყდომოდა. ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ბურჟუაზიული რევოლუციისათვის, რომელიც ფეოდალიზმიდან იზრდება, ძველი წყობილების წიაღში თანდათან იქმნებიან ახალი ეკონომიური ორგანიზაციები, რომლებიც თანდათან სცვლიან ფეოდალური საზოგადოების ყველა მხარეს. ბურჟუაზიული რევოლუციის წინაშე იდგა მხოლოდ ერთი ამოცანა: აღეგავა, უკუეგდო, დაემსხვრია წინანდელი საზოგადოების ყველა ბორკილი. ამ ამოცანის შესრულებით ყოველგვარი ბურჟუაზიული რევოლუცია ასრულებს ყოველივე იმას, რაც მას მოეთხოვება: იგი აძლიერებს კაპიტალიზმის ზრდას.

სრულიად სხვაგვარ მდგომარეობაშია რევოლუცია სოციალისტური. რაც უფრო ჩამორჩენილია ქვეყანა, რომელსაც, ისტორიის ზიგზაგების გამო, მოუხდა სოციალისტური რევოლუციის დაწყება, მით უფრო ძნელია მისთვის ძველი კაპიტალისტური ურთიერთობიდან სოციალისტურ ურთიერთობაზე გადასვლა. აქ დანგრევის ამოცანებს ემატება ახალი, გაუგონარი სიძნელის ამოცანები — ორგანიზაციული ამოცანები. რუსეთის რევოლუციის სახალხო შემოქმედებას, რომელმაც გაიარა 1905 წლის დიადი გამოცდილება, ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვალში რომ არ შეექმნა საბჭოები, ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებდნენ ძალაუფლების აღებას ოქტომბერში, რადგან წარმატება დამოკიდებული

იყო მხოლოდ იმ მოძრაობის უკვე მზამზარეული ორგანიზაციული ფორმების არსებობაზე, რომელიც მილიონებს მოედო. ეს მზა ფორმა იყო საბჭოები, და ამიტომაც პოლიტიკურ დარგში ჩვენ მოგველოდა ის ბრწყინვალე წარმატებანი, ის განუწყვეტელი ტრიუმფალური მსვლელობა, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, ვინაიდან პოლიტიკური ხელისუფლების ახალი ფორმა მზად იყო, და ჩვენ ისღა გვრჩებოდა, რომ საბჭოების ხელისუფლება იმ ემბრიონალური მდგომარეობიდან, რომელშიც იგი იმყოფებოდა რევოლუციის პირველ თვეებში, რამდენიმე დეკრეტით გადაგვექცია რუსეთის სახელმწიფოში დამკვიდრებულ, კანონიერად-აღიარებულ ფორმად — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკად. იგი დაიბადა ერთბაშად, დაიბადა ასე ადვილად იმიტომ, რომ 1917 წლის თებერვალში მასებმა საბჭოები შექმნეს, შექმნეს იმაზე უფრო ადრეც კი, ვიდრე რომელიმე პარტია მოასწრებდა ამ ლოზუნგის წამოყენებას. თვით ღრმა ხალხური შემოქმედება, რომელმაც გაიარა 1905 წლის მწარე გამოცდილება და რომელიც გამოიბრძმედა მით,— აი ვინ შექმნა პროლეტარული ხელისუფლების ეს ფორმა. შინაურ მტერზე გამარჯვების ამოცანა უაღრესად ადვილი ამოცანა იყო. პოლიტიკური ხელისუფლების შექმნის ამოცანა უაღრესად ადვილი იყო, ვინაიდან მასებმა მოგვცეს ჩონჩხი, საფუძველი ამ ხელისუფლებისა. საბჭოების რესპუბლიკა ერთბაშად დაიბადა. მაგრამ რჩებოდა კიდევ ორი, გიგანტური სიძნელის ამოცანა, რომელთა გადაწყვეტა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის ტრიუმფალური მსვლელობა, რომლითაც მიდიოდა ჩვენი რევოლუცია პირველ თვეებში, — ჩვენ არ გვქონდა და არც შეიძლებოდა გვქონოდა იმის ეჭვი, რომ შემდგომში სოციალისტური რევოლუცია დადგებოდა გიგანტური სიძნელის ამოცანების წინაშე.

ეს იყო, ჯერ-ერთი, შინაგანი ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც ყოველი სოციალისტური რევოლუციის წინაშე დგას. სოციალისტური რევოლუციის განსხვავება ბურჟუაზიულისაგან სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მეორე

შემთხვევაში არის კაპიტალისტური ურთიერთობის მზა ფორმები, ხოლო საბჭოთა—პროლეტარული—ხელისუფლება ამ ურთიერთობას მზამზარეულად არ იღებს, თუ არ ავიღებთ კაპიტალიზმის ყველაზე განვითარებულ ფორმებს, რომლებმაც არსებითად მოიცვა მრეწველობის მხოლოდ მცირე ზედაფენები და ჯერ კიდევ სულ ოდნავ შეეხო მიწათმოქმედებას. აღრიცხვის ორგანიზაცია, კონტროლი უდიდეს საწარმოებზე, მთელი სახელმწიფო ეკონომიური მექანიზმის გადაქცევა ერთიან დიდ მანქანად, სამეურნეო ორგანიზმად, რომელიც იმუშავებს ისე, რომ ასეულ მილიონობით ადამიანები ხელმძღვანელობდნენ ერთი გეგმით, — აი ის გიგანტური ორგანიზაციული ამოცანა, რომელიც ჩვენ დაგვეკისრა. შრომის ახლანდელი პირობების მიხედვით იგი არავითარ შემთხვევაში არ იწყნარებდა «ჯიქურად» გადაწყვეტას, მსგავსად იმისა, როგორც ვახერხებდით სამოქალაქო ომის ამოცანების გადაწყვეტას. ასეთ გადაწყვეტას არ იწყნარებდა თვით საქმის არსი. თუ ჩვენ ასე ადვილად ვამარცხებდით ჩვენებურ კალედინელებს და შევქმენით საბჭოთა რესპუბლიკა ისეთი წინააღმდეგობის გაწევის პირობებში, რომელიც სერიოზული ყურადღების ღირსიც კი არ არის; თუ მოვლენათა ასეთი მსვლელობა მთელი ობიექტური წინამორბედი განვითარებით იყო წინასწარ გადაწყვეტილი, ისე რომ დაგვრჩენოდა გვეთქვა მხოლოდ უკანასკნელი სიტყვა, შეგვეცვალა აბრა, ნაცვლად სიტყვებისა: «საბჭო არსებობს, როგორც პროფესიული ორგანიზაცია» დაგვეწერა: «საბჭო არის სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ფორმა», — სამაგიეროდ სულ სხვანაირი მდგომარეობა იყო ორგანიზაციული ამოცანების მხრივ. აქ ჩვენ გიგანტური სიძნელეები გადაგვეღობა. აქ ერთბაშად ნათელი იყო ყველასათვის, ვისაც სურდა მოფიქრებულად მოპყრობოდა ჩვენი რევოლუციის ამოცანებს, რომ მხოლოდ თვითდისციპლინის მძიმე, ხანგრძლივი გზით შეიძლება იმ გახრწნის დაძლევა, რომელიც ომმა შეიტანა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომ მხოლოდ მეტად მძიმე, ხანგრძლივი,

შეუპოვარი გზით შეგვიძლია ჩვენ დავძლიოთ ეს გახრწნა და დავამარცხოთ მისი გამაძლიერებელი ის ელემენტები, რომლებიც რევოლუციას უყურებდნენ როგორც ძველი ბორკილებისაგან თავის დაღწევის საშუალებას, მისგან ყოველივე იმის წაგლეჯით, რისი წაგლეჯაც კი შეიძლება. ამ ელემენტების დიდი რაოდენობით გაჩენა აუცილებელი იყო წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში წარმოუდგენელი ნგრევის მომენტში, და მათთან მოგვიხდება ასჯერ უფრო ძნელი ბრძოლა, რომელიც არავითარ ეფექტურ პოზიციას არ გვპირდება,—ბრძოლა, რომელიც ჩვენ ეს-ეს არის ახლა დავიწყეთ. ჩვენ ამ ბრძოლის პირველ საფეხურზე ვდგავართ. აქ ჩვენ მძიმე განსაცდელი მოგველის. აქ ჩვენ საქმის ობიექტური მდგომარეობის გამო ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევძლებთ დავჯერდეთ ტრიუმფალურ მსვლელობას გაშლილი დროშებით, როგორც მივდიოდით კალედინელთა წინააღმდეგ. ყველა, ვინც კი შეეცდებოდა ბრძოლის ეს მეთოდი გადაეტანა იმ ორგანიზაციულ ამოცანებზე, რომლებიც რევოლუციის გზაზე დგას, სავსებით გაკოტრდებოდა როგორც პოლიტიკოსი, როგორც სოციალისტი, როგორც სოციალისტური რევოლუციის მოღვაწე.

და იგივე მოელოდა რევოლუციის თავდაპირველი ტრიუმფალური მსვლელობით გატაცებულ ზოგიერთ ჩვენს ახალგაზრდა ამხანაგს, როცა რევოლუციის წინაშე კონკრეტულად დადგა მეორე გიგანტური სიძნელე, რომელიც მას მხრებზე დააწვა, — საერთაშორისო საკითხი. თუ ჩვენ ასე ადვილად მოვუღეთ ბოლო კერენსკის ბანდებს, თუ ასე ადვილად შევქმენით ჩვენში ხელისუფლება, თუ ჩვენ სულ იოლად მივიღეთ დეკრეტი მიწის სოციალიზაციის, მუშათა კონტროლის შესახებ[13],— თუ ჩვენ ყოველივე ეს ასე ადვილად მივიღეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბედნიერად შექმნილმა პირობებმა ხანმოკლე დროით დაგვიფარა ჩვენ საერთაშორისო იმპერიალიზმისაგან. საერთაშორისო იმპერიალიზმს თავისი კაპიტალის მთელი ძლიერებით, თავისი დიდად ორგანიზებული სამხედრო

ტექნიკით, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო კაპიტალის ნამდვილ ძალას, ნამდვილ სიმაგრეს, არავითარ შემთხვევაში, არავითარ პირობებში არ შეეძლო საბჭოთა რესპუბლიკის გვერდით მშვიდობიანად ეცხოვრა არც თავისი ობიექტური მდგომარეობისა და არც იმ კაპიტალისტური კლასის ეკონომიური ინტერესების გამო, რომელიც მასში იყო განსახიერებული, — არ შეეძლო სავაჭრო კავშირის, საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობის გამო. აქ კონფლიქტი გარდუვალია. აქ არის რუსეთის რევოლუციის უდიდესი სიძნელე, მისი უდიდესი ისტორიული პრობლემა: საერთაშორისო ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობა, საერთაშორისო რევოლუციის გამოწვევის აუცილებლობა, ჩვენი რევოლუციიდან, როგორც ვიწრო ნაციონალური რევოლუციიდან, მსოფლიო რევოლუციაზე გადასვლის მოხდენა. ეს ამოცანა ჩვენს წინაშე დადგა მთელი თავისი არაჩვეულებრივი სიძნელით. ვიმეორებ, ძალიან ბევრმა ჩვენმა ახალგაზრდა მეგობარმა, რომლებიც მემარცხენეებად თვლიან თავს, დაიწყო ყველაზე უმთავრესის დავიწყება, სახელდობრ: რატომ მოხდა, რომ უდიდესი ტრიუმფის კვირეებისა და თვეების განმავლობაში ოქტომბრის შემდეგ ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა ასე ადვილად გადავსულიყავით ტრიუმფიდან ტრიუმფზე. ეს კი ასე იყო მხოლოდ იმიტომ, რომ სპეციალურად შექმნილმა საერთაშორისო კონიუნქტურამ დროებით დაგვიფარა ჩვენ იმპერიალიზმისაგან. მას ჩვენთვის არ ეცალა. ჩვენ მოგვეჩვენა, რომ ჩვენც არა გვცალოდა იმპერიალიზმისთვის. ცალკეულ იმპერიალისტებს კი ჩვენთვის არა სცალოდათ მხოლოდ იმიტომ, რომ თანამედროვე მსოფლიო იმპერიალიზმის მთელი უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური და სამხედრო ძალა ამ დროისათვის შინაომით გაყოფილი აღმოჩნდა ორ ჯგუფად. ამ ბრძოლაში ჩაბმული იმპერიალისტური მტაცებლები მივიდნენ წარმოუდგენელ საზღვრებამდე, სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილამდე, მივიდნენ იქამდე, რომ არც ერთ ამ ჯგუფთაგანს არ შეეძლო რამდენადმე სერიოზული ძალა გამოეყვანა რუსეთის რევოლუ-

ციის წინააღმდეგ. ჩვენ სწორედ ასეთ მომენტში მოვხვდით ოქტომბერში: ჩვენი რევოლუცია მოხვდა სწორედ — ეს პარადოქსულია, მაგრამ ეს მართებულია — ბედნიერ მომენტში, როცა იმპერიალისტური ქვეყნების უდიდეს უმრავლესობას თავს დაატყდა გაუგონარი უბედურება მილიონობით ადამიანების განადგურების სახით, როცა ომმა გატანჯა ხალხები გაუგონარი უბედურებით, როცა ომის მეოთხე წელს მეომარი ქვეყნები მოემწყვდნენ ჩიხში, მიადგნენ გზაჯვარედინს, როცა ობიექტურად წამოიჭრა კითხვა: შეძლებენ თუ არა ომის განგრძობას ასეთ მდგომარეობამდე მიყვანილი ხალხები? მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ჩვენი რევოლუცია მოხვდა ამ ბედნიერ მომენტში, როცა მტაცებელთა ორი გიგანტური ჯგუფის არც ერთ მხარეს არ შეეძლო დაუყოვნებლივ დასხმოდნენ თავს ერთიმეორეს, არც შეერთებულიყვნენ ჩვენს წინააღმდეგ, — საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის მხოლოდ ამ მომენტით შეეძლო ესარგებლნა და ისარგებლა ჩვენმა რევოლუციამ, რათა მოეხდინა ეს თავისი ბრწყინვალე ტრიუმფალური მსვლელობა ევროპულ რუსეთში, შეჭრილიყო ფინეთში, დაეწყო კავკასიის, რუმინეთის დაპყრობა. მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ ჩვენი პარტიის მოწინავე წრეებში აღმოჩნდნენ პარტიული მუშაკები — ინტელიგენტი-ზეკაცები, რომლებმაც თავი გაატაცებინეს ამ ტრიუმფალურ მსვლელობას და თქვეს: საერთაშორისო იმპერიალიზმს ჩვენ გავუმკლავდებით; იქაც იქნება ტრიუმფალური მსვლელობა, იქ ნამდვილი სიძნელე არ არისო. აი ამითაა განსხვავებული ობიექტური მდგომარეობა რუსეთის რევოლუციისა, რომელმაც მხოლოდ გამოიყენა საერთაშორისო იმპერიალიზმის დროებითი შეფერხება, რადგან დროებით შეჩერდა მანქანა, რომელიც უნდა დაძრულიყო ჩვენს წინააღმდეგ, როგორც რკინიგზის მატარებელი იძვრის ურმის წინააღმდეგ და ამსხვრევს მას, — მანქანა კი შეჩერდა იმიტომ, რომ ერთმანეთს შეეჯახა მტაცებელთა ორი ჯგუფი. იქაც და აქაც იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა,

მაგრამ გამოუკლებლივ ყველა იმპერიალისტურ ქვეყანაში ეს მოძრაობა უმეტეს შემთხვევაში ჯერ კიდევ დასაწყის სტადიაში იმყოფებოდა. მისი განვითარების ტემპი სულ სხვანაირი იყო, ვიდრე ჩვენში. თვითეულისათვის, ვინც კი ჩაფიქრებია ევროპის სოციალისტური რევოლუციის ეკონომიურ წანამძღვრებს, არ შეიძლებოდა ნათელი არ ყოფილიყო, რომ ევროპაში განუზომლად უფრო ძნელია, ხოლო ჩვენში გაცილებით უფრო ადვილია რევოლუციის დაწყება, მაგრამ უფრო ძნელი იქნება მისი განგრძობა, ვიდრე იქ. ამ ობიექტურმა მდგომარეობამ შექმნა ის, რომ ჩვენ უნდა გაგვეგლო ისტორიის არაჩვეულებრივ ძნელი, ციცაბო გრეხილი. განუწყვეტელი ტრიუმფალური მსვლელობიდან ოქტომბერში, ნოემბერში, დეკემბერში ჩვენს შინაურ ფრონტზე, ჩვენი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ, ჩვენ უნდა გადავსულიყავით შეტაკებაზე ნამდვილ საერთაშორისო იმპერიალიზმთან მისი ნამდვილი მტრული დამოკიდებულებით ჩვენდამი. ტრიუმფალური მსვლელობის პერიოდიდან უნდა გადავსულიყავით არაჩვეულებრივ ძნელი და მძიმე მდგომარეობის პერიოდზე, რომელსაც, რა თქმა უნდა, თავს ვერ დავაღწევდით მარტო სიტყვებით, ბრწყინვალე ლოზუნგებით — რა სასიამოვნოც უნდა ყოფილიყო ეს ჩვენთვის, რადგან ჩვენს მოშლილ ქვეყანაში ჩვენ გვყავდა უაღრესად დაქანცული მასები, რომელნიც ისეთ მდგომარეობამდე მივიდნენ, როცა ომის განგრძობა ყოვლად შეუძლებელია, რომელნიც სამი წლის მტანჯველი ომით იმდენად განადგურდნენ, რომ ომისათვის სრულიად გამოუსადეგარი არიან. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ჩვენ ვხედავდით ჯარისკაცთა მასების წარმომადგენლებს, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ ბოლშევიკების პარტიას, მაგრამ არ ერიდებოდნენ მთელი ბურჟუაზიის წინაშე ეთქვათ სიმართლე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის არმია არ იომებს. არმიის ამ მდგომარეობამ გიგანტური კრიზისი შექმნა. თავისი შემადგენლობით წვრილგლეხური ქვეყანა, ომით დეზორგანიზებული, მის მიერ ხაშინელ მდგომარეობამდე მიყვანილი, უაღრესად მძიმე

პირობებშია ჩაყენებული: ჩვენ არმია არა გვყავს, ცხოვრება კი კვლავ გვიხდება მტაცებლის გვერდით, რომელიც თავით ფეხამდე შეიარაღებულია, რომელიც ჯერ კიდევ რჩებოდა და რჩება მტაცებლად და რომელსაც აგიტაციით უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის შესახებ, რა თქმა უნდა, ვერ მოარჯულებდი. წყნარი შინაური ნადირი იწვა ვეფხვის გვერდით და არწმუნებდა მას, რომ ზავი ყოფილიყო უანექსიო და უკონტრიბუციო, მაშინ როდესაც უკანასკნელის მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ ვეფხვზე თავდასხმით. ჩვენი პარტიის ზედაფენები — ინტელიგენცია და მუშათა ორგანიზაციების ნაწილი — შეეცადნენ ეს პერსპექტივა აეცილებინათ უწინარეს ყოვლისა ფრაზებით, მიკიბ-მოკიბვით: ასე არ უნდა იყოსო. ეს ზავი მეტად წარმოუდგენელი პერსპექტივა იყო იმისათვის, რომ ჩვენ, ვინც დღემდე აშკარა ბრძოლაში მივდიოდით გაშლილი დროშებით, ვინც შეძახილით ვამარცხებდით ყველა მტერს, რომ ჩვენ შეგვძლებოდა დაგვეთმო და მიგველო დამამცირებელი პირობები. არასოდეს. ჩვენ მეტად ამაყი რევოლუციონერები ვართ, ჩვენ უწინარეს ყოვლისა ვაცხადებთ: «გერმანელი ვერ შეძლებს შემოტევას».

ასეთი იყო პირველი მომიზეზება, რომლითაც თავს ინუგეშებდნენ ეს ადამიანები. ისტორიამ ახლა ჩვენ არაჩვეულებრივ მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა; იძულებული ვართ გაუგონრად ძნელი ორგანიზაციული მუშაობის დროს განვვლოთ მთელი რიგი მტანჯველი დამარცხებანი. თუ მსოფლიო-ისტორიული მასშტაბით შევხედავთ, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ, თუ ჩვენი რევოლუცია განმარტოებული დარჩება, თუ სხვა ქვეყნებში არ იქნება რევოლუციური მოძრაობა, მაშინ ჩვენი რევოლუციის საბოლოო გამარჯვება უიმედო იქნებოდა. თუ ჩვენ მთელი საქმე მარტოოდენ ბოლშევიკური პარტიის ხელში ავიღეთ, ჩვენ მას ვიღებდით ჩვენს თავზე, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ რევოლუცია მწიფდება ყველა ქვეყანაში, და, ბოლოს და ბოლოს, — და არა დასაწყისის დასაწყისში, — როგორ სიძნელეებსაც უნდა განვიცდიდეთ, როგორი დამარ-

ცხებანიც უნდა გვხვდეს წილად, საერთაშორისო სოციალისტური რევოლუცია მოვა, — ვინაიდან იგი მოდის; მომწიფდება, — ვინაიდან იგი მწიფდება, და დამწიფდება. ჩვენი ხსნა ყველა ამ სიძნელისაგან — ვიმეორებ — სრულიად ევროპის რევოლუციაშია. გამოვდივართ რა ამ ჭეშმარიტებიდან, სრულიად აბსტრაქტული ჭეშმარიტებიდან, და ვხელმძღვანელობთ რა მით, ჩვენ თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, რომ იგი დროთა განმავლობაში არ გადაიქცეს ფრაზად, ვინაიდან ყოველგვარი აბსტრაქტული ჭეშმარიტება, თუ თქვენ მას გამოიყენებთ ყოველგვარი ანალიზის გარეშე, ფრაზად იქცევა. თუ თქვენ იტყვით, რომ ყოველი გაფიცვის უკან იმალება რევოლუციის გველეშაპი, რომ ვისაც ეს არ ესმის, ის სოციალისტი არააო, — ეს მართალია. დიახ, ყოველი გაფიცვის უკან იმალება სოციალისტური რევოლუცია. მაგრამ თუ თქვენ იტყვით, რომ ყოველი მოცემული გაფიცვა უშუალო ნაბიჯია სოციალისტური რევოლუციისაკენ, თქვენ ყოვლად ცარიელ ფრაზას იტყვით. ეს «ყოველ ცისმარე დღეს ამ ადგილზე» ჩვენ გვსმენია და ამან იმდენად მოგვკვეთა კბილი, რომ მუშებმა ყველა ეს ანარქისტული ფრაზა უკუაგდეს, რადგან, როგორც უეჭველია, რომ ყოველივე გაფიცვის იქით იმალება სოციალისტური რევოლუციის გველეშაპი, ისევე ნათელია, რომ სისულელეა იმის მტკიცება, თითქოს ყოველი გაფიცვიდან შეიძლებოდეს რევოლუციაზე გადასვლა. როგორც სრულიად უდავოა, რომ ჩვენი რევოლუციის ყველა სიძნელე დაძლეულ იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მომწიფდება მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია, რომელიც ახლა ყველგან მწიფდება, — იმდენად სრული აბსურდია იმის მტკიცება, რომ ჩვენი რევოლუციის ყოველი ესა თუ ის კონკრეტული დღევანდელი სიძნელე უნდა მივჩქმალოთ და ვთქვათ: «მე იმედს ვამყარებ საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაზე, — მე შემიძლია ჩავიდინო ყოველგვარი სისულელე». «ლიბკნეხტი დაგვიხსნის იმიტომ, რომ იგი სულერთია გაიმარჯვებს». იგი მოგვცემს ისეთ საუცხოო ორგანიზაციას, წინდა-

წინვე ყოველივეს ისე დაგვისახავს, რომ ჩვენ მივიღებთ მზა ფორმებს, როგორც ვიღებდით დასავლეთ ევროპის მზა მარქსისტულ მოძღვრებას, — და რის მეოხებითაც მან გაიმარჯვა ჩვენში, შეიძლება, რამდენიმე თვეში, მაშინ როდესაც მისი გამარჯვებისათვის დასავლეთ ევროპაში საჭირო იყო ათეული წლები. ამგვარად, სრულიად უაზრო ავანტიურაა — გადმოტანილ იქნას ტრიუმფალური მსვლელობით ბრძოლის საკითხის გადაწყვეტის ძველი მეთოდი ახალ ისტორიულ პერიოდში, რომელიც დადგა, რომელმაც ჩვენს წინაშე დააყენა არა ძირმომპალი კერენსკი და კორნილოვი, არამედ დააყენა საერთაშორისო მტაცებელი — იმპერიალიზმი გერმანიისა, სადაც რევოლუცია მხოლოდ მწიფდებოდა, მაგრამ ჯერ აშკარად არ მომწიფებულა. ასეთი ავანტიურა იყო იმის მტკიცება, რომ მტერი ვერ გაბედავს რევოლუციის წინააღმდეგ შემოტევასო. ბრესტის მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ისეთ მომენტს, როცა ჩვენ უნდა მიგვეღო ზავის ყოველგვარი პირობები. ძალთა ობიექტური თანაფარდობა შეესაბამებოდა იმას, რომ შესვენების მიღება არ იკმარებდა. ბრესტის მოლაპარაკებას უნდა ეჩვენებინა, რომ გერმანელი შემოგვიტევს, რომ გერმანელი საზოგადოება იმდენად არ არის რევოლუციით ფეხმძიმე, რომ რევოლუციას შეეძლოს ახლავე იფეთქოს, და არ შეიძლება ბრალი დავდოთ გერმანელ იმპერიალისტებს, რომ მათ თავიანთი მოქმედებით ჯერ კიდევ არ მოამზადეს ეს აფეთქება ან, როგორც ამბობენ ჩვენი ახალგაზრდა მეგობრები, რომელნიც თავს მემარცხენეებად თვლიან, ისეთი მდგომარეობა, როცა გერმანელს აღარ შეეძლება შემოტევა. როდესაც მათ ეუბნებიან, რომ ჩვენ არა გვყავს არმია, რომ ჩვენ იძულებული ვიყავით მოგვეხდინა დემობილიზაცია, — იძულებული ვიყავით, თუმცა სრულებით არ დაგვვიწყნია ის, რომ ჩვენი წყნარი შინაური ნადირის გვერდით ვეფხვი წევს, — მათ არ უნდათ გაიგონ. ჩვენ იძულებული ვიყავით არმიის დემობილიზაცია მოგვეხდინა, მაგრამ სრულიადაც არ

დაგვიწყნია, რომ მიწაში ხიშტის ჩარჭობის ცალმხრივი ბრძანებით ომის დამთავრება არ შეიძლება.

საერთოდ როგორ მოხდა, რომ ჩვენი პარტიის არც ერთი მიმდინარეობა, არც ერთი მიმართულება, არც ერთი ორგანიზაცია არ იყო ამ დემობილიზაციის წინააღმდეგი? როგორ, — ჩვენ სავსებით შევიშალეთ ჭკუაზე? სრულიადაც არა. ოფიცრები, არა ბოლშევიკები, ჯერ კიდევ ოქტომბრამდე ამბობდნენ, რომ არმიას არ შეუძლია იომოს, რომ მას რამდენიმე კვირასაც ვერ გავაჩერებთ ფრონტზეო. ოქტომბრის შემდეგ ეს ცხადი გახდა ყველასთვის, ვისაც კი სურდა ფაქტი, დუხჭირი მწარე სინამდვილე დაენახა და არ მიმალულიყო ან თვალებზე ქუდი არ ჩამოეფხატა. მედიდური ფრაზებით არ დაკმაყოფილებულიყო. არმია არ არის, მისი შეჩერება შეუძლებელია. ყველაზე უკეთესი, რაც კი შეიძლება გაკეთდეს, — ესაა მისი რაც შეიძლება ჩქარი დემობილიზაციის მოხდენა. ეს — ორგანიზმის დაავადებული ნაწილია, რომელიც საშინელ ტანჯვას განიცდიდა, განაწამები იყო ომით გამოწვეული გაჭირვებით, ომით, რომელშიც იგი ტექნიკურად მოუმზადებელი ჩაება და რომლიდანაც გამოვიდა ისეთ მდგომარეობაში, რომ ყოველი შეტევის დროს პანიკა იპყრობს. არ შეიძლება ამის გამო ბრალი დავდოთ ხალხს, რომელმაც ასეთი გაუგონარი ტანჯვა გადაიტანა. ასობით რეზოლუციაში, სავსებით გულახდილად, რუსეთის რევოლუციის პირველი პერიოდის განმავლობაშიც კი, ჯარისკაცები ამბობდნენ: «ჩვენ ვიხრჩობით სისხლში, ჩვენ არ შეგვიძლია ვიომოთ». შეიძლებოდა ხელოვნურად გაგვეჭიანურებინა ომის გათავება, შეიძლებოდა ჩაგვედინა კერენსკის თაღლითობა, შეიძლებოდა რამდენიმე კვირით გადაგვედო დასასრული, მაგრამ ობიექტური სინამდვილე გზას იკაფავდა. ეს — რუსეთის სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დაავადებული ნაწილია, რომელსაც მეტად აღარ შეუძლია ამ ომის სიმძიმის ატანა. რაც უფრო მალე მოვახდენთ მის დემობილიზაციას, რაც უფრო მალე გაიფან-

ტება იგი იმ ნაწილებში, რომლებიც ჯერ კიდევ ამდენად დაავადებული არ არიან, მით უფრო ადრე იქნება მომზადებული ჩვენი ქვეყანა ახალი მძიმე განსაცდელისათვის. აი რას ვგრძნობდით ჩვენ, როცა ერთხმად, ყოველგვარი პროტესტის გარეშე ვიღებდით — საგარეო ხასიათის მოვლენათა თვალსაზრისით უაზრო — გადაწყვეტილებას არმიის დემობილიზაციის შესახებ. ეს სწორი ნაბიჯი იყო. ჩვენ ვამბობდით, რომ არმიის შეჩერება ფუქსავატური ილუზიაა. რაც უფრო მალე მოვახდენთ არმიის დემობილიზაციას, მით უფრო მალე დაიწყება საერთოდ მთელი საზოგადოებრივი ორგანიზმის გაჯანსაღება. ამიტომაც ასეთი ღრმა შეცდომა, მოვლენათა ასეთი მწარედ გაზვიადებული შეფასება იყო რევოლუციური ფრაზა: «გერმანელი ვერ შემოგვიტევსო», რომლიდანაც გამომდინარეობდა მეორე: «ჩვენ შეგვიძლია ომის მდგომარეობა შეწყვეტილად გამოვაცხადოთ. არც ომი, არც ზავზე ხელისმოწერა». მაგრამ თუ გერმანელი შემოგვიტევს? «არა, ის ვერ შეძლებს შემოტევას». გაქვთ კი თქვენ უფლება სასწორზე დადოთ არა საერთაშორისო რევოლუციის ბედი, არამედ კონკრეტული საკითხი იმის შესახებ, ხომ არ გახდებით თქვენ გერმანიის იმპერიალიზმის ხელშემწყობნი, როცა ეს მომენტი დადგება? მაგრამ ჩვენ, ვინც 1917 წლის ოქტომბრიდან ყველანი ობორონცები გავხდით, ვინც ვცნობთ სამშობლოს დაცვას, — ჩვენ ყველამ ვიცით, რომ იმპერიალისტებთან კავშირი გავწყვიტეთ არა სიტყვით, არამედ საქმით: დავარღვიეთ საიდუმლო ხელშეკრულებანი, დავამარცხეთ ჩვენში ბურჟუაზია და წამოვაყენეთ აშკარა პატიოსანი ზავი, ასე რომ ყველა ხალხს შეეძლო საქმით დაენახა ყველა ჩვენი განზრახვა. როგორ შეეძლოთ ადამიანებს, რომლებიც სერიოზულად დგანან საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის თვალსაზრისზე, წასულიყვნენ ამ ავანტიურაზე, რომელმაც გამოიღო თავისი ნაყოფი? ეს კი ფაქტია, იმიტომ რომ ის მძიმე კრიზისი, რომელსაც ჩვენი პარტია განიცდის, მასში «მემარცხენე» ოპოზიციის შექმნასთან დაკავშირებით,

წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს კრიზისს, რომელსაც რუსეთის რევოლუცია განიცდის.

ეს კრიზისი აღმოფხვრილ იქნება. არავითარ შემთხვევაში არც ჩვენი პარტია და არც ჩვენი რევოლუცია მასზე კისერს არ მოიტეხენ, თუმცა ამ მომენტში ეს სავსებით ახლო, სავსებით შესაძლო იყო. იმის გარანტიას, რომ ჩვენ ამ საკითხზე კისერს არ მოვიტეხთ, წარმოადგენს ის გარემოება, რომ ფრაქციულ უთანხმოებათა გადაწყვეტის ძველი წესის ნაცვლად, იმ ძველი წესისა, რომელიც მდგომარეობდა არაჩვეულებრივი რაოდენობის ლიტერატურასა, დისკუსიებსა და საკმაო რაოდენობის გათიშვებში, — ამ ძველი წესის ნაცვლად მოვლენებმა ადამიანებს მოუტანა სწავლის ახალი წესი. ეს წესია — ყოველივეს შემოწმება ფაქტებით, მოვლენებით, მსოფლიო ისტორიის გაკვეთილებით. თქვენ ამბობთ, რომ გერმანელს არ შეუძლია შემოტევა. თქვენი ტაქტიკიდან გამომდინარეობდა, რომ ომის მდგომარეობა შეიძლება შეწყვეტილად გამოვაცხადოთ. თქვენ ისტორიამ ჭკუა გასწავლათ, მან ეს ილუზია გააქარწყლა. დიახ, გერმანიის რევოლუცია იზრდება, მაგრამ არა ისე, როგორც ჩვენ გვსურს, არა ისეთი სისწრაფით, როგორც რუსეთის ინტელიგენტებს ესიამოვნებათ, არა ისეთი ტემპით, რომელიც ჩვენმა ისტორიამ შეიმუშავა ოქტომბერში, — როცა ჩვენ შევდიოდით ყოველ ქალაქში, ვაცხადებდით საბჭოთა ხელისუფლებას, და მუშათა ცხრა მეათედი მოდიოდა ჩვენთან რამდენიმე დღის შემდეგ. გერმანიის რევოლუციას ის უბედურება სჭირს, რომ ასე სწრაფად არ მიდის. ხოლო ვინ ვის უნდა გაუწიოს ანგარიში: ჩვენ მას, თუ მან ჩვენ? თქვენ მოისურვეთ, რომ მან თქვენ გაგიწიოს ანგარიში, ისტორიამ კი თქვენ ჭკუა გასწავლათ. ეს — გაკვეთილია, რადგან აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, რომ გერმანიის რევოლუციის გარეშე ჩვენ დავიღუპებით, — შეიძლება, არა პიტერში, არა მოსკოვში, არამედ ვლადივოსტოკში, კიდევ უფრო შორეულ ადგილებში, სადაც ჩვენ, შეიძლება, მოგველოდეს გადასვლა და სადამდეც მანძილი,

შეიძლება, უფრო მეტია, ვიდრე მანძილი პეტროგრადიდან მოსკოვამდე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ყოველგვარი შესაძლებელი პერიპეტიების პირობებში, თუ გერმანიის რევოლუცია არ დაიწყო, — ჩვენ დავიღუპებით. მიუხედავად ამისა, ეს ოდნავადაც არ არყევს ჩვენს რწმენას, რომ ჩვენ უნარი უნდა გვქონდეს უბაქიბუქოდ გადავიტანოთ ყველაზე მძიმე მდგომარეობა.

რევოლუცია ისე მალე არ მოვა, როგორც ჩვენ ველოდით. ეს დაამტკიცა ისტორიამ; უნარი უნდა გვქონდეს, ავიღოთ ეს როგორც ფაქტი, უნდა შეგვეძლოს ანგარიში გავუწიოთ იმას, რომ მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია მოწინავე ქვეყნებში არ შეიძლება ისე ადვილად დაიწყოს, როგორც დაიწყო რევოლუცია რუსეთში — ნიკოლოზისა და რასპუტინის ქვეყანაში, როცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის სავსებით სულერთი იყო, სად რა ხალხები ცხოვრობენ განაპირა მხარეებში, რა ხდება იქ. რევოლუციის დაწყება ასეთ ქვეყანაში ადვილი იყო; ეს ნიშნავდა — ბუმბულის აწევას.

ხოლო მოუმზადებლად რევოლუციის დაწყება ისეთ ქვეყანაში, სადაც განვითარდა კაპიტალიზმი, სადაც მან დემოკრატიული კულტურა და ორგანიზებულობა მისცა უკანასკნელ ადამიანს, — შეცდომაა, უაზრობაა. აქ ჩვენ ჯერ მხოლოდ ვუახლოვდებით სოციალისტური რევოლუციების დასაწყისის მტანჯველ პერიოდს. ეს ფაქტია. ჩვენ არ ვიცით, არავინ არ იცის, შეიძლება, — ეს სავსებით შესაძლოა, — მან გაიმარჯვოს რამდენიმე კვირის შემდეგ, რამდენიმე დღის შემდეგაც კი, მაგრამ ამ იმედს არ უნდა დავემყაროთ. მზად უნდა ვიყოთ არაჩვეულებრივი სიძნელეებისათვის, არაჩვეულებრივად მძიმე დამარცხებებისათვის, რომლებიც აუცილებელია, იმიტომ რომ ევროპაში რევოლუცია ჯერ კიდევ არ დაწყებულა, თუმცა შეიძლება დაიწყოს ხვალ, და როცა დაიწყება, რასაკვირველია, ჩვენ აღარ დაგვტანჯავს ჩვენი ეჭვები, აღარ იქნება საკითხები რევოლუციურ ომზე, არამედ იქნება ერთი განუწყვეტელი ტრიუმფალური მსვლელობა. ეს

იქნება, ეს აუცილებლად იქნება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის. აი უბრალო ფაქტი, რომელიც ჩვენ ისტორიამ გვასწავლა, რომლითაც მან ძალიან მაგრად გვცემა, — ხოლო ერთ ნაცემში ორ უცემელს იძლევიან. ამიტომ მე ვთვლი, რომ მას შემდეგ, რაც ისტორიამ ამ იმედისათვის, — თითქოს გერმანელი ვერ შეძლებს შემოტევას და თითქოს შეიძლება «ჯიქურად» შევუტიოთ, — ძალიან მაგრად მოგვცხო, ეს გაკვეთილი ჩვენი საბჭოთა ორგანიზაციებიხ მეოხებით ძალიან სწრაფად შეიჭრება მთელი საბჭოთა რუსეთის მასების შეგნებაში. ყველა ისინი ამოძრავდნენ, იკრიბებიან, ემზადებიან ყრილობისათვის, გამოაქვთ რეზოლუციები, უფიქრდებიან იმას, რაც მოხდა. ჩვენში წარმოებს არა ძველი რევოლუციამდელი დავა, რომელიც რჩებოდა ვიწრო-პარტიული წრეების შიგნით, არამედ ყველა გადაწყვეტილება გამოაქვთ მასების განსახილველად, რომელნიც მოითხოვენ მათ შემოწმებას გამოცდილებით, საქმით, რომელნიც არასოდეს არ ატაცებინებენ თავს მსუბუქ სიტყვებს, არასოდეს არ გადაახვევინებენ ხოლმე თავს მოვლენათა ობიექტური მსვლელობით ნაკარნახევი გზიდან. რა თქმა უნდა, ცარიელი სიტყვებით შეიძლება თავიდან მოიშოროთ ის სიძნელეები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას, თუ თქვენს წინაშეა ინტელიგენტი ან მემარცხენე ბოლშევიკი: მას, რა თქმა უნდა, შეუძლია სიტყვით მოიშოროს ის საკითხები, რომ არმია არ არსებობს, ის, რომ გერმანიაში რევოლუცია არ იწყება. მილიონობით მასებმა, — ხოლო პოლიტიკა იწყება იქ, სადაც მილიონებია; არა იქ, სადაც ათასებია, არამედ იქ, სადაც მილიონებია, მხოლოდ იქ იწყება სერიოზული პოლიტიკა, — მილიონებმა იციან, რა არის არმია, მათ უნახავთ ჯარისკაცები, რომელნიც ფრონტიდან ბრუნდებიან. მათ იციან, — თუ ავიღებთ არა ცალკე პირებს, არამედ ნამდვილ მასას, — რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიომოთ, რომ ყოველმა ადამიანმა ფრონტზე გადაიტანა ყოველივე ის, რის წარმოდგენაც კი შეიძლებოდა. მასამ შეიგნო ის ჭეშმარიტება, რომ თუ არმია არაა, ხოლო თქვენს გვერდით წევს მტაცებელი,

თქვენ მოგიხდებათ უაღრესად მძიმე, დამამცირებელი საზავო ხელშეკრულების ხელისმოწერა. ეს აუცილებელია, სანამ არ დაიბადება რევოლუცია, სანამ არ გააჯანსაღებთ თქვენს არმიას, სანამ არ დააბრუნებთ მას შინ. მანამდე ავადმყოფი არ განიკურნება. ხოლო გერმანელ მტაცებელს «ჯიქურად» ვერ შევიპყრობთ, ვერ ჩამოვაგდებთ, როგორც ჩამოვაგდეთ კერენსკი, კორნილოვი. აი გაკვეთილი, რაც მასებმა გამოიტანეს უშენიშვნებოდ, რომელთა მათთვის შეთავაზებასაც ცდილობდნენ ზოგიერთნი, მწარე სინამდვილის თავიდან მოშორების მსურველნი.

ჯერ განუწყვეტელი ტრიუმფალური მსვლელობა ოქტომბერში, ნოემბერში, — შემდეგ უცებ რუსეთის რევოლუცია დამარცხებულია რამდენიმე კვირაში გერმანელი მტაცებლის მიერ, რუსეთის რევოლუცია მზადაა მიიღოს მძარცველური ხელშეკრულების პირობები. დიახ, ისტორიის შემობრუნებანი მეტად მძიმეა, — ჩვენში ყველა ასეთი შემობრუნება მძიმეა. როდესაც 1907 წელს ჩვენ ხელი მოვაწერეთ გაუგონრად სამარცხვინო შინაურ ხელშეკრულებას სტოლიპინთან, როცა ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვევლო სტოლიპინური სათათბიროს ბოსელი, როცა ვკისრულობდით ვალდებულებებს მონარქიულ ქაღალდებზე ხელისმოწერით [31], ჩვენ ამასვე განვიცდით მცირე მასშტაბით, ახლანდელთან შედარებით. მაშინ ის ადამიანები, რომელნიც ეკუთვნოდნენ რევოლუციის საუკეთესო ავანგარდს, ამბობდნენ (მათაც არავითარი ეჭვი არ ეპარებოდათ თავის სიმართლეში): «ჩვენ ამაყი რევოლუციონერები ვართ, ჩვენ გვწამს რუსეთის რევოლუცია, ლეგალურ სტოლიპინურ დაწესებულებებში ჩვენ არასოდეს არ წავალთ». წახვალთ. მასების ცხოვრება, ისტორია — უფრო ძლიერია, ვიდრე თქვენი მტკიცებანი. არ წახვალთ და — თქვენ ისტორია გაიძულებთ. ესენი იყვნენ ძალიან მემარცხენენი, რომელთაგანაც, როგორც ფრაქციისაგან, გარდა კვამლისა, ისტორიის პირველი შემობრუნებისთანავე აღარაფერი დარჩა. თუ ჩვენ შევძელით დავრჩენილიყავით რევოლუციონერებად,

გვემუშავნა მტანჯველ პირობებში და კვლავ გამოვსულიყავით ამ მდგომარეობიდან, ახლაც შევძლებთ გამოვიდეთ, იმიტომ რომ ეს არ არის ჩვენი კაპრიზი, იმიტომ რომ ეს არის ობიექტური აუცილებლობა, რომელიც უკიდურესად გაპარტახებულ ქვეყანაში შეიქმნა იმის გამო, რომ ევროპის რევოლუციამ, ჩვენი სურვილის წინააღმდეგ, გაბედა დაგვიანება, ხოლო გერმანიის იმპერიალიზმმა, ჩვენი სურვილის წინააღმდეგ, გაბედა შემოტევა.

აქ უნდა იცოდე უკანდახევა. არაჩვეულებრივ მწარე, დუხჭირ სინამდვილეს ფრაზით ვერ დაფარავთ; უნდა ვთქვათ: ღმერთმა ქნას ნახევრად წესრიგით დავიხიოთ უკან. ჩვენ წესრიგით უკანდახევა არ შეგვიძლია, — ღმერთმა ქნას დავიხიოთ ნახევრად წესრიგით, მოვიგოთ სულ მცირეოდენი დრო, რათა ჩვენი ორგანიზმის ავადმყოფი ნაწილი რამდენადმე მაინც განიკურნოს. ორგანიზმი მთლიანად ჯანსაღია: იგი დასძლევს ავადმყოფობას. მაგრამ არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ მან იგი ერთბაშად, უცებ დასძლიოს, არ შეიძლება გამოქცეული არმიის შეჩერება. როცა მე ერთ ჩვენს ახალგაზრდა მეგობარს, რომელსაც უნდოდა მემარცხენე ყოფილიყო, ვუთხარი: ამხანაგო, წადით ფრონტზე, ნახეთ, რა ხდება იქ არმიაში, — ეს შეურაცხმყოფელ წინადადებად იქნა მიღებული: «ჩვენი გადასახლება უნდათ, რათა აქ აგიტაცია არ გავწიოთ რევოლუციური ომის დიადი პრინციპებისთვისო». როცა ამ წინადადებას ვიძლეოდი, მე, მართალი გითხრათ, არ ვფიქრობდი ფრაქციული მტრების გადასახლებას: ეს იყო წინადადება — დაენახათ ის, რომ არმია უკვე გაუგონრად გამორბის. ჩვენ ეს ადრეც ვიცოდით, ადრეც არ შეიძლებოდა თვალის დახუჭვა იმაზე, რომ იქ გახრწნა მივიდა გაუგონარ ფაქტებამდე, ჩვენი ზარბაზნების გერმანელებისათვის გროშებად მიყიდვამდე. ეს ჩვენ ვიცოდით, როგორც ვიცით ისიც, რომ არმიას ვერ შევაკავებთ, და იმის მომიზეზება, რომ გერმანელი არ შემოგვიტევსო, უდიდესი ავანტიურა იყო. თუ ევროპის რევოლუციის დაწყებას დააგვიანდა, ჩვენ მოგველის მეტად მძიმე

დამარცხებანი, იმიტომ რომ ჩვენ არა გვყავს არმია, იმიტომ რომ ჩვენ არა გვაქვს ორგანიზაცია, იმიტომ რომ ამ ორი ამოცანის გადაჭრა ახლა შეუძლებელია. თუ შენ არ შეგიძლია შეეგუო, არ გინდა მუცლით იხოხო, ტალახში, მაშინ შენ რევოლუციონერი კი არა, მოლაყბე ხარ, და იმიტომ კი არ გირჩევთ ამ გზით სვლას, რომ მე ეს მომწონს, არამედ იმიტომ, რომ სხვა გზა არაა, იმიტომ რომ ისტორია არ ჩამოყალიბებულა ისე სასიამოვნოდ, რომ რევოლუცია ყველგან ერთდროულად მწიფდებოდეს.

საქმე ისე ხდება, რომ სამოქალაქო ომი დაიწყო როგორც იმპერიალიზმთან შეტაკების ცდა, რომელმაც დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმი სრულიად დალპა, და რომ პროლეტარული ელემენტები თავს მაღლა სწევენ ყოველი არმიის შიგნით. დიახ, ჩვენ დავინახავთ საერთაშორისო მსოფლიო რევოლუციას, მაგრამ ჯერ ეს ძალიან კარგი ზღაპარია, ძალიან ლამაზი ზღაპარია, — მე სავსებით მესმის, რომ ბავშვებს სჩვევიათ უყვარდეთ ლამაზი ზღაპრები. მაგრამ მე გეკითხებით: სერიოზულ რევოლუციონერს სჩვევია თუ არა ზღაპრებისადმი რწმენა? ყოველ ზღაპარში არის სინამდვილის ელემენტები: ბავშვებს რომ მოუყვეთ ზღაპარი, სადაც მამალი და კატა არ ლაპარაკობენ ადამიანურ ენაზე, ისინი ამით არ დაინტერესდებიან. სწორედ ასევე, თუ ხალხს ეტყვით, რომ გერმანიაში სამოქალაქო ომი მოვა, და ამასთანავე ითავდებებთ, რომ იმპერიალიზმთან შეტაკების ნაცვლად იქნება საერთაშორისო საველე რევოლუცია, მაშინ ხალხი იტყვის, რომ თქვენ სტყუით. ამით თქვენ მხოლოდ თქვენი გაგებით, თქვენი სურვილებით გადიხართ იმ სიძნელეებს, რომლებიც ისტორიამ შემოგვთავაზა. კარგია, თუ გერმანიის პროლეტარიატს შეეძლება გამოსვლა. მერე და, თქვენ ეს გაზომეთ, თქვენ გამონახეთ ისეთი ინსტრუმენტი იმის გამოსარკვევად, რომ გერმანიის რევოლუცია ამა და ამ დღეს დაიბადება? არა, თქვენ ეს არ იცით, ჩვენც არ ვიცით. თქვენ ყველაფერს სასწორზე დებთ. თუ რევოლუცია დაიწყო, — ყველაფერი

გადარჩენილია. რასაკვირველია! მაგრამ თუ ის არ გამოვა ისე, როგორც ჩვენ გვსურს, ვთქვათ, ვერ გაიმარჯვა ხვალ, — მაშინ რა? მაშინ მასა გეტყვის თქვენ: თქვენ მოიქეცით როგორც ავანტიურისტები, — თქვენ იმედი დაამყარეთ მოვლენათა ამ ბედნიერ მსვლელობაზე, რომელიც არ მოხდა, თქვენ უვარგისი გამოდექით იმ მდგომარეობისათვის, რომელიც აღმოჩნდა საერთაშორისო რევოლუციის ნაცვლად, რევოლუციისა, რომელიც აუცილებლად მოვა, მაგრამ ამჟამად საბოლოოდ ჯერ კიდევ არ მომწიფებულა.

დადგა პერიოდი უმძიმესი დამარცხებებისა, რაც თავით ფეხამდე შეიარაღებულმა იმპერიალიზმმა მიაყენა იმ ქვეყანას, რომელმაც მოახდინა თავისი არმიის დემობილიზაცია, რომელიც იძულებული იყო დემობილიზაცია მოეხდინა. ის, რაც მე ვიწინასწარმეტყველე, სავსებით გამართლდა: ბრესტის ზავის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ გაცილებით უფრო დამამცირებელი ზავი იმათი მიზეზით, ვინც მას არ ღებულობდა. ჩვენ ვიცოდით, არმიის ბრალი იყო, რომ ვდებდით ზავს იმპერიალიზმთან. ჩვენ მაგიდასთან ვიჯექით ჰოფმანის [6] და არა ლიბკნეხტის გვერდით, — და ამით ჩვენ დავეხმარეთ გერმანიის რევოლუციას. ახლა კი თქვენ ეხმარებით გერმანიის იმპერიალიზმს, იმიტომ რომ მიეცით თქვენი მილიონიანი სიმდიდრე,—ზარბაზნები, ყუმბარები,—ეს კი უნდა ეწინასწარმეტყველა ყველას, ვინც ხედავდა არმიის, გულსატკენად წარმოუდგენელ, მდგომარეობას. ჩვენ გერმანელთა სულ მცირედი შემოტევის შემთხვევაში დავიღუპებოდით უეჭველად და აუცილებლად, — ამას ამბობდა ფრონტიდან მოსული ყოველი კეთილსინდისიერი ადამიანი. ჩვენ მტრის ნადავლი აღმოვჩნდით რამდენიმე დღეში.

მივიღეთ რა ეს გაკვეთილი, ჩვენ ჩვენს გათიშვას, ჩვენს კრიზისს აღმოვფხვრით, რაგინდ მძიმე იყოს ეს ავადმყოფობა, იმიტომ რომ ჩვენს დასახმარებლად მოვა გაცილებით უფრო ერთგული მოკავშირე: მსოფლიო რევოლუცია. როცა ჩვენ ვველაპარაკებიან ამ ტილზიტის ზავის, გაუგონარი ზავის

რატიფიკაციის შესახებ, — ზავისა, რომელიც უფრო დამამცირებელი, მძარცველურია, ვიდრე ბრესტის ზავი, მე ვუპასუხებ: უსათუოდ, — კი. ჩვენ უნდა ვქნათ ეს, ვინაიდან ჩვენ საქმეს ვუყურებთ მასების თვალსაზრისით. ერთი ქვეყნის შიგნით ოქტომბერ-ნოემბრის, რევოლუციის ამ ტრიუმფალური პერიოდის, ტაქტიკის გადატანის ცდა, გადატანისა ჩვენი ფანტაზიის საშუალებით მსოფლიო რევოლუციის მოვლენათა მსვლელობაზე, — ეს ცდა განწირულია მარცხისათვის. როცა ამბობენ, შესვენება — ეს ფანტაზიაა, როცა გაზეთი, რომელსაც ეწოდება «კომუნისტი», — ალბათ, კომუნიდან, — როცა ეს გაზეთი სვეტს სვეტზე ავსებს და ცდილობს შესვენების თეორიის უარყოფას, მაშინ მე ვამბობ: მე ბევრი ფრაქციული შეტაკება, გათიშვა გადამიტანია, ასე რომ მე დიდი პრაქტიკა მაქვს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ნათლად ვხედავ, ძველი წესით — ფრაქციულ პარტიულ გათიშვათა წესით — ეს სენი არ განიკურნება, იმიტომ რომ მას ცხოვრება უფრო ადრე განკურნავს. ცხოვრება ძალიან ჩქარა მიაბიჯებს წინ. ამ მხრივ ის დიდებულად მოქმედებს. ისტორია ისე ჩქარა მიაქანებს თავის ლოკომოტივს, რომ სანამ «კომუნისტის» რედაქცია მორიგი ნომრის გამოცემას მოასწრებდეს, დაიწყება პიტერის მუშათა უმრავლესობის იმედის გაცრუება მისი იდეებისადმი, რადგან ცხოვრება გვიჩვენებს, რომ შესვენება — ფაქტია. აი ამჟამად ჩვენ ხელს ვაწერთ ზავს, გვაქვს შესვენება, ჩვენ მით ვსარგებლობთ სამშობლოს უკეთ დასაცავად, — რადგან, ჩვენ რომ ომი გვქონდეს, ის პანიკურად გამქცევი არმია გვეყოლებოდა, რომელიც აუცილებლად უნდა შეგვეჩერებინა და რომლის შეჩერებაც ჩვენს ამხანაგებს არ შეუძლიათ და ვერ შესძლეს, რადგან ომი უფრო ძლიერია, ვიდრე ქადაგებანი, ვიდრე ათი ათასი მსჯელობა. თუ მათ ვერ გაიგეს ობიექტური მდგომარეობა, მათ არმიის შეჩერება არ შეუძლიათ, ისინი მას ვერ შეაჩერებდნენ. ეს ავადმყოფი არმია აავადებდა მთელ ორგანიზმს, და ჩვენ მივიღეთ ახალი გაუგონარი დამარცხება, გერმანიის იმპერიალიზმის ახალი დარტყმა რევოლუციისადმი, —

მძიმე დარტყმა, იმიტომ რომ ფუქსავატურად დავტოვეთ ჩვენი თავი უტყვიამფრქვევებოდ იმპერიალიზმის შემოტევის წინაშე. ამასობაში ჩვენ ამ შესვენებით ვისარგებლებთ, რომ დავაჯეროთ ხალხი გაერთიანდეს, იბრძოლოს, რომ ვუთხრათ რუსეთის მუშებს, გლეხებს: «შეჰქმენით თვითდისციპლინა, მკაცრი დისციპლინა, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ გერმანიის ჩექმის ქუსლქვეშ იქნებით, როგორც ხართ ახლა, როგორც აუცილებლად იქნებით, ვიდრე ხალხი არ ისწავლის ბრძოლას, ისეთი არმიის შექმნას, რომელსაც შეეძლება არა გაქცევა, არამედ გაუგონარ ტანჯვათა გადატანა». ეს აუცილებელია იმიტომ, რომ გერმანიის რევოლუცია ჯერ კიდევ არ დაწყებულა და არც შეიძლება იმის თავდებობა, რომ ის ხვალ მოხდება.

აი ამიტომ შესვენების თეორიას, რომელიც სრულიად უარყოფილია «კომუნისტის» სტატიების ნიაღვარით, თვით ცხოვრება აყენებს. თვითეული ხედავს, რომ შესვენება არის, რომ მით ყველა სარგებლობს. ჩვენ გვეგონა, რომ პეტროგრადს დავკარგავდით რამდენიმე დღეში, როცა გერმანიის მოახლოებული ჯარები მისგან რამდენიმე გადასვლის მანძილზე იყვნენ, საუკეთესო მატროსები და პუტილოველები კი, მთელი თავიანთი დიდი ენთუზიაზმის მიუხედავად, მარტოდ დარჩნენ, როცა დაიბადა გაუგონარი ქაოსი, პანიკა, რამაც ჯარები აიძულა გამოქცეულიყვნენ გატჩინამდე, როცა ჩვენ განვიცდიდით იმას, რომ უკან ვიბრუნებდით ჩაუბარებელს, ამასთან ეს იმაში მდგომარეობდა, რომ ტელეგრაფისტი მიდიოდა სადგურზე, მიუჯდებოდა აპარატს და იტყობინებოდა: «არავითარი გერმანელი არაა. სადგური ჩვენ დავიკავეთ». რამდენიმე საათის შემდეგ ტელეფონით მატყობინებდნენ გზათა კომისარიატიდან: «დაკავებულია შემდეგი სადგური, ჩვენ იამბურგს ვუახლოვდებით. არავითარი გერმანელი არაა. ტელეგრაფისტი იკავებს თავის ადგილს». აი რას განვიცდიდით ჩვენ. აი ამ თერთმეტდღიანი ომის რეალური ისტორია[36]. იგი ჩვენ აგვიწერეს მატროსებმა, პუტილოველებმა,

რომელნიც უნდა წამოვიყვანოთ საბჭოების ყრილობაზე. დაე მათ გვიამბონ სიმართლე. ეს საშინლად მწარე, შეურაცხმყოფელი, მტანჯველი, დამამცირებელი სიმართლეა, მაგრამ იგი ასჯერ უფრო სასარგებლოა, მას გებულობს რუსი ხალხი.

მე თანახმა ვარ გაატაცებინოთ თავი საერთაშორისო საველე რევოლუციას იმიტომ, რომ იგი მოხდება. ყველაფერი თავის დროზე მოხდება, ახლა კი ხელი მოკიდეთ თვითდისციპლინას, დაემორჩილეთ რადაც უნდა დაგიჯდეთ, რომ სანიმუშო წესრიგი იყოს, რომ მუშები, თუნდაც ერთი საათი დღეღამეში, სწავლობდნენ ბრძოლას. ეს ცოტა უფრო ძნელია, ვიდრე მშვენიერი ზღაპრის დახატვა. ეს არის ამჟამად, ამით თქვენ ეხმარებით გერმანიის რევოლუციას, საერთაშორისო რევოლუციას. რამდენი დღე მოგვეცა შესვენება, — ჩვენ არ ვიცით, მაგრამ იგი მოგვეცა. რაც შეიძლება მალე უნდა მოვახდინოთ არმიის დემობილიზაცია, იმიტომ რომ ეს ავადმყოფი ორგანოა, ჯერ-ჯერობით კი ჩვენ დავეხმარებით ფინეთის რევოლუციას [30].

დიახ, რასაკვირველია, ჩვენ ვარღვევთ ხელშეკრულებას, ჩვენ იგი უკვე ოცდაათჯერ-ორმოცჯერ დავარღვიეთ. მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ ვერ გაიგონ, რომ ისეთ ეპოქაში, როცა დგება განთავისუფლების მტანჯველი, ხანგრძლივი პერიოდი, რომელმაც ეს-ეს არის შექმნა, აიყვანა საბჭოთა ხელისუფლება თავისი განვითარების სამ საფეხურზე, — მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ ვერ გაიგონ ის, რომ აქ ხანგრძლივი, ფრთხილი ბრძოლაა საჭირო. სამარცხვინო საზავო ხელშეკრულება იწვევს აჯანყებას, მაგრამ როცა ამხანაგები «კომუნისტიდან» მსჯელობენ ომზე, ისინი მიმართავენ გრძნობას, ივიწყებენ რა იმას, რომ ხალხი მუშტს კუმშავდა და რომ მას გასისხლიანებული ბავშვები თვალწინ ედგა. რას ამბობენ ისინი? «ვერასოდეს შეგნებული რევოლუციონერი ამას ვერ აიტანს, არ ჩაიდენს ასეთ სამარცხვინო საქმესო». მათ გაზეთს «კომუნისტი» ეწოდება, მაგრამ მას უნდა ერქვას «შლიახტიჩი», ვინაიდან ის უყურებს იმ შლიახტიჩის თვალსაზრისით, რომელიც,

ლამაზი პოზით რომ კვდებოდა დაშნით ხელში, ამბობდა: «ზავი — ეს სირცხვილი», ომი — ეს ღირსებაა». ისინი მსჯელობენ შლიახტიჩის თვალსაზრისით, მე კი — გლეხის თვალსაზრისით.

თუ მე ზავს ვიღებ, როცა არმია გარბის, არ შეუძლია არ გარბოდეს და არ კარგავდეს ათასობით ხალხს, მე მას მივიღებ, რომ უარესი არ მოხდეს. განა სამარცხვინოა ხელშეკრულება? მე გამამართლებს ყოველი სერიოზული გლეხი და მუშა, რადგან მათ ესმით, რომ ზავი. საშუალებაა ძალთა დასაგროვებლად. ისტორიამ იცის, — მე ამაზე არა ერთხელ მიმითითებია. — ისტორიამ იცის გერმანელთა განთავისუფლება ნაპოლეონისაგან ტილზიტის ზავის შემდეგ; მე განგებ ვუწოდე ზავს ტილზიტური, თუმცა ჩვენ ხელი არ მოვაწერეთ იმას, რაც იქ იყო: ჩვენი ჯარების მიცემის ვალდებულებას დამპყრობლის დასახმარებლად სხვა ხალხთა დასაპყრობად, — ისტორია კი აქამდე მიდიოდა, და აქამდე მივა საქმე ჩვენშიც, თუ ჩვენ იმედი დავამყარეთ მხოლოდ საერთაშორისო საველე რევოლუციაზე. ფრთხილად იყავით, რათა ისტორიამ არ მიგიყვანოთ სამხედრო მონობის ამ ფორმამდეც. და ვიდრე სოციალისტურ რევოლუციას არ გაუმარჯვნია ყველა ქვეყანაში, საბჭოთა რესპუბლიკა შეიძლება ჩავარდეს მონობაში. ნაპოლეონმა ტილზიტში აიძულა გერმანელები მიეღოთ ზავის გაუგონრად სამარცხვინო პირობები. იქ საქმე ისე მიდიოდა, რომ რამდენჯერმე შეიკრა ზავი. მაშინდელი ჰოფმანი — ნაპოლეონი — იჭერდა გერმანელებს ზავის დარღვევაში, და ჩვენც ჰოფმანი იმაშივე დაგვიჭერს. ოღონდ ჩვენ ვეცდებით, რომ მან მალე არ დაგვიჭიროს.

უკანასკნელმა ომმა რუს ხალხს მისცა მწარე, მტანჯველი, მაგრამ სერიოზული მეცნიერება — ორგანიზებისა, დისციპლინირებისა, დამორჩილებისა, ისეთი დისციპლინის შექმნისა, რომ იგი სანიმუშო იყოს. ისწავლეთ გერმანელისაგან მისი დისციპლინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ — დავიღუპებით და მუდამ მონობაში ვიქნებით.

ასე, და მხოლოდ ასე, მიდიოდა ისტორია. ისტორია გვიკარნახებს, რომ ზავი არის შესვენება ომისათვის, ომი საშუალებაა ოდნავ მაინც უკეთესი ან უარესი ზავის მისაღებად. ბრესტში ძალთა თანაფარდობა შეესაბამებოდა დამარცხებულის ზავს, მაგრამ არა დამამცირებელს. ფსკოვის ძალთა თანაფარდობა შეესაბამებოდა სამარცხვინო ზავს, უფრო დამამცირებელს, ხოლო პიტერსა და მოსკოვში, შემდგომ ეტაპზე, ჩვენ გვიკარნახებენ ოთხჯერ უფრო დამამცირებელ ზავს. ჩვენ არ ვიტყვით, რომ საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ ფორმაა, როგორც გვითხრეს ახალგაზრდა მოსკოველმა მეგობრებმა[38], ჩვენ არ ვიტყვით, რომ ამა თუ იმ რევოლუციური პრინციპის გულისთვის შეიძლება შევწიროთ შინაარსი, არამედ ვიტყვით: დაე რუსმა ხალხმა გაიგოს, რომ ის უნდა გახდეს დისციპლინირებული, ორგანიზებული, მაშინ შესძლებს ის გადაიტანოს ყოველგვარი ტილზიტური ზავი. განმათავისუფლებელი ომების მთელი ისტორია გვიჩვენებს, რომ თუ ეს ომები მოიცავდნენ ფართო მასებს, განთავისუფლება მალე ხდებოდა. ჩვენ ვამბობთ: თუ ისტორია ამგვარად მიდის, ჩვენ მოგვიხდება შევცვალოთ ზავი, დავუბრუნდეთ ომს, — და ეს, შეიძლება, მოგველოდეს ამ დღეებში. ყოველი ადამიანი მზად უნდა იყოს. არავითარი ეჭვი არაა ჩემთვის, რომ გერმანელები ემზადებიან ნარვას იქით, თუ მართალია, რომ იგი არ ყოფილა აღებული, როგორც ლაპარაკობენ ყველა გაზეთში; თუ ნარვაში არა, ნარვასთან; თუ ფსკოვში არა — ფსკოვთან, გერმანელები აგროკვებენ თავიანთ რეგულარულ არმიას, თავიანთ რკინიგზებს, რათა შემდგომი ნახტომით დაიპყრონ პეტროგრადი. ეს მხეცი კარგად ხტის. ეს მან გვიჩვენა. ის კიდევ გადმოხტება. ამაში არავითარი ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. ამიტომ მზად უნდა ვიყოთ, კი არ უნდა ვიბაქიბუქოთ, არამედ უნდა შეგვეძლოს აკიღოთ თუნდაც ერთი დღე შესვენება, ვინაიდან ერთი დღითაც კი შეიძლება ვისარგებლოთ პიტერის საევაკუაციოდ, რომლის აღება გაუგონარი ტანჯვა იქნება ასიათასობით ჩვენი პროლე-

ტარისათვის. მე კიდევ ვიტყვი, რომ მზად ვარ ხელი მოვაწერო და მოვალეობად ჩავთვლი ხელი მოვაწერო ოცჯერ, ასჯერ უფრო დამამცირებელ ხელშეკრულებას, რათა მივიღოთ თუნდაც რამდენიმე დღე პიტერის ევაკუაციისათვის, ვინაიდან ამით მე ტანჯვას ვუმსუბუქებ მუშებს, რომელნიც, თუ ასე არ მოვიქეცით, შეიძლება გერმანელების მონობაში ჩავარდნენ; მე ვაადვილებ პიტერიდან იმ მასალების, დენთისა და სხვ. გამოზიდვას, რომლებიც ჩვენ გვჭირია, იმიტომ რომ მე ობორონელი ვარ, იმიტომ რომ მე ვემხრობი არმიის მზადებას — თუნდაც სულ შორეულ ზურგში, სადაც ამჟამად მკურნალობენ ახლანდელ დემობილიზებულ დაავადებულ არმიას.

ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნება შესვენება, — ვეცადოთ დავეჭიროთ მომენტი. შეიძლება, შესვენება მეტი იქნეს, შეიძლება კი გაგრძელდეს სულ რამდენიმე დღე. ყველაფერი შეიძლება, ეს არავინ იცის, არ შეუძლია იცოდეს იმიტომ, რომ ყველა უდიდესი სახელმწიფო შებოჭილი, შევიწროებულია, იძულებული არიან იბრძოლონ რამდენიმე ფრონტზე. ჰოფმანის საქციელი განისაზღვრება, ერთი მხრით, იმით, რომ დამარცხებულ უნდა იქნას საბჭოთა რესპუბლიკა, ხოლო მეორე მხრით — იმით, რომ მას მთელ რიგ ფრონტებზე ომი აქვს, მესამე მხრით კი — იმით, რომ გერმანიაში რევოლუცია მწიფდება, იზრდება, და ჰოფმანმა ეს იცის, მას არ შეუძლია, როგორც ამტკიცებენ, ამ წუთში აიღოს პიტერი, აიღოს მოსკოვი. მაგრამ ეს მას შეუძლია ქნას ხვალ, ეს სავსებით შესაძლებელია. მე ვიმეორებ, რომ ისეთ მომენტში, როცა არმიის ავადმყოფობა ფაქტია, როცა ჩვენ ვსარგებლობთ ყოველი მომენტით, რადაც უნდა დაგვიჯდეს, თუნდაც ერთი დღის შესვენებისათვის, ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველმა სერიოზულმა რევოლუციონერმა, რომელიც დაკავშირებულია მასებთან, რომელმაც იცის, რა არის ომი, რა არის მასა, უნდა აწარმოოს მისი დისციპლინირება, უნდა განკურნოს ის, ეცადოს წამოაყენოს ის ახალი ომისათვის, —

ყოველი ასეთი რევოლუციონერი ჩვენ გაგვამართლებს, ყოველ სამარცხვინო ხელშეკრულებას სწორად აღიარებს, ვინაიდან უკანასკნელი — პროლეტარული რევოლუციის და რუსეთის განახლების, ავადმყოფი ორგანოსაგან მისი განთავისუფლების სასარგებლოდაა. როცა ამ ზავს ხელს ვაწერთ, როგორც მიხვდება ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი, ჩვენ არ ვწყვეტთ ჩვენს მუშურ რევოლუციას; ყველას ესმის, რომ გერმანელებთან ზავის ხელისმოწერით ჩვენ არ ვწყვეტთ ჩვენს სამხედრო დახმარებას: ჩვენ ფინელებს ვუგზავნით იარაღს, და არა რაზმებს, რომელნიც გამოუსადეგარნი არიან.

შეიძლება, ჩვენ მივიღოთ ომი; შესაძლებელია, ხვალ დავუთმოთ მოსკოვიც, მერე კი გადავალთ შეტევაზე: მტრის არმიის წინააღმდეგ დავძრავთ ჩვენს არმიას, თუ მოხდა ხალხის სულისკვეთებაში ის გარდატეხა, რომელიც მწიფდება, რომლისთვისაც, შეიძლება, დაგვჭირდეს ბევრი დრო, მაგრამ ის დადგება, როცა ფართო მასები იტყვიან არა იმას, რასაც ისინი ამბობენ ახლა. მე იძულებული ვარ მივიღო თუნდაც უმძიმესი ზავი იმიტომ, რომ მე არ შემიძლია ვთქვა დღეს, რომ ეს დრო მოვიდა. როცა განახლების ჟამი დადგება, ყველა იგრძნობს ამას, დაინახავს, რომ რუსი ადამიანი ბრიყვი არ არის; ის ხედავს, ის მიხვდება, რომ საჭიროა თავშეკავება, რომ საჭიროა ამ ლოზუნგის გატარება, — ამაშია ჩვენი პარტიული ყრილობის და საბჭოების ყრილობის მთავარი ამოცანა.

უნდა ვიცოდეთ ახალ გზაზე მუშაობა. ეს განუზომლად უფრო მძიმეა, მაგრამ ეს სულაც არაა უიმედო. ეს სულაც არ ჩაშლის საბჭოთა ხელისუფლებას, თუ ჩვენ თვითონ უაღრესად სულელური ავანტიურით არ ჩავშლით მას. მოვა დრო, როცა ხალხი იტყვის: მე მეტს აღარავის ვაწვალებინებ თავსო. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს, თუ ჩვენ არ წავალთ ამ ავანტიურაზე, არამედ შევძლებთ მუშაობას მძიმე პირობებში, გაუგონრად დამამცირებელი ხელშეკრულების დროს, რომელსაც ჩვენ ხელი მოვაწერეთ ამ დღეებში, ვინაიდან

მარტო ომით, მარტო საზავო ხელშეკრულებით ასეთი ისტორიული კრიზისი არ გადაწყდება. გერმანელი ხალხი თავისი მონარქიული ორგანიზაციით შებოჭილი იყო 1807 წელს, როცა ხელი მოაწერა თავის ტილზიტის ზავს, რამდენიმე დამამცირებელი ზავის შემდეგ, რომლებიც შესვენებად იქცეოდნენ ახალი დამცირებისა და ახალი დარღვევისათვის. მასების საბჭოთა ორგანიზაცია გააადვილებს ჩვენს ამოცანას.

ჩვენი ლოზუნგი ერთი უნდა იყოს — ვისწავლოთ სამხედრო საქმე ნამდვილად, დავამყაროთ წესრიგი რკინიგზებზე. ურკინიგზოდ სოციალისტური რევოლუციური ომი — უაღრესად მავნე გამცემლობაა. აუცილებელია შევქმნათ წესრიგი და უნდა შევქმნათ მთელი ის ენერგია, მთელი ძლიერება, რომელიც შექმნის საუკეთესოს, რაც კი რევოლუციას მოეპოვება.

ხელი ჩაავლეთ შესვენებას, თუნდაც ერთი საათით, რაკი თქვენ იგი მოგეცათ, რათა კონტაქტი იქონიოთ შორეულ ზურგთან, იქ შექმნათ ახალი არმიები. უკუაგდეთ ილუზიები, რომლებისთვისაც თქვენ ცხოვრებამ დაგსაჯათ და კიდევ უფრო დაგსჯით. ჩვენს წინ ისახება უმძიმეს დამარცხებათა ეპოქა, იგი — თვალწინ არის, უნდა შეგვეძლოს მისთვის ანგარიშის გაწევა, უნდა ვიყოთ მზად მედგარი მუშაობისათვის არალეგალურ პირობებში, გერმანელებთან აშკარა მონობის პირობებში: ამას შელამაზება არ სჭირია; ეს ნამდვილი ტილზიტის ზავია. თუ ჩვენ შევძლებთ ასე მოქმედებას, მაშინ ჩვენ, მიუხედავად დამარცხებებისა, აბსოლუტური რწმენით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. (ტ ა შ ი).

2

საგოლოო სიტყვა ომისა და ზავის შესახებ წაკითხული მოხსენების გამო

8 მარტს

ამხანაგებო, ნება მომეცით დავიწყო შედარებით წვრილი შენიშვნებიდან, ბოლოდან. ამხ. ბუხარინი თავისი სიტყვის ბოლოში იქამდე მივიდა, რომ ჩვენ პეტლიურას შეგვადარა. თუ იგი ფიქრობს, რომ ეს ასეა, როგორ შეუძლია მას დარჩეს ჩვენთან ერთად ერთ პარტიაში? განა ეს ფრაზა არაა? რა თქმა უნდა, ეს რომ მართლა ასე იყოს, ჩვენ არ ვიქნებოდით ერთ პარტიაში. ის, რომ ჩვენ ერთად ვართ, ამტკიცებს, რომ ცხრა მეათედით ბუხარინს ვეთანხმებით. მართალია, მან დაუმატა ცოტაოდენი რევოლუციური ფრაზები იმის შესახებ, თითქოს ჩვენ გვინდოდა გვეღალატნა უკრაინისათვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ უბრალო რამეებზე ლაპარაკი არ ღირს. მე დავუბრუნდები ამხანაგ რიაზანოვს და აქ მინდა აღვნიშნო, რომ მსგავსად იმისა, როგორც გამონაკლისი, რომელიც ათ წელიწადში ერთხელ ხდება, მხოლოდ ადასტურებს წესს, ისე იმასაც უცბად შემთხვევით წამოსცდა სერიოზული ფრაზა. (ტ ა შ ი). მან თქვა, ლენინი უთმობს სივრცეს, რომ დრო მოიგოსო. ეს თითქმის ფილოსოფიური მსჯელობაა. ამჯერად გამოვიდა ისე, რომ ამხ. რიაზანოვმა თქვა სრულიად სერიოზული, მართალია, ფრაზა, რომელშიც საკითხის მთელი არსია: მე მინდა ფაქტიურ გამარჯვებულს სივრცე დავუთმო, რომ დრო მოვიგო. ამაშია და მხოლოდ ამაში მთელი არსი. ყოველივე დანარჩენი — მხოლოდ ლაპარაკია: რევოლუციური ომის აუცილებლობა, გლეხობის აღმავლობა და სხვ.. როდესაც ამხ. ბუხარინი ისე გვიხატავს

საქმეს, თითქოს ომის შესაძლებლობის შესახებ ორი აზრი შეუძლებელია იყოს, და ამბობს: «ჰკითხეთ რომელსაც გნებავთ სამხედრო პირსო» (მე ჩავიწერე მისი სიტყვები), რაკი იგი ისე აყენებს საკითხს, რომ ეკითხება რომელსაც გნებავთ სამხედრო პირს, მე მას ვუპასუხებ: ასეთი რომელიც გნებავთ სამხედრო პირი აღმოჩნდა ფრანგი ოფიცერი, ვისთანაც მე მომიხდა გამოსაუბრება. ეს ფრანგი ოფიცერი მე, რასაკვირველია, ბოროტი თვალით მიყურებდა, — მე ხომ გერმანელებს მივყიდე რუსეთი, — და ამბობდა: «მე როიალისტი ვარ, ვემხრობი მონარქიას საფრანგეთშიც — მომხრე ვარ გერმანიის დამარცხებისა, არ იფიქროთ, რომ მე საბჭოთა ხელისუფლებას ვემხრობი,—როგორღა იფიქრებ, თუ ის მონარქისტია, — მაგრამ მე იმის მომხრე ვიყავი, რომ თქვენ ხელი მოგეწერათ ხელშეკრულებაზე ბრესტში, იმიტომ რომ ეს აუცილებელია» [30]. ესეც თქვენი «ჰკითხეთ რომელსაც გნებავთ სამხედრო პირსო». რომელსაც გნებავთ სამხედრო პირს უნდა ეთქვა ის, რასაც მე ვამბობდი: უნდა მოგვეწერა ხელი ხელშეკრულებაზე ბრესტში. თუ ახლა ბუხარინის სიტყვიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენი უთანხმოებანი ძალიან შემცირდა, ეს იმიტომ, რომ უთანხმოებათა მთავარი პუნქტი მისმა მომხრეებმა დამალეს.

როდესაც ახლა ბუხარინი გვანადგურებს იმისათვის, რომ ჩვენ დემორალიზაცია შევიტანეთ მასებში, ის აბსოლუტურად მართალია, მხოლოდ ის თავისთავს ანადგურებს, და არა ჩვენ. ვინ გაატარა ეს დომხალი ც. კ-ში? — თქვენ, ამხ. ბუხარინ. (ს ი ც ი ლ ი). როგორც არ უნდა იყვიროთ «არაო», სიმართლე თავისას გაიტანს: ჩვენ ჩვენს ამხანაგურ ოჯახში, ჩვენს საკუთარ ყრილობაზე ვართ, დასამალავი არაფერი გვაქვს და სიმართლე უნდა ვთქვათ. სიმართლე კი ისაა, რომ ც. კ-ში სამი მიმდინარეობა იყო. 17 თებერვალს ლომოვს და ბუხარინს ხმა არ მიუციათ. მე ვითხოვე კენჭისყრა აღგვედგინა, გაგვემრავლებინა, პარტიის ყოველი წევრი შევა სამდივნოში, თუ მოისურვებს, და შეამოწმებს კენჭისყრას, — 21 იანვრის

ისტორიულ კენჭისყრას, რომელიც გვიჩვენებს, რომ მერყეობით სწორედ ისინი მერყეობდნენ, ჩვენ კი სრულიადაც არ ვმერყეობდით, ჩვენ ვამბობდით: «მივიღოთ ბრესტში ზავი, — უკეთესს ვერ მიიღებთ, — რათა ვამზადოთ რევოლუციური ომი». ამჟამად ჩვენ უკვე მოვიგეთ ხუთი დღე პიტერის საევაკუაციოდ. ახლა გამოშვებულია მოწოდება კრილენკოსი და პოდვოისკისა[40], რომელნიც არ იყვნენ მემარცხენეთა რიცხვში და რომელთაც ბუხარინი ათვალწუნებით ეპყრობოდა, ამბობდა, რომ «გამოაძვრინეს» კრილენკოო, თითქოს ჩვენ გამოგვეგონებინოს ის, რასაც კრილენკო მოხსენებაში ამბობდა. ჩვენ ამას აბსოლუტურად ვეთანხმებით; აი როგორაა საქმე, ეს ხომ სამხედროები ამტკიცებდნენ იმას, რასაც მე ვამბობდი, თქვენ კი თავს იმართლებთ იმით, რომ გერმანელი არ შემოგვიტევსო. განა შეიძლება ეს მდგომარეობა შევადაროთ ოქტომბერს, როდესაც საქმე ტექნიკაში არ იყო? არა, თუ თქვენ გინდათ ანგარიში გაუწიოთ ფაქტებს, გაუწიეთ ანგარიში იმ გარემოებას, რომ უთანხმოება ეხებოდა იმას, რომ არ შეიძლება ომის დაწყება, როცა იგი აშკარად არაა ხელსაყრელი. როდესაც ამხ. ბუხარინმა თავისი საბოლოო სიტყვა დაიწყო მჭუხარე კითხვით: «შესაძლებელია თუ არა ომი უახლოეს მომავალში?», მე მან ძალიან გამაკვირვა. მე უყოყმანოდ ვუპასუხებ: შესაძლებელია, — ხოლო ახლა უნდა მივიღოთ ზავი. აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის.

ამ მოკლე შენიშვნების შემდეგ მე გადავალ დეტალურ პასუხებზე წინა ორატორების მიმართ. რადეკის მიმართ მე გამონაკლისი უნდა დავუშვა. მაგრამ იყო მეორე გამოსვლა — ამხ. ურიცკისა. რა იყო იქ, გარდა კანოსისა, «გამცემლობისა», «უკან დაიხიეთ», «შეეგუეთო»? რასა ჰგავს ეს? განა მემარცხენე-ესერული გაზეთიდან არაა ეს თქვენი კრიტიკა? ამხ. ბუბნოვმა წაგვიკითხა განცხადება, ც. კ-ში შეტანილი ცეკისტების მიერ, რომელნიც თავისთავს ძალიან მემარცხენეებად თვლიან, რომელთაც სავსებით ჩაატარეს დემონსტრაციის მაგალითი მთელი მსოფლიოს წინაშე: «ც. კ-ის საქციელი

ლახვარს სცემს საერთაშორისო პროლეტარიატსო». განა ეს ფრაზა არაა? «უძლურების დემონსტრირება მთელი მსოფლიოს წინაშე!». რით ვახდენთ ჩვენ დემონსტრირებას? იმით, რომ ზავი ვითხოვეთ? იმით, რომ არმია გამოიქცა? განა ჩვენ არ დავამტკიცეთ, რომ გერმანიასთან ახლა ომის დაწყება, ბრესტის ზავის მიუღებლად, ნიშნავს — დავანახოთ მსოფლიოს, რომ ჩვენი არმია ავადმყოფია, არ სურს ბრძოლაში წასვლა? სრულიად უსაფუძვლო ლაპარაკია, როცა ბუბნოვი ამტკიცებს. რომ ეს მერყეობა მთლად ჩვენს მიერ იყო შექმნილი, — ეს იყო იმიტომ, რომ ჩვენი არმია ავადმყოფია. როცა უნდა ყოფილიყო, შესვენება უნდა მიგვეცა. სწორ სტრატეგიას რომ გავყოლოდით, ჩვენ ერთი თვის შესვენება გვექნებოდა, ხოლო რადგან თქვენ მცდარ სტრატეგიას გაჰყევით, ჩვენ მხოლოდ ხუთი დღე გვაქვს შესვენება, — და ესეც კარგია. ომის ისტორია გვიჩვენებს, რომ პანიკით შეპყრობილი არმიის გაქცევის შესაჩერებლად ხანდახან დღეებიც კი საკმარისია. ვინც არ ღებულობს, არ აწერს ახლა ხელს ჯოჯოხეთურ ზავს, ის ფრაზის კაცია, და არა სტრატეგიის. აი რაშია უბედურება. როდესაც მე ცეკისტები მწერენ: «უძლურების დემონსტრაცია», «გამცემლობაო» — ეს უაღრესად მავნე, ყოვლად ფუჭი ბავშვური ფრაზაა. ჩვენ უძლურების დემონსტრაცია იმით მოვახდინეთ, რომ ვცადეთ ომი, როცა არ შეიძლებოდა დემონსტრაცია, როცა ჩვენს წინააღმდეგ შემოტევა აუცილებელი იყო. რაც შეეხება ფსკოველ გლეხებს, ჩვენ მათ მოვიყვანთ საბჭოების ყრილობაზე, რომ გვიამბონ, თუ როგორ ეპყრობიან გერმანელები, რომ მათ შექმნან ის ფსიქოლოგია, როცა პანიკური გაქცევით დაავადებული ჯარისკაცი გამომრთელებას დაიწყებს და იტყვის: «დიახ, ახლა გავიგე, რომ ეს ის ომი არაა, რომლის შეწყვეტას ბოლშევიკები დაგვპირდნენ. — ეს ახალი ომია, რომელსაც გერმანელები ეწევიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ». მაშინ მოხდება გაჯანსაღება. მაგრამ თქვენ აყენებთ ისეთ საკითხს, რომლის გადაწყვეტა არ შეიძლება. არავინ არ იცის შესვენების ვადა.

შემდეგ მე უნდა შევეხო ამხ. ტროცკის პოზიციას. მის შოქმედებაში უნდა გავარჩიოთ ორი მხარე: როცა მან დაიწყო მოლაპარაკება ბრესტში და დიდებულად გამოიყენა იგი სააგიტაციოდ, ჩვენ ყველანი ვეთანხმებოდით ამხ. ტროცკის. მან მოიყვანა ჩემთან საუბრის ერთი ნაწილი, მაგრამ მე დავუმატებ: ჩვენ დათქმული გვქონდა, რომ ჩვენ გავმაგრდებოდით გერმანელების ულტიმატუმამდე, ულტიმატუმის შემდეგ კი დავუთმობდით. გერმანელმა ჩვენ მოგვატყუა: შვიდი დღიდან მან ხუთი მოგვპარა [41]. ტროცკის ტაქტიკა, რამდენადაც ის გაჭიანურებას იცავდა, სწორი იყო: ის არასწორი გახდა, როცა ომის მდგომარეობა შეწყვეტილად გამოცხადდა, და ზავი არ იყო ხელმოწერილი. მე სრულიად გარკვეულად მოვითხოვე ზავის ხელისმოწერა. ბრესტის ზავზე უკეთესის მიღება ჩვენ არ შეგვეძლო. ყველასათვის ცხადია, რომ შესვენება ერთი თვე იქნებოდა, რომ ჩვენ არ წავაგებდით. რამდენადაც ეს ისტორიამ უკუაგდო, ამის მოგონება აღარ ღირს, მაგრამ სასაცილოა, როცა ბუხარინი ამბობს: «ცხოვრება დაგვანახებს, რომ ჩვენ მართალი ვიყავითო». მე მართალი ვიყავი, იმიტომ რომ მე ამის შესახებ ვწერდი ჯერ კიდევ 1915 წელს: «უნდა ვემზადოთ ომის საწარმოებლად, ის აუცილებელია, ის მოდის, ის მოვა» *. მაგრამ ზავი უნდა მიგვეღო და არა ტყუილუბრალოდ გვებაქიბუქნა. და მით უფრო უნდა მიგვეღო ზავი, რომ ომი მოვა, ახლა კი ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ვაადვილებთ პიტერის ევაკუაციას, ჩვენ იგი გავაადვილეთ. ეს ფაქტია. როცა ამხ. ტროცკი აყენებს ახალ მოთხოვნებს: «მოგვეცით პირობა, რომ არ შეკრავთ ზავს ვინიჩენკოსთანო», მე ვამბობ, რომ ასეთ ვალდებულებას არავითარ შემთხვევაში არ ვიკისრებ [42]. ყრილობამ რომ იკისროს ვალდებულება, არც მე, არც ერთი ჩემი თანამოაზრე, არავინ ამისთვის პასუხისმგებლობას არ იკისრებს. ეს იქნებოდა ნაცვლად მანევრირების ნათელი ხაზისა, — უკანდახევა, როდესაც შესაძლებელია, ხანდახან შეტევა, — ამის ნაცვლად ისევ ფორმალური გადაწყვეტილებით

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 493 — 494. რ ე დ.

თავისი თავის შებოჭვა. ომში არასოდეს არ შეიძლება ფორმალური მოსაზრებებით თავისი თავის შებოჭვა. სასაცილოა სამხედრო ისტორიის არცოდნა, იმის არცოდნა, რომ ხელშეკრულება არის ძალ-ღონის მოკრების საშუალება: მე უკვე მივუთითე პრუსიის ისტორიაზე. ზოგიერთები, პირდაპირ ბავშვებივით, ფიქრობენ: ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, მაშასადამე, ეშმაკს მიჰყიდა თავი, ჯოჯოხეთში ჩავარდაო. ეს პირდაპირ სასაცილოა, როდესაც სამხედრო ისტორია ცხადზე უცხადესად ლაპარაკობს, რომ ხელშეკრულების ხელისმოწერა დამარცხების დროს საშუალებაა ძალ-ღონის მოსაკრებად. ისტორიაში ყოფილა შემთხვევები. როცა ომები ერთიმეორეს მოსდევდა, ყოველივე ეს ჩვენ დაგვავიწყდა, ჩვენ ვხედავთ, ძველი ომი იქცევა... *. თუ თქვენ გნებავთ, სამუდამოდ შეიბოჭეთ თავი ფორმალური მოსაზრებებით და ჩაბარეთ მაშინ საპასუხისმგებლო პოსტები მემარცხენე ესერებს. ჩვენ ამისათვის პასუხისმგებლობას არ ვიკისრებთ. აქ გათიშვის სურვილის ნატამალიც არაა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ცხოვრება თქვენ გასწავლით. 12 მარტს—არც ისე შორსაა—თქვენ მიიღებთ დიდ მასალას [43].

ამხანაგი ტროცკი ამბობს, რომ ეს იქნება გამცემლობა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მე ვამტკიცებ, რომ ეს სრულიად მცდარი თვალსაზრისია. კონკრეტულად რომ დაგანახოთ, მე ავიღებ მაგალითს: ორი კაცი მიდის, მათ თავს ესხმის ათი კაცი; ერთი იბრძვის, მეორე გარბის — ეს გამცემლობაა; მაგრამ თუ ორი არმიაა, თითოში ასი ათასი კაცით, მათ წინააღმდეგ კი ხუთი არმიაა; ერთ არმიას შემოერტყა ორასი ათასი კაცი, მეორე უნდა წავიდეს დასახმარებლად, მაგრამ იცის, რომ სამასი ათასი ისეა განლაგებული, რომ იქ მახეა: შეიძლება თუ არა დასახმარებლად წასვლა? არა, არ შეიძლება. ეს გამცემლობა, ლაჩრობა კი არაა: რიცხვის უბრალო გადიდებამ შეცვალა ყველა ცნება, ყოველმა სამხედრომ იცის ეს, — აქ პერსონალური ცნება როდია: ასე მოქცევით შე გადავარჩენ ჩემს

* სტენოგრამაში რამდენიმე სიტყვა არ არის. რ ე დ.

არმიას, დაე მეორე წაიყვანონ ტყვედ, მე ჩემსას განვაახლებ, მე მყავს მოკავშირეები, მე შევიცდი, მოკავშირენი მოვლენ. მხოლოდ ასე შეიძლება მსჯელობა; მაგრამ როცა სამხედრო მოსაზრებებს ემატება სხვა რამეები, მაშინ აქ ფრაზის გარდა არაფერია. ასე პოლიტიკის წარმოება არ შეიძლება.

ყოველივე, რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო, ჩვენ გავაკეთეთ. იმით, რომ ხელს ვაწერთ ხელშეკრულებას, ჩვენ გადავარჩინეთ პიტერი, თუნდაც რამდენიმე დღით. (მდივნები და სტენოგრაფები ნუ ჩაწერენ ამას). ხელშეკრულებაში ნაბრძანებია — გამოვიყვანოთ ფინეთიდან ჩვენი ჯარები, აშკარად უვარგისი ჯარები, მაგრამ ჩვენ აკრძალული არა გვაქვს იარაღი შევიტანოთ ფინეთში. პიტერი რომ რამდენიმე დღის წინათ დაცემულიყო, პანიკა შეიპყრობდა პიტერს, და ჩვენ ველარაფერს ველარ გამოვიტანდით, ამ ხუთი დღის განმავლობაში კი ჩვენ დავეხმარეთ ჩვენს ფინელ ამხანაგებს, — მე არ ვიტყვი, რამდენად, ეს მათ თვითონ იციან.

სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენ გავეცით ფინეთი, ყოვლად ბავშვური ფრაზაა. ჩვენ სწორედ იმით დავეხმარეთ, რომ დროზე დავიხიეთ უკან გერმანელების წინაშე. არ დაიღუპება არასოდეს რუსეთი, თუ პიტერი ჩავარდება, ამაში ათასჯერ მართალია ამხ. ბუხარინი, ხოლო თუ ბუხარინულად მოვახდენთ მანევრირებას, მაშინ შეიძლება კარგი რევოლუცია დავღუპოთ. (ს ი ც ი ლ ი).

ჩვენ არ გაგვიცია არც ფინეთი, არც უკრაინა. ამას ჩვენ ვერ გვისაყვედურებს ვერც ერთი შეგნებული მუშა. ჩვენ ვეხმარებით, რითაც კი შეგვიძლია. ჩვენ ჩვენი ჯარებიდან არც ერთი კარგი კაცი არ წაგვიყვანია და არც წავიყვანთ. თუ თქვენ ამბობთ, რომ ჰოფმანი დაგვიჭერს, თავს წამოგვადგება, — რა თქმა უნდა, მას ეს შეუძლია, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ რამდენ დღეში იზამს ის ამას, — მან არ იცის და არც არავინ იცის. გარდა ამისა, თქვენი მოსაზრება, რომ დაგვიჭერს, თავს წამოგვადგება, ეს არის მოსაზრება ძალთა პოლიტიკური თანაფარდობისა, რაზედაც შემდეგ ვილაპარაკებ.

რაკი გავარკვიე, თუ რატომ აბსოლუტურად არ შემიძლია მივიღო ტროცკის წინადადება — ასე პოლიტიკის წარმოება არ შეიძლება, — მე უნდა ვთქვა, რომ იმის მაგალითი, თუ რამდენად მოშორდნენ ჩვენს ყრილობაზე ამხანაგები ფრაზას, რომელიც ფაქტიურად ურიცკის შერჩა, გვიჩვენა რადეკმა. მე არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია ამ გამოსვლისათვის მას ბრალი დავდო ფრაზაში. მან თქვა: «არც გამცემლობის ნატამალი. არც სამარცხვინო რამ აქ არ არის, რადგან აშკარაა, რომ თქვენ უკან დაიხიეთ უძლიერესი სამხედრო ძალის წინაშეო». ეს არის შეფასება, რომელიც ტროცკის მთელ პოზიციას ამსხვრევს. როდესაც რადეკმა თქვა: «პირმოკუმულად უნდა ვამზადოთ ძალებიო», ეს მართალია,—ამას მე სავსებით ხელს ვაწერ: არა ბაქიბუქობით, არამედ პირმოკუმულად მზადება.

მოკუმე პირი, ნუ კი ბაქიბუქობ, არამედ ძალები ამზადე. რევოლუციური ომი მოვა, ამაში ჩვენს შორის უთანხმოება არაა; უთანხმოებაა ტილზიტის ზავის შესახებ — მოვაწეროთ ხელი თუ არა? ყველაზე უარესი, ეს — ავადმყოფი არმიაა, ამიტომაც ც. კ-ში უნდა იყოს ერთი მტკიცე ხაზი, და არა უთანხმოება ან საშუალო ხაზი, რომელსაც მხარი დაუჭირა ამხ. ბუხარინმაც. ვარდისფრად არ ვსახავ მე შესვენებას; არავინ იცის, რამდენხანს გაგრძელდება შესვენება, და არც მე ვიცი. სასაცილოა ცდები, რითაც მაინცდამაინც უნდათ ჩემგან გაიგონ, თუ რამდენხანს გაგრძელდება შესვენება. გადარჩენილი მაგისტრალების საშუალებით ჩვენ ვეხმარებით უკრაინასაც და ფინეთსაც. გამოვიყენოთ შესვენება მანევრირებით და უკანდახევით.

გერმანელ მუშას უკვე აღარ შეიძლება უთხრათ, რომ რუსები ჟინიანობენ, ახლა ხომ აშკარაა, რომ მოდის გერმანულ-იაპონური იმპერიალიზმი, და ეს ნათელი იქნება ყველასა და თვითეულისათვის; გარდა ბოლშევიკების დახრჩობის სურვილისა, გერმანელს დახრჩობის სურვილი აქვს დასავლეთშიაც, ყველაფერი აირ-დაირია, და ამ ახალ ომში მოგვიხდება და უნდა ვიცოდეთ მანევრირება.

ვეხები რა ამხ. ბუხარინის სიტყვას, მე აღვნიშნავ, რომ, როცა მას არგუმენტები აკლია, ის რაღაც ურიცკისებურს აყენებს და ამბობს: «ხელშეკრულება ჩვენ გვაბიაბრუებსო». აქ არგუმენტები არაა საჭირო: თუ ჩვენ გაბიაბრუებული ვართ, უნდა მოვუსვათ ხელი ქაღალდებს და გავიქცეთ, მაგრამ, თუმცა ჩვენ «გაბიაბრუებული» ვართ, მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენი პოზიციები შერყეული იყოს. ამხ. ბუხარინმა სცადა ანალიზი გაეკეთებინა ჩვენი პოზიციების კლასობრივი საფუძვლისათვის, მაგრამ ამის ნაცვლად გვიამბო ანეგდოტი განსვენებულ მოსკოველ ეკონომისტზე. როდესაც ჩვენს ტაქტიკაში აღმოაჩინეს კავშირი მეტომრეობასთან, — ღმერთმანი, სასაცილოა, დაავიწყდათ, რომ დამოკიდებულება კლასისა მთლიანად, — კლასისა და არა მეტომრეებისა, — გვიჩვენებს, რომ რუსეთის ბურჟუაზია და ყველა მისი დამქაში — დელონაროდელები და ნოვოჟიზნელები — მთელი თავისი ძალ-ღონით გვხვევენ ჩვენ ამ ომში. ამ კლასობრივ ფაქტს თქვენ ხომ ხაზს არ უსვამთ. ახლა გერმანიისთვის ომის გამოცხადება ნიშნავს რუსეთის ბურჟუაზიის პროვოკაციის ანკესზე წამოგებას. ეს ახალი არ არის, იმიტომ რომ ეს უნამდვილესი, — მე არ ვამბობ: აბსოლუტურად ნამდვილი, არაფერი აბსოლუტურად ნამდვილი არ არსებობს, — უნამდვილესი გზაა ამჟამად ჩვენს დასამხობად. როდესაც ამხ. ბუხარინი ამბობდა: ცხოვრება მათკენაა, ყველაფერი იმით გათავდება, რომ ჩვენ ვაღიარებთ რევოლუციურ ომსო, — იგი იოლ გამარჯვებას დღესასწაულობდა, ვინაიდან რევოლუციური ომის აუცილებლობა ჩვენ ჯერ კიდევ 1915 წელს ვიწინასწარმეტყველეთ. ჩვენი უთანხმოება იყო იმაში, თუ რას იზამს გერმანელი: შემოგვიტევს თუ არა; რომ ჩვენ უნდა გამოგვეცხადებინა ომის მდგომარეობა შეწყვეტილად; რომ რევოლუციური ომის გულისთვის საჭიროა უკანდახევა ფიზიკურად, ქვეყნის დათმობა დროს მოსაგებად. სტრატეგია და პოლიტიკა გვიკარნახებს უაღრესად საზიზღარ საზავო ხელშეკრულებას. ყველა ჩვენი უთანხმოება გაქრება, რაკი ჩვენ ამ ტაქტიკას ვაღიარებთ.

3

რეზოლუცია ომისა და ზავის შესახებ "

ყრილობა აუცილებლად თვლის დაამტკიცოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხელმოწერილი უმძიმესი, უაღრესად დამამცირებელი საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, ვინაიდან ჩვენ არა გვყავს არმია, ვინაიდან დემორალიზებული საფრონტო ნაწილები უაღრესად დაავადებული არიან, ვინაიდან აუცილებლად საჭიროა ვისარგებლოთ შესვენების ყოველი, თუნდაც სულ მცირედი, შესაძლებლობით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ იმპერიალიზმის შემოტევის წინ.

სოციალისტური რევოლუციის დაწყებული ერის ახლანდელ პერიოდში ისტორიულად გარდუვალია (როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან) იმპერიალისტური სახელმწიფოების მრავალგზისი სამხედრო შემოტევა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ყველა შინასახელმწიფოებრივი, კლასობრივი, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობის ახლანდელი უკიდურესი გამწვავების დროს ასეთ შემოტევათა ისტორიულ გარდუვალობას შეუძლია ყოველ, თვით უახლოეს მომენტში, რამდენიმე დღეშიც კი, გამოიწვიოს ახალი იმპერიალისტური შემოტევითი ომები საერთოდ სოციალისტური მოძრაობის წინააღმდეგ და განსაკუთრებით რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამიტომ ყრილობა აცხადებს, რომ როგორც ჩვენი პარტიის, ისე შეგნებული პროლეტარიატის მთელი ავანგარდისა და საბჭოთა ხელისუფლების უპირველეს და ძირითად ამოცანად ყრილობა აღიარებს უაღრესად ენერგიულ, ულმობლად გადა-

ჰწყვეტ და დრაკონულ ღონისძიებათა მიღებას, რათა ამალ-ლებულ იქნას რუსეთის მუშებისა და გლეხების თვითდისციპ-ლინა და დისციპლინა, განიმარტოს აუცილებლობა რუსეთის ისტორიული მიახლოებისა განმათავისუფლებელი, სამამულო, სოციალისტური ომისადმი, რათა ყველგან და ყველაფერში შეიქმნას მასების უსასტიკესად შეკავშირებული და რკინისე-ბური ერთიანი ნებისყოფით განმტკიცებული ორგანიზაციები, რომელთაც უნარი ექნებათ დარაზმულად და თავდადებულად იმოქმედონ ხალხის ცხოვრების როგორც ყოველდღიურ, ისე განსაკუთრებით კრიზისულ მომენტებში, — ბოლოს, რათა გატარდეს სამხედრო ცოდნისა და სამხედრო ოპერაციების ყოველმხრივი, სისტემატური, საყოველთაო სწავლება მოზრ-დილი მოსახლეობისათვის, განურჩევლად სქესისა.

ყრილობა რუსეთში გამარჯვებული სოციალისტური რევო-ლუციის განმტკიცების ყველაზე უფრო საიმედო გარანტიას ხედავს მხოლოდ მის საერთაშორისო მუშათა რევოლუციად გადაქცევაში.

ყრილობა დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო რევო-ლუციის ინტერესების თვალსაზრისით საბჭოთა ხელისუფლე-ბის მიერ გადადგმული ნაბიჯი, მსოფლიო ასპარეზზე ძალთა ახლანდელი თანაფარდობის დროს, გარდუვალი და აუცილე-ბელი იყო.

იმ რწმენით, რომ მუშათა რევოლუცია განუხრელად მწიფდება ყველა მეომარ ქვეყანაში, ამზადებს რა იმპერიალი-ზმის აუცილებელ და სრულ დამარცხებას, ყრილობა აცხადებს, რომ რუსეთის სოციალისტური პროლეტარიატი მთელი თავისი ძალებით და მის განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალებით მხარს დაუჭერს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ძმურ რევოლუციურ მოძრაობას.

პირველად დაიბეჭდა
1919 წ. 1 იანვარს
გაზეთ «კომუნარში» № 1

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით, რომელიც შედარებულია
ხელნაწერთან

4

გამოსვლები ტროცკის იმ შესწორებათა წინააღმდეგ, რომლებიც ეხება რეზოლუციას ომისა და ზავის შესახებ [45]

8 მარტს (დილით)

I

ამხანაგებო, ჩემს სიტყვაში მე უკვე ვთქვი, რომ არც მე და არც ჩემი მომხრეები არ ვთვლით შესაძლებლად ამ შესწორების მიღებას. ჩვენ არასგზით არც ერთ სტრატეგიულ მანევრში თავი არ უნდა შევიბოჭოთ. ყველაფერი დამოკიდებულია ძალთა თანაფარდობასა და ჩვენს წინააღმდეგ ამა თუ იმ იმპერიალისტური ქვეყნის შემოტევის მომენტზე, იმ მომენტზე, როცა ჩვენი არმიის უსათუოდ დაწყებული გამომთელება იქამდე მივა, რომ ჩვენ შეგვეძლება და ვალდებულიც ვიქნებით არა მარტო უარი ვთქვათ ზავის ხელისმოწერაზე, არამედ ომიც გამოვაცხადოთ. მე თანახმა ვარ, იმ შესწორებათა ნაცვლად, რომლებსაც ამხ. ტროცკი აყენებს, მივიღოთ შემდეგი:

პირველი, ითქვას, — და ამას მე აუცილებლად დავიცავ, — რომ ეს რეზოლუცია არ ქვეყნდება პრესაში, არამედ ცხადდება მხოლოდ ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

მეორე, პუბლიკაციის ფორმებსა და შინაარსში ც. კ-ს ეძლევა უფლება შეიტანოს ცვლილებანი იაპონელთა შესაძლებელ შემოტევასთან დაკავშირებით.

მესამე, ითქვას, რომ ყრილობა პარტიის ც. კ-ს აძლევს რწმუნებას — როგორც გააუქმოს ყველა საზავო ხელშეკრულება, ისე გამოუცხადოს ომი ყოველ იმპერიალისტურ სახელმწიფოს და მთელ მსოფლიოს, როცა პარტიის ც. კ. დაინახავს ამისთვის შესაფერ მომენტს.

ყოველ მომენტში ხელშეკრულებათა გაუქმების ეს რწმუნება ჩვენ უნდა მივცეთ ც. კ-ს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვაუქმებთ ახლავე, იმ მდგომარეობაში, რომელიც დღეს არსებობს. ამჟამად ჩვენ არაფრით არ უნდა შევიბოჭოთ თავი. იმ სიტყვებს, რომელთა შეტანას ითხოვს ამხ. ტროცკი, მიემხრობიან ისინი, ვინც წინააღმდეგია საზოგადოდ რატიფიკაციისა, ვინც ემხრობა საშუალო ხაზს, რომელიც ხელახლა ქმნის იმ მდგომარეობას, როცა ვერც ერთი მუშა, ვერც ერთი ჯარისკაცი ვერაფერს გაიგებს ჩვენს რეზოლუციაში.

ახლა ჩვენ დავადგენთ ხელშეკრულების რატიფიკაციის აუცილებლობას და ცენტრალურ კომიტეტს მივცემთ რწმუნებას გამოაცხადოს ომი ყოველ მომენტში, იმიტომ რომ ჩვენს წინააღმდეგ შემოტევა მზადდება, შეიძლება, სამი მხრიდან; ინგლისი ან საფრანგეთი მოისურვებენ წაგვართვან არხანგელსკი — ეს სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ არაფრით არ უნდა შევბოჭოთ ჩვენი ცენტრალური დაწესებულება არც საზავო ხელშეკრულების დარღვევისა და არც ომის გამოცხადების მხრივ. უკრაინელებს ჩვენ ვუწევთ ფინანსურ დახმარებას, ვეხმარებით, რითაც შეგვიძლია. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება თავი შევიბოჭოთ იმით, რომ ჩვენ არავითარ საზავო ხელშეკრულებას არ მოვაწერთ ხელს. იმ მზარდი ომების ეპოქაში, რომელნიც ერთიმეორეს სცვლიან, იზრდება ახალი კომბინაციები. საზავო ხელშეკრულება წარმოადგენს ერთ ცოცხალს მანევრირებას — ან ჩვენ ვდგავართ მიხვევ-მოხვევის ამ პირობაზე, ანდა წინდაწინვე ფორმალურად ვიბოჭავთ თავს ისე, რომ დაძვრა არ შეგვეძლება: არც შერიგება შეიძლება და არც ომის წარმოება.

II

მე, ვგონებ, ვთქვი: არა, ამის მიღება მე არ შემიძლია. ეს შესწორება ქმნის გადაკვრით თქმას, გამოხატავს იმას, რისი

თქმაც სურს ამხ. ტროცკის. გადაკვრით თქმა არ უნდა იყოს რეზოლუციაში.

პირველი პუნქტი ლაპარაკობს, რომ ჩვენ ვღებულობთ ხელშეკრულების რატიფიკაციას, რადგან აუცილებლად ვთვლით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ იმპერიალიზმის შემოტევის წინ ვისარგებლოთ შესვენების ყოველი, თუნდაც სულ მცირედი, შესაძლებლობით. როცა შესვენებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ შემოტევა ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ გრძელდება. აი ჩემი აზრი, რომელსაც მე ხაზი გავუსვი საბოლოო სიტყვაში.

5

გამოსვლა რადეკის იმ შესწორების წინააღმდეგ, რომელიც ეხება რეზოლუციას ომისა და ზავის შესახებ 8 მარტს (დილით)

მე მოკლებული ვარ შესაძლებლობას ვუპასუხო ახლა ამხ. რადეკის პოლემიკას, — რამდენადაც მე ხმას არ ვაძლევ, მე არა მაქვს ხმისმიცემის მოტივები. ჩვეულებრივი წესით მე პასუხის გაცემა არ შემიძლია, არ მინდა შევაჩერო ყრილობა თხოვნით, რომ სიტყვა მომეცეს ამ პოლემიკის საპასუხოდ. ამიტომ მოგაგონებთ მხოლოდ იმას, რაც ვთქვი საბოლოო სიტყვაში, ხოლო, მეორე, ვაცხადებ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ სიტყვა ხმისმიცემის მოტივების გამო გადაიქცეს პოლემიკად, რომელზედაც პასუხის გაცემა მე არ შემიძლია.

6

დამატება რეზოლუციისადმი ომისა და ზავის შესახებ

ყრილობა აუცილებლად თვლის არ გამოქვეყნდეს მიღებული რეზოლუცია და ავალებს პარტიის ყველა წევრს საიდუმლოდ დაიცვას ეს რეზოლუცია. პრესას ეძლევა მხოლოდ — ამასთან არა დღეს, არამედ ც. კ-ის მითითებით — ცნობა, რომ ყრილობა რატიფიკაციის მომხრეა.

გარდა ამისა, ყრილობა განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ც. კ-ს ეძლევა რწმუნება — ყოველ მომენტში დაარღვიოს ყველა საზავო ხელშეკრულება იმპერიალისტურ და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, აგრეთვე გამოუცხადოს მათ ომი.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

7

ზამოსვლა ზინოვიევის იმ შესწორების წინააღმდეგ, რომელიც ეხება დამატებას რეზოლუციისადმი ომისა და ზავის შესახებ

8 მარტს

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ის შესწორება, რომელიც ამხ. ზინოვიევს შემოაქვს, საჭირო არ არის [46]. მე იმედი მაქვს, რომ დარბაზში მხოლოდ პარტიის წევრები არიან, მე ვფიქრობ, რომ საკითხის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო შეიძლება მივიღოთ გადაწყვეტილება — პირადი ხელწერილი ჩამოერთვას თვითეულს ამ დარბაზში მყოფს.

ეს სულაც არაა ზედმეტი ზომა. ჩვენ ისეთ პირობებში ვიმყოფებით, როცა რუსეთის რესპუბლიკისათვის სამხედრო საიდუმლოებანი ხდება მეტად მნიშვნელოვან საკითხებად, ყველაზე არსებითად. თუ ჩვენ პრესაში ვიტყვით, რომ ყრილობამ მიიღო რატიფიკაცია, მაშინ გაუგებრობა აღარ შეიძლება იქნეს. მე მხოლოდ ვთხოულობ კენჭი არ ეყაროს ამას ახლავე იმიტომ, რომ შესაძლებელია ცვლილებები: დღეს კიდევ უნდა მოგვივიდეს ცნობები; ჩვენ მიღებული გვაქვს სპეციალური ზომები, რომ ინფორმაცია მოგვაწოდონ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან, — ამ ცნობებს შეუძლიათ ზოგი რამ შეცვალონ. რაკი ყრილობა დათანხმდება, რომ ჩვენ უნდა მივმართოთ მანევრირებას რევოლუციური ომის ინტერესებისათვის და ც. კ-ს ომის გამოცხადების რწმუნებასაც კი მისცემს, — აშკარაა, რომ ამაში ჩვენი პარტიის ორივე ნაწილი თანახმაა, დავა იყო მხოლოდ იმაში, განვაგრძოთ ომი ყოველგვარი შესვენების გარეშე თუ არა. მე მგონია, რომ, როცა ასეთი შესწორება შემომაქვს, მე ვამბობ

უდავო რამეს უმრავლესობისა და ოპოზიციისათვის; ვფიქრობ, რომ სხვანაირი განმარტება შეუძლებელია. მე უფრო პრაქტიკულად მიმაჩნია დავადასტუროთ მხოლოდ, რომ იგი საიდუმლოდ უნდა დავიცვათ. გარდა ამისა, მივიღოთ დამატებითი ზომები და ამის შესახებ პირადი ხელწერილი ჩამოვართვათ თვითეულს დარბაზში მყოფს.

8

წინადადება ომისა და ზავის შესახებ შეტანილი რეზოლუციის გამო

8 მარტს

I

იმის გამო, რომ რეზოლუცია დარიგდა, ხომ არ შეიძლება ახლავე იქნას მიღებული გადაწყვეტილება, რომ ყველამ, ვინც კი მიიღო რეზოლუცია, მოიტანოს იგი ამ მაგიდაზე დაუყოვნებლივ და აქვე. ეს არის სამხედრო საიდუმლოების დაცვის ერთი ღონისძიებათაგანი.

II

მე გთხოვთ კენჭი ვუყაროთ. ჩვენი პარტიული ცენტრები შედგება მოზრდილი ადამიანებისაგან, რომელნიც გაიგებენ, რომ სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობები სიტყვიერად უნდა იქნას შეტყობინებული. ამიტომ მე მტკიცედ მოვითხოვ, რომ რეზოლუციების ყველა ტექსტი, რომელიც კი ხელთა აქვთ, დაუყოვნებლივ დასდონ აქ ამ მაგიდაზე.

9

მოხსენება პარტიის პროგრამის გადასინჯვისა[47] და სახელწოდების შეცვლის შესახებ[48] 8 მარტს (საღამოს)

ამხანაგებო, პარტიის სახელწოდების შეცვლის საკითხზე, როგორც იცით, 1917 წლის აპრილიდან პარტიაში გაიშალა საკმაოდ ფართო დისკუსია, და ამიტომ ცენტრალურ კომიტეტში ერთბაშად მოხერხდა მიგვეღწია ისეთი გადაწყვეტილებისათვის, რომელიც, მგონი, დიდ დავას და, შეიძლება, თითქმის არავითარ დავას არ იწვევს. სახელდობრ, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას გაძლევთ ჩვენი პარტიის სახელწოდება შეიცვალოს და ეწოდოს მას რუსეთის კომუნისტური პარტია, ფრჩხილებში — ბოლშევიკებისა. ეს დამატება ჩვენ ყველას აუცილებლად მიგვაჩნია, იმიტომ რომ სიტყვამ «ბოლშევიკი» მოქალაქობრივი უფლება მოიპოვა არა მარტო რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ აგრეთვე მთელ საზღვარგარეთულ პრესაში, რომელიც თვალყურს ადევნებს ზოგად ხაზებში მოვლენათა განვითარებას რუსეთში. სახელწოდება «სოციალ-დემოკრატიული პარტია» მეცნიერულად რომ სწორი არაა, ეს აგრეთვე უკვე განმარტებული იყო ჩვენს პრესაში. როცა მუშებმა შექმნეს საკუთარი სახელმწიფო, ისინი იქამდე მივიდნენ, რომ ძველი ცნება დემოკრატიზმისა, — ბურჟუაზიული დემოკრატიზმისა, — დრომოჭმული აღმოჩნდა ჩვენი რევოლუციის განვითარების პროცესში. ჩვენ მივედით დემოკრატიის ისეთ ტიპამდე, რომელიც დასავლეთ ევროპაში არსად არ არსებულა. მას თავისი პირველსახე ჰქონდა მხოლოდ პარიზის კომუნაში, ხოლო პარიზის კომუნაზე ენგელსი ამბობდა, კომუნა არ იყო სახელმწიფო ამ სიტყვის

საკუთარი მნიშვნელობითო[49]. ერთი სიტყვით, რამდენადაც თვით მშრომელი მასები კიდებენ ხელს სახელმწიფოს მართვისა და იმ შეიარაღებული ძალის შექმნის საქმეს, რომელიც იცავს არსებულ სახელმწიფოებრივ წესრიგს, იმდენად ქრება განსაკუთრებული აპარატი მმართველობისათვის, ქრება განსაკუთრებული აპარატი განსაზღვრული სახელმწიფოებრივი ძალდატანებისათვის, და იმდენად, მაშასადამე, ჩვენ არ შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ დემოკრატიას მისი ძველი ფორმით.

მეორე მხრით, როცა ვიწყებთ სოციალისტურ გარდაქმნებს, ნათლად უნდა დავისახოთ ჩვენს წინაშე მიზანი, რომლისკენაც, ბოლოს და ბოლოს, მიმართულია ეს გარდაქმნანი, სახელდობრ მიზანი კომუნისტური საზოგადოების შექმნისა, რომელიც არ სჯერდება მხოლოდ ფაბრიკების, ქარხნების, მიწისა და წარმოების საშუალებათა ექსპროპრიაციას, არ სჯერდება პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მხოლოდ მტკიცე აღრიცხვას და კონტროლს, არამედ მიდის უფრო შორს, რათა განახორციელოს პრინციპი: თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით. აი რატომ არის სახელწოდება კომუნისტური პარტია ერთადერთი მეცნიერულად სწორი. საწინააღმდეგო აზრი, რომ მას შეუძლია წარმოშვას საბაბი ანარქისტებთან ჩვენი არევისათვის, მაშინვე იქნა უარყოფილი ცენტრალურ კომიტეტში, რადგან ანარქისტები არასოდეს არ უწოდებენ თავიანთ თავს მხოლოდ კომუნისტებს, არამედ ერთგვარი დამატებით. ამ მხრივ არსებობენ სოციალიზმის ყოველგვარი სახესხვაობანი, მაგრამ ეს არ იწვევს სოციალ-დემოკრატების არევას სოციალ-რეფორმისტებსა და ნაციონალურ სოციალისტებში და სხვა ამგვარ პარტიებში.

მეორე მხრით, უმნიშვნელოვანეს მოსაზრებას პარტიის სახელწოდების შეცვლისათვის წარმოადგენს ის, რომ ძველი ოფიციალური სოციალისტური პარტიები ევროპის ყველა მოწინავე ქვეყანაში დღემდე ვერ განთავისუფლდნენ სოციალ-შოვინიზმისა და სოციალ-პატრიოტიზმის იმ გამაბრუებელი შხამისაგან, რომელმაც გამოიწვია ოფიციალური ევროპული

სოციალიზმის სრული კრახი ახლანდელი ომის დროს, — ასე რომ დღემდე თითქმის ყველა ოფიციალური სოციალისტური პარტია წარმოადგენდა მუშათა რევოლუციური სოციალისტური მოძრაობის ნამდვილ მუხრუჭს, მის ნამდვილ დაბრკოლებას. და ჩვენი პარტია, რომლისადმი სიმპათიები ყველა ქვეყნის მშრომელთა მასებში ამჟამად უეჭველად მეტად დიდია, — ჩვენი პარტია ვალდებულია გამოვიდეს რაც შეიძლება უფრო გადამჭრელი, მკვეთრი, ნათელი, არაორაზროვანი განცხადებით იმის შესახებ, რომ ის წყვეტს თავის კავშირს ამ ძველ ოფიციალურ სოციალიზმთან, და ამისათვის პარტიის სახელწოდების შეცვლა იქნება საშუალება, რომლითაც ყველაზე უფრო მივაღწევთ მიზანს.

შემდეგ, ამხანაგებო, გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა პროგრამის თეორიული ნაწილის, მისი პრაქტიკული და პოლიტიკური ნაწილის საკითხი. რაც შეეხება პროგრამის თეორიულ ნაწილს, ჩვენ გვაქვს ზოგიერთი მასალა, სახელდობრ, გამოიცა მოსკოვის და პეტერბურგის კრებულები პარტიული პროგრამის გადასინჯვის შესახებ [50]; ჩვენი პარტიის ორ მთავარ თეორიულ ორგანოში: «პროსვეშჩენიეში» [51], რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა, და «სპარტაკში» [52], რომელიც მოსკოვში გამოდიოდა, მოთავსებული იყო სტატიები, რომელნიც ასაბუთებდნენ ჩვენი პარტიის პროგრამის თეორიული ნაწილის ცვლილების ამა თუ იმ მიმართულებას. ამ მხრივ ერთგვარი მასალა გვაქვს. დასახული იყო ორი ძირითადი თვალსაზრისი, რომლებიც, ჩემი შეხედულებით, არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ყოველ შემთხვევაში ძირეულად, პრინციპულად; ერთი თვალსაზრისი, რომელსაც მე ვიცავდი, იმაში მდგომარეობს, რომ საფუძველი არა გვაქვს ამოვაგდოთ ჩვენი პროგრამის ძველი თეორიული ნაწილი, და ეს სწორიც არ იქნებოდა. საჭიროა მხოლოდ მას დავუმატოთ დახასიათება იმპერიალიზმისა, როგორც კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხურისა, და შემდეგ — სოციალისტური რევოლუციის ხანის დახასიათება, გამომდინარე იქიდან, რომ სოციალისტური რევოლუციის ეს ხანა დაიწყო. როგორიც უნდა

იყოს ჩვენი რევოლუციის, საერთაშორისო პროლეტარული არმიის ჩვენი რაზმის ბედი, როგორიც უნდა იყოს რევოლუციის შემდგომი პერიპეტიები, ყოველ შემთხვევაში, ობიექტური მდგომარეობა იმპერიალისტური ქვეყნებისა, რომელნიც ამ ომში ჩაებნენ, რომლებმაც ყველაზე მოწინავე ქვეყნები მიიყვანეს შიმშილობამდე, გაპარტახებამდე და გაველურებამდე, — მდგომარეობა ობიექტურად გამოუვალია. და აქ უნდა ვთქვათ ის, რასაც ოცდაათი წლის წინათ, 1887 წელს, ამბობდა ფრიდრიხ ენგელსი, როცა აფასებდა ევროპის ომის მოსალოდნელ პერსპექტივას. ის ამბობდა იმის შესახებ, თუ როგორ დუჟინობით ეყრება გვირგვინები ევროპაში, და არავინ მოისურვებს მათ აღებას, ის ამბობდა იმის შესახებ, თუ როგორი წარმოუდგენელი ნგრევა გახდება ევროპის ქვეყნების ბედი, და ევროპის ომის საშინელებათა საბოლოო შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი რამ — მან ეს ასე გამოთქვა: «ან მუშათა კლასის გამარჯვება, ან ისეთი პირობების შექმნა, რომელნიც ამ გამარჯვებას შესაძლებელსა და აუცილებელს გახდიან» [53]. ამის შესახებ ენგელსი უაღრესად ზუსტად და ფრთხილად ლაპარაკობდა. იმ ადამიანთაგან განსხვავებით, რომელნიც ამახინჯებენ მარქსიზმს, რომელნიც გვაწვდიან თავიანთ მოძველებულ ცრუ-სიბრძნეს და ამტკიცებენ, რომ ნგრევის ნიადაგზე შეუძლებელია სოციალიზმი, ენგელსს ხაუცხოოდ ესმოდა, რომ ყოველგვარი ომი, ყოველ მოწინავე საზოგადოებაშიც კი, შექმნის არა მარტო ნგრევას, გაველურებას, ტანჯვას, უბედურებას მასებში, რომელნიც სისხლში ჩაიხრჩობიან, რომ არ შეიძლება იმის თავდებობა, რომ ეს გამოიწვევს სოციალიზმის გამარჯვებას, იგი ამბობდა, რომ ეს იქნება: «ან მუშათა კლასის გამარჯვება, ან ისეთი პირობების შექმნა, რომელნიც ამ გამარჯვებას შესაძლებელსა და აუცილებელს გახდიან»; ესე იგი აქ, მაშასადამე, შესაძლოა კიდევ მთელი რიგი მძიმე გარდამავალი საფეხურები კულტურისა და საწარმოო საშუალებათა უდიდესი ნგრევის პირობებში, მაგრამ შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ მშრომელთა მასების ავანგარდის, მუშათა კლასის აღმავლობა და იმაზე გადასვლა, რომ

მან ხელში აიღოს ძალაუფლება სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად. ვინაიდან როგორიც უნდა იყოს კულტურის ნგრევა, — მისი ამოშლა ისტორიული ცხოვრებიდან არ შეიძლება, მისი აღდგენა ძნელი იქნება, მაგრამ არასოდეს არავითარი ნგრევა არ მიგვიყვანს იქამდე, რომ ეს კულტურა სავსებით გაქრეს. თავის ამა თუ იმ ნაწილში, ამა თუ იმ მატერიალურ ნაშთებში ამ კულტურის მოსპობა შეუძლებელია, სიძნელენი იქნება მხოლოდ მის განახლებაში. ამგვარად, აი ერთი თვალსაზრისი, რომ ჩვენ უნდა დავტოვოთ ძველი პროგრამა და დავუმატოთ მას იმპერიალიზმის და სოციალური რევოლუციის დასაწყისის დახასიათება.

ეს თვალსაზრისი მე გამოვთქვი პროგრამის პროექტში, რომელიც დავბეჭდე *. მეორე პროექტი დაბეჭდა ამხ. სოკოლნიკოვმა მოსკოვის კრებულში. მეორე თვალსაზრისი გამოთქმული იყო ჩვენს საუბრებში, კერძოდ — ამხ. ბუხარინის მიერ, პრესაში — ამხ. ვ. სმირნოვის მიერ მოსკოვის კრებულში. ეს თვალსაზრისი მდგომარეობდა იმაში, რომ ან სავსებით უნდა ამოვშალოთ, ან თითქმის ამოვაგდოთ პროგრამის ძველი თეორიული ნაწილი და შევცვალოთ ახალი ნაწილით, რომელიც სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის განვითარების ისტორიას კი არ ახასიათებს, როგორც ეს იყო ჩვენს პროგრამაში, არამედ კაპიტალიზმის უმაღლესი განვითარების თანამედროვე სტადიას — იმპერიალიზმს — და უშუალო გადასვლას სოციალური რევოლუციის ერაში. მე არ ვფიქრობ, რომ ეს ორი თვალსაზრისი ძირფესვიანად და პრინციპულად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, მაგრამ მე დავიცავ ჩემს თვალსაზრისს. მე მგონია, რომ თეორიულად სწორი არ იქნება ამოვშალოთ ძველი პროგრამა, რომელიც ახასიათებს განვითარებას სასაქონლო წარმოებიდან კაპიტალიზმამდე. არასწორი მასში არაფერია. ასე მიდიოდა საქმე, ასე მიდის იგი, ვინაიდან სასაქონლო წარმოებამ წარმოშვა კაპიტალიზმი, ხოლო მან მიგვიყვანა იმპერიალიზმამდე. ეს არის საერთო მსოფლიო-ისტორიული პერსპექტივა, და

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 24, გვ. 553 — 559. რ ე დ.

სოციალიზმის საფუძვლები არ უნდა დავივიწყოთ. როგორიც უნდა იყოს ბრძოლის შემდგომი პერიპეტიები, რაოდენ მრავალი ქერძო ზიგზაგის დაძლევაც უნდა მოგვიხდეს (ისინი კი ძალიან ბევრი იქნება, — ჩვენ გამოცდილებით ვხედავთ, რა გიგანტურ ტეხილებს აკეთებს რევოლუციის ისტორია, და ჯერ მხოლოდ ჩვენში; საქმე გაცილებით უფრო გართულდება და აჩქარდება, განვითარების ტემპი უფრო გააფთრებული იქნება, და ხვეულებიც უფრო რთული იქნება, როცა რევოლუცია ევროპის რევოლუციად იქცევა), — იმისათვის, რომ ისტორიის ამ ზიგზაგებში, ტეხილებში არ დავიბნეთ და შევინარჩუნოთ საერთო პერსპექტივა, რომ დავინახოთ წითელი ზოლი, რომელიც აკავშირებს კაპიტალიზმის მთელ განვითარებას და მთელ გზას სოციალიზმისაკენ, გზას, რომელიც ჩვენ, ბუნებრივია, წარმოდგენილი გვაქვს როგორც სწორი, და ჩვენ იგი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სწორი, რათა დავინახოთ დასაწყისი, გაგრძელება და ბოლო, — ცხოვრებაში იგი არასოდეს სწორი არ იქნება, იგი არაჩვეულებრივად რთული იქნება, — რომ არ დავიბნეთ ამ ტეხილებში, რომ უკან გადადგმული ნაბიჯების, უკანდახევის, დროებითი დამარცხებების პერიოდებში, ან როცა ისტორია თუ მტერი გადაგვისვრის უკან, რომ არ დავიბნეთ, ჩემი აზრით, მნიშვნელობა აქვს და თეორიულად ერთადერთი სწორი იქნება, ჩვენი ძველი ძირითადი პროგრამა არ გადავაგდოთ. ვინაიდან ახლა ჩვენ ჩვენში, რუსეთში, ვიმყოფებით მხოლოდ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პირველ საფეხურზე. ისტორიამ ჩვენ არ მოგვცა ის მშვიდობიანი ვითარება, რომელიც თეორიულად განსაზღვრული დროისათვის წარმოდგენილი გვქონდა და რომელიც ჩვენთვის სასურველია, რომელიც საშუალებას მოგვცემდა სწრაფად გაგვევლო ეს გარდამავალი საფეხურები. ჩვენ ერთბაშად ვხედავთ, თუ რარიგ მრავალი სიძნელე გამოიწვია სამოქალაქო ომმა რუსეთში, და როგორ ეხლართება ეს სამოქალაქო ომი მთელ რიგ ომებს. მარქსისტები არასოდეს არ ივიწყებდნენ, — რომ ძალდატანება აუცილებლად იქნება თანამგზავრი კაპიტალიზმის კრახისა მთელი მისი მასშტაბით და

სოციალისტური საზოგადოების დაბადებისა. და ეს ძალდატანება იქნება მსოფლიო-ისტორიული პერიოდი, მთელი ერა სულ სხვადასხვაგვარი ომებისა — იმპერიალისტური ომებისა, სამოქალაქო ომებისა ქვეყნის შიგნით, მათი ერთმანეთთან გადახლართვისა, ნაციონალური ომებისა, იმ ეროვნებათა განთავისუფლებისა, რომლებიც გასრესილი არიან იმპერიალისტების მიერ, გასრესილი არიან იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სხვადასხვაგვარი კომბინაციებით, რომელნიც აუცილებლად შვდიან ამა თუ იმ კავშირში უდიდესი სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური და სამხედრო ტრესტებისა და სინდიკატების ეპოქაში. ეს ეპოქა — ეპოქა უდიდესი კრახებისა, მასობრივი სამხედრო ძალდატანებითი გადაწყვეტილებებისა, კრიზისებისა — იგი დაიწყო, ჩვენ მას ნათლად ვხედავთ, — ეს მხოლოდ დასაწყისია. ამიტომ ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ამოვაგდოთ პროგრამიდან ყოველივე ის, რაც შეეხება საზოგადოდ სასაქონლო წარმოების, საზოგადოდ კაპიტალიზმის დახასიათებას. ჩვენ ეს-ეს არის პირველი ნაბიჯები გადავდგით, რათა კაპიტალიზმი საკუთარ ჩამოვიბერტყოთ და დავიწყოთ სოციალიზმში გადასვლა. რამდენი იქნება კიდევ გარდამავალი ეტაპი სოციალიზმისაკენ, ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის დაიწყება ნამდვილი მასშტაბით ევროპის სოციალისტური რევოლუცია, იმაზე, თუ რამდენად ადვილად, სწრაფად ან ნელა გაუსწორდება იგი თავის მტრებს და დაადგება სოციალისტური განვითარების გაშლილ გზას. ეს ჩვენ არ ვიცით, მარქსისტული პარტიის პროგრამა კი უნდა გამოდიოდეს აბსოლუტურად ზუსტად დადგენილი ფაქტებიდან. მხოლოდ ამაშია ძალა ჩვენი პროგრამისა, რომელიც დაადასტურა რევოლუციის ყველა პერიპეტიამ. მხოლოდ ამ ბაზისზე უნდა ააგონ მარქსისტებმა თავიანთი პროგრამა. ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ აბსოლუტურად ზუსტად დადგენილი ფაქტებიდან, რომლებიც იმაში მდგომარეობს, რომ გაცვლა-გამოცვლისა და სასაქონლო წარმოების განვითარება მთელ მსოფლიოში გახდა უმთავრესი ისტორიული მოვლენა, მან მიგვიყვანა კაპიტალიზმამდე, ხოლო კაპიტალი-

ზმი გადაიზარდა იმპერიალიზმში, — ეს აბსოლუტურად ურყევი ფაქტია, ეს უპირველეს ყოვლისა უნდა დადგენილ იქნას პროგრამაში. ეს იმპერიალიზმი რომ სოციალური რევოლუციის ერას იწყებს,— ესეც ფაქტია, რომელიც ჩვენთვის ცხადია, რომლის შესახებაც ჩვენ უნდა ვთქვათ მთელი მსოფლიოს წინაშე; ამ ფაქტის აღნიშვნით ჩვენს პროგრამაში, სოციალური რევოლუციის ჩირაღდანს ჩვენ ვწევთ მაღლა არა მარტო საგიტაციო სიტყვის აზრით, — ვწევთ მას მაღლა, როგორც ახალ პროგრამას, ვეუბნებით რა დასავლეთ ევროპის ყველა ხალხს: «აი ის, რაც ჩვენ თქვენთან ერთად გამოვიტანეთ კაპიტალისტური განვითარების გამოცდილებიდან. აი როგორი იყო კაპიტალიზმი, აი როგორ მივიდა ის იმპერიალიზმამდე, და აი ის ერა სოციალური რევოლუციისა, რომელიც იწყება და რომელშიც პირველი როლი დროის მიხედვით ჩვენ გვხვდა წილად». ჩვენ ყველა ცივილიზებული ქვეყნის წინაშე გამოვალთ ამ მანიფესტით, რომელიც არ იქნება მხოლოდ მხურვალე მოწოდება, რომელიც იქნება აბსოლუტურად ზუსტად დასაბუთებული, გამომდინარე ყველა სოციალისტური პარტიის მიერ აღიარებული ფაქტებიდან. მით უფრო ნათელი იქნება წინააღმდეგობა ახლა სოციალიზმის მოღალატე ამ პარტიების ტაქტიკასა და იმ თეორიულ წანამძღვრებს შორის, რომლებსაც ჩვენ ყველანი ვიზიარებთ, რომელნიც შეისისხლხორცა ყოველმა შეგნებულმა მუშამ: კაპიტალიზმის განვითარება და მისი გადასვლა იმპერიალიზმში. იმპერიალისტური ომების წინ ხემნიცსა და ბაზელში შემდგარმა ყრილობებმა თავიანთ რეზოლუციებში მოგვცეს იმპერიალიზმის ისეთი დახასიათება, რომ ამ დახასიათებასა და სოციალ-გამცემელთა ახლანდელ ტაქტიკას შორის აღმაშფოთებელი წინააღმდეგობაა[54]. ამიტომ ჩვენ უნდა გავიმეოროთ ეს ძირითადი, რათა დასავლეთ ევროპის მშრომელ მასებს მით უფრო ნათლად ვუჩვენოთ, თუ რაში სდებენ ბრალს მათ ხელმძღვანელებს.

აი ის ძირითადი, რის მიხედვითაც პროგრამის ასეთი აგება მე მიმაჩნია თეორიულად ერთადერთ სწორ აგებად. სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის დახასიათების, როგორც

თითქოს ძველი ნაგავის, უკუგდება არ გამომდინარეობს იმის ისტორიული ხასიათიდან, რაც ხდება, ვინაიდან ჩვენ არ გავ-ცილებივართ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პირ-ველ საფეხურებს, და ჩვენს გადასვლას ართულებენ რუსეთის ისეთი თავისებურებანი, რომლებიც ცივილიზებული ქვეყნე-ბის უმრავლესობაში არ არის. მაშასადამე, არა მარტო შესაძ-ლოა, არამედ აუცილებელიცაა, რომ ევროპაში ეს გარდამავა-ლი სტადიები სხვაგვარი იქნება; ამიტომ მთელი ყურადღების მიქცევა იმ ნაციონალურ სპეციფიკურ გარდამავალ საფეხუ-რებზე, რომლებიც ჩვენთვის აუცილებელია, ევროპაში კი შეიძ-ლება არ გახდეს აუცილებელი, ეს თეორიულად სწორი არ იქნება. ჩვენ უნდა დავიწყოთ სასაქონლო წარმოების განვითა-რების, კაპიტალიზმზე გადასვლის და კაპიტალიზმის იმპერია-ლიზმად გადაგვარების საერთო ბაზიდან. ამით ჩვენ თეორიუ-ლად ვიკავებთ, ვამტკიცებთ პოზიციას, რომლიდანაც ჩვენ ვე-რავინ, ვისაც არ უღალატნია სოციალიზმისთვის, ვერ გადა-გვაგდებს. აქედან გამომდინარეობს ასევე აუცილებელი დასკვნა: სოციალური რევოლუციის ერა იწყება.

ამას ჩვენ ვაკეთებთ, ვრჩებით რა ურყევად დადგენილი ფაქტების ნიადაგზე.

შემდეგ, ჩვენს ამოცანას შეადგენს სახელმწიფოს საბჭოთა ტიპის დახასიათება. მე შევეცადე ამ საკითხზე გადმომეცა თეორიული შეხედულებანი წიგნში «სახელმწიფო და რევო-ლუცია» *. მე მგონია, რომ მარქსისტული შეხედულება სახელ-მწიფოზე უაღრესად იყო დამახინჯებული დასავლეთ ევროპის გაბატონებული ოფიციალური სოციალიზმის მიერ, რაც მეტად თვალსაჩინოდ დამტკიცდა საბჭოთა რევოლუციისა და რუსეთ-ში საბჭოების შექმნის გამოცდილებით. ჩვენს საბჭოებში ჯერ კიდევ ბევრია უხეში, მოუთავებელი, — ეს ყოველ ეჭვს გარე-შეა, ეს ცხადია ყველასათვის, ვინც თვალყურს ადევნებდა მათ მუშაობას; მაგრამ რაც მათში მნიშვნელოვანია, რასაც ისტო-რიული ღირებულება აქვს, რაც წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს სოციალიზმის მსოფლიო განვითარებაში, — ეს არის ის,

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 25, გვ. 465 — 615. რ ე დ.

რომ აქ შექმნილია სახელმწიფოს ახალი ტიპი. პარიზის კომუნაში ეს იყო რამდენიმე კვირით, ერთ ქალაქში, და იმის შეუგნებლად, თუ რას აკეთებდნენ. კომუნა არ ესმოდათ იმათ, ვინც მას ქმნიდა, ისინი ქმნიდნენ გამოფხიზლებული მასების გენიალური ალღოს მეოხებით, და საფრანგეთის სოციალისტების არც ერთ ფრაქციას შეგნებული არ ჰქონდა, თუ რას აკეთებდა იგი. ჩვენ ისეთ პირობებში ვიმყოფებით, როცა, იმის მეოხებით, რომ თვალწინ გვაქვს პარიზის კომუნის და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მრავალი წლის განვითარების გამოცდილება, შეგვიძლია ნათლად დავინახოთ, რას ვაკეთებთ, როცა ვქმნით საბჭოთა ხელისუფლებას. მიუხედავად მთელი იმ უხეშობისა, უდისციპლინობისა, რასაც ადგილი აქვს საბჭოებში, რაც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის წვრილბურჟუაზიული ხასიათის ნაშთს, — მიუხედავად ყოველივე ამისა, ხალხის მასებმა შექმნეს სახელმწიფოს ახალი ტიპი. იგი გამოყენებულია არა კვირაობით, არამედ თვეობით, არა ერთ ქალაქში, არამედ უზარმაზარ ქვეყანაში, რამდენიმე ერში. საბჭოთა ხელისუფლების ამ ტიპმა თავი გამოიჩინა, თუ კი ის შეიჭრა ესოდენ ყოველმხრივ განსხვავებულ ქვეყანაში, როგორიცაა ფინეთი, სადაც საბჭოები არ არის, მაგრამ ხელისუფლების ტიპი ასევე ახალი, პროლეტარულია. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ თეორიულად უდავოა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის სახელმწიფოს ახალი ტიპი, უბიუროკრატიოდ, უპოლიციოდ, მუდმივი არმიის გარეშე, როცა ბურჟუაზიული დემოკრატიზმი შეცვლილია ახალი დემოკრატიით, — დემოკრატიით, რომელიც აწინაურებს მშრომელი მასების ავანგარდს, ხდის მათ კანონმდებლადაც, აღმასრულებლადაც, სამხედრო დამცველადაც და ქმნის აპარატს, რომელსაც შეუძლია ხელახლა აღზარდოს მასები.

რუსეთში ეს მხოლოდ ახლახან დაწყებულია, და დაწყებულია ცუდად. თუ შეგნებული გვაქვს, რაა ცუდი იმაში, რაც ჩვენ დავიწყეთ, ამას დავძლევთ, თუ ისტორია საშუალებას მოგვცემს ამ საბჭოთა ხელისუფლებაზე ვიმუშაოთ რამდენადმე საკმაო დროის განმავლობაში. ამიტომ მე მგონია, სახელმწიფოს

ახალი ტიპის დახასიათებამ თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს ჩვენს პროგრამაში. სამწუხაროდ, პროგრამაზე მუშაობა ახლა ჩვენ მოგვიხდა მთავრობის მუშაობის პირობებში, ისეთი წარმოუდგენელი სიჩქარის პირობებში, რომ ვერ მოვახერხეთ ჩვენი კომისიის მოწვევაც კი, პროგრამის ოფიციალური პროექტის შემუშავება. იმას, რაც დაურიგდა ამხანაგ დელეგატებს, ეწოდება მხოლოდ შავად დაწერილი მონასახი *, და ამას ყველა ნათლად დაინახავს. საბჭოთა ხელისუფლების საკითხს მასში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი, და მე მგონია, რომ აქ უნდა გამოიხატოს ჩვენი პროგრამის საერთაშორისო მნიშვნელობა. მე მგონია, მეტად დიდი შეცდომა იქნებოდა, ჩვენი რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა რომ მოწოდებებით, ლოზუნგებით, დემონსტრაციებით, მიმართვებით და სხვ. შეგვეზღუდა. ეს ცოტაა. ჩვენ კონკრეტულად უნდა ვუჩვენოთ ევროპის მუშებს, რას მოვკიდეთ ხელი, როგორ მოვკიდეთ ხელი, როგორ უნდა გვესმოდეს ეს; ეს კი კონკრეტულად უბიძგებს მათ საკითხისაკენ: როგორ მივაღწიოთ სოციალიზმს. აქ მათ უნდა შეხედონ: რუსები კარგ ამოცანას კიდებენ ხელს, და თუ ცუდად კიდებენ ხელს, ჩვენ ამას უკეთ გავაკეთებთ. ამისათვის რაც შეიძლება მეტი კონკრეტული მასალა უნდა მივცეთ და ვუთხრათ, თუ რა ახალის შექმნას შევეცადეთ. საბჭოთა ხელისუფლებაში ჩვენ გვაქვს სახელმწიფოს ახალი ტიპი; შევეცადოთ მოვსახოთ მისი ამოცანები, კონსტრუქცია, შევეცადოთ ავხსნათ, რატომაა ეს დემოკრატიის ახალი ტიპი, რომელშიც ასე ბევრი რამ არის ქაოსური, შეუსაბამო, რა შეადგენს მასში ცოცხალ სულს — ძალაუფლების გადასვლა მშრომელთა ხელში, ექსპლოატაციის, დათრგუნვის აპარატის მოსპობა. სახელმწიფო არის დათრგუნვის აპარატი. უნდა დავთრგუნოთ ექსპლოატატორები, მაგრამ მათი დათრგუნვა არ შეიძლება პოლიციით, მათი დათრგუნვა შეუძლია მხოლოდ თვით მასას; აპარატი დაკავშირებული უნდა იყოს მასებთან, იგი უნდა წარმოადგენდეს მასებს ისე, როგორც საბჭოები. საბჭოები გაცილებით უფრო

* იხ. ეს ტომი, გვ. 166 — 173. რ ე დ.

ახლო არიან მასებთან, ისინი გვაძლევენ საშუალებას უფრო ახლო ვიდგეთ მასასთან, ისინი გვაძლევენ მეტ საშუალებას აღვზარდოთ ეს მასა. ჩვენ მშვენივრად ვიცით — რუსი გლეხი იქითკენ მიისწრაფვის, რომ ისწავლოს, მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ მან ისწავლოს არა წიგნებით, არამედ საკუთარი გამოცდილებით. საბჭოთა ხელისუფლება არის აპარატი — აპარატი იმისათვის, რომ მასამ დაუყოვნებლივ დაიწყოს სახელმწიფოს მართვისა და წარმოების საერთო-ნაციონალური მასშტაბით ორგანიზაციის სწავლა. ეს მეტისმეტად ძნელი ამოცანაა. მაგრამ ისტორიულად მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ ხელს ვკიდებთ მის გადაწყვეტას, და გადაწყვეტას არა მარტო მხოლოდ ჩვენი ქვეყნის თვალსაზრისით, არამედ მოვუწოდებთ აგრეთვე დასახმარებლად ევროპის მუშებს. ჩვენ კონკრეტულად უნდა განვმარტოთ ჩვენი პროგრამა სწორედ ამ საერთო თვალსაზრისით. აი რატომ ვთვლით ჩვენ, რომ ეს არის პარიზის კომუნის გზის გაგრძელება. აი რატომ ვართ ჩვენ დარწმუნებულნი, რომ ამ გზაზე დადგომით ევროპელი მუშები შეძლებენ დაგვეხმარონ. ისინი უკეთ გააკეთებენ იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ამასთან სიმძიმის ცენტრი ფორმალური თვალსაზრისით გადადის კონკრეტულ პირობებზე. თუ ძველ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ისეთი მოთხოვნა, როგორიცაა კრებების უფლების გარანტია, ჩვენი თვალსაზრისი კრებების უფლებაზე იმაში მდგომარეობს, რომ ახლა არავის არ შეუძლია ხელი შეუშალოს კრებებს, და საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მხოლოდ დარბაზი კრებებისათვის. ბურჟუაზიისათვის მნიშვნელობა აქვს მაღალფარდოვანი პრინციპების საქვეყნოდ გამოცხადებას: «ყველა მოქალაქეებს აქვთ უფლება შეიკრიბონ, მაგრამ შეიკრიბონ ღია ცის ქვეშ—შენობებს ჩვენ არ მოგცემთო». ჩვენ კი ვამბობთ: «ნაკლები ფრაზები და მეტი არსებითი საქმე». საჭიროა სასახლეების,—და არა მარტო თავრიდის, არამედ სხვა მრავალის,—ჩამორთმევა, ხოლო კრებების უფლებაზე გაჩუმებული ვართ. და ეს უნდა გავავრცელოთ დემოკრატიული პროგრამის ყველა დანარჩენ პუნქტზე. ჩვენ თვითონ უნდა

განვსაჯოთ. მოქალაქეებმა ყველამ უკლებლივ უნდა მიიღონ მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სასამართლოსა და მართვა-გამგეობაში. და ჩვენთვის მნიშვნელოვანია უკლებლივ ყველა მშრომელის ჩაბმა სახელმწიფოს მართვაში. ეს მეტისმეტად ძნელი ამოცანაა. მაგრამ სოციალიზმის შემოღება არ შეუძლია უმცირესობას — პარტიას. მისი შემოღება შეუძლიათ ათეულ მილიონებს, როცა ისინი ისწავლიან თვითონ აკეთონ ეს საქმე. ჩვენს დამსახურებას ვხედავთ იმაში, რომ ვესწრაფვით დავეხმაროთ მასას დაუყოვნებლივ მოკიდოს ხელი ამას თვითონ, და არა წიგნებით და ლექციებით ისწავლოს იგი. აი ამიტომ, თუ ჩვენს ამ ამოცანებს კონკრეტულად და ნათლად გამოვთქვამთ, ჩვენ ვუბიძგებთ ევროპის მთელ მასებს, რათა განიხილონ ეს საკითხი და პრაქტიკულად დააყენონ იგი. ჩვენ, შეიძლება, ცუდად ვაკეთებთ იმას, რაც აუცილებლად უნდა გაკეთდეს, მაგრამ ჩვენ მასებს ვუბიძგებთ იმისაკენ, რაც მათ უნდა გააკეთონ. თუ ის, რასაც ჩვენი რევოლუცია აკეთებს, შემთხვევითი არ არის,—ამაში კი ღრმად ვართ დარწმუნებულნი, — ჩვენი პარტიის გადაწყვეტილების ნაყოფი კი არ არის, არამედ აუცილებელი პროდუქტია ყოველი რევოლუციისა, რომელსაც მარქსმა უწოდა სახალხო, ე. ი. ისეთი, რომელსაც ხალხის მასები თვითონ ქმნიან თავიანთი ლოზუნგებით, თავიანთი მისწრაფებებით, და არა ძველი ბურჟუაზიული რესპუბლიკის პროგრამის განმეორებით, — თუ ამას ასე ვაყენებთ, ჩვენ მივაღწევთ ყველაზე არსებითს. და აქ ჩვენ ვუახლოვდებით იმ საკითხს, უნდა მოვსპოთ თუ არა განსხვავება პროგრამა-მაქსიმუმსა და პროგრამა-მინიმუმს შორის. ჰოც და არაც. მე არ მეშინია ამ მოსპობისა, რადგან იმ თვალსაზრისს, რომელიც ჯერ კიდევ ზაფხულში იყო, ახლა არ უნდა ექნეს ადგილი. მე ვამბობდი «ადრეა» მაშინ, როცა ჯერ არ გვქონდა აღებული ძალაუფლება, — ახლა, როცა ჩვენ ეს ძალაუფლება ავიღეთ და იგი გამოვცადეთ, — ეს აღარ არის ადრე *. ახლა ძველი პროგრამის ნაცვლად უნდა დავწეროთ საბჭოთა ხელისუფლების ახალი პროგრამა, სრულებითაც არ

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 190 — 196. რ ე დ.

უნდა უარვყოთ რა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გამოყენება. იმის ფიქრი, რომ ჩვენ უკან არ გადაგვისვრიან, — უტოპიაა.

ისტორიულად არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ რუსეთმა შექმნა საბჭოთა რესპუბლიკა. ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველგვარი უკან გადასროლის დროს, უარს არ ვიტყვით რა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გამოყენებაზე, — თუ კლასობრივი, მტრული ძალები გვაიძულებენ დავდგეთ ამ ძველ პოზიციაზე, — ჩვენ წავალთ იმისაკენ, რაც გამოცდილებითაა მოპოვებული, — საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, სახელმწიფოს საბჭოთა ტიპისაკენ, პარიზის კომუნის ტიპის სახელმწიფოსაკენ. ეს უნდა გამოვთქვათ პროგრამაში. პროგრამა-მინიმუმის ნაცვლად ჩვენ შემოვიღებთ საბჭოთა ხელისუფლების პროგრამას. სახელმწიფოს ახალი ტიპის დახასიათებამ თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს ჩვენს პროგრამაში.

ცხადია, ჩვენ ახლა არ შეგვიძლია პროგრამის შემუშავება. ჩვენ უნდა შევიმუშაოთ მისი ძირითადი დებულებანი და გადავცეთ კომისიას ან ცენტრალურ კომიტეტს ძირითადი თეზისების შესამუშავებლად. უფრო მარტივადაც: გამომუშავება შეიძლება ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციის შესახებ მიღებული იმ რეზოლუციის საფუძველზე, რომელმაც უკვე მოგვცა თეზისები *. რუსეთის რევოლუციის გამოცდილების საფუძველზე უნდა იქნას მოცემული საბჭოთა ხელისუფლების ასეთი დახასიათება და შემდეგ პრაქტიკულ გარდაქმნათა წინადადება. აქ, მე მგონია, ისტორიულ ნაწილში უნდა შევნიშნოთ, რომ ახლა დაწყებულია მიწისა და წარმოების ექსპროპრიაცია. აქ ჩვენ ვსვამთ კონკრეტულ ამოცანას: მოხმარების ორგანიზაცია, ბანკების უნივერსალიზაცია, მათი გადაქცევა სახელმწიფო დაწესებულებათა ქსელად, რომლებიც მოედება მთელ ჩვენს ქვეყანას და მოგვცემს საზოგადოებრივ ანგარიშწარმოებას, აღრიცხვას და კონტროლს, რასაც ჩაატარებს თვით მოსახლეობა და რაც საფუძვლად უდევს სოციალიზმის შემდგომ ნაბიჯებს. მე ვფიქრობ, რომ პროგრამის ეს ნაწილი, რომელიც ყველაზე

* იხ. ეს ტომი, გვ. 126 — 127. რ ე დ.

ძნელია, ჩამოყალიბებულ უნდა იქნას ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების კონკრეტულ მოთხოვნათა სახით, — რა გვსურს ჩვენ ახლავე გავაკეთოთ, როგორი რეფორმების გატარება გვაქვს განზრახული საბანკო პოლიტიკის დარგში, პროდუქტების წარმოების ორგანიზაციის, გაცვლა-გამოცვლის აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაციის, შრომის ბეგარის შემოღების დარგში და სხვ.. როცა მოვახერხებთ, ჩვენ დავუმატებთ, როგორი ნაბიჯები, პატარა ნაბიჯები და ნახევარ-ნაბიჯები გადავდგით ამ მხრივ. აქ სრულიად ზუსტად, ნათლად უნდა განისაზღვროს ის, რაც ჩვენში დაწყებულია, ის, რაც დაუმთავრებელია. ჩვენ ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ ჩვენ, მიერ დაწყებულის უდიდესი ნაწილი დაუმთავრებელია. სრულიად გადაუჭარბებლად, საკვლევით ობიექტურად, ფაქტებზე დამყარებით ჩვენ უნდა ვთქვათ პროგრამაში იმის შესახებ, რაც არის, და იმის შესახებ, რის გაკეთებასაც ვაპირებთ. ამ სიმარტლეს ჩვენ ვუჩვენებთ ევროპის პროლეტარიატს და ვეტყვით: ეს უნდა გაკეთდეს, — რათა მათ თქვან: ამასა და ამას რუსები ცუდად აკეთებენ, ჩვენ კი უკეთესად გავაკეთებთო. და როცა ეს მისწრაფება გაიტაცებს მასებს, მაშინ სოციალისტური რევოლუცია უძლეველი იქნება. ყველას თვალწინ წარმოებს იმპერიალისტური ომი, რომელიც სულერთიანად მძარცველურია. ეს უნდა გამოვააშკარაოთ, უნდა დავხატოთ ომი, როგორც იმპერიალისტების გაერთიანება სოციალისტური მოძრაობის წინააღმდეგ. აი ის ზოგადი მოსაზრებანი, რომელთა გაზიარება თქვენთვის საჭიროდ მიმაჩნია და რომელთა საფუძველზე შემომაქვს პრაქტიკული წინადადება — ახლა ერთმანეთს გავუზიაროთ ძირითადი შეხედულებანი ამ საკითხზე და შემდეგ, შეიძლება, აქვე გამოვიმუშაოთ რამდენიმე ძირითადი თეზისი, ახლა კი, თუ ეს ძნელ საქმედ იქნება ცნობილი, უარი ვთქვათ ამაზე და პროგრამის საკითხი გადავცეთ ცენტრალურ კომიტეტს ან განსაკუთრებულ კომისიას, რომელსაც დაევალოს, არსებული მასალებისა და ყრილობის სტენოგრაფიული ან დაწვრილებითი სამდივნო ანგარიშების მიხედვით, შეადგინოს პროგრამა პარტიისა, რომელმაც ახლავე უნდა შეიცვალოს

თავისი სახელწოდება. მე მგონია, ჩვენ ეს შეგვიძლია განვახორციელოთ ამჟამად, და ვფიქრობ, ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ რედაქციულად ჩვენი პროგრამის იმ მოუმზადებლობის პირობებში, რომელშიც ჩვენ მოგვისწრო ამბებმა, ამჟამად მეტის არაფრის გაკეთება არ შეიძლება. მე დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე კვირაში შევძლებთ ამის გაკეთებას. ჩვენ საკმაო თეორიული ძალები გვყავს ჩვენი პარტიის ყველა მიმდინარეობაში, რომ რამდენიმე კვირაში მივიღოთ პროგრამა. მასში, რასაკვირველია, შეიძლება ბევრი რამ მცდარი იყოს, თუ აღარაფერს ვიტყვით სარედაქციო და სტილისტურ არასიზუსტეზე, რადგან ჩვენ არა გვაქვს თვეები იმისათვის, რომ ამ სამუშაოს ჩავუჯდეთ დამშვიდებით, როგორც ეს საჭიროა სარედაქტორო მუშაობისათვის.

ყველა ამ შეცდომას ჩვენ გამოვასწორებთ ჩვენი მუშაობის პროცესში სრული რწმენით, რომ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებას ვაძლევთ შესაძლებლობას განახორციელოს ეს პროგრამა. თუ ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ჩამოვაყალიბებთ ზუსტად, სინამდვილის მიხედვით, იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის სახელმწიფოს ახალი ტიპი, პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა, რომ დემოკრატიას ჩვენ დავუსახეთ სხვაგვარი ამოცანები, რომ სოციალიზმის ამოცანები «ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის» ზოგადი აბსტრაქტული ფორმულიდან ჩვენ გადავიყვანეთ ისეთ კონკრეტულ ფორმულებში, როგორიცაა ბანკებისა[55] და მიწების ნაციონალიზაცია, — სწორედ ეს იქნება პროგრამის არსებითი ნაწილი.

მიწის საკითხის გადამუშავება მოგვიხდება იმ მხრით, რომ აქ ჩვენ ვხედავთ იმის პირველ ნაბიჯებს, თუ წვრილმა გლეხობამ, რომელსაც სურს დადგეს პროლეტარიატის მხარეზე, სურს დაეხმაროს მას სოციალისტურ რევოლუციაში, მიუხედავად ყველა თავისი ცრურწმენისა, მიუხედავად ყველა თავისი ძველი შეხედულებისა, როგორ დაისახა სოციალიზმისაკენ გადასვლის პრაქტიკული ამოცანა. ჩვენ ამას არ ვახვევთ თავზე სხვა ქვეყნებს, მაგრამ ეს ფაქტია. გლეხობამ არა სიტყვით, არამედ საქმით გვიჩვენა, რომ სურს დაეხმაროს და

ეხმარება პროლეტარიატს, რომელმაც ძალაუფლება დაიპყრო, განახორციელოს სოციალიზმი. ტყუილად გვაწერენ ჩვენ იმას, რომ ძალით გვსურს შემოვიღოთ სოციალიზმი. ჩვენ სამართლიანად გავანაწილებთ მიწას, უპირატესად წვრილი მეურნეობის თვალსაზრისით. ამასთან უპირატესობას ვაკუთვნებთ კომუნებს და მუშათა მსხვილ არტელებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ პურით ვაჭრობის მონოპოლიზაციას. ჩვენ მხარს ვუჭერთ, — ასე ამბობდა გლეხობა, — ბანკებისა და ფაბრიკების ექსპროპრიაციას. ჩვენ მზადა ვართ დავეხმაროთ მუშებს სოციალიზმის განხორციელებაში. მე ვფიქრობ, რომ ყველა ენაზე უნდა გამოვცეთ ძირითადი კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ. ეს გამოცემა მოხდება, — თუ უკვე არ მომხდარა [56]. ამ აზრს კონკრეტულად გამოვთქვამთ პროგრამაში, — იგი უნდა გამოვთქვათ თეორიულად ისე, რომ არც ერთი ნაბიჯით არ ავცდეთ კონკრეტულად აღნიშნულ ფაქტებს. დასავლეთში ეს სხვანაირად განხორციელდება. შეიძლება, ჩვენ შეცდომებს ჩავდიოდეთ, მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დასავლეთის პროლეტარიატი მათ გამოასწორებს. და ჩვენ მივმართავთ ევროპის პროლეტარიატს თხოვნით — დაგვეხმაროს ჩვენს მუშაობაში.

ამგვარად ჩვენ შეგვიძლია ჩვენი პროგრამის რამდენიმე კვირაში შემუშავება, და შეცდომებს, რომლებსაც ჩვენ დავუშვებთ, — მათ გამოასწორებს ცხოვრება, — ჩვენ თვითონვე გამოვასწორებთ მათ. ყველა ისინი ბუმბულივით მსუბუქი იქნება იმ დადებით შედეგებთან შედარებით, რომლებსაც მივაღწევთ.

10

რეზოლუცია პარტიის სახელწოდებისა და პარტიული პროგრამის შეცვლის შესახებ

ყრილობა ადგენს — ამიერიდან ჩვენს პარტიას (რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ბოლშევიკებისას) ეწოდოს **რუსეთის კომუნისტური პარტია** ფრჩხილებში დამატებით «ბოლშევიკებისა».

ყრილობა ადგენს — შეიცვალოს ჩვენი პარტიის პროგრამა, გადამუშავდეს თეორიული ნაწილი ან შეივსოს იგი იმპერიალიზმის და საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის დაწყებული ერის დახასიათებით.

შემდეგ, ჩვენი პროგრამის პოლიტიკური ნაწილის ცვლილება უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ რაც შეიძლება უფრო ზუსტად და ვრცლად იქნას დახასიათებული სახელმწიფოს ახალი ტიპი, საბჭოთა რესპუბლიკა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა და როგორც საერთაშორისო მუშათა რევოლუციის იმ მონაპოვართა გაგრძელება, რომელნიც პარიზის კომუნამ დაიწყო. პროგრამამ უნდა მიუთითოს, რომ ჩვენი პარტია უარს არ იტყვის გამოიყენოს ბურჟუაზიული პარლამენტარიზმიც, თუ ბრძოლის მსვლელობა უკან გადაგვისვრის, რამდენიმე ხნით, ამ, ჩვენი რევოლუციის მიერ დღეს უკვე გადალახული, ისტორიული საფეხურისაკენ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში და ყოველი გარემოების დროს, პარტია იბრძოლებს საბჭოთა რესპუბლიკისათვის, როგორც დემოკრატიზმის მხრით სახელმწიფოს უმაღლესი ტიპისათვის და როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმისათვის,

ექსპლოატატორთა უღლის დამხობისა და მათი წინააღმდეგობის დათრგუნვის ფორმისათვის.

იმავე აზრით და მიმართულებით უნდა გადამუშავდეს ჩვენი პროგრამის ეკონომიური, მათ შორის აგრარული, აგრეთვე პედაგოგიური და სხვა ნაწილები. სიმძიმის ცენტრი უნდა მდგომარეობდეს ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებულ ეკონომიურ და სხვა გარდაქმნათა ზუსტ დახასიათებაში, იმ უახლოესი კონკრეტული ამოცანების კონკრეტული ჩამოთვლით, რომლებიც დასახული აქვს საბჭოთა ხელისუფლებას და რომლებიც გამომდინარეობენ ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციისათვის ჩვენს მიერ უკვე გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯებიდან.

ყრილობა ანდობს განსაკუთრებულ კომისიას შეადგინოს, რამდენადაც შესაძლებელია გადაუდებლივ, ჩამოთვლილ მითითებათა საფუძველზე, ჩვენი პარტიის პროგრამა და დაამტკიცოს იგი, როგორც ჩვენი პარტიის პროგრამა.

«პრავდა» № 45, 1918 წ. 9 მარტი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პირველი გვერდი
ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«რეზოლუცია პარტიის სახელწოდებისა
და პარტიული პროგრამის
შეცვლის შესახებ».—1918 წ. მარტი

11

წინადადება პარტიის პროგრამის გადასინჯვის საკითხისათვის

8 მარტს (სალამოს)

ამხანაგებო, ნება მომეცით გამოვაქვეყნო რეზოლუციის პროექტი, რომელიც აყალიბებს რამდენადმე სხვა წინადადებას, მაგრამ არსებითად რამდენადმე იმის მსგავსს, რასაც ამბობდა წინა ორატორი. ყრილობის საყურადღებოდ მე შემოგაქვს შემდეგი რეზოლუცია. (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს)*.

ამხანაგებო, ეს წინადადება იმით განსხვავდება, რომ მე მინდოდა თავდაპირველად დამეცვა ჩემი აზრი პროგრამის გამოცემის დაჩქარების შესახებ და მიგვენდო პირდაპირ ც. კ-ისთვის გამოეცა იგი ან მიგვენდო მისთვის განსაკუთრებული კომისიის შექმნა.

განვითარების ტემპი ისეთი ჩქარია, რომ ჩვენ საქმე არ უნდა გადავდოთ. ახლანდელი დროის სიძნელეების პირობებში ჩვენ მივიღებთ პროგრამას, რომელშიც ბევრი შეცდომა იქნება, მაგრამ ეს უბედურება არაა, — შემდგომი ყრილობა შეასწორებს მას, თუმცა ეს იქნება პროგრამის მეტად ჩქარი შესწორება, მაგრამ ცხოვრება ისე სწრაფად მიაბიჯებს, რომ თუ საჭირო იქნება პროგრამაში მთელი რიგი შესწორებების შეტანა, — შევიტანთ. ახლა ჩვენი პროგრამა აიგება იმდენად არა წიგნების მიხედვით, რამდენადაც პრაქტიკის, საბჭოთა ხელისუფლების გამოცდილების მიხედვით. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ინტერესები მოითხოვს მივმართოთ საერთაშორისო პროლეტარიატს არა მხურვალე მოწოდებებით,

* იხ. ეს ტომი, გვ. 153 — 154. რ ე დ.

შემაგონებელი სამიტინგო სიტყვებით, არა შეყვირებებით, არამედ ჩვენი ზუსტი კონკრეტული პროგრამით. დაე ჩვენი პროგრამა ნაკლებ დამაკმაყოფილებელი იყოს, ვიდრე ის, რომელსაც მივიღებდით რამდენიმე კომისიაში დამუშავების შემდეგ, ყრილობის მიერ დამტკიცების დროს.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ ჩვენ შევძლებთ ამ რეზოლუციის ერთხმად მიღებას, იმიტომ რომ მე გვერდი ავუარე იმ უთანხმოებას, რომელზედაც მიუთითებს ამხ. ბუხარინი; მე იგი ისე ჩამოვაყალიბე, რომ საკითხი ღიად დავტოვე. შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ თუ მეტისმეტად დიდი ცვლილებები არ მოხდა, ჩვენ შეგვეძლება მივიღოთ ახალი პროგრამა, რომელიც ზუსტი დოკუმენტი იქნება სრულიად რუსეთის პარტიისათვის, და აღარ გვექნება ის საძაგელი მდგომარეობა, რომელშიც მე ვგრძნობდი თავს, როდესაც წინა ყრილობაზე ერთი მემარცხენე შვედი შემეკითხა: «როგორია თქვენი პარტიის პროგრამა, — ისეთივეა, როგორც მენშევიკებისა?»[57]. უნდა გენახათ, როგორ გამოქაჩა თვალები ამ შვედმა, რომელსაც ნათლად ესმოდა, თუ რა გიგანტურად შორს წავედით ჩვენ მენშევიკებისაგან. ასეთი საშინელი წინააღმდეგობის დატოვება ჩვენ არ შეგვიძლია. მე ვფიქრობ, რომ ეს პრაქტიკულ სარგებლობას მოუტანს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, და რასაც ჩვენ მოვიპოვებთ, ის, უეჭველად, იმაზე მაღალი იქნება, პროგრამაში რომ შეცდომები აღმოჩნდეს.

ამიტომაც მე წინადადებას ვიძლევი დავაჩქაროთ ეს და სრულიად არ შევუშინდეთ იმას, რომ ყრილობას მოუხდება მისი შესწორება.

12

გამოსვლა მგელაძის წინადადების გამო პარტიის პროგრამის შემუშავებაში უდიდესი პარტიული ორგანიზაციების ჩაბმის შესახებ 8 მარტს (საღამოს)

იმ პირობებში, რომლებშიც რუსეთი ამჟამად იმყოფება, — სამოქალაქო ომის, ნაწილების დაქუცმაცების მდგომარეობაში, — ეს დაუშვებელია. თავისთავად იგულისხმება, რომ როგორც კი იქნება ოდნავი შესაძლებლობა, კომისია, რომელიც შეუდგება შესწორებას, დაუყოვნებლივ დაიწყებს ბეჭდვას, და ადგილობრივ ორგანიზაციებს ყოველთვის შეუძლიათ გამოთქვან და უნდა გამოთქვან თავისი აზრი, მაგრამ ფორმალურად ხელ-ფეხის შებოჭვა იმით, რაც მომავალში განუხორციელებელია, კიდევ უფრო მეტი გაჭიანურება იქნება, ვიდრე ყრილობა.

13

გამოსვლა პარტიის სახელწოდებისადმი ლარინის შესწორების[58] წინააღმდეგ 8 მარტს (საღამოს)

ამხანაგებო, მე ვეთანხმები ამხ. ლარინს იმაში, რომ სახელწოდების შეცვლის გამოყენება და სიტყვა — მუშათა პარტიის ამოგდება მართლა იქნება, მაგრამ ამას ანგარიშს ვერ გავუწევთ. მაშინ ჩვენ ძალიან დავწვრილმანდებით, თუ ყოველ ბოროტებას გავუწიეთ ანგარიში. ჩვენ ხომ ვუბრუნდებით კარგ ძველ ნიმუშს, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია. ჩვენ ყველამ ვიცით «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», ის იცის მთელმა მსოფლიომ, შესწორება ხომ იმაში არ მდგომარეობს, რომ პროლეტარიატი ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასია, რომ ყველა დანარჩენ კლასს, მათ შორის მშრომელ გლეხობას, შეუძლია რევოლუციური იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი გადადიან პროლეტარიატის თვალსაზრისზე. ეს ისეთი საფუძველია, მთელ მსოფლიოში ცნობილი ისეთი დებულებაა «კომუნისტური მანიფესტისა»[59], რომ აქ ცოტად თუ ბევრად კეთილსინდისიერი გაუგებრობა არ შეიძლება იქნეს, ხოლო არაკეთილსინდისიერ გაუგებრობას, მითქმა-მოთქმას სულერთია ვერ გამოვეკიდებით. აი რატომ უნდა დავუბრუნდეთ ძველს, კარგს, უეჭველად სწორ ნიმუშს, რომელმაც შეასრულა თავისი ისტორიული როლი, შემოიარა მთელი მსოფლიო, ყველა ქვეყანა; მე მგონია, საფუძველი არა გვაქვს ამ საუკეთესო ნიმუშს გადავუხვიოთ.

14

გამოსვლა პარტიის პროგრამის შესახებ შეტანილი რეზოლუციისადმი პელშეს შესწორების წინააღმდეგ 8 მარტს (საღამოს)

მე ვფიქრობ, წინა ორატორი მართალი არაა[60]. მასები ისეთი ბავშვები არ არიან და მათ ესმით, რომ ბრძოლა მეტად სერიოზულია. ისინი ხედავდნენ, თუ წინათ როგორ გვისროდნენ უკან, თუნდაც ივლისში. ამ სიტყვების ამოგდება არ შეიძლება. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვაფიქრებინოთ არავის, თითქოს ჩვენ სრულიად არ ვაფასებდეთ ბურჟუაზიულ საპარლამენტო დაწესებულებებს. ისინი — დიდი წინგადადგმული ნაბიჯია წინანდელთან შედარებით. ასე რომ ამ სიტყვების ამოგდებით ჩვენ ვქმნით იმის შთაბეჭდილებას, რაც ჯერ კიდევ არაა, — მიღწეული საფეხურის აბსოლუტური სიმტკიცის შთაბეჭდილებას. ჩვენ ვიცით, რომ ეს ჯერ კიდევ არაა. ეს იქნება, როცა საერთაშორისო მოძრაობა მხარს დაგვიჭერს. მე მზადა ვარ ამოვშალოთ სიტყვები «არავითარ შემთხვევაში», შეიძლება დავტოვოთ სიტყვები «პარტია უარს არ იტყვის გამოყენებაზე», მაგრამ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის წმინდა ანარქისტულ უარყოფას ჩვენ გზას ვერ გავუხსნით. ეს — საფეხურებია, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ერთიმეორესთან, ყოველ უკან გადასროლას შეუძლია დაგვაბრუნოს ჩვენ ამ საფეხურთან. მე არ ვთვლი, რომ მასებში ამან რაიმე დაძაბუნება გამოიწვიოს. თუ მასებს გავიგებთ როგორც პოლიტიკურად სრულიად გაუნათლებელ ადამიანებს, — ისინი ვერ გაიგებენ, ხოლო პარტიის წევრები და თანამგრძნობნი გაიგებენ ამას, გაიგებენ, რომ დაპყრობილ პოზიციებს ჩვენ საბოლოოდ განმტკიცებუ-

ლად არ ვთვლით. თუ ჩვენ ნებისყოფის გიგანტური დაძაბვით განვავითარებთ ყველა კლასის ენერგიას, გავამაგრებთ ამ პოზიციას, მაშინ ჩვენ წარსულს აღარ მოვიგონებთ. მაგრამ ამისათვის საჭიროა ევროპის მხარდაჭერა. ხოლო ახლა იმის თქმა, რომ ჩვენ შეგვიძლია მუშაობა უარეს პირობებში, — მასებში არავითარ დაძაბუნებას არ გამოიწვევს.

15

გამოსვლა პარტიის პროგრამის შესახებ შეტანილი რეზოლუციისადმი[61] ბუხარინის შესწორებების წინააღმდეგ 8 მარტს (სალამოს)

I

მე არასგზით არ შემიძლია დავეთანხმო ამხ. ბუხარინის შესწორებას. პროგრამა ახასიათებს იმპერიალიზმს და სოციალური რევოლუციის დაწყებულ ერას. სოციალური რევოლუციის ერა რომ დაიწყო, — ეს აბსოლუტურად ზუსტადაა დადგენილი. რაღა უნდა ამხ. ბუხარინს? — დაახასიათოს განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, ე. ი. კომუნიზმი. აქ მას არასიზუსტენი აქვს. ჩვენ ამჟამად აუცილებლად ვემხრობით სახელმწიფოს, ხოლო რომ თქვათ — დავახასიათოთ განვითარებული სოციალიზმი, სადაც არ იქნება სახელმწიფოო,— აქ ვერაფერს გამოიგონებთ, გარდა იმისა, რომ მაშინ განხორციელებული იქნება პრინციპი: თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით. მაგრამ აქამდე ჯერ კიდევ შორსაა, და ამის თქმა ნიშნავს არაფერი თქვათ, გარდა იმისა, რომ თქვათ, ფეხქვეშ ნიადაგი სუსტიაო. აქამდე ჩვენ ბოლოს და ბოლოს მივალთ, თუ სოციალიზმს მივაღწევთ. ის, რაც ჩვენ ვთქვით, ამაზე მუშაობა ჩვენთვის საკმარისი იქნება. ჩვენ რომ ეს გავაკეთოთ, ეს უზარმაზარი ისტორიული დამსახურება იქნება. ჩვენ არ შეგვიძლია დავახასიათოთ სოციალიზმი; როგორი იქნება სოციალიზმი, როცა ის მიაღწევს მზამზარეულ ფორმებს, — ჩვენ ეს არ ვიცით, ამის თქმა არ შეგვიძლია. იმის თქმა, რომ სოციალური რევოლუციის ერა დაიწყო, რომ ჩვენ ესა და ეს გავაკეთეთ და ესა და ეს გვსურს გავაკეთოთ, — ეს ვიცით, ამას ვიტყვით, და ეს დაანახვებს ევროპის მუშებს, რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, სრულიადაც არ ვაზვიადებთ ჩვენს ძალებს: აი რის

გაკეთება დავიწყეთ და რა გვინდა გავაკეთოთ ჩვენ. მაგრამ რომ ამჟამად ვიცოდეთ, თუ როგორი სახე ექნება დამთავრებულ სოციალიზმს, — ჩვენ ეს არ ვიცით. თეორიულად, თეორიულ თხზულებებში, სტატიებში, სიტყვებში, ლექციებში ჩვენ განვავითარებთ იმ აზრებს, რომ კაუცკი ანარქისტების წინააღმდეგ არასწორად იბრძვის, მაგრამ პროგრამაში ამის შეტანა არ შეგვიძლია, იმიტომ რომ სოციალიზმის დასახასიათებლად ჯერ კიდევ არ არის მასალები. ჯერ არაა დამზადებული აგურები, რომელთაგანაც სოციალიზმი აშენდება. მეტს ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, და საჭიროა რაც შეიძლება მეტი სიფრთხილე და სიზუსტე. ამაში და მხოლოდ ამაში იქნება ჩვენი პროგრამის მიმზიდველი ძალა. ხოლო თუ ჩვენ რაიმე პრეტენზიას განვაცხადებთ იმის შესახებ, რის მოცემაც ჩვენ არ შეგვიძლია, — ეს დაასუსტებს ჩვენი პროგრამის ძალას. იმათ ეგონებათ, რომ ჩვენი პროგრამა — ეს მხოლოდ ფანტაზიაა. პროგრამა არის იმის დახასიათება, რის კეთებაც ჩვენ დავიწყეთ, და შემდგომი ნაბიჯები, როგორიც გვინდა გადავდგათ. სოციალიზმის დახასიათების მოცემა ჩვენ არ შეგვიძლია, და ეს ამოცანა სწორად არ იყო ფორმულირებული.

II

რადგან ფორმულირება წერილობითი ფორმით არ იყო, გაუგებრობა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მაგრამ ამხ. ბუხარინმა მე ვერ დამარწმუნა. ჩვენი პარტიის სახელწოდება საკმაოდ ნათლად გამოხატავს, რომ ჩვენ მივდივართ სრული კომუნიზმისაკენ, რომ ვაყენებთ ისეთ აბსტრაქტულ დებულებებს, რომ ყოველი ჩვენგანი იმუშავებს უნარის მიხედვით, ხოლო მიიღებს მოთხოვნილების მიხედვით, ყოველგვარი სამხედრო კონტროლისა და ძალდატანების გარეშე. ამჟამად ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ჯერ კიდევ როდის დაიწყება სახელმწიფოს კვდომა? მანამდე ჩვენ მოვასწრებთ ორ ყრილობაზე მეტის მოწვევას, რომ ვთქვათ: შეხედეთ, როგორ კვდება ჩვენი სახელმწიფო. მანამდე კი ერთობ ადრეა. სახელმწიფოს კვდომის წინდაწინვე გამოცხადება ისტორიული პერსპექტივის დარღვევა იქნება.

16

სიტყვა ცენტრალური კომიტეტის არჩევნების საკითხზე[62]
8 მარტს (საღამოს)

ლომოვმა მეტად მოსწრებულად დაიმოწმა ჩემი სიტყვა, რომელშიაც მე მოვითხოვდი, რომ ცენტრალურ კომიტეტს უნდა შეეძლოს ერთგვაროვანი ხაზის გატარება. ეს არ ნიშნავს, რომ ცენტრალურ კომიტეტში ყველას ერთი და იგივე რწმენა ჰქონდეს. ასე ფიქრი იქნებოდა გათიშვის გამოწვევა, ამიტომ მე წინადადება მივეცი ყრილობას არ მიეღო ასეთი განცხადება, რათა საშუალება მისცემოდათ ამხანაგებს შეჰკითხებოდნენ თავიანთ ადგილობრივ ორგანიზაციებს და მოეფიქრებინათ თავიანთი გადაწყვეტილება. მეც ვიყავი ცენტრალურ კომიტეტში ასეთ მდგომარეობაში იმ დროს, როცა ღებულობდნენ წინადადებას იმის შესახებ, რომ ზავისთვის ხელი არ მოგვეწერა, და ვდუმდი, თუმცა ოდნავაც თვალს არ ვხუჭავდი იმაზე, რომ ამის პასუხისმგებლობას მე არ ვკისრულობ. ცენტრალური კომიტეტის ყოველ წევრს აქვს საშუალება მოიხსნას თავიდან პასუხისმგებლობა ისე, რომ არ გამოვიდეს მისი შემადგენლობიდან და არ მოახდინოს აურზაური. რასაკვირველია, განსაზღვრულ პირობებში ეს, ამხანაგებო, დასაშვებია, ხანდახან ეს აუცილებელია, მაგრამ რომ ეს აუცილებელი იყოს დღეს საბჭოთა ხელისუფლების ამ ორგანიზაციის დროს, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ ჩვენი თავი, თუ რამდენად არ ვკარგავთ ჩვენ კონტაქტს მასებთან, — მე ეს მეეჭვება. მე ვფიქრობ, რომ თუ აღიძრება საკითხი ვინიჩენკოს შესახებ, ამხანაგებს შეუძლიათ დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი ცენტრალური

კომიტეტიდან გამოუსვლელად. თუ ჩვენ ვიდგომებით რევოლუციური ომისათვის მზადების თვალსაზრისზე და მანევრირების თვალსაზრისზე, ამისათვის უნდა შევიდეთ ცენტრალურ კომიტეტში, შეიძლება განვაცხადოთ, რომ უთანხმოება წარმოიშვა ქვევიდან, ამის განსაცხადებლად ჩვენ აბსოლუტური უფლება გვაქვს. არაა არავითარი საშიშროება, რომ ისტორია ურიცკის და ლომოვს დააკისრებს პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ ისინი ხელს არ აიღებენ ცენტრალური კომიტეტის წევრთა სახელწოდებაზე. უნდა ვცადოთ მოვნახოთ ერთგვარი ლაგამი, რაცა გადავაგდოთ ცენტრალური კომიტეტიდან გამოსვლის მოდა. საჭიროა ითქვას, ყრილობა გამოთქვამს იმის იმედს, რომ ამხანაგები თავიანთ უთანხმოებას გამოხატავენ თავიანთი პროტესტებით და არა ცენტრალური კომიტეტიდან გასვლით და, ამ თავიანთი განცხადების მიხედვით, უარყოფენ ამხანაგების ჯგუფის კანდიდატურათა მოხსნას და მოახდენენ არჩევნებს, მოუწოდებენ რა მათ უკანვე წაიღონ თავიანთი განცხადებანი.

17

რეზოლუცია ც. კ-ში შესვლაზე «მემარცხენე კომუნისტების» უარის გამო

ყრილობა თვლის, რომ ც. კ-ში შესვლაზე უარისთქმა პარტიის ახლანდელი მდგომარეობის დროს განსაკუთრებით არასასურველია, ვინაიდან ასეთი უარისთქმა, როგორც საზოგადოდ პრინციპულად დაუშვებელი პარტიის ერთიანობის მოსურნეთათვის, ახლა ორმაგად დაემუქრებოდა პარტიის ერთიანობას.

ყრილობა აცხადებს, რომ თვითეულს შეუძლია და კიდეც უნდა მოიხსნას თავიდან პასუხისმგებლობა ც. კ-ის ნაბიჯებისათვის, რომელთაც ის არ იზიარებს, არა ც. კ-იდან გასვლით, არამედ სათანადო განცხადებით.

ამიტომ ყრილობა, იმის მტკიცე იმედით, რომ ამხანაგები, შეეკითხებიან რა მასობრივ ორგანიზაციებს, უარს იტყვიან თავიანთ განცხადებაზე, მოახდენს არჩევნებს ამ განცხადებისათვის ანგარიშგაუწევლად.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

18

პროგრამის პროექტის შავად დაწერილი მონასახი

საფუძვლად აღებულ იქნას ჩემი პროექტი * (ბროშურა, გვ. 19 და შემდ.).

თეორიული ნაწილი დარჩეს, ამოგდებულ იქნას პირველი ნაწილის უკანასკნელი აბზაცი (ბროშურის 22 გვ., სიტყვიდან: «ამიტომ» სიტყვებამდე: «სოციალისტური რევოლუციის შინაარს შეადგენს» **, ე. ი. 5 სტრიქონი მოშორდეს).

შემდეგ აბზაცში (გვ. 22), რომელიც იწყება სიტყვებით: «ამ ამოცანის შესრულება», შეტანილ იქნას ცვლილება, აღნიშნული სტატიაში «პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის», «პროსვეშჩენიე» (№ 1 — 2, 1917 წ. სექტემბერი — ოქტომბერი), გვ. 93 ***.

ამავე აბზაცში ორჯერ დაისვას ნაცვლად «სოციალ-შოვინიზმისა»:

(1) «**ოპორტუნიზმისა** და სოციალ-შოვინიზმისა»;

(2) «ერთი მხრით, **ოპორტუნიზმსა** და სოციალ-შოვინიზმსა და, მეორე მხრით, სოციალისტური წყობილების განსა-

---

* პარტიის სახელწოდება უბრალოდ: «კომუნისტური პარტია» («რუსეთის» — დაუმატებლად), ხოლო ფრჩხილებში: (ბოლშევიკების პარტია).

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 24, გვ. 554. რ ე დ.

*** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 24, გვ. 554 და ტომი 26, გვ. 190. რ ე დ.

ხორციელებლად პროლეტარიატის რევოლუციურ-ინტერნაციონალისტურ ბრძოლას შორის».

ქვევით მოგვიხდება ყველაფრის გადაკეთება, დაახლოებით, შემდეგნაირად:

1917 წ. 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) რევოლუციამ რუსეთში განახორციელა დიქტატურა პროლეტარიატისა, რომელსაც მხარი დაუჭირა უღარიბესმა გლეხობამ ანუ ნახევრადპროლეტარებმა.

ეს დიქტატურა რუსეთში კომუნისტური პარტიის წინაშე აყენებს ამოცანას ბოლომდე მიიყვანოს, დაამთავროს მემამულეებისა და ბურჟუაზიის უკვე დაწყებული ექსპროპრიაცია, ყველა ფაბრიკის, ქარხნების, რკინიგზების, ბანკების, ფლოტის და წარმოებისა და მიმოქცევის სხვა საშუალებათა გადაცემა საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებად;

გამოიყენოს ქალაქის მუშებისა და უღარიბესი გლეხების კავშირი, რომელმაც მოგვცა უკვე მიწის კერძო საკუთრების გაუქმება, და კანონი წვრილი გლეხური მეურნეობიდან სოციალიზმზე გარდამავალი იმ ფორმის შესახებ, რომელსაც პროლეტარების მხარეზე დამდგარი გლეხობის თანამედროვე იდეოლოგებმა მიწის სოციალიზაცია უწოდეს, თანდათანობით, მაგრამ განუხრელი გადასვლისათვის მიწის საზოგადო დამუშავებაზე და მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე;

განამტკიცოს და შემდგომ განავითაროს საბჭოების ფედერაციული რესპუბლიკა, როგორც დემოკრატიის განუზომლად უფრო მაღალი და პროგრესული ფორმა, ვიდრე ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, და როგორც სახელმწიფოს ერთადერთი ტიპი, რომელიც, 1871 წლის პარიზის კომუნის გამოცდილების, აგრეთვე რუსეთის 1905 და 1917—1918 წლების რევოლუციების გამოცდილების საფუძველზე, შეესაბამება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდს, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდს;

ყოველმხრივ და ყოველი ზომით გამოიყენოს რუსეთში ანთებული ჩირაღდანი მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისა იმისათვის, რომ ჩავფუშოთ იმპერიალისტური ბურჟუაზიული სახელმწიფოების ცდები — ჩაერიონ რუსეთის შინაურ საქმეებში ან გაერთიანდნენ პირდაპირი ბრძოლისა და ომისათვის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, და გადავიტანოთ რევოლუცია უფრო მოწინავე ქვეყნებში და საერთოდ ყველა ქვეყანაში.

ათი თეზისი საბჭოთა ხელისუფლების შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და განვითარება

განმტკიცება და განვითარება საბჭოთა ხელისუფლებისა, როგორც პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის (ნახევრადპროლეტარების) დიქტატურის ფორმისა, — გამოცდილებით უკვე შემოწმებული, მასობრივი მოძრაობისა და რევოლუციური ბრძოლის მიერ წამოყენებული ფორმისა.

განმტკიცება და განვითარება უნდა გამოიხატებოდეს იმ ამოცანების განხორციელებაში (უფრო ფართო, საყოველთაო და გეგმაზომიერ განხორციელებაში), რომლებიც ისტორიულად ეკისრება სახელმწიფო ხელისუფლების ამ ფორმას, სახელმწიფოს ამ ახალ ტიპს, სახელდობრ:

(1) კაპიტალიზმის მიერ ჩაგრული მშრომელი და ექსპლოატირებული მასების და მხოლოდ მათი, ე. ი. მხოლოდ მუშებისა და უღარიბესი გლეხების, ნახევრადპროლეტარების გაერთიანება და ორგანიზაცია, ექსპლოატატორული კლასებისა და წვრილი ბურჟუაზიის მდიდარ წარმომადგენელთა ავტომატურ გამორიცხვასთან ერთად;

(2) გაერთიანება ჩაგრული კლასების ყველაზე მოქმედი, აქტიური, შეგნებული ნაწილისა, მათი ავანგარდისა, რომელმაც უნდა აღზარდოს უკლებლივ მთელი მშრომელი მოსახლეობა სახელმწიფოს მართვაში დამოუკიდებელი მონაწილეობისათვის არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულად.

(4) (3) პარლამენტარიზმის მოსპობა (როგორც საკანონმდებლო მუშაობის ჩამოშორება აღმასრულებელისაგან);

საკანონმდებლო და აღმასრულებელი სახელმწიფოებრივი მუშაობის შეერთება. მმართველობის გაერთიანება კანონმდებლობასთან.

(3) (4) სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო მმართველობის მთელი აპარატის უფრო მჭიდრო კავშირი მასებთან, ვიდრე დემოკრატიზმის წინანდელი ფორმები იყო.

(5) მუშებისა და გლეხების ისეთი შეიარაღებული ძალის შექმნა, რომელიც ყველაზე ნაკლებადაა მოწყვეტილი ხალხისაგან (საბჭოები = შეიარაღებული მუშები და გლეხები). საყოველთაო-სახალხო შეიარაღების ორგანიზებულობა, როგორც ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი მთელი ხალხის შეიარაღების საკვლებით განხორციელებისაკენ.

(6) უფრო სრული დემოკრატიზმი, ნაკლები ფორმალობის, არჩევისა და გამოწვევის მეტი სიადვილის გამო.

(7) მჭიდრო (და უშუალო) კავშირი პროფესიებთან და საწარმოო — ეკონომიურ ერთეულებთან (არჩევნები ქარხნების, ადგილობრივი გლეხური და შინამრეწველური ოლქების მიხედვით). ეს მჭიდრო კავშირი ღრმა სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

(8) (ნაწილობრივ, თუ მთლიანად არა, შედის წინაში) — ბიუროკრატიის მოსპობის, უმისოდ გაძლების შესაძლებლობა, ამ შესაძლებლობის რეალიზაციის დასაწყისი.

(9) დემოკრატიზმის საკითხებში სიმძიმის ცენტრის გადატანა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის, ღარიბებისა და მდიდრების ფორმალური თანასწორობის ფორმალური აღიარებიდან იმაზე, რომ პრაქტიკულად განსახორციელებელი გახდეს მოსახლეობის მშრომელი და ექსპლოატირებული მასის მიერ თავისუფლებით (დემოკრატიით) სარგებლობა.

(10) სახელმწიფოს საბჭოთა ორგანიზაციის შემდგომი განვითარება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ საბჭოს ყოველი წევრი აუცილებლად ეწეოდეს მუდმივ მუშაობას სახელმწიფოს მმართველობის ხაზით, საბჭოს კრებებში მონაწილეობასთან ერთად; — ხოლო შემდეგ იმაში, რომ გამოუკლებლივ მთელი მოსახლეობა თანდათანობით მიზიდულ იქნას

როგორც საბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობის მისაღებად (მშრომელთა ორგანიზაციებისადმი დამორჩილების პირობით), ისე სახელმწიფო მმართველობის სამსახურის გასაწევად.

ამ ამოცანების შესრულება მოითხოვს:

ა) პოლიტიკურ დარგში: საბჭოთა რესპუბლიკის განვითარებას.

საბჭოების უპირატესობანი («პროსვეშჩენიე», გვ. 13 — 14) *; [ექვსი პუნქტი];

საბჭოთა კონსტიტუციის გავრცელება **მთელ** მოსახლეობაზე, ექსპლოატატორთა მხრით წინააღმდეგობის შეწყვეტისდა **მიხედვით;**

ერთა ფედერაცია, როგორც გადასვლა მშრომელების შეგნებულ და უფრო მჭიდრო ერთიანობაზე, მშრომელებისა, რომლებმაც ისწავლეს ნებაყოფლობით დადგნენ ნაციონალურ შუღლზე მაღლა;

სავალდებულოა ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ულმობელი დათრგუნვა; «საერთო» (ე. ი. ბურჟუაზიული) დემოკრატიის ნორმები ამ მიზანს უმორჩილდებიან, უთმობენ მას:

«თავისუფლებანი» და დემოკრატია არა ყველასათვის, არამედ მშრომელი და ექსპლოატირებული მასებისათვის, ექსპლოატაციისაგან მათი განთავისუფლების მიზნით; ექსპლოატატორთა ულმობლად დათრგუნვა;

სიმძიმის ცენტრი თავისუფლებათა ფორმალური **აღიარებიდან** (როგორც ეს ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის დროს იყო) გადადის ექსპლოატატორთა დამამხობელი მშრომელების მიერ თავისუფლებებით **სარგებლობის** ფაქტიურ უზრუნველყოფაზე, მაგალითად, კრებების თავისუფლების აღიარებიდან ყველა საუკეთესო დარბაზისა და შენობის მუშებისათვის გადაცემაზე, სიტყვის თავის-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 105 — 106. რედ.

უფლების აღიარებიდან ყველა საუკეთესო სტამბის მუშათა ხელში გადაცემაზე და ა. შ.

ამ «თავისუფლებათა» მოკლედ ჩამოთვლა ძველი პროგრამა-მინიმუმიდან.

[მუშების შეიარაღება და ბურჟუაზიის განიარაღება].

საბჭოთა სახელმწიფოს **საშუალებით** სახელმწიფოს თანდათანობით მოსპობაზე გადასვლა — მოქალაქეთა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობის, ხოლო შემდეგ **უკლებლივ** ყველა მოქალაქის სისტემატურად ჩაბმით სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში თავის ხვედრ სამუშაოთა უშუალოდ და **ყოველდღიურად** შესასრულებლად.

ბ) ეკონომიურ დარგში:

წარმოების სოციალისტური ორგანიზაცია საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით: მართავენ მ უ შ ა თ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი (პროფესიული კავშირები, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და სხვ.) საბჭოთა ხელისუფლების, ერთადერთი ს უ ვ ე რ ე ნ უ ლ ი ხელისუფლების, საერთო ხელმძღვანელობით.

იგივე — ტრანსპორტისა და განაწილების შესახებ (ჯერ «ვაჭრობის» სახელმწიფო მონოპოლია, შემდეგ «ვაჭრობის» სრული და საბოლოო შეცვლა გეგმაშეწონილ-ორგანიზებული გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი თ სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირების საშუალებით, საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით).

— **მთელი** მოსახლეობის იძულებითი გაერთიანება სამომხმარებლო-საწარმოო კომუნებში.

არ ვაუქმებთ რა (დროებით) ფულს და არ ვუკრძალავთ რა ცალკეულ ოჯახებს ყიდვა-გაყიდვის ცალკეულ გარიგებებს, ჩვენ უწინარეს ყოვლისა სავალდებულო უნდა გავხადოთ, კანონით, ყველა ასეთი გარიგების სამომხმარებლო-საწარმოო კომუნების საშუალებით გატარება.

— დაუყოვნებლივ დაწყება საყოველთაო შრომითი ბეგარის სრული განხორციელებისა ისე, რომ იგი რაც შეიძლება ფრთხილად და თანდათანობით გავრცელდეს წვრილ, თავისი

მეურნეობით და დაქირავებული შრომის გამოუყენებლად მცხოვრებ გლეხობაზე;

საყოველთაო შრომითი ბეგარისაკენ მიმართულ პირველ ღონისძიებას, პირველ ნაბიჯს უნდა წარმოადგენდეს სამომხმარებლო-სამუშაო (საბიუჯეტო) წიგნაკების შემოღება (სავალდებულო შემოღება) ყველა მდიდართათვის (= იმ პირთათვის, რომელთა შემოსავალი აღემატება 500 მანეთს თვეში, შემდეგ დაქირავებული მუშების მყოლ საწარმოთა მფლობელებისათვის, შინამოსამსახურიანი ოჯახებისათვის და სხვ.).

ყიდვა-გაყიდვა დასაშვებია არა თავისი კომუნის საშუალებითაც (მგზავრობის დროს, ბაზრებში და სხვ.), მაგრამ გარიგების აუცილებელი ჩაწერით (თუ იგი განსაზღვრულ თანხას აღემატება) სამომხმარებლო-სამუშაო წიგნაკებში.

— საბანკო საქმის სავსებით თავმოყრა სახელმწიფოს ხელში და მთელი ფულადი-სავაჭრო ბრუნვისა — ბანკებში. საბანკო მიმდინარე ანგარიშების უნივერსალიზაცია: თანდათანობითი გადასვლა ბანკში მიმდინარე ანგარიშების სავალდებულო წარმოებაზე ქვეყნის ჯერ უმსხვილესი, ხოლო შემდეგ ყ ვ ე ლ ა მეურნეობის მიერ. ფულის სავალდებულო შენახვა ბანკებში და ფულის გადაგზავნა მ ხ ო ლ ო დ ბანკების საშუალებით.

— პროდუქტების მთელი წარმოებისა და განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის უნივერსალიზაცია, ამასთან ეს აღრიცხვა და კონტროლი უნდა განახორციელონ ჯერ მუშათა ორგანიზაციებმა, ხოლო შემდეგ უ კ ლ ე ბ ლ ი ვ მთელმა მოსახლეობამ.

— ორგანიზაცია შეჯიბრებისა ქვეყნის სხვადასხვა (ყველა) სამომხმარებლო-საწარმოო კომუნებს შორის ორგანიზებულობის, დისციპლინის, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტლივ ასამაღლებლად, უმაღლეს ტექნიკაზე გადასასვლელად, შრომისა და პროდუქტების მომჭირნეობისათვის, სამუშაო დღის დღედაღამეში 6 საათამდე თანდათანობით შესამცირებლად, **ყველა** ხელფასისა და ჯამაგირის თანდათანობით გასათანაბრებლად **ყველა** პროფესიასა და კატეგორიაში.

— განუხრელი, სისტემატური ღონისძიებანი (**Massenspeisung***-ზე გადასასვლელად) ცალკეული ოჯახების ინდივიდუალური მეოჯახეობის შესაცვლელად ოჯახთა დიდი ჯგუფების საერთო კვებით.

პ ე დ ა გ ო გ ი უ რ დ ა რ გ შ ი

ძველი პუნქტები, პლუს.

ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო დ ა რ გ შ ი

არაპირდაპირი გადასახადების შეცვლა პროგრესიული საშემოსავლო და ქონებრივი გადასახადით, აგრეთვე სახელმწიფო მონოპოლიებიდან მიღებული (განსაზღვრული) შემოსავლის ანარიცხით. ამასთან დაკავშირებით პურისა და სხვა პროდუქტების ნატურით მიცემა იმ მუშებისათვის, რომელნიც სახელმწიფოს ხარჯზე ასრულებენ საზოგადოებრივ-აუცილებელი სამუშაოების განსაზღვრულ სახეებს.

საერთაშორისო პოლიტიკა

პირველ რიგში სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერა მოწინავე ქვეყნებში.

პროპაგანდა. აგიტაცია. დაძმობილება.

ულმობელი ბრძოლა ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ.

დემოკრატიული და რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერა საერთოდ ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში.

კოლონიების განთავისუფლება. ფედერაცია, როგორც ნებაყოფლობით გაერთიანებაზე გადასვლა.

«კომმუნისტ» № 5, 1918 წ. 9 მარტი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — «საზოგადოებრივ კვებაზე». რ ე დ.

ჩვენი დროის მთავარი ამოცანა [63]

Ты и убогая, ты и обильная,
Ты и могучая, ты и бессильная
— Матушка-Русь!* [64]

კაცობრიობის ისტორია ამჟამად განიცდის ერთ-ერთ უდიდეს, უძნელეს შემობრუნებას, რომელსაც განუზომელი— შეიძლება სრულიად გადაუჭარბებლად ითქვას: მსოფლიო-განმათავისუფლებელი—მნიშვნელობა აქვს. ომიდან მშვიდობისაკენ; ომიდან მტაცებელთა შორის, რომელნიც ექსპლოატირებულთა და მშრომელთა მილიონებს სასაკლაოზე გზავნიან ომისათვის, რომ დაამყარონ უძლიერეს ყაჩაღთა მიერ ნაძარცვი ნადავლის გაყოფის ახალი წესი, ჩაგრულთა ომისაკენ მჩაგვრელების წინააღმდეგ, კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებისათვის; საშინელი ტანჯვიდან, წამებიდან, შიმშილიდან, გაველურებიდან კომუნისტური საზოგადოების, საყოველთაო კეთილდღეობისა და მტკიცე მშვიდობის ნათელი მომავლისაკენ; — საკვირველი არაა, რომ ასეთი მძაფრი მობრუნების ყველაზე მძაფრ პუნქტებზე, როცა ირგვლივ წარმოუდგენელი ხმაურითა და ჭახანით იმსხვრევა და ინგრევა ძველი, ხოლო იქვე აუწერელი ტანჯვით იბადება ახალი, ზოგ ვისმეს თავბრუ ეხვევა, ზოგს სასოწარკვეთილება იპყრობს, ზოგი კი ხსნას ხანდახან უაღრესად მწარე სინამდვილისაგან ლამაზი, წარმტაცი ფრაზის ჩრდილში ეძებს.

რუსეთს მოუხდა განსაკუთრებით ნათლად დაენახა, განსაკუთრებით მწვავედ და ტანჯვით განეცადა მძაფრზე უმძაფ-

* შენ უხვიცა ხარ, თან უბადრუკიც, შენ ძლიერიც ხარ, თანაც უძლური, დედავ რუსეთო.

რესი ტეხილები ისტორიისა, რომელიც იმპერიალიზმიდან კომუნისტური რევოლუციისაკენ შემობრუნდა. ჩვენ რამდენიმე დღეში დავანგრიეთ ერთ-ერთი ყველაზე ძველი, ძლიერი, ბარბაროსული და მხეცური მონარქია. ჩვენ რამდენიმე თვეში გავიარეთ ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის, წვრილ-ბურჟუაზიული ილუზიების აღმოფხვრის მთელი რიგი ეტაპები, რასაც სხვა ქვეყნები ათეულ წლებს ანდომებდნენ. ჩვენ რამდენიმე კვირაში, დავამხეთ რა ბურჟუაზია, გავტეხეთ მისი აშკარა წინააღმდეგობა სამოქალაქო ომში. ჩვენ ბოლშევიზმის ძლევამოსილი ტრიუმფალური მსვლელობით კიდით კიდემდე გავიარეთ უდიდესი ქვეყანა. ჩვენ თავისუფლებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის გამოვაღვიძეთ ცარიზმისა და ბურჟუაზიის მიერ ჩაგრული მშრომელი მასების ყველაზე დაბალი ფენები. ჩვენ შემოვიღეთ და განვამტკიცეთ საბჭოთა რესპუბლიკა, სახელმწიფოს ახალი ტიპი, განუზომლად უფრო მაღალი და დემოკრატიული, ვიდრე საუკეთესონი ბურჟუაზიულ-პარლამენტურ რესპუბლიკებს შორის. ჩვენ დავამყარეთ დიქტატურა პროლეტარიატისა, რომელსაც მხარი დაუჭირა უღარიბესმა გლეხობამ, და შევუდექით სოციალისტურ გარდაქმნათა ფართოდ მოფიქრებული სისტემის განხორციელებას. ჩვენ გამოვაღვიძეთ საკუთარი ძალების რწმენა და ავანთეთ ენთუზიაზმის ცეცხლი ყველა ქვეყნის მუშათა მილიონებში. ჩვენ ყველგან გადავისროლეთ მოწოდება საერთაშორისო მუშათა რევოლუციისაკენ. ჩვენ ბრძოლაში გამოვიწვიეთ ყველა ქვეყნის იმპერიალისტური მტაცებლები.

და ჩვენ რამდენიმე დღეში დაგვანარცხა მიწაზე იმპერიალისტურმა მტაცებელმა, რომელიც უიარაღოებს დაგვესხა. მან გვაიძულა ხელი მოგვეწერა წარმოუდგენლად მძიმე და დამამცირებელი ზავისთვის, — ეს იყო იმის ხარკი, რომ ჩვენ გავბედეთ, თუნდაც სულ მოკლე ხნით, იმპერიალისტური ომის რკინის მარწუხებიდან თავის დაღწევა. მტაცებელი სჭყლეტს, ახრჩობს, ნაწილ-ნაწილად ჰგლეჯს რუსეთს მით უფრო მეტი მძვინვარებით, რაც უფრო მრისხანედ დგება

მის წინაშე მუშათა რევოლუციის აჩრდილი მის საკუთარ ქვეყანაში.

ჩვენ იძულებული ვიყავით ხელი მოგვეწერა «ტილზიტის» ზავისთვის. თავის მოტყუება საჭირო არაა. უნდა გამოვიჩინოთ სიმამაცე — პირდაპირ გავუსწოროთ თვალი შეულამაზებელ მწარე სიმართლეს. სავსებით, ძირამდე უნდა გავზომოთ დამარცხების. დანაწევრების, დამონებისა და დამცირების მთელი ის უფსკრული, რომელშიც ჩვენ ახლა გადაგვჩეხეს. რაც უფრო ნათლად შევიგნებთ ამას, მით უფრო განმტკიცდება, გამოიბრძმედება, გაფოლადდება ჩვენი ნებისყოფა განთავისუფლებისადმი, ჩვენი მისწრაფება — კვლავ აღვდგეთ დამონებიდან დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი ურყევი გადაწყვეტილება — რადაც უნდა დაგვიჯდეს მივაღწიოთ იმას, რომ რუსეთი აღარ იყოს უბადრუკი და უძლური, რომ ის გახდეს ძლიერი და უხვი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ის შეიძლება გახდეს ასეთი, ვინაიდან ჩვენ მაინც საკმაოდ დაგვრჩა სივრცე და ბუნებრივი სიმდიდრენი, რომ ყველა და თვითეული მოვამარაგოთ საარსებო საშუალებებით თუ უხვად არა, საკმაო რაოდენობით მაინც. ჩვენ გვაქვს მასალა ბუნებრივი სიმდიდრისაც, ადამიანურ ძალთა მარაგისაც, საუცხოო გაქანებისაც, რომელიც ხალხის შემოქმედებას მისცა დიდმა რევოლუციამ, — რომ შევქმნათ მართლაც ძლიერი და უხვი რუსეთი.

რუსეთი გახდება ასეთი, თუ უკუაგდებს ყოველგვარ სასოწარკვეთილებას და ყოველგვარ ფრაზას, თუ კბილის კბილზე დაჭერით თავს მოუყრის მთელ თავის ძალებს, თუ დაძაბავს თვითეულ ნერვს, დაჭიმავს თვითეულ კუნთს, თუ მიხვდება, რომ ხსნა შესაძლებელია საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის მ ხ ო ლ ო დ იმ გზაზე, რომელსაც ჩვენ დავადექით. ამ გზით წინსვლა, ისე რომ დამარცხებებმა სულით არ დაგვცეს, სათითაოდ ქვების მოზიდვა სოციალისტური საზოგადოების მტკიცე საძირკვლის ამოსაშენებლად, თავაუღებელი

მუშაობა დისციპლინისა და თვითდისციპლინის შესაქმნელად, ყველგან და ყველაფერში ორგანიზებულობის, წესრიგის, საქმიანობის, მთელი სახალხო ძალების მწყობრი თანამშრომლობის, პროდუქტთა წარმოებასა და განაწილებაში საყოველთაო აღრიცხვისა და კონტროლის განსამტკიცებლად, — ასეთია გზა სამხედრო ძლიერებისა და სოციალისტური ძლიერების შესაქმნელად.

ნამდვილ სოციალისტს, როცა იგი სასტიკად დამარცხებულია, არ შეფერის არც ბაქიბუქობა და არც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა. არაა მართალი, თითქოს ჩვენ გამოსავალი აღარ გვქონდეს და დაგვრჩენოდეს მხოლოდ არჩევანი «უსახელო» (შლიახტიჩის თვალსაზრისით) სიკვდილსა, როგორიც არის უმძიმესი ზავი, და უიმედო ბრძოლაში «სახელოვან» სიკვდილს შორის. არაა მართალი, თითქოს ჩვენ ვუღალატეთ ჩვენს იდეალებს ან ჩვენს მეგობრებს, როცა «ტილზიტის» ზავს მოვაწერეთ ხელი. ჩვენ არაფრისთვის და არავისთვის არ გვიღალატნია, არც ერთი სიყალბე არ დაგვიდასტურებია და არ დაგვიფარავს, არც ერთი ჭირში მეგობრისა და ამხანაგისათვის არ გვითქვამს უარი დავხმარებოდით ყველაფრით, რითაც კი შეგვეძლო, ყველაფრით, რაც კი იყო ჩვენს განკარგულებაში. მხედართმთავარი, რომელსაც ქვეყნის შიგნით მიყავს დამარცხებული თუ პანიკური გაქცევის სენით დაავადებული არმიის ნარჩენები, რომელიც ამ უკანდახევას იცავს, უკიდურეს შემთხვევაში, უმძიმესი და უაღრესად დამამცირებელი ზავით, — არ ღალატობს ამით არმიის იმ ნაწილებს, რომელთა დახმარება მას არ შეუძლია და რომელთაც მტერმა გზა გადაუჭრა. ასეთი მხედართმთავარი ასრულებს თავის მოვალეობას, როცა ირჩევს ერთადერთ გზას იმის გადასარჩენად, რისი გადარჩენაც კიდევ შეიძლება, როცა არ თანხმდება ავანტიურას, არ ალამაზებს ხალხის წინაშე მწარე სიმართლეს, «უთმობს სივრცეს დროის მოსაგებად», სარგებლობს ყ ო ვ ე ლ ი, თუნდაც მინიმალური შესვენებით, რათა შეკრიბოს ძალები, რათა სული მოათქმევინოს ან თავის განკურნების საშუალება

მისცეს არმიას, რომელიც გახრწნისა და დემორალიზაციის სენს შეუპყრია.

ჩვენ მოვაწერეთ ხელი «ტილზიტის» ზავს. როცა ნაპოლეონ I-მა აიძულა პრუსია, 1807 წელს, მიეღო ტილზიტის ზავი, დამპყრობმა დაამარცხა გერმანელთა ყველა არმია, დაიკავა სატახტო ქალაქი და ყველა დიდი ქალაქი, შემოიღო თავისი პოლიცია, აიძულა დამარცხებულნი მიეცათ მისთვის დამხმარე კორპუსები დამპყრობლის მიერ ახალი მძარცველური ომების საწარმოებლად, კავშირი შეჰკრა ზოგიერთ გერმანულ სახელმწიფოსთან სხვა გერმანული სახელმწიფოების წინააღმდეგ და ამით დააქუცმაცა გერმანია. და მიუხედავად ამისა, ასეთი ზავის შემდეგაც კი, გერმანელმა ხალხმა გაუძლო, შეძლო ძალ-ღონე მოეკრიბა, შეძლო ამხედრებულიყო და მოეპოვებინა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლება.

ყველას, ვისაც სურს და შეუძლია ფიქრი, მაგალითი ტილზიტის ზავისა (რომელიც იყო მხოლოდ ერთი მრავალ მძიმე და დამამცირებელ ხელშეკრულებათაგანი, რომელთაც თავს ახვევდნენ გერმანელებს იმ ეპოქაში) ნათლად უჩვენებს, თუ რა ბავშვურად გულუბრყვილოა აზრი, თითქოს უმძიმესი ზავი ყოველგვარ პირობებში დაღუპვის უფსკრული იყოს, ხოლო ომი — სიმამაცისა და ხსნის გზა. ომების ეპოქები გვასწავლიან, რომ ზავი ხშირად ასრულებდა ისტორიაში შესვენებისა და ძალთა მოკრების როლს ახალი ბრძოლებისათვის. ტილზიტის ზავი გერმანიის უდიდესი დამცირება იყო, და ამავე დროს ის იყო შემობრუნება უდიდესი ეროვნული აღმავლობისაკენ. მაშინ ისტორიული ვითარება არავითარ სხვა გამოსავალს არ აძლევდა ამ აღმავლობას, გარდა გამოსავლისა ბურჟუაზიული სახელმწიფოს სახით. მაშინ, ასზე მეტი წლის წინათ, ისტორიას ქმნიდნენ ერთი მუჭა თავადაზნაურნი და ბურჟუაზიული ინტელიგენტების მცირე ჯგუფები, მუშათა და გლეხთა მასები კი თვლემდნენ და ძილში იყვნენ. მაშინ ისტორიას შეეძლო ამის გამო ევლო მხოლოდ უსაშინელესი სინელით.

ახლა კაპიტალიზმმა დიდად და დიდად აამაღლა საერთოდ კულტურა, კერძოდ — მასების კულტურა. ომმა შეარხია მასები, გამოაღვიძა ისინი გაუგონარი საშინელებებითა და ტანჯვით. ომმა წაუბიძგა ისტორიას, და იგი ახლა ლოკომოტივის სისწრაფით მიქრის. ისტორიას ახლა დამოუკიდებლად ქმნიან მილიონობით და ათეულ მილიონობით ადამიანები. კაპიტალიზმი ახლა სოციალიზმამდე გაიზარდა.

და ამიტომ, თუ რუსეთი ახლა მიდის — ის კი უცილობლად მიდის — «ტილზიტის» ზავიდან ნაციონალური აღმავლობისაკენ, დიდი სამამულო ომისაკენ, ამ აღმავლობისათვის გამოსავალია არა გამოსავალი ბურჟუაზიულ სახელმწიფოსაკენ, არამედ გამოსავალი საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციისაკენ. ჩვენ ობორონცები ვართ 1917 წ. 25 ოქტომბრიდან. ჩვენ «სამშობლოს დაცვას» ვემხრობით, მაგრამ ის სამამულო ომი, რომლისკენაც ჩვენ მივდივართ, არის ომი სოციალისტური სამშობლოსათვის, სოციალიზმისათვის, როგორც სამშობლოსათვის, საბჭოთა რესპუბლიკისათვის, როგორც სოციალიზმის მსოფლიო არმიის რ ა ზ მ ი ს ა თ ვ ი ს.

«სიძულვილი გერმანელისადმი, დაჰკა გერმანელს», —ასეთი იყო და ახლაც ასეთივეა ჩვეულებრივი, ე. ი. ბურჟუაზიული, პატრიოტიზმის ლოზუნგი. ჩვენ კი ვიტყვით: «სიძულვილი იმპერიალისტური მტაცებლებისადმი, სიძულვილი კაპიტალიზმისადმი, სიკვდილი კაპიტალიზმს» და ამასთან ერთად: «ისწავლე გერმანელისაგან! ერთგული დარჩი გერმანელ მუშებთან ძმური კავშირისა. მათ დააგვიანეს ჩვენს დასახმარებლად მოსვლა. ჩვენ მოვიგებთ დროს, მოვესწრებით მათ მოსვლას, ისინი მ ო ვ ლ ე ნ ჩვენს დასახმარებლად».

დიახ, ისწავლე გერმანელისაგან! ისტორია მიხვეულ-მოხვეული და შემოსავლელი გზებით მიდის. გამოვიდა ისე, რომ დღეს სწორედ გერმანელი ასახიერებს, მხეცურ იმპერიალიზმთან ერთად, დისციპლინის, ორგანიზაციის, მწყობრი თანამშრომლობის საწყისს უახლესი მანქანური ინდუსტრიის, უსასტიკესი აღრიცხვისა და კონტროლის საფუძველზე.

ეს კი სწორედ ისაა, რაც ჩვენ გვაკლია. ეს სწორედ ისაა, რაც ჩვენ უნდა ვისწავლოთ. ეს სწორედ ისაა, რაც აკლია ჩვენს დიდ რევოლუციას, რათა ძლევამოსილი დასაწყისიდან, მთელ რიგ მძიმე განსაცდელთა გზით, ძლევამოსილ დასასრულამდე მივიდეს. ეს სწორედ ისაა, რაც ესაჭიროება რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რათა იგი აღარ იქნეს ღატაკი და უძლური, რათა საბოლოოდ გახდეს ძლიერი და უხვი.

1918 წ. 11 მარტი

სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტია» № 46,
1918 წ. 12 მარტი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ბროშურის: ნ. ლენინი.
«ჩვენი დროის მთავარი ამოცანა»,
მოსკოვი, 1918, — ტექსტის მიხედვით

სიტყვა მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოში 1918 წ. 12 მარტს

სტენოგრაფიული ანგარიში

ამხანაგებო! რუსეთის რევოლუციის წლისთავი ჩვენ გვიხდება გადავიხადოთ ისეთ მომენტში, როცა რევოლუცია მძიმე დღეებს განიცდის, როცა მრავალნი მზად არიან მიეცნენ სასოწარკვეთილებასა და გულგატეხილობას. მაგრამ თუ ჩვენ გარშემო მიმოვიხედავთ, თუ ჩვენ გავიხსენებთ, რა გააკეთა რევოლუციამ ამ წლის განმავლობაში და როგორ ყალიბდება საერთაშორისო მდგომარეობა, მაშინ, მე დარწმუნებული ვარ, არც ერთ ჩვენგანს არ ექნება საბაბი არც სასოწარკვეთილებისა და არც ჭმუნვარებისათვის. არ უნდა ჰქონდეს ადგილი ეჭვს, რომ ოქტომბერში დაწყებული საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის საქმე გაიმარჯვებს, მიუხედავად სიძნელეებისა და დაბრკოლებებისა, მიუხედავად მისი მტრების ყოველგვარი ღონისძიებისა.

ამხანაგებო, მოიგონეთ, რა გზებით მიმდინარეობდა რუსეთის რევოლუცია... თებერვალში, პროლეტარიატის შეერთებით ბურჟუაზიასთან, რომელმაც დაინახა, რომ ცარიზმის დროს თვით ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობაც შეუძლებელია, რამდენიმე დღეში, მუშათა და გლეხობის ყველაზე გაცნობიერებული ნაწილის, სახელდობრ, ომის ყველა საშინელების გადამტან ჯარისკაცთა თანამშრომლობის მეოხებით, — როგორ შეძლეს მათ რამდენიმე დღეში ჩამოეგდოთ მონარქია, რომელიც 1905, 1906, 1907 წწ. შეუდარებლად უფრო მძიმე დარტყმებს უმკლავდებოდა და სისხლში ჩაახრჩო რევოლუციური რუსეთი. და როცა თებერვლის გამარჯვების

შემდეგ ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია აღმოჩნდა, რევოლუციის განვითარება წარმოუდგენელი სისწრაფით წარიმართა.

რუსეთის რევოლუციამ მოგვცა ის, რითაც იგი მკვეთრად განსხვავდება დასავლეთ ევროპის რევოლუციებისაგან. მან მოგვცა რევოლუციური მასა, რომელიც მომზადებული იყო 1905 წლით დამოუკიდებელი გამოსვლისათვის; მან მოგვცა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, ისეთი ორგანოები, რომლებიც ყველა წინანდელ ორგანოებზე შეუდარებლად უფრო დემოკრატიულია, რომელთაც შესაძლებელი გახადეს აღეზარდათ, გაეკეთილშობილებინათ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა უუფლებო მასა, თან გაეყოლიებინათ იგი, და, ამ გარემოებათა მეოხებით, რუსეთის რევოლუციამ რამდენიმე თვეში განვლო ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის ის ხანა, რომელსაც დასავლეთ ევროპაში მთელი ხანგრძლივი ათეული წლები უნდებოდა. ბურჟუაზია ახლა მუშათა კლასს და მის წარმომადგენლებს — ბოლშევიკებს — ბრალსა სდებს იმაში, რომ არმია თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა. მაგრამ ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ მაშინ, მარტში, აპრილში, ხელისუფლების სათავეში რომ არ ყოფილიყვნენ შემთანხმებლები, ბურჟუაზია, რომელიც ჩარჩულად შოულობდა თავისთვის ადგილებს, აყენებდა ხელისუფლების სათავეში კაპიტალისტებს და ამავე დროს არმიას შიშველსა და მშიერს სტოვებდა, როცა ხელისუფლებას მეთაურობდნენ ისეთი ვაჟბატონები, როგორც კერენსკი, რომელნიც თავისთავს სოციალისტებს უწოდებდნენ, ნამდვილად კი ყველა ჯიბეში მალავდნენ საიდუმლო ხელშეკრულებებს, რომელნიც ავალდებულებდნენ რუს ხალხს ეომნა 1918 წლამდე, — მაშინ, იქნებ, შესაძლო ყოფილიყო რუსეთის არმიისა და რევოლუციის ხსნა იმ წარმოუდგენლად მძიმე განსაცდელისა და დამცირებებისაგან, რაც ჩვენ უნდა გადაგვეტანა. ძალაუფლება რომ მაშინ საბჭოების ხელში გადასულიყო, შემთანხმებლები, იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდნენ კერენსკის — ბრძოლის

ცეცხლში შეერეკნა არმია, ისინი რომ მაშინ დემოკრატიული ზავის წინადადებით გამოსულიყვნენ, მაშინ არმია ასე არ დაიშლებოდა. მათ უნდა ეთქვათ არმიისთვის: იდექი მშვიდად. დაე ერთ ხელში მას ეჭიროს დახეული, იმპერიალისტებთან დადებული, საიდუმლო ხელშეკრულება და ყველა ხალხისადმი დემოკრატიული ზავის წინადადება, და მეორე ხელში ეჭიროს თოფი და ზარბაზანი, და დაე სავსებით იქნას შენარჩუნებული მაგარი ფრონტი. აი როდის შეიძლებოდა არმიისა და რევოლუციის ხსნა. ამგვარ ჟესტს, ისეთი მტრის წინაშეც კი, როგორიც გერმანიის იმპერიალიზმია, მის დასახმარებლად კიდეც რომ გამოსულიყო მთელი ბურჟუაზია, მთელი მსოფლიოს ყველა კაპიტალისტები, ბურჟუაზიული პარტიების ყველა წარმომადგენელი, — ამგვარ ჟესტს მაინც ყოველთვის შეეძლო საქმის შველა. მას შეეძლო მტერი ისეთ მდგომარეობაში ჩაეყენებინა, როცა ის დაინახავდა, ერთი მხრით, მისთვის შეთავაზებულ დემოკრატიულ ზავს და გამოაშკარავებულ ხელშეკრულებებს, ხოლო, მეორე მხრით — თოფს. ახლა ჩვენ არა გვაქვს ასეთი მაგარი ფრონტი. უარტილერიოდ მისი გამაგრება ჩვენ არ შეგვიძლია. მისი აღდგენა მეტად ძნელია, ეს ძალიან ნელა ხდება, იმიტომ რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონია იქ საქმე მტერთან. სულ სხვა იყო ბრძოლა რეგვენ რომანოვთან ან მკვეხარა კერენსკისთან, — აქ კი ჩვენ საქმე გვაქვს მტერთან, რომელმაც დარაზმა მთელი თავისი ძალები და ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრება მოაწყო რევოლუციისაგან დასაცავად. ჩვენ ვიცოდით, რომ, იმპერიალისტურ ხელშეკრულებათა დარღვევის ნაცვლად, კერენსკის ხელისუფლებამ 1917 წლის ივნისში შეტევაზე გადაისროლა ჯარისკაცები, რის შემდეგ მათი ძალები საბოლოოდ დასუსტდნენ. და, როდესაც დღეს ბურჟუაზიის მხრიდან ყვირიან გაუგონარი დაშლისა და ნაციონალური სირცხვილის შესახებ, ფიქრობენ თუ არა ისინი, რომ ომით, წარმოუდგენელი ნგრევით წარმოშობილ რევოლუციას შეუძლია იაროს ასე წყნარად, დაუბრკოლებლად, მშვიდად, ტანჯვა-წამებისა და საშინელებათა

განუცდელად? თუ ვისმე წარმოდგენილი ჰქონდა რევოლუციის ასეთი წარმოშობა, ეს ან ცარიელი სიტყვებია, ან ასე მსჯელობა შეუძლია მხოლოდ რომელიმე უნიათო ინტელიგენტს, რომელსაც არ ესმის ამ ომისა და რევოლუციის მნიშვნელობა. დიახ, ასე მსჯელობენ ისინი. მაგრამ ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ მთელ ამ პროცესში ხდება უდიდესი სახალხო აღმავლობა, რასაც ვერ ხედავენ ის ადამიანები, რომელნიც გაყვირიან ნაციონალური სირცხვილის შესახებ.

ასეა თუ ისე, ჩვენ თავი დავაღწიეთ ომს. არ ვამბობთ, რომ ჩვენ დავაღწიეთ თავი რისიმე მიუცემლად, ხარკის გადაუხდელად. მაგრამ ჩვენ ომს თავი დავაღწიეთ. ჩვენ ხალხს მივეცით შესვენება. ჩვენ არ ვიცით, რამდენად ხანგრძლივი იქნება ეს შესვენება. შეიძლება, ის ძალიან ხანმოკლე იქნეს, იმიტომ რომ დასავლეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც ჩვენკენ მოემართებიან იმპერიალისტური მტაცებლები, და ახალი ომი აუცილებლად დაიწყება. დიახ, ჩვენ არ ვხუჭავთ თვალს იმაზე, რომ ჩვენში ყველაფერი დანგრეულია. მაგრამ ხალხმა შეძლო განთავისუფლებულიყო მეფის მთავრობისაგან, ბურჟუაზიული მთავრობისაგან და შეექმნა საბჭოთა ორგანიზაციები, რომლებმაც მხოლოდ ახლა, როცა ჯარისკაცები ფრონტიდან დაბრუნდნენ, მიაღწიეს სოფლის უკანასკნელ მივარდნილ კუთხეებამდე. მათი აუცილებლობაც და მნიშვნელობაც გაიგო ყველაზე დაბალმა, ყველაზე დაჩაგრულმა ფენამ, დაბეჩავებულმა მასამ, რომელსაც აბუჩად იგდებდნენ მეფეები, მემამულეები, კაპიტალისტები, რომელიც იშვიათად ახერხებდა თავისი სულის, თავისი შემოქმედების ჩაქსოვას საქმეში. მან მიაღწია იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლება გახდა არა მარტო მსხვილი ქალაქებისა და საფაბრიკო ადგილების კუთვნილება, იგი შეიჭრა აგრეთვე ყველა მიყრუებულ კუთხეში. ყოველი გლეხი, რომელიც ხელისუფლების მხრით აქამდე მხოლოდ ჩაგვრას და ძარცვას ხედავდა, ახლა ხელისუფლების სათავეში ხედავს ღარიბთა მთავრობას, მთავრობას, რომელსაც თვითონ ის ირჩევს, რომელმაც გამოიყვანა იგი ჩაგვრიდან და, მიუხედავად

ყოველგვარი გაუგონარი დაბრკოლებისა და სიძნელისა, შეძლებს გამოიყვანოს ის კვლავაც.

ამხანაგებო! თუ ახლა ჩვენ განვიცდით მძიმე დამარცხებისა და ჩაგვრის დღეებს, როცა რუსეთის რევოლუციას თავზე დააჭირეს პრუსიის მემამულეებისა და იმპერიალისტების ჩექმა, მე დარწმუნებული ვარ, რაც უნდა დიდი იყოს ცალკეულ წრეებში აღშფოთება და გულისწყრომა, ხალხის მასის სიღრმეში მიმდინარეობს შემოქმედების, ენერგიის დაგროვების, დისციპლინის პროცესი, რომელიც მოგვანიჭებს ჩვენ სიმტკიცეს გადავიტანოთ ყველა დარტყმა, და ამტკიცებს, რომ ჩვენ არ გაგვიცია და არც გავცემთ რევოლუციას. ხოლო თუ ჩვენ მოგვიხდა ამ განსაცდელისა და დამარცხებათა გადატანა, ეს მოხდა იმიტომ, რომ ისტორია არაა ისე სწორად და ლამაზად მოწყობილი, რომ ყველა მშრომელნი ჩვენთან ერთად ერთბაშად აღსდგნენ ყველა ქვეყანაში. არ უნდა დავივიწყოთ, როგორ მტერთან გვაქვს საქმე. მტრები, რომლებთანაც ჩვენ დღემდე გვქონდა საქმე, — რომანოვიც, კერენსკიც, რუსეთის ბურჟუაზიაც — ჩლუნგი, არაორგანიზებული, უკულტურო, რომელიც გუშინ რომანოვის ჩექმას ჰკოცნიდა და ამის შემდეგ დარბოდა ჯიბეში დამალული საიდუმლო ხელშეკრულებებით, — განა ყველა ისინი რამედ ღირან იმ საერთაშორისო ბურჟუაზიასთან შედარებით, რომელმაც ყოველივე, რაც კი მოუპოვებია ადამიანის გონებას, გადააქცია იარაღად მშრომელთა ნებისყოფის დათრგუნვისათვის და მთელი თავისი ორგანიზაცია შეაგუა ადამიანთა მოსასპობად?

აი როგორი მტერი დაგვეხსა თავს იმ მომენტში, როცა ჩვენ საბოლოოდ განვიარაღდით, როცა ჩვენ პირდაპირ უნდა ვთქვათ: ჩვენ არმია არა გვყავს, ხოლო იმ ქვეყანამ, რომელმაც არმია დაკარგა, უაღრესად სამარცხვინო ზავიც უნდა მიიღოს.

ჩვენ არავის ვღალატობთ, არავინ გაგვიცია, ჩვენ დახმარებაზე უარს არ ვეუბნებით ჩვენს თანამოძმეებს. მაგრამ ჩვენ იძულებული ვიქნებით მივიღოთ წარმოუდგენლად

მძიმე ზავი, იძულებული ვიქნებით მივიღოთ საშინელი პირობები, ჩვენ იძულებული ვიქნებით დავიხიოთ უკან, რომ მოვიგოთ დრო, ვიდრე ეს დრო გვაქვს, რათა მოგვისწრონ მოკავშირეებმა, მოკავშირენი კი ჩვენ გვყავს. რაც უნდა დიდი იყოს სიძულვილი იმპერიალიზმისადმი, რაც უნდა ძლიერი იყოს გრძნობა, გულისწყრომისა და აღშფოთების კანონიერი გრძნობა მის წინააღმდეგ, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ ახლა ობორონცები ვართ. ჩვენ არ ვიცავთ საიდუმლო ხელშეკრულებებს, ჩვენ ვიცავთ სოციალიზმს, ჩვენ ვიცავთ სოციალისტურ სამშობლოს. მაგრამ იმისათვის, რომ მისი დაცვის შესაძლებლობა გვქონოდა, ჩვენ უნდა გადაგვეტანა ყველაზე საშინელი დამცირებანი. ჩვენ ვიცით, რომ არის ხოლმე თვითეული ხალხის ისტორიაში ისეთი ხანა, როცა აუცილებელია დათმობა ნერვებით უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის შემოტევის წინაშე. ჩვენ მივიღეთ ვადის გადადება, და ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამით, რათა არმიამ ცოტად თუ ბევრად დაისვენოს, რათა მან გაიგოს მასობრივად, — არა იმ ათეული ათასების თავებში, რომლებიც დიდ ქალაქებში დადიან მიტინგებზე, არამედ მილიონებსა და ათეულ მილიონებში, რომლებიც მოედვნენ სოფლებს, — რათა მათ გაიგონ, რომ ძველი ომი გათავდა, იწყება ახალი ომი, ომი, რომელზედაც ჩვენ ვუპასუხეთ ზავის წინადადებით, ომი, რომელშიც ჩვენ დავუთმეთ, რათა დაგვეძლია ჩვენში დისციპლინის უქონლობა, ჩვენი დონდლობა, ჩვენი მოდუნებულობა, რომლის პირობებში ჩვენ შეგვეძლო დაგვემარცხებინა ცარიზმი და რუსეთის ბურჟუაზია, მაგრამ არა ევროპის საერთაშორისო ბურჟუაზია. თუ ჩვენ შევძლებთ მათ დაძლევას, მაშინ ჩვენ მოვიგებთ, იმიტომ რომ ჩვენ მოკავშირეები გვყავს, და ამაში ჩვენ დარწმუნებული ვართ.

რაც უნდა უმსგავსოდ იქცეოდნენ ახლა ჩვენი დამარცხების შემხედვარე საერთაშორისო იმპერიალისტები, მათ ქვეყნებში მაინც ძლიერდებიან მათი მტრები და ჩვენი მოკავშირენი. ჩვენ ვიცოდით და ვიცით მტკიცედ, რომ გერმანიის

მუშათა კლასში ეს პროცესი შეიძლება უფრო ნელა მიმდინარეობდეს, ვიდრე ჩვენ ამას მოველოდით, ვიდრე ჩვენ, შეიძლება, გვსურს, მაგრამ უეჭველია, რომ იზრდება აღშფოთება იმპერიალისტების წინააღმდეგ, იზრდება მოკავშირეთა რიცხვი ჩვენს მუშაობაში და ისინი მოვლენ ჩვენს დასახმარებლად.

შესძელით ძალების მიცემა, შესძელით ლოზუნგის მიცემა, შემოიღეთ დისციპლინა, ეს ჩვენი მოვალეობაა სოციალისტური რევოლუციის წინაშე. ამ პირობებში ჩვენ შევძლებთ გამაგრებას, ვიდრე მოკავშირე პროლეტარიატი მოვიდოდეს ჩვენს დასახმარებლად, მასთან ერთად კი ჩვენ დავამარცხებთ ყველა იმპერიალისტსა და ყველა კაპიტალისტს.

სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტია» № 47,
1918 წ. 14 მარტი

იბეჭდება სრულიად რუსეთის
ცაკის გაზეთ «იზვესტიის» ტექსტის
მიხედვით, რომელიც შედარებულია
სტენოგრამასთან

სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობა[65]

1918 წ. 14—16 მარტი

1

პროექტი რეზოლუციისა ვილსონის მომართვის გამო [66]

ყრილობა მადლობას უცხადებს ამერიკელ ხალხს და პირველ რიგში ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელ და ექსპლოატირებულ კლასებს პრეზიდენტ ვილსონის მიერ რუსი ხალხისადმი თანაგრძნობის გამოთქმის გამო, საბჭოების ყრილობის საშუალებით, იმ დღეებში, როცა რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მძიმე განსაცდელშია.

გახდა რა ნეიტრალურ ქვეყნად, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა სარგებლობს მისდამი პრეზიდენტ ვილსონის მომართვით, რათა გამოუცხადოს ყველა ხალხს, რომლებიც ილუპებიან და იტანჯებიან იმპერიალისტური ომის საშინელებათაგან, თავისი მხურვალე თანაგრძნობა და მტკიცე რწმენა, რომ შორს აღარაა ის ბედნიერი დრო, როცა ყველა ბურჟუაზიული ქვეყნის მშრომელი მასები დაამხობენ კაპიტალის უღელს და დაამყარებენ საზოგადოების სოციალისტურ წყობილებას, რომელსაც ერთადერთს შეუძლია უზრუნველყოს მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა, აგრეთვე ყველა მშრომელის კულტურა და კეთილდღეობა.

დაწერილია 1918 წ. 13 ან 14 მარტს

დაიბეჭდა 1918 წ. 15 მარტს
გაზეთ «პრავდაში» № 49

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

2

მოხსენება საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ 14 მარტს

ამხანაგებო, ჩვენ დღეს უნდა გადავწყვიტოთ ის საკითხი, რომელიც მოასწავებს შემობრუნების პუნქტს რუსეთის რევოლუციის, და არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო რევოლუციის განვითარებაშიც. და იმისათვის, რომ მართებულად გადავჭრათ საკითხი იმ უმძიმესი ზავისა, რომელიც შეკრეს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბრესტ-ლიტოვსკში და რომლის დამტკიცების, ანუ რატიფიკაციის წინადადებასაც იძლევა საბჭოთა ხელისუფლება, იმისათვის, რომ მართებულად გადავჭრათ ეს საკითხი, ჩვენთვის ყველაზე უფრო საჭიროა შევიგნოთ იმ შემობრუნების ისტორიული აზრი, რომელთანაც ჩვენ დავდექით, გავიგოთ, რაში მდგომარეობდა დღემდე რევოლუციის განვითარების მთავარი თავისებურება, და რაში მდგომარეობს ძირითადი მიზეზი იმ მძიმე დამარცხებისა და იმ მძიმე განსაცდელის ეპოქისა, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ.

მე მგონია, უთანხმოებათა მთავარ წყაროს საბჭოთა პარტიების წრეში ამ საკითხის შესახებ წარმოადგენს სწორედ ის, რომ ზოგიერთები მეტისმეტად ეძლევიან კანონიერი და სამართლიანი აღშფოთების გრძნობას იმპერიალიზმის მიერ საბჭოთა რესპუბლიკის დამარცხების გამო, მეტისმეტად ეძლევიან ხანდახან სასოწარკვეთილებას და, იმის ნაცვლად, რომ გაითვალისწინონ რევოლუციის განვითარების ისტორიული პირობები, როგორც ისინი ჩამოყალიბდნენ ახლანდელი ზავის წინ და როგორც გვესახება ისინი ზავის შემდეგ, ამის ნაცვლად, ცდილობენ რევოლუციის ტაქტიკის საკითხს უშუალო

გრძნობის მიხედვით უპასუხონ. ნამდვილად კი, რევოლუციების ყველა ისტორიის მთელი გამოცდილება გვასწავლის, რომ როცა საქმე გვაქვს ყოველ მასობრივ მოძრაობასთან ან კლასობრივ ბრძოლასთან, განსაკუთრებით ისეთთან, როგორიც თანამედროვე კლასობრივი ბრძოლაა, რომელიც ჩაღდება არა მარტო ერთი, თუნდაც უზარმაზარი ქვეყნის მთელ მანძილზე, არამედ მოიცავს მთელ საერთაშორისო ურთიერთობას, — ამ შემთხვევაში ჩვენს ტაქტიკას, უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად, აუცილებლად საფუძვლად უნდა დავუდოთ ობიექტური მდგომარეობის აღრიცხვა, განვიხილოთ ანალიტიკურად, როგორი იყო რევოლუციის მსვლელობა აქამდე და რატომ ასე მრისხანედ, ასე მძაფრად, ჩვენთვის ასე არახელსაყრელად შეიცვალა იგი.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ჩვენი რევოლუციის განვითარებას, ნათლად დავინახავთ, რომ აქამდე ის განიცდიდა შედარებითი და მეტწილად მოჩვენებითი თვითმყოფობისა და საერთაშორისო ურთიერთობისაგან დროებითი დამოუკიდებლობის პერიოდს. ის გზა, რომლითაც მიდიოდა ჩვენი რევოლუცია 1917 წ. თებერვლის დამლევიდან მიმდინარე წლის 11 თებერვლამდე, როცა დაიწყო გერმანელთა შემოტევა, — ეს გზა საერთოდ და მთლიანად ადვილი და სწრაფი წარმატებების გზა იყო. თუ ამ რევოლუციის განვითარებას შევხედავთ საერთაშორისო მასშტაბით, მხოლოდ რუსეთის რევოლუციის განვითარების თვალსაზრისით, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ წლის განმავლობაში განვიცადეთ სამი პერიოდი. პირველი პერიოდი, როცა ყოველივე იმასთან ერთად, რაც მოწინავე, შეგნებული, მოძრავი იყო გლეხობაში, რუსეთის მუშათა კლასმა, რომელსაც მხარს უჭერდა არა მარტო წვრილი ბურჟუაზია, არამედ მსხვილი ბურჟუაზიაც, რამდენიმე დღეში აღგავა მონარქია. ეს თავბრუდამხვევი წარმატება აიხსნება იმით, რომ რუსმა ხალხმა, ერთი მხრით, 1905 წლის გამოცდილებიდან მიიღო რევოლუციური ბრძოლისუნარიანობის უზარმაზარი მარაგი, მეორე მხრით, იმით, რომ რუსეთი, როგორც განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყანა, განსაკუთრებით დაზარალდა ომისაგან და

განსაკუთრებით ადრე მივიდა სრულ შეუძლებლობამდე განეგრძო ეს ომი ძველი რეჟიმის პირობებში.

ხანმოკლე აზვირთებულ წარმატებას, როცა შეიქმნა ახალი ორგანიზაცია, — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაცია, — ჩვენი რევოლუციისათვის მოჰყვა გარდამავალი პერიოდის გრძელი თვეები, — პერიოდისა, როცა ბურჟუაზიის ხელისუფლებას, რომელსაც ერთბაშად გამოუთხარეს ძირი საბჭოებმა, მხარს უჭერდნენ და ამაგრებდნენ წვრილბურჟუაზიული შემთანხმებელი პარტიები — მენშევიკები და ესერები, რომელნიც ამ ხელისუფლებას ეხმარებოდნენ. ეს იყო ხელისუფლება, რომელიც მხარს უჭერდა იმპერიალისტურ ომს, იმპერიალისტურ საიდუმლო ხელშეკრულებებს, რომელიც მუშათა კლასს დაპირებებით კვებავდა, ხელისუფლება, რომელიც სრულიად არაფერს არ აკეთებდა, რომელიც ხელს უწყობდა ნგრევას. აი ამ ჩვენთვის, რუსეთის რევოლუციისთვის ხანგრძლივ პერიოდში აგროვებდნენ თავიანთ ძალებს საბჭოები; ეს იყო რუსეთის რევოლუციისათვის ხანგრძლივი, ხოლო საერთაშორისო თვალსაზრისით ხანმოკლე პერიოდი, იმიტომ რომ ცენტრალური ქვეყნების უმეტეს ნაწილში წვრილბურჟუაზიული ილუზიების აღმოფხვრის პერიოდი, სხვადასხვა პარტიების, ფრაქციების, ელფერთა შემთანხმებლობის განცდის პერიოდი იკავებდა არა თვეებს, არამედ გრძელ ათეულ წლებს, — ამ პერიოდს, 20 აპრილიდან და ივნისში იმპერიალისტური ომის განახლებიდან კერენსკის მიერ, რომელიც ჯიბეში ატარებდა საიდუმლო იმპერიალისტურ ხელშეკრულებას, — გადამწყვეტი როლი ჰქონდა. ამ პერიოდში ჩვენ განვიცადეთ ივლისის დამარცხება, განვიცადეთ კორნილოვშჩინა და მხოლოდ მასობრივი ბრძოლის გამოცდილებით, მხოლოდ მაშინ, როცა მუშათა და გლეხთა უფართოესმა მასებმა არა ქადაგებით, არამედ საკუთარი გამოცდილებით დაინახეს წვრილბურჟუაზიული შემთანხმებლობის მთელი ამაოება,— მხოლოდ მაშინ, ხანგრძლივი პოლიტიკური განვითარების შემდეგ, ხანგრძლივი მზადების და პარტიულ დაჯგუფებათა სულისკვეთებასა და შეხედულებებში მომხდარი ცვლილების შემდეგ

შეიქმნა ნიადაგი ოქტომბრის გადატრიალებისათვის, და დადგა მესამე პერიოდი რუსეთის რევოლუციისა მის პირველ ხანაში, რომელიც საერთაშორისო რევოლუციისაგან მოწყვეტილი თუ დროებით დაშორებული იყო.

ეს მესამე, ოქტომბრის პერიოდი, პერიოდი ორგანიზაციისა, ყველაზე უფრო ძნელი და ამავე დროს ყველაზე უფრო დიდი და ყველაზე სწრაფი ტრიუმფების პერიოდია. ოქტომბრიდან ჩვენი რევოლუცია, რომელმაც ძალაუფლება რევოლუციურ პროლეტარიატს გადასცა, რომელმაც მისი დიქტატურა დაამყარა, რომელმაც უზრუნველყოფილი გახადა მისთვის პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერა, ოქტომბრიდან ჩვენი რევოლუცია ძლევამოსილი, ტრიუმფალური მსვლელობით მიდიოდა. რუსეთის ყოველ კუთხეში დაიწყო სამოქალაქო ომი იმპერიალისტური ბურჟუაზიის ერთი ნაწილის მიერ ზურგგამაგრებული ექსპლოატატორების, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგობის სახით.

დაიწყო სამოქალაქო ომი, და ამ სამოქალაქო ომში საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ძალები, მშრომელი და ექსპლოატირებული მასების მტერთა ძალები სრულიად უმნიშვნელო აღმოჩნდა; სამოქალაქო ომი საბჭოთა ხელისუფლების ერთიან ტრიუმფს წარმოადგენდა, იმიტომ რომ მის მოწინააღმდეგეთ, ექსპლოატატორებს, მემამულეებსა და ბურჟუაზიას, არ ჰქონდათ არავითარი, არც პოლიტიკური და არც ეკონომიური დასაყრდენი, და მათი თავდასხმა დამარცხდა. მათ წინააღმდეგ ბრძოლა შეიცავდა იმდენად არა სამხედრო მოქმედებას, რამდენადაც აგიტაციას; ფენა ფენაზე, მასა მასაზე, მშრომელი კაზაკობის ჩათვლით, შორდებოდა იმ ექსპლოატატორებს, რომელნიც ცდილობდნენ მის მოწყვეტას საბჭოთა ხელისუფლებისაგან.

პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების ძლევამოსილი, ტრიუმფალური მსვლელობის ეს პერიოდი, როცა მან უცილობლივ, გადაჭრით და სამუდამოდ გადმოიყვანა თავის მხარეზე რუსეთის მშრომელთა და ექსპლოატირე-

ბულთა უზარმაზარი მასები, მოასწავებდა რუსეთის რევოლუციის განვითარების უკანასკნელ და უმაღლეს პუნქტს, რევოლუციისა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში საერთაშორისო იმპერიალიზმისაგან თითქოსდა დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. ეს იყო იმის მიზეზი, თუ ყველაზე უფრო ჩამორჩენილი და რევოლუციისათვის 1905 წლის გამოცდილებით ყველაზე უფრო მომზადებული ქვეყანა რატომ ასე სწრაფად, ასე ადვილად, ასე გეგმაშეწონილად აყენებდა ხელისუფლების სათავეში ერთიმეორის მიყოლებით კლასს კლასზე, იშორებდა რა ცალკეულ პოლიტიკურ შემადგენლობათ, და ბოლოს მივიდა იმ პოლიტიკურ შემადგენლობამდე, რომელიც იყო უკანასკნელი სიტყვა არა მარტო რუსეთის რევოლუციისა, არამედ დასავლეთ ევროპის მუშათა რევოლუციებისაც, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა რუსეთში და მოიპოვა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა სამუდამო სიმპათიები, იმიტომ რომ მოსპო სახელმწიფო ძალაუფლების ძველი მჩაგვრელი აპარატი, იმიტომ რომ მან ძირითადად შექმნა სახელმწიფოს ახალი და უმაღლესი ტიპი, როგორიც იყო ჩანასახში პარიზის კომუნა, რომელმაც დაამხო ძველი აპარატი და მის ადგილას უშუალოდ წამოაყენა მასების შეიარაღებული ძალა, რომელმაც ბურჟუაზიულ-პარლამენტური დემოკრატიზმი შეცვალა მშრომელი მასების დემოკრატიზმით — ექსპლოატატორთა გამოკლებით — და რომელიც სისტემატურად თრგუნავდა მათ წინააღმდეგობას.

აი რა მოიმოქმედა რუსეთის რევოლუციამ ამ პერიოდში, აი რატომ შეიქმნა რუსეთის რევოლუციის პატარა ავანგარდში იმის შთაბეჭდილება, რომ რუსეთის რევოლუციის ამ ტრიუმფალურ სვლას, მის ამ ჩქარ მსვლელობას შეუძლია იმედი ჰქონდეს შემდგომი გამარჯვებისა. და ამაში მდგომარეობდა შეცდომა, იმიტომ რომ პერიოდს, როცა რუსეთის რევოლუცია ვითარდებოდა, გადასცემდა რა რუსეთში ძალაუფლებას ერთი კლასის ხელიდან მეორე კლასის ხელში და სპობდა რა კლასობრივ შემთანხმებლობას მარტო რუსეთის ფარგლებში, — ამ პერიოდს შეეძლო ისტორიულად ეარსებნა მხოლოდ იმი-

ტომ, რომ მსოფლიო იმპერიალიზმის მტაცებელთა უდიდესი ბუმბერაზები დროებით შეჩერებული იყვნენ თავიანთ შეტევითს მოძრაობაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ; იმ რევოლუციას, რომელმაც რამდენიმე დღეში დაამხო მონარქია, რამდენიმე თვეში ამოსწურა ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის ყოველი ცდა და რამდენიმე კვირის სამოქალაქო ომში დაამარცხა ბურჟუაზიის ყოველგვარი წინააღმდეგობა, — ასეთ რევოლუციას, სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციას, შეეძლო იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, მსოფლიო მტაცებლების გარემოში, საერთაშორისო იმპერიალიზმის მხეცების გვერდით გაეძლო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ბურჟუაზია, ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული, ღონემიხდილი იყო თავის შეტევაში რუსეთის წინააღმდეგ.

და აი დაიწყო ის პერიოდი, რომელსაც ასე თვალსაჩინოდ და ასე მძიმედ ვგრძნობთ, — პერიოდი უმძიმესი დამარცხებებისა, უმძიმესი განსაცდელისა რუსეთის რევოლუციისათვის, პერიოდი, როცა, ნაცვლად რევოლუციის მტრების წინააღმდეგ სწრაფი, პირდაპირი და აშკარა შეტევისა, ჩვენ გვიხდება უმძიმეს დამარცხებათა გადატანა და უკანდახევა იმ ძალის წინაშე, რომელიც ჩვენს ძალაზე შეუდარებლად უფრო დიდია,—საერთაშორისო იმპერიალიზმისა და ფინანსური კაპიტალის ძალის წინაშე, სამხედრო ძლიერების წინაშე, რომელიც მთელმა ბურჟუაზიამ, თავისი თანამედროვე ტექნიკით და მთელი ორგანიზაციით, შეაკავშირა ჩვენს წინააღმდეგ წვრილ ხალხთა საძარცვავად, დასაჩაგრავად და დასახრჩობად; ჩვენ უნდა გვეფიქრა ძალთა გაწონასწორებაზე, ჩვენ უნდა დავმდგარიყავით შეუდარებლად უფრო ძნელი ამოცანის წინაშე, ჩვენ უნდა შევხვედროდით პირდაპირ შეტაკებაში არა იმისთანა მტერს, როგორიც რომანოვი და კერენსკია, რომელთა სათვალავში ჩაგდება სერიოზულად არ შეიძლება, — ჩვენ უნდა შევხვედროდით საერთაშორისო ბურჟუაზიის ძალებს მთელი მისი სამხედრო-იმპერიალისტური ძლიერებით, პირისპირ შევყროდით მსოფლიო მტაცებლებს. და გასაგებია, რომ,

საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატის მხრივ დახმარების დაგვიანების გამო, ჩვენ მოგვიხდა ჩვენს თავზე მიგვეღო ამ ძალებთან შეტაკება და უმძიმესი დამარცხების განცდა.

და ეს ეპოქა — ეპოქაა მძიმე დამარცხებათა, ეპოქა უკანდახევათა, ეპოქა, როცა ჩვენ უნდა გადავარჩინოთ პოზიციის თუნდ მცირედი ნაწილი მაინც, დავიხიოთ იმპერიალიზმის წინაშე, შევიცადოთ იმ დრომდე, როცა შეიცვლება საზოგადოდ საერთაშორისო პირობები, სანამ მოგვეშველებიან ევროპის პროლეტარიატის ის ძალები, რომლებიც იქ არიან, რომლებიც მწიფდებიან, რომელთაც არ შეეძლოთ ჩვენსავით ადვილად გასწორებოდნენ თავიანთ მტერს, ვინაიდან უდიდესი ილუზია და უდიდესი შეცდომა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ რუსეთის რევოლუცია ადვილად დაიწყებდა, და ძნელი იქნებოდა შემდგომი ნაბიჯების გადადგმა. ეს აუცილებლივ ასე იყო, იმიტომ რომ ჩვენ გვიხდებოდა დაწყება ყველაზე დამპალი, ჩამორჩენილი პოლიტიკური წყობილებიდან. ევროპის რევოლუციას უხდება დაიწყოს ბურჟუაზიიდან, უხდება საქმე ჰქონდეს შეუდარებლად უფრო სერიოზულ მტერთან, გაცილებით უფრო მძიმე პირობებში. ევროპის რევოლუცია განუზომლად უფრო ძნელი დასაწყებია. ჩვენ ვხედავთ, რომ მისთვის განუზომლად უფრო ძნელია პირველად შეანგრიოს ის წყობილება, რომელიც მას თრგუნავს. მისთვის გაცილებით უფრო ადვილი იქნება თავისი რევოლუციის მეორე და მესამე საფეხურზე ასვლა. და ეს არც შეიძლება სხვანაირად იყოს რევოლუციური და რეაქციული კლასების ძალთა იმ თანაფარდობის გამო, რაც ამჟამად საერთაშორისო ასპარეზზე არსებობს. ეს ის ძირითადი შემობრუნება, რასაც მუდამ მხედველობიდან უშვებენ ის ადამიანები, რომელნიც რევოლუციის ახლანდელ მდგომარეობას, მის არაჩვეულებრივ მძიმე მდგომარეობას უყურებენ არა ისტორიული თვალსაზრისით, არამედ გრძნობისა და აღშფოთების თვალსაზრისით. ისტორიის გამოცდილებაც გვეუბნება, რომ ყოველთვის, ყველა რევოლუციაში, — ისეთი პერიოდის განმავლობაში, როცა რევოლუცია განიცდიდა მძაფრ გარდატეხას და სწრაფი გამარჯვებებიდან

მძიმე დამარცხებების პერიოდზე გადასვლას, — დგებოდა ხოლმე პერიოდი ფსევდორევოლუციური ფრაზისა, რომელიც ყოველთვის უდიდეს ზიანს აყენებდა რევოლუციის განვითარებას. და აი, ამხანაგებო, მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ ამოცანად დავისახავთ იმ გარდატეხის გათვალისწინებას, რომელმაც გადაგვისროლა სწრაფი, ადვილი და სრული გამარჯვებებიდან მძიმე დამარცხებებისაკენ, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება სწორად შევაფასოთ ჩვენი ტაქტიკა. ეს საკითხი, — შეუდარებლად ძნელი, შეუდარებლად მძიმე საკითხი, — რომელიც წარმოადგენს გარდამტეხი პუნქტის შედეგს რევოლუციის დღევანდელ განვითარებაში, — ადვილი გამარჯვებიდან შიგნით არაჩვეულებრივ მძიმე დამარცხებებისაკენ გარეთ, — და გარდამტეხ პუნქტს მთელ საერთაშორისო რევოლუციაში, რუსეთის რევოლუციის პროპაგანდისტულ-აგიტაციური მოქმედების ეპოქიდან იმპერიალიზმის შეცდითი მდგომარეობის დროს, იმ ეპოქიდან — იმპერიალიზმის შეტევითი მოქმედებებისაკენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, — განსაკუთრებით მძიმედ და განსაკუთრებით მწვავედ აყენებს საკითხს მთელი საერთაშორისო დასავლეთ-ევროპული მოძრაობის წინაშე. თუ ჩვენ არ დავივიწყებთ ამ ისტორიულ მომენტს, მოგვიხდება გარკვევა იმაში, თუ როგორ შეიქმნა რუსეთის ინტერესების ძირითადი წრე ახლანდელი, უმძიმესი, ეგრეთწოდებული, უხამსი ზავის საკითხში.

პოლემიკაში იმათ წინააღმდეგ, ვინც უარყოფდა ამ ზავის მიღების აუცილებლობას, არა ერთხელ შემხვედრია იმაზე მითითება, თითქოს ზავის ხელმოწერის თვალსაზრისი გამოხატავდეს მხოლოდ დაღლილი გლეხური მასების, დეკლასირებული ჯარისკაცების ინტერესებს, და სხვა და სხვა. და ასეთი დამოწმებისა და ასეთი მითითებების გამო მე ყოველთვის მაკვირვებდა ის, თუ როგორ ივიწყებენ ამხანაგები ნაციონალური ეანვითარების კლასობრივ მასშტაბს. ის ადამიანები, რომელნიც განსაკუთრებით ეძებენ თავიანთ ახსნა-განმარტებას, — თითქოს პროლეტარიატის პარტია, რომელიც ძალაუფლებას იღებდა, წინდაწინვე არ ითვალისწინებდა, რომ

მხოლოდ პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის, ე. ი. რუსეთის გლეხობის უმრავლესობის კავშირს, რომ მხოლოდ ამგვარ კავშირს შეუძლია მისცეს ძალაუფლება რუსეთში საბჭოების — ხალხის უმრავლესობის, ნამდვილი უმრავლესობის რევოლუციურ ხელისუფლებას, — რომ უამისოდ უაზროა ხელისუფლების დამყარების ყოველგვარი ცდა, განსაკუთრებით ისტორიის ძნელი შემობრუნების ხანებში. თითქოს შეიძლებოდეს ახლა ამ ჩვენს მიერ საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტების თავიდან მოცილება და გლეხებისა და დეკლასირებული ჯარისკაცების დაქანცული მდგომარეობის ათვალწუნებული მოხსენიებით დაკმაყოფილება. გლეხობისა და დეკლასირებული ჯარისკაცების დაქანცული მდგომარეობის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყანა წინააღმდეგობას გაუწევს, რომ უღარიბეს გლეხობას მხოლოდ იმ ფარგლებში შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს, რა ფარგლებშიც ამ უღარიბეს გლეხობას ძალუძს წარმართოს საბრძოლველად თავისი ძალები.

როდესაც ჩვენ ძალაუფლებას ვიღებდით ოქტომბერში, ცხადი იყო, რომ მოვლენათა მსვლელობა იწვევს ამას აუცილებლობით, რომ საბჭოების მობრუნება ბოლშევიზმისაკენ მოასწავებს მობრუნებას მთელ ჩვენს ქვეყანაში, რომ ბოლშევიზმის ძალაუფლება აუცილებელია. როცა ჩვენ, გვესმოდა რა ეს, მივდიოდით ძალაუფლების ასაღებად ოქტომბერში, ჩვენ სრულიად ნათლად და მკაფიოდ ვეუბნებოდით ჩვენს თავს და მთელ ხალხს, რომ ეს არის ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ხელში, რომ პროლეტარიატმა იცის, რომ გლეხობა მას მხარს დაუჭერს, ხოლო რაში — თქვენ თვითონ იცით: მის აქტიურ ბრძოლაში ზავისათვის, მის მზადყოფნაში შემდგომი ბრძოლის განსაგრძობად მსხვილი ფინანსური კაპიტალის წინააღმდეგ. ამაში ჩვენ არ ვცდებით, და არავის არ შეუძლია, თუ რამდენიმედ მაინც დარჩება კლასობრივ ძალთა და კლასობრივ ურთიერთობათა ფარგლებში, განუდგეს იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მოვთხოვოთ წვრილგლეხურ ქვეყანას,

რომელმაც ამდენი რამ გააკეთა როგორც ევროპის, ისე საერთაშორისო რევოლუციისათვის, ბრძოლა აწარმოოს იმ მძიმე და უაღრესად მძიმე პირობის ვითარებაში, როცა დახმარება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის მხრიდან, უეჭველად, მოდის ჩვენსკენ, — ეს დაამტკიცეს ფაქტებმა, გაფიცვებმა და სხვ., — მაგრამ როცა ამ, ჩვენსკენ მომავალმა დახმარებამ, უეჭველად, დაიგვიანა. აი რატომ ვამბობ მე, რომ ამგვარი მიითითება გლეხური მასების დაღლილობაზე და სხვ. წარმოადგენს მხოლოდ საბუთების უქონლობისა და იმათი სრული უმწეობის შედეგს, ვინც ამ საბუთებს მიმართავს, წარმოადგენს მათში იმის ყოველგვარი შესაძლებლობის სრულ უქონლობას, რომ გაითვალისწინონ ყველა კლასობრივი ურთიერთობა მთლიანად, მათი საერთო მასშტაბით — პროლეტარიატისა და გლეხობის უმრავლესობის რევოლუციები; მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ ისტორიის ყოველი მძაფრი შემობრუნების დროს მთლიანად კლასების, ყველა კლასის თანაფარდობას ვითვალისწინებთ, და არა ვირჩევთ ცალკეულ მაგალითებსა და ცალკეულ კაზუსებს, მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ ჩვენ, რომ მტკიცედ ვდგავართ სარწმუნო ფაქტების ანალიზის ნიადაგზე. მე სავსებით მესმის, რომ რუსეთის ბურჟუაზია ახლა ჩვენ რევოლუციური ომისაკენ გვიბიძგებს მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელია. ამას მოითხოვს ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები.

როდესაც ისინი ყვირიან მხოლოდ: უხამსი ზავიო, და კრინტსაც არ სძრავენ იმაზე, თუ ვინ მიიყვანა არმია ამ მდგომარეობამდე, მე სავსებით მესმის, რომ ეს — ბურჟუაზია დელონაროდელებსა, მენშევიკებსა, წერეთლელებსა, ჩერნოველებსა და მათ დამქაშებთან ერთად (ტ ა შ ი), მე სავსებით მესმის, რომ ეს — ბურჟუაზია ყვირის რევოლუციური ომის შესახებ. ამას მოითხოვს მისი კლასობრივი ინტერესები, ამას მოითხოვს მისი მისწრაფება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ყალბი ნაბიჯი გადადგას. ეს გასაგებია იმ ადამიანებისაგან, რომელნიც, ერთი მხრით, ფურცლებს აევსებენ თავიანთი კონტრრევოლუციური ნაწერებით... (ხ მ ე ბ ი: «დახურეს ყველა»). სამწუხაროდ,

ყველა ჯერ კიდევ არა, მაგრამ დავხურავთ ყველას. (ტ ა შ ი). მინდოდა შემეხედა იმ პროლეტარიატისათვის, რომელიც ნებას მისცემს კონტრრევოლუციონერებს, ბურჟუაზიის მომხრეებს და მასთან შემთანხმებლებს — განაგრძონ სიმდიდრეთა მონოპოლიის გამოყენება ხალხის გასაბრუებლად თავისი, ბურჟუაზიული ოპიუმით. ასეთი პროლეტარიატი არ ყოფილა. (ტ ა შ ი).

მე სავსებით მესმის, რომ ამგვარ გამოცემათა ფურცლებიდან განუწყვეტელი ღმუილი, მოთქმა და ყვირილი ისმის უხამსი ზავის წინააღმდეგ, მე სავსებით მესმის, რომ ამ რევოლუციურ ომს ემხრობიან ისეთი ადამიანები, რომელნიც ამავე დროს, კადეტებიდან მემარჯვენე ესერებამდე, გერმანელებს ეგებებიან მათი შემოტევისას და ზეიმით ამბობენ: აი გერმანელებიო, და ასეირნებენ თავიანთ სამხრეებიან ოფიცრებს გერმანიის იმპერიალიზმის შემოსევით დაკავებულ ადგილებში. დიახ, ასეთი ბურჟუებისაგან, ასეთი შემთანხმებლებისაგან მე სრულიად არ მაკვირვებს რევოლუციური ომის ქადაგება. მათ სურთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მახეში გაებას. მათ, ამ ბურჟუებმა და ამ შემთანხმებლებმა, გამოააშკარავეს თავისი თავი. ჩვენ ისინი ვნახეთ და ვხედავთ მათ ცოცხლივ, ჩვენ ვიცით, რომ აი, უკრაინაში არიან უკრაინელი კერენსკები, უკრაინელი ჩერნოვები და უკრაინელი წერეთლები, — აი ისინი, ვაჟბატონი ვინიჩენკოები. აი ამ ვაჟბატონებმა, უკრაინელმა კერენსკებმა, ჩერნოვებმა, წერეთლებმა დაუმალეს ხალხს ის ზავი, რომელიც მათ დასდეს გერმანელ იმპერიალისტებთან, და ისინი ახლა, გერმანელთა ხიშტების დახმარებით, ცდილობენ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება უკრაინაში. აი რა გააკეთეს იმ ბურჟუებმა და იმ შემთანხმებლებმა და მათმა თანამოაზრეებმა. აი რა ჩაიდინეს ამ უკრაინელმა ბურჟუებმა და შემთანხმებლებმა, რომელთა მაგალითი თვალწინ გვიდგას აშკარად, რომლებმაც დაუმალეს და უმალავენ ხალხს თავიანთ საიდუმლო ხელშეკრულებებს და რომელნიც გერმანული ხიშტებით მოდიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აი რა სურს რუსეთის ბურჟუაზიას, აი საით უბიძ-

გებენ შეგნებულად თუ შეუგნებლად საბჭოთა ხელისუფლებას ბურჟუაზიის დამქაშები: მათ იციან, რომ მას ამჟამად არასგზით არ შეუძლია მიიღოს იმპერიალისტური ომი ძლიერ იმპერიალიზმთან. აი რატომაა, რომ მხოლოდ ამ საერთაშორისო ვითარებაში, მხოლოდ ამ საერთო კლასობრივ ვითარებაში გავიგებთ ჩვენ იმათი შეცდომის მთელ სიღრმეს, ვინც, მემარცხენე ესერების პარტიის მსგავსად, გაატაცებინა თავი თეორიას, რომელიც ჩვეულებრივია რევოლუციათა ყველა ისტორიის მძიმე მომენტებში და რომელიც შეიცავს სანახევროდ სასოწარკვეთილებას, სანახევროდ ფრაზას, როცა, იმის ნაცვლად, რომ ფხიზლად შეხედონ სინამდვილეს და კლასობრივი ძალების თვალსაზრისით შეაფასონ რევოლუციის ამოცანები შინაური და გარეშე მტრების მიმართ, თქვენ მოგიწოდებენ სერიოზული და უმძიმესი საკითხი გადაწყვიტოთ გრძნობის ზეგავლენით, მხოლოდ გრძნობის თვალსაზრისით. ზავი წარმოუდგენლად მძიმე, და სამარცხვინოა. მე თვითონ ჩემს განცხადებებსა და სიტყვებში არა ერთხელ მიწოდებია მისთვის ტილზიტის ზავი, რომელიც დამპყრობმა ნაპოლეონმა მოახვია თავზე პრუსიელ და გერმანელ ხალხებს მთელ რიგ უმძიმეს დამარცხებათა შემდეგ. დიახ, ეს ზავი წარმოადგენს უმძიმეს დამარცხებას და ამცირებს საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ თუ თქვენ, აქედან გამოსულნი, ამით დაკმაყოფილებულნი, მიმართავთ გრძნობას, იწვევთ აღშფოთებას, ცდილობთ გადაწყვიტოთ უდიდესი ისტორიული საკითხი, ამით თქვენ ვარდებით იმ სასაცილო და საცოდავ მდგომარეობაში, რომელშიც ერთხელ ჩავარდა ესერების მთელი პარტია, როცა 1907 წელს, განსაზღვრული თვისებებით რამდენიმედ მსგავსი სიტუაციის დროს, ის აგრეთვე მიმართავდა რევოლუციონერის გრძნობას, როცა, ჩვენი რევოლუციის უმძიმესი დამარცხების შემდეგ 1906 და 1907 წელს, სტოლიპინმა დაგვიწერა კანონები მესამე სათათბიროს შესახებ, — მუშაობის ყოვლად სამარცხვინო და უმძიმესი პირობები ერთ-ერთ ყველაზე საზიზღარ წარმომადგენლობითს დაწესებულებაში, როცა ჩვენმა პარტიამ, ცოტაოდენი შინაგანი მერყეობის შემდეგ, — (მერყეობა ამ

საკითხის შესახებ მეტი იყო, ვიდრე ახლა), — გადაწყვიტა საკითხი ისე, რომ ჩვენ უფლება არა გვაქვს ავყვეთ გრძნობას, რომ, რაგინდ დიდი იყოს ჩვენი აღშფოთება და გულისწყრომა ყოვლად სამარცხვინო მესამე სათათბიროს წინააღმდეგ, ჩვენ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ აქ შემთხვევითობა კი არა, ისტორიული აუცილებლობაა განვითარებადი კლასობრივი ბრძოლისა, რომელსაც შემდგომ აღარ ეყო ძალები, რომელიც მათ თავს მოუყრის იმ სამარცხვინო პირობებშიც კი, რაც ჩვენ გვიკარნახეს. ჩვენ მართალი აღმოვჩნდით. მათ, ვინც ცდილობდა რევოლუციური ფრაზით გატაცებას, სამართლიანობით გატაცებას, რამდენადაც უკანასკნელი გამოხატავდა სამგზის კანონიერ გრძნობას, მათ მიიღეს გაკვეთილი, რომელსაც არ დაივიწყებს არც ერთი გონიერი და მოაზროვნე რევოლუციონერი.

რევოლუციები არ მიმდინარეობენ ისე დაუბრკოლებლად, რომ ჩვენთვის უზრუნველყოფილი იყოს სწრაფი და ადვილი აღმავლობა. არ ყოფილა არც ერთი დიდი რევოლუცია, ეროვნულ ფარგლებშიც კი, რომელსაც არ განეცადოს დამარცხებათა მძიმე პერიოდი, და შეუძლებელია მასობრივ მოძრაობათა, განვითარებადი რევოლუციების სერიოზული საკითხისადმი ისე მიდგომა, რომ რევოლუციონერმა ზავი უხამსად, დამამცირებლად გამოაცხადოს და არ შეეძლოს მასთან შერიგება; არ კმარა სააგიტაციო ფრაზების მოყვანა, ჩვენი უთვალავჯერ გაკიცხვა ამ ზავის გამო, — ეს რევოლუციის აშკარა ანბანია, ეს ყველა რევოლუციის აშკარა გამოცდილებაა. ჩვენი გამოცდილება 1905 წლიდან, — და თუ ჩვენ რითიმე მდიდარი ვართ, თუ რისიმე მეოხებით რუსეთის მუშათა კლასს და უღარიბეს გლეხობას მოუხდათ მიეღოთ თავის თავზე საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის დაწყების უძნელესი და უაღრესად საპატიო როლი, ეს სწორედ იმიტომ, რომ რუსმა ხალხმა შესძლო, ისტორიულ გარემოებათა განსაკუთრებული შეერთების მეოხებით, XX საუკუნის დამდეგს მოეხდინა ორი დიდი რევოლუცია, — საჭიროა ვისწავლოთ ამ რევოლუციების გამოცდილება, უნდა შეგვეძლოს იმის გაგება, რომ, მხოლოდ

ერთი სახელმწიფოს მეორესთან კლასობრივი კავშირის თანაფარდობის ცვლილების მხედველობაში მიღებით, შეიძლება ცხადლივ დავადგინოთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ბრძოლა ამჟამად; ჩვენ ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს: როგორიც უნდა იყოს შესვენება, რა არამტკიცე, რა ხანმოკლე, მძიმე და დამამცირებელიც უნდა იყოს ზავი, იგი მაინც სჯობია ომს, ვინაიდან ის ამოსუნთქვის შესაძლებლობას აძლევს ხალხის მასებს, იმიტომ რომ იგი იძლევა საშუალებას გამოვასწოროთ ის, რაც გააკეთა ბურჟუაზიამ, რომელიც ახლა ყვირის ყველგან, სადაც კი შეუძლია იყვიროს, განსაკუთრებით კი დაკავებულ ოლქებში გერმანელთა მფარველობის ქვეშ.

ბურჟუაზია ყვირის იმაზე, რომ ვითომ ბოლშევიკებმა გახრწნეს არმია, რომ არმია აღარ არის, და ამაში ბოლშევიკები არიან დამნაშავენი, — მაგრამ გადავხედოთ წარსულს, ამხანაგებო, შევხედოთ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი რევოლუციის განვითარებას. განა თქვენ არ იცით, რომ ჩვენი არმიის გამოქცევა და გახრწნა დაიწყო დიდი ხნით ადრე რევოლუციამდე, ჯერ კიდევ 1916 წელს, რომ ყველამ, ვისაც კი უნახავს არმია, ეს უნდა აღიაროს? და მერე რა გააკეთა ჩვენმა ბურჟუაზიამ ამის თავიდან ასაცილებლად? განა ცხადი არაა, რომ ერთადერთი შანსი იმპერიალისტებისაგან დასახსნელად მაშინ მის ხელში იყო, რომ ეს შანსი არსებობდა მარტსა და აპრილში, როცა საბჭოთა ორგანიზაციებს შეეძლოთ ძალაუფლება აეღოთ ხელის უბრალო ამოძრავებით ბურჟუაზიის წინააღმდეგ, და საბჭოებს რომ აეღოთ მაშინ ძალაუფლება, რომ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, ესერებსა და მენშევიკებთან ერთად, იმის ნაცვლად, რომ კერენსკის დახმარებოდა ხალხის მოტყუებაში, საიდუმლო ხელშეკრულებათა დამალვაში და არმიის შეტევაზე გადაყვანაში, მაშინ რომ ის მიშველებოდა არმიას, მოემარაგებინა იგი იარაღით, სურსათით, ეიძულებინა ბურჟუაზია დახმარებოდა სამშობლოს მთელი ინტელიგენციის ხელშეწყობით, არა ჩარჩ-ვაჭრების სამშობლოს, არა ხალხის გაჟლეტის დამხმარე ხელშეკრულებათა

სამშობლოს (ტ ა შ ი), საბჭოებს რომ ეიძულებინათ ბურჟუაზია დახმარებოდა მშრომელების, მუშების სამშობლოს, რითაც დაეხმარებოდნენ ტანშიშველ, ფეხშიშველ, მშიერ არმიას,—მხოლოდ მაშინ გვექნებოდა ჩვენ, შეიძლება, ათი თვის პერიოდი, რაც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ არმიას ამოესუნთქა და აღმოგვეჩინა მისთვის ერთსულოვანი დახმარება, რათა მას, ფრონტიდან ერთი ნაბიჯითაც უკანდაუხევლად, წამოეყენებინა საყოველთაო დემოკრატიული ზავი, დაეფხრიწა საიდუმლო ხელშეკრულებანი, მაგრამ მდგარიყო ფრონტზე, ერთი ნაბიჯითაც უკანდაუხევლად. აი რაში იყო შანსი იმ ზავის მისაღებად, რომელსაც მუშები და გლეხები იძლეოდნენ და იწონებდნენ. ესაა ტაქტიკა სამშობლოს დაცვისა, არა რომანოვების, კერენსკების, ჩერნოვების სამშობლოსი, საიდუმლო ხელშეკრულებათა სამშობლოსი, გამყიდველი ბურჟუაზიის სამშობლოსი, არამედ მშრომელი მასების სამშობლოს დაცვისა. აი ვინ მიგვიყვანა იქამდე, რომ ომიდან რევოლუციაზე და რუსეთის რევოლუციიდან საერთაშორისო სოციალიზმზე გადასვლა ასეთი მძიმე განსაცდელით მიმდინარეობს. აი რატომ ისმის ასეთ ცარიელ ფრაზად ისეთი წინადადება, როგორიცაა რევოლუციური ომი, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ არმია არა გვყავს, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ არმიის შეკავება შეუძლებელი იყო, და საქმის მცოდნე ადამიანებს არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ ჩვენი ბრძანება დემობილიზაციის შესახებ გამოგონილი როდია, არამედ შედეგია აშკარა აუცილებლობისა, არმიის შეჩერების უბრალო შეუძლებლობისა. არმიის შეჩერება აღარ შეიძლებოდა. და მართალი აღმოჩნდა ის ოფიცერი, არა ბოლშევიკი, რომელიც ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალებამდე ამბობდა, რომ არმიას არ შეუძლია იომოს და არც იომებსო [67]. აი რა მოგვცა მთელი თვეობით ბურჟუაზიასთან ვაჭრობამ და ყველა სიტყვამ ომის განგრძობის აუცილებლობის შესახებ; რა კეთილშობილური გრძნობებითაც უნდა ყოფილიყო ეს სიტყვები ნაკარნახევი მრავალი რევოლუციონერის, თუ ზოგიერთი რევოლუციონერის მხრით, ისინი აღმოჩნდნენ ცარიელი რევოლუციური

ფრაზები, რომლებიც საერთაშორისო იმპერიალიზმის ხელში გვაგდებდა, რათა მას კიდევ იმდენი და კიდევ მეტი ეძარცვა, რამდენიც მან უკვე მოასწრო ჩვენი ტაქტიკური თუ დიპლომატიური შეცდომის შემდეგ — ბრესტის ხელშეკრულების ხელმოუწერლობის შემდეგ. როცა ჩვენ ვეუბნებოდით ზავის ხელმოწერის მოწინააღმდეგეთ: შესვენება რომ რამდენიმედ მაინც ხანგრძლივი იყოს, თქვენ გაიგებდით, რომ არმიის გაჯანსაღების ინტერესები, მშრომელი მასების ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას და რომ ზავი უნდა დაიდოს ამის გულისთვის, — ისინი ამტკიცებდნენ, შესვენება ყოვლად შეუძლებელიაო.

მაგრამ ჩვენი რევოლუცია ყველა წინანდელი რევოლუციისაგან სწორედ იმით განსხვავდებოდა, რომ მან მასებში აღძრა მშენებლობისა და შემოქმედების წყურვილი, როდესაც მშრომელი მასები სრულიად მიყრუებულ სოფლებშიც კი, მათი მეფეების, მემამულეებისა და ბურჟუაზიის მიერ დამცირებული, დაბეჩავებული, დაჩაგრული მასები დგებიან, და რევოლუციის ეს პერიოდი მთავრდება მხოლოდ ახლა, როცა ხდება სოფლის რევოლუცია, რომელიც ცხოვრებას ახლებურად აშენებს. და ამ შესვენების გულისთვის, რაც უნდა ხანმოკლე და მცირე იყოს იგი, ჩვენ ვალდებული ვართ, თუ მშრომელი მასების ინტერესებს იმ ბურჟუაზიულ მოლაშქრეთა ინტერესებზე მაღლა ვაყენებთ, რომელნიც ხმალს იქნევენ და საბრძოლველად მოგვიწოდებენ, ჩვენ ვალდებული ვიყავით ხელი მოგვეწერა ამ ხელშეკრულებაზე. აი რას გვასწავლის რევოლუცია. რევოლუცია გვასწავლის, რომ, როცა ჩვენ მოგვდის დიპლომატიური შეცდომები, როცა გვგონია, რომ გერმანელი მუშები მოვლენ ხვალ ჩვენს დასახმარებლად, იმ იმედით, რომ ლიბკნეხტი გაიმარჯვებს ამჟამად (ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ასე თუ ისე ლიბკნეხტი გაიმარჯვებს, ეს აუცილებელია მუშათა მოძრაობის განვითარებაში (ტ ა შ ი)), ეს ნიშნავს, რომ, გატაცების დროს, ძნელი სოციალისტური მოძრაობის რევოლუციური ლოზუნგები ფრაზად იქცევა. და მშრომელთა არც ერთი წარმომადგენელი, არც ერთი პატიოსანი მუშა არ იტყვის უარს

უდიდესი მსხვერპლი მიიტანოს გერმანიის სოციალისტური მოძრაობის დასახმარებლად, იმიტომ რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მან ფრონტზე ისწავლა გარჩევა გერმანელ იმპერიალისტებსა და გერმანული დისციპლინით დატანჯულ, მეტნაწილად ჩვენს თანამგრძნობ ჯარისკაცებს შორის. აი რატომ ვამბობ მე, რომ რუსეთის რევოლუციამ პრაქტიკულად გამოასწორა ჩვენი შეცდომა, გამოასწორა ის ამ შესვენებით. ალბათ, ის ძალიან ხანმოკლე იქნება, მაგრამ ჩვენ გვაქვს თუნდაც უმოკლესი შესვენების შესაძლებლობა, რათა არმია, რომელიც დაიტანჯა, დაიმშა, გაიმსჭვალოს იმის შეგნებით, რომ მან მიიღო ოდნავი დასვენების შესაძლებლობა. ჩვენთვის ცხადია, რომ ძველი იმპერიალისტური ომების პერიოდი დამთავრდა, და გვემუქრება ახალი ომების დაწყების ახალი საშინელებანი, მაგრამ ასეთი ომების პერიოდები იყო მრავალ ისტორიულ ეპოქაში, ამასთან ისინი ყველაზე უფრო მწვავდებოდნენ მათი დამთავრების წინ. და საჭიროა, რომ ეს გაიგონ არა მარტო მიტინგებზე პეტროგრადსა და მოსკოვში; საჭიროა, რომ ეს გაიგოს სოფლებში მრავალმა ათეულმა მილიონმა, რომ ფრონტიდან დაბრუნებული, სოფლის ყველაზე უფრო გათვითცნობიერებული ნაწილი, რომელმაც განიცადა ომის ყველა საშინელება, დაეხმაროს ამის გაგებაში, და გლეხებისა და მუშების უდიდესი მასა დარწმუნდეს რევოლუციური ფრონტის აუცილებლობაში და თქვას, რომ ჩვენ სწორად მოვიქეცით.

გვეუბნებიან, რომ ჩვენ გავეცით უკრაინა და ფინეთი, — ო, რა სამარცხვინო ამბავია! მაგრამ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენ მოწყვეტილი ვართ ფინეთს, რომელთანაც ჩვენ ვდებდით წინათ ჩუმ ხელშეკრულებას რევოლუციის დაწყებამდე და ახლა დავდევით ფორმალური ხელშეკრულება. ამბობენ, რომ ჩვენ ვუთმობთ უკრაინას, რომლის დასალუპავად მიდიან ჩერნოვი, კერენსკი და წერეთელი; ჩვენ გვეუბნებიან: გამცემლებო, თქვენ გაეცით უკრაინაო! მე ვამბობ: ამხანაგებო, მე საკმაოდ გამოცდილი ვარ რევოლუციის ისტორიაში, რომ შეიძლებოდეს ჩემი დაბნევა იმ ადამიანთა მტრული შემოხედვით და ყვირილით, რომელნიც გრძნობას

ეძლევიან და მსჯელობა აღარ შეუძლიათ. მე თქვენ მოგიყვანთ უბრალო მაგალითს. წარმოიდგინეთ, რომ ორი ამხანაგი მიდის ღამით, და უეცრად მათ თავს ესხმის ათი კაცი. თუ ეს არამზადები ერთ მათგანს ჩაიგდებენ ხელში, — რა უნდა ჰქნას მეორემ? — დასახმარებლად მივარდნა მას არ შეუძლია: თუ გაიქცევა, განა ის გამცემი იქნება? ახლა წარმოიდგინეთ, რომ ლაპარაკია არა პიროვნებებზე ან იმ სფეროებზე, რომლებშიც უშუალო გრძნობის საკითხები წყდება, არამედ ერთმანეთს ხვდება ხუთი არმია — თვითეული ასი ათასი კაცით, — რომლებიც გარს ერტყმიან ორასი ათასი კაცისაგან შემდგარ არმიას, ხოლო მეორე არმია უნდა წავიდეს მის დასახმარებლად. მაგრამ თუ ამ არმიამ იცის, რომ ის უსათუოდ ხაფანგში გაებმის, მაშინ მან უკან უნდა დაიხიოს; მას არ შეუძლია არ დაიხიოს უკან, თუნდაც უკანდახევის დასაფარავად საჭირო გახდეს უხამსი, საძაგელი ზავის ხელისმოწერაც, — ავად ახსენეთ როგორც გენებოთ, მაგრამ მისი ხელისმოწერა მაინც აუცილებელია. შეუძლებელია ანგარიში გაეწიოს იმ დუელანტის გრძნობას, რომელიც იღებს დაშნას და ამბობს, მე უნდა მოვკვდე, რადგან მაიძულებენ დამამცირებელი ზავი დავდოვო. მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, რომ, როგორადაც უნდა გადაწყვიტოთ, არმია მაინც არა გვყავს, და არავითარი ჟესტი არ გვიხსნის უკანდახევისა და დროის მოგების აუცილებლობისაგან, რათა არმიას შეეძლოს სულის ამოთქმა; და ამაში დაგვეთანხმება ყველა, ვინც სინამდვილეს ხედავს და თავს არ იტყუებს რევოლუციური ფრაზით.

თუ ჩვენ ეს ვიცით, — ჩვენი რევოლუციური ვალია მოვაწეროთ ხელი თუნდაც მძიმე, არქიმძიმე და ძალადურ ხელშეკრულებას, ვინაიდან ჩვენ ამით მივაღწევთ უკეთეს მდგომარეობას როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი მოკავშირეებისათვის. ჩვენ განა წავაგეთ, რომ 3 მარტს ხელი მოვაწერეთ საზავო ხელშეკრულებას? ყოველი ადამიანი, ვინც კი მოისურვებს საქმეს შეხედოს არა აზნაურ-დუელანტის, არამედ მასობრივი ურთიერთობის თვალსაზრისით, მიხვდება, რომ, როცა არმია არა გყავს ან გყავს არმიის დაავადებული ნარჩენი, ომის მიღე-

ბა, ამ ომის რევოლუციურ ომად გამოცხადება თავის მოტყუებაა, ხალხის უდიდესი მოტყუებაა. ჩვენი მოვალეობაა—ხალხს სიმართლე ვუთხრათ: დიახ, უმძიმესი ზავია, უკრაინა და ფინეთი იღუპებიან, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა მივიღოთ ეს ზავი, და მას მიიღებს მთელი შეგნებული მშრომელი რუსეთი, იმიტომ რომ მან იცის შეულამაზებელი სიმართლე, მან იცის, რა არის ომი, მან იცის, რომ ყველაფრის განწირვა იმის ვარაუდით, აქაო-და ახლავე იფეთქებს გერმანიის რევოლუციაო, თავის მოტყუებაა. ზავის ხელისმოწერით ჩვენ მივიღეთ ის, რაც ჩვენმა ფინელმა მეგობრებმა მიიღეს ჩვენგან, — შესვენება, დახმარება, და არა დალუპვა.

მე ვიცი მაგალითები ხალხთა ისტორიაში, როცა ხელს აწერდნენ გაცილებით უფრო მოძალადურ ზავს, როცა ეს ზავი გამარჯვებულის ხელში სამოწყალოდ აგდებდა სიცოცხლისუნარიან ხალხებს. შევადაროთ ეს ჩვენი ზავი ტილზიტის ზავს; ტილზიტის ზავი ძლევამოსილმა დამპყრობმა თავზე მოახვია პრუსიას და გერმანიას. ეს ზავი იმდენად მძიმე იყო, რომ არა მარტო დაპყრობილ იქნა ყველა გერმანული სახელმწიფოს ყველა დედაქალაქი, არა მარტო უკუგდებულ იქნენ პრუსიელები ტილზიტისაკენ, რაც იმას უდრის, ჩვენ რომ ომსკისა ან ტომსკისაკენ უკუგვაგდონ. ეს კიდევ არაფერი, — ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ ნაპოლეონმა აიძულა დამარცხებული ხალხები მიეცათ მისთვის მაშველი ჯარები მისი ომების საწარმოებლად, — და როცა, მიუხედავად ამისა, ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ გერმანელ ხალხებს უხდებოდათ დამპყრობლის იერიშის გადატანა, როცა საფრანგეთის რევოლუციური ომების ეპოქა შეიცვალა იმპერიალისტური დაპყრობითი ომების ეპოქით, მაშინ აშკარად გამომჟღავნდა ის, რაც არ უნდათ გაიგონ ფრაზით გატაცებულ ადამიანებს, რომელთაც ზავის ხელმოწერა წარმოუდგენიათ როგორც დაცემა. ეს ფსიქოლოგია გასაგებია აზნაურ-დუელანტის თვალსაზრისით, მაგრამ არა მუშისა და გლეხის თვალსაზრისით. უკანასკნელმა გაიარა ომის მძიმე სკოლა, მან ისწავლა ანგარიში. ყოფილა უფრო მძიმე განსაცდელიც, და ასეთი განსაცდელიდან გამო-

დიოდნენ უფრო ჩამორჩენილი ხალხებიც. და ყოფილა დადებული უფრო მძიმე ზავიც, დადებული გერმანელების მიერ იმ ხანაში, როცა მათ არ ჰყავდათ არმია, ან მათი არმია ავადმყოფი იყო, როგორც ავადმყოფია ჩვენი არმია. მათ დასდეს ნაპოლეონთან უმძიმესი ზავი. და ეს ზავი არ ყოფილა გერმანიის დაცემა, — პირიქით, ის წარმოადგენდა შემობრუნების პუნქტს, ნაციონალურ თავდაცვას და აღმავლობას. ჩვენც ასეთი შემობრუნების პუნქტის წინ ვდგავართ, ჩვენც ანალოგიურ პირობებს განვიცდით. სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და უკუვაგდოთ ფრაზა და დეკლამაცია. უნდა ვთქვათ, რომ თუ ეს საჭიროა, ზავი აუცილებლად უნდა დავდოთ. განმათავისუფლებელი ომი, კლასობრივი ომი, სახალხო ომი დაიკავებს ნაპოლეონისებური ომის ადგილს. ნაპოლეონისებური ომების სისტემა შეიცვლება, ზავი შეიცვლება ომით, ომი შეიცვლება ზავით, და ყოველი ახალი უმძიმესი ზავიდან ყოველთვის გამომდინარეობდა უფრო ფართო მზადება ომისათვის. ყველაზე მძიმე საზავო ხელშეკრულება — ტილზიტისა — ისტორიაში შევიდა როგორც შემობრუნების პუნქტი იმ დროისათვის, როდესაც გერმანელ ხალხში დაიწყო გარდატეხა, როცა ის იხევდა უკან ტილზიტამდე, რუსეთამდე, ნამდვილად კი იგებდა დროს, უცდიდა, როცა საერთაშორისო სიტუაცია, რომელმაც ერთ დროს გაამარჯვებინა ნაპოლეონს, ისეთსავე მძარცველს, როგორიცაა ახლა ჰოჰენცოლერნი, ჰინდენბურგი, სანამ ეს სიტუაცია არ შეიცვალა, სანამ არ გაჯანსაღდა ნაპოლეონის ათწლიანი ომებით და დამარცხებებით დატანჯული გერმანელი ხალხის შეგნება, და სანამ ის კვლავ არ აღსდგა ახალი ცხოვრებისათვის. აი რას გვასწავლის ჩვენ ისტორია, აი რატომაა დანაშაული ყოველგვარი სასოწარკვეთილება და ფრაზა, აი რატომ იტყვის ყველა: დიახ, ძველი იმპერიალისტური ომები თავდება. ისტორიული შემობრუნება დაიწყო.

ოქტომბრიდან ჩვენი რევოლუცია მთლიანი ტრიუმფი იყო, ახლა კი დაიწყო ხანგრძლივი და მძიმე ხანა, ჩვენ არ ვიცით, რამდენად ხანგრძლივი, მაგრამ ვიცით, რომ ეს დამარცხებათა და

უკანდახევათა ხანგრძლივი და ძნელი პერიოდია, იმიტომ რომ ასეთია ძალთა თანაფარდობა, იმიტომ რომ უკანდახევით ჩვენ ხალხს მივცემთ დასვენების საშუალებას. მივცემთ შესაძლებლობას, რათა ყოველმა მუშამ და გლეხმა შეიგნოს ის სიმართლე, რომელიც გააგებინებს მას, რომ იწყება იმპერიალისტ-მტაცებელთა ახალი ომები ჩაგრულ ხალხთა წინააღმდეგ, როცა მუშა და გლეხი მიხვდება, რომ ჩვენ უნდა აღვდგეთ სამშობლოს დასაცავად, ვინაიდან ჩვენ ოქტომბრიდან ობოროონცები გავხდით. 25 ოქტომბრიდან ჩვენ აშკარად განვაცხადეთ, რომ სამშობლოს დაცვის მომხრენი ვართ, ვინაიდან ჩვენ გვაქვს ეს სამშობლო, რომლიდანაც განვდევნეთ კერენსკები და ჩერნოვები, ვინაიდან ჩვენ მოვსპეთ საიდუმლო ხელშეკრულებანი, დავთრგუნეთ ბურჟუაზია, ჯერ კიდევ ცუდად, მაგრამ ჩვენ ვისწავლით ამის უკეთ გაკეთებას.

ამხანაგებო, არის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება გერმანელ დამპყრობთაგან უმძიმეს დამარცხებათა განმცდელ რუსი ხალხის მდგომარეობასა და გერმანელ ხალხს შორის, არის უდიდესი განსხვავება, რომელსაც უნდა შევეხოთ, თუმცა მის შესახებ მოკლედ ვილაპარაკე ჩემი სიტყვის წინა ნაწილში. ამხანაგებო, როცა გერმანელი ხალხი ასზე მეტი წლის წინათ უმძიმესი დაპყრობითი ომების პერიოდში ჩავარდა, იმ პერიოდში, როდესაც მას უკან უნდა დაეხია და ზედიზედ მოეწერა ხელი სამარცხვინო ზავზე, ვიდრე გერმანელი ხალხი გამოიღვიძებდა, — მაშინ საქმის ვითარება ასეთი იყო, გერმანელი ხალხი წარმოადგენდა მხოლოდ სუსტსა და ჩამორჩენილ ხალხს, — მხოლოდ ასეთს. მის წინააღმდეგ იდგა დამპყრობელ ნაპოლეონის არა მარტო სამხედრო ძალა და ძლიერება, მის წინააღმდეგ იდგა ქვეყანა, რომელიც მასზე მაღალი იყო რევოლუციური და პოლიტიკური მხრით, გერმანიაზე მაღლა იდგა ყოველმხრივ, ქვეყანა, რომელიც ავიდა სხვა ქვეყნებზე შეუდარებლად მაღლა, რომელმაც თქვა უკანასკნელი სიტყვა. ის იდგა იმ ხალხზე შეუდარებლად უფრო მაღლა, რომელიც სულს ღაფავდა იმპერიალისტთა და მემამულეთა მორჩილებაში. ხალხმა, რომელიც, ვიმეორებ, წარმოადგენდა მხოლოდ სუსტსა

და ჩამორჩენილ ხალხს, შესძლო ესწავლა მწარე გაკვეთილებით და წამომდგარიყო. ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვიმყოფებით: ჩვენ არა მარტო სუსტი და არა მარტო ჩამორჩენილი ხალხი ვართ, ჩვენ ვართ ის ხალხი, რომელმაც შესძლო, — არა განსაკუთრებული დამსახურების ან ისტორიული წინადასახვის გამო, არამედ ისტორიულ გარემოებათა განსაკუთრებული გადაბმის მეოხებით, — შესძლო ეკისრა საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის დროშის აღმართვის საპატიო როლი. (ტ ა შ ი).

მე მშვენივრად ვიცი, ამხანაგებო, და არა ერთხელ მითქვამს პირდაპირ, რომ ეს დროშა სუსტ ხელშია, და მას ვერ შეინარჩუნებენ ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნის მუშები, სანამ მათ არ მოეშველებიან ყველა მოწინავე ქვეყნის მუშები. ის სოციალისტური გარდაქმნანი, რომელნიც ჩვენ მოვახდინეთ, ბევრნაირად არასრულყოფილი, სუსტი და არასაკმარისია: ისინი იქნებიან მაგალითი დასავლეთ ევროპის მოწინავე მუშებისათვის, რომელნიც იტყვიან: «რუსებმა ისე არ დაიწყეს ის საქმე, რომელიც უნდა დაგვეწყოო», მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი ხალხი გერმანელი ხალხის მიმართ არა მარტო სუსტი და არა მარტო ჩამორჩენილი ხალხია, არამედ ისეთი ხალხია, რომელმაც აღმართა რევოლუციის დროშა. თუ ყოველი ქვეყნის ბურჟუაზია თავის გამოცემათა ყველა სვეტს ბოლშევიკების მიმართ ცილისწამებით ავსებს, თუ ამ მხრივ ერთდება საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიისა და სხვ. იმპერიალისტთა პრესის ხმები ბოლშევიკების სალანძღავად, სამაგიეროდ არ არის არც ერთი ქვეყანა, სადაც შეიძლებოდეს მუშების კრების გამართვა და სადაც ჩვენი სოციალისტური ხელისუფლების სახელები და ლოზუნგები აღშფოთებას იწვევდნენ. (ხ მ ა: «ტყუილია»). არა, ტყუილი კი არა, მართალია, და ყველა, ვინც იყო გერმანიასა, ავსტრიასა, შვეიცარიასა და ამერიკაში უკანასკნელ თვეებში, გეტყვით, რომ ეს ტყუილი კი არა, მართალია, რომ მუშათა შორის უდიდესი ენთუზიაზმი ხვდება რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა სახელებსა და ლოზუნგებს, რომ, წინააღმდეგ გერმანიის, საფრანგეთისა და სხვ.

ბურჟუაზიის ყოველგვარი სიცრუისა, მუშათა მასებმა გაიგეს, რომ, რაც უნდა სუსტნი ვიყოთ ჩვენ, მაინც აქ, რუსეთში, კეთდება მათი საქმე. დიახ, ჩვენმა ხალხმა უნდა ზიდოს უმძიმესი ტვირთი, რომელიც მან მხრებზე შეიგდო, მაგრამ ხალხი, რომელმაც შესძლო საბჭოთა ხელისუფლების შექმნა, არ შეიძლება დაიღუპოს. და მე ვიმეორებ: არც ერთ შეგნებულ სოციალისტს, არც ერთ მუშას, რომელიც კი დაფიქრებია რევოლუციის ისტორიას, არ შეუძლია უარყოს ის, რომ, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების ყველა ნაკლისა, — რომლებიც მე ძალიან კარგად ვიცი და რომელთაც ჩინებულად ვაფასებ, — საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს სახელმწიფოს უმაღლეს ტიპს, პარიზის კომუნის პირდაპირ გაგრძელებას. მან ერთი საფეხურით მაღლა აიწია დანარჩენ ევროპულ რევოლუციებზე, და ამიტომ ჩვენ ისეთ მძიმე პირობებში არა ვართ, როგორც გერმანელი ხალხი ასი წლის წინათ; ამ მხრივ ძალთა ცვლილება მძარცველებს შორის, კონფლიქტის გამოყენება და მძარცველ ნაპოლეონის, მძარცველ ალექსანდრე პირველის, ინგლისის მონარქიის მძარცველების მოთხოვნათა დაკმაყოფილება, — მხოლოდ ეს დარჩენოდათ მაშინ, როგორც ერთადერთი შანსი, ბატონყმობით დაჩაგრულთ, და, მიუხედავად ამისა, გერმანელი ხალხი მაინც არ დაცემულა ტილზიტის ზავით. ჩვენ კი, ვიმეორებ, უკეთეს პირობებში ვიმყოფებით, რადგან ჩვენ გვყავს უდიდესი მოკავშირე დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში — საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი, რომელიც ჩვენთან არის, რაც უნდა ილაპარაკონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა. (ტ ა შ ი). დიახ, ამ მოკავშირისათვის ადვილი არაა თავისი ხმის ამაღლება, როგორც ეს ადვილი არ იყო ჩვენთვის 1917 წლის თებერვლის დამლევამდე. ეს მოკავშირე ცხოვრობს იატაკქვეშ, სამხედრო-საკატორღო ციხის პირობებში, — ასეთ ციხედაა გადაქცეული ყველა იმპერიალისტური ქვეყანა, — მაგრამ ის გვიცნობს ჩვენ, მას ესმის ჩვენი საქმე; მისთვის ძნელია ჩვენსკენ დასახმარებლად დაძვრა, ამიტომ საბჭოთა ჯარებს ბევრი დრო, ბევრი მოთმინება და

მძიმე განსაცდელის გადატანა დასჭირდებათ, რომ მოესწრონ იმ დროს, — ჩვენ გამოვიყენებთ სულ მცირედ შანსებსაც კი, რომ დრო გავაჭიანუროთ, ვინაიდან დრო ჩვენთვის მუშაობს. ჩვენი საქმე მტკიცდება, იმპერიალისტთა ძალები სუსტდებიან, და როგორიც უნდა იყოს «ტილზიტის» ზავით გამოწვეული განსაცდელი და დამარცხებანი, ჩვენ ვიწყებთ უკანდახევის ტაქტიკას, და, ვიმეორებ ერთხელ კიდევ: უეჭველია, როგორც შეგნებული პროლეტარიატი, ისე შეგნებული გლეხები ჩვენს მხარეზე არიან, და ჩვენ შევძლებთ არა მარტო გმირულად შეტევას, არამედ გმირულად უკანდახევასაც და მოვუცდით, როდესაც საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი მოგვეშველება, და დავიწყებთ მეორე სოციალისტურ რევოლუციას უკვე მსოფლიო მასშტაბით. (ტ ა შ ი).

«პრავდა» («სოციალ-დემოკრატ»)
№№ 47 და 48;
1918 წ. 16 და 17 მარტი

იბეჭდება სტენოგრამის
მიხედვით, რომელიც შედარებულია
გაზეთ «პრავდის» ტექსტთან

3

საბოლოო სიტყვა საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ წაკითხული მოხსენების გამო 15 მარტს

ამხანაგებო, მე რომ მინდოდეს იმის დადასტურების მოძებნა, რაც ნათქვამი იყო ჩემს პირველ სიტყვაში ჩვენთვის შემოთავაზებული რევოლუციური ომის ხასიათის შესახებ, მემარცხენე ესერების წარმომადგენლის მოხსენება მომცემდა ამის საუკეთესო და თვალსაჩინო დადასტურებას, და მე ვფიქრობ, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ მოვიყვან სტენოგრამიდან მის სიტყვას, და ჩვენ დავინახავთ, თუ რა მოსაზრებანი მოყავთ მათ თავიანთ დებულებათა დასადასტურებლად.

აი იმის ნიმუში, თუ რა მოსაზრებებს ემყარებიან ისინი. აქ იყო ლაპარაკი სათემო ყრილობის შესახებ. მათ, ვისაც ეს კრება სათემო ყრილობად ეჩვენება, შეუძლიათ მიმართონ ასეთ მოსაზრებებს, მაგრამ აშკარაა, აქ ადამიანები იმეორებენ ჩვენს სიტყვებს, ხოლო მათი აწონ-დაწონა არ შეუძლიათ. ადამიანები იმეორებენ იმას, რასაც ბოლშევიკები ასწავლიდნენ მემარცხენე ესერებს, როდესაც ისინი ჯერ კიდევ მემარჯვენეთა ბანაკში იყვნენ, და როცა ისინი ლაპარაკობენ, ჩანს, რომ მათ დაუზეპირებიათ ის, რასაც ჩვენ ვამბობდით, ხოლო რაზე იყო ეს დამყარებული, ვერ გაუგიათ და ახლა იმეორებენ. წერეთელი და ჩერნოვი ობორონცები იყვნენ, ახლა კი ჩვენა ვართ ობორონცები, ჩვენა ვართ «მოღალატენი», «გამცემლები». ბურჟუაზიის დამქაშები აქ ლაპარაკობენ სათემო ყრილობის შესახებ, — ისინი

თვალს უქნევენ, როცა ამას ლაპარაკობენ, — მაგრამ ყოველ მუშას მშვენივრად ესმის იმ ობორონცობის მიზნები, რომლითაც წერეთელი და ჩერნოვი ხელმძღვანელობდნენ, და ის განზრახვანი, რომლებიც ჩვენ გვაიძულებენ ობორონცები ვიყოთ.

თუ ჩვენ მხარს დავუჭერთ რუსეთის კაპიტალისტებს, რომელთაც უნდოდათ მიეღოთ დარდანელი, სომხეთი, გალიცია, როგორც ეს ეწერა საიდუმლო ხელშეკრულებაში, ეს იქნება ობორონცობა ჩერნოვისა და წერეთლის ყაიდაზე, და ეს ობორონცობა მაშინ შერცხვენილ იქნა, ახლა კი ჩვენი ობორონცობა საპატიოა. (ტ ა შ ი).

და როცა მე ამგვარ მოსაზრებებთან ერთად კამკოვის სიტყვის სტენოგრამაში ორჯერ ვხვდები განმეორებულ სიტყვას, რომ ბოლშევიკები გერმანიის იმპერიალიზმის ნოქრები არიანო (ტ ა შ ი მ ა რ ჯ ვ ნ ი თ), მკვახე სიტყვას, — მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ყველა ისინი, ვინც კერენსკის პოლიტიკას ატარებდა, ამას ტაშისკვრით უსვამენ ხაზს. (ტ ა შ ი). და, რასაკვირველია, ამხანაგებო, მე ხომ არ გამოვალ მკვახე სიტყვების წინააღმდეგ. არასოდეს ამის წინააღმდეგი მე არ ვიქნები. ოღონდ, მკვახე რომ იყოთ, საჭიროა ამის უფლება გქონდეთ, ხოლო სიმკვახის უფლებას იძლევა ის, რომ სიტყვა საქმეს არ შორდებოდეს. და აი ასეთი მცირე პირობა, რომელსაც მრავალი ინტელიგენტი არ აფასებს, ხოლო მუშები და გლეხები სათემო ყრილობებზედაც, — ეს ასე უმნიშვნელო რამაა, სათემო ყრილობა, — ისინი ამას სათემო ყრილობებზედაც და საბჭოთა ორგანიზაციებშიც გებულობდნენ, და მათ სიტყვა და საქმე ერთი აქვთ. მაგრამ ჩვენ ხომ მშვენივრად ვიცით, რომ ისინი, მემარცხენე ესერები, მემარჯვენე ესერების პარტიაში ისხდნენ ოქტომბრამდე, როდესაც ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ მონაგების გაყოფაში, როდესაც ისინი ნოქრები იყვნენ, იმიტომ რომ მათ შეპირებული ჰქონდათ მინისტრის ადგილი იმისათვის, რომ შენ სდუმხარ ყველა საიდუმლო ხელშეკრულების შესახებ. (ტ ა შ ი). მაგრამ არასგზით არ შეიძლება

იმპერიალიზმის ნოქრები უწოდოთ იმ ადამიანებს, რომლებმაც გამოუცხადეს მას ომი საქმით, დახიეს ხელშეკრულებანი, ამასთან დაკავშირებული რისკი გასწიეს, — დაიწყეს მოლაპარაკების გაჭიანურება ბრესტში, თუმცა იცოდნენ, რომ ეს ღუპავს ქვეყანას, აიტანეს სამხედრო შეტევა, მთელი რიგი გაუგონარი დამარცხებანი და სრულიადაც არ უმალავდნენ ამას ხალხს.

აქ მარტოვი ირწმუნებოდა, რომ მას არ წაუკითხავს ხელშეკრულება. დაუჯეროს მას იმან, ვისაც უნდა. ჩვენ ვიცით, რომ ეს ადამიანები მიჩვეული არიან ბევრი გაზეთის კითხვას, მაგრამ ხელშეკრულება არ წაუკითხავთ. (ტ ა შ ი). დაუჯეროს იმან, ვისაც სურს. მაგრამ მე თქვენ გეტყვით, რომ თუ ესერების პარტიამ მშვენივრად იცის, რომ ჩვენ ვუთმობთ ჩვენს მიერვე სავსებით მხილებულ ძალმომრეობას, რომ ჩვენ ამას ჩავდივართ შეგნებულად, აშკარად ვამბობთ რა, რომ ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია ბრძოლა, მხოლოდ ვუთმობთ, — ისტორია იცნობს მთელ რიგ მეტად სამარცხვინო ხელშეკრულებებს და მთელ რიგ ომებს, — როცა ადამიანები ამის საპასუხოდ გვთავაზობენ სიტყვას «ნოქრები», ეს სიმკვახე მათ ამხელს; როცა ისინი გვარწმუნებენ, რომ პასუხისმგებლობას იხსნიან, რასაც ისინი აკეთებენ, — განა ეს თვალთმაქცობა არაა, როცა ადამიანები პასუხისმგებლობას იხსნიან, ხოლო მთავრობაში ყოფნას განაგრძობენ? მე ვამტკიცებ, რომ როცა ისინი ლაპარაკობენ, პასუხისმგებლობას ვიხსნითო, — არა, ისინი მას არ იხსნიან, და ტყუილად ფიქრობენ, რომ ეს სათემო ყრილობაა. არა, ესაა ყველაფერი, რაც კი საუკეთესო და პატიოსანია მშრომელ მასებში. (ტ ა შ ი). ეს თქვენ ბურჟუაზიული პარლამენტი არ გეგონოთ, სადაც წელიწადში თუ ორ წელიწადში ერთხელ ირჩევენ ადამიანებს, რომ ისინი ისხდნენ ადგილზე და ღებულობდნენ ჯამაგირს. ესენი — ადგილებიდან გამოგზავნილი ადამიანები არიან, ხვალ კი ისინი ადგილებზე იქნებიან, ხვალ ისინი უამბობენ ყველას, რომ თუ მემარცხენე ესერთა პარტიის ხმები მცირდება, ეს დამსახურებულია, იმიტომ რომ ეს

პარტია, რომელიც ასე იქცევა, ისეთივე საპნის ბუშტს წარმოადგენს გლეხობაში, როგორიც ის აღმოჩნდა მუშათა კლასში. (ტ ა შ ი, ხ მ ე ბ ი: «მართალია»).

ქვევით მე თქვენ კიდევ ერთ ადგილს მოგიყვანთ კამკოვის სიტყვიდან, რომ გიჩვენოთ, თუ როგორ შეხედავს ამას მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ყოველი წარმომადგენელი. «როცა აქ ამხანაგი ლენინი ამტკიცებდა გუშინ, რომ ამხანაგები წერეთელი, ჩერნოვი და სხვები ხრწნიდნენ არმიას, ნუთუ ჩვენ არ აღმოგვაჩნდება გამბედაობა ვთქვათ, რომ ჩვენც ლენინთან ერთად ვხრწნიდით არმიასო». თითით ცას ჩამოეკიდა. (ტ ა შ ი). მას გაუგონია, რომ ჩვენ პორაჟენცები ვიყავით, და ეს გაახსენდა მაშინ, როცა ჩვენ პორაჟენცები აღარ ვართ. უდროო დროს გაახსენდა. დაუზეპირებიათ სიტყვა, რევოლუციური ჩხარუნი არის, ხოლო იმაზე ფიქრი, თუ როგორაა საქმე, არ შეუძლიათ. (ტ ა შ ი). მე ვამტკიცებ, რომ ათასი სათემო ყრილობიდან, სადაც საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა, რომ ათასი ასეთი ყრილობიდან ცხრაასზე მეტში არიან ადამიანები, რომლებიც ეტყვიან მემარცხენე ესერების პარტიას, რომ ის არავითარი ნდობის ღირსი არ არის. ისინი იტყვიან, დაფიქრდით: ჩვენ ვხრწნიდით არმიას და ახლა უნდა გავიხსენოთ ესაო. მაგრამ როგორ ვხრწნიდით ჩვენ არმიას? ჩვენ პორაჟენცები ვიყავით მეფის დროს, ხოლო წერეთლისა და ჩერნოვის დროს ჩვენ არ ვიყავით პორაჟენცები. ჩვენ «პრავდაში» გამოვუშვით მოწოდება, რომელიც მაშინ ჯერ ისევ დევნილმა კრილენკომ არმიაში გამოაცხადა: «რატომ მივდივარ პიტერში». მან თქვა: «ამბოხებისაკენ ჩვენ თქვენ არ მოგიწოდებთო». ეს არ იყო არმიის გახრწნა. არმიას ისინი ხრწნიდნენ, ვინც ეს ომი დიად ომად გამოაცხადა.

არმიას ხრწნიდნენ წერეთელი და ჩერნოვი, იმიტომ რომ ხალხს ეუბნებოდნენ დიდებულ სიტყვებს, რომელთა მოუფიქრებლად როშვას ჩვეული არიან სხვადასხვა მემარცხენე ესერები. სიტყვა მსუბუქია, ხოლო რუს ხალხს სათემო ყრილობებზე უყვარს მოფიქრება და სერიოზულად მოქცევა.

თუკი მას ეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ვესწრაფით ზავს და ვიხილავთ იმპერიალისტური ომის პირობებსო, მე გეკითხებით: რა ვუყოთ საიდუმლო ხელშეკრულებებს და ივნისის შეტევას? აი რითი ხრწნიდნენ არმიას. თუ მას ელაპარაკებოდნენ იმპერიალისტებთან ბრძოლაზე, სამშობლოს დაცვაზე, ის ეკითხებოდა თავის თავს: მერე და, ჩაავლებენ ხოლმე თუ არა კისერში ხელს სადმე კაპიტალისტებს, — აი რითი ხრწნიდნენ არმიას, და აი რატომ ვთქვი მე, და არავის გაუბათილებია, რომ არმიის ხსნა ის იქნებოდა, ძალაუფლება რომ აგვეღო მარტსა და აპრილში, და რომ ნაცვლად ექსპლოატატორთა გაცოფებული მძულვარებისა იმისათვის, რომ ჩვენ ისინი დავთრგუნეთ, — მათ სრულიად კანონიერად ვძულვართ, — რომ ნაცვლად ამისა მათ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა სამშობლოს ინტერესები კერენსკის სამშობლოს ინტერესებსა, რიაბუშინსკის საიდუმლო ხელშეკრულებებსა და სომხეთის, გალიციის, დარდანელის დაპყრობის განზრახვაზე მაღლა დაეყენებინათ, — ეს იქნებოდა ხსნა, და ამ მხრით, დაწყებული რუსეთის დიდი რევოლუციიდან, განსაკუთრებით კი მარტიდან, როცა გამოქვეყნდა ორჭოფული მოწოდება ყველა ქვეყნის ხალხებისადმი[68], მთავრობა, რომელმაც გამოუშვა მოწოდება, მოწოდება, რომელიც მოუხმობდა ყველა ქვეყნის ბანკირებს დამხობისაკენ, ხოლო თვითონ ბანკირებთან ერთად იყოფდა შემოსავალსა და სარგებლობას, — აი რა ხრწნიდა არმიას, და აი რატომ არ შეეძლო არმიას გაჩერება. (ტ ა შ ი).

და მე ვამტკიცებ, რომ ჩვენ, დაწყებული კრილენკოს ამ მოწოდებით, რომელიც არ იყო პირველი[69] და რომელსაც ვიხსენებ იმიტომ, რომ ის განსაკუთრებით დამამახსოვრდა, ჩვენ არმიას არ ვხრწნიდით, არამედ ვეუბნებოდით: დააკავეთ ფრონტი, — რაც უფრო მალე აიღებთ ძალაუფლებას, მით უფრო ადვილად შეინარჩუნებთ მას, და ახლა ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ სამოქალაქო ომის წინააღმდეგი ვართ, ვემხრობით კი აჯანყებასო, — ადამიანთა რა უღირსობა და რა საზიზღარი ლაყბობაა ეს. როცა ამას სოფლებში გაიგებენ,

და როცა იქ ჯარისკაცები, რომელთაც ომი უნახავთ არა ისე, როგორც ინტელიგენტებს, და რომელთაც იციან, რომ ასე ადვილია მუყაოს ხმლის ქნევა, როცა ისინი იტყვიან, რომ მათ, ფეხშიშველთ, ჩაუცმელთ და გატანჯულთ, კრიზისულ მომენტში დაეხმარნენ იმით, რომ გარეკეს შეტევაზე გადასასვლელად, — ისინი ახლა ეუბნებიან მათ: არაფერია, რომ არმია არ იქნება, არამედ აჯანყება იქნებაო. ხალხის გარეკვა უმაღლესი ტექნიკით შეიარაღებული რეგულარული არმიის წინააღმდეგ, — ეს ბოროტმოქმედებაა, და ამას ჩვენ ვასწავლიდით როგორც სოციალისტები. ომმა ხომ ბევრი რამ გვასწავლა, არა მარტო ის, რომ ადამიანები იტანჯებოდნენ, არამედ ისიც, რომ იმარჯვებს ის, ვისაც უდიდესი ტექნიკა, ორგანიზებულობა, დისციპლინა და საუკეთესო მანქანები აქვს; ეს გვასწავლა ომმა, და ძალიან კარგია, რომ გვასწავლა. უნდა ვისწავლოთ ის, რომ უმანქანოდ, უდისციპლინოდ თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრება არ შეიძლება, — ან უნდა დავძლიოთ უმაღლესი ტექნიკა, ან უნდა გავისრისოთ. უსაშინელესი ტანჯვის წლებმა ხომ ასწავლეს გლეხებს, თუ რა არის ომი. და როცა ყველანი თავისი სიტყვებით წავლენ სათემო ყრილობებზე, როცა მემარცხენე ესერების პარტია წავა იქ, ის სავსებით დამსახურებულ სასჯელს მიიღებს. (ტ ა შ ი).

კიდევ მაგალითი, კიდევ ციტატა კამკოვის სიტყვიდან. (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს).

ძალიან ადვილია ხანდახან კითხვის მიცემა; ოღონდ არის ერთი წარმონათქვამი, — ის უზრდელი და ტლანქია, — რომელიც ასეთ კითხვებზე ამბობს, — სიმღერიდან სიტყვას ვერ ამოაგდებ, — მე მოგაგონებთ: ერთი სულელი უფრო მეტ კითხვას დასვამს, ვიდრე ათი ჭკვიანი უპასუხებსო.

ამხანაგებო, ამ ციტატში, რომელიც თქვენ წაგიკითხეთ, მე მიწვევენ ვუპასუხო კითხვაზე: ერთ კვირას, ორს თუ მეტხანს გასტანს შესვენება? მე ვამტკიცებ, რომ ყოველ სათემო ყრილობაზე და ყოველ ფაბრიკაში იმ ადამიანს, რომელიც სერიოზული პარტიის სახელით ამგვარი კითხვით გამოვა

ხალხთან, ხალხი სასაცილოდ აიგდებს და გამოაგდებს, იმიტომ რომ ყოველ სათემო ყრილობაზე მიხვდებიან, რომ არ შეიძლება კითხვების მიცემა იმაზე, რისი ცოდნაც არ შეიძლება. ამას გაიგებს ყოველი მუშა და გლეხი. (ტ ა შ ი). თუ თქვენ გსურთ უსათუოდ მიიღოთ პასუხი, გეტყვით, რომ, რასაკვირველია, გაზეთებში დამწერი ან მიტინგებზე გამოსული ყოველი მემარცხენე ესერი იტყვის, თუ რაზეა დამოკიდებული ეს ვადა: იმაზე, თუ როდის შემოგვიტევს იაპონია, რა ძალებით, როგორ წინააღმდეგობას შეხვდება; იმაზე, თუ რამდენად ჩაეფლობა გერმანელი ფინეთში, უკრაინაში; იმაზე, თუ როდის დაიწყება შეტევა ყველა ფრონტზე; იმაზე, თუ როგორ განვითარდება იგი; იმაზე, თუ როგორ გაღრმავდება შინაური კონფლიქტი ავსტრიასა და გერმანიაში, და კიდევ სხვა მრავალ მიზეზზე. (ტ ა შ ი).

და ამიტომ, როდესაც ძლევამოსილი სახით სერიოზულ კრებაზე იძლევიან ასეთ კითხვას: მიპასუხეთ, როგორი შესვენებაა, — მე ვამბობ, რომ ასეთ ადამიანებს გააგდებენ მუშათა და გლეხთა კრებებიდან ისინი, ვისაც ესმის, რომ სამი წლის მტანჯველი ომის შემდეგ ყოველი კვირა შესვენება — უდიდესი სიკეთეა. (ტ ა შ ი). და მე ვამტკიცებ, რომ როგორადაც უნდა გვლანძღონ აქ ახლა, ხვალ რომ შევკრიბოთ ყველა ის სალანძღავი სიტყვა, რომელთაც ისროდნენ ჩვენსკენ მემარჯვენენი, თითქმის მემარჯვენენი, ახლო-მემარჯვენენი, მემარცხენე ესერები, კადეტები, მენშევიკები, ყველა ეს სიტყვა რომ შეიკრიბოს და დაიბეჭდოს, ასეული ფუთიც რომ გამოვიდეს, ყოველივე ამას ჩემთვის ბუმბულის წონა ექნება იმასთან შედარებით, რაც ჩვენთან, ბოლშევიკურ ფრაქციაში, მის წარმომადგენელთა ცხრა მეათედმა თქვა: ჩვენ ომი ვიცით და ვხედავთ, რომ ახლა, როცა ჩვენ ეს ხანმოკლე შესვენება მივიღეთ, ეს — პლუსია ჩვენი დაავადებული არმიის გამომრთელების საქმეშიო. და ყოველ გლეხურ კრებაზე გლეხთა ცხრა მეათედი იტყვის იმას, რაც იცის ყოველმა საქმით დაინტერესებულმა კაცმა, და არც ერთი

პრაქტიკული წინადადება, როცა რითიმე შეგვიძლია დახმარების აღმოჩენა, ჩვენ არ უარგვიყვია და არც უარვყოფთ.

ჩვენ საშუალება მოგვეცა სული მოვითქვათ, დავისვენოთ თუნდაც მარტო თორმეტი დღით, იმ პოლიტიკის მეოხებით, რომელიც წავიდა რევოლუციური ფრაზისა და «საზოგადოებრივი» აზრის წინააღმდეგ. როცა კამკოვი და მემარცხენე ესერები თქვენ გეთამაშებიან და თვალს ჩაგიკრავენ, ერთი მხრით, ისინი თქვენ ჩაგიკრავენ ხოლმე თვალს, ხოლო, მეორე მხრით, კადეტებს მიმართავენ: ჩაგვითვალეთ, ჩვენ ხომ სულითა და გულით თქვენთან ვართო. (ხმა ადგილიდან: «ტყუილია»). და როდესაც ესერების, მგონი არც მემარცხენე, არამედ ზე-მემარცხენე ესერების ერთ-ერთი წარმომადგენელი, მაქსიმალისტი, ფრაზაზე ლაპარაკობდა, მან თქვა, რომ ფრაზაა ყოველივე ის, რაც შეეხება პატიოსნებასო. (ხმა: «მართალია»). რასაკვირველია, მემარჯვენე ბანაკიდან დაიყვირებენ «მართალიაო»; ეს წამოძახილი უფრო სასიამოვნოა ჩემთვის, ვიდრე წამოძახილი «ტყუილია», თუმცა უკანასკნელიც არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს ჩემზე. მაგრამ მე რომ მათ ბრალს ვდებდე ფრაზებში და არ მომყავდეს არავითარი ნათელი და ზუსტი დადასტურება, მაგრამ მე ხომ ორი მაგალითი მოვიყვანე, და ისინი კი არ გამომიგონებია, არამედ ცოცხალი ისტორიიდან ავიღე.

გაიხსენეთ, განა ესერების წარმომადგენლები ასეთივე მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ, როცა 1907 წელს ხელწერილს აძლევდნენ სტოლიპინს — ჩვენ რწმენითა და სიმართლით ვემსახურებით მონარქ ნიკოლოზ მეორესო? მე ვიმედოვნებ, რომ რევოლუციის მთელი წლების განმავლობაში რაღაც ვისწავლე, და როცა მკიცხავენ გამცემლობისათვის, მე ვამბობ: წინასწარ უნდა გავერკვეთ ისტორიაში. თუ ჩვენ გვინდოდა შეგვებრუნებინა ისტორია, — აღმოჩნდა კი, რომ შევებრუნდით ჩვენ, ხოლო ისტორია არ შებრუნებულა, — სიკვდილით დაგვსაჯეთ. ისტორიას სიტყვებით ვერ დაარწმუნებთ, და ისტორია გაჩვენებთ, რომ ჩვენ მართალი ვიყავით, რომ ჩვენ გამოვატარეთ მუშათა ორგანიზაციები

1917 წ. დიდ ოქტომბრის რევოლუციაში, მაგრამ მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ჩვენ დავდექით ფრაზაზე მაღლა და შევძელით დაგვენახა ფაქტები, გვესწავლა მათგან; და როცა ახლა, 14 — 15 მარტს, გამოირკვა, რომ ჩვენ რომ გვეომნა, ამით იმპერიალიზმს დავეხმარებოდით, საბოლოოდ გავანადგურებდით ტრანსპორტს და დავკარგავდით პეტროგრადს, — ჩვენ ვხედავთ, რომ სიტყვების სროლა და მუყაოს ხმლის ქნევა უნაყოფოა. მაგრამ როდესაც ჩემთან მოდის კამკოვი და მეკითხება: «დიდი ხნით არის ეს შესვენებაო?», ამაზე პასუხის გაცემა არ შეიძლება, იმიტომ რომ არ ყოფილა საერთაშორისო ობიექტური რევოლუციური სიტუაცია. არ შეიძლება ახლა რეაქციის ხანგრძლივი შესვენება, იმიტომ რომ ობიექტური სიტუაცია ყველგან რევოლუციურია, იმიტომ რომ მუშათა მასები ყველგან აღშფოთებული არიან, მათ მოთმინება დაელიათ, არაქათი აღარა აქვთ ომისაგან, ეს ფაქტია. ამ ფაქტიდან თავის დაღწევა არ შეიძლება, და ამიტომ გიმტკიცებდით, რომ იყო პერიოდი, როცა რევოლუცია წინ მიაბიჯებდა, და ჩვენც მის წინ მივაბიჯებდით, უკან კი ჩანჩალით მოგვდევდნენ მემარცხენე ესერები. (ტ ა შ ი). ახლა კი დადგა პერიოდი, როდესაც უკანდახევა გვიხდება უპირატესობის მქონე ძალის წინაშე. ეს — სრულიად კონკრეტული დახასიათებაა. ამაზე მე ვერავინ მიპასუხებს. ისტორიულმა ანალიზმა ეს უნდა დაადასტუროს. აი, სათემო ყრილობის შესახებ ჩვენი მარქსისტი, თითქმის მარქსისტი, მარტოვი მოჰყვება ლაპარაკს; ის გააბამს მასლაათს იმის თაობაზე, რომ გაზეთები დახურეს; ის თავს მოიწონებს, რომ დაჩაგრული და შეურაცხყოფილი გაზეთები დახურეს იმიტომ, რომ ისინი ეხმარებიან საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ის ამას მოჰყვება... ამის შესახებ ის არ გაჩუმდება. ასეთ ამბებს ის თქვენ შემოგთავაზებთ, ხოლო ცდა — მიპასუხოს ჩემს მიერ პირდაპირ დაყენებულ ისტორიულ კითხვაზე, მართალია თუ არა, რომ ჩვენ ოქტომბრიდან დაწყებული ტრიუმფალური სვლით მივდიოდით თუ არა... (ხ მ ე ბ ი მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ: «არა»).

თქვენ იტყვით, რომ «არა», ესენი კი ყველანი იტყვიან, რომ «კი». მე გკითხავთ: დღეს კი შეგვიძლია ჩვენ ძლევამოსილი მსვლელობით შევუტიოთ საერთაშორისო იმპერიალიზმს? არ შეგვიძლია, და ეს ყველამ იცის. როდესაც ამას, — პირდაპირს, მარტივ ფრაზას, — პირდაპირ პირში ამბობენ, რათა ხალხმა ისწავლოს რევოლუცია, — რევოლუცია ბრძნული, ძნელი და რთული მეცნიერებაა, — რათა ისწავლონ მუშებმაც და გლეხებმაც, რომლებიც მას ახდენენ, მტრები ყვირიან: ლაჩრები, გამცემლები, მიატოვეს დროშა, სიტყვებით აღწევენ თავს, აქნევენ ხელებსო. არა. ფრაზის ასეთი რევოლუციონერები ბევრი უნახავს რევოლუციების ყველა ისტორიას, და მათგან, გარდა სიმყრალისა და ბოლისა, არაფერი დარჩენილა. (ტ ა შ ი).

მეორე მაგალითი, ამხანაგებო, რომელიც მე მოვიყვანე, ეს იყო გერმანიის მაგალითი, ნაპოლეონის მიერ გასრესილი გერმანიისა, გერმანიისა, რომელსაც უნახავს სამარცხვინო ზავი და ხანგამოშვებითი ომები. მე მეკითხებიან: დიდხანს დაგვჭირდება ხელშეკრულებების დაცვა? ოღონდ, სამი წლის ბავშვი რომ მეკითხებოდეს ამის შესახებ: დაიცავთ თქვენ ხელშეკრულებას თუ არაო? — ეს მშვენიერებაც და გულუბრყვილობაც იქნებოდა. მაგრამ როდესაც მოწიფული კამკოვი მემარცხენე ესერების პარტიიდან კითხულობს ამას, ვიცი, ზოგიერთი მოწიფული მუშა და გლეხი თუ დაიჯერებს გულუბრყვილობას, მაგრამ უმრავლესობა ეტყვის: «ნუ თვალთმაქცობთ». ვინაიდან ისტორიული მაგალითი, რომელიც მე მოვიყვანე, ცხადზე უცხადესად ამტკიცებს, რომ არმიის დამკარგველი ხალხების განმათავისუფლებელი ომები, — და ეს არა ერთხელ მომხდარა, — ხალხებისა, რომელნიც გასრესილი იყვნენ თავიანთი მიწაწყლის სრულ დაკარგვამდე, გასრესილნი იმდენად, რომ დამხმარე კორპუსებს აძლევდნენ დამპყრობელს ახალი დაპყრობითი ლაშქრობებისათვის, — ამის ამოშლა ისტორიიდან ყოვლად შეუძლებელია, და თქვენ ამას ვერაფრით ვერ ამოფხეკთ. მაგრამ თუ მემარცხენე ესერი კამკოვი ჩემ საპასუხოდ ამბობდა,

როგორც ვნახე სტენოგრამაში: «აი, ესპანეთშიც ხომ იყო რევოლუციური ომებიო», ამით ის მე მამართლებდა, ამით ის ხომ თავს იმართლებდა. სწორედ ესპანეთი და გერმანია ადასტურებენ ჩემს მაგალითს, რომ დაპყრობითი ომებიხ ისტორიული პერიოდის საკითხის გადაწყვეტა იმის მიხედვით, რომ «დაიცავთ თუ არა ხელშეკრულებას, და როდის დაარღვევთ, როდის დაგიჭერენ...» — ეს ხომ ბავშვებს შეფერით, ისტორია კი ამბობს, რომ ყოველ ხელშეკრულებას იწვევს ბრძოლის შეჩერება და ძალთა თანაფარდობის შეცვლა, რომ ყოფილა საზავო ხელშეკრულებანი, რომლებიც რამდენიმე დღის შემდეგ ირღვეოდა, რომ ყოფილა საზავო ხელშეკრულებანი, რომლებიც ერთ თვეში ირღვეოდა, რომ ყოფილა მრავალი წლის პერიოდები, როცა გერმანია და ესპანეთი დებდნენ ზავს და რამდენიმე თვის შემდეგ არღვევდნენ მას, და არღვევდნენ რამდენიმეჯერ, და მთელ რიგ ომებში ხალხები სწავლობდნენ, თუ რას ნიშნავს ომის წარმოება. როდესაც ნაპოლეონს მიჰყავდა გერმანელი ჯარები სხვა ხალხთა ჩასახრჩობად, მან რევოლუციური ომი ასწავლა მათ. აი როგორ მიდიოდა ისტორია.

აი რატომ გეუბნებით თქვენ, ამხანაგებო, მე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოიტანა ჩვენი ბოლშევიკური ფრაქციის ცხრა მეათედმა, გამოიტანს რუსეთის ყველა შეგნებულ მშრომელ მუშათა და გლეხთა ცხრა მეათედი.

ჩვენ შეგვიძლია შევამოწმოთ, მართალი ვთქვი მე, თუ ვცდები, ვინაიდან თქვენ მიხვალთ ადგილზე და თვითეული თქვენგანი მოუთხრობს ადგილობრივ საბჭოებს, და ყველგან გამოიტანენ ადგილობრივ გადაწყვეტილებას. დასასრულ, მე ვიტყვი: ნუ აჰყვებით პროვოკაციას. ბურჟუაზიამ იცის, რას აკეთებს, ბურჟუაზიამ იცის, რატომ ხარობდა ის ფსკოვში, რატომ ხარობდა ამ დღეებში ოდესაში, — ბურჟუაზიამ ვინიჩენკოებისა, უკრაინელი კერენსკებისა, წერეთლისა და ჩერნოვისა. ის ხარობდა იმიტომ, რომ მშვენივრად მიხვდა, თუ დიპლომატიის რა გიგანტური შეცდომა დაუშვა

საბჭოთა ხელისუფლებამ მომენტის გათვალისწინებაში, როცა ომის წარმოება სცადა გამოქცეული დაავადებული არმიის პირობებში. ბურჟუაზია თქვენ გეწევათ ომის მახისაკენ. ჩვენ გვიხდება არა მარტო შეტევა, არამედ უკანდახევაც. ეს ყოველმა ჯარისკაცმა იცის. გაიგეთ, რომ ბურჟუაზია თქვენც და ჩვენც მახისაკენ გვეწევა. გაიგეთ, რომ მთელი ბურჟუაზია და ყველა მისი ნებსითი თუ უნებლიე დამხმარენი გვიმზადებენ ამ მახეს. თქვენ შეძლებთ გადაიტანოთ ყველაზე მძიმე დამარცხებანი, დაიცვათ ყველაზე ძნელი პოზიციები და უკანდახევით მოიგოთ დრო. დრო ჩვენთვის მუშაობს. ღორმუცელა იმპერიალისტები გასკდებიან, ხოლო მათ მუცელში იზრდება ახალი გიგანტი; ის იზრდება უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ გვინდა, მაგრამ ის იზრდება, ის მოვა ჩვენს დასახმარებლად, და როცა დავინახავთ, რომ ის იწყებს პირველ დარტყმას, მაშინ ჩვენ ვიტყვით: დასრულდა უკანდახევის ეამი, იწყება მსოფლიო შეტევის ეპოქა და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ეპოქა. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა ში, რ ო მ ე ლ ი ც დ ი დ ხ ა ნ ს ა რ ც ხ რ ე ბ ა).

«პრავდა» № 49,
1918 წ. 19 მარტი

იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით,
რომელიც შედარებულია გაზეთ
«პრავდის» ტექსტთან

4

რეზოლუცია ბრესტის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

ყრილობა ამტკიცებს (არატიფიცირებს) საზავო ხელშეკრულებას, რომელიც დადეს ჩვენმა წარმომადგენლებმა ბრესტ-ლიტოვსკში 1918 წლის 3 მარტს.

ყრილობას სწორად მიაჩნია მოქმედება ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოსი, რომელთაც დაადგინეს ამ, წარმოუდგენლად მძიმე, მოძალადური და დამამცირებელი ზავის დადება, იმის გამო, რომ არა გვყავს არმია და ომმა უკიდურესად გამოფიტა ხალხის ძალები, ხალხისა, რომელმაც ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან მიიღო არა დახმარება თავის მოქმედებაში, არამედ მისი ანგარებიან-კლასობრივი გამოყენება.

ყრილობას აგრეთვე უსათუოდ სწორად მიაჩნია მოქმედება საზავო დელეგაციისა, რომელმაც უარი თქვა გერმანიის საზავო პირობების დაწვრილებით განხილვაზე, ვინაიდან ეს პირობები ჩვენ თავს მოგვახვიეს აშკარა ულტიმატუმით და დაუფარავი ძალდატანებით.

ყრილობა ყველა მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს, ყველა მშრომელ და ჩაგრულ მასებს გადაჭრით უყენებს მიმდინარე მომენტის უმთავრეს მორიგ და გადაუდებელ ამოცანას: მშრომელთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის ამაღლება, შექმნა ყველგან მტკიცე და მწყობრი ორგანიზაციებისა, რომელნიც, რამდენადაც შესაძლებელია, მოიცავენ პროდუქტთა მთელ წარმოებას და მთელ განაწილებას,

ულმობელი ბრძოლა იმ ქაოსთან, დეზორგანიზაციასთან, ნგრევასთან, რაც ისტორიულად აუცილებელია როგორც უაღრესად მტანჯველი ომის მემკვიდრეობა, მაგრამ რაც ამავე დროს წარმოადგენს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისა და სოციალისტური საზოგადოების საფუძველთა განმტკიცების საქმის უპირველეს დაბრკოლებას.

დღეს, მას შემდეგ, რაც მოხდა ოქტომბრის გადატრიალება, დამხობილ იქნა ბურჟუაზიის პოლიტიკური ხელისუფლება რუსეთში, მას შემდეგ, რაც ჩვენ გავაუქმეთ და გამოვაქვეყნეთ ყველა საიდუმლო იმპერიალისტური ხელშეკრულება, გავაუქმეთ უცხოეთის სესხები, მას შემდეგ, რაც მუშათა და გლეხთა მთავრობამ სამართლიანი ზავის წინადადება მისცა გამოუკლებლივ ყველა ხალხს, — დღეს რუსეთს, რომელმაც თავი დააღწია იმპერიალისტური ომის ბრჭყალებს, უფლება აქვს განაცხადოს, რომ ის მონაწილეობას არ იღებს უცხო ქვეყნების ძარცვასა და დათრგუნვაში.

ამიერიდან რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა, ერთსულოვნად გმობს რა მძარცველურ ომებს, აღიარებს თავის უფლებას და თავის მოვალეობას — დაიცვას სოციალისტური სამშობლო ყოველგვარი შესაძლებელი თავდასხმისაგან ამა თუ იმ იმპერიალისტური სახელმწიფოს მხრით.

ამიტომ ყრილობა ყველა მშრომელი მასების აუცილებელ მოვალეობად აღიარებს — დაძაბონ მთელი ძალ-ღონე ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის აღსადგენად და ასამაღლებლად, მისი სამხედრო ძლიერების აღსადგენად სოციალისტური მილიციისა და ორივე სქესის ყველა მოზარდისა და სრულწლოვანი მოქალაქისათვის სამხედრო ცოდნისა და სამხედრო საქმის საყოველთაო სწავლების საფუძველზე.

ყრილობა გამოთქვამს ურყევ რწმენას, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც შეუდრეკლად ასრულებდა ყველა ქვეყნის მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის ყოველგვარ ვალდებულებას მათს ბრძოლაში კაპიტალის უღლის წინააღმდეგ სოციალიზმისათვის, კვლავაც მოიმოქმედებს ყოველივეს, რაც კი შეგვიძლია, საერთაშორისო სოციალისტური

მოძრაობის ხელშესაწყობად, იმ გზის უზრუნველსაყოფად და დასაჩქარებლად, რომელსაც კაცობრიობა მიყავს კაპიტალის უღლისა და დაქირავებული მონობისაგან განთავისუფლებისაკენ, სოციალისტური საზოგადოების შექმნისა და ხალხთა შორის მტკიცე, სამართლიანი მშვიდობის დამყარებისაკენ.

ყრილობა ულრმესად დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო მუშათა რევოლუცია შორს აღარ არის, და რომ სოციალისტური პროლეტარიატის სრული გამარჯვება უზრუნველყოფილია, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყნის იმპერიალისტები არ ჩერდებიან უაღრესად მხეცური საშუალებების წინაშეც კი სოციალისტური მოძრაობის ჩასახშობად.

«პრავდა» («სოციალ-დემოკრატ»)
№ 47, 1918 წ. 16 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან

შენიშვნა «მემარცხენე კომუნისტების» საქციელის შესახებ

რამდენიმე ამხანაგმა, რომელნიც თავისთავს «მემარცხენე კომუნისტებს» უწოდებენ, ბრესტის ზავის დადების შემდეგ პარტიაში დაიკავეს «ოპოზიციის» მდგომარეობა, და მათი მოქმედება ამის გამო სულ უფრო მეტად მიექანება პარტიული დისციპლინის ყოვლად არალოიალური და შეუწყნარებელი დარღვევისაკენ.

ამხ. ბუხარინმა უარი თქვა მიეღო ც. კ-ის წევრის თანამდებობა, რომელზედაც ის დანიშნა პარტიულმა ყრილობამ.

ამხ. ამხ. სმირნოვმა, ობოლენსკიმ, იაკოვლევამ დატოვეს სახალხო კომისრების და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საქმეთა მმართველის თავიანთი თანამდებობანი.

ეს ყოვლად არალოიალური, არაამხანაგური, პარტიული დისციპლინის დამარღვეველი ქცევაა, და ასეთი საქციელი იყო და რჩება გათიშვისაკენ გადადგმულ ნაბიჯად დასახელებული ამხანაგების მხრივ... *

დაწერილია 1918 წ. მარტის
მეორე ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

პირველი მოწასახი სტატიისა «საბჭოთა ხელისუფლების მოკრიბი ამოცანები»[70]

სტენოგრაფიული ჩანაწერი

თავი X

... * საბჭოთა პრესა უზომოდ დიდ ადგილსა და ყურადღებას უთმობდა პოლიტიკის იმ წვრილმანებს, პოლიტიკური ხელმძღვანელობის იმ პირად საკითხებს, რომლებითაც ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ცდილობდნენ ხალხის მასების ყურადღების ჩამოშორებას მათი ცხოვრების ნამდვილად სერიოზული, ღრმა და ძირითადი საკითხებისაგან. და ამ მხრით ჩვენ კიდევ თითქმის ხელახლა უნდა გადავჭრათ ის ამოცანა, რომლის გადასაჭრელად ყველა მატერიალური წანამძღვარი არსებობს, არ არის მხოლოდ შეგნება ამ ამოცანის აუცილებლობისა და მზადყოფნა მისი გადაჭრისათვის. ესაა, სახელდობრ, ამოცანა — გადავაქციოთ პრესა უმთავრესად ყოველდღიური პოლიტიკური ახალი ამბების შეტყობინების ორგანოდან მოსახლეობის მასების ეკონომიური აღზრდის სერიოზულ ორგანოდ. საჭიროა მივაღწიოთ, და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ პრესა, რომელიც ემსახურება საბჭოთა მასებს, ნაკლებ ადგილს დაუთმობს პოლიტიკური ხელმძღვანელობის პირადი შემადგენლობის, ან მეცხრეხარისხოვან პოლიტიკურ ღონისძიებათა საკითხებს, რაც შეადგენს ყველა პოლიტიკური დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობას, რუტინულ მუშაობას. პირველ ადგილზე კი პრესამ უნდა დასვას შრომის საკითხები მათ უშუალოდ პრაქტიკულ დაყენებასთან დაკავშირებით. პრესა

* სტენოგრამის დასაწყისი დაკარგულია. რ ე დ.

უნდა გახდეს შრომითი კომუნის ორგანო იმ აზრით, რომ გამოაქვეყნოს სწორედ ის, რასაც უმალავდნენ მასას კაპიტალისტურ საწარმოთა ხელმძღვანელები. კაპიტალისტისათვის მისი საწარმოს შინაგანი ორგანიზაცია წარმოადგენდა ისეთ რამეს, რაც კომერციული საიდუმლოებით იყო დაფარული გარეშე საზოგადოებისაგან, — ისეთ რამეს, სადაც, ვგონებ, უნდოდათ ყოფილიყვნენ ყოვლისმპყრობელნი და ერთმპყრობელნი, დაცულნი არა მარტო კრიტიკისაგან, არა მარტო გარეშე ჩარევისაგან, არამედ გარეშე თვალისგანაც კი. პირიქით, საბჭოთა ხელისუფლებისათვის სწორედ შრომის ორგანიზაცია ცალკეულ უდიდეს საწარმოებსა და სოფლის ცალკეულ თემებში წარმოადგენს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მთავარ, ძირითად და საჭირბოროტო საკითხს. ჩვენი პირველი და მთავარი საშუალება მშრომელთა თვითდისციპლინის ასამაღლებლად და მუშაობის ძველი, ყოვლად უვარგისი ხერხებიდან ან კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებულ მუშაობის თავდაძვრენის ხერხებიდან გადასასვლელად, მთავარი საშუალება უნდა იყოს პრესა, რომელიც ამჟღავნებს ყოველი შრომითი კომუნის სამეურნეო ცხოვრების ნაკლოვანებებს, დაუნდობლად გმობს ამ ნაკლოვანებებს, პირდაპირ ააშკარავებს ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ყველა წყლულს და, ამნაირად, მშრომელთა საზოგადოებრივ აზრს მიმართავს ამ წყლულთა განსაკურნებლად. დაე, გვქონდეს ათჯერ ნაკლები საგაზეთო მასალა (შეიძლება, უკეთესიც იყოს, რომ ის ასჯერ ნაკლები იქნეს), საგაზეთო მასალა, რომელიც ეძღვნება ეგრეთწოდებულ დღიურ ჭირვარამს, — მაგრამ გვქონდეს მრავალ ასეულ ათას და მილიონ ცალად გავრცელებული პრესა, რომელიც აცნობს მთელ მოსახლეობას საქმის სანიმუშო დაყენებას სახელმწიფოს ზოგიერთ, სხვებზე დაწინაურებულ შრომითს კომუნაში. ყოველი ფაბრიკა, ყოველი არტელი და სამიწათმოქმედო საწარმო, ყოველი სოფელი, რომელიც გადადის ახალ მიწათმოქმედებაზე მიწის სოციალიზაციის კანონის გამოყენებით, ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების დემოკრატიული

საფუძვლების აზრით წარმოადგენს დამოუკიდებელ კომუნას შრომის შინაგანი ორგანიზაციითურთ. თვითეულ ამ კომუნაში მშრომელთა თვითდისციპლინის ამაღლება, მათი შეთანხმებულად მუშაობის უნარი თუნდაც ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან გამოსულ ხელმძღვანელ-სპეციალისტებთან, მათ მიერ პრაქტიკული შედეგების მიღწევა შრომის ნაყოფიერების ამაღლების აზრით, ადამიანის შრომის მომჭირნეობის აზრით, პროდუქტთა დაზოგვით იმ გაუგონარი განიავებისაგან, რომელიც ამჟამად წარმოუდგენლად გვაწუხებს, — აი, რა უნდა შეადგენდეს ჩვენი საბჭოთა პრესის მასალის უმეტესი ნაწილის შინაარსს. აი რა გზით შეგვიძლია და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მაგალითის ძალა გადაიქცეს ახალ საბჭოთა რუსეთში შრომის მოწყობის პირველ რიგში მორალურ, შემდეგ კი — იძულებით შემოსაღებ ნიმუშად.

კაპიტალისტური საზოგადოების დროს არა ერთხელ ყოფილა მაგალითები შრომითი კომუნების მოწყობისა ისეთი ადამიანების მიერ, რომელნიც ფიქრობდნენ მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ დაერწმუნებინათ კაცობრიობა სოციალიზმის უპირატესობაში და უზრუნველეყოთ მისი შემოღება. ასეთი თვალსაზრისი და მოღვაწეობის ასეთი წესები ყოვლად კანონიერ დაცინვას იწვევს რევოლუციური მარქსისტების მხრით, იმიტომ რომ კაპიტალისტური მონობის ვითარებაში რაიმე ძირითადი ცვლილებების მიღწევა იზოლირებული მაგალითების საშუალებით მართლაც სრულიად ფუჭი ოცნება იქნებოდა, რაც სინამდვილეში იწვევდა ან უსიცოცხლო საწარმოებს, ან ამ საწარმოთა გადაქცევას წვრილ კაპიტალისტთა კავშირებად.

მსობრივ სახალხო მეურნეობაში მაგალითის მნიშვნელობისადმი დაცინვით და ათვალწუნებით მოპყრობის ეს ჩვეულება ხანდახან ახლაც იჩენს თავს იმათ შორის, ვისაც ვერ შეუგნია ის ძირითადი ცვლილება, რომელიც მოხდა პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის დროიდან. ახლა, როცა მიწა აღარ წარმოადგენს კერძო

საკუთრებას, როცა ფაბრიკები და ქარხნები თითქმის აღარ არის კერძო საკუთრება და, უეჭველად, სრულიად აღარ იქნება ახეთი სულ უახლოეს მომავალში — (სათანადო დეკრეტების შემოღება, — საბჭოთა ხელისუფლებისათვის მის ახლანდელ მდგომარეობაში ეს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს), — ახლა შრომითი კომუნის მაგალითმა, რომელიც უკეთ სწყვეტს, ვიდრე რომელიმე სხვა საშუალება, ორგანიზაციულ საკითხებს, უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა. ჩვენ სწორედ ახლა უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ დიდძალი უაღრესად ძვირფასი მასალა, რომელიც წარმოების ახალი ორგანიზაციის გამოცდილების სახით მოგვეპოვება ცალკე ქალაქებში, ცალკე საწარმოებში, ცალკე სასოფლო თემებში, — რომ ეს გამოცდილება მასების საკუთრებად გადაიქცეს.

დღემდე ჩვენ ჯერ კიდევ ბურჟუაზიის ძველი საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ ვიმყოფებით. თუ შევხედავთ ჩვენს გაზეთებს, ადვილად დავრწმუნდებით იმაში, თუ ჯერ კიდევ რა უზომოდ დიდ ადგილს ვუთმობთ ჩვენ ბურჟუაზიის მიერ დაყენებულ საკითხებს, — იმ საკითხებს, რომლებითაც მას სურს ჩამოაშოროს მშრომელთა ყურადღება სოციალისტური გარდაქმნის კონკრეტულ პრაქტიკულ ამოცანებს. ჩვენ პრესა უნდა გადავაქციოთ, — და გადავაქცევთ კიდეც, — სენსაციის ორგანოდან, პოლიტიკური ახალი ამბების შეტყობინების უბრალო აპარატიდან, ბურჟუაზიული სიცრუის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდან, — მასის ხელახალი ეკონომიური აღზრდის იარაღად, მასისთვის იმის გაცნობის იარაღად, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ შრომა ახლებურად. ის საწარმოები თუ სოფლის თემები, რომლებზედაც არ მოქმედებს არავითარი მოწოდება და მოთხოვნა თვითდისციპლინის აღდგენისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ, სოციალისტური პარტიების მიერ შავ დაფაზე იქნებიან წამოყენებული, და გადაყვანილ იქნებიან ან დაავადებული საწარმოების თანრიგში, რომელთა მიმართ საჭირო ხდება ზომების მიღება მათ

გასაჯანსაღებლად განსაკუთრებული მოწყობილობის, — განსაკუთრებული ნაბიჯებისა და კანონდებულებების, — გზით, ან გადაყვანილ იქნებიან დაჯარიმებულ საწარმოთა თანრიგში, რომელნიც უნდა დაიხურონ და რომელთა მონაწილენი უნდა გადაეცნენ სახალხო სასამართლოს. ამ დარგში საჯარობის შემოღება, თავისთავად, უკვე დიდი რეფორმა იქნება და ხელს შეუწყობს ხალხის ფართო მასების ჩაბმას დამოუკიდებელი მონაწილეობის მისაღებად ამ საკითხების გადაჭრაში, რომელნიც ყველაზე უფრო ეხებიან მასებს. დღემდე ამ მხრით ასე ცოტა რამის გაკეთება მოხერხდა სწორედ იმიტომ, რომ ის, რაც ცალკე საწარმოებში, ცალკე თემებში დაცული იყო საზოგადოებრიობისაგან დაფარულად, ძველებურადვე საიდუმლოებად რჩება, რაც გასაგები იყო კაპიტალიზმის დროს და რაც სრულიად შეუსაბამო, უაზროა იმ საზოგადოებაში, რომელსაც სოციალიზმის განხორციელება სურს. მაგალითის ძალა, რომელსაც არ შეეძლო თავი გამოეჩინა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, უდიდეს მნიშვნელობას მოიპოვებს იმ საზოგადოებაში, რომელმაც გააუქმა მიწისა და ფაბრიკების კერძო საკუთრება, — არა მარტო იმიტომ, რომ აქ, შეიძლება, კარგ მაგალითს წაბაძონ, არამედ იმიტომაც, რომ წარმოების ორგანიზაციის საუკეთესო მაგალითს თან მოყვება შრომის აუცილებელი შემსუბუქება და მოხმარების ჯამის გადიდება იმათთვის, ვინც ეს საუკეთესო ორგანიზაცია გაატარა. და აქ პრესის როგორც ეკონომიური რეორგანიზაციისა და მასების ხელახალი აღზრდის ორგანოს მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა შევეხოთ აგრეთვე პრესის მნიშვნელობის საკითხს შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში.

შეჯიბრების ორგანიზაციამ თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს საბჭოთა ხელისუფლების ამოცანათა შორის ეკონომიურ დარგში. ბურჟუაზიული ეკონომისტები არა ერთხელ გამოსულან სოციალიზმის საწინააღმდეგო თავიანთ კრიტიკაში განცხადებით, თითქო სოციალისტები უარყოფდნენ შეჯიბრების მნიშვნელობას, ან ადგილს არ აძლევდნენ მას

თავიანთ სისტემაში, ანდა, როგორც ისინი ამბობდნენ, საზოგადოებრივი წყობილების თავიანთ გეგმაში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რამდენად უაზროა ეს ბრალდება, რომელიც უკვე არა ერთხელ ყოფილა გაბათილებული სოციალისტურ პრესაში. როგორც ყოველთვის, ბურჟუაზიული ეკონომისტები კაპიტალისტური საზოგადოების თავისებურებათა საკითხს ურევდნენ შეჯიბრების ორგანიზაციის სხვანაირი ფორმის საკითხში. სოციალისტების თავდასხმა არასოდეს არ ყოფილა მიმართული შეჯიბრების, როგორც ასეთის წინააღმდეგ, არამედ მიმართული იყო მხოლოდ კონკურენციის წინააღმდეგ. კონკურენცია კი განსაკუთრებული ფორმაა იმ შეჯიბრებისა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებას მოსდგამს და რომელიც მდგომარეობს ცალკეულ მწარმოებელთა ბრძოლაში ლუკმა პურისათვის, ბაზარზე გავლენისა და ადგილისათვის. მოსპობა კონკურენციისა, როგორც მხოლოდ მწარმოებელთა ბაზართან დაკავშირებული ბრძოლისა, სრულიადაც არ ნიშნავს შეჯიბრების მოსპობას, — პირიქით, სწორედ სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის მოსპობა გაუხსნის გზას შეჯიბრების ორგანიზაციის შესაძლებლობას არა მხეცურ, არამედ ადამიანურ ფორმებში. სწორედ ამჟამად რუსეთში პოლიტიკური ხელისუფლების იმ საფუძვლების პირობებში, რომლებიც შექმნა საბჭოთა რესპუბლიკამ, იმ ეკონომიური თვისებების დროს, რომლებიც ახასიათებენ რუსეთს მისი თვალუწვდენელი სივრცეებით და პირობათა გიგანტური მრავალფეროვნებით, — სწორედ ახლა ჩვენში სოციალისტურ საფუძველზე დამყარებული შეჯიბრების ორგანიზაცია უნდა წარმოადგენდეს საზოგადოების რეორგანიზაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე მადლიან ამოცანას.

ჩვენ ვემხრობით დემოკრატიულ ცენტრალიზმს. და ნათლად უნდა შევიგნოთ, რა დიდად განსხვავდება დემოკრატიული ცენტრალიზმი, ერთი მხრით, ბიუროკრატიული ცენტრალიზმისაგან, მეორე მხრით — ანარქიზმისაგან. ცენტრალიზმის მოწინააღმდეგენი მუდამ აყენებენ ავტონომიას

და ფედერაციას, როგორც ცენტრალიზმის შემთხვევითობებთან ბრძოლის საშუალებებს. ნამდვილად კი დემოკრატიული ცენტრალიზმი სრულიად არ გამორიცხავს ავტონომიას, არამედ, პირიქით, გულისხმობს მის აუცილებლობას. ნამდვილად ფედერაციაც კი, თუ იგი გატარებულია ეკონომიური თვალსაზრისით გონივრულ ფარგლებში, თუ იგი ემყარება სერიოზულ ნაციონალურ განსხვავებებს, რომელნიც ერთგვარი სახელმწიფოებრივი განცალკევების ნამდვილ საჭიროებას იწვევენ, — ფედერაციაც კი სრულიად არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ცენტრალიზმს. ძალიან ხშირად ფედერაცია ნამდვილად დემოკრატიული წყობილების დროს, მით უფრო კი სახელმწიფო წყობილების საბჭოთა ორგანიზაციის პირობებში, მხოლოდ გარდამავალ ნაბიჯს წარმოადგენს ნამდვილი დემოკრატიული ცენტრალიზმისაკენ. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მაგალითიც ხომ განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს, რომ ამჟამად ფედერაცია, რომელიც შემოგვაქვს და შემოვიღებთ, სწორედ ყველაზე საიმედო ნაბიჯი იქნება რუსეთის სხვადასხვა ეროვნებათა უმტკიცესად გასაერთიანებლად ერთიან დემოკრატიულ ცენტრალიზებულ საბჭოთა სახელმწიფოში.

და აი, როგორც დემოკრატიული ცენტრალიზმი სულაც არ გამორიცხავს ავტონომიას და ფედერაციას, ასევე იგი სრულიად არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილებისა და თვით სხვადასხვა თემების სრულ თავისუფლებას როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვაგვარი ფორმების გამომუშავებაში. იმაზე მცდარი არ არის რა, როგორც დემოკრატიული ცენტრალიზმის არევა ბიუროკრატიზმსა და შაბლონიზაციაში. ამჟამად ჩვენი ამოცანაა გავატაროთ სწორედ დემოკრატიული ცენტრალიზმი მეურნეობის დარგში, უზრუნველვყოთ აბსოლუტური სიმწყობრე და ერთიანობა ისეთი ეკონომიური საწარმოების მოქმედებაში, როგორიცაა რკინიგზები, ფოსტა, ტელეგრაფი და ტრანსპორტის სხვა საშუალებანი და სხვ.; ამავე დროს

ცენტრალიზმი, ნამდვილად დემოკრატიული აზრით გაგებული, გულისხმობს ისტორიის მიერ პირველად შექმნილ შესაძლებლობას არა მარტო ადგილობრივი თავისებურებების, არამედ ადგილობრივი თაოსნობის, ადგილობრივი ინიციატივის, საერთო მიზნისაკენ მიმართული მოძრაობის სხვადასხვაგვარი გზების, წესებისა და საშუალებების სრული და შეუფერხებელი განვითარებისათვის. ამიტომ შეჯიბრების მოწყობის ამოცანა შედგება ორი მხარისაგან: ერთი მხრით, იგი მოითხოვს დემოკრატიული ცენტრალიზმის გატარებას ისე, როგორც იგი დასურათებულია ზევით; მეორე მხრით, იგი ნიშნავს რუსეთის ეკონომიური წყობილების სარეორგანიზაციოდ ყველაზე უფრო სწორი, ყველაზე უფრო მომჭირნე გზის გამონახვის შესაძლებლობას. საერთოდ რომ ვთქვათ, ეს გზა ცნობილია. ის მდგომარეობს მანქანურ ინდუსტრიაზე დამყარებულ მსხვილ მეურნეობაზე გადასვლაში, სოციალიზმზე გადასვლაში. მაგრამ ამ გადასვლის კონკრეტული პირობები და ფორმები აუცილებლივ არის და უნდა იყოს სხვადასხვაგვარი იმ პირობების მიხედვით, რომლებშიც იწყება სოციალიზმის შექმნისაკენ მიმართული მოძრაობა. ადგილობრივი განსხვავებანიც, ეკონომიური წყობის თავისებურებანიც, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ფორმებიც, მისი მომზადებულობის ხარისხიც, ამა თუ იმ გეგმის განხორციელების ცდებიც, — ყოველივე ეს გავლენას უნდა ახდენდეს სოციალიზმისაკენ მიმავალი გზის თავისებურებაზე სახელმწიფოს ამა თუ იმ შრომითს კომუნაში. რაც უფრო მეტი იქნება ასეთი სხვადასხვაგვარობა, — რასაკვირველია, თუ იგი არ გადაიქცევა ორიგინალობიად, — მით უფრო სწორად და უფრო ჩქარა იქნება უზრუნველყოფილი როგორც ჩვენს მიერ დემოკრატიული ცენტრალიზმის მიღწევა, ისე სოციალისტური მეურნეობის განხორციელება. ამჟამად ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ მოვაწყოთ შეჯიბრება, ე. ი. უზრუნველვყოთ საჯარობა, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს ყველა თემს გააცნონ ის, თუ სახელდობრ როგორ

წავიდა ეკონომიური განვითარება სხვადასხვა ადგილებში, — უზრუნველვყოთ, მეორე, სოციალიზმისაკენ მოძრაობის შედეგების შესადარისობა სახელმწიფოს ერთსა და მეორე კომუნაში, — უზრუნველვყოთ, მესამე, შესაძლებლობა ერთ თემში მიღებული გამოცდილების პრაქტიკული განმეორებისა სხვა თემების მიერ, — უზრუნველვყოთ შესაძლებლობა იმ მატერიალური ძალების, — და ადამიანური ძალების, — გაცვლისა, რომელთაც საუკეთესო მხრით გამოიჩინეს თავი სახალხო მეურნეობის თუ სახელმწიფო მმართველობის სათანადო დარგში. ჩვენ, კაპიტალისტური წყობილებით შევიწროებულნ, დღეს ზუსტად არც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა მდიდარი ძალები იფარება მშრომელთა მასაში, დიდი სახელმწიფოს შრომითი კომუნების სხვადასხვაგვარობაში, ინტელიგენტურ ძალებში, რომელნიც აქამდე მუშაობდნენ როგორც კაპიტალისტთა განზრახვების მკვდარი უხმო აღმსრულებელნი, რა ძალები იმალება და შეიძლება გაიშალოს საზოგადოების სოციალისტური წყობილების დროს. ჩვენი საქმე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გზა გავუკაფოთ ყველა ამ ძალას. და თუ ჩვენ დავაყენებთ შეჯიბრების ორგანიზაციას, როგორც ჩვენს სახელმწიფოებრივ ამოცანას, — მაშინ, სახელმწიფოებრივი ხასიათის საბჭოთა პრინციპების გატარების პირობებში, მიწის, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვ. კერძო საკუთრების მოსპობის პირობებში, — შედეგებმა თავი უნდა იჩინონ აუცილებლად და ისინი გვიკარნახებენ ჩვენ მშენებლობის შემდგომ ფორმებს.

თავი XI

საბჭოების საგანგებო ყრილობის რეზოლუცია, რომელიც დასაწყისში მოვიხსენიე, სხვათა შორის, ლაპარაკობს მწყობრი და მტკიცე ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობაზე *. ამჟამად როგორც საბჭოთა დაწესებულებების, ისე რუსეთის ფარგლებში მოქმედი ეკონომიური ერთეულების

* იხ. ეს ტომი, გვ. 228. რედ.

ორგანიზებულობა ძალიან დაბალია. შეიძლება ითქვას, რომ სჭარბობს უდიდესი დეზორგანიზაციის მდგომარეობა.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა ეს მდგომარეობა შეგვეფასებინა, როგორც დაშლის, კრახისა და დაცემის მდგომარეობა. თუ ბურჟუაზიული პრესა იძლევა ასეთ შეფასებას, გასაგებია, რომ კაპიტალისტთა კლასის ინტერესები აიძულებენ ადამიანებს ამგვარად უყურონ საქმეს ან, უფრო სწორად, აიძულებენ მათ მოგვაჩვენონ, რომ ისინი ასე უყურებენ. ნამდვილად კი ყოველი ადამიანი, რომელსაც უნარი აქვს ოდნავ მაინც ისტორიულად შეხედოს საქმეს, ერთი წუთითაც არ დაეჭვდება იმაში, რომ დეზორგანიზაციის ახლანდელი მდგომარეობა არის გადასვლის მდგომარეობა, — გადასვლისა ძველიდან ახალზე, — არის ამ ახალის ზრდის მდგომარეობა. ძველიდან ახალზე გადასვლა, თუ იგი ისე მძაფრად ხდება, როგორც ხდება იგი რუსეთში 1917 წლის თებერვლიდან, რასაკვირველია, გულისხმობს ყოველივე მოძველებულისა და გაქვავებულის გიგანტურ რღვევას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. და გასაგებია, რომ ახალის ძიებას არ შეუძლია ერთბაშად მოგვცეს ის გარკვეული, განმტკიცებული, თითქმის გაყინული და გაქვავებული ფორმები, რომელნიც წინათ საუკუნეობით ყალიბდებოდნენ და საუკუნეობით ძლებდნენ. ახლანდელი საბჭოთა დაწესებულებანი და ის ეკონომიური ორგანიზაციები, რომელთაც ახასიათებს მრეწველობაში მუშათა კონტროლის ცნება, — ეს ორგანიზაციები ჯერ კიდევ დუღილისა და სრული ჩამოუყალიბებლობის პერიოდში იმყოფებიან. ამ ორგანიზაციებში საქმიან მხარეს ბუნებრივად სჭარბობს, ასე ვთქვათ, სადისკუსიო ანუ მიტინგური მხარე. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, იმიტომ რომ საზოგადოებრივ მშენებლობაში ხალხის ახალი ფენების ჩაუბმელად, აქამდე მძინარე ფართო მასების აქტივობის გაუღვიძებლად არავითარ რევოლუციურ გარდაქმნაზე არ შეიძლება ლაპარაკი. დაუსრულებელი დისკუსია და დაუსრულებელი მიტინგობია, —

რაზედაც ამდენს და ასე გაბოროტებით ლაპარაკობს ბურ-ჟუაზიული პრესა, — საზოგადოებრივი მშენებლობისთვის ჯერ კიდევ სრულიად მოუმზადებელი მასების აუცილებელი გადასვლაა, — გადასვლა ისტორიული მძინარებიდან ახალ ისტორიულ შემოქმედებაზე. სრულიად არაფერი საშიში არაა იმაში, რომ ეს გადასვლა ალაგ-ალაგ ჭიანურდება, ან იმაში, რომ მასებისათვის ახალი მუშაობის სწავლება არ მიდის იმ სიჩქარით, რაზედაც შეუძლია იოცნებოს ადამიანმა, რომელიც მიჩვეულია ცალკე მუშაობას და რომელსაც არ ესმის, რას ნიშნავს ასების, ათასებისა და მილიონების გამოღვიძება დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებისათვის. მაგრამ, გვესმის რა ეს, ჩვენ აგრეთვე უნდა გავიგოთ ამ მხრივ დაწყებული გარდატეხაც. ვიდრე საბჭოთა დაწესებულებები მთელ რუსეთში არ იყო გავრცელებული, ვიდრე მიწის სოციალიზაცია და ფაბრიკების ნაციონალიზაცია საერთო წესის გამონაკლისად რჩებოდა, — მანამდე, ბუნებრივია, სახალხო მეურნეობის საზოგადოებრივ გამგებლობასაც ჯერ კიდევ არ შეეძლო გამოსულიყო (თუ ავიღებთ საქმეს საერთო-ნაციონალური მასშტაბით) წინასწარი სადისკუსიო მზადების სტადიიდან, განხილვის სტადიიდან, განმარტების სტადიიდან. ამჟამად იწყება სწორედ გარდატეხა, საბჭოთა დაწესებულებანი გავრცელდნენ მთელ რუსეთში. ველოკოროსიიდან ისინი მოედვნენ რუსეთის სხვა ეროვნებათა დიდ უმრავლესობას. მიწის სოციალიზაცია სოფლად და მუშათა კონტროლი ქალაქად აღარ წარმოადგენენ გამონაკლისს, ისინი, პირიქით, წესად იქცნენ.

მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის უკიდურესად კრიზისული და თითქმის სასოწარკვეთილი მდგომარეობაც კი მოსახლეობის უმრავლესობისათვის არსებობის თუნდაც უბრალო შესაძლებლობის უზრუნველყოფის აზრით, შიმშილისაგან მისი უზრუნველყოფის აზრით, — ეს სამეურნეო პირობები დაჟინებით მოითხოვენ განსაზღვრული პრაქტიკული შედეგების მიღწევას. სოფელს შეუძლია გამოიკვებოს თავისი პურით, — ეს უეჭველია, — მაგრამ მას შეუძლია გამოი-

კვებოს მით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილად აბსოლუტური სისასტიკით მოხდება მთელი არსებული პურის აღრიცხვა და თუ უდიდესი მომჭირნეობითა და დაზოგვით შეძლებენ მის განაწილებას მთელ მოსახლეობას შორის. სწორი განაწილებისათვის კი საჭიროა ტრანსპორტის წესიერი დაყენება. ხოლო ტრანსპორტი სწორედ ყველაზე უფროა დანგრეული ომისაგან. ტრანსპორტის აღსადგენად კი იმ ქვეყანაში, რომელიც ხასიათდება ისეთი დიდი სივრცეებით, როგორც რუსეთში, — ყველაზე უფრო საჭიროა მწყობრი, მტკიცე ორგანიზაცია და, შეიძლება, ნამდვილად, მილიონობით ადამიანებიც კი, რომელნიც იმუშავებენ საათის მექანიზმის სისწორით. ახლა დადგა სწორედ ის გარდამტეხი პუნქტი, როცა ჩვენ, სრულიადაც არ უნდა შევაჩეროთ რა მასების მომზადება საზოგადოების ყველა საქმის სახელმწიფოებრივ და ეკონომიურ მმართველობაში მონაწილეობის მისაღებად, სრულიადაც არ უნდა შევუშალოთ რა ხელი მათ მიერ ახალი ამოცანების უაღრესად დაწვრილებით განხილვას (პირიქით, ყოველნაირად უნდა დავეხმაროთ მათ აწარმოონ ეს განხილვა, რათა დამოუკიდებლად მოისაზრონ სწორი გადაწყვეტილებანი), ამავე დროს უნდა დავიწყოთ და მკაცრად გავაცალკევოთ ერთმანეთისაგან დემოკრატიული ფუნქციების ორი კატეგორია: ერთი მხრით — დისკუსია, მიტინგობია, მეორე მხრით — უსასტიკესი პასუხისმგებლობის შემოღება აღმასრულებელი ფუნქციებისათვის და იმ ბრძანებათა და განკარგულებათა უსათუოდ შრომითი, დისციპლინებული, ნებაყოფლობითი შესრულებისათვის, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ სამეურნეო მექანიზმი მართლა ისე მუშაობდეს, როგორც მუშაობს საათი. ამაზე გადასვლა ერთბაშად ა[illegible] შეიძლებოდა, აბის ჭოთხოვნა იქნებოდა პედანტობა ან ბოროტი პროვოკაციაც კი ამ რამდენიმე თვის წინათ. საერთოდ რომ ითქვას, ამ გარდაქმნის გატარება არ შეიძლება არავითარი დეკრეტით, არავითარი ბრძანებით. მაგრამ დადგა დრო, როცა მთელი ჩვენი რევოლუციური გარდაქმნითი მოღვაწეობის ცენტრალურ

პუნქტს სწორედ ამ გარდაქმნის განხორციელება წარმოადგენს. ახლა იგი მომზადებულია, ახლა პირობები მისთვის მომწიფებულია და ახლა კიდევ გადადება და კიდევ ცდა აღარ შეიძლება. ამას წინათ რკინიგზის ტრანსპორტის რეორგანიზაციისა და სწორი დაყენების საკითხის განხილვის დროს წამოიჭრა საკითხი, თუ რამდენად შესათავსებელია ერთპიროვნული განმკარგულებელი ხელისუფლება (ხელისუფლება, რომლისთვისაც შეგვეძლო გვეწოდებინა დიქტატორული ხელისუფლება) საერთოდ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, კოლეგიურ საწყისთან მმართველობაში — განსაკუთრებით, და ორგანიზაციის საბჭოთა სოციალისტურ პრინციპთან — კერძოდ. უეჭველია, დიდად გავრცელებულია აზრი, თითქოს ასეთ შეთავსებაზე არ შეიძლებოდეს ლაპარაკი, — აზრი, თითქოს ერთპიროვნული დიქტატორული ხელისუფლება არ იყოს შესათავსებელი არც დემოკრატიზმთან, არც სახელმწიფოს საბჭოთა ტიპთან და არც მმართველობის კოლეგიალობასთან. ამ აზრზე უფრო მცდარი არაფერია.

ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპი — იმ უმაღლესი ფორმით, როცა საბჭოების მიერ ტარდება წინადადებანი და მოთხოვნები მასების აქტიური მონაწილეობისა არა მარტო საერთო წესების, დადგენილებებისა და კანონების განხილვაში, არა მარტო მათი შესრულების კონტროლში, არამედ უშუალოდ მათ შესრულებაშიც, — ეს იმას ნიშნავს, რომ მასის ყოველი წარმომადგენელი, ყოველი მოქალაქე ისეთ პირობებში უნდა იქნას ჩაყენებული, რომ მას შეეძლოს მონაწილეობა სახელმწიფოს კანონების განხილვაშიც, თავის წარმომადგენელთა არჩევნებშიც და სახელმწიფო კანონების განხორციელებაშიც. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ დასაშვები იყოს სულ მცირედი ქაოსი, ან მცირედი უწესობა იმ მხრივ, თუ ვინ არის პასუხისმგებელი თვითეულ ცალკე შემთხვევაში განსაზღვრული აღმასრულებელი ფუნქციებისათვის, განსაზღვრულ განკარგულებათა ცხოვრებაში გატარებისათვის, დროის განსაზღვრულ მან-

ძილზე საერთო შრომის განსაზღვრული პროცესის ხელმძღვანელობისათვის. მასას უნდა ჰქონდეს თავისი პასუხისმგებელი ხელმძღვანელების არჩევის უფლება. მასას უნდა ჰქონდეს მათი შეცვლის უფლება, მასას უნდა ჰქონდეს უფლება იცოდეს და შეამოწმოს მათი მოღვაწეობის ყოველი, თვით უმცირესი ნაბიჯიც კი. მასას უნდა ჰქონდეს უფლება წამოაყენოს მასის გამოუკლებლივ ყველა მუშა წევრი განმკარგულებელ ფუნქციებზე. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კოლექტიური შრომის პროცესის დატოვება შეიძლებოდეს განსაზღვრული ხელმძღვანელობის გარეშე, ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ზუსტად დადგენის გარეშე, ხელმძღვანელის ნებისყოფის ერთიანობით შექმნილი უსასტიკესი წესრიგის გარეშე. წესიერად ვერ იმოქმედებენ ვერც რკინიგზები, ვერც ტრანსპორტი, ვერც მსხვილი მანქანები და საწარმოები საზოგადოდ, თუ არაა ნებისყოფის ერთიანობა, მშრომელთა მთელი ერთობლიობის შემაკავშირებელი ერთ სამეურნეო ორგანოდ, რომელიც საათის მექანიზმის სისწორით მუშაობს. სოციალიზმი წარმოშობილია მსხვილი მანქანური ინდუსტრიის მიერ. და თუ მშრომელი მასები, რომელთაც სოციალიზმი შემოაქვთ, ვერ შეძლებენ თავიანთ დაწესებულებათა შეგუებას ისე, როგორც უნდა მუშაობდეს მსხვილი მანქანური ინდუსტრია, მაშინ სოციალიზმის შემოღებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. აი ამიტომ ახლანდელ მომენტში, როცა საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა საკმაოდ განმტკიცდა, როცა წინააღმდეგობის გამწევი მტრის, ე. ი. წინააღმდეგობის გამწევი ექსპლოატატორების, მთავარი ხაზები საკმარისად დანგრეული და უვნებელქმნილია, როცა მოსახლეობის მასების მომზადება საბჭოთა დაწესებულებების მოქმედებით მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელი მონაწილეობის მისაღებად საკმარისად ჩატარებულია, — დღევანდელ მომენტში რიგში დგება ამოცანები — სასტიკად გამოეყოს დისკუსია და მიტინგობია ხელმძღვანელის ყველა ბრძანების სიტყვაშეუბრუნებლივ შესრულებას. ეს ნიშნავს — გამოიყოს

აუცილებელი, სასარგებლო და ყოველი საბჭოს მიერ საკვლევებით აღიარებული მომზადება მასებისა განსაზღვრული ღონისძიების გასატარებლად და ამ ღონისძიების გატარების საკონტროლოდ, — გამოიყოს თვით ამ გატარებისაგან. მასებს შეუძლიათ ახლა, — ამას მათთვის უზრუნველყოფენ საბჭოები, — აიღონ თავიანთ ხელში მთელი ძალაუფლება და — განამტკიცონ ეს ძალაუფლება. მაგრამ იმისათვის, რომ არ გამოვიდეს ის მრავალხელისუფლებიანობა და ის უპასუხისმგებლობა, რომლებიც ჩვენ წარმოუდგენლად გვაწუხებს ამჟამად, — ამისათვის საჭიროა, რომ ყოველი აღმასრულებელი ფუნქციისთვის ზუსტად ვიცოდეთ, თუ სახელდობრ რომელი პირები, არჩეულნი პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა თანამდებობაზე, აგებენ პასუხს საერთოდ მთელი სამეურნეო ორგანიზმის მოქმედებისათვის. ამისათვის საჭიროა, რაც შეიძლება ხშირად, სულ მცირედი შესაძლებლობის დროსაც, ინიშნებოდნენ არჩეული პასუხისმგებელი პირები საერთოდ მთელი სამეურნეო ორგანიზმის ერთპიროვნული განმკარგულებლობისათვის. საჭიროა ამ ერთპიროვნული ხელმძღვანელის განკარგულებათა ნებაყოფლობითი შესრულება, საჭიროა გადასვლა დისკუსიების, მიტინგობიას, შესრულების და — იმავე დროს — კრიტიკის, შემოწმებისა და გამოსწორების შერეული ფორმიდან — მანქანური საწარმოს ზუსტად წესიერ სვლაზე. ამ ამოცანასთან რუსეთის შრომითი კომუნების დიდი უმრავლესობა, მუშათა და გლეხთა მასები უკვე მიდიან და უკვე მივიდნენ. საბჭოთა ხელისუფლების ამოცანაა — იკისროს ამჟამად დაწყებული გარდატეხის განმმარტებლისა და — მისი აუცილებლობის დამკანონებლის როლი.

თავი XII

პრაქტიციზმისა და საქმიანობის ლოზუნგი მცირედი პოპულარობით სარგებლობდა რევოლუციონერთა შორის. შეიძლება ითქვას კიდეც, რომ არ ყოფილა მათ შორის ამაზე

ნაკლებად პოპულარული ლოზუნგი. სავსებით გასაგებია, რომ, ვიდრე რევოლუციონერების ამოცანა ძველი კაპიტალისტური საზოგადოების დანგრევაში მდგომარეობდა, ისინი ასეთ ლოზუნგს უარყოფითად და დაცინვით უნდა მოპყრობოდნენ. ვინაიდან პრაქტიკაში მაშინ ამ ლოზუნგის ქვეშ ამა თუ იმ ფორმით იმალებოდა მისწრაფება კაპიტალიზმთან შერიგებისაკენ, ან კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ პროლეტარიატის შეტევის შესუსტებისაკენ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის შესუსტებისაკენ. სავსებით გასაგებია, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო ძირეულად საქმე პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ, ამ ძალაუფლების უზრუნველყოფის შემდეგ, ახალი, ე. ი. სოციალისტური საზოგადოების საფუძველთა ფართო მასშტაბით შესაქმნელად მუშაობის დაწყების შემდეგ. ჩვენ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არც ახლა გვაქვს უფლება იოტისოდენაც კი შევასუსტოთ არც ჩვენი მუშაობა მოსახლეობის მასის დასარწმუნებლად ჩვენი იდეების სისწორეში და არც ჩვენი მუშაობა ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის შესამუსრავად. მაგრამ უმთავრესი ამ ორი ფუნქციის შესრულებაში ჩვენს მიერ უკვე გაკეთებულია. მთავარი და მორიგია ახლა სწორედ პრაქტიკულობის და სწორედ საქმიანობის ლოზუნგი. აქედან გამომდინარეობს, რომ მუშაობაში ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჩაბმა ამჟამად წარმოადგენს დღის მორიგ, მომწიფებულ და აუცილებელ ამოცანას. სასაცილო უაზრობა იქნებოდა, ასეთ ჩაბმაში რომ ვისმე დაენახა ხელისუფლების რაღაც ქანაობა, რაღაც უკანდახევა სოციალიზმის პრინციპებისაგან, ან რაღაც დაუშვებელი კომპრომისი ბურჟუაზიასთან. ასეთი აზრის გამოთქმა იმას ნიშნავს, რომ ყოვლად უაზროდ იმეორო ის სიტყვები, რომლებიც რევოლუციური პროლეტარული პარტიების მოღვაწეობის სრულიად სხვა პერიოდს ეხება. პირიქით, სწორედ ჩვენი რევოლუციური ამოცანების შესასრულებლად, სწორედ იმისათვის, რომ ეს ამოცანები უტოპიად ან უწყინარ სურვილად არ დარჩეს, არამედ

ნამდვილად გადაიქცეს რეალობად—განხორციელდეს დაუყოვნებლივ, — სწორედ ასეთი მიზნისათვის ჩვენ ახლა უნდა დავაყენოთ, როგორც პირველი, მორიგი და უმთავრესი ჩვენი ამოცანა, სახელდობრ ორგანიზაციული მუშაობის პრაქტიკულობა და საქმიანობა. საქმე ახლა სწორედ იმას ეხება, რომ ყოველი მხრიდან შევუდგეთ იმ შენობის პრაქტიკულად ამოყვანას, რომლის გეგმა ჩვენ უკვე დიდი ხანია მოვსახეთ, რომლის ნიადაგს ჩვენ საკმაო ენერგიულობით ვიპყრობდით და საკმაო სიმტკიცით დავიპყარით, რომლის მასალა ჩვენ საკმაო რაოდენობით მოვაგროვეთ და რომელსაც ახლა უნდა შემოვარტყათ დამხმარე ხარაჩოები, ჩავიცვათ სამუშაო ტანისამოსი, არ უნდა შევუშინდეთ მის გასვრას ყოველგვარი დამხმარე მასალით, სასტიკად შევასრულოთ პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელ პირთა ბრძანებანი, — და ეს შენობა უნდა ვაშენოთ, ვაშენოთ და ვაშენოთ.

რამდენად გაუგებელი რჩება ხანდახან ზემოთ აღნიშნული ცვლილებანი ჩვენი ამოცანების დაყენებაში, — ეს ჩანს, სხვათა შორის, ამასწინანდელი დისკუსიიდან პროფესიული კავშირების როლის შესახებ[71]. გამოითქვა შეხედულება (რომელსაც მხარს უჭერდნენ მენშევიკები, რა თქმა უნდა, აშკარა პროვოკატორული მიზნებით, ე. ი. იმ მიზნით, რომ პროვოკაციულად გამოვეწვიეთ ჩვენ მხოლოდ ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი ნაბიჯების გადასადგმელად), გამოითქვა შეხედულება, რომ პროფესიული კავშირები, პროლეტარიატის კლასობრივი დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცების ინტერესებისათვის, სახელმწიფო ორგანიზაციებად არ უნდა გახდნენო. ამ შეხედულებას ფარავდნენ კეთილსახიერი და საკმაოდ ჩვეული და საკმაოდ დაზეპირებული სიტყვებით კაპიტალის წინააღმდეგ შრომის ბრძოლაზე, პროლეტარიატის კლასობრივი დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე, ნამდვილად კი ეს შეხედულება იყო და რჩება ან ყველაზე უხეშ ბურჟუაზიულ პროვოკაციად, ან — უკიდურეს უჭკუობად, გუშინდელი დღის ლოზუნგების მონურ განმეორებად, რასაც ამტკიცებს ისტორიის დღევან-

დელი ხანის შეცვლილი პირობების ანალიზი. გუშინ პროფესიული კავშირების მთავარი ამოცანა იყო ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ და პროლეტარიატის კლასობრივი დამოუკიდებლობის დაცვა. გუშინ დღის ლოზუნგი იყო უნდობლობა სახელმწიფოსადმი, ვინაიდან ეს იყო ბურჟუაზიული სახელმწიფო. დღეს სახელმწიფო ხდება და გახდა პროლეტარული. მუშათა კლასი ხდება და გახდა გაბატონებული კლასი სახელმწიფოში. პროფესიული კავშირები ხდებიან და უნდა გახდნენ სახელმწიფო ორგანიზაციებად, რომელთაც პირველ რიგში ეკისრებათ პასუხისმგებლობა მთელი სამეურნეო ცხოვრების რეორგანიზაციისათვის სოციალიზმის საწყისთა მიხედვით. ამიტომ ძველი პროფესიონალიზმის ლოზუნგების ახლანდელი ეპოქისადმი შეფარდება — მუშათა კლასის სოციალისტურ ამოცანებზე ხელისაღება იქნებოდა.

იგივე უნდა ვთქვათ კოოპერატივებზედაც. კოოპერატივი დუქანია, და ვერავითარი ცვლილება, გაუმჯობესება, რეფორმა ვერ შეცვლის იმას, რომ ეს დუქანია. ასეთ შეხედულებას შეაჩვია სოციალისტები კაპიტალისტურმა ეპოქამ. და ეჭვი არაა, რომ ეს შეხედულება კოოპერატივების არსის სწორი გამოხატულება იყო, ვიდრე ისინი ბურჟუაზიული წყობილების მექანიზმის მცირე დანაწონად რჩებოდნენ. მაგრამ საქმეც ისაა, რომ კოოპერატივების მდგომარეობა პრინციპულად სავსებით იცვლება პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის დროიდან, იმ მომენტიდან, როცა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება შეუდგა სოციალისტური წესების სისტემატურ შექმნას. აქ რაოდენობა გადადის თვისებაში. კოოპერატივი, როგორც პატარა კუნძული კაპიტალისტურ საზოგადოებაში, არის დუქანი. კოოპერატივი, თუ იგი მოიცავს მთელ საზოგადოებას, რომელშიც სოციალიზებულია მიწა და ნაციონალიზებულია ფაბრიკა-ქარხნები, არის სოციალიზმი. საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა მას შემდეგ, რაც ბურჟუაზია ექსპროპრიირებულია პოლიტიკურად და ეკონომიურად, აშკარად (უმთავრე-

სად) იმაში მდგომარეობს, რომ გაავრცელოს კოოპერაციული ორგანიზაციები მთელ საზოგადოებაზე, რომ გადააქციოს მოცემული ქვეყნის უკლებლივ ყველა მოქალაქე ერთი საერთო-ნაციონალური ან, უფრო სწორად, საერთო-სახელმწიფოებრივი კოოპერატივის წევრებად. თუ ჩვენ ამ ამოცანას გავექცევით მუშათა კოოპერატივების კლასობრივ ხასიათზე მითითებით, ჩვენ ვიქნებით რეაქციონერები, რომელნიც იმ ეპოქიდან, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას რომ მოჰყვა, უკან ეწევიან იმ ეპოქისაკენ, რომელსაც ასეთ დაპყრობამდე ჰქონდა ადგილი. მუშათა კლასი კაპიტალიზმის არსებობისას ააშკარავებდა ორ ტენდენციას თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ მოქმედებაში. ერთი მხრით, ეს იყო ტენდენცია მოხერხებულად და გვარიანად მოწყობისა კაპიტალიზმის დროს, რაც განსახორციელებელი იყო პროლეტარიატის მხოლოდ მცირერიცხოვანი ზედაფენისათვის. მეორე მხრით, ეს იყო ტენდენცია მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასების სათავეში ჩადგომისა საზოგადოდ კაპიტალის ბატონობის რევოლუციური დამხობისათვის. გასაგებია, რომ, როცა ამ მეორე ტენდენციამ გაიმარჯვა, როცა კაპიტალი დამხობილია და როცა უნდა დავიწყოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური კოოპერატივის შენება, — გასაგებია, რომ ჩვენი შეხედულება კოოპერაციული მოძრაობის ამოცანებსა და პირობებზე ძირფესვიანად იცვლება. ჩვენ უნდა შევუთანხმდეთ ბურჟუაზიულ კოოპერატივებს, ისე როგორც პროლეტარულ კოოპერატივებს. ჩვენ არ შეგვიძლია გვეშინოდეს. საჭაცილო იქნებოდა ჩვენი მხრით გვეშინოდეს ბურჟუაზიულ კოოპერატივებთან შეთანხმებისა, ვინაიდან ჩვენ ახლა გაბატონებული ხელისუფლება ვართ. ჩვენ გვინდა ასეთი შეთანხმება, რათა მოვნახოთ პრაქტიკულად განსახორციელებელი, მოხერხებული, ჩვენთვის გამოსადეგი ფორმები ნაწილობრივი დაქუცმაცებული კოოპერატივებიდან ერთიან საყოველთაო-სახალხო კოოპერატივზე გადასასვლელად. როგორც სახელმწიფო ხელისუფლებას, ჩვენ არ შეგვიძლია გვე-

შინოდეს ბურჟუაზიულ კოოპერატივებთან შეთანხმებისა, ვინაიდან ასეთი შეთანხმება აუცილებლად მათი ჩვენდამი დამორჩილება იქნება. ამავე დროს ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ ახალ სახელმწიფო პროლეტარულ ხელისუფლებას, რომ მუშათა კლასი ახლა სახელმწიფოში გაბატონებული კლასი გახდა. ამიტომ მუშათა კოოპერატივები უნდა ჩაუდგნენ სათავეში მოძრაობას, რომელიც ცალკე კოოპერატივებს ერთიან საერთო-სახალხო კოოპერატივში გადაიყვანს. მუშათა კლასი კი არ უნდა ჩაიკეტოს მოსახლეობის დანარჩენი ნაწილებისაგან, არამედ, პირიქით — უნდა უხელმძღვანელოს მოსახლეობის უკლებლივ ყველა ნაწილს ერთიან საერთო-სახალხო კოოპერატივში საყოველთაო გაერთიანებაზე მათი გადაყვანის საქმეში. რა პრაქტიკული, უშუალოდ განსახორციელებელი, გარდამავალი ზომებია ამისათვის საჭირო, — ეს სხვა საკითხია. მაგრამ ნათლად უნდა შევიგნოთ და უცილობლად ვადავწყვიტოთ, რომ მთელი საქმე ახლა სწორედ ამ პრაქტიკულ გადასვლაშია, რომ პროლეტარულმა სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა მოკიდოს ხელი ამას, მისი ყოველგვარი რეფორმა გამოცდილებით შეამოწმოს და რადაც უნდა დაჯდეს, ეს გადასვლა განახორციელოს.

თავი XIII

მშრომელთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის აღდგენის საკითხის განხილვის დროს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც ახლა სასამართლოებს ხვდება წილად. სასამართლო კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოადგენდა უმთავრესად ჩაგვრის აპარატს, ბურჟუაზიული ექსპლოატაციის აპარატს. ამიტომ პროლეტარული რევოლუციის აუცილებელ მოვალეობას შეადგენდა არა სასამართლო დაწესებულებათა რეფორმირება (ამ ამოცანით კმაყოფილდებოდნენ კადეტები და მათი ამყოლ-დამყოლი მენშევიკები და მემარჯვენე ესერები), — არამედ სრულიად მოსპობა, ძირფესვიანად აღგვა

მთელი ძველი სასამართლოსი და მისი აპარატისა. ეს აუცილებელი ამოცანა ოქტომბრის რევოლუციამ შეასრულა, და შეასრულა წარმატებით. ძველი სასამართლოს ადგილას მან დაიწყო შექმნა ახალი სახალხო სასამართლოსი, უფრო სწორად, საბჭოთა სასამართლოსი, რომელიც აგებულია სახელმწიფოს მართვაში მშრომელი და ექსპლოატირებული კლასების, — და მხოლოდ ამ კლასების, — მონაწილეობის პრინციპზე. ახალი სასამართლო საჭირო იყო უწინარეს ყოვლისა იმ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელნიც ცდილობდნენ აღედგინათ თავიანთი ბატონობა, ან დაეცვათ თავიანთი პრივილეგიები, ან ფარულად გაეპარებიათ, დატყუებით მიეღოთ ამ პრივილეგიათა ესა თუ ის ნაწილი. მაგრამ, გარდა ამისა, სასამართლოებს, თუ ისინი მართლა მოწყობილია საბჭოთა დაწესებულებების პრინციპის მიხედვით, ეკისრებათ სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს ამოცანაა — მშრომელთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის უმკაცრესი გატარების უზრუნველყოფა. ჩვენ სასაცილო უტოპისტები ვიქნებოდით, რომ წარმოგვედგინა, ვითომც ასეთი ამოცანა განსახორციელებელი იყოს ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობის მეორე დღეს, ე. ი. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პირველ სტადიაში, ან — იძულების გარეშე. იძულების გარეშე ასეთი ამოცანის შესრულება ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ გვესაჭიროება სახელმწიფო, ჩვენ გვესაჭიროება იძულება. პროლეტარული სახელმწიფოს იმ ორგანოს, რომელიც ასეთ იძულებას ახორციელებს, უნდა წარმოადგენდნენ საბჭოთა სასამართლოები. და მათ ეკისრებათ შრომის დისციპლინისათვის მოსახლეობის აღზრდის უდიდესი ამოცანა. ჩვენში ჯერ კიდევ უზომოდ ცოტაა გაკეთებული, უფრო სწორად, თითქმის არაფერი არაა გაკეთებული ამ მიზნისათვის. ჩვენ კი უნდა მივაღწიოთ ასეთი სასამართლოების მოწყობას უფართოესი მასშტაბით და გავავრცელოთ მათი მოქმედება ჩვენი ქვეყნის მთელ შრომითს ცხოვრებაზე. მხოლოდ ამგვარი სასამართლოები, მათში მშრომელი და

ექსპლოატირებული მოსახლეობის უფართოესი მასების მონაწილეობის პირობით, შეძლებენ დემოკრატიული ფორმით, საბჭოთა ხელისუფლების პრინციპების შესაბამისად, მიაღწიონ იმას, რომ დისციპლინისა და თვითდისციპლინის სურვილები ცარიელ სურვილებად არ დარჩეს. მხოლოდ ამგვარი სასამართლოები შეძლებენ მიაღწიონ იმას, რომ ჩვენ გვყავდეს რევოლუციური ხელისუფლება, რომელსაც ჩვენ ყველანი ვაღიარებთ სიტყვით, როცა პროლეტარიატის დიქტატურაზე ვლაპარაკობთ, და რომლის ნაცვლად ძალიან ხშირად ჩვენს გარშემო რაღაც ფაფისებურს ვხედავთ. თუმცა უფრო მართებული იქნებოდა ის საზოგადოებრივი მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, შეგვედარებინა არა ფაფასთან, არამედ ლითონის გადადნობასთან უფრო მტკიცე შენადნობის გამომუშავების დროს.

ნაკარნახევია 1918 წ. 28 მარტს

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
14 აპრილს გაზეთ «პრავდაში» № 86

იბეჭდება სტენოგრამის
ჩანაწერის მიხედვით

რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ შემოტანილი დეკრეტის გამო [72]

ა

იუსტიციის კომისარიატის კოლეგიის წევრებს და ასლი — ცაკის თავმჯდომარეს

30/III 1918.

დეკრეტი საბჭოთა ტრიბუნალების შესახებ, ჩემი აზრით, სრულიად არასწორია და ძირფესვიანად უნდა გადაკეთდეს.

სწორი არ არის ბეჭდვითი სიტყვის ტრიბუნალების შესახებ არსებული დეკრეტის გაუქმება მათი მუშაობის შედეგების წინასწარი ცნობის უქონლად (და განუხილველად).

სწორი არ არის დაწესდეს თანამდებობა ერთპიროვნული «ტრიბუნისა», რომელიც იუსტიციის კომისარიატის კოლეგიას არ ექვემდებარება. გამოდის «გენერალ-პროკურორის» ცუდი პრეცედენტების მსგავსი რამ.

ნაცვლად იმისა, რომ ყურადღება მიექცეს დაწესებულებათა რეფორმებს, წვრილმან ან თითქმის სიტყვიერ რეფორმებს («ტრიბუნი»), საჭიროა ყურადღება მიექცეს იუსტიციის კოლეგიის მუშაობის პრაქტიკულ შედეგებს ნამდვილად რევოლუციური, სწრაფი და კონტრრევოლუციონერების, ხულიგნების, ზარმაცებისა და დეზორგანიზატორების მიმართ ულმობლად სასტიკი სასამართლოს შექმნის საქმეში.

ლ ე ნ ი ნ ი

ბ

სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი

სახკომსაბჭო ავალებს იუსტიციის კომისარიატს ტრიბუნალების შესახებ შემოტანილი დეკრეტის პროექტი გადაამუშაოს იმ მიმართულებით, რომ მასში აღარ იყოს «ტრიბუნის» ერთპიროვნული ძალაუფლება და სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას არა 1917 წ. ოქტომბრიდან შექმნილ დაწესებულებათა წვრილმან ცვლილებებზე, არამედ იმ მუშაობის პრაქტიკულ შედეგებზე, რომელიც მიმდინარეობს ნამდვილად სწრაფი და კონტრრევოლუციონერების, მექრთამეებისა და დეზორგანიზატორების, დისციპლინის დამრღვევთა მიმართ ნამდვილად რევოლუციურ-ულმობელი სასამართლოების შესაქმნელად.

გადამუშავებული პროექტი დაიბეჭდოს და შეტანილ იქნას ცაკში.

პირველად დაიბეჭდა 1933 წ.
ლენინის კრებულში XXI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წინასიტყვაობა კრებულისა «მდინარეების წინაალმდეგ»

ამ გამოცემაში შეკრებილ სტატიათა უმეტესი ნაწილი მოთავსებული იყო საზღვარგარეთულ «სოციალ-დემოკრატში» (რსდმ პარტიის — ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო), რომელიც გამოდიოდა შვეიცარიაში 1914 წლის დამლევიდან 1917 წლის დამდეგამდე. მხოლოდ ერთი დიდი საჟურნალო სტატიაა აღებული ჟურნალ «კომმუნისტიდან»[73] (გამოვიდა მხოლოდ ერთი ნაკვეთი 1915 წელს, შვეიცარიაში).

ცალკეულ სტატიათა შორის კავშირის სწორი გაგებისათვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ გაზეთში მათი მოთავსების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა.

სტატიები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად. ნაწილი მიძღვნილია ომის შეფასებისა და ამ შეფასებიდან გამომდინარე პოლიტიკის ამოცანებისადმი. მეორე ნაწილში განხილულია შინაპარტიული ურთიერთობა, ფრაქციათა ის ბრძოლა, რომელიც ბეც ადამიანებს დიდხანს «ქაოსად» ან «პირად კონფლიქტად» ეჩვენებოდათ და რომელმაც ამჟამად საქმით მიგვიყვანა, როგორც ყველა ხედავს, ნამდვილი სოციალისტების გამიჯვნამდე ბურჟუაზიის ლაქიებისაგან — ბატონ ლიბერდანებისა[74], მარტოვებისა და კომპანიისაგან.

გასაგებია, რომ სტატიების პირველ ნაწილს ანუ პირველ კატეგორიას შეუდარებლად მეტი მნიშვნელობა აქვს. ამ სტატიების გაცნობას გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი

შეგნებული მუშა, რომელიც მოწადინებულია გაიგოს საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციისა და 1917 წლის 25 ოქტომბერს მისი პირველი გამარჯვების იდეების განვითარება.

ნ. ლენინი

დაწერილია 1918 წ. მარტში
დაიბეჭდა 1918 წ. კრებულში:
«მდინარების წინააღმდეგ».
პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა
დეპუტატების საბჭოს გამოცემა

იბეჭდება კრებულის
ტექსტის მიხედვით

საბანკო პოლიტიკის თეზისები[75]

1. შედგენილ იქნას კერძო ბანკებში მიღებულის ანგარიში, შეტანილ იქნას ანგარიშში თვითეული კერძო ბანკის ყველა საქმის ლიკვიდაცია.

(ა) თვითეული კერძო ბანკის მოსამსახურეთა წინანდელ პერსონალს (სახელმწიფო ბანკის კომისარიატის უფლებით ზოგიერთ მათგანს მიეცეს აცილება) ეძლევა ულტიმატური დავალება — უმოკლეს ვადაში წესრიგზე მოიყვანოს ბანკის მთელი საქმეები და შეადგინოს ბალანსი საბოლოო ფორმით, ჯერ-ერთი, 1917 წ. 14 დეკემბრისათვის[76], მეორეც, ოპერაციების უკანასკნელი დღისათვის.

(ბ) კერძო ბანკები, ანგარიშების შედგენისა და ბანკების ყველა საქმის ლიკვიდაციის ამ ფუნქციის შესრულებისას, მოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ როგორც რუსეთის რესპუბლიკის ერთიანი სახალხო ბანკის განყოფილებანი და მხოლოდ ლიკვიდაციის მიზნით ისე, რომ არავითარ ახალ ოპერაციას არ აწარმოებენ.

2. ანგარიშების შედგენის მთელ საქმიანობას ხელმძღვანელობს სახელმწიფო ბანკის კომისარიატი.

მოწვეულ იქნება გამოცდილ თანამშრომელთა, მათ შორის სახელმწიფო და კერძო ბანკების ყოფილ მოსამსახურეთა, რაც შეიძლება მეტი რიცხვი.

3. საბანკო პოლიტიკა არ უნდა დაკმაყოფილდეს ბანკების ნაციონალიზაციით და თანდათანობით, მაგრამ განუხრე-

ლად უნდა წარიმართოს იქითკენ, რომ ბანკები გადაიქცეს მთლიანად მთელი ქვეყნის სოციალისტურად ორგანიზებული სამეურნეო ცხოვრების ანგარიშწარმოებისა და რეგულირების ერთიან აპარატად.

4. სასწრაფო ზომები სახალხო ბანკის განყოფილებათა რაც შეიძლება მეტი რიცხვის გასახსნელად მთელ ქვეყანაში.

ამ განყოფილებათა ყველაზე უფრო მიზანშეწონილი განლაგება ქალაქების შიგნით და სოფლებში, საზოგადოებისათვის მეტი მოხერხებულობის მიზნით.

გამოყენებულ იქნას, როგორც სახალხო ბანკის განყოფილებანი, ყოფილი კერძო ბანკების არსებული განყოფილებანი.

5. ანაბართა ხელშეუხებლობის გამოცხადება (რაც, თავისთავად იგულისხმება, სრულიადაც არ ამცირებს სახელმწიფოს უფლებებს გადასახადების აკრეფის მიმართ).

6. თავისუფალი საჩეკო ბრუნვა.

7. მუშათა კონტროლის სავსებით შენარჩუნება ბანკებიდან ფულის გაცემის მიმართ.

8. სამომხმარებლო მიზნით ფულის გაცემის ნორმირება რჩება.

შემოღებულ იქნება მთელი რიგი შეღავათები საზოგადოებისათვის, იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს ბანკებში ფულის შეტანა და ბანკებიდან ფულის გაცემა, აგრეთვე გამარტივდეს ფორმალური მხარეები.

9. ზომების მიღება იმისათვის, რომ მოსახლეობამ მთელი ფული, რომელიც სამომხმარებლო მიზნით უსათუოდ აუცილებელი არ არის, იქონიოს ბანკებში. კანონისა და პრაქტიკული ნაბიჯების მომზადება ამ პრინციპის იძულებითი განხორციელებისათვის.

10. სახალხო ბანკის ყველა განყოფილება რუსეთის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში თავის

საქმიანობაში ზუსტად ხელმძღვანელობს ცენტრალური სამმართველოს ინსტრუქციებითა და დირექტივებით და უფლება არა აქვს შემოიღოს რაიმე ადგილობრივი წესები და შეზღუდვანი. გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ ცენტრალური სამმართველოს თანხმობით.

დაწერილია 1918 წ. მარტში ან აპრილში

პირველად დაიბეჭდა 1926 წ. ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 6 (53)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა მიტინგზე ალექსის მანეჟში 1918 წ. 7 აპრილს [77]

საგაზეთო ანგარიში

(ტრიბუნაზე ლენინის გამოჩენას ხვდებიან მქუხარე ტაშით). ამჟამად ჩვენ, — ამბობს ლენინი, — რევოლუციის ყველაზე მძიმე თვეებს განვიცდით. გვიახლოვდება შიმშილი, ჩვენ მთელი ძალ-ღონის სრული დაძაბვით უნდა ვებრძოლოთ მას, ვებრძოლოთ მემარჯვენე ესერებისა და მენშევიკების მხრით მუდმივი ბოროტმოხარული ყურადღების პირობებში. მათი ტაქტიკა — ესაა ტაქტიკა დუტოვის და კორნილოვისა, ტაქტიკა იუნკრებისა, რომელნიც აჯანყდნენ მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ მხრივ მენშევიკები, რომელნიც ცდილობენ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, — მათ მხარეზე, ბურჟუაზიის მხარეზე არიან, და ამით ისინი გვღალატობენ ჩვენ. როცა ჩვენ დახვრეტას მივმართავთ, ისინი ტოლსტოველებად იქცევიან და ნიანგის ცრემლებს ღვრიან, ყვირიან რა ჩვენს სისასტიკეზე. მათ დაავიწყდათ, თუ კერენსკისთან ერთად როგორ მიერეკებოდნენ ისინი მუშებს სასაკლაოზე და როგორ მალავდნენ ჯიბეში საიდუმლო ხელშეკრულებებს. მათ დაავიწყდათ ეს და გადაიქცნენ მშვიდ ქრისტიანებად, რომელნიც მოწყალებაზე ზრუნავენ.

უიარაღოდ ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი მტრების შემუსვრას, ეს მათ ჩინებულად ესმით, მაგრამ მაინც ცდილობენ სახელი გაგვიტეხონ.

ჩვენ გვიხდება სახალხო მეურნეობის მოგვარება, და ეს გიგანტური საქმე მით უფრო ძნელია, რომ ჩვენი რევოლუცია პირველი წავიდა ასე შორს სოციალური გარდაქმნის გზით. ამ ძნელი ამოცანის შესამსუბუქებლად ჩვენ აუცილებლად უნდა ვისწავლოთ, მაგრამ ვისწავლოთ არა წიგნებით, არამედ საქმით, გამოცდილებით. სახალხო მეურნეობის მშენებლობისათვის გამოსადეგია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება, ამიტომ წინადადებას გაძლევთ მთელი ჩვენი ქვეყნის საბჭოებში ათასობით გაიყვანოთ ჩვენი ამხანაგები. გარდა ამისა, ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ ამხანაგური დისციპლინა. მუშებმა და გლეხებმა უნდა შეიგნონ, რომ მიწები და ფაბრიკები მათი საკუთრებაა, და სიფრთხილით უნდა მოეპყრან მათ, როგორც თავიანთ ქონებას.

მხოლოდ ახლა, როცა ვიხედები უკან და ვხედავ ბურჟუაზიის მთელ უმწეობას და მესაბოტაჟე ინტელიგენციის არარაობას, მე ვრწმუნდები იმაში, თუ რა უზარმაზარი ნაბიჯი გადაგვიდგამს ჩვენ წინ. და რომ შემდგომშიც წარმატებით ვიარით წინ, აუცილებლად საჭიროა თავიდან მოვიცილოთ უვიცობა და გულგრილობა, ამის გაკეთება კი გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე იდიოტ რომანოვის თუ სულელ კერენსკის ჩამოგდება.

ჩვენ გვახრჩობს გერმანია, გვიტევს იაპონია[78]. და აი ამ მძიმე დროს მენშევიკები და მემარჯვენე ესერები, ეს მოსიყვარულე ბატკნები, გაჰყვირიან ჩვენს სიმკაცრეზე, ივიწყებენ რა იმას, რომ მათ სახრჩობელა აღმართეს ამხ. შაუმიანისთვის[79]. მათ საპასუხოდ მე შემიძლია ვთქვა: დიახ, ჩვენ არ უარვყოფთ ძალმომრეობას, რომელსაც ვახდენთ ექსპლოატატორების მიმართ.

მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების ეს ცრემლები, ჩვენი სიმკაცრით გამოწვეული, — ეს მათი უკანასკნელი ცდაა მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამასთან ერთად მათი სისუსტის სიმბოლოცაა. ჩვენ მათ დაუნდობლად შევებრძოლებით. ჩვენ ახლა პასუხი უნდა ვაგოთ ცარიზმის მთელი მემკვიდრეობისათვის,

ნიკოლოზობისა და კერენსკობის პერიოდებისათვის. ხოლო როდესაც ჩვენ დავძლევთ დეზორგანიზაციას და აპათიას, მაშინ თავაუღებელი მუშაობით მივაღწევთ სოციალიზმის დიად გამარჯვებას. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

«იზვესტია სარატოვსკოგო
სოვეტა» № 71,
1918 წ. 13 აპრილი

იბეჭდება გაზეთ
«იზვესტია სარატოვსკოგო
სოვეტას» ტექსტის მიხედვით

დირექტივები ვლადივოსტოკის საბჭოს [80]

ირკუტსკში (ვლადივოსტოკისათვის) დეპეშით უნდა გადაეცეს პირდაპირი მავთულით:

ჩვენ მდგომარეობას ფრიად სერიოზულად ვთვლით და უაღრესად კატეგორიულად ვაფრთხილებთ ამხანაგებს. ნუ იქმნით ილუზიებს: იაპონელები ნამდვილად შემოგვიტევენ. ეს გარდუვალია. მათ, ალბათ, დაეხმარება უკლებლივ ყველა მოკავშირე. ამიტომ უნდა დავიწყოთ მზადება დაუყოვნებლივ და ვემზადოთ სერიოზულად, ვემზადოთ მთელი ძალ-ღონით. ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სწორ უკანდახევას, მარაგისა და რკინიგზის მასალების წამოღებას. ნუ დაისახავთ განუხორციელებელ მიზნებს. მოამზადეთ ლიანდაგის მოშლა და აფეთქება, ვაგონებისა და ლოკომოტივების გამოყვანა, მოამზადეთ ნაღმლობურები ირკუტსკის მახლობლად ან იმიერბაიკალში. კვირაში ორჯერ შეგვატყობინეთ ზუსტად, სახელდობრ რამდენი ლოკომოტივი და ვაგონია გამოყვანილი, რამდენი დარჩა. უამისოდ ჩვენ არაფერი გვჯერა და არც დავიჯერებთ. ფულის ნიშნები ახლა არა გვაქვს, მაგრამ აპრილის მეორე ნახევრიდან ბევრი გვექნება, ოღონდ ჩვენგან დახმარების პირობა იქნება თქვენი პრაქტიკული წარმატებანი ვლადივოსტოკიდან ვაგონებისა და ორთქლმავლების გამოყვანის საქმეში, ხიდების აფეთქების მომზადების საქმეში და სხვა.

ლ ე ნ ი ნ ი

7 აპრილი

დაიბეჭდა 1934 წ. კრებულში:
ვ. ი. ლენინი. «სამოქალაქო ომის ეპოქიდან»

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა საფინანსო საკითხის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე 1918 წ. 18 აპრილს

ამჟამად აშკარაა ერთი რამ: ის, რომ ფინანსურ პრობლემას უახლოეს დროში ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, საფინანსო აპარატს ჩვეულებრივ კალაპოტში ვერ ჩავაყენებთ. ეს ნათელია ყველასთვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქამდე, სამწუხაროდ, ჩვენ ყველანი არაფერს არ ვაკეთებთ ამ კათედრაზე იმისათვის, რომ მოვნახოთ მაინც ის სარყეები, რომელთა მიხედვითაც შევძლებთ საფინანსო აპარატი ჩავაყენოთ იმ კალაპოტში, რომელშიც ის უნდა იმყოფებოდეს. ამხ. გუკოვსკიმ წარმოგვიდგინა გეგმა. კარგია ეს გეგმა, თუ ცუდი, — ამაზე მე არ შევჩერდები. ჩემთვის აშკარაა მხოლოდ ერთი, რომ ამჟამად ყველაზე უკეთესი გეგმაც კი ფინანსურ დარგში, ყველაზე უკეთესი გეგმა — ახლა შეუძლებელია შევასრულოთ, იმიტომ რომ ფაქტიურად ჩვენ მოწყობილი არა გვაქვს ის აპარატი, რომელიც ამ ფინანსურ გეგმას შეასრულებს. რომ გვეცადნა ცხოვრებაში რაიმე საგადასახადო დაბეგვრის გატარება, მაშინვე წავაწყდებოდით იმას, რომ ცალკე ოლქები ამჟამად ატარებენ საგადასახადო დაბეგვრას, ვისაც როგორ სურს, ვისაც როგორ მოუხდება, ვისაც როგორ საშუალებას აძლევს ადგილობრივი პირობები.

ამ მხრით საბჭოები, რომლებიც წარმოადგენენ ხელისუფლებას ადგილებზე, ამჟამად დაკავშირებული არ არიან ერთმანეთთან. ერთი მხრივ, ამით ისინი მოწყვეტილი არიან ცენტრალურ ხელისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, საბჭოები არ არიან იმდენად ორგანიზებულნი, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ ფაქტიურად გაატარონ ის, რასაც ჩვენ აქ შევიმუშავებთ. ავიღოთ რომელიმე მაგალითი. მე პირადად მინახავს საბჭოები, რომელთაც არათუ არ შეეძლოთ გაეტარებიათ ცხოვრებაში ეს ფინანსური გეგმა, რომელსაც ჩვენ აქ ვსახავთ, არამედ ხშირად ადგილობრივაც კი არა აქვთ ის ძალაუფლება, რომელიც უნდა ჰქონდეთ. ძალიან ხშირად იმ პოლიტიკის მეოხებით, რომელსაც ახლა განვიცდით, ძალიან ხშირად ეს საბჭოები ვერ სარგებლობენ თავიანთი ძალაუფლებით, მათ შესაძლებლობა არა აქვთ გამოიყენონ იგი, იმიტომ რომ ფაქტიურად ძალაუფლება იმყოფება ცალკეული ჯგუფების ხელში, რომელნიც ხშირად მტრულ დამოკიდებულებაში არიან საბჭოებთან, არ ემორჩილებიან საბჭოებს და რომელთა განკარგულებაშიც, სამწუხაროდ, განსაზღვრული ხიშტიანი ძალაც იმყოფება. ეს რომ ლიტონ სიტყვად არ მიიღოთ, მოვიყვან მაგალითს. აი აქ, მოსკოვის ახლოს, რიაზანის გუბერნიაში, მე ასეთი მოვლენა მინახავს. საბჭო არის. საბჭოს გარდა არის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტიც. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი თავისთავს თვლის საბჭოსაგან ავტონომიურად და საგადასახადო დაბეგვრას თვითონ ატარებს, არც კი აძლევს ანგარიშს საბჭოს. საბჭოც თვითონ ატარებს საგადასახადო დაბეგვრას. როგორც ხედავთ, ჩვენ რომ ვცადოთ საქმის ასეთ მდგომარეობაში გეგმის გატარება აქედან, რასაკვირველია, არა გამოვა რა, და, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვერ მივიღებთ, იმიტომ რომ იქაც კი ადგილებზე სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი არ ემორჩილება საბჭოს, ამიტომ საბჭოსაც არაფერი შეუძლია გააკეთოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის. ამიტომ აუცილებლად საჭიროა რაღაც გავაკეთოთ. აუცილებელია

შეიქმნას სხვანაირი ორგანიზაცია იმისათვის, რომ ყველა გამოცემული დეკრეტი მხოლოდ დეკრეტად კი არ დარჩეს, არამედ გატარდეს ცხოვრებაში და არ დარჩეს ჰაერში გამოკიდებული.

მოკლე საგაზეთო ანგარიში
გამოქვეყნდა 1918 წ. 19 აპრილს
სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტიაში» № 77

პირველად მთლიანად დაიბეჭდა
1920 წ. წიგნში: «სრულიად
რუსეთის მე-4 მოწვევის ცაკის
სხდომების ოქმები.
სტენოგრაფიული ანგარიში».
მოსკოვი

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით

სიტყვა მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოში 1918 წ. 23 აპრილს

სტენოგრაფიული ანგარიში

ამხანაგებო! ნება მომეცით უწინარეს ყოვლისა მივესალმო მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ახალ შემადგენლობას.

თქვენ ახალი შემადგენლობის არჩევა მოგიხდათ მეტად მძიმე წუთში, იმ ტრაგიკულ მომენტში, როცა ჩვენი რევოლუციის განვითარების პროცესი ყველაზე უფრო სახიფათო და მძიმე ფაზისში შედის. რევოლუციისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები, ყველა, ვინც მხარს უჭერს ხალხის მტრებს, ყველა, ვინც კუდში მისდევს ბურჟუაზიას, — დიდ იმედებს ამყარებდნენ ჩვენი საბჭოს გადარჩევაზე, ვინაიდან ამჟამად ჩვენ განვიცდით მეტად ძნელ ეპოქას, როცა დასრულდა ძლევამოსილი მსვლელობა რევოლუციისა, რომელმაც ფეხი შედგა მძიმე განცდათა და დამარცხებათა ხანაშიც კი. და ამ მომენტში პროლეტარიატი კვლავ წარმოსდგა ჩვენს წინაშე თავისი შეგნებულობის მთელი ძალით. მუშებს, რომელნიც ითვალისწინებენ ახლანდელი პერიოდის მთელ სიძნელეს, ნათლად ესმით, რომ იმ უდიდესი ტანჯვის აცილება, რაც ახლა წილად ხვდა მშრომელ ხალხს, დამოკიდებულია არა ჩვენზე, არამედ ისტორიული მოვლენების მთელ მსვლელობაზე. და მუშები გმირული გამბედაობით გადაიტანენ თავიანთ მხრებზე ახალ გაჭირვებას, ოღონდ კი ოქტომბრის რევოლუციის დიადი მონაპოვარნი დაიცვან.

ეჭვი არ არის, რომ, მძიმე განსაცდელთან ერთად, რევოლუცია მაინც შევიდა იმ ახალ შეუმჩნეველ გამარჯვებათა ზოლში, რომელნიც თვალში არ გვხვდება და რომელნიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ოქტომბრის ბარიკადების ეპოქის ბრწყინვალე გამარჯვებანი. ჩვენს წინაშე მთელი სიძლიერით დგას ორი ჩვენი მოსისხლე მტერი: ჩვენს წინაშე დგანან სავსებით შეიარაღებული გარეშე და შინაური მტრები, რომელნიც მზად არიან დაგლიჯონ რევოლუცია და ხელსაყრელ მომენტს ელოდებიან საბოლოოდ მახვილის ჩასაცემად. გარეშე მტერია თავით ფეხამდე შეიარაღებული, ტექნიკური ძალებით მდიდარი საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელსაც სურს იხელთოს დრო საბჭოთა რუსეთზე ახალი ავაზაკური თავდასხმისათვის. და, უნდა გვახსოვდეს რა ეს, საჭიროა დაუნდობელი სიცხადით გავუსწოროთ თვალი მრისხანე სინამდვილეს.

ერთ-ერთი ისეთი ყველაზე რეაქციული ომის შედეგად, როგორიც კი გადაიტანა ჩვენმა განაწამებმა ქვეყანამ, ჩვენ ამჟამად არა გვაქვს საკმაო ძალა მსოფლიო რეაქციასთან აქტიური შეიარაღებული ბრძოლისათვის, ჩვენ არა გვყავს არმია, არა გვყავს ძალები, რომელთა დაპირისპირებაც შეგვეძლოს იმ საერთაშორისო კონტრრევოლუციის ჩინებულად ორგანიზებული რაზმებისადმი, რომლის ხელშიცაა მოწინავე ტექნიკისა და იდეალური დისციპლინის ძლიერება. ჩვენ ჯერჯერობით მარტონი ვართ და გარს გვარტყიან მოსისხლე მტრები.

მშრომელი ხალხის ოქტომბრის აჯანყების ეპოქაში, როცა ჩვენ მუშების წინაშე გავშალეთ სოციალისტური რევოლუციის წითელი დროშა, ამ ეპოქაში ჩვენ განვიცდიდით იოლი, დამაბრმავებელი წარმატების პერიოდს. სხვა ქვეყნების მუშებსაც, რომელნიც ყურს უგდებდნენ რუსეთის რევოლუციის შორეულ გუგუნს, ესმოდათ, რა ხდება რუსეთში, შეგნებული ჰქონდათ, რომ რუსეთის პროლეტარიატი აკეთებს მათ საკუთარ, სასიცოცხლო საქმეს. მაშინ ჩვენ ადვილად ვუმკლავდებოდით რეაქციულ ბანდებს, მაშინ ჩვენ ადვილად

ვახშობდით ხალხის წინააღმდეგ აჯანყებულ მეწშევიკური ბანდების ნაშთებს, რომელნიც მოდიოდნენ ჩვენს წინააღმდეგ არა აშკარა ბრძოლით, იარაღით ხელში, არამედ სიცრუის, ცილისწამებისა და გაუგონარი გამცემლობის ბინძური იარაღით. კონტრრევოლუციასთან ჩვენი ბრძოლის შედეგად ჩვენ ვხედავთ ისეთ დიდ გამარჯვებას, როგორიცაა ის ფაქტი, რომ გამბედაობით პირველი კონტრრევოლუციონერი კორნილოვი მოკლეს მისმავე საკუთარმა, აღშფოთებულმა ჯარისკაცებმა [81].

ვეწეოდით რა ფართო ბრძოლას შინაურ კონტრრევოლუციასთან ყველა ფრონტზე, ჩვენ ვისარგებლეთ საერთაშორისო ბურჟუაზიის დაბრკოლებით და დროზე ჩავეცით მძლავრი მახვილი ამჟამად გასრესილი კონტრრევოლუციის სხეულს. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სამოქალაქო ომი ძირითადად დამთავრებულია. რა თქმა უნდა, ცალკეული შეტაკებანი იქნება, ზოგიერთ ქალაქში ქუჩებზე აქა-იქ იფეთქებს სროლა, რაც გამოწვეული იქნება რეაქციონერთა ნაწილობრივი ცდებით — დაამხონ რევოლუციის ძალა — საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ ეჭვი არაა, რომ შინაურ ფრონტზე რეაქცია საბოლოოდ მოკლულია აჯანყებული ხალხის ღონისძიებებით. ამრიგად, ჩვენ განვიცადეთ რევოლუციის განვითარების პირველი ეპოქა, რომლის სათავე იწყება ოქტომბრის დღეებიდან, — ეპოქა წარმატებისა, რომელიც დამათრობელია და რომელმაც ზოგიერთები კიდეც დაათრო.

კიდევ ვიმეორებ, რომ ახლა დადგა ყველაზე ძნელი, ყველაზე მძიმე ხანა ჩვენი რევოლუციის ცხოვრებაში. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — მთელი ძალების ფოლადისებური დაძაბვა მათ გამოსაყენებლად ახალი შემოქმედებითი მუშაობისათვის, ვინაიდან რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატი, რომელიც ჯერჯერობით ასე მარტოკაა თავის ტიტანურ რევოლუციურ მუშაობაში, მხოლოდ რკინისებური გამძლეობისა და შრომითი დისციპლინის საშუალებით მოესწრება იმ მხსნელ დროს, როცა საერთაშორისო პროლეტარიატი მოვა ჩვენს დასახმარებლად.

ჩვენ ვართ მუშათა კლასის ერთ-ერთი რევოლუციური რაზმი, რომელმაც წინ წამოიწია არა იმიტომ, რომ ჩვენ სხვა მუშებზე უკეთესნი ვართ, არა იმიტომ, რომ რუსეთის პროლეტარიატი სხვა ქვეყნების მუშათა კლასზე მაღლა დგას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ვიყავით ერთი ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანათაგანი მსოფლიოში. ჩვენ საბოლოო გამარჯვებას მოვიპოვებთ მხოლოდ მაშინ, როცა შევძლებთ, ბოლოს და ბოლოს, საბოლოოდ გავტეხოთ საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელიც ტექნიკისა და დისციპლინის გრანდიოზულ ძალას ეყრდნობა. მაგრამ ჩვენ მოვიპოვებთ გამარჯვებას მხოლოდ სხვა ქვეყნების, მთელი მსოფლიოს ყველა მუშებთან ერთად.

ისტორიის ნებით ჩვენ მოგვიხდა ხელი მოგვეწერა მძიმე ზავისათვის ბრესტში, და ჩვენ არ ვმალავთ, რომ ეს ზავი ყოველ წუთში შეიძლება გამცემლურად ააყირავონ რევოლუციის მრავალრიცხოვანმა მტრებმა, რომელნიც ყოველი მხრიდან გვიტევენ, მტრებმა, რომელთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის დასაწყებად ამ მომენტში ჩვენ უძლურნი ვართ. და იცოდეთ, რომ [ის, ვინც თქვენ ამჟამად მოგიწოდებდათ ამ აქტიური შეიარაღებული აშკარა ბრძოლისაკენ საერთაშორისო მტაცებლურ იმპერიალიზმთან, — ის ჩაიდენდა ხალხის მიმართ გამცემლობის აქტს, ის იქნებოდა ნებსითი თუ უნებლიე პროვოკატორი და იმპერიალისტთა ამა თუ იმ მცირე ჯგუფის მსახური. და ის, ვინც გამოდის იმ ტაქტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენ ვადექით უკანასკნელ დროს, ის — ყველაზე «მემარცხენე», ზე-მემარცხენე კომუნისტადაც კი რომ იწოდებოდეს, — ცუდი რევოლუციონერია, — ვიტყვი მეტსაც — ის სულაც არ არის რევოლუციონერი.] (ტ ა შ ი).

ჩვენმა ჩამორჩენილობამ წაგვწია ჩვენ წინ, და ჩვენ დავიღუპებით, თუ ვერ შევძლებთ გავძლოთ მანამდე, სანამ არ მოგვეშველება მძლავრი დახმარება სხვა ქვეყნების აჯანყებული მუშების მხრით. ჩვენი ამოცანაა — პროლეტარული ბრძოლის ჩვენი ტაქტიკის დაუცხრომლად განგრძობა.

ჩვენ გვყავს ერთი მეტისმეტად საშიში ფარული მტერი, რომელიც მრავალ აშკარა კონტრრევოლუციონერზე უფრო საშიშია; ეს მტერი — მოსისხლე მტერი სოციალისტური რევოლუციის და საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს ჯერ კიდევ არსად ნახულ ახალი ტიპის სახალხო პარლამენტს ღარიბთათვის, — ეს მტერია წვრილი მესაკუთრის სტიქია. ეჭვი არაა, ჩვენ მივადექით ყველაზე უფრო ძნელ დაბრკოლებათა გადალახვას სოციალისტური რევოლუციის განვითარების გზაზე. ჩვენს წინაშე პირველ რიგში წამოჭრილია ამოცანა — პროლეტარიატის დიქტატურის სრულად განხორციელება ყველა დარგში: შრომის დისციპლინის ორგანიზაციაში, წარმოებაში, წარმოების პროდუქტთა განაწილებაში. მტერი, რომელზედაც ვლაპარაკობდი, ესაა სტიქია წვრილი მესაკუთრისა, რომელიც ერთი აზრით ცხოვრობს: «წავგლიჯო, რაც შესაძლებელია, და მერე — ქვა ქვაზედაც დადუღებულაო», — ეს მტერი ერთად აღებულ ყველა კორნილოვსა, დუტოვსა და კალედინზე უფრო ძლიერია.

ეს წვრილი კულაკები, წვრილი მეპატრონენი, მესაკუთრენი, ამბობენ: «ჩვენ მუდამ გვჩაგრავდნენ, ყოველთვის გვსრესდნენ — აბა, ახლა როგორ არ ვისარგებლოთ ასეთი ხელსაყრელი მომენტითო». ეს მოვლენა სერიოზული დაბრკოლებაა, რომლის დაუძლეველად გამარჯვება წარმოუდგენელია, ვინაიდან თვითეული წვრილი მეპატრონიდან, თვითეული ხარბი წამგლეჯიდან ახალი კორნილოვი იზრდება.

ამ საფრთხესთან ერთად, ჩვენს წინაშე მრისხანე აჩრდილივით იმართება მოახლოებული შიმშილისა და მასობრივი უმუშევრობის პერსპექტივები, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი შეგნებული მუშა, — მათი რიცხვი კი სულ უფრო და უფრო მატულობს არა დღეობით, არამედ საათობით, — ყოველი შეგნებული მუშა, ვამბობ მე, ითვალისწინებს და ესმის, რომ ახლანდელ მომენტში მრისხანე საფრთხესთან საბრძოლველად ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს მთელი ძალ-ღონის ფოლადისებურად დაძაბვა და ძლიერი

სიმტკიცე. და დაე, იმათ, ვისაც ჩვენი რევოლუციის მძიმე განცდების წუთებში იპყრობს სასოწარკვეთილება, სულისა და ენერგიის დაცემა, ახსოვდეთ, რასაც ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე დარწმუნებისა და შემთანხმებლობის უსისხლო და ადვილი გზით ჩვენ ვერ მივალთ და რომ მხოლოდ გააფთრებული ბრძოლის შედეგად შეგვიძლია მივაღწიოთ ჩვენს მიზანს.

პროლეტარიატის დიქტატურა მომხრეა ძალმომრეობისა ექსპლოატატორების მიმართ. ჩვენი გზაა — გამძლეობა, პროლეტარული შემჭიდროება, მშრომელი ხალხის რკინისებური დიქტატურა. ეჭვი არაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მრავალ შემთხვევაში არ იჩენდა საკმაო სიმტკიცეს კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში, და ამ სახით ის იყო არა რკინა, არამედ ფაფა, რომელზედაც სოციალიზმს ვერ ააშენებ. ჩვენ არ მოვრევივართ წვრილბურჟუაზიულ სტიქიას. მდგომარეობა გაპარტახებული, სისხლისაგან დაცლილი ქვეყნისა, რომელიც ისტორიის მსვლელობით ყველაზე წინ არის წამოწეული მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე, — მეტად მძიმეა, — და ჩვენ გაგვსრესენ, თუ რღვევას, დეზორგანიზაციას და სასოწარკვეთილებას არ დავუპირისპირებთ შეგნებულ მუშათა რკინისებურ დიქტატურას. ჩვენ ულმობელი ვიქნებით როგორც ჩვენი მტრების, ისე ყველა იმ მერყევი და მავნე ელემენტის მიმართ ჩვენი საკუთარი წრიდან, რომელნიც გაბედავენ დეზორგანიზაცია შეიტანონ ჩვენს მძიმე შემოქმედებითს მუშაობაში მშრომელი ხალხის ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის.

ჩვენ შევუდექით იმ ამოცანის გადაჭრას, რომლის დაძლევას მოსდევს სოციალიზმის სრული უზრუნველყოფა და განმტკიცება. ყველა სიძნელის დასაძლევად, შიმშილსა და უმუშევრობასთან წარმატებით საბრძოლველად ჩვენ ვაწარმოებთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უხილავ, მცირედს, მაგრამ მძიმე მუშაობას — და ვინც ჩვენს წინააღმდეგ წამოვა, ის მსოფლიო პროლეტარიატის სასტიკი მტერი იქნება.

მოსკოვის საბჭოს არჩევნებმა გვიჩვენეს, რამდენად აძლევენ თავისთავს ანგარიშს მიმდინარე მოვლენების შესახებ მუშები, რომლებმაც შეიგნეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს არა საადლუმო სამკაულს, არამედ მათ საკუთარ სასიცოცხლო საქმეს. უკანასკნელი აქტით, ჩვენი საბჭოს გადარჩევის აქტით დამარცხებულია ყველა, ვინც დიდ იმედებს ამყარებდა ამ გადარჩევაზე, დამარცხებული არიან მერყევი ელემენტები, და ეს მაძლევს იმის რწმენასა და იმედს, რომ ჩვენ ვდგავართ სწორ გზაზე, რომელიც სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე მიგვიყვანს. (ოვაციები).

დაიბეჭდა 1918 წ. 24 აპრილს გაზეთებში: «პრავდა» № 79 და სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტია» № 81

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან და სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთ «იზვესტიის» ტექსტთან

საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები[82]

დაწერილია 1918 წ. მარტ — აპრილში

დაიბეჭდა 1918 წ. 28 აპრილს
გაზეთებში: «პრავდა» № 83 და
სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტია» № 85
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ბროშურის:
ნ. ლენინი. «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები»,
გამოცემა მე-2, მოსკოვი, 1918, —
ტექსტის მიხედვით, რომელიც
შედარებულია ხელნაწერთან

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა და სოციალისტური რევოლუციის ძირითადი ამოცანები

მიღწეული ზავის მეოხებით, — მიუხედავად მთელი მისი სიმძიმისა და მთელი მისი არასიმტკიცისა, — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შესაძლებლობა ეძლევა განსაზღვრული დროის განმავლობაში თავისი ძალები მიმართოს სოციალისტური რევოლუციის უმნიშვნელოვანესი და უმძიმესი მხარისაკენ, სახელდობრ — ორგანიზაციული ამოცანისაკენ.

ეს ამოცანა ნათლად და ზუსტად არის დასმული მთელი მშრომელი და ჩაგრული მასების წინაშე 1918 წ. 15 მარტს საბჭოების მოსკოვის საგანგებო ყრილობაზე მიღებული რეზოლუციის მე-4 აბზაცში (მე-4 ნაწილში), — რეზოლუციის იმავე აბზაცში (ანუ იმავე ნაწილში), სადაც ლაპარაკია მშრომელთა თვითდისციპლინაზე და ქაოსსა და დეზორგანიზაციასთან ულმობელ ბრძოლაზე *.

„რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მიერ მიღწეული ზავის არასიმტკიცე განპირობებულია“ რასაკვირველია, არა იმით, თითქოს იგი ახლა ფიქრობდეს სამხედრო მოქმედებათა განახლებას; — გარდა ბურჟუაზიული კონტრრევოლუციონერებისა და მათი დამქაშებისა (მენშევიკებისა და სხვ.), არც ერთი ჭკვათამყოფელი პოლიტიკოსი ამაზე არ ფიქრობს. ზავის არასიმტკიცე განპირობებულია „იმით, რომ რუსეთის დასავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრებთან მდებარე, უზარმაზარი სამხედრო ძალის მქონე იმპერიალისტურ სახელმწიფოებში ყოველ წუთს შეიძლება გაიმარჯვოს სამხედრო

* იხ. ეს ტომი, გვ. 228—229. რ ე დ.

პარტიამ, რომელსაც აცდუნებს რუსეთის წამიერი სისუსტე და რომელსაც აქეზებენ სოციალიზმის მოძულე და ძარცვა-გლეჯის მოყვარული კაპიტალისტები.

საქმის ასეთი ვითარების დროს, ჩვენთვის ზავის რეალურ, არა ქაღალდზე დაწერილ, გარანტიას წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ უთანხმოება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის, რომელმაც უმაღლეს ფარგლებს მიაღწია, და რომელიც გამოიხატება, ერთი მხრით, დასავლეთში ხალხთა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის განახლებით, ხოლო მეორე მხრით — დიდ ოკეანესა და მის სანაპიროზე ბატონობისათვის უკიდურესად გამწვავებული იმპერიალისტური შეჯიბრებით იაპონიასა და ამერიკას შორის.

გასაგებია, რომ, ესოდენ მერყევი გარემოებით დაცული, ჩვენი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უაღრესად არამტკიცე, უეჭველად კრიზისულ საერთაშორისო მდგომარეობაში იმყოფება. აუცილებელია მთელი ჩვენი ძალების უკიდურესად დაძაბვა, რათა გამოვიყენოთ გარემოებათა დამთხვევის მეოხებით მიღებული შესვენება იმ უმძიმეს ჭრილობათა მოსაშუშებლად, რომლებიც რუსეთის მთელ საზოგადოებრივ ორგანიზმს მიაყენა ომმა, და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისათვის, ურომლისოდაც ლაპარაკიც კი არ შეიძლება თავდაცვისუნარიანობის რაიმე სერიოზულ ამაღლებაზე.

გასაგებია აგრეთვე, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო დასავლეთში დაგვიანებულ სოციალისტურ რევოლუციას ჩვენ მხოლოდ იმდენად გავუწევთ სერიოზულ დახმარებას, რამდენადაც შევძლებთ ჩვენს წინაშე დასახული ორგანიზაციული ამოცანის გადაჭრას.

ჩვენს წინაშე პირველ რიგში მდგომი ორგანიზაციული ამოცანის წარმატებით გადაჭრის ძირითად პირობას წარმოადგენს ხალხის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, ე. ი. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრების, შემდგომ კი აგრეთვე მშრომელი მასების ყველა შეგნებული

1

Тезисы о задачах Советской власти в настоящий момент.

Международное положение Российской Социалистической Федеративной Республики.

1. Благодаря достигнутому миру, — несмотря на всю его тягостность и его непрочность, — российская советская республика получает возможность на известное время сосредоточить свои силы на важнейшей задаче и труднейшей социалистической революции, именно: на задаче организации.

Эта задача ясно и точно поставлена идеей „новых трудящихся и угнетенных классов в 4-ом аграде (4-ой части) резолюции, принятой 16.II. 1918 г. на московском чрезвычайном съезде советов, — в этом аграде (или в этой части) резолюции, где говорится о самодисциплине трудящихся и о беспощадной борьбе с хаосом и дезорганизацией.

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა: «თეზისები საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ ახლანდელ მომენტში». — 1918 წ. მარტი — აპრილი.

დაპატარავებულია

წარმომადგენლის მიერ იმ ძირითადი განსხვავების სრული შეგნება, რომელიც ამ მხრით წინანდელ ბურჟუაზიულ რევოლუციებსა და ახლანდელ სოციალისტურ რევოლუციას შორის არსებობს.

ბურჟუაზიულ რევოლუციებში მშრომელი მასების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა უარყოფითი ანუ დამანგრეველი მუშაობის შესრულება ფეოდალიზმის, მონარქიის, შუასაუკუნურობის მოსასპობად. ახალი საზოგადოების ორგანიზაციის დადებით ანუ შემოქმედებით მუშაობას ასრულებდა მოსახლეობის შეძლებული, ბურჟუაზიული უმცირესობა. და იგი ამ ამოცანას, მიუხედავად მუშებისა და უღარიბესი გლეხების წინააღმდეგობისა, შედარებით ადვილად ასრულებდა არა მარტო იმიტომ, რომ კაპიტალის მიერ ექსპლოატირებული მასების წინააღმდეგობა, მათი დაქსაქსულობისა და განუვითარებლობის გამო, მაშინ უკიდურესად სუსტი იყო, არამედ იმიტომაც, რომ ანარქიულად აგებული კაპიტალისტური საზოგადოების ძირითად მაორგანიზებელ ძალას წარმოადგენს სტიქიურად სილრმე-სიგანით მზარდი ბაზარი, ნაციონალური და ინტერნაციონალური.

პირიქით, ყოველ სოციალისტურ რევოლუციაში, — და, მაშასადამე, 1917 წლის 25 ოქტომბერს ჩვენს მიერ რუსეთში დაწყებულ სოციალისტურ რევოლუციაშიც, — პროლეტარიატისა და მის ხელმძღვანელობაში მყოფი უღარიბესი გლეხობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს დადებითი ანუ შემოქმედებითი მუშაობა იმ ახალ ორგანიზაციულ ურთიერთობათა უაღრესად რთული და მოქნილი ქსელის მოსაგვარებლად, რომელნიც მოიცავენ ათეულ მილიონობით ადამიანთა არსებობისათვის საჭირო პროდუქტების გეგმაშეწონილ წარმოებას და განაწილებას. ასეთი რევოლუციის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მოსახლეობის უმრავლესობის, უწინარეს ყოვლისა მშრომელთა უმრავლესობის, დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედების დროს. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ პროლეტარიატი და

ულარიბესი გლეხობა გამოიჩენენ საკმაო შეგნებულობას, იდეურობას, თავდადებასა და შეუპოვრობას. შევქმენით რა სახელმწიფოს ახალი, საბჭოთა, ტიპი, რომელიც მშრომელ და ჩაგრულ მასებს შესაძლებლობას აძლევს უაღრესად ცხოველი მონაწილეობა მიიღონ ახალი საზოგადოების დამოუკიდებელ მშენებლობაში, ჩვენ გადავჭერით ძნელი ამოცანის მხოლოდ პატარა ნაწილი. (მთავარი სიძნელე ეკონომიურ დარგში ძევს: პროდუქტების წარმოებისა და განაწილების უსასტიკესი და საყოველთაო აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, წარმოების ნამდვილად განსაზოგადება. V

განვითარება ბოლშევიკების პარტიისა, რომელიც ამჟამად მმართველი პარტიაა რუსეთში, განსაკუთრებით თვალნათლივ ცხადყოფს, თუ რას წარმოადგენს ის ისტორიული გარდატეხა, რომელსაც ჩვენ განვიცდით და რომელიც ახლანდელი პოლიტიკური მომენტის თავისებურებას შეადგენს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ახალ ორიენტაციას, ე. ი. ახალი ამოცანების ახლებურად დასმას მოითხოვს.

V მომავლის ყოველი პარტიის პირველი ამოცანაა — დაარწმუნოს ხალხის უმრავლესობა თავისი პროგრამისა და ტაქტიკის სისწორეში. V ეს ამოცანა იდგა პირველ რიგში, როგორც ცარიზმის დროს, ისე კერენსკისთან და კიშკინთან ჩერნოვებისა და წერეთლების შემთანხმებლობის პერიოდში. ახლა ეს ამოცანა, რომელიც, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის სავსებით დამთავრებული (და რომელიც ბოლომდე არასოდეს არ შეიძლება ამოწურულ იქნას), მთავარ ნაწილში გადაწყვეტილია, ვინაიდან რუსეთის მუშებისა და გლეხების უმრავლესობა, როგორც ეს უდავოდ ცხადყო საბჭოების უკანასკნელმა ყრილობამ მოსკოვში, აშკარად ბოლშევიკების მხარეზეა.

V ჩვენი პარტიის მეორე ამოცანა იყო პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის

დათრგუნვა. არც ეს ამოცანაა ბოლომდე ამოწურული, და მისი უგულებელყოფა შეუძლებელია, ვინაიდან, ერთი მხრით, მონარქისტები და კადეტები, მეორე მხრით კი — მათი დამქაშები და მაჩანჩალები, მენშევიკები და მემარჯვენე ესერები, განაგრძობენ ცდებს გაერთიანებისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. მაგრამ ექსპლოატატორების წინააღმდეგობის დათრგუნვის ამოცანა უმთავრესში უკვე გადაწყვეტილია 1917 წ. 25 ოქტომბრიდან (დაახლოებით) 1918 წ. თებერვლამდე ანუ ბოგაევსკის დანებებამდე განვლილ პერიოდში.

ახლა რიგში დგება, როგორც მორიგი და ახლანდელი მომენტის თავისებურების გამომხატველი, მესამე ამოცანა — რუსეთის მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ორგანიზაცია. რასაკვირველია, ამ ამოცანას ჩვენ ვაყენებდით და ვწყვეტდით 1917 წლის 25 ოქტომბრის მეორე დღესვე; მაგრამ დღემდე, ვიდრე ექსპლოატატორების წინააღმდეგობა ჯერ კიდევ აშკარა სამოქალაქო ომის ფორმას ღებულობდა, — დღემდე მმართველობის ამოცანა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა გამხდარიყო მ თ ა ვ ა რ ი, ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ამოცანა.

ახლა იგი ასეთი გახდა. ჩვენ, ბოლშევიკების პარტიამ, რუსეთი დ ა ვ ა რ წ მ უ ნ ე თ. რუსეთი ჩვენ ბ რ ძ ო ლ ი თ წ ა ვ ა რ თ ვ ი თ მდიდრებს ღარიბებისათვის, ექსპლოატატორებს — მშრომელთათვის. ახლა ჩვენ რუსეთი უნდა ვ მ ა რ თ ო თ. და ახლანდელი მომენტის მთელი თავისებურება, მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ გავიგოთ ხალხის დარწმუნებისა და ექსპლოატატორთა სამხედრო დათრგუნვის მთავარი ამოცანიდან მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს მთავარ ამოცანაზე გ ა დ ა ს ვ ლ ის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი.

მსოფლიო ისტორიაში სოციალისტურმა პარტიამ პირველად მოასწრო ძალაუფლების დაპყრობისა და ექსპლოატატორთა დათრგუნვის საქმის მთავარ ხაზებში დამთავრება, მოასწრო პ ი რ ი ს პ ი რ მ ი ს ვ ლ ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ამოცანასთან. საჭიროა, რომ ჩვენ აღმოვჩნდეთ სოციალისტური გადატრიალების ამ უძნელესი (და უმადლიანესი)

ამოცანის ღირსეული შემსრულებელნი. უნდა ჩავუფიქრდეთ იმას, რომ წარმატებით მართვისათვის, გარდა დარწმუნების უნარისა, გარდა სამოქალაქო ომში გამარჯვების უნარისა, საჭიროა პრაქტიკული ორგანიზების უნარი. ეს ყველაზე ძნელი ამოცანაა, ვინაიდან საქმე შეეხება ათეულ და ათეულ მილიონობით ადამიანთა ცხოვრების ყველაზე ღრმა, ეკონომიურ, საფუძველთა ახლებურად მოწყობას. და ეს არის ყველაზე მადლიანი ამოცანა, ვინაიდან მხოლოდ (მთავარსა და ძირითად ხაზებში) მისი გადაწყვეტის შემდეგ იქნება შესაძლებელი იმის თქმა, რომ რუსეთი გახდა არა მარტო საბჭოთა, არამედ სოციალისტური რესპუბლიკაც.

მომენტის საერთო ლოზუნგი

ზემოთ მოხაზულმა ობიექტურმა მდგომარეობამ, შექმნილმა უკიდურესად მძიმე და არამტკიცე ზავით, უაღრესად მტანჯველი გაპარტახებით, უმუშევრობითა და შიმშილობით, რაც ომმა და ბურჟუაზიის ბატონობამ (კერენსკის და მის მხარისდამჭერ მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების სახით) დაგვიტოვა მემკვიდრეობად, — ყოველივე ამან გარდუვალად წარმოშვა მშრომელთა ფართო მასის უკიდურესი მოქანცვა და ძალ-ღონის გამოფიტვაც კი. იგი დაჟინებით მოითხოვს — და არც შეიძლება არ მოითხოვდეს — ერთგვარ შესვენებას. ღღის წესრიგში დგება ომითა და ბურჟუაზიის ბატონობით დანგრეული საწარმოო ძალების აღდგენა; — იმ ჭრილობების მოშუშება, რომლებიც მოყენებულია ომით, ომში დამარცხებით, სპეკულაციით და ბურჟუაზიის ცდებით — აღადგინოს ექსპლოატატორთა დამხობილი ხელისუფლება; — ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება; — ელემენტარული წესრიგის მტკიცედ დაცვა. შეიძლება პარადოქსად მოგეჩვენოთ, მაგრამ ნამდვილად, ხსენებულ ობიექტურ პირობათა გამო, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ამ მომენტში სოციალიზმზე რუსეთის გადასვლის განმტკიცება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ იგი

პრაქტიკულად გადაწყვეტს, მიუხედავად ბურჟუაზიის, მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების წინააღმდეგობისა, საზოგადოებრიობის დაცვის სწორედ ამ ყველაზე ელემენტარულსა და უაღრესად ელემენტარულ ამოცანებს. ამ უაღრესად ელემენტარული ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტა და სოციალიზმისაკენ პირველი ნაბიჯების ორგანიზაციულ სიძნელეთა გადალახვა, ახლანდელი მდგომარეობის კონკრეტულ თავისებურებათა გამო და საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს — მისი კანონებით მიწის სოციალიზაციის, მუშათა კონტროლისა და სხვ. შესახებ, — წარმოადგენს ახლა ერთი და იგივე მედალის სხვადასხვა მხარეს.

წესიერად და კეთილსინდისიერად აწარმოე ფულის ანგარიში, ხელმომჭირნედ გაუძეხ მეურნეობას, ნუ იზარმაცებ, ნუ იქურდებ, დაიცავი უსასტიკესი დისციპლინა შრომაში, — სწორედ ასეთი ლოზუნგები, რომელთაც რევოლუციური პროლეტარები სამართლიანად იგდებდნენ სასაცილოდ მაშინ, როდესაც ბურჟუაზია ამგვარი სიტყვით ფარავდა თავის, როგორც ექსპლოატატორთა კლასის, ბატონობას, — ხდება ახლა, ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ, მომენტის მორიგ და მთავარ ლოზუნგებად. და, ერთი მხრით, მშრომელთა მ ა ს ი ს მიერ ამ ლოზუნგების პრაქტიკულად გატარება ცხოვრებაში ე რ თ ა დ ე რ თ ი პირობაა იმპერიალისტური ომისა და იმპერიალისტური მტაცებლებისაგან (კერენსკის მეთაურობით) სანახევროდ სასიკვდილოდ განაწამები ჩვენი ქვეყნის ხსნისა; ხოლო, მეორე მხრით, ამ ლოზუნგების პრაქტიკულად გატარება ცხოვრებაში ს ა ბ ჭ ო თ ა ხელისუფლების მიერ, მ ი ს ი მეთოდებით, მ ი ს ი კანონების საფუძველზე, აუცილებელი და ს ა კ მ ა რ ი ს ი ა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის. სწორედ ამის გაგება არ ძალუძთ იმათ, ვინც ქედმაღლურად იშორებს თავიდან ესოდენ «გაცვეთილი» და «ტრივიალური» ლოზუნგების პირველ რიგში წამოყენებას. წვრილგლეხურ ქვეყანაში, რომელმაც მხოლოდ ერთი წელიწადია რაც ცარიზმი დაამხო და რომელიც ნახევარი წელიწადიც არ გასულა რაც კერენს-

კებისაგან განთავისუფლდა, ბუნებრივია, საკმაოდ დარჩა სტიქიური ანარქიზმი, გაძლიერებული იმ გამხეცებითა და გაველურებით, რაც თან სდევს ყოველ ხანგრძლივსა და რეაქციულ ომს, საკმაოდ შეიქმნა სასოწარკვეთილებისა და უსაგნო გაბოროტების განწყობილება; თუ ამას დავუმატებთ ბურჟუაზიის ლაქიების (მენშევიკების, მემარჯვენე ესერებისა და სხვ.) პროვოკატორულ პოლიტიკას, სავსებით გასაგები გახდება, თუ საუკეთესო და ყველაზე შეგნებული მუშებისა და გლეხების რაოდენ ხანგრძლივი და შეუპოვარი მუშაობაა საჭირო მასის განწყობილებათა სრული გარდატეხისა და მისი გადასვლისათვის წესიერ, მტკიცე, დისციპლინირებულ შრომაზე. მხოლოდ ასეთ გადასვლას, განზორციელებულს ღარიბთა მასის (პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების) მიერ, შეუძლია დააგვირგვინოს ბურჟუაზიაზე, და განსაკუთრებით ყველაზე შეუპოვარსა და მრავალრიცხოვან გლეხურ ბურჟუაზიაზე გამარჯვება.

ბურჟუაზიასთან ბრძოლის ახალი ფაზისი

ჩვენში ბურჟუაზია დამარცხებულია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის ძირფესვიანად ამოგდებული, ჯერ კიდევ მოსპობილი და საბოლოოდ მოტეხილიც კი არ არის. ამიტომ დღის წესრიგში დგება ბურჟუაზიასთან ბრძოლის ახალი, უმაღლესი ფორმა, გადასვლა კაპიტალისტთა შემდგომი ექსპროპრიაციის უმარტივესი ამოცანიდან ისეთი პირობების შექმნის გაცილებით უფრო რთულსა და ძნელ ამოცანაზე, როდესაც ვერ იარსებებდა და ვერც ხელახლა აღმოცენდებოდა ბურჟუაზია. ცხადია, რომ ეს ამოცანა განუზომლად უფრო მაღალია და რომ მის გადაუწყვეტლად სოციალიზმი ჯერ კიდევ არ არის.

თუ ავიღებთ დასავლეთ ევროპის რევოლუციების მასშტაბს, ჩვენ ამჟამად ვდგავართ დაახლოებით 1793 წელს და 1871 წელს მიღწეულ დონეზე. ჩვენ კანონიერი უფლება გვაქვს ვიამაყოთ, რომ ამ დონეზე ავედით და ერთი მხრით, უეჭველად, რამდენადმე უფრო შორს წავედით, სახელდობრ:

დეკრეტით დავაკანონეთ და შემოვიღეთ მთელ რუსეთში სახელმწიფოს უმაღლესი ტ ი პ ი, საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ მიღწეულით - დაკმაყოფილება ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია, ვინაიდან ჩვენ მხოლოდ დავიწყეთ სოციალიზმზე გადასვლა, მაგრამ ა მ მხრით გადამწყვეტი რამ ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ გაგვიხორციელებია.

გადამწყვეტია პროდუქტების წარმოებისა და განაწილების უსასტიკესი და საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაცია. ამავე დროს კი იმ საწარმოებში, მეურნეობის იმ დარგებსა და მხარეებში, რომლებიც ჩვენ ბურჟუაზიას წავართვით, აღრიცხვა და კონტროლი ჩვენ მიერ ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ არის მიღწეული, უამისოდ კი ლაპარაკიც არ შეიძლება სოციალიზმის შემოღების მეორე, ამდენადვე არსებითს, მატერიალურ პირობაზე, სახელდობრ, საერთო ნაციონალური მასშტაბით შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე.

ამიტომ შეუძლებელი იქნებოდა ახლანდელი მომენტის ამოცანის განსაზღვრა მარტივი ფორმულით: განვაგრძოთ კაპიტალზე შეტევა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ კაპიტალი, უეჭველად, საბოლოოდ არ არის განადგურებული, და რომ მშრომელთა ამ მტერზე შეტევის განგრძობა უსათუოდ აუცილებელია, ამნაირი განსაზღვრა არაზუსტი, არაკონკრეტული იქნებოდა, მასში არ იქნებოდა ახლანდელი მომენტის თ ა ვ ი ს ებ უ რ ე ბ ი ს აღნუსხვა, როდესაც შ ე მ დ გ ო მ ი შეტევის წარმატების ინტერესებისათვის საჭიროა ა მ ჟ ა მ ა დ «შევაჩეროთ» შეტევა.

ამის განმარტება შეიძლება, თუ კაპიტალის წინააღმდეგ ომში ჩვენს მდგომარეობას შევადარებთ იმ ძლევამოსილი ჯარის მდგომარეობას, რომელსაც მტრისთვის წაურთმევია მისი ტერიტორიის, ვთქვათ, ნახევარი ან ორი მესამედი და იძულებულია შეაჩეროს შეტევა, რათა ძალ-ღონე მოიკრიბოს, გაადიდოს საბრძოლო საშუალებათა მარაგი, შეაკეთოს და გაამაგროს საკომუნიკაციო ხაზი, ააგოს ახალი საწყობები, მოიყვანოს ახალი რეზერვები და სხვ.. ამგვარ

პირობებში ძლევამოსილი ჯარის შეტევის შეჩერება აუცილებელია სწორედ მტრის დანარჩენი ტერიტორიის დაპყრობის ინტერესებისათვის, ე. ი. სრული გამარჯვების ინტერესებისათვის. ვინც ვერ მიმხვდარა, რომ სწორედ ასეთია კაპიტალის წინააღმდეგ შეტევის «შეჩერება», რომელსაც ახლანდელ მომენტში გვიკარნახებს საქმის ობიექტური მდგომარეობა, მას ვერაფერი გაუგია დღევანდელი პოლიტიკური მომენტისა.

რასაკვირველია, კაპიტალის წინააღმდეგ შეტევის «შეჩერებაზე» შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ბრჭყალებში, ე. ი. მხოლოდ მეტაფორულად. ჩვეულებრივს ომში შესაძლებელია გასცეთ საერთო ბრძანება შეტევის შეჩერების შესახებ, შესაძლებელია ნამდვილად შეაჩეროთ წინსვლა. კაპიტალის წინააღმდეგ ომის დროს წინსვლის შეჩერება შეუძლებელია, და იმაზე, რომ ჩვენ ხელი ავიღოთ კაპიტალის შემდგომ ექსპროპრიაციაზე, ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ლაპარაკია ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური მუშაობის ს ი მ ძ ი მ ი ს ც ე ნ ტ რ ი ს შეცვლაზე. დღემდე პ ი რ ვ ე ლ რ ი გ შ ი იდგა ექსპროპრიატორთა უშუალო ექსპროპრიაციის ღონისძიებანი. ახლა პ ი რ ვ ე ლ რ ი გ შ ი დგება აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაცია იმ მეურნეობებში, სადაც კაპიტალისტები უკვე ექსპროპრიაციაქმნილი არიან, და ყველა დანარჩენ მეურნეობაში.

ახლა ჩვენ რომ არ მოგვესურვებინა კაპიტალის შემდგომი ექსპროპრიაციის წინანდელი ტემპით განგრძობა, უთუოდ, დავმარცხდებოდით, რადგან ყოველი გონიერი ადამიანისათვის ცხადი და აშკარაა, რომ ჩვენი მუშაობა პროლეტარული აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაციის დარგში ჩ ა მ ო რ ჩ ა «ექსპროპრიატორთა» უ შ უ ა ლ ო «ექსპროპრიაციაზე» მუშაობას. თუ ახლა ჩვენ მთელი ძალ-ღონით დავაწვებით აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაციის საქმეს, ჩვენ შევძლებთ გადავწყვიტოთ ეს ამოცანა, ჩვენ ავინაზღაურებთ ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობას, ჩვენ

მოვიგებთ მ თ ე ლ ჩვენს «კამპანიას» კაპიტალის წინააღმდეგ.

მაგრამ იმის აღიარება, რომ გვიხდება ხელიდან გაშვებული შესაძლებლობის ანაზღაურება, იმის აღიარებას ხომ არ უდრის, რომ რაღაც შეცდომა ჩავიდინეთ? — სრულიადაც არა. მოვიყვანოთ ისევ სამხედრო შედარება. თუ შესაძლებელია მტრის დამარცხება და უკუქცევა მარტო მსუბუქი კავალერიის რაზმებით, — ეს უნდა გაკეთდეს. ხოლო თუ ამის წარმატებით გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე, მაშინ სავსებით წარმოსადგენია, რომ ამ საზღვრის შემდეგ აუცილებელი ხდება მძიმე არტილერიის მოზიდვა. იმის აღიარებით, რომ საჭიროა ახლა ავინაზღაუროთ მძიმე არტილერიის მოზიდვაში ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა, ჩვენ სრულიადაც არ მიგვაჩნია შეცდომად კავალერიის ძლევამოსილი იერიში.

ბურჟუაზიის ლაქიებს ჩვენთვის ხშირად უსაყვედურნიათ, რომ კაპიტალის წინააღმდეგ «წითელგვარდიულ» იერიშს ვაწარმოებდით. ეს არის ბრიყვული საყვედური, სავსებით შესაფერისი სწორედ ფულის ქისის ლაქიებისა. ვინაიდან კაპიტალის წინააღმდეგ «წითელგვარდიულ» იერიშს თ ა ვ ი ს დ რ ო ზ ე აუცილებლად გვიკარნახებდა გარემოებანი: ჯერ-ერთი, კაპიტალი მ ა შ ი ნ გვეწინააღმდეგებოდა სამხედრო წესით, კერენსკისა და კრასნოვის, სავინკოვისა და გოცის (გეგეჭკორი ახლაც ამნაირად გვეწინააღმდეგება), დუტოვისა და ბოგაევსკის სახით. სამხედრო წინააღმდეგობას ვერ გასტეხ სხვაგვარად, თუ არ სამხედრო საშუალებებით; და წითელგვარდიელები აკეთებდნენ ექსპლოატატორთა ულლისაგან მშრომელთა და ექსპლოატირებულთა განთავისუფლების უკეთილშობილესსა და უდიდეს ისტორიულ საქმეს.

მეორე, ჩვენ მაშინ ვერ შევძლებდით დათრგუნვის მეთოდების მაგივრად პირველ რიგში დაგვეყენებინა მმართველობის მეთოდები იმიტომაც, რომ მმართველობის ხელოვნება ადამიანებს თანდაყოლილი კი არა აქვთ, არამედ მას გამოცდილება

იძლევა. მაშინ ასეთი გამოცდილება ჩვენ არ გვქონდა. ახლა ჩვენ იგი გვაქვს. მესამე, მაშინ არ შეიძლებოდა ჩვენს განკარგულებაში გვყოლოდა ცოდნისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ვინაიდან ისინი ან ბოგაევსკების რიგებში იბრძოდნენ, ანდა მათ ჯერ კიდევ ჰქონდათ საშუალება სისტემატური და შეუპოვარი პასიური წინააღმდეგობა გაეწიათ ს ა ბ ო ტ ა ჟ ი თ. ახლა კი ჩვენ საბოტაჟი გავტეხეთ. «წითელგვარდიული» იერიში კაპიტალის წინააღმდეგ წარმატებითი, ძლევამოსილი იყო, ვინაიდან ჩვენ დავამარცხეთ კაპიტალის სამხედრო წინააღმდეგობაც და კაპიტალის საბოტაჟური წინააღმდეგობაც.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ კაპიტალის წინააღმდეგ «წითელგვარდიული» იერიში ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს გ ა მ ო ს ა დ ე გ ი ა, გამოსადეგია ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ გარემოებაში, რომ ჩვენ კაპიტალთან ბრძოლის სხვა საშუალებანი ა რ მ ო გ ვ ე პ ო ვ ე ბ ა? ამის ფიქრი ბავშვობა იქნებოდა. ჩვენ გავიმარჯვეთ მსუბუქი კავალერიით, მაგრამ ჩვენ მძიმე არტილერიაც გვაქვს. ჩვენ ვიმარჯვებდით დათრგუნვის მეთოდებით. ჩვენ შევძლებთ გამარჯვებას მმართველობის მეთოდებითაც. როდესაც გარემოებანი იცვლებიან, უნდა გქონდეს უნარი შესცვალო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. ჩვენ ერთი წუთითაც ხელს არ ავიღებთ ბატონ საკინკოვებისა და გეგეჭკორების, ისე როგორც ყოველგვარი სხვა მემამულური და ბურჟუაზიული კონტრრევოლუციონერების «წითელგვარდიულად» დათრგუნვაზე. მაგრამ ჩვენ ისეთი სულელები როდი ვიქნებით, რომ პირველ ადგილზე «წითელგვარდიული» ხერხები წამოვაყენოთ ისეთ დროს, როდესაც წითელგვარდიული იერიშების აუცილებლობის ეპოქა ძირითადად დამთავრებულია (და დამთავრებულია ძლევამოსილად) და როდესაც კარს გვიკაკუნებს ეპოქა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოყენებისა ნიადაგის ისეთნაირად გადასახნავად, რომ მასზე ველარავითარი ბურჟუაზია ველარ ამოვიდეს.

ეს — განვითარების თავისებური ეპოქაა ან, უფრო სწორად, თავისებური ზოლია, და კაპიტალზე საბოლოო გამარჯვებისათვის საჭიროა შეგვეძლოს ჩვენი ბრძოლის ფორმების შეფარდება ასეთი ზოლის თავისებური პირობებისადმი.

ცოდნის, ტექნიკის, გამოცდილების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ხელმძღვანელობის გარეშე სოციალიზმზე გადასვლა შეუძლებელია, ვინაიდან სოციალიზმი მოითხოვს შეგნებულ და მასობრივ მოძრაობას წინ, შრომის უმაღლესი ნაყოფიერებისაკენ კაპიტალიზმთან შედარებით და კაპიტალიზმის მიერ მიღწეულის ბაზაზე. ეს მოძრაობა წინ სოციალიზმმა უნდა განახორციელოს თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა დ, თავისი ხერხებით — ვთქვათ უფრო კონკრეტულად — ს ა ბ ჭ ო თ ა ხერხებით. სპეციალისტების მასა კი აუცილებლად ბურჟუაზიულია, იმ საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი ვითარების გამო, რომელმაც ისინი სპეციალისტები გახადა. ჩვენს პროლეტარიატს, როცა მან დაიპყრო ძალაუფლება, სწრაფად რომ გადაეწყვიტა ამოცანა აღრიცხვისა, კონტროლისა, ორგანიზაციისა საყოველთაო-სახალხო მასშტაბით, — (ეს განუხორციელებელი იყო ომისა და რუსეთის ჩამორჩენილობის გამო), — მაშინ, დავძლევდით რა საბოტაჟს, ჩვენ საყოველთაო აღრიცხვითა და კონტროლით მთლიანად დავიმორჩილებდით ბურჟუაზიულ სპეციალისტებსაც. საერთოდ აღრიცხვისა და კონტროლის საგრძნობი «დაგვიანების» გამო, ჩვენ, თუმცა მოვასწარით საბოტაჟის დამარცხება, მაგრამ ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ შეგვიქმნია ისეთი ვითარება, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იძლეოდეს ბურჟუაზიულ სპეციალისტებს; მესაბოტაჟეთა მასა «სამსახურში მოდის», მაგრამ საუკეთესო ორგანიზატორებისა და უდიდესი სპეციალისტების გამოყენება სახელმწიფოს შეუძლია ან ძველებურად, ბურჟუაზიულად (ე. ი. მაღალი ხელფასით), ან ახლებურად, პროლეტარულად (ე. ი. ქვემოდან საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და კონტროლის იმ ვითარების შექმნით, რომელიც

აუცილებლად და თავისთავად დაიმორჩილებდა და მოიზიდავდა სპეციალისტებს).

ჩვენ ახლა მოგვიხდა მიგვემართა ძველი, ბურჟუაზიული საშუალებისადმი და დავთანხმებულიყავით უდიდესი ბურჟუაზიული სპეციალისტების «სამსახურის» ძალიან მაღალ ანაზღაურებას. ყველა, ვინც საქმეს იცნობს, ხედავს ამას, მაგრამ ყველა როდი უფიქრდება ამგვარი ღონისძიების მნიშვნელობას პროლეტარული სახელმწიფოს მხრით. ცხადია, რომ ასეთი ღონისძიება არის კომპრომისი, უკანდახევა პარიზის კომუნისა და ყოველი პროლეტარული ხელისუფლების პრინციპებისაგან, რომლებიც მოითხოვენ ჯამაგირების დაყვანას საშუალო მუშის ხელფასის დონემდე, მოითხოვენ კარიერიზმთან ბრძოლას საქმით, და არა სიტყვით.

ეს ცოტაა. ცხადია, რომ ასეთი ღონისძიება არის კაპიტალზე შეტევის არა მარტო შეჩერება — განსაზღვრულ დარგში და განსაზღვრული ოდენობით (ვინაიდან კაპიტალი წარმოადგენს არა ფულის ჯამს, არამედ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობას), არამედ უკან გადადგმული ნაბიჯიც ჩვენი სოციალისტური, საბჭოთა, სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისა, რომელმაც თავიდანვე გამოაცხადა და დაიწყო მაღალი ჯამაგირების საშუალო მუშის ხელფასამდე შემცირების პოლიტიკა[83].

რა თქმა უნდა, ბურჟუაზიის ლაქიები, განსაკუთრებით წვრილფეხა ჯურისა, როგორიც არიან მენშევიკები, ნოვოჟიზნელები, მემარჯვენე ესერები, დაიწყებენ ხითხითს იმის აღიარების გამო, რომ ჩვენ ვდგამთ ნაბიჯს უკან. მაგრამ ჩვენ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება ხითხითს. ჩვენ უნდა შევისწავლოთ სოციალიზმისაკენ მიმავალი უაღრესად მძიმე და ახალი გზის თავისებურებანი, კი არ უნდა დავფაროთ ჩვენი შეცდომები და სისუსტენი, არამედ უნდა ვცდილობდეთ დროზე დავამთავროთ დაუმთავრებელი. იმის დამალვა მასებისაგან, რომ ბურჟუაზიული სპეციალისტების მოზიდვა მეტისმეტად მაღალი ხელფასით არის კომუნის პრინციპებისაგან უკანდახევა, იქნებოდა ბურჟუაზიული პოლი-

ტიკანების დონემდე ჩამოქვეითება და მასების მოტყუება. იმის აშკარად ახსნა, თუ როგორ და რატომ გადავდგით ნაბიჯი უკან, შემდეგ იმის საჯაროდ განხილვა, თუ რა საშუალებანი არსებობენ ხელიდან გაშვებული შესაძლებლობის ასანაზღაურებლად, — ეს ნიშნავს აღვზარდოთ მასები და გამოცდილების საფუძველზე ვისწავლოთ, მათთან ერთად ვისწავლოთ სოციალიზმის მშენებლობა. საეჭვოა ისტორიაში ყოფილიყოს თუნდაც ერთი ძლევამოსილი სამხედრო ლაშქრობა, როცა გამარჯვებულს არ შეხვედროდეს ცალკეული შეცდომების ჩადენა, ნაწილობრივი დამარცხების განცდა, დროებით უკანდახევა რაიმეში და აქა თუ იქ. ხოლო ჩვენს მიერ დაწყებული «ლაშქრობა» კაპიტალიზმის წინააღმდეგ მილიონჯერ უფრო ძნელია ყველაზე ძნელ სამხედრო ლაშქრობასთან შედარებით, და სისულელე და სამარცხვინო იქნებოდა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა კერძო და ნაწილობრივი უკანდახევის გამო.

მივუდგეთ საკითხს პრაქტიკული მხრით. დავუშვათ, რომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას ესაჭიროება ცოდნის, ტექნიკის, პრაქტიკული გამოცდილების 1 000 პირველხარისხოვანი მეცნიერი და სპეციალისტი სახალხო შრომის სახელმძღვანელოდ ჩვენი ქვეყნის რაც შეიძლება უფრო სწრაფი ეკონომიური აღორძინების მიზნით. დავუშვათ, რომ საჭირო ხდება ამ «პირველი ხარისხის ვარსკვლავებს» — მათი უმრავლესობა, რა თქმა უნდა, მით უფრო გახრწნილია ბურჟუაზიული ზნე-ჩვეულებებით, რაც უფრო ხალისით გაჰყვირის იგი მუშების გახრწნილებაზე, — წელიწადში ვაძლიოთ 25 000 მან. თვითეულს. დავუშვათ, რომ ეს თანხა (25 მილიონი მანეთი) უნდა გაორკეცდეს (ვგულისხმობთ პრემიების გაცემას უმნიშვნელოვანეს ორგანიზატორულ-ტექნიკურ დავალებათა განსაკუთრებით წარმატებითი და სწრაფი შესრულებისათვის) ან გაოთხკეცდეს კიდეც (ვგულისხმობთ უფრო მეტი მოთხოვნილების წამომყენებელ რამდენიმე ასეულ საზღვარგარეთელ სპეციალისტთა მოზიდვას). ისმება კითხვა, შეიძლება თუ არა ზომაზე მეტად ან აუტანელად

ჩაითვალოს საბჭოთა რესპუბლიკისათვის წლიურად ორმოცდაათი ან ასი მილიონი მანეთის დახარჯვა სახალხო შრომის ხელახალი ორგანიზაციისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით? რა თქმა უნდა, არა. შეგნებული მუშებისა და გლეხების უდიდესი უმრავლესობა მოიწონებს ასეთ ხარჯს, რადგან პრაქტიკული ცხოვრებიდან იცის, რომ ჩვენი ჩამორჩენილობა გვაიძულებს ვკარგოთ მილიარდები, ხოლო ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია ორგანიზებულობის, აღრიცხვისა და კონტროლის იმ დონემდე, რომ გამოვიწვიოთ ბურჟუაზიული ინტელიგენციის «ვარსკვლავთა» საყოველთაო და ნებაყოფლობითი მონაწილეობა ჩვენს მუშაობაში.

რასაკვირველია, საკითხს აგრეთვე მეორე მხარეც აქვს. უდავოა მაღალი ჯამაგირების გამხრწნელი გავლენა — საბჭოთა ხელისუფლებაზედაც (მით უმეტეს, რომ სწრაფი გადატრიალების დროს ამ ხელისუფლებას არ შეიძლებოდა არ მიტმასნებოდა გარკვეული რაოდენობა ავანტიურისტებისა და გაიძვერებისა, რომლებიც უნიჭო ან უსინდისო სხვადასხვა კომისრებთან ერთად მზად არიან იქცნენ... ხაზინის გამქურდავ «ვარსკვლავებად») და მუშათა მასაზედაც. მაგრამ ყველა, ვინც კი მოაზროვნე და პატიოსანია მუშებსა და ულარიბეს გლეხებს შორის, დაგვეთანხმება, აღიარებს, რომ ჩვენ არ ძალგვიძს ერთბაშად გავთავისუფლდეთ კაპიტალიზმის ცუდი მემკვიდრეობისაგან, რომ საბჭოთა რესპუბლიკის განთავისუფლება 50 ან 100-მილიონიანი «ხარკისაგან» (ხარკისაგან ჩვენი საკუთარი ჩამორჩენილობის გამო ქვემოდან საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაციის საქმეში) არ შეიძლება სხვაგვარად, თუ არ ორგანიზებით, დისციპლინის განმტკიცებით საკუთარ რიგებში, საკუთარი წრის გაწმენდით ყველა იმათგან, ვინც «ინახავს კაპიტალიზმის მემკვიდრეობას», «იცავს კაპიტალიზმის ტრადიციებს», ე. ი. ზარმაცებისაგან, მუქთახორებისაგან, ხაზინის ქურდებისაგან (ახლა მთელი მიწა, ყველა ფაბრიკა, ყველა რკინიგზა საბჭოთა რესპუბლი-

კის «ხაზინაა»). თუ შეგნებული მოწინავე მუშები და უღარიბესი გლეხები მოასწრებენ, საბჭოთა დაწესებულებების დახმარებით, ერთ წელიწადში ორგანიზებას, დისციპლინირებას, წელში გასწორებას, შრომის მძლავრი დისციპლინის შექმნას, მაშინ ჩვენ ერთი წლის შემდეგ თავიდან მოვიშორებთ ამ «ხარკს», რომლის შემცირება უფრო ადრეც შეიძლება... სწორედ ჩვენი, მუშურ-გლეხური, შრომის დისციპლინისა და ორგანიზებულობის წარმატებათა კვალობაზე. რაც უფრო მალე ვისწავლით თვით ჩვენ, მუშები და გლეხები, შრომის საუკეთესო დისციპლინას და შრომის უმაღლეს ტექნიკას, გამოვიყენებთ რა ამ მეცნიერებისათვის ბურჟუაზიულ სპეციალისტებს, მით უფრო მალე გავთავისუფლდებით ამ სპეციალისტებისადმი ყოველგვარი «ხარკისაგან».

ჩვენი მუშაობა იმისათვის, რომ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მოვაწყოთ პროდუქტების წარმოებისა და განაწილების საყოველთაო-სახალხო აღრიცხვა და კონტროლი, ძალიან ჩამორჩა ჩვენს მუშაობას ექსპროპრიატორთა უშუალო ექსპროპრიაციისათვის. ეს დებულება ძირითადია ახლანდელი მომენტისა და საბჭოთა ხელისუფლების იმ ამოცანების თავისებურებათა გასაგებად, რომლებიც აქედან გამომდინარეობენ. ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში სიმძიმის ცენტრი გადადის ასეთი აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაციაზე. მხოლოდ მაშინ, თუ აქედან გამოვალთ, შეიძლება სწორად განვსაზღვროთ ეკონომიური და ფინანსური პოლიტიკის მორიგი ამოცანები ბანკების ნაციონალიზაციის, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიზაციის, ფულის მიმოქცევისადმი სახელმწიფოებრივი კონტროლის დარგში, პროლეტარული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი ქონებრივი და საშემოსავლო გადასახადის შემოღების, შრომითი ბეგარის შემოღების დარგში.

სოციალისტურ გარდაქმნათა მხრივ ამ დარგებში ჩვენ უკიდურესად ჩამოვრჩით (ესენი კი მეტად და მეტად არსებითი დარგებია), და ჩამოვრჩით სწორედ იმიტომ, რომ არასაკმაოდ არის ორგანიზებული აღრიცხვა და კონტროლი

საერთოდ. რასაკვირველია, ეს არის ერთ-ერთი უძნელესი ამოცანა, და ომით გამოწვეული ნგრევის დროს ის უშვებს მხოლოდ ხანგრძლივ გადაწყვეტას, მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ სწორედ აქ ბურჟუაზია — განსაკუთრებით კი მრავალრიცხოვანი წვრილი და გლეხური ბურჟუაზია — გვიმართავს ჩვენ უაღრესად სერიოზულ ბრძოლას, ძირს უთხრის რა კონტროლს, რომელიც მოგვარების გზაზეა, ძირს უთხრის, მაგალითად, პურის მონოპოლიას, ბრძოლით იპყრობს პოზიციებს სპეკულაციისა და სპეკულაციური ვაჭრობისათვის. ის, რაც ჩვენ დეკრეტით უკვე შემოვიღეთ, ჯერ სრულიად არასაკმაოდ გვაქვს ცხოვრებაში გატარებული, და მომენტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სწორედ მთელი ძალ-ღონის მიმართვა იმ გარდაქმნათა საფუძვლების საქმიანი, პრაქტიკული განხორციელებისაკენ, რომლებიც უკვე კანონად იქცნენ (მაგრამ ჯერ კიდევ არ ქცეულან რეალობად).

იმისათვის, რომ შემდგომ განვაგრძოთ ბანკების ნაციონალიზაცია და განუხრელად წავიდეთ ბანკების გადაქცევისაკენ სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი ანგარიშწარმოების საკვანძო პუნქტებად, უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად საჭიროა მივაღწიოთ რეალურ წარმატებებს სახალხო ბანკის განყოფილებათა რაოდენობის გადიდებაში, ანაბრების მოზიდვაში, ხალხისათვის ფულის შეტანისა და გაცემის ოპერაციების გაადვილებაში, «კუდების» მოსპობაში, მექრთამეებისა და გაიძვერების დაპატიმრებასა და დახვრეტაში და სხვ.. ჯერ რეალურად გავატაროთ ცხოვრებაში უმარტივესი, კარგად მოვაწყოთ არსებული, — ხოლო შემდეგ უკვე ვამზადოთ უფრო რთული.

უნდა გავამაგროთ და მოვაწესრიგოთ ის სახელმწიფო მონოპოლიები (პურისა, ტყავისა და სხვ.), რომლებიც უკვე შემოღებულია, — და ამით მოვამზადოთ სახელმწიფოს მიერ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიზაცია; ასეთი მონოპოლიზაციის გარეშე ჩვენ უცხოეთის კაპიტალს ვერ დავაღწევთ თავს «ხარკის» გადახდით. ხოლო სოციალისტური მშენებლობის

მთელი შესაძლებლობა იმაზეა დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა ჩვენ გარკვეული გარდამავალი დროის განმავლობაში დავიცვათ ჩვენი შინაგანი ეკონომიური დამოუკიდებლობა ერთგვარი ხარკის გადახდით უცხოეთის კაპიტალისათვის.

საერთოდ გადასახადების, განსაკუთრებით კი ქონებრივი და საშემოსავლო გადასახადის აკრეფის მხრივაც ჩვენ მეტად ძლიერ ჩამოვრჩით. ბურჟუაზიაზე კონტრიბუციის დადება — ღონისძიება, რომელიც პრინციპულად უეჭველად მისაღებია და პროლეტარული მოწონების ღირსია — გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ უფრო ახლოს ვართ წართმევის (მდიდრებისაგან რუსეთის წართმევის და ღარიბებისათვის მიცემის) ხერხებთან, ვიდრე მართვა-გამგეობის ხერხებთან. მაგრამ უფრო ძლიერნი რომ გავხდეთ და ფეხზე რომ უფრო მაგრად დავდგეთ, ჩვენ ამ უკანასკნელ ხერხებზე უნდა გადავიდეთ, ბურჟუაზიაზე დადებული კონტრიბუცია უნდა შევცვალოთ ქონებრივი და საშემოსავლო გადასახადით, რომელიც მუდმივ და წესიერად უნდა იკრიფებოდეს, რომელიც მეტს მისცემს პროლეტარულ სახელმწიფოს და რომელიც მოითხოვს ჩვენგან სწორედ მეტ ორგანიზებულობას, აღრიცხვისა და კონტროლის მეტ მოგვარებას.

ჩვენს მიერ შრომითი ბეგარის შემოღების დაგვიანება ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ დღის წესრიგში ისმება სწორედ მოსამზადებელ-ორგანიზაციული მუშაობა, რომელმაც, ერთი მხრით, საბოლოოდ უნდა განამტკიცოს მოპოვებული, ხოლო, მეორე მხრით, იგი აუცილებელია, რათა მოამზადოს ოპერაცია, რომელიც «გარს შემოერტყმის» კაპიტალს და აიძულებს მას «დანებდეს». ჩვენ გვმართებს შრომითი ბეგარის დაუყოვნებლივი შემოღება, მაგრამ იგი უნდა შემოვიღოთ დიდი თანდათანობითა და სიფრთხილით, ყოველი ნაბიჯი უნდა შევამოწმოთ პრაქტიკული გამოცდილებით და, რასაკვირველია, პირველ ნაბიჯად უნდა გავხადოთ შრომითი ბეგარის შემოღება მდიდრებისთვის. სამუშაო და სამომხმარებლო-საბიუჯეტო წიგნაკის შემოღება ყოველი ბურჟუასთვის, მათ შორის სოფლელი ბურჟუასთვისაც,

იქნებოდა სერიოზული ნაბიჯი წინ მოწინააღმდეგის სრული «გარემოცვისაკენ» და პროდუქტების წარმოებისა და განაწილების ნამდვილად საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და კონტროლის შექმნისაკენ.

საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და კონტროლისათვის ბრძოლის მნიშვნელობა

სახელმწიფომ, რომელიც საუკუნეობით ხალხის ჩაგვრისა და ძარცვის ორგანოს წარმოადგენდა, მემკვიდრეობად დაგვიტოვა მასების უდიდესი სიძულვილი და უნდობლობა ყოველივე სახელმწიფოებრივისადმი. ამის დაძლევა — ძალიან ძნელი ამოცანაა, რომელიც ძალუძს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ იგი მისგანაც ხანგრძლივ დროსა და უდიდეს შეუპოვრობას მოითხოვს. აღრიცხვისა და კონტროლის საკითხში — სოციალისტური რევოლუციისათვის ამ ძირითად საკითხში ბურჟუაზიის დამხობის მეორე დღეს — ასეთი «მემკვიდრეობა» განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს. აუცილებლად გაივლის გარკვეული დრო, ვიდრე მასები, რომელთაც პირველად იგრძნეს თავი თავისუფლად მემამულეებისა და ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ, გაიგებენ — არა წიგნებიდან, არამედ საკუთარი, საბჭოთა გამოცდილებიდან — გაიგებენ და იგრძნობენ, რომ პროდუქტების წარმოებისა და განაწილების ყოველმხრივი, სახელმწიფოებრივი აღრიცხვისა და კონტროლის გარეშე მშრომელთა ხელისუფლებას, მშრომელთა თავისუფლებას გაძლება **არ** შეუძლია, კაპიტალიზმის უღლის ქვეშ დაბრუნება **გარდუვალია.**

საერთოდ ბურჟუაზიის, და განსაკუთრებით წვრილი ბურჟუაზიის, ყველა ჩვევა და ტრადიცია აგრეთვე მიმართულია სახელმწიფო კონტროლის წინააღმდეგ, მხარს უჭერს «წმინდა კერძო საკუთრების», «წმინდა» კერძო საწარმოს ხელშეუხებლობას. ჩვენ ახლა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვხედავთ, თუ რამდენად სწორია მარქსისტული დებულება, რომ ანარქიზმი და ანარქო-სინდიკალიზმი ბურ-

ქ უ ა ზ ი უ ლ ი მიმდინარეობანია, თუ რა შეურიგებელ წინააღმდეგობაში არიან ისინი სოციალიზმის, [illegible]ლეტარული დიქტატურის, კომუნიზმის მიმართ: ბრძოლა [illegible] ა ბ ჭ ო თ ა — სახელმწიფოებრივი კონტროლისა და [illegible]ის იდეის დასანერგავად, ამ იდეის ცხოვრებაში გასატარებლად, იმ წყეულ წარსულთან კავშირის გასაწყვეტად, რომელმაც ხალხი მიაჩვია იმას, რომ პურისა და ტანსაცმლის მოპოვებას უცქეროდეს როგორც «ქერძო» საქმეს, ყიდვა-გაყიდვას, როგორც ისეთ გარიგებას, რომელიც «მხოლოდ მე მეხება», — სწორედ ეს ბრძოლა არის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მქონე უდიდესი ბრძოლა სოციალისტური შეგნებულობისა ბურჟუაზიულ-ანარქიული სტიქიურობის წინააღმდეგ.

მუშათა კონტროლი ჩვენში შემოღებულია როგორც კანონი, მაგრამ ცხოვრებაში და თვით პროლეტარიატის ფართო მასების შეგნებაშიც კი იგი ეს-ეს არის იწყებს შეჭრას. იმის შესახებ, რომ უანგარიშობა, უკონტროლობა პროდუქტების წარმოებისა და განაწილების საქმეში წარმოადგენს სოციალიზმის ჩანასახთა დაღუპვას, ხაზინის გაქურდვას (ვინაიდან მთელი ქონება ხაზინას ეკუთვნის, ხოლო ხაზინა — ეს არის სწორედ საბჭოთა ხელისუფლება, მშრომელთა უმრავლესობის ხელისუფლება), რომ დაუდევრობა აღრიცხვასა და კონტროლში არის პირდაპირ ხელისშეწყობა გერმანელი და რუსი კორნილოვებისათვის, რომელთაც მშრომელთა ხელისუფლების გადაგდება მ ხ ო ლ ო დ იმ პირობით შეუძლიათ, თუ ჩვენ ვერ დავძლევთ აღრიცხვისა და კონტროლის ამოცანას, და რომლებიც, მთელი გლეხური ბურჟუაზიის დახმარებით, კადეტების, მენშევიკების, მემარჯვენე ესერების დახმარებით «გვითვალთვალებენ» ჩვენ, ელოდებიან რა მომენტს, — ამის შესახებ საკმაოდ არ ვლაპარაკობთ ჩვენს აგიტაციაში, ამაზე საკმაოდ არ ფიქრობენ და არ ლაპარაკობენ მოწინავე მუშები და გლეხები. ხოლო ვიდრე მუშათა კონტროლი ფაქტი არ გამხდარა, ვიდრე მოწინავე მუშებს არ მოუგვარებიათ და არ გაუტარებიათ ძლევამოსილი და

ულმობელი ლაშქრობა ამ კონტროლის დამრღვევთა ან ამ კონტროლ[illegible]ართ უდარდელთა წინააღმდეგ, — მანამდე არ შეიძ[illegible]ელი ნაბიჯიდან (მუშათა კონტროლიდან) მეორე ნა[illegible]ადგმა სოციალიზმისაკენ, ესე იგი გადასვლა წარმოების მუშურ რეგულირებაზე.

სოციალისტურ სახელმწიფოს შეუძლია წარმოიშვას მხოლოდ როგორც ისეთი საწარმოო-სამომხმარებლო კომუნების ქსელი, რომლებიც კეთილსინდისიერად აღრიცხავენ თავიანთ წარმოებასა და მოხმარებას, ეწევიან შრომის მომჭირნეობას, განუხრელად ადიდებენ მის ნაყოფიერებას და ამით აღწევენ იმის შესაძლებლობას, რომ სამუშაო დღე შემცირებულ იქნას შვიდ, ექვს საათამდე დღე-ღამეში და კიდევ უფრო მეტადაც. აქ შეუძლებელია თავის გართმევა ისე, თუ არ მოვაგვარეთ პ უ რ ი ს ა და პ უ რ ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ი ს (ხოლო შემდეგ აგრეთვე ყველა სხვა აუცილებელი პროდუქტის) უმკაცრესი საყოველთაო-სახალხო, ყოვლისმომცველი აღრიცხვა და კონტროლი. კაპიტალიზმმა ჩვენ მემკვიდრეობად დაგვიტოვა მასობრივი ორგანიზაციები, რომელთაც შეუძლიათ გააადვილონ პროდუქტების განაწილების მასობრივ აღრიცხვასა და კონტროლზე გადასვლა, — სამომხმარებლო საზოგადოებანი. რუსეთში ისინი უფრო სუსტად არიან განვითარებული, ვიდრე მოწინავე ქვეყნებში, მაგრამ ისინი მაინც აერთიანებენ ათ მილიონ წევრზე მეტს. ამ დღეებში გამოცემული დეკრეტი სამომხმარებლო საზოგადოებათა შესახებ[84] წარმოადგენს უაღრესად ღირსშესანიშნავ მოვლენას, რომელიც თვალსაჩინოდ გვიჩვენებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მდგომარეობისა და ამოცანების თავისებურებას ახლანდელ მომენტში.

დეკრეტი წარმოადგენს შეთანხმებას ბურჟუაზიულ კოოპერატივებთან და იმ მუშურ კოოპერატივებთან, რომლებიც ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე რჩებიან. შეთანხმება ანუ კომპრომისი მდგომარეობს, ჯერ-ერთი, იმაში, რომ ხსენებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები არა მარტო მონაწილეობდნენ დეკრეტის განხილვაში, არამედ მათ ფაქტიუ-

რად გადამწყვეტი ხმის უფლებაც კი მიიღეს, ვინაიდან დეკრეტის ის ნაწილები, რომლებსაც გადამჭრელი ოპოზიციით შეხვდნენ ეს დაწესებულებანი, უკუგდებულ იქნა. მეორე, კომპრომისი, არსებითად, იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ხელს იღებს კოოპერატივში ფულის გადაუხდელად შესვლის პრინციპზე (ერთადერთი თანამიმდევრული პროლეტარული პრინციპი), აგრეთვე ამა თუ იმ ადგილის მთელი მოსახლეობის ე რ თ კოოპერატივში გაერთიანებაზე. როგორც უკანდახევა ამ ერთადერთი სოციალისტური პრინციპიდან, რომელიც უპასუხებს კლასების მოსპობის ამოცანას, დარჩენის უფლება მიეცა «მუშათა კლასობრივ კოოპერატივებს» (რომელთაც ამ შემთხვევაში «კლასობრივი» ეწოდება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს ემორჩილებიან). ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლების წინადადება კოოპერატივების გამგეობათაგან ბურჟუაზიის სრული გარიცხვის შესახებ აგრეთვე მეტად შერბილებულ იქნა, და გამგეობებში შესვლის აკრძალვა გავრცელდა მხოლოდ კერძო-კაპიტალისტური ხასიათის სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა მფლობელებზე.

პროლეტარიატს რომ საბჭოთა ხელისუფლების მეშვეობით ემოქმედნა და მოესწრო მოგვარება აღრიცხვისა და კონტროლისა საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით, ან თუნდაც ასეთი კონტროლის საფუძვლებისა, მაშინ მსგავსი კომპრომისები საჭირო აღარ იქნებოდა. საბჭოების სასურსათო განყოფილებათა საშუალებით, საბჭოებთან არსებული მომარაგების ორგანოების საშუალებით ჩვენ გავაერთიანებდით მოსახლეობას ერთიანს, პროლეტარული ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ, კოოპერატივში ბურჟუაზიული კოოპერატივების დაუხმარებლად, იმ წმინდა-ბურჟუაზიული პრინციპისადმი დაუთმობლად, რომელიც აიძულებს მუშათა კოოპერატივს დარჩეს მუშურ კოოპერატივად ბურჟუაზიული კოოპერატივის გ ვ ე რ დ ი თ, ი მ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ, რომ მთლიანად დაიმორჩილოს ეს ბურჟუაზიული კოოპერატივი, შეაერთოს

ორივე, თავის ხელში აიღოს **მთელი** გამგებლობა, თავის ხელში აიღოს ზედამხედველობა მდიდართა მოხმარებაზე.

სდებდა რა ასეთ შეთანხმებას ბურჟუაზიულ კოოპერატივებთან, საბჭოთა ხელისუფლებამ კონკრეტულად განსაზღვრა თავისი ტაქტიკური ამოცანები და მოქმედების თავისებური მეთოდები განვითარების მოცემული ხანისათვის, სახელდობრ: როდესაც ბურჟუაზიულ ელემენტებს ვხელმძღვანელობთ, ვიყენებთ მათ, მივდივართ ერთგვარ კერძო დათმობებზე მათ მიმართ, ამით ჩვენ ვქმნით პირობებს ისეთი წინსვლისათვის, რომელიც იქნება უფრო ნელი, ვიდრე ჩვენ თავდაპირველად ვფიქრობდით, მაგრამ ამასთან ერთად იქნება უფრო მტკიცე, უფრო საფუძვლიანად უზრუნველყოფს ბაზას და საკომუნიკაციო ხაზს, უკეთ გაამაგრებს დაპყრობილ პოზიციებს. საბჭოებს შეუძლიათ **(და უნდა)** გაზომონ ახლა თავიანთი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის საქმეში, სხვათა შორის, უაღრესად ნათელი, მარტივი, პრაქტიკული საზომით: სახელდობრ რამდენ თემში (კომუნაში ან სოფელში, უბანში და ა. შ.) და რამდენად უახლოვდება კოოპერატივების განვითარება იმას, რომ მოიცვას მთელი მოსახლეობა.

შრომის ნაყოფიერების გადიდება

ყოველ სოციალისტურ რევოლუციაში, მას შემდეგ, რაც გადაჭრილია პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის ამოცანა და იმის მიხედვით, თუ როგორ წყდება მთავარსა და ძირითადში ამოცანა: ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია და მათი წინააღმდეგობის დათრგუნვა, — პირველ რიგში აუცილებლად დგება კაპიტალიზმზე უფრო მაღალი საზოგადოებრივი წყობის შექმნის ძირითადი ამოცანა, სახელდობრ: შრომის ნაყოფიერების გადიდება, ამასთან დაკავშირებით (და ამისათვის) კი — მისი უმაღლესი ორგანიზაცია. ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება იმყოფება სწორედ ისეთ მდგომარეობაში, როცა, ექსპლოატატორებზე, კერენსკიდან კორნილოვამდე, გამარჯვებათა მეოხებით, მან შესაძლებლობა

მიიღო უშუალოდ მისულიყო ამ ამოცანამდე, უშუალოდ მოეკიდა მისთვის ხელი. და აქ ერთბაშად შესამჩნევი ხდება, რომ თუ ცენტრალური სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობა რამდენიმე დღეში შეიძლება, თუ ექსპლოატატორთა სამხედრო (და საბოტაჟური) წინააღმდეგობის დათრგუნვა დიდი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეშიც კი რამდენიმე კვირაში შეიძლება, შრომის ნაყოფიერების გადიდების ამოცანის მტკიცედ გადაწყვეტა მოითხოვს, ყოველ შემთხვევაში (განსაკუთრებით უაღრესად მტანჯველი და უაღრესად გამანადგურებელი ომის შემდეგ), რამდენიმე წელიწადს. მუშაობის ხანგრძლივ ხასიათს აქ გვიკარნახებენ უცილობლად ობიექტური გარემოებანი.

შრომის ნაყოფიერების გადიდება, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს მსხვილი ინდუსტრიის მატერიალური საფუძვლის უზრუნველყოფას: სათბობის, რკინის წარმოების, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის განვითარებას. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა იმყოფება იმდენად ხელსაყრელ პირობებში, რომ მის განკარგულებაშია — ბრესტის ზავის შემდეგაც კი — უზარმაზარი მარაგი მადნისა (ურალზე), სათბობისა დასავლეთ ციმბირში (ქვანახშირი), კავკასიაში და სამხრეთ-აღმოსავლეთში (ნავთობი), ცენტრში (ტორფი), უზარმაზარი სიმდიდრე ტყეებისა, წყლის ძალისა, ნედლეულისა ქიმიური მრეწველობისათვის (ყარაბუღაზი) და ა. შ.. ამ ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება უახლესი ტექნიკის წესებით მოგვცემს საწარმოო ძალთა უნახავი პროგრესის საფუძველს.

შრომის ნაყოფიერების გადიდების მეორე პირობას წარმოადგენს, ჯერ-ერთი, მოსახლეობის მასის საგანმანათლებლო და კულტურული აღმავლობა. ეს აღმავლობა ახლა უდიდესი სისწრაფით მიმდინარეობს, რასაც ვერ ხედავენ ბურჟუაზიული რუტინით დაბრმავებული ადამიანები, რომელთაც უნარი არა აქვთ გაიგონ, თუ სინათლისა და თაოსნობისადმი რაოდენი ლტოლვა ღვივდება ახლა ხალხის «ქვედაფენებში» საბჭოთა ორგანიზაციის მეოხებით. მეორე,

ეკონომიური აღმავლობის პირობას წარმოადგენს აგრეთვე მშრომელთა დისციპლინის, მუშაობის უნარის, ხელმარჯვეობის, შრომის ინტენსივობის, მისი უკეთ ორგანიზაციის ამაღლება.

ამ მხრით საქმე ჩვენში განსაკუთრებით ცუდად და უიმედოდაც კი არის, თუ დავუჯერებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავი დააშინებინეს ბურჟუაზიას, ან რომლებიც ანგარებით ემსახურებიან მას. ამ ადამიანებს არ ესმით, რომ არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს რევოლუცია, როცა ძველის მომხრენი არ გაჰყვიროდნენ ნგრევაზე, ანარქიაზე და სხვ.. ბუნებრივია, რომ მასებში, რომლებმაც ესეს არის დაამხეს არნახულ-ველური ჩაგვრა, წარმოებს ღრმა და ფართო დუღილი და ღვივილი, — რომ მასების მიერ შრომის დისციპლინის ახალი საფუძვლების გამომუშავება ძალიან ხანგრძლივი პროცესია, — რომ მემამულეზე და ბურჟუაზიაზე სრულ გამარჯვებამდე ასეთი გამომუშავების დაწყებაც კი არ შეიძლებოდა.

მაგრამ ოდნავაც არ უნდა ავყვეთ რა იმ, ხშირად ყალბ, სასოწარკვეთილებას, რომელსაც ავრცელებენ ბურჟუები და ბურჟუაზიული ინტელიგენტები (რომელთაც დაკარგეს თავიანთი ძველი პრივილეგიების შენარჩუნების იმედი), ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავფაროთ აშკარა ბოროტება. პირიქით, ჩვენ ვამხილებთ მას და გავაძლიერებთ მის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოთა ხერხებს, ვინაიდან სოციალიზმის წარმატება წარმოუდგენელია ისე, თუ პროლეტარულმა შეგნებულმა დისციპლინიანობამ არ გაიმარჯვა სტიქიურ წვრილბურჟუაზიულ ანარქიაზე, კერენშჩინისა და კორნილოვშჩინის შესაძლებელი რესტავრაციის ამ ნამდვილ საწინდარზე.

რუსეთის პროლეტარიატის ყველაზე შეგნებულმა ავანგარდმა უკვე დაისახა შრომის დისციპლინის ამაღლების ამოცანა. მაგალითად, მელითონეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტშიც და პროფესიული კავშირების ცენტრალურ საბჭოშიც დაწყებულია სათანადო ღონისძიებათა და დეკრეტების

პროექტთა დამუშავება[85]. ამ მუშაობას მხარი უნდა დავუჭიროთ და იგი მთელი ძალ-ღონით უნდა წავწიოთ წინ. დღის წესრიგში უნდა დავაყენოთ, პრაქტიკულად გამოვიყენოთ და გამოვცადოთ სანარდო ხელფასი, გამოყენება ბევრი რამისა, რაც კი მეცნიერული და პროგრესულია ტეილორის სისტემაში, ხელფასის შეფარდება პროდუქტის გამომუშავების საერთო ჯამისადმი ან რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის საექსპლოატაციო შედეგებისადმი და სხვ. და სხვ.

რუსი ადამიანი — ცუდი მუშაკია მოწინავე ერებთან შედარებით. და ეს არც შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო ცარიზმის რეჟიმისა და ბატონყმობის წაშთების არსებობის დროს. მუშაობის სწავლა—ეს ამოცანა საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი მისი მოცულობით უნდა წამოაყენოს ხალხის წინაშე. ამ მწვრივ კაპიტალიზმის უკანასკნელი სიტყვა, ტეილორის სისტემა, — ისე როგორც კაპიტალიზმის ყველა პროგრესი, — თავისთავში აერთიანებს ბურჟუაზიული ექსპლოატაციის მოქნილ სიმხეცეს და მთელ რიგ უმდიდრეს მეცნიერულ მონაპოვრებს შრომის დროს მექანიკურ მოძრაობათა ანალიზის, ზედმეტ და მოუქნელ მოძრაობათა განდევნის, მუშაობის ყველაზე სწორი ხერხების გამომუშავების, აღრიცხვისა და კონტროლის საუკეთესო სისტემების შემოღებისა და სხვ. საქმეში. საბჭოთა რესპუბლიკამ რადაც უნდა დაჯდეს უნდა გადმოიღოს ყოველივე ღირებული მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვართაგან ამ დარგში. სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობა განსაზღვრულ იქნება სწორედ ჩვენი მიღწევებით საბჭოთა ხელისუფლების და მმართველობის საბჭოთა ორგანიზაციის შეხამებაში კაპიტალიზმის უახლეს პროგრესთან. რუსეთში უნდა მოვაწყოთ ტეილორის სისტემის შესწავლა და სწავლება, მისი სისტემატური გამოცდა და მომარჯვება. ამასთან ერთად, უნდა მივდიოდეთ რა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, საჭიროა ანგარიში გავუწიოთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი დროის იმ თავისებურებებს, რომელნიც, ერთი მხრით, მოითხოვენ, რომ საფუძველი ჩაეყაროს

შეჯიბრების სოციალისტურ ორგანიზაციას, ხოლო, მეორე მხრით, მოითხოვენ იძულების გამოყენებას, ისე რომ პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგს ჩირქი არ მოეცხოს პროლეტარული ხელისუფლების ფაფისებური მდგომარეობის პრაქტიკით.

შეჯიბრების ორგანიზაცია

უაზრობათა რიცხვს, რომელთაც ბურჟუაზია ხალისით ავრცელებს სოციალიზმის შესახებ, ეკუთვნის ის, თითქოს სოციალისტები უარყოფენ შეჯიბრების მნიშვნელობას. ნამდვილად კი მხოლოდ სოციალიზმი, სპობს რა კლასებს და, მაშასადამე, მასების დამონებას, პირველად ხსნის გზას შეჯიბრებისათვის ნამდვილად მასობრივი მასშტაბით. და სწორედ საბჭოთა ორგანიზაცია, გადადის რა ბურჟუაზიული რესპუბლიკის ფორმალური დემოკრატიზმიდან მშრომელთა მასების ნამდვილ მონაწილეობაზე მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა შ ი, პირველად აყენებს ფართოდ შეჯიბრებას. ამის დაყენება გაცილებით უფრო ადვილია პოლიტიკურ დარგში, ვიდრე ეკონომიურში, მაგრამ სოციალიზმის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია სწორედ უკანასკნელი.

ავიღოთ შეჯიბრების ორგანიზაციის ისეთი საშუალება, როგორიცაა საჯარობა. ბურჟუაზიული რესპუბლიკა მას მხოლოდ ფორმალურად უზრუნველყოფს, საქმით კი პრესას კაპიტალს უმორჩილებს, ართობს «ბრბოს» პიკანტური პოლიტიკური წვრილმანებით, ფარავს იმას, რაც ხდება სახელოსნოებში, საკაჭრო გარიგებათა დადების, დაკვეთების მიწოდების დროს და სხვ., «კომერციული საიდუმლოების» სამოსით, რომელიც იცავს «წმინდა საკუთრებას». საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა კომერციული საიდუმლოება, იგი დაადგა ახალ გზას, მაგრამ საჯარობის გამოსაყენებლად ეკონომიური შეჯიბრების მიზნით ჩვენ ჯერ კიდევ თითქმის არაფერი გაგვიკეთებია. სისტემატურად უნდა მოვკიდოთ ხელი იმას, რომ, ერთიანად ცრუ და თავხედურად-ცილისმწამებლური ბურჟუაზიული პრესის დაუნდობლად დათრგუნვასთან ერთად, წარმოებდეს

მუშაობა ისეთი პრესის შექმნისათვის, რომელიც კი არ უნდა ართობდეს და აბრიყვებდეს მასებს პოლიტიკური პიკანტური ამბებითა და სისულელეებით, არამედ მასების მსჯავრდასადებად უნდა გამოქონდეს სწორედ ყოველდღიური ეკონომიკის საკითხები, ხელს უწყობდეს მათს სერიოზულად შესწავლას. თვითეული ფაბრიკა, თვითეული სოფელი წარმოადგენს საწარმოო-სამომხმარებლო კომუნას, რომელსაც უფლება აქვს და ვალდებულია თავისებურად იყენებდეს საერთო საბჭოთა კანონდებულებებს («თავისებურად» არა მათი დარღვევის აზრით, არამედ ცხოვრებაში მათი გატარების ფორმათა მრავალგვარობის აზრით), თავისებურად წყვეტდეს პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვის პრობლემას. კაპიტალიზმის დროს ეს ცალკეული კაპიტალისტის, მემამულის, კულაკის «კერძო საქმე» იყო. საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს არის არა კერძო საქმე, არამედ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმე.

და ჩვენ ჯერ კიდევ თითქმის არ შევდგომივართ უზარმაზარ, ძნელ, მაგრამ სამაგიეროდ მადლიან მუშაობას კომუნების შეჯიბრების მოსაწყობად, ანგარიშგებისა და საჯარობის შესატანად პურის, ტანსაცმლისა და სხვ. წარმოების პროცესში, მშრალი, მკვდარი, ბიუროკრატიული ანგარიშების გადასაქცევად ცოცხალ მაგალითებად — როგორც ზიზღის გამომწვევ, ისე მიმზიდველ მაგალითებად. წარმოების კაპიტალისტური წესის დროს ცალკეული მაგალითის მნიშვნელობა, ვთქვათ, რომელიმე საწარმოო არტელისა, აუცილებლივ უკიდურესად შეზღუდული იყო, და მხოლოდ წვრილბურჟუაზიულ ილუზიას შეეძლო ოცნება კაპიტალიზმის «გამოსწორებაზე» კეთილისმყოფელ დაწესებულებათა ნიმუშების ზეგავლენით. პროლეტარიატის ხელში პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლის შემდეგ, ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის შემდეგ საქმე ძირფესვიანად იცვლება და, — იმის თანახმად, რასაც მრავალგზის აღნიშნავდნენ ყველაზე გამოჩენილი სოციალისტები, — მაგალითის ძალა პირველად ღებულობს შესაძლებლობას თავისი მასობრივი მოქმედების მოსახდენად. სანიმუშო კომუნები

უნდა იყვნენ და იქნებიან კიდეც ჩამორჩენილი კომუნების აღმზრდელები, მასწავლებლები, მათი წინ წამწევნი. ბეჭდვითი სიტყვა უნდა წარმოადგენდეს სოციალისტური მშენებლობის იარაღს, აცნობდეს ყოველ დეტალში სანიმუშო კომუნების წარმატებებს, სწავლობდეს მათი წარმატების მიზეზებს, მათი მეურნეობის წესებს, მეორე მხრით, «შავ დაფაზე» უნდა შეჰქონდეს ის კომუნები, რომლებიც დაჟინებით ინარჩუნებენ «კაპიტალიზმის ტრადიციებს», ე. ი. ანარქიის, სიზარმაცის, უწესრიგობის, სპეკულაციის ტრადიციებს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში სტატისტიკა მხოლოდ «კაზიონური ადამიანების» ან ვიწრო სპეციალისტების გამგებლობის საგანს შეადგენდა, — ჩვენ იგი მასებში უნდა გავიტანოთ, პოპულარული გავხადოთ, რათა მშრომელებმა თანდათანობით თვითონვე ისწავლონ იმის გაგება და დანახვა, თუ როგორ და რამდენი მუშაობაა საჭირო, როგორ და რამდენი დასვენებაა შესაძლებელი, — რათა ცალკეული კომუნების მეურნეობის ს ა ქ მ ი ა ნ ი შ ე დ ე გ ე ბ ი ს შ ე დ ა რ ე ბ ა საერთო ინტერესისა და შესწავლის საგანი გახდეს, რათა გამოჩენილ კომუნებს დაუყოვნებლივ ეძლეოდეთ ჯილდო (განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში სამუშაო დღის შემცირებით, ხელფასის გადიდებით, მეტი რაოდენობის კულტურულ თუ ესთეტიკურ სიკეთეთა და ღირებულებათა მინიჭებით და ა. შ.).

როცა ისტორიულ სცენაზე გამოდის ახალი კლასი როგორც საზოგადოების ბელადი და ხელმძღვანელი, ამას ყოველთვის თან ახლავს, ერთი მხრით, უძლიერესი «რყევის», ძვრების, ბრძოლებისა და ქარიშხლების პერიოდი, ხოლო, მეორე მხრით, პერიოდი არამტკიცე ნაბიჯებისა, ექსპერიმენტებისა, მერყეობისა, ქანაობისა ისეთი ახალი წესების არჩევის გამო, რომლებიც ახალ ობიექტურ ვითარებას უპასუხებენ. დალუპვის გზაზე მდგომი ფეოდალური თავადაზნაურობა ბურჟუაზიაზე, რომელიც მას ამარცხებდა და აძევებდა, შურს იძიებდა არა მარტო შეთქმულებებით, აჯანყებისა და რესტავრაციის ცდებით, არამედ იმითაც, რომ

უსაზღვროდ დასცინოდა იმ «მეტიჩრების», «თავხედების» მოუხერხებლობას, მოუქნელობას, შეცდომებს, რომლებიც ბედავდნენ ხელთ აეღოთ სახელმწიფოს «წმიდა საქე» საამისოდ თავადების, ბარონების, აზნაურების, დიდკაცების მოუმზადებლად საუკუნეების მანძილზე, — სწორედ ისე, როგორც ახლა შურს იძიებენ მუშათა კლასზე რუსეთში მის მიერ ძალაუფლების აღების «თავხედური» ცდისათვის კორნილოვები და კერენსკები, გოცები და მარტოვები, ბურჟუაზიული გეშეფტმახერობის ან ბურჟუაზიული სკეპსისის გმირების მთელი ეს კომპანია.

რასაკვირველია, საჭიროა არა კვირეები, არამედ მრავალი თვე და წელი, რათა ახალი საზოგადოებრივი კლასი, და ამასთანავე დღემდე ჩაგრული, გაჭირვებითა და სიბნელით დაბეჩავებული კლასი, გაერკვეს ახალ მდგომარეობაში, მიმოიხედოს, მოაგვაროს თავისი მუშაობა, წამოაყენოს თ ა ვ ი ს ი ორგანიზატორები. გასაგებია, რომ რევოლუციური პროლეტარიატის ხელმძღვანელ პარტიას არ შეიძლებოდა დაგროვებოდა დიდ, მილიონობით და ათეულ მილიონობით მოქალაქეთა მიმართ გათვალისწინებულ, ორგანიზაციულ წამოწყებათა გამოცდილება და ჩვევა, რომ ძველ, თითქმის მხოლოდ და მხოლოდ აგიტატორულ ჩვევათა გარდაქმნა — ფრიად ხანგრძლივი საქმეა. მაგრამ აქ შეუძლებელი არაფერია, და რაკი ჩვენ გვექნება ცვლილების აუცილებლობის ნათელი შეგნება, მისი განხორციელების მტკიცე გადაწყვეტილება, სიმტკიცე დიადი და ძნელი მიზნისაკენ სწრაფვაში, — ჩვენ მას განვახორციელებთ. «ხალხში», ე. ი. მუშებში და იმ გლეხებს შორის, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან, უამრავი ორგანიზატორული ტალანტია; მათ ათასობით სთელავდა, ღუპავდა, გარეთ ისროდა კაპიტალი; ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს მათი გამონახვის, გამხნევების, ფეხზე დაყენების, დაწინაურების უნარი. მაგრამ ჩვენ ამას ვისწავლით, თუ ამ სწავლას ხელს მოვკიდებთ მთელი რევოლუციური ენთუზიაზმით, ურომლისოდაც არ ხდება ძლევამოსილი რევოლუციები.

არც ერთი ღრმა და მძლავრი სახალხო მოძრაობა ისტორიაში არ მომხდარა ისე, რომ მას თან არ ხლებოდა ბინძური ქაფი,—გამოუცდელი ნოვატორებისადმი მიტმასნილი ავანტიურისტები და გაიძვერები, მკვეხარები და მოლაყბეები, უაზრო აურზაური, უთავბოლობა, უადგილო ფაციფუცი, ცალკეული «ბელადების» ცდები — ხელი მოეკიდათ 20 საქმისთვის და არც ერთი არ მიეყვანათ ბოლომდე. დაე, ბურჟუაზიული საზოგადოების ფინიებმა, ბელორუსოვიდან მარტოვამდე, იწკმუტუნონ და იყეფონ ყოველი ზედმეტი ნაფოტის გამო დიდი, ძველი ტყის გაჩეხვის დროს. ისინი სწორედ იმიტომ არიან ფინიები, რომ უყეფონ პროლეტარულ სპილოს. დაე, იყეფონ. ჩვენ ჩვენი გზით წავალთ, შევეცდებით რაც შეიძლება ფრთხილად და მოთმინებით გამოვცადოთ და გამოვიცნოთ ნამდვილი ორგანიზატორები, ფხიზელი გონების და პრაქტიკული გამჭრიახობის მქონე ადამიანები, ადამიანები, რომლებიც სოციალიზმისადმი ერთგულებას აერთებენ უნართან — უხმაუროდ (და აურზაურისა და ხმაურობის წინააღმდეგ) მოაგვარონ მრავალრიცხოვან ადამიანთა მტკიცე და შეთანხმებული ერთობლივი მუშაობა საბჭოთა ორგანიზაციის ჩარჩოებში. სახალხო შრომის ხელმძღვანელთა, მმართველობის ხელმძღვანელთა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე უნდა დავაწინაუროთ მ ხ ო ლ ო დ ასეთი ადამიანები, მათი ათგზის გამოცდის შემდეგ, უმარტივესი ამოცანებიდან უძნელეს ამოცანებზე მათი გადაყვანის გზით. ჩვენ ეს ჯერ კიდევ ვერ გვისწავლია. ჩვენ ამას ვისწავლით.

«მწყობრი ორგანიზაცია» და დიქტატურა

საბჭოების უკანასკნელი (მოსკოვის) ყრილობის რეზოლუცია აყენებს, როგორც მომენტის უპირველეს ამოცანას, «მწყობრი ორგანიზაციის» შექმნას და დისციპლინის ამაღლებას *. ამგვარ რეზოლუციებს ახლა ყველა სიამოვნებით «ხმას აძლევს» და «ხელს აწერს», მაგრამ იმას, რომ მათი ცხოვრე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 228. რ ე დ.

ბაში გატარება მოითხოვს ძალდატანებას — და ძალდატანებას სწორედ დიქტატურის ფორმით, — ამას ჩვეულებრივად არ უფიქრდებიან. ამავე დროს კი უდიდესი სისულელე და ყოვლად უაზრო უტოპიზმი იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ძალდაუტანებლად და უდიქტატუროდ შეიძლება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. მარქსის თეორია ძალიან დიდი ხანია გამოდიოდა და სრული გარკვეულობითაც ამ წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ანარქისტული სისულელის წინააღმდეგ. და ამ მხრით 1917—1918 წლების რუსეთი მარქსის თეორიას ადასტურებს ისე თვალსაჩინოდ, ხელშესახებად და დამაჯერებლად, რომ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელნიც საბოლოოდ გამოყეყეჩებულან ან მტკიცედ გადაუწყვეტიათ ზურგი შეაქციონ სიმართლეს, შეუძლიათ ამ მხრით კვლავ სცდებოდნენ. ან კორნილოვის დიქტატურა (თუ მას ბურჟუაზიული კავენიაკის რუსულ ტიპად მივიჩნევთ), ან პროლეტარიატის დიქტატურა — სხვა გამოსავალზე ისეთი ქვეყნისათვის, რომელიც ვითარდება არაჩვეულებრივად სწრაფად და თანაც უჩვეულოდ მძაფრი მიხვევ-მოხვევით, ვითარდება ერთ-ერთი უაღრესად მტანჯველი ომის მიერ შექმნილი საშინელი გაპარტახების დროს, — ლ ა პ ა რ ა კ ი ც კ ი ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა. ყოველგვარი შუათანა გადაწყვეტა — ან ხალხის მოტყუებაა ბურჟუაზიის მიერ, რომელსაც არ შეუძლია სიმართლე თქვას, არ შეუძლია თქვას, რომ მას კორნილოვი ესაჭიროება, ანდა წვრილბურჟუაზიული დემოკრატების, ჩერნოვების, წერეთლებისა და მარტოვების სიყეყეჩეა, რასაც თან ახლავს მათი ლაყბობა დემოკრატიის ერთიანობაზე, დემოკრატიის დიქტატურაზე, საერთო-დემოკრატიულ ფრონტზე და სხვა ამგვარ სისულელეზე. ვისთვისაც 1917—1918 წლების რუსეთის რევოლუციის მსვლელობასაც კი ვერ უსწავლებია, რომ შუათანა გადაწყვეტანი შეუძლებელია, მასზე ხელი უნდა ჩავიქნიოთ.

მეორე მხრით, ძნელი არ არის დავრწმუნდეთ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე ყოველგვარი გადასვლის დროს დიქტატურა აუცილებელია ორი მთავარი მიზეზით ანუ ორი

მთავარი მიმართულებით. ჯერ-ერთი, შეუძლებელია დავამარცხოთ და აღმოვფხვრათ კაპიტალიზმი ისე, თუ შეუბრალებლად არ დავთრგუნეთ წინააღმდეგობა ექსპლოატატორებისა, რომელთაც უცბად ვერ წავართმევთ მათს სიმდიდრეს, მათს უპირატესობებს ორგანიზებულობისა და ცოდნის მხრივ, და, მაშასადამე, ისინი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აუცილებლად შეეცდებიან დაამხონ საძულველი ხელისუფლება ღარიბებისა. მეორეც, ყოველი დიდი რევოლუცია, განსაკუთრებით კი სოციალისტური, თუნდაც საგარეო ომი არც იყოს, წარმოუდგენელია შინაური ომის, ე. ი. სამოქალაქო ომის გარეშე, რაც ნიშნავს კიდევ უფრო მეტ გაპარტახებას, ვიდრე საგარეო ომი, — რაც ნიშნავს მერყეობისა და ერთი მხრიდან მეორე მხარეზე გადასვლის ათასობითა და მილიონობით შემთხვევას, — რაც ნიშნავს უდიდესი გაურკვევლობის, უწონასწორობის, ქაოსის მდგომარეობას. და, რასაკვირველია, ასეთი ღრმა გადატრიალების დროს არ შეიძლება არ «იჩინოს თავი» ძველი საზოგადოების რღვევის ყველა ელემენტმა, აუცილებლად ფრიად მრავალრიცხოვანმა, დაკავშირებულმა უმთავრესად წვრილ ბურჟუაზიასთან (ვინაიდან ყოველი ომი და ყოველი კრიზისი, უწინარეს ყოვლისა, მას აპარტახებს და ღუპავს). ხოლო რღვევის ელემენტებს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ სხვანაირად «იჩინონ თავი», თუ არა დანაშაულობათა, ხულიგნობის, მოსყიდვის, სპეკულაციათა, ყოველგვარ უხამსობათა გამრავლების გზით. ამას რომ თავი გავართვათ, საჭიროა დრო და ს ა ჭ ი რ ო ა რ კ ი ნ ი ს ხ ე ლ ი.

ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი დიდი რევოლუცია, როდესაც ხალხს ინსტინქტურად არ ეგრძნოს ეს და არ გამოეჩინოს მხსნელი სიმტკიცე, ქურდების დახვრეტით დანაშაულის ადგილზევე. წინანდელი რევოლუციების უბედურება ის იყო, რომ მასების რევოლუციური ენთუზიაზმი, რომელიც მათს დაძაბულ მდგომარეობას ხელს უწყობდა და ძალას აძლევდა მათ რღვევის ელემენტების დაუნდობლად დათრგუნვის გამოსაყენებლად, დიდხანს არ ჰყოფნიდა. მასების რევოლუციური ენთუზიაზმის ასეთი უმტკიცობის სოციალური, ე. ი.

კლასობრივი მიზეზი იყო სისუსტე პროლეტარიატისა, რომელსაც მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ს ძალუძს (თუ იგი საკმაოდ მრავალრიცხოვანი, შეგნებული, დისციპლინირებულია) მიიზიდოს თავისკენ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა (ღარიბთა უმრავლესობა, უფრო მარტივად და პოპულარულად რომ ვთქვათ) და შეინარჩუნოს ხელისუფლება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში როგორც ყველა ექსპლოატატორის, ისე გახრწნის ყველა ელემენტის სრული დათრგუნვისათვის.

V ყველა რევოლუციის სწორედ ეს ისტორიული გამოცდილება, ეს მსოფლიო-ისტორიული — ეკონომიური და პოლიტიკური — გაკვეთილი შეაჯამა მარქსმა, მოგვცა რა მოკლე, მკვეთრი, ზუსტი, მკაფიო ფორმულა: პროლეტარიატის დიქტატურა. და რუსეთის რევოლუცია რომ სწორად მიუდგა ამ მსოფლიო-ისტორიული ამოცანის განხორციელებას, ეს დ ა ა მ ტ კ ი ც ა რუსეთის ყველა ხალხსა და ერს შორის საბჭოთა ორგანიზაციის ძლევამოსილმა მსვლელობამ. ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება სხვა არა არის რა, თუ არა ორგანიზაციული ფორმა პროლეტარიატის დიქტატურისა, იმ მოწინავე კლასის დიქტატურისა, რომელსაც ახალ დემოკრატიზმამდე, სახელმწიფოს მმართველობაში დამოუკიდებელ მონაწილეობამდე აჰყავს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ათეული და ათეული მილიონები, რომელნიც საკუთარი გამოცდილებით სწავლობენ იმას, რომ პროლეტარიატის დისციპლინირებულ და შეგნებულ ავანგარდში ხედავდნენ თავიანთ ყველაზე საიმედო ბელადს.

მაგრამ დიქტატურა დიდი სიტყვაა. ხოლო დიდ სიტყვებს ქარს ვერ გავატანთ. დიქტატურა არის რკინის ხელისუფლება, რევოლუციურ-გაბედული და სწრაფი, დაუნდობელი როგორც ექსპლოატატორების, ისე ხულიგნების დათრგუნვაში. ჩვენი ხელისუფლება კი — უზომოდ ლმობიერია, ხშირად და ბევრჯერ იგი ფაფას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე რკინას. ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სტიქია საბჭოთა ხელისუფლების

წინააღმდეგ იბრძვის ორგვარად: ერთი მხრით, მოქმედებს გარედან, სავინკოვების, გოცების, გეგეჭკორების, კორნილოვების ხერხებით, შეთქმულებებითა და აჯანყებებით, მათი ბინძური «იდეოლოგიური» ანარეკლით, სიცრუისა და ცილისწამების ნიაღვარით კადეტების, მემარჯვენე ესერებისა და მენშევიკების პრესაში; — მეორე მხრით, ეს სტიქია მოქმედებს შიგნიდან, იყენებს რა გახრწნის ყოველ ელემენტს, ყოველგვარ სისუსტეს მოსყიდვისათვის, უდისციპლინობის, თავაშვებულობის, ქაოსის გაძლიერებისათვის. რაც უფრო ვუახლოვდებით ბურჟუაზიის სრულ სამხედრო დათრგუნვას, მით უფრო საშიში ხდება ჩვენთვის წვრილბურჟუაზიული ანარქიულობის სტიქია. და ამ სტიქიასთან ბრძოლა შეუძლებელია მარტო პროპაგანდითა და აგიტაციით, მხოლოდ შეჯიბრების ორგანიზაციით, მხოლოდ ორგანიზატორთა შერჩევით, — ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ძალდატანებითაც.

იმისდა მიხედვით, რამდენადაც ხელისუფლების ძირითად ამოცანად იქცევა არა სამხედრო დათრგუნვა, არამედ მმართველობა, — დათრგუნვისა და ძალდატანების ტიპიური გამოხატულება გახდება არა ადგილზევე დახვრეტა, არამედ სასამართლო. და ამ მხრით რევოლუციური მასები, 1917 წ. 25 ოქტომბრის შემდეგ, სწორ გზას დაადგნენ და რევოლუციის ცხოველმყოფელობა დაამტკიცეს, როდესაც იწყეს თავიანთი, მუშათა და გლეხთა, სასამართლოების მოწყობა, ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული სასამართლოს აპარატის დაშლის შესახებ ჯერ კიდევ ყოველგვარი დეკრეტების გამოცემამდე. მაგრამ ჩვენი რევოლუციური და სახალხო სასამართლოები უზომოდ, გაუგონრად სუსტნი არიან. იგრძნობა, რომ ჯერ კიდევ საბოლოოდ მოსპობილი არ არის მემამულეებისა და ბურჟუაზიის უღლის დროიდან მემკვიდრეობით გადმოსული ხალხური შეხედულება სასამართლოზე, როგორც რაღაც კაზიონურ-უცხო რამეზე. არაა იმის საკმაო შეგნება, რომ სასამართლო არის სახელმწიფო მმართველობაში სწორედ ყველა ღარიბის ჩაბმის ორგანო (ვინაიდან სასამართლო საქმიანობა სახელმწიფოს მმართველობის ერთ-

ერთი ფუნქციაა), — რომ სასამართლო არის პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო, — რომ სასამართლო არის დ ი ს ც ი პ ლ ი ნ ი ს ა ღ ზ რ დ ი ს ი ა რ ა ღ ი. — არაა იმ მარტივი და ცხადი ფაქტის საკმაო შეგნება, რომ, თუ რუსეთის მთავარ უბედურებებს წარმოადგენს შიმშილობა და უმუშევრობა, ამ უბედურებათა დამარცხება არავითარი ალტყინებით არ შეიძლება, თუ არა მხოლოდ ყოველმხრივი, ყოვლისმომცველი, საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციითა და დისციპლინით, რათა გავაძლიეროთ პურის წარმოება ადამიანთათვის და პურის (სათბობის) წარმოება მრეწველობისათვის, დროულად მოვიტანოთ და სწორად გავანაწილოთ იგი; — რომ ამიტომ შიმშილობითა და უმუშევრობით გამოწვეულ ტანჯვაში დ ა მ ნ ა შ ა ვ ე ა ყ ვ ე ლ ა, ვინც არღვევს შრომის დისციპლინას რომელიმე ქარხანაში, რომელიმე მეურნეობაში, რაიმე საქმეში, — რომ საჭიროა უნარი გვქონდეს ვიპოვოთ ამაში დამნაშავენი, სასამართლოს გადავცეთ და ულმობლად დავსაჯოთ ისინი. წვრილბურჟუაზიული სტიქია, რომელთანაც ჩვენ ახლა უაღრესად შეუპოვარი ბრძოლის წარმოება მოგველის, სწორედ იმაში იჩენს თავს, რომ სუსტია შეგნება შიმშილობის და უმუშევრობის სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური კავშირისა ყველას და თვითეულის თავაშვებულობასთან ორგანიზაციის და დისციპლინის საქმეში, — რომ მტკიცედ ფეხმოკიდებულია წ ვ რ ი ლ მ ე ს ა კ უ თ რ უ ლ ი შეხედულება: ოღონდ მე რაც შეიძლება მეტი წავგლიჯო, და თუნდ ქვა ქვაზედაც დადუღებულაო.

რკინიგზის საქმეში, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველაზე თვალსაჩინოდ ასახიერებს მსხვილი კაპიტალიზმის მიერ შექმნილი ორგანიზმის სამეურნეო კავშირს, თავაშვებულობის წვრილბურჟუაზიული სტიქიის ეს ბრძოლა პროლეტარულ ორგანიზებულობასთან ვანსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს. «მმართველობის» ელემენტი მეტად უხვად იძლევა მესაბოტაჟეებს, მექრთამეებს; პროლეტარული ელემენტის საუკეთესო ნაწილი იბრძვის დისციპლინისათვის;

მაგრამ როგორც პირველ, ისე მეორე ელემენტშიც, რა თქმა უნდა, ბევრია მერყეევი, «სუსტი», ისეთი, რომელსაც უნარი არა აქვს წინააღუდგეს სპეკულაციის, ქრთამის, პირადი გამორჩენის «ცდუნებას», რაც მთელი იმ აპარატის გაფუჭების ფასად ჯდება, რომლის წესიერ მუშაობაზეა დამოკიდებული შიმშილობასა და უმუშევრობაზე გამარჯვება.

დამახასიათებელია ის ბრძოლა, რომელიც ამ ნიადაგზე ჩაღდებოდა რკინიგზების მმართველობის თაობაზე გამოცემული უკანასკნელი დეკრეტის გარშემო, დეკრეტისა ცალკეულ ხელმძღვანელთათვის დიქტატორულ რწმუნებათა (ანუ «განუსაზღვრელ» რწმუნებათა) მინიჭების შესახებ[86]. წვრილბურჟუაზიული თავაშვებულობის შეგნებულ (უფრო მეტწილად კი, ალბათ, შეუგნებელ) წარმომადგენლებს სურდათ ცალკე პირებისათვის «განუსაზღვრელ» (ე. ი. დიქტატორულ) რწმუნებათა მინიჭებაში დაენახათ კოლეგიალობის საწყისიდან, დემოკრატიზმიდან და საბჭოთა ხელისუფლების პრინციპებიდან უკანდახევა. დიქტატორობის შესახებ მიღებული დეკრეტის წინააღმდეგ მემარცხენე ესერებს შორის აქა-იქ წარმოებდა პირდაპირ ხულიგნური, ე. ი. ისეთი აგიტაცია, რომელსაც მიზნად ჰქონდა მდაბალი ინსტინქტებისა და «წაგლეჯის» წვრილმესაკუთრული მისწრაფების გაღვიძება. წამოიჭრა მართლაც უდიდესი მნიშვნელობის საკითხი: ჯერ-ერთი, პრინციპული საკითხი, — შესაძლებელია თუ არა საერთოდ დიქტატორების განუსაზღვრელი რწმუნებებით აღჭურვილ ცალკეულ პირთა დანიშვნა საბჭოთა ხელისუფლების ძირითად საწყისებთან; მეორე, როგორ დამოკიდებულებაშია ეს შემთხვევა — ეს პრეცედენტი, თუ გნებავთ — ხელისუფლების განსაკუთრებული ამოცანების მიმართ ახლანდელ კონკრეტულ მომენტში. როგორც პირველ, ისე მეორე საკითხზე საჭიროა დიდი ყურადღებით შევჩერდეთ.

რევოლუციურ მოძრაობათა ისტორიაში ცალკეულ პირთა დიქტატურა რომ ძალიან ხშირად რევოლუციური კლასების დიქტატურის გამომხატველი, მატარებელი და გამტა-

რებელი იყო, ამას ისტორიის უდავო გამოცდილება გვიდასტურებს. ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს ცალკეულ პირთა დიქტატურა უეჭველად უთავსდებოდა. მაგრამ ამ პუნქტში საბჭოთა ხელისუფლების ბურჟუაზიული მაძაგებელნი, აგრეთვე მათი წვრილბურჟუაზიული დამქაშები, ყოველთვის თაღლითობას იჩენენ: ისინი, ერთი მხრით, საბჭოთა ხელისუფლებას აცხადებენ პირდაპირ რაღაც შეუსაბამო, ანარქიულ, ველურ რამედ, გულმოდგინედ გვერდს უხვევენ რა ყოველგვარ ჩვენს ისტორიულ პარალელსა და თეორიულ საბუთებს იმის შესახებ, რომ საბჭოები დემოკრატიზმის უმაღლესი ფორმაა, უფრო მეტიც: დემოკრატიზმის ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ფორმის დასაწყისია; მეორე მხრით კი, ისინი ჩვენგან მოითხოვენ ბურჟუაზიულზე უფრო მაღალ დემოკრატიზმს და გვეუბნებიან: თქვენს, ბოლშევიკურ (ე. ი. არა ბურჟუაზიულ, ა რ ა მ ე დ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ), საბჭოთა დემოკრატიზმთან პირადი დიქტატურა აბსოლუტურად შეუთავსებელიაო.

ასეთი მსჯელობა არაფრად ვარგა. თუ ჩვენ ანარქისტები არა ვართ, ჩვენ უნდა მივიღოთ სახელმწიფოს, ე ს ე ი გ ი ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ი ს აუცილებლობა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისათვის. ძალდატანების ფორმას განსაზღვრავს არსებული რევოლუციური კლასის განვითარების დონე, შემდეგ — ისეთი განსაკუთრებული გარემოებანი, როგორიცაა, მაგალითად, ხანგრძლივი და რეაქციული ომის მემკვიდრეობა, შემდეგ — ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგობის ფორმები. ამიტომ სრულიად არავითარი პრინციპული წინააღმდეგობა **არაა** საბჭოთა (ე. ი. სოციალისტურ) დემოკრატიზმსა და ცალკეულ პირთა დიქტატორული ხელისუფლების გამოყენებას შორის. პროლეტარული დიქტატურის განსხვავება ბურჟუაზიულისაგან იმაში მდგომარეობს, რომ პირველი თავის დარტყმებს მიმართავს ექსპლოატატორული უმცირესობის წინააღმდეგ, ექსპლოატირებული უმრავლესობის ინტერესებისათვის; შემდეგ იმაში, რომ პირველს ახორციელებენ — **და ცალკე პირთა საშუალებით** —

არა მარტო მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასები, არამედ აგრეთვე ისეთი ორგანიზაციებიც, რომელნიც ისე არიან აგებულნი, რომ სწორედ ეს მასები გამოაღვიძონ, ფეხზე დააყენონ ისტორიული შემოქმედებისათვის (საბჭოთა ორგანიზაციები ამგვარ ორგანიზაციებს ეკუთვნიან).

მეორე საკითხზე, მოცემული მომენტის სპეციფიკური ამოცანების თვალსაზრისით სწორედ ერთპიროვნული დიქტატორული ხელისუფლების მნიშვნელობის შესახებ, უნდა ითქვას, რომ ყოველი მსხვილი მანქანური ინდუსტრია — ე. ი. სოციალიზმის სწორედ მატერიალური, საწარმოო წყარო და საძირკველი — მოითხოვს ასობით, ათასობით და ათიათასობით ადამიანთა შეერთებული მუშაობის წარმმართველი ნებისყოფის უეჭველსა და უსასტიკეს ერთიანობას. ტექნიკურადაც, ეკონომიურადაც, ისტორიულადაც ეს აუცილებლობა აშკარაა, ყველა, ვისაც კი სოციალიზმზე უფიქრია, ყოველთვის აღიარებდა მას, როგორც სოციალიზმის პირობას. მაგრამ როგორ შეიძლება ნებისყოფის უსასტიკესი ერთიანობის უზრუნველყოფა? — ათასთა ნებისყოფის დამორჩილებით ერთის ნებისყოფისადმი.

ეს დამორჩილება, თუ საერთო მუშაობის მონაწილენი იდეალურად შეგნებულნი და დისციპლინირებულნი იქნებიან, შეიძლება უფრო დირიჟორის რბილ ხელმძღვანელობას მოგაგონებდეთ. მას შეუძლია დიქტატორობის მკაცრი ფორმები მიიღოს, — თუ იდეალური დისციპლინა და შეგნებულობა არ არსებობს. მაგრამ, ასეა თუ ისე, მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ტიპის მიხედვით მოწყობილი მუშაობის პროცესთა წარმატებისათვის ერთიანი ნებისყოფისადმი სიტყვაშეუბრუნებელი დამორჩილება უეჭველად აუცილებელია. ეს ორჯერ და სამჯერ უფრო აუცილებელია რკინიგზებისათვის. და აი ეს გადასვლა ერთი პოლიტიკური ამოცანიდან მეორე ამოცანაზე, რომელიც გარეგნულად სრულიად არა ჰგავს მას, დღევანდელი მომენტის მთელ ორიგინალობას შეადგენს. რევოლუციამ

ეს-ეს არის დაამსხვრია ყველაზე ძველი, ყველაზე მაგარი, ყველაზე მძიმე ბორკილები, რომელთაც მასები ჯოხის შიშით ემორჩილებოდნენ. ეს იყო გუშინ. დღეს კი იგივე რევოლუცია, და სწორედ მისი განვითარებისა და განმტკიცების ინტერესებისათვის, სწორედ სოციალიზმის ინტერესებისათვის, მოითხოვს მასების სიტყვაშეუბრუნებელ დამორჩილებას შრომითი პროცესის ხელმძღვანელთა ერთიანი ნებისყოფისადმი. გასაგებია, რომ ასეთი გადასვლა ერთბაშად წარმოუდგენელია. გასაგებია, რომ მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ უდიდეს ბიძგთა, შერყევათა, ძველისადმი დაბრუნებათა, ახლისაკენ ხალხის წამყვანი პროლეტარული ავანგარდის ენერგიის უდიდესი დაძაბვის ფასად. ამას არ უფიქრდებიან ისინი, ვინც «ნოვაია ჟიზნის» ან «ვპერიოდის»[87], «დელო ნაროდას» ან «ნაშ ვეკის»[88] ობივატელურ ისტერიკაში ვარდება.

აიღეთ მშრომელი და ექსპლოატირებული მასის საშუალო, რიგითი წარმომადგენლის ფსიქოლოგია, შეადარეთ ეს ფსიქოლოგია მისი საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ, მატერიალურ პირობებს. ოქტომბრის რევოლუციამდე მას ჯერ კიდევ არ უნახავს საქმით, რომ შეძლებულ, ექსპლოატატორულ კლასებს მათთვის ნამდვილად სერიოზული რამ ნამდვილად გაეწიროთ მისი გულისათვის, დაეთმოთ რაიმე მის სასარგებლოდ. მას ჯერ არ უნახავს, რომ მისთვის მიეცეთ მრავალჯერ დანაპირები მიწა და თავისუფლება, მიეცეთ ზავი, დაეთმოთ რამე «დიდმპყრობელობისა» და დიდმპყრობელური საიდუმლო ხელშეკრულებების ინტერესებიდან, დაეთმოთ რამე კაპიტალიდან და მოგებიდან. მან ეს დაინახა მხოლოდ 1917 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც ეს მან თვითონ მოიპოვა ძალით და ძალითვე უნდა დაეცვა მონაპოვარი კერენსკებისა, გოცებისა, გეგეჭკორებისა, დუტოვებისა, კორნილოვებისაგან. გასაგებია, რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში მთელი მისი ყურადღება, მთელი მისი ფიქრები, მთელი მისი სულიერი ძალები მიმართულია მხოლოდ იმისაკენ, რომ ამოისუნთქოს,

წელში გასწორდეს, გაიშალოს, ხელში აიღოს ცხოვრების უახლოესი სიკეთენი, რომელთა აღება შესაძლებელია და რომელთაც მას არ აძლევდნენ დამხობილი ექსპლოატატორები. გასაგებია, რომ საჭიროა განსაზღვრული დრო, რათა მასის რიგითმა წარმომადგენელმა არა მარტო თვითონ დაინახოს, არა მარტო დარწმუნდეს, არამედ იგრძნოს კიდევაც, რომ ასე უბრალოდ «აღება», ჩაჯიბვა, წაგლეჯა არ შეიძლება, რომ ამას მივყავართ გაპარტახების გაძლიერებისაკენ, დაღუპვისაკენ, კორნილოვების დაბრუნებისაკენ. რიგითი მშრომელი მასის ცხოვრების პირობებში (და, მაშასადამე, ფსიქოლოგიაშიც) სათანადო გარდატეხა ეს-ეს არის იწყება. და მთელი ჩვენი ამოცანა, ამოცანა კომუნისტების (ბოლშევიკების) პარტიისა, რომელიც შეგნებული გამომხატველია ექსპლოატირებულთა მისწრაფებისა განთავისუფლებისადმი, — ის არის, რომ შევიგნოთ ეს გარდატეხა, გავიგოთ მისი აუცილებლობა, სათავეში ჩავუდგეთ მასას, რომელიც ღონემიხდილია და დაქანცული ეძებს გამოსავალს, წავიყვანოთ იგი სწორი გზით, შრომითი დისციპლინის გზით, ისეთი გზით, რომ მუშაობის პირობების შესახებ მიტინგობიას ამოცანები შევათანხმოთ მუშაობის დროს საბჭოთა ხელმძღვანელის, დიქტატორის, ნებისყოფისადმი სიტყვაშეუბრუნებელი დამორჩილების ამოცანებთან.

«მიტინგობიას» დასცინიან, ხოლო უფრო ხშირად მის შესახებ ბოროტად სისინებენ ბურჟუები, მენშევიკები, ნოვოჟიზნელები, რომელნიც მხოლოდ ქაოსს, უთავბოლობას, წვრილმესაკუთრული ეგოიზმის გამოვლინებებს ხედავენ. მაგრამ მიტინგობიას გარეშე ჩაგრულთა მასა ვერასოდეს ვერ შესძლებდა გადასვლას ექსპლოატატორების მიერ იძულებით შემოღებული დისციპლინიდან შეგნებულსა და ნებაყოფლობითს დისციპლინაზე. მიტინგობია — სწორედ ეს არის მშრომელთა ნამდვილი დემოკრატიზმი, მათი წელში გასწორება, მათი გამოღვიძება ახალი ცხოვრებისათვის, მათი პირველი ნაბიჯები იმ ასპარეზზე, რომელიც მათ თვითონვე

გაწმინდეს ქვეწარმავალთაგან (ექსპლოატატორებისა, იმპერიალისტებისა, მემამულეებისა, კაპიტალისტებისაგან) და რომლის მოწყობაც თვითონ მათვე უნდათ ისწავლონ — მოწყობა თავისებურად, თავისთვის, თავისი, ს ა ბ ჭ ო თ ა, და არა უცხო, არა ბატონური, არა ბურჟუაზიული ხელისუფლების საფუძვლებზე. საჭირო იყო მშრომელთა სწორედ ოქტომბრის გამარჯვება ექსპლოატატორებზე, საჭირო იყო თვითონ მშრომელთა მიერ ცხოვრების ახალი პირობებისა და ახალი ამოცანების თავდაპირველი განხილვის მთელი ისტორიული ხანა იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მტკიცე გადასვლა შრომის დისციპლინის უმაღლეს ფორმებზე, პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობის იდეის შეგნებულ შეთვისებაზე, მუშაობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთპიროვნული განკარგულებებისადმი სიტყვაშეუბრუნებელ დამორჩილებაზე.

ეს გადასვლა ახლა დაიწყო.

ჩვენ წარმატებით გადავწყვიტეთ რევოლუციის პირველი ამოცანა, ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ გამოიმუშავეს თავისთავში მშრომელთა მასებმა მისი წარმატების ძირითადი პირობა: ძალ-ღონის გაერთიანება ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, მათ დასამხობად. ისეთ ეტაპებს, როგორიც იყო 1905 წ. ოქტომბერი, 1917 წ. თებერვალი და ოქტომბერი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

ჩვენ წარმატებით გადავწყვიტეთ რევოლუციის მეორე ამოცანა: სწორედ იმ საზოგადოებრივი «ქვედაფენების» გაღვიძების და ფეხზე დაყენებისა, რომლებსაც ექსპლოატატორებმა ძირს გადაუძახეს და რომელთაც მხოლოდ 1917 წ. 25 ოქტომბრის შემდეგ მიეცათ მთელი თავისუფლება დაემხოთ ისინი და დაეწყოთ აქეთ-იქით მიმოხედვა და თავისებურად მოწყობა. მშრომელთა სწორედ ყველაზე მეტად ჩაგრული და დაბეჩავებული, ყველაზე ნაკლებად მომზადებული მასის მიტინგობია, მისი გადასვლა ბოლშევიკების მხარეზე, მის მიერ ყველგან და ყველაფერში თავისი საბჭოთა ორგანიზაციის გატარება, — აი რევოლუციის მეორე დიადი ეტაპი.

იწყება მესამე ეტაპი. უნდა განვამტკიცოთ ის, რაც ჩვენ თვითონ ბრძოლით დავიპყარით, რაც ჩვენ თვითონ დეკრეტით გამოვაცხადეთ, დავაკანონეთ, განვიხილეთ, დავსახეთ, — განვამტკიცოთ ყოველდღიური შრომითი დისციპლინის ძტკიცე ფორმებში. ეს ყველაზე ძნელი, მაგრამ ამავე დროს ყველაზე მადლიანი ამოცანაა, ვინაიდან მხოლოდ მისი გადაწყვეტა მოგვცემს ჩვენ სოციალისტურ წყობილებას. უნდა ვისწავლოთ მშრომელთა მასების ქარიშხლიანი, გაზაფხულის ნიაღვარივით მოვარდნილი, ყოველგვარ კალაპოტს გადაცილებული, მიტინგური დემოკრატიზმის შეერთება რკინის დისციპლინასთან შრომის დროს, ერთი პირის, საბჭოთა ხელმძღვანელის ნებისყოფისადმი სიტყვაშეუბრუნებელ დამორჩილებასთან შრომის დროს.

ჩვენ ეს ჯერ კიდევ არ გვისწავლია.

ჩვენ ამას ვისწავლით.

ბურჟუაზიული ექსპლოატაციის რესტავრაცია გვემუქრებოდა ჩვენ გუშინ კორნილოვების, გოცების, დუტოვების, გეგეჭკორების, ბოგაევსკების სახით. ჩვენ დავამარცხეთ ისინი. ეს რესტავრაცია, სწორედ იგივე რესტავრაცია გვემუქრება დღეს სხვა ფორმით, წვრილბურჟუაზიული თავაშვებულობისა და ანარქიზმის სტიქიის, წვრილმესაკუთრული: «სხვისა მე რა მეკითხება»-ს სახით, პროლეტარული დისციპლინიანობის წინააღმდეგ ამ სტიქიის ყოველდღიური, წვრილმანი, მაგრამ სამაგიეროდ მრავალრიცხოვანი შემოტევისა და თავდასხმის სახით. წვრილბურჟუაზიული ანარქიის ეს სტიქია უნდა დავამარცხოთ, და ჩვენ მას დავამარცხებთ.

საბჭოთა ორგანიზაციის განვითარება

სოციალისტური ხასიათი საბჭოთა, — ესე იგი პროლეტარული, დემოკრატიზმისა მის კონკრეტულ, ახლანდელ, გამოყენებაში, — მდგომარეობს, ჯერ-ერთი, იმაში, რომ ამომრჩევლები არიან მშრომელი და ექსპლოატირებული მასები, რომ ბურჟუაზია გამორიცხულია; მეორე, იმაში,

რომ არჩევნების ყოველგვარი ბიუროკრატიული ფორმალობა და შეზღუდვანი უკუგდებულია, მასები თვითონვე განსაზღვრავენ არჩევნების წესსა და ვადებს, ისე რომ სრული თავისუფლება აქვთ უკანვე გაიწვიონ არჩეულნი; მეორე, იმაში, რომ იქმნება მშრომელთა ავანგარდის, მსხვილი სამრეწველო პროლეტარიატის საუკეთესო მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას აძლევს მას უხელმძღვანელოს ექსპლოატირებულთა ყველაზე ფართო მასებს, ჩააბას ისინი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებაში, აღზარდოს ისინი პოლიტიკურად მათივე საკუთარ გამოცდილებაზე, რომ ამნაირად პირველად იდგმება ნაბიჯი იმისათვის, რათა მოსახლეობა მართლაც გ ა მ ო უ კ ლ ე ბ ლ ი ვ სწავლობდეს მმართველობას და იწყებდეს მმართველობას.

ასეთია მთავარი განმასხვავებელი ნიშნები იმ დემოკრატიზმისა, რომელმაც გამოყენება ჰპოვა რუსეთში და რომელიც არის დემოკრატიზმის უფრო მაღალი ტ ი პ ი, კავშირის გაწყვეტა მის ბურჟუაზიულ დამახინჯებასთან, გადასვლა სოციალისტურ დემოკრატიზმზე და იმ პირობებზე, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან დაიწყოს სახელმწიფოს კვდომა.

რასაკვირველია, წვრილბურჟუაზიული დეზორგანიზებულობის სტიქიამ (რომელიც ყოველი პროლეტარული რევოლუციის დროს ამა თუ იმ ზომით ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ თავს იჩენს, ხოლო ჩვენს რევოლუციაში, ჩვენი ქვეყნის წვრილბურჟუაზიული ხასიათის, მისი ჩამორჩენილობისა და რეაქციული ომის შედეგთა გამო, განსაკუთრებით ძლიერად იჩენს თავს) არ შეიძლება თავისი დაღი არ დაასვას საბჭოებსაც.

საბჭოებისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის განვითარებისათვის შეუსუსტებელი მუშაობა გვიხდება. არსებობს წვრილბურჟუაზიული ტენდენცია, რომ საბჭოების წევრები გადაქცეულ იქნან «პარლამენტარიებად» ან, მეორე მხრით, ბიუროკრატებად. ამას უნდა ვებრძოლოთ საბჭოების ყ ვ ე ლ ა წ ე ვ რ ი ს მოზიდვით მმართველობაში

პრაქტიკული მონაწილეობისათვის. საბჭოების განყოფილებანი მრავალ ადგილას იქცევიან ისეთ ორგანოებად, რომლებიც თანდათან უერთდებიან კომისარიატებს. ჩვენი მიზანია ყ ა რ ი ბ თ ა უ კ ლ ე ბ ლ ი ვ მოზიდვა მმართველობაში პრაქტიკული მონაწილეობისათვის, და ამის განსახორციელებლად გადადგმული ყოველგვარი ნაბიჯი — რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება, მით უკეთესი, — გულმოდგინედ უნდა აღვნუსხოთ, შევისწავლოთ, მოვახდინოთ მათი სისტემატიზაცია, შევამოწმოთ უფრო ფართო გამოცდილების მიხედვით, დავაკანონოთ. ჩვენი მიზანია, რომ თ ვ ი თ ე უ ლ მ ა მშრომელმა, როდესაც საწარმოო მუშაობის 8-საათიან «განაკვეთს» მოათავებს, უ ფ ა ს ო დ შეასრულოს სახელმწიფოებრივი მოვალეობანი: ამაზე გადასვლა განსაკუთრებით ძნელია, მაგრამ მხოლოდ ამ გადასვლაშია სოციალიზმის საბოლოო განმტკიცების საწინდარი. ცვლილების სიახლე და სიძნელე, ბუნებრივია, იწვევს მრავალ, ასე ვთქვათ, ხელისცეცებით გადადგმულ ნაბიჯს, მრავალ შეცდომას, მერყეობას, — უამისოდ ყოვლად შეუძლებელია რაიმე მკვეთრი წინსვლა. დღევანდელი მდგომარეობის მთელი ორიგინალობა, მრავალი იმათგანის თვალსაზრისით, რომელთაც სურთ სოციალისტებად ითვლებოდნენ, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები მიეჩვევნენ სოციალიზმისადმი კაპიტალიზმის აბსტრაქტულად დაპირისპირებას, ხოლო ერთსა და მეორეს შორის ღრმააზროვნულად სვამდნენ სიტყვას: «ნახტომი» (ზოგიერთები, იხსენებდნენ რა ენგელსიდან ამოკითხულის ნაწყვეტებს, კიდევ უფრო ღრმაააზროვნულად უმატებდნენ: «ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში» [89]). იმას, რომ სოციალიზმის მასწავლებლები «ნახტომს» უწოდებდნენ გარდატეხას მსოფლიო ისტორიის მობრუნებათა თვალსაზრისით, და რომ ამგვარი ნახტომები შეიცავენ 10, ხანდახან კი მეტი წლის პერიოდებს, ამას უუნარობის გამო ვერ უფიქრდება უმრავლესობა ეგრეთწოდებული სოციალისტებისა, რომელთაც სოციალიზმის შესახებ «ამოუკითხავთ წიგნში», მაგრამ არასოდეს საქმეს

სერიოზულად არ ჩაკვირვებიან. ბუნებრივია, რომ ყბადაღებული «ინტელიგენცია» ასეთ დროში მიცვალებულთა უსაზღვროდ მრავალ მოტირალს იძლევა: ერთი დამფუძნებელ კრებას დასტირის, მეორე — ბურჟუაზიულ დისციპლინას, მესამე — კაპიტალისტურ წესრიგს, მეოთხე — კულტურისან მემამულეს, მეხუთე — იმპერიალისტურ დიდმპყრობელობას და სხვა ამნაირსა და ამისთანას.

დიდი ნახტომების ეპოქის ნამდვილი ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ ძველის იმ ნამსხვრევთა სიმრავლე, რომელნიც ხანდახან უფრო სწრაფად გროვდებიან, ვიდრე ახლის ჩანასახთა რაოდენობაა (რომლებიც ყოველთვის ერთბაშად როდი ჩანან), მოითხოვს განვითარების ხაზიდან ანუ ჯაჭვიდან ყველაზე არსებითის გამოყოფის უნარს. არის ისტორიული მომენტები, როდესაც რევოლუციის წარმატებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მეტი ნამსხვრევების დაგროვება, ე. ი. რაც შეიძლება მეტი ძველი დაწესებულების აფეთქება; არის მომენტები, როდესაც უკვე საკმაოდ არის აფეთქებული, და დღის წესრიგში დგება ნამსხვრევებისაგან ნიადაგის გაწმენდის «პროზაული» (წვრილბურჟუაზიული რევოლუციონერისათვის «მოსაბეზრებელი») მუშაობა; არის მომენტები, როდესაც ნამსხვრევების ქვეშ, ღორღისაგან ჯერ კიდევ ცუდად გაწმენდილ ნიადაგზე მზარდ ახალის ჩანასახთა გულმოდგინე მოვლა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია.

არ კმარა რევოლუციონერი და სოციალიზმის მომხრე ან საერთოდ კომუნისტი იყო. საჭიროა გქონდეს უნარი — ყოველ განსაკუთრებულ მომენტში მონახო ჯაჭვის ის განსაკუთრებული რგოლი, რომელსაც მთელი ძალ-ღონით უნდა ჩაეჭიდო, რათა შეინარჩუნო მთელი ჯაჭვი და მტკიცედ მოამზადო შემდგომ რგოლზე გადასვლა; ამასთან მოვლენათა ისტორიულ ჯაჭვში რგოლთა რიგი, მათი ფორმა, მათი გადაბმულობა, მათი განსხვავება ერთიმეორისაგან ისე მარტივი და სულელური როდია, როგორც ჩვეულებრივ, მჭედლის მიერ გაკეთებულ ჯაჭვში.

საბჭოთა ორგანიზაციის ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან ბრძოლას უზრუნველყოფს საბჭოების მტკიცე კავშირი «ხალხთან», მშრომელთა და ექსპლოატირებულთა აზრით, ამ კავშირის მოქნილობა და ელასტიურობა. ბურჟუაზიულ პარლამენტებს დემოკრატიზმის მხრივ მსოფლიოში საუკეთესო კაპიტალისტურ რესპუბლიკაშიც კი ღარიბები არასოდეს არ თვლიან «თავიანთ» დაწესებულებად. ხოლო საბჭოები მუშათა და გლეხთა მასისათვის «თავიანთი» რამაა და არა უცხო. შეიდემანის ანუ, რაც თითქმის ერთი და იგივეა, მარტოვის ჯურის თანამედროვე «სოციალ-დემოკრატებს» საბჭოები ისევე არ ეჭაშნიკებათ, მათ ისევე მიუწევთ გული კეთილსახოვანი ბურჟუაზიული პარლამენტისა ან დამფუძნებელი კრებისაკენ, როგორადაც ტურგენევს 60 წლის წინათ გული მიუწევდა ზომიერი მონარქიული და აზნაურული კონსტიტუციისაკენ, როგორადაც მას არ ეჭაშნიკებოდა დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის გლეხური დემოკრატიზმი.

სწორედ მშრომელი «ხალხისადმი» საბჭოების სიახლოვე ქმნის გაწვევისა და ქვემოდან სხვა კონტროლის განსაკუთრებულ ფორმებს, რომლებიც ახლა განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა განვავითაროთ. მაგალითად, სახალხო განათლების საბჭოები, როგორც საბჭოთა ამომრჩევლებისა და მათი დელეგატების პერიოდული კონფერენციები ამ დარგში საბჭოთა ხელისუფალთა მოღვაწეობის განსახილველად და საკონტროლოდ, სრული თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ღირსია. იმაზე დიდი სიბრიყვე არა არის რა, როგორც საბჭოების გადაქცევა გაყინულ და თვითკმარ რამედ. რაც უფრო გადაჭრით უნდა ვემხრობოდეთ ახლა ულმობლად მტკიცე ხელისუფლებას, ცალკე პირთა დიქტატურას **მუშაობის განსაზღვრული პროცესებისათვის, წმინდა აღმასრულებელი** ფუნქციების განსაზღვრულ მომენტებში, მით უფრო მრავალფეროვანი უნდა იყოს ქვემოდან კონტროლის ფორმები და ხერხები, რათა საკვლევით მოვსპოთ საბჭოთა ხელისუფლების დამახინჯების შესაძლებლობის

ყოველგვარი ნასახი, რათა ხელახლა და განუწყვეტლივ ვგლიჯოთ ბიუროკრატიზმის სარეველა ბალახი.

დასკვნა

არაჩვეულებრივად მძიმე, ძნელი და საშიში მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობის მხრივ; მიხვევ-მოხვევისა და უკანდახევის აუცილებლობა; რევოლუციის ახალ აფეთქებათა მოლოდინის პერიოდი, რევოლუციისა, რომელიც დასავლეთში საშინლად დიდხანს მწიფდება; ჩვენი ქვეყნის შიგნით ნელი მშენებლობისა და დაუზოგველი «წელში სწორების», წვრილბურჟუაზიული თავაშვებულობისა და ანარქიულობის მრისხანე სტიქიასთან პროლეტარული მკაცრი დისციპლინირებულობის ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის პერიოდი, — ასეთია, მოკლედ, განმასხვავებელი ნიშნები სოციალისტური რევოლუციის იმ განსაკუთრებული ხანისა, რომელსაც ჩვენ განვიცდით. ასეთია მოვლენათა ისტორიული ჯაჭვის ის რგოლი, რომელსაც იძულებული ვართ ამჟამად მთელი ძალ-ღონით ჩავეჭიდოთ, რათა ამოცანის სიმაღლეზე აღმოვჩნდეთ იმ შემდგომ რგოლზე გადასვლამდე, რომელიც გვიზიდავს განსაკუთრებული ბრწყინვალებით, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებათა ბრწყინვალებით.

ერთი სინჯეთ და «რევოლუციონერის» ჩვეულებრივ, მოარულ ცნებას დაუპირისპირეთ ლოზუნგები, რომლებიც დღევანდელი ხანის თავისებურებათაგან გამომდინარეობენ: მიხვევ-მოხვევა, უკანდახევა, მოლოდინი, ნელა შენება, დაუზოგველი წელში სწორება, მკაცრი დისციპლინირება, თავაშვებულობის განადგურება... განა საკვირველია, რომ ზოგიერთ «რევოლუციონერს», როდესაც მათ ასეთი 'რამ ესმით, კეთილშობილური აღშფოთება იპყრობს, და ისინი იწყებენ ჩვენს «განადგურებას» ოქტომბრის რევოლუციის ტრადიციათა დავიწყებისათვის, ბურჟუაზიულ სპეციალისტებთან შემთანხმებლობისათვის, ბურჟუაზიასთან კომპრო-

მისებისათვის, წვრილბურჟუაზიულობისათვის, რეფორმიზმისა და სხვა ასეთების გულისათვის?

ამ ვაი-რევოლუციონერთა უბედურება ის არის, რომ მათ შორის იმათაც კი, ვინც ქვეყნად არსებული საუკეთესო სურვილებით ხელმძღვანელობს და სოციალიზმის საქმისადმი უეჭველი თავდადებით განირჩევა, აკლიათ შეგნება იმ განსაკუთრებული და განსაკუთრებით «უსიამოვნო» მდგომარეობისა, რომელიც აუცილებლად უნდა გაევლო ჩამორჩენილს, რეაქციული და უბედური ომისაგან განაწამებ ქვეყანას, რომელმაც სოციალისტური რევოლუცია დაიწყო უფრო მოწინავე ქვეყნებზე ბევრად უფრო ადრე; — მათ აკლიათ სიმტკიცე ძნელი გადასვლის მძიმე წუთებში. ბუნებრივია, რომ ამ ნაირი ხასიათის «ოფიციალურ» ოპოზიციას ჩვენს პარტიას უწევს «მემარცხენე ესერების» პარტია. ჯგუფობრივი და კლასობრივი ტიპებიდან პიროვნული გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არის და ყოველთვის იქნება. მაგრამ სოციალური ტიპები რჩებიან. იმნაირ ქვეყანაში, სადაც წმინდა პროლეტარულ მოსახლეობას ფრიად და ფრიად სჭარბობს წვრილმესაკუთრული მოსახლეობა, აუცილებლად თავს იჩენს — და დროგამოშვებით ძალიან მკვეთრადაც იჩენს თავს — განსხვავება პროლეტარულ და წვრილბურჟუაზიულ რევოლუციონერს შორის. ეს უკანასკნელი მოვლენათა ყოველი შეტრიალების დროს მერყეობს და ქანაობს, 1917 წლის მარტის თავგამოდებული რევოლუციონერობიდან გადადის «კოალიციის» ხოტბაზე მაისში, ბოლშევიკებისადმი სიძულვილზე (ან მათი «ავანტიურიზმის» შესახებ მოთქმაზე) ივლისში, მათგან შეშინებულად ჩამოშორებაზე ოქტომბრის დამლევს, მათთვის მხარისდაჭერაზე დეკემბერში, — ბოლოს, 1918 წლის მარტსა და აპრილში ასეთი ტიპები ყველაზე უფრო ხშირად ცხვირაწევით და ქედმაღლურად აცხადებენ: «მე იმათგანი როდი ვარ, ვინც ქებათა-ქებას ასხამს «ორგანულ» მუშაობას, პრაქტიციზმსა და თანდათანობითობას».

ასეთი ტიპების სოციალური წყარო — ეს არის წვრილი მეპატრონე, რომელიც გაცოფებულია ომის საშინელებათაგან, უეცარი გაპარტახებისაგან, შიმშილობითა და ნგრევით გამოწვეულ გაუგონარ ტანჯვათაგან, რომელიც ისტერიულად აქეთ-იქით აწყდება, ეძებს რა გამოსავალსა და ხსნას, ქანაობს რა, ერთი მხრით, პროლეტარიატისადმი ნდობასა და მხარისდაჭერასა, ხოლო, მეორე მხრით, სასოწარკვეთილების შეტევას შორის. უნდა ცხადად შევიგნოთ და მტკიცედ შევითვისოთ, რომ ასეთ სოციალურ ბაზაზე არავითარი სოციალიზმის აშენება არ შეიძლება. მშრომელი და ექპლოატირებული მასების ხელმძღვანელობა მხოლოდ იმ კლასს შეუძლია, რომელიც შეურყევლად მიდის თავისი გზით, სულიერად არ ეცემა და სასოწარკვეთილებაში არ ვარდება ყველაზე ძნელი, მძიმე და საშიში გადასვლების დროს. ჩვენ ისტერიული აღტყინება არ გვესაჭიროება. ჩვენ გვესაჭიროება პროლეტარიატის რკინის ბატალიონთა მტკიცე ნაბიჯით სვლა.

სრულიად რუსეთის ცაკის სხდომა [90]

1918 წ. 29 აპრილს

იბეჭდება
წიგნის ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
სტენოგრამასთან და ბროშურის:
ნ. ლენინი (ვ. ი. ულიანოვი).
«ძველი სტატიები უფრო ახალ
თემებზე», მოსკოვი, 1922, — ტექსტთან

პირველად დაიბეჭდა 1920 წ. წიგნში:
«სრულიად რუსეთის მე-4 მოწვევის
ცაკის სხდომათა ოქმები. სტენო-
გრაფიული ანგარიში». მოსკოვი

1

მოხსენება საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ

ამხანაგებო! მოხსენების მიმართ მე მიხდება დღეს საკითხი ცოტა უჩვეულოდ დავაყენო. საქმე ისაა, რომ ნამდვილ მოხსენებას წარმოადგენს ჩემი სტატია საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ *, რომელიც კვირას ორ გაზეთში გამოქვეყნდა, და რომელსაც, ნებას ვაძლევ ჩემ თავს ვიფიქრო, უნდა იცნობდეს დამსწრეთა უმრავლესობა.

ამიტომ მე მგონია, ამჟამად საჭირო არაა გავიმეორო აქ ის, რაც ნათქვამია მოხსენებაში, და შეიძლება დავკმაყოფილდე მხოლოდ დამატებებითა და განმარტებებით მოხსენებისადმი. მე ვფიქრობ, რომ ახლა ასეთ განმარტებათა ყველაზე შესაფერი ფორმა იქნება პოლემიკა, იმიტომ რომ საკითხი, რომელსაც შევეხე ამ თეზისებში მორიგი ამოცანების შესახებ, — წარმოადგენს მხოლოდ იმ რეზოლუციის განვითარებას, რომელიც მიიღო უკვე სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობამ მოსკოვში 15 მარტს **, — რეზოლუციისა, რომელიც არ დაკმაყოფილდა მაშინ საჭირბოროტო ზავის საკითხით და აღნიშნა აგრეთვე მიმდინარე მომენტის მთავარი ამოცანა, ორგანიზაციული ამოცანა, თვითდისციპლინის ამოცანა, დეზორგანიზაციასთან ბრძოლის ამოცანა.

და აი ამ ნიადაგზე, როგორც მე მგონია, საკმაოდ ნათლად გამოისახა უკანასკნელ ხანებში ჩვენი პოლიტიკური მიმდინარეობანი ან ჩვენს პოლიტიკურ მიმდინარეობათა მთავარი

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 275 — 329. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 228 — 230. რ ე დ.

ნაკადები; ამიტომ, ვფიქრობ, პოლემიკური ფორმით შეიძლება ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ დავადასტურო ის, რაც ვცადე დადებითი ფორმით გამომესახა სტატიაში მორიგი ამოცანების შესახებ.

ამხანაგებო! თუ თქვენ შეხედავთ თანამედროვე რუსეთის პოლიტიკურ მიმდინარეობებს, თქვენს წინაშე უწინარეს ყოვლისა დადგება ამოცანა, — და აქაც, როგორც ყოველთვის, რომ არ შესცდეთ შეფასებაში, — შეეცადოთ შეხედოთ ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობას ერთად აღებულთ, ვინაიდან მხოლოდ ასე, მხოლოდ ამ პირობით შეგვიძლია ჩვენ თავიდან ავიცილოთ შეცდომები ცალკეული მაგალითების მოყვანის დროს. გასაგებია, რომ მაგალითები რამდენიც გნებავთ იმდენი შეიძლება მოინახოს ყოველგვარი დებულების დასადასტურებლად. მაგრამ საქმე ამაში არაა. მხოლოდ იმ პირობით შეგვიძლია ვცადოთ მივიდეთ იქამდე, რომ გამოვარკვიოთ კავშირი პოლიტიკურ მიმდინარეობათა ბედს შორის ჩვენს ქვეყანაში, ავიღებთ რა ამ მიმდინარეობებს მთლიანად, და იმ კლასობრივ ინტერესთა ბედს შორის, რომელნიც ყოველთვის იჩენენ თავს დიდ, სერიოზულ და მსხვილ პოლიტიკურ მიმდინარეობებში, თუ ჩვენ განვიხილავთ ამ მიმდინარეობებს მთლიანად, მთელი მათი ერთობლიობით.

და აი, როცა გადავავლებთ თვალს დიდ პოლიტიკურ მიმდინარეობებს რუსეთში, მე ვფიქრობ, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ისინი აშკარად და უდავოდ იყოფიან სამ დიდ ჯგუფად. პირველში ჩვენ ვხედავთ მთელ ბურჟუაზიას, შეკავშირებულს მთლიანად და მტკიცედ, როგორც ერთი ადამიანი, ყველაზე გაბედული, შეიძლება ითქვას, მოუსვენარი, «ოპოზიციის» ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაკვირველია, ოპოზიციისა ბრჭყალებში, იმიტომ რომ ნამდვილად აქ ჩვენ ვხედავთ გაცოფებულ ბრძოლას, რომელმაც ამჟამად ბურჟუაზიის მხარეზე გადაიბირა ყველა ის წვრილბურჟუაზიული პარტია, რომლებიც ეთანხმებოდნენ კერენსკის რევოლუციის მიმდინარეობაში; ესენია — მენშევიკები, ნოვოჟიზნელები და მემარჯვენე ესერები, რომლებმაც ბურჟუაზია-

საც კი გადააჭარბეს ჩვენზე თავდასხმების მძვინვარებით, ვინაიდან ცნობილია, რომ ძალიან ხშირად თავდასხმების მძვინვარება და ყეფის ხმა უკუპროპორციულია იმ პოლიტიკური ელემენტის ძალისადმი, რომლისგანაც მოდის ეს გამძვინვარებული თავდასხმები. (ტ ა შ ი).

მთელი ბურჟუაზია და ყველა მათი დამქაში და ყველა მათი მსახური, ჩერნოვის და წერეთლის ტიპისა, ყველა ისინი შეთანხმებული იყვნენ ერთმანეთთან გააფთრებულ თავდასხმებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ყველა ისინი ნაღვლობენ იმ სასიამოვნო პერსპექტივაზე, რომელსაც ატარებდნენ ცხოვრებაში მათი მეგობრები, მათი პოლიტიკური თანამოაზრენი უკრაინაში, — შეჰკრან ისეთი ზავი, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ გერმანული ხიშტისა და საკუთარი ბურჟუაზიის დახმარებით ჩაეხშოთ ბოლშევიკების გავლენა. ეს ძალიან კარგადაა ცნობილი. ამგვარივე მეგობრების მშვენიერ მაგალითს ვხედავთ ჩვენ ჩხენკელის სახით კავკასიაში. ეს ყველას და თვითეულს ახსოვს გაზეთებიდან.

გასაგებია, რომ პროლეტარიატს, რომელმაც აიღო ძალაუფლება და დაიწყო მშრომელთა დიქტატურის, უღარიბესთა დიქტატურის გატარება ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, მას, რა თქმა უნდა, არც შეეძლო სხვა რამეს შეხვედროდა.

ერთი მხრით, ჩვენ გვაქვს ერთი ფრთა, ერთი ფრონტი, ერთიანობით გამსჭვალული. თუ ჩვენ ხანდახან გვთავაზობენ ოცნებობას ერთიან დემოკრატიულ ფრონტზე, მე, ყოველ შემთხვევაში, იმ იშვიათ წუთებში, როცა ხელში ვიღებ ხოლმე ბურჟუაზიულ გაზეთებს, იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა სიამოვნებას განიცდი ისეთი გაზეთების კითხვით, როგორიცაა «ნაშ ვეკ», «დელო ნაროდა» და სხვ., ყველა ამ გაზეთის თუნდაც გადათვალიერებით, მე ყოველთვის ვფიქრობ, რაღა გინდათ კიდევ დემოკრატიული ფრონტის ერთიანობისათვის?

დემოკრატიული ფრონტის მთელი ეს ერთიანობა მათ აქვთ ყველაზე სრულად, და ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გავიხაროთ ამ ერთიანობით, ვინაიდან, რამდენადაც ამ ბურჟუაზიული პუბლიცისტიკის ნამცეცები წილად ხვდებათ მასებს, ეს

დემოკრატიული ფრონტის ერთიანობა კი არაა, არამედ ბოლშევიკებზე თავდასხმების ერთიანობაა. და ფრონტის ეს ერთიანობა, მილიუკოვიდან მარტოვამდე, იმის ღირსია, რომ ჩვენ მას საპირველმაისოდ მივუძღვნათ ქების ფურცელი ბოლშევიკთა სასარგებლოდ მშვენიერი პროპაგანდისათვის.

ამხანაგებო! თუ თქვენ აიღებთ მეორე მოპირდაპირე ბანაკს, ამ ბანაკში ახლა დაინახავთ მხოლოდ ჩვენს პარტიას, კომუნისტ-ბოლშევიკების პარტიას. გარემოება ისე მოეწყო, რომ ჩვენი მოკავშირენი ოქტომბრისშემდგომი პერიოდის მეტი ნაწილის განმავლობაში — მემარცხენე ესერები ამჟამად ჩამოშორდნენ ხელისუფლებაში ფორმალურ მონაწილეობას. მათმა უკანასკნელმა ყრილობამ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოამჟღავნა უკიდურესი მერყეობა ამ პარტიაში, და ეს ახლა უფრო თვალსაჩინოდ გამოაშკარავდა, ვიდრე როდისმე, თუმცა პრესაშიც ეს პარტია გამოხატავს აგრეთვე სრულ დაბნეულობას და სრულ მერყეობას.

რომ გინდოდეთ მრუდის შედგენა, რომელიც აჩვენებს, რომ ეს პარტია 1917 წ. თებერვლიდან, — რა თქმა უნდა, ვიდრე ესერები გაითიშებოდნენ მემარცხენე და მემარჯვენე ფრთად, — რომ გინდოდეთ მრუდის შედგენა, რომელიც გიჩვენებთ, თვითი-თვეობით, ვის მხარეზე დგებოდა ეს პარტია, პროლეტარიატის მხარეზე თუ ბურჟუაზიის მხარეზე, წლის განმავლობაში რომ ეს მრუდი გაატაროთ, მიიღებდით მრუდს, საავადმყოფო ფურცლის სახით, რომლის დახედვაზე ყოველი ადამიანი იტყოდა: აქ საკვირველი, საოცრად მაგარი ციებ-ცხელებაა!

მართლაც, ისეთი მუდმივი და განუწყვეტელი მერყეობა, როგორიც ამ პარტიამ განიცადა, არა მგონია რომელიმე სხვა პარტიას განეცადოს რევოლუციის ისტორიაში.

და აი, თუ ყველა ამ სამ ძირითად მიმდინარეობას ავიღებთ და შევხედავთ მათ, ჩვენთვის ნათელი შეიქნება, რომ ასეთი დაჯგუფება შემთხვევითი არაა, რომ ის საესებით ადასტურებს იმას, რაც ჩვენ, ბოლშევიკებს, გვიხდებოდა აღგვენიშნა 1915 წელს ჯერ ისევ საზღვარგარეთიდან, როცა პირველი ცნობები

მოგვდიოდა იმის შესახებ, რომ რუსეთში რევოლუცია ახლოვდება, რომ ის აუცილებელია, — და როცა ჩვენ გვიხდებოდა პასუხის გაცემა კითხვებზე — რა მდგომარეობაში აღმოჩნდება პარტია, თუ ჯერ კიდევ ომის დროს მოაქცევენ მას ხელისუფლების სათავეში მოვლენები, და, როგორც მაშინ გვიხდებოდა ლაპარაკი: შესაძლოა, რევოლუციამ მოიპოვოს გადამწყვეტი გამარჯვება, ეს შესაძლებელია კლასობრივი თვალსაზრისით, თუ გადამწყვეტ წუთებში, გადამწყვეტ პუნქტებში წვრილი ბურჟუაზიის ხელმძღვანელი ელემენტები გადმოიხრებიან პროლეტარიატის მხარეზე *; სწორედ სიტყვასიტყვით ასეც გამოვიდა, ასე მიდიოდა და მიდის ახლა რუსეთის რევოლუციის ისტორია. რა თქმა უნდა, წვრილბურჟუაზიული ელემენტების ამ მერყეობიდან ჩვენ სრულებით არავითარი საფუძველი არ შეგვიძლია მივიღოთ პესიმიზმისათვის, სასოწარკვეთილებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, — და გასაგებია, რომ რევოლუცია იმ ქვეყანაში, რომელიც სხვა ქვეყნებზე ადრე შეტრიალდა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, რევოლუცია ჩამორჩენილ ქვეყანაში, რომელიც მოვლენებმა მნიშვნელოვან ნაწილად, ამ ქვეყნის ჩამორჩენილობის მეოხებით, დააყენეს, რა თქმა უნდა, მოკლე ხნით და, რა თქმა უნდა, კერძო საკითხებში, დანარჩენი, უფრო დაწინაურებული ქვეყნების წინ, — რასაკვირველია, ეს რევოლუცია აუცილებლად განწირულია იმისათვის, რომ მან განიცადოს ყველაზე ძნელი, ყველაზე მძიმე და უახლოეს მომავალში ყველაზე არასასიხარულო მომენტები, — რომ ასეთ მომენტებში ის შეინარჩუნებს თავის ფრონტს და თავის ხელისშემწყობთ, რომ ის გაძლებს მერყეევთა დაუხმარებლად — ეს სრულიად ბუნების საწინააღმდეგო იქნებოდა; ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ სრულიად არ გაგვეწია ანგარიში გადატრიალების კლასობრივი ხასიათისათვის, პარტიებისა და პოლიტიკურ დაჯგუფებათა ბუნებისათვის.

და აი, თუ ახლა შევხედავთ პოლიტიკურ მიმდინარეობათა ჯამს რუსეთში მომენტის ამოცანების თვალსაზრისით, იმის

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 493 — 494. რ ე დ.

თვალსაზრისით, თუ როგორ ისმება ჩვენს წინაშე ახლანდელი მორიგი და უპირველესი ამოცანები, ორგანიზაციის, დისციპლინის ამოცანები, აღრიცხვისა და კონტროლის ამოცანები, აქ ჩვენ დავინახავთ, რომ ოდნავადაც არ ცდილობენ არსებითად შეაფასონ ეს ამოცანა იმ ბანაკში, რომელიც აერთიანებს ერთიან დემოკრატიულ ფრონტს მილიუკოვიდან მარტოვამდე. არ ცდილობენ და არც შეიძლება ცდილობდნენ იმიტომ, რომ იქ არის მარტო ერთი გაბოროტებული სურვილი, — და რაც უფრო გაბოროტებულია, მით უფრო საპატიოა ჩვენთვის, — მონახონ რაიმე შესაძლებლობა, ან ნიშნები, ან ოცნება საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად — და მეტი არაფერი. და აი მემარცხენე ესერების პარტიის ასეთმა წარმომადგენლებმა ყველაზე მეტად გამოხატეს, მიუხედავად რევოლუციისადმი უდიდესი ერთგულებისა, რაც გამოიჩინეს ამ პარტიის მთელმა რიგმა წევრებმა, რომლებიც ყოველთვის ძალიან დიდ ინიციატივასა და ენერგიას იჩენდნენ,— მათ გამო

მეურნეობის მოწყობის საქმეში. აქ წვრილბურჟუაზიული სტიქია — წვრილი მესაკუთრეებისა და თავაშვებული ეგოიზმის სტიქია — პროლეტარიატის სასტიკ მტრად გამოდის.

და ამ მრუდში, რომელიც წვრილმა ბურჟუაზიამ მოხაზა რევოლუციის ყველა მოვლენის განმავლობაში, ჩვენ ვხედავთ მის ყველაზე მკვეთრ ჩამოშორებას ჩვენგან; ბუნებრივია, რომ აქ, ამ ბანაკში ჩვენ გვყავს მთავარი ოპოზიცია მომენტის მორიგი და მიმდინარე ამოცანებისადმი სიტყვის უფრო ზუსტი აზრით; აქაა ოპოზიცია იმ ადამიანებისა, რომელნიც უარს არ ამბობენ ჩვენთან პრინციპულ თანხმობაზე, რომელნიც მხარს გვიჭერენ ჩვენ უფრო არსებით საკითხებში, ვიდრე ის საკითხებია, რომლებშიაც გვაკრიტიკებენ, — ოპოზიცია, მხარდაჭერასთან შეერთებული.

ჩვენ არ გაგვიკვირდება, თუ მემარცხენე-ესერული პრესის ფურცლებზე ვხვდებით ისეთ განცხადებებს, როგორსაც მე შევხვდი 25 აპრილის «ზნამია ტრუდაში» [91]. აი რას წერენ მასში: «მემარჯვენე ბოლშევიკები — რატიფიკატორები არიანო» (საშინლად შეურაცხმყოფელი მეტსახელია). რა იქნება, რომ ამ მეომრებს საწინააღმდეგო მეტსახელი ვუწოდოთ? იგი ნაკლებ საშინელ შთაბეჭდილებას შექმნის? ჰო-და, აი, თუ ვხვდებით ასეთ მიმდინარეობათ ბოლშევიზმში, ეს რაღაცას გვეუბნება. მე სწორედ 25 აპრილს დავხედე თეზისებს ერთ გაზეთში, რომელმაც პოლიტიკური დახასიათება მოგვცა. როცა წავიკითხე ეს თეზისი, გავიფიქრე: ხომ არავინ არის აქ მემარცხენე კომუნისტთა გაზეთ «კომუნისტიდან» ან მათი ჟურნალიდან, — ისე ბევრია აქ მსგავსება; მაგრამ მე იმედი გამიცრუვდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ეს ისუვის თეზისია, გაზეთ «ვპერიოდში» დაბეჭდილი. (ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი).

აი, ამხანაგებო, როცა ჩვენ ვუკვირდებით იმგვარ პოლიტიკურ მოვლენებს, როგორიც არის «ზნამია ტრუდას» სოლიდარობა ბოლშევიზმის განსაკუთრებულ მიმდინარეობასთან, ან თვით იმ პარტიის ამა თუ იმ ფორმულირებულ მენშევიკურ თეზისებთან, რომელიც კერენსკისთან ბლოკის პოლიტიკას ეწეოდა, თვით იმ პარტიისა, რომელშიაც წერეთელი ბურჟუაზიასთან

შეთანხმებას ახორციელებდა, როცა ჩვენ ვხვდებით თავდასხმებს, რომლებიც ზუსტად ემთხვევა იმას, რაც მემარცხენე კომუნისტთა ჯგუფის მხრიდან და ახალი ჟურნალიდან გვესმის, — აქ რაღაც სხვანაირადაა საქმე. აქ არის რაღაც ისეთი, რაც შუქსა ჰფენს ამ თავდასხმათა ნამდვილ მნიშვნელობას, ხოლო ამ თავდასხმებს ღირს ყურადღება მიექცეს უკვე იმიტომ, რომ აქ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს შევაფასოთ საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ამოცანები იმ ადამიანებთან დავაში, რომლებთანაც დავა საინტერესოა იმიტომ, რომ ჩვენ აქ გვაქვს აგრეთვე მარქსისტული თეორია, მხედველობაში ვღებულობთ რევოლუციის მოვლენათა მნიშვნელობას და ჰეშმარიტების მიღწევის უეჭველ სურვილს. აქ დავისთვის ძირითად ნიადაგს არსებითად იძლევა სოციალიზმისადმი ერთგულება და უდავო გადაწყვეტილება — დადგე პროლეტარიატის მხარეზე, ბურჟუაზიის საწინააღმდეგოდ, როგორ შეცდომებსაც უნდა სჩადიოდეს ამასთან, ამა თუ იმ პირთა, ჯგუფთა თუ მიმდინარეობათა აზრით, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლი პროლეტარიატი.

თუ მე ვამბობ, რომ საინტერესოა დავა მათთან, რა თქმა უნდა, მათთან საინტერესო დავად მესმის არა პოლემიკა, არამედ ის, რომ ეს საკითხი ეხება ისეთ დავას, რომელიც თანამედროვეობის ყველაზე არსებითი, ძირითადი საკითხია. შემთხვევითი არაა ის, რომ სწორედ ამ ხაზით წარმოებს დავა. ამ ხაზით გადის ამჟამად ობიექტურად ძირითადი ამოცანა, — ამოცანა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისა, რომელიც გვიკარნახა რუსეთის ახლანდელმა პირობებმა და რომელიც ყოველნაირად უნდა ტარდებოდეს მიუხედავად უაღრესად სხვადასხვაგვარ წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობათა მთელი სიმრავლისა, მიუხედავად მთელი იმ აუცილებლობისა პროლეტარიატისათვის, რომ მან უთხრას თავისთავს: ამ პუნქტში მას არავითარი დათმობა არ შეუძლია, ვინაიდან სოციალისტური რევოლუცია, რომელიც დაიწყო იმით, რომ პროლეტარიატმა ძალაუფლება წაართვა ბურჟუაზიას, და გრძელდება იმით, რომ მან ბურჟუაზიის ყოველგვარი წინააღმდეგობა

გასტეხა, ვინაიდან მან მშრომელთა დისციპლინის, ორგანიზაციის, ხელმძღვანელობის საკითხები სასტიკი საქმიანობით და მსხვილი მრეწველობის ინტერესების ცოდნით უნდა გადაწყვიტოს პრაქტიკულად, ვინაიდან, თუ ასე არ მოიქცა — ის დამარცხდება. — აქ არის სოციალისტური რევოლუციის მთავარი, ნამდვილი სიძნელე, — სწორედ ამიტომ ასე საინტერესო, ასე მნიშვნელოვანია, სიტყვის ისტორიული და პოლიტიკური აზრით, მემარცხენე კომუნისტთა ჯგუფის წარმომადგენლებთან კამათი, მიუხედავად იმისა, რომ, როცა ვიღებთ და ვიხილავთ მათ დებულებას და თეორიას, ვიმეორებ, — და ახლავე დავამტკიცებ ამას, — სრულიად ვერაფერს ვერ ვნახულობთ მასში, გარდა იმავე წვრილბურჟუაზიული მერყეობისა. ამხანაგები მემარცხენე კომუნისტთა ჯგუფიდან, როგორადაც უნდა უწოდებდნენ თავს ისინი, უწინარეს ყოვლისა თავიანთ თეზისებს ურტყამენ. მე ვგულისხმობ, რომ აქ შეკრებილთა უდიდესი უმრავლესობაც იცნობს მათ შეხედულებებს, იმიტომ რომ ბოლშევიკურ წრეებში ჩვენ მათ არსებითად ვიხილავდით, მარტის დამდეგიდან დაწყებული, ხოლო იმათ, ვისაც არ აინტერესებდა დიდი პოლიტიკური ლიტერატურა, არ შეეძლოთ არ სცოდნოდათ ამ შეხედულებათა შესახებ, არ განეხილათ ისინი იმ კამათთან დაკავშირებით, რომელიც სრულიად რუსეთის საბჭოების უკანასკნელ ყრილობაზე გაჩაღდა.

და აი ჩვენ ვხედავთ, უწინარეს ყოვლისა, მათ თეზისებში სწორედ იმას, რასაც ვხედავთ ახლა ესერების მთელ პარტიაში, სწორედ იმას, რასაც ვხედავთ ახლა მემარჯვენე ბანაკშიც და ბურჟუაზიის ბანაკშიც მილიუკოვიდან მარტოვამდე, რომელთაც განსაკუთრებით ემძიმებათ მდგომარეობის ეს ახლანდელი სიძნელენი რუსეთისათვის, მისი დიდმპყრობელობის დაკარგვის თვალსაზრისით, ძველი ერიდან, მჩაგვრელი სახელმწიფოდან ჩაგრულ ქვეყნად მისი გადაქცევის თვალსაზრისით, იმ თვალსაზრისით, სადაც გვიხდება უკვე არა ქაღალდზე, არამედ საქმით გადავწყვიტოთ ის საკითხი, ღირს თუ არა სოციალიზმის გზის სიმძიმე, დაწყებული სოციალისტური

რევოლუციის სიმძიმე იმად, რომ ქვეყანამ გადაიტანოს თვით ყველაზე უმძიმესი მდგომარეობაც კი მისი სახელმწიფოებრიობის აზრით, მისი ნაციონალური დამოუკიდებლობის აზრით.

აქ ყველაზე ღრმაა დაყოფა იმათ შორის, ვისთვისაც ის სახელმწიფოებრივი თვითმყოფობა და დამოუკიდებლობა, რომელიც მთელი ბურჟუაზიისათვის შეადგენს იდეალს და ზღვარს, მის წმიდათაწმიდას, — ზღვარს, მას ხომ ვერ გადახვალ, — და რომლის ხელყოფა სოციალიზმის უარყოფაა, — და იმათ შორის, ვინც ლაპარაკობს, რომ სოციალისტური რევოლუცია მსოფლიოს დაყოფისათვის იმპერიალისტთა გააფთრებული ხოცვა-ჟლეტის ეპოქაში არ შეიძლება ასცდეს იმას, რომ უმძიმესი დამარცხებანი არ ხვდეს წილად მრავალ ერს, რომელნიც წინათ მჩაგვრელებად ითვლებოდნენ. და რომ, რაც უნდა მძიმე იქნეს ეს კაცობრიობისათვის, ყველა ასეთ განსაცდელზე სოციალისტები, შეგნებული სოციალისტები წავლენ.

ამ ნიადაგზე, რომელიც ყველაზე უფრო მიუღებელია, ამ ნიადაგზე ყველაზე უფრო მერყეობდნენ მემარცხენე ესერები, და სწორედ ამ ნიადაგზე ვხედავთ ჩვენ ყველაზე მეტ მერყეობას მემარცხენე კომუნისტებში.

ახლა თავიანთ თეზისებში, რომელთაც ისინი, როგორც ვიცით, 4 აპრილს ჩვენთან ერთად იხილავდნენ[92], და 20 აპრილს გამოაქვეყნეს, ისინი აქამდე მუდამ უბრუნდებიან ზავის საკითხს.

ყველაზე დიდ ყურადღებას ისინი აქცევენ ზავის საკითხის შეფასებას და ამნაირად ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ზავი დაღლილი და დეკლასირებული მასის ფსიქოლოგიის გამოვლინებაა.

რამდენად სასაცილოა მათი მოსაზრებები, როცა მათ მოჰყავთ თავიანთი ციფრები, რომ 12 წინააღმდეგი და 28 მომხრე იყო ზავის დადებისაო[93]. მაგრამ თუ ვაგროვებთ ციფრებს, თუ ვიგონებთ თვენახევრის წინ მომხდარ კენჭისყრას, განა საჭირო არ არის ავიღოთ ციფრები უფრო ახლო დროის შესახებ. თუ ამ კენჭისყრას პოლიტიკურ მნიშვნელობას მივცემთ, არ უნდა გავიხსენოთ განა სრულიად უკრაინის საბჭოების

ყრილობის[94] კენჭისყრა, სანამ დავიწყებდეთ ლაპარაკს, რომ ჯანსაღი სამხრეთი ზავის წინააღმდეგი იყო, ხოლო აი მოქანცული, დეკლასირებული, მრეწველობის მხრივ დასუსტებული ჩრდილოეთი თითქოსდა ზავის მომხრე იყო. არ უნდა გავიხსენოთ განა კენჭისყრა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის ფრაქციის უმრავლესობისა, სადაც მეათედი ნაწილიც არ აღმოჩნდა ზავის წინააღმდეგი. თუ გავიხსენებთ ციფრებს და მივცემთ მათ პოლიტიკურ მნიშვნელობას, საჭიროა მთლიანად ავიღოთ პოლიტიკური კენჭისყრა, და მაშინ ერთბაშად დაინახავთ, რომ პარტიები, რომელთაც განსაზღვრული ლოზუნგები დაუზეპირებიათ, რომელთაც ამ ლოზუნგებიდან თავიანთი ფეტიში შეუქმნიათ, წვრილი ბურჟუაზიის მხარეზე აღმოჩნდნენ, ხოლო მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასა, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მასა არ უარყოფდა ზავს.

და ახლა, როცა ზავის ამ პოზიციის კრიტიკასთან ერთად გვეუბნებიან, თითქოს ეს გაეტარებინოთ დაღლილ დეკლასირებულ მასებს, როცა ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ სწორედ დეკლასირებული ინტელიგენცია იყო ზავის წინააღმდეგი, როცა ჩვენ გვაწვდიან მოვლენათა შეფასებას, რომელსაც მე გაზეთებში ვკითხულობ, — ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ ზავის დადების საკითხში ჩვენი პარტიის უმრავლესობა აბსოლუტურად მართალი იყო, რომ, როცა ჩვენ გვეუბნებოდნენ, ჩიტი ბდღვნად არ ღირს, ჩვენს წინააღმდეგ უკვე შეერთდა ყველა იმპერიალისტი, ისინი სულერთია გაგვგუდავენ, სამარცხვინოდ გაგვხდიანო და სხვ., — ჩვენ მაინც დავდევით ზავი. იგი არა მარტო სამარცხვინოდ ეჩვენებოდათ მათ, იგი ყოვლად უვარგისად ეჩვენებათ. ჩვენ გვეუბნებოდნენ, შესვენებას თქვენ ვერ მიიღებთო. და როცა ჩვენ ვუპასუხებდით: შეუძლებელია ვიცოდეთ, როგორ ჩამოყალიბდება საერთაშორისო ურთიერთობა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იმპერიალისტური მტრები ერთმანეთში ჩხუბობენ, მოვლენებმა ეს დაადასტურეს, და ეს აღიარა მემარცხენე კომუნისტების ჯგუფმა, ჩვენმა იდეურმა და პრინციპულმა მოწინააღმდეგეებმა, რომელნიც საერთოდ და მთლიანად კომუნიზმის თვალსაზრისზე დგანან.

ეს ერთი ფრაზა სრული აღიარებაა ჩვენი ტაქტიკის სისწორისა, და სრული გაკიცხვაა იმ მერყეობისა ზავის საკითხში, რომელმაც ყველაზე მეტად ჩამოაშორა ჩვენგან ჩვენი მომხრეების ცნობილი ფრთა, როგორც მთელი ის ფრთა, რომელიც დაჯგუფებულია მემარცხენე ესერების პარტიაში, ისე ის ფრთა, რომელიც ჩვენს პარტიაში იყო, არის და, ნამდვილად შეიძლება ითქვას, მასთან დარჩება, და რომელიც თავისი მერყეობით განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ამჟღავნებს ამ მერყეობის წყაროს. დიახ, ის ზავი, რომელთანაც ჩვენ მივედით, უაღრესად არამტკიცეა, ის შესვენება, რომელიც ჩვენ მივიღეთ, შეიძლება ყოველდღე ჩაიშალოს დასავლეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც, — ამაში ეჭვი არაა; ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა ისეთი კრიზისულია, რომ ჩვენ მთელი ძალღონე უნდა დავძაბოთ, რათა რაც შეიძლება უფრო დიდხანს გავძლოთ, სანამ მწიფდება დასავლეთის რევოლუცია, რომელიც მწიფდება გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ ამას მოველოდით და გვსურდა, მაგრამ უეჭველად მწიფდება; ის, უეჭველად, სულ უფრო და უფრო მეტ საწვავ მასალას იკრებს და ედება.

თუ ჩვენ, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ცალკეული რაზმი, პირველნი დავწინაურდით, არა იმიტომ, რომ ეს რაზმი უფრო ძლიერ ორგანიზებულია. არა, ის უფრო ცუდად, უფრო სუსტად, უფრო ნაკლებადაა ორგანიზებული, ვიდრე სხვები, მაგრამ უდიდესი შეუსაბამობა და პედანტიზმი იქნებოდა გვემსჯელა, როგორც მრავალნი: ჰო, საქმე რომ დაეწყო ყველაზე ორგანიზებულ რაზმს, ხოლო მას მიჰყოლოდა ნაკლებ ორგანიზებული, შემდეგ კი — მესამეხარისხოვნად ორგანიზებული, მაშინ ჩვენ ყველანი ხალისით ვიქნებოდით სოციალისტური რევოლუციის დამხმარენი. მაგრამ რაკი წიგნის მიხედვით არ გამოვიდა, რაკი ისე მოხდა, რომ მოწინავე რაზმს მხარს არ უჭერდნენ სხვა რაზმები, ამიტომ ჩვენი რევოლუცია განწირულია დასაღუპავადო. ჩვენ კი ვამბობთ: არა, ჩვენი ამოცანაა საყოველთაო ორგანიზაციის სახეცვალება; ჩვენი

ამოცანა, რამდენადაც ჩვენ მარტონი ვართ, ისაა, რომ შევინარჩუნოთ რევოლუცია, შევუნარჩუნოთ მას სოციალიზმის თუნდაც ერთგვარი სიმტკიცე, რა სუსტი და ზომიერი სიდიდისაც უნდა იყოს იგი, ვიდრე მწიფდება რევოლუცია სხვა ქვეყნებში, ვიდრე მოვიდოდნენ სხვა რაზმები. მაგრამ ისტორიისაგან იმის მოლოდინი, რომ იგი დასძრავს სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტურ რაზმებს მკაცრი თანდათანობით და გეგმაშეწონილობით, იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენა არა გქონდეს რევოლუციაზე, ანდა, საკუთარი სისუსტის გამო, უარყოფდე სოციალისტური რევოლუციისათვის მხარისდაჭერას.

იმ მომენტში, როცა ჩვენ გამოვირკვიეთ და დავამტკიცეთ, რომ მაგარი პოზიცია გვიჭირავს რუსეთში და ძალა არა გვაქვს საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, — ჩვენი ამოცანა ერთია, ჩვენი ტაქტიკა განისაზღვრება როგორც მიხვევ-მოხვევის, ლოდინისა და უკანდახევის ტაქტიკა. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ამ სიტყვებს არ შეუძლიათ პოპულარობა დაიჩემონ, რომ თუ მათ სათანადოდ შევატრიალებთ და დავუკავშირებთ სიტყვა «კოალიციას», აქ მეტად ფართო გზა ეხსნება პიკანტურ შეპირისპირებებს, ყოველგვარ საყვედურს და ყოველნაირ გაქირდვას; მაგრამ რამდენიც უნდა დაუშინონ ამას თავისი გონებამახვილობის ისრები და თავისი წვრილბურჟუაზიული მერყეობის რა დამამტკიცებელი საბუთებიც უნდა მოიყვანონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა — ბურჟუებმა — მარჯვნიდან და ჩვენმა გუშინდელმა მეგობრებმა მარცხნიდან, მემარცხენე ესერებმა, და ჩვენმა, — დარწმუნებული ვარ, გუშინდელმა, დღევანდელმა და ხვალინდელმა მეგობრებმა, — მემარცხენე კომუნისტებმა, — ამ ფაქტების უარყოფა მათ არ შეუძლიათ. მოვლენებმა ჩვენი აზრი დაადასტურა, შესვენება ჩვენ მხოლოდ იმიტომ მივიღეთ, რომ დასავლეთში იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტა გრძელდება, ხოლო შორეულ აღმოსავლეთში იმპერიალისტური შეჯიბრება სულ უფრო ფართოდ ჩაღდება, — მხოლოდ ამით აიხსნება საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა, ჯერჯერობით ყველაზე

სუსტი თოკით, რომლისთვისაც ამ პოლიტიკურ მომენტში ჩაკიდებული გვაქვს ხელი. რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დაგვიცავს ქაღალდი, საზავო ხელშეკრულება, ვერც ის გარემოება, რომ იაპონიასთან ომი არა გვსურს; მართალია, რომ ის ძარცვავს, არ ერიდება რა არავითარ ხელშეკრულებას და ფორმალობას; — ჩვენ, რა თქმა უნდა, ქაღალდის ხელშეკრულება ან «საზავო მდგომარეობა» ვერ დაგვიცავს, — ჩვენ დაგვიცავს იმპერიალისტებს შორის შეტაკება, რომელიც გრძელდება, და ჩვენი გამძლეობა, თუ ჩვენ შევძლებთ საერთაშორისო რევოლუციის თვალსაზრისით, თუ ჩვენ არ დაგვიწყნია ძირითადი მარქსისტული გაკვეთილი, რომელიც ასე თვალსაჩინოდ დაადასტურა რუსეთის რევოლუციამ: უნდა ვივარაუდოთ ძალები ათეულ მილიონობით; ნაკლები პოლიტიკაში არ ითვლება, ნაკლებს პოლიტიკა უკუაგდებს, როგორც ისეთ ოდენობას, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; თუ ამ მხრივ შევხედავთ საერთაშორისო რევოლუციას, — საქმე ცხადზე უცხადესია: ჩამორჩენილ ქვეყანას შეუძლია ადვილად დაიწყოს, იმიტომ რომ მისი მოწინააღმდეგე დამპალია, იმიტომ რომ მისი ბურჟუაზია არაორგანიზებულია, მაგრამ იმისათვის, რომ განაგრძოს, მას ესაჭიროება ასიათასჯერ უფრო მეტი წინდახედულება, სიფრთხილე და სიმტკიცე. დასავლეთ ევროპაში ეს სხვანაირად იქნება, იქ შეუდარებლად უფრო ძნელია დაწყება, იქ შეუდარებლად უფრო ადვილია შემდგომ წინსვლა. ეს არც შეიძლება სხვანაირად, იმიტომ რომ იქ პროლეტარიატის ორგანიზებულობა და დარაზმულობა განუზომლად უფრო დიდია. ხოლო ვიდრე ჩვენ მარტონი ვართ, ვითვალისწინებთ რა ძალებს, უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს: ჩვენ ერთადერთი შანსი გვაქვს, ვიდრე არ უფეთქნია ევროპის რევოლუციას, რომელიც გვიხსნის ყველა სიძნელისაგან, ერთი შანსი გვაქვს — განგრძობა საერთაშორისო გიგანტ-იმპერიალისტთა ბრძოლისა; ეს შანსი ჩვენ სწორად გავითვალისწინეთ, ეს შანსი ჩვენ შევინარჩუნეთ რამდენიმე კვირით, მაგრამ ის შეიძლება გასკდეს ხვალ. აქედან დასკვნა: ჩვენს საგარეო პოლიტიკაში განვაგრძოთ ის, რაც დავიწყეთ მარტიდან, რაც

გამოთქმულია სიტყვებით: მიხვევ-მოხვევა, უკანდახევა, მოლოდინი. როცა ამ მემარცხენე «კომუნისტში» გვხვდება სიტყვები «აქტიური საგარეო პოლიტიკა», როცა გამოთქმას — სოციალისტური სამშობლოს დაცვა — სვამენ ბრჭყალებში, რომლებიც ირონიული უნდა იყოს, მაშინ მე ვეუბნები ჩემს თავს: ამ ადამიანებმა სრულიად ვერაფერი გაიგეს დასავლეთის პროლეტარიატის მდგომარეობაში. თუ ისინი თავისთავს მემარცხენე კომუნისტებს უწოდებენ, ისინი უხვევენ იმ წვრილი მერყევი ბურჟუაზიის თვალსაზრისზე, რომელიც რევოლუციაში თავისებური წესიერების უზრუნველყოფას ხედავს. საერთაშორისო თანაფარდობანი ცხადზე უცხადესად მეტყველებენ: ის რუსი, რომელიც რუსული ძალების მიხედვით განიზრახავდა საერთაშორისო იმპერიალიზმის დამხობის ამოცანის წამოყენებას, ჭკუაზე შეშლილი კაცი იქნებოდა. ხოლო სანამ იქ, დასავლეთში, რევოლუცია მწიფდება, თუმცა იგი ახლა გუშინდელზე უფრო ჩქარა მწიფდება, ჩვენი ამოცანა მხოლოდ ასეთია: ჩვენ, იმ რაზმმა, რომელიც წინ აღმოჩნდა, მიუხედავად ჩვენი სისუსტისა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ყოველგვარი შანსი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გავმაგრდეთ დაპყრობილ პოზიციებზე. ყველა დანარჩენი მოსაზრება უნდა დაემორჩილოს ამას — სავსებით გამოვიყენოთ შანსი, რათა ის მომენტი, როცა საერთაშორისო იმპერიალიზმი გაერთიანდება ჩვენს წინააღმდეგ, რამდენიმე კვირით გადავწიოთ; თუ ასე ვიზამთ, ჩვენ ვივლით იმ გზით, რომელსაც ყოველი შეგნებული მუშა ევროპის ქვეყნებში მოიწონებს, ვინაიდან მან იცის, რომ ის, რაც ჩვენ ვისწავლეთ მხოლოდ 1905 წლიდან, ხოლო საფრანგეთი და ინგლისი სწავლობდნენ საუკუნეობით, — მან იცის, როგორ ნელა მწიფდება რევოლუცია გაერთიანებული ბურჟუაზიის თავისუფალ საზოგადოებაში, მან იცის, რომ ასეთი ძალების წინააღმდეგ საჭირო იქნება დავძრათ სააგიტაციო ბიურო, რომელიც პროპაგანდას გასწევს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, როცა ჩვენ გვერდში ამოვუდგებით აჯანყებულ გერმანელ, ფრანგ და ინგლისელ პროლეტარიატს. მანამდე კი, რაც უნდა სამწუხარო იყოს

ეს, რაც უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეს რევოლუციურ ტრადიციებს, — ტაქტიკა ერთია და მხოლოდ ერთი: მოლოდინი, მიხვევ-მოხვევა და უკანდახევა.

და როცა ამბობენ, რომ ჩვენ არა გვაქვს საგარეო საერთაშორისო პოლიტიკაო, მე ვამბობ: ყოველი სხვა პოლიტიკა შეგნებულად თუ შეუგნებლად იქცევა იმად, რომ პროვოკაციის როლი ითამაშოს და რუსეთი გახადოს ჩხენკელის ტიპის ან სემიონოვის ტიპის იმპერიალისტებთან კავშირის იარაღად.

და ჩვენ ვამბობთ: უკეთესია განვიცადოთ, ავიტანოთ და გადავიტანოთ დაუსრულებლივ უფრო მეტი ნაციონალური და სახელმწიფოებრივი დამცირება და გასაჭირი, მაგრამ დავრჩეთ ჩვენს პოსტზე, როგორც სოციალისტური რაზმი, რომელიც მოვლენათა მსვლელობის ძალით ჩამოშორებია სოციალისტური არმიის რიგებს და იძულებულია შეიცადოს, ვიდრე სხვა ქვეყნების სოციალისტური რევოლუცია მოვიდოდეს დასახმარებლად. და იგი მოდის ჩვენს დასახმარებლად. ნელა, მაგრამ მოდის. და ის ომი, რომელიც დასავლეთში ამჟამად წარმოებს, არევოლუციურებს მასებს წინანდელზე უფრო მეტად და აახლოებს აჯანყების ჟამს.

ის პროპაგანდა, რომელიც აქამდე წარმოებდა, ამბობდა, რომ იმპერიალისტური ომი უაღრესად დანაშაულებრივი და უაღრესად რეაქციული ომია დაპყრობათა გულისთვის. მაგრამ ახლა მტკიცდება, რომ დასავლეთის ფრონტზე, სადაც ასიათასობით და მილიონობით არიან ფრანგი და გერმანელი ჯარისკაცები, რომელნიც ჟლეტენ ერთმანეთს, რომ იქ რევოლუციის მომწიფება არ შეიძლება წინანდელზე უფრო ჩქარა არ ხდებოდეს, თუმცა ეს რევოლუცია მოდის უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ ამას მოველოდით.

საგარეო პოლიტიკის საკითხზე მე უფრო დიდხანს შევჩერდი, ვიდრე მინდოდა, მაგრამ მე მგონია, აქ ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ, არსებითად თუ ვიტყვით, საგარეო პოლიტიკის საკითხში ჩვენს წინაშე ორი ძირითადი ხაზია — პროლეტარული ხაზი, რომელიც ამბობს, რომ სოციალისტური რევოლუცია ყველაფერზე ძვირფასი და ყველაფერზე მაღალია, და უნდა

გავითვალისწინოთ, მალე წარმოიშვება თუ არა იგი დასავლეთში, და მეორე — ბურჟუაზიული ხაზი, რომელიც ამბობს, რომ მისთვის სახელმწიფოებრივი დიდმპყრობელურობა და ნაციონალური დამოუკიდებლობა ყველაფერზე ძვირფასი და ყველაფერზე მაღალია.

საშინაო საკითხებში ჩვენ ამასვე ვხედავთ მემარცხენე კომუნისტების ჯგუფის მხრივ; ისინი იმეორებენ უმთავრეს მოსაზრებებს, რომლებიც მომართულია ჩვენს წინააღმდეგ ბურჟუაზიის ბანაკიდან. მაგალითად, ჩვენს წინააღმდეგ მემარცხენე კომუნისტთა ჯგუფის ძირითად მოსაზრებას წარმოადგენს ის, ვითომ შეიმჩნევა მემარჯვენე-ბოლშევიკური გადახრა, რომელიც რევოლუციას იმით ემუქრება, რომ იგი წავა სახელმწიფო კაპიტალიზმის გზითო.

ევოლუცია სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ — აი ბოროტება, აი მტერი, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად მოგვიხმობენ ჩვენ.

და აი, როცა ვკითხულობ ამ მითითებებს ამგვარ მტრებზე მემარცხენე კომუნისტების გაზეთში, მე გეკითხებით: რა დაემართათ ამ ადამიანებს, როგორ შეუძლიათ მათ წიგნაკის ნაგლეჯების გულისთვის დაივიწყონ სინამდვილე? სინამდვილე ამბობს, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი ჩვენთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ჩვენ რომ შეგვეძლოს რუსეთში ცოტა ხნის შემდეგ სახელმწიფო კაპიტალიზმის განხორციელება, ეს იქნებოდა გამარჯვება. როგორ შეეძლოთ არ დაენახათ მათ, რომ წვრილი მესაკუთრე, წვრილი კაპიტალი — ჩვენი მტერია. როგორ შეეძლოთ მათ სახელმწიფო კაპიტალიზმში დაენახათ მთავარი მტერი? კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის დროს მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ ჩვენი მთავარი მტერია წვრილი ბურჟუაზია, მისი ჩვევები, მისი ჩვეულებანი, მისი ეკონომიური მდგომარეობა. წვრილ მესაკუთრეს უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო კაპიტალიზმის ეშინია, იმიტომ რომ მას ერთი სურვილი აქვს — წაგლიჯოს, თვითონ მიიღოს რაც შეიძლება მეტი, გააჩანაგოს, ბოლომდე გაანადგუროს

მსხვილი მემამულენი, მსხვილი ექსპლოატატორები. და ამაში წვრილი მესაკუთრე ხალისით გვიჭერს მხარს ჩვენ.

აქ ის უფრო რევოლუციურია, ვიდრე მუშები, რადგან მასში უფრო მეტია გაბოროტება, აღშფოთება იმით, რომ ის გუშინ გამოვიდა უარესი მდგომარეობიდან, ამიტომ ბურჟუაზიის ბოლომდე გასანადგურებლად ის ხალისიანად მიდის, მაგრამ არა როგორც სოციალისტი, რათა, ბურჟუაზიის წინააღმდეგობის გატეხვის შემდეგ, დაიწყოს სოციალისტური მეურნეობის მშენებლობა მტკიცე შრომის დისციპლინის პრინციპებზე, მკაცრი ორგანიზაციის ჩარჩოებში, სწორი კონტროლისა და აღრიცხვის პირობით, არამედ იმისათვის, რომ, წაგლიჯა რა მეტი თავის სასარგებლოდ, გამოიყენოს გამარჯვების ნაყოფი თავისთვის, თავისი მიზნებისთვის და სრულიად არ არის დაინტერესებული საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებით და მშრომელთა კლასის ინტერესებით მთლიანად.

რა არის სახელმწიფო კაპიტალიზმი საბჭოთა ხელისუფლების დროს? ამჟამად სახელმწიფო კაპიტალიზმის განხორციელება ნიშნავს: ცხოვრებაში იმ აღრიცხვისა და კონტროლის გატარებას, რომელსაც კაპიტალისტური კლასები ატარებდნენ ცხოვრებაში. ჩვენ ვხედავთ სახელმწიფო კაპიტალიზმის ნიმუშს გერმანიაში. ჩვენ ვიცით, რომ უკანასკნელი ჩვენზე მაღლა აღმოჩნდა. მაგრამ თუ თქვენ ოდნავ მაინც დაუფიქრდებით იმას, თუ რა იქნებოდა რუსეთში, საბჭოთა რუსეთში, ასეთი სახელმწიფო კაპიტალიზმის საფუძვლების უზრუნველყოფა, მაშინ ყოველმა ადამიანმა, რომელიც ჭკუაზე არ შეშლილა და თავი არ გაუტენია წიგნურ ჭეშმარიტებათა ნაგლეჯებით, უნდა თქვას, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი ჩვენთვის ხსნაა.

მე ვთქვი, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი ხსნა იქნებოდა ჩვენთვის; რუსეთში რომ გვქონდეს ის, მაშინ სრულ სოციალიზმზე გადასვლა ადვილი იქნებოდა, ჩვენს ხელთ იქნებოდა, იმიტომ რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი არის ცენტრალიზებული, გამოანგარიშებული, კონტროლირებული და განსაზოგადოებული რამ, ჩვენ კი სწორედ ეს გვაკლია, ჩვენ გვემუქრება წვრილბურჟუაზიული დოყლაპიობის სტიქია, რომელიც

მომზადებულია ყველაზე მეტად რუსეთის ისტორიით და მისი ეკონომიკით, და რომელიც არ გვანებებს სწორედ ამ ნაბიჯს, რომელზედაც დამოკიდებულია სოციალიზმის წარმატება. ნებას მივცემ ჩემს თავს გაგახსენოთ, რომ მე მიხდებოდა ჩემი სიტყვები სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ დამეწერა გადატრიალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, და სრული შეუსაბამობაა ახლა ჩვენი დაშინება სახელმწიფო კაპიტალიზმით. მე გაგახსენებთ, თუ რას ვწერდი მაშინ ჩემს ბროშურაში «კატასტროფის მუქარა»... * (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს).

ამას ვწერდი მე რევოლუციურ-დემოკრატიულ სახელმწიფოზე, კერენსკის, ჩერნოვის, წერეთლის, კიშკინის და მათ ძმათა სახელმწიფოზე, იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც იდგა ბურჟუაზიულ ნიადაგზე და მას ვერ შორდებოდა და ვერც მოშორდებოდა; მე ვამბობდი მაშინ, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი ნაბიჯია სოციალიზმისაკენ; მე ამას ვწერდი 1917 წ. სექტემბერში, და ახლა, 1918 წლის აპრილში, მას შემდეგ, რაც ოქტომბერში პროლეტარიატმა აიღო ძალაუფლება, როცა მან დაამტკიცა თავისი უნარი: მრავალი ფაბრიკა და ქარხანა კონფისკებულია, საწარმოები და ბანკები ნაციონალიზებულია, ბურჟუაზიისა და მესაბოტაჟეთა სამხედრო წინააღმდეგობა გატეხილია, — ახლა, როცა ჩვენ კაპიტალიზმით გვაშინებენ, — ეს ისეთი სასაცილო, ისეთი არქიპირწავარდნილი უაზრობა და გამონაგონია, რომ გასაკვირი ხდება, და ეკითხები თავს: როგორ შეეძლოთ ადამიანებს აქამდე მისულიყვნენ? მათ დაავიწყდათ ის წვრილმანი, რომ რუსეთში ჩვენ გვყავს დიდძალი წვრილი ბურჟუაზია, რომელიც თანაუგრძნობს ყველა ქვეყნის მსხვილი ბურჟუაზიის მოსპობას, მაგრამ არ თანაუგრძნობს აღრიცხვას, განსაზოგადოებას და კონტროლს,—ამაშია საფრთხე რევოლუციისათვის, აი სადაა სოციალურ ძალთა ერთიანობა, რომელმაც დაღუპა საფრანგეთის დიდი რევოლუცია და არ შეეძლო არ დაეღუპა, და რომელსაც შეუძლია, თუ რუსეთის პროლეტარიატი სუსტი აღმოჩნდა, მხოლოდ მარტო მას შეუძლია დაღუპოს რუსეთის რევოლუცია. როგორც ვხედავთ,

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 25, გვ. 387 — 446. რ ე დ.

წვრილი ბურჟუაზია მთელ საზოგადოებრივ ატმოსფეროს ჟღენთავს წვრილმესაკუთრული ტენდენციებით, — მისწრაფებებით, რომლებიც უბრალოდ შემდეგით გამოიხატება: მდიდარს წავართვი, სხვებისა კი არა მეკითხება რაო.

ამაშია მთავარი საფრთხე. წვრილი ბურჟუები რომ დამორჩილებული იყვნენ სხვა კლასობრივი ელემენტებისადმი, დამორჩილებული იყვნენ სახელმწიფო კაპიტალიზმისადმი, შეგნებული მუშა ორივე ხელით უნდა მიესალმოს ამას, იმიტომ რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი კერენსკის დემოკრატიის დროს იქნებოდა ნაბიჯი სოციალიზმისაკენ, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნებოდა 3/4 სოციალიზმი, — იმიტომ რომ, ვინც სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური საწარმოების ორგანიზატორია, ის შეიძლება თანაშემწედ გავიხადოთ; მემარცხენე კომუნისტები კი ამას სხვანაირად უყურებენ, ისინი ათვალწუნებით უყურებენ, — და, როცა მემარცხენე კომუნისტებთან პირველი თათბირი გვქონდა 4 აპრილს, რაც, სხვათა შორის, ამტკიცებს, რომ ეს საკითხი შორეული ისტორიის დროიდან, რომელსაც თან ახლავს ხანგრძლივი დისკუსია, უკვე წარსულს ეკუთვნის, — მე ვთქვი, რომ თუ ჩვენ სწორად გვესმის ჩვენი ამოცანები, საჭიროა ვისწავლოთ სოციალიზმი ტრესტების ორგანიზატორებისაგან.

ამ სიტყვებმა მემარცხენე კომუნისტები საშინლად ააშფოთა, და ერთმა მათგანმა — ამხ. ოსინსკიმ — მთელი თავისი სტატია უძღვნა იმას, რომ ეს სიტყვები გაეცამტვერებინა. აი რას წარმოადგენს მისი არგუმენტების არსი. — ჩვენ ხომ არ გვინდა მათ ვასწავლოთ, არამედ გვინდა მათგან ვისწავლოთ.— ჩვენ, «მემარჯვენე» ბოლშევიკებს, — ჩვენ გვინდა ვისწავლოთ ტრესტის ორგანიზატორებისაგან, ხოლო ნამდვილ მემარცხენე კომუნისტებს უნდათ ასწავლონ. — მაგრამ რა გინდათ მათ ასწავლოთ? იქნებ, სოციალიზმი? — ეს — ვაჭრებს, საქმოსნებს უნდა ასწავლოთ სოციალიზმი? (ტ ა შ ი). არა, თუ გნებავთ, აკეთეთ ეს საქმე, ჩვენ თქვენ დახმარებას ვერ გაგიწევთ, ეს ფუჭი საქმეა. — ჩვენ მათ, ამ ინჟინრებს, საქმოსნებს, ვაჭრებს ვერაფერს ვასწავლით. — მათთვის სოციალიზმის სწავლება

საჭირო არაა. — ჩვენ რომ ბურჟუაზიული რევოლუცია გვქონდეს, ჩვენ მათგან ვერაფერს ვისწავლიდით, — შეიძლება მხოლოდ იმას, რომ დავტაცოთ ხელი, რაც კი შესაძლებელია, და მეტი არაფერი, ხოლო სხვას ვერაფერს ვისწავლიდით. — არა, ეს ჯერ კიდევ არაა სოციალისტური რევოლუცია. — ეს ისაა, რაც იყო საფრანგეთში 1793 წ., ეს ისაა, სადაც სოციალიზმი არ არის, არამედ ეს არის მხოლოდ სოციალიზმის შესავალი.

მემამულენი უნდა ჩამოვაგდოთ, ბურჟუაზია უნდა ჩამოვაგდოთ, და მილიონჯერ მართალია ისტორიის წინაშე, გამართლებული იქნება ბოლშევიკების ყველა მოქმედება, მთელი მათი ბრძოლა, ძალმომრეობა მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ექსპროპრიაცია, მათი წინააღმდეგობის ძალდატანებითი დათრგუნვა. საერთოდ და მთლიანად, ეს იყო უდიდესი ისტორიული ამოცანა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯი. აქ საქმე ისაა, თუ რისთვის დავთრგუნეთ ჩვენ ისინი; იმის სათქმელად, რომ ახლა, როცა საბოლოოდ დავთრგუნეთ, თაყვანი ვცეთ მათს კაპიტალიზმს? არა, ახლა ჩვენ ვისწავლით მათგან, იმიტომ რომ ჩვენ გვაკლია ცოდნა, იმიტომ რომ ეს ცოდნა ჩვენ არა გვაქვს. სოციალიზმის ცოდნა ჩვენ გვაქვს, მაგრამ ორგანიზაციის ცოდნა მილიონიანი მასშტაბით, ორგანიზაციისა და პროდუქტების განაწილების ცოდნა და სხვ., — ეს ჩვენ არა გვაქვს. ამას ჩვენ ძველი ბოლშევიკური ხელმძღვანელები არ გვასწავლიდნენ. ამით ბოლშევიკების პარტია თავის ისტორიაში თავს ვერ იქებს. ეს კურსი ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვივლია. და ჩვენ ვამბობთ, დაე, ის თუნდაც არქიგაიძვერა იყოს, მაგრამ რაკი მან ტრესტი შექმნა, რაკი ის ვაჭარია, რომელსაც საქმე ჰქონდა წარმოებისა და განაწილების ორგანიზაციასთან მილიონებისა და ათეული მილიონებისათვის, რაკი მას გამოცდილება ჰქონდა, — ჩვენ უნდა ვისწავლოთ მისგან. თუ ამას მათგან არ ვისწავლით, სოციალიზმს ვერ მივიღებთ, მაშინ რევოლუცია დარჩება იმ საფეხურზე, სადამდეც იგი მივიდა. მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალიზმის განვითარება, მხოლოდ აღრიცხვისა და კონტროლის საქმის გულმოდგინედ დაყენება, მხოლოდ უსასტიკესი ორგანიზაცია

და შრომითი დისციპლინა მიგვიყვანს ჩვენ სოციალიზმამდე. უამისოდ კი სოციალიზმი არაა. (ტ ა შ ი).

ჩვენ ხელი არ უნდა მოვკიდოთ სასაცილო ამოცანას — ტრესტის ორგანიზატორების სწავლებას, — მათ ვერაფერს ვასწავლით. ჩვენ მათი ექსპროპრიაცია უნდა მოვახდინოთ. ამ საქმეს არაფერი აბრკოლებს. ამაში არავითარი სიძნელე არაა. (ტ ა შ ი). ეს ჩვენ საკმაოდ ცხადვყავით და დავამტკიცეთ.

და ყოველ მუშათა დელეგაციას, რომელთანაც მიხდებოდა საქმის დაჭერა, როცა ის მოდიოდა ჩემთან და სჩიოდა, რომ ფაბრიკა ჩერდება, მე ვეუბნებოდი: თქვენ გნებავთ, რომ თქვენი ფაბრიკა კონფისკებული იყოს. კეთილი, ჩვენ დეკრეტის ბლანკები მზად გვაქვს, ერთ წუთში მოვაწერთ ხელს. (ტ ა შ ი). მაგრამ თქვენ თქვით: მოახერხეთ წარმოება აგეღოთ საკუთარ ხელში და გამოიანგარიშეთ, რას აწარმოებთ, იცით თქვენი წარმოების კავშირი რუსეთის და საერთაშორისო ბაზართან. და აქ აღმოჩნდება, რომ ეს მათ ჯერ კიდევ არ უსწავლიათ, ხოლო ბოლშევიკურ წიგნებში ამაზე ჯერ კიდევ არაა დაწერილი, და მენშევიკურ წიგნებშიც არაფერია ნათქვამი.

ყველაზე უკეთ აქვთ საქმე იმ მუშებს, რომელნიც ამ სახელმწიფო კაპიტალიზმს ატარებენ: მეტყავეთ, ფეიქართ, შაქრის წარმოებას, იმიტომ რომ მათ პროლეტარის სიფხიზლით იციან თავიანთი წარმოება, უნდათ დაიცვან და გადააქციონ იგი უფრო მსხვილ წარმოებად, — იმიტომ რომ ამაშია ყველაზე მეტი სოციალიზმი. ისინი ამბობენ: მე ამჟამად ჯერ კიდევ ვერ მოვაგვარებ ასეთ ამოცანას, მე დავსვამ კაპიტალისტებს, 1/3 ადგილებს მათ დავუთმობ და ვისწავლი მათგანო. და როდესაც ვკითხულობ მემარცხენე კომუნისტების ირონიულ სიტყვებს: ჯერ კიდევ არ ვიცით, ვინ ვის გამოიყენებსო, მე უცნაურად მეჩვენება მათი სიბეცე. რა თქმა უნდა, თუ ოქტომბერში ძალაუფლების აღებისა და ოქტომბრიდან აპრილამდე მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ, შეგვიძლია დავეჭვდეთ იმაში, თუ ვინ ვის გამოიყენებს — მუშა ტრესტის ორგანიზატორებს, თუ საქმოსანი და გაქნილი კაცი გამოიყენებს მუშებს, თუ ეს ასეა,

მაშინ ავიკრათ ბარგი-ბარხანა და გავსწიოთ შინისაკენ, დავუთმოთ ადგილი მილიუკოვებსა და მარტოვებს. მაგრამ ეს ასე არაა. და შეგნებული მუშაც არ დაიჯერებს, სასაცილოცაა წვრილი ბურჟუაზიის შიში; მათ იციან, რომ სოციალიზმი იწყება იქ, სადაც იწყება უფრო მსხვილი წარმოება, რომ ამ საქმეს ვაჭრები და საქმოსნები საკუთარი გამოცდილებით სწავლობდნენ.

და ჩვენ ვამბობდით: აი, მხოლოდ ეს მატერიალური პირობები, ათობით მილიონების მომსახურე გიგანტურ საწარმოთა მსხვილი მანქანური ინდუსტრიის პირობები, მხოლოდ ისინია სოციალიზმის საფუძველი, და წვრილბურჟუაზიულ, გლეხურ ქვეყანაში ამ საქმის სწავლა ძნელია, მაგრამ შესაძლებელია. რევოლუცია მოვა სამოქალაქო ომის საფასურით, მაგრამ ეს მით უფრო მძიმე ამბავია, რაც უფრო ცივილიზებული, რაც უფრო განვითარებულია სახელმწიფო; გერმანიაში ბატონობს სახელმწიფო კაპიტალიზმი, ამიტომ რევოლუცია გერმანიაში ასჯერ უფრო გამაჩანაგებელი და დამღუპველი იქნება, ვიდრე წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, — და იქ იქნება უზარმაზარი სიძნელენი, უზარმაზარი ქაოსი და უწონასწორობა. ამიტომ სრულიად არავითარ საბუთსა და საფუძველს სასოწარკვეთილებისა და ჭმუნვარებისათვის არ ვხედავ იმაში, რომ რუსეთის რევოლუციამ ჯერ გადაჭრა ადგილი ამოცანა — დასცა მემამულე და ბურჟუაზია, და ახლა მიადგა უფრო ძნელ სოციალისტურ ამოცანას: მოაწყოს საყოველთაო-სახალხო აღრიცხვა და კონტროლი, — იმ ამოცანას, რომლიდანაც იწყება ნამდვილი სოციალიზმი, იმ ამოცანას, რომელსაც ემხრობა მუშებისა და შეგნებული მშრომელების უმრავლესობა. დიახ, მუშების უმრავლესობა, რომელიც უკეთაა ორგანიზებული, რომელსაც გავლილი აქვს პროფესიული კავშირების სკოლა: იგი ჩვენთან დგას სავსებით.

ის საკითხები, რომელთა დაცინვით უკუგდებასაც ცდილობენ «ვპერიოდის» ვაჟბატონები, სანარდო ანაზღაურებისა და ტეილორის სისტემის შესახებ,—ამ უმრავლესობამ ჩვენზე ადრე წამოაყენა ეს საკითხები პროფესიულ კავშირთა საბჭოებში,

უფრო ადრე, ვიდრე გაჩნდებოდა საბჭოთა ხელისუფლება მისი საბჭოებით, — ისინი ადგნენ და შეუდგნენ მუშაობას, რათა გამოემუშავებინათ შრომის დისციპლინის ნორმები. ამ ადამიანებმა დაგვანახვეს, რომ თავიანთი პროლეტარული თავმდაბლობით მათ იცოდნენ საფაბრიკო შრომის ვითარება, მათ სოციალიზმის რაობა გაიგეს იმათზე უკეთ, ვინც რევოლუციურ ფრაზებს ისროდა, საქმით კი შეგნებულად თუ შეუგნებლად ეშვებოდა იმ წვრილი ბურჟუაზიის დონემდე, რომელიც იდგა შემდეგ თვალსაზრისზე: მდიდარი დავცე, მაგრამ ხელსაყრელი არაა ჩემი თავი ორგანიზაციის აღრიცხვისა და კონტროლის ქვეშ დავაყენო; ეს წვრილ მესაკუთრეთათვის ზედმეტია, ეს მათ არ ესაჭიროებათო, — ნამდვილად კი მხოლოდ ამაშია ჩვენი რევოლუციის სიმტკიცისა და გამარჯვების საწინდარი.

ამხანაგებო, აღარ შევეხები შემდგომ დაწვრილებით გადმოცემას და ციტატებს გაზეთ «ლევი კომუნისტიდან», მხოლოდ ორიოდე სიტყვით ვიტყვი: დროა ვიყვიროთ, როცა ადამიანები იქამდე მივიდნენ, რომ ამბობენ: შრომის დისციპლინის შემოღება უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებაო, — და მე უნდა განვაცხადო, რომ ამაში ვხედავ ისეთ გაუგონარ რეაქციულ რამეს, რევოლუციისადმი ისეთ მუქარას, რომ თუ არ მცოდნოდა, რომ ამას ლაპარაკობს გავლენას მოკლებული ჯგუფი და რომ მუშების ყოველ შეგნებულ კრებაზე ამას გააბათილებენ, მაშინ ვიტყოდი: დაიღუპა რუსეთის რევოლუცია.

მემარცხენე კომუნისტები წერენ: «შრომის დისციპლინის შემოღებას, წარმოებაში კაპიტალისტების ხელმძღვანელობის აღდგენასთან დაკავშირებით, არ შეუძლია არსებითად გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, მაგრამ იგი შეამცირებს პროლეტარიატის კლასობრივ თვითმოქმედებას, აქტიურობას და ორგანიზებულობას. იგი იმუქრება მუშათა კლასის დამონებით...». ეს არაა მართალი; ეს რომ ასე იყოს, ჩვენი რუსეთის რევოლუცია თავისი სოციალისტური ამოცანებით, თავისი სოციალისტური არსებით კრახის პირას იქნებოდა მისული. მაგრამ ეს მართალი არაა. ეს დეკლასირებულ წვრილბურჟუა-

ზიულ ინტელიგენციას არ ესმის, რომ სოციალიზმისათვის მთავარი სიძნელეა შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა; ამაზე სოციალისტები დიდი ხანია წერდნენ, ამაზე შორეულ წარსულში ყველაზე უფრო ფიქრობდნენ სოციალისტები, ამისკენ იყო მიმართული უდიდესი მზრუნველობა და ანალიზი, მათ ესმოდათ, რომ აქ სოციალისტური რევოლუციისთვის ნამდვილი სიძნელენი იწყება. აქამდეც ყოფილა არა ერთხელ რევოლუციები, რომელნიც დაუნდობლად ანარცხებდნენ ძირს ბურჟუაზიას, არა ნაკლებ ენერგიულად, ვიდრე ჩვენ, მაგრამ როცა ჩვენ იქამდე მივედით, რომ შევქმენით საბჭოთა ხელისუფლება, ამით ცხადი გავხადეთ, რომ ჩვენ ვახდენთ პრაქტიკულ გადასვლას ეკონომიური განთავისუფლებიდან შრომითს თვითდისციპლინაზე, რომ ჩვენი ხელისუფლება — ეს არის ხელისუფლება, რომელიც ნამდვილად უნდა იყოს შრომის ხელისუფლება. როცა ჩვენ გვეუბნებიან, რომ პროლეტარიატის დიქტატურა აღიარებულია სიტყვით, საქმით კი იწერება ფრაზებიო, ეს არსებითად გვიჩვენებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურაზე წარმოდგენა არა აქვთ, ვინაიდან ეს მარტო ის კი არაა, რომ დავამხოთ ბურჟუაზია ან დავამხოთ მემამულეები, — ეს ყველა რევოლუციაში ხდებოდა, — ჩვენი პროლეტარიატის დიქტატურა არის უზრუნველყოფა წესრიგისა, დისციპლინისა, შრომის ნაყოფიერებისა, აღრიცხვის და კონტროლისა, პროლეტარული საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც უფრო მტკიცე, უფრო მყარია, ვიდრე წინანდელი ხელისუფლება. აი რას ვერ გადაწყვეტთ, აი რა არ გვისწავლებია, აი რა ესაჭიროებათ მუშებს, აი რატომაა კარგი ვუჩვენოთ მათ სარკე, რომელშიც ყველა ეს ნაკლი აშკარად ჩანს. მე ვფიქრობ, რომ ეს სასარგებლო ამოცანაა, ვინაიდან იგი ყველა მოაზრე, ყველა შეგნებულ მუშასა და გლეხს აიძულებს მთელი თავისი მთავარი ძალები ამისკენ მიმართოს. დიახ, იმით, რომ მემამულენი და ბურჟუაზია დავამხეთ, ჩვენ გავწმინდეთ გზა, მაგრამ სოციალიზმის შენობა არ აგვიგია. და ერთი თაობისაგან გაწმენდილ ნიადაგზე ისტორიაში მუდამ ჩნდებიან ახალი თაობანი, ოღონდ კი ნიადაგი ჰბადებდეს, იგი კი ბურჟუებს

ჰბადებს რამდენიც გნებავთ. და ისინი, ვინც კაპიტალისტებზე გამარჯვებას ისე უყურებს, როგორც წვრილი მესაკუთრენი უყურებენ, — «იმათ წაგლიჯეს, მოდი მეც ვისარგებლებო», — თვითეული მათგანი ხომ ბურჟუების ახალი თაობის წყაროს წარმოადგენს. როცა ჩვენ გვეუბნებიან, თითქოს შრომის დისციპლინის შემოღება ხელმძღვანელ-კაპიტალისტთა აღდგენასთან დაკავშირებით რევოლუციისთვის მუქარას წარმოადგენდეს, მე ვამბობ: ამ ადამიანებს ვერ გაუგიათ ჩვენი რევოლუციის სწორედ სოციალისტური ხასიათი, ისინი იმეორებენ სწორედ იმას, რაც მათ ადვილად აერთიანებს წვრილ ბურჟუაზიასთან, რომელსაც ისე ეშინია დისციპლინის, ორგანიზაციის, აღრიცხვის და კონტროლისა, როგორც ეშმაკს საკმევლისა.

თუ ისინი იტყვიან: თქვენ ხომ აქ წინადადებას იძლევით ჩვენთან შემოიყვანონ კაპიტალისტები, როგორც ხელმძღვანელები, მუშა ხელმძღვანელთა რიცხვშიო, — დიახ, ისინი შემოჰყავთ იმიტომ, რომ ორგანიზაციის პრაქტიკის საქმეში მათ აქვთ ცოდნა, რაც ჩვენ არა გვაქვს. შეგნებულ მუშას არასოდეს არ შეეშინდება ასეთი ხელმძღვანელისა, რადგან მან იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლება — მისი ხელისუფლებაა, რადგან მან იცის, რომ მოწადინებულია ისწავლოს ორგანიზაციის პრაქტიკა.

ჩვენ ორგანიზაციულად შევაკავშირეთ მეფის დროს ათასები და კერენსკის დროს ასეული ათასები. ეს არაფერია, ეს პოლიტიკაში არ ითვლება. ეს იყო მოსამზადებელი მუშაობა, ეს იყო მოსამზადებელი კლასი. და ვიდრე მოწინავე მუშები არ ისწავლიან ათეული მილიონების ორგანიზაციულად შეკავშირებას, მანამდე ისინი სოციალისტები და სოციალისტური საზოგადოების შემოქმედნი არ არიან, და ორგანიზაციის აუცილებელ ცოდნას ვერ შეიძენენ. ორგანიზაციის გზა — გრძელი გზაა, და სოციალისტური მშენებლობის ამოცანები მოითხოვენ მედგარ ხანგრძლივ მუშაობას და სათანადო ცოდნას, რაც ჩვენ არასაკმაო გვაქვს. ძნელად თუ უახლოესმა უფრო განვითარებულმა, მომავალმა თაობამაც მოახდინოს სრული გადასვლა სოციალიზმზე.

მოიგონეთ, რას წერდნენ წინანდელი სოციალისტები მომავალ სოციალისტურ რევოლუციაზე; საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს სოციალიზმზე გადასვლა, თუ არ ვისწავლეთ ტრესტის ორგანიზატორებისაგან, ვინაიდან ისინი ამ წარმოებას დიდი მასშტაბით ეწეოდნენ. ჩვენთვის საჭირო არაა მათ სოციალიზმი ვასწავლოთ, ჩვენ გვესაჭიროება მათი ექსპროპრიაცია, მათი საბოტაჟის გატეხა. ეს ორი ამოცანა ჩვენ შევასრულეთ. უნდა ვაიძულოთ ისინი დაემორჩილონ მუშათა კონტროლს. და თუ ჩვენი კრიტიკოსები მემარცხენე კომუნისტებიდან გვისაყვედურებდნენ იმას, თითქოს ჩვენ ჩვენი ტაქტიკით მივდიოდეთ არა კომუნიზმისაკენ, არამედ უკან, — მათი საყვედურები სასაცილოა: მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენ ჩამოვრჩით აღრიცხვისა და კონტროლის საქმეში, რადგან ძალიან ძნელი იყო ამ წინააღმდეგობის გატეხა და ბურჟუაზიისა და მისი ტექნიკოსების, მისი ბურჟუაზიული სპეციალისტების ჩვენს სამსახურში წამოყვანა. მათი ცოდნა, მათი გამოცდილება და შრომა კი ჩვენ გვესაჭიროება, უამისოდ შეუძლებელია ნამდვილად ავიღოთ ის კულტურა, რომელიც შექმნილია ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობით და დარჩენილია როგორც სოციალიზმის მატერიალური ბაზისი. თუ მემარცხენე კომუნისტებმა ეს ვერ შენიშნეს, ეს იმიტომ, რომ ისინი ნამდვილ ცხოვრებას კი ვერ ხედავენ, არამედ თავიანთ ლოზუნგებს თხზავენ იდეალური სოციალიზმისადმი სახელმწიფო კაპიტალიზმის დაპირისპირებიდან. ჩვენ კი უნდა ვუთხრათ მუშებს: დიახ, ეს ნაბიჯია უკან, მაგრამ ჩვენ უნდა დავეხმაროთ ჩვენს თავს საშუალების გამონახვაში. საშუალება ერთია: შეკავშირდით უკანასკნელ ადამიანამდე, მოაწყვეთ წარმოების აღრიცხვა, მოაწყვეთ აღრიცხვა და კონტროლი მოხმარების საქმეში და ჰქენით ის, რომ ჩვენ ასეულ მილიონობით ფულს არ ვყრიდეთ საბეჭდავი დაზგიდან, და არც ერთი ასმანეთიანი, რომელიც უმართებულოდ ჩავარდა ვისიმე ხელში, არ ასცდეს უკანვე სახელმწიფო ხაზინას. ეს არ შეიძლება გაკეთდეს რევოლუციის არავითარი გაქანებით, ბურჟუაზიის არავითარი ჩაკვლით. ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ

თვითდისციპლინით, მხოლოდ მუშათა და გლეხთა შრომის ორგანიზაციით, მხოლოდ აღრიცხვითა და კონტროლით. ეს ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს, და ამისთვის ჩვენ ვიხდით ხარკს უფრო მაღალი ჯამაგირის მიცემით, ვიდრე ორგანიზატორი-კაპიტალისტები გიხდიდნენ თქვენ. ჩვენ ეს არ დაგვისწავლია, მაგრამ უნდა ვისწავლოთ, ესაა გზა სოციალიზმისაკენ, ერთადერთი გზა — ვასწავლოთ მუშებს უზარმაზარი საწარმოების მართვის პრაქტიკული საქმე, მსხვილი წარმოებისა და უმსხვილესი განაწილების ორგანიზაცია.

ამხანაგებო, მე ძალიან კარგად ვიცი, რა ადვილია ლაპარაკი აღრიცხვაზე, კონტროლზე, დისციპლინასა და თვითდისციპლინაზე, როცა ლაპარაკობს ადამიანი, რომელსაც განსაზღვრული საზოგადოებრივი მდგომარეობა უჭირავს. მაგრამ აქედან რამდენი მასალა შეგიძლიათ გაიჩინოთ საოხუნჯოდ და განაცხადოთ: როცა თქვენი პარტია ხელისუფლების სათავეში არ იდგა, ის მუშებს რძის მდინარეებს და თაფლის ნაპირებს პირდებოდა, ხოლო როცა ეს ხალხი ხელისუფლებას დაეპატრონა, აქ ჩვეულებრივი გარდაქმნა მოხდა, იწყებენ ლაპარაკს აღრიცხვაზე, დისციპლინაზე, თვითდისციპლინაზე, კონტროლზე და სხვ.. მე ძალიან კარგად ვიცი, რა მადლიანი მასალაა ეს მილიუკოვისა და მარტოვის ტიპის პუბლიცისტებისათვის.

მე კარგად ვიცი, რა მდიდარი მასალაა ეს იმ ადამიანთათვის, რომელთაც აინტერესებთ ცალკეული სტრიქონები ან ეფექტები და უყვართ გამოიყენონ ის სულ მცირედი საბუთებიც კი, რომელნიც შეგნებულ მუშებში ნაკლებ თანაგრძნობას პოულობენ.

გაზეთ «ლევი კომუნისტში» მე ვნახე ჩემს წიგნაკზე [95] ისეთი გამოჩენილი პუბლიცისტის რეცენზია, როგორიც ბუხარინია, ამასთან რეცენზია თანამგრძნობელი, მაგრამ ყოველივემ, რაც მასში ღირებული იყო, ჩემთვის ყოველგვარი ღირებულება დაკარგა, როცა რეცენზია ბოლომდე წავიკითხე; მე დავინახე, რომ ბუხარინმა ვერ დაინახა ის, რისი დანახვაც საჭირო იყო, და ეს მოხდა იმიტომ, რომ იგი თავის რეცენზიას წერდა აპრილში, ხოლო ციტატებში მოჰყავდა ის, რაც აპრილისთვის

უკვე მოძველდა, რაც გუშინდელს წარმოადგენს, სახელდობრ ის, რომ საჭიროა ძველი სახელმწიფოს დამსხვრევა; ეს ჩვენ უკ-ვე მოვახდინეთ, ეს — გუშინდელი დღის ამოცანაა, და საჭიროა წინ წავიდეთ და ვუყურეთ არა წარსულს, არამედ მომავალს და შევქმნათ კომუნის სახელმწიფო; იგი წერდა იმის შესახებ, რაც უკვე განსახიერებულია საბჭოთა ორგანიზაციებში, ხოლო ხმა არ ამოუღია იმაზე, რაც ეხება აღრიცხვას, კონტროლს, დის-ციპლინას. როგორ ემთხვევა ამ ადამიანთა განსჯა, მათი ფსიქო-ლოგია წვრილი ბურჟუაზიის სულისკვეთებას: მდიდარი ჩამო-ვაგდოთ, კონტროლი კი არ გვინდაო, ასე უყურებენ ისინი; ეს მათ ხიბლავს და შეგნებულ პროლეტარს აშორებს წვრილი ბურჟუაზიისაგან და თვით უკიდურესი რევოლუციონერები-განაც კი; ეს — როცა პროლეტარი ამბობს: შევკავშირდეთ და გავმაგრდეთ, თორემ ვინმე პატარა ტურტლიანი, მისი რიცხვი მილიონია, ჩვენ ჩამოგვაგდებსო.

აქ ერთმანეთს შორდება შეგნებული პროლეტარი და წვრი-ლი ბურჟუა; აქ რევოლუცია სცილდება წვრილ ბურჟუაზიას. და რაოდენ ბრმები არიან ასეთი ადამიანები, ამაზე ისინი არ ლაპარაკობენ.

მე კიდევ მივცემ ჩემს თავს ნებას მოგაგონოთ რამდენიმე ჩემი ციტატა; მე ვამბობდი, რომ ადამიანები გაძლებენ უძალ-მომრეობოდ, როცა მიეჩვევიან ასე მოქმედებას; რა თქმა უნ-და, ასეთი ჩვეულება ხანგრძლივი აღზრდის შედეგი იქნება.

როცა ეს მემარცხენე კომუნისტებს ესმით, ისინი თავში ივ-ლებენ ხელს და ყვირიან: როგორ ვერ შევნიშნეთ ეს; ბუხა-რინ, ეს თქვენ რატომ არ გააკრიტიკეთო? ჩვენ ვუჩვენეთ ჩვე-ნი ძალა მემამულეებისა და ბურჟუაზიის დათრგუნვის საქმეში, ახლა კი უნდა ვუჩვენოთ ჩვენი ძალა თვითდისციპლინისა და ორგანიზაციის საქმეში, იმიტომ რომ წარსული ათასწლოვანი გამოცდილებიდან ეს ცნობილია, და ხალხს უნდა ვუთხრათ, რომ მხოლოდ ამაშია ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების, ჩვენი დიქტატურის, ჩვენი პროლეტარული ავტორიტეტის ძალა. ხო-ლო წვრილი ბურჟუები ამ ჭეშმარიტებას ემალებიან რევო-ლუციური ფრაზეოლოგიის ფარს უკან.

უნდა გამოვაჩინოთ ჩვენი ძალა. დიახ, წვრილი მეპატრონენი, წვრილი მესაკუთრენი მზად არიან დაგვეხმარონ ჩვენ, პროლეტარებს, მემამულეთა და კაპიტალისტთა ჩამოგდების საქმეში. მათ არ უყვართ ორგანიზაცია, დისციპლინა, ისინი — ამის მტრები არიან. და აქ ჩვენ ამ მესაკუთრეებთან, ამ წვრილ მეპატრონეებთან მოგვიხდება უაღრესად გადამწყვეტი, დაუნდობელი ბრძოლა, ბრძოლა სხვანაირი მასშტაბით, ბრძოლა მით უფრო ძნელი, რომ იგი პრინციპულად მცდარი ჩანს, ნამდვილად კი მხოლოდ აქ იწყება სოციალიზმი.

და როცა ვეკამათები იმ ადამიანებს, რომელნიც ამბობენ, ვითომც ისინი სოციალისტები არიან, პირდებიან მუშებს, რამდენიც უნდათ და რითაც უნდათ ისარგებლონ, მე ვლაპარაკობ, რომ კომუნიზმი შრომის ახლანდელ ნაყოფიერებას როდი გულისხმობს. ჩვენი შრომის ნაყოფიერება მეტისმეტად დაბალია, ეს — ფაქტია. კაპიტალიზმი ჩვენ გვიტოვებს მემკვიდრეობად, განსაკუთრებით ჩამორჩენილ ქვეყანაში, უამრავ ისეთ ჩვეულებას, სადაც ყოველ სახელმწიფოებრივს, ყოველ სახაზინოს უყურებენ, როგორც მასალას, იმისათვის, რომ ბოროტად გააფუჭონ ის. წვრილი ბურჟუაზიის ეს ფსიქოლოგია ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. და ამ დარგში ბრძოლა ძალიან ძნელია. მხოლოდ ორგანიზებულ პროლეტარიატს შეუძლია ყველაფერს გაუძლოს. მე ვწერდი: «მანამდე, სანამ კომუნიზმის უმაღლესი ფაზა დადგებოდეს, სოციალიზმი მოითხოვს უსასტიკეს კონტროლს საზოგადოების მხრივ და სახელმწიფოს მხრივ» *.

მე ამას ვწერდი ოქტომბრის გადატრიალებამდე და ამას მტკიცედ ვიცავ ახლაც.

ამჟამად დადგა დრო, როცა ბურჟუაზიის შემუსვრით და საბოტაჟის გატეხით ჩვენ მივიღეთ შესაძლებლობა ხელი მოვკიდოთ ამ საქმეს. ვიდრე ეს არ იყო, დღის გმირები და რევოლუციის გმირები იყვნენ წითელგვარდიელები, რომელნიც თავიანთ დიდ ისტორიულ საქმეს აკეთებდნენ. ისინი თოფს იღებდნენ წინააღმდეგ მქონებელი კლასების თანხმობისა.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა., ტომი 25, გვ. 585. რ ე დ.

ისინი აკეთებდნენ ამ დიად ისტორიულ საქმეს. მათ თოფი იმისთვის აიღეს, რომ ჩამოეგდოთ ექსპლოატატორები და თავიანთი თოფი გადაექციათ მუშათა დაცვის იარაღად, რომ თვალყური ედევნებინათ წარმოების და შრომის ზომისა და მოხმარების ზომისათვის.

ჩვენ ეს ვერ მივეცით, ეს კი სოციალიზმის დედაარსი და საფუძველია. თუ ვისმე ასეთი მუშაობა მოსაწყენად და არასაინტერესოდ ეჩვენება, ეს — წვრილბურჟუაზიული სიზარმაცის წარმომადგენლებს.

ჩვენი რევოლუცია რომ აქ შეჩერებულიყო, ის ისტორიაში შევიდოდა არა ნაკლებ 1793 წ. რევოლუციისა. მაგრამ გვეტყვიან: ეს XVIII საუკუნეში იყო. XVIII საუკუნისათვის ეს კმაროდა, ხოლო XX საუკუნისთვის—ეს ცოტაა. აღრიცხვა და კონტროლი — აი მთავარი, რაც საჭიროა კომუნისტური საზოგადოების სწორი ფუნქციონირებისათვის. ასე ვწერდი მე ოქტომბრის გადატრიალებამდე *. ვიმეორებ, რომ ამ საქმისათვის არ შეიძლებოდა ხელის მოკიდება, სანამ დათრგუნვილნი არ იყვნენ ალექსეევები, კორნილოვები, კერენსკები. ახლა ბურჟუაზიის სამხედრო წინააღმდეგობა დათრგუნვილია. ჩვენი ამოცანაა: ყველა მესაბოტაჟე გავანაწილოთ სამუშაოებზე ჩვენი კონტროლის ქვეშ, საბჭოთა ხელისუფლების კონტროლის ქვეშ, შევქმნათ მმართველობის ორგანოები, რათა აღრიცხვა და კონტროლი მტკიცედ იქნას მოგვარებული. ქვეყანა იღუპება იმიტომ, რომ ომის შემდეგ მასში არაა ელემენტარული პირობები ნორმალური არსებობისათვის. ჩვენი მტრები, რომელნიც ჩვენზე მოდიან, ჩვენთვის საშიშნი არიან მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ვერ მოვაგვარეთ აღრიცხვა და კონტროლი. როცა მესმის ასიათასობით ჩივილი, როცა ქვეყანაში შიმშილია, როცა ხედავ და იცი, რომ ეს ჩივილი სამართლიანია, რომ ჩვენ პური გვაქვს, ხოლო მისი მოზიდვა არ შეგვიძლია, როცა ჩვენ ვხვდებით მემარცხენე კომუნისტების მხრით დაცინვას და საწინააღმდეგო მოსაზრებებს ისეთი ზომების მიმართ,

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 25, გვ. 590. რ ე დ.

როგორიც ჩვენი სარკინიგზო დეკრეტია,—მათ ის ორჯერ მოიხსენიეს, — ეს მიქარვაა.

მემარცხენე კომუნისტებთან თათბირზე 4 აპრილს მე ვამბობდი: მოგვეცით თქვენი პროექტი დეკრეტისა, თქვენ ხომ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქენი, საბჭოთა დაწესებულებების წევრები ხართ, — თქვენ არა ხართ გარედან, ალაყაფის დირედან მაყურებელი კრიტიკოსები, როგორც ბურჟუა-მოვაჭრენი და მესაბოტაჟენი, რომელნიც გვაკრიტიკებენ, რათა თავიანთი ბრაზი გადმოანთხიონ. თქვენ, ვიმეორებ, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები ხართ; სინჯეთ და მოგვეცით თქვენი პროექტი დეკრეტისა. მათ მისი მოცემა არ შეუძლიათ და ვერასოდეს ვერ მოგვცემენ, იმიტომ რომ ჩვენი სარკინიგზო დეკრეტი სწორია, იმიტომ რომ მას, შემოაქვს რა დიქტატურა, თანაგრძნობით ხვდებიან რკინიგზის საქმის მთელი მასები და შეგნებული მშრომელები, — ხოლო მას ოპოზიციაში უდგანან სამმართველოს ის მუშაკები, რომელნიც ქაფავენ და ქრთამს იღებენ; იმიტომ რომ მას ორჭოფულად ეპყრობა ყველა ის, ვინც მერყეობს საბჭოთა ხელისუფლებასა და მის მტრებს შორის, — ხოლო პროლეტარიატმა, რომელიც სწავლობდა დისციპლინას მსხვილი წარმოებისაგან, იცის, რომ სოციალიზმი შეუძლებელია, ვიდრე უფრო მსხვილი წარმოება არ იქნება მოწყობილი, და ვიდრე არ იქნება კიდევ უფრო მკაცრი დისციპლინა. — ეს პროლეტარიატი ჩვენკენაა სარკინიგზო მოძრაობაში; ის წავა საბრძოლველად წვრილ მესაკუთრეთა სტიქიასთან და დაამტკიცებს, რომ რუსეთის რევოლუცია, რომელსაც უნარი შესწევს ბრწყინვალე გამარჯვებანი მოიპოვოს, შეძლებს აგრეთვე დაამარცხოს თავისი საკუთარი არაორგანიზებულობაც. და 1 მაისის ლოზუნგებიდან, მომენტის ამოცანების თვალსაზრისით, შეძლებს დააფასოს ც. კ-ის ის ლოზუნგი, რომელიც ამბობს: «ჩვენ დავამარცხეთ კაპიტალი, ჩვენ დავამარცხებთ ჩვენს საკუთარ არაორგანიზებულობასაც». და მხოლოდ მაშინ მივალთ ჩვენ სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

2

საბოლოო სიტყვა მორიგი ამოცანების შესახებ წაკითხული მოხსენების გამო

უწინარეს ყოვლისა უნდა ვთქვა ამხ. ბუხარინის სიტყვის გამო: მე უკვე აღვნიშნე პირველ სიტყვაში, რომ ჩვენ ცხრა მეათედით ვეთანხმებით მას, ამიტომ ვფიქრობ, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ერთი მეათედით მას არ ვეთანხმებით; ის ერთი მეათედით ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ თავისი სიტყვის ნახევარში მას უხდება შემოიფარგლოს და გაიმიჯნოს პირდაპირ ყველა იმათგან, ვინც მის სასარგებლოდ გამოდიოდა. და რაც უნდა ჩინებული იყოს მისი და მისი ჯგუფის განზრახვები, მათი მდგომარეობის სიყალბე სწორედ იმით მტკიცდება, რომ მას ყოველთვის უხდება დრო ხარჯოს გამართლებაზე და იმაზე, რომ გაიმიჯნოს სახელმწიფო კაპიტალიზმის თაობაზე.

ამხანაგი ბუხარინი სრულიად არაა მართალი; და მე ვიტყვი პრესაში ამის შესახებ, იმიტომ რომ ეს საკითხი მეტისმეტად მნიშვნელოვანია. ამჟამად ორიოდე სიტყვით ვიტყვი იმაზე, რომ მემარცხენე კომუნისტები ჩვენ იმას გვისაყვედურებდნენ, რომ გვემჩნევა გადახრა სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ; ახლა კი ამხ. ბუხარინი უმართებულოდ ამბობს, საბჭოთა ხელისუფლების დროს არ შეიძლება იყოს სახელმწიფო კაპიტალიზმიო. ამრიგად, ის თავისთავს ეწინააღმდეგება, როცა ამბობს, საბჭოთა ხელისუფლების დროს სახელმწიფო კაპიტალიზმი შეუძლებელიაო, — ეს აშკარა უაზრობაა. მთელი რიგი საწარმოები და ქარხნები, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების

კონტროლქვეშ იმყოფებიან და სახელმწიფოს ეკუთვნიან, მარტო ეს უკვე გვიჩვენებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლას, და ამხ. ბუხარინს არ სურს კონკრეტულად შეჩერდეს ამაზე, იხსენებს კი იმას, თუ როგორ ვიჯექით ჩვენ მემარცხენე ციმერვალდში[96] და ვწერდით მის წინააღმდეგ, მაგრამ ეს იყო უხსოვარ დროს, და ამის გახსენება ახლა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობიდან ნახევარი წლის შემდეგ, და იმ ცდების შემდეგ, რაც გავაკეთეთ, რაც შევძელით მას მერე, რაც ექსპროპრიაცია, კონფისკაცია და ნაციონალიზაცია მოვახდინეთ, ამის შემდეგ იმის გახსენება, რასაც ვწერდით 1915 წ., — ეს სასაცილოა... ახლა ჩვენ არ შეგვიძლია არ დავაყენოთ საკითხი სახელმწიფო კაპიტალიზმსა და სოციალიზმზე, იმაზე, თუ როგორ მოვიქცეთ გარდამავალ ეპოქაში, — აქ საბჭოთა ხელისუფლების დროს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ნაჭერი ერთმანეთის გვერდით არსებობს. ამ საკითხის გაგება ამხ. ბუხარინს არ უნდა, — და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ერთბაშად გადავაგდოთ ის, და ამხ. ბუხარინიც არ თხოულობს მის გადაგდებას და არც უარყოფს, რომ ეს სახელმწიფო კაპიტალიზმი უფრო მაღლა დგას წვრილმესაკუთრულ სულისკვეთებათა და ცხოვრებისა და ყოფის ეკონომიური პირობების იმ ნაშთზე, რომელიც ძალიან დიდია, და რაც ამხ. ბუხარინმა ვერ უარყო, — და ამის უარყოფა არც შეიძლება, თუ არ დაივიწყებთ სიტყვას: მარქსისტი.

და სასაცილოა დგომა გეს თვალსაზრისზე, რომ ევროპაში პროლეტარიატი ჭირითაა დასნეულებული, რომ გერმანიაში პროლეტარიატი გაფუჭებულია[97]. ესაა თვალსაზრისი ნაციონალური სიველურისა, ისეთი სიჩლუნგისა, რომ უკვე არ ვიცი, რაღა შეიძლება მეტი. პროლეტარიატი ევროპაში სულაც არაა უფრო დასნეულებული, ვიდრე რუსეთში, ხოლო იქ უფრო ძნელია რევოლუციის დაწყება იმიტომ, რომ იქ ხელისუფლების სათავეში არც რომანოვის მსგავსი იდიოტებია, არც კერენსკის მსგავსი მკვეხარები, არამედ არიან კაპიტალიზმის სერიოზული ხელმძღვანელები, რაც რუსეთში არ ყოფილა.

ბოლოს, მე გადავალ მთავარ საპასუხო მოსაზრებებზე, რომელთაც ყოველი მხრიდან უშენდნენ ჩემს სტატიას და ჩემს სიტყვას. აქ განსაკუთრებით მოხვდა ლოზუნგს: «ძარცვე ნაძარცვი», — ლოზუნგს, რომელშიც, მიუხედავად იმისა, რომ ყოველნაირად ვუკვირდები, ვერ ვნახულობ რაიმე უმართებულოს, თუ სცენაზე ისტორია გამოდის. თუ ვხმარობ სიტყვებს: ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, — რატომ არ შეიძლება აქ ლათინური სიტყვები არ ვიხმაროთ? (ტ ა შ ი).

და მე ვფიქრობ, რომ ისტორია ჩვენ სავსებით გაგვამართლებს, ხოლო ისტორიაზე კიდევ უფრო ადრე ჩვენს მხარეზე მშრომელი მასები დგებიან; მაგრამ თუ ლოზუნგმა «ძარცვე ნაძარცვი» სრულიად შეუზღუდავად იჩინა თავი საბჭოების მოქმედებაში, და თუ აღმოჩნდება, რომ ისეთ პრაქტიკულ და ძირითად საკითხში, როგორიც შიმშილი და უმუშევრობაა, ჩვენ უდიდეს სიძნელეებს ვაწყდებით, მაშინ აქ დროულია ვთქვათ, რომ სიტყვების — «ძარცვე ნაძარცვი» — შემდეგ იწყება უთანხმოება პროლეტარულ რევოლუციას შორის, რომელიც ამბობს: ნაძარცვი აღრიცხე და მისი ცალ-ცალკე დატაცების ნება არ მისცე, ხოლო თუ დატაცებას დაიწყებენ პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დისციპლინის ასეთი დამრღვევნი დახვრიტე...

და აი, როცა ამის წინააღმდეგ იწყებენ ყვირილს, როცა გაიძახიან, რომ — დიქტატურააო, ყვირიან ნაპოლეონ III-ზე, იულიუს კეისარზე, ამბობენ, რომ ეს მუშათა კლასის არასერიოზულობააო, როდესაც ამტყუნებენ ტროცკის, აქ არის ის დომხალი თავებში, ის პოლიტიკური სულისკვეთება, რომელიც აშკარავდება სწორედ წვრილბურჟუაზიული სტიქიით, რომელიც პროტესტს უცხადებდა არა ლოზუნგს «ძარცვე ნაძარცვი», არამედ ლოზუნგს: იანგარიშე და გაანაწილე წესიერად. შიმშილი არ იქნება რუსეთში, თუ ჩვენ აღვრიცხავთ პურს, შევამოწმებთ ყველა არსებულ პროდუქტს, და დადგენილი წესრიგის დარღვევას მოჰყვება უსასტიკესი სასჯელი. აი სადაა უთანხმოება. ეს დამოკიდებულია იმ ვითარებისაგან, რომ სოციალისტურ რევოლუციას სერიოზულად ემხრობა

მხოლოდ პროლეტარიატი, ხოლო წვრილი ბურჟუაზია მისკენ მიდის რყევით, რასაც ჩვენ ყოველთვის ვხედავდით, რასაც ყოველთვის ვუწევდით ანგარიშს, და ამ მერყეობაში ისინი ჩვენს წინააღმდეგ არიან. ეს ჩვენ ვერ შეგვარყევს, და ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს გზას იმ რწმენით, რომ პროლეტარიატის ნახევარი ჩვენ გამოგვყვება, იმიტომ რომ მათ მშვენივრად იციან, თუ როგორ გაძარცვეს მეფაბრიკეებმა ნაძარცვი მხოლოდ იმისათვის, რომ მით ღარიბებს არ ესარგებლათ.

ყოველივე ეს — სიტყვიერი ფანდია, რომ აქაო-და დიქტატურა, ნაპოლეონ III, იულიუს კეისარიო და სხვ.. აქ შეიძლება ამის შესახებ თვალში ნაცრის შეყრა, მაგრამ ადგილობრივ, ყოველ ფაბრიკაში, თვითეულ სოფელში ჩინებულად იციან, რომ ჩვენ ამაში ჩამოვრჩით, არავინ არ შეედავება ამ ლოზუნგს, თვითეულმა იცის, რას ნიშნავს იგი. და რომ ჩვენ მთელ ჩვენს ძალებს აღრიცხვის, კონტროლისა და სწორი განაწილების მოსაწყობად მივმართავთ, ამაშიც აგრეთვე არ შეიძლება ეჭვის შეტანა.

ბუხარინი გვეუბნებოდა: «ვემიჯნები იმათ, ვინც მე მკოცნისო», ხოლო ისინი იმდენია, რომ ამხ. ბუხარინი თავს ვერ დაიხსნის. ჩვენ არ გვეუბნებიან, რა წინადადებას იძლევიან, იმიტომ რომ არ იციან, რა წინადადება მოგვცენ. თქვენ კი იცით, რა წინადადება უნდა მოგვცეთ? მე თქვენ გისაყვედურებდით პრესაშიც და სიტყვებშიც. სარკინიგზო დეკრეტის საკითხის შესახებ ჩვენ გვქონდა სიამოვნება მოგვეგონებინა 4 აპრილს, რაზედაც თქვენს ჟურნალში არის მითითება, და მე ვამბობდი, თუ თქვენ სავსებით კმაყოფილი არა ხართ ამ დეკრეტით, მაშინ მოგვეცით ახალი დეკრეტი. მაგრამ ამაზე კრინტი არაა პირველ ნომერში, მეორე ნომერშიც, რომლის კორექტურა თავაზიანად გადმომცეს გადასახედავად, — კრინტი არაა დაძრული, არც ამხ. ბუხარინის სიტყვაშია კრინტი, ხოლო თანადამთხვევა სრულია. ამხ. ბუხარინიც და ამხ. მარტოვიც აფრინდებიან თავის საყვარელ საგანს — სარკინიგზო დეკრეტს, — და სწეწავენ მას. ლაპარაკობენ ნაპოლეონ III-ის დიქტატურაზე, იულიუს კეისარზე და სხვ., იძლევიან მასალას

ასი ნომრისთვის, რომელთაც არ წაიკითხავენ. აი ეს ცოტა ახლოსაა. ეს ეხება მუშებს და რკინიგზებს. ურკინიგზოდ კი არათუ სოციალიზმი არ იქნება, არამედ ყველა პირდაპირ შიმშილისაგან ჩაკვდება ძაღლებივით, მაშინ როცა პური იქვე გვერდით ძევს. ეს ყველამ ჩინებულად იცის. რატომ არ მოგვცეს პასუხი? თქვენ თვალს ხუჭავთ. თქვენ ნაცარს აყრით თვალში მუშებს — ნოვოჟიზნელები და მენშევიკები შეგნებულად, ამბ. ბუხარინი შეცდომით, — თქვენ უფარავთ მუშებს მთავარ საკითხს, როცა მშენებლობაზე ლაპარაკობთ. რისი შენება შეიძლება ურკინიგზებოდ? და როცა ვხედავ ვაჭარს, რომელიც მეუბნება ამა თუ იმ შეხვედრის ან დელეგაციების მიღების დროს, რომ ამა და ამ რკინიგზაზე გაუმჯობესება ეტყობაო, ჩემთვის ასეთი ქება მილიონჯერ უფრო ძვირფასია, ვიდრე კომუნისტების და ვინც უნდა იყოს სხვების 20 რეზოლუცია და ვიდრე სხვადასხვა სიტყვები.

და როცა საქმიანი ადამიანები — ინჟინრები, ვაჭრები და სხვ. — ამბობენ, რომ უკეთუ ეს ხელისუფლება თუნდ ცოტათი, თუნდ რამდენადმე მოაგვარებს რკინიგზებს, ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეს ხელისუფლებაა. და ხელისუფლების ეს შეფასება ყველაზე მნიშვნელოვანია. ვინაიდან რკინიგზები — ეს უმთავრესია, ეს ერთ-ერთი გამოვლინებაა ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის არსებული ყველაზე მკაფიო კავშირისა, რომელსაც ემყარება მთლიანად სოციალიზმი. საიმისოდ, რომ ეს შეერთდეს გეგმაშეწონილი მოქმედებისათვის მთელი მოსახლეობის სასარგებლოდ, საჭიროა რკინიგზები.

ყველა ეს ფრაზა დიქტატურაზე და სხვ., რაშიაც ყველა ეს მარტოვები და კარელინები თანხმდებოდნენ, რაც ორჯერ იღეჭება კადეტური პრესის მიერ, ყველა ეს ფრაზა არაფრის მაქნისი არაა.

მე თქვენ მაგალითად დაგისახელეთ ის მუშათა ორგანიზაციები, რომელნიც ამას აკეთებენ, და სხვა საწარმოების, მრეწველობის სხვა დარგების სახელმწიფო კაპიტალიზმი;

მეთამბაქოეთ, მეტყავეთ მეტი სახელმწიფო კაპიტალიზმი აქვთ, ვიდრე სხვებს, და მეტი წესრიგიც, და მათ უფრო უზრუნველყოფილი აქვთ გზა სოციალიზმისაკენ. და ამის დამალვა არ შეიძლება, ასევე არ შეიძლება ისეთი უაზრო ფრაზების წამოსროლა, როგორც ამას სჩადის გე, იმის შესახებ, რომ შაშხანით იგი ყველას აიძულებს. ეს ხომ სრული უაზრობა და იმის გაუგებლობაა, თუ რას ემსახურება შაშხანა. ამის შემდეგ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ შაშხანა ცუდი რამაა, თუ ცუდი რამ არაა თვით ანარქისტ გეს თავი. (ტ ა შ ი). შაშხანა ძალიან კარგი რამაა, როცა საჭირო იყო ჩვენს წინააღმდეგ მეომარი კაპიტალისტის დახვრეტა, როცა საჭირო იყო ქურდების ქურდობაში დაჭერა და დახვრეტა. მაგრამ როცა ამხ. ბუხარინი ამბობდა, რომ არიან ადამიანები, რომელნიც 4 000 ღებულობენ, რომ ისინი კედელზე უნდა მივაყენოთ და დავხვრიტოთო — ეს სწორი არაა. ისინი უნდა გამოვნახოთ. ჩვენ ხომ ძალიან ბევრი ადგილი არა გვაქვს, სადაც ისინი ოთხ-ოთხ ათასს იღებენ. მათ ექაჩებიან აქაც და იქაც, — სპეციალისტები ჩვენ არა გვყავს, აი რაშია საქმის დედაარსი, აი რატომაა საჭირო მოვიზიდოთ 1 000 კაცი, თავიანთი დარგების პირველხარისხოვანი სპეციალისტები, რომელნიც აფასებენ თავიანთ საქმეს, რომელთაც უყვართ მსხვილი წარმოება, რადგან მათ იციან, რომ აქ ტექნიკის ამაღლებაა. და როდესაც აქ ამბობენ, სოციალიზმი შეიძლება მივიღოთ ბურჟუაზიისგან უსწავლელადო, მე ვიცი, რომ ეს ცენტრალური აფრიკის მცხოვრების ფსიქოლოგიაა. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია სხვა სოციალიზმი, გარდა იმ სოციალიზმისა, რომელიც დამყარებულია მსხვილი კაპიტალისტური კულტურით მოპოვებული ყველა გაკვეთილის საფუძვლებზე. სოციალიზმი უფოსტოდ, უტელეგრაფოდ, უმანქანოდ — სრულიად ცარიელი ფრაზაა. მაგრამ ერთბაშად არ შეიძლება ბურჟუაზიული ვითარებისა და ბურჟუაზიული ჩვეულებების გამოგვა, ამას ესაჭიროება ის ორგანიზაცია, რომელზედაც დგას მთელი თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა. ამ საქმისთვის შაშხანების გახსენება უდიდესი სისულელეა. საყოველთაო-სახალხო ორგანიზებულობაზეა დამოკი-

დებული, რომ მთელი მოსახლეობა იხდიდეს საშემოსავლო გადასახადს, რომ შემოღებულ იქნას შრომითი ბეგარა, რომ თვითეული იყოს რეგისტრაციაში გატარებული; სანამ ის არაა რეგისტრაციაში გატარებული, საჭიროა ვაძლიოთ მას ფული. როცა ბუხარინი ამბობდა, რომ ვერ ხედავს პრინციპს, ეს ამას არ ეხება. მარქსი ვარაუდობდა ბურჟუაზიის, როგორც კლასის, გამოყიდვას. იგი ინგლისზე წერდა, როცა ინგლისს არ ჰქონდა იმპერიალიზმი, როცა შესაძლებელი იყო მშვიდობიანი გადასვლა სოციალიზმზე, — ეს სულაც არ წარმოადგენს წინანდელ სოციალიზმზე მითითებას[98]. ახლა ლაპარაკია არა ბურჟუაზიაზე, არამედ სპეციალისტების მოზიდვაზე. მე დავასახელე მაგალითი, შეიძლება მისი მოყვანა ათასობით. აქ უბრალო მოზიდვაა იმ ადამიანებისა, რომელთა მოზიდვა შეიძლება ან მაღალ ხელფასად ყიდვით, ანდა იდეური ორგანიზაციით, ვინაიდან თქვენ აქ ვერ ამოშლით, რომ მთელი ხელფასი მათ ეძლევა. ჩვენ ვიცით მაგალითიდან, რომელიც მე მოვიყვანე, — თქვენ ხომ აქამდე მხოლოდ ხმაამოუღებლივ აკრიტიკებდით, და მემარცხენე ესერებმა ხომ ჩინებულად იციან, რომ ჯამაგირი დიდი ეძლევათ, იციან ეს მემარცხენე კომუნისტებმა და ნოვოჟიზნელებმა.

და აქ ისინი არ აკრიტიკებენ. აი საბჭოთა ხელისუფლების რა ჭეშმარიტი კრიტიკა აქვთ მათ! როდესაც ისინი ხედავდნენ, რომ მათს ინჟინრებს აძლევენ თვითეულს ათას ხუთას მანეთს, ამაზე ისინი სდუმდნენ. გაცილებით უფრო სასარგებლოა ასეთ ინჟინრებს ფული ვაძლიოთ. და აქ არაა არც იულიუს კეისარი, არც დიქტატურა. ეს სწორედ ხალხის მასების პოლიტიკური აღზრდაა. ხოლო თუ მე ვამბობ, რომ ჩვენ ვიწყებთ თვეში თვითეულისათვის ათას ხუთასის-ორი ათასის მიცემას, ეს — ნაბიჯია უკან. და მაშინ სცენაზე გამოდიან იულიუს კეისარიც, ნაპოლეონ III-ეც, ბრესტ-ლიტოვსკის ზავიც და ყველაფერი, რაც გნებავთ; თქვენს სპეციალისტებზე, თქვენს ინჟინრებზე კი კრინტი არ იძვრება, დუმილია. და როცა ამბობენ, და როცა ბუხარინი ამბობს, ეს არაა პრინციპის დარღვევაო, მე ვამბობ, რომ აქ არის პარიზის კომუნის პრინციპის

დარღვევა. სახელმწიფო კაპიტალიზმი ფულში კი არა, საზოგადოებრივ ურთიერთობაში მდგომარეობს. თუ ჩვენ ვაძლევთ თვითეულს ორი ათასს სარკინიგზო დეკრეტის მიხედვით, ეს სახელმწიფო კაპიტალიზმია. თუ ამხ. ბუხარინი მიუთითებდა 1915 წლის ციმერვალდის რეზოლუციაზე, იგი ამ ცუდადმონელებული თეორიიდან ვერ გამოძვრება. გამოძვერით, ამხ. ბუხარინ. ახლა ამხ. ბუხარინი ამბობდა, რომ მე თავს ვესხმი წვრილბურჟუაზიულ სტიქიას.

მე თავს არ დავსხმივარ მშრომელ გლეხობას, როცა წვრილბურჟუაზიულ სტიქიაზე ვლაპარაკობდი. დავანებოთ თავი მშრომელ გლეხობას — მასზე არაა ლაპარაკი. მაგრამ გლეხობაში არის მშრომელი გლეხობა და წვრილბურჟუაზიული გლეხობა, რომელიც ცხოვრობს როგორც წვრილი მესაკუთრე სხვის ხარჯზე, მშრომელ გლეხობას კი ექსპლოატაციას უწევენ სხვები, მაგრამ მას სურს იცხოვროს თავის საკუთარ ხარჯზე. ამიტომ, თუ დაიწყეს მშრომელ გლეხობაზე თავდასხმა, ამხ. კარელინი მართალი არაა. ღარიბი გლეხობა, რომელიც არაფერს არ იგებს ნაძარცვის ძარცვისაგან, ჩვენს მხარეზეა. იქ ჩვენი ლოზუნგები გავა. ჩვენ ჩინებულად ვიცით და ვხედავთ, თუ როგორ ესმით სოფლად ლოზუნგი — ძარცვე ნაძარცვი. თუ იქ წავლენ აგიტაციით დიქტატურის შესახებ და ფრაზებით ბრესტის ზავის შესახებ და სხვ., მაშინ ადამიანები, რომელნიც ჩვენ გვედავებიან, განმარტოებული დარჩებიან და მხარდაჭერას ვერ მიიღებენ. პროლეტარიატი, გლეხობის მასა, რომელიც გაჩანაგებული და უიმედოა ინდივიდუალური მეურნეობის აზრით, ჩვენს მხარეზე იქნება, რადგან მშვენივრად იცის, რომ რუსეთის შენარჩუნება უბრალო ძარცვით შეუძლებელია. ჩვენ ეს ყველამ კარგად ვიცით, და თვითეული თავის ადგილზე ხედავს და გრძნობს ამას.

აქ ჩვენ მივდივართ მშრომელი მასების ეკონომიურ მოთხოვნილებასა და სულისკვეთებასთან ერთად. და ამიტომ, როცა მემარცხენე კომუნისტების დეკლასირებული ინტელიგენცია სჭექს და ჰქუხს ჩვენს წინააღმდეგ, დარწმუნებული **უნდა ვიყოთ, რომ, რაც უნდა გვლანძღონ, სოციალისტური**

რევოლუციის ეს ლოზუნგი — მაინც ერთადერთი სწორი ლოზუნგია, რომელიც მშრომელმა მასებმა უნდა გაიგონ და გამოიყენონ იმისათვის, რომ სოციალისტური რევოლუცია განვამტკიცოთ და დავამთავროთ. ამ საკითხს ვერ გაექცევით ვერც ერთ მუშათა კრებაზე; თქვენ დევნას დაგიწყებენ ამ დეკრეტით, ამ საკითხით, ჩვენ არ ვჩემულობთ უცოდველობას, ჩვენ ბევრი ცუდი დეკრეტი გვაქვს. გაასწორეთ: თქვენ გაქვთ სხვადასხვა ჟურნალები, გყავთ ლიტერატორთა ჯგუფები, — თქვით, რა არის ცუდი სარკინიგზო დეკრეტში; ჩვენ ამის წინადადება შევიტანეთ 4 აპრილის თათბირზე, დღეს კი უკვე 29 აპრილია, — გავიდა 25 დღე, დიდებული ლიტერატორების მთელი ჯგუფი კი სდუმს, იმიტომ რომ მათ არაფრის თქმა არ შეუძლიათ.

თქვენ იცით, რომ ჩვენი სარკინიგზო დეკრეტი ჩაწვდა, მიუხედავად ყველა მისი შეცდომისა, რაც ჩვენ მზადა ვართ გავასწოროთ, ჩაწვდა თვით დედაარსს იმისას, რაც საჭიროა; იგი ეყრდნობა მუშათა იმ მასას, რომელიც უსასტიკესი დისციპლინის ერთგულია, რომელიც უნდა გააერთიანოს ერთპიროვნულმა ხელისუფლებამ, რომელსაც საბჭოები ნიშნავენ და რომელსაც საბჭოები სცვლიან, და მოითხოვენ მუშაობის დროს, შრომის დრის სიტყვაშეუბრუნებელ შესრულებას პროცესში, როცა საჭიროა, რომ მსხვილმა წარმოებამ მანქანასავით იმუშაოს, და რომ ამ დროს ათასობით ადამიანები ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ ერთი ნებისყოფით, ემორჩილებოდნენ ერთი საბჭოთა ხელმძღვანელის ბრძანებას. (ტაში). და ამის გამო ნაპოლეონისა და იულიუს კეისრის გახსენება ნიშნავს — ან ჭკუაზე შეშლას, ან საბოლოოდ დაბნევას იმ ცენზიანი ლიტერატურის სტრიქონებში, რომელიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკებს ლანძღავენ. სარკინიგზო დეკრეტი, ამხანაგებო, ეს ის ნაბიჯია, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჩვენ სწორ გზას დავადექით, რომ ჩვენ შარაგზაზე გამოვედით. და ჩემს სიტყვაში მე შეგატყობინეთ, თუ რატომ დავადექით ჩვენ ამ გზას; ჩვენ არ გვიმსჯელია სახალხო კომისართა საბჭოში ნაპოლეონ დიდზე და იულიუს

კეისარზე, არამედ ათასჯერ ვიმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ გამოვასწოროთ რკინიგზა, და ჩვენ ვიცით გამოხმაურება ადგილებიდან, ვიცით რკინიგზის ორგანიზაციებთან გამართული მრავალი საუბრიდან, რომ პროლეტარული ელემენტი ჩვენს მხარეზეა, რომ იგი ეძებს დისციპლინას და მოელის წესრიგს, იგი ხედავს, როგორ შიმშილობენ ადამიანები რუსეთის ცენტრში, პური კი არის, მაგრამ გადმოზიდვის მოუწესრიგებლობის გამო მისი მიტანა ძნელია.

მაგრამ თუ არიან მერყევი, გზააბნეული ადამიანები წვრილბურჟუაზიული სულისკვეთებით, რომელნიც ერთპიროვნულ ხელისუფლებას შეუშინებია, რომელნიც ისტერიკაში ვარდებიან და ჩვენთან ერთად არ მოდიან, რატომაა ეს? იმიტომაა, რომ არის მემარჯვენე ფრთა, თუ იმიტომაა, რომ ისტერიკაში ჩავარდნენ, მეტადრე მემარცხენე ესერები, აქ სრული დომხალია, რომელსაც ვერავინ გაარკვევს, — და უსარგებლოდ რომ არ ვიკამათოთ, ჩვენ ვამბობთ: აიღეთ ძირეული საკითხი და კონკრეტულად მიუდექით მას.

როდესაც აქ ლაპარაკობენ ბურჟუაზიასთან შერიგებაზე, როგორც ამბობენ კარელინი და მარტოვი, ეს მიქარვაა. მე თქვენ მოგაგონებთ კაუცკის ავტორიტეტული ბროშურიდან, თუ როგორ წარმოედგინა მას ცხოვრება სოციალური რევოლუციის მეორე დღეს. დაახლოებით ვიტყვი, რას წერდა ის: ტრესტის ორგანიზატორებს არ მოუხდებათ უსაქმოდ ჯდომაო. ამას წერდა კაცი, რომელსაც ესმის, რომ მრავალი ათეული მილიონი ადამიანის ორგანიზაციულად შეკავშირება პროდუქტების წარმოებისა და განაწილებისათვის — ეს საქმეა! ჩვენ ეს არ გვისწავლია და ვერც ვისწავლიდით სადმე, ტრესტის ორგანიზატორებმა კი იციან, რომ უამისოდ სოციალიზმი არ იქნება. და ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ. და ამიტომ მთელი ფრაზები ბურჟუაზიასთან შერიგებისა და შეთანხმების შესახებ — ცარიელი ლაყბობაა. თქვენ ვერ შეძლებთ უარყოთ კაუცკის დებულება, რომ მსხვილი წარმოება უნდა ვიცოდეთ გამოცდილებით.

ექვსი თეზისი საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ

1. საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა უაღრესად მძიმე და კრიზისულია, ვინაიდან საერთაშორისო კაპიტალისა და იმპერიალიზმის ყველაზე ღრმა და ძირითადი ინტერესები აღუძრავენ მას სურვილს ესწრაფოდეს არა მარტო რუსეთზე სამხედრო შემოტევას, არამედ აგრეთვე შეთანხმებას რუსეთის განაწილებისა და საბჭოთა ხელისუფლების ჩახრჩობის შესახებ.

მხოლოდ გამწვავება ხალხთა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტისა ევროპის დასავლეთში და იაპონიისა და ამერიკის იმპერიალისტური ქიშპობა შორეულ აღმოსავლეთში — დამბლას სცემს ან აკავებს ამ მისწრაფებებს, ისიც მხოლოდ ნაწილობრივ და მხოლოდ განსაზღვრული, ალბათ, ხანმოკლე დროით.

ამიტომ საბჭოთა რესპუბლიკის სავალდებულო ტაქტიკას უნდა წარმოადგენდეს, ერთი მხრით, მთელი ძალების უკიდურესად დაძაბვა ქვეყნის ეკონომიურად რაც შეიძლება მალე ასაღორძინებლად, მისი თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად, მძლავრი სოციალისტური არმიის შესაქმნელად; მეორე მხრით, საერთაშორისო პოლიტიკაში სავალდებულო მიხვევ-მოხვევის, უკანდახევის, ლოდინის ტაქტიკა იმ მომენტამდე, როცა საბოლოოდ მომწიფდება საერთაშორისო პროლეტარული რევოლუცია, რომელიც ახლა წინანდელზე უფრო ჩქარა მწიფდება მთელ რიგ მოწინავე ქვეყნებში.

2. საშინაო პოლიტიკის დარგში ამჟამად დღის წესრიგში დგება, სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის 1918 წ. 15 მარტის რეზოლუციის თანახმად, ორგანიზაციული ამოცანა. სწორედ ეს ამოცანა, განსაზოგადოებული მსხვილი მანქანური (შრომის) წარმოების ბაზაზე პროდუქტების წარმოებისა და განაწილების ახალ და უმაღლეს დაყენებასთან შეფარდებით, შეადგენს მთავარ შინაარსს და მთავარ პირობას იმ სოციალისტური რევოლუციის სრული გამარჯვებისას, რომელიც დაიწყო რუსეთში 1917 წლის 25 ოქტომბერს.

3. წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, მომენტის დედააზრს წარმოადგენს ის, რომ სოციალისტური რევოლუციის პროგრამის სისწორეში მშრომელი რუსეთის დარწმუნების ამოცანა და ექსპლოატატორთაგან მშრომელთათვის რუსეთის ბრძოლით წართმევის ამოცანა, მთავარ და ძირითად ხაზებში, უკვე დამთავრებულია, და დღის წესრიგში დგება მთავარი ამოცანა — როგორ ვმართოთ რუსეთი. ორგანიზაცია წესიერი მმართველობისა, საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარებისა, — ასეთია საბჭოების საარსებო ამოცანა, ასეთია საბელმწიფოს საბჭოთა ტიპის სრული გამარჯვების პირობა, რომელი ტიპის ფორმალურად დეკრეტირება ჯერ კიდევ არ კმარა, არ კმარა მისი დაფუძნება და ქვეყნის ყველა კუთხეში შემოღება, არამედ საჭიროა აგრეთვე მისი პრაქტიკულად მოგვარება და შემოწმება მმართველობის რეგულარულ, ყოველდღიურ მუშაობაში.

4. სოციალიზმის ეკონომიური მშენებლობის დარგში მომენტის დედააზრს წარმოადგენს ის, რომ ჩვენი მუშაობა პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაზე საყოველთაო-სახალხო და ყოვლისმომცველი აღრიცხვისა და კონტროლის მოსაწყობად და წარმოების პროლეტარული რეგულირების შემოსაღებად ძალიან ჩამორჩა ექსპროპრიატორების — მემამულეებისა და კაპიტალისტების — უშუალო ექსპროპრიაციისათვის მუშაობას. ეს არის ძირითადი ფაქტი, რომელიც ჩვენს ამოცანებს განსაზღვრავს.

მისგან გამომდინარეობს, ერთი მხრივ, ის, რომ ბურჟუაზიასთან ბრძოლა ახალ ფაზისში შედის, სახელდობრ კი: სიმძიმის ცენტრად ხდება კონტროლისა და აღრიცხვის ორგანიზაცია. მხოლოდ ამ გზით შეიძლება განმტკიცებულ იქნას ყველა ის ეკონომიური მონაპოვარი კაპიტალის წინააღმდეგ და ყველა ის ღონისძიება სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგთა ნაციონალიზაციის ხაზით, რომელთაც ჩვენ მივაღწიეთ ოქტომბრიდან, და მხოლოდ ამ გზით შეიძლება მომზადდეს ბურჟუაზიასთან ბრძოლის წარმატებით დამთავრება, ე. ი. სოციალიზმის სრული განმტკიცება.

აღნიშნული ძირითადი ფაქტიდან გამომდინარეობს, მეორე მხრივ, იმის ახსნა, თუ რატომ მოუხდა საბჭოთა ხელისუფლებას ზოგიერთ შემთხვევაში ნაბიჯის უკან გადადგმა ან ბურჟუაზიულ ტენდენციებთან კომპრომისზე წასვლა. ასეთი უკანგადადგმული ნაბიჯი და პარიზის კომუნის პრინციპებიდან გადახვევა იყო, მაგალითად, მაღალი ჯამაგირების შემოღება მთელი რიგი ბურჟუაზიული სპეციალისტებისათვის. ასეთი კომპრომისი იყო ბურჟუაზიულ კოოპერატივებთან შეთანხმება მთელი მოსახლეობის კოოპერატივებში თანდათანობით ჩასაბმელად საჭირო ნაბიჯებისა და ღონისძიებათა შესახებ. ვიდრე პროლეტარული ხელისუფლება სავსებით ფეხზე არ დააყენებს საყოველთაო-სახალხო კონტროლსა და აღრიცხვას, მგვარი კომპრომისები აუცილებელია, და ჩვენი ამოცანაა სრულიადაც არ დავუმალოთ ხალხს მათი უარყოფითი ნიშნები, მთელი ძალ-ღონე დავძაბოთ იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ აღრიცხვა და კონტროლი, როგორც ერთადერთი საშუალება და გზა ყოველი ამგვარი კომპრომისის სრული მოსპობისაკენ. დღევანდელ მომენტში ამგვარი კომპრომისები აუცილებელია, როგორც ერთადერთი (როცა ჩვენ ასე დაგვიგვიანდა აღრიცხვა და კონტროლი) უზრუნველმყოფელი საშუალება უფრო ნელი, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მტკიცე წინსვლისათვის. პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაზე აღრიცხვისა და კონტროლის სრული გატარების დროს ასეთი კომპრომისები საჭირო აღარ იქნება.

5. დღის წესრიგში განსაკუთრებით დგება შრომის დისციპლინისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებანი. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით პროფესიული კავშირების მიერ, უკვე გადადგმულ ნაბიჯებს მთელი ძალ-ღონით უნდა დავუჭიროთ მხარი, განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ ისინი. ამას მიეკუთვნება, მაგალითად, სანარდო ხელფასის შემოღება, ბევრი ისეთი რამის გამოყენება, რაც მეცნიერული და პროგრესულია ტეილორის სისტემაში, ხელფასის შეთანაბრება ფაბრიკის ნამუშევრის საერთო ჯამთან ან რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის საექსპლოატაციო შედეგებთან და სხვ.. ამასვე მიეკუთვნება შეჯიბრების მოწყობა ცალკეულ საწარმოო და სამომხმარებლო კომუნებს შორის, ორგანიზატორების შერჩევა და სხვ.

6. პროლეტარიატის დიქტატურა უეჭველ აუცილებლობას წარმოადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის დროს, და ჩვენს რევოლუციაში ამ ჭეშმარიტებამ თავისი სრული პრაქტიკული დადასტურება ჰპოვა. მაგრამ დიქტატურა გულისხმობს ნამდვილად მტკიცე და როგორც ექსპლოატატორების, ისე ხულიგნების დათრგუნვაში ულმობელ რევოლუციურ ხელისუფლებას, ჩვენი ხელისუფლება კი მეტად ლმობიერია. ჯერ კიდევ ფრიად და ფრიად არასაკმაოდაა უზრუნველყოფილი შრომის დროს დამორჩილება, ამასთანავე უსიტყვო დამორჩილება, იმ საბჭოთა ხელმძღვანელების, დიქტატორების ერთპიროვნული განკარგულებებისადმი, რომელნიც არჩეული ან დანიშნული არიან საბჭოთა დაწესებულებების მიერ და მინიჭებული აქვთ დიქტატორული რწმუნებანი (როგორც ამას მოითხოვს, მაგალითად, სარკინიგზო დეკრეტი). აქ თავს იჩენს გავლენა წვრილბურჟუაზიული სტიქიისა, იმ წვრილმესაკუთრულ ჩვეულებათა, მისწრაფებათა და სულისკვეთებათა სტიქიისა, რომლებიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება პროლეტარულ დისციპლინირებულობასა და სოციალიზმს. ყოველივე ის, რაც პროლეტარიატში შეგნებულია, მიმართულ უნდა იქნას ამ წვრილბურჟუაზიულ სტიქიასთან საბრძოლველად, რომელიც პოულობს თავის გამოხატუ-

ლებას, — არა მარტო პირდაპირს (ბურჟუაზიისა და მისი მაჩანჩალების: მენშევიკების, მემარჯვენე ესერებისა და სხვ. მიერ პროლეტარული ხელისუფლებისადმი ყოველგვარი წინააღმდეგობისათვის მხარისდაჭერა), არამედ არაპირდაპირსაც (ის ისტორიული მერყეობა, რომელსაც პოლიტიკის მთავარ საკითხებში იჩენს როგორც მემარცხენე ესერების წვრილბურჟუაზიული პარტია, ისე წვრილბურჟუაზიული რევოლუციურობის ხერხებამდე ჩამოქვეითებული, მემარცხენე ესერების წამბაძავი «მემარცხენე-კომუნისტური» მიმდინარეობა ჩვენს პარტიაში).

რკინისებური დისციპლინა და ბოლომდე გატარებული დიქტატურა პროლეტარიატისა წვრილბურჟუაზიულ რყევათა წინააღმდეგ — ასეთია მომენტის საერთო და შემაჯამებელი ლოზუნგი.

დაწერილია 1918 წ.
30 აპრილს — 3 მაისს შუა.

დაიბეჭდა 1918 წ. ბროშურაში: ნ. ლენინი. «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები», სრულიად რუსეთის ცაკ-ის გამოცემა

იბეჭდება ბროშურის 1918 წ. მეორე გამოცემის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან

სამეურნეო და განსაკუთრებით საბანკო პოლიტიკის ძირითადი დებულებანი

I. ვრცელობისა და გაცვლა-გამოცვლის ნაციონალიზაციის ბოლომდე მიყვანა.

II. ბანკების ნაციონალიზაცია და თანდათანობითი გადასვლა სოციალიზმზე.

III. მოსახლეობის იძულებითი გაერთიანება სამომხმარებლო საზოგადოებებში.

{+ საქონლის გაცვლა-გამოცვლა}

IV. პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვა და კონტროლი.

V. შრომის დისციპლინა.

{+ საგადასახადო პოლიტიკა}

ცენტრალიზაცია.

იძულებითს მიმდინარე ანგარიშზე ან ბანკებში ფულის იძულებით შენახვაზე გადასვლის ღონისძიებანი.

მოსახლეობის იძულებითი გაერთიანება სამომხმარებლო საზოგადოებებად და ამაზე გადასვლის ღონისძიებანი.

პირობები კოოპერატორებთან დასადები ხელშეკრულებისა მათი აპარატის თანდათანობით გადასვლის შესახებ მთელი მოსახლეობის გაერთიანებაზე სამომხმარებლო საზოგადოებებში.

ზემოდან დაწყებული შრომითი ბეგარა.

იმის აღიარება, რომ უდავოდ აუცილებელი და გადაუდებელია ყოვლად ულმობელი ზომების მიღება ქაოსის, უწესრიგობისა და უსაქმობის წინააღმდეგ საბრძოლველად, უაღრესად გადამწყვეტი და დრაკონული ზომების მიღება მუშათა

და გლეხთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის ასამაღლებლად.

სახელმწიფო კონტროლის გარდაქმნა რეალურ კონტროლად იმისათვის, რომ შეიქმნას კონტროლიორთა მფრინავი ჯგუფები სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში.

პრაქტიკული პირობები მუშაობაში იმ ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და მესაბოტაჟეთა ჩასაბმელად, რომელნიც სურვილს გამოთქვამენ იმუშაონ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად.

სამრეწველო სასამართლოები პროდუქტების წარმოების, მარაგისა და შრომის ნაყოფიერების აღრიცხვისათვის.

(დაუყოვნებლივ და უდავოდ.)

1. მრეწველობის ნაციონალიზაციის ბოლომდე მიყვანა.
2. თანდათანობითი გადასვლა საყოველთაო გაერთიანებაზე სამომხმარებლო საზოგადოებებად და პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა.
3. საბანკო პოლიტიკა.
4. შრომის დისციპლინა და სხვ.
5. საგადასახადო პოლიტიკა (ფინანსები).

1. ყველა ფაბრიკის, ქარხნის, რკინიგზის, წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის საშუალებათა ნაციონალიზაციის ბოლომდე მიყვანა. უცილობელი და ულმობელი ბრძოლა ნაციონალიზებული საწარმოებისადმი სინდიკალისტური და ქაოსური დამოკიდებულების წინააღმდეგ. სამეურნეო ცხოვრების ცენტრალიზაციის დაბეჯითებით გატარება საერთო-ნაციონალური მასშტაბით. წინასწარი გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების, ყოველკვირეული ანგარიშების და შრომის ნაყოფიერების ფაქტიური გადიდების განუხრელი მოთხოვნა. მრეწველობის ნაციონალიზებული დარგების მართვისათვის აპარატის შექმნა და პრაქტიკული გამოცდა.

დაწერილია 1918 წ. აპრილში

პირველად დაიბეჭდა 1933 წ.
ლენინის კრებულში XXI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა გეგმის მოწასახი [99]

მეცნიერებათა აკადემიას, რომელმაც დაიწყო რუსეთის ბუნებრივი საწარმოო ძალების * სისტემატური შესწავლა და გამოკვლევა, დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსაგან დავალება

შექმნას სპეციალისტთაგან მთელი რიგი კომისიები, რათა რაც შეიძლება ჩქარა შედგენილ იქნას რუსეთის მრეწველობის რეორგანიზაციისა და ეკონომიური აღორძინების გეგმა.

ამ გეგმაში უნდა შევიდეს:

რუსეთში მრეწველობის რაციონალური გ ა ნ ლ ა გ ე ბ ა ნედლეულის სიახლოვისა და შრომის უმცირესი დანაკარგის შესაძლებლობის თვალსაზრისით ნედლეულის დამუშავებიდან ნახევარფაბრიკატების დამუშავების ყველა თანამომდევნო სტადიაზე გადასვლისას, თვით მზა პროდუქტის მიღებამდე.

უახლესი ყველაზე მსხვილი მრეწველობის და განსაკუთრებით ტრესტების თვალსაზრისით რაციონალური შეერთება და თავმოყრა წარმოებისა რამდენიმე უდიდეს საწარმოში.

ახლანდელი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისათვის (უკრაინის გამოკლებით და გერმანელების მიერ დაკავებული ოლქების გარეშე) იმის შესაძლებლობის უდიდესი უზრუნველყოფა, რომ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ მოიმარაგოს თავი ყ ვ ე ლ ა უმთავრესი სახის ნედლეულითა და მრეწველობით.

---

* მთელი ძალ-ღონით უნდა დაჩქარდეს ამ მასალების გ ა მ ო ც ე მ ა, გაეგზავნოს ამის შესახებ ქაღალდი სახალხო განათლების კომისარიატსაც, სტამბის მუშათა კავშირსაც და შრომის კომისარიატსაც.

განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მრეწველობისა და ტრანსპორტის ელექტროფიკაციაზე და ელექტრობის გამოყენებაზე მიწათმოქმედებაში. არაპირველხარისხოვანი სათბობის (ტორფი, მდარე ხარისხის ნახშირი) გამოყენება ელექტრონის ენერგიის მისაღებად უმცირესი დანახარჯით საწვავის მოპოვებასა და გადაზიდვაზე.

წყლის ძალები და ქარის ძრავები საზოგადოდ და მიწათმოქმედებაში გამოსაყენებლად.

დაწერილია 1918 წ. აპრილში

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
4 მარტს გაზეთ «პრავდაში» № 52

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რეპ Ц. ᲫᲚ

გთხოვთ დღის წესრიგში დააყენოთ პარტიიდან მისი იმ წევრების გარიცხვის საკითხი, რომლებიც, იყვნენ რა მოსამართლეებად მექრთამეთა საქმეზე (2. V. 1918), სადაც ქრთამის აღება დამტკიცდა და მექრთამეებმაც აღიარეს, მაინც დაკმაყოფილდნენ ½ წლის პატიმრობის განაჩენით[100].

მექრთამეთა დახვრეტის ნაცვლად ასეთი აბუჩადამგდებად სუსტი და რბილი განაჩენების გამოტანა ს ა მ ა რ ც ხ ვ ი ნ ო საქციელია კომუნისტისა და რევოლუციონერისათვის. ამნაირი ამხანაგები უნდა ვ დ ე ვ ნ ო თ საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროთი და გ ა ვ რ ი ც ხ ო თ პ ა რ ტ ი ი დ ა ნ, რადგან მათი ადგილია კერენსკეებისა და მარტოვების გვერდით და არა რევოლუციონერ-კომუნისტთა გვერდით.

ლ ე ნ ი ნ ი

4. V. 1918.

პირველად დაიბეჭდა 1933 წ.
ლენინის კრებულში XXI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

«მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ

დაიბეჭდა 1918 წ. 9, 10 და 11 მაისს გაზეთ «პრავდაში» № № 88, 89 და 90

ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ბროშურის: ნ. ლენინი. «ჩვენი დროის მთავარი ამოცანა», გამომ. «პრიბოი», მოსკოვი, 1918, — ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია გაზეთ «პრავდის» ტექსტთან და ბროშურის: ნ. ლენინი (ვ. ი. ულიანოვი). «ძველი სტატიები უფრო ახალ თემებზე», მოსკოვი, 1922, — ტექსტთან

«მემარცხენე კომუნისტების» მცირე ჯგუფის მიერ თავისი ჟურნალის «კომუნისტის» [101] (№ 1, 20 აპრილი, 1918) და თავისი «თეზისების» გამოცემა შესანიშნავად ადასტურებს იმას, რაც მე ვთქვი ბროშურაში «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ»*. არც კი შეიძლება ისურვო ამაზე უფრო თვალსაჩინო დადასტურება — პოლიტიკურ ლიტერატურაში — წვრილბურჟუაზიული თავაშვებულობის იმ დაცვის მთელი გულუბრყვილობისა, რომელიც ზოგჯერ «მემარცხენე» ლოზუნგებით იმალავს თავს. «მემარცხენე კომუნისტების» მსჯელობაზე შეჩერება სასარგებლო და აუცილებელია, ვინაიდან იგი დამახასიათებელია მომენტისათვის, რომელსაც ჩვენ განვიცდით; იგი არაჩვეულებრივად ნათლად არკვევს, უარყოფითი მხრით, ამ მომენტის «დედააზრს»; იგი საგულისხმოა, ვინაიდან ჩვენს წინაშე არიან საუკეთესონი იმ ადამიანთაგან, რომელთაც მომენტი ვერ გაუგიათ და რომელნიც (ოდნითაც და ერთგულებითაც ბევრად და ბევრად უფრო მაღლა დგანან ამგვარივე შეცდომის ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ წარმომადგენლებზე, სახელდობრ, მემარცხენე ესერებზე.

I

როგორც პოლიტიკურმა — ან პოლიტიკური როლის პრეტენზიის მქონე — ძალამ, «მემარცხენე კომუნისტების» ჯგუფმა ჩვენ მოგვცა თავისი «თეზისები მიმდინარე მომენტის

* იხ. ეს ტომი, გვ. 275 — 329. რ ე დ.

შესახებ». ეს კარგი მარქსისტული ჩვეულებაა,—თავისი შეხედულებებისა და თავისი ტაქტიკის საფუძველთა მწყობრი და ბოლიანი დალაგების მოცემა. და ეს კარგი მარქსისტული ჩვეულება დაგვეხმარა გამოგვემჟღავნებინა ჩვენი «მემარცხენეების» შეცდომა, ვინაიდან მარტო არგუმენტაციის — და არა დეკლამაციის — ცდაც კი ააშკარავებს არგუმენტაციის უსაფუძვლობას.

უწინარეს ყოვლისა თვალში გვხვდება თავის ქნევის, გადაკვრით ლაპარაკის, თავდაძვრენის სიმრავლე იმ ძველი საკითხის გამო, მართებული იყო თუ არა ბრესტის ზავის შეკვრა. ამ საკითხის პირდაპირ დაყენება «მემარცხენეებმა» ვერ გაბედეს, და ისინი სასაცილოდ ფართხალობენ, ერთიმეორეზე აყრიან საბუთებს, სდევენ მოსაზრებებს, სძებნიან ყოველგვარ «ერთი მხრით» და «მეორე მხრით», ედებიან აზრით ყველა საგანს, და სხვა მრავალს, ცდილობენ არ შეამჩნიონ, თუ როგორ იმათრახებენ თავისთავს. «მემარცხენეებს» მზრუნველობით მოჰყავთ ციფრი: 12 ხმა პარტიის ყრილობაზე ზავის წინააღმდეგ, როცა 28 ზავის მომხრე იყო, ხოლო იმაზე, რომ საბჭოების ყრილობის ბოლშევიკურ ფრაქციაში მრავალი ასეული. ხმიდან მათ ერთ მეათედზე ნაკლები მიიღეს, მოკრძალებით სდუმან. ისინი ქმნიან «თეორიას», რომ ზავს «დაღლილები და დეკლასირებულები» ატარებდნენ, რომ ზავის წინააღმდეგი «იყვნენ სამხრეთის ეკონომიურად უფრო სასიცოცხლო და პურით უკეთ უზრუნველყოფილი ოლქების მუშები და გლეხები»... როგორ არ უნდა გაეცინოს კაცს ამაზე? სრულიად უკრაინის საბჭოების ყრილობის მიერ ზავისათვის ხმის მიცემაზე კრინტი არაა დაძრული; ზავის მოწინააღმდეგე ტიპიური წვრილბურჟუაზიული და დეკლასირებული პოლიტიკური კონგლომერატის (მემარცხენე ესერების პარტიის) სოციალურ და კლასობრივ ხასიათზე რუსეთში — სიტყვა არაა ნათქვამი. წმინდა ბავშვური მანერაა — თავშესაქცევარი, ვითომ «მეცნიერული» ახსნით დაფარონ თავიანთი კრახი, დაფარონ ფაქტები, რომელთა უბრალო შეჯამებაც კი ცხადყოფდა, რომ ზუსტად დეკლასირებული, ინტელიგენტური პარტიული

«ზედაფენები» და ზედა ნაწილები უარყოფდნენ ზავს რევოლუციური წვრილბურჟუაზიული ფრაზის ლოზუნგებით, რომ სწორედ მუშათა და ექსპლოატირებულ გლეხთა მასებმა გაატარეს ზავი.

მიუხედავად «მემარცხენეების» ყველა აღნიშნული განცხადებისა და თავდაძვრენისა, ომისა და ზავის საკითხის შესახებ, უბრალო და ნათელი სიმართლე მაინც იკაფავს გზას. «ზავის დადებამ — იძულებული არიან აღიარონ თეზისების ავტორებმა — ჯერჯერობით შეასუსტა იმპერიალისტების მისწრაფება საერთაშორისო მორიგებისადმი» (ეს «მემარცხენეებს» ზუსტად არა აქვთ გადმოცემული, მაგრამ აქ ადგილი არ არის არასიზუსტეებზე შეჩერებისათვის). «ზავის დადებამ უკვე გამოიწვია შეტაკების გამწვავება იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის».

აი ეს ფაქტია. აი ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. აი რატომ იყვნენ ზავის დადების მოწინააღმდეგენი ობიექტურად სათამაშო იმპერიალისტების ხელში, რატომ იყვნენ მათ მახეში გაბმულნი. ვინაიდან სანამ არ უფეთქნია საერთაშორისო, რამდენიმე ქვეყნის მომცველ, სოციალისტურ რევოლუციას, იმდენად ძლიერს, რომ მას შეეძლოს საერთაშორისო იმპერიალიზმზე გამარჯვება, მანამდე ერთ (განსაკუთრებით ჩამორჩენილ) ქვეყანაში გამარჯვებული სოციალისტების პირდაპირი მოვალეობაა — არ მიიღონ ბრძოლა იმპერიალიზმის გიგანტებთან, ეცადონ მოერიდონ ბრძოლას, დაიცადონ, ვიდრე იმპერიალისტთა ურთიერთ შეტაკება კიდევ უფრო არ დაასუსტებს მათ, კიდევ უფრო არ მოაახლოებს რევოლუციას სხვა ქვეყნებში. ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაიგეს იანვარსა, თებერვალსა და მარტში ჩვენმა «მემარცხენეებმა», მათ ახლაც ეშინიათ აშკარად აღიარონ ის, მაგრამ იგი მაინც იკაფავს თავის გზას მიუხედავად ყველა მათი აბნეულ-დაბნეულობისა: «ერთი მხრით, არ შეიძლება არ გამოვტყდეთ, მეორე მხრით, უნდა ვაღიაროთ».

«უახლოესი გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში— წვრილ «მემარცხენენი» თავიანთ თეზისებში — უნდა დაიწყოს

იმპერიალისტური სისტემის რღვევა, რომელიც, თუ ვინაიცობაა გერმანიის იმპერიალიზმმა გაიმარჯვა ომის მიმდინარე ფაზისში, შეიძლება მხოლოდ გადაიდოს და მაშინ იგი კიდევ უფრო მწვავე ფორმებში პოვებს გამოხატულებას».

ფორმულირება აქ კიდევ უფრო ბავშვურად-არაზუსტია, მიუხედავად მეცნიერულობით მთელი თამაშისა. ბავშვებს მოსდგამთ მეცნიერების ისე «გაგება», თითქოს მას შეეძლოს იმის განსაზღვრა, თუ რომელ წელს, გაზაფხულსა და ზაფხულში თუ შემოდგომასა და ზამთარში «უნდა» «დაიწყოს რღვევა».

ეს სასაცილო ჭაპანწყვეტაა იმის გასაგებად, რისი გაგებაც შეუძლებელია. არც ერთი სერიოზული პოლიტიკოსი არასოდეს არ იტყვის, რ ო დ ი ს «უნდა დაიწყოს» «სისტემის» ესა თუ ის რღვევა (მით უფრო, რომ ს ი ს ტ ე მ ი ს რღვევა უკვე დაიწყო, ხოლო ლაპარაკია აფეთქების მომენტზე ც ა ლ კ ე უ ლ ქვეყნებში). მაგრამ ფორმულირების ბავშვურ უმწეობაში გზას იკაფავს უდავო ჭეშმარიტება: სხვა, უფრო მოწინავე ქვეყნებში რევოლუციის აფეთქებანი უ ფ რ ო ა ხ ლ ო ა ჩვენთან ახლა, ზავის ჩამოგდების მომენტიდან დამყარებული «შესვენების» ერთი თვის შემდეგ, ვიდრე ისინი იყო ერთი თვის, თვენახევრის წინათ.

მაშასადამე?

მაშასადამე, სავსებით მართალი იყვნენ და ისტორიის მიერ უკვე გამართლებული არიან ზავის მომხრენი, რომელნიც ეჩიჩინებოდნენ ეფექტურის მოყვარულთ, რომ უნარი უნდა შეგროვდეს გაიანგარიშო ძალთა თანაფარდობა და ა რ დ ა ე ხ მ ა რ ო იმპერიალისტებს, არ გაუადვილო მათ ბრძოლა სოციალიზმთან, როდესაც სოციალიზმი ჯერ კიდევ სუსტია და როდესაც ბრძოლის შანსები სოციალიზმისათვის აშკარად არახელსაყრელია.

მაგრამ ძალთა თანაფარდობაზე, ძალთა თანაფარდობის აღრიცხვაზე ჩვენს «მემარცხენე» კომუნისტებს, — რომელთაც აგრეთვე უყვართ თავისთავს უწოდონ «პროლეტარული» კომუნისტები, ვინაიდან მათში განსაკუთრებით ცოტაა პროლეტარული და განსაკუთრებით ბევრია წვრილბურჟუა-

ზიული, — არ შეუძლიათ ფიქრი. ამაშია მარქსიზმისა და მარქსისტული ტაქტიკის დედაარსი, ისინი კი «დედაარსს» გვერდს უვლიან «ამპარტავნული» ფრაზებით, როგორც, მაგალითად:

...«მასებში უმოქმედო «ზავის ფსიქოლოგიის» განმტკიცება წარმოადგენს პოლიტიკური მომენტის ობიექტურ ფაქტს»...

ეს ხომ პირდაპირ მარგალიტია! სამი წლის უსაშინელესი და ურეაქციულესი ომის შემდეგ ხალხმა მიიღო, საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი სწორი ტაქტიკის მეოხებით, რომელიც ფრაზიორობაში არ გადადის, მცირედი-მცირედი, სულ მცირედი, არამტკიცე და მეტად არასრული შესვენება, «მემარცხენე» ინტელიგენტუნები კი, თავისთავზე შეყვარებული ნარცისის დიდმშვენიერებით, ღრმაზროვნულად ბრძანებენ: «მასებში (???) ზავის უმოქმედო (!!!???) ფსიქოლოგიის განმტკიცება (!!!)». განა მე მართალი არ ვიყავი, როდესაც ვთქვი პარტიულ ყრილობაზე, რომ «მემარცხენეთა» გაზეთს ან ჟურნალს უნდა ერქვას არა «კომმუნისტი», არამედ «შლიახტიჩი»? *.

განა შეუძლია კომუნისტს, რომელსაც ოდნავ მაინც ესმის მშრომელი, ექსპლოატირებული მასების ცხოვრების პირობები და ფსიქოლოგია, ჩამოქვეითდეს ტიპიური, ბატონიშვილის ან შლიახტიჩის სულისკვეთების მქონე, ინტელიგენტის, წვრილი ბურჟუას, დეკლასირებულის ამ თვალსაზრისამდე, რომელიც «ზავის ფსიქოლოგიას» «უმოქმედოდ» აცხადებს, ხოლო მუყაოს ხმლის ქნევას «მოქმედებად» თვლის? ვინაიდან ეს სწორედ მუყაოს ხმლის ქნევაა, როდესაც ჩვენი «მემარცხენეები» გვერდს უვლიან საყოველთაოდ ცნობილ და უკრაინაში წარმოებული ომით კიდევ ერთხელ დამტკიცებულ ფაქტს, რომ სამი წლის ხოცვა-ჟლეტით ვატანჯულ ხალხებს შეუსვენებლად ბრძოლა არ შეუძლიათ, რომ ომი, თუ არ არის ძალები მის მოსაწყობად ნაციონალური მასშტაბით, ხშირად ჰბადებს წვრილმესაკუთრული დაშლის და არა პროლეტარული

* იხ. ეს ტომი, გვ. 111. რ ე დ.

რკინისებური დისციპლინის ფსიქოლოგიას. ჟურნალ «კომმუნისტიდან» ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, რომ ჩვენს «მემარცხენეებს» წარმოდგენა არა აქვთ პროლეტარულ რკინისებურ დისციპლინასა და მის მომზადებაზე, რომ ისინი ერთიანად გამსჭვალული არიან დეკლასირებული წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტის ფსიქოლოგიით.

II

მაგრამ, იქნებ, «მემარცხენეების» ფრაზები ომის შესახებ უბრალო ბავშვური მამლაყინწობაა, რომელიც ამასთანავე მიმართულია წარსულისაკენ და ამიტომ მოკლებულია ყოველგვარი პოლიტიკური მნიშვნელობის ნასახს? ასე იცავენ ზოგიერთები ჩვენს «მემარცხენეებს». მაგრამ ეს სწორი არაა. თუ ჩემულობ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, უნდა შეგეძლოს პოლიტიკური ამოცანების მ ო ფ ი ქ რ ე ბ ა, ხოლო უამისობა «მემარცხენეებს» აქცევს იმ მერყეობის უაღრესად უნებისყოფო მქადაგებლებად, რომელსაც ობიექტურად მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს: თავიანთი მერყეობით «მემარცხენენი» ე ხ მ ა რ ე ბ ი ა ნ იმპერიალისტებს პროვოკაციულად ჩააბან რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა მისთვის აშკარად არახელსაყრელ ბრძოლაში, ე ხ მ ა რ ე ბ ი ა ნ იმპერიალისტებს ჩაგვითრიონ ჩვენ მახეში. მოისმინეთ:

...«რუსეთის მუშათა რევოლუციას არ შეუძლია «თავი გადაირჩინოს», თუ იგი ასცდა საერთაშორისო რევოლუციურ გზას, განუწყვეტლივ მოერიდა ბრძოლას, დაიხია უკან საერთაშორისო კაპიტალის იერიშის წინაშე და წავიდა «დათმობებზე» «სამამულო კაპიტალის» მიმართ.

ამ თვალსაზრისით აუცილებელია: გადამწყვეტი კლასობრივი საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც შეაერთებს საერთაშორისო რევოლუციურ პროპაგანდას სიტყვით და საქმით, და ორგანული კავშირის განმტკიცება საერთაშორისო სოციალიზმთან (და არა საერთაშორისო ბურჟუაზიასთან)»...

აქ ჩართულ გამოხდომებზე საშინაო პოლიტიკის დარგში— ცალკე გვექნება ლაპარაკი. მაგრამ დაუკვირდით ფრაზის ამ თარეშს — საქმით გაუბედაობასთან ერთად — საგარეო

პოლიტიკის დარგში. როგორი ტაქტიკაა ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ყველასათვის, ვისაც არ სურს იმპერიალისტური პროვოკაციის იარაღი იყოს და მახეში გაებას ა ხ ლ ა ნ დ ე ლ მომენტში? ამ კითხვაზე ყოველმა პოლიტიკოსმა ნათელი, პირდაპირი პასუხი უნდა გასცეს. ჩვენი პარტიის პასუხი ცნობილია: ა ხ ლ ა ნ დ ე ლ მომენტში უ კ ან დ ა ვ ი ხ ი ო თ, მოვერიდოთ ბრძოლას. ჩვენი «მემარცხენენი» ვერ ბედავენ წინააღმდეგის თქმას და სროლას იწყებენ ჰაერში: «გადამწყვეტი კლასობრივი საერთაშორისო პოლიტიკა»!!

ეს — მასების მოტყუებაა. თუ გინდათ იომოთ ახლავე, თქვით ეს პირდაპირ. თუ არ გინდათ დ ა ი ხ ი ო თ უ კ ან ახლა, თქვით პირდაპირ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ იმპერიალისტური პროვოკაციის იარაღი ხართ, თქვენი ობიექტური როლის მიხედვით. ხოლო თქვენი სუბიექტური «ფსიქოლოგია» არის ფსიქოლოგია გაცოფებული წვრილი ბურჟუასი, რომელიც ბაქიბუქობს და ტრაბახობს, მაგრამ მშვენივრად გრძნობს, რომ პროლეტარი მ ა რ თ ა ლ ი ა, როცა უკან იხევს და ცდილობს დაიხიოს ორგანიზებულად; — პროლეტარი მართალია, როცა ანგარიშობს, რომ ვიდრე ძალა ჯერ კიდევ არაა, უკან უნდა დავიხიოთ (დასავლეთისა და აღმოსავლეთის იმპერიალიზმის წინაშე) თუნდაც ურალამდე, ვინაიდან ეს ბოგების ე რ თ ა დ ე რ თ ი შანსია დასავლეთში რევოლუციის მომწიფების პერიოდისათვის, იმ რევოლუციისა, რომელიც არ «უნდა» (წინააღმდეგ «მემარცხენეთა» ლაყბობისა) დაიწყოს «გაზაფხულზე ან ზაფხულზე», მაგრამ რომელიც ყ ო ვ ე ლ თ ვ ე სულ უფრო გვიახლოვდება და სულ უფრო სარწმუნო ხდება.

«თავისი» პოლიტიკა «მემარცხენეებს» არა აქვთ; ა ხ ლ ა უკანდახევის არასაჭიროდ გამოცხადებას ისინი ვ ე რ ბ ე დ ა ვ ე ნ. ისინი ტრიალებენ, ლაქუცობენ, თამაშობენ სიტყვებით, ა ხ ლ ა ნ დ ე ლ მ ო მ ე ნ ტ შ ი ბრძოლის მორიდების საკითხის ნაცვლად — გვაჩრიან საკითხს ბრძოლის «განუწყვეტლივ» მორიდების შესახებ. ისინი საპნის ბუშტებს უშვებენ:

«საერთაშორისო რევოლუციური პროპაგანდა საქმით»!! რას ნიშნავს ეს?

ეს შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ორში ერთს: ან ეს ნოზ-დრეველობაა, ანდა ესაა შეტევითი ომი საერთაშორისო იმპერიალიზმის დამხობის მიზნით. ასეთი სისულელის აშკარად თქმა არ შეიძლება, ამიტომაც «მემარცხენე» კომუნისტები ძალაუნებურად უნდა დაემალონ სასაცილოდ აგდებას ყოველი შეგნებული პროლეტარის მხრით და შეეფარონ მყვირალა და სრულიად უაზრო ფრაზებს: აქაო-და, შეიძლება, დაუკვირებელმა მკითხველმა ვერ შენიშნოს, თუ რას ნიშნავს საკუთრივ ეს: «საერთაშორისო რევოლუციური პროპაგანდა საქმით».

წკრიალა ფრაზების წამოსროლა — დეკლასირებული წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის თვისებაა. ორგანიზებული პროლეტარი-კომუნისტები ამ «მანერისათვის» დასჯიან, ალბათ, არა ნაკლებ, ვიდრე დაცინვით და ყოველი საპასუხისმგებლო პოსტიდან გაძევებით. მასებს მწარე სიმართლე უნდა ვუთხრათ უბრალოდ, აშკარად, პირდაპირ: შეიძლება და სარწმუნოცაა, რომ სამხედრო პარტია კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს გერმანიაში (მაშინვე ჩვენს წინაალმდეგ შემოტევის დაწყების აზრით) და რომ გერმანია იაპონიასთან ერთად, ფორმალური თუ ჩუმი შეთანხმებით, დაიწყებს ჩვენს დაყოფასა და დახრჩობას. ჩვენი ტაქტიკაა, თუ არ გვინდა მყვირალებს გავუგონოთ: ვუცადოთ, გავაჭიანუროთ, მოვერიდოთ ბრძოლას, უკან დავიხიოთ. თუ ჩვენ უკუვაგდებთ მყვირალებს და «ძალებს მოვიკრებთ», შევქმნით რა ნამდვილად რკინისებურ, ნამდვილად პროლეტარულ, ნამდვილად კომუნისტურ დისციპლინას, მაშინ იმის სერიოზული შანსები გვაქვს, რომ მოვიგებთ ბევრ თვეს. და მაშინ, კიდეც რომ დავიხიოთ (სულ უარეს შემთხვევაში) ურალამდე, ჩვენ გ ა ვ უ ა დ ვ ი ლ ე ბ თ ჩვენს მოკავშირეს (საერთაშორისო პროლეტარიატს) შესაძლებლობას დაგვეხმაროს, «დაფაროს» (თუ სასპორტო ენას ვიხმართ) მანძილი, რომელიც ჰყოფს რევოლუციურ აფეთქებათა დასაწყისს რევოლუციისაგან.

ასეთი და მხოლოდ ასეთი ტაქტიკა განამტკიცებს ნამდვილად საერთაშორისო სოციალიზმის ერთი, დროებით განმარტოებულად დარჩენილი, რაზმის კავშირს დანარჩენ რაზმებთან, — თქვენ კი, პატივცემულო «მემარცხენე კომუნისტებო», მართალი გითხრათ, გამოგიდისთ მხოლოდ ერთი მყვირალა ფრაზის «ორგანული კავშირის განმტკიცება» მეორე მყვირალა ფრაზასთან. ცუდი «ორგანული კავშირია» ეს!

და მე თქვენ აგიხსნით, პატივცემულნო, რატომ შეგემთხვათ თქვენ ეს უბედურება: იმიტომ, რომ თქვენ რევოლუციის ლოზუნგებს უფრო იზეპირებთ და იმახსოვრებთ, ვიდრე უფიქრდებით. ამიტომ თქვენ სიტყვებს «სოციალისტური სამშობლოს დაცვა» ბრჭყალებში ათავსებთ, რაც, ალბათ, უნდა მოწმობდეს ირონიის ცდას, ნამდვილად კი გვიჩვენებს სწორედ თქვენი გონების არევ-დარევას. თქვენ დაეჩვიეთ იმას, რომ «ობორონცობა» საძაგელ და საზიზღარ რამედ ჩათვალოთ, თქვენ დაგიმახსოვრებიათ და დაგისწავლიათ ეს, თქვენ ეს დაგიზეპირებიათ ისე გულმოდგინედ, რომ ზოგიერთი თქვენგანი იმ უაზრობამდე მიდიოდა, თითქოს სამშობლოს დაცვა იმპერიალისტურ ეპოქაში შეუწყნარებელი რამ იყოს (ნამდვილად იგი შეუწყნარებელია მხოლოდ იმპერიალისტურ, რეაქციულ, ბურჟუაზიის მიერ წარმოებულ ომში). მაგრამ თქვენ არ ჩაფიქრებიხართ, რატომ და როდისაა საზიზღარი «ობორონცობა».

სამშობლოს დაცვის აღიარება — ეს ომის კანონიერებისა და სამართლიანობის აღიარებას ნიშნავს. კანონიერებას და სამართლიანობას რა თვალსაზრისით? მხოლოდ სოციალისტური პროლეტარიატის და მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით; სხვა თვალსაზრისს ჩვენ არ ვცნობთ. თუ ომს აწარმოებს ექსპლოატატორთა კლასი თავისი, როგორც კლასის, ბატონობის განსამტკიცებლად, ეს — დანაშაულებრივი ომია, და ასეთ ომში «ობორონცობა» არის საზიზღრობა და სოციალიზმის გამცემლობა. თუ ომს აწარმოებს პროლეტარიატი, რომელმაც დაამარცხა შინ თავისი ბურჟუაზია,

«წარმოებს მას სოციალიზმის განსამტკიცებლად და განსავითარებლად, მაშინ ომი კანონიერი და «წმიდათა წმიდაა».

ჩვენ ობორონცები ვართ 1917 წ. 25 ოქტომბრის შემდეგ. ეს მე არა ერთხელ მითქვამს სრულიად გარკვევით, და ამის უარყოფას თქვენ ვერ ბედავთ. სწორედ საერთაშორისო სოციალიზმთან «კავშირის განსამტკიცებლად» სავალდებულოა სოციალისტური სამშობლოს დაცვა. საერთაშორისო სოციალიზმთან კავშირს სწყვეტს ის, ვინც ქარაფშუტულად მოეკიდება იმ ქვეყნის თავდაცვას, რომელშიც უკვე გაიმარჯვა პროლეტარიატმა. როდესაც ჩვენ ვიყავით ჩაგრული კლასის წარმომადგენელნი, ქარაფშუტულად არ ვეკიდებოდით სამშობლოს დაცვას იმპერიალისტურ ომში, ჩვენ პრინციპულად უარვყოფდით ასეთ დაცვას. როდესაც ჩვენ გავხდით წარმომადგენელნი გაბატონებული კლასისა, რომელმაც დაიწყო სოციალიზმის ორგანიზება, ჩვენ მოვითხოვთ ყველასაგან სერიოზულ დამოკიდებულებას ქვეყნის თავდაცვისადმი. სერიოზულად მოპყრობა ქვეყნის თავდაცვისადმი — ეს ნიშნავს საფუძვლიანად ემზადოთ და მკაცრად გაითვალისწინოთ ძალთა თანაფარდობა. თუ ძალები აშკარად ცოტაა, მაშინ თავდაცვის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა უკანდახევა ქვეყნის შიგნით (ვინც ამაში დაინახავს მხოლოდ ამ შემთხვევისთვის მოთრეულ ფორმულას, მას შეუძლია წაიკითხოს ამაზე ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო მწერლის, მოხუც კლაუზევიცის[102] თხზულებაში ისტორიის გაკვეთილების შედეგების შესახებ). «მემარცხენე კომუნისტებს» კი იმის ნასახიც არ ემჩნევათ, რომ მათ ესმოდეთ ძალთა თანაფარდობის საკითხის მნიშვნელობა.

როდესაც ჩვენ პრინციპულად ობორონცობის მტრები ვიყავით, უფლება გვქონდა სასაცილოდ აგვეგდო ისინი, ვისაც უნდოდა «დაეცვა» თავისი სამშობლო თითქოსდა სოციალიზმის ინტერესებისათვის. როდესაც ჩვენ უფლება მივიღეთ, პროლეტარული ობორონცები გავმხდარიყავით, — საკითხის მთელი დაყენება ძირეულად იცვლება. ჩვენი მოვალეობა ხდება ძალთა უაღრესად ფრთხილი აღრიცხვა, მეტად გულმო-

დგინე აწონ-დაწონა იმისა, მოგვისწრებს თუ არა ჩვენი მოკავშირე (საერთაშორისო პროლეტარიატი). კაპიტალის ინტერესია — დაამარცხოს მტერი (რევოლუციური პროლეტარიატი) ნაწილ-ნაწილად, ვიდრე ჯერ კიდევ არ შეერთებულან (ნამდვილად, ე. ი. არ დაუწყიათ რევოლუცია) ყველა ქვეყნის მუშები. ჩვენი ინტერესია — მოვიმოქმედოთ ყოველივე შესაძლებელი, გამოვიყენოთ სულ მცირედი შანსიც კი, რათა გადამწყვეტი ბრძოლა გადავდოთ ერთი დიადი საერთაშორისო არმიის რევოლუციური რაზმების ასეთი გაერთიანების მომენტამდე (ან მომენტის «შ ე მ დ ე გ ა მ დ ე»).

III

გადავდივართ ჩვენი «მემარცხენე» კომუნისტების მარცხზე საშინაო პოლიტიკის დარგში. ძნელია ღიმილი შეიკავო, როდესაც თეზისებში მ ი მ დ ი ნ ა რ ე მომენტის შესახებ კითხულობ ასეთ ფრაზებს:

...«გადარჩენილ საწარმოო საშუალებათა გეგმაშეწონილ გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ უაღრესად მტკიცე განსაზოგადოების დროს»... «არა კაპიტულაცია ბურჟუაზიისა და მის წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტ დამქაშთა წინაშე, არამედ ბურჟუაზიის საბოლოოდ განადგურება და საბოტაჟის საბოლოოდ გატეხა»...

ძვირფასი «მემარცხენე კომუნისტები», რაოდენ ბევრი აქვთ მათ სიმტკიცე... და რაოდენ ცოტა — მოფიქრება! რას ნიშნავს «უაღრესად მტკიცე განსაზოგადოება»?

შეიძლება მტკიცე ან არამტკიცე იყოთ ნაციონალიზაციის, კონფისკაციის საკითხში. მაგრამ საკითხის დედააზრი სწორედ იმაშია, რომ არ კმარა ქვეყნად უდიდესი «სიმტკიცეც» კი ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ი დ ა ნ და კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ი დ ა ნ გ ა ნ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ზ ე გადასასვლელად. ჩვენი «მემარცხენეების» უბედურება სწორედ იმაშია, რომ სიტყვების ამ გულუბრყვილო, ბალღური შეხამებით: «უაღრესად მტკიცე... განსაზოგადოება», ისინი ცხადყოფენ, რომ სრულიად არ ესმით საკითხის დედააზრი, «მიმდინარე» მომენტის დედააზრი.

«მემარცხენეების» მარცხი სწორედ იმაშია, რომ მათ ვერ შეუმჩნევიათ «მიმდინარე მომენტის», კონფისკაციებიდან (რომელთა გატარების დროსაც პოლიტიკოსის უმთავრეს ღირსებას სიმტკიცე წარმოადგენს) განსაზოგადოებაზე (რომლის გატარებისათვის რევოლუციონერს სხვაგვარი ღირსება მოეთხოვება) გადასვლის თვით არსი.

გუშინ მიმდინარე მომენტის დედააზრს ის წარმოადგენდა, რომ რაც შეიძლება მტკიცედ მოგვეხდინა ნაციონალიზაცია, კონფისკაცია, გვენადგურებინა და საბოლოოდ გაგვენადგურებინა ბურჟუაზია, გაგვეტეხა საბოტაჟი. დღეს კი მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ, რომ ჩვენ იმაზე უფრო მეტის ნაციონალიზაცია, კონფისკაცია მოვახდინეთ, მეტი გავანადგურეთ და გავტეხეთ, ვიდრე მოვასწრებდით მის გამოანგარიშებას. ხოლო განსაზოგადოება უბრალო კონფისკაციისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ კონფისკაცია შეიძლება მარტოოდენ «სიმტკიცით», სწორად აღრიცხვისა და სწორად განაწილების უნარის გარეშე, ხოლო განსაზოგადოება ასეთი უნარის გარეშე შეუძლებელია.

ჩვენი ისტორიული დამსახურება ის იყო, რომ გუშინ ჩვენ ვიყავით (და ხვალ ვიქნებით) მტკიცენი კონფისკაციებში, ბურჟუაზიის განადგურებაში, საბოტაჟის გატეხაში. დღეს ამის შესახებ «მიმდინარე მომენტის თეზისებში» წერა იმას ნიშნავს, რომ პირი იბრუნო წარსულისაკენ და ვერ გაიგო მომავლისაკენ გადასვლა.

...«საბოტაჟის საბოლოოდ გატეხა»... აი, უპოვიათ ამოცანა! მესაბოტაჟენი ხომ ჩვენში სავსებით საკმარისად «გატეხილი» არიან. ჩვენ სულ სხვა, სულ სხვა რამ გვაკლია: გვაკლია იმის გამოანგარიშება, თუ სად და რომელი მესაბოტაჟე უნდა დავაყენოთ, გვაკლია ჩვენი ძალების ორგანიზაცია სამეთვალყურეოდ, ვთქვათ, ერთი ბოლშევიკი ხელმძღვანელი ან კონტროლიორი იმ ას მესაბოტაჟეზე, რომელნიც ჩვენს სამსახურში მოდიან. საქმის ასეთი ვითარების დროს ფრაზების წამოსროლა: «უაღრესად მტკიცე განსაზო-

გადოება», «განადგურება», «საბოლოოდ გატეხა» — ეს ნიშნავს თითით ცას ჩამოეკიდო. წვრილბურჟუაზიულ რევოლუციონერს მოსდგამს იმის შეუმჩნეველობა, რომ სოციალიზმისათვის არ კმარა განადგურება, გატეხა და სხვ., — ეს საკმარისია წვრილი მესაკუთრისათვის, რომელიც მსხვილის წინააღმდეგ არის გაშმაგებული, — მაგრამ პროლეტარულ რევოლუციონერს ასეთი შეცდომა არასოდეს არ მოუვიდოდა.

თუ ჩვენს მიერ მოყვანილი სიტყვები ღიმილს იწვევს, სამაგიეროდ პირდაპირ ჰომერულ სიცილს იწვევს «მემარცხენე კომუნისტების» აღმოჩენა, თითქოს საბჭოთა რესპუბლიკას, «მემარჯვენე-ბოლშევიკური გადახრის» დროს, ემუქრებოდეს «ევოლუცია სახელმწიფო კაპიტალიზმის მიმართულებით». მართლაც-და, შეიძლება ითქვას, ძალიან არ შეგვაშინეს! და რა გულმოდგინებით იმეორებენ «მემარცხენე კომუნისტები» ამ მრისხანე აღმოჩენას თეზისებშიც და სტატიებშიც...

ის კი აღარ იფიქრეს, რომ ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში საქმის ახლანდელ ვითარებასთან შედარებით სახელმწიფო კაპიტალიზმი წ ი ნ გ ა დ ა დ გ მ უ ლ ი ნ ა ბ ი ჯ ი იქნებოდა. ჩვენში რომ, დაახლოებით, ნახევარი წლის შემდეგ დამკვიდრდეს სახელმწიფო კაპიტალიზმი, ეს უდიდესი წარმატება და უეჭველი გარანტია იქნებოდა იმისა, რომ ერთი წლის შემდეგ ჩვენში საბოლოოდ განმტკიცდება და უძლეველი გახდება სოციალიზმი.

წარმოდგენილი მაქვს, რა კეთილშობილური აღშფოთებით უკუაგდებს ამ სიტყვებს «მემარცხენე კომუნისტი», და რა «მომაკვდინებელ კრიტიკას» გასწევს იგი მუშების წინაშე «მემარჯვენე-ბოლშევიკური გადახრის» წინააღმდეგ. როგორ? საბჭოთა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ რესპუბლიკაში სახელმწიფო კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ზ ე გადასვლა წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა?.. განა ეს სოციალიზმის ღალატი არ არისო?

«მემარცხენე კომუნისტების» ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი შეცდომის ფესვი სწორედ აქ მარხია. ამიტომ სწორედ ამ პუნქტზე საჭიროა უფრო დაწვრილებით შეჩერება.

ჯერ-ერთი, «მემარცხენე კომუნისტებმა» ვერ გაიგეს, თუ სახელდობრ რანაირია ის გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე, რომელიც გვაძლევს ჩვენ უფლებასა და საფუძველს ვიწოდებოდეთ საბჭოების სოციალისტურ რესპუბლიკად.

მეორე, ისინი თავიანთ წვრილბურჟუაზიულობას ამჟღავნებენ სწორედ იმით, რომ ვერ ხედავენ წვრილბურჟუაზიულ სტიქიას, როგორც სოციალიზმის მთავარ მტერს ჩვენში.

მესამე, აყენებენ რა «სახელმწიფო კაპიტალიზმის» საფრთხობელას, ისინი იმას ააშკარავებენ, რომ არ ესმით საბჭოთა სახელმწიფო, მისი ეკონომიური განსხვავება ბურჟუაზიული სახელმწიფოსაგან.

განვიხილოთ სამივე ეს გარემოება.

მგონი, ჯერ არ ყოფილა ისეთი ადამიანი, რომელიც რუსეთის ეკონომიკის საკითხს დაკვირვებოდეს და უარეყოს ამ ეკონომიკის გარდამავალი ხასიათი. მგონი, არც ერთ კომუნისტს არ უარუყვია არც ის, რომ გამოთქმა — სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე გადაწყვეტილებას — განახორციელოს სოციალიზმზე გადასვლა, და სულაც არა — ახალი ეკონომიური წესწყობილების აღიარებას სოციალისტურ წესწყობილებად.

მაგრამ რას ნიშნავს სიტყვა გადასვლა? განა ეკონომიკისადმი შეფარდებით ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ წყობილებაში მოიპოვება როგორც კაპიტალიზმის, ისე სოციალიზმის ელემენტები, ნაწილაკები, ნაჭრები? ყველა აღიარებს, რომ მოიპოვება. მაგრამ ამ აღიარების დროს ყველა როდი უფიქრდება იმას, თუ სახელდობრ როგორია სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობათა ელემენტები, რომლებიც რუსეთში არსებობენ. საკითხის მთელი დედააზრი კი ამაშია.

ჩამოვთვალოთ ეს ელემენტები:

1) პატრიარქალური, ე. ი. მნიშვნელოვანწილად ნატურალური, გლეხური მეურნეობა;

2) წვრილი სასაქონლო წარმოება (ამას მიეკუთვნება იმ გლეხების უმრავლესობა, რომელნიც პურს ყიდიან);

3) კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმი;

4) სახელმწიფო კაპიტალიზმი;

5) სოციალიზმი.

რუსეთი ისე დიდი და ისე ჭრელია, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობის ყველა ეს სხვადასხვა ტიპი გადახლართულია მასში. მდგომარეობის თავისებურებაც სწორედ ეს არის.

იბადება კითხვა: რომელი ელემენტები სჭარბობენ? ცხადია, რომ წვრილგლეხურ ქვეყანაში სჭარბობს, და არც შეიძლება არ სჭარბობდეს, წვრილბურჟუაზიული სტიქია; მიწათმოქმედთა უმრავლესობა, და დიდი უმრავლესობა, წვრილი საქონელმწარმოებელია. სახელმწიფო კაპიტალიზმის (პურის მონოპოლია, კონტროლქვეშ მყოფი მეწარმენი და ვაჭრები, ბურჟუაზიული კოოპერატორები) გარსს ჩვენში ხან აქ და ხან იქ არღვევენ ს პ ე კ უ ლ ა ნ ტ ე ბ ი, და სპეკულაციის მთავარ საგანს პ უ რ ი წარმოადგენს.

მთავარი ბრძოლა სწორედ ამ დარგში ჩაღდება. ვისა და ვის შორის წარმოებს ეს ბრძოლა, თუ ვილაპარაკებთ ეკონომიური კატეგორიების ისეთი ტერმინებით, როგორიცაა «სახელმწიფო კაპიტალიზმი»? მე-4 და მე-5 საფეხურებს შორის, რა რიგითაც ჩამოვთვალე ზემოთ ისინი ახლა? რა თქმა უნდა, არა. აქ სახელმწიფო კაპიტალიზმი კი არ ებრძვის სოციალიზმს, არამედ სახელმწიფო კაპიტალიზმის წინააღმდეგაც და სოციალიზმის წინააღმდეგაც იბრძვიან ერთად, გაერთიანებულად, წვრილი ბურჟუაზია პლუს კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმი. წვრილი ბურჟუაზია წინააღმდეგობას უწევს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ სახელმწიფოებრივ ჩარევას, აღრიცხვასა და კონტროლს, როგორც სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურს, ისე სახელმწიფოებრივ-სოციალისტურს. ეს არის სინამდვილის სრულიად უდავო ფაქტი, რომლის

გაუგებლობაშიც მარხია კიდეც «მემარცხენე კომუნისტების» ეკონომიური შეცდომის ფესვი. სპეკულანტი, ვაჭრობის მოთარეშე, მონოპოლიის ჩამშლელი — აი ჩვენი მთავარი «შინაური» მტერი, საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ ღონისძიებათა მტერი. თუკი 125 წლის წინათ საფრანგეთის წვრილ ბურჟუებს, უაღრესად თავგამოდებულ და უაღრესად გულწრფელ რევოლუციონერებს, კიდევ ეპატიებოდათ მისწრაფება დაემარცხებინათ სპეკულანტი ცალკეულ, მცირეოდენ «რჩეულთა» სიკვდილით დასჯით და დეკლამაციის ჭექა-ქუხილით, ახლა ვიღაც მემარცხენე ესერების წმინდა-ფრაზიორული მიდგომა საკითხისადმი ყოველ შეგნებულ რევოლუციონერში მხოლოდ ზიზღს ან გულისრევას იწვევს. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ სპეკულაციის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს წვრილმესაკუთრული ფენა, რომელიც რუსეთში არაჩვეულებრივად დიდია, და კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმი, რომლის აგენტიც არის თ ვ ი თ ე უ ლ ი წვრილი ბურჟუა. ჩვენ ვიცით, რომ ამ წვრილბურჟუაზიული გველეშაპის მილიონობით ბრჭყალები ხან აქ და ხან იქ ედება მუშათა ცალკეულ ფენებს, რომ სპეკულაცია ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ ო ნ ო პ ო ლ ი ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ იჭრება ჩვენი საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ყველა ნასვრეტში.

ვინც ამას ვერ ხედავს, ის სწორედ თავისი სიბრმავით ააშკარავებს, რომ იგი წვრილბურჟუაზიულ ცრურწმენებს შეუპყრია. სწორედ ასეთებია ჩვენი «მემარცხენე კომუნისტები», რომელნიც სიტყვით (და, რა თქმა უნდა, თავიანთი უგულწრფელესი რწმენით) დაუნდობელი მტრები არიან წვრილი ბურჟუაზიისა, საქმით კი მხოლოდ მას ეხმარებიან, მხოლოდ მას ემსახურებიან, მხოლოდ მის თვალსაზრისს გამოხატავენ, როდესაც — 1 9 1 8 წ ლ ი ს ა პ რ ი ლ შ ი!! — იბრძვიან... «სახელმწიფო კაპიტალიზმის» წინააღმდეგ! თითით ცას ჩამოეკიდნენ!

წვრილ ბურჟუას აქვს ცოტაოდენი ფულის მარაგი, რამდენიმე ათასი, დაგროვილი «სიმართლით» და უმეტესად კი არასიმართლით ომის დროს. ასეთია ეკონომიური ტიპი,

დამახასიათებელი, როგორც სპეკულაციისა და კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმის საფუძველი. ფული, ეს არის მოწმობა საზოგადოებრივი სიმდიდრის მისაღებად, და წვრილ მესაკუთრეთა მრავალმილიონიანი ფენა, მაგრად რომ ჩაბღაუჭებია ამ მოწმობას, უმალავს მას «სახელმწიფოს», არა სწამს არავითარი სოციალიზმი და კომუნიზმი და «ელოდება» პროლეტარული ქარიშხლის ჩადგომას. ან ჩვენ დავუმორჩილებთ ამ წვრილ ბურჟუას ჩ ვ ე ნ ს კონტრრლსა და აღრიცხვას (ჩვენ ამას შევძლებთ, თუ შეგნებული პროლეტარული ავანგარდის ირგვლივ დავრაზმავთ ღარიბებს, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობას ანუ ნახევრადპროლეტარებს), ანდა იგი აუცილებლად და უსათუოდ დაამხობს ჩვენს, მუშურ, ხელისუფლებას, როგორც ამხობდნენ რევოლუციას ნაპოლეონები და კავენიაკები, რომელნიც სწორედ ამ წვრილმესაკუთრულ ნიადაგზე იზრდებიან. ასე დგას საკითხი. მხოლოდ მემარცხენე ესერები «მშრომელი» გლეხობის შესახებ ფრაზიორობის იქით ვერ ხედავენ ამ მარტივ და აშკარა ჭეშმარიტებას; მაგრამ ვინ უწევს სერიოზულ ანგარიშს ფრაზიორობაში ჩამხრჩვალ მემარცხენე ესერებს?

წვრილი ბურჟუა, რომელიც ათასებს ინახავს, სახელმწიფო კაპიტალიზმის მტერია, და მას სურს ეს ათასები გაანაღდოს აუცილებლად თავის სასარგებლოდ, ღარიბთა წინააღმდეგ, ყოველგვარი საერთო-სახელმწიფოებრივი კონტროლის წინააღმდეგ; ათასების ჯამი კი მრავალმილიარდიან ბაზას უქმნის სპეკულაციას, რომელიც ჰფუშავს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას. დავუშვათ, რომ მუშათა განსაზღვრული რიცხვი რამდენიმე დღის განმავლობაში იძლევა ღირებულებათა ჯამს, რომელიც გამოიხატება ციფრით 1 000. დავუშვათ, შემდეგ, რომ ამ ჯამიდან ჩვენ ვკარგავთ 200-ს წვრილი სპეკულაციის, ყოველგვარი მტაცებლობის და საბჭოთა დეკრეტებისა და საბჭოთა წესებისათვის წვრილმესაკუთრული «გვერდის ახვევის» გამო. ყოველი შეგნებული მუშა იტყვის: მე რომ შემეძლოს ათასიდან 300-ის მიცემა, უფრო მეტი წესრიგისა და ორგანიზაციის შექმნის ფასად,

ხალისით მივცემდი ორასის მაგივრად სამასს, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების დროს ამ «ხარკის» შემდეგში შემცირება, ვთქვათ, ასამდე ან ორმოცდაათამდე, სულ იოლი ამოცანა იქნება, რაკი მოგვარებული იქნება წესრიგი და ორგანიზაცია, რაკი ყოველგვარი სახელმწიფო მონოპოლიის წვრილმესაკუთრული ჩაშლა საბოლოოდ გატეხილი იქნება.

ამ უბრალო ციფრობრივი მაგალითით, — რომელიც განზრახ უკიდურესად გამარტივებულია პოპულარული გადმოცემის მიზნით, — ნათელი ხდება სახელმწიფო კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ახლანდელი მდგომარეობის თანაფარდობა. სახელმწიფოში ძალაუფლება მუშების ხელთაა, მათ სრული იურიდიული შესაძლებლობა აქვთ მთლიანად «აიღონ» ეს ათასი, ე. ი. ერთი კაპიკიც არ გასცენ, თუკი მას სოციალისტური დანიშნულება არა აქვს. ეს იურიდიული შესაძლებლობა, რომელიც დამყარებულია მუშათა ხელში ძალაუფლების ფაქტიურ გადასვლაზე, სოციალიზმის ელემენტს წარმოადგენს.

მაგრამ წვრილმესაკუთრული და კერძო-კაპიტალისტური სტიქიები მრავალნაირი გზით ძირს უთხრიან ამ იურიდიულ მდგომარეობას, აპარებენ სპეკულაციას, ჰფუშავენ საბჭოთა დეკრეტების შესრულებას. სახელმწიფო კაპიტალიზმი იქნებოდა გიგანტური ნაბიჯი წინ, კიდეც რომ (და მე განგებ მოვიყვანე ასეთი ციფრობრივი მაგალითი, რათა მკვეთრად მეჩვენებინა ეს) იმაზე მეტი გადაგვეხადა, ვიდრე ახლა ვიხდით, ვინაიდან «სწავლებისათვის» ღირს გადახდა, ვინაიდან ეს სასარგებლოა მუშებისათვის, ვინაიდან უწესრიგობაზე, ნგრევაზე, დაუდევრობაზე გამარჯვება ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა, ვინაიდან წვრილმესაკუთრული ანარქიის განგრძობა ყველაზე დიდი, ყველაზე მრისხანე საფრთხეა, რომელიც ჩვენ დაგვღუპავს აუცილებლად (თუ ის ვერ დავამარცხეთ), მაშინ როდესაც სახელმწიფო კაპიტალიზმისათვის მეტი ხარკის მიცემა არათუ არ დაგვღუპავს, არამედ ყველაზე საიმედო გზით გაგვიყვანს სოციალიზმისაკენ. მუშათა კლასს, რომელმაც შეისწავლა, თუ როგორ დაიცვას

სახელმწიფოებრივი წესრიგი წვრილმესაკუთრული ანარქიულობის წინააღმდეგ, შეისწავლა, თუ როგორ მოაგვაროს წარმოების მსხვილი, საერთო-სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია სახელმწიფო-კაპიტალისტურ საფუძვლებზე, მაშინ ხელთ ექნება, — უკაცრავად ამ გამოთქმისათვის, — ყველა კოზირი, და სოციალიზმის განმტკიცება უზრუნველყოფილი იქნება.

სახელმწიფო კაპიტალიზმი ეკონომიურად შეუდარებლად უფრო მაღალია, ვიდრე ახლანდელი ჩვენი ეკონომიკა, ეს ერთი.

ხოლო მეორე ისაა, რომ მასში საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიში არაფერია, რადგან საბჭოთა სახელმწიფო არის ისეთი სახელმწიფო, რომელშიც მუშათა და ღარიბთა ხელისუფლება უზრუნველყოფილია. «მემარცხენე კომუნისტებმა» ვერ გაიგეს ეს უდავო ჭეშმარიტებანი, რასაც, რა თქმა უნდა, ვერასოდეს ვერ გაიგებს «მემარცხენე ესერი», რომელსაც საერთოდ არ შეუძლია თავის თავში გადააბას რაიმე აზრი პოლიტიკური ეკონომიიდან, მაგრამ ყოველი მარქსისტი იძულებული იქნება ეს ჭეშმარიტებანი აღიაროს. მემარცხენე ესერთან არც ღირს დავა, საკმარისია მხოლოდ თითით აჩვენო იგი, როგორც ცარიელი მოლაყბის «შესაზარი მაგალითი», მაგრამ «მემარცხენე კომუნისტთან» დავა საჭიროა, რადგანაც აქ შეცდომას მარქსისტები სჩადიან, და მათი შეცდომის გარჩევა დაეხმარება მუშათა კლასს გამონახოს სწორი გზა.

IV

კიდევ უფრო მეტად რომ განვმარტოთ საკითხი, უწინარეს ყოვლისა, მოვიყვანთ სახელმწიფო კაპიტალიზმის ყველაზე უფრო კონკრეტულ მაგალითს. ყველამ იცის, თუ რომელი მაგალითია ეს: გერმანია. აქ ჩვენ გვაქვს «უკანასკნელი სიტყვა» თანამედროვე მსხვილი კაპიტალისტური ტექნიკისა და იმ გეგმაშეწონილი ორგანიზაციისა, რომელიც ექვემდებარება იუნკრულ-ბურჟუაზიულ იმპერიალიზმს. მოშალეთ ხაზგასმული სიტყვები, სამხედრო,

ოუნკრული, ბურჟუაზიული, იმპერიალისტური სახელმწიფოს ადგილზე დასვით ისევ სახელმწიფო, ოღონდ სხვა სოციალური ტიპის, სხვა კლასობრივი შინაარსის სახელმწიფო — საბჭოთა, ე. ი. პროლეტარული სახელმწიფო, და თქვენ მიიღებთ პირობათა მთელ იმ ჯამს, რომელიც სოციალიზმს იძლევა.

სოციალიზმი წარმოუდგენელია ისე, თუ არ არის მსხვილი კაპიტალისტური ტექნიკა, რომელიც აგებულია უახლესი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, თუ არ არის გეგმაშეზომილი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ათეულ მილიონობით ადამიანებს უმორჩილებს ერთიანი ნორმის უმკაცრესად დაცვას პროდუქტთა წარმოებისა და განაწილების საქმეში. ამის შესახებ ჩვენ, მარქსისტები, ყოველთვის ვლაპარაკობდით, და არ ღირს ორიოდე წამიც კი დახარჯო ლაპარაკში ისეთ ადამიანებთან, რომელთაც ესეც კი ვერ გაუგიათ (ანარქისტები და მემარცხენე ესერების ნახევარზე მეტი).

ამასთან ერთად, სოციალიზმი წარმოუდგენელია სახელმწიფოში პროლეტარიატის ბატონობის გარეშე; ესეც ანბანია. და ისტორია (რომლისგანაც, პირველი რანგის ყეყეჩა მენშევიკებს გარდა, არავინ მოელოდა, რომ იგი «მთლიან» სოციალიზმს მოგვცემდა მშვიდად, წყნარად, ოლად და უბრალოდ) ისე თავისებურად წარიმართა, რომ 1918 წლისათვის წარმოშვა ერთმანეთისაგან განცალკევებული ორი ნახევარი სოციალიზმისა, ერთიმეორის გვერდით, თითქოს ორი მომავალი წიწილა საერთაშორისო იმპერიალიზმის ერთ ნაჭუჭს ქვეშ. გერმანიამ და რუსეთმა 1918 წელს ყველაზე თვალსაჩინოდ განასახიერეს მატერიალური განხორციელება სოციალიზმის ეკონომიური, საწარმოო, საზოგადოებრივ-სამეურნეო პირობებისა, ერთი მხრით, და პოლიტიკური პირობებისა, მეორე მხრით.

ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუცია გერმანიაში ერთბაშად, უდიდესი სიადვილით, დაამსხვრევდა იმპერიალიზმის ყოველნაირ ნაჭუჭს (რომელიც, სამწუხაროდ, საუკე-

თესო ფოლადისაგან არის გაკეთებული და რომელიც ამიტომ არ ტყდება ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი... წიწილის ძალ-ღონისაგან), აუცილებლად განახორციელებდა მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვებას, სიძნელეთა გარეშე ან სრულიად უმნიშვნელო სიძნელეებით, — რასაკვირველია, თუ ავიღებთ «სიძნელის» მსოფლიო-ისტორიულ და არა ობივატელურ-ჯგუფურ მასშტაბს.

ვიდრე გერმანიაში რევოლუცია ჯერ კიდევ აგვიანებს «წარმოშობას», ჩვენი ამოცანაა ვისწავლოთ გერმანელების სახელმწიფო კაპიტალიზმისაგან, მ თ ე ლ ი ძ ა ლ-ღ ო ნ ი თ გადმოვიღოთ იგი, არ დავიშუროთ დ ი ქ ტ ა ტ ო რ უ ლ ი საშუალებანი იმისათვის, რომ იმაზე უფრო მეტად დავაჩქაროთ ეს გადმოღება, ვიდრე პეტრე აჩქარებდა ბარბაროსული რუსეთის მიერ დასავლეთის წესების გადმოღებას და ბარბაროსობასთან ბრძოლაში არ ერიდებოდა ბარბაროსულ საშუალებათა გამოყენებას. თუკი ანარქისტებსა და მემარცხენე ესერებს შორის მოიპოვებიან ისეთი ადამიანები (მე უცაბედად გამახსენდა კარელინისა და გეს სიტყვები ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში), რომელთაც ნარცისისებურად შეუძლიათ მსჯელობა, რომ აქაო-და ჩვენ, რევოლუციონერებს, არ შეგვფერის გერმანიის იმპერიალიზმისაგან «სწავლაო», მაშინ ერთი რამ უნდა ითქვას: საბოლოოდ (და სავსებით დამსახურებულად) დაიღუპებოდა რევოლუცია, მას რომ ასეთი ადამიანებისთვის სერიოზული ანგარიში გაეწია.

რუსეთში ახლა სჭარბობს სწორედ წვრილბურჟუაზიული კაპიტალიზმი, რომლისგანაც რ ო გ ო რ ც მსხვილი სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ, ი ს ე სოციალიზმისაკენ მივყავართ ე რ თ ს ა და ი მ ა ვ ე გ ზ ა ს, ე რ თ ი და ი მ ა ვ ე შუათანა სადგურის გ ა ვ ლ ი თ, რომელსაც ეწოდება «პროდუქტთა წარმოებისა და განაწილების საყოველთაო-სახალხო აღრიცხვა და კონტროლი». ვისაც ეს არ ესმის, იგი მიუტევებელ ეკონომიურ შეცდომას სჩადის, ან იმიტომ, რომ არ იცნობს სინამდვილის ფაქტებს, ვერ ხედავს იმას, რაც არის,

უნარი არ შესწევს სახეში უცქიროს სიმართლეს, ანდა იმიტომ, რომ კმაყოფილდება «კაპიტალიზმის» აბსტრაქტული დაპირისპირებით «სოციალიზმისადმი» და არ უკვირდება ჩვენში ამ გადასვლის კონკრეტულ ფორმებსა და საფეხურებს ამჟამად. ფრჩხილებში შევნიშნავთ, რომ ეს იგივე თეორიული შეცდომაა, რომელმაც თავგზა აუბნია «ნოვაია ჟიზნისა» და «ვპერიოდის» ბანაკის საუკეთესო ადამიანებს: მათ შორის უცუდესნი და საშუალონი თავიანთი გონების სიჩლუნგისა და უნებისყოფობის გამო კუდში მიჩანჩალებენ ბურჟუაზიას, მისგან დაშინებულნი; ხოლო უკეთესებმა ვერ გაიგეს, რომ სოციალიზმის მასწავლებლები ტყუილუბრალოდ კი არ ლაპარაკობდნენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის მთელ პერიოდზე და ტყუილად კი არ აღნიშნავდნენ ხაზგასმით ახალი საზოგადოების «მშობიარობის ხანგრძლივ ტკივილებს», ამასთან ეს ახალი საზოგადოებაც აბსტრაქციაა, რომელიც ხორცს ვერ შეისხამს ისე, თუ არ განვლო მთელი რიგი სხვადასხვანაირი, არასრულყოფილი კონკრეტული ცდები ამა თუ იმ სახის სოციალისტური სახელმწიფოს შესაქმნელად.

სწორედ იმიტომ, რომ რუსეთის ახლანდელი ეკონომიური მდგომარეობიდან წინსვლა არ შეიძლება ისე, თუ არ გავივლით იმას, რაც საერთოა სახელმწიფო კაპიტალიზმისთვისაც და სოციალიზმისთვისაც (საყოველთაოსახალხო აღრიცხვა და კონტროლი), თავით ბოლომდე თეორიული უაზრობაა სხვებისა და საკუთარი თავის დაშინება «ევოლუციით სახელმწიფო კაპიტალიზმის მიმართულებით» («კომმუნისტი» № 1, გვ. 8, სვეტი 1). ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ «ევოლუციის» ნამდვილ გზას «გადაუხვიო» აზრით, ვერ გაიგო ეს გზა; პრაქტიკაში კი ეს იმას უდრის, რომ ეწეოდე უკან წვრილმესაკუთრული კაპიტალიზმისაკენ.

რათა მკითხველი დარწმუნდეს, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმის «მაღალ» შეფასებას მე ვიძლევი არა მარტო ახლა, არამედ ვიძლეოდი მანამდეც, ვიდრე ბოლშევიკები ძალაუფლებას აიღებდნენ, ნებას მივცემ ჩემს თავს მო-

ვიყვანო შემდეგი ციტატა ჩემი ბროშურიდან «კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას», რომელიც დაწერილია 1917 წ. სექტემბერში:

...«სცადეთ და იუნკრულ-კაპიტალისტური სახელმწიფოს ნ ა ც ვ ლ ა დ, მემამულურ-კაპიტალისტური სახელმწიფოს ნაცვლად იგულისხმეთ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ-დ ე მ ო კ რ ა-ტ ი უ ლ ი სახელმწიფო, ე. ი. ისეთი სახელმწიფო, რომელიც რევოლუციურად ამსხვრევს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ პრივილეგიებს, რომელსაც არ ეშინია იმისა, რომ რევოლუციურად განახორციელოს უაღრესად სრული დემოკრატიზმი? თქვენ დაინახავთ, რომ სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი ნამდვილად რევოლუციურ-დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში აუცილებლად, გარდუვალად ნიშნავს სოციალიზმისაკენ გადადგმულ ნაბიჯს და ნაბიჯებს!

...ვინაიდან სოციალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური მონოპოლიიდან წინგადადგმული უახლოესი ნაბიჯი.

...სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი სოციალიზმის უაღრესად სრული **მატერიალური** მომზადებაა, მისი **კარიბჭეა,** ისტორიული კიბის **ის** საფეხურია, რომელს შუა და სოციალიზმად წოდებულ საფეხურს შუა ა რ ა-ვ ი თ ა რ ი შ უ ა თ ა ნ ა ს ა ფ ე ხ უ რ ი ა რ ა რ ი ს» (გვ. 27 და 28) *.

დაიხსომეთ, რომ ეს დაწერილია კერენსკის დროს, რომ აქ ლაპარაკია ა რ ა პროლეტარიატის დიქტატურაზე, ა რ ა სოციალისტურ სახელმწიფოზე, არამედ «რევოლუციურ-დემოკრატიულზე». ნუთუ ცხადი არაა, რომ, რ ა ც უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა ავედით ამ პოლიტიკურ საფეხურთან შედარებით, რ ა ც უ ფ რ ო ს რ უ ლ ა დ განვახორციელეთ ჩვენ საბჭოებში სოციალისტური სახელმწიფო და პროლეტარიატის დიქტატურა, მ ი თ უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ა დ გვეპატიება გვეშინოდეს «სახელმწიფო კაპიტალიზმისა»? ნუთუ ცხადი არაა,

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 25, გვ. 436, 437, 438. რედ.

რომ მატერიალური, ეკონომიური, საწარმოო აზრით ჩვენ ჯერ კიდევ სოციალიზმის «კარიბჭეში» არ ვიმყოფებით? და რომ სოციალიზმის კარში ვერ შეხვალ ისე, თუ არ განვლე ეს «კარიბჭე», რომელიც ჩვენს მიერ ჯერ მიღწეული არ არის?

რა მხრითაც არ უდგები საკითხს, დასკვნა ერთი და იგივეა: «მემარცხენე კომუნისტების» მსჯელობა, თითქოს ჩვენ «სახელმწიფო კაპიტალიზმი» გვემუქრებოდეს, თავიდან ბოლომდე ეკონომიური შეცდომაა და იმის აშკარა დამამტკიცებელი საბუთია, რომ ისინი სწორედ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის სრულ ტყვეობაში იმყოფებიან.

V

უალრესად ჭკუის სასწავლია კიდევ შემდეგი გარემოება.

როდესაც ჩვენ ცაკში ამხ. ბუხარინს ვედავებოდით *, მან სხვათა შორის შენიშნა: სპეციალისტების დიდი ჯამაგირების საკითხში «ჩვენ» (ალბათ: ჩვენ, «მემარცხენე კომუნისტები») «ლენინზე მემარჯვენეები» ვართო, რადგან ამაში პრინციპებიდან არავითარ გადახვევას არა ვხედავთ, გვახსოვს რა მარქსის სიტყვები, რომ განსაზღვრულ პირობებში მუშათა კლასისათვის ყველაზე მიზანშეწონილი იქნებოდა «თავი გამოისყიდოს ამ ბანდისაგან»[103] (სახელდობრ კაპიტალისტების ბანდისაგან, ე. ი. ბურჟუაზიისაგან გამოისყიდოს მიწა, ფაბრიკები, ქარხნები და სხვა საწარმოო საშუალებანი).

ეს მეტისმეტად საინტერესო შენიშვნა ააშკარავებს, ჯერ-ერთი, იმას, რომ ბუხარინი ორი თავით უფრო მაღლა დგას მემარცხენე ესერებსა და ანარქისტებზე, რომ იგი სრულიადაც უიმედოდ არ არის ჩაფლული ფრაზებში, არამედ, პირიქით, ცდილობს ჩაუფიქრდეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის — მტანჯველი და მძიმე გადასვლის — კონკრეტულ სიძნელეებს.

მეორე, ეს შენიშვნა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ააშკარავებს ბუხარინის შეცდომას.

* იხ. ეს ტომი, გვ. 370 — 371. რედ.

მართლაც-და, ჩაუფიქრდით მარქსის აზრს.

საქმე შეეხებოდა გასული საუკუნის 70-იანი წლების ინგლისს, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის კულმინაციურ პერიოდს, იმ ქვეყანას, რომელშიც მაშინ ყველაზე ნაკლებად იყო სამხედრო ხროვა და ბიუროკრატია, იმ ქვეყანას, რომელშიც მაშინ ყველაზე მეტად იყო სოციალიზმის «მშვიდობიანი» გამარჯვების შესაძლებლობანი მუშების მიერ ბურჟუაზიის «გამოსყიდვის» აზრით. და მარქსი ამბობდა: განსაზღვრულ პირობებში მუშები სრულიადაც არ იტყვიან უარს იმაზე, რომ ბურჟუაზია გამოისყიდონო. მარქსი არც თვითონ იბორკავდა — და არც სოციალისტური რევოლუციის მომავალ მოღვაწეებს უბორკავდა — ხელებს გადატრიალების ფორმების, საშუალებების, ხერხების საქმეში, რადგანაც მშვენივრად ესმოდა, თუ რა აუარებელი ახალი პრობლემა წამოიჭრება მაშინ, თუ როგორ შეიცვლება მთელი ვითარება გადატრიალების მსვლელობაში, რა ხ შ ი რ ა დ, რა ძ ლ ი ე რ ა დ შეიცვლება იგი გადატრიალების მსვლელობაში.

კარგი, მაგრამ საბჭოთა რუსეთში, მ ა ს შ ე მ დ ე გ, რაც პროლეტარიატმა ძალაუფლება აიღო, მ ა ს შ ე მ დ ე გ, რაც დათრგუნვილ იქნა ექსპლოატატორების სამხედრო და საბოტაჟური წინააღმდეგობა, — ნუთუ ცხადი არ არის, რომ ზ ო გ ი ე რ თ ი პირობა შეიქმნა იმ პირობათა ტიპის მსგავსად, რომლებიც შეიძლებოდა ნახევარი საუკუნის წინ შექმნილიყო ინგლისში, მას რომ დაეწყო მაშინ მშვიდობიანი გადასვლა სოციალიზმზე? ინგლისში კაპიტალისტების დამორჩილება მუშებისადმი მაშინ შეიძლებოდა უზრუნველყოფილიყო შემდეგი გარემოებებით: (1) მოსახლეობაში მუშების, პროლეტარების, სრული სიჭარბით, რადგანაც გლეხობა არ იყო (ინგლისში 70-იან წლებში იყო ნიშნები, რომლებიც ნებას იძლეოდნენ გვქონოდა იმედი, რომ სოციალიზმი მეტად სწრაფ წარმატებას მოიპოვებდა სოფლის მუშებს შორის); (2) პროლეტარიატის საუცხოო ორგანიზებულობით პროფესიულ კავშირებში (ამ მხრივ ინგლისი მაშინ პირველი ქვეყანა იყო მსოფლიოში); (3) შედარებით მაღალი კულტურულობით

პროლეტარიატისა, რომელიც გაწაფული იყო პოლიტიკური თავისუფლების საუკუნეობრივი განვითარებით; (4) ინგლისის მშვენივრად ორგანიზებული კაპიტალისტების — მაშინ ისინი მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის ყველაზე უკეთ ორგანიზებული კაპიტალისტები იყვნენ (ახლა ეს პირველობა გერმანიის ხელში გადავიდა) — დიდი ხნის ჩვეულებით — კომპრომისით გადაეწყვიტათ პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები. აი რა გარემოებათა გამო შეიძლებოდა მაშინ დაბადებულიყო ის აზრი, რომ შესაძლებელი იყო ინგლისის კაპიტალისტების მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ა დ დამორჩილება ინგლისის მუშებისადმი.

ჩვენში ამჟამად ეს დამორჩილება უზრუნველყოფილია განსაზღვრული ძირითადი წინაპირობებით (ოქტომბრის გამარჯვებით და კაპიტალისტების სამხედრო და საბოტაჟური წინააღმდეგობის დათრგუნვით ოქტომბრიდან თებერვლამდე). ჩვენში, ნ ა ც ვ ლ ა დ მუშების, პროლეტარების სრული სიჭარბისა მოსახლეობაში და მათი მაღალი ორგანიზებულობისა, გამარჯვების ფაქტორად ის გახდა, რომ პროლეტარებს მხარი დაუჭირა უღარიბესმა და სწრაფად გაპარტახებულმა გლეხობამ. ბოლოს, ჩვენ არა გვაქვს არც მაღალი კულტურულობა და არც კომპრომისებს ვართ ჩვეული. თუ ჩავუფიქრდებით ამ კონკრეტულ პირობებს, ცხადი გახდება, რომ ამჟამად ჩვენ შეგვიძლია და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ იმ უკულტურო კაპიტალისტებთან ულმობლად გასწორების ხერხები *, რომელნიც გაურბიან ყოველგვარ «სახელმწიფო კაპიტალიზმს», არავითარ კომპრომისზე წასვლას არ ფიქრობენ, განაგრძობენ საბჭოთა ღონისძიებების ჩაშლას სპეკუ-

* საჭიროა აქაც სახეში შევხედოთ სიმართლეს: სოციალიზმის წარმატებისათვის საჭირო ულმობელობა ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს, და ცოტა გვაქვს არა იმიტომ, რომ მოკლებული ვართ გამბედაობას. გამბედაობა ჩვენ საკმაოდ გვაქვს. ხოლო არა გვაქვს იმის უნარი, რომ საკმაოდ სწრაფად დ ა ვ ი პ ი რ ო თ საბჭოთა ღონისძიებების დამრღვევთა — სპეკულანტების, მოთარეშეების, კაპიტალისტების საკმაო რაო-

ლაციით, ღარიბთა მოსყიდვით და სხვ., შ ე ვ უ ე რ თ ო თ კ ო მ პ რ ო მ ი ს ი ს ან გამოსყიდვის ხ ე რ ხ ე ბ ს ი მ კულ-ტურული კაპიტალისტების მიმართ, რომელნიც «სახელ-მწიფო კაპიტალიზმზე» თანხმდებიან, უნარი აქვთ გაატარონ ის ცხოვრებაში, სასარგებლონი არიან პროლეტარიატისთვის როგორც ჭკვიანი და გამოცდილი ორგანიზატორები ისეთი უ მ ს ხ ვ ი ლ ე ს ი საწარმოებისა, რომლებიც ნამდვილად მოიცავენ ათეულ მილიონობით ადამიანთა მომარაგებას პრო-დუქტებით.

ბუხარინი საუცხოოდ განათლებული მარქსისტი-ეკონო-მისტია. ამიტომ მას გაახსენდა, რომ მარქსი უაღრესად მართა-ლი იყო, როდესაც მუშებს ასწავლიდა სწორედ სოციალიზმ-ზე გადასვლის გაადვილების ინტერესებისათვის უმსხვილესი წარმოების ორგანიზაციის შენარჩუნების მნიშვნელობას და იმ აზრის სრული დაშვების შესაძლებლობას, რომ კ ა რ გ ი ფ ა ს ი მ ი ე ც ა თ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, გა-მოესყიდათ ისინი, თ უ კ ი (გამონაკლისის სახით: ინგლისი მაშინ გამონაკლისს წარმოადგენდა) გარემოებანი ისე შეიქმ-ნება, რომ აიძულებს კაპიტალისტებს მშვიდობიანად დამორ-ჩილდნენ და კულტურულად, ორგანიზებულად გადავიდნენ სოციალიზმზე გამოსყიდვის პირობით.

მაგრამ ბუხარინს შეცდომა მოუვიდა, რადგანაც იგი არ ჩაუფიქრდა რუსეთში ახლა არსებული მომენტის — სწორედ განსაკუთრებული მომენტის — კონკრეტულ თავისებურებას, როდესაც ჩვენ, რუსეთის პროლეტარიატი, ყოველ ინგლისსა და ყოველ გერმანიაზე წ ი ნ ა ვ ა რ თ ჩვენი პოლიტიკური წყობილებით, მუშათა პოლიტიკური ხელისუფლების ძლიე-რებით და იმავე დროს დასავლეთ ევროპის ყველაზე ჩამორ-ჩენილ სახელმწიფოზე უ კ ა ნ ა ვ ა რ თ კეთილწესიერი

დენობა. ვინაიდან ეს «უნარი» იქმნება მხოლოდ აღრიცხვისა და კონტრო-ლის ორგანიზაციით! მეორე, არ არის საკმაო სიმტკიცე სასამართლოებში, რომლებიც მექრთამეთა დახვრეტის ნაცვლად მათ ნახევარი წლის პატიმ-რობას უსჯიან. ორივე ჩვენს ნაკლს ერთი სოციალური ფესვი აქვს: წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის გავლენა, მისი სიძაბუნე.

სახელმწიფო კაპიტალიზმის ორგანიზაციით, კულტურის სიმაღლით, სოციალიზმის მატერიალურ-საწარმოო «შემოღების» მომზადების დონით. განა ცხადი არაა, რომ ამ თავისებური მდგომარეობიდან ახლანდელი მომენტისათვის გამომდინარეობს სწორედ აუცილებლობა თავისებური «გამოსყიდვისა», რომელიც მუშებმა უნდა შესთავაზონ უაღრესად კულტურულ, უაღრესად ტალანტიან, ორგანიზატორული მხრით ყველაზე უნარიან კაპიტალისტებს, რომელნიც მზად არიან ემსახურონ საბჭოთა ხელისუფლებას და კეთილწესიერად დაეხმარონ მსხვილი და უმსხვილესი «სახელმწიფო» წარმოების მოწყობის საქმეს? განა ცხადი არაა, რომ ამნაირი თავისებური მდგომარეობის დროს ჩვენ უნდა ვცდილობდეთ თავიდან ავიშოროთ ორნაირი შეცდომა, რომელთაგან თვითეული თავისებურად წვრილბურჟუაზიულია? ერთი მხრით, გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა გაგვეცხადებინა, რომ რაკი ადიარებულია ჩვენი ეკონომიური «ძალებისა» და პოლიტიკური ძალის შეუსაბამობა, «მაშასადამე», ძალაუფლებაც არ უნდა აგვეღოო. ასე მსჯელობენ «ფუტლარის ადამიანები», რომელთაც ავიწყდებათ, რომ «შესაბამისობა» არასოდეს არ იქნება, რომ იგი არ შეიძლება იყოს ბუნების განვითარებაში, ისევე როგორც საზოგადოების განვითარებაში, რომ მხოლოდ მთელ რიგ ცდათა საშუალებით — რომელთაგან თვითეული, ცალ-ცალკე აღებული, ცალმხრივი, ერთგვარი შეუსაბამობის მატარებელი იქნება, — ყ ვ ე ლ ა ქვეყნის პროლეტართა რევოლუციური თანამშრომლობით შეიქმნება მთლიანი სოციალიზმი.

მეორე მხრით, აშკარა შეცდომა იქნებოდა თავისუფლება მიგვეცა მყვირალებისა და ფრაზიორებისათვის, რომელნიც თავს ნებას აძლევენ, რომ ისინი გაიტაცოს «ბრჭყვიალა» რევოლუციურობამ, მაგრამ უნარი კი არ შესწევთ აწარმოონ მტკიცე, მოფიქრებული, აწონ-დაწონილი რევოლუციური მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს აგრეთვე უძნელეს გადასვლებს.

საბედნიეროდ, რევოლუციური პარტიების განვითარებისა და მათთან ბოლშევიზმის ბრძოლის ისტორიამ მემკვიდრეობად დაგვიტოვა მკვეთრად მოხაზული ტიპები, რომელთაგანაც მემარცხენე ესერები და ანარქისტები უხეირო რევოლუციონერების ტიპის საკმაოდ თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენენ. ისინი ახლა გაჰკივიან — ისტერიულად და სულმოუთქმელად, მთელი ძალით გაჰკივიან — «მემარჯვენე ბოლშევიკების» «შემთანხმებლობის» წინააღმდეგ. მაგრამ მათ უნარი არ შესწევთ იფიქრონ, თ უ რ ი თ იყო ცუდი დ ა რ ა ტ ო მ გაიცხა ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ა დ ისტორიამ და რევოლუციის მსვლელობამ «შემთანხმებლობა».

კერენსკის დროის შემთანხმებლობა ძალაუფლებას იმპერიალისტურ ბურჟუაზიას აძლევდა, ხოლო ძალაუფლების საკითხი ყოველი რევოლუციის ძირითადი საკითხია. ბოლშევიკთა ერთი ნაწილის შემთანხმებლობას 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ან ეშინოდა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღებისა, ანდა სურდა ძალაუფლება თანაბრად გ ა ე ყ ო არა მარტო ისეთ «არასაიმედო თანამგზავრებთან», როგორიც მემარცხენე ესერები არიან, არამედ მტრებთანაც — ჩერნოველებთან, მენშევიკებთან, რომელნიც აუცილებლივ ხელს შეგვიშლიდნენ ჩვენ ძირითადში: დამფუძნებელი კრების გარეკვაში, ბოგაევსკების ულმობელ განადგურებაში, საბჭოთა დაწესებულებების სავსებით ჩამოყალიბებაში, ყოველ კონფისკაციაში.

ახლა ძალაუფლება დაპყრობილია, შენარჩუნებულია, განმტკიცებულია ერთი პარტიის, პროლეტარიატის პარტიის ხელში, «არასაიმედო თანამგზავრების» გარეშეც კი. ახლა ლაპარაკი შემთანხმებლობის შესახებ, როდესაც ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს განაწილებაზე, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული პროლეტარების დიქტატურის უარყოფაზე ლაპარაკიც კი აღარაა და არც შეიძლება იყოს, — იმას ნიშნავს, რომ კაჭკაჭივით იმეორებდე გაზეპირებულ, მაგრამ შეუცნობელ სიტყვებს. «შემთანხმებლობა» უწოდო იმას, რომ, მივაღწიეთ რა ისეთ მდგომარეობას, როდესაც ჩვენ შეგვიძლია და უნდა

ვმართოთ ქვეყანა, ვცდილობთ ჩვენკენ მოვიზიდოთ კაპიტალიზმის მიერ განსწავლული ყველაზე კულტურული ელემენტები, და ამისათვის არ ვზოგავთ ფულს, ვცდილობთ ავიყვანოთ ისინი სამსახურში წვრილმესაკუთრული რღვევის წინააღმდეგ, — ეს იმას ნიშნავს, რომ სრულიად არ შეგეძლოს ფიქრი სოციალიზმის მშენებლობის ეკონომიურ ამოცანებზე.

და ამიტომ — რარიგ კარგადაც უნდა ახასიათებდეს ამხანაგ ბუხარინს ის გარემოება, რომ მას უმალვე «შერცხვა» ცაკში იმ «სამსახურისა», რომელიც მას კარელინებმა და გეებმა გაუწიეს, — მაინც «მემარცხენე კომუნისტების» მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს მიმართ სერიოზულ გაფრთხილებად რჩება მითითება მათ პოლიტიკურ თანამებრძოლებზე.

აი, მემარცხენე ესერების ორგანო «ზნამია ტრუდა», რომელიც 1918 წ. 25 აპრილის ნომერში ამაყად აცხადებს: «ჩვენი პარტიის ახლანდელი პოზიცია სოლიდარულია ბოლშევიზმის მეორე მიმდინარეობისა (ბუხარინისა, პოკროვსკისა და სხვებისა)». აი, მენშევიკური «ვპერიოდი» იმავე რიცხვისა, რომელშიც, სხვათა შორის, მოთავსებულია საკმაოდ ცნობილი მენშევიკის ისუვის შემდეგი «თეზისი»:

«საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა, რომლისთვისაც თავიდანვე უცხო იყო ჭეშმარიტად-პროლეტარული ხასიათი, ამ ბოლო დროს უფრო და უფრო აშკარად ადგება ბურჟუაზიასთან შეთანხმების გზას და აშკარად ანტიმუშურ ხასიათს იღებს. მრეწველობის ნაციონალიზაციის დროშით ტარდება სამრეწველო ტრესტების დანერგვის პოლიტიკა, ქვეყნის საწარმოო ძალთა აღდგენის დროშით ცდილობენ მოსპონ რვა საათის სამუშაო დღე, შემოიღონ სანარდო ხელფასი და ტეილორის სისტემა, შავი სიები და შავი პასპორტები. ეს პოლიტიკა პროლეტარიატს უქადის წაართვას მისი ძირითადი მონაპოვარნი ეკონომიურ დარგში და გახადოს იგი ბურჟუაზიის მხრივ განუსაზღვრელი ექსპლოატაციის მსხვერპლი».

განა ჩინებული არ არის?

კერენსკის მეგობრები, მასთან ერთად რომ ეწეოდნენ იმპერიალისტურ ომს იმ საიდუმლო ხელშეკრულებათა გულისთვის, რომლებიც რუს კაპიტალისტებს ანექსიებს აღუთქვამდა, კოლეგები წერეთლისა, რომელიც 11 ივნისს მუშებს იარაღის აყრას უპირებდა, ლიბერდანები, რომელნიც მყვირალა ფრაზებით ფარავდნენ ბურჟუაზიის ძალაუფლებას, — აი ესენი, ესენი ამხილებენ საბჭოთა ხელისუფლებას «ბურჟუაზიასთან შეთანხმებაში», «ტრესტების დანერგვაში» (ე. ი. სწორედ «სახელმწიფო კაპიტალიზმის» დანერგვაში!), ტეილორის სისტემის შემოღებაში.

დიახ, ისუვს უნდა მიერთვას მედალი ბოლშევიკებისაგან, ხოლო მისი თეზისი უნდა გამოჰკიდონ ყოველ მუშათა კლუბში და კავშირში, როგორც ნიმუში ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს პ რ ო ვ ო კ ა ტ ო რ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა. მუშები ახლა კარგად იცნობენ, გამოცდილებით იცნობენ ყველგან ლიბერდანებს, წერეთლებს, ისუვებს, და მუშებისათვის არქისასარგებლო იქნება ყურადღებით ჩაუფიქრდნენ იმას, თუ რატომ აქეზებენ ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს ა მ გ ვ ა რ ი ლ ა ქ ი ე ბ ი პროვოკაციულად **მუშებს** იმისათვის, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიონ ტეილორის სისტემას და «ტრესტების დანერგვას».

შეგნებული მუშები დაკვირვებით შეადარებენ ბატონ ლიბერდანებისა და წერეთლების მეგობრის — ისუვის «თეზისს» «მემარცხენე კომუნისტების» შემდეგ თეზისთან:

«წარმოებაში კაპიტალისტების ხელმძღვანელობის აღდგენასთან დაკავშირებით შრომის დისციპლინის შემოღება არსებითად ვერ გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას, ხოლო პროლეტარიატის კლასობრივ თვითმოქმედებას, აქტივობას და ორგანიზებულობას კი დასცემს. იგი მუშათა კლასს დამონებას უქადის, გამოიწვევს უკმაყოფილებას პროლეტარიატის როგორც ჩამორჩენილ ფენებში, ისე ავანგარდში. ამ სისტემის ცხოვრებაში გატარებისათვის, როდესაც პროლეტარულ წრეში გაბატონებულია სიძულვილი «მესაბოტაჟე კაპიტალისტების» წინააღმდეგ, კომუნისტურ პარტიას მოუხდებოდა მუშების წინააღმდეგ წვრილ ბურჟუაზიაზე დაყრდნობა და ამით იგი

დაიღუპავდა თავს, როგორც პროლეტარიატის პარტია» («კომმუნისტ» № 1, გვ. 8, სვეტი 2).

აი იმის უაღრესად თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთი, თუ როგორ გაებნენ მახეში «მემარცხენენი», როგორ აჰყვნენ ისინი ისუვებისა და კაპიტალიზმის სხვა იუდების პროვოკაციას. აი კარგი გაკვეთილი მუშებისათვის, რომელთაც იციან, რომ სწორედ პროლეტარიატის ავანგარდი უჭერს მხარს შრომის დისციპლინის შემოღებას, რომ სწორედ წვრილი ბურჟუაზია ყველაზე მეტ ჭაპანწყვეტაშია, რომ ეს დისციპლინა დაარღვიოს. ისეთი სიტყვები, როგორიცაა «მემარცხენეების» ხსენებული თეზისი, არის უდიდესი სამარცხვინო რამ და კომუნიზმისაგან სრული განდგომა საქმით, სრული გადასვლა სწორედ წვრილი ბურჟუაზიის მხარეზე.

«კაპიტალისტების ხელმძღვანელობის აღდგენასთან დაკავშირებით», აი რა სიტყვებით ფიქრობენ «მემარცხენე კომუნისტები» «თავის დაცვას». ყოვლად უვარგისი დაცვაა, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება კაპიტალისტებს «ხელმძღვანელობას» აძლევს, ჯერ-ერთი, ისეთ პირობებში, როდესაც არსებობენ მუშა კომისრები ან მუშათა კომიტეტები, რომელნიც თვალყურს ადევნებენ ხელმძღვანელის ყოველ ნაბიჯს, სწავლობენ მისი სახელმძღვანელო გამოცდილებით, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ არა მარტო გაასაჩივრონ ხელმძღვანელის განკარგულებანი, არამედ გადააყენონ კიდეც იგი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოთა საშუალებით. მეორე, კაპიტალისტებს «ხელმძღვანელობა» ეძლევათ აღმასრულებელი ფუნქციებისათვის, მუშაობის დროს, რომლის პირობებიც სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ განსაზღვრა და თვითონვე აუქმებს და ახდენს მათ გადასინჯვას. მესამე, საბჭოთა ხელისუფლება კაპიტალისტებს «ხელმძღვანელობას» აძლევს არა როგორც კაპიტალისტებს, არამედ როგორც სპეციალისტ-ტექნიკოსებს ან ორგანიზატორებს დიდი ხელფასის დანიშვნით. და მუშებმა მშვენივრად იციან, რომ ნამდვილად მსხვილი და უმსხვილესი საწარმოების, ტრესტების ან სხვა დაწესებულებათა ორგანიზატორები ოთხმოცდაცხრა-

მეტი მეასედით კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნიან, ისე როგორც პირველხარისხოვანი ტექნიკოსები, — მაგრამ ჩვენ, პროლეტარულმა პარტიამ, სწორედ ისინი უნდა ავიყვანოთ შრომის პროცესისა და წარმოების ორგანიზაციის «ხელმძღვანელებად», რადგანაც ამ საქმის პრაქტიკით, გამოცდილებით მცოდნე სხვა ადამიანები ა რ მ ო ი პ ო ვ ე ბ ი ა ნ. ვინაიდან მუშები, რომლებმაც თავი დააღწიეს ბალღობის ასაკს, როდესაც მათი გადაცდენა შეეძლო «მემარცხენე» ფრაზას ან წვრილბურჟუაზიულ თავაშვებულობას, სოციალიზმისაკენ მიდიან ტრესტების მიმართ სწორედ კაპიტალისტური ხელმძღვანელობის გზით, უმსხვილესი მანქანური წარმოების გზით, იმ საწარმოთა გზით, რომელთა ბრუნვაც წელიწადში რამდენიმე მილიონს უდრის, — მხოლოდ ასეთ წარმოებათა და საწარმოთა გზით. მუშები წვრილი ბურჟუები როდი არიან. მათ არ ეშინიათ უმსხვილესი, «სახელმწიფო კაპიტალიზმისა», ისინი მას აფასებენ, როგორც თავიანთ, პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ, იარაღს, რომელსაც მ ა თ ი, ს ა ბ ჭ ო თ ა, ხელისუფლება გამოიყენებს წვრილმესაკუთრული რღვევისა და დაშლის წინააღმდეგ.

ეს არ ესმით მხოლოდ დეკლასირებულ და ამიტომ სავსებით წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, რომელთა ტიპსაც «მემარცხენე კომუნისტების» ჯგუფში და მათ ჟურნალში წარმოადგენს ოსინსკი, როდესაც იგი წერს:

...«მთელი ინიციატივა საწარმოს ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საქმეში «ტრესტების ორგანიზატორების» ხელთ იქნება: ჩვენ ხომ მათთვის ს წ ა ვ ლ ე ბ ა არ გვინდა, არც მათი უბრალო მუშაკებად გადაქცევა, არამედ მათგან ს წ ა ვ ლ ა» («კომმუნისტ» № 1, გვ. 14, სვეტი 2).

ამ ფრაზაში ირონიის ცდა მიმართულია ჩემი სიტყვების წინააღმდეგ: «ვისწავლოთ სოციალიზმი ტრესტების ორგანიზატორებისაგან».

ოსინსკისთვის ეს სასაცილოა. მას სურს ტრესტების ორგანიზატორები «უბრალო მუშაკებად» აქციოს. ეს რომ ისეთი ასაკის ადამიანს დაეწერა, რომელზედაც პოეტმა თქვა:

«მხოლოდ თხუთმეტი წლისა, მეტისა არა?»... [104] — მაშინ გასაოცარი არაფერი იქნებოდა. მაგრამ ცოტა არ იყოს უცნაურია, როდესაც ასეთი სიტყვები გესმის მარქსისტისაგან, რომელსაც უსწავლია, რომ სოციალიზმი შეუძლებელია ისე, თუ არ გამოვიყენებთ უმსხვილესი კაპიტალიზმის მიერ მოპოვებულ ტექნიკისა და კულტურის მიღწევებს. აქ მარქსიზმისა არაფერია დარჩენილი.

არა. კომუნისტად წოდების ღირსი მხოლოდ ის არის, ვისაც ესმის, რომ სოციალიზმის შექმნა ან შემოღება ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ისე, თუ ტრესტის ორგანიზატორებისაგან ა რ ვ ი ს წ ა ვ ლ ი თ. ვინაიდან სოციალიზმი გამოგონილი რამ კი არ არის, არამედ იგია შეთვისება პროლეტარული ავანგარდის მიერ, რომელმაც ძალაუფლება დაიპყრო, შეთვისება და გამოყენება იმისა, რაც ტრესტებს შეუქმნიათ. ჩვენ, პროლეტარიატის პარტია, ვ ე რ ს ა ი დ ა ნ შევიძენთ იმის ცოდნა-უნარს, რომ მოვაწყოთ უმსხვილესი წარმოება, ტრესტების ტიპისა, ისეთისა, როგორიც ტრესტებია, — ვ ე რ ს ა ი დ ა ნ, თუ მას კაპიტალიზმის პირველხარისხოვანი სპეციალისტებისაგან არ ავიღებთ.

მათ ჩვენ ვერაფერს ვასწავლით, თუ არ დავისახავთ ბავშვურ მიზანს «ვასწავლოთ» სოციალიზმი ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს: საჭიროა არა მათი სწავლება, არამედ ექსპროპრიაცია (რაც რუსეთში საკმაოდ «მტკიცედ» კეთდება), მათი საბოტაჟი უნდა გ ა ვ ტ ე ხ ო თ, ისინი, როგორც ფენა ან ჯგუფი, უნდა დ ა ვ უ მ ო რ ჩ ი ლ ო თ საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენ კი მათგან, — თუ ჩვენ ბავშვური ასაკისა და ბავშვური შეგნების კომუნისტები არა ვართ, — ჩვენ უნდა ვასწავლოთ მათგან, და ბევრი რამის სწავლაც შეგვიძლია, ვინაიდან პროლეტარიატის პარტიას და პროლეტარიატის ავანგარდს ა რ გ ა ა ჩ ნ ი ა დამოუკიდებელი მუშაობის გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა ისეთ უმსხვილეს საწარმოთა მოგვარებაში, რომელნიც ათეულ მილიონობით მოსახლეობას ემსახურებიან.

და რუსეთის საუკეთესო მუშებმა ეს შეიგნეს. მათ დაიწყეს სწავლა კაპიტალისტ-ორგანიზატორებთან, ინჟინერ-ხელმძღვანელებთან, ტექნიკოს-სპეციალისტებთან. მათ მტკიცედ და ფრთხილად დაიწყეს უფრო ადვილით და თანდათან გადადიან უძნელესზე. თუ მეტალურგიასა და მანქანათმშენებლობაში საქმე უფრო ნელა მიდის, ეს იმიტომ, რომ იგი უფრო ძნელია. ხოლო ფეიქარ, მეთამბაქოე, მეტყავე მუშებს დეკლასირებულ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტებსავით არ ეშინიათ «სახელმწიფო კაპიტალიზმისა», არ ეშინიათ «სწავლისა ტრესტების ორგანიზატორებისაგან». ეს მუშები «გლავკოჟის» ან «ცენტროტექსტილის» ტიპის ცენტრალურ ხელმძღვანელ დაწესებულებებში სხედან კაპიტალისტების გვერდით, სწავლობენ მათგან, აწყობენ ტრესტებს, აწყობენ «სახელმწიფო კაპიტალიზმს», რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს სოციალიზმის კარიბჭეს, სოციალიზმის მტკიცე გამარჯვების პირობას წარმოადგენს.

რუსეთის მოწინავე მუშების ასეთი მუშაობა, მათ მიერ შრომის დისციპლინის შემოღებისათვის წარმოებულ მუშაობასთან ერთად, წარიმართა და მიმდინარეობს არა ხმაურით, არა ბრჭყვიალებით, არა ჟღარუნითა და ჭახანით, რაც ზოგიერთი «მემარცხენისათვის» აუცილებელია, არამედ უდიდესი სიფრთხილითა და თანდათანობით, პრაქტიკის გაკვეთილების გათვალისწინებით. ამ მძიმე მუშაობაში, უმსხვილესი წარმოების შენების პრაქტიკულად სწავლის მუშაობაში, არის იმის საწინდარი, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვართ, — იმის საწინდარი, რომ რუსეთის შეგნებული მუშები აწარმოებენ ბრძოლას წვრილმესაკუთრული რღვევისა და დაშლის წინააღმდეგ, წვრილბურჟუაზიული უდისციპლინობის * წინააღმდეგ, საწინდარი კომუნიზმის გამარჯვებისა.

---

* უაღრესად დამახასიათებელია, რომ თეზისების ავტორები კრიტიკაც არ სძრავენ პროლეტარიატის **დიქტატურის** მნიშვნელობის შესახებ ცხოვრების ეკონომიურ **დარგში**. ისინი ლაპარაკობენ მხოლოდ «ორგანიზებულობის» და სხვ. შესახებ. მაგრამ ამას აღიარებს წვრილ

VI

დასასრულ — ორი შენიშვნა.

როდესაც ჩვენ ვედავებოდით «მემარცხენე კომუნისტებს» 1918 წ. 4 აპრილს (იხ. «კომმუნისტ» № 1, გვ. 4, შენიშვნა), მე პირდაპირ დავუყენე მათ საკითხი: აბა შეეცადეთ აგვიხსნათ, რითი ხართ უკმაყოფილონი სარკინიგზო დეკრეტისა, მოგვეცით ამ დეკრეტის თ ქ ვ ე ნ ი შესწორებანი. ეს თქვენი მოვალეობაა, როგორც პროლეტარიატის საბჭოთა ხელმძღვანელებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი სიტყვები მხოლოდ ფუჭ ფრაზას წარმოადგენს.

1918 წ. 20 აპრილს გამოვიდა «კომმუნისტ» № 1 — მასში ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა ც ა რ ა ა ა იმაზე, თუ, «მემარცხენე კომუნისტების» აზრით, როგორ უნდა შეიცვალოს ან შესწორდეს სარკინიგზო დეკრეტი.

ამ დუმილით «მემარცხენე კომუნისტებმა» თვითონვე დაგმეს თავისი თავი. ისინი დაკმაყოფილდნენ გამოხდომებით, გადაკრული ლაპარაკით სარკინიგზო დეკრეტის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ (გვ. 8 და 16 № 1-ში), მაგრამ არაფერი გარკვეული ა რ გ ვ ი პ ა ს უ ხ ე ს კითხვაზე: «როგორ შევასწოროთ დეკრეტი, თუ იგი სწორი არაა?».

კომენტარები ზედმეტია. სარკინიგზო დეკრეტის (ჩვენი ხაზის, სიმტკიცის ხაზის, დიქტატურის ხაზის, პროლეტარული დისციპლინის ხაზის ნიმუშის) ა ს ე თ «კრიტიკას» შეგნებული მუშები დაარქმევენ ან «ისუვისებურს», ან ფრაზას.

მეორე შენიშვნა. «კომმუნისტის» 1-ლ ნომერში დაბეჭდილია ამხ. ბუხარინის ჩემთვის ძალიან სასიამოვნო რეცენზია ჩემი ბროშურის — «სახელმწიფო და რევოლუციის» შესახებ,

---

ბურჟუაც, რომელიც უფრთხის სწორედ მუშების დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა ს ეკონომიურ ურთიერთობაში. პროლეტარული რევოლუციონერი ვერასოდეს ვერ «დაივიწყებდა» ასეთ მომენტში ამ «დედაზრს» პროლეტარული რევოლუციისას, რომელიც მიმართულია კაპიტალიზმის სამეურნეო საფუძვლების წინააღმდეგ.

მაგრამ, რაც უნდა ძვირფასი იყოს ჩემთვის ბუხარინისთანა ადამიანების აზრი, მე სინდისქვეშ უნდა ვთქვა, რომ რეცენზიის ხ ა ს ი ა თ ი სამწუხარო და საგულისხმო ფაქტს ააშკარავებს: ბუხარინს პირი მიუბრუნებია წ ა რ ს უ ლ ი-ს ა კ ე ნ და არა მომავლისაკენ, და ისე უყურებს პროლეტარული დიქტატურის ამოცანებს. ბუხარინმა შენიშნა და ხაზი გაუსვა იმას, თუ რა შეიძლება საერთო ჰქონდეს სახელმწიფოს საკითხში პროლეტარულ და წვრილბურჟუაზიულ რევოლუციონერს. ბუხარინმა «ვერ შენიშნა» სწორედ ის, რაც პირველს ჰყოფს მეორისაგან.

ბუხარინმა შენიშნა და ხაზი გაუსვა იმას, რომ ძველი სახელმწიფო აპარატი უნდა «დავამსხვრიოთ», «ავაფეთქოთ», რომ ბურჟუაზია უნდა «ბოლომდე დავახრჩოთ» და სხვ.. გაშმაგებულ წვრილ ბურჟუასაც შეუძლია ეს სურდეს. და ეს, მთავარ ხაზებში, უ კ ვ ე მოიმოქმედა ჩვენმა რევოლუციამ 1917 წ. ოქტომბრიდან 1918 წ. თებერვლამდე.

მაგრამ რაც არ შეუძლია ისურვოს უაღრესად რევოლუციურმა წვრილმა ბურჟუამაც კი, რაც სურს შეგნებულ პროლეტარს, რაც ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ გაუკეთებია ჩვენს რევოლუციას, ამაზედაცაა ლაპარაკი ჩემს ბროშურაში. და ამ ამოცანის, ხვალინდელი დღის ამოცანის შესახებ ბუხარინმა ხმა არ ამოიღო.

მე კი მით უფრო მეტი საფუძველი მაქვს ამის შესახებ არ ვდუმდე, რომ, ჯერ-ერთი, კომუნისტისაგან უნდა მოველოდეთ მეტ ყურადღებას ხვალინდელი, და არა გუშინდელი დღის ამოცანებისადმი, ხოლო, მეორე, ჩემი ბროშურა დაწერილია ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ა ღ ე ბ ა მ დ ე, როდესაც ბოლშევიკების გამასპინძლება არ შეიძლებოდა ვულგარულ-მეშჩანური მოსაზრებით: «ჰო, მას შ ე მ დ ე გ, რაც ძალაუფლება დაიპყრეს, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, ამღერდნენ დისციპლინის შესახებ»...

...«სოციალიზმი გადაიზრდება კომუნიზმში... ვინაიდან ადამიანები შეეჩვევიან საზოგადოებრიობის ელემენტარული პირობების ძალდაუტანებლად და დაუმორჩილებლად დაცვას»

(«სახელმწიფო და რევოლუცია», გვ. 77—78 *. მაშასადამე, «ელემენტარულ პირობებზე» ლაპარაკი ყოფილა ბალაუფლების ა ღ ე ბ ა მ დ ე).

...«მხოლოდ მაშინ დაიწყებს დემოკრატია კვდომას»... როდესაც «ადამიანები... თანდათან შეეჩვევიან საერთო თანაცხოვრების ელემენტარული, საუკუნეობით ცნობილი, ათასეული წლების მანძილზე ყოველნაირად გადაღეჭილი წესების დაცვას, მათ დაცვას ისე, რომ საჭირო არ იყოს ძალადატანება, იძულება, დამორჩილება, საჭირო არ იყოს იძულების ის განსაკუთრებული აპარატი, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება» (იქვე, გვ. 84 **; «საბუთებზე» ლაპარაკი იყო ძალაუფლების ა ღ ე ბ ა მ დ ე).

....«კომუნიზმის განვითარების უმაღლესი ფაზა» (თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით, თვითეული — ნიჭის მიხედვით) «არ გულისხმობს არც შრომის ახლანდელ ნაყოფიერებას და არც ახლანდელ ფილისტერს, რომელსაც, პომიალოვსკის ბურსელების მსგავსად, შეუძლია ტყუილუბრალოდ გააფუჭოს საზოგადოებრივი სიმდიდრის საწყობები და მოითხოვოს შეუძლებელი» (იქვე, გვ. 91) ***.

...«მანამდე, სანამ კომუნიზმის უმაღლესი ფაზა დადგებოდეს, სოციალისტები მოითხოვენ შრომის ზომისა და მოხმარების ზომის უსასტიკეს კონტროლს საზოგადოების მხრივაც და სახელმწიფოს მხრივაც»... (იქვე).

...«აღრიცხვა და კონტროლი — აი მთავარი, რაც საჭიროა კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის მოწესრიგებისათვის, სწორი ფუნქციონირებისათვის» (იქვე, გვ. 95) ****. და ეს კონტროლი უნდა მოწესრიგდეს არა მარტო «კაპიტალისტების უმნიშვნელო უმცირესობის მიმართ, იმ ვაებატონების მიმართ, რომელთაც სურთ კაპიტალისტების ზნე-ჩვეულებანი შეინარჩუნონ», არამედ აგრეთვე იმ მუშების მიმარ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 25, გვ. 567. რ ე დ.
** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 25, გვ. 575. რ ე დ.
*** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 25, გვ. 585. რ ე დ.
**** იხ. თხზულებანი, მე-4 ვამოცემა, ტომი 25, გვ. 590. რ ე დ.

თაც, რომლებიც «კაპიტალიზმის მიერ ღრმად არიან გახრწნილნი» (იქვე, გვ. 96) * და «მუქთახორების, ბატონკაცობის, თაღლითებისა და სხვა მათ მსგავსთა — კაპიტალიზმის ტრადიციების დამცველთა მიმართ» (იქვე).

საგულისხმოა, რომ ამისათვის ბუხარინს ხაზი არ გაუსვამს.

5. V. 1918.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 25, გვ. 591. რედ.

რკპ(ბ) ც. კ-ის დადგენილება საერთაშორისო მდგომარეობის საკითხის გამო [105]

გერმანიის ულტიმატუმს დავუთმოთ. ინგლისის ულტიმატუმი უარყოფილ იქნას. (ვინაიდან გერმანიის წინააღმდეგ ომი უშუალოდ გვემუქრება უფრო მეტი დანაკარგებითა და უბედურებით, ვიდრე იაპონიის წინააღმდეგ ომი).

რუსეთის კონტრრევოლუციასთან უკრაინის კონტრრევოლუციის აშკარა პოლიტიკური კავშირის გამო, შემოღებულ იქნას სამხედრო მდგომარეობა ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

წარმართულ იქნას მთელი ძალები ურალ-კუზნეცკის რაიონისა და ტერიტორიის დასაცავად როგორც იაპონიისა, ისე გერმანიისაგან *.

მირბახთან წარმოებულ იქნას მოლაპარაკება იმის გამორკვევის მიზნით, ვალდებულებას კისრულობენ თუ არა დადონ ფინეთისა და უკრაინის ზავი რუსეთთან, და ყოველნაირად დაჩქარდეს ეს ზავი, თუმცა შეგნებული გვაქვს, რომ მას მოაქვს ა ხ ა ლ ი ანექსიები.

მიღებულია ც. კ-ში
ორშაბათს,
6. V. 1918, ღ ა მ ი თ.

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* ახლავე დაიწყოს ურალზე საზოგადოდ ყოველივესი და, კერძოდ, სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიციის ევაკუაცია.

ძირითადი დებულებანი დეკრეტისა სასურსათო დიქტატურის შესახებ [106]

გადაკეთდეს დადგენილების პროექტი შემდეგნაირად:

1) ამოგდებულ იქნას მითითებანი საერთაშორისო მდგომარეობაზე;

2) ჩაემატოს, რომ უკრაინასთან ზავის შემდეგ ჩვენ დაგვრჩება მხოლოდ ძლივ-ძლიობით სამყოფი პური, რათა შიმშილით არ დავიხოცოთ;

3) ჩაემატოს, რომ დიქტატორის დადგენილებებს ამოწმებს მისი კოლეგია, რომელსაც უფლება აქვს, შესრულების შეუჩერებლად, გაასაჩივროს სახალხო კომისართა საბჭოში;

4) — რომ ის დადგენილებანი, რომლებიც თავისი ხასიათით დაკავშირებულია გზათა მიმოსვლისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს უწყებებთან, მიღებულ უნდა იქნას სათანადო უწყებებთან მოთათბირების შემდეგ;

5) იურიდიულად უფრო ზუსტად იქნას ფორმულირებული სურსათის კომისრის ახალი უფლებები;

6) უფრო მეტად გაესვას ხაზი იმ ძირითად აზრს, რომ შიმშილისაგან ხსნისთვის აუცილებელია ვაწარმოოთ და გავატაროთ დაუნდობელი და ტერორისტული ბრძოლა და ომი გლეხური და სხვა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც ინახავს ზედმეტ პურს;

7) ზუსტად განისაზღვროს, რომ პურის მფლობელნი, რომელთაც ზედმეტი პური აქვთ და არ გამოაქვთ ის სადგურებზე და შეგროვებისა და ჩაყრის ადგილებში, გამოცხადებულ იქნებიან **ხალხის მტრებად,** მიესჯებათ ციხეში.

პატიმრობა სულ ცოტა 10 წლით, ჩამოერთმევათ მთელი ქონება და სამუდამოდ განიდევნებიან თავისი თემიდან;

8) შეტანილ იქნას დამატება, რომ მშრომელი, ხელმოკლე და ზედმეტი პურის არმქონე გლეხების მოვალეობაა გაერთიანდნენ ულმობელი ბრძოლისათვის კულაკების წინააღმდეგ;

9) ზუსტად განისაზღვროს სადელეგატო კომიტეტების დამოკიდებულება საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებისადმი და პირველთა უფლება-მოვალეობანი სასურსათო სამუშაოთა წარმოებაში.

დაწერილია 1918 წ. 8 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის კრებულში XVIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პროტესტი გერმანიის მთავრობისადმი ყირიმის ოკუპაციის წინააღმდეგ[107]

11. V. 1918.

აღმოსავლეთში გერმანიის ჯარების მთავარსარდლის რადიოს გამო.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს აუცილებლად მიაჩნია გამოუცხადოს გერმანიის მთავრობას თავისი გადაჭრითი პროტესტი:

1) გერმანიის მთავრობას არც ერთხელ არც ერთ დოკუმენტში არ განუცხადებია ჩვენთვის, თითქოს ჩვენს ფლოტს მონაწილეობა მიეღოს ბრძოლებში გერმანიის ჯარების წინააღმდეგ უკრაინაში.

2) ამიტომ 1918 წ. 11 მაისს რადიოთი გადმოცემული სათანადო განცხადება აშკარად არასწორია და თავის დადასტურებას ვერ პოულობს გერმანიის მთავრობის აქტებში.

3) თუ ფლოტის ნაწილი თავის თავს აკუთვნებდა უკრაინის ფლოტს, ის კიდევაც დარჩა სევასტოპოლში.

3 bis) თუ ჩვენი ფლოტი სევასტოპოლიდან წავიდა, ეს მოხდა მხოლოდ გერმანელთა შეტევისა და სევასტოპოლზე თავდასხმის შემდეგ, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ბრესტის ხელშეკრულება აშკარად დაარღვიეს გერმანელებმა, და არა ჩვენ.

4) მაშასადამე, ფაქტები ამტკიცებენ, რომ ჩვენ მტკიცედ ვდგავართ ბრესტის ხელშეკრულების ნიადაგზე, გერმანელებმა კი გადაუსვიეს მას, მთელი ყირიმი რომ დაიკავეს.

5) მათ ყირიმი დაიკავეს მხოლოდ გერმანიის ჯარებით და განდევნეს იქიდან ყველა უკრაინელი.

6) მათ ყირიმი დაიკავეს მას შემდეგ, რაც გერმანიის მთავრობამ თავისი 1918 წლის... თვის[108] საკუთარი რადიოთი სავსებით ზუსტად განაცხადა, რომ ყირიმს არ თვლის უკრაინის ტერიტორიაში შემავალად.

7) გერმანიის ელჩმა მირბახმა ჩვენს საგარეო საქმეთა კომისარს განუცხადა, რომ გერმანია არ აცხადებს ახალი ტერიტორიების შეძენის პრეტენზიას.

8) თუ ახლანდელ მომენტში გერმანიის მთავრობამ სხვანაირი პოზიცია დაიკავა და აყენებს მოთხოვნას ყირიმის ან მისი ნაწილის მიმართ, ანდა სხვა ტერიტორიების შესაძენად, მაშინ ჩვენ უთუოდ აუცილებლად ჩავთვლიდით სრულ სიცხადეს ამ საქმეში, და ჩვენ ერთხელ კიდევ ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ ჩვენი მხრით დაბეჯითებით მოვითხოვთ ზუსტი ზავის დადებას ფინეთთან, უკრაინასა და თურქეთთან, რომელიც ომს ეწევა მიუხედავად ბრესტის საზავო ხელშეკრულებისა.

9) ჩვენ ერთხელ კიდევ დაბეჯითებით ვთხოვთ გერმანიის მთავრობას გვაცნობოს, სურს თუ არა მას ზავი უკრაინასა, ფინეთსა და თურქეთთან და რა ნაბიჯები გადადგა და დგამს ის ამ მიზნით.

10) შავი ზღვის ფლოტის საკითხში ჩვენ თანახმა ვართ მივცეთ ყოველგვარი ახალი გარანტიები ომში მისი ჩაურევლობის ან მისი განიარაღებისა (რის შესახებაც გუშინ, 1918, 10. V, ოფიციალურად გაგვიცხადა ელჩმა მირბახმა), თუ კი გერმანიის მთავრობა შეგვატყობინებს სრული ზავის, ე. ი. როგორც ფინეთთან, ისე უკრაინასა და თურქეთთან ზავის ზუსტ პირობებს და თუ ეს ზავი დადებულ იქნება, რასაც ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ.

11) ჩვენ სულაც არ ვამბობთ უარს არც იმაზე, რომ დავაბრუნოთ ფლოტი სევასტოპოლში, თუ გერმანია არ აპირებს, — თანახმად მირბახის 1918 წ. 10 მაისის განცხადებისა საუბარში საგარეო საქმეთა სახალხო კომისართან, — ამ ნავ-

სადგურის ანექსიას ამა თუ იმ ფორმით და მის ოკუპაციას და თუ განხორციელებულ იქნება ზუსტი და სრული ზავი გერმანელებთან, როგორც ფინეთის, უკრაინისა და თურქეთის არმიების შემადგენელ ნაწილთან.

იბეჭდება პირველად,
ხელნაწერის მიხედვით

თეზისები თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ [108]

I

ბოლშევიკურ ბეჭდვით სიტყვაში უკვე არაერთგზის აღნიშნული და უმაღლესი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ოფიციალურ რეზოლუციებში აღიარებული იყო უკიდურესი არასიმტკიცე იმპერიალისტური სახელმწიფოებით გარშემორტყმული საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობისა.

უკანასკნელ დღეებში, ე. ი. 1918 წ. მაისის პირველ მესამედში, პოლიტიკური მდგომარეობა მეტისმეტად გამწვავდა როგორც საგარეო, ისე საშინაო მიზეზთა გამო:

ჯერ-ერთი, გაძლიერდა კონტრრევოლუციური ჯარების (სემიონოვისა და სხვ.) პირდაპირი შემოტევა იაპონელთა დახმარებით შორეულ აღმოსავლეთში, ამასთან დაკავშირებით კი რიგი ნიშნები მიუთითებდა მთელი ანტიგერმანული იმპერიალისტური კოალიციის შეთანხმების შესაძლებლობაზე რუსეთისადმი შემდეგი ულტიმატუმის წარდგენის პროგრამის საფუძველზე: ან ეომე გერმანიას, ანდა იაპონელთა შემოსევა ჩვენი დახმარებითო.

მეორე, გერმანიის პოლიტიკაში საერთოდ ბრესტის შემდეგ გაიმარჯვა სამხედრო პარტიამ, რომელსაც შეეძლო ახლაც ყოველ წუთს გაემარჯვნა რუსეთის წინააღმდეგ დაუყოვნებლივი საერთო შეტევის საკითხში, ე. ი. სავსებით უკუეგდო გერმანიის იმ ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური წრეების სხვა პოლიტიკა, რომელნიც ესწრაფვიან ახალ ანექსიებს რუსეთში,

მაგრამ დროებით სურთ მასთან ზავი და არა საერთო შეტევა მის წინააღმდეგ.

მესამე, ბურჟუაზიულ-მემამულური მონარქიზმის რესტავრაციას უკრაინაში სრულიად რუსეთის ბურჟუაზიის კადეტურ-ოქტიაბრისტული ელემენტების მხარდაჭერითა და გერმანიის ჯარების დახმარებით, არ შეეძლო არ გაემწვავებინა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენში, არ შეეძლო ფრთები არ შეესხა ჩვენი კონტრრევოლუციის გეგმებისათვის და სულიერად არ გაემხნევებინა ის.

მეოთხე, უკიდურესად გამწვავდა სასურსათო ნგრევა და მან ბევრ ადგილას გამოიწვია პირდაპირ შიმშილობა როგორც იმის გამო, რომ ჩვენგან მოწყვეტილი იყო დონის როსტოვი, ისე წვრილი ბურჟუაზიისა და კაპიტალისტების იმ ღონისძიებათა გამო, რომ საზოგადოდ ჩაეშალათ პურის მონოპოლია, ისეთ პირობებში, როდესაც გაბატონებული კლასი, ე. ი. პროლეტარიატი საკმაოდ მტკიცე, დისციპლინირებულ და ულმობელ წინააღმდეგობას ვერ უწევს ამ მისწრაფებებს, ღონისძიებებსა და ცდებს.

II

საბჭოთა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა არასგზით არ უნდა შეიცვალოს. ჩვენი სამხედრო მომზადება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, და ამიტომ საერთო ლოზუნგად კვლავ რჩება: მიხვევ-მოხვევა, უკანდახევა, დაცდა, განვაგრძობთ რა ამ მზადებას მთელი ძალებით.

სრულიად არ ვამბობთ რა უარს საზოგადოდ სამხედრო შეთანხმებებზე ერთ-ერთ იმპერიალისტურ კოალიციასთან მეორის წინააღმდეგ ისეთ შემთხვევებში, როცა ამ შეთანხმებას, საბჭოთა ხელისუფლების საფუძველთა დაურღვევლად, შეეძლო განემტკიცებინა მისი მდგომარეობა და შეებორკა მის წინააღმდეგ რომელიმე იმპერიალისტური სახელმწიფოს შემოტევა, ჩვენ ახლანდელ მომენტში არ შეგვიძლია დავთანხმდეთ სამხედრო შეთანხმებას ინგლის-საფრანგეთის

კოალიციასთან. რადგან მისთვის რეალური მნიშვნელობა აქვს გერმანიის ჯარების ჩამოცილებას დასავლეთიდან, ე. ი. იაპონიის მრავალი კორპუსის წინწამოწევას ევროპული რუსეთის შიგნით, ეს პირობა კი მიუღებელია, როგორც საბჭოთა ხელისუფლების სრული კრახის მომასწავებელი. ინგლის-საფრანგეთის კოალიციას ჩვენთვის ამგვარი ულტიმატუმი რომ წამოეყენებინა, ჩვენ უარით ვუპასუხებდით, ვინაიდან იაპონელთა წინწამოწევის საფრთხე შეიძლება გაქარწყლებულ იქნას უფრო ნაკლები სიძნელეებით (ან შეიძლება გაჭიანურებულ იქნას უფრო ხანგრძლივი დროით), ვიდრე გერმანელთა მიერ პიტერის, მოსკოვის და ევროპული რუსეთის დიდი ნაწილის დაკავების საფრთხე.

III

საბჭოთა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ამოცანების გათვალისწინებისას ახლანდელ მომენტში საჭიროა უდიდესი სიფრთხილე, წინდახედულება და სიდინჯე, რათა მოუფიქრებელი ან ნაჩქარევი ნაბიჯით არ დავეხმაროთ იაპონიის ან გერმანიის სამხედრო პარტიების უკიდურეს ელემენტებს.

საქმე ისაა, რომ ორივე ამ ქვეყანაში სამხედრო პარტიის უკიდურესი ელემენტები მხარს უჭერენ დაუყოვნებლივსა და საერთო შეტევას რუსეთის წინააღმდეგ მთელი მისი ტერიტორიის დაკავებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით. და ამ უკიდურესმა ელემენტებმა შეიძლება ყოველ წუთს გაიმარჯვონ.

მაგრამ, მეორე მხრით, უეჭველი ფაქტია, რომ გერმანიაში იმპერიალისტური ბურჟუაზიის უმრავლესობა ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგია და ახლანდელ მომენტში შემდგომ ომს ამჯობინებს ანექსიონისტურ ზავს რუსეთთან იმ მოსაზრებით, რომ ასეთი ომი გამოიწვევდა ძალთა ჩამოცილებას დასავლეთიდან, გაადიდებდა საშინაო მდგომარეობის უკვე ისედაც საგრძნობ არასიმტკიცეს გერმანიაში, გააძნელებდა ნედლეულის მიღებას იმ ადგილებიდან, რომლებიც მოცულია აჯანყებით ან დაზარალდნენ რკინიგზების დანგრევის, ნაკლები ფართობის დათესვისა და სხვ. და სხვ. შედეგად.

იაპონიის მისწრაფებას კი რუსეთის წინააღმდეგ შეტევისადმი აკავებს, ჯერ-ერთი, მოძრაობისა და აჯანყებათა საფრთხე ჩინეთში; მეორე, ერთგვარი ანტაგონიზმი ამერიკისა, რომელსაც აშინებს იაპონიის გაძლიერება და იმედი აქვს ზავის პირობებში უფრო იოლი გზით იშოვოს ნედლეული რუსეთიდან.

რასაკვირველია, სავსებით შესაძლებელია, რომ იაპონიაშიც და გერმანიაშიც სამხედრო პარტიის უკიდურესმა ელემენტებმა ყოველ წუთს გაიმარჯვონ. ამისგან გარანტია არ შეიძლება იყოს, ვიდრე არ უფეთქნია რევოლუციას გერმანიაში. ამერიკის ბურჟუაზია შეიძლება ფარულად შეუთანხმდეს იაპონიისას; იაპონიის ბურჟუაზია — გერმანიისას. ამიტომ უაღრესად გაძლიერებული სამხედრო მზადება ჩვენი უდავო მოვალეობაა.

მაგრამ ვიდრე დარჩენილა თუნდაც ერთგვარი შანსები ზავის შესანარჩუნებლად, ანდა განსაზღვრული ახალი ანექსიების თუ ახალი დანაკარგების ფასად ფინეთთან, უკრაინასთან და თურქეთთან ზავის დასადებად, ჩვენ არასგზით არ უნდა გადავდგათ არც ერთი ისეთი ნაბიჯი, რომელსაც შეეძლებოდა დახმარება გაეწია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო პარტიის უკიდურესი ელემენტებისათვის.

IV

გაძლიერებული სამხედრო მზადების საკითხში, ისე როგორც შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, პირველ რიგში დგება ორგანიზაციული ამოცანა.

რამდენადმე სერიოზულ სამხედრო მომზადებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება ისე, თუ არ გადავლახეთ სასურსათო სიძნელეები, თუ მოსახლეობა არ უზრუნველვყავით პურის სწორი მომარაგებით, თუ რკინიგზის ტრანსპორტზე არ შემოვიღეთ უსასტიკესი წესრიგი, თუ მშრომელი მოსახლეობის მასებში (და არა მარტო მის ზედაფენებში) არ შევქმენით ნამდვილად რკინისებური დისციპლინა. სწორედ ამ დარგში ჩვენ ყველაზე მეტად ჩამოვრჩით.

ამ ჭეშმარიტების სწორედ სრული გაუგებლობით სცოდავენ ყველაზე მეტად მემარცხენე-ესერული და ანარქისტული ელემენტები მათი ყვირილით «სააჯანყებო» კომიტეტების შესახებ, გოდებით: «იარაღს მოვკიდოთ ხელიო» და სხვ.. ასეთი ყვირილი და გოდება — გონებაჩლუნგობისა და ყველაზე უბადრუკი, საძაგელი და საზიზღარი ფრაზის მწვერვალია, ვინაიდან სასაცილოა «აჯანყებასა» და «სააჯანყებო კომიტეტებზე» ლაპარაკი მაშინ, როდესაც ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლება მთელი ძალ-ღონით არწმუნებს მოსახლეობას ისწავლოს სამხედრო საქმე და შეიარაღდეს; — როდესაც ჩვენ იმაზე გაცილებით მეტი იარაღი გვაქვს, ვიდრე დაანგარიშება და გაცემა შეგვიძლია; — როდესაც სწორედ ნგრევა და დისციპლინის უქონლობა ხელს გვიშლის არსებული იარაღის გამოყენებაში, გვაიძულებს ხელიდან გავუშვათ მომზადებისათვის ძვირფასი დრო.

სერიოზული ომისათვის გაძლიერებული სამხედრო მზადება მოითხოვს არა აღტყინებას, არა მოწოდებას, არა საბრძოლო ლოზუნგს, არამედ ხანგრძლივ, დაძაბულ, უაღრესად შეუპოვარსა და დისციპლინირებულ მუშაობას მასობრივი მასშტაბით. საჭიროა ულმობელი წინააღმდეგობა გავუწიოთ მემარცხენე-ესერულ და ანარქისტულ ელემენტებს, რომელთაც არ სურთ გაიგონ ეს, და არა საშუალება მივცეთ მათ თავიანთი ისტერიკა გადასდონ ჩვენი, პროლეტარულ-კომუნისტური, პარტიის ზოგ-ზოგიერთ ელემენტებს.

V

ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელმაც ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო უკანასკნელ დღეებში თავი წამოყო, აუცილებელია ულმობელი ბრძოლა, სამხედრო წესების შემოღება, გაზეთების დახურვა, წინამძღოლთა დაპატიმრება და სხვ. და ა. შ.. ეს ზომები ისევე აუცილებელია, როგორც აუცილებელია სამხედრო ლაშქრობა სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც ინახავს პურის ნაჭარბს და ჰფუშავს პურის მონოპოლიას. პროლეტარიატის რკინისებური დისციპლინის გარეშე

ვერც კონტრრევოლუციისაგან და ვერც შიმშილისაგან თავს ვერ ვიხსნით.

კერძოდ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბურჟუაზია უკანასკნელ დღეებში უმაგალითო ოსტატობით, ვირტუოზის სიმარჯვით იყენებდა ისეთ იარაღს პროლეტარული ხელისუფლების წინააღმდეგ, როგორიცაა პანიკის გავრცელება. და ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა, განსაკუთრებით იმათგან, ვინც მემარცხენე-ესერული და ანარქისტული რევოლუციური ფრაზის მიმართ არამტკიცეა, თავი გაატაცებინა, რაკი პანიკას მიეცა ან ვერ დაიცვა ის მიჯნა, რომელიც მოსალოდნელ საფრთხეთა წინააღმდეგ კანონიერსა და აუცილებელ გაფრთხილებას გამოჰყოფს პანიკის გავრცელებისაგან.

აუცილებლად საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს რუსეთის მთელი თანამედროვე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის ძირითადი თავისებურებანი, რომელთა გამოც შეუძლებელია საქმეს რაიმე აღტყინებით უშველო. აუცილებლად საჭიროა მტკიცედ შევითვისოთ და მივაღწიოთ ყველა მუშის მიერ იმ ჭეშმარიტების შეთვისებას, რომ მხოლოდ მტკიცე და მოთმინებით მუშაობას რკინისებური პროლეტარული დისციპლინის შესაქმნელად და აღსადგენად, ხულიგნების, კულაკებისა და დეზორგანიზატორების ულმობელ დათრგუნვასთან ერთად, შეუძლია დაიცვას საბჭოთა ხელისუფლება ახლანდელ მომენტში, ერთ-ერთი უძნელესი და უაღრესად საშიში გადასვლის მომენტში, რომელიც გარდუვალი გახდა დასავლეთში რევოლუციის დაგვიანების გამო.

დაწერილია 1918 წ. 12 ან 13 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მოხსენება საგარეო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკისა და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე[110] 1918 წ. 14 მაისს

ამხანაგებო, ნება მომეცით გაგაცნოთ საგარეო პოლიტიკის საქმის ახლანდელი მდგომარეობა. ამხანაგებო, უკანასკნელ დღეებში ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა მრავალმხრივ გართულდა, იმის გამო, რომ გამწვავდა საერთო მდგომარეობა. ამ გამწვავების ნიადაგზე პროვოკაცია, ბურჟუაზიული პრესისა და მისი ამყოლი სოციალისტური პრესის მიერ პანიკის განზრახ გავრცელება, კვლავ აკეთებს კორნილოვშჩინის აღდგენის თავის შავსა და ბინძურ საქმეს.

უწინარეს ყოვლისა თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რითაც განისაზღვრება თავის საფუძველში საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა, რათა გადავიდე ამ მდგომარეობის განმსაზღვრელ გარეგან იურიდიულ ფორმებზე და ამ საფუძველზე კვლავ დავასურათო წამოჭრილი სიძნელეები ან, უფრო სწორად, მოვხაზო ის გარდატეხის პუნქტი, რომელსაც ჩვენ მივადექით და რომელიც პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავების საფუძველი გახდა.

ამხანაგებო, თქვენ იცით, და რუსეთის ორი რევოლუციის გამოცდილებიდან ეს ცოდნა განსაკუთრებული ძალით განიმტკიცეთ, რომ ჩვენი სახელმწიფოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ყველაზე ღრმა ფესვები განისაზღვრება ჩვენი სახელმწიფოს გაბატონებული კლასების ეკონომიური ინტერესებით, ეკონომიური მდგომარეობით. ეს დებულებანი, რომლებიც მარქსისტების მთელი მსოფლმხედველობის საფუძველია და რომლებიც ჩვენთვის, რუსი რევოლუციონერებისათვის, დადასტურებულია რუსეთის ორივე რევოლუციის

დიადი გამოცდილებით, — ეს დებულებანი ერთი წუთითაც მხედველობიდან არ უნდა გამოვუშვათ, რათა არ დავიბნეთ დიპლომატიური ხრიკების უღრან ტყესა და ლაბირინთში, — ლაბირინთში, რასაც ზოგჯერ ხელოვნურადაც კი ქმნიან და ხლართავენ ის ადამიანები, კლასები, პარტიები და ჯგუფები, რომელთაც უყვართ ან რომელნიც იძულებული არიან თევზს მღვრიე წყალში იჭერდნენ.

ახლა ისეთი მომენტია, როდესაც მღვრიე წყალში თევზის დაჭერას, მიუხედავად შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობისა, ცდილობდნენ ჩვენებური კონტრრევოლუციონერებიც: კადეტები, ბურჟუაზია და მემამულეები და მათი პირველი დამქაშები — მემარჯვენე ესერები და მენშევიკები.

ეს მდგომარეობა ძირითადად იმით გამოიხატება, რომ რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა რჩება, იმ ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის მიზეზთა გამო, რომლებიც თქვენთვის ცნობილი გახდა და რომლებიც ჩვენ პრესაში არა ერთხელ დაგვისურათებია, განვითარების სხვანაირი ტემპის, განვითარებისათვის სხვანაირი ნიადაგის გამო, ვიდრე ეს დასავლეთშია, — ამის გამო, ჩვენი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა ჯერჯერობით რჩება ოაზისად იმპერიალისტური მტაცებლობის ბობოქარ ზღვაში. და ძირითად ეკონომიურ ფაქტორს დასავლეთში ის წარმოადგენს, რომ ამ იმპერიალისტურმა ომმა, რომელმაც აწამა და დატანჯა კაცობრიობა, წარმოშვა ისეთი რთული, ისეთი მწვავე, ისეთი დახლართული კონფლიქტები, რომ წამდაუწუმ, ყოველ ნაბიჯზე, იქმნება მდგომარეობა, როცა საკითხის გადაწყვეტა ომისა და ზავის სასარგებლოდ, ამა თუ იმ დაჯგუფების სასარგებლოდ ბეწვზე კიდია. სწორედ ასეთ მდგომარეობას განვიცდიდით ჩვენ უკანასკნელ დღეებში. წინააღმდეგობებმა, კონფლიქტებმა, ბრძოლამ, გააფთრებულმა შეჯახებამ, რაც იქცევა ომად იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც თავიანთ პოლიტიკაში შესაძლებლობა აღარა აქვთ შეაჩერონ ეს ომი, მთელი რიგი ათეული წლების განმავლობაში კაპიტალიზმის განვითარების ეკონომიური პირობების გამო, ის გამოიწვიეს,

რომ თვითონ იმპერიალისტებს უკვე აღარ ძალუძთ შეაჩერონ ეს ომი. აი რამ შექმნა ძირითადი წინააღმდეგობანი, რამ დაახლართა და გაართულა მდგომარეობა.

ამ წინააღმდეგობათა მეოხებით ისე გამოვიდა, რომ ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა საერთო კავშირმა, რაც ეკონომიური კაპიტალისტური კავშირის საფუძველია, კავშირმა, რაც ბუნებრივი და გარდუვალია კაპიტალის დასაცავად, რომელმაც არ იცის სამშობლო, მსოფლიო ისტორიის მრავალი ძალიან დიდი და უდიდესი ეპიზოდით დაამტკიცა, რომ კაპიტალი სამშობლოს, ხალხისა და რისაც გნებავთ ინტერესებზე მაღლა აყენებს მშრომელთა წინააღმდეგ ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა თავისი კავშირის დაცვას. ეს კავშირი არ წარმოადგენს პოლიტიკის მამოძრავებელ ძალას.

რა თქმა უნდა, იგი კვლავინდებურად რჩება კაპიტალისტური წყობილების ძირითად ეკონომიურ ტენდენციად, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გარდუვალი ძალით უნდა იჩინოს თავი. კაპიტალიზმის ამ ძირითადი ტენდენციიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის, რომ იმპერიალისტურმა ომმა ჯგუფებად, მტრულ ჯგუფებად, მტრულ კოალიციებად დაჰყო იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებმაც ამჟამად ურთიერთ შორის გაიყვეს, შეიძლება ითქვას, სრულიად გამოუკლებლივ მთელი დედამიწა. ეს მტრობა, ეს ბრძოლა, ეს სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება ამბობს, განსაზღვრული პირობებით, რომ ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა კავშირი აქ შეუძლებელია. ჩვენ ისეთი მდგომარეობის მოწმე ვართ, როცა სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის პატარა კუნძულს ეხეთქებიან იმპერიალისტური რეაქციის, ხალხთა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის აბობოქრებული ტალღები, რომლებიც თითქოს მზად არიან სადაცაა წალეკონ იგი, მაგრამ ისე გამოდის, რომ ეს ტალღები წარამარა იმსხვრევა ერთიმეორეზე.

ძირითადმა წინააღმდეგობებმა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის გამოიწვიეს ისეთი ულმობელი ბრძოლა, რომ მაშინაც კი, როცა მისი გამოუვალობა შეგნებული აქვთ,

არც ერთ და არც მეორე ჯგუფს არ ძალუძს თავისი ნებით თავი დააღწიოს ამ ომის რკინის მარწუხებს. ამასთან ომმა განსაზღვრა ორი მთავარი წინააღმდეგობა, და მათ კი განსაზღვრეს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა ახლანდელ მომენტში. პირველი, ესაა — უკიდურეს გააფთრებამდე მისული ბრძოლა გერმანიასა და ინგლისს შორის დასავლეთის ფრონტზე. ჩვენ არა ერთხელ გვსმენია, როგორ პირდებოდნენ და არწმუნებდნენ ამ მეომარი ბანაკებიდან ხან ერთისა და ხან მეორის წარმომადგენლები თავის ხალხსაც და სხვა ხალხებსაც, რომ აი, აი კიდევ ერთი უკანასკნელი დაძაბვა, და მტერი გატეხილ იქნება, სამშობლო დაცული და კულტურისა და განმათავისუფლებელი ომის ინტერესები სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნებაო. რაც უფრო მეტად ჭიანურდება ეს გაუგონარი ბრძოლა, რაც უფრო ღრმად ებმებიან მასში მებრძოლი მხარეები, მით უფრო და უფრო შორს მიიწევს გამოსავალი ამ გაუთავებელი ომიდან. ამ შეტაკების სწორედ გააფთრებული ხასიათი მეტისმეტად საძნელოს, თითქმის შეუძლებელს ხდის უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კავშირს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი არსებობის რაღაც ნახევარი წლის განმავლობაში მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა შეგნებული მუშის მხურვალე სიმპათიები და უაღრესად განუყრელი თანაგრძნობა მოიპოვა.

მეორე წინააღმდეგობას, რომელიც რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას განსაზღვრავს, წარმოადგენს მეტოქეობა იაპონიასა და ამერიკას შორის. ამ ქვეყნების ეკონომიურმა განვითარებამ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მოამზადა უამრავი საწვავი მასალა, რომელიც გარდუვალს ხდის ამ სახელმწიფოთა თავგანწირულ შეტაკებას წყნარ ოკეანესა და მის სანაპიროზე ბატონობისათვის. შორეული აღმოსავლეთის მთელი დიპლომატიური და ეკონომიური ისტორია სრულიად უეჭველს ხდის, რომ კაპიტალიზმის ნიადაგზე შეუძლებელია იმ მწვავე კონფლიქტის თავიდან აცილება, რომე-

ლიც იაპონიასა და ამერიკას შორის მწიფდება. ეს წინააღმდეგობა, რომელიც ახლა დროებით დაფარულია იაპონიისა და ამერიკის კავშირით გერმანიის წინააღმდეგ, აჩერებს იაპონიის იმპერიალიზმის შემოტევას რუსეთის წინააღმდეგ. საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ დაწყებული ლაშქრობა (დესანტი ვლადივოსტოკში, სემიონოვის ბანდებისთვის მხარდაჭერა) ფერხდება, რადგან იმუქრება იაპონიასა და ამერიკას შორის ფარული კონფლიქტის გადაქცევით აშკარა ომად. რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, და ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ იმას, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის დაჯგუფებანი, რა მტკიცედაც უნდა მოჩანდნენ ისინი, შეიძლება რამდენიმე დღეში გადაყირავდეს, თუკი ამას მოითხოვს წმინდა კერძო საკუთრების ინტერესები, კონცესიის წმინდა უფლებები და სხვ.. და, შესაძლოა, სახელმწიფოთა არსებული დაჯგუფების ასაფეთქებლად საკმაო იყოს სულ მცირედი ნაპერწკალი, და მაშინ, აღნიშნული წინააღმდეგობანი უკვე ველარ დაგვიცავს ჩვენ.

მაგრამ ახლახან დახასიათებული მდგომარეობა გვიხსნის, თუ რატომ შეიძლება ჩვენი სოციალისტური კუნძული გადარჩეს მძვინვარე ქარიშხალში, და, ამასთან ერთად, გვიხსნის, თუ რატომაა ეს მდგომარეობა ესოდენ არამტკიცე და ხანდახან გგონია, ბურჟუაზიის დიდად სასიხარულოდ და წვრილი ბურჟუაზიის პანიკისათვის, რომ ტალღები სადაცაა წალეკენ ამ კუნძულს.

ამ მდგომარეობის გარეგანი გარსი, გარეგანი გამოხატულებაა ბრესტის ხელშეკრულება, ერთი მხრით, და ის ჩვეულებები და კანონები, რომლებიც ნეიტრალურ ქვეყნებს ეხება, მეორე მხრით.

თქვენ იცით, რა ფასი აქვს ხელშეკრულებებს და რა ფასი აქვს კანონებს გაჩაღებული საერთაშორისო კონფლიქტების წინაშე, ეს — ქაღალდის ნაგლეჯია და მეტი არაფერი.

მიღებულია, ეს სიტყვები მოიყვანონ და გაიხსენონ ხოლმე, როგორც ნიმუში იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკის ცინიზმისა, მაგრამ ცინიზმი მდგომარეობს არა ამ სიტყვებში,

არამედ იმ ულმობელ, სასტიკად ულმობელ და მტანჯველად ულმობელ იმპერიალისტურ ომში, რომლის დროსაც ყველა საზავო ხელშეკრულება და ყველა კანონი ნეიტრალობის შესახებ ფეხქვეშ ითელებოდა, ითელება და გაითელება მანამდე, სანამ კაპიტალიზმი იარსებებს.

აი ამიტომ, როდესაც ჩვენ ვადგებით იმ საკითხს, რომელიც ჩვენთვის ყველაზე მთავარ საკითხს შეადგენს, — ბრესტის ზავის, მისი დარღვევის შესაძლებლობისა და იმ შედეგების საკითხს, რომლებიც ჩვენთვის ასეთი მდგომარეობიდან გამომდინარეობენ, თუ ჩვენ გვინდა მაგრად ვიდგეთ ჩვენს სოციალისტურ ფეხებზე და არ გვინდა თავი გადავაგდებინოთ კონტრრევოლუციონერთა ხრიკებსა და პროვოკაციას, რანაირ სოციალისტურ იარლიკსაც უნდა ეფარებოდნენ ისინი, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა ვივიწყებდეთ ყველა საზავო ხელშეკრულების, მათ შორის აგრეთვე ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ეკონომიურ საფუძველს, ყოველგვარი, მათ შორის აგრეთვე ჩვენი, ნეიტრალობის ეკონომიურ საფუძველს. ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ, ერთი მხრით, საქმეთა მდგომარეობას საერთაშორისო მასშტაბით, საერთაშორისო იმპერიალიზმის საქმეთა ვითარებას, იმ კლასის მიმართ, რომელიც იზრდება და რომელიც ადრე თუ გვიან, დაე თუნდაც იმაზე გვიან, ვიდრე ეს გვინდა და მოველით, მაგრამ მაინც გახდება კაპიტალიზმის მემკვიდრე და დაიპყრობს მთელი მსოფლიოს კაპიტალიზმს. მეორე მხრით კი, ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ იმპერიალისტური ქვეყნების ურთიერთობას ერთმანეთს შორის, ურთიერთობებს იმპერიალისტურ ეკონომიურ ჯგუფებს შორის.

ამ მდგომარეობის გარკვევით ჩვენ, ამხანაგებო, მე ვფიქრობ, ადვილად გავიგებთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმ დიპლომატიურ კერძო მომენტებს, დეტალებს, ზოგჯერ წვრილმანებსაც კი, რომლებიც ყველაზე მეტად იპყრობენ ჩვენს ყურადღებას უკანასკნელ დღეებში და რომლებიც უკანასკნელ დღეებში ჩვენ გვახსოვს. გასაგებია, რომ საერთაშორისო მდგომარეობაში უმტკიცობა წარმოადგენს საფუძველს

პანიკისათვის. ის მომდინარეობს კადეტებისაგან, მემარჯვენე ესერებისა და მენშევიკებისაგან, რომელნიც მხარს უჭერენ იმათ ინტერესებს, ვისაც უნდა, ვინც ესწრაფვის იმას, რომ პანიკა თესოს. ჩვენ ოდნავაც არ უნდა დავხუჭოთ თვალი მდგომარეობის მთელი საშიშროებისა და ტრაგიკულობის წინაშე, ანალიზი უნდა გავუკეთოთ ეკონომიურ ურთიერთობებს საერთაშორისო მასშტაბით და ვთქვათ — დიახ, ომისა და ზავის საკითხი ბეწვზე კიდია, როგორც დასავლეთში, ისე შორეულ აღმოსავლეთში, იმიტომ რომ არსებობს ორი ტენდენცია: ერთი, რომელიც გარდუვალს ხდის ყველა იმპერიალისტის კავშირს, მეორე, რომელიც იმპერიალისტთა ერთ წყებას უპირისპირებს მეორე წყებას, — ორი ტენდენცია, რომელთაგან არც ერთს მტკიცე საფუძველი არ გააჩნია. დიახ, ახლა იაპონიას არ შეუძლია გაბედოს მთლიანად შემოტევა, თუმცა მას, ჰყავს რა მილიონიანი არმია, შეეძლო აშკარად სუსტი რუსეთი აეღო. როდის იქნება ეს, მე არ ვიცი, და არავინ არ შეიძლება იცოდეს.

ულტიმატუმის ფორმა მოკავშირე ხალხებთან ომით და გერმანიასთან ხელშეკრულებით იმუქრება, მაგრამ ეს რამდენიმე დღის შემდეგ შეიძლება შეიცვალოს. ეს შეიძლება შეიცვალოს ყოველთვის, იმიტომ რომ ამერიკის ბურჟუაზიას, რომელიც ახლა იაპონიას მტრობს, შეუძლია ხვალ შეუთანხმდეს მას, იმიტომ რომ იაპონიის ბურჟუაზიას შეუძლია ხვალ შეუთანხმდეს გერმანიის ბურჟუაზიას. მათ აქვთ ძირითადი ინტერესები, დედამიწის განაწილების ინტერესები, მემამულეთა, კაპიტალის ინტერესები, თავიანთი, როგორც ისინი ამბობენ, ნაციონალური ღირსებისა და თავიანთი ნაციონალური ინტერესების უზრუნველყოფის ინტერესები. ამ ენას საკმაოდ იცნობენ ისინი, ვისაც სჭირს — მე არ ვიცი — უბედურება თუ ჩვევა იკითხოს ისეთი გაზეთები, როგორიც ესერულია. და ყველამ იცის, როცა ჩვენ ხშირად გველაპარაკებიან ნაციონალურ ღირსებაზე, ჩვენ მშვენივრად ვიცით 1914 წლის გამოცდილების შემდეგ, თუ იმპერიალისტური ძარცვა-გლეჯის რანაირი ფაქტები იმალება ამაში. გასაგებია, ამ ურთიერ-

თობის გამო, რატომაა მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში რაღაც არამტკიცე. ჩვენ უნდა ვთქვათ ერთი რამ: საჭიროა ნათლად ვუყურებდეთ კაპიტალისტურ ინტერესთა ამ წინააღმდეგობებს, საჭიროა ვიცოდეთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის სიმტკიცე იწვევს უზარმაზარი მშრომელი მასების, ყველა ქვეყნის მთელი მშრომელი, ექსპლოატირებული მოსახლეობის სულ უფრო მზარდ თანაგრძნობას მისდამი.

და, ამასთან ერთად, წუთიდან წუთზე, დღიდან დღეზე, მზად უნდა ვიყოთ და ველოდეთ საერთაშორისო პოლიტიკის შეცვლას უკიდურესი სამხედრო პარტიების პოლიტიკის სასარგებლოდ.

გერმანიის კოალიციის მდგომარეობა ჩვენთვის ნათელია. გერმანიის ბურჟუაზიული პარტიების უმრავლესობა ახლანდელ მომენტში ბრესტის ზავის დაცვის მომხრეა, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, ძალიან მოხარულია «გააუმჯობესოს» ის და რამდენიმე ანექსია კიდევ მიიღოს რუსეთის ხარჯზე. ის, რაც აიძულებს მათ უყურებდნენ ამ თვალსაზრისით,—ესაა პოლიტიკური და სამხედრო მოსაზრებანი, როგორც ისინი ამბობენ, გერმანიის ნაციონალური ინტერესების, — იმპერიალისტური ინტერესების თვალსაზრისით, ეს მათ აიძულებს ამჯობინონ ზავი აღმოსავლეთში, რათა მათ ხელები გახსნილი ჰქონდეთ დასავლეთში, სადაც გერმანიის იმპერიალიზმი უკვე მრავალჯერ აღუთქვამდა დაუყოვნებლივ გამარჯვებას და სადაც ყოველი კვირა თუ ყოველი თვე ცხადყოფს, რომ ეს გამარჯვება, რაც უფრო მეტად აღწევენ ნაწილობრივ გამარჯვებებს, მით უფრო შორს მიიწევს განუზომელი სიშორისაკენ. მეორე მხრით, ჩვენ ვხედავთ სამხედრო პარტიას, რომელმაც არა ერთხელ გამოაჩინა თავისი თავი ბრესტის ხელშეკრულებაში და რომელიც, ბუნებრივია, ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოში არსებობს, — სამხედრო პარტიას, რომელიც ეუბნება თავის თავს: ძალით უნდა ვისარგებლოთ დაუყოვნებლივ, ისე რომ ანგარიში არ გავუწიოთ შემდგომ შედეგებსო. ესაა უკიდურესი სამხედრო პარტიის ხმები, იგი ცნობილია გერმანიის ისტორიაში, იმ დროიდან მოკიდებული, როცა ისტორიაში

დაიწყო თავბრუდამხვევი სამხედრო გამარჯვებანი, იგი ცნობილია 1866 წლიდან, მაგალითად, როცა გერმანიის უკიდურესმა სამხედრო პარტიამ გამარჯვება მოიპოვა ავსტრიაზე, გადააქცია ეს გამარჯვება სრულ განადგურებად. ყველა ეს შეტაკება, ყველა ეს კონფლიქტი გარდუვალია, და ისინი იწვევენ იმას, რომ ახლა ამ მხრივ საქმე მთლად ბეწვზე კიდია, რომ, ერთი მხრით, გერმანიის პარლამენტის ბურჟუაზიული იმპერიალისტური უმრავლესობა, გერმანიის შეძლებული კლასები, გერმანიის კაპიტალისტები ამჯობინებენ ბრესტის ხელშეკრულების ნიადაგზე დარჩნენ, თუმცა, ვიმეორებ, სრულიადაც უარს არ ამბობენ მის გაუმჯობესებაზე. და, მეორე მხრით, წუთიდან წუთზე, დღიდან დღეზე მზად უნდა ვიყოთ, უნდა ველოდეთ პოლიტიკის შეცვლას უკიდურესი სამხედრო პარტიის ინტერესების სასარგებლოდ.

აქედან გასაგებია საერთაშორისო მდგომარეობის არასიმტკიცე, აქედან გასაგებია, რა ადვილია ამ ნიადაგზე პარტიის ამა თუ იმ მდგომარეობის შექმნა, და აქედან გასაგებია, რა წინდახედულება და სიფრთხილე, რანაირი სიმტკიცე და სიმშვიდე მოეთხოვება საბჭოთა ხელისუფლებას იმისათვის, რომ ნათლად განსაზღვროს თავისი ამოცანა. დაე, რუსეთის ბურჟუაზია ფრანგული ორიენტაციიდან აწყდებოდეს გერმანულ ორიენტაციას. მათ ეს მოსწონთ. მათ რამდენიმე ადგილას ნახეს, რა კარგი გარანტიაა მიწის წამღები გლეხისა და სოციალიზმის საფუძვლების მშენებელი მუშის წინააღმდეგ შენი ადგილი ჰპოვო გერმანიის მხარდაჭერაში. ისინი გუშინ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რამდენიმე წლის განმავლობაში სამშობლოს მოღალატეებს უწოდებდნენ იმათ, ვინც იმპერიალისტურ ომს გმობდა და მასზე თვალებს უხელდა, ახლა კი ყველა ისინი მზად არიან რამდენიმე კვირაში შეიცვალონ თავიანთი პოლიტიკური რწმენა და ინგლისელ მტაცებლებთან კავშირიდან გადავიდნენ გერმანელ მტაცებლებთან კავშირზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. დაე, აქეთ-იქით აწყდებოდეს ყველა ელფერის ბურჟუაზია, მემარჯვენე ესერებით, მენშევიკებით დაწყებული და მემარცხენე ესერებით

გათავებული. ის ასედაც უნდა იქცეოდეს. დაე, მან თესოს პანიკა, იმიტომ რომ თვითონ ის პანიკას შეუპყრია. დაე, ის აქეთ-იქით აწყდებოდეს, რაკი არ იცის სხვა გზა და ქანაობს ამა თუ იმ ორიენტაციას შორის და უაზრო ფრაზას შორის, რომელსაც არ შეუძლია გაითვალისწინოს ის, რომ რევოლუციაში, როდესაც იგი დიდ მასშტაბებს აღწევს, ამ რევოლუციის გაღრმავების გულისათვის, ძალაუნებურად გავლილ უნდა იქნას ხოლმე სულ სხვადასხვანაირი დაჯგუფებანი და გადასვლები ერთიდან მეორე ეტაპზე. ჩვენ, რუს რევოლუციონერებს, ბედნიერება გვაქვს XX საუკუნის განმავლობაში თვალწინ გვედგას გამოცდილება ორი რევოლუციისა, რომელთაგან თვითეულმა მოგვცა თვით ხალხის ცხოვრებაში აღბეჭდილი უამრავი გამოცდილება იმისა, თუ როგორ მზადდება რევოლუციური მოძრაობა, როცა ის ღრმა და სერიოზულია; როგორ გამოიყურებიან ამ მოძრაობაში სხვადასხვა კლასები, რანაირი გზით, ზოგჯერ ხანგრძლივი ევოლუციით, ძნელი, მტანჯველი გზით მიმდინარეობს ახალი კლასების სიმწიფის მომზადება.

გაიხსენეთ, რა დაუჯდათ საბჭოებს, რომლებიც შეიქმნა სტიქიური აღტყინებით 1905 წელს, რა დაუჯდათ მათ 1917 წელს კვლავ საქმეში ჩაბმა, შემდეგ კი, როდესაც მათ მოუხდათ გადაეტანათ მთელი ტანჯვა შემთანხმებლობისა ბურჟუაზიასთან და მუშათა კლასის შენიღბულ უბოროტეს მტრებთან, რომლებიც ლაპარაკობდნენ რევოლუციის დაცვაზე, წითელ ბაირაღზე და რომლებმაც უდიდესი დანაშაული ჩაიდინეს 1917 წლის ივნისში, — ახლა, როდესაც მუშათა კლასის უმრავლესობა ჩვენი მომხრეა, გაიხსენეთ, რა დაგვიჯდა ჩვენ 1905 წლის დიდი რევოლუციის შემდეგ მუშათა, გლეხთა კლასის საბჭოებით გამოსვლა. გაიხსენეთ ეს და ჩაუფიქრდით იმას, თუ რა მასობრივი მასშტაბით ვითარდება ბრძოლა, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმოებს, ჩაუფიქრდით, რა ძნელია ამ მდგომარეობაზე გადასვლა, რა განიცადა რუსეთის რესპუბლიკამ, როდესაც ის სოციალისტური არმიის ყველა დანარჩენი რაზმის წინ გამოვიდა.

მე ვიცი, მოიჭოვებიან, რა თქმა უნდა, ბრძენნი, თავი ძალიან ჭკვიან ადამიანებად რომ მიაჩნიათ და თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებენ კიდეც, რომელნიც ირწმუნებიან, რომ არ უნდა აგვეღო ხელისუფლება მანამდე, ვიდრე რევოლუცია ყველა ქვეყანაში არ იფეთქებსო. მათ ეჭვი არ ეპარებათ, რომ ამის თქმით ისინი შორდებიან რევოლუციას და ბურჟუაზიის მხარეზე გადადიან. იმის მოლოდინი, ვიდრე ᲛᲨრომელი კლასები მოახდენენ რევოლუციას საერთაშორისო მასშტაბით, —ეს ნიშნავს ყველანი გავიყინოთ მოლოდინში. ეს უაზრობაა. რევოლუციის სიძნელე ყველასათვის ცნობილია. ერთ-ერთ ქვეყანაში ბრწყინვალე წარმატებით დაწყებულმა, რევოლუციამ, შესაძლოა, განვლოს მტანჯველი პერიოდები, ვინაიდან საბოლოოდ გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით და მხოლოდ ყველა ქვეყნის მუშათა ერთობლივი ძალ-ღონით. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს სიმტკიცესა და სიფრთხილეში, ჩვენ უნდა მივმართავდეთ მიხვევ-მოხვევას და უკანდახევას, ვიდრე დამხმარე ძალები მოგვეშველებოდნენ. ამ ტაქტიკაზე გადასვლა აუცილებელია, როგორადაც უნდა დასცინოდნენ მას ისინი, ვინც თავს რევოლუციონერებს უწოდებს, მაგრამ რევოლუციის არა გაეგება რა.

ვამთავრებ ზოგად დებულებებს და გადავდივარ იმაზე, რამაც უკანასკნელ დღეებში განგაში და პანიკა შექმნა და კონტრრევოლუციონერებს საშუალება მისცა კვლავ დაეწყოთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძირის გამოთხრისაკენ მიმართული მუშაობა.

მე უკვე ვთქვი, რომ ყველა იმ საერთაშორისო ურთიერთობის გარეგან იურიდიულ ფორმასა და გარსს, რომლებიც კი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას აქვს, წარმოადგენდა, ერთი მხრით, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, ხოლო, მეორე მხრით, ის საერთო კანონი და ჩვეულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ნეიტრალური ქვეყნის მდგომარეობას სხვა მეომარ ქვეყნებს შორის, და ამ მდგომარეობამ განსაზღვრა ის სიძნელენი, რომლებიც ამ ბოლო დროს აღმოჩნდა.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებიდან თავისთავად გამომდინარეობდა სრული ზავის დადება ფინეთთანაც, უკრაინასთანაც და თურქეთთანაც, ამავე დროს კი, ამ ქვეყნებიდან თვითეულთან ჩვენ გვაქვს ომის განგრძობა, და ეს ქვეყნის შინაგანი განვითარების შედეგს კი არა, ამ ქვეყნების გაბატონებული კლასების გავლენას წარმოადგენს. ამ ნიადაგზე დროებითი გამოსავალი იყო მხოლოდ დროებით შესვენებაში, რომელიც მიღებულ იქნა ბრესტის ზავის ხელმოწერის დროს; ეს იყო ის შესვენება, რომლის გამოც ესოდენ ბევრ ცარიელსა და ზედმეტ სიტყვებს ამბობდნენ, რომ იგი შეუძლებელიაო, მაგრამ რომელიც მაინც შესაძლებელი აღმოჩნდა და რომელმაც ორი თვის განმავლობაში თავისი შედეგები გამოიღო, რომელიც უკვე იგრძნო რუს ჯარისკაცთა უმრავლესობამ, რომელმაც მათ შესაძლებლობა მისცა შინ დაბრუნებულიყვნენ და ენახათ, რა ჩამოყალიბდა იქ, ესარგებლათ რევოლუციის მონაპოვრებით, ესარგებლათ მიწით, მიეხედ-მოეხედათ და ახალი ძალები მოეკრიბათ ახალი მსხვერპლის გასაღებად, რაც მათ მოელოდა.

გასაგებია, რომ ეს დროებითი შესვენება ისე გვეჩვენებოდა, თითქოს ის დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც მდგომარეობა გამწვავდა ფინეთშიც, უკრაინაშიც და თურქეთშიც, როდესაც სრული ზავის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ მხოლოდ გადადება იმავე მწვავე ეკონომიური კითხვისა: ომი თუ ზავი? და კვლავ უნდა ჩავებათ თუ არა ახლა ჩვენ ომში, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების ყველა სამშვიდობო განზრახვისა და სავსებით მტკიცე გადაწყვეტილებისა — მსხვერპლად მივიტანოთ ეგრეთწოდებული დიდმპყრობელურობა, ე. ი. იმის უფლება, რომ ვდებდეთ საიდუმლო ხელშეკრულებებს ვუმალავდეთ მათ ხალხს ჩერნოვების, წერეთლებისა და კერენსკების შემწეობით, და ხელს ვაწერდეთ საიდუმლო მძარცველურ ხელშეკრულებებს და ვაწარმოებდეთ იმპერიალისტურ, მძარცველურ ომს? სრული ზავის ნაცვლად ჩვენ მაინც მივიღეთ ომისა და ზავის იმავე მწვავე საკითხის მხოლოდ ხანმოკლე გადადება.

აი ის წყარო, რომელიც ამ პუნქტიდან წარმოიშვა, და თქვენ კვლავ ნათლად ხედავთ, თუ რაში მდგომარეობს მისი საბოლოო გადაწყვეტა, ის საკითხი, თუ რას გამოიწვევს მერყეობათა შედეგები ორ მტრულ ჯგუფს, იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, — ამერიკის კონფლიქტი შორეულ აღმოსავლეთში და გერმანია-ინგლისის კონფლიქტი ევროპის დასავლეთში. გასაგებია, როგორ გამწვავდა ეს წინააღმდეგობანი უკრაინის დაპყრობასთან დაკავშირებით, იმ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელსაც გერმანელი იმპერიალისტები, განსაკუთრებით მთავარი სამხედრო პარტია, ხშირად თავისთვის ესოდენ საამოდ, ესოდენ იოლად სახავდნენ და რომელმაც გაუგონარი სიძნელეები მოუტანა გერმანიის სწორედ ამ უკიდურეს სამხედრო პარტიას, ახლა დროებით ფრთები შეასხა რუსეთის კადეტების, მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების იმედს, რომელთაც სიყვარულის ალი მოედოთ იმის მიმართ, რაც უკრაინისთვის სკოროპადსკის მოაქვს, და ახლა იმის იმედი აქვთ, რომ ეს რუსეთშიც ადვილად მოხდებაო. ეს ვაჟბატონები ანგარიშში მოტყუვდებიან: მათი იმედები გაცამტვერდება, იმიტომ რომ... (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი), იმიტომ რომ, ვამბობ მე, გერმანიის იგივე მთავარი სამხედრო პარტია, რომელიც მეტისმეტად დაეჩვია მახვილის ძალის იმედი იქონიოს, ეს პარტიაც კი ამ შემთხვევაში ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ მას მხარს არ უჭერს უმრავლესობა იმპერიალისტებისა, ბურჟუაზიული იმპერიალისტური წრეებისა, რომლებმაც დაინახეს გაუგონარი სიძნელეები უკრაინის დაპყრობაში, მთელი ხალხის დამორჩილებისათვის ბრძოლაში, ძალაუნებურ აუცილებლობაში — მიემართათ საშინელი გადატრიალებისათვის.

როგორი გაუგონარი სიძნელეები წამოჭრა ამ მთავარმა სამხედრო პარტიამ გერმანიაში, როდესაც ამ უკიდურეს სამხედრო პარტიას, რომელმაც თავისი ხალხისა და მუშების წინაშე იკისრა უმაღლესი გამარჯვებანი მოეპოვებინა დასავლეთის ფრონტზე, როდესაც მას მოუხდა თავის წინაშე ეხილა ახალი წარმოუდგენელი ეკონომიური და პოლიტიკური სიძნე-

ლეები, სამხედრო ძალთა გამოყენება იმ ამოცანებისთვის, რომლებიც თავდაპირველად ასევე იოლი ჩანდა, აგრეთვე ხელშეკრულება იმ უკრაინელ მენშევიკებთან და მემარჯვენე ესერებთან, რომლებმაც ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას.

გერმანიის უკიდურესმა სამხედრო პარტიამ წარმოიდგინა: ჩვენ დავძრავთ დიდძალ ჯარებს და მივიღებთ პურსო, შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ საჭიროა სახელმწიფო გადატრიალების მოხდენა. იქ ეს იოლი აღმოჩნდა, იმიტომ, რომ უკრაინელი მენშევიკები ძალიან ადვილად დათანხმდნენ ამას. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო გადატრიალება ქმნის ახალ უზარმაზარ სიძნელეებს, იმიტომ რომ საჭიროა ყოველი ნაბიჯის დაპყრობა პურისა და ნედლეულის მისაღებად, ურომლისოდაც გერმანიას არსებობა არ შეუძლია და რომლის სამხედრო ძალადობით მიღება ოკუპირებულ ქვეყანაში მეტისმეტად დიდ ღონისძიებათა და მეტისმეტად ბევრი მსხვერპლის ფასად ჯდება.

აი ის მდგომარეობა, რომელიც უკრაინაში შეიქმნა და რომელსაც რუსეთის კონტრრევოლუციის იმედებისთვის ფრთები უნდა შეესხა. გასაგებია, რომ ამ ბრძოლაში რუსეთი, რომელსაც არ შეეძლო თავისი არმია ხელახლა შეექმნა, სულ ახალ-ახალ ზარალს განიცდიდა და განიცდის. და საზავო მოლაპარაკებასაც მივყავდით ახალი მძიმე პირობებისაკენ, ახალი აშკარა და ფარული კონტრიბუციებისაკენ. გაურკვეველი დარჩა ის საკითხი, თუ რომელი უნივერსალით სურთ უკრაინის საზღვრების დადგენა. რადა, რომელმაც ხელი მოაწერა უნივერსალს, გადაყენებულია. მის მაგივრად აღდგენილია მემამულე-გეტმანი. და ამ გაურკვევლობის ნიადაგზე წამოიჭრა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ომისა და ზავის საკითხები წინანდებურ მდგომარეობაში რჩება. ნაწილობრივი დროებითი ზავი, რომელიც რუსთა და გერმანელთა ჯარებს შორის არსებობს, წინასწარ არაფერს წყვეტს საერთო მდგომარეობის მხრივ. საკითხი ჰაერშია გამოკიდებული. იგივეა საქართველოს

მიმართაც, სადაც ჩვენ გვაქვს კავკასიის მენშევიკების მთავრობის ხანგრძლივი კონტრრევოლუციური ბრძოლა, იმ კონტრრევოლუციონერთა ხანგრძლივი ბრძოლა, რომელთაც სოციალ-დემოკრატები ეწოდებათ. ხოლო როდესაც საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელი მასების გამარჯვება, რომელიც მთელ რუსეთს მოეფინა, არარუსულ განაპირა მხარეებსაც თანდათან მოედო, როდესაც აშკარად ცხადი და უეჭველი გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება, როგორც ეს დონის კაზაკობის კონტრრევოლუციონერმა წარმომადგენლებმა აღიარეს, შეუძლებელია შეჩერებულ იქნას, როდესაც დაიწყო მერყეობანი მენშევიკური ხელისუფლებისათვის კავკასიაში — გეგეჭკორისა და ჟორდანიასთვის, რომელნიც გვიან მოვიდნენ გონს და დაიწყეს იმაზე ლაპარაკი, ხომ არ გამოვნახოთ საერთო ენა ბოლშევიკებთანო, როდესაც გამოვიდა წერეთელი, რომელმაც თურქეთის ჯარების დახმარებით გამოილაშქრა ბოლშევიკების წინააღმდეგ, — ისინი იმასვე მოიმკიან, რაც რადამ მოიმკა. (ტ ა შ ი).

მაგრამ გახსოვდეთ, რომ თუ ისინი, კავკასიის რადის ეს საქმოსნები, თუ ისინი მიიღებენ დახმარებას გერმანიის ჯარებისაგან, როგორც ეს დახმარება უკრაინის რადამ მიიღო, გასაგებია, რომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისათვის ამას მოაქვს ახალი სიძნელეები, ომის ახალი გარდუვალობა, ახალი საშიშროებანი და ახალი გაურკვევლობანი. მოიპოვებიან ადამიანები, რომელნიც, ამ გაურკვევლობაზე, გაურკვეველი მდგომარეობის ამ სიმძიმეზე მიუთითებენ, — ხოლო ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა კი ყოველგვარ გარკვეულ მდგომარეობაზე უარესია ხოლმე, — მოიპოვებიან ადამიანები, რომელნიც ამბობენ, რომ ამ გაურკვევლობის მოსპობა ადვილია, საჭიროა მხოლოდ აშკარად მოვითხოვოთ გერმანელების მიერ ბრესტის ხელშეკრულების დაცვაო.

მე შემთხვევა მქონდა მომესმინა ასეთი გულუბრყვილო ადამიანებისათვის, რომელნიც თავს მემარცხენეებად თვლიან,

სინამდვილეში კი მხოლოდ ჩვენი წვრილი ბურჟუაზიის შეზღუდულობას გამოხატავენ... *

მათ ავიწყდებათ, რომ ჯერ უნდა გაიმარჯვო, შემდეგ კი შეიძლება რაიმე მოითხოვო. თუ თქვენ არ გაგიმარჯვნიათ, მტერი შესაძლებლობას ღებულობს გააჭიანუროს პასუხი და სრულიადაც არ უპასუხოს კიდეც მოთხოვნებზე. ასეთია იმპერიალისტური ომის კანონი.

თქვენ ამით უკმაყოფილო ხართ. გამოიჩინეთ უნარი დაიცვათ თქვენი სამშობლო. სოციალიზმისათვის, მუშათა კლასისათვის, მშრომელისათვის, მას სამშობლოს დაცვის უფლება აქვს.

ვიტყვი კიდევ მხოლოდ იმის შესახებ, რომ კავკასიის საზღვარზე ეს გაურკვეველი მდგომარეობა შეიქმნა გეგეჭკორის მთავრობის ყოვლად შეუწყნარებელი მერყეობის გამო, მთავრობისა, რომელმაც თავდაპირველად განაცხადა, რომ ბრესტის ზავს არ სცნობდა, შემდეგ კი დამოუკიდებლობას აცხადებს ისე, რომ არ გვეუბნება, თუ რომელ ტერიტორიაზე ვრცელდება ეს. ჩვენ შევეკითხეთ მრავალრიცხოვანი რადიოდეპეშებით: კეთილ ინებეთ და გვაცნობეთ, რომელი ტერიტორიის პრეტენზიას აცხადებთ თქვენ. დამოუკიდებლობის პრეტენზიის განცხადება — ეს თქვენი უფლებაა, მაგრამ, თუ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობთ, თქვენი მოვალეობაა გვითხრათ, როგორია ის ტერიტორია, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ. ეს ამ ერთი კვირის წინათ იყო. დიდძალი რადიოდეპეშა დაიწერა, მაგრამ არც ერთი პასუხი არ ყოფილა. ამას იყენებს გერმანიის იმპერიალიზმი. გერმანიას და თურქეთს, როგორც დამხმარე სახელმწიფოს, ამიტომ შეეძლოთ კვლავ და კვლავ წინ წამოეწიათ ისე, რომ არაფერზე პასუხი არ გაეცათ, არაფრისთვის ყურადღება არ მიექციათ და განეცხადებინათ: ჩვენ ავიღებთ იმას, რისი აღებაც შეგვიძლია, ჩვენ არ ვარღვევთ ბრესტის ზავს, იმიტომ რომ ამიერკავკასიის

* გამოტოვებულია ფრაზა, რომელიც სტენოგრამაში ჩაწერილია ბუნდოვნად. რ ე დ.

არმია მას არ სცნობს, იმიტომ რომ კავკასია დამოუკიდებელიაო.

ვისგანაა დამოუკიდებელი გეგეჭკორის მთავრობა? საბჭოთა რესპუბლიკისაგან იგი დამოუკიდებელია, მაგრამ გერმანიის იმპერიალიზმისაგან იგი ცოტათი დამოკიდებულია, და ეს ბუნებრივიცაა. (ტ ა შ ი.)

აი, ამხანაგებო, ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა, — ურთიერთობის უკიდურესი გამწვავება უკანასკნელ დღეებში, აი ის მდგომარეობა, რომელმაც მოგვცა იმ ტაქტიკის სისწორის მხოლოდ ახალი და საკმაოდ თვალსაჩინო დადასტურება, რომელსაც ჩვენი პარტია, რუსეთის კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა, უდიდესი უმრავლესობით ატარებდა, რომელსაც ის მტკიცედ იცავდა დაჟინებით უკანასკნელი თვეების განმავლობაში.

ჩვენ წინა გვაქვს რევოლუციის დიდი გამოცდილება და ამ გამოცდილებიდან ვისწავლეთ ის, რომ საჭიროა ვატარებდეთ ულმობელი შეტევის ტაქტიკას, როდესაც ობიექტური პირობები ამის საშუალებას იძლევა, როდესაც შემთანხმებლობის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ მასები აღშფოთებული არიან და რომ შეტევა ამ მობრუნების გამოხატულება იქნება. მაგრამ ჩვენ გვიხდება მივმართოთ მოლოდინის ტაქტიკას, ძალთა ნელ-ნელა შეკრებას, როდესაც ობიექტური გარემოებანი შესაძლებლობას არ გვაძლევენ საყოველთაო ულმობელი წინააღმდეგობის გაწევისაკენ მოვუწოდოთ.

ვინც თვალს არ ხუჭავს, ვინც ბრმა არაა, მან იცის, რომ ჩვენ ახლა ვიმეორებთ მხოლოდ იმას, რაც ადრეც გვითქვამს და რასაც ყოველთვის ვამბობდით, რომ ჩვენ არ ვივიწყებთ რუსეთის მუშათა კლასის სისუსტეს საერთაშორისო პროლეტარიატის სხვა რაზმებთან შედარებით. ჩვენმა ნებამ კი არა, არამედ ისტორიულმა გარემოებებმა, მეფის რეჟიმის მემკვიდრეობამ, რუსეთის ბურჟუაზიის მოდუნებულობამ, — აი რამ გამოიწვია ის, რომ ეს რაზმი საერთაშორისო პროლეტარიატის სხვა რაზმებზე წინ აღმოჩნდა, და არა იმიტომ, რომ ჩვენ ეს გვინდოდა, არამედ იმიტომ, რომ ეს გარემოებებმა

მოითხოვეს. მაგრამ ჩვენ ჩვენს პოსტზე უნდა დავრჩეთ, ვიდრე არ მოვა ჩვენი მოკავშირე — საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელიც მოვა და აუცილებლად მოვა, მაგრამ რომელიც მოდის განუზომლად მეტი სინელით, ვიდრე ჩვენ ამას მოველით და გვსურს. თუ ჩვენ დავინახავთ, რომ ეს პროლეტარიატი მეტისმეტად ნელა მოდის ობიექტურ გარემოებათა გამო, ჩვენ მაინც კვლავ უნდა ვადგეთ ჩვენს ტაქტიკას — მოლოდინისა და იმპერიალისტთა შორის კონფლიქტების და წინააღმდეგობათა გამოყენების, ძალთა ნელ-ნელა დაგროვების ტაქტიკას, ბობოქარ იმპერიალისტურ ზღვაში საბჭოთა ხელისუფლების იმ ოაზისის შენარჩუნების ტაქტიკას, იმ ოაზისის შენარჩუნებისა, რომლისკენაც უკვე ახლა მოპყრობილია ყველა ქვეყნის მუშათა და მშრომელთა თვალი. აი რატომ ვეუბნებით ჩვენს თავს: თუ უკიდურეს სამხედრო პარტიას შეუძლია წუთით წუთზე დაამარცხოს ყოველი იმპერიალისტური კოალიცია და შექმნას ახალი მოულოდნელი იმპერიალისტური კოალიცია ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ ყოველ შემთხვევაში ამ საქმეს ვერ შევამსუბუქებთ. თუ ისინი წამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ, — დიახ, ჩვენ ახლა ობორონცები ვართ, — ჩვენ გავაკეთებთ ყოველივეს, რაც კი ჩვენზე დამოკიდებულია, ყოველივეს, რის გაკეთებაც კი დიპლომატიურ ტაქტიკას შეუძლია, გავაკეთებთ ყოველივეს, რომ ეს მომენტი გავაჭიანუროთ, გავაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ ის ხანმოკლე და არამტკიცე შესვენება, რომელიც მარტში მივიღეთ, რომ ის გახდეს უფრო ხანგრძლივი, რადგან მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ მხარს გვიჭერენ ათეულ მილიონობით მუშები და გლეხები, რომლებმაც იციან, რომ ამ შესვენების ყოველი კვირით, მით უმეტეს ყოველი თვით ისინი იღებენ ახალ ძალას, რომ ისინი განამტკიცებენ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ისინი მისგან ქმნიან რაღაც მტკიცესა და ურყევს, რომ მათ ახალი სულისკვეთება შემოაქვთ და ქანცის გამწყვეტი რეაქციული ომით გამოწვეული გამოფიტვისა და დაღლილობის შემდეგ შექმნიან სიმტკიცისა და უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლის გასამართავად მზადყოფნის მდგომარეობას,

როდესაც სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას თავს დაატყდება გარეშე ძალა.

ჩვენ ობორონცები ვართ 1917 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ, ჩვენ მოვიპოვეთ იმის უფლება, რომ დავიცვათ სამშობლო. ჩვენ ვიცავთ არა საიდუმლო ხელშეკრულებებს, ჩვენ ისინი გავაუქმეთ, ჩვენ ისინი მთელი მსოფლიოს წინაშე გამოვააშკარავეთ, ჩვენ ვიცავთ სამშობლოს იმპერიალისტებისაგან. ჩვენ ვიცავთ, ჩვენ გავიმარჯვებთ. ჩვენ ვიცავთ არა დიდმპყრობელურობას: რუსეთისგან არაფერი დარჩენილა, გარდა ველიკოროსიისა, — არა ნაციონალურ ინტერესებს, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სოციალიზმის ინტერესები, მსოფლიო სოციალიზმის ინტერესები ნაციონალურ ინტერესებზე მაღლა, სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა დგას. ჩვენ სოციალისტური სამშობლოს დამცველნი ვართ.

ეს დეკლარაციით კი არ ხდება, არამედ მხოლოდ ბურჟუაზიის დამხობით საკუთარ ქვეყანაში, ულმობელი და სამკვდროსასიცოცხლო ომით, რომელიც იქ დაიწყო, და ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. ეს პატარა კუნძულია იმპერიალისტური სამყაროს გარემომცველ ომში, მაგრამ ამ პატარა კუნძულზე ჩვენ ცხადვყავით და დავამტკიცეთ ყოველივე ის, რის გაკეთებაც კი მუშათა კლასს შეუძლია. ეს ყველამ იცის და აღიარა. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ჩვენ გვაქვს სამშობლოს დაცვის უფლება, ჩვენ — ობორონცები ვართ, და ამ დაცვას ვეკიდებით მთელი სერიოზულობით, რომელიც ჩვენ გვასწავლა ოთხი წლის ომმა, მთელი სერიოზულობითა და სიფრთხილით, რომელიც შეგნებული აქვს ყოველ მუშას, ყოველ გლეხს, ვისაც კი ჯარისკაცი უნახავს და გაუგია, თუ რა გადაიტანა ჯარისკაცმა ომის ამ ოთხი წლის განმავლობაში, — იმ სიფრთხილით, რომელიც შეუძლიათ ვერ გაიგონ, რომლის გამოც შეუძლიათ იხითხითონ და რომელსაც შეუძლიათ ქარაფშუტულად მოეკიდონ მხოლოდ რევოლუციონერები სიტყვით, და არა საქმით. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ სამშობლოს დაცვის მომხრენი ვართ, ჩვენ ვეუბნებით ჩვენს თავს: თავდაცვისათვის საჭიროა მტკიცე და მაგარი არმია, მაგარი ზურგი,

მტკიცე და მაგარი არმიისთვის კი პირველ რიგში საჭიროა სასურსათო საქმის მტკიცედ დაყენება. ამისათვის საჭიროა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა გამოიხატებოდეს არა მარტო ცენტრალურ ხელისუფლებაში, ეს პირველი ნაბიჯია, და მხოლოდ პირველი ნაბიჯი, არამედ დიქტატურა უნდა იყოს მთელ რუსეთში, ეს მეორე ნაბიჯია, და მხოლოდ მეორე ნაბიჯი, — ეს ნაბიჯი ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ არ გადაგვიდგამს. ჩვენ გვესაჭიროება, ჩვენთვის აუცილებელია პროლეტარული დისციპლინა, ნამდვილი პროლეტარული დიქტატურა, როდესაც შეგნებულ მუშათა მტკიცე და რკინისებური ძალაუფლება იგრძნობა ჩვენი ქვეყნის ყოველ შორეულ კუთხეში, როდესაც არც ერთი კულაკი, არც ერთი მდიდარი და პურის მონოპოლიის არამომხრე დაუსჯელი კი არ დარჩება, არამედ მას იპოვის და დასჯის მუშათა კლასის დისციპლინირებულ დიქტატორთა, პროლეტარულ დიქტატორთა რკინისებური დამსჯელი ხელი. (ტ ა შ ი).

და ჩვენ ვეუბნებით ჩვენს თავს: სამშობლოს დაცვას ჩვენ სიფრთხილით ვეპყრობით; ყველაფერი, რის მოცემაც კი ჩვენს დიპლომატიას შეუძლია იმისათვის, რომ ომის მომენტი შორს გადავწიოთ, რათა შესვენება გავახანგრძლივოთ, ჩვენ ვალდებული ვართ გავაკეთოთ, ჩვენ აღვუთქვამთ მუშებსა და გლეხებს ყოველივე გავაკეთოთ ზავისათვის. და ჩვენ ამას გავაკეთებთ. და ბატონ ბურჟუებსა და მათ დამქაშებს, რომელნიც ფიქრობენ, რომ, როგორც უკრაინაში, სადაც გადატრიალება ასე ადვილად მოხდა, ასევე ჩვენშიც შეიძლება ახალი სკოროპადსკების გამოჩეკაო, — დაე მათ ნუ დაავიწყდებათ, რომ თუ გერმანიის სამხედრო პარტიას ასეთ დიდ ჯაფად დაუჯდა უკრაინაში გადატრიალების მიღწევა, საბჭოთა რუსეთში იგი საკმაო წინააღმდეგობას შეხვდება. დიახ, ეს დამტკიცებულია ყველაფრით, ამ ხაზს მხარი დაუჭირა საბჭოთა ხელისუფლებამ, მან ყველა მსხვერპლი გაიღო იმისათვის, რომ განემტკიცებინა მშრომელი მასების მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში.

ზავის, ფინეთის საკითხთან დაკავშირებით, — მდგომარეობა ხასიათდება სიტყვებით: ფორტი ინო და მურმანი. ფორტი

ინო — პეტროგრადის დაცვა, თავისი ტერიტორიული მდებარეობით ფინეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის. ფინეთის მუშათა მთავრობასთან ზავის დადებისას ჩვენ, სოციალისტური რუსეთის წარმომადგენლებმა, ვაღიარეთ ფინეთის სრული უფლება მთელი ტერიტორიის მიმართ, მაგრამ, ორივე მთავრობის ურთიერთ თანხმობით, ფორტი ინო რუსეთს დარჩა «სოციალისტური რესპუბლიკების ერთობლივი ინტერესების დასაცავად», როგორც ეს ნათქვამია დადებულ ხელშეკრულებაში [111]. გასაგებია, რომ ჩვენმა ჯარებმა ხელი მოაწერეს ამ ზავს ფინეთში, ხელი მოაწერეს ამ პირობებს. გასაგებია, რომ ბურჟუაზიულ და კონტრრევოლუციურ ფინეთს არ შეეძლო ამის გამო ამბოხება არ მოეწყო. გასაგებია, რომ რეაქციული და კონტრრევოლუციური ბურჟუაზია ფინეთში პრეტენზიებს აყენებდა ამ სიმაგრის მიმართ. გასაგებია, რომ ამის გამო საკითხი არა ერთხელ გამწვავებულა და კვლავ მწვავედ დგას. საქმე ბეწვზე კიდია. გასაგებია, რომ კიდევ უფრო მეტი გამწვავება გამოიწვია საკითხმა მურმანის შესახებ, რომლის მიმართ პრეტენზიას აცხადებდნენ ინგლისელები და ფრანგები, იმიტომ რომ ისინი ათეულ მილიონებს აბანდებდნენ ნავსადგურის ასაგებად, რათა უზრუნველეყოთ თავიანთი სამხედრო ზურგი თავიანთ იმპერიალისტურ ომში გერმანიის წინააღმდეგ. ისინი ნეიტრალობას პატივს სცემენ ისე დიდებულად, რომ იყენებენ ყველაფერს, რაც კი ცუდად ძევს. ამასთან დაპყრობისათვის საკმაო საფუძველს წარმოადგენს ის, რომ იმათ აქვთ ჯავშნოსანი, ჩვენ კი არა გვაქვს ის, რითაც მისი განდევნა შეიძლება. გასაგებია, რომ საკითხი არ შეიძლებოდა არ გამწვავებულიყო ამის გამო. არსებობს გარეგანი გარსი, არსებობს საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობით შექმნილი იურიდიული გამოხატულება, რომელიც გულისხმობს, რომ ნეიტრალურ ტერიტორიაზე არ შეიძლება გამოვიდეს არც ერთი მეომარი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალა ისე, რომ ის განიარაღებული არ იქნას. ინგლისელებმა მურმანში გადმოსხეს თავიანთი სამხედრო ძალები, და ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა ხელი შეგვეშალა ამის-

თვის სამხედრო ძალითვე. ამის შედეგად ჩვენ გვიყენებენ ისეთი ხასიათის მოთხოვნებს, რომელიც ულტიმატუმს უახლოვდება: თუ თქვენ არ შეგიძლიათ დაიცვათ თქვენი ნეიტრალობა, მაშინ ჩვენ თქვენს ტერიტორიაზე ვიომებთო.

მაგრამ უკვე შექმნილია მუშურ-გლეხური არმია, მან მაზრებსა და გუბერნიებში გააერთიანა გლეხი მოსახლეობა, რომელიც დაუბრუნდა მემამულეთა ხელიდან გამოგლეჯილ თავის მიწას, — მათ აქვთ ის, რაც უნდა დაიცვან; არმია, რომელიც შეუდგა საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობას და რომელიც გახდება ავანგარდი, თუ რუსეთს თავს დაატყდება შემოსევა, ჩვენ შევხვდებით მტერს, როგორც ერთი კაცი. ჩემი დრო გავიდა, და მე თავს ნებას მივცემ დავამთავრო იმ დეპეშის წაკითხვით, რომელიც რადიოთი მივიღეთ საბჭოთა რესპუბლიკის ბერლინელი ელჩის ამხ. იოფესაგან. ეს დეპეშა დაგანახვებთ, რომ, ერთი მხრივ, თქვენ გაქვთ დადასტურება ჩვენი ელჩისაგან, — სწორია თუ არა საერთაშორისო ურთიერთობათა ის სურათი, რომელიც მე აქ დაგიხატეთ, და რომ, მეორე მხრივ, საბჭოთა რესპუბლიკის ჩვენი საგარეო პოლიტიკა, სერიოზული პოლიტიკა — მზადება სამშობლოს დასაცავად, ნაცადი პოლიტიკაა, რომელიც შეუძლებელს ხდის რაიმე ნაბიჯის გადადგმას დასავლეთისა და აღმოსავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა უკიდურესი პარტიების დასახმარებლად. ამ პოლიტიკას სერიოზული საფუძველი აქვს და არავითარი ილუზია არ ასაზრდოებს. ყოველთვის რჩება შესაძლებლობა, რომ დღითი დღეზე ჩვენ თავს დაგვატყდება სამხედრო ძალა, და ჩვენ, მუშები და გლეხები, ვეუბნებით ჩვენს თავს და მთელ მსოფლიოს, და შევძლებთ დავამტკიცოთ, რომ ერთი კაცივით დავდგებით საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად, და ამიტომ, იმედი მაქვს, ამ დეპეშის წაკითხვა იქნება ჩემი სიტყვის შესაფერი დასკვნა და მიგვითითებს იმაზე, თუ რა სულისკვეთებით მუშაობენ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები საზღვარგარეთ საბჭოების სასარგებლოდ, ყველა საბჭოთა დაწესებულებისა და საბჭოთა რესპუბლიკის სასარგებლოდ.

«დღეს მიღებული უკანასკნელი რადიოდეპეშები იუწყებიან, რომ გერმანიის სამხედრო ტყვეთა კომისია მიემგზავრება პარასკევს, 10 მაისს. ჩვენ უკვე მივიღეთ გერმანიის მთავრობის ნოტა წინადადებით — შეიქმნას სპეციალური კომისია უკრაინასა და ფინეთში ჩვენი ქონების ყველა უფლებრივი საკითხის განსახილველად. მე ასეთ კომისიას დავეთანხმე, მე თქვენ გთხოვდით გამოგეგზავნათ შესაფერი რწმუნებულნი, სამხედრონი და იურისტები. დღეს მე მქონდა ლაპარაკი შემდგომი წინწამოწევის, ფორტ ინოს გაწმენდის მოთხოვნისა და გერმანიისადმი რუსების დამოკიდებულების გამო. მივიღე პასუხი: გერმანიის უმაღლესი სარდლობა აცხადებს, რომ არავითარი შემდგომი წინწამოწევა აღარ მოხდება, გერმანიის როლი უკრაინასა და ფინეთში დამთავრებულია, გერმანია თანახმაა ხელი შეუწყოს ჩვენს საზავო მოლაპარაკებას კიევთან და ჰელსინგფორსთან და ამის შესახებ უკავშირდება აღნიშნულ მთავრობებს. ფორტ ინოს საკითხი ფინეთის საზავო მოლაპარაკების დროს: ხელშეკრულების თანახმად ფორტები დანგრეულ უნდა იქნას, გერმანია ფიქრობს, რომ საზღვრების დაწესებისას შეიძლება მიღებულ იქნას ჩვენი ხელშეკრულება წითლებთან, თეთრებს ჯერ პასუხი არ მოუციათ. გერმანიის მთავრობა ოფიციალურად აცხადებს. გერმანია მტკიცედ დგას ბრესტის ხელშეკრულების ნიადაგზე, სურს ჩვენთან მშვიდობიანი ურთიერთობით იცხოვროს, არავითარი აგრესიული გეგმები არა აქვს და ჩვენს წინააღმდეგ არავითარ შეტევას არ მიმართავს. გერმანია გვპირდება რუსი მოქალაქეები, თანახმად ჩემი მოთხოვნისა, გაუთანასწოროს სხვა ნეიტრალურ მოქალაქეებს».

საგაზეთო ანგარიში გამოქვეყნდა 1918 წ. 15 და 16 მაისს «პრავდაში» №№ 93 და 94;
1918 წ. 15 მაისს სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» № 95

იბეჭდება წიგნის: «სრულიად რუსეთის მე-4 მოწვევის ცაკის სხდომების ოქმები. სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი, 1920, — ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია გაზეთ «პეტროგრადსკაია პრავდას» ტექსტთან, № 101.
1918 წ. 19 მაისი

მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ რკპ(ბ) მოსკოვის საოლქო კონფერენციაზე[112] 1918 წ. 15 მაისს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ლენინი თავდაპირველად ეხება «მემარცხენეთა» შეხედულებებს საგარეო პოლიტიკაზე და მიუთითებს ბრესტის მოლაპარაკების უდიდეს სააგიტაციო მნიშვნელობაზე, რადგან დასავლეთის პროლეტარიატს შესაძლებლობა აქვს ბევრი რამ გაიგოს და შეიგნოს, თუ ვინ არიან ბოლშევიკები, როგორი მდგომარეობაა ჩვენში რევოლუციის შემდეგ და სხვა. ახლა მთელი ხსნა მდგომარეობს ბრესტის ხელშეკრულების არა აშკარა გაუქმებაში, არამედ იმის უნარში, რომ შეგვეძლოს მიხვევ-მოხვევა ჩამოყალიბებულ რთულ საერთაშორისო სიტუაციებში ცალკეული იმპერიალისტური ქვეყნების ინტერესთა წინააღმდეგობის მეოხებით. უნდა გავითვალისწინოთ ურთიერთობა იაპონიასა და ამერიკას, გერმანიასა და ინგლისს შორის, უთანხმოებანი გერმანიის კაპიტალისტურ და სამხედრო პარტიებში და სხვ. და სხვ.. საშინაო პოლიტიკაში საჭიროა პროლეტარული დისციპლინა, სოფლის კულაკებთან ბრძოლა, პურისთვის ზრუნვა, სრული სასურსათო დიქტატურა და მუშათა კლასის დიქტატურა ჩვენს ქვეყანაში. ეკამათება რა «მემარცხენეებს» სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხში, ლენინი განმარტავს, რომ ის ჩვენთვის საშიში არაა, რადგან კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მტანჯველი გადასვლის დროს, რომელსაც ჩვენ განვიცდით, მთავარი საზრუნავია — დავიცვათ მრეწველობა და მხოლოდ მისი მსხვილი ორგანიზაციის გზით, როგორიც ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო

კაპიტალიზმის პირობებში, შეიძლება მოვაგვაროთ წარმოება და ზუსტად აღვრიცხოთ ის, რაც მზადდება და მოიხმარება. ამისათვის აუცილებელი პირობაა მუშათა კონტროლი. როგორც მაგალითზე, ლენინი მიუთითებს მეტყველებზე, მათს მტკიცე ორგანიზებულობაზე, მუშათა კონტროლზე კერძო საწარმოებში.

«პრავდა» № 95,
1918 წ. 17 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მოხსენება საბჭოების საფინანსო განყოფილებათა წარმომადგენლების სრულიად რუსეთის ყრილობაზე [113] 1918 წ. 18 მაისს

ჩვენი ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა კრიზისულია. ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნა გვიქადის მთელ რიგ სიძნელეებს, რომლებიც ზოგჯერ დაუძლეველი გვეჩვენება. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ რა მძიმეც უნდა იყოს ჩვენი მუშაობა, წვრილი ბურჟუაზიის, სპეკულანტებისა და შეძლებული კლასების წინააღმდეგობა, რაც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, — ჩვენ ეს მუშაობა უნდა შევასრულოთ.

თქვენ, პრაქტიკის ადამიანებმა, გამოცდილების ადამიანებმა, უკეთესად, ვიდრე სხვა ვინმემ, იცით, თუ როგორი სიძნელეების გადალახვა გვიხდება ზოგადი ვარაუდებიდან და დეკრეტებიდან ყოველდღიურ ცხოვრებაზე გადასვლის დროს. მუშაობა უზარმაზარი მოგველის, რადგან შეძლებული კლასების წინააღმდეგობა თავგანწირული იქნება. მაგრამ რაც უფრო მძიმე იქნება მუშაობა, მით უფრო კეთილმყოფელი იქნება მისი შედეგები, როდესაც ბურჟუაზიას დავამარცხებთ და მას საბჭოთა ხელისუფლების კონტროლს დავუმორჩილებთ. ჩვენი ამოცანები ისეთია, რომ ღირს მათთვის შრომა დავხარჯოთ და უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა გავუმართოთ ბურჟუაზიას, რადგან ამ ამოცანების განხორციელებაზე დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის წარმატება.

ის ძირითადი საფინანსო ამოცანები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ დასახა, მოითხოვენ პრაქტიკულ ცხოვრებაში დაუყოვნებლივ განხორციელებას, და თქვენთან თათბირი

ხელს შეუწყობს იმას, რომ ჩვენს მიერ განზრახული გარდაქმნები მარტოოდენ დეკლარაციებად არ დარჩეს.

ჩვენ რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა მივაღწიოთ მტკიცე ფინანსურ გარდაქმნებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველგვარ ჩვენს რადიკალურ რეფორმას მარცხი მოელის, თუ საფინანსო პოლიტიკაში წარმატება არ გვექნება.

სახალხო კომისართა საბჭოს სახელით თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ ამოცანებს, რომლებიც გამოირკვა მრავალრიცხოვან თათბირებზე, და გთხოვთ დაწვრილებით დაამუშაოთ ისინი ცხოვრებაში პრაქტიკული გამოყენებისათვის. ეს ამოცანები შემდეგია:

ფინანსური ცენტრალიზაცია

ჩვენთვის აუცილებელია ფინანსური ცენტრალიზაცია, აუცილებელია ჩვენი ძალების კონცენტრაცია; ამ პრინციპების განუხორციელებლად ჩვენ ვერ მივაღწევთ იმ ეკონომიურ გარდაქმნებს, რომელთა დროსაც თვითეულ მოქალაქეს ექნება ლუკმა პური და თავის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ახლანდელ მომენტში ცენტრალიზაციის აუცილებლობა უკვე იჭრება ხალხის მასების შეგნებაში; თუ ეს მობრუნება ნელა მიმდინარეობს, სამაგიეროდ იგი უფრო ღრმა და უფრო ფართო იქნება; თუ ადგილი აქვს მისწრაფებებს დეცენტრალიზაციისაკენ — ეს გარდამავალი ხანის სენი, ზრდის სენია; ის სავსებით ბუნებრივია, რადგან სამეფო და ბურჟუაზიულმა ცენტრალიზმმა ხალხის მასებს ჩააგონა ყოველგვარი ცენტრალური ხელისუფლებისადმი სიძულვილი და ზიზღი.

მე ცენტრალიზმს განვიხილავ როგორც მშრომელთა მასების განსაზღვრული უზრუნველყოფის მინიმუმს. მე ადგილობრივი საბჭოთა ორგანიზაციების უაღრესად ფართო ავტონომიის მომხრე ვარ, მაგრამ ამასთან ერთად ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის შეგნებული გარდაქმნის დარგში ჩვენი ნაყოფიერი მუშაობისათვის აუცილებელია ერთიანი, მკაცრად განსაზ-

ღვრული საფინანსო პოლიტიკა და განკარგულებათა შესრულება თავიდან ბოლომდე.

ჩვენ თქვენგან მოველით დეკრეტს ქვეყნის ფინანსური ცენტრალიზაციის შესახებ.

საშემოსავლო და ქონებრივი დაბეგვრა

მეორე ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, — პროგრესიულ-საშემოსავლო და ქონებრივი გადასახადის სწორად დაყენებაა. თქვენ იცით, რომ ყველა სოციალისტი არაპირდაპირი გადასახადების წინააღმდეგია, ვინაიდან სოციალისტური თვალსაზრისით ერთადერთი მართებული გადასახადი — პროგრესიულ-საშემოსავლო და ქონებრივი გადასახადია. არ დაგიმალავთ, რომ ამ გადასახადის შემოღების დროს განსაკუთრებულ სიძნელეებს შევხვდებით; შეძლებული კლასების წინააღმდეგობა გააფთრებული იქნება.

ამჟამად ბურჟუაზია გადასახადებისაგან თავს იძვრენს მოსყიდვისა და კავშირურთიერთობის გზით; ჩვენ უნდა დავუკეტოთ მას საძრომი ხვრელები. ამ დარგში ჩვენ ბევრი რამ გვაქვს დასახული, გაწმენდილია ნიადაგი საძირკვლისათვის, მაგრამ თვით ამ შენობის საძირკველი ჯერ კიდევ აგებული არაა. ახლა ეს მომენტი ახლოვდება.

საშემოსავლო გადასახადის საკითხი ისეთია, რომ ცხოვრებაში მისი გატარებისათვის მარტოოდენ დეკრეტები არ კმარა; საჭიროა პრაქტიკული საშუალებანი, გამოცდილება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა გადავიდეთ საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ აკრეფაზე. იმ მოსახლეობის წილი, რომელიც შემოსავალს სახელმწიფო ხაზინისაგან იღებს, იზრდება; უნდა მივიღოთ ზომები, რომ ამ პირთ საშემოსავლო გადასახადს ახდევინებდნენ ჯამაგირიდან დაკავების გზით.

საშემოსავლო გადასახადი უნდა გადავახდევინოთ უკლებლივ ყველა შემოსავლისა და ხელფასისაგან; საბეჭდი დაზგის მუშაობა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დღემდე, შეიძლება გამართლებულ იქნას როგორც დროებითი ზომა, და მან

ადგილი უნდა დაუთმოს პროგრესიულ-საშემოსავლო და ქონებრივ დაბეგვრას გადახდევინების ძალიან ხშირი ვადებით.

მე გთხოვთ, ეს ღონისძიება დაწვრილებით, პრაქტიკულად დაამუშაოთ და ზუსტად განსაზღვროთ გეგმები, რომლებიც ჩვენ შეგვეძლება უმოკლეს ვადაში ვაქციოთ დეკრეტებად და ინსტრუქციებად.

ეხება რა კონტრიბუციების საკითხს, ლენინი ამბობს: მე სრულიადაც წინააღმდეგი არა ვარ კონტრიბუციისა საერთოდ; ბურჟუაზიის მოსასპობად პროლეტარიატს არ შეეძლო კონტრიბუციებისთვის არ მიემართნა; ეს გარდამავალი ხანის მართებული ღონისძიებაა, მაგრამ ახლა გარდამავალი ხანა დამთავრდა და შეძლებული კლასების დაბეგვრამ ადგილი უნდა დაუთმოს ერთიან ცენტრალურ სახელმწიფო გადასახადს.

უეჭველია, ბურჟუაზია მთელი ძალ-ღონით შეეცდება ვერდი აუაროს ჩვენს კანონებს, იგი მიმართავს წვრილმან მოტყუებას. ჩვენ ვიბრძოლებთ ამის წინააღმდეგ, რათა საბოლოოდ გამოვუთხაროთ ძირი ბურჟუაზიის ნაშთებს.

შრომითი ბეგარა

ჩვენი საფინანსო პოლიტიკის მესამე ამოცანაა შრომითი ბეგარის შემოღება და შეძლებული კლასების რეგისტრაცია.

ძველი კაპიტალიზმი, თავისუფალ კონკურენციაზე დამყარებული, ამ ომმა საბოლოოდ ჩაკლა, — მან ადგილი დაუთმო სახელმწიფო, მონოპოლიზაციურ კაპიტალიზმს. დასავლეთის მოწინავე ქვეყნები: ინგლისი და გერმანია ომთან დაკავშირებით გადავიდნენ მთელი წარმოების უსასტიკეს აღრიცხვასა და კონტროლზე, მათ შემოიღეს შრომითი ბეგარა უქონელი კლასებისთვის და უამრავი საძრომი ხვრელები შეუქმნეს ბურჟუაზიას. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ ქვეყნების გამოცდილებით, მაგრამ უნდა დავიწყოთ შრომითი ბეგარის შემოღებით პირველ რიგში არა ღარიბთათვის, რომლებმაც ისედაც საკმაო მსხვერპლი მიიტანეს ომის საკურთხეველზე, არამედ მდიდართათვის, რომელნიც ომით გამდიდრდნენ.

რიგში დგას სამუშაო გადასახადების ცხოვრებაში გატარება — საბიუჯეტო წიგნაკების შემოღება უწინარეს ყოვლისა ბურჟუაზიისათვის, რათა ცხადი იყოს, თუ სამუშაოს რა წილს ასრულებს თვითეული მათგანი ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. კონტროლი ადგილობრივი საბჭოების ხელში უნდა იყოს. ღარიბთა მიმართ ეს ღონისძიება ამჟამად სრულიად ზედმეტია, ვინაიდან მათ ისედაც საკმაო მუშაობა უხდებათ; — ამასთან პროფესიული კავშირები ყველა ზომას მიიღებენ შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად და შრომის დისციპლინის შემოსაღებად.

შეძლებული მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვა, კანონი, რომელიც მდიდრებს ვალდებულებას აკისრებს იქონიონ სამუშაო, საგადასახადო და საბიუჯეტო წიგნაკები, — აი ამოცანა, რომელიც პირველ რიგში უნდა გადავწყვიტოთ. ეს საკითხი პრაქტიკულად და კონკრეტულად უნდა დავამუშაოთ. ეს ღონისძიება შესაძლებლობას მოგვცემს გადასახადთა სიმძიმე, როგორც ამას სამართლიანობაც მოითხოვს, მდიდრებს გადავაკისროთ.

ფულის ახალი ნიშნები

მომენტის მეოთხე ამოცანაა — ფულის ძველი ნიშნების ახალი ნიშნებით შეცვლა. ფული, ქაღალდი — ყოველივე ის, რასაც ახლა ფული ეწოდება, — საზოგადოებრივი კეთილდღეობის ეს მოწმობები, გამხრწნელად მოქმედებს და იმითაა საშიში, რომ ბურჟუაზიას, რომელიც ინახავს ამ ქაღალდების მარაგს, კვლავ ხელთ რჩება ეკონომიური ძალაუფლება.

ამ მოვლენის შესასუსტებლად ჩვენ უნდა მოვახდინოთ არსებული ქაღალდების უსასტიკესი აღრიცხვა ყველა ძველი ფულის სავსებით შესაცვლელად ახალი ფულით. უეჭველია, ამ ღონისძიების გატარების გზაზე ჩვენ განსაკუთრებით ეკონომიური და პოლიტიკური სიძნელეები გადაგვეღობება; ჩვენ მოგველის გულდასმითი მოსამზადებელი მუშაობა — რამდენიმე მილიარდი ახალი ფულის დამზადება, თვითეულ თემში, დიდი ქალაქის თვითეულ უბანში შემნახველი სალაროების

შექმნა, მაგრამ ჩვენ ამ სიძნელეთა წინაშე არ შევჩერდებით. ჩვენ დავნიშნავთ ფრიად მოკლე ვადას, რომლის განმავლობაში ოვითეულმა უნდა გააკეთოს დეკლარაცია, თუ რამდენი ფული აქვს მას, და მის მაგივრად მიიღოს ახალი ფული; თუ თანხა მცირე იქნება, იგი მანეთში მანეთს მიიღებს; ხოლო თუ ის ნორმას ასცილდა, იგი მიიღებს მხოლოდ ნაწილს. ამ ღონისძიებას, უეჭველია, უდიდეს წინააღმდეგობას გაუწევენ არა მარტო ბურჟუაზია, არამედ სოფლის კულაკებიც, რომლებიც ომით გამდიდრდნენ და ქაღალდის ფულის ათასებით გატენილი ბოთლები მიწაში ჩაფლეს. ჩვენ მკერდი-მკერდ შევხვდებით კლასობრივ მტერს. ბრძოლა იქნება მძიმე, მაგრამ მადლიანი ბრძოლა. ჩვენ შორის ეჭვი არ არის, რომ ამ ბრძოლის მთელი სიმძიმე ჩვენ უნდა ვიკისროთ, ვინაიდან იგი აუცილებელი და გარდუვალია. ამ ღონისძიების გასატარებლად საჭიროა უდიდესი მოსამზადებელი მუშაობა: უნდა შევიმუშაოთ სადეკლარაციო ფურცლის ტიპი, პროპაგანდა უნდა გავაჩაღოთ ადგილებზე, განვსაზღვროთ ძველი ფულის ახალზე გამოცვლის ვადა და ა. შ.. მაგრამ ჩვენ ამას გავაკეთებთ. ეს იქნება უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიასთან და ეს შესაძლებლობას მოგვცემს დროებითი ხარკი ვუხადოთ უცხოეთის კაპიტალს, — ვიდრე დასავლეთში არ დაჰკრავს სოციალური რევოლუციის საათი, — და ჩვენს ქვეყანაში გავატაროთ აუცილებელი რეფორმები.

დასასრულ, ლენინი სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მიმართავს ყრილობას და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას. (ლ ე ნ ი ნ ს ა რ ა ე რ თ ხ ე ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ნ ე ბ ე ნ ს ი ტ ყ ვ ა ს მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი თ).

საგაზეთო ანგარიში გამოქვეყნდა 1918 წ. 19 მაისს სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» № 99

იბეჭდება წიგნის: «საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო საბჭოების საფინანსო განყოფილებათა წარმომადგენლების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის მუშაობის ანგარიში». მოსკოვი, 1918, — ტექსტის მიხედვით

წერილი ნაციონალიზებული საწარმოების წარმომადგენელთა კონფერენციას[114] 1918 წ. 18 მაისი

მოვისმინე რა იმ ამხანაგების ცნობა, რომლებიც მუშათა დელეგაციამ აირჩია ლითონის დამმუშავებელი უდიდესი ქარხნების კონფერენციაზე, და მხედველობაში მაქვს რა კონფერენციის რეზოლუცია, მე შემიძლია გითხრათ, რომ სახალხო კომისართა საბჭოში, ჩემი აზრით, უეჭველად იქნება ერთსულოვნება დაუყოვნებლივი ნაციონალიზაციის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ, თუკი კონფერენცია მთელი ენერგიით მოკიდებს ხელს სამუშაოთა გეგმაშეწონილი, მწყობრი ორგანიზებულობის უზრუნველყოფას და მათი ნაყოფიერების ამაღლებას.

ამიტომ სასურველია, რომ კონფერენციამ: 1) დაუყოვნებლივ აირჩიოს დროებითი საბჭო ქარხნების გაერთიანების მოსამზადებლად; 2) უფლება მისცეს მელითონეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, შეცვალოს ხოლმე იგი, შეავსოს ხოლმე ამ დროებითი საბჭოს შემადგენლობა, რათა იგი გადაიქცეს ყველა ნაციონალიზებული ქარხნის ერთიანი კავშირის (ან გაერთიანების) გ ა მ გ ე ო ბ ა დ; 3) მოიწონოს ან, რეზოლუციის საშუალებით, დააკანონოს შინაგანაწესი ბრიანსკის წესების[115] ტიპისამებრ, მკაცრი შრომითი დისციპლინის შექმნის ინტერესებისათვის; 4) დასახელოს კანდიდატები მსხვილი წარმოების სპეციალისტებისა, ინჟინრებისა და ორგანიზატორებისაგან გამგეობაში მონაწილეობისათვის, ან მიანდოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამონახოს და დანიშნოს ასეთები; 5) სასურველია, რომ საუკეთესოდ დაყენებული ქარხნების

მუშებს ან მსხვილი წარმოების ხელმძღვანელობაში ყველაზე მეტად გამოცდილ მუშებს (დროებითი საბჭო ან მელითონეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი) გზავნიდნენ ნაკლებად წარმატებულ ქარხნებში საქმის მართებულად დაყენებისათვის ხელის შესაწყობად; 6) შრომის ნაყოფიერების გამო ყველა მასალის მკაცრი აღრიცხვისა და კონტროლის პირობებში — უნდა მივაღწიოთ და შეიძლება მივაღწიოთ ნედლეულისა და შრომის უდიდეს ეკონომიას.

ვფიქრობ, თუ კონფერენცია და მისგან არჩეული დაწესებულებანი ენერგიულად იმუშავებენ, შესაძლებელი იქნება უ ა ხ ლ ო ე ს დ ღ ე ე ბ შ ი ნაციონალიზაციის გატარება სახკომსაბჭოში.

სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტია» № 99,
1918 წ. 19 მაისი

იბეჭდება სრულიად რუსეთის
ცაკის გაზეთ «იზვესტიის»
ტექსტის მიხედვით

მოწვევა დეპეშისა პიტერის მუშებისადმი 1918 წ. 21 მაისი[116]

საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება, მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ-ს ა და კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ზ ე მშრომელთა და ექსპლოატირებულთა გამარჯვების შენარჩუნება და განმტკიცება შეიძლება მხოლოდ შეგნებულ მუშათა უსასტიკესი, რკინისებური ხელისუფლების დროს. მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შეუძლია მიიზიდოს და თავის გარშემო გააერთიანოს ყველა მშრომელი, მთელი ღარიბობა.

ამხანაგო მუშებო! გახსოვდეთ, რომ რევოლუციის მდგომარეობა კრიზისულია. გახსოვდეთ, რომ რევოლუციის ხსნა შეგიძლიათ **მხოლოდ თქვენ**; სხვას არავის.

ათეულ ათასობით რჩეული, მოწინავე, სოციალიზმისადმი ერთგული მუშები, რომელთაც არ შეუძლიათ აჰყვნენ ქრთამსა და მტაცებლობას, რომელთაც უნარი შესწევთ რკინისებური ძალა შექმნან კულაკების, სპეკულანტების, მაროდიორების, მექრთამეების, დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, — აი რა არის აუცილებელი.

აი რა არის აუცილებელი დაჟინებითა და გადაუდებლივ.

აი ის, ურომლისოდაც შიმშილობა, უმუშევრობა და რევოლუციის დაღუპვა გარდუვალია.

მუშათა ძალა და მათი ხსნა ორგანიზაციაშია. ეს ყველამ იცის. ახლა საჭიროა მუშათა განსაკუთრებული სახის ორგანიზაცია, ორგანიზაცია მუშათა რკინისებური ხელისუფლებისა

ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის. ამხანაგო მუშებო! რევოლუციის საქმე, რევოლუციის ხსნა თქვენს ხელთაა.

დრო არ ითმენს: განუზომლად მძიმე მაისს მოჰყვება კიდევ უფრო მძიმე ივნისი და ივლისი. ხოლო, შესაძლოა, აგრეთვე აგვისტოს ნაწილიც.

«პეტროგრადსკაია პრავდა» № 103,
1918 წ. 22 მაისი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

შიმშილობის შესახებ

(წერილი პიტერის მუშებს)

ამხანაგებო! ამ დღეებში ჩემთან იყო თქვენი დელეგატი, პარტიული ამხანაგი, პუტილოვის ქარხნის მუშა. ამ ამხანაგმა დაწვრილებით ამიწერა პიტერში შიმშილობის მეტისმეტად მძიმე სურათი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მთელ რიგ სამრეწველო გუბერნიებში სასურსათო საქმე ასევე გამწვავებულია, შიმშილობა ასევე მტანჯველად უკაკუნებს მუშებისა და საზოგადოდ ღარიბთა კარებს.

ამავე დროს კი ჩვენ ვხედავთ პურით და სხვა სასურსათო პროდუქტებით სპეკულაციის თარეშს. შიმშილობაა არა იმიტომ, რომ რუსეთში პური არ არის, არამედ იმიტომ, რომ ბურჟუაზია და ყველა მდიდარნი უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლას უმართავენ მშრომელთა ბატონობას, მუშათა სახელმწიფოს, საბჭოთა ხელისუფლებას ყველაზე მნიშვნელოვან და მწვავე საკითხში, პურის საკითხში. ბურჟუაზია და ყველა მდიდარნი, მათ შორის სოფლის შეძლებულნი, კულაკები, ფუშავენ პურის მონოპოლიას, არღვევენ მთელი მოსახლეობის და პირველ რიგში მუშათა, მშრომელთა, გაჭირვებულთა პურით მომარაგების სასარგებლოდ და მათი ინტერესებისათვის შემოღებულს პურის სახელმწიფო განაწილებას. ბურჟუაზია ძირს უთხრის მტკიცე ფასებს, პურის სპეკულაციას ეწევა, ას, ორას და კიდევ უფრო მეტ მანეთს იგებს ფუთ პურში, არღვევს პურის მონოპოლიას და პურის წესიერ განაწილებას, არღვევს ქრთამით, მოსყიდვით, ბოროტი მხარდაჭერით ყოველივე იმისადმი, რაც ღუპავს მუშათა ხელისუფლებას, რომელიც

ცდილობს განახორციელოს სოციალიზმის პირველი, მთავარი, ძირითადი საწყისი: «ვინც არ მუშაობს, დაე ის ნურცა სჭამს».

«ვინც არ მუშაობს, დაე ის ნურცა სჭამს» — ეს გასაგებია ყოველი მშრომელისათვის. ამის თანახმაა ყველა მუშა, ყველა უღარიბესი და საშუალო გლეხიც კი, ყველა, ვისაც ცხოვრებაში გაჭირვება უნახავს, ყველა, ვისაც ოდესმე საკუთარი ხელფასით უცხოვრია. რუსეთის მოსახლეობის ცხრა მეათედი ეთანხმება ამ ჭეშმარიტებას. ეს მარტივი, უმარტივესი და უთვალსაჩინოესი ჭეშმარიტება — სოციალიზმის საფუძველია, მისი ძალის აღმოუფხვრელი წყარო, მისი საბოლოო გამარჯვების მოუსპობელი საწინდარია.

მაგრამ დედააზრი სწორედ იმაშია, რომ ერთია — ხელი მოაწეროთ ამ ჭეშმარიტებისადმი თანხმობაზე, ღმერთი დაიფიცო, რომ იზიარებ მას, ტუჩებით აღიარო იგი, და მეორეა — უნარი გქონდეს ცხოვრებაში გაატარო იგი. როდესაც ასი ათასობით და მილიონობით ადამიანი იტანჯება შიმშილით (პიტერში, არასამიწათმოქმედო გუბერნიებში, მოსკოვში) — იმ ქვეყანაში, სადაც მდიდრები, კულაკები და სპეკულანტები მილიონობითა და მილიონობით ფუთ პურს მალავენ, — იმ ქვეყანაში, რომელიც თავისთავს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას უწოდებს, — მაშინ არის რაღაც, რასაც ყოველი შეგნებული მუშა და გლეხი სერიოზულად და ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს.

«ვინც არ მუშაობს, დაე ნურცა სჭამს» — როგორ გავატაროთ ეს ცხოვრებაში? ნათელია, როგორც ნათელი დღე, რომ ცხოვრებაში ამის გასატარებლად აუცილებელია, ჯერ-ერთი, პურის სახელმწიფო მონოპოლია, ე. ი. პურით ყოველგვარი კერძო ვაჭრობის უეჭველი აკრძალვა, მთელი ზედმეტი პურის სახელმწიფოსათვის მტკიცე ფასად სავალდებულო ჩაბარება, უეჭველი აკრძალვა ზედმეტი პურის მოტოვების და მიმალვისა, ვის მიერაც უნდა იყოს ეს. მეორე, ამისათვის აუცილებელია მთელი ზედმეტი პურის უსასტიკესი აღრიცხვა და პურის უნაკლოდ წესიერი მიზიდვა იმ ადგილებიდან,

სადაც ის ჭარბადაა, იმ ადგილებში, სადაც პურის ნაკლებობაა, ამასთან — მოხმარებისთვის, დამუშავებისთვის, სათესად საჭირო მარაგის მომზადება. მესამე, ამისათვის აუცილებელია პურის სწორი, სამართლიანი განაწილება სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს შორის, მუშური, პროლეტარული სახელმწიფოს კონტროლით, განაწილება, რომელიც არავითარ პრივილეგიას და უპირატესობას არ ანიჭებს მდიდარს.

საკმარისია თუნდაც ოდნავ მაინც ჩავუფიქრდეთ შიმშილობაზე გამარჯვების ამ პირობებს, რომ გავიგოთ მთელი სიღრმე ანარქიზმის იმ საზიზღარი ქარაფშუტების სიყეყეჩისა, რომელნიც უარყოფენ სახელმწიფო ძალაუფლების (და ბურჟუაზიისადმი ულმობლად მკაცრი, ხელისუფლების დეზორგანიზატორთა მიმართ ულმობლად მტკიცე ძალაუფლების) აუცილებლობას კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად, მშრომელთა ხსნისათვის ყოველგვარი ჩაგვრისა და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან. სწორედ ახლა, როდესაც ჩვენი რევოლუცია პირისპირ, კონკრეტულად, პრაქტიკულად — და ამაშია მისი აურაცხელი დამსახურება — მიადგა სოციალიზმის განხორციელების ამოცანებს, სწორედ ახლა და სწორედ უმთავრეს საკითხში, პურის საკითხში, ცხადზე უცხადესად ჩანს აუცილებლობა რკინისებური რევოლუციური ხელისუფლებისა, პროლეტარიატის დიქტატურისა, პროდუქტების შეგროვების ორგანიზაციისა, მათი მოტანისა და განაწილებისა მასობრივი, საერთო-ნაციონალური მასშტაბით, ათეული და ასეული მილიონობით ადამიანის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, ერთი წლისათვის და მრავალი შემდგომი წლისათვის წარმოების პირობებისა და შედეგების წინასწარ გათვალისწინებით (ვინაიდან არის მოუსავლობის წლები, პურის მოსავლის გასადიდებლად აუცილებელი ხდება მელიორაცია, რომელიც მრავალი წლის მუშაობას მოითხოვს, და ა. შ.).

რომანოვმა და კერენსკიმ მუშათა კლასს მემკვიდრეობად დაუტოვეს მათი მძარცველური, დანაშაულებრივი და უმძიმესი ომით უკიდურესად გაპარტახებული ქვეყანა, ქვეყანა,

რომელიც მთლად გაძარცულია რუსეთისა და უცხოეთის იმპერიალისტების მიერ. პური ყველას ეყოფა მხოლოდ მაშინ, თუ თვითეულ ფუთს უსასტიკესად აღვრიცხავთ, თუ თვითეულ გირვანქას უეჭველად თანაბრად გავანაწილებთ. პური მანქანებისათვის, ესე იგი სათბობი მასალაც, ძალიან ნაკლებად გვაქვს: შეჩერდება რკინიგზები და ფაბრიკები, უმუშევრობა და შიმშილობა დაღუპავს მთელ ხალხს, თუ მთელ ძალებს არ დავძაბავთ მოხმარების ულმობლად მკაცრი ეკონომიისათვის, განაწილების სისწორისათვის. კატასტროფა თავს დაგვტრიალებს, იგი ძალიან, ძალიან მოგვიახლოვდა. უზომოდ მძიმე მაისს მოჰყვება კიდევ უფრო მძიმე ივნისი, ივლისი და აგვისტო.

პურის სახელმწიფო მონოპოლია ჩვენში კანონით არსებობს, მაგრამ სინამდვილეში მას ყოველ ნაბიჯზე ფუშავს ბურჟუაზია. სოფლელი მდიდარი, კულაკი, წურბელა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ძარცვავდა მთელ ახლომახლო თემებს, ამჯობინებს ხელი მოითბოს სპეკულაციით, არყის გამოხდით: ეს ხომ ძალიან ხელსაყრელია მისი ჯიბისათვის, შიმშილობის ბრალს კი იგი საბჭოთა ხელისუფლებას დებს. სწორედ ასევე იქცევიან კულაკის პოლიტიკური დამცველები — კადეტები, მემარჯვენე ესერები, მენშევიკები, რომელნიც აშკარად და ფარულად «მუშაობენ» პურის მონოპოლიის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. უნებისყოფოთა პარტია, ესე იგი მემარცხენე ესერები, უნებისყოფოა აქაც: იგი აყოლია ბურჟუაზიის ანგარებიან ყვირილსა და გოდებას, იგი გაჰყვირის პურის მონოპოლიის წინააღმდეგ, იგი «პროტესტს აცხადებს» სასურსათო დიქტატურის წინააღმდეგ, იგი თავს აშინებინებს ბურჟუაზიას, მას ეშინია კულაკთან ბრძოლისა და ისტერიულად აქეთ-იქით ეხეთქება, გვირჩევს გავადიდოთ მტკიცე ფასები, დავრთოთ კერძო ვაჭრობის ნება და სხვა მსგავსს.

ეს უნებისყოფოთა პარტია პოლიტიკაში გამოხატავს რაღაც იმის მსგავსს, რაც ხდება ცხოვრებაშიც, როდესაც კულაკი აქეზებს ღარიბებს საბჭოების წინააღმდეგ, მოისყიდის ხოლმე მათ, აძლევს, მაგალითად, რომელიმე ღარიბ გლეხს

ერთ ფუთ პურს არა ექვს, არამედ სამ მანეთად, იმისათვის, რომ ამ გარყვნილმა ღარიბმა თვითონაც «ისარგებლოს» სპეკულაციით, თვითონაც «ხელი მოითბოს» ამ ერთი ფუთის სპეკულანტური გაყიდვით 150 მანეთად, თვითონ გადაიქცეს მყვირალად საბჭოების წინააღმდეგ, რომლებიც პურით კერძო ვაჭრობას კრძალავენ.

ვისაც ფიქრის უნარი აქვს, ვისაც სურს ოდნავ მაინც დაფიქრდეს, მისთვის ცხადია, თუ რა ხაზით წარმოებს ბრძოლა:

ან შეგნებული მოწინავე მუშები გაიმარჯვებენ, რაკი თავიანთ გარშემო გააერთიანებენ ღარიბთა მასას, დაამყარებენ რკინისებურ წესრიგს, ულმობლად მკაცრ ხელისუფლებას, პროლეტარიატის ნამდვილ დიქტატურას, აიძულებენ კულაკს დაგვმორჩილდეს, შემოიღებენ პურისა და სათბობის სწორ განაწილებას საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით;

— ან ბურჟუაზია კულაკების დახმარებით, უნებისყოფო და გზააბნეული ადამიანების (ანარქისტებისა და მემარცხენე ესერების) არაპირდაპირი მხარდაჭერით დაამხობს საბჭოთა ხელისუფლებას და გააბატონებს რუსულ-გერმანულ ან რუსულ-იაპონურ კორნილოვს, რომელსაც ხალხისთვის მოაქვს 16 საათის სამუშაო დღე, კვირაში ერთი მერვედი გირვანქა პური, მუშათა მასების დახვრეტა, წამება საპყრობილეებში, როგორც ეს ფინეთშია, როგორც უკრაინაშია.

ან — ან.

შუათანა რამ არ არსებობს.

ქვეყნის მდგომარეობა უკიდურესობამდე მივიდა.

ვინც პოლიტიკურ ცხოვრებას უფიქრდება, მან არ შეიძლება არ დაინახოს, რომ კადეტები, მემარჯვენე ესერები და მენშევიკები ერთმანეთს უთანხმდებიან იმაზე: რუსულ-გერმანული თუ რუსულ-იაპონური კორნილოვი უფრო «სასიამოვნოა», გვირგვინოსანი თუ რესპუბლიკური კორნილოვი უფრო კარგად და უეჭველად გასრესს რევოლუციას.

დროა შეთანხმდეს ყველა შეგნებული, ყველა მოწინავე მუშა. დროა გამოფხიზლდნენ ისინი და შეიგნონ, რომ დაყოვ-

ნების ყოველი წუთი გვიქადის ქვეყნის დაღუპვას და რევოლუციის დაღუპვას.

ნახევრული ღონისძიებებით საქმეს ვერ ვუშველით. ჩივილით არაფერი არ გაკეთდება. იმის ცდები, რომ პური ან სათბობი იშოვნონ «ცალკეულად», «თავისთვის», ე. ი. «თავისი» ქარხნისთვის, «თავისი» საწარმოსთვის, მხოლოდ აძლიერებს დეზორგანიზაციას, მხოლოდ უადვილებს სპეკულანტებს მათ ანგარებიან, ჭუჭყიან და ბნელ საქმეს.

და აი რატომ ვაძლევ ნებას ჩემს თავს მოგმართოთ წერილით თქვენ, ამხანაგო პიტერის მუშებო. პიტერი — რუსეთი არ არის. პიტერის მუშები — რუსეთის მუშების მცირედი ნაწილია. მაგრამ ისინი წარმოადგენენ რუსეთის მუშათა კლასის და ყველა მშრომელთა ერთ-ერთ საუკეთესო, მოწინავე, ყველაზე შეგნებულ, ყველაზე რევოლუციურ, ყველაზე მტკიცე რაზმს, რომელიც ყველაზე ნაკლებ აჰყვება ცარიელ ფრაზას, უნებისყოფო სასოწარკვეთას, ბურჟუაზიის მიერ დაშინებას. ხოლო ხალხთა ცხოვრების კრიზისულ მომენტებში არა ერთხელ ყოფილა, რომ მოწინავე კლასების არამრავალრიცხოვან მოწინავე რაზმებსაც კი თან გაუტაცნიათ ყველანი, რევოლუციური ენთუზიაზმის ცეცხლით აღუნთიათ მასები, უდიდესი ისტორიული საგმირო საქმეები ჩაუდენიათ.

ჩვენ პუტილოვის ქარხანაში გვყავდა ორმოცი ათასი კაცი, — მეუბნებოდა პიტერის მუშათა დელეგატი, — მაგრამ მათი უმრავლესობა «დროებითი» მუშები იყვნენ, არა პროლეტარები, არასაიმედონი, მოდუნებული ადამიანები. ახლა თხუთმეტი ათასი დარჩა, მაგრამ ესენი — პროლეტარები არიან, გამოცდილნი და ბრძოლაში გამობრძმედილნი.

და აი რევოლუციის ასეთმა ავანგარდმა — პიტერშიც და მთელ ჩვენს ქვეყანაშიც — უნდა დასცეს ყიჟინა, უნდა აღსდგეს მასობრივად, უნდა შეიგნოს, რომ მის ხელთაა ქვეყნის ხსნა, რომ მას მოეთხოვება არა ნაკლები გმირობა, ვიდრე 1905 წ. იანვარსა და ოქტომბერში, 1917 წლის თებერვალსა და ოქტომბერში, რომ უნდა მოეწყოს დიდი «ჯვაროსნული ლაშქრობა» პურის სპეკულანტების,

კულაკების, მუქთახორების, დეზორგანიზატორების, მექრთამეების წინააღმდეგ, დიდი «ჯ ვ ა რ ო ს ნ უ ლ ი ლ ა შ ქ რ ო ბ ა» ხალხისათვის პურისა და მანქანებისათვის პურის შეკრების, მოტანის და განაწილების საქმეში უმკაცრესი სახელმწიფოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ.

მხოლოდ მოწინავე მუშების მასობრივ აღმავლობას შეუძლია იხსნას ქვეყანა და რევოლუცია. საჭიროა ათი ათასობით მოწინავენი, გამობრძმედილი პროლეტარები, იმდენად შეგნებულნი, რომ ღარიბთა მილიონებს ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში აუხსნან საქმის ვითარება და სათავეში ჩაუდგნენ ამ მილიონებს, — იმდენად მტკიცენი, რომ ულმობლად ჩამოიშორონ და დახვრიტონ ყველა ის, ვინც «გაიტაცა» სპეკულაციის ცდუნებამ — ესეც ხდება — და სახალხო საქმისათვის მებრძოლიდან მძარცველად გადაქცეულა, — იმდენად მტკიცენი და რევოლუციის ერთგულნი, რომ ორგანიზებულად გადაიტანონ ყველა სიმძიმე ლ ა შ ქ რ ო ბ ი ს ა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში წესრიგის დასამყარებლად, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების განსამტკიცებლად, ადგილებზე პურის თვითეულ ფუთზე, სათბობის თვითეულ ფუთზე ზედამხედველობის გასაწევად.

ამის გაკეთება უფრო ძნელია, ვიდრე ის, რომ გმირობას იჩენდე რამდენიმე დღით, შეჩვეული ადგილის მოუშორებლად, ლაშქრობაში წაუსვლელად, ვიდრე სჯერდებოდე აღტყინებას — აჯანყებას მტარვალ-იდიოტ რომანოვის ან ბრიყვ და ტრაბახა კერენსკის წინააღმდეგ. საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით ხანგრძლივი და შეუპოვარი ორგანიზაციული მუშაობის გმირობა განუზომლად უფრო ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ განუზომლად უფრო მაღალიც არის, ვიდრე აჯანყებათა გმირობა. მაგრამ მუშათა პარტიებისა და მუშათა კლასის ძალას ყოველთვის ის შეადგენდა, რომ იგი გაბედულად, პირდაპირ, აშკარად უსწორებს თვალს საფრთხეს, არ ეშინია მისი აღიარება, ფხიზლად წონის, თუ რა ძალები არიან «მის» და «უცხო», ექსპლოატატორულ, ბანაკში. რევოლუცია წინ მიდის, ვითარდება და იზრდება. იზრდება ჩვენს წინაშე მდგარი

ამოცანებიც. იზრდება ბრძოლის სიფართოვე და სიღრმე. პურისა და სათბობის სწორი განაწილება, მათი მოპოვების გაძლიერება, ყოველივე ამის უსასტიკესი აღრიცხვა და კონტროლი მუშათა მხრით და საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით, — ეს ნამდვილი და მთავარი კარიბჭეა სოციალიზმისა. ეს უკვე არის არა «ზოგად-რევოლუციური», არამედ სწორედ კომუნისტური ამოცანა, სწორედ ისეთი ამოცანა, სადაც მშრომელებმა და ღარიბებმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გაუმართონ კაპიტალიზმს.

ამ ბრძოლას კი ღირს მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ: დიდია მისი სიძნელეები, მაგრამ დიდია ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მოსპობის ის საქმეც, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით.

როდესაც ხალხი შიმშილობს, როდესაც უმუშევრობა სულ უფრო და უფრო მრისხანედ მძვინვარებს, — თვითეული, ვინც ზედმეტ ფუთ პურს მალავს, თვითეული, ვინც სახელმწიფოს ერთ ფუთ სათბობ მასალას აკლებს, უდიდეს დამნაშავეს წარმოადგენს.

ასეთ დროს — ხოლო ჭეშმარიტად კომუნისტური საზოგადოებისათვის ეს ყოველთვის სწორია — ყოველი ფუთი პური და სათბობი არის ნამდვილი წმიდათა წმიდა, იმ წმიდათა წმიდაზე უფრო მეტი, რითაც აბრიყვებენ რეგვენებს ხუცები, რომელნიც ზეციერ სასუფეველს აღუთქვამენ მიწიერი მონობის ჯილდოდ. ხოლო იმისათვის, რომ ხუცური «წმიდათა-წმიდობის» ყოველგვარი ნაშთი ჩამოვაშოროთ ამ ნამდვილ წმიდათა წმიდას, საჭიროა პრაქტიკულად დავეუფლოთ მას, უნდა საქმით მივაღწიოთ მის სწორ განაწილებას, მთელი ზედმეტი პური უკლებლივ, ბოლომდე მთლიანად უნდა შევაგროვოთ საერთო-სახელმწიფოებრივ მარაგად, უნდა გავწმინდოთ მთელი ქვეყანა გადამალული ან შეუკრებელი ზედმეტი პურისაგან, საჭიროა მუშის მტკიცე ხელით მივაღწიოთ ძალთა უკიდურესად დაძაბვას სათბობი მასალის მოპოვების გადიდებისა და მისი უდიდესი მომჭირნეობისათვის, უდიდესი წესრიგისათვის მის მოზიდვასა და მოხმარებაში.

საჭიროა მოწინავე მუშების მასობრივი «ჯვაროსნული ლაშქრობა» პურისა და სათბობის წარმოების ყოველი პუნქტისაკენ, მათი მოზიდვისა და განაწილების ყოველი მნიშვნელოვანი პუნქტისაკენ, მუშაობის ენერგიის გასაძლიერებლად, მისი ენერგიის გასაათკეცებლად, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის დახმარების გასაწევად აღრიცხვისა და კონტროლის საქმეში, სპეკულაციის, მექრთამეობის, დაუდევრობის შეიარაღებული მოსპობისათვის. ეს არ არის ახალი ამოცანა. ახალ ამოცანებს, ნამდვილად რომ ითქვას, ისტორია არ აყენებს, — იგი მხოლოდ ადიდებს ძველი ამოცანების ოდენობასა და გაქანებას იმისდა მიხედვით, როგორადაც იზრდება რევოლუციის გაქანება, როგორადაც იზრდება მისი სიძნელეები, როგორადაც იზრდება მისი მსოფლიო-ისტორიული ამოცანის სიდიადე.

ოქტომბრის — საბჭოთა—გადატრიალების ერთ-ერთი უდიდესი, აღმოუფხვრელი საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მოწინავე მუშა, *როგორც* ღარიბთა *ხელმძღვანელი*, *როგორც* სოფლის *მშრომელთა* მასის *ბელადი*, *როგორც* *შრომის სახელმწიფოს მშენებელი* — «ხალხში გავიდა». მრავალი ათასი საუკეთესო მუშა მისცა სოფელს პიტერმა, მისცეს სხვა პროლეტარულმა ცენტრებმაც. კალედინებთან და დუტოვებთან მებრძოლთა რაზმები, სასურსათო რაზმები — ახალი ამბავი არ არის. ამოცანა მხოლოდ იმაშია, რომ კატასტროფის სიახლოვე, მდგომარეობის სიმძიმე ვალდებულს გვხდის წინანდელზე *ერთიათად* მეტი გავაკეთოთ.

მუშა, ღარიბთა მოწინავე ბელადი რომ გახდა, წმინდანად როდი ქცეულა. მას წინ მიყავდა ხალხი, მაგრამ მასაც ედებოდა წვრილბურჟუაზიული გახრწნილობის სენი. რაც უფრო ნაკლები იყვნენ ისეთი რაზმები, რომელნიც საუკეთესოდ ორგანიზებული, ყველაზე მეტად შეგნებული, ყველაზე მეტად დისციპლინირებული და მტკიცე მუშებისაგან შედგებოდნენ, მით უფრო ხშირად იხრწნებოდნენ ეს რაზმები, მით უფრო ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მომავლის

პროლეტარულ-კომუნისტურ შეგნებულობას წარსულის წვრილმესაკუთრული სტიქია ამარცხებდა.

დაიწყო რა კომუნისტური რევოლუცია, მუშათა კლასს არ შეუძლია ერთი დაკვრით თავიდან მოიშოროს ყველა ის სისუსტე და მანკი, რომლებიც მემკვიდრეობად მიიღო მემამულეებისა და კაპიტალისტების საზოგადოებისაგან, ექსპლოატატორებისა და მუქთახორების საზოგადოებისაგან, მრავალთა სიღატაკის დროს მცირეოდენთა ჭუჭყიანი ანგარებისა და პირადი გამდიდრების საზოგადოებისაგან. მაგრამ მუშათა კლასს შეუძლია დაამარცხოს — დ ა, ბ ო ლ ო ს და ბ ო ლ ო ს, უ ე ჭ ვ ე ლ ა დ, ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ დ ა ა მ ა რ ც ხ ე ბ ს კ ი დ ე ც ძ ვ ე ლ სამყაროს, მის ყველა მანკსა და სისუსტეს, თუ მტრის წინააღმდეგ ავამოძრავებთ ახალსა და ახალს, სულ უფრო მრავალრიცხოვან, გამოცდილებით სულ უფრო განათლებულ, ბრძოლის სიძნელეებში სულ უფრო გამობრძმედილ მუშათა რაზმებს.

ასეთი და სწორედ ასეთია ახლა საქმის ვითარება რუსეთში. ცალკეულად და დაქსაქსულად შიმშილობისა და უმუშევრობის დამარცხებას ვერ შევძლებთ. საჭიროა მოწინავე მუშების მასობრივი «ჯვაროსნული ლაშქრობა» ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის ყველა კუთხისაკენ. საჭიროა ერთიანად უფრო მეტი რ კ ი ნ ი ს რ ა ზ მ ე ბ ი შეგნებული და კომუნიზმისადმი უსაზღვროდ ერთგული პროლეტარიატისა. მაშინ ჩვენ დავამარცხებთ შიმშილობასა და უმუშევრობას. მაშინ რევოლუციას ჩვენ ავამაღლებთ სოციალიზმის ნამდვილ კარიბჭემდე. მაშინ ჩვენ უნარი გვექნება ძლევამოსილი თავდაცვითი ომიც ვაწარმოოთ იმპერიალისტური მტაცებლების წინააღმდეგ.

22. V. 1918 წ. ნ. ლ ე ნ ი ნ

«პრავდა» № 101, 1918 წ. 24 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა შრომის კომისართა ყრილობაზე[117] 1918 წ. 22 მაისს

ამხანაგებო! უწინარეს ყოვლისა ნება მომეცით სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მივესალმო შრომის კომისართა ყრილობას. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა ში).

სახალხო კომისართა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ამხანაგმა შლიაპნიკოვმა გვაცნობა, რომ თქვენი ყრილობა შეუერთდა პროფესიული კავშირების რეზოლუციას შრომის დისციპლინისა და ნაყოფიერების ნორმების შესახებ. ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ ამ გადაწყვეტილებით თქვენ გადადგით ფრიად დიდი ნაბიჯი, რომელიც შეეხება არა მარტო შრომის ნაყოფიერებას და წარმოების პირობებს, არამედ მეტად მნიშვნელოვანი პრინციპული ნაბიჯი საზოგადოდ თანამედროვე მდგომარეობის თვალსაზრისით. თქვენ მუდმივი საქმიანი, და არა შემთხვევითი, კავშირი გაქვთ მუშათა მთელ ფართო მასებთან, და თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი რევოლუცია განიცდის თავისი განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და კრიზისულ მომენტს.

თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჩვენი მტრები, დასავლეთის იმპერიალისტები, გვიდარაჯებენ ჩვენ, და, შესაძლოა, იქნეს მომენტი, როცა ისინი თავს დაგვატეხენ თავიანთ ურდოებს. ახლა ამ გარეშე მტრებს უერთდება საშიში მტერი — შინაური მტერი: — რღვევა, ქაოსი და დეზორგანიზაცია, რომელთაც აძლიერებენ საზოგადოდ ბურჟუაზია, კერძოდ კი წვრილი ბურჟუაზია და ბურჟუაზიის სხვადასხვა დამქაშები და მაჩანჩალები. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ უაღრესად მტანჯველი

ომის შემდეგ, რომელშიც ჩვენ ჩაგვაბეს მეფის რეჟიმმა და შემთანხმებლებმა კერენსკის მეთაურობით, ჩვენ უშუალოდ მივიღეთ მემკვიდრეობად რღვევა და უკიდურესი ნგრევა. ახლა გვიახლოვდება ყველაზე კრიზისული მომენტი, როდესაც შიმშილი და უმუშევრობა კარზე უკაკუნებს მუშათა სულ უფრო მეტ რიცხვს, როდესაც ასობით და ათასობით ადამიანი იტანს შიმშილობით გამოწვეულ ტანჯვას, როდესაც მდგომარეობა გამწვავებულია იმით, რომ პური არ არის, მაგრამ ის შეიძლებოდა ყოფილიყო, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ მისი სწორი განაწილება დამოკიდებულია წესიერად მოზიდვაზე. სათბობის ნაკლებობა, მას შემდეგ რაც ჩვენგან მოწყვეტილია სათბობით მდიდარი მხარე, რკინიგზების კატასტროფა, რომელთაც, შესაძლოა, მოძრაობის შეჩერების საფრთხე ემუქრებოდეს, — აი ის მდგომარეობა, რომელიც ქმნის სიძნელეებს რევოლუციისათვის, აი მდგომარეობა, რომელიც სიხარულით ავსებს ყველა ჯურისა და ყველა ელფერის კორნილოველთა გულებს. ისინი ახლა ყოველდღე, შესაძლოა, ყოველ საათს უთანხმდებიან ერთმანეთს იმაში, თუ როგორ გამოიყენონ საბჭოთა რესპუბლიკისა და პროლეტარული ხელისუფლების სიძნელეები იმისათვის, რომ კვლავ ტახტზე აიყვანონ კორნილოვი. მათ დავა აქვთ იმაზე, თუ რა ეროვნების იქნება ეს კორნილოვი, მაგრამ იგი ისეთი უნდა იყოს, როგორიც ხელსაყრელია ბურჟუაზიისთვის, — გვირგვინით თავზე ან კორნილოვი-რესპუბლიკელი. ახლა მუშებმა უკვე იციან, რაშია საქმე, და მას მერმე, რაც რუსეთის რევოლუციამ კერენსკის შემდეგ გადაიტანა, — ეს მათ ოდნავადაც არ გააკვირვებს. მაგრამ მუშათა ორგანიზაციის, მუშათა რევოლუციის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ თვალს არ ხუჭავდეს სიმართლეზე და საქმის ვითარების უაღრესად ზუსტ ანგარიშს აძლევდეს თავისთავს.

ჩვენ ვამბობდით, რომ ომი იმ მასშტაბით და იმ გაუგონარი ტანჯვით ევროპის კულტურის სრული დაღუპვით იმუქრება. ერთადერთი ხსნა შეიძლება იყოს მხოლოდ ძალაუფლების გადასვლა მუშათა ხელში რკინისებური წესრიგის ორგანი-

ზაციისათვის. ჩვენი, რუსეთის პროლეტარიატი, რუსეთის რევოლუციისა და განსაკუთრებული ისტორიული მდგომარეობის მსვლელობით, 1905 წლის შემდეგ განსაზღვრული დროით პროლეტარიატის სხვა საერთაშორისო არმიებზე ძალიან წინ აღმოჩნდა. ჩვენ ახლა განვიცდით იმ ხანას, როდესაც დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში რევოლუცია მწიფდება, როდესაც ირკვევა მდგომარეობის სრული გამოუვალობა გერმანიის მუშათა არმიებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ იქ, დასავლეთში, მშრომელთა წინააღმდეგ დგას არა რომანოვისა და ცარიელ მკვეხარათა დამპალი რეჟიმი, არამედ მთელი ორგანიზებული ბურჟუაზია, რომელიც თანამედროვე კულტურისა და ტექნიკის ყველა მონაპოვარს ეყრდნობა. აი რატომ იყო ჩვენთვის ასე ადვილი რევოლუციის დაწყება და უფრო ძნელი — მისი განგრძობა, და აი რატომაა იქ, დასავლეთში, უფრო ძნელი რევოლუციის დაწყება, მაგრამ უფრო ადვილი იქნება მისი განგრძობა. ჩვენი სიძნელე დამოკიდებულია იმაზე, რომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ რუსეთის პროლეტარიატის ძალ-ღონით და შევინარჩუნოთ მდგომარეობა, ვიდრე საკმაოდ განმტკიცდებოდეს ჩვენი მოკავშირე — ყველა ქვეყნის საერთაშორისო პროლეტარიატი. დღითი დღე იგრძნობა, რომ სხვა გამოსავალი არ არის. ჩვენი მდგომარეობა კიდევ იმით რთულდება, რომ ჩვენ მაშველი ძალები არა გვყავს და პირისპირ ვდგავართ რკინიგზის, სატრანსპორტო და სასურსათო ნგრევის წინაშე. აქ საკითხი დაყენებულ უნდა იქნას ყველასთვის ნათლად.

მე იმედი მაქვს, რომ შრომის კომისართა ყრილობა, რომელსაც სხვებზე მეტი უშუალო ურთიერთობა აქვს მუშებთან, რომ ეს ყრილობა ეტაპი იქნება არა მარტო შრომის იმ წესების უშუალო გაუმჯობესების საქმეში, რომლებიც ჩვენ საფუძვლად უნდა დავუდოთ სოციალიზმს, არამედ ეს ყრილობა გახდება ეტაპი მუშათა შეგნების გათვითცნობიერებისათვის ახლანდელი მომენტის მიმართ. მუშათა კლასის წინაშე დგას ძნელი, მაგრამ კეთილშობილური ამოცანა, რომელზედაც დამოკიდებულია სოციალიზმის ბედის გადაწყვეტა რუსეთში,

ხოლო, შესაძლოა, სხვა ქვეყნებშიც. აი რატომაა ესოდენ მნიშვნელოვანი რეზოლუცია შრომის დისციპლინის შესახებ.

ახლა, როდესაც ძალაუფლება განმტკიცებულია მუშათა ხელში, ახლა მთელი საქმე დამოკიდებულია პროლეტარულ დისციპლინასა და პროლეტარულ ორგანიზებულობაზე. საკითხი ეხება დისციპლინას და პროლეტარიატის დიქტატურას, რკინისებურ ხელისუფლებას. ხელისუფლება, რომელიც ღარიბობის ყველაზე მხურვალე თანაგრძნობას, ყველაზე მტკიცე მხარდაჭერას ხვდება, ეს ხელისუფლება რკინისებური უნდა იყოს, იმიტომ რომ გვიახლოვდება გაუგონარი უბედურებანი. მუშათა მასა ძველის შთაბეჭდილებით ცხოვრობს და იმედოვნებს, რომ ჩვენ როგორმე თავს დავაღწევთ ამ მდგომარეობას.

მაგრამ ეს ილუზიები დღითი დღე იმსხვრევა, და სულ უფრო აშკარა ხდება, რომ მსოფლიო ომი იმუქრება შიმშილითა და მთელი ქვეყნების გადაგვარებით, თუ მუშათა კლასი თავისი ორგანიზებულობით არ დაამარცხებს ამ ნგრევას. მუშათა კლასის შეგნებულ ელემენტთან ერთად, რომელმაც მთელი საქმიანობა იქითკენ წარმართა, რომ ამხანაგობის ახალი დისციპლინა საფუძველი გახდეს, ჩვენ ვხედავთ იმ წვრილმესაკუთრული და წვრილბურჟუაზიული ელემენტის მრავალმილიონიან მასას, რომელიც ყველაფერს თავისი ვიწრო ინტერესების თვალსაზრისით უყურებს. შეუძლებელია შიმშილობასა და კატასტროფას, რომლებიც გვიახლოვდება, ვებრძოლოთ სხვანაირად, თუ არა შეგნებულ მუშათა რკინისებური წესრიგის დამყარებით, — უამისოდ ჩვენ ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებთ. რუსეთის უზარმაზარი ტერიტორიული განლაგების გამო, ჩვენ ისეთ პირობებში ვცხოვრობთ, რომ ქვეყნის ერთ კუთხეში ბევრი პურია, მეორეში კი არაფერი არაა. ზედმეტია ფიქრი, რომ არ იქნება თავდაცვითი ომი, რომელიც ჩვენ შეიძლება თავს მოგვახვიონ. ზედმეტია იმაზე ფიქრი, რომ ქალაქები და უზარმაზარი სამრეწველო ცენტრები გამოვკვებოთ წესიერი მოზიდვის გარეშე. საჭიროა თვითეული ფუთი პურის აღრიცხვა, რომ არც ერთი ფუთი პური არ დაიკარგოს.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს აღრიცხვა სინამდვილეში არ ხორციელდება, არამედ მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ცხოვრებაში წვრილი სპეკულანტები მხოლოდ რყვნიან სოფლის ღარიბობას, ჩააგონებენ მას, რომ კერძო ვაჭრობით შეიძლება დანაკლისის შევსება. ასეთ პირობებში კრიზისიდან გამოსვლა შეუძლებელია. რუსეთში პური ადამიანებისათვის და პური, ე. ი. სათბობი, მრეწველობისათვის შეიძლება გვეყოს მაშინ, როდესაც ყოველივე იმას, რაც ჩვენ გვაქვს, უაღრესად მკაცრად გავანაწილებთ ყველა მოქალაქეს შორის, რათა არავის არ შეეძლოს წაიღოს არც ერთი ზედმეტი გირვანქა პური, რათა არც ერთი გირვანქა სათბობი არ დარჩეს დაუხარჯავი. მხოლოდ ამნაირად შეიძლება ვიხსნათ ქვეყანა შიმშილისაგან. კომუნისტური განაწილების ეს გაკვეთილი, რომ ყველაფერი აღრიცხული იყოს, რომ გვქონდეს პური ადამიანებისათვის და სათბობი — მრეწველობისათვის, ეს გაკვეთილი წიგნიდან როდია, — ჩვენ მასთან მივედით მწარე გამოცდილების გზით.

შესაძლოა, მუშათა ფართო მასამ ერთბაშად ვერ შეიგნოს, რომ ჩვენ კატასტროფის წინაშე ვდგავართ. საჭიროა მუშათა ჯვაროსნული ლაშქრობა დეზორგანიზაციის წინააღმდეგ და პურის გადამალვის წინააღმდეგ. საჭიროა ჯვაროსნული ლაშქრობა იმისათვის, რომ შრომის დისციპლინა, რომელზედაც თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ფაბრიკა-ქარხნების ფარგლებში, რომ იგი გავრცელდეს მთელ ჩვენს ქვეყანაში, რომ უაღრესად ფართო მასებმა შეიგნონ, რომ სხვა გამოსავალი არ არის. შეგნებულ მუშათა ძალა ჩვენი რევოლუციის ისტორიაში ყოველთვის იმაში მდგომარეობდა, რომ სრულიად პირდაპირ შეგვეხედა სახეში ყველაზე მწარე საშიში სინამდვილისთვის, ილუზიები კი არ შეგვექმნა, არამედ ზუსტად აგვერიცხა ძალები. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შეგნებული მუშების იმედი ვიქონიოთ; დანარჩენი მასა, ბურჟუაზია და წვრილი მეპატრონეები, ჩვენი წინააღმდეგია, მათ არა სწამთ ახალი წესრიგი, ისინი ხელს სჭიდებენ ხალხის გაჭირვების გამწვავების ყოველგვარ შემთხვევას. მაგალითად შეიძლება გამოდგეს ის, რასაც ჩვენ ვხედავთ

უკრაინასა და ფინეთში: გაუგონარი მხეცობანი და ზღვა სისხლი, რომლითაც ბურჟუაზია და მისი მომხრენი კადეტებიდან ვიდრე ესერებამდე რწყავენ ქალაქებს და ამარცხებენ მათ თავიანთ მოკავშირეთა დახმარებით. ყოველივე ეს ცხადყოფს, რა მოელის წინ პროლეტარიატს, თუ იგი არ შეასრულებს თავის ისტორიულ ამოცანას. ჩვენ ვიცით, რაოდენ მცირეა რუსეთში მოწინავე და შეგნებულ მუშათა ფენები. ჩვენ ვიცით აგრეთვე ხალხის გაჭირვების ფასი, ჩვენ ვიცით, მივალთ იქამდე, რომ ფართო მასები შეიგნებენ, რომ ნახევრული ზომებით მდგომარეობისაგან თავისდაღწევა არ შეიძლება და პროლეტარული გადატრიალების გარეშე გაძლება შეუძლებელია. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როდესაც ქვეყნებს აჩანაგებენ, მილიონობით ადამიანებს დასაღუპავად სწირავენ და სამხედრო მონობაში აგდებენ. აი ის გადატრიალება, რომელიც ჩვენ ისტორიამ თავს მოგვახვია არა ცალკეულ პირთა ბოროტი ნებით, არამედ იმიტომ, რომ მთელი კაპიტალისტური წყობილება საფუძველში ინგრევა და იმსხვრევა.

გამოიყენეთ, ამხანაგო შრომის კომისრებო, თვითეული თქვენი შეხვედრა ყოველ ქარხანასა და ფაბრიკაში, თქვენი შეხვედრები მუშათა ყოველ დელეგაციასთან, გამოიყენეთ შესაძლებლობა ამ მდგომარეობის ასახსნელად, რათა მათ იცოდნენ, რომ ჩვენ მოგველის ან დაღუპვა, ანდა თვითდისციპლინა, ორგანიზაცია და თავდაცვის შესაძლებლობა. რომ ჩვენ მოგველის კორნილოველთა — რუს, იაპონელ თუ გერმანელ, კორნილოველთა — დაბრუნება, რომელთაც მოაქვთ ერთი მერვედი გირვანქა პური კვირაში, თუ შეგნებული მუშები სათავეში არ ჩაუდგებიან მთელ ღარიბობას და არ მოაწყობენ ჯვაროსნულ ლაშქრობას ქაოსისა და დეზორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელსაც წვრილი ბურჟუაზია ყველგან აძლიერებს და რომელიც ჩვენ უნდა დავამარცხოთ. საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ შეგნებული მუშა თავს გრძნობდეს არა მარტო ბატონ-პატრონად თავის ქარხანაში, არამედ ქვეყნის წარმომადგენლად, რომ იგი გრძნობდეს თავისთავზე პასუხისმგებლობას. შეგნებულმა მუშამ უნდა იცოდეს, რომ იგი კლასის

წარმომადგენელია. მან უნდა გაიმარჯვოს, თუ სათავეში ჩაუდგება მოძრაობას ბურჟუაზიისა და სპეკულანტების წინააღმდეგ. შეგნებული მუშა გაიგებს, თუ რაშია სოციალისტის ძირითადი ამოცანა, და მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ. მაშინ აღმოჩნდება ძალები, და ჩვენ შევძლებთ ვიბრძოლოთ. (მ ქ უ ხ ა რ ე, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტია» № 102, 1918 წ. 23 მაისი
«პრავდა» № 101, 1918 წ. 24 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთ «იზვესტიის» ტექსტთან

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოციალისტური აკადემიის შესახებ

I

სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი [118]

სახკომსაბჭო სავსებით იწონებს და მიესალმება იდეას, რომელიც საფუძვლად დაედო სოციალისტური აკადემიის დაარსების პროექტს და ავალებს სახალხო განათლების კომისარიატს გადაამუშაოს ეს პროექტი შემდეგ საფუძვლებზე:

1) — მთავარი ყურადღება მიექცეს მარქსისტული მიმართულების საგამომცემლო საზოგადოებას;
2) — განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იქნას მოზიდული საზღვარგარეთის მარქსისტული ძალები;
3) — ერთ-ერთ პირველი რიგის ამოცანად დაისვას მთელი რიგი სოციალური გამოკვლევები;
4) — დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები რუს მასწავლებელთა ძალების გამოსავლინებლად, შესაკრებად და გამოსაყენებლად.

დაწერილია 1918 წ. 25 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წ. ლენინის კრებულში XXI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

II

დირექტივები კომისიას

დაევალოს კომისიას:

1) დეტალურად განიხილოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოციალისტური აკადემიის წესდება სახკომსაბჭოში და შემდეგ ცაკში შესატანად;
2) ახლავე დაიწყოს აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამ საკითხზე, ისე როგორც შემადგენლობის საკითხზე, არარუს და საზღვარგარეთელ მარქსისტებთან;
3) შეადგინოს და განიხილოს იმ კანდიდატთა სია, რომელნიც გამოდგებიან და თანახმა არიან იყვნენ დამფუძნებელი წევრები, აგრეთვე მასწავლებლები, ამ სიის შესატანად სახკომსაბჭოსა და ცაკში.

დაწერილია 1918 წ. 7 ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წ.
ლენინის კრებულში XXI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

თეზისები «მიმდინარე» მომენტის გამო.[119]

1) სამხედრო კომისარიატი გადაიქცეს სამხედრო-სასურსათო კომისარიატად — ე. ი. სამხედრო კომისარიატის მუშაობის 9/10 თავმოყრილ იქნას არმიის გარდასაქმნელად პურისათვის საომრად და ასეთი ომის საწარმოებლად — 3 თვით: ივნისი — აგვისტო.

2) გამოცხადდეს სამხედრო მდგომარეობა მთელ ჩვენს ქვეყანაში იმავე ვადით.

3) მობილიზებულ იქნას არმია, მისი ჯანსაღი ნაწილების გამოყოფით, და გაწვეულ იქნან 19-წლიანები, თუნდაც ზოგიერთ ოლქში, სისტემატური სამხედრო მოქმედებისათვის პურისა და სათბობის მოსაპოვებლად, ჩამოსართმევად, შესაგროვებლად და მოსაზიდად.

4) შემოღებულ იქნას დახვრეტა უდისციპლინობისათვის.

5) რაზმების წარმატება გაიზომოს პურის მოსაპოვებლად მუშაობის წარმატებით და ნაჭარბი პურის შეგროვების ჩატარების რეალური შედეგებით.

6) სამხედრო ლაშქრობის ამოცანებად უნდა დაისახოს:

ა) პურის მარაგის შეგროვება მოსახლეობის გამოსაკვებად;

ბ) იგივე — 3 თვის საომარი სასურსათო მარაგისათვის;

გ) ნახშირის მარაგის დაცვა, მისი შეგროვება, წარმოების გაძლიერება.

7) მოქმედი (კულაკებისა და სხვ. წინააღმდეგ) არმიის რაზმებში შეყვანილ იქნას დამშეული გუბერნიების მუშათა და

მათივე უღარიბესი გლეხების 1/3-დან 1/2-მდე (თვითეულ რაზმში).

8) გამოიცეს თვითეული რაზმისათვის სავალდებულო ორი ინსტრუქცია:

ა) იდეურ-პოლიტიკური, — შიმშილობაზე, კულაკებზე გამარჯვების მნიშვნელობის შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის როგორც მშრომელთა ხელისუფლების შესახებ;

ბ) სამხედრო-ორგანიზაციული, — რაზმების შინაგანაწესის, დისციპლინის შესახებ, თვითეული ოპერაციის კონტროლისა და ამ კონტროლის წერილობითი დოკუმენტების შესახებ და ა. შ.

9) შემოღებულ იქნას მთელი რაზმის ურთიერთ თავდებობა, მაგალითად, მეათე კაცის დახვრეტის მუქარა, — ძარცვის თვითეული შემთხვევისათვის.

10) მობილიზებულ იქნას მდიდართა **მთელი** გადასაზიდი საშუალებანი ქალაქებში პურის მოზიდვის სამუშაოსათვის; მობილიზებულ იქნან გადამწერთა და ნოქართა თანამდებობებზე შეძლებული კლასები.

11) იმ შემთხვევაში, თუ რაზმების გახრწნის ნიშნები საფრთხეს შეუქმნის ნაწილს, «დაავადებული» რაზმები შეიცვალონ, ე. ი. ერთი თვის შემდეგ დაბრუნებულ იქნან იმ ადგილას, საიდანაც ისინი გაგზავნილია, ანგარიშისა და «მკურნალობისათვის».

12) გატარებულ იქნას სახალხო კომისართა საბჭოშიც და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტშიც:

(ა) იმის აღიარება, რომ ჩვენი ქვეყანა **მრისხანე საფრთხის** მდგომარეობაშია სურსათის მხრივ;

(ბ) სამხედრო მდგომარეობა;

(გ) არმიის მობილიზაცია, ზემოაღნიშნული ტიპის ხელახალ ფორმირებასთან ერთად, პ უ რ ი ს ა თ ვ ი ს ლ ა შ ქ რ ო ბ ი ს მოსაწყობად;

(დ) თვითეულ მაზრასა და თემში, სადაც ნაჭარბი პურია, ახლავე შედგეს მდიდარ მიწათმფლობელთა (კულაკთა), პურით მოვაჭრეთა და სხვ. **სიები**, და ამ პირთ დაეკისროთ პირადი

პასუხისმგებლობა მთელი ნაჭარბი პურის შეგროვებისათვის;

(ე) თვითეულ სამხედრო რაზმში დაინიშნონ, — თუნდაც თითო კაცი, დაახლოებით, ათ კაცზე, — ადამიანები, რომელთაც ექნებათ პარტიული რეკომენდაცია რ. კ. პარტიის და მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერების ან პროფესიული კავშირების მხრივ.

13) პურის მონოპოლიის გატარებისას სავალდებულოდ იქნას აღიარებული უაღრესად გადამწყვეტი ზომები, რომლებიც არავითარი ფინანსური მსხვერპლის წინაშე არ ჩერდება, სოფლის ღარიბებისადმი დასახმარებლად და ზომები მათ შორის კულაკთა შეგროვილი ნაჭარბი პურის ნაწილის უსასყიდლოდ გასაყოფად, იმ კულაკების ულმობლად დათრგუნვასთან ერთად, რომლებიც ინახავენ პურის ნაჭარბს.

დაწერილია 1918 წ. 26 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის კრებულში XVIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა სახალხო მეურნეობის საბჭოების I ყრილობაზე[120] 1918 წ. 26 მაისს

ამხანაგებო, ნება მომეცით უწინარეს ყოვლისა მივესალმო სახალხო მეურნეობის საბჭოების ყრილობას სახალხო კომისართა საბჭოს სახელით. (ტ ა შ ი).

ამხანაგებო, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ამჟამად ერთ-ერთი უძნელესი და ერთ-ერთი ყველაზე მადლიერი ამოცანა დაეკისრა. არავითარი ეჭვი არაა, რომ, რაც უფრო წინ წავა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარნი, რაც უფრო გაღრმავდება ეს მისგან დაწყებული გადატრიალება, რაც უფრო მტკიცე საფუძველი ჩაეყრება სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართ და სოციალისტური წყობილების განმტკიცებას, მით უფრო დიდი, მით უფრო მაღალი გახდება სახალხო მეურნეობის საბჭოების როლი. ყველა სახელმწიფო დაწესებულებისაგან მხოლოდ მათ უწერიათ შეინარჩუნონ მტკიცე ადგილი, რომელიც მით უფრო მტკიცე იქნება, რაც უფრო ახლოს ვიქნებით სოციალისტური წესრიგის დამყარებასთან, რაც უფრო ნაკლებად საჭირო იქნება წმინდა ადმინისტრაციული აპარატი, აპარატი, რომელიც საკუთრივ მხოლოდ მმართველობას უძღვება. ამ აპარატს უწერია, მას შემდეგ რაც ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხილ იქნება, მას შემდეგ რაც მშრომელნი ისწავლიან სოციალისტური წარმოების მოწყობას, — მმართველობის ამ აპარატს ამ სიტყვის საკუთარი, ვიწრო მნიშვნელობით, ძველი სახელმწიფოს აპარატს სიკვდილი უწერია. ხოლო სახალხო - მეურნეობის

უმაღლესი საბჭოს ტიპის აპარატს უწერია ზრდა, განვითარება და განმტკიცება, ორგანიზებული საზოგადოების მთელი უმთავრესი მუშაობის შევსება თავისთავით.

ამიტომ, ამხანაგებო, როდესაც ვუკვირდები ჩვენი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და იმ ადგილობრივი საბჭოების გამოცდილებას, რომელთა საქმიანობასთანაც იგი მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული, მიუხედავად ბევრი რამ დაუმთავრებელისა, მოუთავებელისა, მოუწყობელისა, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არავითარი საფუძველი არ მოგვეპოვება რაიმე პესიმისტური დასკვნებისათვის. ვინაიდან ის ამოცანა, რომელსაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ისახავს, და ის ამოცანა, რომელსაც ისახავს ყველა საოლქო და ყველა ადგილობრივი საბჭო, — ისეთი გიგანტური, ისეთი ყოვლისმომცველი ამოცანაა, რომ იმაში, რასაც ჩვენ ყველანი ვხედავთ, სრულიად არა არის რა ისეთი, შიშს რომ იწვევდეს. ძალიან ხშირად, — რა თქმა უნდა, ჩვენი თვალსაზრისით, შეიძლება, მეტისმეტად ხშირადაც, — ჩვენ არ მივდევდით ანდაზას: «შვიდჯერ გაზომე და ერთხელ მოსჭერიო». სამწუხაროდ, სოციალისტური საწყისების მიხედვით მეურნეობის მოწყობის საქმე ისე მარტივი როდია, როგორც ამ ანდაზის მიხედვით წარმოიდგინება.

მას შემდეგ, რაც მთელი ძალაუფლება, — ამ შემთხვევაში არა მარტო პოლიტიკური და, უმთავრესად, არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიური, ე. ი. ისეთი, რომელიც ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე ღრმა საფუძვლებს ეხება, — გადავიდა ახალი კლასის ხელში და თანაც ისეთი კლასისა, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში პირველად მიუძღვება მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელ მასას, — ჩვენი ამოცანები რთულდება. — თავისთავად გასაგებია, რომ აქ ორგანიზაციული ამოცანების უდიდესი მნიშვნელობისა და უდიდესი სიძნელის დროს, როდესაც ჩვენ სრულიად ახლებურად უნდა მოვაწყოთ ასეულ მილიონობით ადამიანთა ადამიანური

ცხოვრების ყველაზე ღრმა საფუძვლები, სრულიად გასაგებია, რომ აქ შეუძლებელია საქმე ისე მარტივად მოაწყო, როგორც ეს შეიძლებოდა ანდაზის მიხედვით: «შვიდჯერ გაზომე და ერთხელ მოსჭერიო». ჩვენ, მართლაც, არ შეგვიძლია წინასწარ მრავალჯერ გავზომოთ და მერე მოვჭრათ და განვამტკიცოთ ის, რაც საბოლოოდ გაზომილია და მორგებულია. ჩვენ თვით მუშაობის მსვლელობაში, როდესაც ვცდით ამა თუ იმ დაწესებულებას, ვაკვირდებით მათ გამოცდილების საფუძველზე, ვამოწმებთ მათ მშრომელთა კოლექტიური საერთო გამოცდილებით და უმთავრესად კი მუშაობის შედეგების გამოცდილებით, ჩვენ აქვე, თვით ამ მუშაობის მსვლელობაში და ამასთანავე ექსპლოატატორთა გააფთრებული ბრძოლისა და გაშმაგებული წინააღმდეგობის დროს, — იმ ექსპლოატატორებისა, რომელნიც მით უფრო გაშმაგებულნი ხდებიან, რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით ჩვენ იმას, რომ საბოლოოდ ამოვგლიჯოთ კაპიტალისტური ექსპლოატაციის უკანასკნელი დამპალი კბილები, — უნდა ვაშენოთ ჩვენი ეკონომიური შენობა. გასაგებია, რომ ამნაირ პირობებში ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს პესიმიზმისათვის, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს დიდი საფუძველია ბურჟუაზიისა და თავის საუკეთესო გრძნობებში შეურაცხყოფილ ბატონ ექსპლოატატორთა ბოროტი გამოხდომებისათვის, როდესაც ჩვენ, მოკლე დროის განმავლობაშიც კი, ზოგჯერ გვიხდება რამდენიმეჯერ გადავაკეთოთ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მმართველობის ტიპები, წესდებანი, ორგანოები. რა თქმა უნდა, ის, ვინც ძალიან ახლო და ფრიად უშუალო მონაწილეობას იღებს ამ მუშაობაში, მმართველობის წესდებათა, ნორმათა, კანონთა ხანდახან სამჯერ გადაკეთებაში, ვთქვათ, თუნდაც «გლავოდისათვის», რა თქმა უნდა, ზოგჯერ ძალიან არამხიარულად გრძნობს თავს, და ამგვარი მუშაობით მიღებული სიამოვნება არ შეიძლება დიდი იყოს. მაგრამ თუ ოდნავ მაინც განვაყენებთ თავს დეკრეტების მეტისმეტად ხშირი გადაკეთების უშუალო უსიამოვნებისაგან და თუ ცოტა უფრო

ღრმად და შორს გავხედავთ იმ გიგანტურ, მსოფლიო-ისტორიულ საქმეს, რომლის შესრულებაც რუსეთის პროლეტარიატს ჯერჯერობით უხდება საკუთარი არასაკმაო ძალებით, მაშინ ერთბაშად გასაგები გახდება, რომ აუცილებელია ბევრად უფრო ხშირი გადაკეთებანი, გამოცდილების მიხედვით მმართველობის სხვადასხვა სისტემის, დისციპლინის მოგვარების სხვადასხვა ნორმის გამოცდა, რომ ასეთ გიგანტურ საქმეში ჩვენ ვერასოდეს ვერ განვაცხადებდით პრეტენზიას, და არც ერთ გონიერ სოციალისტს, რომელსაც კი მომავლის პერსპექტივებზე რაიმე დაუწერია, არასდროს აზრადაც არ მოსვლია, რომ ჩვენ რაიმე წინასწარ მოცემული მითითებით შეგვეძლო ერთბაშად ჩამოგვეყალიბებინა და ერთი დაკვრით შეგვედგინა ახალი საზოგადოების ორგანიზაციის ფორმები.

ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცოდით, რასაც ზუსტად მიგვითითებდნენ კაპიტალისტური საზოგადოების საუკეთესო მცოდნენი, ყველაზე დიდი ჭკუის ადამიანები, რომელთაც გათვალისწინებული ჰქონდათ მისი განვითარება, ეს იყო ის, რომ გარდაქმნა ისტორიულად აუცილებლად უნდა მოხდეს ამა და ამ დიდი ხაზით, რომ საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება განწირულია ისტორიისაგან, რომ იგი გასკდება, რომ ექსპლოატატორები აუცილებლად ექსპროპრიაციაქმნილი იქნებიან. ეს დადგენილ იქნა მეცნიერული სიზუსტით. და ჩვენ ეს ვიცოდით, როდესაც ხელში ვიღებდით სოციალიზმის დროშას, როდესაც სოციალისტებად ვაცხადებდით თავს, როდესაც სოციალისტურ პარტიებს ვაარსებდით, როდესაც საზოგადოების გარდაქმნას ვახდენდით. ეს ჩვენ ვიცოდით, როდესაც ხელთ ვიღებდით ძალაუფლებას იმისათვის, რომ სოციალისტური რეორგანიზაცია დაგვეწყო; მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო გვცოდნოდა არც გარდაქმნის ფორმები, არც კონკრეტული რეორგანიზაციის განვითარების სისწრაფის ტემპი. ამ მხრივ გადამწყვეტი მითითებების მოცემა შეუძლია მხოლოდ კოლექტიურ გამოცდილებას, მხო-

ლოდ მილიონთა გამოცდილებას სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი საქმისათვის, სოციალიზმის მშენებლობის საქმისათვის არ კმარა გამოცდილება იმ ასი ათასობით ზედაფენებისა, რომელნიც აქამდე ისტორიას ქმნიდნენ როგორც მემამულურ, ისე კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ჩვენ არ შეგვიძლია ასე მოვიქცეთ სწორედ იმიტომ, რომ იმედი გვაქვს საერთო გამოცდილებისა, მშრომელთა მილიონების გამოცდილებისა.

ამიტომ ჩვენ ვიცით, რომ ორგანიზაციულ საქმეს, რომელიც საბჭოების მთავარ და ძირითად ამოცანას შეადგენს, რომ მას გარდუვალად თან მოაქვს ჩვენთვის დიდძალი გამოცდილება, მრავალი ნაბიჯი, მრავალი გადაკეთება, მრავალი სიძნელე, განსაკუთრებით იმ მხრივ, თუ როგორ მივუჩინოთ ყოველ ადამიანს თავისი ადგილი, ვინაიდან აქ არა გვაქვს გამოცდილება, აქ ყოველი ასეთი ნაბიჯის გამომუშავება თვით ჩვენვე გვიხდება, და, რაც უფრო მძიმეა შეცდომები ამნაირ გზაზე, მით უფრო მტკიცედ იზრდება იმის რწმენა, რომ პროფესიულ კავშირთა წევრების რიცხვის ყოველ ახალ გადიდებასთან ერთად, საბჭოთა ორგანიზაციების მშენებელთა ბანაკში ყოველი ახალი ათასი, ყოველი ახალი ასი ათასი ადამიანის გადმოსვლით დღემდე ტრადიციებისა და ჩვეულების მიხედვით მცხოვრებ მშრომელთა, ექსპლოატირებულთა ბანაკიდან, იზრდება რიცხვი ისეთი ადამიანებისა, რომელნიც უნდა აკმაყოფილებდნენ და სწორ ლიანდაგზე აყენებდნენ საქმეს.

აიღეთ ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი ამოცანა, რომელსაც სახალხო მეურნეობის საბჭო, — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, განსაკუთრებით ხშირად აწყდება, — ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოყენების ამოცანა. ჩვენ ყველამ ვიცით, ყოველ შემთხვევაში მათ, ვინც მეცნიერებისა და სოციალიზმის ნიადაგზე დგას, რომ ეს ამოცანა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, რომ იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც საერთაშორისო კაპიტალიზმმა განავითარა გიგანტური ზომით განხორციელებული, მეცნიერების მონაცემებზე, ხოლო

ამიტომ მეცნიერულად-განათლებულ სპეციალისტთა უზარმაზარი კადრის გამომუშავებაზე დაყრდნობილი შრომის მატერიალური, ტექნიკური წანამძღვრები. ჩვენ ვიცით, რომ უამისოდ სოციალიზმი შეუძლებელია. ჩვენ რომ გადავიკითხოთ იმ სოციალისტების ნაწერები, რომელნიც ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში აკვირდებოდნენ კაპიტალიზმის განვითარებას და კიდევ და კიდევ მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ სოციალიზმი გარდუვალია, დავინახავთ, რომ ყველა ისინი გამოუკლებლივ იმაზე მიუთითებდნენ, რომ მხოლოდ სოციალიზმი გაათავისუფლებს მეცნიერებას მისი ბურჟუაზიული ხუნდებისაგან, კაპიტალისადმი დამონებისაგან, ბინძური კაპიტალისტური ანგარების ინტერესებისადმი მონობისაგან. მხოლოდ სოციალიზმი მოგვცემს შესაძლებლობას ფართოდ გავავრცელოთ და ნამდვილად დავიმორჩილოთ პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოება და განაწილება მეცნიერულ მოსაზრებათა შესაბამისად იმის შესახებ, თუ როგორ გავხადოთ ყველა მშრომელის ცხოვრება ყველაზე უფრო ადვილი, ისეთი, რომელიც მათ მისცემს კეთილდღეობის შესაძლებლობას. მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია ამის განხორციელება. და ჩვენ ვიცით, რომ მან უნდა განახორციელოს ეს, და ასეთი ჭეშმარიტების გაგებაშია მარქსიზმის მთელი სიძნელე და მთელი მისი ძალა.

ჩვენ უნდა განვახორციელოთ ეს, იმ ელემენტებზე დაყრდნობით, რომლებიც მისდამი მტრულად განწყობილი არიან, ვინაიდან კაპიტალი, რაც უფრო მსხვილი ხდება იგი, მით უფრო ავითარებს ჩაგვრას ბურჟუაზიის მხრით და მუშების დათრგუნვას. როდესაც ძალაუფლება პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ხელთ აღმოჩნდა, როდესაც ხელისუფლება ამოცანებს ისახავს ამ მასების მხარდაჭერით, ჩვენ გვიხდება ამ სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელება ბურჟუაზიული სპეციალისტების დახმარებით, იმ სპეციალისტებისა, რომელნიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იზრდებოდნენ, რომელთაც სხვა ვითარება არ უნახავთ, რომელთაც სხვა საზოგადოებრივი ვითარების წარ-

მოდგენა არ შეუძლიათ, და ამიტომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ეს ადამიანები სავსებით გულწრფელნი და თავისი საქმის ერთგულნი არიან, ამნაირ შემთხვევებშიც კი ისინი ალსავსენი არიან ათასგვარი ბურჟუაზიული ცრურწმენით, მათთვის უხილავი ათასგვარი ძაფით არიან დაკავშირებული მომაკვდავ, გახრწნის გზაზე დამდგარ და ამიტომ გააფთრებული წინააღმდეგობის გამწევ ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან.

ამოცანის და მიღწევის ეს სიძნელეები ჩვენთვის არ შეიძლება დაფარული იყოს. ყველა იმ სოციალისტთაგან, რომელთაც ამაზე უწერიათ, არ შემიძლია მოვიგონო არც ერთი ჩემთვის ცნობილი სოციალისტური თხზულება ან გამოჩენილი სოციალისტების აზრი მომავალი სოციალისტური საზოგადოების შესახებ, სადაც აღნიშნული იყოს ის კონკრეტული პრაქტიკული სიძნელე, რომელიც წამოიჭრება ძალაუფლების ამღებ მუშათა კლასის წინაშე, როდესაც იგი ამოცანად დაისახავს გადააქციოს კაპიტალიზმის მიერ დაგროვილი უმდიდრესი, ჩვენთვის ისტორიულად გარდუვალაუცილებელი მთელი მარაგი კულტურისა, ცოდნისა და ტექნიკისა, — გადააქციოს ყველაფერი ეს კაპიტალიზმის იარაღიდან სოციალიზმის იარაღად. ეს ადვილია ზოგად ფორმულაში, აბსტრაქტულ დაპირისპირებაში, მაგრამ იმ კაპიტალიზმთან ბრძოლაში, რომელიც ერთბაშად არ კვდება და მით უფრო გაშმაგებით ეწევა წინააღმდეგობას, რაც უფრო მეტად უახლოვდება სიკვდილს, ეს — უდიდესი შრომის ამოცანაა. თუ ამ დარგში ექსპერიმენტები ხდება, თუ ჩვენ ნაწილობრივი შეცდომების მრავალჯერ გამოსწორებას ვაწარმოებთ, ეს აუცილებელია, როდესაც ვერ ხერხდება სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში სპეციალისტების ერთბაშად გადაქცევა კაპიტალიზმის მსახურებიდან მშრომელთა მასების მსახურებად, მათ მრჩევლებად. თუ ამას ჩვენ ერთბაშად ვერ ვახერხებთ, ამას პესიმიზმის ნატამალის გამოწვევაც კი არ შეუძლია, იმიტომ რომ ამოცანა, რომელსაც ჩვენ ვისახავთ, ეს — მსოფლიო-ისტორიული სიძნელისა და

მნიშვნელობის ამოცანაა. ჩვენ თვალს როდი ვხუჭავთ იმაზე, რომ მხოლოდ ჩვენ მარტონი — სოციალისტურ რევოლუციას ერთ ქვეყანაში, თუნდაც იგი გაცილებით უფრო ნაკლებად ჩამორჩენილი იყოს, ვიდრე რუსეთი, თუნდაც იმაზე იოლ პირობებში ვცხოვრობდეთ, ვიდრე ვცხოვრობთ ოთხი წლის გაუგონარი, მტანჯველი, მძიმე და გამანადგურებელი ომის შემდეგ, — ერთ ქვეყანაში სოციალისტურ რევოლუციას ჩვენი ძალებით მთლად ვერ შევასრულებთ. ის, ვინც ზურგს აქცევს რუსეთში მიმდინარე სოციალისტურ რევოლუციას, ვინც მიუთითებს ძალთა აშკარა შეუფარდებლობაზე, იგი ფუტლარში გაყინულ კაცსა გავს, რომელიც თავის ცხვირს იქით ვერ ხედავს, რომელსაც ავიწყდება, რომ არ არის არც ერთი რამდენადმე დიდი ისტორიული გადატრიალება, რომლის დროსაც ადგილი არ ქონოდეს ძალთა შეუფარდებლობის მთელ რიგ შემთხვევებს. ძალები იზრდება ბრძოლის პროცესში, რევოლუციის ზრდასთან ერთად. როდესაც ჩვენი ქვეყანა უდიდეს გარდაქმნათა გზას დაადგა, მაშინ დამსახურება ამ ქვეყნისა და ამ ქვეყანაში გამარჯვებული მუშათა კლასის პარტიისა ის არის, რომ იმ ამოცანებს, რომლებსაც წინათ აბსტრაქტულად, თეორიულად აყენებდნენ, ჩვენ უშუალოდ მივადექით პრაქტიკულად. ეს გამოცდილება დაუვიწყარი იქნება. ამ გამოცდილების წართმევა მუშებისათვის, რომელნიც ახლა გაერთიანებული არიან პროფესიულ კავშირებში და ადგილობრივ ორგანიზაციებში და პრაქტიკულად კიდებენ ხელს მთელი წარმოების საერთონაციონალური მოგვარების საქმეს, ამ გამოცდილების წართმევა, რაც უნდა მოხდეს, რაგინდ მძიმეც უნდა იყოს რუსეთის რევოლუციისა და საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის პერიპეტიები, ამ გამოცდილების წართმევა არ შეიძლება. იგი შესულია ისტორიაში, როგორც სოციალიზმის მონაპოვარი, და მომავალი საერთაშორისო რევოლუცია თავის სოციალისტურ შენობას ამ გამოცდილების საფუძველზე ააგებს.

მე ნებას მივცემ თავს აღვნიშნო კიდევ ერთი და, შეიძლება, ყველაზე ძნელი ამოცანა, რომლის პრაქტიკულად გადაწყვეტაც სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უხდება. ეს არის შრომის დისციპლინის ამოცანა. ნამდვილად რომ ითქვას, როდესაც ამ ამოცანას აღვნიშნავთ, ჩვენ უნდა ვაღიაროთ და კმაყოფილებით ხაზი გავუსვათ იმას, რომ სწორედ პროფესიულმა კავშირებმა, მათმა ყველაზე დიდმა ორგანიზაციებმა — მელითონეთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის საბჭომ — უმაღლესმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა, რომელნიც მილიონობით მშრომელებს აერთიანებენ, რომ მათ პირველად მოკიდეს ხელი დამოუკიდებლად ამ ამოცანის გადაწყვეტას, ამ ამოცანას კი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი რომ გავიგოთ, საჭიროა მოვახდინოთ განყენება იმ ნაწილობრივ, მცირე მარცხთაგან, უზომო სიძნელეთაგან, რომელნიც, თუ მათ ცალკეულად ავიღებთ, დაუძლეველად გვეჩვენებიან. საჭიროა უფრო ავმაღლდეთ და გადავხედოთ საზოგადოებრივი მეურნეობის წყობათა ისტორიულ ცვლას. მხოლოდ ამ თვალსაზრისით გახდება ნათელი, თუ რა უზარმაზარი ამოცანა ვიკისრეთ ჩვენ და რა უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამჯერად საზოგადოების ყველაზე მოწინავე წარმომადგენელი, მშრომელი და ექსპლოატირებული მასები, თავისთავზე იღებენ, თავისი თაოსნობის საგნად ხდიან იმ ამოცანას, რომელსაც აქამდე ბატონყმურ რუსეთში 61 წლამდე მთლიანად წყვეტდნენ ერთი მუჭა მემამულეები და რომელსაც ისინი თავიანთ საქმედ თვლიდნენ. მაშინ საერთო-სახელმწიფოებრივი კავშირისა და დისციპლინის შექმნა მათი საქმე იყო.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ ქმნიდნენ ამ დისციპლინას მებატონე-მემამულეები. ეს იყო ჩაგვრა, აბუჩად აგდება და გაუგონარი კატორღული წამება ხალხის უმრავლესობისათვის. გაიხსენეთ მთელი ეს გადასვლა ბატონყმობიდან ბურჟუაზიულ მეურნეობაზე. ის, რასაც თქვენ ხედავდით, თუმცა თქვენს უმრავლესობას ამის დანახვა არ შეეძლო, და ის, რაც თქვენ

იცით უფროს თაობათაგან, — ეს გადასვლა 61 წლის შემდეგ ახალ ბურჟუაზიულ მეურნეობაზე, გადასვლა ძველი ბატონყმური ჯოხის დისციპლინიდან, ადამიანის მიმართ უაღრესად უაზრო, უაღრესად თავხედური და უხეში აბუჩად აგდებისა და ძალმომრეობის დისციპლინიდან, — ბურჟუაზიულ დისციპლინაზე, შიმშილობის, ეგრეთწოდებული თავისუფალი დაქირავების დისციპლინაზე, რომელიც სინამდვილეში კაპიტალისტური მონობის დისციპლინა იყო, — ეს გადასვლა ისტორიულად ადვილი ჩანდა, იმიტომ რომ კაცობრიობა ერთი ექსპლოატატორიდან მეორე ექსპლოატატორის ხელში გადადიოდა, იმიტომ რომ ხალხის შრომის მძარცველთა და ექსპლოატატორთა ერთი უმცირესობა ადგილს უთმობდა ხალხის შრომის ასეთივე მძარცველებისა და ასეთივე ექსპლოატატორების მეორე უმცირესობას, იმიტომ რომ მემამულეებმა ეს ადგილი დაუთმეს კაპიტალისტებს, — ერთმა უმცირესობამ მეორე უმცირესობას, მშრომელი და ექსპლოატირებული კლასების ფართო მასების დათრგუნვის პირობებში. და აი ერთი ექსპლოატატორული დისციპლინის მეორე დისციპლინით ამ შეცვლასაც კი დაჭირდა ძალ-ღონის ხარჯვა წლების, თუ ათეული წლების განმავლობაში არა, დაჭირდა გარდამავალი დროის წლები, თუ ათეული წლები არა, როდესაც ძველ მემამულე-მებატონეებს სავსებით გულწრფელად ეგონათ, რომ ყველაფერი იღუპებოდა, რომ ბატონყმობის გარეშე მეურნეობის გაძღოლა შეუძლებელი იყო, როდესაც ახალ მეპატრონე-კაპიტალისტს ყოველ ნაბიჯზე პრაქტიკული სიძნელეები ეღობებოდა და თავის მეურნეობაზე ხელს იქნევდა, როდესაც ამ გადასვლის მატერიალური ნიშანი, მისი სიძნელის ერთ-ერთი ნივთიერი საბუთი ის იყო, რომ რუსეთი მაშინ იწერდა საზღვარგარეთულ მანქანებს, რათა ემუშავნა მით, ამ საუკეთესო მანქანებით, და აშკარავდებოდა, რომ არ მოიპოვებოდნენ არც მათი გამოყენების მცოდნე ადამიანები, არც ხელმძღვანელები. და რუსეთის ყოველ კუთხეში ვხედავდით, რომ საუკეთესო მანქანები გამოუყენებლად ეყარა, იმდენად ძნელი იყო ძველი

ბატონყმური დისციპლინიდან ახალ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ დისციპლინაზე გადასვლა.

და აი, თქვენ ასე შეხედეთ საქმეს, ამხანაგებო, თუ თქვენ თავს არ გააბრიყვებინებთ იმ ადამიანებს, იმ კლასებს, იმ ბურჟუაზიას, ბურჟუაზიის იმ დამქაშებს, რომელთა მთელი ამოცანა ისაა, რომ პანიკა თესონ, სასოწარკვეთილება თესონ, სრულ სასოწარკვეთილებაში გახვიონ მთელი მუშაობა, დაგვიხატონ იგი როგორც უიმედო, რომლებიც მიუთითებენ უდისციპლინობისა და გახრწნის ყოველ ცალკე შემთხვევაზე და ამ შემთხვევის გამო რევოლუციაზე ხელს ჩაიქნევენ, თითქოს ყოფილიყოს ქვეყნად, თითქოს ყოფილიყოს ისტორიაში თუნდაც ერთი ნამდვილად დიდი რევოლუცია ისე, რომ ადგილი არ ქონოდეს გახრწნას, დისციპლინის დაკარგვას, ცდის მტანჯველ ნაბიჯებს, როდესაც მასა ახალ დისციპლინას იმუშავებს. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პირველად მივადექით ისტორიის ისეთ წინასწარ პუნქტს, როდესაც ახალ დისციპლინას, შრომითი დისციპლინას, ამხანაგური კავშირის დისციპლინას, საბჭოთა დისციპლინას ნამდვილად იმუშავებენ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მილიონები. ამაში ჩვენ არა გვაქვს სწრაფ წარმატებათა პრეტენზიები, არა გვაქვს ამის ვარაუდი. ჩვენ ვიცით, რომ ამ საქმეს მთელი ისტორიული ეპოქა მოუნდება. ჩვენ დავიწყეთ ის ისტორიული ეპოქა, როდესაც ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ ქვეყანაში ჩვენ ვამსხვრევთ კაპიტალისტური საზოგადოების დისციპლინას, ვამსხვრევთ და ვამაყობთ იმით, რომ ყველა შეგნებული მუშა, გამოუკლებლივ მთელი მშრომელი გლეხობა მთელი ძალ-ღონით უწევს დახმარებას ამ მსხვრევას, და როდესაც მასებში ნებაყოფლობით, მათივე საკუთარი თაოსნობით იზრდება იმის შეგნება, რომ მშრომელთა ექსპლოატაციასა და მონობაზე დამყარებული ეს დისციპლინა მათ უნდა შეცვალონ არა ზევიდან მითითებით, არამედ თავიანთი ცხოვრების გამოცდილების მითითებით, შეცვალონ გაერთიანებული შრომის ახალი დისციპლინით, მთელი რუსეთის — ათეული და ასეული მილიონი მოსახლეობის მყოლი ქვეყნის —

გაერთიანებული ორგანიზებული მუშებისა და მშრომელი გლეხების დისციპლინით. ეს არის გიგანტური სიძნელის ამოცანა, მაგრამ სამაგიეროდ მადლიანი ამოცანა, იმიტომ რომ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ მას პრაქტიკულად გადავწყვეტთ, მხოლოდ მაშინ ჩავჭედთ უკანასკნელ ლურსმანს იმ კაპიტალისტური საზოგადოების კუბოში, რომელსაც ჩვენ ვმარხავთ. (ტ ა შ ი).

საგაზეთო ანგარიში გამოქვეყნდა 1918 წ. 28 მაისს სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» № 106

იბეჭდება წიგნის: «სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის შრომები. სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი, 1918, — ტექსტის მიხედვით

მიმართვა რკინიგზელებისა, წყლის ტრანსპორტის მუშაკებისა და მელითონეებისადმი [121]

მოუსმინა რა რკინიგზის ორგანიზაციების, წყლის ტრანსპორტის ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მეტალურგიული ქარხნების მუშათა და რკინიგზის მუშათა პროფესიული კავშირის წარმომადგენლებს,

— მოისმინა რა ამ ამხანაგების წინადადება მათი ორგანიზაციების — «პროდპუტისა», «პროდვოდისა» და სხვებისთვის დამოუკიდებელ დამზადებათა ნებართვის მიცემის შესახებ,

სახალხო კომისართა საბჭო დაბეჯითებით მიაქცევს ყველა ორგანიზებული, შეგნებული და მოაზროვნე მუშისა და მშრომელ გლეხთა ყურადღებას ამგვარ წინადადებათა თვალში საცემ უგუნურებაზე. ყველასათვის ნათელია, რომ «პროდპუტის», «პროდვოდის», «პროდმეტალის», «პროდრეზინის» და მათ მსგავსთა ცალკე დამოუკიდებელი დამზადების ნებადართვით ჩვენ სავსებით დავანგრევდით მთელ სასურსათო საქმეს, დავანგრევდით მუშათა და უღარიბეს გლეხთა ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, სავსებით გავუკაფავდით გზას კულაკებისა და სკოროპადსკების გამარჯვებას.

ყველა მუშამ და დამშეულმა გლეხმა უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ საერთო ღონისძიებებით, საერთო სასურსათო რაზმებში ასობით და ათასობით საუკეთესო მუშის გაგზავნით, მხოლოდ მუშათა გაერთიანებული, შედუღებული, საერთო,

მასობრივი ძალების დაძვრით წესრიგისათვის საბრძოლველად, პურისათვის საბრძოლველად, შეიძლება დავამარცხოთ შიმშილი, დავამარცხოთ უწესრიგობა, დავამარცხოთ სპეკულანტები და კულაკები.

უგუნურებაა გჯეროდეთ იმათი, ვინც თხოულობს დამოუკიდებელ დამზადებას «პროდპუტისათვის», «პროდვოდისათვის» და არ ფიქრობს, რომ არამიწათმოქმედი გუბერნიების **თვითეულ მაზრაში** არიან **ათეული** და ასეული **ათასი** დამშეული გლეხები, რომლებიც თვეობით სრულიად არ იღებენ პურს.

ნუთუ ეს რღვევა არაა, რომ გლეხთა ყოველ მაზრას ცალკე დამზადება მიეცეს? ნუთუ სამართლიანია მიეცეს «პროდპუტს», როგორც ეს მას უნდა, 60 მილიონი დამოუკიდებელი დამზადებისათვის და ათი მილიონი არ მიეცეს თვითეულ დამშეულ მაზრას, არ მიეცეს მას დამოუკიდებელი დამზადება?

რკინიგზების თვითეულმა სახელოსნომ, მოსამსახურეთა ან წყლის მუშათა ან ქარხნის მუშათა ყოველმა ათასმა უნდა წამოაყენოს საუკეთესო და უაღრესად საიმედო ადამიანთა თითო რაზმი, რათა ერთობლივი, საერთო ღონისძიებებით დავეხმაროთ შიმშილისგან ხსნის, შიმშილზე გამარჯვების მუშათა საერთო და გლეხთა საერთო საქმეს.

ცალკეული, დამოუკიდებელი დამზადებები — მთელი სასურსათო საქმის დაღუპვა, რევოლუციის დაღუპვაა, რღვევა და დაშლაა.

მოსამსახურეთა და მუშათა ყოველი ათასის მიერ რაზმებში საუკეთესო და ერთგული ადამიანების გამოყოფა **მუშათა საერთო** საბრძოლო ძალის შესადგენად წესრიგის დამყარებისათვის, ზედამხედველობაში დახმარებისათვის, პურის მთელი ნაჭარბის შეგროვებისათვის, სპეკულანტებზე სრული გამარჯვებისათვის — მხოლოდ ამაშია ხსნა.

დაწერილია 1918 წ. 29 მაისს

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის კრებულში XVIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს და პროფესიული კავშირების გაერთიანებული სხდომა[122]

1918 წ. 4 ივნისი

საგაზეთო
ანგარიშები გამოქვეყნდა
1918 წ. 5 ივნისს «პრავდაში»
№ 111 და სრულიად რუსეთის
ცაკის «იზვესტიაში» № 113

იბეჭდება წიგნის: «სრულიად რუსეთის მე-4 მოწვევის ცაკის სხდომების ოქმები. სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი, 1920, — ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან და ბროშურის: ნ. ლენინი. «ბრძოლა პურისათვის», მოსკოვი, 1918, — ტექსტთან

1

მოხსენება შიმშილობასთან ბრძოლის შესახებ
1918 წ. 4 ივნისს

ამხანაგებო! თემა, რომელზედაც დღეს მიხდება ლაპარაკი, ეს არის ის უდიდესი კრიზისი, რომელიც თავს დაატყდა ყველა თანამედროვე ქვეყანას და რომელიც ამჟამად, შეიძლება ითქვას, ყველაზე მძიმედ აწევს რუსეთს და, ყოველ შემთხვევაში, განუზომლად უფრო მძიმედ საგრძნობია მასში, ვიდრე სხვა ქვეყნებში. და ამ კრიზისზე, შიმშილობაზე, რომელიც ჩვენ თავს დაგვატყდა, მე უნდა ვილაპარაკო საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე წამოჭრილ ამოცანასთან შეფარდებით. ხოლო სადაც ლაპარაკია საერთო მდგომარეობაზე, რასაკვირველია, შეუძლებელია დავჯერდეთ მხოლოდ რუსეთს, მით უმეტეს, რომ ამჟამად უფრო მძიმედ, ვიდრე წინათ, უფრო მტანჯველად, ვიდრე წინათ, ერთმანეთთან არის დაკავშირებული თანამედროვე კაპიტალისტური ცივილიზაციის ყველა ქვეყანა.

ყველგან, როგორც მეომარ, ისე ნეიტრალურ ქვეყნებში, ომს, ბუმბერაზი მტაცებლების ორი ჯგუფის იმპერიალისტურ ომს, თან მოჰქონდა საწარმოო ძალების სრული გამოფიტვა. გაპარტახება და გაღატაკება იქამდე მივიდა, რომ ყველაზე მოწინავე, ცივილიზებული და კულტურული ქვეყნებიც კი, რომელთაც არათუ ათეული წლების, არამედ საუკუნეების განმავლობაშიც არ იცოდნენ, რა არის შიმშილობა, ომმა შიმშილობამდე მიიყვანა ამ სიტყვის ნამდვილი, პირდაპირი მნიშვნელობით. მართალია, მოწინავე ქვეყნებში, განსაკუთრებით

ისეთებში, სადაც ყველაზე მსხვილმა კაპიტალიზმმა მოსახლეობა დიდი ხანია მიაჩვია ასეთ პირობებში მაქსიმალურად შესაძლებელ სამეურნეო ორგანიზაციის წესს, ამნაირ მოწინავე ქვეყნებში მოახერხეს შიმშილობა თანაბრად გაენაწილებინათ, უფრო მეტხანს შეეყოვნებინათ, უფრო ნაკლებ მწკავე გაეხადათ იგი, მაგრამ შიმშილობით, ნამდვილი შიმშილობით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იტანჯებიან, მაგალითად, გერმანია და ავსტრია, რომ აღარაფერი ვთქვათ განადგურებულ და დამონებულ ქვეყნებზე. ახლა საეჭვოა რომ შეიძლებოდეს გადავშალოთ გაზეთის თუნდაც ერთი ისეთი ნომერი, რომელშიაც მოთავსებული არ იყოს მთელი რიგი ცნობები მთელი რიგი მოწინავე, კულტურული, არა მარტო მეომარი, არამედ ნეიტრალური ქვეყნებიდანაც, როგორიცაა, მაგალითად, შვეიცარია ან სკანდინავიის ზოგიერთი ქვეყანა, უიმისოდ, რომ არ შევხვდეთ ცნობებს იმ შიმშილობისა და საშინელ უბედურებათა შესახებ, რომლებიც კაცობრიობას თავს დაატყდა ომთან დაკავშირებით.

ამხანაგებო, იმათთვის, ვინც თვალყურს ადევნებდა ევროპის საზოგადოების განვითარებას, უკვე დიდი ხანია უეჭველი იყო, რომ კაპიტალიზმი ვერ შეძლებს მშვიდობიანად მოჭამოს თავისი დრო, რომ იგი იწვევს ფართო მასებში ან უშუალო აჯანყებას კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, ანდა იგი იწვევს იმავე შედეგს ომის ბევრად უფრო მძიმე, მტანჯველი და სისხლიანი გზით.

უკვე მრავალი წლის წინათ ომამდე, ყველა ქვეყნის სოციალისტები აღნიშნავდნენ და თავიანთ კონგრესებზე ზეიმით აცხადებდნენ, რომ ომი მოწინავე ქვეყნებს შორის არა მარტო უდიდესი დანაშაული იქნება, რომ ეს ომი კოლონიების განაწილებისათვის, კაპიტალისტთა ნადავლის გაყოფისათვის იქნება არა მარტო სრული კავშირის გაწყვეტა უახლესი ცივილიზაციისა და კულტურის მონაპოვრებთან, რომ მას შეუძლია გამოიწვიოს და რომ იგი უეჭველად გამოიწვევს ადამიანთა საზოგადოების არსებობის თვით პირობათა ძირის

გამოთხრას. რადგან ისტორიაში პირველადაა, რომ ტექნიკის ყველაზე მძლავრ მონაპოვართ ასეთი მასშტაბით, ასე გამანადგურებლად და ასეთი ენერგიით იყენებენ მილიონობით ადამიანთა სიცოცხლის მასობრივად გაჟლეტისათვის. როდესაც ყველა საწარმოო საშუალებას ასე იყენებენ ომის საქმისათვის სამსახურის გასაწევად, ჩვენ ვხედავთ, რომ მართლდება ყველაზე მწარე წინასწარმეტყველება და რომ გაველურება, შიმშილობა და ყოველგვარ საწარმოო ძალთა სრული დაცემა ედება ქვეყნების სულ უფრო მეტსა და მეტ რაოდენობას.

მე მახსენდება ამიტომ, თუ როგორ მართალი იყო მეცნიერული სოციალიზმის ერთ-ერთი დიდი ფუძემდებელი, ენგელსი, როცა 1887 წელს წერდა, რომ ევროპის ომს მოყვება არა მარტო ის, რომ გვირგვინები, როგორც იგი ამბობს, დუჟინობით დაენარცხება ძირს გვირგვინოსანთა თავებიდან და ამ გვირგვინების ამღები არავინ გამოჩნდება, არამედ ეს ომი გამოიწვევს მთელი ევროპის გაუგონარ გამხეცებას, გაველურებას და ჩამორჩენას, ამასთან ერთად კი ომს თან მოყვება ან მუშათა კლასის ბატონობა, ანდა ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ამ ბატონობას აუცილებელს ხდისო [123]. მარქსიზმის ფუძემდებელი ამ შემთხვევაში გაორკეცებული სიფრთხილით ლაპარაკობდა, რადგან იგი ნათლად ხედავდა, რომ თუ ისტორია ამ გზით წავა, მაშინ ეს გამოიწვევს კაპიტალიზმის კრახს, სოციალიზმის გაფართოებას, მაშინ ამაზე მტანჯველი, ამაზე მძიმე გადასვლის, ამაზე მწვავე გაჭირვებისა და უფრო მძაფრი, მთელი საწარმოო ძალების ძირგამომთხრელი, კრიზისის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იქნება.

და აი ახლა ჩვენ ცხადად ვხედავთ, თუ რას ნიშნავს მეოთხე წელიწადს გაჭიანურებული ხალხთა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის შედეგები, როცა ყველა, მოწინავე ქვეყნებშიც კი, საგრძნობია, რომ ომი ჩიხში მოექცა, რომ მისგან კაპიტალიზმის ნიადაგზე გამოსავალი არ არის, რომ იგი მტანჯველ გაპარტახებას გამოიწვევს. და თუ ჩვენ, ამხანაგებო, თუ რუსეთის რევოლუციას, — რომელიც გამოწვეულია

სრულიადაც არა რუსეთის პროლეტარიატის განსაკუთრებული დამსახურებით, არამედ იმ ისტორიულ მოვლენათა საერთო მიმდინარეობის მსვლელობით, რომლებმაც ისტორიის ნება-სურვილით ეს პროლეტარიატი დროებით პირველ ადგილზე დააყენა და ის დროებით მსოფლიო რევოლუციის ავანგარდი გახდა, — თუ ჩვენ გვიხდება იმ შიმშილობის ტანჯვის ჩვენთვის განსაკუთრებით მძიმედ, განსაკუთრებით მწვავედ განცდა, რომელიც სულ უფრო მძიმედ და მძიმედ გვატყდება თავს, ჩვენ მტკიცედ უნდა შევიგნოთ, რომ ეს უბედურებანი უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად არის მემკვიდრეობა ამ წყეული იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტისა, რომელმაც ყველა ქვეყანაში გაუგონარი უბედურებანი გამოიწვია და სადაც ამ უბედურებათ მხოლოდ დროებით ჯერ კიდევ უმალავენ მასებს და ხალხთა უდიდეს უმრავლესობას.

ვიდრე სამხედრო ჩაგვრა გრძელდება, ვიდრე ჯერ კიდევ ომი წარმოებს, ვიდრე იგი ჯერ კიდევ დაკავშირებულია, ერთი მხრით, გამარჯვებისა და ერთ-ერთი იმპერიალისტური ჯგუფის გამარჯვების გზით ამ კრიზისიდან გამოსვლის შესაძლებლობის იმედებთან, ხოლო, მეორე მხრით, განისაზღვრება სამხედრო ცენზურის გაცოფებით და ომიანობის ბანგით მთელი ხალხის გაბრუებით, — მხოლოდ ეს უმალავს კიდეც უმრავლესი ქვეყნების მოსახლეობის მასას, თუ რა უფსკრულში ვარდებიან ისინი, თუ რა უფსკრულში გადაჩეხილან ისინი სანახევროდ. და ჩვენ ახლა განსაკუთრებით მწვავედ გვიხდება ამის განცდა, იმიტომ რომ არსად ისე, როგორადაც რუსეთში, არ არის ასეთი აშკარა წინააღმდეგობა იმ ამოცანების სიდიდეს შორის, რაც დაუსახავს აჯანყებულ პროლეტარიატს, რომელმაც გაიგო, რომ შეუძლებელია გაიმარჯვო ომზე, მთელი დედამიწის ყველაზე მძლავრი იმპერიალისტური გიგანტების მსოფლიო ომზე, შეუძლებელია გაიმარჯვო ისე, თუ არ მოხდა ყველაზე ძლიერი, მთელი მსოფლიოს ასევე მომცველი, პროლეტარული რევოლუცია.

და როცა ჩვენ მოვლენათა მსვლელობის გამო მოგვიხდა ამ რევოლუციაში ერთ-ერთი უაღრესად ფვალსაჩინო ადგილის დაჭერა და დიდი ხნით, ყოველ შემთხვევაში 1917 წლის ოქტომბრიდან მაინც, დარჩენა მოწყვეტილ რაზმად, რომელსაც მოვლენები ნებას არ აძლევენ საკმარისი სისწრაფით გაემართოს საერთაშორისო სოციალიზმის სხვა რაზმებისადმი დასახმარებლად, — ჩვენ ახლა ერთიათად უფრო მძიმე მდგომარეობის გადატანა გვიხდება. როდესაც ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც კი შეეძლო გაეკეთებია უშუალოდ აჯანყებულ პროლეტარიატსა და მის დამხმარე უღარიბეს გლეხობას ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგის დასამხობად, იმისათვის, რომ სოციალისტური რევოლუციის სადარაჯოზე დავმდგარიყავით, ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გვჩაგრავს ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო მეტად და მეტად რუსეთის გარემომცველი იმპერიალისტური მტაცებელ-სახელმწიფოების უღელი და ომის მემკვიდრეობა. ომის ამ შედეგებს სავსებით ჯერ კიდევ თავი არ უჩენია. ჩვენს წინაშე ახლა, 1918 წლის ზაფხულში, ჩვენი რევოლუციის, შეიძლება, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, ყველაზე ძნელი და ყველაზე კრიზისული გადასვლაა, ყველაზე ძნელი გადასვლა არა მარტო საერთაშორისო თვალსაზრისით, სადაც ჩვენ გარდუვალად იძულებული ვართ უკანდახევათა პოლიტიკა ვაწარმოოთ, ვიდრე ჩვენი ერთგული და ერთადერთი მოკავშირე, საერთაშორისო პროლეტარიატი, მხოლოდ ემზადება აჯანყებისათვის, მხოლოდ მწიფდება მისთვის, მაგრამ ჯერ არ ძალუძს აშკარად და მთლიანად გამოვიდეს, თუმცა დასავლეთ ევროპის მთელი ამბები, დასავლეთის ფრონტზე უკანასკნელი ბრძოლების მთელი გაცოფებული გაბოროტება, მთელი ის კრიზისი, რომელიც ძლიერდება მეომარ სახელმწიფოთა შიგნით, ცხადყოფს, რომ ევროპის მუშათა აჯანყებისაგან შორს აღარ ვართ და, რაც უნდა დაყოვნდეს, იგი აუცილებლად მოხდება.

სწორედ ასეთი მდგომარეობის დროს გვიხდება უდიდესი სიძნელეების განცდა ჩვენი ქვეყნის შიგნით, რომელთა

გამოც ყველაზე მეტად იწვევს მთელ რიგ რყევას მტანჯველი სასურსათო კრიზისი, უსაშინელესი შიმშილობა, რომელიც თავს დაგვატყდა, რომელიც აყენებს ჩვენს წინაშე ისეთ ამოცანას, რაც ძალთა დაძაბვის მაქსიმუმს, უდიდეს ორგანიზებულობას მოითხოვს და რაც იმავე დროს ნებას არ გვაძლევს ამ ამოცანის გადაჭრას ძველი წესებით მივუდგეთ. ამ ამოცანის გადაწყვეტისაკენ ჩვენ წავალთ იმ კლასთან ერთად, რომელთანაც ერთად მივდიოდით იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, იმ კლასთან ერთად, რომელთანაც ერთად დავამხეთ იმპერიალისტური მონარქიაც და რუსეთის იმპერიალისტური რესპუბლიკური ბურჟუაზიაც, იმ კლასთან ერთად, რომელიც იძულებულია თავისი იარაღი გამოსჭედოს, თავისი ძალები განავითაროს, თავისი ორგანიზაცია შექმნას სიძნელეთა ზრდის, რევოლუციის ამოცანებისა და გაქანების ზრდის მსვლელობაში.

ჩვენს წინაშე ამჟამად დგას მთელი საკაცობრიო საერთო ცხოვრების ყველაზე ელემენტარული ამოცანა — დავამარცხოთ შიმშილობა, ყოველ შემთხვევაში, შევანელოთ მაინც დაუყოვნებლივ — უშუალო მტანჯველი შიმშილობა, რომელიც მოდებული აქვს ორივე დედაქალაქს და ათობით მაზრას სამიწათმოქმედო რუსეთში. და ამ ამოცანის გადაჭრა გვიხდება სამოქალაქო ომის ვითარებაში, ყველა რანგის, ყველა ჯურის, ყველა ფერისა და ორიენტაციის ექსპლოატატორთა უაღრესად გაცოფებული, თავგანწირული წინააღმდეგობის ვითარებაში. უეჭველია, ასეთ ვითარებაში პოლიტიკური პარტიების ეს ელემენტები, რომელთაც არ ძალუძთ კავშირი გაწყვიტონ ძველთან და ახალი იწამონ, ომის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და მას იყენებენ მხოლოდ ერთი მიზნით: ექსპლოატატორთა აღდგენის მიზნით.

ამ საკითხზე, ექსპლოატატორებისა და თავწამოყოფილი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლასთან შიმშილობის ამ კავშირზე მიგვითითებს ჩვენ ყოველი ცნობა რუსეთის რომელიც გნებავთ კუთხიდან. ჩვენს წინაშეა ამოცანა — აუცილებლად დავძლიოთ შიმშილობა ან, ყოველ შემთხვევაში,

შევანელოთ სიმძიმე ახალ მოსავლამდე, დავიცვათ პურის მონოპოლია, დავიცვათ საბჭოთა სახელმწიფოს უფლება, დავიცვათ პროლეტარული სახელმწიფოს უფლება. ჩვენ უნდა შევაგროვოთ პურის მთელი ნაჭარბი და მივაღწიოთ იმას, რომ მთელი მარაგი იმ ადგილებში მივიტანოთ, სადაც გაჭირვებაა, და სწორად გავანაწილოთ. ეს არის ძირითადი ამოცანა — ადამიანთა საზოგადოების დაცვა, ამავე დროს ეს არის უზომოდ ძნელი საქმე, რომელიც წყდება მხოლოდ ერთი გზით: შრომის საერთო, გაძლიერებული ამაღლებით.

იმ ქვეყნებში კი, სადაც ეს ამოცანა წყდება ომის გზით, იგი წყდება სამხედრო მონობის გზით, მუშებისა და გლეხებისათვის სამხედრო მონობის შემოღების გზით, წყდება ექსპლოატატორებისათვის ახალი დიდი სარგებლიანობის მინიჭების გზით. თქვენ ვერ ნახავთ, მაგალითად, გერმანიაში, სადაც საზოგადოებრიობა დაბეჩავებულია, სადაც ითრგუნება ომის საწინააღმდეგო პროტესტის ყოველგვარი ცდა, მაგრამ სადაც მაინც დარჩა ომისადმი სოციალისტური მტრობა, მდგომარეობის შენარჩუნების იმაზე უფრო ჩვეულებრივ ხერხს თქვენ იქ ვერას ნახავთ, როგორიც არის სწრაფი წარმოშობა ახალი მილიონერებისა, რომლებიც ომით გამდიდრდნენ. ეს ახალი მილიონერები საშინლად და სწრაფად გამდიდრდნენ.

ყველა იმპერიალისტურ ქვეყანაში ამჟამად მასების შიმშილობა საუკეთესო ასპარეზად გადაქცეულა უაღრესად გაცოფებული სპეკულაციის განვითარებისათვის, გაჭირვებისა და შიმშილობის ნიადაგზე გაუგონარ სიმდიდრეთა მოსახვეჭად.

იმპერიალისტური ქვეყნები ამას ხელს უწყობენ, როგორც, მაგალითად, გერმანიაში, სადაც შიმშილობა ყველაზე უკეთ არის ორგანიზებული. და ტყუილად როდი ამბობენ, რომ იქ არის ორგანიზებული შიმშილობის ცენტრი, სადაც ყველაზე უკეთ არის განაწილებული ულუფა და პურის ნამცეცები მოსახლეობაში. ჩვენ ვხედავთ, რომ იქ მილიონერთა ახალი ელემენტები იმპერიალისტური სახელმწიფოს

ყოველდღიურ მოვლენად იქცევიან, სხვანაირად მათ არ შეუძლიათ შიმშილობასთან ბრძოლა. ისინი ორმაგად, სამმაგად, ოთხმაგად ასარგებლებენ იმას, ვისაც პური ბევრი აქვს და ვისაც უნარი შესწევს სპეკულაცია გაწიოს, ორგანიზაცია, ნორმირება, რეგულირება, განაწილება სპეკულაციად გადააქციოს. ამ გზით წასვლა ჩვენ არ გვსურს, ვინც არ უნდა გვიბიძგებდეს ამ გზისაკენ, შეგნებულად თუ შეუგნებლად. ჩვენ ვიტყვით: ჩვენ ვიდექით და კვლავ ხელიხელჩაკიდებული ვიდგომებით იმ კლასთან, რომელთანაც ერთად ვილაშქრებდით ომის წინააღმდეგ, რომელთანაც ერთად დავამხეთ ბურჟუაზია და მასთან ერთად განვიცდით ახლანდელი კრიზისის ყველა სიმძიმეს. ჩვენ ბოლომდე უნდა ვიცავდეთ პურის მონოპოლიას, მაგრამ არა ისე, რომ დავაკანონოთ მცირე თუ დიდი ოდენობის კაპიტალისტური სპეკულაცია, არამედ უნდა ვებრძოლოთ შეგნებულ მაროდიორობას.

და ჩვენ აქ ვხედავთ დიდ სიძნელეებს, ბრძოლის უფრო მძიმე საფრთხეს, ვიდრე იყო მაშინ, როდესაც ჩვენს წინაშე იდგა ხალხის წინააღმდეგ თავით ფეხამდე შეიარაღებული ცარიზმი, ან ასევე თავით ფეხამდე შეიარაღებული რუსეთის ბურჟუაზია, რომელსაც დანაშაულად არ მიაჩნდა რუსეთის ათასობით და ასი ათასობით მუშისა და გლეხის სისხლი დაეღვარა გასული წლის ივნისის შეტევის დროს, საიდუმლო ხელშეკრულებებით ჯიბეში, ნადავლის გაყოფაში მონაწილეობით, და რომელსაც დანაშაულად მიაჩნია მშრომელთა ომი მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ერთადერთი სამართლიანი, წმიდათაწმიდა ომი, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის დასაწყისშივე და რომელსაც ახლა ყველა მოვლენა ყოველ ნაბიჯზე აუცილებლად შიმშილობას უკავშირებს.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ დაადგინა მეფის თვითმპყრობელობამ თავიდანვე პურის მტკიცე ფასები და როგორ ასწია მან ეს ფასები. არც არის საკვირველი! იგი ერთგული რჩებოდა თავისი მოკავშირეებისა — პურის ვაჭრებისა, სპეკულან-

ტებისა, ბანკების ავან-ჩავანებისა, რომელნიც ამაზე მილიონებს იგებდნენ.

ჩვენ ვიცით, თუ შემთანხმებლებმა კადეტთა პარტიიდან, ესერებსა და მენშევიკებთან ერთად, და კერენსკიმ როგორ შემოიღეს პურის მონოპოლია, რადგან მთელი ევროპა ლაპარაკობდა, რომ უმონოპოლიზაციოდ მეტხანს გაძლება შეუძლებელიაო, და თუ როგორ უვლიდა გვერდს იგივე კერენსკი მაშინდელ დემოკრატიულ კანონს 1917 წლის აგვისტოში. დემოკრატიული კანონები და რეჟიმები, რომელთაც მოხერხებულად განმარტავენ, სწორედ იმიტომ არსებობენ, რომ მათ გვერდი აუარონ. და ჩვენ ვიცით, როგორ გაადიდა იმავე კერენსკიმ აგვისტოში ეს ფასები ერთიორად, და მაშინ ყველა ჯურის სოციალისტებმა ამ ღონისძიების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს და აღშფოთებულნი იყვნენ ამ ფაქტის გამო. მაშინ არ ყოფილა არც ერთი ბეჭდვითი ორგანო, რომელიც არ აღშფოთებულიყოს კერენსკის ამ საქციელით და რომელსაც არ ემხილებინოს, რომ აქ მინისტრ-რესპუბლიკელების, მენშევიკებისა და ესერების კაბინეტის ზურგს უკან ადგილი ჰქონდა სპეკულანტების ოინბაზობას, რომ მათ დაუთმეს, ერთიორად გაადიდეს რა პურის ფასები, რომ აქ სხვა არა ყოფილა რა, გარდა სპეკულანტებისადმი დათმობისა. ჩვენ ვიცით ეს ისტორია.

ჩვენ ახლა ვადარებთ, თუ როგორ მიდიოდა პურის მონოპოლიის საქმე და შიმშილობასთან ბრძოლა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში და როგორ მიმდინარეობდა იგი ჩვენში. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ სარგებლობენ ახლა ამით კონტრრევოლუციონერები. ჩვენ ამ გაკვეთილიდან მტკიცე და ურყევი დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ. დიახ, მოვლენათა მსვლელობამ იქამდე მიგვიყვანა, რომ კრიზისს, მისულს მტანჯველ შიმშილობამდე, მოყვა მხოლოდ სამოქალაქო ომის კიდევ უფრო მეტად გამწვავება, მოყვა მხოლოდ ისეთი პარტიების მხილება, როგორიც არიან პარტიები მემარჯვენე ესერების და მენშევიკებისა, რომელნიც კადეტების აშკარა კაპიტალისტური პარტიისაგან იმით განირჩევიან, რომ

კადეტების პარტია — ნამდვილი შავრაზმელების პარტიაა. კადეტებს ხალხისათვის სათქმელი არა აქვთ რა და არც სჭირდებათ ხალხისადმი მიმართვა, მათ არ სჭირდებათ თავიანთი მიზნების დაფარვა, ამ პარტიებს კი, რომლებიც კერენსკის უთანხმდებოდნენ და იყოფდნენ ხელისუფლებასა და საიდუმლო ხელშეკრულებებს, მათ სჭირდებათ ხალხისადმი მიმართვა. (ტ ა შ ი). და ამიტომ ისინი იძულებული არიან დრო და დრო, საკუთარი სურვილისა და გეგმის წინააღმდეგ, ამხილონ თავისი თავი.

როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ შიმშილობის ნიადაგზე, ერთი მხრით, იფეთქებს ხოლმე შიმშილით გატანჯულ ადამიანთა აჯანყებები და ამბოხებები, ხოლო, მეორე მხრით, რუსეთის ერთი კიდიდან მეორეზე ცეცხლივით დაქრის ზოლი კონტრრევოლუციური აჯანყებებისა, რომელთაც აშკარად კვებავს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების ფულიც და მემარჯვენე ესერებისა და მენშევიკების ძალ-ღონეც, მაშინ ჩვენ ვეუბნებით ჩვენს თავს: სურათი ნათელია, დაე, ვისაც სურს განაგრძოს ოცნება რაღაც ერთიანი ფრონტების შესახებ.

ჩვენ ახლა განსაკუთრებით ნათლად ვხედავთ, რომ აშკარა სამხედრო შეტაკებაში რუსეთის ბურჟუაზიის დამარცხების შემდეგაც კი, მას შემდეგ რაც 1917 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის თებერვალ-მარტამდე რევოლუციურ და კონტრრევოლუციურ ძალთა ყველა აშკარა შეტაკებამ კონტრრევოლუციონერებს, დონის კაზაკთა მეთაურებსაც კი, რომლებზედაც ყველაზე დიდ იმედს ამყარებდნენ, დაანახა, რომ მათი საქმე წასულია, იმიტომ რომ ხალხის უმრავლესობა ყველგან მათი წინააღმდეგია; და ყოველი ახალი ცდა, უალრესად პატრიარქალურ ადგილებშიც კი, ყველაზე შეძლებულ, წოდებრივად ყველაზე კარჩაკეტილ მიწათმოქმედთა ფენით, როგორიც კაზაკები არიან, — ყველგან, გამოუკლებლივ, კონტრრევოლუციის ყოველგვარი ცდა მხოლოდ იმას იწვევდა, რომ ჩაგრულ მშრომელთა ახალ-ახალი ფენები აღმოჩნდნენ მათ წინააღმდეგ არა სიტყვით, არამედ საქმით.

ოქტომბრიდან მოყოლებული მარტამდე სამოქალაქო ომის გაკვეთილებმა დაადასტურა, რომ რუსეთის მუშათა კლასის მშრომელი მასები და შრომით მცხოვრები გლეხები, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან, რომ ესენი სულ ერთიანად, რუსეთის ყველა კუთხეში, თავიანთი უდიდესი უმრავლესობით საბჭოთა ხელისუფლების მომხრენი არიან. მაგრამ ვინც ფიქრობდა, რომ ჩვენ გამოვედით უფრო მეტი ორგანული განვითარების გზაზე, — უნდა დარწმუნებულიყო თავის შეცდომაში.

ბურჟუაზიამ დაინახა, რომ იგი დამარცხებულია... და აქ იწყება რუსეთის წვრილი ბურჟუაზიის გათიშვა: ერთნი გერმანელებისაკენ მიიწევდნენ, მეორენი — ინგლის-საფრანგეთის ორიენტაციისაკენ, და ორივე მიმართულება კი შეთანხმებულია იმაში, რომ მათ აერთიანებს შიმშილობის ორიენტაცია.

რათა თვალნათლივ გიჩვენოთ თქვენ, ამხანაგებო, თუ როგორ აერთიანებენ ჩვენი პარტია კი არა, არამედ მისი მტრები და საბჭოთა ხელისუფლების მტრები დავას გერმანიის ორიენტირებასა და ინგლის-საფრანგეთის ორიენტირებას შორის ერთი პროგრამის საფუძველზე: შიმშილობის შედეგად დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, — რათა თქვენ გიჩვენოთ, თუ როგორ ხდება ეს, ჩემს თავს ნებას მივცემ მოვიყვანო მოკლე ციტატები მენშევიკების უკანასკნელი თათბირის ანგარიშიდან. ეს ანგარიში დაბეჭდილი იყო გაზეთ «ეიზნში»[124]. (ხ მ ა უ რ ო ბ ა, ტ ა შ ი).

ამ ანგარიშიდან, რომელიც გაზეთ «ეიზნის» 26-ე ნომერშია მოთავსებული, ვტყობილობთ, რომ მომხსენებელი ეკონომიური პოლიტიკის საკითხზე, ჩერევანინი, აკრიტიკებდა რა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას, აყენებდა საკითხის კომპრომისული გადაწყვეტის წინადადებას, სახელდობრ, სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლების, როგორც პრაქტიკული მოღვაწეების, მოწვევას მათთვის განსაკუთრებით ხელსაყრელ საკომისიო საფუძვლებზე. იმავე ანგარიშიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ სხდომაზე მყოფი გრომანი, ჩრდილოეთის

სასურსათო სამმართველოს თავმჯდომარე, სარგებლობდა რა, როგორც იქ არის ნათქვამი, პირადი დაკვირვებისა და ყოველგვარ დაკვირვებათა — მე ჩემის მხრით დავუმატებ, მხოლოდ ბურჟუაზიულ წრეებზე დაკვირვების, — უდიდესი მარაგით, ასეთ დასკვნებს აკეთებდა: «საჭიროა», ამბობდა ის, «ორი საშუალების გამოყენება: პირველი — ახლანდელი ფასები უნდა გადიდდეს, მეორე — უნდა დაინიშნოს განსაკუთრებული პრემია პურის სწრაფად მოზიდვისათვის» და ა. შ. (ხ მ ა: «მერე რით არის ეს ცუდი?»). დიახ, მოგიხდებათ იმის მოსმენა, თუ რა ცუდია ეს, თუმცა ორატორი, რომელსაც სიტყვა არც კი მიუღია, მაგრამ მით სარგებლობს ამ კუთხიდან (ტ ა შ ი), ფიქრობს თქვენ დაგარწმუნოთ იმაში, რომ აქ ცუდი არა არის რა; მაგრამ მას, ჩანს, დავიწყებია მენშევიკების კონფერენციის მსვლელობა. იმავე გაზეთ «ეიზნში» ნათქვამია, რომ გრომანის შემდეგ ამ თვალსაზრისით გამოვიდა დელეგატი კოლოკოლნიკოვი: «ჩვენ წინადადებას გვაძლევენ მონაწილეობა მივიღოთ ბოლშევიკურ სასურსათო ორგანიზაციებში». მართლაცდა, რა ცუდია ეს, — აი რისი თქმა მოგვიხდება, როდესაც მოვიგონებთ წინა ორატორის ჩარევას. და თუ იგივე ორატორი, რომელსაც არ სურს დაცხრეს და რომელსაც სიტყვა არა აქვს, მაგრამ მით სარგებლობს და გაყვირის, რომ ეს სიცრუეა, რადგან კოლოკოლნიკოვს არასოდეს ეს არ უთქვამსო, მაშინ მე, ვიღებ რა ამას ცნობად, წინადადებას გაძლევთ თქვენ გარკვევით და ყველას გასაგონად გაიმეოროთ ეგ უარყოფა. ნებას მივცემ თავს მოგაგონოთ კონფერენციის ის რეზოლუცია, რომელსაც იქ აყენებდა არც თუ უცნობი მარტოვი და რომელიც საბჭოთა ხელისუფლების საკითხზე სხვა სიტყვებით და სხვა გამოთქმებით სიტყვასიტყვით იმასვე ამბობს. (ხ მ ა უ რ ო ბ ა, ყ ვ ი რ ი ლ ი). დიახ, რამდენიც უნდა იცინოთ თქვენ ამაზე, ეს მაინც ფაქტად რჩება, — მენშევიკების წარმომადგენლები, სასურსათო ანგარიშთან დაკავშირებით, საბჭოთა ხელისუფლებას უწოდებენ არა პროლეტარულ, არამედ უვარგის ორგანიზაციას.

ისეთ მომენტში, როდესაც კონტრრევოლუციონერების აჯანყება შიმშილობასთან დაკავშირებით და შიმშილობის გამოყენებით დღის წესრიგში დადგა, აქ ვერავითარი უარყოფა და ვერავითარი ხრიკები ვერ უშველის; ფაქტი კი თვალწინ გვაქვს. ჩვენს წინაშეა ისეთი პოლიტიკა აღნიშნულ საკითხში, რომელსაც მშვენივრად ავითარებენ ჩერევანინიც, გრომანიც და კოლოკოლნიკოვიც. ჩვენს წინაშეა სამოქალაქო ომის გაცხოველება, ჩვენს წინაშეა კონტრრევოლუცია, რომელიც თავს სწევს; და მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის მუშათა და გლეხთა ოთხმოცდაცხრამეტმა მეასედმა ამ მოვლენებიდან გააკეთა თავისი დასკვნა, — ეს ჯერ კიდევ ყველამ არ იცის — აკეთებს და გააკეთებს, და რომ ეს დასკვნა სახელდობრ ისეთი იქნება, რომ მხოლოდ კონტრრევოლუციის სრული განადგურებით, რომ შიმშილობის საკითხში, შიმშილობასთან ბრძოლაში მხოლოდ სოციალისტური პოლიტიკის განგრძობით გავიმარჯვებთ ჩვენ შიმშილობაზედაც და კონტრრევოლუციონერებზედაც, რომლებიც ამ შიმშილობით სარგებლობენ.

ამხანაგებო, ჩვენ ახლა სწორედ იმ დროს ვუახლოვდებით, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ მძიმე და მსხვილ კონტრრევოლუციურ მოწინააღმდეგეებთან ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის შემდეგ დაამარცხა ისინი აშკარა შეტაკებათა მსვლელობაში, და დაამარცხა რა ექსპლოატატორების სამხედრო წინააღმდეგობაც და ყველას საბოტაჟური წინააღმდეგობაც, — უშუალოდ მოკიდა ხელი ორგანიზაციულ მუშაობას. და შიმშილობასთან ბრძოლის მთელი სიძნელე, ამ ამოცანის მთელი გიგანტური სიმძიმე სწორედ იმით აიხსნება, რომ ჩვენ აქ პირისპირ უშუალოდ მივადექით ორგანიზაციულ ამოცანას.

აჯანყებაში გამარჯვება განუზომლად უფრო იოლია. წინააღმდეგობის გამწევ კონტრრევოლუციაზე გამარჯვება მილიონჯერ უფრო იოლია ორგანიზაციულ ამოცანებზე გამარჯვებასთან შედარებით, განსაკუთრებით იქ, სადაც ჩვენ გადავწყვიტეთ ამოცანა, რომელშიც აჯანყებულ პროლეტარსაც,

წვრილ მესაკუთრესაც, წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენებსაც საგრძნობ ნაწილში შეეძლოთ ერთად სვლა, რომელშიც მრავალი იყო კიდევ საერთო-დემოკრატიული, საერთო-შრომითი ელემენტი. ამ ამოცანიდან ჩვენ ახლა სხვა ამოცანას მივადექით. მტანჯველმა შიმშილობამ ჩვენ ძალით მიგვიყვანა წმინდა კომუნისტურ ამოცანამდე. აქ ჩვენ პირისპირ შევეჯახეთ რევოლუციურ-სოციალისტური ამოცანის განხორციელებას, აქ ჩვენ წინ გადაგვეღობა არაჩვეულებრივი სიძნელეები.

ჩვენ ამ სიძნელეების არ გვეშინია, ჩვენ ეს ვიცოდით, ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, რომ ადვილია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. ეს არის მთელი ეპოქა უსასტიკესი სამოქალაქო ომისა, მტანჯველი ნაბიჯები, როდესაც ერთი ქვეყნის აჯანყებული პროლეტარიატის ერთ რაზმს მიეშველება მეორე ქვეყნის პროლეტარიატი, რათა საერთო ძალღონით გამოასწორონ შეცდომები. აქ ჩვენს წინაშე დგას ორგანიზაციული ამოცანები, რომლებიც ეხება საყოველთაო მოხმარების პროდუქტებს, ეხება სპეკულაციის უღრმეს ფესვებს, ეხება ბურჟუაზიული სამყაროს ზედაფენებს და კაპიტალისტური ექსპლოატაციის ზედაფენებს, რომელთა ერთი მასობრივი შეტევით მოხსნა ადვილი არ არის. აქ ჩვენს თვალწინ არის წვრილი და ყველა ქვეყანაში ღრმად გაბნეული დიდი და პატარა ფესვები ამ ბურჟუაზიული ექსპლოატაციისა წვრილ მესაკუთრეთა სახით, წვრილმესაკუთრული და წვრილმეპატრონული ცხოვრების, ჩვეულებათა და სულისკვეთებათა მთელი ამ წყობის სახით, როდესაც ჩვენს წინაშე დგება წვრილი სპეკულანტი, ცხოვრების ახალი წყობისადმი მიუჩვევლობა, მისდამი ურწმენობა, სასოწარკვეთილება.

ვინაიდან ეს ფაქტია, რომ მშრომელი მასების ძალიან მრავალი წარმომადგენელი სასოწარკვეთილებას მიეცა, როდესაც იგრძნო ის არაჩვეულებრივი სიძნელეები, რომლებიც რევოლუციამ დაგვიყენა წინ. ჩვენ ამის არ გვეშინია. არ მომხდარა არსად არც ერთხელ, არც ერთი რევოლუციის

დროს, რომ განსაზღვრულ წრეებს სასოწარკვეთილება არ დაუფლებოდეს.

როდესაც მასა აყენებს დისციპლინის განსაზღვრულ ავანგარდს, როდესაც ავანგარდმა იცის, რომ ეს დიქტატურა, ეს მტკიცე ხელისუფლება დაგვეხმარება მთელი ღარიბობის მოზიდვაში, — ეს ხანგრძლივი პროცესია, მძიმე ბრძოლაა, — ეს არის სოციალისტური რევოლუციის დასაწყისი მისი სრული აზრით. როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ გაერთიანებული მუშები, ღარიბთა მასა მიდიან მდიდრების, სპეკულანტების წინააღმდეგ, იმ ადამიანთა მასის წინააღმდეგ, რომელთაც ინტელიგენტების შეგნებული თუ შეუგნებელი მასა უმეორებს სპეკულანტურ ლოზუნგებს, აი როგორც ჩერევანინები და გრომანები, როდესაც მოტყუებული მუშები ლაპარაკობენ პურის თავისუფლად გაყიდვაზე, სატვირთო ტრანსპორტის შემოზიდვაზე, — ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ეს კულაკებისადმი მიშველებას ნიშნავს! ჩვენ ამ გზით არ წავალთ. ჩვენ ვამბობთ: ჩვენ დავეყრდნობით მშრომელ ელემენტს, რომელთანაც ერთად მოვიპოვეთ ოქტომბრის გამარჯვება, და მხოლოდ ჩვენს კლასთან ერთად, მხოლოდ პროლეტარული დისციპლინის შემოღებით მშრომელი ხალხის ყველა ფენაში — გადავწყვეტთ ჩვენს წინაშე მდგომ ისტორიულ ამოცანას.

ჩვენ გვიხდება უდიდეს სიძნელეთა გადატანა, მთელი ნაჭარბისა და მარაგის შეგროვება, სწორად განაწილება და მოზიდვის სწორად მოწყობა ათეულ მილიონობით ადამიანისათვის, აბსოლუტურად რეგულარული მუშაობის მოგვარება, რათა მუშაობა საათივით მიდიოდეს, გვიხდება გამარჯვება ნგრევაზე, რომელსაც ხელს უწყობენ სპეკულანტები და რწმენას მოკლებულნი, პანიკის მთესველნი. ორგანიზაციის ამ ამოცანის შესრულება შეუძლიათ მხოლოდ იმ შეგნებულ მუშებს, რომელნიც პირისპირ დგანან პრაქტიკული სიძნელეების წინაშე. ამ ამოცანას ღირს მთელი ჩვენი ძალ-ღონე მოვანდომოთ და მივიღოთ გადამწყვეტი და უკანასკნელი ბრძოლა. და ამ ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვებთ. (ტ ა შ ი).

ამხანაგებო, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა შესახებ მიღებული უკანასკნელი დეკრეტები[125] გვიჩვენებენ, რომ პროლეტარული დიქტატურის გზა ყოველი სოციალისტისათვის, რომელიც დაცინვით როდი უწოდებს თავს სოციალისტს, აშკარა და უდავოა — მძიმე განსაცდელთა გზაა.

უკანასკნელმა დეკრეტებმა წამოაყენეს ცხოვრების ყველაზე ძირითადი საკითხი, პურის საკითხი. ყველა მათ სამი ხელმძღვანელი იდეა აქვთ: იდეა ცენტრალიზაციისა ან ყველას გაერთიანებისა ერთ საერთო მუშაობაში ცენტრის ხელმძღვანელობით, ან თავის გამოჩენა სერიოზულად და გამარჯვება ყოველგვარ სასოწარკვეთილებაზე, ყოველგვარი მეტომრეების ცალკეული სამსახურის უკუგდება, ყველა პროლეტარული ძალის შედეგება, რადგან შიმშილობასთან ბრძოლის საკითხში ჩვენ ვეყრდნობით იმავე ჩაგრულ კლასებს და გამოსავალს ვხედავთ მხოლოდ მათ ენერგიულ ბრძოლაში ექსპლოატატორების წინააღმდეგ, მთელი მათი მოქმედების გაერთიანებაში.

დიახ, ჩვენ მიგვითითებენ, რომ პურის მონოპოლია ყოველ ნაბიჯზე ირღვევა მეტომრეობისა და სპეკულაციის გზით. სულ უფრო ხშირად გვესმის ხოლმე ინტელიგენციისაგან: მაგრამ მეტომრეები ხომ მათ სამსახურს უწევენ და მათ ხომ ყველას ისინი კვებავენ. დიახ, მაგრამ მეტომრეები კვებავენ კულაკურად, ისინი მოქმედებენ სწორედ ისე, როგორადაც უნდა იმოქმედონ, რათა განამტკიცონ, დაამკვიდრონ, მუდმივი გახადონ კულაკის ძალაუფლება, რათა მან, ვისაც ძალაუფლება აქვს, თავისი მოგებით გაავრცელოს იგი მის გარშემო მყოფებზე ცალკე პირთა მეოხებით. ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ იმ პირთა ძალები, რომელნიც ამჟამად მეტწილად დამნაშავენი არიან მხოლოდ რწმენის უქონლობაში, მათი ძალები რომ გაერთიანდეს, ბრძოლა ბევრად უფრო ადვილი იქნებოდა. თუ სადმე მოიპოვება ისეთი რევოლუციონერი, რომელსაც იმედი აქვს, რომ სიძნელეთა გარეშე გადავა სოციალისტურ წყობილებაზე, ჩვენ მაშინ შეგვეძლო გვეთქვა, რომ

ასეთი რევოლუციონერი, ასეთი სოციალისტი გახვრეტილ გროშადაც არა ღირს.

ჩვენ კი ვიცით, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა უაღრესად მძიმე ბრძოლაა. მაგრამ ჩვენ მზად ვართ ავიტანოთ ათასი სიძნელე და გავაკეთოთ ათასი ცდა, და ათასი ცდის შემდეგ ჩვენ ათას პირველს დავიწყებთ. ჩვენ ახლა ყველა საბჭოთა ორგანიზაციას ვაბამთ ახალ შემოქმედებითს ცხოვრებაში, ახალ ძალთა აღმავლობაში. ჩვენ იმედი გვაქვს დავამარცხოთ ახალი სიძნელეები ახალი ფენების მოზიდვით, სოფლის ღარიბობის დარაზმვით, და აი აქ მე ვადგები მეორე ძირითად ამოცანას.

მე ვთქვი, რომ პირველი ჩვენი აზრი, ეს არის ყველა დეკრეტში გატარებული აზრი ცენტრალიზაციის შესახებ. მხოლოდ მთელი პურის საერთო ტომრებში მოგროვებით შევძლებთ შიმშილზე გამარჯვებას, მაგრამ პური მაინც მხოლოდ ძლივ-ძლიობით სამყოფი გვექნება. წინანდელი სიჭარბე რუსეთში აღარაა, და საჭიროა, რომ კომუნიზმი ღრმად შეიჭრას თვითეულის შეგნებაში, რომ პურის ნაჭარბს ყველა ისე უყურებდეს, როგორც ხალხის კუთვნილებას, იმსჭვალებოდეს მშრომელთა ინტერესების შეგნებით. ხოლო იმისათვის, რომ ამას მივაღწიოთ, აუცილებელია მხოლოდ ის წესი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აყენებს.

როდესაც ჩვენ სხვანაირ წესებზე გველაპარაკებიან, ჩვენ ვუპასუხებთ ისე, როგორადაც სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე *, როდესაც ჩვენ სხვა გზებზე გველაპარაკებოდნენ, ვუპასუხეთ: მიბრძანდით სკოროპადსკისთან, ბურჟუაზიასთან. ასწავლეთ მათ ისეთი მეთოდები, როგორიცაა პურის ფასის მომატება, როგორიცაა კულაკებთან ბლოკი, — იქ თქვენ დაგხვდებათ ყურები, გამზადებული თქვენდა სასმენად. ხოლო საბჭოთა ხელისუფლება ერთს იტყვის: სიძნელეები განუზომელია, თვითეულ სიძნელეს უპასუხეთ ორგანიზაციისა და დისციპლინის ახალ-ახალი ღონისძიებებით. ასეთი სიძნელეების დაძლევა ერთ თვეში არ შეიძლება. ხალხთა

* იხ. ეს ტომი, გვ. 438 — 460. რ ე დ.

ისტორიაში ყოფილა ათეული წლები, რომლებიც ამაზე ნაკლები სიძნელეების დაძლევისათვის მოუნდომებიათ, და ეს ათეული წლები ისტორიაში შესულია, როგორც ყველაზე დიადი და ყველაზე ნაყოფიერი ათეული წლები. უდიდესი რევოლუციის პირველი ნახევარი წლის და პირველი წლის წარუმატებლობებით თქვენ ვერასოდეს ვერ დათესთ ჩვენში სასოწარკვეთილებას. ჩვენ განვაგრძობთ მთელი რუსეთის მასშტაბით ცენტრალიზაციის, გაერთიანების, პროლეტარული დისციპლინის ჩვენს ძველ ლოზუნგს.

როდესაც ჩვენ მიგვითითებენ, როგორც გრომანი მიგვითითებს თავის მოხსენებაში: «თქვენი რაზმები, რომელნიც პურის შესაგროვებლად მიდიან, ლოთობენ და თვითონვე იქცევიან არყისმხდელებად, მძარცველებადო», — ჩვენ ვიტყვით: ჩვენ მშვენივრად ვიცით, თუ რა ხშირად ხდება ეს, ასეთ შემთხვევებში ჩვენ ამას ხელს არ ვაფარებთ, არ ვალამაზებთ, თავიდან არ ვიშორებთ მას ვითომდა მემარცხენე ფრაზებითა და განზრახვებით. დიახ, მუშათა კლასი ჩინური კედლით როდია გამიჯნული ძველი ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან. და, როდესაც რევოლუცია იწყება, საქმე ისე არ ხდება, როგორც ცალკე პიროვნების სიკვდილის დროს, როდესაც მიცვალებული გარეთ გააქვთ. როდესაც ძველი საზოგადოება იღუპება, შეუძლებელია მისი გვამი კუბოში ჩაჭედოთ და საფლავში ჩაუშვათ. იგი იხრწნება ჩვენს გარემოში, ეს გვამი ლპება და თვით ჩვენ გვწამლავს.

სხვანაირად ქვეყნად არც ერთი დიდი რევოლუცია არ მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს. სწორედ ის, რასაც ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ახლის ყლორტების დაცვისა და განვითარებისათვის ისეთ ატმოსფეროში, რომელიც გაჟღენთილია გახრწნილი გვამის მიაზმებით, ის ლიტერატურული და პოლიტიკური ვითარება, ის თამაში პოლიტიკური პარტიებისა, რომელნიც, კადეტებით დაწყებული ვიდრე მენშევიკებამდე, გახრწნილი გვამის ამ მიაზმებით არიან გაჟღენთილი, — ისინი ცდილობენ ყოველივე ეს მოგვაყარონ ჩვენ როგორც ჯოხები ბორბლების ქვეშ. სხვანაირად სოცია-

ლისტური რევოლუციის წარმოშობა არასოდეს არ შეიძლება, და სხვაგვარად, თუ არა ხრწნადი კაპიტალიზმისა და მასთან მტანჯველი ბრძოლის ვითარებაში, ვერც ერთი ქვეყანა ვერ გადავა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე. და ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ჩვენი პირველი ლოზუნგია — ცენტრალიზაცია, ჩვენი მეორე ლოზუნგია — მუშათა გაერთიანება. მუშებო, გაერთიანდით და გაერთიანდით! ეს ძველია, ეს არ მოგეჩვენებათ ეფექტურად, ახლად, ეს არ გპირდებათ იმ შარლატანურ წარმატებებს, რომლებითაც გატყუებენ ისეთი ადამიანები, როგორიც კერენსკია, რომელმაც 1917 წლის აგვისტოში გააორკეცა ფასები, როგორადაც გააორკეცეს და გააათკეცეს იგი გერმანიის ბურჟუებმა, ისეთი ადამიანები, რომლებიც თქვენ გპირდებიან დაუყოვნებლივსა და უშუალო წარმატებებს, ოღონდ კი კულაკებს კიდევ ახალი და ახალი შეღავათი მიეცითო. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ გზით არ წავალთ, არამედ ვამბობთ: ჩვენი მეორე საშუალებაა, იგი ძველი, მაგრამ იმავე დროს მარადიული საშუალებაა: გაერთიანდით! (ტ ა შ ი).

ჩვენ მძიმე მდგომარეობაში ვართ: საბჭოთა რესპუბლიკა განიცდის, შეიძლება, თავის ერთ-ერთ მძიმე გადასვლას. ჩვენ მუშების ახალი ფენები მოგვეშველებიან. ჩვენ არა გვყავს პოლიცია, ჩვენ არ გვეყოლება განსაკუთრებული სამხედრო კასტა, ჩვენ არ მოგვეპოვება სხვა აპარატი, გარდა მუშათა შეგნებული გაერთიანებისა. ისინი გამოიყვანენ რუსეთს საბოლოოდ ჩაკეტილი და გიგანტურად მძიმე მდგომარეობიდან. (ტ ა შ ი). მუშების გაერთიანება, მუშათა რაზმების შედგენა, დამშეულთა ორგანიზაცია არამიწათმოქმედი დამშეული მაზრებიდან, — მათ მოვუწოდებთ ჩვენ დახმარებისათვის, მათ მიმართავს ჩვენი სასურსათო კომისარიატი, ჩვენ მათ ვეუბნებით: ჯვაროსნული ლაშქრობა გამართეთ პურისათვის, ჯვაროსნული ლაშქრობა სპეკულანტების წინააღმდეგ, კულაკების წინააღმდეგ, წესრიგის აღდგენისათვის.

ჯვაროსნული ლაშქრობა — ეს ისეთი ლაშქრობა იყო, როდესაც ფიზიკურ ძალას ემატებოდა იმის რწმენა, რასაც ასეული წლების წინათ წამების საშუალებით აიძულებდნენ

ადამიანებს წმინდად ჩაეთვალათ. ჩვენ კი გვსურს და ვფიქრობთ, და დარწმუნებული ვართ, და ჩვენ ვიცით, რომ ოქტომბრის რევოლუციამ გააკეთა ის, რომ მოწინავე მუშებს და მოწინავე გლეხებს უღარიბესი გლეხობიდან ახლა წმინდა საქმედ მიაჩნიათ მემამულეებსა და კაპიტალისტებზე თავიანთი ძალაუფლების შენარჩუნება. (ტ ა შ ი). მათ იციან, რომ მოსახლეობის მასებზე ზეგავლენის მოსახდენად ფიზიკური ძალა არ კმარა. ჩვენ გვესაჭიროება ფიზიკური ძალა, რადგან ჩვენ ვაშენებთ დიქტატურას, ვაშენებთ ძალმომრეობას ექსპლოატატორების მიმართ, და ყველას, ვისაც ეს არ ესმის, ზიზღით უკუვაგდებთ ჩვენგან, რათა სიტყვები არ ვხარჯოთ სოციალიზმის ფორმის შესახებ ლაპარაკისათვის. (ტ ა შ ი).

მაგრამ ჩვენ ვამბობთ: ჩვენს წინაშე ახალი ისტორიული ამოცანაა. ჩვენ უნდა შევაგნებინოთ ამ ახალ ისტორიულ კლასს, რომ ჩვენ გვესაჭიროება აგიტატორების რაზმები მუშებიდან. ჩვენ გვესაჭიროება მუშები არამწარმოებელი გუბერნიების სხვადასხვა მაზრიდან. ჩვენ გვესაჭიროება, რომ ისინი იქიდან მოდიოდნენ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების შეგნებული მქადაგებლები, და რომ ჩვენს სასურსათო ომს, ჩვენს ომს კულაკებთან, ჩვენს ომს უწესრიგობასთან ისინი აკურთხებდნენ, აკანონებდნენ და შესაძლებელს ხდიდნენ სოციალისტური პროპაგანდის ჩატარებას; რომ მათ სოფლად მიჰქონდეთ ის განსხვავება ღარიბთა და მდიდართა შორის, რომელიც თვითეული გლეხისათვის გასაგებია და რომელიც ჩვენი ძალის უღრმესი წყაროა, წყარო, რომლის ამოქმედება და აჩქეფება, აჩქეფება სრული სიძლიერით ძნელი საქმეა, რადგან ჩვენ მრავალრიცხოვანი ექსპლოატატორები გვყავს, ჩვენ გვაქვს მასების დამორჩილება ამ ექსპლოატატორების მიერ სულ სხვადასხვაგვარი ხერხებით, დაწყებული ღარიბების მოსყიდვით, რათა ისინი, ღარიბების წარმომადგენლები, გამდიდრდნენ არყის გამოხდით ან გაყიდონ სპეკულაციის გზით და მანეთზე რამდენიმე მანეთი მოიგონ. აი რა საშუალებებით მოქმედებენ სოფლად მასებზე კულაკები და ბურჟუაზია!

ჩვენ არ შეგვიძლია ამაში ბრალი დავდოთ ღარიბობას, რადგან ვიცით, რომ ათეული წლების, ათასი წლების განმავლობაში ის მონობაში იყო, რომ ის განიცდიდა ბატონყმობას და ცხოვრობდა იმ პირობებში, რომელიც რუსეთმა დატოვა ბატონყმობის შემდეგ. ჩვენ მასთან უნდა მივიდეთ არა მარტო კულაკების წინააღმდეგ მიმართული იარაღით, არამედ შეგნებული მუშების ქადაგებითაც, რომელთაც სოფლად უნდა შეიტანონ თავიანთი ორგანიზაციის ძალა. გაერთიანდით, ღარიბთა წარმომადგენლებო, — აი ჩვენი მესამე ლოზუნგი. ეს არ არის კულაკებთან თამაში და ფასების აწევის უაზრო ღონისძიება. ჩვენ რომ ფასები გავაორკეცოთ, ისინი იტყვიან: ფასებს გვიმატებენ, მოშივდათ, დავიცადოთ, კიდევ მოუმატებენო.

ეს გზა — ნატკეპნია, კულაკებისა და სპეკულანტების საამებელი გზაა, მასზე დადგომა და მომხიბლავი სურათის დაბატვა ადვილია. ინტელიგენცია, რომელიც თავისთავს სოციალისტებს ეძახის, მზადაა ასეთი სურათები დაგვიჯღაბნოს, ხოლო ასეთი ინტელიგენცია მრავლის უმრავლესია. ჩვენ კი გეუბნებით: ვისაც სურს საბჭოთა ხელისუფლებას გაყვეს, ვინც მას აფასებს და მშრომელთა ხელისუფლებად, ექსპლოატირებული კლასის ხელისუფლებად თვლის, მას ჩვენ სხვა გზისაკენ მოვუწოდებთ. ეს ახალი ისტორიული ამოცანა — ძნელი საქმეა. მისი გადაწყვეტა იმას ნიშნავს, რომ წამოაყენო ახალი ფენა, ორგანიზაციის ახალი ფორმა მისცე მშრომელთა და ექსპლოატირებულთა იმ წარმომადგენლებს, რომელთა უმრავლესობა დაბეჩავებულია, ბნელია, რომელნიც ყველაზე ნაკლებად არიან გაერთიანებულნი და რომელნიც ჯერ კიდევ უნდა გაერთიანდნენ.

მთელ მსოფლიოში ქალაქის მუშების, სამრეწველო მუშების მოწინავე რაზმები გაერთიანდნენ, გაერთიანდნენ უკლებლივ. მაგრამ მსოფლიოში თითქმის არსად ჯერ არავის შოუხდენია სისტემატური, თავგამოდებული და თავგანწირული ცდა იმათი გაერთიანებისა, ვინც სოფლად, წვრილ საშიწათმოქმედო წარმოებაში, მივარდნილ კუთხეში და

სიბნელეში გამოყეყეჩებულია ცხოვრების მთელი პირობებით. აქ ჩვენს წინაშე ისეთი ამოცანა დგას, რომელიც ერთ მიზნად აერთიანებს არა მარტო შიმშილობასთან ბრძოლას, არამედ ბრძოლას სოციალიზმის მთელი ღრმა და დიდმნიშვნელოვანი წყობილებისთვისაც. აქ ჩვენს წინაშეა ისეთი ბრძოლა სოციალიზმისათვის, რომლისთვისაც ღირს მთელი ძალების გაღება და ყველაფრის გაწირვა, იმიტომ რომ ეს არის ბრძოლა სოციალიზმისათვის. (ტ ა შ ი).

შევხედოთ მშრომელთ ისე, როგორც ჩვენს მომხრეებს ამ გზაზე. ამ გზაზე ჩვენ მოგველის მტკიცე მონაპოვრები, და არა მარტო მტკიცე, არამედ განუყრელიც. აი ჩვენი მესამე დიდმნიშვნელოვანი ლოზუნგი!

აი ეს სამი ძირითადი ლოზუნგი: სასურსათო საქმის ცენტრალიზაცია, პროლეტარიატის გაერთიანება, სოფლის ღარიბობის ორგანიზაცია. და ჩვენი მიმართვა, ჩვენი სასურსათო კომისარიატის მიმართვა თვითეული პროფესიული კავშირისადმი, თვითეული საქარხნო კომიტეტისადმი ამბობს: თქვენ მძიმე მდგომარეობაში ხართ, ამხანაგებო, მაშ დაგვეხმარეთ, შემოუერთეთ თქვენი ძალ-ღონე ჩვენსას, ებრძოლეთ წესრიგის ყოველ დარღვევას, პურის მონოპოლიიდან ყოველ გადახვევას. ეს ძნელი ამოცანაა. მაგრამ ამასთან ერთად კიდევ და კიდევ, მეასედ და მეათასედ გაილაშქრეთ მეტომრეობისა, სპეკულაციისა და კულაკობის წინააღმდეგ; და ჩვენ გავიმარჯვებთ, იმიტომ რომ მუშათა უმრავლესობა თავისი ცხოვრების მთელ მსვლელობას და ჩვენი სასურსათო წარუმატებლობისა და სასურსათო განსაცდელთა მძიმე გაკვეთილებს ამ გზამდე მიყავს. მათ იციან, რომ თუ იმ დროს, როდესაც რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო პურის აბსოლუტური ნაკლებობა, — თუ მაშინ შეიძლებოდა სასურსათო ორგანიზაციების ნაკლთა გამოსწორება იზოლირებული ინდივიდუალური მოქმედებით, ეს მომავალში აღარ იქნება. მხოლოდ საერთო ძალ-ღონე, მხოლოდ ყველა მათი გაერთიანება, ვინც ყველაზე მეტად იტანჯება დამშეულ ქალაქებსა და გუბერნიებში, გვიშველის ჩვენ. და ეს — ის გზაა, რომლის-

კენაც მოგიწოდებთ თქვენ საბჭოთა ხელისუფლება: მუშათა გაერთიანება, მათი მოწინავე რაზმების გაერთიანება ადგილებზე აგიტაციის გასაწევად, კულაკების წინააღმდეგ პურისათვის საომრად.

მოსკოვიდან ახლოს, ზედიზედ მიყოლებულ გუბერნიებში: კურსკის, ორიოლის, ტამბოვის გუბერნიებში, ჩვენ, ფრთხილი სპეციალისტების გამოანგარიშებით, ჯერ კიდევ 10 მილიონ ფუთამდე ნაჭარბი პური მოგვეპოვება. ჩვენ სრულიადაც არ შეგვიძლია ეს ნაჭარბი სახელმწიფო მარაგად შევაგროვოთ და გავაერთიანოთ.

მოდით, უფრო მეტი ძალ-ღონით მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი. დაე, ყოველ ქარხანაში, სადაც დროებით იმარჯვებს სასოწარკვეთილება, სადაც ადამიანები მზად არიან შიმშილობით ტანჯვის გამო აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ და სიხარულით ეგებებოდნენ ისეთი ადამიანების შარლატანურ ლოზუნგებს, რომელნიც უკან, კერენსკის ხერხებისაკენ, მტკიცე ფასების მომატებისაკენ გვეწევიან, დაე იქ მივიდეს შეგნებული მუშა და უთხრას: ჩვენ ვხედავთ ადამიანებს, რომელთაც გული გატეხიათ საბჭოთა ხელისუფლებაზე, — შემოდით მებრძოლი აგიტატორების ჩვენს რაზმში, ნუ შეგაშფოთებთ ის, რომ ასე ბევრი მაგალითი იყო, როდესაც ეს რაზმები იშლებოდნენ და ლოთდებოდნენ ხოლმე. ყოველი ასეთი მაგალითით ჩვენ დავამტკიცებთ არა იმას, რომ მუშათა კლასი არ ვარგა, არამედ იმას, რომ მუშათა კლასი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ძველი, მძარცველური საზოგადოების ნაკლთაგან და მათგან ერთბაშად ვერც განთავისუფლდება. მოდით, გავაერთიანოთ ჩვენი ძალები, შევადგინოთ ათობით რაზმები, გავაერთიანოთ მათი მოქმედება და თავიდან მოვიშოროთ ეს ნაკლოვანებანი. ამხანაგებო, ნება მომეცით, დასასრულ, მიგითითოთ რამდენიმე დეპეშაზე, რომელთაც ღებულობს როგორც სახალხო კომისართა საბჭო, ისე, განსაკუთრებით, ჩვენი სასურსათო კომისარიატი.

ამხანაგებო, სასურსათო კრიზისთან დაკავშირებით, შიმშილობით ტანჯვასთან დაკავშირებით, რომელიც ყველა ქალაქს

მოსდებია, ჩვენ ვხედავთ, ანდაზის სიტყვებით თუ ვიტყვით: «კარგი სახელი რჩება, ავი კი იკარგება». მე მინდა გამოვაქვეყნო ის დოკუმენტები, რომლებიც მიიღეს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა და დაწესებულებებმა სასურსათო დიქტატურის შესახებ 13 მაისის დეკრეტის გამოცემის შემდეგ. ამ დეკრეტში ნათქვამია, რომ ჩვენ ისევ იმისი იმედი გვაქვს, რისიც წინათ: მხოლოდ პროლეტარიატისა. დეპეშები მიუთითებენ, რომ ადგილებზე უკვე დაადგნენ კულაკობის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის იმ გზას, სოფლის ღარიბთა ორგანიზაციის გზას, რომლისკენაც ჩვენ მოგიწოდებთ. ამას ადასტურებენ ჩვენს მიერ მიღებული დეპეშები.

დაე აახმაურონ ყველა საყვირი, დაე თესონ პანიკა ჩერევანინ-გრომანის სამრეკლოდან ხმებმა, რომლებიც მოუწოდებენ საბჭოთა ხელისუფლების მოსპობისა და აღგვისაკენ! ვინც მუშაობითაა გართული, მას პანიკის ასეთი თესვა ყველაზე ნაკლებ შეაშფოთებს: იგი ყურადღებას მიაქცევს ფაქტებს, დაინახავს, რომ მუშაობა მიდის და ახალი რიგები ერთიანდებიან, რომ ასეთი რიგები არსებობენ.

იქმნება კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ფორმა, ფორმა ღარიბობის კავშირისა, რომელსაც უნდა დავეხმაროთ, რომელიც უნდა გავაერთიანოთ. ჩვენ უნდა დავეხმაროთ, როდესაც გვირჩევენ პრემიებს პურის მოტანისათვის. ჩვენ თანახმა ვართ ღარიბებს ასეთი პრემია მივცეთ და ჩვენ უკვე ვაკეთებთ ამას. იმ კულაკთა, ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ კი, რომელნიც მოსახლეობას შიმშილით ტანჯავენ, რომელთა გამოც ათობით მილიონები იტანჯებიან, ჩვენ ძალმომრეობას ვხმარობთ. სოფლის ღარიბებს ყოველგვარ პრემიას ვაძლევთ, ამის უფლება მათ აქვთ. ღარიბმა გლეხებმა პირველად მიიღეს საშუალება ცხოვრების სიკეთეებს ზიარებოდნენ, და ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი უფრო გაჭირვებულად ცხოვრობენ, ვიდრე მუშები. სოფლის ამ ღარიბებს ჩვენ ყოველგვარ პრემიას მივცემთ, ჩვენ დავეხმარებით, თუ ისინიც დაგვეხმარებიან, რომ მოვაწყოთ პურის შეგროვება, მივიღოთ პური კულაკებისაგან, და იმისათვის, რომ რუსეთში

ეს რეალობად იქცეს, ჩვენ არავითარი საშუალება არ უნდა დავიშუროთ.

ჩვენ ამ გზას უკვე დავადექით. შეგნებული მუშების ყოველგვარი გამოცდილება და ახალი რაზმები მას უფრო და უფრო მეტად განავითარებენ.

ამხანაგებო, მუშაობა დაიწყო და მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენ არ მოველით თავბრუდამხვევ წარმატებას, მაგრამ წარმატება იქნება. ჩვენ ვიცით, რომ ამჟამად შევდივართ ახალ ნგრევათა პერიოდში, რევოლუციის ყველაზე ძნელი, ყველაზე მძიმე პერიოდების ხანაში. ჩვენ სრულიად არ გვიკვირს, რომ კონტრრევოლუცია თავს სწევს, რომ ჩვენს რიგებში ყოველ ნაბიჯზე იზრდება მერყეევთა რიცხვი, სასოწარკვეთილთა რიცხვი. ჩვენ ვიტყვით: თავი ანებეთ მერყეობას, გამოეთხოვეთ თქვენს სასოწარკვეთილ განწყობილებას, რომლის გამოყენებაც სურს ბურჟუაზიას, ვინაიდან პანიკის თესვა მის ინტერესებს შეადგენს; ხელი მოკიდეთ მუშაობას. ჩვენ ჩვენი სასურსათო დეკრეტებით, გეგმით, რომელიც ღარიბებს ეყრდნობა, ერთადერთ სწორ გზაზე ვდგავართ. ახალი ისტორიული ამოცანების წინაშე ჩვენ მოგიწოდებთ კიდევ და კიდევ ახალი აღმავლობისაკენ. ეს უზომოდ ძნელი ამოცანაა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არაჩვეულებრივად მადლიანი ამოცანაა. ჩვენ აქ ვიბრძვით კომუნისტური განაწილების საფუძვლისათვის, კომუნისტური საზოგადოების მტკიცე საყრდნობთა ნამდვილად შექმნისათვის. მაშ ყველამ ერთად მოვკიდოთ მუშაობას ხელი. ჩვენ დავამარცხებთ შიმშილს და მოვიპოვებთ სოციალიზმს. (ტ ა შ ი).

2

საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო
1918 წ. 4 ივნისს

ამხანაგებო, ფრაქციების ორატორთა სიტყვებმა, ჩემი შეხედულებით, ცხადყო ის, რაც კიდევაც მოსალოდნელი იყო.

მიუხედავად იმ განსხვავებისა, რომელიც არსებობს ბოლშევიკებსა და ზოგიერთ პარტიასა და ჯგუფს შორის, ჩვენ დავრწმუნდით, რომ უდიდესი აღმავლობა მასებში რაზმავს შიმშილობასთან საბრძოლველად და რაზმავს არა მარტო ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. და ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ რაც უფრო წინ წავა შიმშილობასთან ბრძოლა და რაც უფრო გამოამჟღავნებს თავს ჩეხ-სლოვაკთა და სხვა ბანდების ზურგს უკან ამოფარებული კონტრრევოლუცია, მით უფრო ძლიერად მოხდება გამიჯვნა ბოლშევიკების მომხრეებს — მშრომელ მუშათა და გლეხთა მასებსა და იმ მტრებს შორის, რა სახელიც უნდა ეწოდებოდეს მათ, რომელთა მოსაზრებებს ჩვენ ვედავებით. ამ მტრებს კვლავინდებურად მოჰყავთ იგივე ძველი, გაცვეთილი მოსაზრებანი ბრესტის ზავისა და სამოქალაქო ომის შესახებ, თითქოსდა, ბრესტის ზავის დროიდან გასული სამი თვის განმავლობაში მოვლენებს დამაჯერებლად არ ეჩვენებინოთ იმათი სიმართლე, ვინც ამბობდა, რომ მხოლოდ კომუნისტების ტაქტიკა მისცემს ხალხს ზავს და გაათავისუფლებს მას ორგანიზაციისა და დარაზმვის სამუშაოსათვის, იმ ახალი და დიადი ომების მოსამზადებლად, რომლებიც უკვე სხვა ვითარებაში უნდა დაიწყოს. მოვლენები სავსებით ადასტურებენ, რომ

ევროპის პროლეტარიატი, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ არ შეეძლო მოგვშველებოდა, ყოველთვე, ახლა შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, ყოველთვე უახლოვდება იმ მდგომარეობას, როდესაც აჯანყება სავსებით შეგნებულია და გარდუვალი გახდება. მოვლენებმა სავსებით დაადასტურეს, რომ არსებობდა მხოლოდ ერთი არჩევანი, რომელსაც ეწოდება ძალადური, მძარცველური ზავი.

ყოველი მოაზროვნე კაცი გრძნობდა, რომ საბჭოების III ყრილობაზე მემარჯვენე ესერებმა კონტრრევოლუციური რეზოლუცია შეიტანეს; ყოველი მოაზროვნე კაცი ამასვე უნდა გრძნობდეს მენშევიკების რეზოლუციის მიმართაც, რომელნიც დღემდე გაჰყვირიან: ძირს ბრესტის ზავიო, და თავს ისე აჩვენებენ, თითქოსდა პრაქტიკაში არ იცოდნენ, რომ სწორედ ამით მათ უნდათ ჩაგვითრიონ გერმანიის ბურჟუაზიასთან ომში ჩეხ-სლოვაკ მეამბოხეთა[126] მეშვეობით და ამ ომში ჩვენს ჩასათრევად დაქირავებული აგენტების საშუალებით.

არ ღირს შეჩერება კომუნისტების წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებზე, თითქოს ისინი დამნაშავენი იყვნენ შიმშილობაში. ზუსტად ასევე იყო ოქტომბრის რევოლუციის დროსაც. სოციალისტს ან ანარქისტს, უწოდეთ მას როგორც გნებავთ, თუ იგი ჭკუაზე არ შეშლილა, არ შეუძლია გაბედოს და რომელიმე კრების წინაშე თქვას, რომ შეიძლება სოციალიზმამდე მისვლა სამოქალაქო ომის გარეშე.

თქვენ შეგიძლიათ გადახედოთ ყველა რამდენადმე პასუხისმგებელი სოციალისტური პარტიის, ფრაქციისა და ჯგუფის მთელ ლიტერატურას, და თქვენ ვერც ერთ პასუხისმგებელ და სერიოზულ სოციალისტს ვერ უპოვნით ისეთ უაზრობას, რომ ოდესმე შეიძლება სოციალიზმი დამყარდეს სხვანაირად, თუ არა სამოქალაქო ომის მეშვეობით, და რომ მემამულეები და კაპიტალისტები ნებაყოფლობით დათმობენ თავიანთ პრივილეგიებს. ეს ისეთი გულუბრყვილობაა, რომელიც სიბრიყვეს ესაზღვრება. და ახლა, ბურჟუაზიისა და მისი მომხრეების მთელ რიგ დამარცხებათა შემდეგ, ჩვენ

გვიხდება მოვისმინოთ ისეთი აღიარებანი, როგორიც, მაგალითად, ბოგაევსკისა, რომელსაც დონზე ჰქონდა რუსეთში საუკეთესო ნიადაგი კონტრრევოლუციისათვის და რომელმაც აგრეთვე აღიარა, რომ ხალხის უმრავლესობა მათი წინააღმდეგია, — და ამიტომ ბურჟუაზიის ვერავითარი ძირგამომთხრელი ხრიკები უცხოეთის ხიშტების დაუხმარებლად მათ ვერ უშველის. აქ კი ბოლშევიკებს თავს ესხმიან სამოქალაქო ომის გამო. ეს ნიშნავს გადასვლას კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მხარეზე, რანაირ ლოზუნგებსაც უნდა ეფარებოდნენ ამ გადასვლის დროს.

როგორც რევოლუციამდე, ისე ახლაც ჩვენ აღვნიშნავთ, რომ როდესაც საერთაშორისო კაპიტალი ისტორიის დღის წესრიგში აყენებს ომს, როდესაც იღუპებიან ასი ათასობით ადამიანები, როდესაც ომი ცვლის ზნეჩვეულებებს და ადამიანებს აჩვევს საკითხების სამხედრო ძალით გადაწყვეტას, ასეთ დროს იმის ფიქრი, რომ ომიდან გამოსვლა შეიძლება სხვანაირად, თუ არა მისი გადაქცევით სამოქალაქო ომად, — უცნაურზე უცნაურია. და ის, რაც მწიფდება ავსტრიაშიც, იტალიაშიც, გერმანიაშიც, გვიჩვენებს, რომ სამოქალაქო ომი იქ კიდევ უფრო მწვავე ნიშნებით მოხდება, კიდევ უფრო მძაფრი იქნება. სოციალიზმისათვის სხვა გზა არ არსებობს. ვინც სოციალიზმის წინააღმდეგ ომს ეწევა, იგი საკუთარ ღალატობს სოციალიზმს.

რაც შეეხება სასურსათო ღონისძიებებს, მე მიმითითებდნენ, რომ დაწვრილებით არ შევჩერდი ამ ღონისძიებებზე. მაგრამ ეს სრულიად არ შეადგენდა ჩემს ამოცანას. სასურსათო საკითხზე მოხსენება გააკეთეს ჩემმა ამხანაგებმა, რომლებიც სპეციალურად მუშაობდნენ ამ საკითხზე, და მუშაობდნენ არა თვეების, არამედ წლების განმავლობაში, სწავლობდნენ მას არა მარტო პიტერისა და მოსკოვის კანცელარიებში, არამედ ადგილებზედაც, და პრაქტიკულად სწავლობდნენ იმ საკითხს, თუ როგორ მოხდეს პურის შეგროვება, როგორ მოეწყოს შეგროვების პუნქტები და ა. შ.. ეს მოხსენებები იყო სრულიად რუსეთის ცაკსა და მოსკოვის

საბჭოში, და იქ არის მასალები ამ საკითხზე. რაც შეეხება საქმიან კრიტიკას და პრაქტიკულ მითითებებს, ისინი ჩემს ამოცანას არ შეადგენდნენ. ჩემი ამოცანა იყო პრინციპულად დამესურათებინა ის ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, და მე აქ არ მომისმენია რამდენადმე საყურადღებო კრიტიკა ან გონივრული შენიშვნა, რომლებიც პრინციპულ შეფასებას იმსახურებდნენ. დასასრულ ვიტყვი, ამხანაგებო, რომ ჩემი რწმენით, მე მჯერა, რომ ეს იქნება უდიდესი უმრავლესობის რწმენა, ვინაიდან ჩვენი კრების ამოცანა ის კი არაა, რომ განსაზღვრული რეზოლუცია მიიღოს, თუმცა, რა თქმა უნდა, ესეც მნიშვნელოვანია, რადგან ცხადყოფს, თუ როგორ შეუძლია პროლეტარიატს თავისი ძალების დარაზმვა, მაგრამ ეს ცოტაა, ეს უსასრულოდ ცოტაა: ჩვენ ახლა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა გვიხდება.

ჩვენ ვიცით, განსაკუთრებით ამხანაგმა მუშებმა იციან, თუ პრაქტიკული ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ქარხანაში, ყოველ კრებაზე, ქუჩაში მომხდარ ყოველ შემთხვევით თავშეყრაზე როგორ აყენებენ და უფრო მწვავედ სვამენ ისევ იმავე საკითხს შიმშილობის შესახებ. და ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ ეს კრებაც, სადაც ჩვენ შევიკრიბენით სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის დეპუტატთა საბჭოსა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლებთან ერთად, — რომ ისიც გახდეს ამოსავალი პუნქტი გადატრიალებისათვის მთელ ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში. ყოველივე დანარჩენი სავსებით უნდა დაექვემდებაროს იმას, რომ ჩვენი პროპაგანდა, აგიტაცია, ორგანული მუშაობა წარმატებითი იყოს, რომ პირველ რიგში სავსებით დაყენებულ იქნას შიმშილობასთან ბრძოლის საკითხი, რომ ის სავსებით იქნას შეერთებული კულაკებისა და სპეკულანტების წინააღმდეგ პროლეტარული და ულმობლად მტკიცე ომის საკითხთან.

ჩვენმა სასურსათო კომისარიატმა უკვე მიმართა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს, პროფესიულ კავშირებს და იმ დიდ პროლეტარულ ცენტრებს, სადაც ჩვენ უშუალოდ

მოქმედება გვიხდება, იმ მჭიდრო და მრავალრიცხოვან დამაკავშირებელ საშუალებებს, რომლებიც მოსკოვის მუშებს ერთიანებენ ყველა უდიდესი სამრეწველო რაიონის ფაბრიკა-ქარხნების ორგანიზებულ მუშათა ასეულ ათასებთან.

მით უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ ეს ჩვენ.

მდგომარეობა კრიზისულია. შიმშილი არათუ გვემუქრება, იგი უკვე მოვიდა. საჭიროა, რომ თვითეულმა მუშამ, თვითეულმა პარტიულმა მუშაკმა ახლავე პრაქტიკულად დაისახოს ამოცანად თავისი საქმიანობის ძირითადი მიმართულების შეცვლა.

ყველანი — ქარხნებში, ყველანი — მასებისაკენ, ყველანი პრაქტიკულად უნდა შეუდგნენ მუშაობას ახლავე! მუშაობა მოგვცემს ხერხებით ბევრად უფრო მდიდარ უამრავ პრაქტიკულ მითითებას, და ამასთანავე დასახავს და წამოაყენებს ახალ ძალებს. ამ ახალი ძალებით ჩვენ ფართოდ გავაჩაღებთ მუშაობას, და ჩვენ მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ წინანდელზე გაცილებით უფრო ძნელი სამი თვე სამსახურს გაგვიწევს იმისათვის, რომ ჩვენ ჩვენს ძალებს გამოვაწრთობთ, და ისინი მიგვიყვანენ შიმშილობაზე სრულ გამარჯვებამდე და გაგვიადვილებენ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ჯეგმის გატარებას. (ტ ა შ ი).

3

პროექტი რეზოლუციისა შიმშილობასთან ბრძოლის შესახებ წაკითხული მოხსენების გამო 1918 წ. 4 ივნისს[127]

გაერთიანებული სხდომა ყველა მუშისა და მშრომელი გლეხის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ჩვენი ქვეყნის მრავალ ადგილას დაწყებული შიმშილობა ჩვენგან მოითხოვს უბედურებასთან ბრძოლის უაღრესად გადამწყვეტ და მტკიცე ზომებს.

საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, მემამულეებს, კაპიტალისტებს, კულაკებს, მათ მრავალრიცხოვან დამქაშებთან ერთად, სურთ ეს უბედურება გამოიყენონ მღელვარებათა მოსაწყობად, ნგრევისა და უწესრიგობათა გასაძლიერებლად, საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, მშრომელთა კაბალისა და მონობის ძველებური წესების დასაბრუნებლად, მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების აღსადგენად, როგორც ეს მოხდა უკრაინაში.

მხოლოდ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მთელი ძალების უკიდურესად დაძაბვას შეუძლია იხსნას ჩვენი ქვეყანა შიმშილობისაგან და უზრუნველყოს რევოლუციის მონაპოვარნი ექსპლოატატორული კლასების მხრივ ხელყოფისაგან.

გაერთიანებული სხდომა უდავო და ერთადერთ სწორ პოლიტიკად სცნობს იმ მტკიცე პოლიტიკას შიმშილობასთან ბრძოლის საქმეში, რომელსაც დაადგა საბჭოთა ხელისუფლება.

მხოლოდ რკინისებურ რევოლუციურ წესრიგს ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით რკინიგზისა და წყლის

ტრანსპორტზე, მხოლოდ მუშათა რკინისებურ დისციპლინას, მხოლოდ მათ თავგანწირულ დახმარებას ბურჟუაზიის წინააღმდეგ, კულაკთა წინააღმდეგ აგიტატორთა და მეომართა რაზმებით, მხოლოდ სოფლის ღარიბთა დამოუკიდებლად ორგანიზაციას შეუძლიათ იხსნან ჩვენი ქვეყანა და რევოლუცია.

ასეთი მუშაობისაკენ, შეთანხმებული, გაერთიანებული, ნგრევის, უწესრიგობისა და დაქსაქსული მოქმედების დამამარცხებელი მუშაობისაკენ დაბეჯითებით მოუწოდებს გაერთიანებული სხდომა ყველა მუშასა და გლეხს.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე[128] 1918 წ. 5 ივნისს

მოკლე საოქმო ჩანაწერი

(ყ რ ი ლ ო ბ ა ლ ე ნ ი ნ ს ხ ვ დ ე ბ ა მ ქ უ ხ ა რ ე ო ვ ა ც ი ე ბ ი თ). ლენინი ყრილობას მიესალმება სახალხო კომისართა საბჭოს სახელით და ამბობს, რომ მასწავლებლობა, რომელიც წინათ ნელა გადადიოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობაზე, ახლა სულ უფრო მეტად რწმუნდება იმაში, რომ ეს ერთობლივი მუშაობა აუცილებლად საჭიროა. ამგვარი გარდაქმნები საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეებიდან მის მომხრეებად მეტად მრავალრიცხოვანია საზოგადოების სხვა ფენებშიც.

მასწავლებელთა არმიამ უნდა დაისახოს უზარმაზარი საგანმანათლებლო ამოცანები და უწინარეს ყოვლისა ის უნდა გახდეს სოციალისტური განათლების მთავარი არმია. ცხოვრება, ცოდნა უნდა გავათავისუფლოთ კაპიტალისადმი მორჩილებისაგან, ბურჟუაზიის უღლისაგან. არ შეიძლება თავი შემოვიფარგლოთ ვიწრო სამასწავლებლო მოღვაწეობის ჩარჩოებით. მასწავლებლობა უნდა გაერთიანდეს მშრომელთა მთელ მებრძოლ მასასთან. ახალი პედაგოგიკის ამოცანაა დაუკავშიროს სამასწავლებლო მოღვაწეობა საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციის ამოცანას.

უნდა ითქვას, რომ ძველი რუსეთის ინტელიგენციის მთავარი მასა საბჭოთა ხელისუფლების პირდაპირი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, და ეჭვი არ არის, რომ ამ გარემოებით შექმნილ სიძნელეთა გადალახვა ადვილი არ იქნება. დუღილის პროცესი მასწავლებელთა ფართო მასაში მხოლოდ ახლა

იწყება, და ჭეშმარიტი სახალხო მასწავლებლები სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის ჩარჩოებში კი არ უნდა ჩაიკეტონ, არამედ დარწმუნებით გავიდნენ მასებში პროპაგანდის გასაწევად. ეს გზა მიგვიყვანს პროლეტარიატისა და მასწავლებლობის ერთობლივ ბრძოლამდე სოციალიზმის გამარჯვებისათვის. (მთელი დარბაზის ტაშისცემაში ლენინი სტოვებს კრებას).

საგაზეთო ანგარიში გამოქვეყნდა 1918 წ. 6 ივნისს სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» № 114

იბეჭდება «სრულიად რუსეთის მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა კავშირის კრებულის» — № 1, 1918, — ტექსტის მიხედვით

დეპეშა ი. ბ. სტალინს

ცარიცინი

სახალხო კომისრებს სტალინს და შლიაპნიკოვს

მივიღე მესამე დეპეშა და სტალინის ბარათი[129]. ვღებულობთ ყველა ზომას. ციურუპა ამბობს, რომ ფულს უსათუოდ გამოგზავნიან ხვალ, საქონლის დატვირთვის ბრძანება კი დღესვე გაიცა. გზავნეთ სამარშრუტო მატარებლები სამმაგი დაცვით. მესაბოტაჟენი და ხულიგნები დააპატიმრეთ და გზავნეთ ჩვენთან.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უგვიანეს
1918 წ. 11 ივნისისა

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის კრებულში XVIII

იბეჭდება ხელნაწერის
ტექსტის მიხედვით

სასურსათო რაზმების შესახებ [130]

სიტყვა მოსკოვის მუშათა კრებებზე
1918 წ. 20 ივნისს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

მოსკოვის მუშათა უბნების ჩამოვლიდან მე გამოვიტანე მტკიცე რწმენა, რომ მთელი მუშათა მასები განიმსჭვალენ სასურსათო რაზმების შექმნის აუცილებლობის აზრით. «უნდობლობას» იჩენენ მხოლოდ მბეჭდავები, რომლებიც ჩვეულებრივ უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე დანარჩენი მუშები, ბურჟუაზიის ხარჯზე, რომელიც სწამლავს ღარიბებს თავისი საგაზეთო ცილისწამებით. მუშათა ფართო მასის შეგნებული დამოკიდებულება რუსეთის რევოლუციის ისეთი ძირითადი საკითხისადმი, როგორიც შიმშილთან ბრძოლაა, მაფიქრებინებს, რომ სოციალისტური რუსეთი კარგად გადაიტანს ყველა დროებითს წარუმატებლობას და ძველი რეჟიმის ნგრევას. თუნდაც რომ ვერ მოვახერხოთ და სწრაფად ვერ მოვუღოთ ბოლო ჩეხ-სლოვაკებს (რაც ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელია), მაინც პურის დიდი მარაგი, რომელიც გადამალული აქვთ კულაკებს ვორონეჟის, ორიოლისა და ტამბოვის გუბერნიებში, შესაძლებლობას მოგვცემს გადავიტანოთ უკანასკნელი ორი მძიმე თვე ახალ მოსავლამდე. სურსათის საკითხი — ჩვენი რევოლუციის ყველაზე მტკივნეული საკითხია. უკლებლივ ყველა მუშამ უნდა შეიგნოს, რომ პურისთვის ბრძოლა — ეს მათი საქმეა.

სასურსათო რაზმები თავიანთ ამოცანად ისახავენ მხოლოდ დაეხმარონ ზედმეტი პურის შეგროვებას კულაკებისაგან, და არა მოახდინონ (როგორც ჩვენი მტრები ცდილობენ წინასწარ დააშინონ ამით სოფელი) იქ ყველას და ყოველივეს

რაღაც ძარცვა-გლეჯა... პურისათვის აუცილებლად გაიცემა მანუფაქტურა, ძაფი და საოჯახო და სასოფლო-სამეურნეო საჭიროების საგნები.

საქმე ისე მოეწყობა, რომ სოფლად გასაგზავნ რაზმებს ვერ მიეტმასნონ ხულიგნები და ბაცაცები, რომელნიც ყოველთვის ცდილობენ მღვრიე წყალში თევზის დაჭერას. სჯობს გავგზავნოთ იქ ნაკლები ხალხი, მაგრამ ისეთები, რომ ისინი საამისოდ შესაფერისი იყვნენ.

მართალია, იყო შემთხვევები, როცა რაზმებში მოხვდნენ არამტკიცე, სულმდაბალი მუშები, რომლებსაც კულაკები არყით ქრთამავდნენ. მაგრამ ამას ყურადღება მიექცა... თვითეული მუშის შესახებ, რომელიც რაზმთან მიდის, აუცილებლად საჭიროა გვქონდეს ზუსტი ცნობები მის წარსულზე. საჭიროა გავიგოთ საქარხნო კომიტეტში, პროფესიულ კავშირში, აგრეთვე პარტიულ უჯრედებშიც — რას წარმოადგენს ის კაცი, რომელსაც მუშათა კლასი ასეთ დიდმნიშვნელოვან საქმეს ანდობს.

ბევრ ქარხანაში პარტიულ ამხანაგებს არ უნდათ რაზმში მიიღონ «უპარტიოები». ეს — სულ ტყუილუბრალოდ. «უპარტიო», მაგრამ სავსებით პატიოსანი კაცი, რომელიც არაფერ ცუდში შემჩნეული არ ყოფილა, შეიძლება მეტად ძვირფასი ამხანაგი გამოდგეს მშიერთა ლაშქრობაში პურისათვის.

აი ასეთ შეგნებულ რაზმებს სახალხო კომისართა საბჭო უაღრესად ფართო დახმარებას აღმოუჩენს როგორც ფულით, მანუფაქტურით, — ისე იარაღითაც.

ოღონდ მთავარია, რომ მუშებმა აქტიურად და რაც შეიძლება ჩქარა მოკიდონ ხელი თავიანთ სისხლხორცეულ საქმეს — შიმშილთან ბრძოლას!..

«ბედნოტა» № 69,
1918 წ. 21 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ბედნოტის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა მიტინგზე სოკოლნიკის კლუბში 1918 წ. 21 ივნისს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ჩვენმა პარტიამ მიზნად დაისახა მოაწყოს დღეს მოსკოვში რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მიტინგები იმისათვის, რომ მუშათა კლასის ყურადღება მიაქციოს იმ მდგომარეობას, რომელშიაც საბჭოთა ხელისუფლება იმყოფება, და რა ღონისძიებანი სჭირდება მას შექმნილ მდგომარეობაზე გამარჯვებისათვის.

თქვენ იცით, როგორ წამოყო თავი უკანასკნელ თვეებსა და კვირეებშიც კი კონტრრევოლუციამ. მემარჯვენე ესერები და მენშევიკები საბჭოთა ხელისუფლებას ბრალს დებენ იმაში, რომ მან უღალატა და ღალატობს რუსეთს გერმანიის იმპერიალიზმის სასარგებლოდ.

მაგრამ ჩვენ კარგად ვხედავდით, რა ხდებოდა და რა ხდება კავკასიაში, სადაც კავკასიელმა მენშევიკებმა კავშირი შეკრეს თურქეთის იმპერიალიზმთან, და უკრაინაში, სადაც უკრაინელმა მემარჯვენე ესერებმა კავშირი შეკრეს გერმანიის იმპერიალიზმთან. ის კიდევ ცოტაა, ამხანაგებო, რომ იქ არარაობამდეა დაყვანილი საბჭოთა ხელისუფლების ყველა მონაპოვარი, რომ იქ აპატიმრებენ და ხვრეტენ მუშებს, რომ იქ წართმეულია მათი ყველა მონაპოვარი, — იქ მათ დასვეს სკოროპადსკი. ყველა ამ მათ ღონისძიებას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია მათ მუშათა კლასის სიმპათიები მოუპოვოს. აი რატომ ებღაუჭება ახლანდელ მომენტში კონტრრევოლუცია რუსი ხალხის დაღლილობას, შიმშილს. იგი უკანასკნელ ცდებს მიმართავს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

ახლა ისინი ჩაებღაუჭნენ ჩეხ-სლოვაკებს, რომლებიც, უნდა ითქვას, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სრულიადაც არ მიდიან. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიდიან არა ჩეხ-სლოვაკები, არამედ მათი კონტრრევოლუციური ოფიცერთა შემადგენლობა. იმპერიალიზმი, ამ შემადგენლობის დახმარებით, ესწრაფვის ჩაითრიოს რუსეთი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტაში, რომელიც გრძელდება.

და დამახასიათებელია ის, რომ როგორც კი ხელისუფლება სადმე მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების ხელში გადადის, მაშინვე აღმოჩნდება ხოლმე, რომ მათ უნდათ გაგვაბედნიერონ რომელიმე სკოროპადსკით. და, როგორც კი მასები რწმუნდებიან, თუ სად მიიყვანეს ისინი მენშევიკებმა და მემარჯვენე ესერებმა, ეს უკანასკნელნი მასების მხარდაჭერას მოკლებულნი რჩებიან.

მათ სტოვებენ. მაშინ ისინი, როგორც უკანასკნელ იმედს, მიმართავენ შიმშილობით სპეკულაციას, ხოლო როდესაც არც ეს გამოდის, ისინი არ თაკილობენ ისეთ ხერხებს, როგორიცაა საფრიდან მკვლელობა.

თქვენ ყველამ იცით, რომ მოკლეს ძველი მუშაკი, რომელმაც თავისი რწმენისათვის ტანჯვა-წამება და გაჭირვება გადაიტანა, ამხანაგი ვოლოდარსკი[131]. რა თქმა უნდა, შესაძლოა, მათ კიდევ მოახერხონ საბჭოთა ხელისუფლების რამდენიმე აქტიური მოღვაწის მოკვლა, მაგრამ ეს მხოლოდ განამტკიცებს ამ ხელისუფლებას მასებში და წინ წაგვწევს იმისკენ, რომ კიდევ უფრო მაგრად გვეჭიროს ხელში ჩვენი მონაპოვრები.

ამჟამად ორი გარემოება აყენებს საბჭოთა რესპუბლიკას განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში: შიმშილობა და საერთაშორისო ვითარება.

საერთაშორისო მდგომარეობა მძიმეა იმიტომ, რომ გერმანიის, საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალიზმი მომენტს ელოდება, რათა კვლავ და კვლავ ეკვეთოს საბჭოთა რესპუბლიკას. ჩვენი პარტიის ამოცანას წარმოადგენს კაპიტალიზმის უღლის დამხობა; ეს დამხობა შეიძლება მოხდეს მხოლოდ

მარტოოდენ საერთაშორისო რევოლუციის დროს. მაგრამ, ამხანაგებო, თქვენ უნდა შეიგნოთ, რომ რევოლუციები შეკვეთით არ ხდება. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ რუსეთის რესპუბლიკის მდგომარეობა ისეთი შეიქმნა, რომ რუსეთის მუშათა კლასმა პირველმა მოახერხა კაპიტალისა და ბურჟუაზიის უღლის დამხობა, და ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ეს მოხერხდა არა იმიტომ, რომ ის უფრო განვითარებული და იდეალურია, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა ყველაზე უფრო ჩამორჩენილია.

კაპიტალიზმი საბოლოოდ დამხობილ იქნება მაშინ, როდესაც ამ გულისწადილში შეერთდება, სულ ცოტა, რამდენიმე ქვეყანა მაინც. და ჩვენ ვიცით, რომ ყველა ქვეყანაში, მიუხედავად ცენზურის მთელი სიმკაცრისა, ჩვენ მოვახერხეთ იმის მიღწევა, რომ ყველა კრებაზე კომუნისტების პარტიის და რუსეთის რესპუბლიკის სახელის ხსენება ენთუზიაზმის აფეთქებებს იწვევს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

და ვიდრე იქ, დასავლეთში, მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა წარმოებს, ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ. რა შედეგებიც უნდა მოყვეს ომს, ის აუცილებლად გამოიწვევს რევოლუციას, რომელიც ჩვენი მოკავშირე იქნება და არის.

დაახასიათა რა მძიმე მდგომარეობა საბჭოთა რუსეთისა, რომელიც გარშემორტყმულია მტრებით გარედან და განიცდის კონტრრევოლუციის შემოტევას შიგნიდან, ლენინი გადადის შიმშილობის საკითხზე.

ჩვენი რევოლუცია ძრწოლას ჰგვრის იმპერიალისტურ კლასებს, რომელთაც ნათლად აქვთ შეგნებული, რომ მათი არსებობა დამოკიდებულია იმაზე, გადარჩება მათი კაპიტალი თუ არა, ხოლო ამიტომ ჩვენ უნდა დავრჩეთ და ხელიხელჩაკიდებული ვიაროთ იმ კლასთან, რომელთანაც ერთად ვჭედდით ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრებს.

შიმშილობის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ იმავე კლასთან ერთად მივდივართ.

ახლა ერთ, ერთნახევარ თუ ორ თვეს — ყველაზე ძნელ თვეებს — უნდა მოვახმაროთ მთელი ძალები და მთელი ენერგია.

ხალხთა ცხოვრებაში ყოფილა მომენტები, როდესაც სახელმწიფო ძალაუფლება მუშათა კლასის ხელში გადადიოდა, მაგრამ ამ კლასს მისი შენარჩუნების ძალა არ შესწევდა. ჩვენ კი შეგვიძლია ეს გავაკეთოთ, იმიტომ რომ ჩვენ გვაქვს საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც აერთიანებს მუშათა კლასს, თავის საქმეს რომ ხელი მოჰკიდა.

რა მძიმეც უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა, რა შეთქმულებებსაც უნდა აწყობდნენ მემარჯვენე ესერები ჩეხ-სლოვაკებთან ერთად, ჩვენ ვიცით, რომ პური არის იმ გუბერნიებშიც კი, რომლებიც გარს არტყიან ცენტრს. და ეს პური უნდა ავიღოთ, შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მუშათა კლასის კავშირი ღარიბ გლეხობასთან.

წითელარმიელთა რაზმები ცენტრიდან საუკეთესო მისწრაფებებით მიდიან, მაგრამ ზოგჯერ, ადგილზე ჩასვლის შემდეგ, მათ ძარცვისა და ლოთობის ცთუნება იპყრობთ. ამაში დამნაშავეა ოთხი წლის ხოცვა-ჟლეტა, რომელმაც დიდი ხნით ჩასვა ადამიანები სანგრებში და აიძულა ისინი, გამხეცებულნი, ერთიმეორე ჟლიტონ. ამ გამხეცებას ადგილი აქვს ყველა ქვეყანაში. წლები გაივლის, ვიდრე ადამიანები მხეცები აღარ იქნებიან და ადამიანურ სახეს მიიღებენ.

ჩვენ მივმართავთ მუშებს მოწოდებით — მოგვცენ თავიანთი ძალები.

როდესაც მე ვკითხულობ ცნობას, რომ ტამბოვის გუბერნიის უსმანის მაზრაში სასურსათო რაზმი რეკვიზირებული 6 ათასი ფუთი პურიდან 3 ათასს უღარიბეს გლეხობას აძლევს, მე ვამბობ: კიდევაც რომ დაემტკიცებინათ ჩემთვის, რომ დღემდე რუსეთში მხოლოდ ერთი ასეთი რაზმია, მე მაინც ვიტყოდი, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავის საქმეს აკეთებს. ვინაიდან არც ერთ სახელმწიფოში ასეთი რაზმი არ არის! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

ბურჟუაზიას კარგადა აქვს შეგნებული თავისი ინტერესები და ყოველივე შესაძლებელს აკეთებს მათ უზრუნველსაყოფად. მას შეგნებული აქვს, რომ თუ გლეხები მრავალი საუკუნის შემდეგ ამ შემოდგომაზე პირველად მიიღებენ საკუთარი შრომის ნაყოფს მომკილის სახით და უზრუნველყოფენ ქალაქის მშრომელ კლასს, მაშინ ბურჟუაზიას რესტავრაციის ყველა იმედი გაუცრუვდება და საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდება. სწორედ ამიტომ ბურჟუაზია ახლა აქეთ-იქით აწყდება.

აუცილებელია მთელი ძალების დაძაბვა ბობოლა გლეხებთან, სპეკულანტებთან და ქალაქის ბურჟუაზიასთან საბრძოლველად.

ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტება — ესაა გაუბედაობა ჩვენი მუშებისა, რომელნიც დღემდე დარწმუნებული არიან, რომ სახელმწიფოს მართვა შეუძლიათ მხოლოდ «მაღალ პირთ»... ძარცვის დარგში.

მაგრამ თვითეულ ფაბრიკაში, თვითეულ ქარხანაში არიან კარგი მუშაკები. დაე ისინი უპარტიონი იყვნენ, — თქვენ ისინი უნდა გამოსჭედოთ და გააერთიანოთ, სახელმწიფო კი ყოველივე შესაძლებელს გააკეთებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი ძნელი მუშაობა. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტია» №№ 127 და 128; 1918 წ. 22 და 23 ივნისი «პრავდა» № 126, 1918 წ. 23 ივნისი

იბეჭდება სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთ «იზვესტიის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია გაზეთ «პრავდის» ტექსტთან

დეპეშა სასურსათო რაზმების ორგანიზაციის შესახებ [132]

ვინაიდან უკვე დაგვიანებულია ყრილობაზე სასურსათო კომისარიატის დელეგატის ჩამოსვლა, გთხოვთ აცნობოთ ყრილობას შემდეგი: ყრილობის წევრებს, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების მომხრენი არიან, უნდა ახსოვდეთ, ჯერ-ერთი, ის, რომ პურის მონოპოლია ხორციელდება მანუფაქტურისა და მოხმარების სხვა უმთავრესი პროდუქტების მონოპოლიის ერთდროულად; მეორე, რომ პურის მონოპოლიის გაუქმების მოთხოვნა არის კონტრრევოლუციური ფენების პოლიტიკური ნაბიჯი, რომლებიც ცდილობენ რევოლუციურ პროლეტარიატს ხელიდან გამოსტაცონ ფასების მონოპოლიური რეგულირების სისტემა, როგორც კაპიტალისტურ საქონელცვლიდან სოციალისტურ პროდუქტცვლაზე თანდათან გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება. განუმარტეთ ყრილობას, რომ შიმშილობასთან საბრძოლველად მონოპოლიის გაუქმება არათუ უმიზნოა, არამედ მავნეც არის. ამის მაგალითს წარმოადგენს უკრაინა. სადაც სკოროპადსკიმ გააუქმა პურის მონოპოლია, რის შედეგად, რამდენიმე დღის შემდეგ, პურის სპეკულაციამ ისეთ გაუგონარ ფარგლებს მიაღწია, რომ უკრაინის პროლეტარიატი ახლა უფრო მეტად შიმშილობს, ვიდრე მონოპოლიის დროს.

აღნიშნეთ, რომ პურის ულუფის გადიდების ერთადერთ საიმედო საშუალებას წარმოადგენს სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება — მოხდეს კულაკების პურის ძალით რეკვიზირება და იგი ქალაქისა და სოფლის ღარიბებს მიეცეს. ამისათვის

საჭიროა, რომ ღარიბები უფრო დაჩქარებით და უფრო მტკიცედ შედიოდნენ სასურსათო არმიის რიგებში, რომელსაც სასურსათო სახალხო კომისარიატი ქმნის.

წინადადება მიეცით ყრილობას დაუყოვნებლივ დაიწყონ აგიტაცია მუშებში, რათა ისინი ჩაეწერონ სასურსათო არმიაში პენზის დეპუტატთა საბჭოსთან და დაიცვან შემდეგი წესები: 1) თვითეული ფაბრიკა იძლევა თითო კაცს ყოველ 25 მუშაზე; 2) სასურსათო არმიაში შესვლის მსურველთა ჩაწერას აწარმოებს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი, რომელიც ადგენს მობილიზებულთა სახელობითს სიას ორ ცალად: ერთს უგზავნის სასურსათო სახალხო კომისარიატს, მეორეს კი თვითონ იტოვებს; 3) სიას უნდა დაერთოს თავდებობა თვითეული კანდიდატის პირადი კეთილსინდისიერებისა და რევოლუციური დისციპლინირების შესახებ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის ან პროფესიული ორგანიზაციის, ან საბჭოთა ორგანოს, ან საბჭოთა დაწესებულებების პასუხისმგებელ წარმომადგენელთა მხრით. სასურსათო არმიის წევრთა არჩევა უნდა მოხდეს იმ ვარაუდით, რომ შემდეგ არც ერთი მცირე ლაქაც კი არ აღმოჩნდეს იმათ სახელზე, ვინც წავა სოფლად, რათა ებრძოლოს ერთ მუჭა მტაცებელ კულაკებს შიმშილობისაგან მრავალმილიონიან მშრომელთა მასების გადასარჩენად.

ამხანაგო მუშებო, მხოლოდ ამ პირობით იქნება ყველასათვის ცხადი, რომ კულაკებისაგან პურის რეკვიზიცია ძარცვა კი არაა, არამედ რევოლუციური მოვალეობაა იმ მუშურ-გლეხური მასების წინაშე, რომელნიც სოციალიზმისათვის იბრძვიან!

4) მობილიზებულნი თვითეულ ფაბრიკაში თავიანთი წრიდან არჩევენ წარმომადგენელს, რომელიც დგამს ყოველ-გვარ ორგანიზაციულ ნაბიჯს, რათა ფაბრიკის მიერ წამოყენებული კანდიდატები სახალხო კომისარიატმა ფაქტიურად ჩარიცხოს სასურსათო არმიის წევრებად; 5) არმიაში ჩარიცხულნი იღებენ თავიანთ წინანდელ ჯამაგირს, აგრეთვე საჭმელ-სასმელსა და ტანსაცმელს არმიაში ფაქტიურად შეს-

ვლის დღიდან; 6) არმიაში ჩარიცხულნი ვალდებულებას კისრულობენ სიტყვაშეუბრუნებლივ შეასრულონ ინსტრუქციები, რომლებსაც სასურსათო სახალხო კომისარიატი მისცემს რაზმებს ადგილებზე გაგზავნის დროს, და ემორჩილებიან ამ რაზმების კომისრებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ სარეკვიზიციო სასურსათო რაზმებს სათავეში ჩავუყენებთ რწმენით აღსავსე, ოქტომბრის რევოლუციისადმი ერთგულ სოციალისტებს, ისინი მოახერხებენ სოფლად ღარიბთა კომიტეტების მოწყობას და მათთან ერთად შეძლებენ ჩამოართვან პური კულაკებს შეიარაღებული ძალის გამოუყენებლადაც კი.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

1918 წლის 27 ივნისი.

დაიბეჭდა 1918 წ. ივლისს
ჟურნალში «სურსათის სახალხო
კომისარიატის უწყებები» № 10—11

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის
მიხედვით

მოსკოვის პროფესიული კავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების IV კონფერენცია [133]

1918 წ. 27 ივნისი — 2 ივლისი

მოკლე ანგარიშები გამოქვეყნდა 1918 წ. 28 ივნისს გაზეთებში: «პრავდა» № 130 და სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტია» № 132

მთლიანად დაიბეჭდა 1918 წ. წიგნში: «ქ. მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების IV კონფერენციის ოქმები». სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს გამოცემა

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან

1

მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ 1918 წ. 27 ივნისს

ამხანაგებო! რასაკვირველია, თქვენ ყველამ იცით, როგორ მოადგა კარს ამჟამად ჩვენს ქვეყანას უდიდესი უბედურება — შიმშილობა. ჩვენ გვიხდება მანამ, სანამ გადავიდოდეთ ამ უბედურებასთან ბრძოლის ღონისძიებათა საკითხზე, რომელიც სწორედ ახლა გამწვავდა ყველაზე მეტად, ჩვენ გვიხდება უწინარეს ყოვლისა იმ საკითხის დაყენება, თუ რა არის ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც ეს უბედურება გამოიწვია. თუ ჩვენ ამ საკითხს ვაყენებთ, მაშინ ჩვენს თავს უნდა ვუთხრათ და დავიხსომოთ, რომ ეს უბედურება კარს მიადგა ახლა არა მარტო რუსეთს, არამედ ყველა, უაღრესად კულტურულ, მოწინავე, ცივილიზებულ ქვეყნებსაც კი.

რუსეთში მთელი რიგი უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, მეტადრე ახლა, რევოლუციის დროს, არა ერთხელ ყოფილა, რომ შიმშილობა თავს ატყდებოდა ჩვენი სამიწათმოქმედო ქვეყნის მთელ რიგ ოლქებს, სადაც რუსი გლეხობის უდიდესი უმრავლესობა გაპარტახებული და ჩახშობილი იყო მეფეთა, მემამულეთა და კაპიტალისტთა მხრივ ჩაგვრით. მაგრამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც იგივე უბედურება მეფობს. ამ ქვეყნებიდან ბევრს არათუ ათწლეულთა, არამედ საუკუნეთა განმავლობაშიც კი უკვე გადაავიწყდა, თუ რა არის შიმშილობა, იმდენად ძლიერ განვითარდა იქ მიწათმოქმედება, იმდენად უზრუნველყოფილი იყვნენ შეზიდული პურის უდიდესი რაოდენობით ევროპის ის

ქვეყნები, რომელთაც თავიანთი საკუთარი პური არ ყოფნიდათ. ახლა კი, მეოცე საუკუნეში, ტექნიკის კიდევ უფრო დიდ პროგრესთან ერთად, გამოგონებათა სასწაულებთან ერთად, მიწათმოქმედებაში მანქანების და ელექტრონის, შიდაწვის ახალი ძრავების უდიდეს გამოყენებასთან ერთად, — ყოველივე ამასთან ერთად, ევროპის გამოუკლებლივ ყველა ქვეყანაში, ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ ხალხებს კარს მისდგომია იგივე უბედურება—შიმშილი. ცივილიზაციით, კულტურით აღჭურვილი ქვეყნები თითქოს კვლავ უბრუნდებიან პირველყოფილ ბარბაროსობას, კვლავ განიცდიან ისეთ მდგომარეობას, როდესაც ზნე-ჩვეულება ველურდება, ადამიანები მხეცდებიან ლუკმა-პურისათვის ბრძოლაში. რამ გამოიწვია ეს ბარბაროსობისაკენ მობრუნება ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, მათ უმეტეს ნაწილში? ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს გამოიწვია იმპერიალისტურმა ომმა, იმ ომმა, რომელიც უკვე ოთხი წელია აწამებს კაცობრიობას, რომელიც ხალხებს უკვე ათ მილიონზე მეტი, გაცილებით მეტი ახალგაზრდის სიცოცხლედ ულირთ, ომმა, რომელიც გამოიწვიეს ანგარებიანმა კაპიტალისტებმა, ომმა, რომელიც წარმოებს იმისათვის, თუ ვინ, რომელი უდიდესი მტაცებელი — ინგლისელი თუ გერმანელი — იბატონებს მსოფლიოზე, შეიძენს კოლონიებს, ჩაახრჩობს პატარა ხალხებს.

ამ ომმა, რომელიც თითქმის მთელ დედამიწას მოედო, რომელმაც არა ნაკლებ ათი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მილიონობით დამახინჯებულთ, დასახიჩრებულთ და დაავადმყოფებულთ თუ არ ჩავთვლით, ომმა, რომელმაც, გარდა ამისა, მილიონობით ყველაზე ჯანმრთელი და საუკეთესო ძალები მოწყვიტა ნაყოფიერ შრომას, — ამ ომმა იქამდე მიგვიყვანა, რომ კაცობრიობა ახლა სრული ბარბაროსობის მდგომარეობაში იმყოფება. აღსრულდა ის, რასაც წინდაწინვე სჭვრეტდნენ, როგორც კაპიტალიზმის ყველაზე უარეს, ყველაზე მტანჯველ, ყველაზე მძიმე დასასრულს, სოციალისტური მიმართულების მრავალრიცხოვანი მწერლები, რომლებიც ამბობდნენ: **კაპიტალისტური საზოგადოება,**

რომელიც ერთი მუჭა კაპიტალისტების, მონოპოლისტების მიერ კერძო საკუთრების, მიწის, ფაბრიკების, ქარხნებისა და იარაღების ხელში ჩაგდებაზეა დამყარებული, გადაიქცევა სოციალისტურ საზოგადოებად, რომელსაც მხოლოდ ერთადერთს შეუძლია ბოლო მოუღოს ომს, ვინაიდან «ცივილიზებული», «კულტურული», კაპიტალისტური მსოფლიო მიექანება გაუგონარი კრახისაკენ, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს და აუცილებლივ დაარღვევს კულტურული ცხოვრების ყველა საფუძველს. ვიმეორებ, არა მარტო რუსეთში, არამედ ყველაზე კულტურულ მოწინავე ქვეყნებშიც კი, როგორიცაა გერმანია, რომელშიც შრომის ნაყოფიერება შეუდარებლად უფრო მაღლა დგას, რომელსაც უდიდესი სიჭარბით შეუძლია მოამარაგოს მსოფლიო ტექნიკური საშუალებებით და, გარდა ამისა, შორეულ ქვეყნებთან თავისუფლად იქონიოს ურთიერთობა და მოამარაგოს მოსახლეობა კვების პროდუქტებით, ჩვენ ვხედავთ შიმშილობას, გაცილებით უკეთ ორგანიზებულს და უფრო დიდი ხნისთვის გაჭიანურებულს, ვიდრე რუსეთში, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე, კიდევ უფრო მტანჯველ შიმშილობას. კაპიტალიზმმა ისეთ მძიმე და მტანჯველ კრახამდე მიგვიყვანა, რომ ახლა ყველასათვის სავსებით ცხადია, რომ ახლანდელი ომი არ შეიძლება არ დამთავრდეს მთელი რიგი უაღრესად მძიმე და უაღრესად სისხლიანი რევოლუციებით, რომელთაგან რუსეთის რევოლუცია მხოლოდ პირველი იყო, მხოლოდ დასაწყისს წარმოადგენდა.

ახლა თქვენ გესმით ცნობები იმის შესახებ, რომ, მაგალითად, ვენაში მეორედ არსდება მუშათა დეპუტატების საბჭო, ხელმეორედ ედება მშრომელ მოსახლეობას თითქმის საყოველთაო მასობრივი გაფიცვა[134]. ჩვენ ვტყობილობთ, რომ იმ ქალაქებში, რომლებიც, ბერლინის მსგავსად, აქამდე კაპიტალისტური წესრიგის, კულტურისა და ცივილიზაციის ნიმუშად ითვლებოდნენ, საშიში ხდება სიბნელეში ქუჩაში გასვლა, იმიტომ რომ, დევნის უმკაცრესი ზომებისა და უსასტიკესი დაცვის მიუხედავად, ომმა და შიმშილმა იქაც მიიყვანა ხალხი სრული ველურობის მდგომარეობამდე, მიიყვანა

ისეთ ანარქიამდე, ისეთ აღშფოთებამდე, რომ არათუ პურის გაყიდვა, არამედ პირდაპირ ძარცვა, პირდაპირ ომი ლუკმა პურისათვის ყველა კულტურული, ცივილიზებული სახელმწიფოს დღის წესრიგში დგება.

ამხანაგებო, თუ ამის გამო ახლა ჩვენში, ჩვენს სამშობლოში ვხედავთ, რა მტანჯველი, მძიმე მდგომარეობა შეიქმნა შიმშილობასთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა განვუმარტოთ იმ მცირერიცხოვან, სრულიად ბრმა, ბნელ ადამიანებს, რომელნიც ჯერ კიდევ მაინც მოიპოვებიან, შიმშილობის ძირითადი და მთავარი მიზეზები. ჩვენში ჯერ კიდევ შეიძლება შეხვდეთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც მსჯელობენ: მეფის დროს პური მაინც იყო, ხოლო მოვიდა რევოლუცია — და პურიც აღარ არისო. და გასაგებია, რომ, შეიძლება, მართლაც, რომელიმე სოფლელი დედაბრისათვის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ისტორიის მთელი განვითარება იმას ნიშნავდეს, რომ წინათ პური იყო, ახლა კი აღარ არის. ეს გასაგებია, იმიტომ რომ შიმშილობა ისეთი უბედურებაა, რომელიც ყველა დანარჩენ საკითხს სპობს, განზე აგდებს და მხოლოდ მას დებს ქვაკუთხედად და ყოველივე დანარჩენს მას უმორჩილებს. მაგრამ გასაგებია, რომ ჩვენი ამოცანა, შეგნებულ მუშათა ამოცანა ის არის, რომ განვუმარტოთ რაც შეიძლება ფართო მასებს, განვუმარტოთ როგორც ქალაქის, ისე სოფლის მშრომელთა მასების უკლებლივ ყველა წარმომადგენელს, თუ სად მოჩანს შიმშილობის ძირითადი მიზეზი, იმიტომ რომ, თუ ამას არ განვუმარტავთ, ისე ვერც ჩვენში და ვერც მშრომელი მასების წარმომადგენლებში ვერ შევქმნით სწორ დამოკიდებულებას, ვერ შევქმნით მისი ზიანის სწორ შეგნებას, ვერ შევქმნით მტკიცე გადაწყვეტილებას და განწყობილებას, რომელიც აუცილებელია ამ უბედურებასთან ბრძოლისათვის. ხოლო თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ ეს უბედურება შექმნა იმპერიალისტურმა ომმა, რომ ახლა უმდიდრესი ქვეყნებიც კი განიცდიან გაუგონარ შიმშილობას და მშრომელი მასების უდიდესი უმრავლესობა უზომოდ იტანჯება, თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ ეს იმპერიალისტური

ომი უკვე ოთხი წელია აიძულებს სხვადასხვა ქვეყნის მუშებს სისხლი ღვარონ კაპიტალისტთა მოგებისა და ანგარებების გულისთვის, თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ, რაც უფრო ჭიანურდება ეს ომი, მით უფრო ნაკლებია გამოსავალი იქიდან, მაშინ ჩვენ გავიგებთ, თუ რამდენად ბუმბერაზული, განუზომელი ძალა უნდა მიეცეს მოძრაობას.

მალე უკვე ოთხი წელი შესრულდება, რაც ომი გრძელდება. რუსეთი გამოვიდა ომიდან და, იმის მეოხებით, რომ იგი მარტო გამოვიდა, იგი აღმოჩნდა იმპერიალისტურ მტაცებელთა ორ გუნდს შუა, რომელთაგან თვითეული გლეჯს, ახრჩობს მას და სარგებლობს რუსეთის დროებითი უმწეობითა და უიარაღობით. ომი უკვე ოთხი წელია ჭიანურდება. გერმანელმა იმპერიალისტურმა მტაცებლებმა რამდენჯერმე გაიმარჯვეს და განაგრძობენ თავიანთი მუშების მოტყუებას, რომელთა ნაწილი ბურჟუაზიამ მოისყიდა, ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა, სამშობლოს დაცვის შესახებ საზიზღარ სისხლიან სიცრუეს იმეორებს, რადგან ნამდვილად გერმანელი ჯარისკაცები იცავენ ანგარებიან, მძარცველურ ინტერესებს გერმანელი კაპიტალისტებისას, რომელნიც მათ პირდებიან, რომ გერმანია მშვიდობას მოუტანს, კეთილდღეობას მისცემს; ჩვენ კი საქმით ვხედავთ, რომ გერმანიის გამარჯვებანი, რაც უფრო ფართო ხდებიან ისინი, მით უფრო მეტად ააშკარავებენ მის უიმედო მდგომარეობას.

გერმანია იკვეხნიდა ბრესტის ზავის დროს, როდესაც კრავდა ძალმომრეობითს, ექსპლოატატორულს, ხალხთა მიმართ ძალადობაზე, მათ ჩაგვრაზე დამყარებულ ბრესტის ზავს, გერმანელი კაპიტალისტები იკვეხნიდნენ, რომ ისინი პურსა და ზავს მისცემენ მუშებს. ახლა კი გერმანიაში პურის ულუფას ამცირებენ. საერთო აღიარებით, მდიდარ უკრაინაში სასურსათო კამპანიამ კრახი განიცადა, ავსტრიაში კი საქმე ისევ შიმშილობით გამოწვეულ ამბოხებამდე, საყოველთაოსახალხო მასობრივ აღშფოთებამდე მიდიოდა, იმიტომ რომ, რაც უფრო მეტად იმარჯვებს გერმანია, მით უფრო ცხადი ხდება ყველასათვის, გერმანიის მსხვილი ბურჟუაზიის მრავალი

წარმომადგენლისთვისაც კი, რომ ომს გამოსავალი არ უჩანს, რომ გერმანელებმა კიდეც რომ შეძლონ დასავლეთის ფრონტზე წინააღმდეგობის გაწევა, მაინც ეს მათ სრულიადაც არ მიუახლოვებს ომის დასასრულს, მხოლოდ შექმნის კიდევ ერთ დამონებულ ქვეყანას, რომელიც საჭიროებს ოკუპაციას, გერმანული რაზმებით დაკავებას და კვლავ ომის წარმოებას, და გახრწნის გერმანიის არმიას, რომელიც არმიიდან უკვე იქცევა და გადაიქცევა მძარცველთა ბრბოდ, ისეთ ადამიანთა ბრბოდ, რომლებიც ძალმომრეობენ უცხო ხალხებზე, უიარაღო ხალხებზე, აცლიან მათ საკვები პროდუქტებისა და ნედლი მასალის უკანასკნელ ნარჩენებს, რასაც მოსახლეობა უდიდეს წინააღმდეგობას უწევს. რაც უფრო შორს მიიწევს გერმანია ევროპის განაპირა ადგილებისაკენ, მით უფრო აშკარა ხდება, რომ მის წინ დგანან ინგლისი და ამერიკა, რომ ისინი გაცილებით უფრო განვითარებული არიან, უფრო მეტი საწარმოო ძალები მოეპოვებათ და დროც ყოფნით ათი ათასობით ახალი საუკეთესო ძალა გზავნონ ევროპაში, რათა ყველა მანქანა, ყველა ფაბრიკა და ქარხანა ნგრევის საშუალებად გადააქციონ. ომი კვლავ მოდის, და ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ წელს, უფრო მეტიც, ყოველ თვეს ამ ომის გაფართოება მოაქვს. ამ ომიდან სხვა გამოსავალი არ არის, გარდა რევოლუციისა, გარდა სამოქალაქო ომისა, გარდა იმისა, რომ ეს ომი, რომელიც კაპიტალისტთა შორის წარმოებს მოგებისათვის, ნადავლის გაყოფისათვის, პატარა ქვეყნების დახრჩობისათვის, გადაიქცეს მჩაგვრელთა წინააღმდეგ ჩაგრულთა ომად, ერთადერთ ომად, რომელიც ისტორიაში ყოველთვის თან სდევს არა მარტო დიდ, არამედ აგრეთვე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან რევოლუციებსაც, ერთადერთ ომად, რომელიც მხოლოდ ერთადერთია კანონიერი და სამართლიანი, საღვთო ომი მშრომელთა, ჩაგრულთა, ექსპლოატირებულ მასათა ინტერესების თვალსაზრისით. (ტ ა შ ი). ასეთი ომის გარეშე იმპერიალისტურ მონობას თავს ვერ დააღწევ. ჩვენ ნათელი ანგარიში უნდა მივცეთ თავს იმაში, თუ რა ახალი უბედურებანი მოაქვს სამოქალაქო

ომს ყოველი ქვეყნისათვის. ეს უბედურებანი მით უფრო მძიმე იქნება, რაც უფრო კულტურულია ქვეყანა. წარმოვიდგინოთ მანქანების, რკინიგზების მქონე ქვეყანა სამოქალაქო ომში, რომელიც მიმოსვლას წყვეტს ქვეყნის ოლქებს შორის. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ჩავარდებიან ეს ოლქები, რომლებიც ათეულ წლობით შეგუებიან იმას, რომ ცხოვრობდნენ მრეწველობის გაცვლით, და თქვენ გაიგებთ, რომ ყოველ სამოქალაქო ომს მოაქვს კიდევ ახალი მძიმე უბედურებანი, რომლებიც წარმოდგენილი ჰქონდათ კიდეც უდიდეს სოციალისტებს. იმპერიალისტები უბედურების, ტანჯვისა და გადაშენების მსხვერპლად ხდიან მუშათა კლასს. ახალი სოციალისტური საზოგადოების წინ, რარიგ მძიმე, მტანჯველი არ არის მთელი კაცობრიობის ეს წამება, დღითი დღე უფრო ნათელი ხდება, რომ იმპერიალისტების დაწყებულ ომს ეს იმპერიალისტები ვერ დაამთავრებენ, მას დაამთავრებენ სხვა კლასები, მუშათა კლასი, რომელიც ყველა ქვეყანაში დღითი დღე სულ უფრო მეტ მოძრაობაში, გულისწყრომასა და აღშფოთებაში მოდის, რაც, გრძნობებისა და განწყობილებისაგან დამოუკიდებლად, საქმის მდგომარეობით აიძულებს მას დაამხოს კაპიტალისტთა ბატონობა. რუსეთში ჩვენ ახლა, როდესაც შიმშილობით გამოწვეული უბედურებანი განსაკუთრებით საგრძნობია, გვიხდება ისეთი პერიოდის განცდა, როგორიც რევოლუციას ოდესმე უნდა დადგომოდა, დასავლეთ-ევროპელი ამხანაგების მხრივ დაუყოვნებლივი დახმარების იმედს კი ვერ ვიქონიებთ. რუსეთის რევოლუციის მთელი სიმძიმე იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის რევოლუციური მუშათა კლასისათვის გაცილებით უფრო ადვილი იყო დაწყება, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა კლასებისათვის, მაგრამ ჩვენთვის უფრო ძნელია განგრძობა. იქ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რევოლუციის დაწყება უფრო ძნელია, იმიტომ რომ რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ დგას კულტურის უმაღლესი აზრი და მუშათა კლასი კულტურულ მონობაში იმყოფება.

ამ დროს ჩვენ, უკვე ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გამო, გვიხდება გაუგონრად მძიმე დროის გადატანა, და ჩვენ, მშრომელი მასების წარმომადგენლებმა, მუშებმა, შეგნებულმა მუშებმა, მთელ ჩვენს აგიტაციასა და პროპაგანდაში, ყოველ სიტყვაში, ყოველ მოწოდებაში, ფაბრიკაში საუბრის დროს, გლეხებთან ყოველ შეხვედრაზე, უნდა ავუხსნათ მათ, რომ უბედურება, რომელიც ჩვენ თავს დაგვატყდა, საერთაშორისო უბედურებაა, რომ მისგან, საერთაშორისო რევოლუციის გარდა, სხვა გამოსავალი არ არის. თუ ჩვენ მოგვიხდა ასეთი მტანჯველი პერიოდის გადატანა, როდესაც დროებით მარტონი დავრჩით, მთელი ჩვენი ძალები იქითკენ უნდა იქნას მიმართული, რომ ეს მძიმე პერიოდი მედგრად გადავიტანოთ, რადგან ვიცით, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მარტონი არა ვართ, რომ ის უბედურებანი, რომელთაც ჩვენ განვიცდით, ევროპის ყოველ ქვეყანას ეპარება, და რომ ამ ქვეყნებიდან ვერც ერთი ვერ იპოვის გამოსავალს მთელი რიგი რევოლუციების გარეშე.

რუსეთში ჩვენ შიმშილობა მოგვადგა, რაც იმან გაამწვავა, რომ ძალდატანებითმა ზავმა რუსეთს ყველაზე პურიანი, ყველაზე ნაყოფიერი გუბერნიები წაართვა; ის გაამწვავა აგრეთვე იმან, რომ ჩვენ ძველი სასურსათო კამპანიის დასასრულს ვუახლოვდებით. ახალ მოსავლამდე, რომელიც უეჭველი სიმდიდრით გამოირჩევა, კიდევ რამდენიმე კვირა რჩება, რაც ამიტომ უძნელეს გადასვლას წარმოადგენს, ეს გადასვლა კი, რომელიც საერთოდ ძნელია, გამწვავდა იმით, რომ რუსეთში მემამულეთა და კაპიტალისტთა დამხობილი ექსპლოატატორული კლასები ყოველ ღონეს ხმარობენ, მთელ ძალებს ძაბავენ იმისათვის, რომ ისევ და ისევ სცადონ ძალაუფლების დაბრუნება. ეს — ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმისა, რომ სწორედ ციმბირის პურის მოსავლიანი გუბერნიები ამჟამად ჩვენგან მოწყვეტილი აღმოჩნდნენ ჩეხ-სლოვაკთა აჯანყების მეოხებით. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რა ძალები ამოძრავებენ ამ აჯანყებას, ჩვენ კარგად ვიცით, როგორ უცხადებენ ჩეხ-სლოვაკი ჯარისკაცები ჩვენი ჯარის,

ჩვენი მუშებისა და ჩვენი გლეხების წარმომადგენლებს, რომ მათ არ სურთ რუსეთთან და რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებასთან ომი, რომ მათ უნდათ მხოლოდ იარაღით ხელში გზა გაიკაფონ განაპირა ადგილისაკენ, მათ კი სათავეში უდგანან იგივე გუშინდელი გენერლები, მემამულეები, კაპიტალისტები, რომელნიც ინგლის-საფრანგეთის ფულით მუშაობენ და ბურჟუაზიის მხარეზე გადასულ რუსეთის სოციალ-გამცემთა მხარდაჭერით სარგებლობენ. (ტ ა შ ი).

მთელი ეს თბილი კომპანია შიმშილობით სარგებლობს, რათა ერთხელ კიდევ სცადოს ხელისუფლების სათავეში მემამულეთა და კაპიტალისტთა დაბრუნება. ამხანაგებო, ჩვენი რევოლუციის გამოცდილებით დასტურდება ის სიტყვები, რომლებითაც ყოველთვის განირჩევიან მეცნიერული სოციალიზმის წარმომადგენელნი, მარქსი და მისი მიმდევარნი, სოციალისტ-უტოპისტებისაგან, წვრილბურჟუაზიული სოციალისტებისაგან, სოციალისტ-ინტელიგენტებისაგან, სოციალისტ-მეოცნებეთაგან. მეოცნებე-ინტელიგენტები, წვრილბურჟუაზიული სოციალისტები — ისინი ფიქრობდნენ, შეიძლება, ფიქრობენ, ოცნებობენ იმაზე, რომ სოციალიზმის შემოღება დარწმუნების გზით მოხერხდება. დარწმუნდება ხალხის უმრავლესობა, და როდესაც ის დარწმუნდება, უმცირესობა დაუჯერებს, უმრავლესობა კენჭს უყრის და სოციალიზმიც შემოღებულ იქნებაო. (ტ ა შ ი). არა, ასე ბედნიერად არ არის მოწყობილი დედამიწა; ექსპლოატატორებზე, მხეც-მემამულეებზე, კაპიტალისტურ კლასზე დარწმუნება არ ჭრის. სოციალისტური რევოლუცია ადასტურებს იმას, რაც ყველას უნახავს, — ექსპლოატატორთა უდიდეს წინააღმდეგობას. რაც უფრო მძლავრად აწვებიან დაჩაგრული კლასები, რაც უფრო უახლოვდებიან ისინი იმას, რომ დაამხონ ყოველგვარი ჩაგვრა, ყოველგვარი ექსპლოატაცია, რაც უფრო გაბედულად აჩაღებენ თაოსნობას, დამოუკიდებელ თაოსნობას, ჩაგრული გლეხები და ჩაგრული მუშები, მით უფრო გააფთრებული ხდება ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა.

და ჩვენ განვიცდით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ყველაზე მძიმე, ყველაზე მტანჯველ პერიოდს — პერიოდს, რომელიც აუცილებლივ, ყველა ქვეყანაში, ხანგრძლივი, ძალიან ხანგრძლივი პერიოდი იქნება, იმიტომ რომ, ვიმეორებ, ჩაგრული კლასის ყოველ წარმატებას მჩაგვრელნი წინააღმდეგობის, ჩაგრული კლასის ხელისუფლების დამხობის ახალ-ახალი ცდით უპასუხებენ. ჩეხ-სლოვაკთა ამბოხება, რომელსაც აშკარად მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის პოლიტიკის მწარმოებელი ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი, მიგვითითებს, თუ რად ღირს ეს წინააღმდეგობა. ჩვენ ვხედავთ, როგორ ძლიერდება ეს ამბოხება, ბუნებრივად, შიმშილობის გამო. გასაგებია, რომ მშრომელთა ფართო მასებში ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებიც — ეს თქვენ განსაკუთრებით კარგად იცით: ყოველი თქვენგანი ხედავს ამას ფაბრიკაში — განათლებულ სოციალისტებს არ წარმოადგენენ და არც შეიძლება წარმოადგენდნენ, იმიტომ რომ ისინი საკატორღო მუშაობას უნდა ეწეოდნენ ფაბრიკაში და მათ არც დრო რჩებათ და არც შესაძლებლობა, რომ სოციალისტები გახდნენ. გასაგებია, რომ ეს ადამიანები თანაუგრძნობენ, როცა ხედავენ, თუ როგორ ადიან მაღლა ის მუშები, რომელნიც შესაძლებლობას ღებულობენ თვითონვე დაიწყონ და შეისწავლონ საწარმოთა მართვის საქმე, ძნელი და მძიმე საქმე, რომელშიც აუცილებელია შეცდომები, მაგრამ ერთადერთი საქმე, რომლითაც მუშებს, ბოლოს და ბოლოს, შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი მუდმივი მისწრაფება იმისაკენ, რომ მანქანები, ფაბრიკები, ქარხნები, საუკეთესო თანამედროვე ტექნიკა, კაცობრიობის საუკეთესო მონაპოვრები ემსახურებოდნენ არა ექსპლოატაციას, არამედ ცხოვრების გაუმჯობესებას, უდიდესი უმრავლესობის ცხოვრების შემსუბუქებას. მაგრამ როდესაც ისინი ხედავენ, თუ როგორ სარგებლობენ რუსეთის უმწეობით იმპერიალისტური მტაცებელნი დასავლეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით იმისათვის, რომ სული ამოართვან მას და, ვიდრე მათ არ იციან, როგორ წავა მუშათა

მოძრაობის საქმე სხვა ქვეყნებში, გასაგებია, რომ მათ სასოწარკვეთილება ხელმძღვანელობს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. სასაცილო იქნებოდა იმის მოლოდინი და უგუნურება იქნებოდა იმის ფიქრი, რომ კაპიტალისტური საზოგადოებიდან, რომელიც დამყარებულია ექსპლოატაციაზე, ერთბაშად შეიძლებოდა გაჩენილიყო სოციალიზმის აუცილებლობის სრული შეგნება და მისი გაგება. ეს შეუძლებელია. ეს შეგნება მუშავდება მხოლოდ დასასრულს და მხოლოდ იმ ბრძოლით, რომლის გადატანა გვიხდება ისეთ მტანჯველ პერიოდში, როდესაც ერთი რევოლუცია სხვებზე წინ აღმოჩნდა, ხოლო სხვები არ ეხმარებიან, და როდესაც შიმშილობა გვიახლოვდება. ბუნებრივია, რომ მშრომელთა ფენებს აუცილებლად ეუფლება სასოწარკვეთილება, აღშფოთება, ჩნდება განწყობილება — ხელი ჩაიქნიონ ყველაფერზე, რაც უნდა მოხდეს. და გასაგებია, რომ კონტრრევოლუციონერები, მემამულეები და კაპიტალისტები და მათი მფარველნი და ხელშემწყობნი ამ მომენტით სარგებლობენ იმისათვის, რომ ახალ-ახალი დაწოლა მოახდინონ სოციალისტურ ხელისუფლებაზე.

ჩვენ ვხედავთ, რას იწვევდა ეს ყველა ქალაქში, სადაც უცხო ხიშტების დახმარება არ იყო. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას მხოლოდ მაშინ ახერხებდნენ, როდესაც ის ადამიანები, რომელნიც ასე ბევრს გაჰყვიროდნენ სამშობლოს დაცვაზე და თავიანთ პატრიოტიზმზე, თავიანთ კაპიტალისტურ ბუნებას იჩენდნენ და დაიწყეს გარიგების დადება დღეს გერმანულ ხიშტებთან, რათა მათთან ერთად ყელები დაეჭრათ უკრაინელი ბოლშევიკებისათვის, ხვალ — თურქეთის ხიშტებთან, რათა შეეტიათ ბოლშევიკების წინააღმდეგ, ზეგ — ჩეხ-სლოვაკთა ხიშტებთან, რათა საბჭოთა ხელისუფლება დაემხოთ და ყელები დაეჭრათ ბოლშევიკებისთვის სამარაში. მხოლოდ უცხოეთის დახმარება, მხოლოდ უცხო ხიშტების დახმარება, მხოლოდ რუსეთის მიყიდვა იაპონური, გერმანული, თურქული ხიშტებისათვის, მხოლოდ ეს აძლევდა აქამდე წარმატების აჩრდილს მაინც

კაპიტალიზმის შემთანხმებლებსა და მემამულეებს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ, როდესაც მასების შიმშილობისა და სასოწარკვეთის ნიადაგზე ამგვარი აჯანყება იწყებოდა და როდესაც ისეთ ადგილს ედებოდა, სადაც შეუძლებელი იყო უცხოეთის ხიშტების გამოწვევა დასახმარებლად, როგორც ეს მოხდა სარატოვში, კოზლოვში, ტამბოვში, ხელისუფლება მემამულეთა, კაპიტალისტთა და მათი მეგობრებისა, რომელნიც დამფუძნებელი კრების მშვენიერ ლოზუნგებს ეფარებოდნენ, ეს ხელისუფლება თავისი არსებობის ხანგრძლიობას დღეებით ზომავდა, თუ საათებით არა. რაც უფრო შორს იყო საბჭოთა ჯარის რაზმები იმ ცენტრიდან, რომელსაც დროებით ხელში იგდებდა კონტრრევოლუცია, მით უფრო გაბედული იყო მოძრაობა ქალაქის მუშათა შორის, მით უფრო მეტ დამოუკიდებლობას იჩენდნენ ეს მუშები და გლეხები იმ მხრივ, რომ წასულიყვნენ სარატოვის, პენზის, კოზლოვის დასახმარებლად და დამყარებული კონტრრევოლუციური ხელისუფლების დაუყოვნებლივ დასამხობად.

ამხანაგებო, თუ თქვენ ამ ამბებს შეხედავთ ყოველივე იმის თვალსაზრისით, რაც კი რამ ხდება მსოფლიო ისტორიაში, თუ თქვენ გაიხსენებთ, რომ თქვენი ამოცანაა — ჩვენი საერთო ამოცანაა ავუხსნათ ჩვენს თავს და ვეცადოთ ავუხსნათ მასებსაც, რომ ეს უდიდესი უბედურებანი თავს დაგვატყდა არა შემთხვევით, არამედ, ჯერ-ერთი, იმპერიალისტური ომის გამო და მემამულეთა, კაპიტალისტთა და ექსპლოატატორთა გააფთრებული წინააღმდეგობის გამო, თუ ჩვენ ამას ნათლად შევიგნებთ, შეიძლება იმის თავდებობა ვიკისროთ, რომ ეს ჭეშმარიტი შეგნება, რაც უნდა ძნელი იყოს ეს, სულ უფრო და უფრო მეტად შეატანს ფართო მასებში და ჩვენ მოვახერხებთ დისციპლინის დამყარებას, ჩვენს ფაბრიკებში უდისციპლინობის დამარცხებას და ხალხისათვის დახმარების გაწევას, რათა მან გადაიტანოს ეს მტანჯველი, განსაკუთრებით მძიმე პერიოდი, რომელიც განიზომება, შესაძლებელია, ერთი, ორი თვით, რამდენიმე კვირით, რაც ახალ მოსავლამდე დაგვრჩენია.

თქვენ იცით, რომ ამჟამად ჩვენში, რუსეთში, ჩეხ-სლოვაკთა კონტრრევოლუციურ ამბოხებასთან დაკავშირებით, რომელმაც ჩვენ ციმბირი მოგვწყვიტა, სამხრეთში მუდმივ მღელვარებასთან დაკავშირებით, ომთან დაკავშირებით, — განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა; მაგრამ გასაგებია, რომ, რაც უფრო ძნელია იმ ქვეყნის მდგომარეობა, რომელსაც შიმშილი თავს ატყდება, მით უფრო გადამწყვეტი, მით უფრო მტკიცე უნდა იყოს ამ შიმშილთან ჩვენი ბრძოლის ზომები. ბრძოლის ძირითად ზომას წარმოადგენს პურის მონოპოლიის დაწესება. ამ მხრივ თქვენ ყველამ მშვენივრად იცით და თქვენს გარშემო გამოცდილებით ხედავთ, როგორ გაჰყვირიან ყოველ ნაბიჯზე კულაკები და მდიდრები პურის მონოპოლიის წინააღმდეგ. ეს გასაგებია, იმიტომ რომ იქ, სადაც დროებით ჩაშალეს პურის მონოპოლია, როგორც მოიქცა სკოროპადსკი კიევში, — იქ აღმოჩნდა, რომ სპეკულაციაგაუგონარ ფარგლებს აღწევს, იქ ფუთი პურის ფასი 200 მანეთამდე აღწევს. ეს გასაგებია, რომ, როდესაც არ არის პროდუქტი, ურომლისოდაც შეუძლებელია ცხოვრება, პროდუქტის თვითეულ მფლობელს შეუძლია გახდეს მდიდარი, ფასები გაუგონარ ოდენობას აღწევს. გასაგებია, რომ საშინელი შიში, პანიკა შიმშილით სიკვდილის წინაშე იმას ახდენს, რომ ფასები გაუგონარ ზომამდე იზრდება, და კიევში საჭირო გახდა იმაზე ფიქრი, რომ მონოპოლია კვლავ შემოეღოთ. ჩვენში დიდი ხანია, ჯერ კიდევ ბოლშევიკებამდე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი პურით მეტად მდიდარია, მთავრობა დარწმუნდა პურის მონოპოლიის აუცილებლობაში. მის წინააღმდეგ ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ ან სრულიად უვიც ადამიანებს, ანდა იმათ, ვისაც თავი პირდაპირ მიუყიდნია ფულის ქისის ინტერესებისათვის. (ტ ა შ ი).

მაგრამ, ამხანაგებო, როდესაც ჩვენ პურის მონოპოლიაზე ვლაპარაკობთ, უნდა დავუფიქრდეთ იმას, თუ განხორციელების რა უდიდეს სიძნელეებს შეიცავს ეს სიტყვა. ადვილი სათქმელია: პურის მონოპოლია, მაგრამ საჭიროა დაფიქრება იმაზე, თუ რას ნიშნავს ეს. ეს იმას ნიშნავს, რომ პურის მთელი

ნაჭარბი სახელმწიფოს ეკუთვნის; ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი ფუთი პური, რომელიც არ სჭირდება გლეხის შეურნეობას, საჭირო არ არის მისი ოჯახისა და პირუტყვის შესანახად, საჭირო არ არის მისთვის დასათესად, — რომ ყოველი ზედმეტი ფუთი პური უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს ხელთ სახელმწიფოს. როგორ უნდა გაკეთდეს ეს? საჭიროა, რომ სახელმწიფომ დააწესოს ფასები, საჭიროა, რომ ყოველი ზედმეტი ფუთი პური მოიძებნოს და მოიზიდოს. საიდან შეუძლია გლეხს, რომლის შეგნებას ასეული წლობით ჩაჩლუნგებდნენ, რომელსაც ძარცვავდნენ, გამოთაყვანებამდე ასახიჩრებდნენ მემამულენი და კაპიტალისტები, არასოდეს არ აძლევდნენ რა მას კარგად გაძღომის საშუალებას, — საიდან შეუძლია მას რამდენიმე კვირის ან რამდენიმე თვის განმავლობაში მიიღოს იმის შეგნება, თუ რა არის პურის მონოპოლია; საიდან შეუძლია გაუჩნდეთ ათეულ მილიონობით ადამიანებს, რომელთაც სახელმწიფო აქამდე კვებავდა მხოლოდ ჩაგვრით, მხოლოდ ძალადობით, მხოლოდ მოხელეთა ყაჩაღობითა და ძარცვით, სოფლის სიღრმეში შეყრილ და იქ გაპარტახებისათვის განწირულ ამ გლეხებს; საიდან მიიღონ იმის შეგნება, თუ რა არის მუშურ-გლეხური ხელისუფლება, რომ ხელისუფლება ღარიბთა ხელშია; რომ პური, რომელიც ზედმეტია და არ გადასულა სახელმწიფოს ხელში, როცა იგი მფლობელის ხელში რჩება, რომ ის, ვინც მას ინარჩუნებს — ავაზაკია, ექსპლოატატორია, დამნაშავეა პიტერის, მოსკოვის მუშათა მტანჯველ შიმშილობაში და სხვ.? საიდან უნდა იცოდეს მან ეს, როდესაც იგი აქამდე უვიცობაში ჰყავდათ, როდესაც სოფლად მისი საქმე იყო მხოლოდ პურის გაყიდვა; საიდან მიიღოს ეს შეგნება? საკვირველი როდია, რომ თუ ჩვენს წინაშე დავაყენებთ საკითხს ცხოვრებასთან უფრო დაახლოებით, თუ ჩავუკვირდებით მას, — ჩვენს წინაშე აღიმართება მთელი წარმოუდგენელი სიძნელე ისეთი ამოცანისა, როგორიცაა პურის მონოპოლიის გატარების ამოცანა იმ ქვეყანაში, სადაც გლეხთა უმრავლესობა ცარიზმსა და მემამულეებს სიბნელეში ჰყავდათ, — იმ გლეხობის ქვეყანაში,

რომელმაც მრავალი საუკუნის შემდეგ ეს პირველი წელიწადია, რომ პური თავის მიწაზე დათესა. (ტ ა შ ი).

მაგრამ რაც უფრო დიდია ეს სიძნელე, რაც უფრო მატულობს იგი, როდესაც საქმეს ყურადღებით და დაფიქრებით ვკიდებთ ხელს, მით უფრო ცხადად უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს ის, რასაც ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმე უნდა იყოს. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით: მშრომელთა განთავისუფლება ჩაგვრისაგან არ შეიძლება გარედან იქნას მოტანილი; მათ თვითონ, თავიანთი ბრძოლით, თავიანთი მოძრაობით, თავიანთი აგიტაციით, უნდა ისწავლონ ახალი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა, და, რაც უფრო ძნელია, რაც უფრო დიდია, რაც უფრო პასუხსაგებია ახალი ისტორიული ამოცანა, მით უფრო მეტი უნდა იყვნენ ადამიანები, რომელთა მილიონები ჩაბმულ უნდა იქნან ამ ამოცანათა გადასაწყვეტად დამოუკიდებელ მონაწილეობაში. რომელსაც გნებავთ ვაჭარს, რომელსაც გნებავთ ჩარჩს რომ პური მიყიდო, ამისათვის არავითარი შეგნება, არავითარი ორგანიზაცია საჭირო არ არის. ამისათვის საჭიროა ისე იცხოვრო, როგორც ბურჟუაზიას უბრძანებია: საჭიროა იყო მხოლოდ მორჩილი მონა, წარმოიდგინო და აღიარო, რომ ქვეყნიერება მშვენიერია იმ სახით, როგორც იგი ბურჟუაზიამ მოაწყო. ხოლო იმისათვის კი, რომ ეს კაპიტალისტური ქაოსი დაამარცხო, რომ პურის მონოპოლია განახორციელო, მიაღწიო იმას, რომ ყოველი ნაჭარბი, ყოველი ზედმეტი ფუთი პური სახელმწიფოს ეკუთვნოდეს, საჭიროა ხანგრძლივი, ძნელი, მძიმე ორგანიზაციული მუშაობა, არა ორგანიზატორებისა, არა აგიტატორებისა, არამედ თვით მასებისა.

ასეთი ადამიანები არიან რუსეთის სოფელში; გლეხთა უმრავლესობა ეკუთვნის უღარიბესი და ღარიბი გლეხების რიცხვს, მათ არ შეუძლიათ პურის ნაჭარბით, ზედმეტი პურით ივაჭრონ და იმ ყაჩაღებად იქცნენ, რომელნიც, შესაძლებელია, ასობით ფუთ პურს ინახავენ მაშინ, როდესაც სხვა შიმშილობს. ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ ყოველი

გლეხი, რომელიც, შესაძლებელია, თავისთავს მშრომელ გლეხს უწოდებს — ეს სიტყვა ზოგიერთს ძალიან უყვარს, — მაგრამ თუ მშრომელ გლეხს თქვენ იმას უწოდებთ, ვინც ასობით ფუთი პური შეკრიბა თავისი შრომით და ყოველგვარი დაქირავებული შრომის გარეშეც კი, ხოლო ახლა ხედავს, რომ, იქნებ, ეს ასობით ფუთი პური რომ შეინახოს, შეძლებს გაყიდოს იგი არა 6 მანეთად ფუთი, არამედ მიყიდის სპეკულანტს ან მიყიდის შიმშილით დატანჯულ, გაწამებულ ქალაქის მუშას, რომელიც დამშეული ოჯახით მოსულა, რომელიც 200 მანეთს მისცემს ფუთში, — ასეთი გლეხი, რომელიც ასობით ფუთს ინახავს, რომელიც მას იმიტომ ინახავს, რომ ფასი ასწიოს და ფუთში 100 მანეთიც კი აიღოს, ექსპლოატატორად იქცევა — ყაჩაღზე უარესია. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ მდგომარეობაში, ვის შეიძლება დავეყრდნოთ ჩვენს ბრძოლაში? ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლება იმით განსხვავდება სხვა რევოლუციებისა და სხვა ხელისუფლებისაგან, რომ მან არათუ დაამხო მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება, რომ მან არათუ დაანგრია ბატონყმური, თვითმპყრობელური სახელმწიფო, — ეს ცოტაა, მასები ამხედრდნენ ყოველგვარ მოხელეთა წინააღმდეგ, მათ შექმნეს ახალი სახელმწიფო, რომელშიც ხელისუფლება მუშებსა და გლეხებს უნდა ეკუთვნოდეს და არათუ უნდა ეკუთვნოდეს, არამედ უკვე ეკუთვნის კიდეც. ამ სახელმწიფოში არ არიან პოლიცია და მოხელეები, არ არის აგრეთვე მუდმივი არმია, რომელიც მრავალწლობით უნდა დარჩენილიყო ყაზარმებში, ხალხს ყოფილიყო მოწყვეტილი და ხალხის წინააღმდეგ სროლა ესწავლა.

ჩვენ ვაიარაღებთ მუშებსა და გლეხებს, რომლებმაც უნდა შეისწავლონ სამხედრო საქმე. არიან ისეთი რაზმები, რომლებიც მიყვებიან ცთუნებას, მანკიერებას და ბოროტმოქმედებას, იმიტომ რომ ისინი ჩინური კედლით არ არიან მოწყვეტილი ჩაგვრის სამყაროს, შიმშილის სამყაროს, რომელშიც იმას, ვინც მაძღარია, თავისი მაძღრობით გამდიდრება სწადია. ამიტომ ჩვენ ძალიან ხშირად ვხვდებით ისეთ მოვლენებს,

რომ შეგნებულ მუშაკთა რაზმებს, რომლებიც პიტერიდან და მოსკოვიდან გამოდიან, ადგილებზე ხშირად თავგზა ებნევათ, ბოროტმოქმედნი ხდებიან. და ჩვენ ვხედავთ, როგორ ტაშს უკრავს ბურჟუაზია და თავისი უსინდისო პრესის სვეტებს ავსებს ხალხის ყოველგვარი დაშინებით: შეხედეთ, როგორია თქვენი რაზმები, რა უწესობაა ეს, რა ბევრად უკეთესი იყო კერძო კაპიტალისტთა რაზმებიო!

დიდად გმადლობთ, ბატონო ბურჟუებო! არა, თქვენ ჩვენ ვერ შეგვაშინებთ! თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ კაპიტალისტური სამყაროს უბედურებათა და წყლულთაგან განკურნება ერთბაშად ვერ მოხდება. ჩვენ კი ვიცით, რომ განკურნება მოხდება მხოლოდ ბრძოლაში, რომ ყოველ ასეთ შემთხვევას ჩვენ გამოვააშკარავებთ არა მენშევიკებისა და კადეტების ბოროტი სიხარულისა და მათი კონტრრევოლუციური ხრიკებისთვის მხარის დასაჭერად, არამედ იმისათვის, რომ ხალხის უფრო ფართო მასებს ვასწავლოთ. რაკი ჩვენი რაზმები თავიანთ დანიშნულებას ვერ ასრულებენ, მოგვეცით უფრო შეგნებული, თავისი კლასისადმი ერთგულ მუშათა უფრო მრავალრიცხოვანი რაზმები, იმ მუშებისა, რომელთა რაოდენობა მრავალჯერ აღემატება იმათ რიცხვს, ვინც ცთუნებას აჰყვა. ისინი უნდა დავრაზმოთ, უნდა გავანათლოთ, ყოველი შეგნებული მუშის გარშემო უნდა გავაერთიანოთ შეუგნებელი მშრომელნი, ექსპლოატირებულნი და მშიერნი. უნდა წამოვაყენოთ სოფლის ღარიბობა, უნდა გავანათლოთ, უნდა ვაჩვენოთ მას, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რაც კი შესაძლებელია, ყველაფერს დაახმარს, მისცემს და გაუკეთებს მას, ოღონდ კი პურის მონოპოლია განახორციელოს.

და აი, როდესაც ჩვენ ამ ამოცანას მივადექით, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ნათლად დააყენა ეს საკითხები, როდესაც მან თქვა: ამხანაგო მუშებო, დაირაზმენით, გააერთიანეთ სასურსათო ძალები, ებრძოლეთ ყოველ ისეთ შემთხვევას, როდესაც ასეთი რაზმები მოწოდების სიმაღლეზე არ აღმოჩნდებიან ხოლმე, დაირაზმენით უფრო მტკიცედ და

გამოასწორეთ თქვენი ნაკლოვანებანი, გააერთიანეთ თქვენს გარშემო სოფლის ღარიბობა. კულაკებმა იციან, რომ მათი აღსასრული დგება, როდესაც მოწინააღმდეგე მარტო ქადაგებით, სიტყვებითა და ფრაზებით კი აღარ გამოდის, არამედ სოფლის ღარიბობის ორგანიზაციით. — თუ ჩვენ მას დავრაზმავთ, დავამარცხებთ კულაკებს. კულაკებმა იციან, რომ აქ დგება სოციალიზმისათვის ყველაზე გადამწყვეტი, ყველაზე უკანასკნელი, ყველაზე თავგანწირული ბრძოლის მომენტი. ისე მოჩანს, ფითქოს ეს მხოლოდ პურისთვის ბრძოლაა; ნამდვილად კი ეს — სოციალიზმისათვის ბრძოლაა. თუ მუშები ისწავლიან ასეთი ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტას, — მათ დასახმარებლად არავინ მოვა, — თუ ისინი ისწავლიან თავიანთ გარშემო სოფლის ღარიბობის გაერთიანებას, მაშინ იქნება გამარჯვებაც, პურიც, პურის სწორი განაწილებაც, შრომის სწორი განაწილებაც კი, იმიტომ რომ, თუ მას სწორად გავანაწილებთ, ჩვენ შრომის ყველა დარგზე, მრეწველობის ყოველ დარგში ვიბატონებთ.

აი, რაკი ამას წინასწარ ჭვრეტდნენ, კულაკებმა არა ერთხელ სცადეს ღარიბების მოსყიდვა. მათ იციან, რომ სახელმწიფოს პური 6 მანეთად უნდა მიეყიდოს; ისინი ყიდიან მეზობელზე, გაღატაკებულ გლეხზე 3 მანეთად და ეუბნებიან მას: «შენ შეგიძლია წახვიდე სპეკულანტებთან და შეგიძლია 40 მანეთად გაყიდო; ჩვენ საერთო ინტერესები გვაქვს; ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ გვძარცვავს; მათ უნდათ 6 მანეთი მოგვცენ ფუთში, შენ წაიღე სამიოდე ფუთი და შეგიძლია 60 მანეთი მოგება ნახო, ხოლო მე რამდენს მოვიგებ — ამის ცოდნა შენთვის საჭირო არ არის, ეს ჩემი საქმეა».

აი ამ ნიადაგზე, მე ვიცი, ხშირად ხდება, რომ საქმე გლეხთა სამხედრო შეტაკებამდე მიდის, და ამის გამო ბოროტად ხარობენ და ხითხითებენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაამხონ. ჩვენ კი ვამბობთ: ეს იმიტომ მოხდა, რომ რაზმები საკმაოდ შეგნებულნი ვერ წავიდნენ, მაგრამ, რაც უფრო

მეტი იყო რაზმები, მით უფრო ხშირად ხდებოდა ისეთი შემთხვევები, — და ისინი კი არა ერთხელ მომხდარა, — რომ პურს სრულიად ძალდაუტანებლად იძლეოდნენ, იმიტომ რომ შეგნებული მუშები ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ისინი მოძალადენი არ არიან, რომ მათი მთავარი ძალა ის არის, რომ ისინი ორგანიზებული, განათლებული ღარიბობის წარმომადგენელნი არიან, სოფლად კი სიბნელის, გაუნათლებელი ღარიბობის უამრავი რაოდენობაა. თუ მას მოხერხებულად მივუდგებით, წიგნის სიტყვებით კი არ ვეტყვით, არამედ უბრალოდ, ადამიანურად ავუხსნით, რომ პიტერში, მოსკოვში, ათობით მაზრებში შიმშილობენ და შიმშილის ტიფამდე, შიმშილამდე, სიკვდილამდე მიდის ათი ათასობით რუსი გლეხი და მუშა, რომ მდიდრები უსამართლოდ ინახავდნენ პურს, სპეკულაციას ეწეოდნენ ხალხის შიმშილით, მაშინ მოვახერხებთ ღარიბობის დარაზმვას, იმის გაკეთებას, რომ ზედმეტი პური შეგროვილ იქნება და ეს ძალადობით კი არ გაკეთდება, არამედ სოფლის ღარიბობის ორგანიზაციით. მე არა ერთხელ მიხდება მოხსენებათა მოსმენა სოფლის კულაკების წინააღმდეგ იმ ამხანაგებისაგან, რომლებიც ადგილებზე მიდიან სასურსათო რაზმებით და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ იბრძვიან. ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო ის მაგალითი, რომელიც განსაკუთრებით ცოცხლად მახსოვს, იმიტომ რომ მე გუშინ მომიხდა იმის გაგონება, რაც ელეცის მაზრაში მოხდა. იქ, დეპუტატთა საბჭოს ორგანიზაციის მეოხებით, იმის მეოხებით, რომ იქ შეგნებულ მუშათა და უღარიბეს გლეხთა საკმაო რაოდენობა აღმოჩნდა, ღარიბობის ხელისუფლების განმტკიცება მოხერხდა. როდესაც ჩემთან პირველად იყვნენ მოხსენებით ელეცის მაზრის წარმომადგენელნი, მე არ დავუჯერე მათ, მე ვიფიქრე, რომ ამ ხალხმა დაიტრაბახა, მაგრამ მოსკოვიდან სხვა გუბერნიებში სპეციალურად გაგზავნილმა ამხანაგებმა დამიდასტურეს, რომ მათ საქმის დაყენებას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ, დაადასტურეს, რომ რუსეთში არის ისეთი მაზრები, სადაც ადგილობრივი დეპუტატთა საბჭოები ამოცანის სიმაღ-

ლეზე აღმოჩნდნენ, რადგან მათ შეძლეს იმის მიღწევა, რომ სრულიად გამოდევნეს საბჭოებიდან კულაკები და ექსპლოატატორები და დარაზმეს მშრომელნი, დარაზმეს ღარიბობა. ვინც თავისი სიმდიდრით ქონების შესაძენად სარგებლობს, ის დაე გაშორდეს საბჭოთა ხელისუფლებას! (ტ ა შ ი).

როდესაც მათ კულაკები გამოდევნეს, წავიდნენ ქალაქ ელეცში, სავაჭრო ქალაქში, და იქ პურის მონოპოლიის განსაკორციელებლად დეკრეტს კი არ ელოდებოდნენ, არამედ ახსოვდათ, რომ საბჭოები ისეთი ხელისუფლებაა, რომელიც ხალხთან ახლოა, რომ ყველა, თუკი იგი რევოლუციონერია, თუკი იგი სოციალისტია და მშრომელთა ნამდვილი მომხრეა, სწრაფად და გაბედულად უნდა მოქმედებდეს. მათ დარაზმეს ყველა მუშაკი და უღარიბესი გლეხი და იმდენი რაზმები წამოაყენეს, რომ მთელ ელეცში მოახდინეს ჩხრეკა; ისინი სახლებში მხოლოდ რაზმების რწმუნებულებს და პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს უშვებდნენ; არ უშვებდნენ არც ერთ ისეთ ადამიანს, რომელშიც დარწმუნებული არ იყვნენ, რადგან იცოდნენ, თუ რა ხშირია რყევა, იცოდნენ, რომ არაფერი ისე არ უტეხს სახელს საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც ძარცვის ეს შემთხვევები საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა და უღირს მსახურთა მხრივ. მათ მოახერხეს ის, რომ აუარებელი პურის ნაჭარბი შეკრიბეს, — რომ სავაჭრო ელეცში არ დარჩენილა არც ერთი სახლი, სადაც ბურჟუაზიას შეძლებოდა სპეკულაციით მიღებული მოგებით სარგებლობა.

რასაკვირველია, მე ვიცი, რომ ამის გაკეთება პატარა ქალაქში გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ისეთ ქალაქში, როგორც მოსკოვია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ისეთი პროლეტარული ძალა, როგორიც მოსკოვშია, არ შეიძლება იყოს არც ერთ სამაზრო ქალაქში.

აი, ამას წინათ ტამბოვში კონტრრევოლუციამ გაიმარჯვა რამდენიმე საათით; მან გამოუშვა კიდეც მენშევიკური და მემარჯვენე-ესერული გაზეთის ნომერი, რომელიც მოუწოდებდა დამფუძნებელი კრებისაკენ, საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ და ლაპარაკობდა, თუ რა მტკიცეა ახალი

ხელისუფლების გამარჯვება, ლაპარაკობდა მანამდე, ვიდრე მაზრიდან არ მოვიდნენ წითელარმიელები და გლეხები და ერთ დღეში არ გარეკეს ეს ახალი, «მტკიცე», ვითომდა დამფუძნებელ კრებაზე დაყრდნობილი ხელისუფლება. (ტ ა შ ი).

ასევე იყო, ამხანაგებო, საქმე ტამბოვის გუბერნიის, ამ უზარმაზარი გუბერნიის სხვა მაზრებშიც. მისი ჩრდილოეთის მაზრები არასამიწათმოქმედო ზოლს აკრავს, სამხრეთის მაზრები არაჩვეულებრივ ნაყოფიერია; იქ ძალიან დიდი მოსავალია. იქ ბევრია ისეთი გლეხი, რომელსაც პურის ნაჭარბი აქვს, და იქ უნდა შეგეძლოს განსაკუთრებული ენერგიით, განსაკუთრებით მტკიცე და ნათელი შეგნებით მიდგომა, რათა უღარიბეს გლეხებს დაეყრდნო, კულაკები დაძლიო. იქ კულაკები მტრულად უყურებენ ყოველ მუშურ და გლეხურ ხელისუფლებას, იქ საჭიროა დაელოდო პიტერისა და მოსკოვის მუშების დახმარებას, რომელნიც, თავიანთი დარაზმულობის იარაღით გამაგრებულნი, ყოველთვის აძევებენ საბჭოებიდან კულაკებს, რაზმავენ ღარიბობას და ადგილობრივ გლეხობასთან ერთად იღებენ პურის სახელმწიფო მონოპოლიისათვის ბრძოლის გამოცდილებას, სოფლის ღარიბობისა და ქალაქის მშრომელთა ორგანიზაციის გამოცდილებას, ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც ჩვენ უკანასკნელ, სავსებით სრულ გამარჯვებას მოგვცემს. და აქ, ამხანაგებო, მე ნება მივეცი ჩემს თავს მეამბნა ამ მაგალითებით თქვენთვის, თუ როგორ არის საქმე სურსათის მხრივ, რადგან მე მგონია, რომ კულაკების წინააღმდეგ პურისათვის ბრძოლის დახასიათება მშრომელთა თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, მუშებისათვის, შეგნებული პროლეტარიატისათვის, არა ანგარიშების იმ ცალკეული ციფრობრივი მონაცემებით, თუ რამდენი მილიონი ფუთის მიღება შეიძლება. ეს საქმე სურსათის სპეციალისტს უნდა დავუთმო; მე უნდა ვთქვა, რომ იმ გუბერნიებიდან, რომლებიც მოსკოვის არასამიწათმოქმედო ზოლს და პურის მოსავლიან ციმბირს აკრავს, პურის ნაჭარბის მიღება რომ მოგვეხერხებინა, აქაც კი ვიშოვიდით საკმაო პურს ამ მძიმე კვირეებისათვის, რომლებიც

ახალ მოსავლამდე დაგვრჩენია, რათა შიმშილით სიკვდილს გადავარჩინოთ არასამიწათმოქმედო დამშეული გუბერნიები. ამისათვის უნდა დავრაზმოთ შეგნებულ მოწინავე მუშათა კიდევ უფრო მეტი რიცხვი. ეს ყველა წინანდელი რევოლუციის ძირითადი გაკვეთილია, ეს ძირითადი გაკვეთილია ჩვენი რევოლუციისაც. რაც უფრო დიდი იქნება ორგანიზაცია, რაც უფრო ფართოდ იჩენს იგი თავს, რაც უფრო უკეთ შეძლებენ მუშები ქარხნებსა და ფაბრიკებში იმის შეგნებას, რომ ძალა მხოლოდ მათსა და სოფლის ღარიბობის ორგანიზაციაშია, მით უფრო უტყუარი იქნება შიმშილთან ბრძოლის საქმე და სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმე, ვინაიდან, ვიმეორებ, ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, რომ ახალი ხელისუფლება გამოვიგონოთ, არამედ ის, რომ წამოვაყენოთ, გავანათლოთ, დამოუკიდებელი მოქმედებისათვის დავრაზმოთ სოფლის ღარიბობის თვითეული წარმომადგენელი მიყრუებულ სოფელში. ძნელი არ არის ავუხსნათ ქალაქის რამდენიმე შეგნებულ მუშას, პიტერისა და მოსკოვის მუშას, მიყრუებულ სოფელშიც კი, თუ რა უსამართლობაა პურის შენახვა და მით სპეკულაცია, მისი არყის გამოსახდელ საშუალება გადაქცევა, როდესაც ასი ათასები იღუპებიან მოსკოვში. ამის მისაღწევად, პიტერის, მოსკოვის მუშები, მეტადრე თქვენ, ამხანაგებო, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წარმომადგენელნო, სულ სხვადასხვა პროფესიების ფაბრიკებისა და ქარხნების წარმომადგენელნო, თქვენ მტკიცედ უნდა შეითვისოთ და შეიგნოთ, რომ თქვენს დასახმარებლად არავინ მოვა, რომ სხვა კლასიდან თქვენთან თანაშემწენი კი არა, არამედ მტრები მოდიან, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არა ჰყავს სამსახურში ერთგული ინტელიგენცია. ინტელიგენციას თავისი ცოდნა და გამოცდილება — უმაღლესი ადამიანური ღირსება — ექსპლოატატორთა სამსახურად მიაქვს და ყველაფრით სარგებლობს, რომ გაგვიძნელოს ჩვენ ექსპლოატატორებზე გამარჯვება; იგი მიაღწევს იმას, რომ ასი ათასობით ადამიანი იღუპებოდეს შიმშილით, მაგრამ მშრომელთა წინააღმდეგობას კი იგი ვერ გასტეხს.

ჩვენ არავინა გვყავს, გარდა იმ კლასისა, რომელთან ერთადაც ჩვენ რევოლუციას მივაღწიეთ, რომელთან ერთად ჩვენ წავალთ ჩვენს წინაშე მოსალოდნელი უაღრესად უდიდესი სიძნელეების, უაღრესად მძიმე ხანის გზით — ესაა ფაბრიკა-ქარხნების, ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი, რომელიც ურთიერთშორის ერთმანეთისათვის გასაგები ენით ლაპარაკობს, რომელიც შეძლებს ქალაქშიც და სოფელშიც დაამარცხოს ყოველგვარი მტრები — კულაკები და მდიდრები.

მაგრამ ეს რომ გავაკეთოთ, საჭიროა გვახსოვდეს, რა ხშირად ივიწყებენ მუშები სოციალისტური რევოლუციის ძირითად დებულებას: სოციალისტური რევოლუციის მოსაწყობად, მის მოსახდენად, ხალხის გასათავისუფლებლად ჩაგვრისაგან, ამისათვის საჭირო არაა კლასების ერთბაშად მოსპობა, ძალაუფლება თავიანთ ხელში უნდა აიღონ ყველაზე შეგნებულმა და ორგანიზებულმა მუშებმა. სახელმწიფოში გაბატონებულ კლასად მუშები უნდა გახდნენ. აი ჭეშმარიტება, რომელიც უმეტეს თქვენგანს უკვე წაკითხული აქვს მარქსისა და ენგელსის «კომუნისტურ მანიფესტში», რომელიც სამოცდაათ წელზე მეტია დაწერილია და რომელსაც მოვლილი აქვს ყველა ქვეყანა და ყველა ენა. ყველგან გამოაშკარავდა ჭეშმარიტება: კაპიტალისტების დასამარცხებლად საჭიროა, რომ ექსპლოატაციასთან ბრძოლის დროს, ვიდრე სიბნელეა, ვიდრე კიდევ არა სჯერათ ახალი წესები, გაბატონებულ კლასად გახდნენ ქალაქის ფაბრიკა-ქარხნების ორგანიზებული მუშები. როდესაც თქვენ თავს იყრით თქვენს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში თქვენი საქმეების გადასაწყვეტად, გახსოვდეთ, რომ რევოლუცია ვერ შეინარჩუნებს ვერც ერთ თავის მონაპოვარს, თუ თქვენს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში მუშათა ტექნიკურ ან წმინდა ფინანსურ ინტერესებს მოკიდებთ ხელს. არა ერთხელ მომხდარა, რომ მუშებს და ჩაგრულ კლასებს მოუხერხებიათ ძალაუფლების ხელში აღება, მაგრამ არც ერთხელ არ მომხდარა, რომ მათ მისი შენარჩუნება მოეხერხებინოთ. ამისათვის საჭიროა,

მუშებს ჰქონდეთ არა მარტო იმის უნარი, რომ გმირული ბრძოლისათვის აღსდგნენ და ექსპლოატაცია დაამხონ, არამედ ორგანიზაციის, დისციპლინის, სიმტკიცის უნარიც, მსჯელობის უნარიც მაშინ, როდესაც გარშემო ყველაფერი ქანაობს, ირყევა, როდესაც შენ თავს გესხმიან, როდესაც უაზრო ხმები ვრცელდება დაუსრულებლად, — აი, ამ დროს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს, რომლებიც ყველაფერში მჭიდროდ არიან დაკავშირებული ფართო მილიონიან მასასთან, ეკისრებათ უდიდესი სახელმწიფოებრივი ამოცანა — გახდნენ, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოებრივი ცხოვრების მმართველობის ორგანო. ეს საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი სახელმწიფოებრივი საკითხია — როგორ უზრუნველყოთ პურის სწორი განაწილება. ელეცმა თუ შეძლო ადგილობრივი ბურჟუაზიისათვის ლაგამი ამოედო, ამის გაკეთება მოსკოვში უფრო ძნელია, მაგრამ აქ ორგანიზაცია განუზომლად უფრო დიდია და აქ თქვენ უფრო ადვილად შეგიძლიათ წამოაყენოთ ათი ათასობით პატიოსანი ადამიანი, რომელთაც თქვენი პარტიები, თქვენი პროფესიული კავშირები მოგვცემენ და გარანტირებასაც შეძლებენ, რომელთაც შეეძლებათ ხელმძღვანელობა გაუწიონ რაზმებს სრული პასუხისმგებლობით იმისათვის, რომ, ერთი მხრით, ყოველგვარ სიძნელეთა, ყოველგვარ ცთუნებათა მიუხედავად და, მეორე მხრით, შიმშილით ტანჯვის მიუხედავად, ისინი იდეურ, ერთგულ ადამიანებად რჩებიან. სხვა კლასი, რომელსაც შეეძლოს ახლა ხელი მოკიდოს ამ საქმეს, და უნარი შესწევდეს ხელმძღვანელობა გაუწიოს ხალხს, რომელიც ხშირად ეძლევა სასოწარკვეთილებას, სხვა კლასი, გარდა ფაბრიკა-ქარხნების ქალაქის პროლეტარიატისა, არ არსებობს. თქვენი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები მარტო საქარხნო კომიტეტებს აღარ უნდა წარმოადგენდნენ, ისინი უნდა იქცნენ გაბატონებული კლასის ძირითად სახელმწიფოებრივ უჯრედებად. (ტ ა შ ი). თქვენს ორგანიზებულობაზე, თქვენს შემჭიდროებაზე, თქვენს ენერგიაზეა დამოკიდებული ის, რომ მძიმე გადასვლას ჩვენ ისე მედგრად გადავიტანთ, როგორც უნდა გადაი-

ტანოს საბჭოთა ხელისუფლებამ. თქვენ თვითონ მოკიდეთ საქმეს ხელი, ყოველი მხრიდან მოკიდეთ ხელი, ყოველ-დღე ამჟღავნეთ ბოროტმოქმედებანი, თქვენი საკუთარი გამოცდილებით გამოასწორეთ ყოველი ჩადენილი შეცდომა, — შეცდომები ახლა ბევრი ხდება, იმიტომ რომ მუშათა კლასი ჯერ გამოუცდელია, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ მან თვითონ მოკიდოს საქმეს ხელი, რომ იგი თვითონ ასწორებდეს შეცდომებს. თუ ჩვენ ასე ვიმოქმედებთ, თუ ყოველი კომიტეტი გაიგებს, რომ ის მსოფლიოში უდიდესი რევოლუციის ხელმძღვანელს წარმოადგენს, მაშინ ჩვენ მოვიპოვებთ სოციალიზმს მთელი მსოფლიოსათვის! (ტაში, რომელიც მქუხარე ოვაციად იქცევა).

2

საბოლოო სიტყვა მიმდინარე მომენტის შესახებ წაკითხული მოხსენებების გამო 1918 წ. 28 ივნისს

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა შევჩერდე ჩემი მოპასუხე თანამომხსენებელ პადერინის რამდენიმე დებულებაზე. სტენოგრამიდან ვხედავ, რომ ის ამბობდა: «ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყოველივე შესაძლებელი, რათა ინგლისისა და გერმანიის პროლეტარიატს, პირველ ყოვლისა, შეეძლოს თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ გამოსვლა; ხოლო რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის? განა ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ამ მჩაგვრელთ? იმით, რომ ჩვენს შიგნით მტრობას ვაღვივებთ, იმით, რომ ჩვენ ვანგრევთ, ვასუსტებთ ქვეყანას, ჩვენ უსაზღვროდ ვუმაგრებთ პოზიციებს ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის იმპერიალისტებს, რომელნიც, ბოლოს და ბოლოს, შეუკავშირდებიან ერთმანეთს რუსეთის მუშათა კლასის დასახრჩობად». აი მსჯელობა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა ზომამდე არამტკიცენი იყვნენ ყოველთვის მენშევიკები იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ თავიანთ ბრძოლაში და თავიანთ ოპოზიციაში, იმიტომ რომ ეს მსჯელობა, რაც მე წავიკითხე, შესაძლებელია გასაგები იყოს მხოლოდ იმ ადამიანის პირიდან, რომელიც თავს უწოდებს ობორონეცს, რომელიც მთლიანად იმპერიალიზმის პოზიციაზე დგება (ტ ა შ ი), იმ ადამიანისა, რომელიც იმპერიალისტურ ომს ამართლებს და იმეორებს ბურჟუაზიულ ფანდებს, ვითომც ამ ომში მუშები თავიანთ სამშობლოს იცავენ. თუ მართლა იმ თვალსაზრისზე ვიდგომებით, რომ მუშებმა ამ ომის დროს არ უნდა დაანგრიონ და დაასუსტონ

ქვეყანა, ეს ნიშნავს მოუწოდო მუშებს დაიცვან სამშობლო იმპერიალისტურ ომში, თქვენ კი იცით, თუ რა გააკეთა ბოლშევიკურმა მთავრობამ, რომელმაც თავის პირველ მოვალეობად ჩათვალა გამოექვეყნებინა, გამოემჟღავნებინა, საჯაროდ სამარცხვინო ბოძზე გაეკრა საიდუმლო ხელშეკრულებანი. თქვენ იცით, რომ მოკავშირენი ომს ეწოდნენ საიდუმლო ხელშეკრულებათა გულისთვის და რომ კერენსკის მთავრობამ, რომელიც მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების დახმარებითა და მხარდაჭერით არსებობდა, არათუ გააუქმა საიდუმლო ხელშეკრულებანი, არამედ არც კი გამოაქვეყნა, რომ რუსი ხალხი ომს ეწოდა საიდუმლო ხელშეკრულებებისათვის, რომლებითაც რუსეთის მემამულეებსა და კაპიტალისტებს აღუთქვამდნენ, გამარჯვების შემთხვევაში, კონსტანტინოპოლის, სრუტეების, ლვოვის, გალიციისა და სომხეთის მიცემას. ამრიგად, თუ ჩვენ მუშათა კლასის თვალსაზრისზე ვდგავართ, თუ ჩვენ ომის წინააღმდეგი ვართ, როგორლა შეგვეძლო ჩვენ ეს საიდუმლო ხელშეკრულებანი მოგვეთმინა. ვიდრე ჩვენ საიდუმლო ხელშეკრულებებს ვითმენდით, ვიდრე ჩვენ ვითმენდით ჩვენში ბურჟუაზიის ხელისუფლებას, მანამდე გერმანელ მუშებში ხელს ვუწყობდით იმ შოვინისტურ რწმენას, რომ რუსეთში შეგნებული მუშები არ არიან, რომ მთელი რუსეთი იმპერიალიზმს მისდევს, რომ რუსეთი ომს ავსტრიისა და თურქეთის გაძარცვის მიზნით აწარმოებს. პირიქით, იმისათვის, რომ გერმანელი იმპერიალისტები დაესუსტებინა, გერმანელი მუშები მათგან ჩამოეშორებინა, მუშურ-გლეხურმა მთავრობამ იმდენი გააკეთა, რამდენიც მსოფლიოში არც ერთ მთავრობას არ გაუკეთებია, იმიტომ რომ, როდესაც ეს საიდუმლო ხელშეკრულებანი გამოვაქვეყნეთ და გამოვამჟღავნეთ მთელი მსოფლიოს წინაშე, — გერმანელი შოვინისტებიც კი, გერმანელი ობორონცებიც კი, ის მუშებიც კი, რომელნიც თავის მთავრობას მიყვებიან, იძულებული იყვნენ თავიანთ გაზეთში «წინ» [135], რომელიც ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს, ეღიარებინათ, რომ ეს არის სოციალისტური მთავრობის

აქტი, რომელიც ნამდვილ რევოლუციურ აქტს წარმოადგენს. ისინი იძულებული იყვნენ ეღიარებინათ ეს, იმიტომ რომ ომში ჩაბმულ ყველა იმპერიალისტურ მთავრობათაგან არც ერთს არ გაუკეთებია ეს, და მხოლოდ მარტოოდენ ჩვენმა მთავრობამ ჩაშალა საიდუმლო ხელშეკრულებანი.

რა თქმა უნდა, ყოველ გერმანელ მუშას, რაც უნდა დაჩაგრული, დაბეჩავებული, მოსყიდული იყოს ის იმპერიალისტებისაგან, თავში უტრიალებს აზრი: განა ჩვენს მთავრობას კი არა აქვს საიდუმლო ხელშეკრულებანი? (ხმა: «შავი ზღვის ფლოტის შესახებ გვითხარით!»). კარგი, გეტყვით, თუმცა ეს თემას არ შეეხება. ყოველ გერმანელ მუშას გაურბინა აზრმა: თუკი რუსი მუშა მივიდა იქამდე, რომ საიდუმლო ხელშეკრულებანი ჩაშალა, განა გერმანიის მთავრობას კი არა აქვს საიდუმლო ხელშეკრულებანი? როდესაც საქმე ბრესტის ხელშეკრულებებამდე მივიდა, მაშინ მთელი მსოფლიოს წინაშე გადაიშალა ამხ. ტროცკის მხილებანი, და განა ამ პოლიტიკამ არ მიგვიყვანა იქამდე, რომ მტრულ ქვეყანაში, რომელიც სხვა მთავრობებთან საშინელ იმპერიალისტურ ომს ეწევა, ჩვენმა პოლიტიკამ გაბოროტება კი არა, მხარისდაჭერა გამოიწვია ხალხის მასების მხრივ? ერთადერთი ასეთი მთავრობა ჩვენი მთავრობა იყო. ჩვენმა რევოლუციამ იმას მიაღწია, რომ, ომის დროს, მტრულ ქვეყანაში იწყება უდიდესი რევოლუციური მოძრაობა, რომელიც მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენ საიდუმლო ხელშეკრულებანი ჩავშალეთ, რომ ჩვენ ვთქვით: ჩვენ არავითარი საშიშროების წინაშე არ შევჩერდებით. თუ ჩვენ ვიცით, თუ ჩვენ ვამბობთ — და არა სიტყვით, არამედ საქმით, — რომ საერთაშორისო ომიდან, ხალხთა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტიდან მხოლოდ საერთაშორისო რევოლუციას შეუძლია გვიხსნას, მაშინ, ყოველგვარ სიძნელეთა, ყოველგვარ საშიშროებათა მიუხედავად, ჩვენს რევოლუციაში ჩვენ ამ მიზნისაკენ უნდა ვიაროთ. და როდესაც ჩვენ ამ გზას დავადექით, პირველად მსოფლიოში ომის დროს ყველაზე იმპერიალისტურ, ყველაზე დისციპლინირებულ ქვე-

ყანაში — გერმანიაში გაღვივდა და იფეთქა იანვარში მასობრივმა გაფიცვამ. რასაკვირველია, არიან ადამიანები, რომელნიც ფიქრობენ, რომ შესაძლებელია რევოლუცია წარმოიშვას უცხო ქვეყანაში შეკვეთით, შეთანხმებით. ეს ადამიანები ან ჭკუაზე შეშლილნი, ან პროვოკატორები არიან. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ჩვენ ორი რევოლუცია გადავიტანეთ. ჩვენ ვიცით, რომ მათი მოხდენა არ შეიძლება არც შეკვეთით, არც შეთანხმებით, რომ ისინი მაშინ წარმოიშვებიან, როდესაც ათობით მილიონი ადამიანი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ასე ცხოვრება ამიერიდან აღარ შეიძლება. ჩვენ ვიცით, რა სიძნელეებად ღირდა რევოლუციის წარმოშობა 1905 წელს და 1917 წელს, და ჩვენ არასოდეს არ მოველოდით, რომ ერთი დაკვრით, ერთი მოწოდებით რევოლუცია დაიქუხებს სხვა ქვეყნებშიც; მაგრამ იმაში, რომ იგი იწყებს ზრდას გერმანიასა და ავსტრიაში, დიდი დამსახურება მიუძღვის რუსეთის ოქტომბრის რევოლუციას. (ტ ა შ ი). დღეს ჩვენს გაზეთებში ვკითხულობთ, რომ ვენაში, სადაც პურის ულუფა კიდევ უფრო მცირეა, ვიდრე ჩვენში, სადაც არავითარ უკრაინის ძარცვას არ შეუძლია შველა, სადაც მოსახლეობა ამბობს, რომ მას არასოდეს არ განუცდია ასეთი საშინელი შიმშილი, მუშათა დეპუტატების საბჭო გაჩნდა. ვენაში ისევ იწყება უკვე საყოველთაო გაფიცვები.

და ჩვენ ვეუბნებით ჩვენს თავს: აი, ესეც მეორე ნაბიჯი, აი, ესეც მეორე საბუთი, რომ, როდესაც რუსმა მუშებმა ჩაფუშეს იმპერიალისტური საიდუმლო ხელშეკრულებანი, როდესაც გარეკეს თავისი ბურჟუაზია, მათ გადადგეს შეგნებულ ინტერნაციონალისტ მუშათა თანამიმდევრული ნაბიჯი, ისინი დაეხმარენ რევოლუციის ზრდას გერმანიასა და ავსტრიაში ისე, როგორც ჯერ არასოდეს არ დახმარებია არც ერთი რევოლუცია მსოფლიოში ისეთი მტრული სახელმწიფოს რევოლუციას, რომელიც იმყოფება საომარ მდგომარეობაში, უდიდესი გაბოროტების მდგომარეობაში.

იმის წინასწარმეტყველება, თუ როდის გაიზრდება რევოლუცია, დაპირება, რომ ის ხვალ მოვა, ეს თქვენს მოტყუებას

ნიშნავს. თქვენ გახსოვთ, მეტადრე იმათ თქვენ შორის, ვინც რუსეთის ორივე რევოლუცია გადაიტანა, რომელ თქვენგანს შეეძლო თავდებობა 1904 წლის ნოემბერში, რომ ორი თვის შემდეგ პიტერის ასი ათასი მუშა წავიდოდა ზამთრის სასახლესთან და დიად რევოლუციას დაიწყებდა?

მოიგონეთ, როგორ შეგვეძლო ჩვენ 1916 წლის დეკემბერში თავდებობა, რომ ორი თვის შემდეგ რამდენიმე დღეში იქნებოდა დამხობილი მეფის მონარქია. ჩვენს ქვეყანაში, სადაც ორი რევოლუცია გადავიტანეთ, ჩვენ ვიცით და ვხედავთ, რომ შეუძლებელია რევოლუციის მსვლელობის წინასწარმეტყველება, რომ შეუძლებელია მისი გამოწვევა. შეიძლება მხოლოდ რევოლუციის სასარგებლოდ მუშაობა. თუ თანამიმდევრულად მუშაობ, თუ თავდავიწყებით მუშაობ, თუ ეს მუშაობა დაკავშირებულია იმ ჩაგრული მასების ინტერესებთან, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ, მაშინ რევოლუცია მოდის, ხოლო სად, როგორ, რა მომენტში, რა საბაბით, ამის თქმა შეუძლებელია. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ მივცემთ ჩვენს თავს ნებას მოვატყუოთ მასები, ვუთხრათ მათ: გერმანელი მუშები ხვალ დაგვეხმარებიან, ისინი ზეგ ააფეთქებენ თავიანთ კაიზერს. ამის თქმა შეუძლებელია.

ჩვენი მდგომარეობა მით უფრო ძნელია, რომ რუსეთის რევოლუცია სხვა რევოლუციებზე წინ აღმოჩნდა, მაგრამ ჩვენ რომ მარტონი არა ვართ, ამას გვიმტკიცებს თითქმის ყოველდღე მოსული ცნობები იმის შესახებ, რომ ბოლშევიკების სასარგებლოდ ლაპარაკობს ყველა საუკეთესო გერმანელი სოციალ-დემოკრატი, რომ ბოლშევიკების სასარგებლოდ ლაპარაკობს გერმანულ ღია პრესაში კლარა ცეტკინი, შემდეგ ფრანც მერინგი, რომელიც ახლა მთელ რიგ სტატიებში უმტკიცებს გერმანელ მუშებს, რომ სოციალიზმი სწორად გაიგეს მხოლოდ ბოლშევიკებმა; რომ ამას წინათ ვიურტემბერგის ლანდტაგში ერთმა სოციალ-დემოკრატმა — ხოშკამ გარკვევით განაცხადა, რომ იგი მხოლოდ ბოლშევიკებში ხედავს თანამიმდევრობისა და რევოლუციური პოლი-

ტიკის სწორი წარმოების მაგალითს. თქვენ გგონიათ, ასეთი რამ გამოძახილს არ პოულობს ათობით, ასობით, ათასობით გერმანელ მუშებში, რომლებიც მას წინდაწინვე შეუერთდებიან? როდესაც გერმანიასა და ავსტრიაში საქმე მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნამდე და მეორე მასობრივ გაფიცვამდე მიდის, მაშინ ჩვენ უნდა ვთქვათ, სრულიად გაუზვიადებლად, სრულიად თავის მოუტყუებლად, რომ ეს რევოლუციის დაწყების მომენტს ნიშნავს. ჩვენ სრული სიზუსტით ვეუბნებით ჩვენს თავს: ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი გზა სწორი პოლიტიკა და სწორი გზა იყო, ჩვენ დავეხმარეთ ავსტრიისა და გერმანიის მუშებს თავი ეგრძნოთ არა მტრებად, რომლებიც რუს მუშებს კაიზერის ინტერესებისათვის, გერმანელ კაპიტალისტთა ინტერესებისათვის ახრჩობენ, არამედ ჩვენ მათ დავეხმარეთ თავი ეგრძნოთ რუსი მუშების ძმებად, იმ მუშებისა, რომლებიც ისეთსავე რევოლუციურ მუშაობას ეწევიან. (ტ ა შ ი).

მე მინდოდა აღმენიშნა კიდევ ერთი ადგილი პადერინის სიტყვაში, რომელიც, ჩემი აზრით, მით უფროა ყურადღების ღირსი, რომ იგი ნაწილობრივ თანაემთხვევა წინა ორატორის[136] აზრს. აი ეს ადგილი: «ჩვენ ვხედავთ, რომ ახლა სამოქალაქო ომი მუშათა კლასის შიგნით წარმოებს. განა ჩვენ შეგვიძლია ეს დავუშვათ?». აი, ხედავთ, სამოქალაქო ომს უწოდეს ომი მუშათა კლასის შიგნით ან, როგორც წინა ორატორმა უწოდა, გლეხებთან ომი. ჩვენ კი მშვენივრად ვიცით, რომ არც ერთი და არც მეორე მართალი არაა. სამოქალაქო ომი რუსეთში წარმოადგენს მუშათა და უღარიბეს გლეხთა ომს მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ, ეს ომი გრძელდება, ჭიანურდება, იმიტომ რომ რუსეთის მემამულენი და კაპიტალისტები ოქტომბერსა და ნოემბერში დამარცხდნენ შედარებით მცირე მსხვერპლით, დამარცხდნენ ხალხის მასების აღმავლობით ისეთ პირობებში, როდესაც მათთვის ერთბაშად ცხადი შეიქნა, რომ ხალხს არ შეუძლია მხარი დაუჭიროს მათ, როდესაც საქმე იქამდე მივიდა, რომ დონზედაც კი, სადაც ყველაზე მეტია მდიდარი კაზაკები,

რომლებიც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით ცხოვრობენ, სადაც კონტრრევოლუციის ყველაზე დიდი იმედია, იქაც კი ბოგაევსკი, კონტრრევოლუციური აჯანყების ხელმძღვანელი, იძულებული იყო ეღიარებინა და საჯაროდ აღიარა: «ჩვენი საქმე წაგებულია, იმიტომ რომ ჩვენშიც კი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ბოლშევიკებს ემხრობაო». (ტ ა შ ი).

აი როგორ იყო საქმე, როგორ წააგეს ოქტომბერსა და ნოემბერში მემამულეებმა და კაპიტალისტებმა თავიანთი თამაში, თავიანთი კონტრრევოლუციური თამაში.

აი როგორი გამოდგა მათი ავანტიურა, როდესაც ისინი ცდილობდნენ იუნკრებისაგან, ოფიცრებისაგან, მემამულეთა და კაპიტალისტთა შვილებისაგან შეედგინათ თეთრი გვარდია მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ. და ახლა კი, განა, თქვენ არ იცით, — წაიკითხეთ დღევანდელ გაზეთებში, — რომ ჩეხ-სლოვაკთა ავანტიურა იკვებება ინგლისსაფრანგეთის კაპიტალისტთა ფულით[137], რომლებიც აწარმოებენ ჯარის მოსყიდვას იმისთვის, რომ ხელახლა ჩაგვითრიონ ომში; განა არ წაიკითხეთ, რომ ჩეხ-სლოვაკები სამარაში ამბობდნენ: ჩვენ შევუერთდებით დუტოვს, სემიონოვს და ვაიძულებთ რუსეთის მუშებს და რუს ხალხს ხელახლა იომონ გერმანიის წინააღმდეგ ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად, აღვადგენთ იმავე საიდუმლო ხელშეკრულებებს და ჩაგაგდებთ, შესაძლებელია, კიდევ ოთხი წლით, ამ იმპერიალისტურ ომში ბურჟუაზიასთან კავშირშიო. ამის ნაცვლად ჩვენ ახლა ჩვენი ბურჟუაზიის წინააღმდეგ და სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ ვეწევით ომს, და მხოლოდ იმით, რომ ჩვენ ამ ომს ვაწარმოებთ, სხვა ქვეყნების მუშათა თანაგრძნობა და მხარდაჭერა მოვიპოვეთ. თუ ერთი მეომარი ქვეყნის მუშა ხედავს, რომ მეორე მეომარ ქვეყანაში მჭიდრო კავშირი იქმნება მუშებსა და ბურჟუაზიას შორის, ეს თიშავს მუშებს ერების მიხედვით, თავიანთ ბურჟუაზიასთან აერთიანებს მათ; ეს უდიდესი ბოროტებაა, ეს სოციალისტური

რევოლუციის კრახია, მთელი ინტერნაციონალის კრახი და დაღუპვაა. (ტ ა შ ი).

1914 წელს დაიღუპა ინტერნაციონალი, იმიტომ რომ ყველა ქვეყნის მუშები შეუერთდნენ თავთავიანთ ნაციონალურ ბურჟუაზიას და ერთმანეთისაგან გაითიშენ, და ახლა ამ გათიშვას ბოლო ეღება. თქვენ, შესაძლებელია, წაიკითხეთ ამას წინათ იმის შესახებ, რომ ინგლისში შოტლანდიელი სახალხო მასწავლებელი და პროფესიული კავშირების მუშაკი მაკლინი ხელმეორედ ჩასვეს საპყრობილეში 5 წლით, პირველად იგი 1½ წლით ჩასვეს იმიტომ, რომ ომს ამხილებდა და ინგლისის იმპერიალიზმის ბოროტმოქმედებაზე ლაპარაკობდა. როდესაც ის გაათავისუფლეს, ინგლისში უკვე იყო საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი ლიტვინოვი. მან მაშინვე დანიშნა მაკლინი კონსულად, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლად ინგლისში, და შოტლანდიის მუშებმა ამ დანიშვნას აღტაცებით უპასუხეს. ინგლისის მთავრობამ ხელმეორედ დაუწყო მაკლინს დევნა, არა მარტო როგორც შოტლანდიელ სახალხო მასწავლებელს, არამედ აგრეთვე როგორც ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის კონსულს. მაკლინი საპყრობილეში ზის იმიტომ, რომ ამკარად გამოვიდა როგორც ჩვენი მთავრობის წარმომადგენელი, ჩვენ კი არასოდეს არ გვინახავს ეს ადამიანი, ის არასოდეს არ ეკუთვნოდა ჩვენს პარტიას, ის — შოტლანდიის მუშათა საყვარელი ბელადია, და ჩვენ და ის შევერთდით, რუსი და შოტლანდიელი მუშები შეერთდნენ ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მთავრობა აწარმოებს ჩეხ-სლოვაკთა შესყიდვას და ეწევა რუსეთის რესპუბლიკის ომში ჩათრევის გააფთრებულ პოლიტიკას. აი საბუთი, რომ ყველა ქვეყანაში, ომში მათი მდგომარეობის დამოუკიდებლად, — გერმანიაშიც, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ ომობს, და ინგლისშიც, რომელსაც სურს ბაღდადს დაეპატრონოს, ბოლომდე ამოართვას სული თურქეთს, — მუშები რუს ბოლშევიკებს, რუსეთის ბოლშევიკურ

რევოლუციას უერთდებიან. როდესაც აქ ამბობდა ორატორი, რომლის სიტყვებიც მე მოვიყვანე, რომ მუშები და გლეხები აწარმოებენ სამოქალაქო ომს მუშათა და გლეხთა წინააღმდეგო, ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ეს მართალი არაა. მუშათა კლასი — ერთია, ხოლო მცირე ჯგუფები, მუშათა კლასის პატარა ფენები — მეორე. გერმანიის მუშათა კლასი 1871 წლიდან 1914 წლამდე, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მთელი მსოფლიოსათვის სოციალისტური ორგანიზაციის ნიმუშს წარმოადგენდა. ჩვენ ვიცით, რომ მას ჰყავდა მილიონი ადამიანისაგან შემდგარი პარტია, რომ მან შექმნა ორ, სამ, ოთხმილიონიანი პროფესიული კავშირები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში მაინც რჩებოდა ასი ათასობით გერმანელი მუშა, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ხუცების კლერიკალურ კავშირში და რომლებიც მთელი ძალ-ღონით ხუცესს, ეკლესიას, თავიანთ კაიზერს უჭერდნენ მხარს. მაშ ვინ წარმოადგენდა ნამდვილად მუშათა კლასს: გერმანიის ბუმბერაზული სოციალ-დემოკრატიული პარტია და პროფესიული კავშირები, თუ ასი ათასობით კლერიკალი მუშა? ერთია — მუშათა კლასი, რომელიც აერთიანებს შეგნებულ, მოწინავე, მოაზროვნე მუშათა უდიდეს უმრავლესობას, და მეორეა — ერთი ფაბრიკა, ქარხანა, ადგილი, კვლავ ბურჟუაზიის მხარეზე დარჩენილ მუშათა რამდენიმე ჯგუფი.

რუსეთის მუშათა კლასი თავისი გიგანტური, უდიდესი უმრავლესობით, — ამას თქვენ გიჩვენებთ საბჭოების, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ყველა არჩევნები, კონფერენციები, — 100-დან 99 პროცენტით ისინი საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დგანან (ტ ა შ ი), რადგან იციან, რომ ეს ხელისუფლება ომს ეწევა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, კულაკების წინააღმდეგ, და არა გლეხებისა და მუშების წინააღმდეგ. ეს დიდი განსხვავებაა, თუ არსებობს სრულიად უმნიშვნელო ჯგუფი მუშებისა, რომელნიც განაგრძობენ ბურჟუაზიისაგან მონურ დამოკიდებულებაში ყოფნას. ჩვენ ომს ვეწევით არა მათ წინააღმდეგ, არამედ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, და მით

უარესი იმ სრულიად უმნიშვნელო ჯგუფებისათვის, რომლებიც აქამდე ბურჟუაზიასთან კავშირში რჩებიან. (ტ ა შ ი).

არის შეკითხვა, რომელიც მე აქ ბარათით მომცეს; ეს შეკითხვა ასეთია: «რატომ გამოდის აქამდე კონტრრევოლუციური გაზეთები?». ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ბეჭდვითი საქმის მუშათა შორის არიან აგრეთვე ისეთი ელემენტები, რომლებიც მოსყიდული ჰყავს ბურჟუაზიას. (ხ მ ა უ რ ო ბ ა, ყ ვ ი რ ი ლ ი: «ტყუილია»). თქვენ შეგიძლიათ იყვიროთ რამდენიც გნებავთ, მაგრამ ხელს ვერ შემიშლით ვთქვა სიმართლე, რომელიც ყველა მუშამ იცის, რომლის ახსნას ეს არის ახლა შევუდექი. როდესაც მუშა მაღლა აყენებს თავის პირად ხელფასს ბურჟუაზიულ ბეჭდვით სიტყვაში, როდესაც ის ამბობს: მე მინდა შევინარჩუნო ჩემი პირადი მაღალი ხელფასი იმისათვის, რომ მე ბურჟუაზიას ვეხმარები შხამის გაყიდვაში, ხალხის მოწამვლაში შხამითო, მაშინ მე ვამბობ: ეს მუშები იგივეა, რაც ბურჟუაზიისაგან მოსყიდულნი (ტ ა შ ი), იმ აზრით კი არა, რომ რომელიმე მათგანი, ცალკე პიროვნება დაქირავებული იყოს. მე ამ აზრით კი არ მინდოდა მეთქვა, არამედ იმ აზრით, რომლითაც ყველა მარქსისტი ლაპარაკობდა ინგლისის მუშების წინააღმდეგ, რომელნიც კავშირს კრავენ თავიანთ კაპიტალისტებთან. თქვენ ყველამ, ვისაც კი წაკითხული გაქვთ პროფესიული ლიტერატურა, იცით ისეთი მაგალითიც, რომ იქ არსებობს არა მარტო მუშათა კავშირები, არამედ იქ ამა თუ იმ პროფესიის მუშათა და იმავე პროფესიის კაპიტალისტთა შორის მოწყობილია კავშირები იმისათვის, რომ აწიონ ფასები, ძარცვონ ყველა დანარჩენი. ყველა ქვეყნის ყველა მარქსისტი, ყველა სოციალისტი მიგვითითებს ასეთ მაგალითებზე და, მარქსითა და ენგელსით დაწყებული, ლაპარაკობდა იმ მუშებზე, რომლებიც შეუგნებლობის გამო, მათი ამქრული ინტერესების გამო მოუსყიდია ბურჟუაზიას. მათ თავიანთი პირველშობილობის უფლება, სოციალისტური რევოლუციის უფლება გაყიდეს იმით, რომ შეუკავშირდნენ თავიანთ კაპიტალისტებს საკუთარი ქვეყნის მუშათა და ჩაგრულ

მშრომელთა ფენების უდიდესი უმრავლესობის, თავიანთი საკუთარი კლასის წინააღმდეგ. იგივეა ჩვენში, როდესაც ჩვენში მოიპოვებიან მუშათა ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ამბობენ, რა გვესაქმება, თუ ის, რასაც ჩვენ ვაწყობთ, წარმოადგენს ოპიუმს, შხამს, რომელსაც სიცრუე და პროვოკაცია მოაქვს; მე ჩემს მაღალ ხელფასს ავიღებ, სხვები კი ფეხებზე მკიდიაო. ასეთ მუშებს ჩვენ დავგმობთ, ასეთ მუშებს ჩვენ ყოველთვის ვეუბნებოდით მთელ ჩვენს ლიტერატურაში და ვეუბნებოდით აშკარად: ასეთი მუშები შორდებიან მუშათა კლასს და ბურჟუაზიის მხარეზე გადადიან. (ტ ა შ ი).

ამხანაგებო! მე ახლა გადავალ იმ შეკითხვების განხილვაზე, რომლებიც მე მომცეს, მაგრამ, რომ არ დამავიწყდეს, ჯერ პასუხს გავცემ შავი ზღვის ფლოტის შესახებ[138] შემოტანილ შეკითხვაზე, რომელიც თითქოს იმისთვის მომცეს, რომ ჩვენ გვამხილონ. მე კი მოგახსენებთ, რომ იქ მოქმედებდა ამხანაგი რასკოლნიკოვი, რომელსაც მშვენივრად იცნობენ პიტერისა და მოსკოვის მუშები მისი აგიტაციით, მისი პარტიული მუშაობით. ამხანაგი რასკოლნიკოვი თვითონ იქნება აქ და გიამბობთ, როგორ ეწეოდა აგიტაციას იმისათვის, რომ უმჯობესია დავთანხმდეთ ფლოტის განადგურებას, ვიდრე იმას, რომ ამ ფლოტით გერმანიის ჯარები დაიძრან ნოვოროსიისკის წინააღმდეგ. აი, როგორ იყო შავი ზღვის ფლოტის საქმე, და სახალხო კომისრები — სტალინი, შლიაპნიკოვი და რასკოლნიკოვი მალე ჩამოვლენ მოსკოვში და გვიამბობენ, როგორც იყო საქმე. თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენი პოლიტიკა ერთადერთი პოლიტიკა იყო, რომელმაც ისევე, როგორც ბრესტის ზავის პოლიტიკამ, მრავალი მძიმე უბედურება მოგვიტანა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას და რუსეთის მუშურ-სოციალისტურ რევოლუციას შესაძლებლობა მისცა თავისი დროშა კვლავაც სჭეროდა ყველა ქვეყნის მუშათა წინაშე. თუ ახლა გერმანიაში დღითი დღე იზრდება იმ მუშათა რიცხვი, რომელნიც უკუაგდებენ ძველ ცრურწმენას ბოლშევიკების შესახებ და რომელთაც

ესმით ჩვენი პოლიტიკის სისწორე, ამაში იმ ტაქტიკის დამსახურებაა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ ბრესტის ხელშეკრულებით დაწყებული.

იმ შეკითხვებიდან, რაც მე მომცეს, შევჩერდები ორზე, რომლებიც პურის მოზიდვას შეეხება. ზოგიერთი მუშა ამბობს, რატომ უკრძალავთ თქვენ პურის მოზიდვას ცალკეულ მუშებს, როდესაც მათ ის თავისი ოჯახისათვის მოაქვთო? ამის პასუხი უბრალოა: აბა, იფიქრეთ, რა იქნებოდა, რომ ათას ფუთობით პური, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ადგილისათვის, ამა თუ იმ ფაბრიკისათვის, ამა თუ იმ რაიონისათვის, ამა თუ იმ უბნისათვის, ათასობით ადამიანს შემოჰქონდეს. ჩვენ რომ ამას გავყოლოდით, სასურსათო ორგანიზაციების სრული დაშლა დაიწყებოდა. ჩვენ სრულებითაც არ ვამტყუნებთ იმ მშიერ, ტანჯულ ადამიანს, რომელიც მარტოკა მიდის პურისთვის და როგორიც გნებავთ საშუალებით შოულობს მას, მაგრამ ჩვენ ვამბობთ: ჩვენ, როგორც მუშურ-გლეხური მთავრობა, იმიტომ კი არ ვარსებობთ, რომ რღვევას და დაშლას ვაკანონებდეთ და ვაქეზებდეთ. ამისათვის მთავრობა საჭირო არ არის. ის საჭიროა იმისათვის, რომ გააერთიანოს, დარაზმოს ისინი, შეგნებულად შეაკავშიროს შეუგნებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. არ შეიძლება მათი გამტყუნება, ვინც შეუგნებლობით თავს ანებებს ყველაფერს, ყველაფერზე თვალებს ხუჭავს, რათა ყოველგვარი საშუალებით თავი გადაირჩინოს — პური იშოვოს, მაგრამ მათი გამტყუნება კი შეიძლება, ვინც პარტიული კაცია, პურის მონოპოლიას ქადაგებს და ამავე დროს არასაკმარისად უჭერს მხარს მოქმედებათა შეგნებულობას და ერთსულოვნებას. დიახ, მეტომრეებთან, პურის კერძოდ გაზიდვასთან ბრძოლა — ძნელი ბრძოლაა, იმიტომ რომ ეს არის ფართო მასების სიბნელესთან, შეუგნებლობასთან, დაურაზმაობასთან ბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლაზე ჩვენ არასოდეს არ ავიღებთ ხელს. ყოველთვის, როდესაც ადამიანები ცალკე დამზადებას მიყოფენ ხოლმე ხელს, ჩვენ ხელახლა მოვუწოდებთ მათ შიმშილობასთან ბრძოლის პროლეტარული სოციალისტური

ხერხებისაკენ: მოდით, გავერთიანდეთ და ახალი ძალებით შევცვალოთ დაავადებული სასურსათო რაზმები, შევცვალოთ ახალი, უფრო ძლიერი, უფრო პატიოსანი, უფრო შეგნებული, უფრო ნაცადი ადამიანებით, და ჩვენ იმავე რაოდენობის, იმდენსავე ათას ფუთ პურს შემოვიტანთ, რასაც დაქსაქსული ძალ-ღონით ეზიდება 200 კაცი, თვითეული 15 ფუთობით, და ყოველი მათგანი მაღლა სწევს ფასებს, აძლიერებს სპეკულაციას. ჩვენ კი გავაერთიანებთ ამ 200 ადამიანს, შევქმნით შეკავშირებულ, ძლიერ მუშათა არმიას. თუ ერთბაშად ვერ მოვახერხებთ, გავიმეორებთ ჩვენს ღონისძიებას; ჩვენ ვეცდებით ყოველ ქარხანაში, ყოველ ფაბრიკაში მივაღწიოთ იმას, რომ შეგნებულმა მუშებმა სპეკულაციასთან საბრძოლველად მეტი ძალა, უფრო საიმედო ადამიანები გვაძლიონ, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მუშათა შეგნება, დისციპლინა და ორგანიზებულობა, ბოლოს და ბოლოს, გადალახავს ყველა მძიმე განსაცდელს. აი, როდესაც ადამიანები თავიანთი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდებიან, რომ ცალკე მეტომრეობის შედეგად ასი ათასობით დამშეულის გადარჩენა შეუძლებელია, მაშინ დავინახავთ, რომ ორგანიზებულობისა და შეგნებულობის საქმე გაიმარჯვებს და რომ ჩვენ შემჭიდროების გზით მოვაწყობთ შიმშილობასთან ბრძოლას და მივაღწევთ პურის სწორად განაწილებას.

მე აქ მეკითხებიან: რატომ არ არის შემოღებული მონოპოლია მრეწველობის სხვა პროდუქტებზე, რომლებიც ისევე საჭიროა, როგორც პური? ამაზე მე ვუპასუხებ: საბჭოთა ხელისუფლება ამისათვის ყოველ ზომას ღებულობს. თქვენ იცით, რომ არსებობს ტენდენცია მოწესრიგდეს, გაერთიანდეს საფეიქრო ფაბრიკები, საფეიქრო წარმოება. თქვენ იცით, რომ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრების უმრავლესობაში მუშები სხედან; თქვენ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლება იწყებს მრეწველობის ყველა დარგის ნაციონალიზაციას; თქვენ იცით, რომ ის სიძნელენი, რომლებიც წინ ეღობება ამ საქმეს, უზარმაზარია, რომ აქ დიდი ძალაა საჭირო,

რათა ყოველივე ეს ორგანიზებულად შეიქმნას. ჩვენ ხომ ისე არ ვკიდებთ ხელს ამ საქმეს, როგორც ის მთავრობები, რომელნიც მოხელეებს ეყრდნობიან. ასე ადვილია მართვა: დაე, ერთ კაცს 400 მანეთი ეძლეოდეს, მეორეს — მეტი, ათასი მანეთი, ჩვენი საქმე ბრძანებაა და მათ უნდა შეასრულონო. ასე ეწევა მმართველობას ყველა ბურჟუაზიული ქვეყანა, ისინი დიდ ფასად ქირაობენ მოხელეებს, ქირაობენ იმავე ბურჟუაზიის შვილებს და მათ ავალებენ მართვას. საბჭოთა რესპუბლიკას არ შეუძლია ასე მართვა. მას არა ჰყავს მოხელეები, რათა მართონ და ხელმძღვანელობა გაუწიონ ყველა საფეიქრო ფაბრიკის გაერთიანების საქმეს, პირველი მოთხოვნილების ყველა საგნის აღრიცხვის, მათზე მონოპოლიის შემოღებისა და მათი სწორად განაწილების საქმეს. ამისათვის ჩვენ მოვუხმობთ იმავე მუშებს, მოვუხმობთ ფეიქართა პროფესიული კავშირების წარმომადგენელთ და ვეუბნებით: თქვენ უნდა შეადგენდეთ «ცენტროტექსტილის» ხელმძღვანელი კოლეგიის უმრავლესობას და შეადგენთ კიდეც უმრავლესობას მასში, ისევე როგორც თქვენ შეადგენთ უმრავლესობას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელ კოლეგიებში. ამხანაგო მუშებო, თქვენ თვითონ მოკიდეთ ხელი ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საქმეს; ჩვენ ვიცით, რომ ეს უფრო ძნელია, ვიდრე საქმიან მოხელეთა დაყენება, მაგრამ ვიცით, რომ სხვა გზა არ არის. ძალაუფლება მუშათა კლასს უნდა მივცეთ ხელში და, ყველა სიძნელის მიუხედავად, უნდა ვასწავლოთ მოწინავე მუშებს ის, რომ ისინი თავიანთი გამოცდილებით, თავიანთი ზურგით, თავიანთი ხელებით მიდიოდნენ იქამდე, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ყველა საგნის, მთელი მანუფაქტურის განაწილება მშრომელთა ინტერესების სასარგებლოდ. (ტ ა შ ი).

აი რატომ არის, რომ სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებისათვის, მტკიცე ფასების დაწესებისათვის საბჭოთა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რის გაკეთებაც კი შეუძლია ახლანდელ მდგომარეობაში, აკეთებს ამას მუშების საშუალებით, მუშებთან ერთად, უმრავლესობას აძლევს

მათ ყოველ გამგეობაში, ყოველ ცალკე ცენტრში, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო იქნება ეს, მელითონეთა გაერთიანება, თუ ამ რამდენიმე კვირაში ნაციონალიზებული შაქრის ქარხნების გაერთიანება. ეს გზა ძნელ გზას წარმოადგენს, მაგრამ, ვიმეორებ, სიძნელეთა გარეშე ვერ მივაღწევთ იმას, რომ მუშები, რომელნიც წინათ მიჩვეული იყვნენ და ბურჟუაზიამ ასეული წლების განმავლობაში მიაჩვია მისი ბრძანებების მხოლოდ მონურად შესრულებას, რომ ისინი სხვა მდგომარეობაზე გადავიდნენ, რომ მათ იგრძნონ, რომ ხელისუფლება — ეს ჩვენა ვართ. მრეწველობის ბატონ-პატრონი, პურის პატრონი, ყველა პროდუქტის პატრონი ქვეყანაში — ეს ჩვენა ვართ. აი, როდესაც ეს შეგნება ღრმად შეიჭრება მუშათა კლასში, როდესაც ის თავისი გამოცდილებით, თავისი მუშაობით გააათკეცებს თავის ძალებს, მხოლოდ მაშინ იქნება დაძლეული სოციალისტური რევოლუციის ყველა სიძნელე.

მე ვამთავრებ საფაბრიკო-საქარხნო კონფერენციისადმი ხელახალი მოწოდებით იმისაკენ, რომ ქალაქ მოსკოვში, სადაც სიძნელენი განსაკუთრებით დიდია, რადგან ეს არის ვაჭრობისა და სპეკულაციის უდიდესი ცენტრი, სადაც ათი ათასობით ადამიანი მარტო იმით არსებობს მრავალი წლის განმავლობაში, რომ ვაჭრობითა და სპეკულაციით შოულობს თავისთვის ცხოვრების სახსარს, აქ სიძნელენი განსაკუთრებით დიდია, მაგრამ აქ, სამაგიეროდ, არის ისეთი ძალებიც, როგორიც არც ერთ პატარა ქალაქში არ მოიპოვება. ოღონდ, დაე, ამ მუშათა ორგანიზაციებს, დაე, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს კარგად ახსოვდეთ და მტკიცედ იქონიონ მხედველობაში ის, რასაც გვასწავლის ყველა ახლანდელი მოვლენა, რასაც გვასწავლის ახლანდელი შიმშილობა, რომელიც რუსეთის მშრომელთ მოედო. რევოლუციის გადარჩენა ძალაუფლების მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელში დაბრუნებისაგან შეუძლიათ მხოლოდ ახალ და ახალ ორგანიზაციებს, შეგნებულ და მოწინავე მუშათა უფრო ფართო ორგანიზაციებს. ასეთი მუშები ახლა უმრავლესობას შეადგენენ, მაგ-

რამ ეს საკმარისი არ არის; საჭიროა, რომ ისინი უფრო მეტად კიდებდნენ ხელს საერთო-სახელმწიფოებრივ მუშაობას. მოსკოვში უამრავია ასეთი შემთხვევები, როცა სპეკულანტები შიმშილით თამაშობენ და შიმშილით მდიდრდებიან, ანგრევენ პურის მონოპოლიას, როცა მდიდრებს აქვთ ყველაფერი, რაც კი მოესურვებათ. მოსკოვში კომუნისტების პარტიის 8 000 წევრია, მოსკოვში პროფესიული კავშირები მოგვცემენ 20 — 30 ათას კაცს, რომელთა თავდებობაც კავშირებს შეუძლიათ, რომელნიც პროლეტარული პოლიტიკის საიმედო, მედგარი გამომხატველნი იქნებიან. გააერთიანეთ ისინი, შექმენით ასი ათასობით ადამიანთაგან რაზმები, იბრძოლეთ სასურსათო საქმისათვის, მთელი მდიდარი მოსახლეობის ჩხრეკისათვის, — და თქვენ მიაღწევთ იმას, რაც თქვენ გჭირდებათ. (ტ ა შ ი).

ამას წინათ მე თქვენ გიამბეთ, თუ რა წარმატებას მიაღწიეს ამ საქმეში ქ. ელეცში, მაგრამ მოსკოვში ამის გაკეთება უფრო ძნელია. მე ვთქვი, რომ ელეცი საუკეთესოდ დაყენებული ქალაქია; მრავალი ქალაქია გაცილებით უარესად დაყენებული, იმიტომ რომ ეს საქმე ძნელია, იმიტომ რომ აქ იარაღის ნაკლებობაში კი არაა საქმე, — ის რამდენიც გნებავთ არის, — არამედ სიძნელე იმაშია, რომ ხელმძღვანელ, პასუხსაგებ პოსტებზე ასობით და ათასობით წამოაყენო უდავოდ საიმედო მუშები, რომელთაც უნარი შესწევთ შეიგნონ, რომ ისინი თავიანთ ადგილობრივ საქმეს კი არა, მთელი რუსეთის საქმეს აკეთებენ, რომელთაც უნარი შესწევთ თავიანთ პოსტზე იდგნენ, როგორც მთელი კლასის წარმომადგენელნი, და მწყობრი განსაზღვრული გეგმით მოაწყონ მუშაობა, შეასრულონ ის, რაც დავალებული აქვთ, ის, რასაც გადაწყვეტს მოსკოვის საბჭო, მთელი პროლეტარული მოსკოვის ორგანიზაციები. მთელი სიძნელე იმაშია, რომ დავრაზმოთ პროლეტარიატი, იმაში, რომ ის უფრო შეგნებული იყოს, ვიდრე აქამდე იყო. გადახედეთ პიტერის არჩევნებს[139] — და თქვენ დაინახავთ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ იქ კიდევ უფრო დიდი შიმშილობა მძვინვარებს,

ვიდრე მოსკოვში, რომ უბედურება იქ კიდევ უფრო მეტი სიმძიმით დაატყდათ თავს, იქ იზრდება მუშათა რევოლუციისადმი ერთგულება, იქ იზრდება ორგანიზებულობა და დარაზმულობა, და მაშინ თქვენს თავს ეტყვით, რომ იმ უბედურებათა ზრდასთან ერთად, რომლებიც ჩვენ თავს დაგვატყდა, იზრდება მუშათა კლასის მტკიცე გადაწყვეტილება — დაძლიოს ყველა ეს სიძნელე. დაადექით ამ გზას, გააძლიერეთ თქვენი ენერგია, ატარეთ ათასებისაგან შემდგარი ახალი რაზმები ამ გზით, სასურსათო საქმის დასახმარებლად, და ჩვენ თქვენთან ერთად, თქვენგან მხარდაჭერაზე დაყრდნობით, დავამარცხებთ შიმშილს და მივაღწევთ სწორ განაწილებას. (ტ ა შ ი).

3

რეზოლუცია მიმდინარე მომენტის შესახებ წაკითხული მოხსენების გამო

მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების IV კონფერენცია, სავსებით მხარს უჭერს რა საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო პოლიტიკას, განსაკუთრებით იწონებს (და დაჟინებით აღნიშნავს, რომ ყველა მუშისთვის აუცილებელია მხარი დაუჭიროს) სოფლის ღარიბობის გაერთიანების პოლიტიკას.

მუშათა განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ თვით მუშათა საქმე იყოს, და მხოლოდ ქალაქის მუშათა უმჭიდროეს კავშირს სოფლის ღარიბობასთან შეუძლია დაამარცხოს ბურჟუაზიისა და კულაკების წინააღმდეგობა, თავის ხელში აიღოს მთელი ნაჭარბი პური და სწორად გაანაწილოს ის როგორც ქალაქის, ისე სოფლის გაჭირვებულთა შორის.

კონფერენცია მოუწოდებს ყველა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს მთელი ძალ-ღონე დაძაბონ იმისათვის, რომ მუშათა უფრო ფართო მასები შეაკავშირონ სასურსათო რაზმებად და უაღრესად საიმედო ამხანაგების ხელმძღვანელობით დასძრან ისინი მუშათა და გლეხთა მთავრობის სასურსათო პოლიტიკისათვის აქტიურად და ყოველმხრივ მხარდასაჭერად.

ხიტყვა მიტინგზე სიმოწოვის ქვერაიონში 1918 წ. 28 ივნისს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(მუშები მჭუხარე ტაშით მიესალმებიან ლენინს). ლენინი ლაპარაკობს სამოქალაქო ომის აუცილებლობაზე და მოუწოდებს მოსკოვის პროლეტარიატს შეთანხმებული ორგანიზაციისაკენ როგორც კონტრრევოლუციური ძალების, ისე შიმშილობისა და სახელმწიფოებრივი ნგრევის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

გზადაგზა ლენინი ეხება სარატოვისა და ტამბოვის ამბებს და აღნიშნავს, რომ ყველგან, სადაც კი ხდებოდა მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების პარტიების მიერ შთაგონებული აჯანყებები, მუშათა კლასს ჩქარა უტყდებოდა გული ამ პარტიათა იდეოლოგიაზე და ასევე ჩქარა ამხობდა მუშურ-გლეხური ხელისუფლების წამრთმევთ.

ჩვენ მივიღეთ დეპეშა დახმარების თხოვნით, მაგრამ ჩვენი რაზმები შუაგზამდე მისვლას ვერ ასწრებდნენ, რომ იგივე მუშები, რომელნიც დახმარებას თხოულობდნენ, კვლავ იტყობინებოდნენ, რომ დაუყოვნებლივი დახმარების საჭიროებამ განვლო, რადგან დამპყრობნი დამარცხებული არიან ადგილობრივი ძალითო. ასე იყო სარატოვში, ტამბოვსა და სხვა ქალაქებში.

ლენინი აღნიშნავს, რომ ომი საზოგადოდ ეწინააღმდეგება კომუნისტთა პარტიის მისწრაფებებს. მაგრამ ის ომი, რომელსაც დღეს ქადაგებენ, — წმიდათა წმიდაა, ესაა სამოქალაქო ომი, მუშათა კლასის ომი მის ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

უშრომლად, უდიდესი ენერგიის დაუხარჯავად ჩვენ ვერ შევძლებთ სოციალიზმის გზაზე გასვლას. მუშათა კლასის იდეალებისათვის წარმატებით საბრძოლველად აუცილებლად საჭიროა ორგანიზება. ორგანიზაცია აუცილებელია აგრეთვე იმისათვის, რომ შევძლოთ ყველა იმ მონაპოვრის განმტკიცება, რომლებიც მძიმე დანაკარგთა და ღონისძიებათა ფასად მივიღეთ.

ხელისუფლების შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი აღება, და ჩვენ ისტორიის მაგალითებიდან ვხედავთ, რომ მუშათა კლასი ხშირად იღებდა ძალაუფლებას თავის ხელში, მაგრამ არ შეეძლო მისი შენარჩუნება მხოლოდ იმიტომ, რომ საკმაოდ ძლიერი ორგანიზაციები არ მოეპოვებოდა.

— ხალხი დაიღალა, — განაგრძობს ლენინი შემდეგ, — და მას, რა თქმა უნდა, შეიძლება წაუბიძგო რაიმე უგუნურებისაკენ, სკოროპადსკისკენაც კი, რადგან ხალხის დიდი ნაწილი გაუნათლებელია.

ახლა გვიახლოვდება შიმშილი, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ პური ციმბირის, კავკასიისა და უკრაინის გარეშეც სავსებით გვეყოფა. პური ახალ მოსავლამდე საკმაო რაოდენობით არის იმ გუბერნიებში, რომლებიც დედაქალაქებს გარს არტყიან, მაგრამ ის მთლად გადამალული აქვთ კულაკებს. აუცილებლად საჭიროა დავრაზმოთ სოფლის ღარიბობა იმისათვის, რომ მისი დახმარებით ავიღოთ ეს პური. აუცილებლად საჭიროა ულმობელი ბრძოლა სპეკულაციისა და სპეკულანტების წინააღმდეგ, არა მარტო საქმით, არამედ სიტყვითაც.

მხოლოდ ორგანიზაციით შემჭიდროებული მუშათა კლასი შეძლებს აუხსნას უბრალო ხალხს კულაკებთან ბრძოლის აუცილებლობა. რუსმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ღარიბ გლეხობას უდიდესი მოკავშირე ჰყავს ქალაქის ორგანიზებული პროლეტარიატის სახით.

მუშათა კლასი და გლეხობა ინტელიგენციის მეტისმეტ იმედს ვერ იქონიებენ, რადგან ინტელიგენციიდან ბევრნი, რომლებიც ჩვენკენ მოდიან, ყოველთვის ელოდებიან ჩვენს დაცემას.

თავის სიტყვას ლენინი ამთავრებს ორგანიზაციისაკენ მოწოდებით მუშათა და გლეხთა საბრძოლველად კულაკობის, მემამულეთა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. (ლ ე ნ ი ნ ი ს სიტყვას ჰფარავს მთელი აუდიტორიის მქუხარეტაში).

სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტია» № 133,
1918 წ. 29 ივნისი

იბეჭდება სრულიად რუსეთის ცაკის
გაზეთ «იზვესტიის» ტექსტის მიხედვით

წინასწარმეტყველური სიტყვები

სასწაულები ახლა, მადლობა ღმერთს, არა სწამთ. სასწაულებრივი წინასწარმეტყველება ზღაპარია. მაგრამ მეცნიერული წინასწარმეტყველება ფაქტია. და ჩვენს დღეებში, როცა ირგვლივ არაიშვიათად შეიძლება შეხვდეთ სამარცხვინო ჭმუნვარებას ან სასოწარკვეთილებასაც კი, სასარგებლოა გავიხსენოთ ერთი გამართლებული მეცნიერული წინასწარმეტყველება.

ფრიდრიხ ენგელსს 1887 წელს შემთხვევა მიეცა მომავალი მსოფლიო ომის შესახებ დაეწერა წინასიტყვაობაში სიგიზმუნდ ბორკჰეიმის ბროშურისა: «სახსოვრად 1806 — 1807 წლების გერმანელ მეავე პატრიოტებს» («**Zur Erinnerung für die deutschen Mordspatrioten** 1806 — 1807»). (ეს ბროშურა XXIV ნაკვეთია «სოც.-დემ. ბიბლიოთეკისა», რომელიც 1888 წელს გამოდიოდა გოტინგენ-ციურიხში).

აი როგორ მსჯელობდა, ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ, ფრიდრიხ ენგელსი მომავალი მსოფლიო ომის შესახებ:

...«პრუსიისთვის — გერმანიისთვის ახლა უკვე შეუძლებელია რაიმე სხვანაირი ომი, გარდა მსოფლიო ომისა. და ეს იქნებოდა წინათ არნახული მასშტაბის, არნახული ძალის მსოფლიო ომი. რვიდან ათ მილიონამდე ჯარისკაცი გამოვა ერთმანეთის დასახრჩობად და თანაც იმდენად პირწმინდად გააჩანაგებს მთელ ევროპას, როგორც ჯერ კიდევ

არასოდეს არ გაუჩანაგებიათ კალიების გროვებს. ოცდაათწლიანი ომით გამოწვეული გაპარტახება, — სამი-ოთხი წლის მანძილზე თავმოყრილი და მთელ კონტინენტზე გავრცელებული, შიმშილი, ეპიდემიები, როგორც ჯარების, ისე ხალხთა მასების საყოველთაო გაველურება, გამოწვეული მწვავე გაჭირვებით, ჩვენი ხელოვნური მექანიზმის უიმედო დომხალი ვაჭრობაში, მრეწველობასა და კრედიტში; ყოველივე ეს მთავრდება საყოველთაო გაკოტრებით; ძველი სახელმწიფოებისა და მათი რუტინული სახელმწიფოებრივი სიბრძნის კრახი, — ისეთი კრახი, რომ გვირგვინები დუჟინობით ყრია ქვაფენილებზე და არავინ არის, რომ ეს გვირგვინები აიღოს; აბსოლუტური შეუძლებლობა იმის გათვალისწინებისა, თუ როგორ გათავდება ყველაფერი ეს და ვინ გამოვა ბრძოლიდან გამარჯვებული; მხოლოდ ერთი შედეგი აბსოლუტურად უეჭველია: საყოველთაო გამოფიტვა და პირობების შექმნა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ასეთია პერსპექტივა, თუ სამხედრო შეიარაღებაში უკიდურესობამდე მიყვანილი ურთიერთ კონკურენციის სისტემა, ბოლოს და ბოლოს, თავის გარდუვალ ნაყოფს გამოიღებს. აი სად მიიყვანა, ბატონო მეფეებო და სახელმწიფო კაცებო, თქვენმა სიბრძნემ ძველი ევროპა. და თუ თქვენ აღარაფერი გრჩებათ, გარდა იმისა, რომ დაიწყოთ უკანასკნელი დიდი სამხედრო ცეკვა, — ჩვენ არ ავტირდებით (**uns kann es recht sein**). დაე ომმა, შესაძლოა, დროებით თუნდაც უკან გადაგვისროლოს, დაე წაგვართვას ზოგიერთი უკვე დაპყრობილი პოზიცია. მაგრამ თუ თქვენ ლაგამს ახსნით იმ ძალებს, რომელთაც შემდეგ უკვე ვეღარ შეძლებთ გაუმკლავდეთ, მაშინ, როგორადაც უნდა წარიმართოს საქმეები, ტრაგედიის დასასრულს თქვენ იქნებით ნანგრევი, და პროლეტარიატის გამარჯვება ან უკვე მოპოვებული იქნება, ანდა მაინც (**doch**) გარდუვალი იქნება.

ლონდონი. 1887 წ. 15 დეკემბერი.

ფრიდრიხ ენგელსი»[140].

რა გენიალური წინასწარმეტყველებაა! და რა უსასრულოდ მდიდარია აზრებით ამ ზუსტი, მკაფიო, მოკლე, მეცნიერული კლასობრივი ანალიზის თვითეული ფრაზა! რამდენ რამეს შეითვისებდნენ აქედან ისინი, ვინც ახლა სამარცხვინო მცირედმორწმუნეობას, ჭმუნვარებას, სასოწარკვეთილებას შეუპყრია, რომ... რომ იმ ადამიანებს, რომლებიც ბურჟუაზიის წინაშე ლაქიობას დაჩვეულან ან მისთვის თავი დაუშინებინებიათ, შეეძლოთ აზროვნება, უნარი შესწევდეთ იაზროვნონ!

ზოგი რამ იქიდან, რაც ენგელსმა იწინასწარმეტყველა, სხვანაირად გამოვიდა: დიახაც რომ უნდა შეცვლილიყო მსოფლიო და კაპიტალიზმი საშინლად ჩქარი იმპერიალისტური განვითარების ოცდაათი წლის განმავლობაში. მაგრამ ყველაზე საკვირველი ისაა, რომ ესოდენ ბევრი რამ, რაც ენგელსმა იწინასწარმეტყველა, «დაბარებულივით» სრულდება. ვინაიდან ენგელსი იძლეოდა უნაკლოდ ზუსტ კლასობრივ ანალიზს, ხოლო კლასები და მათი ურთიერთობანი წინანდელი დარჩნენ.

...«შესაძლოა, ომმა დროებით უკან გადაგვისროლოს»... საქმე სწორედ ამ ხაზით წავიდა, მაგრამ კიდევ უფრო შორს და უფრო ცუდად: «უკანგადასროლილი» სოციალ-შოვინისტებისა და მათი უნებისყოფო «ნახევრადმოწინააღმდეგეების» — კაუცკელების — ნაწილმა დაიწყო თავისი უკუსვლითი მოძრაობისათვის ხოტბის შესხმა, ისინი სოციალიზმის პირდაპირ მოღალატეებად და გამცემლებად იქცნენ.

...«შესაძლოა, ომმა წაგვართვას ზოგიერთი უკვე დაპყრობილი პოზიცია»... მუშათა კლასს მთელი რიგი «ლეგალური» პოზიციები წაართვეს. სამაგიეროდ ის გამოწრთობილია მრავალი განსაცდელით და არალეგალური ორგანიზაციის, არალეგალური ბრძოლის, რევოლუციური იერიშისათვის თავის ძალთა მომზადების სასტიკ, მაგრამ სასარგებლო გაკვეთილებს ღებულობს.

...«გვირგვინები დუჟინობით ყრია»... რამდენიმე გვირგვინი უკვე ძირს დაენარცხა, და მათგან ერთი ისეთია, რომელიც დუჟინ სხვა გვირგვინებად ღირს: გვირგვინი სრულიად რუსეთის თვითმპყრობელ ნიკოლოზ რომანოვისა.

...«აბსოლუტური შეუძლებლობა იმის გათვალისწინებისა, თუ როგორ გათავდება ყველაფერი ეს»... ოთხი წლის ომის შემდეგ ეს აბსოლუტური შეუძლებლობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კიდევ უფრო აბსოლუტურია.

... «ვაჭრობის, მრეწველობისა და კრედიტის ჩვენი ხელოვნური მექანიზმის უიმედო დომხალი»... ომის მეოთხე წლის დასასრულს ამან სავსებით იჩინა თავი ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოში იმათგან, რომლებიც კი კაპიტალისტებმა ომში ჩაითრიეს, — რუსეთში. მაგრამ განა მზარდი შიმშილობა გერმანიასა და ავსტრიაში, ტანსაცმლის, ნედლეულის ნაკლებობა, საწარმოო საშუალებათა გაცვეთა არ გვიჩვენებს, რომ ასეთივე მდგომარეობა სხვა ქვეყნებსაც უდიდესი სისწრაფით უახლოვდება?

ენგელსი გვისურათებს იმ შედეგებს, რომელთაც მხოლოდ «საგარეო» ომი იწვევს; იგი არ ეხება საშინაო, ე. ი. სამოქალაქო ომს, ურომლისოდაც ისტორიაში ჯერ კიდევ არც ერთი დიდი რევოლუცია არ მომხდარა, ურომლისოდაც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა ვერც ერთ სერიოზულ მარქსისტს ვერ წარმოედგინა. და თუ საგარეო ომს კიდევ შეუძლია განსაზღვრული დროით გაჭიანურდეს კაპიტალიზმის «ხელოვნურ მექანიზმში» «უიმედო დომხალის» გამოუწვევლად, აშკარაა, რომ სამოქალაქო ომი ასეთი შედეგის გარეშე უკვე ყოვლად წარმოუდგენელია.

რა გონებაჩლუნგობას, რანაირ უნებისყოფობას, — თუ არ ვილაპარაკებთ ბურჟუაზიისადმი ანგარებიან მსახურებაზე, — იჩენენ ისინი, ვინც, კვლავ უწოდებს რა თავისთავს «სოციალისტებს», მსგავსად ჩვენი ნოვოჟიზნელებისა, მენშევიკებისა, მემარჯვენე ესერებისა და სხვათა, ღვარძლიანად მიუთითებს ამ «უიმედო დომხალის» გამოვლინებაზე და ყველაფერში ბრალსა სდებს რევოლუციურ პროლეტარიატს, საბჭოთა ხელისუფლებას, სოციალიზმზე გადასვლის «უტოპიას». «დომხალი», რღვევა, მშვენიერი რუსული გამოთქმისამებრ, გამოწვეულია ომით. რღვევის გარეშე მძიმე ომი შეუძლებელია. სამოქალაქო ომი, სოციალისტური რევოლუციის აუცილებელი

პირობა და თანამგზავრი, რღვევის გარეშე შეუძლებელია. რღვევის «გამო» რევოლუციის, სოციალიზმის უარყოფა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შენი უიდეობა გამოიჩინო და საქმით გადახვიდე ბურჟუაზიის მხარეზე.

...«შიმშილი, ეპიდემიები, როგორც ჯარების, ისე ხალხთა მასების საყოველთაო გაველურება, გამოწვეული მწვავე გაჭირვებით»...

რა უბრალოდ და ნათლად გამოჰყავს ენგელსს ეს უდავო დასკვნა, რომელიც აშკარაა ყველასთვის, ვისაც კი ოდნავ მაინც უნარი შესწევს ჩაუფიქრდეს მრავალი წლის მძიმე, მტანჯველი ომის ობიექტურ შედეგებს. და რა საოცრად უჭკუონი არიან ის მრავალრიცხოვანი «სოციალ-დემოკრატები» და ვაი-«სოციალისტები», რომელთაც არ უნდათ ან უნარი არ შესწევთ ჩაუფიქრდნენ ამ უმარტივეს მოსაზრებას.

წარმოსადგენია თუ არა მრავალწლიანი ომი როგორც ჯარების, ისე ხალხთა მასების გ ა ვ ე ლ უ რ ე ბ ი ს გარეშე? რა თქმა უნდა, არა. რამდენიმე წლისთვის, თუ მთელი თაობისთვის არა, მრავალწლიანი ომის ასეთი შედეგი უთუოდ გარდუვალია. ხოლო ჩვენი «ფუტლარის ადამიანები», ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან გამოსული კაცუნები, რომელნიც თავიანთ თავს «სოციალ-დემოკრატებსა» და «სოციალისტებს» უწოდებენ, ბურჟუაზიის ხმას აყოლიან და გაველურების გამოვლინებებს ან გაველურების განსაკუთრებით მწვავე შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის ზომების გარდუვალ სისასტიკეს რევოლუციას აბრალებენ, — თუმცა დღესავით ნათელია, რომ ეს გაველურება იმპერიალისტურმა ომმა გამოიწვია და არავითარ რევოლუციას არ ძალუძს ხანგრძლივი ბრძოლის გარეშე, მთელ რიგ სასტიკ რეპრესიათა გამოუყენებლად განთავისუფლდეს ომის ა ს ე თ ი შედეგებისაგან.

ისინი მზად არიან «თეორიულად» დაუშვან პროლეტარიატისა და სხვა ჩაგრული კლასების რევოლუცია, «ნოვაია ჟიზნის», «ვპერიოდის» თუ «დელო ნაროდას» ეს ჩვენი მოთაფლული მწერლები, ოღონდ ისე კი, რომ ეს რევოლუცია ციდან ჩამოვარდეს, და არა იშვას და იზრდებოდეს ხალხთა

ოთხწლიან იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტაში სისხლით მორწყულ მიწაზე, ამ ხოცვა-ჟლეტაში განაწამებ, გატანჯულ, გაველურებულ მილიონობითა და მილიონობით ადამიანთა შორის.

მათ გაუგონიათ და «თეორიულად» აღიარებდნენ, რომ რევოლუცია უნდა შევადაროთ მშობიარობის აქტს, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ისინი სამარცხვინოდ დაფრთხნენ და სულმდაბალი კაცუნების თავიანთი წუწუნი გადააქციეს პროლეტარიატის აჯანყების წინააღმდეგ ბურჟუაზიის ღვარძლიანი გამოსვლების გადამღერებად. ავიღოთ მშობიარობის აქტის აღწერა ლიტერატურაში, — ის აღწერები, როცა ავტორთა მიზანი იყო ამ აქტის მთელი სიმძიმის, მთელი ტანჯვაწამების, მთელი საშინელების სიმართლით აღდგენა, მაგალითად, ემილ ზოლას «La joie de vivre» («სიცოცხლის სიხარული») ან ვერესაევის «ექიმის ჩანაწერები». ადამიანის დაბადება დაკავშირებულია ისეთ აქტთან, რომელიც ქალს აქცევს გაწამებულ, გატანჯულ, ტკივილისგან გაგიჟებულ, გასისხლიანებულ, ნახევრად მკვდარ ხორცის ნაჭრად. მაგრამ დათანხმდებოდა თუ არა ვინმე ადამიანად ეცნო ისეთი «ინდივიდი», რომელიც მ ხ ო ლ ო დ ამას დაინახავდა სიყვარულში, მის შედეგებში, ქალის გადაქცევაში დედად? ვინ აიღებდა ა მ საფუძვლით ხელს სიყვარულსა და შვილოსნობაზე?

მშობიარობა არის იოლი და არის მძიმე. მარქსი და ენგელსი, მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები, ყოველთვის ლაპარაკობდნენ მ შ ო ბ ი ა რ ო ბ ი ს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ კ ი ვ ი ლ ე ბ ი ს შესახებ, რომლებიც გარდუვალად დაკავშირებულია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლასთან. და ენგელსი, როცა ანალიზს უკეთებს მსოფლიო ომის შედეგებს, მარტივად და ნათლად აღწერს იმ უდავო და აშკარა ფაქტს, რომ რევოლუცია, რომელიც ომს მოჰყვება, რომელიც დაკავშირებულია ომთან (ხოლო კიდევ უფრო მეტად — დავსძენთ ჩვენი მხრით — რომელიც ომის დროს იფეთქებს, იძულებულია იზრდებოდეს და ძლებდეს მისი გარემომცველი მსოფლიო ომის დროს), რომ ასეთი რევოლუცია მშობიარობის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მ ძ ი მ ე შემთხვევაა.

ამ ფაქტის ნათელი შეგნებით ენგელსი განსაკუთრებით ფრთხილად ლაპარაკობს სოციალიზმის დაბადებაზე კაპიტალისტური საზოგადოების მიერ, რომელიც მსოფლიო ომში იღუპება. «მხოლოდ ერთი შედეგი (მსოფლიო ომისა), — ამბობს ის, — აბსოლუტურად უეჭველია: საყოველთაო გამოფიტვა და პირობების შექმნა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის».

კიდევ უფრო ნათლად ეს აზრი გამოხატულია ჩვენს მიერ განხილული წინასიტყვაობის ბოლოში:

...«ტრაგედიის დასასრულს თქვენ (კაპიტალისტები და მემამულენი, მეფეები და ბურჟუაზიის სახელმწიფო კაცები) იქნებით ნანგრევი და პროლეტარიატის გამარჯვება ან უკვე მოპოვებული იქნება, ანდა მაინც გარდუვალი იქნება».

მშობიარობის ძნელი აქტი მრავალგზის ადიდებს სასიკვდილო ავადმყოფობის ან სასიკვდილო დასასრულის საფრთხეს. მაგრამ თუ მშობიარობისგან ცალკეული ადამიანები იღუპებიან, ახალი საზოგადოება, რომელსაც ძველი წყობა ბადებს, არ შეიძლება დაიღუპოს, და მისი დაბადება მხოლოდ უფრო მტანჯველი, უფრო გაჭიანურებული, ზრდა-განვითარება უფრო ნელი გახდება.

ომის დასასრული ჯერ არ დაწყებულა. საყოველთაო გამოფიტვა უკვე დაიწყო. ომის ორი უ შ უ ა ლ ო შედეგიდან, რომლებიც ენგელსმა პირობითად იწინასწარმეტყველა (ან უკვე მოპოვებული გამარჯვება მუშათა კლასისა, ან მისი გარდუვალობის პირობების შექმნა, წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ყ ვ ე ლ ა ს ი ძ ნ ე ლ ი ს ა), ამ ორი პირობიდან ახლა, 1918 წლის შუახანებისათვის, ო რ ი ვ ე არსებობს.

ერთ, ყველაზე ნაკლებად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, მუშაოა კლასის გამარჯვება უ კ ვ ე მ ო პ ო ვ ე ბ უ ლ ი ა. დანარჩენებში, გაუგონარ ტანჯვათა გაუგონარი ღონისძიებით, იქმნება პირობები, რომლებიც ამ გამარჯვებას «მაინც გარდუვალს» ხდის.

დაე, ჩხაოდნენ «სოციალისტური» კაცუნები, დაე, ღვარძლიანობდეს და ცოფს ყრიდეს ბურჟუაზია. მხოლოდ იმ

ადამიანებს, რომელნიც თვალებს ხუჭავენ, რათა არ ხედავდნენ, და ყურებს იცობენ, რათა არ ისმენდნენ, შეუძლიათ არ შეამჩნიონ ის, რომ მთელ მსოფლიოში ძველი კაპიტალისტური საზოგადოებისათვის, რომელიც ფეხმძიმედაა სოციალიზმით, დაიწყო სამშობიარო ტკივილები. ჩვენს ქვეყანას, რომელიც მოვლენათა მსვლელობამ დროებით წამოაყენა სოციალისტური რევოლუციის ავანგარდში, ახლა უხდება მშობიარობის დაწყებული აქტის პირველი პერიოდის განსაკუთრებით მძიმე ტკივილების გადატანა. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს სრული სიმტკიცითა და აბსოლუტური დარწმუნებულობით ვუყურებდეთ მომავალს, რომელიც გვიმზადებს ახალ მოკავშირეებს, სოციალისტური რევოლუციის ახალ გამარჯვებებს მთელ რიგ უფრო მოწინავე ქვეყნებში. ჩვენ უფლება გვაქვს ვამაყობდეთ და თავს ბედნიერად ვთვლიდეთ იმით, რომ ჩვენ წილად გვხვდა პირველთ დაგვენარცხებია ძირს დედამიწის ერთ კუთხეში ის გარეული მხეცი, კაპიტალიზმი, რომელმაც დედამიწა სისხლით მორწყო, კაცობრიობა შიმშილობამდე და გაველურებამდე მიიყვანა, და რომელიც გარდუვალად და მალე დაიღუპება, რაოდენ საშინლად მხეცურიც უნდა იყოს მისი სიკვდილის წინა მძვინვარების გამოვლინებანი.

1918 წ. 29 ივნისი.

«პრავდა» № 133, 1918 წ. 2 ივლისი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა მიტინგზე ალექსის მანეჟში 1918 წ. 2 ივლისს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ლენინი აღნიშნავს, რომ არმია ისევე, როგორც საწარმოო საშუალებანი, წინათ ჩაგვრის იარაღი იყო ექსპლოატატორთა კლასის ხელში. ახლა კი რუსეთში ერთიც და მეორეც მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლის იარაღი ხდება.

ეს გადატრიალება ადვილად არ მომხდარა, ეს იციან მეფის ძველი არმიის ჯარისკაცებმა იმ დისციპლინის მიხედვით, რომელიც ამ არმიას ბორკავდა. შემდეგ ლენინი ასახელებს შემთხვევას ახლო წარსულიდან, როცა მან ფინეთში გაიგონა, როგორ ამბობდა მოხუცი ფინელი გლეხი ქალი, რომ წინათ თოფიანი კაცი მას ნებას არ აძლევდა ტყეში ფიჩხი შეეგროვებინა, ახლა კი, პირიქით, იგი საშიში აღარაა, იგი იცავს კიდევაც მას. რამდენსაც უნდა გკსვრიდნენ ჩვენ ტალახში, — ამბობს ლენინი, — ბურჟუები და მათი მომხრეები, რამდენსაც უნდა აწყობდნენ შეთქმულებებს თეთრგვარდიელები, მაინც, რაკი ასეთი ბნელი მასების, ექსპლოატირებულთა შეგნებაში შეიჭრა ამნაირი შეგნება, რომ ახლანდელი არმია მშრომელთა დამცველია, მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლება მაგარია.

შემდეგ ლენინი აღნიშნავს, რომ, როგორც წინათაც, შიმშილობა სპეკულანტებსა და კაპიტალისტებს აძლიერებს. ახლაც იგივე ხდება, ასე რომ ახალ არმიას, შესაძლოა მოუხდეს და სამოქალაქო ომში საქმე ექნეს შიმშილობით მოვაჭრე ამ სპეკულანტებთანაც. დაე, ძველი სამყარო — დრომოჭმული საზოგადოების წარმომადგენლები — ცდილობდეს ძველებურად დაეხმაროს დამშეულთ, ახალი სამყარო კი, მათდა

საწინააღმდეგოდ, ამას ახლებურად გააკეთებს. ჩვენ გავიმარჯვებთ, — ამბობს ლენინი, — თუ მშრომელთა მოწინავე ავანგარდებს, წითელ არმიას ემახსოვრებათ, რომ ისინი მთელი საერთაშორისო სოციალიზმის ინტერესებს წარმოადგენენ და იცავენ. — შემდეგ ლენინი აღნიშნავს, რომ ჩვენ მარტონი არა ვართ: ამის მაგალითია ავსტრიის ამბები, აგრეთვე ჩვენი თანამოაზრენი, რომელნიც ახლა თუმცა დაბეჩავებულნი არიან, მაგრამ თავის საქმეს აკეთებენ ევროპის ყველა ქვეყანაში.

«პრავდა» № 135,
1918 წ. 4 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა საბჭოების V ყრილობის კომუნისტურ ფრაქციაში 1918 წ. 3 ივლისს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხს რომ შეეხო, ლენინმა მიუთითა იმაზე, რომ ჩვენს პოზიციას კვლავ საფრთხე ემუქრება: გარეშე მტერი არათუ თავდასხმას გვპირდება, არამედ უკვე გვართმევს რუსეთის ნაჭრებს.

ეს არამტკიცე, მერყეევი მდგომარეობა გაგრძელდება, ალბათ, იმ მომენტამდე, როდესაც მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ღონისძიებებით დამხობილ იქნება კაპიტალი. ახლანდელი მომენტი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ როგორც შესვენება საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად.

მსოფლიო ხოცვა-ჟლეტაზე რომ ლაპარაკობდა, ლენინმა აღნიშნა, რომ გერმანიის იარაღის გამარჯვება იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის ზავის პირობებს შეუძლებელს ხდის. ინგლისი-საფრანგეთის კაპიტალისტებს არ შეუძლიათ შეურიგდნენ გერმანიის მიერ ნაძარცვის ესოდენ დიდ რაოდენობას. ამასთან მთელ რიგ შეტევათა შემდეგ საფრანგეთში, სადაც გერმანიამ ასი ათასობით თავისი ჯარისკაცი დაღუპა, შეიქმნა ძალიან ერთგვარი წონასწორობა, და გერმანიის ხიშტები პირდაპირ საფრთხეს არ წარმოადგენს. გარდა ამისა, შეთანხმების მონაწილე იმპერიალისტები ანგარიშს უწევენ იმ ნგრევას, იმ კატასტროფულ მდგომარეობას, რომელიც ავსტრია-უნგრეთში დაიწყო.

საქმის საერთო ვითარებიდან დასკვნა ერთია — ომი გამოუვალი ხდება. ამ გამოუვალობაშია იმის საწინდარი, რომ ჩვენს

სოციალისტურ რევოლუციას სერიოზული საფუძველი აქვს გაძლოს იმ მომენტამდე, როდესაც მსოფლიო რევოლუცია იფეთქებს, ხოლო ამის თავდებია ომი, რომლის დამთავრებას მხოლოდ მუშათა მასები შეძლებენ. ჩვენი ამოცანაა შევინარჩუნოთ საბჭოთა ხელისუფლება, რასაც ჩვენ კიდევაც ვაკეთებთ უკანდახევითა და მიხვევ-მოხვევით. ახლანდელ მომენტში აშკარა ბრძოლაში გასვლა მსოფლიო რევოლუციის მდგომარეობის გაუარესებას ნიშნავს.

ლენინმა დაასურათა, თუ რა მდგომარეობაში მივიღეთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა წინათ ხელისუფლების სათავეში მდგომი სხვადასხვა მემარჯვენე პარტიებისაგან და აღნიშნა მთელი სიძნელე სამეურნეო მშენებლობისა, რომელიც ახალ საწყისებზე ეწყობა.

შიმშილობასთან ბრძოლაში ჩვენ ორი მტერი გვყავს: მდიდრები და ნგრევა. ამ ბრძოლაში აუცილებელია, რომ ღარიბი ერწმუნოს ძმურ კავშირს მუშასთან. იგი სიტყვებს კი არ ერწმუნება, არამედ საქმეებს. და აქ ჩვენი იმედია მხოლოდ ქალაქის შეგნებულ მუშათა კავშირი სოფლის ღარიბობასთან. პურის მიმართ ყველას უფლებისათვის და სამართლიანი განაწილების უფლებისათვის ბრძოლის ამოცანა — დიადი ამოცანაა. თანაბრად განაწილების უნარში ძევს საფუძვლები სოციალიზმისა, რომელსაც ჩვენ ვქმნით. ამისთვის ჩვენ პასუხისმგებელი ვართ არა მარტო ჩვენი ძმების წინაშე, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა წინაშეც.

ისინი უნდა ხედავდნენ, რომ სოციალიზმი რაღაც შეუძლებელი რამ კი არ არის, არამედ ესაა მუშათა მტკიცე წყობილება და რომ მისკენ უნდა მიისწრაფოდეს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი.

«პრავდა» № 135,
1918 წ. 4 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების V ყრილობა[141]

1918 წ. 4 — 10 ივლისი

საგაზეთო ანგარიში
გამოქვეყნდა 1918 წ. 6 ივლისს
სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტიაში» № 139

იბეჭდება წიგნის: «სრულიად რუსეთის
საბჭოების მეხუთე ყრილობა.
სტენოგრაფიული ანგარიში».
სრულიად რუსეთის ცაკის გამოცემა,
1918, — ტექსტის მიხედვით;
საბოლოო სიტყვის პირველი ხუთი
აბზაცი — ჟურნალ «ვესტნიკ პუტეი
სოობშჩენიას» (1918 წ. № 7—8)
ტექსტის მიხედვით

1

სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება 1918 წ. 5 ივლისს

ამხანაგებო, ნება მომეცით, მიუხედავად იმისა, რომ წინა ორატორის სიტყვა ადგილ-ადგილ მეტად აღგზნებული იყო [142], წარმოგიდგინოთ ჩემი მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს სახელით საერთო წესით, შევეხო მთავარ პრინციპულ საკითხებს, როგორც ისინი ამის ღირსია, და დაწვრილებით არ გამოვეკიდო იმ პოლემიკას, რომლის ესოდენ მოსურნეც წინა ორატორი იქნებოდა და რომელზედაც მე, რა თქმა უნდა, სავსებით უარისთქმას არ ვაპირებ. ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ უკანასკნელი ყრილობის დროიდან მთავარი ფაქტორი, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი მდგომარეობა, შეცვალა ჩვენი პოლიტიკა და განსაზღვრა ჩვენი ტაქტიკა და დამოკიდებულება ზოგიერთი სხვა პარტიისადმი რუსეთში, ბრესტის ხელშეკრულება იყო. თქვენ გახსოვთ, რომ წინა ყრილობაზე ჩვენ ასე ბევრს გვისაყვედურებდნენ, ასე ბევრ ბრალდებებს გვიყენებდნენ და ასე ბევრი ხმა გაისმოდა იმის გამო, რომ ყბადაღებული შესვენება რუსეთს ვერ დაეხმარება, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმის კავშირი სულერთია შეკრულია და რომ პრაქტიკულად ის უკანდახევა, რომლისკენაც ჩვენ მივდივართ, ვერაფერთან ვერ მიგვიყვანსო. ამ ძირითადმა ფაქტორმა განსაზღვრა აგრეთვე კაპიტალისტური სახელმწიფოების მთელი მდგომარეობაც, და ამ ფაქტორზე, ბუნებრივია, გვიხდება შეჩერება. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ გასული სამნახევარი თვის შემდეგ უდავო

ხდება, რომ, მიუხედავად საყვედურების და ბრალდებებისა, ჩვენ მართალი ვიყავით. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროლეტარიატი და ის გლეხები, რომელნიც სხვების ექსპლოატაციას არ ეწევიან და ხალხის შიმშილობით ჯიბეს არ ისქელებენ, ყველა ისინი უთუოდ ჩვენ გვემხრობიან და, ყოველ შემთხვევაში, იმ უგუნურთა წინააღმდეგი არიან, ვინც მათ ომში ითრევს და ბრესტის ხელშეკრულების გაუქმება სურს. (ხმაურობა).

ცხრა მეათედი ჩვენ გვემხრობა, და, რაც უფრო ნათლად ისახება მდგომარეობა, მით უფრო უდავოა, რომ ახლა, როცა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ პარტიებს, ორ მთავარ იმპერიალისტურ ჯგუფს ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება აქვთ, როცა ისინი ყოველთვე, ყოველკვირა, ყოველდღე სულ უფრო და უფრო ახლოს უბიძგებენ ერთიმეორეს უფსკრულისაკენ, რომლის მოხაზულობას ჩვენ აშკარად ვხედავთ, ასეთ მომენტში ჩვენთვის განსაკუთრებით ნათელია ჩვენი ტაქტიკის სისწორე, — ეს განსაკუთრებით კარგად იციან და ამას გრძნობენ ისინი, ვისაც ომი გადაუტანია, ვისაც ომი უნახავს, ვინც ომზე მსუბუქი ფრაზებით არ ლაპარაკობს. ჩვენთვის განსაკუთრებით ნათელია, რომ, ვიდრე თვითეული ჯგუფთაგანი ჩვენზე ძლიერია და ვიდრე ის ძირითადი გარდატეხა, რომელიც რუსეთის მუშებსა და მშრომელ ხალხს საშუალებას მისცემს რევოლუციის შედეგებით ისარგებლონ, მოყენებული დარტყმისგან წელში გაიმართონ და მთელი ტანით აღიმართონ, ისე, რომ შექმნან ახალი ორგანიზებული, დისციპლინირებული არმია, ახალ საწყისებზე ააშენონ ის. რათა ჩვენ შეგვეძლოს არა სიტყვით, არამედ საქმით... (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი მ ა რ ც ხ ნ ი ვ, შ ე ძ ა ხ ი ლ ი მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ: «კერენსკი!»), ვიდრე ეს გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა, ჩვენ უნდა ვიცადოთ. ამიტომ, რაც უფრო ღრმად შევიჭრებით ხალხის მასებში, რაც უფრო ახლოს მივალთ ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან და მშრომელ ხალხთან, გლეხობასთან, რომელიც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას არ ეწევა, კულაკის სპეკულანტურ ინტერესებს არ იცავს, თავის

პურს არ მალავს და სასურსათო დიქტატურის არ ეშინია, მით უფრო დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ იქაც შევხვდებით, ახლა კი, სრული რწმენით შეიძლება ვთქვათ, უკვე შევხვდით სრულ თანაგრძნობასა და ერთსულოვნებას. დიახ, ამ მტრების—იმპერიალისტების წინააღმდეგ ახლა ხალხს არ უნდა, არ შეუძლია იომოს და არ იომებს, როგორადაც უნდა უბიძგებდნენ მას ამ ომისაკენ ადამიანები თავიანთი შეუგნებლობისა და ფრაზებით გატაცების გამო, რანაირ სიტყვებსაც უნდა ეფარებოდნენ ისინი. დიახ, ამხანაგებო, ვინც ახლა პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აშკარად თუ ფარულად, ლაპარაკობს ომზე, ვინც ბრესტის მარყუჟის წინააღმდეგ გაჰყვირის, ის ვერ ხედავს, რომ რუსეთის მუშებსა და გლეხებს თავზე მარყუჟს აცმევენ ბატონი კერენსკები და მემამულენი, კაპიტალისტები და კულაკები... (ხ მ ა: «მირბახი!». ხ მ ა უ რ ო ბ ა). როგორადაც უნდა გაჰყვიროდნენ ისინი ყოველ კრებაზე, მათი საქმე ხალხში უიმედოა! (ტ ა შ ი ს ცე მ ა. ხ მ ა უ რ ო ბ ა).

მე სრულიადაც არ მაკვირვებს, რომ ისეთ მდგომარეობაში, რომელშიაც ეს ხალხი აღმოჩნდა, მათ ისლა დარჩენიათ, რომ უპასუხონ წამოყვირებით, ისტერიკით, გინებითა და მხეცური გამოხდომებით (ტ ა შ ი), როცა სხვა საბუთები არ არის... (ხ მ ა: «საბუთები არის!». ხ მ ა უ რ ო ბ ა).

რუს ჯარისკაცთა ოთხმოცდაცხრამეტმა მეასედმა იცის, თუ რა წარმოუდგენელი ტანჯვა დაჯდა ომის დაძლევა. მათ იციან, რომ ომის მოსაწყობად ახალ სოციალისტურ და ეკონომიურ ბაზისზე (შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: «მირბახი ნებას არ მოგვცემს!») საჭიროა წარმოუდგენელი ღონისძიებანი, საჭირო იყო ავაზაკური ომის დაძლევა. ისინი, რაკი იციან, რომ იმპერიალიზმის გააფთრებული ძალები ბრძოლას განაგრძობენ და უკვე სამი თვეა, რაც წინა ყრილობის დროიდან გავიდა, რამდენიმე ნაბიჯით უფრო ახლოს არიან უფსკრულთან,—ისინი არ ჩაებმიან ამ ომში. მას შემდეგ, რაც ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა ყველა ხალხის წინაშე, რაკი შევიგნეთ საზავო დეკლარაციის მნიშვნელობა და ეს მნიშვნელობა, ამხ. ტროცკის მეთაურობით მოქმედი ჩვენი ბრესტის დელეგაციის მეშვეობით,

შევატყობინეთ ყველა ქვეყნის მუშებს, როცა ჩვენ აშკარად შევთავაზეთ პატიოსანი დემოკრატიული ზავი, ეს წინადადება ჩაშალა ყველა ქვეყნის გაბოროტებულმა ბურჟუაზიამ. ჩვენი მდგომარეობა არ შეიძლება სხვანაირი იყოს, თუ არა ის, რომ დაველოდოთ, და ხალხი მოესწრება იმას, რომ იმპერიალისტთა ეს გაცოფებული ჯგუფები, ამჟამად ჯერ კიდევ ძლიერნი, გადაიჩეხებიან იმ უფსკრულში, რომელსაც ისინი ახლა უახლოვდებიან, — ამას ყველა ხედავს... (ტ ა შ ი). ამას ხედავს ყველა, ვინც განზრახ თვალს არ ხუჭავს. ეს უფსკრული იმ სამნახევარი თვის განმავლობაში, როცა ჭკუაზე შეშლილი იმპერიალისტური პარტია ომის გაჭიანურების მომხრეა, უეჭველია, მოახლოვდა. ჩვენ ვიცით, ვგრძნობთ და ხელშესახებად განვიცდით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ მზად არა ვართ ომისათვის, ამას ამბობენ ჯარისკაცები, მეომრები, რომლებმაც ომი საქმით გამოსცადეს; ის ყვირილი კი, რომელიც მოუწოდებს თავიდან მოვიშოროთ ბრესტის მარყუჟი ახლა, მენშევიკებისგან, მემარჯვენე ესერებისგან და კერენსკის მომხრეებისგან, კადეტებისგან მომდინარეობს. თქვენ იცით, სად დარჩნენ მემამულეების, კაპიტალისტების მომხრენი, სად დარჩნენ მემარჯვენე ესერების, კადეტების მაჩანჩალები. იმ ბანაკში მემარცხენე ესერების სიტყვებს, რომელნიც აგრეთვე ომისაკენ იხრებიან, მჭუხარე ტაშით შეხვდებიან. მემარცხენე ესერები, როგორც წინა ორატორებმა აღნიშნეს, უსიამოვნო მდგომარეობაში ჩავარდნენ: ერთ ოთახში მიდიოდნენ და მეორეში მოხვდნენ. (ტ ა შ ი).

ჩვენ ვიცით, რომ დიდ რევოლუციას თვით ხალხი ამოაზვირთებს თავისი სიღრმიდან, რომ ამისთვის საჭიროა თვეები და წლები, და ჩვენ არ გვიკვირს, რომ მემარცხენე ესერების პარტიამ რევოლუციის მანძილზე წარმოუდგენელი მერყეობანი განიცადა. აქ ტროცკი ლაპარაკობდა ამ მერყეობათა შესახებ, და მე დამრჩენია დავსძინო, რომ 26 ოქტომბერს, როდესაც ჩვენ ამხანაგი მემარცხენე ესერები მთავრობის შემადგენლობაში მოვიწვიეთ, მათ უარი განაცხადეს, და როდესაც კრასნოვი პეტროგრადის კარიბჭესთან იდგა, ისინი ჩვენთან არ

იყვნენ, ხოლო, მაშასადამე, ისე გამოვიდა, რომ ისინი ჩვენ კი არა, კრასნოვს ეხმარებოდნენ. ჩვენ არ გვიკვირს ეს მერყეობანი, დიახ, ამ პარტიამ ძალიან ბევრი რამ გადაიტანა. მაგრამ, ამხანაგებო, ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს.

ჩვენ ვიცით, რომ რევოლუცია ისეთი რამაა, რაც გამოცდილებით და პრაქტიკით შეისწავლება, რომ რევოლუცია მხოლოდ მაშინ იქცევა რევოლუციად, როდესაც ათეულ მილიონობით ადამიანები ერთსულოვანი აღტყინებით აღსდგნენ როგორც ერთი კაცი. (ტაში, რომელიც ლენინის სიტყვას ფარავს, შეძახილები: «გაუმარჯოს საბჭოებს!»). ეს ბრძოლა, რომელიც ჩვენ ახალი ცხოვრებისათვის გვამაღლებს, 115 მილიონმა ადამიანმა დაიწყო: ამ დიად ბრძოლას უდიდესი სერიოზულობით უნდა ვაკვირდებოდეთ. (მქუხარე ტაში). ოქტომბერში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დაარსდა, 1917 წლის 26 ოქტომბერს, როდესაც... (ხმაურობა, ყვირილი, ტაში) ჩვენმა პარტიამ და მისმა წარმომადგენლებმა ცაკში მემარცხენე ესერების პარტიას წინადადება მისცეს შემოსულიყო მთავრობაში, — მან უარი განაცხადა. იმ მომენტში, როცა მემარცხენე ესერებმა ჩვენს მთავრობაში შემოსვლაზე უარი განაცხადეს, ისინი ჩვენთან კი არა, ჩვენს წინააღმდეგ იყვნენ. (ხმაურობა მემარცხენე ესერების სკამებზე). ჩემთვის ძალიან არასასიამოვნოა, რომ რაღაც ისეთი რამის თქმა მომიხდა, რაც თქვენ არ მოგეწონათ. (ხმაურობა მარჯვნივ მატულობს). მაგრამ რას იზამთ. თუ კაზაკთა გენერალი კრასნოვი... (ხმაურობა, ყვირილი სიტყვის განგრძობის საშუალებას არ იძლევა). როცა 26 ოქტომბერს თქვენ მერყეობდით და თვითონაც არ იცოდით, რა გინდოდათ, და უარს ამბობდით ჩვენთან ერთად გევლოთ... (ხმაურობა, რომელიც რამდენიმე წუთს არ წყდება). სიმართლე თვალსა სჩხვლეტს! მე თქვენ მოგაგონებთ, რომ ის ადამიანები, რომელნიც მერყეობდნენ, რომლებმაც თვითონაც არ იციან, რა სურთ, უარს ამბობენ ჩვენთან ერთად იარონ, ისინი უსმენენ სხვებს, რომლებიც ზღაპრებს მოუთხრობენ.

მე თქვენ გითხარით, რომ ჯარისკაცმა, რომელიც ომში იყო... (ხმაურობა, ტაში). როდესაც წინა ორატორი ლაპარაკობდა, ყრილობის უდიდესი უმრავლესობა მას ხელს არ უშლიდა. და ეს გასაგებიცაა. ხოლო თუ ამ ადამიანებს ურჩევნიათ ყრილობიდან წავიდნენ, გზა დაგვილოცნია! (ხმაურობა და მღელვარება მემარჯვენეთა სკამებზე).

მაშ ასე, ამხანაგებო, ჩვენი სიმართლე ბრესტის ზავის შეკვრის საქმეში დადასტურდა მოვლენათა მთელი მსვლელობით. და იმათ, ვინც საბჭოების წინა ყრილობაზე ცდილობდნენ უკბილოდ ეოხუნჯათ შესვენების გამო, ისწავლეს და დაინახეს, რომ ჩვენ მივიღეთ, თუმცა უზომო შრომით, გადავადება, და ამ გადავადების განმავლობაში ჩვენმა მუშებმა და გლეხებმა უდიდესი ნაბიჯი გადადგეს წინ სოციალისტური მშენებლობისაკენ, და, პირიქით, დასავლეთის სახელმწიფოებმა უდიდესი ნაბიჯი გადადგეს წინ იმ უფსკრულისაკენ, რომელშიაც იმპერიალიზმი მით უფრო ჩქარა ვარდება, რაც უფრო შორს მიდის ამ ომის თვითეული კვირა.

და ამიტომ მხოლოდ სრული დაბნეულობით შემიძლია ავხსნა იმ ადამიანთა საქციელი, რომელნიც, ჩვენი მდგომარეობის სიმძიმეზე მითითებით, თავს ესხმიან ჩვენს ტაქტიკას. მე ვიმეორებ, რომ საკმარისია დავიმოწმოთ უკანასკნელი სამთვენახევრის პერიოდი. იმათ, ვინც იმ ყრილობაზე იყო, მე მოვაგონებ სიტყვებს, რომლებიც იქ ითქვა, და იმათ, ვინც იქ არ ყოფილა, წინადადებას ვაძლევ წაიკითხონ ოქმი ან საგაზეთო სტატიები წინა ყრილობის შესახებ, რათა დარწმუნდნენ, თუ როგორ სავსებით გაამართლეს მოვლენებმა ჩვენი ტაქტიკა. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებებიდან საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებებამდე შეუძლებელია იყოს მიჯნა, აფეთქებანი სხვა ქვეყნებში უნდა დაიწყოს. მათ დასაჩქარებლად ჩვენ ბრესტის პერიოდში ყოველივე შესაძლებელს ვაკეთებდით. ვისაც 1905 და 1917 წლების რევოლუციები გადაუტანია, ვინც მათ ჩაფიქრებია და ვინც მათ დაკვირვებით და სერიოზულად ეკიდებოდა, მან

იცის, რომ ჩვენს ქვეყანაში ეს რევოლუციები გაუგონარი გაჭირვებით იბადებოდა.

1905 წლის იანვრისა და 1917 წლის თებერვლის წინ ორი თვით ადრე როგორიც გნებავთ გამოცდილებისა და ცოდნის მქონე არც ერთ რევოლუციონერს, ხალხის ცხოვრების მცოდნე არავითარ ადამიანს არ შეეძლო ეწინასწარმეტყველა, რომ ასეთი შემთხვევა ააფეთქებდა რუსეთს. ცალკეული წამოძახილებისთვის ხელის ჩაჭიდება და ხალხის მასებში ისეთ მოწოდებათა გადასროლა, რომლებიც ზავის შეწყვეტას და ომისკენ ჩვენს გადაგდებას უდრის, ეს — იმ ადამიანთა პოლიტიკაა, რომელნიც დაბნეულან, რომელთაც თავგზა არევიათ. და, ამ დაბნეულობის დამამტკიცებელი საბუთის მოსაყვანად, დაგისახელებთ მაგალითს იმ ადამიანის სიტყვებიდან, რომლის გულწრფელობაში არც მე და არც სხვა ვისმე ეჭვი არ ეპარება, — ამხანაგ სპირიდონოვას სიტყვებიდან, იმ სიტყვიდან, რომელიც დაიბეჭდა გაზეთში «გოლოს ტრუდოვოგო კრესტიანსტვა» [143] და რომელიც არ უარუყვიათ. 30 ივნისის ამ სიტყვაში ამხანაგმა სპირიდონოვამ მოათავსა სამი, არაფრისმთქმელი, სტრიქონი, თითქოს გერმანელებს ჩვენთვის წამოეყენებინოთ ულტიმატუმი — გავუგზავნოთ მათ ორი მილიარდის მანუფაქტურა.

ის პარტია, რომელსაც თავისი ყველაზე უფრო გულწრფელი წარმომადგენლები იქამდე მიყავს, რომ ისინიც კი მოტყუებისა და სიცრუის ესოდენ შემაძრწუნებელ ჭაობში ვარდებიან, ასეთი პარტია საბოლოოდ დაღუპულია. არ შეიძლება მუშებმა და გლეხებმა არ იცოდნენ, რა წარმოუდგენელ ღონისძიებათა, რა განცდების ფასად დაგვიჯდა ჩვენ ბრესტის ხელშეკრულების ხელმოწერა. ნუთუ ამ ზავის სიმძიმის შესაფერადებლად კიდევ საჭიროა ზღაპრები და გამონაგონი, რომელთაც მიმართავენ ყველაზე უფრო გულწრფელი ადამიანებიც კი ამ პარტიიდან? მაგრამ ჩვენ ვიცით, სადაა ხალხური სიმართლე, და ჩვენ მით ვხელმძღვანელობთ, მაშინ როდესაც ისინი აქეთ-იქით აწყდებიან ისტერიკულ წამოძახილებში. ამ თვალსაზრისით, სრული დაბნეულობის გამომხატველი ამგვარი

საქციელი ყოველგვარ პროვოკაციაზე უარესია. განსაკუთრებით მაშინ, თუ ჩვენ დავუპირისპირებთ ყველა პარტიის ჯამს რუსეთში, ამას კი მოითხოვს მეცნიერული დამოკიდებულება რევოლუციისადმი. არასოდეს არ შეიძლება იმის დაჭიწყება, რომ მთლიანად ვუყურებდეთ ყველა პარტიის ურთიერთობას ერთად. ცალკეული პირები, ცალკეული ჯგუფები შეიძლება ცდებოდნენ, შეიძლება მათ უნარი არ შესწევდეთ პოვონ და ახსნან თავიანთი საკუთარი საქციელი, მაგრამ თუ ჩვენ ავიღებთ რუსეთის ყველა პარტიის ჯამს და შევხედავთ მათს თანაფარდობას — შეცდომა შეუძლებელია. შეხედეთ, რას ამბობენ ახლა, მემარცხენე ესერთა მოწოდებებს რომ ისმენენ, მემარჯვენე ესერები, კერენსკები, სავინკოვი და სხვები... ისინი ამჟამად ტაშს უკრავენ, როგორც ცოფიანები. ისინი მოხარული არიან ჩაითრიონ რუსეთი ომში ახლა, როდესაც ეს ესაჭიროება მილიუკოვს. და ახლა ბრესტის ყულფზე ამნაირი ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ რუს გლეხს თავზე გადააცვა მემამულური ყულფი. როდესაც ჩვენ აქ გველაპარაკებიან ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე, როგორც წინა ორატორი ლაპარაკობდა ბოლშევიკებთან წაჩხუბებაზე, მე ვუპასუხებ: არა, ამხანაგებო, ეს წაჩხუბება არაა, ეს არის ნამდვილი საბოლოო განხეთქილება, განხეთქილება იმათ შორის, რომელთაც მდგომარეობის სიმძიმე გადააქვთ, ეუბნებიან რა ხალხს სიმართლეს, მაგრამ თავს არ აბრუებინებენ წამოძახილებით, და იმათ შორის, ვინც ამ წამოძახილებით თავს იბრუებს და უნებლიეთ ასრულებს სხვის სამუშაოს, პროვოკატორების სამუშაოს. (ტ ა შ ი).

მე ვამთავრებ ჩემი მოხსენების პირველ ნაწილს. გააფთრებული იმპერიალისტური ომის სამნახევარი თვის განმავლობაში იმპერიალისტური სახელმწიფოები მიუახლოვდნენ იმ უფსკრულს, რომლისკენაც ისინი ხალხს უბიძგებენ. ჩვენში ამ მხეცმა, რომელიც სისხლისგან იცლება, ცოცხალ ორგანიზმს უამრავი ნაჭერი მოგლიჯა. ჩვენი მტრები ისე სწრაფად უახლოვდებიან ამ უფსკრულს, რომ, მათ თუნდაც სამნახევარ თვეზე მეტი დროც რომ ჰქონოდათ და იმპერიალისტურ

ხოცვა-ჟლეტას ჩვენთვის კვლავ ისეთივე ზარალი რომ მოეყენებინა, დაიღუპებიან ისინი, და არა ჩვენ, იმიტომ რომ სიჩქარეს, რომლითაც მათი წინააღმდეგობის უნარი ეცემა, სწრაფად მიყავს ისინი უფსკრულისაკენ. ჩვენ კი ამ სამნახევარი თვის განმავლობაში, მიუხედავად უზარმაზარი სიმძიმისა, რომელზედაც ჩვენ მთელი ხალხის წინაშე აშკარად ვლაპარაკობთ, მიუხედავად ყოველივე ამისა, გვაქვს ჯანსაღი ორგანიზმის ჯანსაღი ყლორტები; მრეწველობაშიც და ყველგან წვრილი სამშენებლო მუშაობა, შესაძლოა, არა ეფექტური, არა ხმაურიანი, წინ მიდის. მან მოგვცა თავისი უაღრესად ნაყოფიერი შედეგები, და ჩვენ, გვექნება რა ასეთი მუშაობის კიდევ სამი თვე, კიდევ ექვსი თვე, კიდევ ზამთრის კამპანია, წინ ვივლით, დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური მხეცი კი, რომელიც ბრძოლით იქანცება, ასეთ შეჯიბრებას ვერ გაუძლებს, იმიტომ რომ მის შიგნით მწიფდება ძალები, რომელთაც აქამდე ჯერ კიდევ არ ჰქონდათ თავისი თავის რწმენა, მაგრამ რომელნიც იმპერიალიზმს დაღუპვამდე მიიყვანენ. იმას კი, რაც იქ უკვე დაწყებულია, საფუძვლიანად დაწყებულია, შესაძლებლობა არ ექნება სამნახევარი თვის განმავლობაში შეიცვალოს. ამ სამშენებლო, წვრილმან, შემოქმედებით მუშაობაზე მეტისმეტად ცოტას ლაპარაკობენ, და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მასზე მეტი უნდა შევჩერდეთ. მე ჩემი მხრით შესაძლებლობა არა მაქვს დავმალო ეს, თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ აუცილებლად საჭიროა მხედველობაში მივიღოთ წინა ორატორის თავდასხმები. მივუთითებ ცაკის 1918 წლის 29 აპრილის რეზოლუციაზე *. მაშინ მე ვაკეთებდი მოხსენებას, რომელშიც მომიხდა ლაპარაკი საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანებზე **, და ხაზი გავუსვი იმას, რომ, ჩვენი მდგომარეობის გაუგონარ სიძნელესთან ერთად, ჩვენი ქვეყნის შიგნით შემოქმედებითი მუშაობა პირველ ადგილზე უნდა იქნეს დაყენებული.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 375 — 379. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 331 — 374. რ ე დ.

და აქ, საკუთარი თავისთვის ილუზიების შეუქმნელად, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ამ მუშაობას, მთელი მისი სიძნელის მიუხედავად, მთელი ჩვენი ძალები უნდა მოვახმაროთ. ის გამოცდილება, რომელიც შემიძლია გაგიზიაროთ, გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ ჩვენ, უეჭველია, შორს წავედით წინ. მართალია, თუ გარეგანი შედეგებით დავკმაყოფილდებით, როგორც ამას ბურჟუაზია სჩადის ჩვენი შეცდომების ცალკეული მაგალითების ამოგლეჯით, მაშინ არა მგონია შეიძლებოდეს წარმატებაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ ამას სულ სხვანაირად ვუყურებთ. ბურჟუაზია იღებს სამდინარო ფლოტის რომელიმე სამმართველოს და მიუთითებს, თუ რამდენჯერ შევუდექით ჩვენ მის გადაკეთებას, ღვარძლს ანთხევს და ამბობს, საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია საქმეს თავი გაართვასო. ამაზე მე ვუპასუხებ: დიახ, ჩვენ ბევრჯერ გადავაკეთეთ ჩვენი სამდინარო ფლოტის სამმართველო, ისე როგორც რკინიგზების სამმართველო, და ჩვენ ახლა კვლავ ვიწყებთ სახალხო მეურნეობის საბჭოს დიდ გადაკეთებას. ამაშია მნიშვნელობა გადატრიალებისა, რომ სოციალიზმი იმ დოგმის სფეროდან, რაზედაც შეუძლიათ ილაპარაკონ მხოლოდ ადამიანებმა, რომელთაც სრულიად არაფერი გაეგებათ, წიგნის, პროგრამის სფეროდან გადავიდა პრაქტიკული მუშაობის სფეროში. აი ახლა მუშები და გლეხები თავიანთი ხელით ქმნიან სოციალიზმს.

რუსეთისთვისაც წავიდა, მე დარწმუნებული ვარ, სამუდამოდ წავიდა ის დრო, როდესაც სოციალისტური პროგრამების შესახებ წიგნების მიხედვით დავობდნენ. ახლა სოციალიზმის შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ გამოცდილების მიხედვით. გადატრიალების მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ მან პირველად უკუაგდო ბურჟუაზიული მოხელეობის, მმართველობის ბურჟუაზიული სისტემის ძველი აპარატი, შეეძლნა ისეთი პირობები, რომ მუშები და გლეხები თვითონ ჰკიდებენ ხელს გაუგონრად ძნელ საქმეს, რომლის სიძნელეების დამალვა საკუთარი თავისათვის სასაცილო იქნებოდა, ვინაიდან კაპიტალისტები და მემამულეები საუკუნეობით ავიწროებდნენ და სდევნიდნენ ათეულ მილიონობით

ადამიანებს მიწის გამგებლობაზე მხოლოდ მარტოოდენ ფიქრის გავლებისათვის. ახლა კი რამდენიმე კვირაში, რამდენიმე თვეში, საშინელი, გააფთრებული ნგრევის დროს, როდესაც ომმა ჭრილობები მიაყენა მთელი რუსეთის სხეულს, ისე რომ ხალხი ნახევრად სასიკვდილოდ ნაცემ ადამიანს ჰგავს, — ასეთ დროს, როდესაც მეფეებმა, მემამულეებმა და კაპიტალისტებმა მემკვიდრეობად დაგვიტოვეს უდიდესი ნგრევა, ახალ საქმეს, ახალ მშენებლობას ხელი უნდა მოკიდონ ახალმა კლასებმა, მუშებმა და იმ გლეხებმა, რომელნიც ექსპლოატაციას არ უწევენ დაქირავებულ მუშებს და ჯიბეს არ ისქელებენ სპეკულანტური პურით. დიახ, ეს გაუგონრად ძნელი და გაუგონრად კეთილშობილური საქმეა. ასეთი მუშაობისა და ასეთი გამოცდილების თვითეული თვე ჩვენი ისტორიის ათი, თუ ოცი არა, წელი ღირს. დიახ, ჩვენ სრულიადაც არ გვეშინია თქვენს წინაშე ვაღიაროთ ის, რაზედაც მიგვითითებს ჩვენი დეკრეტების გაცნობა, რომ ჩვენ გვიხდება მათი განუწყვეტლივ გადაკეთება; ჩვენ მზამზარეული ჯერ არაფერი შეგვიქმნია, ისეთი სოციალიზმი, რომლის პარაგრაფებში მოთავსებაც შეიძლებოდეს, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით. თუ ახლა ამ ყრილობას ჩვენ შესაძლებელია საბჭოთა კონსტიტუცია[144] შევთავაზოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში შექმნილია და გამოცდილი, იმიტომ, რომ ისინი თქვენ შექმენით, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში თქვენ გამოსცადეთ; ოქტომბრის რევოლუციიდან მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ, სრულიად რუსეთის საბჭოების პირველი ყრილობიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ. ჩვენ შევძელით ჩაგვეწერა ის, რაც უკვე არსებობს პრაქტიკაში.

მეურნეობის დარგში, იქ, სადაც სოციალიზმი ჯერ კიდევ მხოლოდ შენდება, სადაც უნდა შენდებოდეს ახალი დისციპლინა, იქ ჩვენ ასეთი გამოცდილება არა გვაქვს, ჩვენ მას ვიძენთ გადაკეთებათა და გარდაქმნათა საშუალებით. ეს — ჩვენი მთავარი ამოცანაა; ჩვენ ვამბობთ: ყოველ ახალ საზოგადოებრივ წესრიგს მოეთხოვება ახალი ურთიერთობა

ადამიანთა შორის, ახალი დისციპლინა. იყო დრო, როდესაც ბატონყმური დისციპლინის გამოუყენებლად მეურნეობის გაძღოლა არ შეიძლებოდა, როდესაც არსებობდა ერთი დისციპლინა — ჯოხი, იყო დრო კაპიტალისტთა ბატონობისა, როდესაც დისციპლინის ძალას შიმშილი წარმოადგენდა. ახლა კი, საბჭოთა გადატრიალების დროიდან, სოციალისტური რევოლუციის დაწყების დროიდან, დისციპლინა უნდა იქმნებოდეს სრულიად ახალ საწყისებზე, დისციპლინა მუშათა და უღარიბეს გლეხთა ორგანიზებულობისადმი ნდობისა, დისციპლინა ამხანაგური, დისციპლინა ყოველნაირი პატივისცემისა, დისციპლინა დამოუკიდებლობისა და ინიციატივისა ბრძოლაში. ყველა, ვინც კი ძველ კაპიტალისტურ ხერხებს მიმართავს, ვინც გაჭირვებისა და შიმშილის დროს ძველებურად, კაპიტალისტურად მსჯელობს: თუ მე ცალკე გავყიდი პურს, მეტად გავისქელებ ჯიბეს, თუ მე მარტოკა წავალ პურის საშოვნელად, უფრო ადვილად ვიშოვიო, — ვინც ასე მსჯელობს, ის უფრო იოლ გზას ირჩევს, მაგრამ ის სოციალიზმამდე ვერ მივა.

ეს მარტივი და ადვილია — რჩებოდე ჩვეულ კაპიტალისტურ ურთიერთობათა ძველ ზოლში, მაგრამ ჩვენ გვსურს ახალი გზით ვიაროთ. ის ჩვენგან მოითხოვს, მთელი ხალხისაგან მოითხოვს დიდ შეგნებულობას, დიდ ორგანიზებულობას, მოითხოვს მეტ დროს, იწვევს დიდ შეცდომებს. მაგრამ ჩვენს თავს ჩვენ ვეუბნებით: არ სცდება ის, ვინც პრაქტიკულს არაფერს აკეთებს.

თუ ის პერიოდი, რომლის შესახებაც ანგარიშს გაბარებთ, კრებადობის თვალსაზრისით შეიცავს ცდებს, სადაც ხშირად გვხვდება შესწორებანი, გასწორებები, ძველისაკენ დაბრუნება, ახლანდელი პერიოდის მთავარი ამოცანა, მთავარი შინაარსი, მთავარი ღირებულება ამაში როდი მდგომარეობს. იმ მოხელეთა მმართველობის ძველი აპარატი, რომლებისთვისაც საკმარისია ხელფასის მომატების ბრძანების გაცემა, წარსულს ჩაბარდა. ჩვენ საქმის დაჭერა გვიხდება მუშათა ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელში იღებენ მეურნეობის

მართვას. ჩვენ საქმე გვაქვს რკინიგზის პროლეტარიატთან, რომელიც სხვებზე უარესად იყო დაყენებული, და მას კანონიერი უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მისი მდგომარეობა გააუმჯობესონ; ხვალ თავის მოთხოვნებს წამოაყენებს სამდინარო პროლეტარიატი, ზეგ საშუალო გლეხი, — რომელზედაც უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებ, რომელიც ხშირად თავს გრძნობს მუშაზე უარესად, რომელსაც ჩვენ უდიდესი ყურადღებით ვეპყრობით, რომლის ინტერესებისადმი მიძღვნილია ყველა დეკრეტი, რაც აბსოლუტურად ვერ გაიგო წინა ორატორმა, — წამოაყენებს მოთხოვნებს, — ყოველივე ეს იწვევს გაუგონარ სიძნელეებს, მაგრამ ეს ის სიძნელეებია, რომელთა პირობებში მუშები და უღარიბესი გლეხები საუკუნეების შემდეგ პირველად თვითონ აწყობენ რუსეთის მთელ სახალხო მეურნეობას თავიანთი საკუთარი ხელით. და აი, გვიხდება სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილების ხერხების ძებნა, დეკრეტების გადაკეთება, სამმართველოების გარდაქმნა. და როდესაც წარუმატებლობის, ჩავარდნების მაგალითებისა და შემთხვევების გვერდით, — შემთხვევებისა, რომელთაც ბურჟუაზიული პრესა ამოგლეჯს ხოლმე, რომელნიც, რა თქმა უნდა, მრავალრიცხოვანია, — ჩვენ ვაღწევთ წარმატებებს, რადგან სწორედ ნაწილობრივ წარუმატებლობათა და შეცდომების გზით ჩვენ გამოცდილებით ვსწავლობთ სოციალისტური შენობის აგებას. და როდესაც ჩვენ ყოველი მხრიდან ვხედავთ ახალ მოთხოვნებს, ჩვენ ვამბობთ: ეს ასე უნდა იყოს, სწორედ ესაა სოციალიზმი, როდესაც თვითეულს სურს გაუმჯობესოს მდგომარეობა, როდესაც ყველას უნდა ისარგებლოს ცხოვრების სიკეთით. მაგრამ ჩვენი ქვეყანა ღარიბია, ქვეყანა ღატაკია, — ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება ჯერჯერობით შეუძლებელია, ამიტომაა ასე ძნელი ნგრევის პროცესში ახალი შენობის შენება. მაგრამ დიდად სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ სოციალიზმის მშენებლობა შეიძლება მშვიდობიან წყნარ დროს: მისი მშენებლობა ყველგან იწარმოებს ნგრევის დროს, შიმშილობის დროს, ეს ასეც უნდა იყოს, და, როდესაც

ჩვენ ეხედავთ ნამდვილი იდეების წარმომადგენლებს, მაშინ ჩვენს თავს ვეუბნებით: მუშები და მშრომელი გლეხები მთელი ათასობით, ათი ათასობით, ასი ათასობით ხელით შეუდგნენ ახალი, სოციალისტური შენობის აგებას. ახლა იწყება ულრმესი გადატრიალება სოფლად, სადაც აგიტაციის გამწევი კულაკები ცდილობენ ხელი შეუშალონ მშრომელ გლეხებს, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან და პურის სპეკულაციით ჯიბეს არ ისქელებენ, და იქ ამოცანა სხვანაირია. ქალაქებში გვიხდება ქარხნების, ლითონის მრეწველობის მოწყობა, ხოლო საომარი ნგრევის შემდეგ კი — წარმოების განაწილება, ნედლეულის, მასალის განაწილება, — ამ ამოცანის განხორციელება ძალიან ძნელია. იქ მუშა ამ საქმეს სწავლობს და ქმნის ცენტრალური მმართველობის ორგანოებს, იქ ჩვენ გვიხდება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გადაკეთება, რადგან ძველი კანონები, წლის დამდეგს გამოცემული, უკვე მოძველდა, მუშათა მოძრაობა წინ მიდის. მუშათა ძველი კონტროლი უკვე მოძველდა, და პროფესიული კავშირები იქცევიან მთელი მრეწველობის მართვის ორგანოების ჩანასახებად. (ტ ა შ ი). ამ დარგში უკვე ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ბრწყინვალე წარმატებით დავიკვეხოთ. ჩვენ ვიცით, რომ ამ დარგში ბურჟუაზიული ელემენტები, კაპიტალისტები, მემამულეები, კულაკები, შესაძლებლობას იღებენ ჯერ კიდევ დიდხანს ეწეოდნენ აგიტაციას, ამბობენ, რომ, როგორც ყოველთვის, გამოცემული დეკრეტი ცხოვრებაში არ გატარებულა, მეორე ახლახან გამოიცა, მას კი უკვე ასწორებენ, ხოლო აი, სპეკულაცია როგორც კაპიტალიზმის დროს იყო, ახლაც ისევ ისე რჩებაო. დიახ, ჩვენ არ ვიცით ყოვლისმომცველი შარლატანური რეცეპტი, რომელსაც ერთბაშად შეეძლო მოესპო სპეკულაცია. კაპიტალისტური წყობილების ჩვეულებანი მეტად ძლიერია, საუკუნეების მანძილზე ამ ჩვეულებებით აღზრდილი ხალხის ხელახლა აღზრდა ძნელი საქმეა და დიდ დროს მოითხოვს. მაგრამ

ჩვენ ვამბობთ: ჩვენი ბრძოლის ხერხი — ესაა ორგანიზაცია. ჩვენ ყველაფრის ორგანიზება უნდა მოვახდინოთ, ყველაფერი საკუთარ ხელში ავიღოთ, ყოველ ნაბიჯზე შევამოწმოთ ხოლმე კულაკები და სპეკულანტები, ულმობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ მათ და ამოსუნთქვის საშუალება არ მივცეთ ყოველი ნაბიჯის შემოწმებით.

ჩვენ გამოცდილებით ვიცით, რომ დეკრეტების გადაკეთება აუცილებელია, რადგან გვხვდება ახალი სიძნელეები, საიდანაც გადაკეთება ახალ ძალებს იღებს. და თუ სურსათის საკითხში ჩვენ ახლა მივედით სოფლის ღარიბობის ორგანიზაციამდე და თუ ახლა ჩვენი წინანდელი ამხანაგები — მემარცხენე ესერები მთელი გულწრფელობით, რომელშიაც ეჭვის შეტანა არ შეიძლება, ამბობენ, რომ ჩვენი გზები გაიყარა, ჩვენ მტკიცედ ვუპასუხებთ მათ: მით უარესი თქვენთვის, ვინაიდან ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ მიატოვეთ სოციალიზმი. (ტ ა შ ი).

ამხანაგებო! სასურსათო საკითხი — ეს მთავარი საკითხია, ეს ის საკითხია, რომელსაც ჩვენს მუშაობაში ყველაზე მეტ ყურადღებას ვაქცევთ. უამრავი წვრილმანი ზოგები, რომლებიც გარედან არ ჩანს, მაგრამ რომლებიც სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო: წყლისა და რკინიგზის ტრანსპორტის გაუმჯობესება, საინტენდანტო საწყობების წმენდა, სპეკულაციასთან ბრძოლა, — ყველაფერი მიმართული იყო იქითკენ, რომ სურსათის საქმე მოგვეგვარებინა. არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ ყველა ის უაღრესად კულტურული ქვეყანა, რომლებმაც ომამდე არ იცოდნენ თუ რა არის შიმშილობა, ახლა ყველა ისინი საშინლად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, რაც შექმნეს იმპერიალისტებმა, რომელნიც ამა თუ იმ ჯგუფის ბატონობისათვის იბრძვიან. ათობით მილიონი ადამიანი დასავლეთში შიმშილით იტანჯება. სწორედ ეს ხდის კიდეც გარდუვალს სოციალურ რევოლუციას, რადგან სოციალური რევოლუცია იზრდება არა პროგრამებიდან, არამედ იქიდან, რომ ათეულ მილიონობით

ადამიანები ამბობენ: «ჩვენ მშივრები ვერ ვიცხოვრებთ, სჯობს რევოლუციისთვის დავიხოცოთო». (ტ ა შ ი).

საშინელი უბედურება — შიმშილი — თავზე დაგვატყდა, და რაც უფრო ძნელია ჩვენი მდგომარეობა, რაც უფრო მწვავეა სასურსათო კრიზისი, მით უფრო ძლიერდება კაპიტალისტთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. თქვენ იცით, რომ ჩეხ-სლოვაკთა ამბოხება — ეს იმ ადამიანთა ამბოხებაა, რომლებიც ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებმა მოისყიდეს. განუწყვეტლივ გვიხდება იმის გაგონება, რომ ხან იქ და ხან აქ ჯანყდებიან საბჭოების წინააღმდეგ. კულაკთა აჯანყებები სულ ახალ-ახალ ოლქებს ეხება. დონზე კრასნოვია, რომელიც რუსმა მუშებმა დიდსულოვნად გაუშვეს პეტროგრადში, როცა იგი გამოცხადდა და თავისი დაშნა ჩააბარა, ვინაიდან ინტელიგენციის ცრურწმენა ჯერ კიდევ ძლიერია და ინტელიგენცია პროტესტს აცხადებდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, იგი გაუშვეს ინტელიგენციის ცრურწმენის გამო სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ახლა კი აბა ერთი ვნახო ისეთი სახალხო სასამართლო, ის მუშათა, გლეხთა სასამართლო, რომელიც არ დახვრეტდა კრასნოვს, როგორც კრასნოვი ხვრეტს მუშებსა და გლეხებს. ჩვენ გვეუბნებიან, რომ, როცა ძერჟინსკის კომისიაში ხვრეტენ — ეს კარგია, ხოლო თუ სასამართლო მთელი ხალხის წინაშე აშკარად იტყვის: იგი კონტრრევოლუციონერია და დახვრეტის ღირსიაო, ეს ცუდია. ის ადამიანები, რომელნიც ასეთ თვალთმაქცობამდე მისულან, პოლიტიკურად მკვდარი არიან. (ტ ა შ ი). არა, რევოლუციონერს, რომელსაც არ უნდა ითვალთმაქცოს, არ შეუძლია სიკვდილით დასჯა უარყოს. არ ყოფილა არც ერთი რევოლუცია და სამოქალაქო ომის ეპოქა, როდესაც დახვრეტა არ გამოეყენებინოთ.

ჩვენი სასურსათო მდგომარეობა თითქმის კატასტროფულ მდგომარეობამდე იქნა მიყვანილი. ჩვენ შევედით ისეთ ხანაში, რომელიც ყველაზე მძიმე პერიოდია ჩვენს რევოლუციაში. ჩვენს წინაშე ყველაზე ძნელი პერიოდი დგას: უფრო

ძნელი პერიოდი მუშურ-გლეხურ რუსეთში ჯერ არ ყოფილა, — სახელდობრ ის პერიოდი, რომელიც მოსავლამდე დარჩა. მე, რომელსაც ბევრი მინახავს პარტიული უთანხმოებანი, რევოლუციური დავა, არ მაკვირვებს, რომ ასეთ ძნელ პერიოდში მატულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომელნიც ისტერიკაში ვარდებიან და ყვირიან: მე წავალ საბჭოებიდანო, მიუთითებენ დეკრეტებზე, რომლებიც აუქმებენ სიკვდილით დასჯას. მაგრამ ცუდია ის რევოლუციონერი, რომელიც მწვავე ბრძოლის მომენტში კანონის ურყევობის წინაშე ჩერდება. გარდამავალ ხანაში კანონებს დროებითი მნიშვნელობა აქვს. და თუ კანონი აბრკოლებს რევოლუციის განვითარებას, ის გაუქმდება ან შესწორდება. ამხანაგებო, რაც უფრო მეტად თავს გვატყდება შიმშილობა, მით უფრო აშკარა ხდება, რომ ამ საშინელი უბედურების წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლის ასევე საშინელი ზომები. სოციალიზმი, ვიმეორებ, აღარ არის დოგმა, როგორც ის, შესაძლოა, აღარც პროგრამა აღარ იყოს. ჩვენს პარტიაში ახალი პროგრამა ჯერ კიდევ არ დაწერილა, ძველი კი უკვე აღარაფრად ვარგა. სწორად და თანაბრად გავანაწილოთ პური — აი რაშია სოციალიზმის საფუძველი დღეს. (ტ ა შ ი). ომმა მემკვიდრეობად დაგვიტოვა ნგრევა; კერენსკისა და მემამულე-კულაკთა მეცადინეობით, რომელნიც ამბობდნენ: ჩვენს მერე თუნდაც წარღვნა იყოსო, ჩვენი ქვეყანა მიყვანილია იმ მდგომარეობამდე, რომ ამბობენ: რაც უარესია, მით უკეთესიო. ომმა ისეთი უბედურებანი დაგვიტოვა, რომ ახლა ჩვენ პურის საკითხზე განვიცდით მთელი სოციალისტური მოწყობის თვით დედაარსს და ეს საკითხი ხელში უნდა ავიღოთ და პრაქტიკულად გადავწყვიტოთ. აქ ჩვენს თავს ვეუბნებით: როგორ მოვიქცეთ პურის საქმეში, ძველებურად ხომ არა, კაპიტალისტურად, როცა გლეხები შემთხვევით სარგებლობენ და პურზე ათასობით მანეთებს იჯიბავენ, თანაც თავისთავს მშრომელ გლეხებს, ხოლო ხანდახან მემარცხენე ესერებსაც კი უწოდებენ? (ტ ა შ ი, ხ მ ა უ რ ო ბ ა). ისინი ასე მსჯელობენ: თუ ხალხი შიმშილობს,

მაშასადამე, პურის ფასები მატულობს; თუ ქალაქებში შიმშილობაა, მაშასადამე, ჩემი ფულის ქისა გატენილია, ხოლო თუ კიდევ უფრო მეტად იშიმშილებენ, მაშასადამე, მე ზედმეტ ათასებს კიდევ ჩავიჯიბავ. მაგრამ მე მშვენივრად ვიცი, რომ ამ მსჯელობაში ცალკეულ პირთ ბრალი არ მიუძღვით. მემამულური და კაპიტალისტური საზოგადოების მთელმა ძველმა საზიზღარმა მემკვიდრეობამ ადამიანებს ასწავლა ასე იაზროვნონ, ასე იფიქრონ და იცხოვრონ, ხოლო ათეულ მილიონობით ადამიანთა ცხოვრების გადაკეთება კი საშინლად ძნელია, ამისათვის საჭიროა დიდხანს და შეუპოვრად მუშაობა, ეს მუშაობა კი ჩვენ ეს-ეს არის დავიწყეთ. ჩვენ არასოდეს აზრადაც კი არ მოგვსვლია ბრალი დავდოთ იმ ადამიანებს, ვინც მარტოხელა, შიმშილით გატანჯული, პურის სოციალისტური განაწილების ორგანიზაციაში სარგებლობას რომ ვერ ხედავს, ცდილობს თავს უშველოს მარტოკამ და ყველაფერს თავს ანებებს, — ასეთებს არ შეიძლება ბრალი დავდოთ. მაგრამ ჩვენ ვამბობთ: როცა გამოდიან პარტიების წარმომადგენლები, როცა ვხედავთ ადამიანებს, რომელნიც განსაზღვრულ პარტიას მიმხრობიან, როცა ვხედავთ ხალხის დიდ ჯგუფებს, ჩვენ მათგან მოვითხოვთ, რომ მათ ამ საქმეს შეხედონ არა იმ გატანჯული, გაწამებული და მშიერი ადამიანის თვალსაზრისით, რომელზედაც ხელს არავინ ამართავს, არამედ ახალი საზოგადოების შენების თვალსაზრისით.

ვიმეორებ, სოციალიზმის მოწყობა არასოდეს არ მოხერხდება ისეთ დროს, როდესაც ყველაფერი წესიერად და მშვიდადაა, სოციალიზმის განხორციელება არასოდეს არ მოხერხდება მემამულეთა და კაპიტალისტთა გაჟფთრებული წინააღმდეგობის გარეშე. მით უფრო სიხარულით იფშვნეტენ ისინი ხელებს, რაც უფრო ძნელი მდგომარეობაა; მით უფრო მიმართავენ ისინი ამბოხებას; რაც უფრო ძნელია, რაც უფრო მეტი მესაბოტაჟე გვყავს, მით უფრო ხალისით მონაწილეობენ ისინი ჩეხ-სლოვაკთა და კრასნოვის ამბებში. და ჩვენ ვამბობთ: აი ეს უნდა გადავლახოთ არა ძველებურად, რაო-

დენ ძნელიც უნდა იყოს ფორნის წათრევა წინ, მთაზე ათრევა და არა მისი გაშვება უკან, დალმართში დასაგორებლად. ჩვენ ჩინებულად ვიცით, რომ არ ყოფილა ისეთი კვირა ან დღეც კი, როცა ჩვენ სახალხო კომისართა საბჭოში დაკავებული არ ვიყოთ სურსათის საკითხით, როცა ჩვენგან ათასობით წინადადება, განკარგულება და დეკრეტი გამოდიოდა და როცა ჩვენ არ დაგვეყენებინოს ის საკითხი, თუ როგორ ვებრძოლოთ შიმშილს. ამბობენ: საჭირო არ არის არავითარი განსაკუთრებული ფასები, ნიხრიანი ფასები, პურის მონოპოლიები. ივაჭრე, როგორც მოგიხერხდეს. მდიდრები კიდევ უფრო გაისქელებენ ჯიბეს, ხოლო ღარიბები რომ დაიხოცებიან, ისინი ხომ ისედაც ყოველთვის შიმშილით იხოცებოდნენო. მაგრამ სოციალისტს ასე მსჯელობა არ შეუძლია: ამ მომენტში, როცა მთა ყველაზე ფრიალო გახდა და ფორნის გადათრევა ყველაზე დიდ ციცაბოებზე გვიხდება, — სოციალიზმის საკითხი პარტიულ უთანხმოებათა საკითხი კი აღარ არის, არამედ სასიცოცხლო საკითხად იქცა: გაძლებთ თუ არა თქვენ კულაკებთან ბრძოლაში, იმ გლეხებთან კავშირით, რომელნიც პურით სპეკულაციას არ ეწევიან, გაუძლებთ თუ არა თქვენ ახლა, როცა საჭიროა ბრძოლა, როცა ყველაზე მძიმე მუშაობა მოგველის? ჩვენ გველაპარაკებოდნენ ღარიბთა კომიტეტებზე [145]. იმათთვის, ვისაც საქმით უნახავს შიმშილით გამოწვეული ტანჯვა, იმათთვის ცხადია, რომ კულაკების გასატეხად და ულმობლად დასათრგუნავად საჭიროა უაღრესად მკაცრი, ულმობელი ზომები. ღარიბთა კავშირების მოწყობას რომ ვიწყებდით, ჩვენ ამას ვაკეთებდით ამ ზომის მთელი სიმძიმისა და სისასტიკის სრული შეგნებით, იმიტომ რომ მხოლოდ ქალაქებისა და სოფლის ღარიბობის და იმათი კავშირი, ვისაც მარაგი აქვს, მაგრამ სპეკულაციას არ ეწევა, იმათი, ვისაც უნდა გადაჭრით დაძლიოს სიძნელეები და მიაღწიოს იმას, რომ პურის ნაჭარბი სახელმწიფოს მისდიოდეს და მშრომელთა შორის ნაწილდებოდეს, — მხოლოდ ასეთი კავშირი წარმოადგენს ამ ბრძოლის ერთადერთ საშუალებას. და ეს ბრძოლა უნდა წარმოებდეს

არა პროგრამებსა და სიტყვებში; ამ ბრძოლაში შიმშილობის წინააღმდეგ უნდა გამოჩნდეს, ვინ მიდის პირდაპირი გზით სოციალიზმისაკენ, მიუხედავად ყველა განსაცდელისა, და ვინ ჰყვება კულაკების ხრიკებსა და მატყუარობას.

და თუ მემარცხენე ესერების პარტიიდან აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც იტყვიან, როგორც წინა ორატორმა, ერთ-ერთმა ყველაზე გულწრფელმა და ამიტომ ხშირად გატაცებულმა, თავისი აზრის ხშირად შემცვლელმა ადამიანმა თქვა, — თუ ისინი იტყვიან: ჩვენ ბოლშევიკებთან მუშაობა არ შეგვიძლია, ჩვენ მივდივართო, — ჩვენ ამას ერთ წუთსაც არ ვინანებთ. ის სოციალისტები, რომელნიც მიდიან ისეთ დროს, როცა ათობით და ათასობით ადამიანი შიმშილით იღუპება, მაშინ როდესაც სხვებს ისეთი დიდი ნაჭარბი პური აქვთ, რომ იგი არ გაყიდეს გასული წლის აგვისტომდე, როცა პურის მტკიცე ფასები გაორკეცდა, რის წინააღმდეგაც მთელი დემოკრატია ჯანყდებოდა; ვინც იცის, რომ ხალხი შიმშილით გამოწვეულ გამოუთქმელ ტანჯვას განიცდის, მაგრამ არ უნდა პური გაყიდოს იმ ფასად, რომლითაც საშუალო გლეხები ყიდიან, — ისინი ხალხის მტრები არიან, რევოლუციას ღუპავენ და ძალადობას მხარს უჭერენ, ისინი — კაპიტალისტების მეგობრები არიან! ომი მათ წინააღმდეგ და ომი — ულმობელი! (მთელი დარბაზის ტაში, ტაშს უკრავს მემარცხენე ესერების მნიშვნელოვანი ნაწილიც). ათასჯერ მტყუანი იქნება ის, ათასჯერ სცდება ის, ვინც თავს ნებას მისცემს თუნდაც ერთი წუთით გაიტაცოს სხვისმა სიტყვებმა და თქვას, რომ ეს — გლეხობასთან ბრძოლაა, როგორც ზოგჯერ ამბობენ ხოლმე არაფრთხილი ან დაუფიქრებელი ადამიანები მემარცხენე ესერებიდან. არა, ესაა ბრძოლა სოფლის კულაკთა სრულიად უმნიშვნელო უმცირესობის წინააღმდეგ, ესაა ბრძოლა იმისათვის, რომ ვიხსნათ სოციალიზმი და სწორად გავანაწილოთ პური რუსეთში. (შეძახილები: «ხოლო საქონელი?»). ჩვენ ვიბრძოლებთ გლეხობის უდიდეს უმრავლესობასთან კავშირში. ამ ბრძოლაში ჩვენ

გავიმარჯვებთ, და მაშინ თვითეული ევროპელი მუშა საქმით დაინახავს, თუ რა არის სოციალიზმი.

ახლანდელ ბრძოლაში ჩვენ დაგვეხმარება ყველა, ვინც, შესაძლოა, მეცნიერულად არც კი იცოდეს, თუ რა არის სოციალიზმი, მაგრამ ვინც მთელ თავის სიცოცხლეში შრომობდა და იცის, რომ იგი პურს მძიმე ფასად შოულობდა, — იგი ჩვენ გაგვიგებს. ასეთი ადამიანი ჩვენთან იქნება. კულაკებისთვის, რომელთაც წაჭარბი პური აქვთ და უნარი შესწევთ ხალხის უდიდესი უბედურების დროს პური დამალონ, ისეთ მომენტში, როცა რევოლუციის ყველა მონაპოვარი განსაცდელშია, როცა ყველა ელფერისა და ყველა, ოკუპირებული და არაოკუპირებული, კუთხის სკოროპადსკებს კისერი წაუგრძელებიათ და ელოდებიან, ხომ არ შეიძლება შიმშილით დავამხოთ გლეხური და მუშური ხელისუფლება და დავაბრუნოთ მემამულენიო, — ასეთ მომენტში ამ კულაკებისთვის ულმობელი ომის გამოცხადება — ეს ჩვენი პირველი სოციალისტური მოვალეობაა. ვინც დამშეული ხალხისათვის უდიდეს განსაცდელთა და სოციალისტური რევოლუციისათვის უდიდეს განსაცდელთა ამ უძნელეს მომენტში ხელს იბანს და ბურჟუაზიის მონაჭორს იმეორებს, — ის ცუდი სოციალისტია.

მცდარი, და ათასჯერ მცდარია, რომ ეს გლეხობასთან ბრძოლაა! კადეტური გაზეთების ფურცლებზე ასჯერ წამიკითხავს ამის შესახებ, და მე არ მაკვირვებს, როცა იქ გაჰყვირიან, მუშები გლეხობას გაეთიშნენო; როცა იქ ისტერიკულად წერენ: «გლეხებო, გამოფხიზლდით, გონს მოდით და მიატოვეთ ბოლშევიკებიო». როცა მესმის და იქ ვკითხულობ ამის შესახებ, ეს მე არ მაკვირვებს. იქ ეს შესაფერია. იქ ისინი ემსახურებიან იმ პატრონს, რომლის მსახურებისთვისაც ისინი განკუთვნილი არიან, მაგრამ მე არ ვისურვებდი იმ სოციალისტის ქურქში ყოფნას, რომელიც ასეთ სიტყვებამდე დაცემულა! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი). ამხანაგებო, ჩვენ ჩინებულად ვიცით, თუ რა გაუგონარი სიძნელეების ფასად ჯდება სურსათის საკითხის გადაწყვეტა. აქ ცრურწმენები

ყველაზე ღრმაა. აქ ინტერესები ყველაზე ძირითადია, კულაკების ინტერესები: აქ დაყოფა, უძრაობა, სოფლის დაქსაქსულობა, სიბნელე, მრავალ შემთხვევაში ყველა ჩვენს წინააღმდეგ ერთიანდება, და ჩვენ ვამბობთ: მიუხედავად ამ სიძნელეებისა, უარისთქმა არ შეიძლება, შიმშილთან არ ხუმრობენ, და ხალხის მასებს, თუ მათ შიმშილის დროს არ დავეხმარებით, შეუძლიათ შიმშილის გამო სკოროპადსკისაც კი მიაწყდნენ. მართალი არ არის, რომ ეს გლეხებთან ბრძოლაა! ვინც ამას ამბობს, ის უდიდესი დამნაშავეა, და უდიდესი უბედურება შემთხვევია იმ ადამიანს, ვინც ისტერიკულად გაატაცებინა თავი ასეთ სიტყვებამდე. არა, ჩვენ არათუ უღარიბეს გლეხებს, საშუალო გლეხებსაც არ ვებრძვით. საშუალო გლეხებს მთელ რუსეთში სრულიად უმნიშვნელო ნაჭარბი პური აქვთ. საშუალო გლეხები ათეული წლების განმავლობაში რევოლუციამდე უარეს პირობებში ცხოვრობდნენ, ვიდრე მუშა ცხოვრობს. რევოლუციამდე ისინი მხოლოდ გაჭირვებას და ჩაგვრას ხედავდნენ. ამ საშუალო გლეხებთან ჩვენ შეთანხმების გზით მივდივართ. სოციალისტურ რევოლუციას თანასწორობა მოაქვს მთელი მშრომელი მასებისათვის; უმართებულოა, თუ ქალაქის თვითეული მუშა მეტს ღებულობს, ვიდრე საშუალო გლეხი, რომელიც არ ეწევა სხვისი შრომის ექსპლოატაციას დაქირავების ან სპეკულაციის გზით, — გლეხი ცხოვრობს და მეტ გაჭირვებასა და ჩაგვრას ხედავს, ვიდრე მუშა, ცხოვრებით კი მასზე კიდევ უფრო ცუდად ცხოვრობს. მათ არა აქვთ ორგანიზაცია და პროფესიული კავშირები, რომლებიც მათი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხზე იმუშავებდნენ. მუშათა კავშირებთანაც კი ჩვენ ათობით სხდომის გამართვა გვიხდება იმისათვის, რომ გავათანაბროთ ხელფასი პროფესიებს შორის. და მაინც ვერ დაგვიწესებია. ყოველმა გონიერმა მუშამ იცის, რომ ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი პერიოდი. განა ცოტა საჩივარს იპოვით შრომის კომისარიატში? თქვენ დაინახავთ, რომ ყოველი პროფესია თავსა სწევს, არ უნდა ძველებურად იცხოვროს, ჩვენ არ გვინდა მონურად ვიცხოვ-

როთ! ჩვენ გვინდა ღარიბ ქვეყანაში, ღატაკ ქვეყანაში, მოვიშუშოთ ის ჭრილობები, რომლებიც მას მიაყენეს. ჩვენთვის აუცილებელია ვეცადოთ როგორმე შევინარჩუნოთ მეურნეობა, რომელიც თითქმის მთლად დანგრეულია. ჩვენ ამის გაკეთება შეგვიძლია მხოლოდ ორგანიზაციის გზით. გლეხობის დასარაზმავად ჩვენ გამოვეცით დეკრეტი ღარიბთა კომიტეტების შესახებ. ამ დეკრეტის წინააღმდეგი შეიძლება იყვნენ მხოლოდ სოციალიზმის მტრები. ჩვენ ვამბობდით, რომ სამართლიანად ვთვლით დავუკლოთ მანუფაქტურის ფასი. ჩვენ აღრიცხვაზე აგვყავს, ნაციონალიზაციას ვუშვრებით პირდაპირ ყველაფერს. (ტაში). და ეს შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ მრეწველობის პროდუქტთა განაწილების რეგულირება.

ჩვენ ვამბობდით: დაუკელით ღარიბთათვის მანუფაქტურის ფასი სანახევროდ, საშუალო გლეხისთვის დაუკელით 25 პროცენტით. იქნებ, ეს სწორი განაკვეთი არ იყოს. ჩვენ იმას არ ვიჩემებთ, რომ საკითხი მართებულად გადავწყვიტეთ. ჩვენ ამას არ ვამტკიცებთ. საკითხის გადასაწყვეტად, მოდით და იგი ერთად გადავწყვიტოთ. (ტაში). მთავარ სამმართველოში რომ იჯდე და სპეკულაციას ებრძოდე, თავიანთი საქმეების ფარულად მომჭახრაკებელ გაიძვერებს რომ იჭერდე, — ამით საკითხს ვერ გადაწყვეტ.

მხოლოდ მაშინ, როცა სასურსათო კომისარიატმა, მიწათმოქმედების კომისარიატთან ერთად, მოახდინა ყველა საქონლის ნაციონალიზაცია, დააწესა ფასები, — მხოლოდ მაშინ ჩვენ უშუალოდ მივდივართ სოციალიზმთან. მასთან მიდიან მხოლოდ ქალაქის მშრომელნი და სოფლის ღარიბობა, ყველა ისინი, ვინც შრომობს, სხვისას არ ხვეტავს, სხვის შრომას ექსპლოატაციას არ უწევს არც დაქირავების ფორმით, არც სპეკულაციის ფორმით, ვინაიდან ის, ვინც პურში ას და მეტ მანეთს იღებს, არა ნაკლებ სპეკულანტია, ვიდრე იგი რომ დაქირავებულ მუშებს ქირაობდეს; შესაძლოა, იგი კიდევ უფრო უარესი, კიდევ უფრო გაქანებული სპეკულანტი იყოს. საშინლად ძნელი საბჭოთა მართვა-გამგეობის ნახევარი წლის

შემდეგ ჩვენ მივედით ღარიბი გლეხობის ორგანიზაციამდე, სამწუხაროა, რომ ნახევარი კვირის შემდეგ არა, — აი ეს ჩვენი დანაშაულია! ჩვენ რომ იმისთვის გვისაყვედურებდნენ, რომ სოფლის ღარიბობისა და სასურსათო დიქტატურის ორგანიზაციის დეკრეტმა ნახევარი წლით დაიგვიანა, ჩვენ ამ გაკიცხვის მოხარულნი ვიქნებოდით. ჩვენ ვამბობთ: აი მხოლოდ ახლა, როცა ამ გზას დავადექით, სოციალიზმი მარტოოდენ ფრაზა აღარ არის და ცოცხალ საქმედ ხდება. შესაძლოა, დეკრეტი ჯეიერო იყოს, შესაძლოა, ჩვენი განაკვეთები სწორი არ იყოს. საიდან შეგვეძლო ჩვენ მათი აღება? მხოლოდ თქვენი გამოცდილებიდან. რამდენჯერ გადავაკეთეთ ჩვენ რკინიგზელთა განაკვეთები, თუმცა მათ აქვთ კავშირები, ღარიბებს კი კავშირები არა აქვთ. მოდით, ერთად შევამოწმოთ, სწორია თუ არა განაკვეთები, რომლებიც დაწესებულია დეკრეტში ღარიბობის შესახებ, ის, რომ უღარიბესთ უკლებენ ნახევარ ფასს, საშუალოებს უკლებენ მეოთხედ ფასს, მდიდრისგან კი ყველაფერი აიღე, — სწორია ეს განაკვეთები თუ არა?

თუ ბრძოლა იქნება, ამ ბრძოლაში ჩვენ გაბედული დეკრეტებით და სრულიად უყოყმანოდ წავალთ. ეს იქნება ნამდვილი ბრძოლა სოციალიზმისათვის, არა დოგმისათვის, არა პროგრამისათვის, არა პარტიისათვის, არა ფრაქციისათვის, არამედ ცოცხალი სოციალიზმისათვის, პურის განაწილებისათვის ასეულ ათასობით და მილიონობით დამშეულ ადამიანთა შორის რუსეთის მოწინავე რაიონებში, რათა, როცა პური არის, ის ავიღოთ და უფრო სწორად გავანაწილოთ. ვიმეორებ: აქ ჩვენ იოტისოდენი ეჭვი არ გვეპარება, რომ გლეხთა ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი, როცა ისინი სიმართლეს შეიტყობენ, როცა დეკრეტს მიიღებენ, შეამოწმებენ, მოსინჯავენ, როცა ჩვენ გვეტყვიან, როგორ უნდა გასწორდეს ის, და ჩვენ მას გავასწორებთ, ამ განაკვეთებს გადავაკეთებთ, როცა ისინი ამ საქმეს ხელს მოჰკიდებენ, როცა მის პრაქტიკულ სიძნელეს შეაფასებენ, — ეს გლეხები ჩვენთან იქნებიან და იტყვიან: ჩვენ ვიჩენთ ყოველი მშრომელი

ადამიანის ჯანსაღ ინსტინქტს, რომ აქ და მხოლოდ აქ წყდება ნამდვილი, ძირითადი საკითხი, საარსებო საკითხი სოციალიზმის შესახებო. ჩვენ დავაწესებთ საქონლის სწორ განაკვეთებს, დავაწესებთ პურის, მანუფაქტურის, ყველა პროდუქტის მონოპოლიას, და მაშინ ხალხი იტყვის: დიახ, შრომის განაწილება, პურისა და იმ პროდუქტების განაწილება, რომელთაც ჩვენ სოციალიზმი გვაძლევს, უკეთესია, ვიდრე წინათ იყოო. ამის ლაპარაკს კი ხალხი იწყებს. ჩვენ უნარი შეგვწევს გადავლახოთ დაბრკოლებანი უამრავი სიძნელეების გვერდით, უამრავი შეცდომების გვერდით, ისეთი შემთხვევების გვერდით, რომელთაც ჩვენ ოდნავაც არ ვმალავთ, არამედ გამოგვაქვს დღის სინათლეზე, განსაკუთრებულად, — იმ შემთხვევებისა, როცა ჩვენი რაზმები თვითონ ვარდებიან სპეკულაციაში, იმ მოლიპულ უფსკრულში, რომლისკენაც გვექაჩება კაპიტალისტთა ყველა ჩვეულება, ყველა ჩვევა, — დიახ, ეს შემთხვევები ყველგან ხდება, ჩვენ ვიცით, რომ ადამიანთა ერთბაშად გარდაქმნა შეუძლებელია, რომ ათეულ მილიონობით ადამიანებისათვის სოციალიზმისადმი რწმენის ერთბაშად შთაგონება შეუძლებელია. საიდან აიღებენ ისინი ამ რწმენას? თავიანთი თავიდან? — თავიანთი გამოცდილებიდან. ყოველივე ამასთან ერთად იწყებენ ლაპარაკს, რომ პურის მიღება შეიძლება არა სპეკულაციის გზით, რომ შიმშილისგან ხსნა შეიძლება მხოლოდ ქალაქისა და ფაბრიკა-ქარხნების, მრეწველობის მუშათა კავშირის გზით სოფლის ღარიბობის კავშირთან, რადგან მხოლოდ სოფლის ღარიბობა არ ეწევა პურით სპეკულაციას. დიახ, საშუალო გლეხი მაშინვე, როცა ჩვენს დეკრეტებს დაინახავს, როცა მათ თვითონ წაიკითხავს, როცა მათ მემარჯვენე ესერებისა და კულაკთა დამცველების იმ ფრაზებსა და ცილს შეადარებს, იტყვის: თუ ადამიანები აწესებენ ერთ განაკვეთს ღარიბთათვის, მეორეს — საშუალოთათვის და მუქთად მიაქვთ პური კულაკებისგან, ისინი სამართლიანად იქცევიანო. მან, შეიძლება, არა თქვას, რომ ისინი ისე იქცევიან, როგორც სოციალისტები,

მან, შეიძლება, არ იცოდეს ეს სიტყვა, მაგრამ იგი — ჩვენი უერთგულესი მოკავშირეა, რადგან იგი პურით სპეკულაციას არ ეწევა, იგი მიხვდება და დაგვეთანხმება, რომ სოციალისტური რევოლუციისათვის უდიდესი საფრთხის მომენტში პურით სპეკულაცია — უდიდესი დანაშაულია ხალხის წინააღმდეგ.

დეკრეტით პურის განაწილება არ შეიძლება. მაგრამ როცა მოსაგვარებლად, გამოსასწორებლად ჩატარებული ხანგრძლივი, შეუპოვარი მუშაობის შემდეგ, — ფაბრიკის, ქალაქის მუშებისა და სოფლის ღარიბობის, იმ მშრომელ გლეხთა კავშირის შემდეგ, რომელნიც არავითარ მუშებს არ ქირაობენ და სპეკულაციას არ ეწევიან, — როცა ამის შემდეგ ჩვენ პრაქტიკულად მოვაგვარებთ ამ საქმეს, მაშინ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ მიმართული ვერავითარი ისტერიკული წამოძახილები ვერ გაწყვეტს ამ კავშირს. (ტ ა შ ი).

როცა ჩვენ გლეხობას მიწის სოციალიზაცია აღვუთქვით, ჩვენ ამით დავუთმეთ, რადგან ჩვენ შეგნებული გვქონდა, რომ ნაციონალიზაციის ერთბაშად შემოღება არ შეიძლება. ჩვენ ვიცით, ეს, შესაძლოა, შეცდომაც იყოს, რომ მიწის თქვენი სოციალიზაცია ჩავსვით 26 ოქტომბრის ჩვენს კანონში *. ეს იყო დათმობა მემარცხენე ესერებისადმი, რომლებმაც ხელისუფლებაზე უარი განაცხადეს და თქვეს, რომ დარჩებიან მხოლოდ მაშინ, თუ ეს კანონი გატარდებაო. ათასჯერ მტყუანია სპირიდონოვა, როცა თქვენ გაწვდიდათ ცალკეულ ფაქტებს, რომ ის იყო ჩემთან, თითქოს თავს იმცირებდა და მთხოვდა. ამხანაგებო, ჩემთან ბევრნი ყოფილან და იციან, რომ ეს შეუძლებელია, ამხანაგისადმი ასეთი დამოკიდებულება შეუძლებელია. ალბათ, ცუდია ეს პარტია, თუ მისი საუკეთესო წარმომადგენლები იმდენად თავს იმცირებენ, რომ ზღაპრებს ჰყვებიან. (ხ მ ა უ რ ო ბ ა). ჩემთან დევს ამხ. სპირიდონოვას წერილი, — ის ძალიან ხშირად

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 298 — 303. რ ე დ.

მომმართავდა ხოლმე წერილობით, — ამ წერილს მე ხვალვე ვიპოვი და გადმოგცემთ. იგი წერს: «რატომ არ გინდათ მოგვცეთ ორი მილიონი სასოფლო-სამეურნეო კომუნისათვის?». და ეს სწორედ იმ დღეს, როცა მიწსახკომმა სერედამ, რომლის საქმიანობა სპირიდონოვას არ გაეგება, შემოიტანა მოხსენება სასოფლო-სამეურნეო კომუნისათვის 10 მილიონის ასიგნების შესახებ. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი). თქვენ ეს გაიგონეთ ამ-ხანაგ სპირიდონოვას სიტყვიდან, მაგრამ ცუდია ის პარ-ტია, რომელშიაც უაღრესად გულწრფელი ადამიანებიც კი თავიანთი აგიტაციის დროს იმდენად ეცემიან, რომ ზღაპ-რებს მიმართავენ. ვიმეორებ: რარიგ ცუდია პარტია, რომლის საუკეთესო, უგულწრფელესი წარმომადგენლები მიდიან ასეთ ზღაპრებამდე საბჭოთა ხელისუფლების შესახებ! მით უარე-სი მათთვის. ყოველი გლეხი, რომელიც კი მიწათმოქმედების კომისარიატში მივა, წაიკითხავს, რომ სასოფლო-სამეურნეო კომუნებისათვის ასიგნებულია 10 მილიონი, დაინახავს, თავის თვალსა და თავის ყურს უფრო დაუჯერებს, ვიდრე სხვის სიტყვებს, მიხვდება, რომ ეს ადამიანები ზღაპრებამდე მისუ-ლან, და ამ პარტიას ზურგს შეაქცევს. (ტ ა შ ი). ჩემი სიტყვის დასასრულს ვიტყვი ერთს. ჩვენს წინაშე ახალ მოსავლამდე, პეტროგრადისა და მოსკოვის დამშეულ ადგილებში ამ მო-სავლის მოზიდვამდე, ჩვენს წინაშე რუსეთის რევოლუციის მძიმე პერიოდია. მხოლოდ ქალაქის მუშათა უაღრესად მჭიდ-რო კავშირი სოფლის ღარიბობასთან, სოფლის მშრომელ მასასთან, რომელიც პურით სპეკულაციას არ ეწევა, — აი რა შველის რევოლუციას.

ყრილობა გვიჩვენებს, რომ ყველა მშრომელის კავშირი, მიუხედავად ყოველივესი, მტკიცდება, ფართოვდება და იზრ-დება არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ჩვენი რევოლუციის შესახებ საზღვარგარეთ ძალიან ცოტა, საშინლად ცოტა რამ იციან. იქ არის სამხედრო ცენზურა, რომელიც არაფერს არ უშვებს. საზღვარგარეთიდან ჩამო-სული ამხანაგები გვიამბობენ ამის შესახებ. მაგრამ, მიუხე-დავად ყოველივესი, მარტოოდენ მხოლოდ ინსტინქტით,

ევროპის მუშები ბოლშევიკური მთავრობის მხარეზე არიან. და სულ უფრო და უფრო ძრავლდება ხმები, რომლებიც მოწმობენ, რომ სოციალისტური რევოლუციისადმი თანაგრძნობა ევროპაში მტკიცე ხდება იმ ქვეყნებში, სადაც გრძელდება იმპერიალისტური ომი. გერმანელი სოციალისტებისა და სხვა ადამიანებისაგან, რომელთა სახელებს იცნობს ყოველი შეგნებული მუშა და გლეხი, როგორიც არიან კლარა ცეტკინი და ფრანც მერინგი, ბოლშევიკურ მთავრობას მოსდის მადლობის გამოხატულება და თანაგრძნობისა და მხარდაჭერის გამოხატულება. იტალიაში პარტიის ძველი მდივანი ლაძარი, რომელიც ციმერვალდში ბოლშევიკებს უნდობლობით ეკიდებოდა, ახლა საპატიმროში ზის ჩვენდამი თანაგრძნობის გამოხატვისათვის.

რევოლუციის გაგება იზრდება. საფრანგეთში იმ ამხანაგებმა და მუშებმა, რომელნიც ციმერვალდის კონფერენციაზე უდიდესი უნდობლობით ეკიდებოდნენ ბოლშევიკებს, ახლა ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის კომიტეტის[146] სახელით ამ დღეებში გამოუშვეს მოწოდება, რომელშიაც მხურვალედ გამოთქვამენ აზრს ბოლშევიკური მთავრობისადმი მხარდაჭერის სასარგებლოდ და ყოველი პარტიის ავანტიურათა წინააღმდეგ.

ამიტომ, ამხანაგებო, რა ძნელი და რა მძიმეც უნდა იყოს პერიოდი, რომლის გადატანაც ჩვენ მოგველის, ჩვენ მოვალე ვართ სრული სიმართლე ვთქვათ და თვალი ავუხილოთ ხალხს ამაზე, რადგან თავისი ინიციატივითა და თავისი ორგანიზაციით ჩვენ დაგვეხმარება მხოლოდ ხალხი, რომელიც წამოაყენებს ახალ-ახალ პირობებს და დაიცავს სოციალისტურ რესპუბლიკას. და ჩვენ ვამბობთ: ამხანაგებო, არავითარი ეჭვი არაა, რომ თუ ჩვენ წავალთ იმ გზით, რომელიც ავირჩიეთ და რომელიც მოვლენებმა დაადასტურეს, თუ ჩვენ მტკიცედ და განუხრელად ვივლით ამ გზით, თუ ჩვენ სწორი გზიდან თავს არ ავაცდენინებთ არც ფრაზებს, არც ილუზიებს, არც მოტყუებას და არც ისტერიკას, მაშინ ჩვენ მსოფლიოში უდიდესი შანსები გვაქვს იმისათვის,

რომ გავმაგრდეთ და მტკიცედ დავეხმაროთ სოციალიზმის გამარჯვებას რუსეთში, ამით კი დავეხმაროთ მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას! (მქუხარე ტაში, რომელიც დიდხანს არ ცხრება და ოვაციად იქცევა).

2

საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო
1918 წ. 5 ივნისს

ოპოზიციის ყველა საწინააღმდეგო მოსაზრება ჩემი მოხსენების გამო ბრესტის ხელშეკრულების საკითხით იწყება. მაგრამ საკითხის ამგვარი დაყენებისათვის შეიძლებოდა საქმიანი გვეწოდებინა იმ შემთხვევაში, მას რომ პრაქტიკულ შედეგებამდე მივყავდეთ. მაგრამ მათს ყველა სიტყვას ამის შესახებ შედეგი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. (ტაში).

იმნაირად რომ მომხდარიყო, რომ მემარცხენე ს.-რ. პარტიას უმრავლესობა მიეღო, იგი ამ საკითხზე ისე აღარ იყვირებდა, როგორც ახლა ყვირის. უნდა ვილაპარაკოთ საბჭოთა რესპუბლიკის ნამდვილი მიღწევების შესახებ სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე, და ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, — და ეს არც ერთ ორატორს არ უარუყვია, — რომ ამ მხრივ წინა ყრილობის დროიდან დიდი წარმატებაა მიღწეული. ოპოზიციის წარმომადგენლებმა ვერც ის უარყვეს, რომ ყველა ისინი, ვინც ბრესტის ზავის გაუქმების მომხრეა, მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების აღდგენის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებენ და ძლიერი არიან ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის მხარდაჭერით. როდესაც მე ვამბობდი, რომ ჩეხ-სლოვაკებიც 10 — 15 მილიონისათვის ამ გაუქმების მიღწევას ცდილობენ, — ეს ვერავინ უარყო. და განა შეიძლება უარყო ის, რომ ჩეხ-სლოვაკებს, რომელნიც დამფუძნებელი კრების ლოზუნგს ეფარებიან, მიზნად აქვთ დასახული ჩაგვითრიონ ჩვენ ომში?

მემარცხენე ს.-რ. ამბობდნენ, შეუძლებელია მოკლე ვადაში არმია შევქმნათო, მაგრამ საქმე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ჩქარა მოვაგვარებთ სათბობის საქმეს, როგორ მოეწყობიან გლეხები, როგორ წავა მოსავლის საქმე.

თქვენი მოწოდებანი რეგულარული იმპერიალისტური არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად პარტიზანული რაზმების შექმნის შესახებ სასაცილოა თვითეული ჯარისკაცისთვის.

როდესაც გვაიძულებენ დავუბრუნდეთ ბრესტის ზავის საკითხს, ჩვენ ვამბობთ: «ეს ზავი დარღვეულ იქნება მაშინ, თუ თქვენ საბჭოთა ხელისუფლებას დაამხობთ, ეს კი არ მოხდება!». (ტ ა შ ი). მხოლოდ მაშინ, ბრესტის ზავის გაუქმების ნიადაგზე, თქვენ შეძლებთ მშრომელი მასების ჩათრევას ომში მემამულეთა, კაპიტალისტთა და თეთრგვარდიელთა სასიხარულოდ, რომელნიც მოსყიდულნი არიან ინგლისსაფრანგეთის იმპერიალისტთა მილიონებით. ბრესტის ზავის ჩაშლა ამჟამად საქმით დაეყრდნობა მშრომელი კლასებისადმი მტრულ ძალებს. არც ერთი უთანხმოება ბრესტის ზავის შესახებ არ შეიძლება საქმიანად ჩაითვალოს. ეს მხოლოდ მემარცხენე ესერების ისტერიკაა.

როდესაც აქ ლაპარაკობდნენ იმაზე, თითქოს ბოლშევიკები დათმობებზე მიდიან და თითქოს ანგარიშებში მათ საქმიანი არაფერი განუცხადებიათ, მე მაგონდება სიტყვები, რომლებიც აქ ერთმა ესერმა, მგონი, მაქსიმალისტმა თქვა, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში კონტროლიდან წარმოების მართვაზე გადადიანო. განა ეს საქმიანი განცხადება არაა? მაშ რას აკეთებენ ის მუშები, რომლებიც პროფესიული კავშირების მეშვეობით თავიანთი ძალებით შეუდგნენ მეპატრონეთაგან საწარმოთა მართვის საქმის შესწავლას? თქვენ ამბობთ, რომ მართვის შესწავლა სულ ადვილია, ამავე დროს კი ჩვენ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში ყოველდღე ვწყვეტთ ათასობით კონფლიქტსა და შემთხვევას, რომლებიც მოწმობენ, რომ მუშამ ბევრი რამ ისწავლა, და, აქედან დასკვნები რომ გამოგვყავს, იმ აზრს ვადგებით, რომ მუშები სწავლას იწყებენ ნელა, მართალია, შეცდომებით,

მაგრამ ერთია — ფრაზის თქმა, ხოლო მეორეა — თვიდან თვემდე ხედავდე, როგორ თანდათან შედის მუშა თავის როლში, იწყებს თავისი გაუბედაობის დაძლევას და თანდათან თავს გრძნობს მმართველად. სწორია თუ არა, მაგრამ იგი საქმეს ისე აკეთებს, როგორც გლეხი სასოფლო-სამეურნეო კომუნაში. დრო გვიჩვენებს, რომ მუშას უნდა ესწავლა მრეწველობის მართვა, ყოველივე დანარჩენი კი ყოვლად ცარიელი ფრაზაა, რომელიც კაპიკად არ ღირს. თუ ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების ნახევარი წლის შემდეგ იქამდე მივედით, რომ ახლა კონტროლის მოძველებას ვუახლოვდებით, — ეს უკვე უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია.

აქ გაიძახოდნენ, რომ ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით და უკან ვიხევთ. არაფერი ამდაგვარი. თქვენ შეგიძლიათ ამაში დაარწმუნოთ კულაკი, მაგრამ არა უბრალო მუშა; მან იცის, როცა ჩვენ ვამბობთ: მოგვეცით იმათზე უკეთესი ადამიანები, რომლებიც თქვენ გაგზავნეთ, აიძულეთ ისინი უკეთ ისწავლონ, ვიდრე შენ სწავლობ. ამიტომ, როცა ჩვენ აქ გვიყვირიან კონცესიებზე, მაშინ ნება მოგვეცით შევეკითხოთ ყოველ მუშასა და გლეხს, რას ამჯობინებენ ისინი: კონცესიებით გავისტუმროთ ის ვალი, რომელიც გერმანელებმა დაგვაკისრეს, თუ ვიომოთ? როდესაც ბრესტის ზავს ვკრავდით, ჩვენ იმპერიალისტების შესახებ ვამბობდით: ვიდრე ისინი საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციას არ დაუმარცხებია, ჩვენ არ შეგვიძლია თავი დავიცვათ სხვანაირად, თუ არა უკანდახევით. ეს არასასიამოვნოა, მაგრამ ფაქტია, — და უკეთესია, როცა ჩვენ ვეუბნებით ამ ფრაზას ხალხს, — ვიდრე ჩვენ არ შეგვიქმნია არმია, რომლის შექმნა შეიძლება არა ათეულ წლობით, არამედ რამდენიმე წლის განმავლობაში, თუ მოეწყობა პურის სწორად განაწილება, რათა არმიისათვის გვქონდეს შეგროვილი, შენახული პურის მარაგი. რომელ მაზრაში, რომელ გუბერნიაში გააკეთეს ეს მემარცხენე ესერებმა? არაფერი ამდაგვარი! მანამდე კი, ვიდრე ეს არ გაკეთებულა, ჩვენ ვამბობთ, რომ მთელი თქვენი ყვირილი ყოვლად ცარიელი ფრაზაა, ხოლო როცა ჩვენ ნაბიჯს

ვდგამთ მუშათა მმართველობაში, ჩვენ ვდგამთ ნაბიჯს წინ. აქ არასწორად მოიყვანეს ჩემი ფრაზა. მე ვთქვი, რომ ცუდია ის პარტია, რომელშიაც გულწრფელი ადამიანები იძულებული არიან ასეთ ფრაზებამდე დაეშვან.

ჩვენს სასურსათო კომისარიატს რომ მილიარდი მივეცით — განა ეს წინგადადგმული ნაბიჯი არაა? ბევრი რამ ჯერ კიდევ მოუგვარებელია, და, თუ თქვენ მოისურვებთ, ამის მოგვარებას შეძლებთ. ოღონდ ვისი მეშვეობით — არ ვიცი. ძველი მოხელეების მეშვეობით ხომ არა? ჩვენში ამ საქმეს სწავლობენ მუშები და გლეხები საბჭოებიდან (ტ ა შ ი) და ამიტომ მანუფაქტურის შესყიდვა და ასიგნება თავის საქმეს აკეთებს. სახალხო კომისართა საბჭოში ჩვენ ასგზის გაგვიხილავს საკითხი: ვისი მეშვეობით შევისყიდოთ მანუფაქტურა, როგორ გავატაროთ კონტროლი, როგორ დავეხმაროთ მისი რაც შეიძლება ჩქარა გავრცელებას? და ჩვენ ვიცით, რომ კვირიდან კვირამდე წარმატებით ვამუშავებდით სპეკულაციასთან ბრძოლის ზომებს, სპეკულანტების დაჭერის ზომებს, და რომ მუშები ამ საქმეში ყოველთვე სულ უფრო მტკიცენი ხდებიან, და ჩვენი ამ წარმატების უარყოფა არც ერთ ადამიანს არ შეუძლია. ჩვენ ერთ ადგილს კი არ ვტკეპნით, არამედ წინ მივდივართ. 28 ივნისს ჩვენ მოვახდინეთ, შესაძლოა, რამდენიმე ასეულ ათასად ღირებულის ნაციონალიზაცია[147], თქვენ კი ისევ წინააღმდეგი ხართ და კვლავ იმეორებთ ბურჟუაზიული ინტელიგენციის სიტყვებს. სოციალიზმი — ეს ისეთი მუშაობაა, რომელიც რამდენიმე თვეში როდი სრულდება. ჩვენ ერთ ადგილს კი არ ვტკეპნით, არამედ სოციალიზმისაკენ წინსვლას განვაგრძობთ, და ბრესტის ხელშეკრულების შემდეგ მას უფრო მივუახლოვდით. მუშებს აქვთ მთელი რიგი შეცდომებიდან მიღებული გამოცდილება, პასუხისმგებლობის, ბრძოლის სიძნელის შეგნება, გლეხებს კი აქვთ გამოცდილება მიწის სოციალიზაციის საქმეში, და, უეჭველია, უფრო გამოცდილი და გონიერი გლეხები ამბობენ: პირველ გაზაფხულზე მიწა ჩვენ თვითონ მიგვქონდა,

შემოდგომაზე კი ხელთ ავიღებთ მთელ საქმეს, მიწის განაწილების საქმესო. ჩვენ ხომ გლეხებს მანუფაქტურას 50 პროცენტად, ე. ი. ნახევარ ფასად ვაძლევთ, ხოლო ვინ მისცემდა ღარიბ გლეხობას მანუფაქტურას ამ ფასად? და ჩვენ სოციალიზმისაკენ ვივლით პურის, მანუფაქტურისა და იარაღების გზით, რომლებიც სპეკულანტებს კი არ უვარდებათ ხელში, არამედ პირველ რიგში ღარიბებს ხმარდება. ეს არის სოციალიზმი. (ტაში). სოციალისტური რევოლუციის ნახევარი წლის შემდეგ იმ ადამიანებს, რომელნიც წიგნების მიხედვით ფიქრობენ, არა გაეგებათ რა. ჩვენ მივედით ისეთ მდგომარეობამდე, როცა პურის განაწილებისა და პურზე მანუფაქტურის გადაცვლის კონკრეტული ნაბიჯით ვაკეთებთ ისე, რომ მოიგონ ღარიბებმა, და არა მდიდარმა სპეკულანტებმა. ჩვენ — ბურჟუაზიული რესპუბლიკა არა ვართ, ვინაიდან ამისათვის საბჭოები საჭირო არაა. საჭიროა, რომ პურისა და მანუფაქტურის განაწილებით ღარიბებმა მოიგონ, ამის გაკეთება კი არ უცდია არც ერთ რესპუბლიკას მსოფლიოში, ჩვენ კი ახლა ვცდილობთ. (ტაში). ჩვენ კეთილშობილურ საქმეს ვაკეთებთ, ჩვენ გვაქვს გამოცდილება, და ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ღარიბები დაირაზმონ. ძარცვისა და ხულიგნობის შემთხვევები თითქმის ისპობა, ერთ ამნაირ შემთხვევაზე ათი ისეთი შემთხვევა მოდის, როცა ღარიბი, საშუალო გლეხები ამბობენ: უნდა გავთავისუფლდეთ კულაკისა და მემამულისაგანო! ბრესტის ზავის დროიდან ჩვენ უდიდესი ნაბიჯები გადავდგით წინ გლეხთა სწავლების საქმეში, და ისინი ახლა ახალბედა როდი არიან სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში.

საუბარი სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიის» თანამშრომელთან «მემარცხენე» ესერების აჯანყების გამო

მოკლე გადმოცემა

რევოლუციას საკვირველი თანამიმდევრობით მიჰყავს ლოგიკურ ბოლომდე ყოველი მდგომარეობა, ულმობლად ააშკარავებს ყოველი არასწორი ტაქტიკის მთელ უბადრუკობას, მთელ დანაშაულებრიობას.

მემარცხენე ესერები, წკრიალა ფრაზით გატაცებულნი, აი უკვე რამდენიმე თვეა გოდებენ: «ძირს ბრესტი, გაუმარჯოს აჯანყებას გერმანელთა წინააღმდეგ!».

ჩვენ მათ ვუპასუხებდით, რომ ახლანდელ პირობებში, ახლანდელ ისტორიულ პერიოდში, რუს ხალხს არ შეუძლია და არ სურს იომოს.

ისინი თვალებს ხუჭავდნენ სინამდვილეზე და უგუნური ჯიუტობით განაგრძობდნენ თავიანთ ხაზზე დგომას, ვერ გრძნობდნენ რა, რომ სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ ხალხის მასებს, ესწრაფოდნენ, რადაც უნდა დამჯდარიყო, თუნდაც ძალდატანებით, თავს მოეხვიათ ამ მასებისთვის თავიანთი ნება, ნება ცენტრალური კომიტეტისა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ დამნაშავე ავანტიურისტები, ინტელიგენტი-ისტერიკები და სხვ.

და იმისდა მიხედვით, რაც უფრო შორდებოდნენ ხალხს, ისინი სულ უფრო მეტად იმსახურებდნენ სიმპათიებს ბურჟუაზიის მხრივ, რომელიც იმედოვნებდა მათი ხელით განეხორციელებინა თავისი ზრახვები.

დანაშაულებრივმა ტერორისტულმა აქტმა და ამბოხებამ ხალხის ფართო მასებს საკვებით და მთლიანად აუხილა თვალი

და დაანახა, თუ რა უფსკრულისაკენ ეწევა სახალხო საბჭოთა რუსეთს მემარცხენე-ესერულ ავანტიურისტთა დანაშაულებრივი ტაქტიკა.

მე თვითონ და მრავალ ამხანაგს მოგვიხდა ამბოხების დღეს მოგვესმინა მემარცხენე ესერების წინააღმდეგ უძლიერესი აღშფოთების გამოხატულება ხალხის ყველაზე ბნელი ფენების მხრივაც კი.

უბირი, უცოდინარი დედაბერი აღშფოთებით ლაპარაკობდა მირბახის მოკვლის გამო:

«დახე, წყეულნი, მაინც გადაგვჩეხეს ომში!».

ყველამ და ერთბაშად სავსებით ნათლად შეიგნო და შეაფასა, რომ ესერული ტერორისტული აქტის შემდეგ რუსეთი ბეწვზე ეკიდა ომისგან. სწორედ ასე აფასებდნენ ხალხის მასები მემარცხენე ესერების გამოსვლას.

ჩვენ პროვოკაციულად უნდათ ჩაგვითრიონ გერმანელებთან ომში, როდესაც ჩვენ არ შეგვიძლია და არ გვსურს ვიომოთ. ხალხის ნების ამ უხეშ გათელვას, ომში ამ ძალადობით გადაჩეხვას ხალხის მასები მემარცხენე ესერებს არ აპატიებენ.

და თუკი ვისმე უხაროდა მემარცხენე ესერების გამოსვლა და ნიშნისგებით იფშვნეტდა ხელებს, ეს მხოლოდ თეთრგვარდიელები და იმპერიალისტური ბურჟუაზიის მსახურნი იყვნენ. მუშათა და გლეხთა მასები კი ამ დღეებში კიდევ უფრო ძლიერად, კიდევ უფრო ახლოს შეუსისხლხორცდნენ კომუნისტ-ბოლშევიკების პარტიას, ხალხის მასების ნების ჭეშმარიტ გამომხატველს.

სრულიად რუსეთის ცაკის
«იზვესტია» № 141,
1918 წ. 8 ივლისი

იბეჭდება სრულიად რუსეთის
ცაკის გაზეთ «იზვესტიის»
ტექსტის მიხედვით

პიტერის მუშებს

ძვირფასო ამხანაგებო! ვსარგებლობ პიტერში ჩემი ძველი ნაცნობის, პიტერის მუშებისათვის კარგად ცნობილი ამხ. კაიუროვის წამოსვლით, რათა ორიოდე სიტყვა მოგწეროთ.

ამხ. კაიუროვი იყო სიმბირსკის გუბერნიაში, თვითონ ნახა კულაკების დამოკიდებულება ღარიბთადმი და ჩვენი ხელისუფლებისადმი. მან მშვენივრად გაიგო ის, რაშიაც არ შეიძლება დაეჭვდეს არც ერთი მარქსისტი, არც ერთი შეგნებული მუშა: სახელდობრ — რომ კულაკებს სძულთ საბჭოთა ხელისუფლება, მუშათა ხელისუფლება და დ ა ა მ ხ ო ბ ე ნ მ ა ს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ, თუ მუშებმა ა ხ ლ ა ვ ე მთელი ძალები არ დაძაბეს, რათა დაასწრონ კულაკების ლაშქრობას საბჭოების წინააღმდეგ, რათა ს ა ს ტ ი კ ა დ გ ა ა ნ ა დ გ უ რ ო ნ კულაკები მანამდე, ვიდრე ისინი გაერთიანებას მოასწრებდნენ.

შეგნებულ მუშებს შ ე უ ძ ლ ი ა თ ამჟამად განახორციელონ ეს ამოცანა, შეუძლიათ თავიანთ ირგვლივ გააერთიანონ სოფლის ღარიბები, შეუძლიათ გაიმარჯვონ კულაკებზე და სასტიკად გაანადგურონ ისინი, თ უ მუშათა მ ო წ ი ნ ა ვ ე რ ა ზ მ ე ბ ი თავიანთ მოვალეობას შეიგნებენ, მთელ ძალებს დაძაბავენ, ს ო ფ ლ ი ს ა კ ე ნ მ ა ს ო ბ რ ი ვ ლ ა შ ქ რ ო ბ ა ს მოაწყობენ.

ამას სხვა ვ ე რ ა ვ ი ნ გააკეთებს, გარდა პიტერის მუშებისა, ვინაიდან ისე შეგნებული, როგორიც პიტერის

მუშები არიან, რუსეთში სხვა არავინ არის. პიტერში იჯდე, შიმშილობდე, იდგე ცარიელ ფაბრიკებთან, თავს ირთობდე უაზრო ოცნებით პიტერის მრეწველობის აღდგენაზე ან პიტერის დაცვაზე, ეს — ს ი ბ რ ი ყ ვ ე დ ა დ ა ნ ა შ ა უ ლ ო ბ ა ა. ეს — მთელი ჩვენი რევოლუციის დაღუპვაა. პიტერის მუშებმა თავი უნდა ანებონ ამ სიბრიყვეს, კინწისკვრით გააგდონ რეგვენები, რომელნიც ამას იცავენ, **დ ა ა თ ი ა თ ა ს ო ბ ი თ** მიაშურონ ურალს, ვოლგას, სამხრეთს, სადაც ბევრი პურია, სადაც შეიძლება საკუთარი თავი და ოჯახი გამოკვება, სადაც **უ ნ დ ა** დაეხმარო ღარიბთა ორგანიზაციას, სადაც **ს ა ჭ ი რ ო ა** პიტერის მუშა, როგორც ორგანიზატორი, ხელმძღვანელი, ბელადი.

კაიუროვი გიამბობთ თავის პირად დაკვირვებებს და, დარწმუნებული ვარ, დააჯერებს ყველა მერყევს. რევოლუცია საფრთხეშია. მისი ხსნა შეუძლია მხოლოდ პიტერის მუშების **მ ა ს ო ბ რ ი ვ** ლაშქრობას. იარაღსა და ფულს ჩვენ მათ მივცემთ, რამდენიც ნებავთ.

კომუნისტური სალამით ლ ე ნ ი ნ ი

12. VII. 1918.

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 3 (26)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

განცხადება სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე 1918 წ. 15 ივლისს

ამხანაგებო, ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკას არ შეუძლია პოლიტიკური კრიზისებისა და სწრაფ პოლიტიკურ ცვლილებათა ნაკლებობას უჩიოდეს. რარიგ მარტივი, რარიგ ელემენტარულად მარტივიც უნდა იყოს მთელი იმპერიალისტური ძალები, რომელთაც, რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ თავს მშვიდად გრძნობდნენ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის გვერდით, მაგრამ იმის მსგავს მომენტში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, თუ ომი წინანდელი მასშტაბით იწარმოებს, აშკარად ხელმძღვანელი ძალები, ორი იმპერიალისტური ჯგუფის კომბინაცია, განაგრძობს პოლიტიკური კრიზისისა და მისი მსგავსი ამბების გამოწვევას. მე უნდა მოგაწოდოთ ცნობა ერთი ასეთი ამბის, პოლიტიკური კრიზისის მსგავსის, ანუ ნამდვილი კრიზისის გამო.

გუშინ, 14 ივლისს, საღამოს 11 საათზე, გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენლის თანამდებობის შემსრულებელმა დოქტორმა რიცლერმა ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი და აცნობა მას შინაარსი ბერლინიდან მის მიერ ეს-ეს არის მიღებული დეპეშისა, რომლითაც გერმანიის მთავრობა ანდობს მას ითხოვოს რუსეთის მთავრობის თანხმობა, რათა დაშვებულ იქნას სამხედრო ფორმაში გამოწყობილ გერმანელ ჯარისკაცთა ბატალიონი გერმანიის საელჩოს დასაცავად და რაც შეიძლება ჩქარა იქნან ეს ჯარისკაცები ჩაყვანილი მოსკოვში.

ამასთან მან დასძინა, რომ ყოველგვარი საოკუპაციო მიზანი შორსაა გერმანიის მთავრობისაგან.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, უპასუხა, რომ რუსეთის ხალხთა მასებს მშვიდობა სურთ, რომ რუსეთის მთავრობა მზადაა გერმანიის საელჩოს, საკონსულოს და კომისიებს მისცეს სავსებით საკმაო და საიმედო დაცვა თავისი საკუთარი ჯარებიდან, მაგრამ რომ მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დაეთანხმოს მოსკოვში უცხოეთის სამხედრო ნაწილის დაშვებას, ამასთან მტკიცე იმედი აქვს, რომ გერმანიის მთავრობა, მშვიდობის იმავე წადილით აღფრთოვანებული, არ დაიჟინებს თავისი სურვილის ასრულებას.

მართლაცდა, რუსეთის მთავრობისადმი მომართვა სავსებით ეწინააღმდეგება საიმპერიო კანცლერის იმ განცხადებას რეიხსტაგში, რომ გრაფ მირბახის საუბედურო მკვლელობა არ გამოიწვევს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუარესებას. იგი ეწინააღმდეგება გერმანიის ხელმძღვანელი სავაჭრო-სამრეწველო წრეების ჩვენთვის კარგად ცნობილ სურვილსაც — ორივე ქვეყნის სასარგებლოდ მოაგვარონ და განავითარონ მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა, და იმ მოლაპარაკებას, რომელიც წარმატებით მიიწევს წინ. ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი განცხადებებიც, რომლებიც გაუკეთეს ჩვენს წარმომადგენელს ბერლინში პოლიტიკური მდგომარეობისა და რუსეთისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ჩვენ ჯერ კიდევ სრული საფუძველი გვაქვს ვიმედოვნებდეთ, რომ მოხერხდება ამ მოულოდნელი ინციდენტის მშვიდობით გადაწყვეტა, მაგრამ ყოველთვის, როცა ჩვენს საერთაშორისო ურთიერთობაში გამწვავება იწყება, ჩვენ საჭიროდ ვთვლით ფაქტები აშკარად გადმოვცეთ და საკითხები პირდაპირ დავაყენოთ.

ამიტომ ჩემს მოვალეობად ვთვლი გავაკეთო მთავრობის შემდეგი განცხადება:

«საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას მშვენივრად ჰქონდა შეგნებული, როცა ბრესტის ზავს ჰკრავდა, თუ რა მძიმე ამოცანა უნდა ეკისრათ რუსეთის მუშებსა და გლეხებს, მაშინ შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის გამო. საბჭოების IV ყრილობის უდიდესი უმრავლესობის ნება სავსებით ცხადი იყო: მშრომელი კლასები მოითხოვდნენ ზავს, რადგან მათ ესაჭიროებოდათ დასვენება მუშაობისათვის, სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციისათვის, მტანჯველი ომით გამოფიტულ ძალთა მოკრებისა და განმტკიცებისათვის.

ასრულებდა რა საბჭოების ყრილობის ნებას, მთავრობა მკაცრად იცავდა ბრესტის ზავის მძიმე პირობებს, და უკანასკნელ ხანებში უკვე საკმაოდ შორს წაიწია ჩვენმა მოლაპარაკებამ გერმანიის მთავრობასთან იმ გადასახდელთა ოდენობის უაღრესი სიზუსტით განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ჩვენ გვიწევს, და წესებზე ანგარიშის გასასწორებლად, რაც ჩვენ გადავწყვიტეთ მოვახდინოთ უმოკლეს შესაძლო ვადაში.

მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც უაღრესი სიზუსტით ასრულებს ბრესტის პირობებს და იცავს მუშათა და გლეხთა ნებას ჰქონდეთ მშვიდობა, არასოდეს მხედველობიდან არ გამოუშვია, რომ არსებობს ფარგლები, რომელთა იქითაც ყველაზე მშვიდობისმოყვარე მშრომელთა მასებიც კი იძულებული იქნებიან აღსდგნენ და აღსდგებიან, როგორც ერთი კაცი, თავიანთი ქვეყნის დასაცავად შეიარაღებული ძალით.

მემარცხენე ესერების უაზრო და დანაშაულებრივმა ავანტიურამ კინაღამ ომში ჩაგვითრია. ჩვენი დამოკიდებულება გერმანიის მთავრობასთან, წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა, არ შეიძლებოდა არ გამწვავებულიყო. ვცნობთ რა გერმანიის მთავრობის იმ სურვილის კანონიერებას, რომ გააძლიეროს თავისი საელჩოს დაცვა, ჩვენ შორს მივდიოდით და მივდივართ ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ როცა ჩვენ შეგვატყობინეს გერმანიის მთავრობის სურვილი, რომელსაც უდავო მოთხოვნის ხასიათი ჯერ კიდევ

არა აქვს, რათა ჩვენ მოსკოვში გავატაროთ ფორმაში გამოწყობილ შეიარაღებულ გერმანელთა ჯარის ბატალიონი, ჩვენ ვუპასუხეთ — და ახლა ამ პასუხს ვიმეორებ მუშებისა და გლეხების საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინაშე, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, — რომ ამგვარი სურვილის დაკმაყოფილება არავითარ შემთხვევაში და არავითარ პირობებში არ შეგვიძლია, რადგან, ობიექტურად, ეს იქნებოდა დასაწყისი რუსეთის ოკუპაციისა უცხოელთა ჯარების მიერ.

ჩვენ იძულებული ვიქნებოდით ასეთ ნაბიჯზე პასუხი გაგვეცა ისე, როგორც ვაძლევთ პასუხს ჩეხ-სლოვაკთა ამბოხებაზე, ინგლისელთა სამხედრო მოქმედებაზე ჩრდილოეთში, სახელდობრ: გაძლიერებული მობილიზაციით, უკლებლივ ყველა მოზრდილი მუშისა და გლეხისადმი მოწოდებით შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისაკენ და, უკანდახევის დროებითი აუცილებლობის შემთხვევაში, გამოუკლებლივ ყველა და ყოველგვარი სამიმოსვლო გზების, საწყობებისა და განსაკუთრებით სასურსათო პროდუქტების მოსპობისაკენ, რათა ისინი ხელში არ ჩაუვარდეს მტერს. მაშინ ომი ჩვენთვის გახდებოდა საბედისწერო, მაგრამ უცილობელი და უდავო აუცილებლობა, და ამ რევოლუციურ ომს რუსეთის მუშები და გლეხები ჩაატარებენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელიხელჩაკიდებულნი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

საბჭოთა ხელისუფლების საშინაო პოლიტიკა, საბჭოების V ყრილობის გადაწყვეტილებათა ზუსტი შესაბამისობით, ისე როგორც საგარეო პოლიტიკაც, წინანდებური რჩება. დანაშაულებრივი ავანტიურა მემარცხენე ესერებისა, რომელნიც თეთრგვარდიელთა, მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელშემწყობნი აღმოჩნდნენ, ახლა, როდესაც ცაზე შავი ღრუბლები გროვდება და ომის საფრთხე ძლიერდება, კიდევ უფრო დანაშაულებრივი იქნება ხალხის თვალში, და ჩვენ სავსებით და ყოველნაირად მხარს დავუჭერთ და გავატარებთ ულმობელ ანგარიშგასწორებას გამცემთა მიმართ, რომელნიც სამუდამოდ განწირულნი არიან საბჭოების V ყრილობის ნებით. თუ ომი,

მიუხედავად ყველა ჩვენი ღონისძიებისა, ფაქტი გახდება, ჩვენ არ შეიძლება ოდნავადაც კი ვენდოთ მემარცხენე-ესერულ გამცემთა ბრბოს, რომელთაც უნარი შესწევთ ჩაშალონ საბჭოების ნება, ჩაიდინონ სამხედრო ღალატი და სხვა ამდაგვარი. ჩვენ ომისათვის ახალ ძალებს ვპოვებთ კონტრრევოლუციის როგორც უგუნურ-ავანტიურისტული (მემარცხენე-ესერული), ისე შეგნებული კლასობრივი (მემამულური, კაპიტალისტური, კულაკური) მოღვაწეების ულმობელი დათრგუნვით.

ჩვენ მივმართავთ მთელი რუსეთის მუშებსა და გლეხებს: «სამმაგი სიფხიზლე, სიფრთხილე და სიმტკიცე, ამხანაგებო! ყველა უნდა იყოს თავის პოსტზე! ყველამ უნდა შესწიროს სიცოცხლე, თუ საჭირო იქნება, საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, მშრომელთა, ექსპლოატირებულთა, ღარიბთა ინტერესების დასაცავად, სოციალიზმის დასაცავად!»».

საგაზეთო ანგარიშები გამოქვეყნდა 1918 წ. 16 ივლისს «პრავდაში» № 146 და სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» № 148

იბეჭდება წიგნის: «სრულიად რუსეთის საბჭოების ცაკის მეხუთე მოწვევა. სტენოგრაფიული ანგარიში». სრულიად რუსეთის ცაკის გამოცემა, 1919, — ტექსტის მიხედვით; მთავრობის განცხადება — ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა მიტინგზე ლეფორტის რაიონში 1918 წ. 19 ივლისს

საბჭოთა რესპუბლიკის გამწვავებული მდგომარეობა გამოწვეულია ორი მიზეზით: საერთაშორისო და საშინაო მიზეზებით. ჩვენ არასოდეს არ ვუმალავდით მუშებსა და გლეხებს სამარცხვინო ზავის მთელ სიმძიმეს. მიუხედავად მთელი სიმძიმისა, საბჭოების IV ყრილობამ აუცილებლად ჩათვალა ხელი მოგვეწერა ამ ზავზე, რათა რუსეთის მუშებისა და გლეხებისათვის სულის მოთქმისა და განმტკიცების შესაძლებლობა მიგვეცა. მემარცხენე ესერების პარტიამ იკისრა პასუხისმგებლობა მირბახის მოკვლისათვის და კინაღამ დაღუპა რუსეთი.

არის ნიშნები, რომ გერმანიის მთავრობა დათმობაზე მიდის და, შესაძლოა, უარი თქვას გერმანელ ჯარისკაცთა ბატალიონის შემოყვანაზე მოსკოვში. საბჭოთა მთავრობამ ამაზე გერმანიის მთავრობას კატეგორიული უარი უთხრა, კიდევაც რომ გამოეწვია ამას ომი.

მემარცხენე ესერების ავანტიურამ გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობის მეტისმეტად გაუარესება, მაგრამ, მეორე მხრით, მან გამოიწვია ის, რომ მისი საუკეთესო ნაწილი — მშრომელი ელემენტი — ზურგს აქცევს მემარცხენე ესერებს.

გერმანიასთან ურთიერთობის გამწვავებასთან დაკავშირებით ურთიერთობა გამწვავდა მეორე კოალიციასთანაც. ჩეხ-

სლოვაკთა აჯანყება — ეს მათი ოინია. ამის დამამტკიცებელია ოფიცრობა, რომელსაც მხარს უჭერენ საფრანგეთის ფულით და რომელიც ჩეხ-სლოვაკებს ეხმარება.

შემდეგ ლენინი ლაპარაკობს იმაზე, რომ ომი წარმოშობს რევოლუციას და, რაც უფრო მეტად ჭიანურდება ის, მით უფრო გამოუვალი ხდება მეომარი ქვეყნების მდგომარეობა, მით უფრო ჩქარა აახლოებს ის მათ რევოლუციასთან. გერმანიასა და ავსტრიაში კვლავ გადაიარა გაფიცვების ტალღამ. ყველა იმპერიალისტური მტაცებელი თავს ესხმის რუსეთს და უნდა ის დაგლიჯოს, რადგან იციან, რომ სოციალისტური რუსეთის არსებობის ყოველი თვე მათ დაღუპვას უმზადებს. ჩვენ წილად გვხვდა უდიდესი პატივი და უდიდესი სიძნელე — პირველი სოციალისტური რაზმი ვიყოთ მსოფლიო იმპერიალიზმთან ბრძოლაში. ჩვენი ამოცანაა — კიდევ გავძლოთ.

შემდეგ ლენინი გადადის შიმშილობის საკითხზე, რომლითაც სპეკულაციას ეწევიან თეთრგვარდიელები, რათა გადააგდონ საბჭოთა ხელისუფლება. მონარქისტების, კულაკების, მდიდრების მხრივ გაცოფებული აგიტაცია წარმოებს შიმშილობის ნიადაგზე. ისინი მარტო აგიტაციით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ მიმართავენ ღარიბ გლეხთა მოსყიდვას, უბიძგებენ მათ სპეკულაციისაკენ და მუშათა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. იბრძვის ორი კლასი: პროლეტარიატი და კულაკები, კაპიტალისტები. ამ კლასებიდან ერთ-ერთმა უნდა გაიმარჯვოს, მეორე — უნდა განადგურდეს. ჩვენი სოციალისტური რევოლუცია მოუწოდებს შეგნებულ მუშათა კავშირისაკენ ღარიბეს და საშუალო გლეხთა უმრავლესობასთან კულაკების წინააღმდეგ საბრძოლველად, უსასტიკესი წესრიგის დასამყარებლად მუშათა ინტერესებისათვის. ჩვენს ხელთაა შიმშილისაგან თავის დახსნის ერთი გზა — მუშათა კავშირი ღარიბეს გლეხებთან კულაკებისა და სპეკულანტების წინააღმდეგ საბრძოლველად და მათთვის პურის ჩამოსართმევად. თვალი გაუსწორეთ საფრთხეს! ჩვენ ყველგან მტრები გვყავს,

მაგრამ ჩვენ გვყავს ახალი მოკავშირეებიც — იმ ქვეყნების პროლეტარიატი, სადაც ომი ჯერ კიდევ წარმოებს. ჩვენ მოკავშირეები გვყავს შიგნითაც — ულარიბესი გლეხობის უდიდესი მასა, რომელიც შემჭიდროებული რიგებით წავა ქალაქის პროლეტარიატთან ერთად.

«პრავდა» № 151,
1918 წ. 21 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ზინოვიევს, ლაშევიჩს და სტასოვას

საჭიროა დავძრათ მუშათა **maximum**-ი* პიტერიდან:

(1) «ბელადები» რამდენიმე ათეული (à la ** კაიუროვი)

(2) ათასობით «რიგითნი».

თუ ასე არ მოვიქეცით, **ჩვენ გადავვარდებით**, რადგან ჩეხ-სლოვაკებთან **მ ე ტ ა დ ც უ დ ი** მდგომარეობა გვაქვს.

ასეთ ვითარებაში სისულელეა პიტერის «კეთილდღეობა-ზე» «ვზრუნავდეთ» და იქიდან მიცემა «გვენანებოდეს»: დაე, ბეკების უმრავლესობა პიტერის დეპუტატთა საბჭოში თუნ-დაც დაეცეს 98%-დან (თქვენ 98% გყავთ?) 51%-მდე! დიდი უბედურება არ იქნება!

ჩვენ არ დავიღუპებით, პიტერის დეპუტატთა საბჭოში არა ჩვენების რაოდენობა თ უ ნ დ ა ც (თუნდაც!) 49%-მდე რომ ავი-დეს (ეს ჯერ კიდევ როდის იქნება). მაგრამ ჩვენ უსათუოდ **დავიღუპებით** ჩეხ-სლოვაკებისაგან, თუ თ ა ვ გ ა ნ წ ი რ უ ლ ლონისძიებებს არ მივმართავთ ასობით და ათასობით **ხელ-მძღვანელ** მუშათა მისამატებლად იმისათვის, რომ ფაფა ვაქ-ციოთ რაღაც მაგარ რამედ. ეს გაზვიადება კი არა, ზუსტი გა-თვალისწინებაა. **თქვენ** აგებთ პასუხს დაღუპვისათვის, თუ იძუნწებთ და შემოინახავთ «პიტერისთვის».

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. *** მიპასუხეთ!

20. VII. 1918.

პირველად დაიბეჭდა 1942 წ.
ლენინის კრებულში XXXIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* მაქსიმუმი, რაც შეიძლება მეტი რაოდენობა. რ ე დ.

** მსგავსი. რ ე დ.

*** **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

მოხსენება მოსკოვის საქარხნო კომიტეტების საგუბერნიო კონფერენციაზე[148] 1918 წ. 23 ივლისს

საგაზეთო ანგარიში

(კონფერენციის დარბაზში გამოჩნდება ლენინი, მას ხვდებიან მქუხარე ტაშით, რაც რამდენიმე წუთს არწყდება). უკანასკნელი დღეები აღინიშნა საბჭოთა რესპუბლიკის საქმეების უკიდურესი გამწვავებით, რაც გამოწვეულია როგორც ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობით, ისე კონტრრევოლუციური შეთქმულებებით და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული სასურსათო კრიზისით.

ნება მომეცით შევჩერდე საერთაშორისო მდგომარეობაზე. რუსეთის რევოლუცია საერთაშორისო სოციალისტური არმიის მხოლოდ ერთი რაზმთაგანია, რომელთა გამოსვლაზე დამოკიდებულია ჩვენს მიერ მოხდენილი გადატრიალების წარმატება და გამარჯვება. ამ ფაქტს არავინ ჩვენთაგანი არ ივიწყებს. სწორედ ასევე ვითვალისწინებთ ჩვენ, რომ მსოფლიო მუშათა მოძრაობაში რუსეთის პროლეტარიატის პირველი როლი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარებით როდი აიხსნება. სწორედ პირიქით: რუსეთის ჩამორჩენილობამ, ეგრეთწოდებული მამულიშვილური ბურჟუაზიის უუნარობამ — თავი გაერთმია როგორც ომთან, ისე მის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული უდიდესი ამოცანებისათვის, აიძულა პროლეტარიატი დაეპყრო პოლიტიკური ძალაუფლება და განეხორციელებინა თავისი კლასობრივი დიქტატურა.

რუსეთის პროლეტარიატი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი რევოლუციური მარტოობა, ნათლად ხედავს, რომ მისი გამარჯვების აუცილებელ პირობას და ძირითად წანამძღვარს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ან კაპიტალისტური მხრით მოწინავე რამდენიმე ქვეყნის მუშათა გაერთიანებული გამოსვლა. მაგრამ რუსეთის პროლეტარიატმა ჩინებულად იცის, რომ მას თვითეულ ქვეყანაში ჰყავს როგორც აშკარა, ისე ფარული მეგობრები. ასე, მაგალითად, არ არის არც ერთი ქვეყანა, სადაც საპატიმროები გაჭედილი არ იყოს ინტერნაციონალისტებით, რომელნიც საბჭოთა რუსეთს თანაუგრძნობენ; არ არის არც ერთი ქვეყანა, სადაც რევოლუციური სოციალისტური აზრი თავის გამოხატულებას არ პოულობდეს ხან ლეგალურ და ხან არალეგალურ პრესაში. სწორედ ამიტომ, რაკი ჩვენი ჭეშმარიტი მეგობრები ვიცით, ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ შეთანხმებას მენშევიკებთან, რომელნიც მხარს უჭერდნენ კერენსკის და მის შეტევას. უკანასკნელ საკითხებზე ფრიად დამახასიათებელია ინტერნაციონალისტ როზა ლუქსემბურგის (ოდენობით პატარა, მაგრამ არსებითად მკაფიოდ ინტერნაციონალური) წერილი ინგლისურ გაზეთ «მუშათა დრედნოუტში» [149] ივნისის შეტევის გამო. როზა ლუქსემბურგი თვლის, რომ რუსეთის დიდი რევოლუციის საერთაშორისო ხასიათს ძირი გამოუთხარა კერენსკის მიერ წამოწყებულმა შეტევამ და იმ სანქციამ, რომლითაც სრულიად რუსეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ აკურთხა და მოიწონა ის. რევოლუციური რუსეთის ამ შეტევამ შეაფერხა რევოლუციის განვითარება დასავლეთში, და მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურამ, მის ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლამ, გამოიწვია ყველა საიდუმლო ხელშეკრულების ჩაშლა, მათი მტაცებლური იმპერიალისტური არსის გამოაშკარავება და, მაშასადამე, რევოლუციური დასასრულის დაჩქარებაც ევროპაში. ასეთივე მძლავრი გავლენა მოახდინა დასავლეთში პროლეტარული ენერგიის გამოღვიძებასა და გაშლაზე ჩვენმა მიმართვამაც ყველა ხალხისადმი უანექსიო და უკონტრიბუციო

დემოკრატიული ზავის შეკვრის შესახებ *. ყველა ამ რევოლუციურმა აქტმა თვალი აუხილა მთელი მსოფლიოს მუშებს, და ბურჟუაზიულ და სოციალ-გამცემლურ დაჯგუფებათა ვერავითარი ჭაპანწყვეტა ვერ შეძლებს დააბნელოს მათი გამოღვიძებული კლასობრივი თვითშეგნება. ეს საკმაო სიცხადით დაადასტურა იმ შეხვედრამ, რომელიც ინგლისელმა მუშებმა კერენსკის გაუმართეს. რუსეთის რევოლუციის მიმზიდველობა გამოიხატა ომის მთელი ხნის განმავლობაში მოწყობილი პირველი უაღრესად გრანდიოზული გამოსვლით გერმანელი მუშებისა, რომელნიც ბრესტის მოლაპარაკებას გამოეხმაურნენ უზარმაზარი გაფიცვით ბერლინში და სხვა სამრეწველო ცენტრებში. პროლეტარიატის ეს გამოსვლა იმ ქვეყანაში, რომელიც გაბრუებულია ნაციონალიზმის ბანგით და მოწამლულია შოვინიზმის შხამით, პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტია და მობრუნების პუნქტს წარმოადგენს გერმანიის პროლეტარიატის სულისკვეთებაში.

არ ვიცით, როგორ წარიმართება ახლა რევოლუციური მოძრაობა გერმანიაში. უეჭველია მხოლოდ ის, რომ იქ არსებობს უდიდესი რევოლუციური ძალა, რომელმაც თავი უნდა იჩინოს რკინისებური აუცილებლობით. და გერმანელ მუშებს ტყუილუბრალოდ სდებენ ბრალს იმაში, რომ ისინი რევოლუციას არ ახდენენ. იმავე უფლებით შეიძლებოდა ბრალი დაედოთ რუსი მუშებისთვისაც, რომლებმაც 10 წლის განმავლობაში, 1907-დან 1917 წლამდე, არ შეაკოწიწეს რევოლუცია. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. რევოლუციები შეკვეთით კი არ ხდება, ამა თუ იმ მომენტს კი არ უფარდდება, არამედ ისტორიული განვითარების პროცესში მწიფდება და იფეთქებს იმ მომენტში, რომელიც განპირობებულია მთელი რიგი საშინაო და საგარეო მიზეზების კომპლექსით. და ეს მომენტი ახლოა, იგი გარდუვალად და აუცილებლად დადგება. ჩვენთვის რევოლუციის დაწყება უფრო ადვილი იყო, მაგრამ მისი განგრძობა და დამთავრება მეტისმეტად ძნელია. საშინელი სიძნელით

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 287 — 293. რ ე დ.

ხდება რევოლუცია ისეთ დიდად განვითარებულ ქვეყანაში, სადაც ბურჟუაზია ჩინებულად არის ორგანიზებული, როგორიცაა გერმანია, მაგრამ მით უფრო ადვილი იქნება სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილად დამთავრება მას შემდეგ, რაც ის იფეთქებს და გაჩაღდება ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ტყუილუბრალოდ გვდებენ ჩვენ ბრალს მეტისმეტად დამამცირებელი, მძიმე და მოძალადური ბრესტის ხელშეკრულების დადებაში და ამაში ხედავენ ჩვენი იდეალებისგან სრულ განდგომას და გერმანიის იმპერიალიზმისადმი ერთგულებას. და დამახასიათებელია, რომ ეს ბრალდება მომდინარეობს ბურჟუაზიული წრეებიდან და სოციალ-შემთანხმებლური ელემენტებიდან, რომელნიც ახლა უკრაინაში, ფინეთსა და კავკასიაში (მენშევიკები) ხელგაშლილნი ხვდებიან გერმანელ იუნკრებს. ასეთივე ბრალდება თავზე გვაცვივა ჩვენ უთავო მემარცხენე ესერების მხრივაც. ჩვენ ჩინებულად გვესმის ბრესტის ხელშეკრულების მთელი სიმძიმე. სწორედ ასევე ჩვენ ვიცით, რომ ამ მოძალადური ხელშეკრულებით მოგვიხდება გადავუხადოთ გერმანიას დაახლოებით 6 მილიარდი მანეთი (იმ ჩვენი ეკონომიური დელეგაციის გამოანგარიშებით, რომელსაც სხდომები აქვს ბერლინში). მდგომარეობა უთუოდ ძნელია, მაგრამ გამოსავალი შეიძლება გამოინახოს და უნდა გამოინახოს პროლეტარიატისა და სოფლის ღარიბობის საერთო ღონისძიებებით. და მემარცხენე ესერების უგუნური ცდა — მირბახის მოკვლით ჩაგვითრიონ ომში, ბრესტის ხელშეკრულებისგან თავის დაღწევის საშუალება როდია. პირიქით, ეს ავანტიურა ხელსაყრელი იყო გერმანიის სამხედრო პარტიებისთვის, რომელთა მდგომარეობა, ბუნებრივია, უნდა შესუსტდეს პორაჟენცობის ზრდის გამო არა მარტო გერმანელ მუშებში, არამედ ბურჟუაზიაშიც. ვინაიდან ახლა, ბრესტის ზავის შემდეგ, ყველასთვის თვალნათლივ ცხადია, რომ გერმანია აწარმოებს მძარცველურ ომს, აშკარა იმპერიალისტური მიზნებით.

მეტისმეტად მძიმეა სასურსათო მდგომარეობა საბჭოთა რუსეთისა, რომელიც ყოველი მხრით გარშემორტყმულია იმპერიალისტური მტაცებლებით და ჩვენი ქვეყნის შიგნით მათი მხარდამჭერი კონტრრევოლუციონერებით, რომელთაც არ სძინავთ.

მუშათა კლასის ყურადღება უნდა მიექცეს შიმშილობასთან (პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ბრძოლის ამ საუკეთესო საშუალებასთან) ბრძოლას. მაგრამ ჩვენ საფუძვლად უნდა მივიღოთ ერთი რამ: შიმშილობის დაძლევის დროს ჩვენ კატეგორიულ უარს ვიტყვით ბრძოლის ბურჟუაზიულ მეთოდებზე, მდიდრებისა და ბობოლების ინტერესებისათვის მასების შიმშილზე, და გამოვიყენებთ ბრძოლის წმინდა სოციალისტურ საშუალებებს. ეს უკანასკნელნი კი მდგომარეობენ მუშათა ინტერესებისათვის პურის მონოპოლიის შემოღებასა და მტკიცე ფასების დაწესებაში.

ბურჟუაზია და მისი დამქაშები—სოციალ-შემთანხმებლები იბრძვიან თავისუფალი ვაჭრობისათვის და მტკიცე ფასების მოსპობისათვის. მაგრამ თავისუფალმა ვაჭრობამ უკვე გვიჩვენა თავისი შედეგები მთელ რიგ ქალაქებში. ბურჟუაზიის დამკვიდრების შემდეგ პურის ფასები მაშინვე რამდენჯერმე გადიდდა, ხოლო ამიტომ ბაზრიდან გაქრა თვით პროდუქტი: ის გადამალეს კულაკებმა ფასების შემდგომი გადიდების იმედით.

პროლეტარიატისა და საბჭოთა რუსეთის ყველაზე საშინელი მტერია შიმშილი. მაგრამ მისი გადალახვის გზაზე პროლეტარიატს ეღობება სოფლის ბურჟუაზია, რომელიც სრულიადაც დაინტერესებული არაა შიმშილის მოსპობით, არამედ, პირიქით, მისგან ნახულობს თავის ჯგუფურ და კლასობრივ სარგებლობას. პროლეტარიატმა ეს უნდა გაითვალისწინოს და სოფლის დამშეულ ღარიბობასთან კავშირში თავგანწირული შეურიგებელი ბრძოლა ჩაატაროს სოფლის კულაკობის წინააღმდეგ. ამავე მიზნით უნდა გაგრძელდეს დაწყებული ორგანიზაციაც სასურსათო რაზმებისა, მათ სათავეში უნდა

ჩავუყენოთ პატიოსანი კომუნისტები, რომელნიც პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ნდობით სარგებლობენ. მხოლოდ მაშინ იქნება მოგვარებული სასურსათო საქმე, და ვიხსნით რევოლუციის საქმეს.

დაიბეჭდა 1918 წ. 24 ივლისს გაზეთებში: «პრავდა» № 153 და სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტია» № 155

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სრულიად რუსეთის ცაკის გაზეთ «იზვესტიის» ტექსტთან

ლაპარაკი ი. ბ. სტალინთან პირდაპირი მავთულით 1918 წ. 24 ივლისს

ცარიცინი. სტალინს

ლაპარაკობს ლენინი.

ხომ არ შეგიძლიათ გადასცეთ ბაქოში ეს-ეს არის ტაშკენ-ტიდან რადიოთი მიღებული დეპეშა [150]:

შემდეგ, სურსათის შესახებ უნდა გითხრათ, რომ დღეს სრულებით არ იძლევიან არც პიტერში და არც მოსკოვში. მდგომარეობა მეტად ცუდია. გვაცნობეთ, შეგიძლიათ თუ არა მიიღოთ საგანგებო ზომები, ვინაიდან თუ თქვენთან არა, სხვაგან ვერსად ვიშოვით. იაროსლავლში თეთრების აჯანყება ჩახშობილია [151]. სიმბირსკი აიღეს თეთრებმა ან ჩეხებმა. ველოდებით პასუხს.

სტალინის პასუხი

გუშინწინ ღამით თურქესტანში გაიგზავნა ყველაფერი, რისი გაგზავნაც კი შეიძლებოდა.

რადიო გადავეცით ბაქოში. პურის მარაგი კავკასიის ჩრდილოეთში ბევრია, მაგრამ გზის დროებით შეწყვეტა საშუალებას არ იძლევა გამოვგზავნოთ ის ჩრდილოეთში.

გზის აღდგენამდე პურის მოწოდება წარმოუდგენელია. სამარისა და სარატოვის გუბერნიებში გაგზავნილია ექსპედიცია,

Царицын. Сталину

Говорит Ленин.

Не можете ли передать в Баку рывком что получили телеграмму по Radio из Ташкента

Затем о продовольствии доклад скажу, что сегодня вывоз не выдержан в Петербурге и Москвы. Положение совсем плохое. Сообщите, можете ли прислать Астрахань муки, ибо кроме как от Вас больше нет куда. И Ярославль воздание обоих положено. Симбирск брат обкомы или горкомы. Жду ответа.

ჩანაწერი ვ. ი. ლენინის ლაპარაკისა ი. ბ. სტალინთან პირდაპირი მავთულით სასურსათო მდგომარეობის შესახებ. — 1918 წ. 24 ივლისი

დაპატარავებულია

მაგრამ უახლოეს დღეებში არ მოხერხდება დაგეხმაროთ თქვენ პურით. იმედი გვაქვს ათი დღის შემდეგ აღვადგინოთ ხაზი. როგორმე გასძელით, გაეცით ხორცი და თევზი, რომლებიც შეგვიძლია ჭარბად გამოგიგზავნოთ. ერთი კვირის შემდეგ უკეთესი მდგომარეობა იქნება.

სტალინი

ცარიცინი. სტალინს

გზავნეთ თევზი, ხორცი, ბოსტნეული, საერთოდ ყველა პროდუქტი, რის გამოგზავნაც კი შეიძლება და რაც შეიძლება მეტი.

ლენინი

პირველად დაიბეჭდა 1931 წ. ლენინის კრებულში XVIII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით; ი. ბ. სტალინის პასუხი — დეპეშის ბლანკის ტექსტის მიხედვით

სიტყვა მიტინგზე ხამოვნიჩის რაიონში 1918 წ. 26 ივლისს

მოკლე საგაზეთო ანგარიში

(ლენინის გამოჩენას მქუხარე ოვაციით ხვდებიან). თავის სიტყვაში თემაზე: «რას მისცემს მშრომელ ხალხს საბჭოთა კონსტიტუცია», ლენინი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც, საბჭოების მსგავსად, შეიქმნა რევოლუციური ბრძოლის პერიოდში, პირველი კონსტიტუციაა, რომელმაც სახელმწიფო ხელისუფლებად გამოაცხადა მშრომელთა ხელისუფლება, უფლებებს ჩამოაშორა ექსპლოატატორები — ახალი ცხოვრების მშენებლობის მოწინააღმდეგენი. სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებისაგან მისი ეს მთავარი განსხვავება წარმოადგენს სწორედ კაპიტალზე გამარჯვების საწინდარს.

მიუთითებს რა მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციის მთელ რიგ მთავარ დებულებებზე, ლენინი შენიშნავს, რომ ახლა ყველა ქვეყნის მშრომელნი დაინახავენ, რომ საბჭოთა კონსტიტუცია — რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი — გამოხატავს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის იდეალებს. ახლოვდება ყველა ქვეყნის ბურჟუაზიასთან ანგარიშის გასწორების ჟამი! დასავლეთ ევროპაში ძლიერდება აღშფოთება! ჩვენი ამოცანაა გადავლახოთ ყველა დაბრკოლება, რომლებიც კი გზაზე გვეღობება, რაგინდ მძიმეც უნდა იყოს ისინი, და შევინარჩუნოთ საბჭოების ხელისუფლება იმ დრომდე, როდესაც ყველა ქვეყნის მუშათა კლასი აჯანყდება და აღმართავს მსოფლიო სოციალისტური რესპუბლიკის დიად დროშას! (მქუხარე ტაში).

«პრავდა» № 157,
1918 წ. 28 ივლისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

პირდაპირი მავთულით. პეტროგრადი, სმოლნი, ზინოვიევს

ახლახან მიღებულია ცნობები, რომ ყუბანიდან ალექსეევი, რომელსაც 60 ათასამდე ჯარი ჰყავს, მოდის ჩვენს წინააღმდეგ და აპირებს განახორციელოს ჩეხ-სლოვაკთა, ინგლისელთა და ალექსეევის კაზაკთა შეერთებული შემოტევის გეგმა. ამის გამო და აქ ჩამოსული პიტერელი მუშების — კაიუროვის, ჩუგურინისა და სხვების იმ განცხადების გამო, რომ პიტერს შეეძლო ათჯერ მეტი მოეცა, ცეკას პიტერელი ნაწილის ოპოზიცია რომ არ ყოფილიყო [152], ამის გამო კატეგორიულად და ულტიმატურად დაჟინებით მოვითხოვ ყოველგვარი ოპოზიციის შეწყვეტას და პიტერიდან ათჯერ მეტი რაოდენობის მუშათა გაგზავნას. სწორედ ასეთია პარტიის ცეკას მოთხოვნა.

კატეგორიულად გაფრთხილებთ, რომ რესპუბლიკის მდგომარეობა საშიშია და რომ პიტერელნი, პიტერიდან ჩეხების ფრონტზე მუშათა გაგზავნის დაყოვნებით, იკისრებენ პასუხისმგებლობას მთელი საქმის შესაძლო დაღუპვისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

NB *: დამიბრუნეთ ეს ქაღალდი და აღნიშნეთ, რ ო მ ე ლ ს ა ა თ ზ ე გადაეცა ის პიტერში სმოლნს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 27 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1942 წ. ლენინის კრებულში XXXIV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — Nota Bene — დაიხსომეთ. რ ე დ.

შენიშვნები

1 სტატიით «რევოლუციური ფრაზის შესახებ» ლენინმა დაიწყო აშკარა ბრძოლა პრესაში გერმანიასთან ზავის შეკვრისათვის 1918 წელს. სტატიაში ლენინმა, უმთავრესად, გამოიყენა მასალები პარტიის ც. კ-ის გაფართოებული თათბირისა პარტიულ მუშაკებთან 1918 წლის 8 (21) იანვარს; ამ თათბირზე იგი პირველად გამოვიდა თავისი «თეზისებით სეპარატიული და ანექსიონისტური ზავის დაუყოვნებლივ დადების საკითხზე» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 515 — 525). — 1.

2 სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი მუშურ-გლეხური წითელი არმიის შესახებ, დათარიღებული 1918 წლის 15 (28) იანვრით, გამოქვეყნდა 1918 წლის 19 იანვარს (1 თებერვალს) სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვ. ულიანოვის (ლენინის) ხელმოწერით. — 2.

3 ლაპარაკია კენჭისყრაზე ზავის საკითხის განხილვის დროს რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომებზე 1918 წლის 11 (24) იანვარს და 17 თებერვალს. პირველ სხდომაზე «რევოლუციური ომის» სასარგებლოდ ხმა მისცა ც. კ-ის მხოლოდ ორმა წევრმა, წინააღმდეგ — თერთმეტმა; მეორე სხდომაზე ამ წინადადების სასარგებლოდ არავის ხმა არ მიუცია; ც. კ-ის 3 წევრმა, ომის განგრძობის მომხრეებმა, ხმისმიცემისაგან თავი შეიკავა. — 4.

4 კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ 18 (31) იანვარს მიიღო სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობამ, რომელიც შედგა 1918 წლის 10 — 18 (23 — 31) იანვარს; კანონი გამოქვეყნდა 1918 წლის 19 თებერვალს. — 5.

5 სრულიად რუსეთის დემოკრატიული თათბირი მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 14-დან 22 სექტემბრამდე (27 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე). ის მოიწვიეს მენშევიკებმა და ესერებმა მზარდი რევოლუციური აღმავლობის შესუსტების მიზნით. თათბირში მონაწილეობდნენ სოციალისტური პარტიების, შემთანხმებლური საბჭოების, პროფკავშირების, ერობების, სავაჭრო-სამრეწველო წრეებისა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები. თათბირის მონაწილეთა შორის სჭარბობდნენ მენშევიკები და ესერები. ძირითადი საკითხის — ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ — განხილვა თათბირზე თითქმის მხოლოდ ბურჟუაზიულ პარტიებთან კოალიციის საკითხის გარშემო ბრძოლით ამოიწურა. განხილვის პირველ დღეებში მენშევიკურ-ესერულმა ლიდერებმა ვერ მოახერხეს კოალიციის დაცვა. მთელ რიგ განმეორებით კენჭისყრათა შემდეგ თათბირმა აზრი გამოთქვა მთავრობის შექმნის სასარგებლოდ კადეტების მონაწილეობის გარეშე. მხოლოდ წინაპარლამენტის (რესპუბლიკის დროებითი საბჭო) შემადგენლობის საკითხის განხილვისას მენშევიკებისა და ესერების ლიდერებმა შენიღბული ფორმით გაატარეს კოალიციის იდეა. მენშევიკები და ესერები იმედოვნებდნენ დემოკრატიული თათბირის შემადგენლობიდან გამოყოფილი წინაპარლამენტის დახმარებით შეეჩერებინათ რევოლუცია და ჩვენი ქვეყანა საბჭოთა რევოლუციის გზიდან გადაეყვანათ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გზაზე.

ბოლშევიკების პარტიის ც. კ-მა გადაწყვიტა ბოიკოტი გამოეცხადებინა წინაპარლამენტისათვის; წინაპარლამენტში მონაწილეობას იცავდნენ მხოლოდ კაპიტულანტები — კამენევი, ზინოვიევი, რომელნიც ესწრაფოდნენ ჩამოეშორებინათ პროლეტარიატი აჯანყების მომზადებისაგან. ბოლშევიკები ააშკარავებდნენ წინაპარლამენტის გამცემლურ საქმიანობას და მასებს ამზადებდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის. — **9**.

6 ლაპარაკია კაპიტულანტების გამცემლობაზე ზინოვიევისა და კამენევის მეთაურობით, რომლებიც გამოვიდნენ შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ 1917 წლის ოქტომბერში და მტრებს გაუმჟღავნეს პარტიის ც. კ-ის გადაწყვეტილება აჯანყების შესახებ, გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავდა რევოლუციის ბედს (იხ. ვ. ი. ლენინი. «წერილი ბოლშევიკების პარტიის წევრებისადმი» და «წერილი რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს», თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 247 — 251, 255 — 260). — **10**.

7 ნოვოლუჩელები — მენშევიკები, რომელნიც დაჯგუფებულნი იყვნენ მენშევიკების გაერთიანებული ცენტრალური კომიტეტის

ორგანოს გაზეთ «ნოვი ლუჩის» გარშემო. გაზეთი გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის 1 (14) დეკემბრიდან დანის, მარტოვისა და მარტინოვის რედაქციით; დაიხურა 1918 წლის ივნისში კონტრრევოლუციური აგიტაციისათვის. — **12.**

8 დ ე ლ ო ნ ა რ ო დ ე ლ ე ბ ი — მემარჯვენე ესერები, რომლებიც დაჯგუფებული იყვნენ ესერების პარტიის ორგანოს — «დელო ნაროდას» გარშემო. გაზეთი გამოდიოდა პეტროგრადში, შემდეგ — სამარასა და მოსკოვში დროგამოშვებით და სხვადასხვა სახელწოდებით 1917 წლის მარტიდან 1919 წლის მარტამდე. — **12.**

9 ნ ო ვ ო ჟ ი ზ ნ ე ლ ე ბ ი — მენშევიკური ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბდა გაზეთ «ნოვაია ჟიზნის» გარშემო; გაზეთი გამოდიოდა 1917 წლის აპრილიდან პეტროგრადში. ჯგუფი აერთიანებდა მენშევიკ-მარტოველებს, რომელნიც თავიანთ თავს ინტერნაციონალისტებს უწოდებდნენ, და ნახევრად მენშევიკური ყაიდის ერთეულ ინტელიგენტებს. 1917 წლის ოქტომბერში ნოვოჟიზნელები ყველა მენშევიკთან ერთად გამოვიდნენ შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ; ოქტომბრის შემდეგ მათ მტრული პოზიცია დაიკავეს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, გარდა რამდენიმე კაცისა, რომლებიც ბოლშევიკებს მიემხრნენ. 1918 წლის ივლისში გაზეთი «ნოვაია ჟიზნ» დახურულ იქნა სხვა კონტრრევოლუციურ გაზეთებთან ერთად. — **12.**

10 «მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე» ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი — პარტიისადმი მტრული ჯგუფი, რომელიც შენიღბვის მიზნით თავისთავს «მემარცხენე კომუნისტების» ჯგუფს უწოდებდა; წარმოიშვა 1918 წლის დამდეგს ბრესტის ზავის შეკვრის საკითხთან დაკავშირებით. «მემარცხენე კომუნისტების» ჯგუფი, რომელიც მემარცხენე ფრაზას ეფარებოდა, იცავდა დანაშაულებრივ პოლიტიკას — გერმანიასთან ომში ჩაეთრია ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰყავდა არმია. ჯგუფს მეთაურობდნენ: ბუხარინი, რადეკი, პიატაკოვი. «მემარცხენე კომუნისტების» წინამძღოლნი დამქაშები იყვნენ ტროცკისა, რომელიც ომის განგრძობის გამცემლურ პოლიტიკას ატარებდა უფრო ფარული, შენიღბული ფორმით, ლოზუნგით: ომი არ ვაწარმოოთ, მაგრამ არც ზავს ხელი არ მოვაწეროთ. წინააღმდეგ ლენინურ-სტალინური სამშვიდობო პოლიტიკისა, შესვენების პოლიტიკისა, რომელიც, ი. ბ. სტალინის განსაზღვრით, გათვალისწინებული იყო იმისათვის, რომ «მოვიგოთ დრო, გავხრწნათ მოწინააღმდეგე და დავაგროვოთ ძალები შემდეგ შეტევაზე გადასვლისათვის», ტროცკი და «მემარცხენე კომუნისტები» პარტიას თავს ახვევდნენ პოლიტიკას, რომელსაც

აშკარად მიყავდა საქმე პროლეტარული დიქტატურის დაღუპვისაკენ. ვ. ი. ლენინი «მემარცხენე კომუნისტებს» უწოდებდა «იმპერიალისტური პროვოკაციის იარაღს». ტროცკის მხარდაჭერით «მემარცხენე კომუნისტებმა» გაატარეს აშკარა ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ, გაიჩაღეს აღვირახსნილი ფრაქციული მუშაობა. ისინი გამოვიდნენ ცილისმწამებლური, დემაგოგიური ბრალდებებით პარტიის წინააღმდეგ, ცდილობდნენ გაეთიშათ პარტია, გაეხრწნათ მისი რიგები, დეზორგანიზაცია მოეხდინათ, დაეფრთხოთ პარტია განცხადებათა შეტანით საბჭოთა და პარტიული პოსტებიდან წასვლის შესახებ და ა. შ.. ლენინს, სტალინს, სვერდლოვს შეუპოვარი ბრძოლის გადატანა მოუხდათ პარტიის ც. კ-ში ტროცკისა და «მემარცხენე კომუნისტების» წინააღმდეგ, რათა მიეღწიათ გადაწყვეტილებისათვის ზავის შესახებ და ამით ეხსნათ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. მაშინ პარტიისათვის ჯერ კიდევ ნათელი არ იყო ტროცკისა და «მემარცხენე კომუნისტების» დანაშაულებრივი მოქმედების მიზეზი. მხოლოდ 1938 წელს შემდგარმა ანტისაბჭოთა «მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის» სასამართლო პროცესმა გამოარკვია, რომ ტროცკი, ბუხარინი და მათი დამქაშები უკვე 1918 წელს აწყობდნენ კონტრრევოლუციურ შეთქმულებას, რომელიც მიზნად ისახავდა ლენინის, სტალინის, სვერდლოვის მოკვლას, ახალი მთავრობის შედგენას ბუხარინელებისა, ტროცკისტებისა და «მემარცხენე» ესერებისაგან, საზავო მოლაპარაკების ჩაშლას, გერმანელთა შემოტევის პროვოკაციულად გამოწვევას და საბჭოთა ხელისუფლების მოსპობას გერმანელ იმპერიალისტთა ხიშტების დახმარებით.

პარტიამ ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია ტროცკისა და «მემარცხენე კომუნისტების» პროვოკაციულ პოლიტიკას, სამარცხვინო ბოძზე გააკრა მათი პოზიცია როგორც გამცემლური და კაპიტულანტური. «მემარცხენე კომუნისტები» იზოლირებულ და განადგურებულ იქნენ. — **13.**

11 დეკრეტი «სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!» სახკომსაბჭომ მიიღო 1918 წლის 21 თებერვალს და სახალხო კომისართა საბჭოს ხელმოწერით 22 თებერვალს გამოქვეყნდა «პრავდაში» და სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში»; გარდა ამისა, გამოშვებულ იქნა ცალკე ფურცლად. დეკრეტი დაწერა ლენინმა ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკების შეწყვეტასა და გერმანელ იმპერიალისტთა დაწყებულ შემოტევასთან დაკავშირებით. 28 იანვარს (10 თებერვალს) ტროცკიმ, რომელიც მაშინ მეთაურობდა საბჭოთა საზავო დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკში, გამცემლურად დაარღვია ლენინისა და სტალინის მითითება გერმანიასთან ზავის პირო-

ბების ხელმოწერის შესახებ. გერმანიის ულტიმატუმის საპასუხოდ მან გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც განაცხადა: ზავს ხელს არ ვაწერთ, არმიის დემობილიზაციას ვახდენთ, ომს არ ვაწარმოებთო. ტროცკის პროვოკაციულმა ნაბიჯმა საბჭოთა რესპუბლიკას გერმანიის იმპერიალიზმის დარტყმის საფრთხე შეუქმნა. 16 თებერვალს გერმანიის სამხედრო სარდლობამ ოფიციალურად აცნობა საბჭოთა რესპუბლიკასთან დროებითი ზავის შეწყვეტის შესახებ და 18 თებერვალს დაიწყო სამხედრო შემოტევა მთელ ფრონტზე. გერმანელმა იმპერიალისტებმა ხელთ იგდეს საბჭოთა ტერიტორიის რიგი ქალაქები და საფრთხე შეუქმნეს პეტროგრადს.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებამ გერმანელ იმპერიალისტებთან საბრძოლველად აამხედრა რევოლუციური ხალხის მასები. ახალი, წითელი არმიის სწრაფად ჩამოყალიბებული ახალგაზრდა რაზმები გმირულად უმკლავდებოდნენ გერმანელ ოკუპანტთა შემოტევას. ნარვასა და ფსკოვთან გერმანელ მტაცებლებს გადამჭრელი წინააღმდეგობა ვაუწიეს. პეტროგრადის წინააღმდეგ გერმანიის ჯარების შემოტევა შეჩერებულ იქნა. — **17.**

12 დროებითი ზავის შეწყვეტისა და 18 თებერვლიდან ომის განახლების შესახებ გერმანიის სამხედრო სარდლობის განცხადებასთან დაკავშირებით ლენინმა პარტიის ც. კ-ის სხდომაზე, 1918 წლის 17 თებერვალს საღამოს, წინადადება შეიტანა დაუყოვნებლივ დაიწყოთ ახალი მოლაპარაკება გერმანიასთან ზავის ხელმოსაწერად. ლენინის წინადადება უარყოფილ იქნა 6 ხმით 5-ის წინააღმდეგ.

18 თებერვალს დაიწყო გერმანელთა შემოტევა. ამ დღეს გერმანიასთან ზავის შეკვრის საკითხს ისევ იხილავდნენ პარტიის ც. კ-ის სხდომაზე. ტროცკი და ბუხარინი კვლავ დანაშაულებრივად იცავდნენ ომის განგრძობის პროვოკატორულ პოლიტიკას. მხოლოდ მეორე, საღამოს სხდომაზე, ლენინის კატეგორიული მოთხოვნისა და სტალინის და სვერდლოვის გამოსვლის შემდეგ ზავის ხელმოწერის სასარგებლოდ, მიღებულ იქნა ლენინის წინადადება გაეგზავნათ რადიოგრამა გერმანიის მთავრობისთვის ზავის ხელმოწერაზე თანხმობის შესახებ ბრესტ-ლიტოვსკში წამოყენებული პირობების საფუძველზე. რადიოგრამის პროექტი მაშინვე დაწერა ლენინმა, დამტკიცებულ იქნა ბოლშევიკების ც. კ-ის სხდომაზე და სახკომსაბჭოს სახელით გაიგზავნა ბერლინში 18 თებერვალს ღამით (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 618). — **17.**

18 ლაპარაკია «მემარცხენე კომუნისტების» დემაგოგიური გამოსვლის შესახებ რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე 1918 წლის 22 თებერვალს

გერმანელი იმპერიალისტებისაგან თავდაცვისათვის ანტანტის სახელმწიფოებისგან იარაღისა და სურსათის შეძენის წინააღმდეგ. ლენინი ამ სხდომას არ ესწრებოდა. მან ც. კ-ში გამოგზავნა შემდეგი განცხადება: «რსდმპ ც. კ-ს. გთხოვთ შეუერთოთ ჩემი ხმა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ავაზაკებისგან კარტოფილისა და იარაღის აღების სასარგებლოდ. ლ ე ნ ი ნ ი». 6 ხმით 5-ის წინააღმდეგ პარტიის ც. კ-მა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც საჭიროდ აღიარებდა არმიის შეიარაღებასა და აღჭურვას ყველა საშუალებით, შესაძლებლად თვლიდა რა მათ შეძენას კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებისგანაც. ამ გადაწყვეტილების შემდეგ ბუხარინმა შეიტანა განცხადება პარტიის ც. კ-დან და გაზეთ «პრავდის» რედაქციიდან გასვლის შესახებ. — 23.

14 ი. პ. კ ა ლ ი ა ე ვ ი — ესერი; 1905 წლის 4 (17) თებერვალს ბომბით მოკლა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი, დიდი მთავარი ს. ა. რომანოვი, ნიკოლოზ მეორის ბიძა. — 23.

15 გერმანიის პასუხი საბჭოთა მთავრობის რადიოგრამაზე, რომელიც 18 თებერვალს ღამით გაიგზავნა, პეტროგრადში მიღებულ იქნა მხოლოდ 23 თებერვალს დილის 10 $^1/_2$ საათზე. ზავის ახალი პირობები, იმ პირობებთან შედარებით, რომლებიც გამცემმა ტროცკიმ თვითნებურად უარყო, ახლა მნიშვნელოვნად უფრო მძიმე იყო. გერმანელი იმპერიალისტები იტოვებდნენ არა მარტო პოლონეთს, ლიტვას და ბელორუსიის ნაწილს, არამედ მოითხოვეს წითელი გვარდიის გაყვანა ესტონეთიდან, ლატვიიდან და ფინეთიდან, წინადადებას იძლეოდნენ თურქეთისთვის მიგვეცა ქალაქები ყარსი და ბათუმი; უკრაინაში აღადგენდნენ ბურჟუაზიული რადის ხელისუფლებას და უკრაინას აქცევდნენ ვასალურ (დამოკიდებულ) გერმანულ სახელმწიფოდ. საბჭოთა რესპუბლიკას ვალდებულება ეკისრებოდა ეხადა გერმანელებისათვის დიდი კონტრიბუცია. — 27.

16 «თ ე ზ ი ს ე ბ ი ს ე პ ა რ ა ტ ი უ ლ ი დ ა ა ნ ე ქ ს ი ო ნ ი ს ტ უ რ ი ზ ა ვ ი ს დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ დ ა დ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ზ ე» ლენინმა დაწერა 1918 წლის 7 (20) იანვარს, მაგრამ «პრავდაში» გამოქვეყნდა მხოლოდ 1918 წლის 24 თებერვალს, მას შემდეგ, რაც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ლენინის წინადადება ზავზე ხელმოწერის აუცილებლობის შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 515 — 525). — 28.

17 «რ ე ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტების პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან;

1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა. 1917 წლის ოქტომბრის დამლევიდან 1918 წლის აგვისტომდე გაზეთი გამოდიოდა სხვა სახელწოდებებით. — **28.**

18 სრულიად რუსეთის ცაკის ბოლშევიკებისა და «მემარცხენე» ესერების ფრაქციების გაერთიანებული სხდომა, მოწვეული გერმანიის ახალი საზავო პირობების მიღების საკითხის განსახილველად, შედგა 23 თებერვალს საღამოს. ზავზე ხელმოწერის სასარგებლოდ აზრი გამოთქვა ლენინმა; წინააღმდეგ გამოვიდნენ ტროცკისტები. ზავის საკითხზე არავითარი რეზოლუცია ამ სხდომაზე მიღებული არ ყოფილა. — **30.**

19 სრულიად რუსეთის ცაკის პლენარული სხდომა, მიძღვნილი ახალი პირობების საფუძველზე გერმანიასთან ზავის შეკვრის საკითხისადმი, გაიხსნა 1918 წლის 23 თებერვალს ღამის 3 საათზე ი. მ. სვერდლოვის თავმჯდომარეობით. მოხსენება საზავო ხელშეკრულების გერმანიის მიერ წამოყენებული პირობების შესახებ გააკეთა ლენინმა. ზავის ხელმოწერის წინააღმდეგ გამოვიდნენ მენშევიკების, მემარჯვენე და «მემარცხენე» ესერებისა და ანარქისტ-კომუნისტების წარმომადგენლები. 116 ხმით 85-ის წინააღმდეგ, 26 თავი შეიკავა, სხდომამ დაამტკიცა ბოლშევიკების შეტანილი რეზოლუცია გერმანიის საზავო პირობების მიღების შესახებ. «მემარცხენე კომუნისტების» უმრავლესობამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო და ამ ხნის განმავლობაში დასტოვა სხდომის დარბაზი. «მემარცხენე კომუნისტებისა» და ტროცკისტების ლიდერებმა პროვოკაციულად ხმა მისცეს ზავის შეკვრის წინააღმდეგ. — **32.**

20 ლენინის დაუმთავრებელი სტატია «რა შია შეცდომა?» მიძღვნილია «მემარცხენე კომუნისტების» ლიდერთა იმ ანტიპარტიული განცხადების გარჩევისადმი, რომელიც შეტანილ იქნა პარტიის ც. კ-ში 1918 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების შემდეგ გერმანიის საზავო პირობების მიღების შესახებ. ლენინი აპირებდა თავის სტატიაში შეეტანა ამ განცხადების ნაწილი, მაგრამ განცხადების ტექსტი ლენინის აღნიშვნით იმის შესახებ, თუ რომელი ნაწილი უნდა შესულიყო მის სტატიაში, დაკარგულია. — **38.**

21 ლენინს მხედველობაში აქვს ტელეგრაფით შეკითხვა ყველა საგუბერნიო და სამაზრო საბჭოსადმი, ყველა საგუბერნიო, სამაზრო და სათემო საადგილმამულო კომიტეტისადმი ზავის ახალი პირობებისადმი

დამოკიდებულების შესახებ. შეკითხვა 1918 წლის 25 თებერვალს გაგზავნა სახკომსაბჭომ, აგრეთვე სრულიად რუსეთის ცაკმა, რსდმპ(ბ) ც. კ-ის იმ დადგენილების საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა ლენინის წინადადებით 1918 წლის 23 თებერვალს. შეკითხვის პასუხების მოსვლა დაიწყო უკვე მეორე დღეს; ისინი ქვეყნდებოდა სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» თითქმის 9 მარტამდე. ადგილებიდან მიღებული პასუხების განზოგადების საფუძველზე ლენინმა შეადგინა «ნაკრები იმ პასუხებისა კითხვაზე: «ზავი თუ ომი», რომლებიც მიღებულია ცაკში», აგრეთვე სახკომსაბჭოს მიერ მიღებული «პასუხების ნაკრები». შეკითხვის პასუხებმა ცხადყო, რომ ადგილობრივი საბჭოების უმრავლესობა მხარს უჭერს ზავის შეკვრის აუცილებლობის ლენინურ-სტალინურ პოზიციას. — **46.**

22 დოკუმენტი «რსდმპ (ბოლშევიკების) ც. კ-ის პოზიცია სეპარატიული და ანექსიონისტური ზავის საკითხში» მთლიანად ლენინის დაწერილი არაა. პირველი და ორი დასკვნითი აბზაცი შედგენილია ი. მ. სვერდლოვის მიერ. — **49.**

23 «ცაკის შაბათის სხდომა» — სრულიად რუსეთის ცაკის ბოლშევიკებისა და «მემარცხენე» ესერების ფრაქციათა გაერთიანებული სხდომა 1918 წლის 23 თებერვალს. — **56.**

24 პეტროგრადიდან მოსკოვში მთავრობის ევაკუაციის საკითხი, გერმანელ ოკუპანტთა თებერვლის შემოტევასთან დაკავშირებით, განხილულ იქნა სახკომსაბჭოს სხდომაზე 1918 წლის 26 თებერვალს. სწორედ ამ სხდომაზე მოსახა კიდეც ლენინმა აქ დაბეჭდილი პროექტი დადგენილებისა მთავრობის ევაკუაციის შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილება დედაქალაქის მოსკოვში გადატანის შესახებ მიიღო სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობამ 1918 წლის მარტში. — **60.**

25 რსდმპ (ბოლშევიკების) მოსკოვის საოლქო ბიურო 1917 წელს და 1918 წლის დამდეგს აერთიანებდა ცენტრალური და სამრეწველო ოლქის პარტიულ ორგანიზაციებს. ამ ოლქში შედიოდა: მოსკოვის, იაროსლავლის, ტვერის, კოსტრომის, ვლადიმირის, ვორონეჟის, სმოლენსკის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ტულის, რიაზანის, ტამბოვის, კალუგისა და ორიოლის გუბერნიები. ბრესტის ზავისათვის პარტიის ბრძოლის პერიოდში ხელმძღვანელობა მოსკოვის საოლქო ბიუროში დროებით ხელთ იგდეს «მემარცხენე კომუნისტებმა» (ბუხარინი, ოსინსკი, ლომოვი, სტუკოვი, საპრონოვი, მანცევი, იაკოვლევა და სხვები). 1918 წლის გაზაფხულისთვის მოსკოვის საოლქო ბიურო ფაქ-

ტიურად ასრულებდა «მემარცხენე კომუნისტების» ანტიპარტიული ფრაქციული ცენტრის როლს.

გამთიშველური, ანტისაბჭოთა რეზოლუცია, რომელზედაც ლაპარაკობს ლენინი, გამოტანილ იქნა მოსკოვის საოლქო ბიუროს ვიწრო შემადგენლობის სხდომაზე მას შემდეგ, რაც პარტიის ც. კ-მა მიიღო ზავის ახალი პირობები. — 61.

26 ლაპარაკია კენჭისყრაზე გერმანიასთან ზავის საკითხის შესახებ პარტიის ც. კ-ის სხდომაზე პარტიულ მუშაკებთან ერთად 1918 წლის 21 იანვარს (3 თებერვალს). ზავზე ხელისმოწერის აუცილებლობის სასარგებლოდ სხდომაზე ხმა მისცეს: ლენინმა, სტალინმა, არტიომმა (სერგეევმა) და სხვებმა; იმპერიალისტებთან ყოველგვარი მოლაპარაკებისა და ხელშეკრულების დასაშვებობის წინააღმდეგ — «მემარცხენე კომუნისტებმა» — ობოლენსკიმ (ოსინსკიმ) და სტუკოვმა. «მემარცხენე კომუნისტების» უმრავლესობამ კი კენჭისყრის დროს ორჭოფული პოზიცია დაიკავა: დასაშვებად თვლიდნენ რა «საერთოდ» ზავის შეკვრის შესაძლებლობას სოციალისტურ და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, მათ იმავე დროს ხმა მისცეს გერმანიასთან ზავის დაუყოვნებლივი ხელმოწერის წინააღმდეგ. — 65.

27 «პ რ ო ე ქ ტ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ს ა დ ე პ უ ტ ა ტ თ ა ყ ვ ე ლ ა ს ა ბ ჭ ო ს ა დ მ ი» ლენინმა დაწერა ბრესტში გაგზავნილი საბჭოთა საზავო დელეგაციის იმ სატელეგრაფო ცნობებთან დაკავშირებით, რომ გერმანია უარს ამბობს სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე საზავო ხელშეკრულების ხელმოწერამდეო. ანალოგიური შინაარსის დეპეშა ლენინის ხელმოწერით გამოქვეყნდა 1918 წლის 2 მარტს «პრავდაში» № 39. — 75.

28 «კ ო მ მ უ ნ ი ს ტ» — ყოველდღიური გაზეთი, «მემარცხენე კომუნისტების» ფრაქციული ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1918 წლის მარტში როგორც «რსდმპ პეტერბურგის კომიტეტისა და პეტერბურგის საოლქო კომიტეტის ორგანო». გაზეთის გამოცემა შეწყდა პეტროგრადის საერთო-საქალაქო პარტიული კონფერენციის დადგენილებით 1918 წლის 20 მარტს. კონფერენციამ დაადასტურა, რომ პეტროგრადის კომიტეტის პოლიტიკა, გამოხატული ფრაქციული გაზეთის «კომმუნისტის» ფურცლებზე, ღრმად მცდარი იყო და არასგზით არ შეიძლებოდა კომუნისტური პარტიის პეტროგრადის ორგანიზაციის პოლიტიკა ყოფილიყო. პეტროგრადის პარტიული ორგანიზაციის ორგანოდ, «კომმუნისტის» ნაცვლად, კონფერენციამ გამოაცხადა «პეტროგრადსკაია პრავდა». — 76.

29 პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ 1918 წლის 24 თებერვალს გამოიტანა რეზოლუცია, რომლითაც მოიწონა ცაკის გადაწყვეტილება ზავის შეკვრის, როგორც «ახლანდელი მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავლის», აუცილებლობის შესახებ. იმავე დროს პეტროგრადის საბჭომ დაადგინა «მიღებულ იქნას ყველა აუცილებელი ზომა ეშელონების ორგანიზაციისათვის ფრონტზე გასაგზავნად». — **81.**

30 მოსკოვში 1918 წლის 3 მარტს შედგა მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, პროფესიული კავშირების, რაიონული საბჭოების, პასუხისმგებელი მუშაკებისა და სხვ. მონაწილეობით. შეკრებილთა უმრავლესობამ აზრი გამოთქვა ზავის ხელმოწერის სასარგებლოდ.

4 მარტს ზავის საკითხი განხილულ იქნა რსდმპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის კრებაზე; 10 ხმით 7-ის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია ზავის ხელმოწერის სასარგებლოდ.

რ ს დ მ პ (ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს) მ ო ს კ ო ვ ი ს ს ა ე რ თ ო-ს ა ქ ა ლ ა ქ ო კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა შედგა 1918 წლის 4 მარტს ღამით. მას, გარდა დელეგატებისა, ესწრებოდა მრავალი მუშა რაიონებიდან. კონფერენციამ ხმების უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებდა რსდმპ(ბ) ც. კ-ის პოზიციას ზავის საკითხში. რეზოლუცია ნდობას უცხადებდა ც. კ-ს და ავალებდა თავის დელეგატებს დაეცვათ VII პარტიულ ყრილობაზე პარტიის ერთიანობა. — **81.**

31 რ კ პ (ბ) მ ე შ ვ ი დ ე ყ რ ი ლ ო ბ ა შედგა პეტროგრადში 1918 წლის 6 — 8 მარტს. ყრილობას ესწრებოდა 46 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 58 — სათათბირო ხმით. დელეგატები წარმოადგენდნენ პარტიის 170 000-ზე მეტ წევრს; სულ კი ყრილობის მომენტისათვის პარტიის არა ნაკლებ 300 000 წევრი ითვლებოდა. ორგანიზაციების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ მოასწრო დელეგატების გაგზავნა ყრილობის სასწრაფოდ მოწვევის გამო, ანდა შესაძლებლობა არ ჰქონდა ეს გაეკეთებინა გერმანელთა მიერ საბჭოთა რუსეთის ზოგიერთი ოლქის დროებითს ოკუპაციასთან დაკავშირებით.

ყრილობა მოწვეულ იქნა, როგორც სასწრაფო, ზავის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. მოხსენება ომისა და ზავის შესახებ გააკეთა ლენინმა. ტროცკისტები და «მემარცხენე კომუნისტები» გამოვიდნენ თავიანთი თეზისებით და მომხსენებლად წამოაყენეს ბუხარინი. 30 ხმით 12-ის წინააღმდეგ, 4-მა თავი შეიკავა, ყრილობამ ბრესტის ზავის საკითხზე მიიღო ლენინის რეზოლუცია. ყრილობამ დაგმო ტროცკისა და ბუხარინის გამცემლური პოლიტიკა და სამარც-

ხვინო ბოძზე გააკრა «მემარცხენე კომუნისტების» ცდა — თვით ყრილობაზეც განეგრძოთ გამთიშველი მუშაობა. «მემარცხენე კომუნისტები» და ტროცკისტები განადგურებულ იქნენ. პარტიამ შესაძლებლობა მიიღო გამოეყვანა ჩვენი ქვეყანა იმპერიალისტური ომიდან, მოიპოვა დროებითი შესვენება წითელი არმიისა და სოციალისტური მშენებლობის ორგანიზაციისათვის. 1918 წლის ნოემბერში ბრესტის ზავი გაუქმებულ იქნა.

ყრილობამ განიხილა პარტიის პროგრამის გადასინჯვისა და სახელწოდების შეცვლის საკითხი; ამ საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა ლენინი. ლენინის წინადადებით ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პარტიის სახელწოდება: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკებისა) — რსდმპ(ბ) — შეცვლილიყო სახელწოდებით: რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) — რკპ(ბ). პარტიის ახალი პროგრამის საბოლოოდ შესამუშავებლად ყრილობამ აირჩია კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ლენინი და სტალინი. პროგრამის საფუძვლად ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი პროექტი («პროგრამის პროექტის შავად დაწერილი მონასახი»). — **85.**

32 ლაპარაკია კამენევის, ზინოვიევის, რიკოვის და პარტიის სხვა მტრების კაპიტულანტურ პოზიციაზე, რომლებიც პირველ დღეებში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოითხოვდნენ «ერთგვაროვან-სოციალისტური მთავრობის» შექმნას კონტრრევოლუციური პარტიების — მენშევიკებისა და ესერების მონაწილეობით (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 320 — 327, 349 — 357). — **88.**

33 დ ე კ რ ე ტ ი წ ა რ მ ო ე ბ ა ზ ე მ უ შ ა თ ა კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს შ ე ს ა ხ ებ («დებულება მუშათა კონტროლის შესახებ») სრულიად რუსეთის ცაკმა მიიღო 1917 წლის 14 (27) ნოემბერს და გამოქვეყნდა სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» № 227, 1917 წლის 16 ნოემბერს. დეკრეტს საფუძვლად უდევს ლენინის მიერ 1917 წლის ოქტომბრის დამლევს დაწერილი «მუშათა კონტროლის დებულების პროექტი», რომელიც ზოგიერთი ცვლილებით გამოქვეყნდა 1917 წლის 3 (16) ნოემბერს «პრავდაში» № 178 (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 318 — 319). — **93.**

34 ლაპარაკია მეფისადმი ერთგულების ფიცზე — ხელმოწერაზე III სახელმწიფო სათათბიროს წევრების მიერ სათათბიროს გახსნის დღეს— 1907 წლის 1 (14) ნოემბერს. დეპუტატი, რომელიც ხელმოწერის

მიცემაზე უარს ეტყოდა, სათათბიროდან გასულად ითვლებოდა. რადგან ფიცზე უარისთქმა სათათბიროს ტრიბუნის დაკარგვას იწვევდა, ეს ტრიბუნა კი საჭირო იყო რევოლუციური ბრძოლისათვის პროლეტარიატის სამობილიზაციოდ, სოციალ-დემოკრატი დეპუტატები ხელს აწერდნენ ფიცს სათათბიროს ყველა დეპუტატთან ერთად. — **105.**

35 **მ. ჰ ო ფ მ ა ნ ი** — გერმანელი გენერალი; იმპერიალისტური გერმანიის წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკების მეორე პერიოდში (1917 წლის დეკემბრის ბოლო — 1918 წლის 28 იანვარი (10 თებერვალი)). — **108.**

36 ლენინი, ალბათ, გულისხმობს დღეებს გერმანელთა შემოტევის დაწყებიდან — 18 თებერვლიდან ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა დელეგაციის ჩასვლამდე — 1918 წლის 28 თებერვლამდე. გერმანელ ოკუპანტთა შემოტევა გრძელდებოდა 14 დღე: 18 თებერვლიდან 3 მარტამდე — საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის დღემდე. — **110.**

37 **რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ფ ი ნ ე თ შ ი** დაიწყო 1918 წლის იანვრის შუახანებში ამ ქვეყნის სამხრეთის სამრეწველო ნაწილში და მოედო მთელ რიგ უდიდეს ცენტრებს — ჰელსინგფორსს, ვიბორგს და სხვებს. რევოლუციას წინ უსწრებდა ნოემბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელმაც იფეთქა 1917 წლის 31 ოქტომბერს (13 ნოემბერს) და რომელიც ერთი კვირა გრძელდებოდა; გაფიცვას მეთაურობდა მუშათა ცენტრალური რევოლუციური საბჭო. 1918 წლის 15 (28) იანვარს ფინეთის წითელმა გვარდიამ დაიკავა ფინეთის დედაქალაქი ჰელსინგფორსი, სადაც 16 (29) იანვარს შეიქმნა რევოლუციური მთავრობა — ფინეთის სახალხო რწმუნებულთა (ანუ კომისართა) საბჭო. სვინხუვუდის ბურჟუაზიულმა მთავრობამ დახმარებისათვის მიმართა შვეციისა და გერმანიის ბურჟუაზიას. აღნიშნულმა მთავრობამ, რომელიც გამაგრდა ფინეთის ჩრდილოეთში და შექმნა კულაკთა თეთრგვარდიული რაზმები, იანვრის დამლევს, გერმანელების, შვედებისა და რუსი თეთრი ოფიცრობის მხარდაჭერით, დაიწყო შეტევა სამხრეთისაკენ. მაისში, სასტიკი სამოქალაქო ომის შემდეგ, რომელიც სამი თვე გრძელდებოდა, მუშათა რევოლუცია ფინეთში ჩახშობილ იქნა გერმანელთა გადმომსხდარი ოცათასიანი საექსპედიციო კორპუსის დახმარებით. — **111.**

38 ლაპარაკია «მემარცხენე კომუნისტების» მიერ დროებით ხელში ჩაგდებული რსდმპ(ბ) მოსკოვის საოლქო ბიუროს ანტიპარტიულ რეზოლუციაზე, რომელიც მიღებულ იქნა ბიუროს ვიწრო შემადგენლობის სხდომაზე 1918 წლის 24 თებერვალს. ამ რეზოლუციის გარჩევა და

კრიტიკა იხ. ლენინის სტატიაში «უცნაური და შემზარავი» (ეს ტომი, გვ. 61 — 71). — **113.**

39 ლენინი გულისხმობს საუბარს რუსეთში საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელთან — გრაფ დე-ლიუბერსაკთან 1918 წლის თებერვალში. — **118.**

40 იგულისხმება სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის მოწოდება საყოველთაო ნებაყოფლობითი სამხედრო სწავლების შესახებ, გერმანელებთან დადებული საზავო ხელშეკრულების პირობების თანახმად რუსეთის არმიის სრულ დემობილიზაციასთან დაკავშირებით. — **119.**

41 დროებითი ზავის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც 1917 წლის 2 (15) დეკემბერს დაიდო ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა მთავრობასა და ოთხთა კავშირის სახელმწიფოებს (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) შორის, ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ მხარეს სამხედრო მოქმედება შეიძლებოდა განეახლებინა შეტევის დაწყებამდე 7 დღით ადრე გაფრთხილებით. გერმანელმა იმპერიალისტებმა დაარღვიეს შეთანხმება და მათ მიერ სამხედრო მოქმედების განახლების შესახებ გამოაცხადეს 16 თებერვალს, ე. ი. შეტევის დაწყებამდე მხოლოდ 2 დღით ადრე. — **121.**

42 ბრესტის ხელშეკრულებით, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1918 წლის 3 მარტს, გერმანიის მთავრობა ვალდებულებას აკისრებდა საბჭოთა რესპუბლიკას შეეკრა ზავი უკრაინის კონტრრევოლუციურ რადასთან, რომელიც 1917 წლის აპრილში შექმნა კიევში უკრაინის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების ბლოკმა ვ. კ. ვინიჩენკოს მეთაურობით. გერმანელებთან საბჭოთა რესპუბლიკის საზავო მოლაპარაკების დროს რადამ ბრესტ-ლიტოვსკში გაგზავნა თავისი დელეგაცია. იმ ბრძოლის შედეგად, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე გაჩაღდა რადასა და 1917 წლის დეკემბერში შექმნილ უკრაინის საბჭოთა მთავრობას შორის, რადა ჩამოგდებულ იქნა. 27 იანვარს (9 თებერვალს), კიევში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რადამ, საბჭოთა დელეგაციის ზურგს უკან, გერმანელებთან შეკრა სეპარატიული ზავი, რომლითაც გერმანიას აძლევდა უკრაინის პურს, ნახშირს და სხვა ნედლეულს, ხოლო თვითონ ღებულობდა სამხედრო დახმარებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. გერმანელ იმპერიალისტთა ხიშტების მფარველობითა და დახმარებით რადის ხელისუფლება უკრაინაში აღდგენილ იქნა. რადის მიერ გაცემული უკრაინა ფაქტიურად იქცეოდა გერმანიის იმპერიალიზმის კოლონიად.

საბჭოთა მთავრობასა და რადას შორის საზავო მოლაპარაკება, რაც თავსმოხვეული იყო ბრესტის ხელშეკრულებით, არ შემდგარა. 1918 წლის 29 აპრილს რადა ჩამოაგდეს გერმანიის სამხედრო ძალებმა და ის შეცვალეს მონარქისტის, გეტმან სკოროპადსკის მთავრობით.

საზავო მოლაპარაკება საბჭოთა რესპუბლიკასა და სკოროპადსკის მთავრობას შორის დაიწყო 23 მაისს; დროებითი ზავი ხელმოწერილ იქნა 1918 წლის 14 ივნისს. — **121.**

43 12 მ ა რ ტ ი — განზრახული ვადა სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობის მოწვევისა საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის გადასაწყვეტად. — **122.**

44 რ ე ზ ო ლ უ ც ი ა ომისა და ზავის შ ე ს ა ხ ებ, მიღებული პარტიის VII ყრილობის მიერ, ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად იმ პერიოდში არ უნდა გამოქვეყნებულიყო და პირველად დაიბეჭდა 1919 წლის 1 იანვარს ყოველდღიურ გაზეთ «კომუნარში», რომელსაც სცემდა რკპ(ბ) ც. კ. მოსკოვში 1918 წლის 9 ოქტომბრიდან 1919 წლის 5 მარტამდე. — **126.**

45 ომისა და ზავის შესახებ ლენინის რეზოლუციის განხილვისა და კენჭისყრის დროს ტროცკი და «მემარცხენე კომუნისტები» ყრილობაზე გამოვიდნენ «შესწორებებით», რომლებიც საბჭოთა მთავრობას უკრძალავდა ხელმოწერას ზავზე უკრაინის რადასთან და ფინეთის ბურჟუაზიულ მთავრობასთან. ლენინმა უკუაგდო ტროცკისა და «მემარცხენე კომუნისტების» პროვოკაციული ცდა წაერთმიათ ც. კ-სთვის მანევრირების თავისუფლება; ყრილობამ ხმების უმრავლესობით უარყო მათი «შესწორებები». — **128.**

46 ყრილობაზე ზინოვიევმა გაილაშქრა ლენინის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ არ გამოქვეყნებულიყო რეზოლუცია ომისა და ზავის შესახებ. ზინოვიევის შესწორება არ მიიღეს; ხმების უმრავლესობით ყრილობამ დაამტკიცა ლენინის დამატება. — **133.**

47 პ ა რ ტ ი უ ლ ი პ რ ო გ რ ა მ ი ს გ ა დ ა ს ი ნ ჯ ვ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ლენინმა დააყენა ჯერ კიდევ 1917 წელს აპრილის თეზისებში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 24, გვ. 6 — 7). რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციისათვის ლენინმა დაწერა «პროგრამის თეორიული, პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა ნაწილის ცვლილებათა პროექტი», რომელიც შეიცავდა მთელ რიგ შესწორებებს რსდმ პარტიის 1903 წლის პროგრამის მიმართ. ლენინის წინადადებით

კონფერენციამ დაავალა ც. კ-ს ორი თვის ვადაში შეედგინა პარტიის VI ყრილობისათვის პარტიული პროგრამის პროექტი. რსდმპ(ბ) VI ყრილობამ (1917 წ. ივლისის დამლევი — აგვისტოს დამდეგი) არ გადაწყვიტა პარტიის პროგრამის საკითხი. დაადასტურა რა აპრილის კონფერენციის დადგენილება პროგრამის გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ, ყრილობამ ც. კ-ს დაავალა მოეწყო ფართო დისკუსია საპროგრამო საკითხებზე. 1917 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე პარტიის შიგნით გაჩაღდა თეორიული დისკუსია. რსდმპ(ბ) ც. კ-მა, რომელმაც რამდენიმეჯერ განიხილა პარტიის პროგრამის საკითხი, 1917 წლის 5 (18) ოქტომბრის სხდომაზე შექმნა სპეციალური კომისია ლენინის მეთაურობით პარტიის პროგრამის გადასამუშავებლად მორიგი პარტიული ყრილობისათვის, რომლის მოწვევა განზრახული იყო იმავე 1917 წლის შემოდგომისათვის. ბოლოს, ც. კ-ის 1918 წლის 24 იანვრის (6 თებერვლის) დადგენილებით პროგრამის პროექტის შემუშავება დაევალა ახალ კომისიას ლენინის ხელმძღვანელობით. ლენინმა შეადგინა «პროგრამის პროექტის შავად დაწერილი მონასახი», რომელიც ავსებდა «პროგრამის თეორიული, პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა ნაწილის ცვლილებათა პროექტს», დაწერილს 1917 წელს. «შავად დაწერილი მონასახი» პარტიის VII ყრილობის დელეგატებს დაურიგდათ როგორც მასალა დისკუსიისათვის. მაგრამ ყრილობას პროგრამა დეტალურად არ განუხილავს. ლენინის წინადადებით ყრილობამ პროგრამის საბოლოო პროექტის შემუშავება დაავალა განსაკუთრებულ კომისიას ლენინის, სტალინისა და სხვათა შემადგენლობით. ძირითად დებულებებად პროგრამის გადასინჯვისათვის ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ წამოყენებული რეზოლუცია. საბოლოო სახით პარტიის პროგრამა მიიღო მხოლოდ რკპ(ბ) VIII ყრილობამ 1919 წლის მარტში. — **136.**

48 პ ა რ ტ ი ი ს ს ა ხ ე ლ წ ო დ ებ ი ს შ ე ც ვ ლ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ლენინმა წამოაყენა ჯერ კიდევ 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 98 — 99). პარტიის სახელწოდების შეცვლის აუცილებლობა ლენინმა დაასაბუთა აპრილის თეზისებში, ბროშურაში «პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში» და 1917 წლის მთელ რიგ სხვა ნაშრომებსა და გამოსვლებში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 24, გვ. 1 — 9, 45 — 91, 160 — 161, 164 — 165 და ტომი 25, გვ. 564 — 567). არც რსდმპ(ბ) 1917 წლის აპრილის კონფერენციაზე, არც პარტიის VI ყრილობაზე (1917 წლის ივლისის დამლევი — აგვისტოს დამდეგი) ეს საკითხი განხილული არ ყოფილა, და მხოლოდ პარტიის VII ყრილობაზე

ლენინის მოხსენების გამო მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პარტიის სახელწოდების შეცვლის შესახებ. — **136.**

49 ლენინს ციტატი მოყავს ფ. ენგელსის 1875 წლის 18 — 28 მარტის წერილიდან ა. ბებელისადმი გოთას პროგრამის შესახებ (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 296). — **137.**

50 ლაპარაკია კრებულებზე: «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის». ნ. ლენინის რედაქციითა და წინასიტყვაობით. პეტროგრადი, გამომც. «პრიბოი», 1917 (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 24, გვ. 549 — 582) და «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის». მოსკოვი, რსდმპ მოსკოვის სამრეწველო რაიონის საოლქო ბიუროს გამოცემა, 1917. მოსკოვის კრებულში განვითარებულ ოპორტუნისტულ შეხედულებათა კრიტიკა ლენინმა მოგვცა სტატიაში «პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 26, გვ. 165 — 202). — **138.**

51 «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე» — ყოველთვიური ბოლშევიკური თეორიული ჟურნალი; გამოდიოდა ლეგალურად პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან. ჟურნალი შეიქმნა ლენინის ინიციატივით, ნაცვლად მეფის მთავრობის მიერ დახურულ ბოლშევიკურ ჟურნალ «მისლისა», რომელიც გამოდიოდა მოსკოვში. ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა «პროსვეშჩენიეს», რედაქციას უკეთებდა სტატიებს, რეგულარული მიწერ-მოწერა ჰქონდა სარედაქციო კოლეგიის წევრებთან, რომელნიც რუსეთში იმყოფებოდნენ (მ. ს. ოლმინსკი, ა. ი. ელიზაროვა, მ. ა. საველიევი). ჟურნალში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის ნაშრომები: «საარჩევნო კამპანიის პრინციპული საკითხები», «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი», «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე», «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» და სხვები. პეტერბურგში ყოფნის დროს 1912 და 1913 წლებში ჟურნალის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. «პროსვეშჩენიეში» გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის ნაშრომი «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი» სახელწოდებით — «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 312 — 395).

ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» მუდმივი თანამშრომელი იყო ვ. მ. მოლოტოვი, სამხატვრო-სალიტერატურო განყოფილებას რედაქტორობდა ა. მ. გორკი. ჟურნალი მჭიდროდ დაკავშირებული იყო «პრავდასთან». მისი ტირაჟი 5 ათას ეკზემპლარს აღწევდა. 1914 წლის

ივნისში, პირველი მსოფლიო ომის წინ, მეფის მთავრობამ ჟურნალი დახურა. 1917 წლის შემოდგომაზე მისი გამოცემა განახლდა, მაგრამ გამოვიდა მხოლოდ ერთი ორმაგი ნომერი 1 — 2 (სექტემბერი — ოქტომბერი). მასალებიდან პარტიის პროგრამის შესახებ მასში დაბეჭდილი იყო ლენინის სტატია «პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის». — **138.**

52 «ს პ ა რ ტ ა კ» — რსდმპ მოსკოვის საოლქო ბიუროს, მოსკოვის კომიტეტისა და (მე-2 ნომრიდან) მოსკოვის საოკრუგო კომიტეტის ყოველკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში ხანგამოშვებით 1917 წლის 20 მაისიდან (2 ივნისიდან) 29 ოქტომბრამდე (11 ნოემბრამდე). — **138.**

53 ლენინს ციტატი მოჰყავს «შესავალიდან ბორკჰეიმის ბროშურისა» «სახსოვრად 1806 — 1807 წლების მეკვე პატრიოტებს»»; ეს შესავალი ფ. ენგელსმა დაწერა 1887 წლის 15 დეკემბერს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 304). — **139.**

54 გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ხ ე მ ნ ი ც ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა მ, რომელიც შედგა 1912 წლის 15 — 21 სექტემბერს (იხ. სტ.), მიიღო რეზოლუცია «იმპერიალიზმის შესახებ», სადაც იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკას ახასიათებდა როგორც «ძარცვისა და დაპყრობათა ურცხვ პოლიტიკას» და მოუწოდებდა პარტიას «გაძლიერებული ენერგიით ებრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ».

ბ ა ზ ე ლ ი ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი კ ო ნ გ რ ე ს ი (მიმდინარეობდა 1912 წლის 24 — 25 ნოემბერს (იხ. სტ.)) მოწვეულ იქნა როგორც საგანგებო კონგრესი ევროპის თავზე ჩამოწოლილ ომის საფრთხესთან დაკავშირებით. კონგრესმა მიიღო ომის საწინააღმდეგო მანიფესტი, რომელშიც ხაზს უსვამდა მომავალი ომის იმპერიალისტურ არსს და მოუწოდებდა ყველა ქვეყნის სოციალისტებს მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პირველი მსოფლიო ომის დროს II ინტერნაციონალის ბელადებმა გამცემლურად დაარღვიეს საერთაშორისო სოციალისტური კონგრესების გადაწყვეტილებანი, კერძოდ, ხემნიცსა და ბაზელში მიღებული გადაწყვეტილებანი და სოციალ-შოვინიზმის პოზიციაზე დადგნენ. II ინტერნაციონალის ლიდერების სოციალ-შოვინისტური პოზიციის კრიტიკა იხ. ლენინის ნაშრომებში: «II ინტერნაციონალის კრახი», «სოციალიზმი და ომი» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 237 — 309, 357 — 412). — **148.**

55 დეკრეტი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკმა დაამტკიცა 1917 წლის 14 (27) დეკემბერს და გამოქვეყნდა ცაკის «იზვესტიაში» № 252, 1917 წლის 15 (28) დეკემბერს. — **151.**

56 კანონი მიწის შესახებ უცხოურ ენებზე გამოიცა 1918 წლის დამდეგს. 1918 წლის თებერვალში კანონი გამოიცა პეტროგრადში ინგლისურ ენაზე — იხ. **«Decree on the land»** («დეკრეტი მიწის შესახებ») წიგნში: **«Decrees issued by the revolutionary peoples government», vol. 1, Petrograd, february** 1918 («რევოლუციური სახალხო მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტები», ტომი 1, პეტროგრადი, 1918 წ. თებერვალი), გვ. 2 — 6. — **152.**

57 პარტიის წინა, VI ყრილობას ლენინი, რომელიც იძულებული იყო არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყო, არ ესწრებოდა. როგორც ჩანს, ლაპარაკია საუბარზე შვეციის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ ხეგლუნდთან, რომელიც ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთში კომინტერნის ორგანიზაციის მოსამზადებელ თათბირზე 1918 წლის თებერვალ-მარტში. — **156.**

58 ი. ლარინი პარტიის VII ყრილობაზე გამოვიდა წინადადებით, ჩაემატებინათ პარტიის სახელწოდებაში სიტყვა «მუშათა». ლარინის შესწორება ყრილობამ უარყო. — **158.**

59 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1948, გვ. 61 — 62. — **158.**

60 «წინა ორატორი» — რ. ა. პელშე — ყრილობაზე გამოვიდა წინადადებით, ამოეგდოთ პარტიის პროგრამიდან სიტყვები საპარლამენტო ბრძოლის ფორმების გამოყენების შესახებ. პელშეს შესწორება ყრილობამ უარყო. — **159.**

61 ვ. ი. ლენინის გამოსვლის შემდეგ ბუხარინის შესწორება ყრილობამ უარყო. — **161.**

62 პარტიის VII ყრილობაზე ც. კ-ის არჩევნების დროს «მემარცხენე კომუნისტებმა» ბუხარინის მეთაურობით განაცხადეს, რომ უარს ამბობენ ც. კ-ში შესვლაზე, რადგან არ ეთანხმებიან პარტიის პოლიტიკას. ლენინის დაჟინებითი მოთხოვნით ყრილობამ, იმ იმედით, რომ «მემარცხენე კომუნისტები» აღმოფხვრიდნენ თავიანთ შეცდომებს,

შეიყვანა მათი წარმომადგენლები ც. კ-ის შემადგენლობაში. მაგრამ «მემარცხენე კომუნისტებმა» მაინც დემონსტრაციულად უარი განაცხადეს ც. კ-ში მუშაობაზე და, ც. კ-ის შემდგომი არა ერთგზისი დადგენილებისა და კატეგორიული წინადადებების მიუხედავად, მუშაობას არ შესდგომიან. პარტიის VII ყრილობის შემდეგ «მემარცხენე კომუნისტების» გამთიშველი მოქმედების შეფასება ლენინმა მოგვცა «შენიშვნაში «მემარცხენე კომუნისტების» საქციელის შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 231). — **163.**

63 სტატია «ჩ ვ ე ნ ი დ რ ო ი ს მ თ ა ვ ა რ ი ა მ ო ც ა ნ ა», აგრეთვე ლენინის ნაშრომი ««მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 385 — 425) შეერთებულ იქნა და 1918 წლის მაისში ხელახლა გამოიცა ცალკე ბროშურად სახელწოდებით «ჩვენი დროის მთავარი ამოცანა» ლენინის შემდეგი წინასიტყვაობით:

«ამ პატარა ბროშურაში შეერთებულია ორი საგაზეთო სტატია: ცაკის 1918 წ. 12 მარტის «იზვესტიიდან» და 1918 წ. 9 — 11 მაისის «პრავდიდან». ორივე სტატია სხვადასხვა მხრიდან უდგება ერთ თემას, რომელიც გამოხატულია ბროშურის სათაურით.

მოსკოვი, 17. V. 1918. ა ვ ტ ო რ ი». — **174.**

64 ეპიგრაფად ლენინს მოყავს სიტყვები ნ. ა. ნეკრასოვის პოემიდან «ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად» (იხ. ნ. ა. ნეკრასოვი. რჩეული თხზულებანი, 1947, გვ. 323). — **174.**

65 ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ს ა გ ა ნ გ ე ბ ო IV ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა მოსკოვში 1918 წლის 14 — 16 მარტს. ყრილობა მოწვეული იყო ბრესტის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის გადასაწყვეტად. ყრილობის გახსნის წინ, 13 მარტს, შედგა IV ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის სხდომა, სადაც ლენინი გამოვიდა მოხსენებით ბრესტის ხელშეკრულების შესახებ (იხ. ლენინის კრებული XI, მე-2 გამოცემა, 1931, გვ. 67 — 70). საკითხის წინასწარმა კენჭისყრამ ფრაქციაზე ასეთი შედეგები აჩვენა: ლენინის რეზოლუციას ბრესტის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ ხმა მისცა 453 კაცმა, წინააღმდეგ — 36, თავი შეიკავა 8 კაცმა.

სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობას, ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშის მონაცემების მიხედვით, ესწრებოდა გადამწყვეტი ხმით 1 232 დელეგატი, მათგან 795 ბოლშევიკი, 283 «მემარცხენე» ესერი და სხვ.. ყრილობამ განიხილა საკითხები: საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ; დედაქალაქის გადატანის

შესახებ; არჩევნები. მოხსენებით საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ გამოვიდა ლენინი; თანამოხსენებით რატიფიკაციის წინააღმდეგ «მემარცხენე» ესერებისაგან — ბ. კამკოვი. ყრილობამ სახელობითი კენჭისყრით მიიღო ლენინის რეზოლუცია საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ. რატიფიკაციის სასარგებლოდ ხმა მისცა 784 დელეგატმა, წინააღმდეგ — 261, თავი შეიკავა 115 დელეგატმა, მათ შორის «მემარცხენე კომუნისტებმაც», რომლებმაც ყრილობაზე გამოაქვეყნეს განსაკუთრებული დეკლარაცია, სადაც მოყვანილი იყო კენჭისყრის დროს მათ მიერ თავის შეკავების მიზეზის მოტივები.

ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი დადგენილება დედაქალაქის გადატანის შესახებ მოსკოვში და აირჩია ახალი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 200 კაცის შემადგენლობით. —189.

66 პროექტი რეზოლუციისა ვილსონის მომართვის გამო სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობაზე წაიკითხა ი. მ. სვერდლოვმა და მიიღო ყრილობამ. რეზოლუცია წარმოადგენდა პასუხს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვ. ვილსონის მომართვაზე, რომელშიაც იგი ცდილობდა ხელი შეეშალა საბჭოთა რუსეთისათვის გერმანიასთან ზავის შეკვრაში. — 191.

67 ლენინს მხედველობაში აქვს ოფიცერ დუბასოვის გამოსვლა პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე 1917 წლის 22 სექტემბერს (5 ოქტომბერს), როცა იხილავდნენ მოხსენებას დემოკრატიული სათათბიროს შესახებ. — 206.

68 ლენინს მხედველობაში აქვს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდება «მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი», რომელიც გამოქვეყნდა ცენტრალურ გაზეთებში 1917 წლის 15 მარტს. ამ ორპოფული მენშევიკურ-ესერული მოწოდების შეფასება იხ. ლენინის სიტყვაში ომის შესახებ სრულიად რუსეთის საბჭოების I ყრილობაზე (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 25, გვ. 19—37). — 220.

69 პირველი მოწოდება, რომელიც აქ იგულისხმება, იყო ლენინის მიერ დაწერილი «მოწოდება ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცებისადმი» ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პეტერბურგის კომიტეტისა და გაზეთ «პრავდის» რედაქციის სახელით; «მოწოდება» დაიბეჭდა «პრავდაში» №37, 1917 წლის 4 მაისს (21 აპრილს).

«მოწოდება» სახავდა იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის პოლიტიკურ პროგრამას — რევოლუციურ ბრძოლას პროლეტარიატის

ძალაუფლებისათვის ბურჟუაზიულ მთავრობათა დამხობის გზით ყველა ქვეყანაში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 24, გვ. 209 — 212). — **220.**

70 «პირვანდელი მონასახი სტატიისა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები»» ლენინმა სტენოგრაფს უკარნახა 1918 წლის 28 მარტს (მონასახის დასაწყისი და ბოლო ნაპოვნი არაა). ლენინი არ დაკმაყოფილდა სტენოგრაფიული მონასახით და მალე ხელახლა დაწერა «თეზისები საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ ახლანდელ მომენტში» (ასეთი სახელწოდება აქვს ხელნაწერში ლენინის ნაშრომს «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები»; იხ. ეს ტომი, გვ. 275 — 329). — **252.**

71 ლაპარაკია მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე პროფესიული კავშირების როლის საკითხში სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირების I ყრილობაზე, რომელიც შედგა პეტროგრადში 1918 წლის 7 — 14 (20 — 27) იანვარს. — **248.**

72 თავდაპირველი პროექტი დეკრეტისა რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შეიტანა 1918 წლის 30 მარტს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად. პროექტის განხილვის დროს სახკომსაბჭომ მიიღო ლენინის მიერ შეტანილი დადგენილება (დოკუმენტი «ბ») მისი ძირფესვიანად გადაკეთების შესახებ. პროექტი გადამუშავებულ იქნა ლენინის მითითებათა საფუძველზე, დამტკიცებულ იქნა სახკომსაბჭოს სხდომაზე 1918 წლის 4 მაისს და გამოქვეყნდა 1918 წლის 17 მაისს. — **254.**

73 «კომმუნისტ» — ჟურნალი, რომელიც დააარსა ლენინმა; ჟენევაში სცემდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია 1915 წელს; გამოვიდა ერთი (ორმაგი) ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ლენინის სამი სტატია: «II ინტერნაციონალის კრახი», «ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა», «იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 21, გვ. 237 — 309, 424 — 434, 435 — 447).

ჟურნალის რედაქციის შიგნით ლენინი ეწეოდა ბრძოლას ბუხარინ-პიატაკოვის ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგ, ამხელდა მის ანტიბოლშევიკურ შეხედულებებს, მის ცდებს — გამოეყენებინა ჟურნალი ფრაქციული მიზნით. ამ ჯგუფის ანტიპარტიული პოზიციის გამო ლენინმა წინადადება წამოაყენა გაეწყვიტათ მასთან ურთიერთობა და შეეწყვიტათ ჟურნალის ერთობლივად გამოცემა. 1916 წლის

ოქტომბრიდან გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციამ დაიწყო თავისი «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» გამოცემა. — **256.**

74 ლიბერდანები — ირონიული მეტსახელი, რომელიც დაუმკვიდრდათ მენშევიკურ ლიდერებს — ლიბერს, დანს და მათ მომხრეებს მას შემდეგ, რაც მოსკოვის ბოლშევიკურ გაზეთ «სოციალ-დემოკრატში (№ 141, 1917 წლის 25 აგვისტო (7 სექტემბერი)) გამოქვეყნდა დ. ბედნის ფელეტონი სახელწოდებით «ლიბერდანი». — **256.**

75 «საბანკო პოლიტიკის თეზისები» მიღებულ იქნა ლენინის ერთ-ერთ თათბირზე ბანკის მუშაკებთან 1918 წლის მარტ-აპრილში. თეზისები ლენინმა შეადგინა ოქმის სახით, სადაც აღნიშნული იყო ამა თუ იმ მუხლის კენჭისყრის შედეგები და ჩაწერილი იყო თათბირის მონაწილეთა განსაკუთრებული მოსაზრებანი. — **258.**

76 1917 წლის 14 (27) დეკემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა დეკრეტი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ. — **258.**

77 მიტინგი ალექსის მანეჟში, რომელიც მოსკოვში შედგა 1918 წლის 7 აპრილს, მიძღვნილი იყო საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ მუშათა მიტინგის დახვრეტის საწინააღმდეგო პროტესტისადმი; მუშათა ეს მიტინგი შედგა თბილისში 1918 წლის 10 (23) თებერვალს, ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის დღეს (იხ. ი. ბ. სტალინის სტატია «ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით», თხზულებანი, ტომი 4, 1948, გვ. 55 — 71).

ლენინის მიერ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვა ცენტრალურ გაზეთებში არ გამოქვეყნებულა. 1918 წლის 9 აპრილის (27 მარტის) «პრავდის» 67-ე ნომერში მიტინგის შესახებ მოცემული იყო მოკლე ინფორმაცია, რომელშიაც იუწყებოდნენ: «დიდი მოხდენილი სიტყვით გამოვიდა ამხ. ლენინი. ორატორს მქუხარე ოვაციით შეხვდნენ». ლენინის სიტყვა გადაცემულ იქნა რადიოთი და დაიბეჭდა სარატოვის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიაში». — **261.**

78 ლაპარაკია შორეული აღმოსავლეთის ოკუპაციაზე იმპერიალისტური იაპონიის მიერ. ჯერ კიდევ 1918 წლის 1 (14) იანვარს იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად განუცხადა ვლადივოსტოკის ქალაქის ხელისუფალთ ნავსადგურში სამხედრო გემების გაგზავნის შესახებ, თითქოსდა «იქ მცხოვრებ იაპონელ ქვეშევრდომთა დასაცავად». მაშინ

შეიყვანეს კიდეც ნავსადგურში იაპონიის სამხედრო გემები. 1918 წლის აპრილში იაპონიის ჯარებმა რუს თეთრგვარდიელთა დახმარებით მოახდინეს ვლადივოსტოკის ოკუპაცია. ვლადივოსტოკის ოკუპაცია წარმოადგენდა შორეულ აღმოსავლეთში იაპონიისა და ამერიკის შეიარაღებული ინტერვენციის დასაწყისს. — **262.**

79 ს. გ. შაუმიანი 1917 — 1918 წლებში იყო კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისარი და ბაქოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. იგი გააფთრებულ დევნას განიცდიდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის მხრივ. შაუმიანის მოკვლა სცადეს 1918 წლის თებერვალში (იხ. ი. ბ. სტალინის სტატია «ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით», თხზულებანი, ტომი 4, 1948, გვ. 69). ს. გ. შაუმიანი დააპატიმრეს ინგლისელმა ინტერვენტებმა ესერებისა და მენშევიკების დახმარებით 1918 წლის აგვისტოში და დახვრიტეს 1918 წლის 20 სექტემბერს ბაქოს 26 კომისართა შორის. — **262.**

80 აქ დაბეჭდილი დოკუმენტის ხელნაწერში ვ. ი. ლენინის სიტყვები: «ირკუტსკში (ვლადივოსტოკისათვის) დეპეშით უნდა გადაეცეს პირდაპირი მავთულით», ი. ბ. სტალინის მიერ შეცვლილია შემდეგი სიტყვებით: «სასწრაფოდ, რიგს გარეშე. ირკუტსკი, ცენტროციმბირი, ვლადივოსტოკის დეპუტატთა საბჭოსათვის».

დოკუმენტი დასათაურებულია მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის მიერ. — **264.**

81 1918 წლის აპრილში ყველა გაზეთში დაიბეჭდა ცნობა გენერალ კორნილოვის მოკვლის შესახებ მისივე საკუთარი ჯარისკაცების მიერ. მოგვიანებით გამოირკვა, რომ კორნილოვი მოკლულ იქნა 1918 წლის 13 აპრილს წითელი არმიის ნაწილებთან ბრძოლის დროს ეკატერინოდართან. — **270.**

82 ლენინის ნაშრომს «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» ხელნაწერში ეწოდებოდა «თეზისები საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ ახლანდელ მომენტში». ლენინის «თეზისები» განხილულ იქნა პარტიის ც. კ-ის სხდომაზე 1918 წლის 26 აპრილს. ც. კ-მა მოიწონა ისინი და დაადგინა გამოქვეყნებულიყო სტატიის სახით «პრავდაში» და სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში», აგრეთვე გამოცემულიყო ცალკე ბროშურად. ამაჯე სხდომაზე ც. კ-მა დაავალა ლენინს გამოსულიყო მოხსენებით «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ» სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე,

რისთვისაც უნდა მოემზადებინა «თეზისების» მოკლე გადმოცემა რეზოლუციის სახით (იხ. ეს ტომი, გვ. 375 — 379). — **275.**

83 სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 18 ნოემბრის (1 დეკემბრის) დადგენილებით უმაღლესი თვიური ხელფასი სახალხო კომისრებისათვის წესდებოდა 500 მანეთი. მალე სახკომსაბჭომ შრომის სახალხო კომისარიატის შეკითხვის გამო მიიღო დადგენილება, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისათვის უშვებდა უფრო მაღალ ანაზღაურებას. — **292.**

84 დ ე კ რ ე ტ ი ს ა მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ლ ო კ ო ო პ ე რ ა ც ი უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ სახკომსაბჭომ მიიღო 1918 წლის 10 აპრილს, სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა 11 აპრილს და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვლ. ი. ულიანოვის (ლენინის) ხელმოწერით გამოქვეყნდა გაზეთებში: «პრავდა» № 71, 1918 წლის 13 აპრილი (31 მარტი) და სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტია» № 75, 1918 წლის 16 აპრილი. ლენინმა დეკრეტის პროექტში შეიტანა მთელი რიგი შესწორებანი; მე-11, 12 და 13 მუხლები მთლიანად დაწერილია ლენინის მიერ. — **300.**

85 იგულისხმება «დებულება შრომის დისციპლინის შესახებ, მიღებული სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირების საბჭოს მიერ» და გამოქვეყნებული ჟურნალში «ნაროდნოე ხოზიაისტვო» № 2, 1918 წლის აპრილი. — **305.**

86 იგულისხმება სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი «ბ ზ ე ბ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს, მ ა თ ი დ ა ც ვ ი ს ა და გ ა მ ტ ა რ უ ნ ა რ ი ა ნ ო ბ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ». დეკრეტი სახკომსაბჭომ დაამტკიცა 1918 წლის 23 მარტს და გამოქვეყნდა 1918 წლის 26 მარტს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვ. ულიანოვის (ლენინის) ხელმოწერით. დეკრეტის პროექტი შეიმუშავა სპეციალურმა კომისიამ ლენინის მითითებათა საფუძველზე. ლენინმა კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტში შეიტანა შესწორებანი და დამატებანი, აგრეთვე საბოლოო რედაქცია გაუკეთა დეკრეტს. — **316.**

87 «ვ ე ბ ე რ ი ო დ» — ყოველდღიური მენშევიკური გაზეთი, რსდმპ (მენშევიკების) მოსკოვის ორგანიზაციისა და ცენტრალური ოლქის კომიტეტების ორგანო; 1918 წლის 2 აპრილიდან — მენშევიკური ც. კ-ის ორგანოც; გამოდიოდა 1917 — 1918 წლებში; 1918 წლის

აპრილის დამლევს დახურულ იქნა კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის. — **319.**

88 «ნ ა შ ვ ე კ» — გაზეთ «რეჩის» — კადეტური პარტიის ცენტრალური ორგანოს — ერთ-ერთი სახელწოდება — **319.**

89 ლენინს მხედველობაში აქვს და ციტატი მოყავს ფ. ენგელსის ნაშრომიდან «ანტი-დიურინგი» (იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1948, გვ. 267). — **324.**

90 სრულიად რუსეთის ცაკის 1918 წლის 29 აპრილის სხდომა, რომელზეც მოსმენილ იქნა ლენინის მოხსენება «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ», მიმდინარეობდა პოლიტექნიკური მუზეუმის შენობაში. სხდომას ესწრებოდნენ მოსკოვის პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ლენინის მოხსენებისა და საბოლოო სიტყვის შემდეგ დებულებანი, რომლებიც მან მოხსენებაში წამოაყენა, დაამტკიცა სრულიად რუსეთის ცაკმა; მათი საბოლოო რედაქტირება მიენდო სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს, მომხსენებელთან ერთად. ლენინმა ექვს თეზისში შეაჯამა ძირითადი დებულებანი, რომლებიც მან განავითარა სტატიაში «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» და «მოხსენებაში საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ». ეს თეზისები მცირეოდენი დამატებებით ერთხმად იქნა მიღებული პარტიის ც. კ-ის სხდომაზე 1918 წლის 3 მაისს. «ექვსი თეზისი საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ» დაიბეჭდა დამატებაში ვ. ი. ლენინის ბროშურისა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები», რომელიც გამოვიდა 1918 წელს ორ გამოცემად, და «სრულიად რუსეთის მე-4 მოწვევის ცაკის სხდომების ოქმებში» 1920 წელს. — **331.**

91 «ზ ნ ა მ ი ა ტ რ უ დ ა» — ყოველდღიური «მემარცხენე»-ესერული გაზეთი; გამოსვლა დაიწყო 1917 წლის 23 აგვისტოდან (5 სექტემბრიდან) როგორც ესერების პარტიის პეტროგრადის კომიტეტის ორგანომ; «მემარცხენე» ესერების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის შემდეგ გახდა მათი ცენტრალური ორგანო; დახურულ იქნა 1918 წლის 6 ივლისს ანტისაბჭოთა «მემარცხენე»-ესერული ამბოხების დროს. — **339.**

92 «მემარცხენე კომუნისტების» «თ ე ზ ი ს ე ბ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე მ ო მ ე ნ ტ ი ს შ ე ს ა ხ ებ» განხილულ იქნა პარტიის ც. კ-ის წევრთა და «მემარცხენე კომუნისტების» ჯგუფის გაერთიანებულ სხდომაზე 1918

წლის 4 აპრილს. «თეზისების» დაწვრილებითი გარჩევა და კრიტიკა ლენინმა მოგვცა სტატიაში ««მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 385 — 425). — 342.

93 იგულისხმება წინასწარი კენჭისყრა საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის გამო პარტიის VII ყრილობაზე. — 342.

94 სრულიად უკრაინის საბჭოების მეორე ყრილობა შედგა ეკატერინოსლავში (ახლა დნეპროპეტროვსკი) 1918 წლის 17 — 20 მარტს. ყრილობას ესწრებოდა 964 დელეგატი, მათგან: 428 ბოლშევიკი, 414 «მემარცხენე» ესერი, 82 უპარტიო, 40 — სხვები. ყრილობამ გამოაცხადა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და უკრაინის მუშებსა და გლეხებს მოუწოდა გადამწყვეტი წინააღმდეგობისაკენ გერმანელი ოკუპანტებისადმი. «მემარცხენე კომუნისტები» ცდილობდნენ სრულიად უკრაინის საბჭოების ყრილობა გამოეყენებინათ თავიანთი პროვოკაციული ხაზის გასატარებლად, რისთვისაც ისინი ყრილობაზე გამოვიდნენ გამთიშველი წინადადებით— დაეგმოთ რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ ბრესტის ზავის შეკვრა. ყრილობამ 408 ხმის უმრაჯლესობით 308 ხმის წინააღმდეგ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია ომისა და ზავის შესახებ და 420 ხმით 290 ხმის წინააღმდეგ უარყო წინადადება არ ეცნოთ ბრესტის საზავო ხელშეკრულება. — 343.

95 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი წიგნი «სახელმწიფო და რევოლუცია», რომელზედაც რეცენზია დაიბეჭდა «მემარცხენე კომუნისტების» ორგანოში — ჟურნალ «კომმუნისტში». ლენინი ირონიულად უწოდებს ამ ორგანოს «მემარცხენე კომუნისტს». — 360.

96 «მემარცხენე ციმერვალდი» — მემარცხენე ჯგუფი, რომელიც ლენინმა შექმნა ინტერნაციონალისტთა პირველ სოციალისტურ კონფერენციაზე; კონფერენცია შედგა 1915 წლის სექტემბერს ციმერვალდში (შვეიცარია). ამ კონფერენციას ლენინი უწოდებდა «პირველ ნაბიჯს» ინტერნაციონალური მოძრაობის განვითარებაში ომის წინააღმდეგ. ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფში ეჭირათ ერთადერთი სწორი, ბოლომდე თანამიმდევრული პოზიცია ომის წინააღმდეგ. ამ ჯგუფში იყვნენ არათანამიმდევარი ინტერნაციონალისტებიც. მათი შეცდომების კრიტიკა იხ. ლენინის სტატიებში: «იუნიუსის ბროშურის შესახებ», «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ», ««განიარაღების» ლოზუნგის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 385 — 405, 406 — 459 და

ტომი 23, გვ. 115 — 129) და ი. ბ. სტალინის წერილში «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ» (ი. ბ. სტალინი. «ლენინიზმის საკითხები». მე-11 გამოცემა, გვ. 449 — 463). — **366.**

97 იგულისხმება ანარქისტ ა. ი. გეს გამოსვლა სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე 1918 წლის 29 აპრილს ლენინის მოხსენების გამო «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ». — **366.**

98 ლენინს მხედველობაში აქვს კ. მარქსის სიტყვა ამსტერდამში გამართულ მიტინგზე 1872 წელს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIII, ნაწ. II, 1940, გვ. 669). — **371.**

99 «მ ე ც ნ ი ე რ ულ-ტ ე ქ ნ ი კ ურ ს ა მ უ შ ა ო თ ა გ ე გ მ ი ს მ ო ნ ა ს ა ხ ი» ლენინმა დაწერა იმასთან დაკავშირებით, რომ 1918 წლის მარტის დამლევს მეცნიერებათა აკადემიამ საბჭოთა მთავრობას მიმართა წინადადებით — ჩაება მეცნიერები ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევაში. აკადემიის წინადადება 1918 წლის 12 აპრილს განიხილეს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე; მიღებულ იქნა დადგენილება «მოეწონებინათ ეს წინადადება» და «საჭიროდ ეცნოთ აკადემიის სათანადო სამუშაოთა დაფინანსება». დადგენილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული ის ამოცანა, რომ საჭიროა «ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის სწორი განაწილების პრობლემების სისტემატური გადაწყვეტა და მისი სამეურნეო ძალების ყველაზე უფრო რაციონალური გამოყენება». — **382.**

100 1918 წლის 2 მაისს მოსკოვის რევოლუციურმა ტრიბუნალმა განიხილა საქმე მექრთამეობისათვის მოსკოვის საგამომძიებლო კოლეგიის ოთხი თანამშრომლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ და მექრთამეებს გამოუტანა სასჯელის სუსტი ზომა — მიუსაჯა მათ 6 თვის პატიმრობა. — **384.**

101 «კ ო მ მ უ ნ ი ს ტ» — ყოველკვირეული ჟურნალი, «მემარცხენე კომუნისტების» ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1918 წლის 20 აპრილიდან ივნისამდე; გამოვიდა 4 ნომერი. — **387.**

102 ლენინს მხედველობაში აქვს ადგილი კ. კლაუზევიცის ნაშრომიდან «ომის შესახებ» (იხ. კლაუზევიცი. «ომის შესახებ», ტ. II, მე-3 გამოცემა, 1941, გვ. 157). — **396.**

103 იხ. ფ. ენგელსის ნაშრომი «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1948, გვ. 419). — **410.**

104 ციტატი ვ. ლ. პუშკინის ეპიგრამიდან (იხ. პუშკინი, ვ. ლ., თხზულებანი, ა. სმირდინის გამოცემა, სპბ, 1855, გვ. 150). — **420.**

105 დადგენილება საერთაშორისო მდგომარეობის საკითხის გამო მიღებულ იქნა პარტიის ც. კ-ის სხდომაზე 1918 წლის 6 მაისს ღამით. იგი გამოწვეული იყო ურთიერთობის გამწვავებით გერმანიასთან, რომელიც მოითხოვდა ფორტ ინოს (სიმაგრე ფინეთის საზღვარზე, კრონშტადტთან ერთად იცავდა პეტროგრადის მისადგომებს) გადაცემას ფინეთის ბურჟუაზიული მთავრობისათვის, აგრეთვე ინგლისის დესანტის გადმოსხმით მურმანსკში და იაპონიის დესანტისა — შორეულ აღმოსავლეთში 1918 წლის აპრილში. — **426.**

106 ეს დოკუმენტი შეიტანა ლენინმა და მიღებულ იქნა სახკომსაბჭოს სხდომაზე 1918 წლის 8 მაისს, როდესაც იხილავდნენ სურსათის სახალხო კომისრის ა. დ. ციურუპას მოხსენებას სასურსათო მდგომარეობის შესახებ და დეკრეტს სურსათის კომისრის საგანგებო რწმუნებათა შესახებ. დოკუმენტი წარმოადგენს ინსტრუქციას დეკრეტის გადასამუშავებლად სახკომსაბჭოს სხდომაზე შექმნილი კომისიისათვის.

ლენინის დებულებათა (იხ. ლენინის კრებული XVIII, 1931, გვ. 82—88) საფუძველზე შედგენილი დეკრეტი 1918 წლის 9 მაისს დამტკიცა სახკომსაბჭომ, შემდეგ კი სრულიად რუსეთის ცაკმა და გამოქვეყნდა სრულიად რუსეთის ცაკის 14 მაისის «იზვესტიაში» № 94, აგრეთვე «მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონდებულებათა და განკარგულებათა კრებულში» № 35, 1918 წლის 18 მაისს სათაურით: «სურსათის სახალხო კომისრისათვის პურის მარაგის გადამმალველი და მით სპეკულაციის გამწევი სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო რწმუნებათა მინიჭების შესახებ». — **427.**

107 «პროტესტი გერმანიის მთავრობისადმი უკრაინის ოკუპაციის წინააღმდეგ» ლენინმა დაწერა შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით. 1918 წლის გაზაფხულზე გერმანიის იმპერიალისტებმა მოახდინეს უკრაინის ოკუპაცია, შეიჭრნენ უკრაინაში და მიადგნენ სევასტოპოლს, სადაც თავმოყრილი იყო შავი ზღვის ფლოტი. გერმანელ დამპყრობთაგან ფლოტის გადასარჩენად საბჭოთა მთავრობამ 29 აპრილს გადაიყვანა ის ნოვოროსიისკში. სევასტოპოლში

დარჩა გემების ნაწილი, რომელნიც არ დაემორჩილნენ დადგენილებას გადაყვანის შესახებ. ნოვოროსიისკში ფლოტის მოსვლიდან 10 დღის შემდეგ გერმანიის სარდლობამ ულტიმატურად მოითხოვა ფლოტის გადაყვანა სევასტოპოლში, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა განეგრძო შეტევა შავი ზღვის სანაპიროზე. იმავე დროს გერმანელები აცხადებდნენ, რომ შავი ზღვის ფლოტის გაყვანა სევასტოპოლიდან თითქოს არღვევდა ბრესტის ხელშეკრულებას. სწორედ გერმანიის სარდლობის განცხადების საპასუხოდ დაწერა ლენინმა «პროტესტი», რომელიც აქ იბეჭდება.

დოკუმენტი დასათაურებულია მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტის მიერ. — **429.**

108 ლაპარაკია გერმანიის მთავრობის 1918 წლის 30 მარტის რადიოდეპეშაზე, რომელშიაც განსაზღვრული იყო გერმანიის მიერ ოკუპირებული უკრაინის საზღვრები. გერმანიის მთავრობა აცხადებდა, რომ უკრაინის შემადგენლობაში შედის 9 გუბერნია, მათ შორის თავრიდის გუბერნიაც, მაგრამ უყირიმოდო. ამრიგად, გერმანიის მიერ ყირიმის ოკუპაცია ეწინააღმდეგებოდა გერმანიის მთავრობის ოფიციალურ განცხადებას. — **430.**

109 პროექტი «თეზისებისა თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ» ლენინმა დაწერა 1918 წლის 10 მაისს და მაშინვე იქნა განხილული რკპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე. საბოლოო რედაქციით «თეზისები» ც. კ.-მა დაამტკიცა 1918 წლის 13 მაისს. ამ «თეზისების» საფუძველზე ლენინი იმავე დღეს, ც. კ.-ის დავალებით, გამოვიდა მოხსენებით მოსკოვის საერთო-საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. კონფერენციამ ხმების უმრავლესობით მიიღო ლენინის «თეზისები» როგორც რეზოლუცია.

ყველაზე უფრო სრულად «თეზისები თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ» ლენინმა განავითარა 14 მაისს მოხსენებაში საგარეო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკისა და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე (იხ. ეს ტომი, გვ. 438—460). 14 მაისს ლენინის «თეზისები თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ» მიიღო რკპ(ბ) მოსკოვის საოკრუგო კონფერენციამ და 15 მაისს — მოსკოვის საოლქო კონფერენციამ ლენინის მოხსენების გამო მიმდინარე მომენტის შესახებ (იხ. ეს ტომი, გვ. 461 — 462). — **432.**

110 სრულიად რუსეთის ცაკისა და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე საგარეო პოლიტიკის შესახებ წასაკითხი მოხსენებისათვის

ლენინმა შეადგინა გეგმა (იხ. ლენინის კრებული XI, მე-2 გამოცემა, 1931, გვ. 92). სხდომაზე ლენინის მოხსენებამ გამოიწვია მენშევიკებისა და ესერების მკაცრი თავდასხმები. საბოლოო სიტყვით ლენინის ნაცვლად, რომელსაც არ შეეძლო სხდომის ბოლომდე დარჩენილიყო, გამოვიდა ი. მ. სვერდლოვი; მან პასუხი გასცა მენშევიკებისა და ესერების გამოხდომებს. თათბირმა ხმების უდიდესი უმრავლესობით მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, რომელიც იწონებდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას. რეზოლუცია ხაზგასმით აღნიშნავდა მძლავრი საბჭოთა არმიის ორგანიზაციისა და ბურჟუაზიის მიმართ დიქტატურის გაძლიერების აუცილებლობას. — 438.

111 1917 წლის 22 დეკემბერს (1918 წლის 4 იანვარს) საბჭოთა მთავრობამ ფინეთი სცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1918 წლის შუა თებერვალში ფინეთის სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციურმა მთავრობამ წინადადებით მიმართა საბჭოთა მთავრობას დაედოთ ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ. ხელშეკრულების პროექტის შესამუშავებლად შეიქმნა რუსეთ-ფინეთის შემთანხმებელი კომისია. კომისიის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი განხილულ იქნა სახკომსაბჭოს მთელ რიგ სხდომებზე. პროექტის მიმართ მრავალი შესწორება წამოაყენა ლენინმა (იხ. ლენინის კრებული XXI, 1933, გვ. 241—243). რევოლუციურ ფინეთთან დადებული ხელშეკრულება გამოქვეყნდა 1918 წლის 10 მარტს ლენინის, სტალინის და ფინეთის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენელთა ხელმოწერით. — 458.

112 რკპ(ბ) მოსკოვის საოლქო კონფერენცია შედგა 1918 წლის 14 — 17 მაისს. კონფერენციაზე მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ გააკეთა ლენინმა. «მემარცხენე კომუნისტებმა» გააკრიტიკეს პარტიის ც. კ-ის პოზიცია საგარეო პოლიტიკაში. 42 ხმის უმრავლესობით 9 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ლენინის «თეზისები თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 432 — 437). — 461.

113 საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო საბჭოების საფინანსო განყოფილებათა წარმომადგენლების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა შედგა მოსკოვში 1918 წლის 17—21 მაისს. მას ესწრებოდა 230-მდე დელეგატი. ყრილობამ მიიღო ლენინის წინადადება საშემოსავლო და ქონებრივი გადასახადის შემოღების აუცილებლობის შესახებ, რამაც 1918 წლის 17 ივნისს გამოხატულება პოვა სახკომსაბჭოს დეკრეტით «პირდაპირი

გადასახადების გადახდევინების თაობაზე 1917 წლის 24 ნოემბრის დეკრეტის შეცვლისა და დამატების შესახებ». — **463.**

114 ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ს ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ თ ა კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა შედგა 1918 წლის 12—18 მაისს მოსკოვში. მას ესწრებოდნენ ლითონის ქარხნების წარმომადგენლები. კონფერენცია მოწვეული იყო უდიდესი ქარხნების (სორმოვოს, კოლომნის, ბრიანსკის, ზლატოუსტის, ბელორეცკისა და სხვების) ნაციონალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია ლითონის ქარხნების ნაციონალიზაციის შესახებ და შეიმუშავა ნაციონალიზებულ საწარმოთა მართვის ინსტრუქცია. ლენინის მითითებით კონფერენციამ აირჩია დროებითი საბჭო (სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან) თვითეული საწარმოს წარმომადგენელთაგან სახელმწიფო ლითონის ქარხნების გაერთიანების («გომზა») მოსამზადებლად. — **469.**

115 ««ბ რ ი ა ნ ს კ ი ს» წ ე ს ე ბ ი» — შინაგანაწესის დროებითი წესები ბრიანსკის ლითონის ქარხანაში ბეჟიცაში (ახლა «კრასნი პროფინტერნი»); გამოიცა 1918 წლის 9 მაისს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტისა და ქარხნის დირექტორის ხელმოწერით. წესები ქარხანაში ამკვიდრებდა ახალ შრომის დისციპლინას. 1918 წლის სექტემბერში ისინი შეიცვალა უფრო დაწვრილებით დამუშავებული წესებით. — **469.**

116 «მ ო ნ ა ს ა ხ ი დ ე პ ე შ ი ს ა პ ი ტ ე რ ი ს მ უ შ ე ბ ი ს ა დ მ ი» შევიდა იმ მოწოდების ტექსტში, რომელიც სახკომსაბჭოს თავმჯდომარისა და სურსათის სახალხო კომისრის სახელით გაეგზავნა პარტიის პეტროგრადის კომიტეტს წინადადებით: «მოწოდება გამოქვეყნდეს ყველა ქარხანასა და ფაბრიკაში და მიღებულ იქნას ზომები სასურსათო რაზმებში დაუყოვნებლივ ჩაწერისათვის».

მოწოდების სრული ტექსტი 1918 წლის 22 მაისს დაიბეჭდა «პეტროგრადსკაია პრავდაში» № 103. — **471.**

117 შ რ ო მ ი ს კ ო მ ი ს ა რ თ ა ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს II ყ რ ი ლ ო ბ ა შედგა მოსკოვში 1918 წლის მაისში. ყრილობას ესწრებოდნენ: საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო შრომის კომისარიატების, შრომის ბირჟების, საავადმყოფო სალაროების, დამზღვევ სალაროთა საოლქო გაერთიანებების, პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები — სულ 600 კაცამდე. ყრილობამ განიხილა მოხსენებები: შრომის სახალხო კომისარიატისა, შრომის ნაყოფიერების და შრომის დისციპლინის ამაღლების

შესახებ და მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. ლენინი გამოვიდა სიტყვით შრომის ნაყოფიერებისა და შრომის დისციპლინის ამაღლების საკითხზე. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია შრომის დისციპლინის შესახებ, რომლითაც გადაწყვიტა შეექმნა ადგილებზე ხელფასისა და შრომის ნორმირების ბიუროები, აგრეთვე მიიღო კანონდებულება შრომის დაცვის შესახებ. — **483.**

118 პროექტი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოციალისტური აკადემიის დაარსების შესახებ ლენინმა, როგორც ეტყობა, დაწერა სახკომსაბჭოს სხდომაზე 1918 წლის 25 მაისს, სოციალისტური აკადემიის შესახებ მ. ნ. პოკროვსკის მოხსენებასთან დაკავშირებით, და იგი მიიღო სახკომსაბჭომ. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოციალისტური აკადემიის დებულება, დამუშავებული ლენინის მითითებათა საფუძველზე, 1918 წლის 7 ივნისს განხილულ იქნა სახკომსაბჭოს სხდომაზე. სახკომსაბჭომ მოიწონა დებულება და გამოყო კომისია აკადემიის წესდების დაწვრილებით დასამუშავებლად. ამ კომისიისათვის ლენინმა შეადგინა დირექტივები, რომლებიც აგრეთვე მიიღო სახკომსაბჭომ. — **490.**

119 «თეზისები «მიმდინარე» მომენტის გამო» დამტკიცა რკპ(ბ) ც. კ-მა 1918 წლის 26 მაისს. ხელმძღვანელობდა რა თეზისებით, სახკომსაბჭომ 1918 წლის 28 მაისს მიიღო დადგენილება სასურსათო პოლიტიკის შესახებ და დაავალა სურსათის სახალხო კომისარიატს დაეწერა მოწოდება მუშებისა და გლეხებისადმი პურისათვის საბრძოლველად შეიარაღებული რაზმების ორგანიზაციის შესახებ. ლენინის «თეზისების» საფუძველზე შედგენილი მოწოდება სახკომსაბჭომ დაამტკიცა 1918 წლის 29 მაისს და გამოქვეყნდა 1918 წლის 31 მაისს. — **492.**

120 სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობა შედგა 1918 წლის 26 მაისს — 4 ივნისს. მას ესწრებოდა 104 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 148 — სათათბირო ხმით; დელეგატთა დიდი უმრავლესობა ბოლშევიკები იყვნენ (70 პროცენტი). ყრილობა მოწვეული იყო მაშინდელ მომენტში ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად — სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის მეთოდების შესახებ სამოქალაქო ომის პირობებში, რომელიც ჩაღდებოდა. ყრილობაზე სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის ლენინური გეგმის წინააღმდეგ, მმართველობის ცენტრალიზაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ «მემარცხენე კომუნისტების» წარმომადგენლები, აგრეთვე მენშევიკები და მემარჯვენე ესერები. მაგრამ ყრილობამ ხმების უმრავლესობით მიიღო ბოლშევიკური

გადაწყვეტილებანი. ყრილობამ საჭიროდ ჩათვალა გადასვლა შემდგომ საყოველთაო ნაციონალიზაციაზე, გაავრცელა ის არა მარტო მრეწველობის ძირითად დარგებზე, არამედ კერძო მსხვილ სავაჭრო საწარმოებზედაც. ყრილობამ მიიღო დებულება ნაციონალიზებულ საწარმოთა მმართველობის შესახებ, დადგენილება ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაციის პროექტი და შეიმუშავა შრომის დისციპლინისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლის ზომები. — **495.**

121 «მ ი მ ა რ თ ვ ა რ კ ი ნ ი გ ზ ე ლ ე ბ ი ს ა, წ ყ ლ ი ს ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს მ უ შ ა კ ე ბ ი ს ა დ ა მ ე ლ ი თ ო ნ ე ე ბ ი ს ა დ მ ი» ლენინმა დაწერა სახკომსაბჭოს 1918 წლის 29 მაისის იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც კრძალავდა პურის დამოუკიდებლად დამზადებას სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ (იხ. ლენინის კრებული XVIII, 1931, გვ. 103). ეს გადაწყვეტილება წარმოადგენდა პასუხს ორგანიზაციების იმ მოთხოვნებზე, რომ მიეცათ მათთვის პურის დამოუკიდებლად დამზადების უფლება. შეცვლილი სახით, როგორც «სახკომსაბჭოს დადგენილება დამოუკიდებელ დამზადებათა საკითხის შესახებ», მიმართვა გამოქვეყნდა 1918 წლის ივნისში. — **507.**

122 ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ც ა კ ი ს, მ ო ს კ ო ვ ი ს მ უ შ ა თ ა, გ ლ ე ხ თ ა დ ა წ ი თ ე ლ ა რ მ ი ე ლ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ს დ ა პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს გ ა ე რ თ ი ა ნ ებ უ ლ ი ს ხ დ ო მ ა შედგა 1918 წლის 4 ივნისს დიდი თეატრის შენობაში. სხდომა გახსნა ი. მ. სვერდლოვმა. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი — შიმშილობასთან ბრძოლის შესახებ. მოხსენება გააკეთა ვ. ი. ლენინმა. საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მკაცრი თავდასხმებით და მისი სასურსათო პოლიტიკის კრიტიკით სხდომაზე გამოვიდნენ «მემარცხენე» და მემარჯვენე ესერები და მენშევიკები. მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგობისა, შიმშილობასთან ბრძოლის შესახებ ლენინის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი საფუძვლად დაედო რეზოლუციას, რომელიც სხდომამ მიიღო. — **511.**

123 ლენინს ციტატი მოყავს «შესავალიდან ბორკჰეიმის ბროშურისა «სახსოვრად 1806—1807 წლების მეავე «პატრიოტებს»»; ეს შესავალი ფ. ენგელსმა დაწერა 1887 წლის 15 დეკემბერს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 304). — **515.**

124 «ქ ი ზ ნ» — ბურჟუაზიულ-ანარქისტული მიმართულების გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1918 წლის 23 აპრილიდან 6 ივლისამდე; დახურულ იქნა სხვა კონტრრევოლუციურ გაზეთებთან ერთად. — 528.

125 იგულისხმება სრულიად რუსეთის ცაკის დეკრეტები: «სუსურსათის სახალხო კომისრისათვის პურის მარაგის გადამმალველი და მით სპეკულაციის გამწევი სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო რწმუნებათა მინიჭების შესახებ», რომელიც ხელმოწერილ იქნა 1918 წლის 13 მაისს («დეკრეტი სასურსათო დიქტატურის შესახებ»), და «სურსათის სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი სასურსათო ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ», რომელიც მიიღო სრულიად რუსეთის ცაკმა 1918 წლის 27 მაისს. დეკრეტები სახავდა სასურსათო საქმის ცენტრალიზაციას როგორც დამზადების დარგში, ისე განაწილებისა და ადგილობრივი სასურსათო კომიტეტების მოქმედებისადმი კონტროლის დარგში. — 528.

126 ლაპარაკია ჩეხ-სლოვაკთა სამხედრო კორპუსის კონტრრევოლუციურ გამოსვლაზე, რომელიც მოაწყვეს ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებმა, მენშევიკებისა და ესერების აქტიური მონაწილეობით.

ჩეხ-სლოვაკთა კორპუსი, რომელიც შედგებოდა პირველი მსოფლიო ომის დროს წამოყვანილი სამხედრო ტყვეებისაგან, 1917 წელს ჩამოაყალიბა დროებითმა მთავრობამ გერმანიასთან ომისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კორპუსის კონტრრევოლუციური ოფიცერთა შემადგენლობა რუსეთის კონტრრევოლუციამ და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმმა გამოიყენეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. გამოსვლა დაიწყო 1918 წლის მაისს ჩელიაბინსკში. ჩეხ-სლოვაკთა კორპუსის დახმარებით კონტრრევოლუციამ მოახერხა ხელში ჩაეგდო ურალი, ვოლგისპირეთი, შემდეგ—ციმბირი. ჩეხ-სლოვაკთა საფარით მენშევიკებმა და ესერებმა სამარაში შექმნეს თეთრგვარდიულ-ესერული მთავრობა, ომსკში — ციმბირის თეთრგვარდიული მთავრობა.

1918 წლის ოქტომბერში ვოლგისპირეთი გაათავისუფლა წითელმა არმიამ. ჩეხ-სლოვაკთა კორპუსის კონტრრევოლუციური გამოსვლა საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა 1919 წლის დამლევისათვის კოლჩაკის განადგურებასთან ერთად. — 589.

127 ლ ე ნ ი ნ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი რ ე ზ ო ლ უ ც ი ი ს ა შ ი მ შ ი ლ ობ ა ს თ ა ნ ბ რ ძ ო ლ ი ს შ ე ს ა ხ ებ წ ა კ ი თ ხ უ ლ ი მ ო ხ ს ე ნ ებ ი ს გ ა მ ო საფუძვლად დაედო იმ რეზოლუციას, რომელიც მიიღო სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოსა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულმა სხდომამ 1918 წლის 4 ივნისს. — 543.

128 მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა სრულიად რუსეთის ყრილობა შედგა მოსკოვში 1918 წლის 2—6 ივნისს. ყრილობას ესწრებოდა 121 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. ყრილობამ გააერთიანა საბჭოთა ხელისუფლების მომხრე მასწავლებელთა რევოლუციური ჯგუფები.

ლენინი მისალმებით გამოვიდა ყრილობის მეოთხე სხდომაზე. — **545.**

129 ლაპარაკია ი. ბ. სტალინის 1918 წლის 9 და 10 ივნისის დეპეშებზე ცარიცინიდან. სტალინი, რომელიც ცარიცინში იმყოფებოდა როგორც სასურსათო საქმის ხელმძღვანელი სამხრეთ რუსეთში, ლენინისადმი გაგზავნილ დეპეშებში სახავდა პურის დამზადებისა და მოსკოვში მისი გაგზავნის კონკრეტულ გეგმას; «ამისათვის სტალინი მოითხოვდა გაეგზავნათ საოლქო საგანგებო სასურსათო კომიტეტის განკარგულებაში 75 მილიონი მანეთი და 35 მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელი. სტალინი აგრეთვე ატყობინებდა ლენინს, რომ სურსათით დატვირთული მატარებლები უძრავად დგანან სადგურზე მოსამსახურეთა დოყლაპიობის გამო.

ი. ბ. სტალინის დეპეშები გამოქვეყნდა 1942 წელს კრებულში «დოკუმენტები ცარიცინის გმირული დაცვის შესახებ 1918 წელს», გვ. 48—49. — **547.**

130 ლენინის სიტყვა «სასურსათო რაზმების შესახებ» მოსკოვის მუშათა კრებებზე, გამოქვეყნდა ყოველდღიურ გაზეთ «ბედნოტაში», რომელსაც სცემდა საკავშირო კპ(ბ) ც. კ. 1918 — 1931 წლებში. — **548.**

131 ვ. ვოლოდარსკი მემარჯვენე ესერებმა მოკლეს 1918 წლის 20 ივნისს, პეტროგრადის საბჭოს არჩევნების დღეებში. — **551.**

132 «დეპეშა სასურსათო რაზმების ორგანიზაციის შესახებ» 1918 წლის 27 ივნისს გაეგზავნა პენზაში საბჭოების II საერთო-საგუბერნიო ყრილობას. — **555.**

133 ქ. მოსკოვის პროფესიული კავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების IV კონფერენცია შედგა 1918 წლის 27 ივნისს—2 ივლისს. კონფერენციის ძირითადი საკითხები იყო: სასურსათო საკითხი, მიმდინარე მომენტთან დაკავშირებით; საყოველთაო სამხედრო სწავლებისა და მობილიზაციის შესახებ; შრომის დისციპლინის შესახებ და სხვები. მიუხედავად მენშევიკების და ესერების ძლიერი წინააღმდეგობისა, კონფერენციამ ყველა საკითხზე მიიღო კომუნისტური ფრაქციის მიერ შეტანილი რეზოლუციები.

ლენინის მოხსენების გამო მიმდინარე მომენტის შესახებ კონფერენციამ საფუძვლად მიიღო რეზოლუციის მისი პროექტი (იხ. ეს ტომი, გვ. 603). — 559.

134 ლაპარაკია გაფიცვებზე ავსტრიაში, რომლებმაც იფეთქეს 1918 წლის იანვარში ბრესტის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით. გაფიცვები მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთის მიერ წამოყენებული პირობების საფუძველზე საყოველთაო ზავის დაუყოვნებლივ დადების, საყოველთაო საარჩევნო უფლების, პროდუქტების სამართლიანი განაწილებისა და სხვ. ლოზუნგებით. საგაფიცვო ბრძოლის მსვლელობაში ვენასა, ბუდაპეშტსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში, რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის გავლენით, შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭოები და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. მოძრაობა ჩაახშეს, საბჭოები გარეკეს ავსტრიის სოციალ-დემოკრატების აშკარა გამცემლობისა და დახმარების მეოხებით. — 563.

135 «წ ი ნ» («Vorwärts») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტის რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი ეწეოდა ბრძოლას ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ოპორტუნისტებისა, რომელნიც ბატონობდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში და II ინტერნაციონალში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914—1918) «Vorwärts»-ი სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაზეთი «Vorwärts»-ი გახდა ანტისაბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი ცენტრი; გამოდიოდა ბერლინში 1933 წლამდე.

1946 წლის აპრილიდან «Vorwärts»-ი კვლავ გამოდის ბერლინში; მას სცემს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის ორგანიზაცია.

ლენინს მხედველობაში აქვს სტატია «გამოაშკარავებული საიდუმლო ხელშეკრულებანი», რომელიც დაიბეჭდა «Vorwärts»-ში № 326, 1917 წლის 28 ნოემბერი. — 587.

136 «წ ი ნ ა ო რ ა ტ ო რ ი» — ვ. ა. ტიხომიროვი, 1918 წელს — ბოგოროდსკის კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარე; ბოგოროდსკის მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელი მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების IV კონფერენციაზე. — 591.

137 ლენინს მხედველობაში აქვს სტატია «ფრანგული მილიონები», რომელიც 1918 წლის 28 ივნისს გამოქვეყნდა მოსკოვს გამოსულ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ორგანოში — «Prukopnik Svobody» («თავისუფლების დროშა») და იმავე დღეს გადაბეჭდეს «პრავდაში» № 130 და ნაწილობრივ — სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» № 132. — **592.**

138 შავი ზღვის ფლოტი, რომელიც გერმანელ დამპყრობთა მიერ ყირიმის ოკუპაციასთან დაკავშირებით გადაყვანილ იქნა სევასტოპოლიდან ნოვოროსიისკში, 1918 წლის 18 ივნისს ჩაძირეს ნოვოროსიისკში ლენინის განკარგულებით. საბჭოთა მთავრობამ, რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა გადაერჩინა ფლოტი გერმანელ იმპერიალისტთაგან და არ უნდოდა ჩაებარებინა ის გერმანიის სარდლობისათვის, რომელმაც ულტიმატურად მოითხოვა ფლოტის გადაყვანა სევასტოპოლში, ბრძანება გასცა ჩაეძირათ ის. — **596.**

139 ლაპარაკია პეტროგრადის საბჭოს არჩევნებზე 1918 წლის ივნისში. მენშევიკებმა და ესერებმა არჩევნების დროს გააფთრებული ბრძოლა გააჩაღეს ბოლშევიკების წინააღმდეგ და ცდილობდნენ დემაგოგიურად გამოეყენებინათ მათთან ბრძოლაში პეტროგრადის მუშათა მძიმე სასურსათო მდგომარეობა. მიუხედავად მენშევიკების და ესერების ანტისაბჭოთა აგიტაციისა და კონტრრევოლუციური მოქმედებისა, არჩევნებმა ხმების უმრავლესობა კომუნისტებს არგუნა. საბჭოს პირველ სხდომას 1918 წლის 27 ივნისს ესწრებოდა: 405 ბოლშევიკი, 75 «მემარცხენე» ესერი, 59 მენშევიკი და მემარჯვენე ესერი და 43 უპარტიო. — **601.**

140 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 303 — 304. — **608.**

141 სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობა გაიხსნა 1918 წლის 4 ივლისს. ყრილობას ესწრებოდა 1164 დელეგატი, მათგან: 773 ბოლშევიკი, 353 «მემარცხენე» ესერი, 17 მაქსიმალისტი, 4 ანარქისტი, 4 სოციალ-დემოკრატ-ინტერნაციონალისტი, 1 მემარჯვენე ესერი და სხვები. ყრილობის დღის წესრიგში იდგა საკითხები: სრულიად რუსეთის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიშები; სასურსათო საკითხი; სოციალისტური წითელი არმიის ორგანიზაცია; რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია; სრულიად რუსეთის ცაკის არჩევნები.

მოხსენება სახკომსაბჭოს საქმიანობის შესახებ გააკეთა ვ. ი. ლენინმა; მოხსენება სრულიად რუსეთის ცაკის საქმიანობის შესახებ—ი. მ. სვერდლოვმა. «მემარცხენე» ესერებმა ყრილობაზე დაიკავეს

მკვეთრად მტრული პოზიცია ბოლშევიკების ყველა წინადადების მიმართ. სრულიად რუსეთის ცაკისა და სახკომსაბჭოს საქმიანობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებათა გამო ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოიწონა საბჭოთა ხელისუფლების საგარეო და საშინაო პოლიტიკა, განსაკუთრებით კი მთავრობის ღონისძიებანი სასურსათო საქმისა და სოფლის ღარიბობის ორგანიზაციის დარგში.

6 ივლისს ყრილობის მუშაობა შეწყდა «მემარცხენე» ესერთა დაწყებული კონტრრევოლუციური ამბოხების გამო. ყრილობამ მუშაობა განაახლა 9 ივლისს და განიხილა მოხსენებები სასურსათო საკითხის შესახებ და წითელი არმიის შექმნის შესახებ. ყრილობამ დაამტკიცა საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი და გადასცა ის ახლად არჩეულ სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს საბოლოოდ დასამუშავებლად და გამოსაქვეყნებლად. 1918 წლის 10 ივლისს ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა. — **619.**

142 «წ ი ნ ა ო რ ა ტ ო რ ი» — «მემარცხენე» ესერების წარმომადგენელი ყრილობაზე, მ. სპირიდონოვა; გამოდიოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული მოხსენებით სრულიად რუსეთის ცაკის გლეხთა სექციის საქმიანობის შესახებ. — **621.**

143 «გ ო ლ ო ს ტ რ უ დ ო ვ ო გ ო კ რ ე ს ტ ი ა ნ ს ტ ვ ა» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის ნოემბრის დამლევიდან როგორც სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების მე-2 მოწვევის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო (9 (22) დეკემბრამდე ეწოდებოდა სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობის «იზვესტია»); 1918 წლის 20 იანვრიდან (2 თებერვლიდან) სრულიად რუსეთის ცაკის გლეხთა სექციის ორგანო. 1918 წლის 10 ივლისამდე გაზეთის ხელმძღვანელობა «მემარცხენე» ესერების ხელში იყო.

1918 წლის 6 ნოემბრიდან გაზეთი «გოლოს ტრუდოვოგო კრესტიანსტვა» გადაკეთდა მიწსახკომის ორგანოდ; გამოდიოდა 1919 წლის 31 მაისამდე. — 627.

144 რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ფ ე დ ე რ ა ც ი უ ლ ი ს ა ბ ჭ ო თ ა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ს ა ბ ჭ ო თ ა კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი ს პ რ ო ე ქ ტ ი (ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა ნ ო ნ ი) შეადგინა სპეციალურმა კომისიამ ი. ბ. სტალინისა და ი. მ. სვერდლოვის მეთაურობით; ეს კომისია შექმნა სრულიად რუსეთის ცაკმა 1918 წლის 1 აპრილს. კომისიის მუშაობას საფუძვლად დაედო ლენინის მიერ დაწერილი «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია» და რეზოლუცია «რუსეთის რესპუბლიკის ფედერალურ დაწესებულებათა შესახებ» (პროექტი დაწერილია ი. ბ. სტალინის მიერ), რომელიც მიიღო

სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობამ ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო. ი. ბ. სტალინის მიერ შედგენილი «რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგად დებულებათა» პროექტი (იხ. თხზულებანი, ტომი 4, 1948, გვ. 85 — 86) განხილულ და მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის ცაკის კომისიის სხდომაზე 1918 წლის 19 აპრილს. 1918 წლის 3 ივლისს სრულიად რუსეთის ცაკის კომისიის პროექტი განიხილა პარტიის ც. კ-ის კომისიამ ლენინის თავმჯდომარეობით. ც. კ-ის კომისიის მიერ დამტკიცებული კონსტიტუციის პროექტი წარედგინა სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობას, რომელმაც იგი ერთხმად მიიღო. რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია გამოქვეყნდა 1918 წლის 19 ივლისს, როგორც ძირითადი კანონი, რომელიც ძალაში შევიდა მისი გამოქვეყნების მომენტიდან. — **631.**

145 ღ ა რ ი ბ თ ა კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი (ღარიბკომები) დაწესდა სრულიად რუსეთის ცაკის 1918 წლის 11 ივნისის დეკრეტით («სოფლის ღარიბობის ორგანიზაციისა და პურით, პირველი აუცილებლობის საგნებითა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებით მისი მომარაგების შესახებ»). დეკრეტის მიხედვით ღარიბთა კომიტეტების საქმიანობის ფარგლებში შედიოდა: პურის, პირველი აუცილებლობის საგნებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების განაწილება; ადგილობრივი სასურსათო ორგანოებისადმი დახმარების აღმოჩენა კულაკებისა და მდიდრებისათვის ჭარბი პურის ჩამორთმევაში. დეკრეტი აწესებდა სხვადასხვა შეღავათებს ღარიბთათვის პურისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების განაწილების დროს.

ღარიბთა კომიტეტები იყო პროლეტარიატის დიქტატურის დასაყრდენი პუნქტები სოფლად. მათ უდიდესი როლი შეასრულეს კულაკობასთან ბრძოლაში, კონფისკებული მიწების გადანაწილებაში, მუშათა ცენტრებისა და წითელი არმიის სურსათით მომარაგებაში. ღარიბთა კომიტეტების ორგანიზაცია შემდგომი ეტაპი იყო სოციალისტური რევოლუციის გაჩაღებაში სოფლად. ღარიბთა კომიტეტები ხელს უწყობდნენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას სოფლად და მათ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდათ საშუალო გლეხის გადმოსაყვანად საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო VI ყრილობის (1918 წლის ნოემბერი) გადაწყვეტილებით ღარიბთა კომიტეტები, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი ამოცანები, შეუერთდნენ საბჭოებს სოფლად. — **639.**

146 «ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის აღმდგენი კომიტეტი» 1916 წლის იანვარს პარიზში შექმნეს ციმერვალდის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის (1915 წლის სექტემბერი) ფრანგმა წარმომადგენლებმა. კომიტეტი ეწეოდა პროპაგანდას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, მან გამოსცა მთელი რიგი ბროშურები და ფურცლები, რომლებიც ამხელდნენ იმპერიალისტთა დამპყრობლურ მიზნებს და მუშათა კლასის ინტერესთა გამცემლობას სოციალ-შოვინისტების მიერ. რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის გაძლიერების გავლენით კომიტეტი გახდა რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური ელემენტების ცენტრი. 1920 წელს ის შეევიდა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში, რომელიც მაშინ შეიქმნა.

მოწოდება, რომელზედაც ლენინი ლაპარაკობს, დაიბეჭდა «პრავდაში» № 131, 1918 წლის 29 (16) ივნისს. — **648.**

147 სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი სამთამადნო, მეტალურგიული და ლითონდამმუშავებელი, საფეიქრო, ელექტროტექნიკური, ხე-ტყის სახერხი და მრეწველობის სხვა დარგების უდიდეს საწარმოთა ნაციონალიზაციის შესახებ, მიღებული 1918 წლის 28 ივნისს, გამოქვეყნდა 1918 წლის 30 ივნისს. — **658.**

148 მოსკოვის საქარხნო კომიტეტების საგუბერნიო კონფერენცია შედგა 1918 წლის 23 — 24 ივლისს. მას ესწრებოდა 500 დელეგატი, რომელნიც წარმოადგენდნენ 700 ათასზე მეტ ორგანიზებულ მუშას. მიმდინარე მომენტის საკითხზე ლენინის გამოსვლის შემდეგ კონფერენციამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც უფრო ადრე ლენინის მოხსენების გამო მიიღო ქ. მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფესიული კავშირების IV კონფერენციამ (1918 წლის 27 ივნისი — 2 ივლისი). — **670.**

149 «მუშათა დრედნოუტი» («**Workers' Dreadnought**») — ინგლისის მუშათა სოციალისტური ფედერაციის ორგანო; გამოდიოდა ლონდონში 1914 წლის მარტიდან 1924 წლის ივნისამდე. — **671.**

150 იმის გამორკვევა, თუ ტაშკენტიდან მიღებულ რომელ დეპეშაზეა ლაპარაკი — არ მოხერხდა. — **676.**

151 თეთრგვარდიელთა აჯანყება იაროსლავლში დაიწყო 1918 წლის 6 ივლისს. ის მოაწყო კონტრრევოლუციურმა «სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის კავშირმა», რომლის ხელმძღვანელი იყო მემარჯვენე ესერი ბ. სავინკოვი. იაროსლავლის ამბოხება, ისე

როგორც სხვა კონტრრევოლუციური ამბოხებანიც მაშინდელ საბჭოთა რუსეთში, მოამზადეს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებმა მენშევიკებისა და ესერების აქტიური დახმარებით. ამბოხების ორგანიზაცია შედიოდა რუსეთში ინგლის-საფრანგეთის ინტერვენციის საერთო გეგმაში. ინგლისის მისიის მეთაური მოსკოვში ლოკარტი და საფრანგეთის ელჩი ნულანსი იყვნენ საბჭოთა რუსეთში 1918 წელს მოწყობილ კონტრრევოლუციურ ამბოხებათა მთავარი სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები, ისინი აფინანსებდნენ და იარაღით ამარაგებდნენ მეამბოხეებს. იაროსლავლელ თეთრგვარდიელებს სავინკოვთან ერთად სათავეში ედგა მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი ა. პერხუროვი, რომელიც ფულად სახსრებს აჯანყების მოსაწყობად უშუალოდ ნულანსისგან იღებდა.

იაროსლავლის ამბოხება 1918 წლის 21 ივლისს ჩაახშეს წითელი არმიის რაზმებმა. — **676.**

152 ლაპარაკია ზინოვიევის დაჯგუფების ანტიპარტიულ, დეზორგანიზატორულ საქციელზე; ეს დაჯგუფება წინააღმდეგობას უწევდა ლენინის პოლიტიკას და პეტროგრადის ორგანიზაციებში ნერგავდა ანტისახელმწიფოებრივ ტენდენციებს. — **681.**

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1918* წლის თებერვალი — ივლისი)

1918

თებერვალი, 21. ლენინის სტატია «რევოლუციური ფრაზის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «პრავდაში» № 31.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს გერმანიის შემოტევისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სამხედრო-ტექნიკური დახმარების გამოყენების შესახებ.

ლენინი წერს სახკომსაბჭოს დეკრეტის პროექტს «სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!».

თებერვალი, 22. ლენინი წერს სტატიას «მღიერის შესახებ», რომელიც იმავე დღეს ქვეყნდება გაზეთ «პრავდაში» № 33 (საღამოს გამოშვება).

ლენინი პირდაპირი მავთულით ატყობინებს მოსკოვში ფოსტა-ტელეგრაფის კომისარს გერმანელთა შემოტევის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს პეტროგრადის განტვირთვის საგანგებო კომისიის დანიშვნის შესახებ და სხვ.

თებერვალი, 23. ლენინი მონაწილეობს პარტიის ც. კ-ის სხდომაში, ი. ბ. სტალინთან ერთად ხმას აძლევს გერმანიის მთავრობის საზავო წინადადებათა დაუყოვნებლივ მიღებისა და რევოლუციური ომის მომზადების სასარგებლოდ.

ლენინის სტატია «ზავი თუ ომი?» ქვეყნდება გაზეთ «პრავდაში» № 34 (საღამოს გამოშვება).

ლენინი სრულიად რუსეთის ცაკის ბოლშევიკებისა და «მემარცხენე» ესერების ფრაქციათა გაერთიანებულ სხდომაზე გამოდის სიტყვით გერმანიის საზავო პირობების მიღების აუცილებლობის შესახებ.

ლენინი უგზავნის დეპეშას დონის ფრონტის სარდლობას და დირექტივას აძლევს დაუყოვნებლივ აიღონ როსტოვი.

თებერვალი, 23, ღამე. ლენინი სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე გამოდის მოხსენებით გერმანიის საზავო პირობების შესახებ.

თებერვალი, 24. გაზეთ «პრავდის» 34-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის ნაშრომები: «უბედური ზავი» და «თეზისები სეპარატიული და ანექსიონისტური ზავის დაუყოვნებლივ დადების საკითხზე».

ლენინი მონაწილეობს რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე; გამოდის წინადადებით ბრესტში გასაგზავნი საზავო დელეგაციის შემადგენლობის შესახებ. ც. კ. იღებს ლენინის წინადადებას.

ლენინი წერს «შენიშვნას ზავზე ხელისმოწერის აუცილებლობის შესახებ» გერმანიასთან.

ლენინი ი. მ. სვერდლოვთან ერთად წერს პარტიის წევრებისადმი რსდმპ(ბ) ც. კ-ის ორგბიუროს მიმართვის პროექტს: «რსდმპ (ბოლშევიკების) ც. კ-ის პოზიცია სეპარატიული და ანექსიონისტური ზავის საკითხში».

თებერვალი, 24, ღამე. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობის საკითხს გერმანელების მიერ ფსკოვის დაკავებასთან დაკავშირებით.

თებერვალი, 25. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს ფინეთის სოციალისტურ რესპუბლიკასთან რსფს რესპუბლიკის ხელშეკ-

რულების შესახებ — წერს დადგენილების პროექტს და შეაქვს შესწორებანი ხელშეკრულების პროექტისადმი.

ლენინის სტატია «მძიმე, მაგრამ აუცილებელი გაკვეთილი» ქვეყნდება გაზეთ «პრავდაში» № 35 (საღამოს გამოშვება).

თებერვალი, 26. ლენინი წერს სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტს მთავრობის ევაკუაციის შესახებ პეტროგრადიდან მოსკოვში.

თებერვალი, 27. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს რუსეთისა და ფინეთის რესპუბლიკებს შორის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ — წერს დადგენილების პროექტს.

ლენინი წერს სახკომსაბჭოს დირექტივას რუსეთ-ფინეთის შემთანხმებელი კომისიისადმი: მიღწეულ იქნას ორივე რესპუბლიკის მოქალაქეთა სრული პოლიტიკური უფლებები — ფინელთათვის რსფსრ-ში, საბჭოთა მოქალაქეებისათვის ფინეთში.

თებერვალი, 28. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას; სახკომსაბჭო რწმუნებას აძლევს ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას რუსეთისა და ფინეთის რესპუბლიკებს შორის.

დასაწყისი ლენინის სტატიისა «უცნაური და შემზარავი» ქვეყნდება გაზეთ «პრავდაში» № 37.

მარტი, 1. დასასრული ლენინის სტატიისა «უცნაური და შემზარავი» და სტატია «საქმიან ნიადაგზე» ქვეყნდება გაზეთ «პრავდაში» № 38.

მარტი, 2. ლენინი წერს პროექტს ბრძანებისას დეპუტატთა ყველა საბჭოსადმი წინადადებით — მოემზადონ თავდაცვისათვის გერმანელებთან საზავო მოლაპარაკების შესაძლო შეწყვეტასთან დაკავშირებით.

მარტი, 4. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: წყლის ტრანსპორ-

ტის სამმართველოს ორგანიზაციის შესახებ — წერს დადგენილების პროექტს; სახელმწიფო კონტროლის შესახებ; მთავრობის დაწესებულებათა ევაკუაციის შესახებ.

მარტი, 5. ლენინი წერს სტატიას «სერიოზული გაკვეთილი და სერიოზული პასუხისმგებლობა».

მარტი, 6 — 8. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მეშვიდე ყრილობა. ლენინს ირჩევენ ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობაში; ის ხელმძღვანელობს ყრილობის მუშაობას.

მარტი, 7. ლენინი გამოდის ყრილობის მეორე სხდომაზე ც. კ-ის პოლიტიკური ანგარიშით (მოხსენება ომისა და ზავის შესახებ).

მარტი, 8. ლენინი გამოდის ყრილობის მეოთხე სხდომაზე საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო ომის და ზავის შესახებ. ყრილობა ამტკიცებს ც. კ-ის ანგარიშს; ყრილობა იღებს ლენინის მიერ შეტანილ რეზოლუციას ომისა და ზავის შესახებ.

ლენინი გამოდის ყრილობის მეხუთე სხდომაზე მოხსენებით პროგრამის გადასინჯვისა და პარტიის სახელწოდების შეცვლის საკითხზე. ყრილობა იღებს ლენინის რეზოლუციას პარტიის სახელწოდების შეცვლის შესახებ რუსეთის კომუნისტურ პარტიად (ბოლშევიკებისა); ყრილობა ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს ირჩევს პარტიის პროგრამის გადამსინჯველ კომისიაში.

ლენინს და სტალინს ყრილობის სხდომაზე ირჩევენ რკპ(ბ) ც. კ-ის წევრებად.

მარტი, არა უადრეს 8-ისა. ლენინი ადგენს «პასუხების ნაკრებს კითხვაზე: «ომი თუ ზავი»» იმ დეპეშების მიხედვით, რომლებიც სახკომსაბჭომ და ცაკმა მიიღეს დეპუტატთა ყველა საბჭოსათვის 1918 წლის 25 თებერვალს ადგილებზე დაგზავნილი შეკითხვის პასუხად.

მარტი, 9. ლენინის მიერ შედგენილი პარტიის «პროგრამის პროექტის შავად დაწერილი მონასახი» ქვეყნდება გაზეთ «კომმუნისტში» № 5.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: პეტროგრადის მრეწველობის ევაკუაციის შესახებ; ნავთობის სარეწების ნაციონალიზაციის შესახებ.

მარტი, 10 — 11. ლენინი ი. ბ. სტალინთან და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად პეტროგრადიდან გადადის მოსკოვში.

მარტი, 11. ლენინი წერს სტატიას «ჩვენი დროის მთავარი ამოცანა».

მარტი, 12. ლენინი გამოდის სიტყვებით მიმდინარე მომენტზე მოსკოვის საბჭოს სხდომაზე და მიტინგზე ალექსის მანეეში.

მარტი, 13. ლენინი გამოდის სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაზე სიტყვით გერმანიასთან ზავის რატიფიკაციის აუცილებლობის შესახებ.

მარტი, 14. ლენინი გამოდის სიტყვით გერმანიის, ავსტრიის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხიისა და სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატ-ინტერნაციონალისტთა კონფერენციაზე (შედგა მოსკოვში).

მარტი, 14 — 16. სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობა. ლენინს ირჩევენ პრეზიდიუმის შემადგენლობაში; ის ხელმძღვანელ მონაწილეობას ღებულობს ყრილობის მუშაობაში.

მარტი, 14. საბჭოების საგანგებო IV ყრილობა იღებს ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციის პროექტს ყრილობისადმი აშშ-ის პრეზიდენტ ვილსონის მიმართვის გამო.

ლენინი გამოდის მოხსენებით საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ საბჭოების საგანგებო IV ყრილობაზე.

მარტი, 16. ლენინი გამოდის საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ საბჭოების საგანგებო IV ყრილობაზე; ყრილობა იღებს ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციას ამ საკითხზე.

მარტი, 18. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მთავრობის შემადგენლობიდან გასული «შემარცხენე» ესერებისა და «შემარცხენე კომუნისტების» შეცვლის შესახებ; მოსკოვის ბურჟუაზიული პრესის დახურვის შესახებ; შეაქვს წინადადებანი რკინიგზების მართვის ცენტრალიზაციის შესახებ.

მარტი, 19. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს უმაღლესი სამხედრო საბჭოს ორგანიზაციის შესახებ და სხვ.

მარტი, 23. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: დაზღვევის ყველა სახისადმი სახელმწიფო კონტროლის დაწესების შესახებ — წერს შენიშვნებს დადგენილების პროექტისადმი; რკინიგზების მართვის ცენტრალიზაციის შესახებ — გამოდის დეკრეტის დასაცავად. სახკომსაბჭო ლენინის თავმჯდომარეობით ქმნის კომისიას მოსკოვის პურით უზრუნველყოფისათვის ვიწროლიანდაგიანი გზების აგების საკითხის გადასაწყვეტად.

მარტი, 24. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს მიერ 23 მარტს შექმნილი კომისიის სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ბამბის პროგრამის შესახებ; მორწყვის სამუშაოების შესახებ თურქესტანში და სხვ.

მარტი, 25. ლენინი მონაწილეობს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაში, რომელზედაც იხილავენ კოოპერაციის საკითხს.

მარტი, 26. ლენინი მოსკოვის საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაზე გამოდის მოხსენებით: ორგანიზაციული საკითხი მიმდინარე მომენტთან დაკავშირებით.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ყველა განყოფილების მიერ თანხების ხარჯვისადმი კონტროლის დაწესების შესახებ — წერს დადგენილების პროექტს; წყლის ტრან-

სპორტის მდგომარეობის შესახებ — წერს დადგენილების პროექტს; სოფელთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

მარტი, 27. ლენინი მონაწილეობს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე; გამოდის კამათში შრომითი ბეგარისა და შრომის დისციპლინის საკითხზე.

მარტი, 28. ლენინი სტენოგრაფს კარნახობს პირვანდელ მონასახს სტატიისას — «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები».

მარტი, 29. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს ბალტიის ფლოტის სამმართველოს დროებითი დებულების პროექტის შესახებ.

მარტი, 30. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ რევოლუციური ტრიბუნალების საკითხს; შეაქვს შესწორებანი დეკრეტის პროექტში და წერს სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტს.

მარტი. ლენინი და ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით ელაპარაკებიან მურმანსკის საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც ტროცკის მითითებით გამცემლურად დადო შეთანხმება ანტანტის წარმომადგენლებთან მურმანსკში.

ლენინი წერს წინასიტყვაობას კრებულისათვის «მდინარების წინააღმდეგ».

მარტი — აპრილი. ლენინი წერს «საბანკო პოლიტიკის თეზისებს».

აპრილი, 1. ლენინი ხელს აწერს სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს თავდაცვისა და შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის უმაღლესი სამხედრო საბჭოს შექმნის შესახებ.

ლენინი მონაწილეობს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაში შრომის დისციპლინის საკითხის განხილვის დროს.

აპრილი, 2. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ სტალინის მიერ შეტანილ საკითხს ხარკოვზე გერმანელთა შემოტევის გამო უკრაინის რადასთან საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

აპრილი, 3. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის დეკლარაციის შესახებ; რადიოტელეგრაფის შესახებ; გერმანელთა შემოტევის შემთხვევისათვის სამხედრო ფლოტის უზრუნველყოფის შესახებ.

აპრილი, 5. ლენინი იაპონიის მიერ ვლადივოსტოკში დესანტის გადმოსხმასთან დაკავშირებით ციმბირის საბჭოების ცაკს უგზავნის დეპეშას თავდაცვისათვის მომზადების შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს უწყებათა მიერ პროვინციაში კომისრების მივლინების წესის შესახებ — შეაქვს შესწორებანი და დამატებანი დადგენილების პროექტში.

აპრილი, 6. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სამხედრო ტყვეთა საქმეების კომისიის დანიშვნის შესახებ — წერს დადგენილების პროექტს; ფოსტა-ტელეგრაფის მართვის ცენტრალიზაციის შესახებ.

აპრილი, 7. ლენინი გამოდის მიტინგზე ალექსის მანეჟში.

ლენინი ი. ბ. სტალინთან ერთად ვლადივოსტოკის საბჭოს უგზავნის დეპეშას, რომელშიაც აფრთხილებს მას იაპონელ იმპერიალისტთა გარდუვალი შემოტევისა და თავდაცვისათვის სასწრაფო და სერიოზული მომზადების აუცილებლობის შესახებ.

აპრილი, 8. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: არმიის ორგანიზაციის შესახებ; რსფსრ-ის სახელმწიფო ალამის შესახებ.

აპრილი, 9 და 10. ლენინი სახკომსაბჭოს სხდომაზე გამოდის კოოპერაციის საკითხზე, შეაქვს შესწორებანი პროექტში დეკრეტისა სამომხმარებლო კოოპერაციულ ორგანიზაციათა შესახებ.

აპრილი, 11. ლენინი მონაწილეობს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ სხდომაში პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსა და მელითონეთა კავშირის ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად; ამ სხდომაზე იხილავენ მეტალურგიული მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხს.

აპრილი, 12. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: უმუშევრობასთან საბრძოლველად სახსრების გაღების შესახებ; სახელმწიფო კონტროლის შესახებ; მეცნიერებათა აკადემიის წინადადების შესახებ — იმუშაოს რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა აღრიცხვის დარგში.

აპრილი, 13. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ მურმანის დაცვის საკითხს და სხვ.

აპრილი, 14. «პრავდის» 72-ე ნომერში ქვეყნდება ლენინისა და სტალინის მიერ ხელმოწერილი სახკომსაბჭოს დეკრეტი მოედნებიდან და ქუჩებიდან მეფეებისა და მათი მსახურების პატივსაცემად აგებული ძეგლების აღებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძეგლთა პროექტების ფართო კონკურსის მოწყობის შესახებ.

აპრილი, 15. ლენინი წერს წერილს იუსტიციის სახალხო კომისარიატისადმი და კომისარიატის კოლეგიის ყველა წევრს იწვევს საუბრისათვის შემდეგ საკითხებზე: კანონდებულებათა და განკარგულებათა კრებულის გამოცემა და ბურჟუაზიისა და ხაზინის ქურდების

მიმართ უფრო სწრაფი და უფრო ულმობელი სასამართლოს ორგანიზაცია.

აპრილი, 16. ლენინი სახკომსაბჭოს სხდომაზე რედაქციას უკეთებს, ავსებს და ხელს აწერს სახკომსაბჭოს დეკრეტს საბჭოთა რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის საქმის მართვის ორგანიზაციის შესახებ.

აპრილი, 16 ან 17. ლენინი ღებულობს რუსეთის შაქრის მრეწველობის წარმომადგენელთა ყრილობის დელეგაციას; ესაუბრება მას შაქრის ქარხნების აღდგენის ზომების შესახებ.

აპრილი, 17. ლენინი სახკომსაბჭოს სხდომაზე ხელს აწერს ბრძანებას კურსკის, ორიოლისა და სხვა გუბერნიების საბჭოებისადმი — უკრაინისა და გერმანიის იმ ჯარების განიარაღების შესახებ, რომელნიც საბჭოთა ტერიტორიაზე გადმოდიან; წერს დადგენილების პროექტს შაქრის ჭარხლის დასათესად გლეხებისათვის სუბსიდიების მიცემის შესახებ.

აპრილი, 18. ლენინი გამოდის სიტყვით საფინანსო საკითხზე სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: აქციების, ობლიგაციებისა და სხვა პროცენტიანი ქაღალდების რეგისტრაციის შესახებ — შეაქვს შესწორებანი და დამატებანი დეკრეტის პროექტში; საქციო საზოგადოებათა დაარსების აკრძალვის შესახებ.

აპრილი, 19. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სრულიად რუსეთის საევაკუაციო კომისიის დაარსების შესახებ — შეაქვს შესწორებანი დადგენილების პროექტში; ნახშირის მოსაპოვებლად სახსრების ასიგნების შესახებ და სხვ.

აპრილი, 20. ლენინი ტელეგრაფით ეკითხება სიმბირსკის საბჭოს თავმჯდომარეს ჩუვაშების ქალთა და ვაჟთა სამასწავლებლო სემინარიების თავმჯდომარეთა არჩევის

გარემოებათა და პირობათა შესახებ; ატყობინებს, რომ მას აინტერესებს ბედი ინსპექტორ ი. ი. იაკოვლევისა, რომელიც 50 წელს მუშაობდა ჩუვაში ხალხის ეროვნული განვითარებისათვის.

ლენინს სახკომსაბჭოს სხდომაზე შეაქვს შესწორებანი პროექტისადმი დეკრეტისა ტორფის მთავარი კომიტეტის ორგანიზაციის შესახებ. პროექტი მტკიცდება ლენინის შესწორებებით.

აპრილი, 22. ლენინი ი. ბ. სტალინთან ერთად ხელს აწერს სახკომსაბჭოს დეკრეტს საგარეო ვაჭრობის ნაციონალიზაციის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს მოსკოვისა და პეტროგრადის მრეწველობის ელექტროფიკაციის შესახებ ვოლხოვსა და იმატრაზე ჰიდროსადგურების მშენებლობის გზით — აკეთებს შენიშვნებს.

ლენინი წერს და ი. ბ. სტალინთან ერთად ხელს აწერს მისალმების დეპეშას თურქესტანის მხარის საბჭოების ყრილობისადმი.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ ი. ბ. სტალინის მიერ შეტანილ საკითხს გერმანელთა და გაიდამაკთა შემოტევისაგან ხარკოვის გუბერნიის აღმოსავლეთი საზღვრის დაცვის შესახებ.

აპრილი, 22 ან 23. ლენინი მუშა-ქალთა მოსკოვის საქალაქო კონფერენციაზე გამოდის სიტყვით საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ.

აპრილი, 23. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს წარმოების იარაღებითა და ლითონებით სოფლის მეურნეობის მომარაგების შესახებ — წერს დამატებას დეკრეტის პროექტისადმი.

ლენინი მოსკოვის საბჭოში გამოდის სიტყვით მიმდინარე მომენტის შესახებ.

აპრილი, 24. ლენინი ღებულობს ცარიცინის ქვემეხების ქარხნის მუშათა დელეგაციას, რომელნიც მოითხოვდნენ ქარხნის გადაცემას სახელმწიფოს მმართველობაში; მუშებთან საუბრის დროს აკეთებს შენიშვნებს ქარხნის საჭიროებებზე.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სამხედრო ტყვეების შესახებ; დამემკვიდრების გაუქმების შესახებ; შესწორებანი დეკრეტისადმი წარმოების იარაღებითა და ლითონებით სოფლის მეურნეობის მომარაგების შესახებ.

აპრილი, 26. ლენინი მონაწილეობს პარტიის ც. კ-ის სხდომაზე, შეაქვს თეზისები საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ. ც. კ. იწონებს თეზისებს და ავალებს ლენინს გააკეთოს მოხსენება ამ საკითხზე სრულიად რუსეთის ცაკში.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: უმუშევრებისადმი დახმარების ორგანიზაციის შესახებ; არქივებისა და ბიბლიოთეკების ცენტრალური სამმართველოს ორგანიზაციის შესახებ; დასახიჩრებული მეომრებისადმი დახმარების შესახებ.

აპრილი, 27. ლენინი მონაწილეობს იმ დელეგაციის სხდომაში, რომელსაც ი. ბ. სტალინი მეთაურობს და რომელიც გამოყოფილია უკრაინის სახალხო რესპუბლიკასთან მოლაპარაკებისათვის საზავო ხელშეკრულების შესახებ.

ლენინი ხელს აწერს ი. ბ. სტალინისადმი რწმუნებას უკრაინის სახალხო რესპუბლიკასთან მოლაპარაკების საწარმოებლად საზავო ხელშეკრულების შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მდინარეებზე სვირსა და ვოლხოვზე ელექტროსადგურების აგების შესახებ; რკინიგზების მშენებლობის შესახებ.

აპრილი, 28. ლენინის სტატია «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» ქვეყნდება გაზეთებში «პრავდა» № 83 და სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტია» № 85.

აპრილი, 29. ლენინი სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე გამოდის მოხსენებითა და საბოლოო სიტყვით საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების საკითხზე.

აპრილი, 30. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მთავრობის დაწესებულებათა მდგომარეობა გერმანიის მიერ ოკუპირებულ ოლქებში; პროექტი დეკრეტისა ნაჩუქრობათა შესახებ; ფლოტის ორგანიზაციისა და ხელახლა აღდგენის შესახებ.

აპრილი. ლენინი წერს «სამეურნეო და განსაკუთრებით საბანკო პოლიტიკის ძირითად დებულებებს».

ლენინი მონაწილეობს საბანკო პოლიტიკის თეზისების განხილვაში თათბირზე ფინსახკომისა და სახბანკის ხელმძღვანელებთან.

ლენინი წერს «მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა გეგმის მონასახს».

მაისი, 1. ლენინი გამოდის სიტყვებით საპირველმაისო მიტინგზე წითელ მოედანზე დემონსტრანტთა წინაშე და ლატვიელ მსროლელთა და კრემლის მუშაკთა მიტინგზე; ესწრება სამხედრო აღლუმს ხოდინკის მინდორზე.

მოსკოვში ლენინის ავტომობილის მსვლელობის დროს ხუშჩევსკ-მარინსკის რაიონის დემონსტრანტთა კოლონიდან მუშები აჩერებენ ავტომობილს, ხელში აყავთ ლენინი, და იგი ამბობს მოკლე სიტყვას 1 მაისის საერთაშორისო დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ.

მაისი, 2. ლენინი ხელს აწერს წერილს კურსკს გაგზავნილი საზავო დელეგაციის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინისადმი და დირექტივას აძლევს ჩვენს ჯარებს არ გადავიდნენ უკრაინის ტერიტორიაზე, განაიარაღონ ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსული გაიდამაკთა რაზმები.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს შაქრის მრეწველო-

ბის ნაციონალიზაციის შესახებ — შეაქვს შესწორებანი დეკრეტის პროექტში.

მაისი, 3. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მდინარე სვირზე სამუშაოებისათვის სახსრების ასიგნების შესახებ; ჩრდილოეთის რაიონის ტორფის დამუშავებათა შესახებ და სხვ.

ლენინის მიერ დაწერილ სრულიად რუსეთის ცაკის რეზოლუციის პროექტს — «ექვსი თეზისი საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ» ამტკიცებს პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მაისი, 4. ლენინი წერს წერილს რკპ(ბ) ც. კ-სადმი და მოითხოვს დააყენონ საკითხი პარტიიდან იმ მოსამართლეთა გარიცხვის შესახებ, რომელნიც დაკმაყოფილდნენ მეტისმეტად რბილი განაჩენით მექრთამეობის საქმის გამო.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: რევოლუციური ტრიბუნალის განაჩენის შესახებ მექრთამეობის საქმის გამო; სამხედრო ოლქების დაარსების შესახებ და სხვ.

მაისი, 5. ლენინი წერს სტატიას «მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ».

ლენინი ხელს აწერს ი. ბ. სტალინის მიერ შედგენილ დეპეშას, რომელიც იგზავნება ვორონეჟში, ასლი როსტოვში — გ. კ. ორჯონიკიძეს და ბრიანსკში, გერმანია-უკრაინის ფრონტზე დროებითი ზავის შეკვრის შესახებ.

მაისი, 6. ლენინი მონაწილეობს პარტიის ც. კ-ის სხდომაში საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხის განხილვის დროს; წერს პროექტს დადგენილებისას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ლენინი წერს პროექტს რადიოგრამისას კურსკს გაგზავნილი საზავო დელეგაციისადმი იმ გადატრიალების

შესახებ, რომელიც უკრაინაში მოახდინა სკოროპადსკიმ გერმანიის ჯარების დახმარებით, და გერმანელთა მიერ დონის როსტოვის აღების შესახებ. რადიოგრამა იგზავნება ი. ბ. სტალინის შესწორებებითა და ხელმოწერით.

მაისი, 8. ლენინი ი. ბ. სტალინთან ერთად ხელს აწერს დეპეშას კურსკს გაგზავნილი საზავო დელეგაციისადმი და განკარგულებას აძლევს აწარმოოს მოლაპარაკება უკრაინის გეტმანის მთავრობასთან საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ლენინი მითითებას აძლევს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ. ვ. ჩიჩერინს გაგზავნოს კიევში დელეგაცია უკრაინის გეტმანის მთავრობასთან მოლაპარაკებისათვის საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სასურსათო მდგომარეობის შესახებ — წერს ძირითად დებულებებს დეკრეტისას სასურსათო დიქტატურის შესახებ; მექრთამეობის შესახებ — შეაქვს შესწორებანი დეკრეტის პროექტში; ყუბანში სამხედრო წესების შემოღების შესახებ გაიდამაკთა და გერმანელთა შემოტევასთან დაკავშირებით.

მაისი, არა უგვიანეს 8-ისა. ლენინი დირექტივებს აძლევს იუსტიციის სახალხო კომისარიატს შეიტანოს სახკომსაბჭოში კანონპროექტი ქრთამისთვის სასჯელის შესახებ.

მაისი, 9. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სასურსათო დიქტატურის შესახებ; სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის შესახებ — შეაქვს შესწორებანი დეკრეტების ორივე პროექტში; კულაკთა წინააღმდეგ ბრძოლაში სოფლის ღარიბობისადმი დასახმარებლად მუშათა მობილიზაციის შესახებ — წერს დადგენილების პროექტს.

ლენინი ხელს აწერს ცირკულარულ დეპეშას ყველა საგუბერნიო საბჭოსა და საგუბერნიო სასურსათო

კომიტეტებისადმი პეტროგრადის კატასტროფული სასურსათო მდგომარეობისა და მისდამი დაუყოვნებლივი დახმარების შესახებ.

ლენინი მონაწილეობს სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე, რომელზედაც იხილავენ და ამტკიცებენ სახკომსაბჭოს მიერ შეტანილ დეკრეტს სასურსათო დიქტატურის შესახებ.

მაისი, 10. ლენინი პუტილოვის ქარხნის მუშასთან საუბარში იძლევა მითითებას შერჩეულ იქნას მუშათა საიმედო არმია 20 000 კაცის რაოდენობით სოფლის ბურჟუაზიისა და მექრთამეების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სამხედრო ტყვეთა საქმეების კოლეგიის მუშაობის შესახებ; ციმბირის მეურნეობის მოწესრიგებისა და განვითარების ზომების შესახებ და სხვ.

ლენინი ამტკიცებს და ხელს აწერს სახკომსაბჭოს დადგენილებას ნიჟნი-ნოვგოროდის სოფელ რიზოვატოვის სახლკარგადამწვარი უღარიბესი გლეხებისათვის თესლისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად 100 000 მანეთი ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ.

მაისი, 11. ლენინი წერს პროტესტს გერმანიის მთავრობისადმი ყირიმის ოკუპაციის წინააღმდეგ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ციმბირის სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის შესახებ; პროფესიული აღწერის შესახებ მოსკოვში და სხვ.

ლენინი ხელს აწერს სახკომსაბჭოს დადგენილებას სუჯენის ქვანახშირის მაღაროების (ციმბირი), სპასკის სპილენძსადნობი და ბიისკის ტყავის ქარხნებისა და მომპოვებელი და გადამმუშავებელი მრეწველობის სხვა საწარმოთა ნაციონალიზაციის შესახებ.

«პრავდის» 90-ე ნომერში ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, რომ გამოვიდა ვ. ი. ლენინის წიგნები: «სა-

ხელმწიფო და რევოლუცია», «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ».

მაისი, 13. ლენინი მონაწილეობს პარტიის ც. კ-ის სხდომაზე, სადაც ამტკიცებენ ლენინის მიერ დაწერილ «თეზისებს თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ».

ლენინი მოსკოვის საერთო-საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გამოდის მოხსენებით თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

მაისი, 14. ლენინი წერს წინასიტყვაობას თავისი ბროშურისადმი «კარლ მარქსი».

ლენინი აკეთებს მოხსენებას საგარეო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკისა და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. ლენინი სრულიად რუსეთის ცაკისა და მოსკოვის საბჭოს ბოლშევიკთა ფრაქციის თათბირზე გამოდის მოხსენებით საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ.

მაისი, 15. ლენინი მოსკოვის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე გამოდის მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: უცხოელ მეანაბრეთა მყოლი რუსული ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ; ხელშეკრულებათა დადების შესაძლებლობის შესახებ იმ ქვეყნების კაპიტალისტებთან, რომელნიც არ ცნობენ საბჭოთა ხელისუფლებას, და სხვ.

მაისი, 16. ლენინი განკარგულებას აძლევს უმაღლეს სამხედრო საბჭოს გაგზავნოს პარლამენტიორები სამხრეთ-აღმოსავლეთის (დონის) ფრონტზე დროებითი ზავის შესაკრავად და სადემარკაციო ხაზის დასაწესებლად ამ ფრონტზე.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ ნავთობის მრეწველობის მართვის საკითხს და სხვ.

მაისი, 17. ლენინი ხელს აწერს სახკომსაბჭოს დეკრეტს თურქესტანში მორწყვის სამუშაოთა ორგანიზაციის შესახებ.

ლენინი წერს წინასიტყვაობას თავისი ბროშურისადმი «ჩვენი დროის მთავარი ამოცანა».

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: შრომის ინსპექციის შესახებ; ვიკსუნის სამთო ოლქისათვის სასწრაფო სესხის მიცემის შესახებ; ნავთობის მთავარი კომიტეტის დაარსების შესახებ.

მაისი, 18. ლენინი საბჭოების საფინანსო განყოფილებათა წარმომადგენლების სრულიად რუსეთის ყრილობის სხდომაზე გამოდის მოხსენებით საფინანსო პოლიტიკის ამოცანების შესახებ.

ლენინი ღებულობს ლითონის უდიდესი ქარხნების კონფერენციაზე არჩეულ მუშათა დელეგაციის წარმომადგენლებს; სწერს კონფერენციას წერილს ნაციონალიზაციის მომზადებისა და გატარების და ქარხნებში საქმის დაყენების შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: საბჭოთა რევიზიის შესახებ; ნახშირის განაწილების შესახებ და სხვ.

მაისი, 20. ლენინი მონაწილეობს სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაში სოფლად საბჭოების ამოცანების შესახებ ი. მ. სვერდლოვის მოხსენების განხილვის დროს.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სამხედრო ტყვეთა შენახვისა და მათი გაცვლის პირობებზე ავსტრიასა, ბულგარეთსა და თურქეთთან კონვენციის შესახებ; რკინიგზების საშუალებებით სათბობის დამზადების შესახებ და სხვ.

მაისი, 21. ლენინი რედაქციას უკეთებს, შესწორებანი და დამატებანი შეაქვს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის სახელით დაწერილ პროექტში მოწოდებისა პეტროგრადის მუშებისადმი სასურსათო რაზმებში ჩაწერის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ნახშირისა და კოქსის განაწილების შესახებ; სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა ინსტიტუტის ორგანიზაციის შესახებ; ავტომეურნეობის შესახებ.

მაისი, 22. ლენინი სწერს წერილს პეტროგრადის მუშებს «შიმშილობის შესახებ».

ლენინი შრომის კომისართა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე გამოდის სიტყვით შრომის დისციპლინის და შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: საგანგებო რევოლუციური ტრიბუნალის შესახებ — შეაქვს შესწორებანი დეკრეტის პროექტში; 100 მილიონი მანეთის ასიგნებისა და 10 ათასი ფუთი პურის გაგზავნის შესახებ ბაქოში ნავთობის გამოზიდვის უზრუნველსაყოფად.

მაისი, 23. ლენინი მონაწილეობს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაში სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის მოწვევის საკითხზე; შეაქვს წინადადება ნაციონალიზებულ საწარმოთა მართვის წესის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს სახკომატების კანცელარიებში არსებული ბიუროკრატიული წესების თაობაზე შემოსული საჩივრების შესახებ და სხვ.

მაისი, 24. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ სათბობის საკითხს; წერს პროექტს დადგენილებისას სათბობის მოპოვების გაძლიერებისა და მისი ეკონომიისათვის წესების გამომუშავების შესახებ.

მაისი, 25. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ავტოტრანსპორტის შესახებ; საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოცია-

ლისტური აკადემიის დაარსების შესახებ — წერს დადგენილებათა პროექტებს ორივე საკითხზე.

მაისი, 26. ლენინი წერს და პარტიის ც. კ.-ის დასამტკიცებლად შეაქვს «თეზისები «მიმდინარე» მომენტის გამო» (სასურსათო მდგომარეობისა და შიმშილობასთან ბრძოლის შესახებ).

ლენინი სახკომსაბჭოს სახელით გამოდის მისასალმებელი სიტყვით სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე.

მაისი, 27. ლენინი ი. ბ. სტალინთან ერთად გზავნის მისალმების დეპეშას ეკატერინოდარში, ყუბან-შავი ზღვის რესპუბლიკის საბჭოების საგანგებო III ყრილობისადმი და ფრონტელთა ყრილობისადმი.

მაისი, 28. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სურსათით რკინიგზელების მოსამარაგებლად სასწრაფო ზომების მიღების შესახებ — წერს პროექტს დადგენილებისას სასურსათო პოლიტიკის შესახებ; კონცესიების ნებართვის წესის შესახებ.

ლენინი დირექტივას აძლევს შავი ზღვის ფლოტის სარდალს მოსპოს ნოვოროსიისკში მყოფი ყველა გემი და კომერციული ხომალდი იმის გამო, რომ გერმანიას აშკარა განზრახვა აქვს ხელთ იგდოს ისინი.

მაისი, 29. ლენინი ხელს აწერს სახკომსაბჭოს მოწოდებას მუშებისა და გლეხებისადმი შეიარაღებული რაზმების ორგანიზაციის შესახებ ხალხის მტრებისა და გლეხური ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ მის მიერ დაწერილ პროექტს დადგენილებისას პურის დამოუკიდებელ დამზადებათა აკრძალვის შესახებ; ამასთან დაკავშირებით წერს მიმართვას რკინიგზელებისა, წყლის ტრანსპორტის მუშაკებისა და მელითონეებისადმი.

ლენინის წინადადებით სახკომსაბჭო ნიშნავს ი. ბ. სტალინს სასურსათო საქმის საერთო ხელმძღვანელად სამხრეთ რუსეთში; ლენინი ხელს აწერს ი. ბ. სტალინის დანიშვნას.

მაისი, 30. ლენინი ი. ბ. სტალინთან ერთად ხელს აწერს სახკომსაბჭოს მოწოდებას დონისა და ყუბანის მშრომელი კაზაკებისადმი.

ლენინი მონაწილეობას ღებულობს შედგენაში და ი. ბ. სტალინთან ერთად ხელს აწერს სახკომსაბჭოს მოწოდებას «მუშებო და გლეხებო!», რომელიც მოუწოდებს ბრძოლისაკენ პურისათვის, კონტრრევოლუციურ მეამბოხეთა და შეთქმულთა წინააღმდეგ.

ლენინი ი. მ. სვერდლოვთან ერთად ხელს აწერს სრულიად რუსეთის ცაკის დეკრეტს სურსათის სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი სასურსათო ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: რევტრიბუნალთა განაჩენების კასაციის წესის შესახებ; კ. მარქსის ძეგლის ასაგებად სახსრების ასიგნების შესახებ.

მაისი, 31. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას; შეაქვს წინადადება — გამოქვეყნდეს ახალი მიმართვა მოსახლეობისადმი საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესების გამო; სახკომსაბჭო ავალებს კომისიას ლენინის თავმჯდომარეობით — შეადგინოს მიმართვის ტექსტი.

მაისის დამლევი. ლენინი პირდაპირი მავთულით ელაპარაკება სამარის საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ვ. კუიბიშევს ორენბურგზე ატამან დუტოვის შეტევის გამო.

ივნისი, 1. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ურალის ლითონითა და მანქანებით ციმბირის მომარაგების პირობების შესახებ; დამოუკიდებელ დამზადებათა საკითხზე დამატებითი დადგენილების შესახებ.

ივნისი, 8-მდე. ლენინი ტელეფონოგრამაში პეტროგრადის საბჭოსადმი მოითხოვს გაგზავნონ მოსკოვში საუკეთესო სასურსათო მუშაკები სასურსათო რაზმებში მათ ჩასარიცხავად.

ლენინი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც სახალხო მეურნეობის საბჭოების I ყრილობამ აირჩია ნაციონალიზებულ საწარმოთა მართვის დებულების შესამუშავებლად.

ლენინი ი. მ. სვერდლოვთან ერთად ადგილებზე გზავნის სრულიად რუსეთის ცაკისა და სახკომსაბჭოს დირექტივას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაზე მტრის შემოსევის შემთხვევაში.

ივნისი, 3. ლენინს სახკომსაბჭოს სხდომაზე შეაქვს პროექტები გადაწყვეტილებებისა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის დაფინანსების შესახებ და დამოუკიდებელ დამზადებათა და მტკიცე ფასების შეცვლის შესახებ.

ივნისი, 4. ლენინი სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე გამოდის მოხსენებითა და საბოლოო სიტყვით შიმშილობასთან ბრძოლის საკითხზე; შეაქვს მის მიერ დაწერილი რეზოლუციის პროექტი.

ივნისი, 5. ლენინი მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე გამოდის მისასალმებელი სიტყვით სახკომსაბჭოს სახელით.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: საბანკო საქმის ცენტრალიზაციის შესახებ; შრომის ანაზღაურების ნორმების შემუშავებისა და განაკვეთების გადიდებასთან ბრძოლის ხერხების შესახებ.

ივნისი, 6. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს ურალის სამთამადნო ოლქებისა და ქარხნების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახსრების გაღების შესახებ და სხვ.

ივნისი, 7.

ლენინი ღებულობს ვიშნევოლოცკის საბჭოს წარმომადგენლებს და ესაუბრება მათ შიმშილობაზე მათ მაზრაში, სასურსათო რაზმების შექმნისა და სასურსათო მუშაობის ამოცანების შესახებ; დირექტივებს აძლევს სურსათის სახალხო კომისარიატს სასწრაფო დახმარება აღმოუჩინოს მათ.

ლენინი სახკომსაბჭოს სხდომაზე წერს დირექტივებს კომისიისადმი, რომელიც სახკომსაბჭომ შექმნა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოციალისტური აკადემიის შესახებ; წერს პროექტს სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებისას საბიბლიოთეკო საქმის სწორად დაყენების შესახებ.

ლენინი დეპეშაში არხანგელსკის საბჭოსადმი აფრთხილებს მურმანზე და არხანგელსკში ინგლისის სამხედრო ინტერვენციის საფრთხის შესახებ.

ლენინი ი. ბ. სტალინისაგან ღებულობს სადგურ გრიაზიდან გამოგზავნილ დეპეშას თხოვნით — გაგზავნოს ინჟინრები და მუშები რკინიგზის ხაზის აღსადგენად და მისცეს სპეციალური ბრძანება ვოლგისა და კასპიის სავაჭრო ფლოტის ორგანიზაციებს სტალინის განკარგულებათა სიტყვაშეუბრუნებლივ შესრულების შესახებ.

ივნისი, 8.

ლენინი გზავნის სასწრაფო დეპეშას მისამართით: ნიჟნი-რეკა, ასლები სარატოვსა და ცარიცინში, წინადადებით — დაუყოვნებლივ და სიტყვაშეუბრუნებლივ შეასრულონ ი. ბ. სტალინის ყველა ბრძანება და განკარგულება; ტელეგრაფით ატყობინებს ცარიცინში ი. ბ. სტალინს მისი თხოვნის შესრულების შესახებ.

ლენინი ღებულობს ორ დეპეშას ი. ბ. სტალინისაგან ცარიცინიდან ცნობით საქმის ვითარების და ცენტრში პურის გასაგზავნად დასახული ზომების შესახებ.

ლენინს სახკომსაბჭოს სხდომაზე შეაქვს შესწორებანი და რედაქციას უკეთებს პროექტს დადგენილებისას სოფლის ღარიბობის ორგანიზაციისა და მისი მომარაგების შესახებ.

ივნისი, 9 — 11. ლენინი და ი. ბ. სტალინი ერთმანეთს უცვლიან დეპეშებს პურისა და პირუტყვის დასამზადებლად ცარიცინში ფულისა და საქონლის გაგზავნის შესახებ და ცენტრში სასურსათო ტვირთის დაუბრკოლებელი გადაზიდვის უზრუნველყოფის შესახებ.

ივნისი, 10. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მოსახლეობისადმი მიმართვა მანიფესტით ჩეხ-სლოვაკთა ამბოხების გამო — აკეთებს მოხსენებას; სამეურნეო და ადმინისტრაციულ მუშაობაში ინკინრების ჩაბმის შესახებ — წერს გადაწყვეტილების პროექტს.

ლენინი ღებულობს მალცევის ქარხნების (ორიოლის გუბ.) მუშათა დელეგაციას; სწერს სურსათის სახალხო კომისარიატს ამ ქარხნების მუშათა კატასტროფული სასურსათო მდგომარეობის შესახებ და მოითხოვს სასწრაფო ზომების მიღებას მათ დასახმარებლად.

ივნისი, 11. ლენინი ღებულობს ბრიანსკის ქარხნის (ორიოლის გუბ.) წარმომადგენლებს ქარხნის სასურსათო მდგომარეობის საკითხზე, გზავნის მათ სურსათის სახალხო კომისარიატში თხოვნით — აღმოუჩინონ მათ სასწრაფო დახმარება.

ლენინი განკარგულებას აძლევს პეტროგრადის საბჭოს გაძლიერებითა და დაჩქარებით გაგზავნონ რაც შეიძლება მეტი სასურსათო რაზმები ურალში ვიატკის გზით.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური საბჭოს ლიკვიდაციის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩეხ-სლოვაკთა პოლკების შეიარაღებულ აჯანყებასთან დაკავშირებით; მეცხოველეობის განვითარებისათვის სახსრების გაღების შესახებ და სხვ.

ივნისი, 12. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: დეკრეტი შვებულებათა შესახებ; დეკრეტი საბჭოთა დაწესებულებებში

მოსამსახურეთა და მუშათა შრომის ანაზღაურების შესახებ და სხვ.

ივნისი, 13. ლენინი ღებულობს დეპეშას ი. ბ. სტალინისაგან ცნობით ტრანსპორტის საქმის გაუმჯობესების შესახებ, პურის დამზადებისა და მოსკოვში მისი გაგზავნის გეგმის შესახებ.

ივნისი, 14. ლენინი წერილში პეტროგრადის საბჭოსადმი მითითებებს აძლევს გზავნონ მეტი რაზმები ურალში, მეტი მუშები — საგიტაციო მუშაობისათვის.

ლენინი სახკომსაბჭოს სხდომაზე წერს პროექტს დადგენილებისას რკინიგზის ტრანსპორტის გაჯანსაღების შესახებ.

ივნისი, 15. ლენინი ღებულობს დეპეშას ი. ბ. სტალინისაგან ცნობით კაზაკების მიერ კრივაია მუზგას (ცარიცინიდან 40 ვერსზე) აღების შესახებ და სასწრაფო სამხედრო დახმარების მოთხოვნით.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: «გლავკოჟეის» დაფინანსების შესახებ; სელის შესაყიდად «ცენტროტექსტილისთვის» კრედიტის გახსნის შესახებ — წერს დადგენილებათა პროექტებს ორივე საკითხზე.

ივნისი, 15 ან 16. ლენინი ღებულობს დეპეშას ი. ბ. სტალინისაგან წითელი არმიის მიერ რკინიგზის მთელი რიგი პუნქტების აღების შესახებ ცარიცინთან, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა და მოსკოვსა და ჩრდილოეთში 500 ათასი ფუთი პურის გაგზავნის შესახებ.

ივნისი, 17. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: წითელარმიელთა ჯამაგირის გადიდების შესახებ; უკრაინასთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის საკითხების ორგანოს შექმნის შესახებ და სხვ.

ივნისი, 18. ლენინი ბაქოში ს. გ. შაუმიანს უგზავნის დეპეშას მოთხოვნით — ყველა ზომა მიიღოს ნავთობის პროდუქტების უსწრაფესი გაზიდვისათვის ვოლგაზე.

ლენინი ღებულობს დეპეშას ი. ბ. სტალინისაგან სასურსათო ტვირთის გაგზავნის შესახებ წყლის გზით, სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტის გამო.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ნავთობის მოპოვების ჰიდრავლიკური წესის სამუშაოთა ასანაზღაურებლად საჭირო სესხის შესახებ; მასწავლებლის შრომის ანაზღაურების შესახებ; სახალხო განათლების საქმის ორგანიზაციის შესახებ.

ივნისი, 19. ლენინი ღებულობს დეპეშას ი. ბ. სტალინისაგან ცნობით ცენტრში პურის ეშელონების გაგზავნის მიმდინარეობის შესახებ.

ლენინი ზამოსკვორეჩიეს რაიონის ქარხნების პარტიული უჯრედების კრებაზე გამოდის სიტყვით სასურსათო კრიზისის შესახებ.

ივნისი, 20. ლენინი მოსკოვის მუშათა კრებებზე გამოდის სიტყვით «სასურსათო რაზმების შესახებ».

«პრავდის» 123-ე ნომერში ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, რომ ვ. ი. ლენინმა მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ რკინიგზაზე დაგზავნა დეპეშა, სახალხო კომისარ ი. ბ. სტალინის განკარგულებისამებრ ცარიცინიდან მოსკოვს 500 ათასი ფუთი პურის გამოგზავნის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: უმაღლესი სატრანსპორტო კოლეგიის ორგანიზაციის შესახებ — შეაქვს შესწორებანი დადგენილების პროექტში; ჩრდილოეთის ფრონტის ჰიდროტექნიკური ორგანიზაციების საქმიანობის რევიზიის შესახებ; ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ.

ლენინი სამხატვრო თეატრში ესწრება სპექტაკლს «სოფელი სტეპანჩიკოვო».

ივნისი, 21. ლენინი გამოდის მიტინგებზე სოკოლნიკის კლუბში და პრესნიას რაიონში სიტყვით შიმშილობისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მურმანსკის მხარის საგანგებო კომისრის რწმუნებათა გავრცელების შესახებ ბელომორსკის მხარეზე; დასავლეთის ოლქისთვის სახსრების ასიგნებისა და მისი როგორც სამეურნეო ერთეულის დამტკიცების შესახებ.

ივნისი, 22. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სემირეჩიეს რკინიგზის შესახებ; მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ნორმების შესახებ; მანუფაქტურის შესყიდვის შესახებ.

სახკომსაბჭო ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით ქმნის კომისიას სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საერთო ხარჯთაღრიცხვის განსახილველად.

«პრავდის» 125-ე ნომერში ქვეყნდება ცნობა, რომ გამოვიდა ვ. ი. ლენინის წიგნები: «აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევს», «კარლ მარქსი (ბიოგრაფია)».

ივნისი, 26. ლენინი ღებულობს დეპეშას ი. ბ. სტალინისაგან ცენტრისაკენ პურითა და სურსათით დატვირთული ვაგონების გატარების წესის შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: შავი ზღვის ფლოტის შესახებ; საფინანსო პოლიტიკის გაერთიანების შესახებ.

ლენინი წერილში პარტიის ც. კ-ის წევრებისადმი პეტროგრადში გადაჭრით პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ზინოვიევმა და სხვებმა შეაჩერეს მუშები, რომელთაც უნდოდათ ვოლოდარსკის მოკვლაზე პასუხი გაეცათ მასობრივი ტერორით.

ივნისი, 27. ლენინი დეპეშაში პენზის საბჭოების II საერთოსაგუბერნიო ყრილობისადმი იძლევა მითითებებს მუშებისა და სოფლის ღარიბებისაგან სასურსათო არმიის შექმნის შესახებ პურის მონოპოლიის განსამტკიცებლად და კულაკებისთვის პურის ჩამოსართმევად ბრძოლისათვის.

პეტროგრადის საბჭო ლენინს ირჩევს სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობის დელეგატად.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: საბიბლიოთეკო საქმის შესახებ; მოსკოვსა და მის ახლომახლო მიდამოებში საცხოვრებელი ბინების მდგომარეობის შესახებ; სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციის შესახებ.

ივნისი, 27 და 28. ლენინი მოსკოვის პროფესიული კავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების IV კონფერენციაზე გამოდის მოხსენებითა და საბოლოო სიტყვით მიმდინარე მომენტის საკითხზე. კონფერენცია იღებს ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციას საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო პოლიტიკისათვის მხარდაჭერის შესახებ.

ივნისი, 28. ლენინი გამოდის სამ მიტინგზე: «ამოს» (სიმონოვის ქვერაიონი), ყოფ. მიხელსონის (ზამოსკვორეჩიეს რაიონი) ქარხნებში და როგოჟის რაიონის საბჭოთა ბაღში სიტყვებით თემაზე: «სამოქალაქო ომი».

ლენინი გზავნის დეპეშას კამიშინში და რკინიგზის ხაზის სხვა სადგურებზე ცნობით, რომ სახალხო კომისარ ი. ბ. სტალინის განკარგულებით ცარიცინიდან მოსკოვს გამოიგზავნა 500 ათასი ფუთი პური, და კატეგორიულ წინადადებას აძლევს მათ სასწრაფოდ გაგზავნონ ცარიცინში არა ნაკლებ 40 ორთქლმავალი პურის გადმოზიდვის უზრუნველსაყოფად.

ლენინი ღებულობს ტამბოვის გუბერნიის ტემნიკოვის საბჭოს თავმჯდომარეს და ესაუბრება მას მაზრაში საქმეთა ვითარების შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: «ცენტროტექსტილის» საქმიანობის განვითარების ზომების შესახებ — შეაქვს დამატებანი დადგენილების პროექტისადმი; რსფსრ კონსტიტუციის შესახებ; უმსხვილეს სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაციის შესახებ.

ივნისი, 29. მოსკოვის ოლქის საბჭოების საოლქო ყრილობა ლენინს ირჩევს სრულიად რუსეთის საბჭოების, V ყრილობის დელეგატად.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: რუსეთის რევოლუციის მოღვაწეებისათვის დროებითი ძეგლების დასადგმელად სახსრების ასიგნების შესახებ (შეტანილია ლენინის მიერ); ქსოვილების შეყიდვისა და განაწილების შესახებ და სხვ.

ლენინი წერს მისალმების წერილს ს. გ. შაუმიანს ბაქოში, ატყობინებს, რომ ი. ბ. სტალინი იმყოფება ცარიცინში, და თხოვს წერილები გზავნოს სტალინის მეშვეობით.

ლენინი წერს სტატიას «წინასწარმეტყველური სიტყვები».

ივლისი, 1. ლენინს შესწორებები შეაქვს და ხელს აწერს დეპეშას სარეკვიზიციო რაზმების უფროსებისადმი რკინიგზების ყველა ხაზზე — სარეკვიზიციო რაზმებში უსასტიკესი დისციპლინის შემოღების შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: სამრეწველო ფასეულობათა ევაკუაციის შესახებ; რეზინის მრეწველობის შესახებ და სხვ.

ივლისი, 2. ლენინი ალექსის მანეჟში გამოდის სიტყვით ფრონტზე მობილიზებულთა მიტინგზე, რომელსაც ესწრება ათასხუთასი კაცი.

სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიის» 135-ე ნომერში ქვეყნდება ცნობა, რომ გამოვიდა ვ. ი. ლენინის წიგნები: «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» და «ბრძოლა პურისათვის».

ლენინს სახკომსაბჭოს სხდომაზე შეაქვს რიგგარეშე განცხადება გლეხებისადმი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით დახმარების შესახებ; სახკომსაბჭო ლენინის წინადადებით ქმნის კომისიას გლეხებისადმი პრაქტიკული დახმარების ზომების შესამუშავებლად.

ივლისი, 3. ლენინი სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე გამოდის სიტყვით

საბჭოთა რუსეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ივლისი, 4. ლენინი სრულიად რუსეთის მასწავლებელთა I ყრილობაზე გამოდის მოხსენებით: «მასწავლებელთა მომზადების შესახებ».

ივლისი, 5. ლენინი სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობაზე სახკომსაბჭოს სახელით გამოდის მოხსენებითა და საბოლოო სიტყვით.

ივლისი, 6. ლენინი პარტიის ყველა რაიონულ კომიტეტს, ყველა რაიონულ საბჭოს, წითელი არმიის ყველა შტაბს უგზავნის ტელეფონოგრამას იმის შესახებ, რომ «მემარცხენე» ესერებმა პროვოკაციულად მოკლეს გერმანიის ელჩი მირბახი, იძლევა დირექტივას მთელი ძალების მობილიზაციის შესახებ დამნაშავეთა დაუყოვნებლივ შესაპყრობად.

ივლისი, 7. ლენინი ცარიცინში დეპეშით ატყობინებს ი. ბ. სტალინს გერმანიის ელჩის მირბახის მოკვლისა და მოსკოვში «მემარცხენე» ესერების აჯანყების შესახებ.

ივლისი, 8. ლენინი რედაქციას უკეთებს და ხელს აწერს დეპეშას მოსკოვის გუბერნიის ყველა სამაზრო საბჭოსადმი მოთხოვნით — მიიღონ ზომები რაიონების გასაწმენდად «მემარცხენე»-ესერული ბანდებისაგან.

სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიის» 141-ე ნომერში ქვეყნდება ლენინის საუბარი ამ გაზეთის თანამშრომელთან «მემარცხენე» ესერების აჯანყების გამო.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: «სორმოვოკოლომნის» ქარხნების შესახებ; მოსკოვის საავტომობილო სახელოსნოების შესახებ და სხვ.

ივლისი, 11 ლენინი დეპეშაში ვორონეჟის კომისრისადმი ატყობინებს «მემარცხენე»-ესერული ამბოხების ლიკვიდაციის შესახებ; იძლევა მითითებებსა და დირექტივებს

სამხედრო ოპერაციების შესახებ ჩეხ-სლოვაკთა და ყუბანის ფრონტებზე.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: 1918 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ; ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ — ხელს აწერს დეკრეტს, და სხვ.

ივლისი, 12. ლენინი წერს წერილს «პიტერის მუშებს» მოწოდებით — ჩაატარონ მასობრივი ლაშქრობა სოფლად ღარიბობის ორგანიზაციისა და კულაკობასთან ბრძოლისათვის.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: მირბახის მოკვლის საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ; წყლის სამგზავრო ტრანსპორტისადმი კონტროლის ორგანიზაციის შესახებ და სხვ.

ივლისი, 13. ლენინი წერს ბარათს საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი თხოვნით — ყველა ზომა მიიღონ კასპიის ზღვაში სამხედრო საზღვაო გემების ჩაყვანის დასაჩქარებლად.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: რკინიგზების დაცვის ყველა სახის გაერთიანების შესახებ; მოსკოვში საბინაო საქმის მდგომარეობის შესახებ; ვოლხოვის მშენებლობისათვის სახსრების გაღების შესახებ.

ივლისი, 15. ლენინი სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე საბჭოთა მთავრობის სახელით გამოდის განცხადებით, რომელშიც კატეგორიულ აზრს გამოთქვამს გერმანიის მთავრობის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ შეყვანილ იქნას მოსკოვში შეიარაღებულ გერმანელ ჯარისკაცთა ბატალიონი გერმანიის საელჩოს დასაცავად.

ივლისი, 16. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: რსფსრ-ში არსე-

ბული მთელი ქსოვილების ნაციონალიზაციის ჩატარების ხერხების შესახებ; სახალხო კომისრების ხელფასის გადიდების შესახებ (ორივე საკითხი შეტანილია ლენინის მიერ); ჩეხ-სლოვაკთა ფრონტზე კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საგანგებო კომისიის ორგანიზაციის შესახებ.

ივლისი, 17. სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიის» 149-ე ნომერში ქვეყნდება სრულიად რუსეთის ცაკის მიერ მოწონებული ლენინის მიმართვა მუშებისა, გლეხებისა და წითელარმიელებისადმი «მემარცხენე» ესერების ამბოხების გამო იმის შესახებ, რომ აუცილებელია სამმაგი სიფხიზლე, სიფრთხილე და სიმტკიცე.

ლენინი დეპეშაში თურქესტანის რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის სახელზე იტყობინება თურქესტანისადმი დახმარების ზომებისა და ენერგიული მოქმედების შესახებ ჩეხ-სლოვაკთა ამბოხების ჩასახშობად.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ყაზანის გუბერნიის შეყვანის შესახებ ვოლგისპირა სამხედრო ოლქის შემადგენლობაში (შეტანილია ლენინის მიერ); რევოლუციური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დარგის დიდი ადამიანებისათვის მოსკოვში 50 ძეგლის დადგმის შესახებ; რსფსრ ბიბლიოთეკებისა და წიგნთსაცავების დაცვის შესახებ.

ივლისი, 18. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ქსოვილების მონოპოლიის შესახებ — შეაქვს შესწორებანი დეკრეტის პროექტში; არხანგელსკის რაიონისა და ჩრდილოეთის უინულოვანი ოკეანის ფლოტილიის საბრძოლო მზადყოფნაში მოსაყვანად სახსრების გაღების შესახებ და სხვ.

ივლისი, 19. ლენინი ღებულობს ლტოლვილ ბელორუსთა ყრილობის დელეგაციას, რომელმაც მას გადასცა ყრილობის მისალმება და გააცნო ბელორუსი ხალხის მდგომარეობა.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: რადიოტექნიკური საქმის ცენტრალიზაციის შესახებ; საექსპორტო საქონლის დამზადების შესახებ, ზურგის ლაშქრის შესახებ და საზოგადოების პარაზიტული ელემენტების რეგისტრაციის წესების შესახებ.

ლენინი გამოდის სიტყვით საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ მიტინგზე ლეფორტის რაიონში.

ივლისი, 20. ლენინი ბარათში ზინოვიევისა, ლაშევიჩისა და სტასოვასადმი მოითხოვს დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ასობით და ათასობით პიტერელი მუშა ჩეხ-სლოვაკთა ფრონტზე და აფრთხილებს მათ ამ დირექტივის შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესახებ.

ივლისი, 22. ლენინი დეპეშაში ს. გ. შაუმიანისადმი ბაქოში ატყობინებს, რომ მხარს უჭერს ი. ბ. სტალინის აზრს ბაქოს საბჭოს «ნაროდნიკული ფრაქციის» გამცემლური მოქმედების შესახებ, «ფრაქციისა», რომელიც ამზადებდა ნიადაგს ინგლისელთა მიერ ბაქოს ოკუპაციისათვის, და მოითხოვს გადამწყვეტ ბრძოლას უცხოეთის კაპიტალის აგენტების წინააღმდეგ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ: სპეკულაციასთან ბრძოლის დეკრეტის პროექტს; გერმანიასთან რუსეთის ლიტერატურული კონვენციის გაუქმების საკითხს და სხვ.

ივლისი, 23. ლენინი გამოდის მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ საქარხნო კომიტეტების მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე.

ივლისი, 24. ლენინი პირდაპირი მავთულით ელაპარაკება ი. ბ. სტალინს; ატყობინებს მას პეტროგრადისა და მოსკოვის მძიმე სასურსათო მდგომარეობის შესახებ, თხოვს მიიღოს სასწრაფო ზომები სურსათის გასაგზავნად ცენტრში.

ივლისი, 26. ლენინი ღებულობს «ცენტროსოიუზის» ხელმძღვანელებს, ესაუბრება მათ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციულ მდგომარეობაზე და აყენებს საკითხს პურის დამზადების საქმეში კოოპერაციის მაქსიმალურად ჩაბმის შესახებ.

ლენინი ხამოვნიჩის რაიონში გამოდის მიტინგზე სიტყვით თემაზე: «რას აძლევს მშრომელ ხალხს საბჭოთა კონსტიტუცია».

ლენინი კ. ცეტკინს სწერს წერილს, რომელშიაც ატყობინებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მწვავე ბრძოლის შესახებ და გამოთქვამს რევოლუციის გამარჯვების მტკიცე რწმენას.

ივლისი, 27. ლენინი პირდაპირი მავთულით გადაცემულ ბარათში პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარისადმი კატეგორიულად მოითხოვს შეწყდეს «ც. კ-ის პიტერელი ნაწილის ოპოზიცია» და გაიგზავნოს მუშათა მეტი რიცხვი ჩეხთა ფრონტზე.

შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . . IX — XII

1918 წ. თებერვალი — ივლისი

რევოლუციური ფრაზის შესახებ . . . . . 1 — 14

სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია! . . . 17 — 19

დამატება სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა: «სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!» . . 20 — 21

მლიერის შესახებ . . . . . 22 — 26

ზავი თუ ომი? . . . . . 27 — 29

სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკის ბოლშევიკთა და «მემარცხენე» ესერთა ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წლის 23 თებერვალს. საგაზეთო ანგარიში . . . . . 30 — 31

მოხსენება სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე 1918 წ. 23 თებერვალს . . . . . 32 — 37

რაშია შეცდომა? . . . . . 38 — 40

უბედური ზავი . . . . . 41 — 43

გამოსვლები რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე 1918 წ. 24 თებერვალს. საოქმო ჩანაწერი . . . . . 44 — 47

შენიშვნა ზავზე ხელისმოწერის აუცილებლობის შესახებ 48

რსდმპ (ბოლშევიკების) ც. კ-ის პოზიცია სეპარატიული და ანექსიონისტური ზავის საკითხში . . 49 — 53

მძიმე, მაგრამ აუცილებელი გაკვეთილი . . . 54 — 59

პროექტი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა მთავრობის ევაკუაციის შესახებ . . . 60

უცნაური და შემზარავი . . . . . 61 — 71

საქმიან ნიადაგზე . . . . . 72 — 74

პროექტი გრძანებისა დეპუტატთა ყველა საბჭოსადმი 75

სერიოზული გაკვეთილი და სერიოზული პასუხისმგებლობა . . . . . 76 — 83

რეპ(ბ) მეშვიდე ყრილობა. 1918 წ. 6—8 მარტი 85 — 173

1. მოხსენება ომისა და ზავის შესახებ 7 მარტს 87 — 116

2. საბოლოო სიტყვა ომისა და ზავის შესახებ წაკითხული მოხსენების გამო 8 მარტს . . 117 — 125

3. რეზოლუცია ომისა და ზავის შესახებ . . 126 — 127

4. გამოსვლები ტროცკის იმ შესწორებათა წინააღმდეგ, რომლებიც ეხება რეზოლუციას ომისა და ზავის შესახებ 8 მარტს (დილით) . 128 — 130

I 128

II 129

5. გამოსვლა რადეკის იმ შესწორების წინააღმდეგ, რომელიც ეხება რეზოლუციას ომისა და ზავის შესახებ 8 მარტს (დილით) . . . 131

6. დამატება რეზოლუციისადმი ომისა და ზავის შესახებ 132

7. გამოსვლა ზინოვიევის იმ შესწორების წინააღმდეგ, რომელიც ეხება დამატებას რეზოლუციისადმი ომისა და ზავის შესახებ 8 მარტს . . . . . 133 — 134

8. წინადადება ომისა და ზავის შესახებ შეტანილი რეზოლუციის გამო 8 მარტს . . . 135

I 135

II 135

9. მოხსენება პარტიის პროგრამის გადასინჯვისა და სახელწოდების შეცვლის შესახებ 8 მარტს (საღამოს) . . . . . 136 — 152

10. რეზოლუცია პარტიის სახელწოდებისა და პარტიული პროგრამის შეცვლის შესახებ . 153 — 154

11. წინადადება პარტიის პროგრამის გადასინჯვის საკითხისათვის 8 მარტს (სალამოს) . . 155 — 156

12. გამოსვლა მგელაძის წინადადების გამო პარტიის პროგრამის შემუშავებაში უდიდესი პარტიული ორგანიზაციების ჩაბმის შესახებ 8 მარტს (სალამოს) 157

13. გამოსვლა პარტიის სახელწოდებისადმი ლარინის შესწორების წინააღმდეგ 8 მარტს (სალამოს) 158

14. გამოსვლა პარტიის პროგრამის შესახებ შეტანილი რეზოლუციისადმი პელშეს შესწორების წინააღმდეგ 8 მარტს (სალამოს) . . 159

15. გამოსვლა პარტიის პროგრამის შესახებ შეტანილი რეზოლუციისადმი ბუხარინის შესწორების წინააღმდეგ 8 მარტს (სალამოს) . 161 — 162

I 161

II 162

16. სიტყვა ცენტრალური კომიტეტის არჩევნების საკითხზე 8 მარტს (სალამოს) . . . . . 163 — 164

17. რეზოლუცია ც. კ-ში შესვლაზე «მემარცხენე კომუნისტების» უარის გამო 165

18. პროგრამის პროექტის შავად დაწერილი მონასახი 166

ჩვენი დროის მთავარი ამოცანა . . . . . 174 — 180

სიტყვა მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოში 1918 წ. 12 მარტს. სტენოგრაფიული ანგარიში . . . . . 181 — 187

სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობა. 1918 წ. 14 — 16 მარტი . . . 189 — 230

1. პროექტი რეზოლუციისა ვილსონის მომართვის გამო 191

2. მოხსენება საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ 14 მარტს 192

3. საბოლოო სიტყვა საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ წაკითხული მოხსენების გამო 15 მარტს 216

4. რეზოლუცია ბრესტის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ 228

შენიშვნა «მემარცხენე კომუნისტების» საქციელის შესახებ 231

პირველადელი მონასახი სტატიისა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები». სტენოგრაფიული ჩანაწერი . . . . . 232 — 253

თავი X 232
თავი XI 240
თავი XII 246
თავი XIII 251

რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ შემოტანილი დეკრეტის გამო 254

ა. იუსტიციის კომისარიატის კოლეგიის წევრებს და ასლი — ცაკის თავმჯდომარეს . . . . . 254 — 255

ბ. სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი . . . 255

წინასიტყვაობა კრებულისა «მდინარეების წინააღმდეგ» . . . . . 256 — 257

საბანკო პოლიტიკის თეზისები . . . . . 258 — 260

სიტყვა მიტინგზე ალექსის მანეჟში 1918 წ. 7 აპრილს. საგაზეთო ანგარიში . . . . . 261 — 263

დირექტივები ვლადივოსტოკის საბჭოს . . . 264

სიტყვა საფინანსო საკითხის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე 1918 წ. 18 აპრილს . . 265 — 267

სიტყვა მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოში 1918 წ. 23 აპრილს. სტენოგრაფიული ანგარიში . . . 268 — 274

საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები . . 275 — 329
რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა და სოციალისტური რევოლუციის ძირითადი ამოცანები 277
მომენტის საერთო ლოზუნგი 284
ბურჟუაზიასთან ბრძოლის ახალი ფაზისი . . . 286
საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და კონტროლისათვის ბრძოლის მნიშვნელობა 298
შრომის ნაყოფიერების გადიდება 302
შეჯიბრების ორგანიზაცია 306
«მწყობრი ორგანიზაცია» და დიქტატურა . . . 310
საბჭოთა ორგანიზაციის განვითარება 322
დასკვნა 327

სრულიად რუსეთის ცაკის სხდომა 1918 წ. 29 აპრილს . . . . . 331 — 374

1. მოხსენება საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ 333

2. საბოლოო სიტყვა მორიგი ამოცანების შესახებ წაკითხულ მოხსენების გამო . . 365

ექვსი თეზისი საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ . . . . . 375 — 379

სამეურნეო და განსაკუთრებით საბანკო პოლიტიკის ძირითადი დებულებანი . . . . . 380 — 381

მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა გეგმის მონასახი 382 — 383

რკპ ც. კ-ს 384

«მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ . . . . . 385 — 425

I 387
II 392
III 397
IV 405
V 410
VI 422

რკპ(ბ) ც. კ-ის დადგენილება საერთაშორისო მდგომარეობის საკითხის გამო 426

ძირითადი დებულებანი დეკრეტისა სასურსათო დიქტატურის შესახებ . . . . . 427 — 428

პროტესტი გერმანიის მთავრობისადმი ყირიმის ოკუპაციის წინააღმდეგ . . . . . 429 — 431

თეზისები თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ . . . . . 432 — 437

I 432
II 433
III 434
IV 435
V 436

მოხსენება საგარეო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკისა და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წ. 14 მაისს . . . . . 438 — 460

მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ რკპ(ბ) მოსკოვის საოლქო კონფერენციაზე 1918 წ. 15 მაისს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . 461 — 462

მოხსენება საბჭოების საფინანსო განყოფილებათა წარმომადგენლების სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1918 წ. 18 მაისს . . . . . 463 — 468

ფინანსური ცენტრალიზაცია 464
საშემოსავლო და ქონებრივი დაბეგვრა . . . 465
შრომითი ბეგარა 466
ფულის ახალი ნიშნები 467

წერილი ნაციონალიზებული საწარმოების წარმომადგენელთა კონფერენციას 1918 წ. 18 მაისს . . 469 — 470

მოკასახი დეპეშისა პიტერის მუშებისადმი 1918 წ. 21 მაისს . . . . . 471 — 472

შიმშილობის შესახებ (წერილი პიტერის მუშებს) 473 — 482

სიტყვა შრომის კომისართა ყრილობაზე 1918 წ. 22 მაისს . . . . . 483 — 489

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოციალისტური აკადემიის შესახებ . . . . . 490 — 491

I. სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი . . . 490
II. დირექტივები კომისიას 491

თეზისები «მიმდინარე» მომენტის გამო . . . . 492 — 494

სიტყვა სახალხო მეურნეობის საბჭოების I ყრილობაზე 1918 წ. 28 მაისს . . . . . 495 — 506

მიმართვა რკინიგზელებისა, წყლის ტრანსპორტის მუშაკებისა და მელითონეებისადმი . . . 507 — 508

ი. ბ. სტალინის დანიშვნა სასურსათო საქმის ხელმძღვანელად სამხრეთ რუსეთში 509

სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს და პროფესიული კავშირების გაერთიანებული სხდომა 1918 წ. 4 ივნისს 511 — 544

1. მოხსენება შიმშილობასთან ბრძოლის შესახებ 1918 წ. 4 ივნისს 513
2. საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო 1918 წ. 4 ივნისს 538
3. პროექტი რეზოლუციისა შიმშილობასთან ბრძოლის შესახებ წაკითხული მოხსენების გამო 1918 წ. 4 ივნისს 543

სიტყვა მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1918 წ. 5 ივნისს. მოკლე საოქმო ჩანაწერი . . . . . 545 — 546

დეპეშა ი. ბ. სტალინს 547

სასურსათო რაზმების შესახებ. სიტყვა მოსკოვის მუშათა კრებებზე 1918 წ. 20 ივნისს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 548 — 549

სიტყვა მიტინგზე სოკოლნიკის კლუბში 1918 წ. 21 ივნისს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . 550 — 554

დეპეშა სასურსათო რაზმების ორგანიზაციის შესახებ . . . . . 555 — 557

მოსკოვის პროფესიული კავშირებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების IV კონფერენცია. 1918 წ. 27 ივნისი — 2 ივლისი . 559 — 603

1. მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ 1918 წ. 27 ივნისს 561

2. საბოლოო სიტყვა მიმდინარე მომენტის შესახებ წაკითხული მოხსენების გამო, 1918 წ. 28 ივნისს 586

3. რეზოლუცია მიმდინარე მომენტის შესახებ წაკითხული მოხსენების გამო 603

სიტყვა მიტინგზე სიმონოვის ქვერაიონში 1918 წ. 28 ივნისს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . 604 — 606

წინასწარმეტყველური სიტყვები . . . . . 607 — 614

სიტყვა მიტინგზე ალექსის მანეჟში 1918 წ. 2 ივლისს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 615 — 616

სიტყვა საბჭოების V ყრილობის კომუნისტურ ფრაქციაში 1918 წ. 3 ივლისს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 617 — 618

სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების V ყრილობა. 1918 წ. 4 — 10 ივლისი . . . . . 619 — 654

1. სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება 1918 წ. 5 ივლისს 621

2. საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო 1918 წ. 5 ივლისს 650

დეპეშების გაცვლა-გამოცვლა ი. ბ. სტალინთან . 655 — 656

საუბარი სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიის» თანამშრომელთან «მემარცხენე» ესერების აჯანყების გამო. მოკლე გადმოცემა . . . . . 657 — 658

პიტერის მუშებს . . . . . 659 — 660

განცხადება სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე 1918 წ. 15 ივლისს . . . . . 661 — 665

სიტყვა მიტინგზე ლეფორტის რაიონში 1918 წ. 19 ივლისს . . . . . 666 — 668

ზინოვიევს, ლაშევიჩს, სტასოვას 669

მოხსენება მოსკოვის საქარხნო კომიტეტების საგუბერნიო კონფერენციაზე 1918 წ. 23 ივლისს. საგაზეთო ანგარიში . . . . . 670 — 675

ლაპარაკი ი. ბ. სტალინთან პირდაპირი მავთულით 1918 წ. 24 ივლისს . . . . . 676 — 679

სიტყვა ბიტინგზე ხამოვნიჩის რაიონში 1918 წ. 26 ივლისს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . 680

პირდაპირი მავთულით. პეტროგრადი, სმოლნი, ზინოვიევს 681

შენიშვნები . . . . 683 — 725

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 727 — 762

ILLUSTRATIONS

ვ. ი. ლენინის პორტრეტი. — 1918 წ. . . . . XII — 1

დეკრეტი «სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!», დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ. — 1918 წ. 21 თებერვალი 15

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რეზოლუცია პარტიის სახელწოდებისა და პარტიული პროგრამის შეცვლის შესახებ». — 1918 წ. მარტი . . . . . 152 — 153

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «თეზისები საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ ახლანდელ მომენტში». — 1918 წ. მარტი — აპრილი 279

ჩანაწერი ვ. ი. ლენინის ლაპარაკისა ი. ბ. სტალინთან პირდაპირი მავთულით სასურსათო მდგომარეობის შესახებ. — 1918 წ. 24 ივლისი. 677

ტირაჟი 20.000
ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/V-1952.
უე 02811. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 49.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 117